საქართველოს უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

ქართული სამართლის ისტორია

(ქრესტომათია)

პირველი გამოცემა

წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოდ რეკომენდირებულია
საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის აკადემიური საბჭოს მიერ

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2011 წელი

წინამდებარე წიგნში, რომლის შემდგენელია საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორი ბექა ქანთარია და რომელიც ამ საგანს აღნიშნულ უნივერსიტეტში კითხულობს 2007 წლიდან, შესულია ქართული სამართლის ისტორიის აქტუალური საკითხები. პირველი და მეცამეტე ლექციის მასალა ეკუთვნის თავად შემდგენელს. იგი ძირითადად კომპილაციური ხასიათისაა და ცამეტ სალექციო მასალას მოიცავს ცნობილი ქართველი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილის, ივანე სურგულაძის, ისიდორე დოლიძის, გიორგი ნადარეიშვილის და გიორგი დავითაშვილის შრომებიდან. იგი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ქართული სამართლის ისტორიაში მიღებული ზოგადი ცოდნა განიმტკიცონ ქართული სამართლის ზოგიერთი ძეგლის გაცნობით. წიგნის გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის, ვინიდან იგი ზოგადსაუნივერსიტეტო დისციპლინად იქცა. კურსის მიზანია სტუდენტს დაანახოს ქართული სამართლის ისტორიის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში; ასწავლოს სტუდენტს თანამედროვე ქართული სამართლის ნორმების სწორი განმარტება; სამართლის ტერმინების სწორად გაგება; დაანახოს და ასწავლოს სტუდენტებს ქართული სამართლის ისტორიის კავშირი სამართლის თეორიასთან და სამართლის სხვა დარგებთან; სტუდენტებს შეასწავლოს თანამედროვე სამართლის ნორმების პრაქტიკაში გამოყენება. წიგნის მთლიანი ტექსტი გამართივებულია, ზოგიერთი სალექციო მასალა შემოკლებულია, სტრიქონებიდან ამოღებულია სქოლიოები და უცხოური სიტყვები, რაც სტუდენტს მისცემს საგნის ათვისების სრულ შესაძლებლობას.

შემდგენელი: ბექა ქანთარია

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორი

რედაქტორი: იაკობ ფუტკარაძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტი: თამაზ ბერაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში

ქართული სამართლის ისტორია
პირველი გამოცემა
საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
დაიბეჭდა საქართველოში, თბილისში
გამომცემლობა „საქართველოს უნივერსიტეტი"

Copyright © The University of Georgia
საავტორო უფლებები დაცულია © 2011 „საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა"
ISBN 9789994050499



„ქართული სამართლის ისტორიის“ წაკითხვის დროს, იმედია, ყველა დაინახავს იმ ინტენსიურ მუშაობას და დიდ შემოქმედებას, რომელიც ქართველ ერს სამართლის სფეროში გამოუჩენია...

ივანე ჯავახიშვილი

აკადემიკოსი

სარჩევი

ლექცია I

(ზექა ქანთარია)

ქართული სამართლის ისტორიის არსი და მისი ადგილი იურიდიული მეცნიერების სისტემაში....7

ლექცია II

(ივანე ჯავახიშვილი)
• სამართლისა და სამართლის ძეგლის აღმნიშვნელი ტერმინები 17

ქართული სამართლის საერო წყაროები....23

(ისიდორე დოლიძე)
• ბაგრატ კურაპალატის სამართალი....23

(ივანე სურგულაძე) .
• ოპიზის სიგელი (1027-1072 წწ)....30
• დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი (1123 წ.); 30
• გიორგი მესამის 1170 წლის სიგელი....31
• ხელმწიფის კარის გარიგება....32
• წესი და განგება მეფეთ კურთხევისა....34
• გიორგი მეხუთის ძეგლისდება 39
• ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი....40
• ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებული....45
• დასტურლამალი....56

ლექცია III

(ივანე სურგულაძე)
ქართული საეკლესიო სამართლის წყაროები....62
• მცირესჯულის კანონი....62
• პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი....63
• დიდი სჯულის კანონი....66
• რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლისწორა....68
• კათალიკოსთა სამართალი....72

ლექცია IV

(გიორგი დავითაშვილი)
• ქართული ჩვეულებითი სამართალის საგანი, მეთოდი და სისტემა;....75
• ჩვეულებითი სამართლის ცნება, წარმოშობა და დამახასიათებელი ნიშნები 77

(გიორგი დავითაშვილი)
• სასამართლო ორგანიზაციასთან და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში 86
• სასამართლო ორგანიზაცია 86
• სასამართლო პროცესი 95

ლექცია V

(გიორგი ნადარეიშვილი)
• სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში.....99
• სამართლის წარმოშობა საქართველოში.....105

(ივანე ჯავახიშვილი)
• მეფე და მეფის ხელისუფლების საფუძველი;.....108
• მეფის ხელისუფლების უხუცესობით დამკვიდრების წესის
დამადასტურებელი ცნობები; 110
• მთავარსარდალი და უზენაესი მსაჯული;.....113
• საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალნი;.....114

ლექცია VI

(ივანე ჯავახიშვილი)
სახელმწიფოებრივი წესწყობილება განვითარებული
ფეოდალიზმის პერიოდში, მოხელენი და მოხელეობა
• საქართველოს მეფის „მართებანი“ და „განსაგებელნი“.....116
• სახელმწიფო დარბაზი და დარბაზობა 125

ლექცია VII

(ივანე სურგულაძე)
• გვიან ფეოდალიზმის პერიოდის ქართლის სახელმწიფოებრივი წესწყობილება 130

ლექცია VIII

(ივანე ჯავახიშვილი)

• ზოგადი მოძღვრება გარდამავლობითი მოქმედების შესახებ 176
• დანაშაულთა სახეები.....188

ლექცია IX

(ივანე ჯავახიშვილი)
სასჯელთა სისტემა და დასჯის საშუალებანი 202

(გიორგი ნადარეიშვილი)
დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა ქართული სამართლის მიხედვთ 211

ლექცია X

(ივანე ჯავახიშვილი)
სანივთო სამართალი ძველი ქართული სამართლის მიხედვით.....227

ლექცია XI

(ივანე ჯავახიშვილი)
ვალდებულებითი სამართალი ძველი ქართული სამართლის მიხედვით 241

ლექცია XII

(ივანე ჯავახიშვილი)
საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი ძველი ქართული სამართლის მიხედვით 253

ლექცია XIII

(ბექა ქანთარია)

I)საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება, მმართველობის
ფორმა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები პირველ კონსტიტუციაში 266

დანართები:

I)რუის-ურბნისის ძეგლისწრა 295
2) ხელმწიფის კარის გარიგება 301
3) წესი და განგება მეფეთ კურთხევისა.....311
4) გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება.....313
5) ვახტანგ მეექვსის სამართლი 319

ლექცია I

ბექა ქანთარია

ქართული სამართლის ისტორიის არსი და მისი ადგილი იურიდიული მეცნიერების სისტემაში

§ 1. სასწავლო კურსის კვლევის პრობლემები

ქართული სამართლის ისტორია ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინაა. იგი დამოუკიდებელი მეცნიერებაა და კვლევის საკუთარი ობიექტი აქვს, რაც განსაზღვრავს ქართული სამართლის ისტორიის მკაცრ ადგილს იურიდიული მეცნიერების სისტემაში. როდესაც ქართული სამართლის ისტორიის კურსის სწავლებას ვიწყებთ სტუდენტებთან, ჯერ ვარკვევთ, თუ რა ადგილი უჭირავს მოცადად სამართლის მეცნიერებაში? რატომ ისწავლება იგი სტუდენტებთან, როგორც მოცადსაუნივერსიტეტო დისციპლინა?

ქართული სამართლის ისტორიის არსს განსაზღვრავს მისი შემეცნების საგანი. სტუდენტებს ყოველთვის აინტერესებს პრობლემათა ის სეგმენტი, რომელითაც დაინტერესებულია ქართული სამართლის ისტორიული მეცნიერება. ყოველი ქართველოლოგიური მეცნიერება სწავლობს ქართული სინამდვილის კონკრეტულ გამოვლინებას. ქართული სამართლის ისტორია მოწოდებულია მეისწავლოს ეროვნული სამართლებრივი კულტურის ჩასახვისა და განვითარების ისტორიული წინამძღვრები, რაც ასახულია ჩვენამდე მოღწეული უპირველესი იურიდიული ძეგლების ნორმათა სისტემაში. ქართული სამართლის ისტორია იძლევა მეცნიერულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ცოდნას ქართული სახელმწიფოსა და სამართლის უძველესი ინსტიტუტების შესახებ. ეს არის: ა) სამართლის წყაროები, ძეგლების მოცადი დახასიათება; ბ) სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზები, მმართველობის ფორმების თავისებურებები, სახელმწიფო ხელისუფლების ევოლუცია და ორგანიზაცია, სამოხელეო თანამდებობის პირთა უფლებები და სამართლებრივი სტატუსი; გ) ეკლესიის ორგანიზაცია, საეკლესიო ხელისუფლება, მათი სტატუსი; დ) სისხლის სამართლის მოცადი პრობლემები, დანაშაული და სასჯელი ე) სანივთო-სამართლებრივი რეჟიმი, ნივთების კლასიფიკაცია, ადამიანების დამოკიდებულება ნივთებთან; ვ) ვალდებულებითი სამართლის ფორმების ევოლუცია და სამართლებრივი რეჟიმი, ზ) საოჯახო სამართლებივი ინსიტუტები - ქორწინება და განქორწინება, მეუღლებს შორის არსებული ურთიერთმონაცვლე უფლებები და მოვალეობები; თ) სამემკვიდრეო სამართალი. ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით; ი) სასამართლო პროცესი, სასამართლოების ორგანიზაცია, მსაჯულთა კომპეტენცია და სასამართლო მტკიცებულებანი.

ქართველი ერის წარსული ისტორიის კულტურული დონე მის სამართლებრივ ძეგლებში და მოცადად სამართლებრივ ცნობიერებაში ელინდება. სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ ქართველი ერის მიერ შექმნილი სამართლებრივი კულტურა, ეს არის უენომენი, რომლითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა.

ქართულ სამართლებრივ კულტურასა და სამართლებრივ ცნობიერებას ოდითგანვე განაპირობებდა ჩვენი წინაპრების მაღალი მართლშეგნება, რაც დღეს სამართლებრივი კულტურული მემკვიდრეობის სახით გვარგუნა განგეხამ

შეიძლება მოვიყვანოთ არგუმენტის მოყვანა ქართული სამართლებრივი მაღალი კულტურული დონის დასადასტურებლად:

ა) ჯერ კიდევ, XI საუკუნეში ბაგრატ მეოთხის ოპიზის სიგელით უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა წერილობით მტკიცებულებას, მაშინ როდესაც რუსეთში წერილობითი მტკიცებულება XVI საუკუნეში გახდა სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ განაჩენების იურიდიული ხაფუძველი;

ბ) მეცნიერულად დადგინდა, რომ პირველი ქართული საკანონმდებლო ძეგლი მოღწეულია XI საუკუნიდან და ეს არის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, რომელიც კოდიფიკაციის სახით მესულია XIV საუკუნის ბექა -აღბუღას სამართლის წიგნთა კრებულში;

გ) XI საუკუნეში ათონის იქერთა მონასტრის ბერი-მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელი ბერძნულიდან თარგმნის მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების კრებულს – მცირესჯულის კანონს. მესავალში აეტორი მსჯელობს სისხლის სამართლის პრობლემებზე, მიუთითებს სუბიექტურ შერაცხვაზე. მისი აზრით, დასჯის სუბიექტია ის, ვინც ჩაიდინა დანაშაული - ადამიანი. საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ცხოველი ან უსულო საგანი გაესამართლებინოთ, რასაც ადგილი ქონდა ევიანფეოდალიზმის დროს ეეროპის ზოგიერთ სახელმწიფოში;

დ) ჩვენამდე მოღწეული ქართული სამართლის ძეგლები მაღალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია. არცერთი მათგანი არ ყოფილა რომელიმე მეფის საკანონმდებლო თვითნებობის

ნაყოფი. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება მოითხოვდა ამა თუ იმ კანონის მიღებას, მაშინ შეუვები კრებას მოიწვევდნენ და მასთან ერთნებაობის საფუძველზე ამტკიცებდნენ მას. მაგალითად, ასე მოიქცა XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალე;

ე) მმართველობის ფორმის მხრივ საქართველო ოდითგანვე იყო შეზღუდული მონარქიის სახელმწიფო, რასაც ადასტურებს თუნდაც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით შუასაუკუნეებში.

ქართული სამართლის ისტორიამ, როგორც მეცნიერებამ სტუდენტს უნდა ასწავლოს არა მხოლოდ ქართული სამართლის ძეგლების შინაარსობრივი პარამეტრები, არამედ ის დიდი კულტურული მიღწევები რომელიც გააჩნდა ქართველ ერს ამ სფეროში. საქართველოს კანონშემოქმედებისა და კანონმდებლობის თვალსაზრისით არ იყო კარჩაკეტილი. ეროვნულთან ერთად იგი სხვა ხალხების სამართლებრივი ცნობიერების თანაზიარი იყო. ამის მაგალითია XI – XII საუკუნეებში ექვთიმე მთაწმინდელისა და არსენ იყალთოელის მიერ მსოფლიო საეკლესიო დადგენილებათა კრებულების თარგმნა ქართული ენაზე, ვახტანგ მეექვსის კოდიფიკაცია და იქ უცხოური სამართლებრივი პრინციპების დამკვიდრება.

სტუდენტი უნდა გაერკვეს წარსულისა და თანამედროვეობის კაეშირზე, იმაზე თუ რა დიდ გაელენას ახდენს ისტორიულად არსებული სამართალი თანამედროვე სამართალზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამართლის ისტორიული წარსულის ცოდნას თანამედროვე სამართლის შეცნობაში. დღეანდელი ეროვნულ-სამართლებრივი სისტემის ფესვები წარსულ სამართლებრივ სისტემაშია მტკიცედ გადგმული და ამ ფესვების არცოდნა და დავიწყება სტუდენტის გაურკვეველი მდგომარეობაა იურისპრუდენციაში. აი, სწორედ ამის გამო ესწავლობთ ჩვენ ამ დარგს, როგორც ქართველოლოგიის მნიშვნელოვან გამოვლინებას. კიდეე უფრო მეტი, – საქართველოს უნიეერსიტეტში ამ საგანმა ბოვადსაუნიეერსიტეტო დისციპლინის სტატუსი მიიღო. ეს კი ნიშავს, იმას, რომ მას ეუფლებიან სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები. ქართული სამართლის ისტორია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებთან. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები მჭიდრო კაეშირშია სახელმწიფოსა და სამართალთან, სახელმწიფო აწარმოებს პოლიტიკას, ხოლო პოლიტიკა აისახება სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალში.

2) ქართული სამართლის ისტორია და მომიჯნავე ისტორიულ-იურიდიული დისციპლინები.

ქართული სამართლის ისტორია მჭიდრო კაემირშია საქართველოს ისტორიასთან. იგი ისტორიულად არსებულ სამართალს შეისწაელის. მოგადად სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ერთეულეროვანი იურიდიული დისციპლინებია: ა) საკუთრივ ქართული სამართლის ისტორია; ბ) ქართული ჩეეულებითი სამართლის ისტორია; გ) სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია; სამართლის მსოფლიო ისტორია; დ) რომის სამართლის ისტორია.

სამართლის ისტორია კაცობრიობის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. უმაღლეს სასწავლებლებში იკითხება სამართლის მსოფლიო ისტორია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. იგი მეისწავლის მსოფლიო სამართლებრივ სისტემებს, მათი წარმოშობისა და განვითარების მიხედეით. ქართული სამართლის ისტორია მსოფლიო სამართლის ისტორიის ნაწილია. ამდენად მას მჭიდრო კაეშირი აქეს სამართლის მეცნიერების ამ დარგთან. ქართული სამართლის ისტორიის სრულყოფილი ცოდნა მიიღწეეა მსოფლიო სამართლებრივი ძეგლების შეცნობის გზით. კაეშირი ეროვნულ და მსოფლიო სამართლებრივ კულტურებს შორის საუკუნეებს ითელის.

სამართლის მსოფლიო ისტორია თაეის მხრივ შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) კონტინენტალური და ბ) რეგიონალური. კონტინენტალური სამართლის ისტორია შეისწაელის ეეროპის ან სხვა კონტინენტის ქეეყნების სამართალგანეითარების ისტორიულ წარსულს (მაგალითად, გერმანიის ან საფრანგეთის სამართლის ისტორია). რეგიონალური სამართლის ისტორიას აინტერესებს კონკრეტული რეგიონის შემადგენლობაში არსებული ქეეყნების სამართალგანეითარების ისტორია (მაგალითად, ბალკანიპირეთის ქეეყნები, ღსთ სახელმწიფოები). ქართული სამართლის ისტორიას მჭიდრო კაემირები აქეს რომის სამართალთან. ისტორიულად საქართეელო ბიმანტიასთან იყო დაკაემირებული და არ შეიძლება მას გაელენა არ მოეხდინა ქართულ სამართალზე. ეახტანგ მეექვსის კოდიფიკაციის ერთერთი თაეი, რომელიც ბერძნული სამართლის სახით არის შესული სამართლის წიგნში, რომაული სამართლის ფრაგმენტებს წარმოადგენს. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის შესწაელა წარმოუდგენელია რომაული სამართლის შესწაელის გარეშე.

სამართლებრივი მოძღერებები ან სამართლებრივი აზროენების ისტორია, როგორც მეცნიერება მეისწაელის ცნობილ მოაზროვნეთა შეხედულებებსა და მოსაზრებებს ძეელ სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. ქართული სამართლის ისტორია იყენებს კონკრეტული ისტორიული მოღაწის აზრსა და შეხედულებას ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტიტუტის

შესასწავლად. მაგალითად, ექეთიმე მთაწმინდელის მიერ ბრალის ფორმებზე მსჯელობა ქართული სამართლის ისტორიას ეხმარება შეისწავლოს სისხლის სამართლის პრობლემები, კერძოდ ბრალის ფორმები და მასთან დაკავშირებული საკითხები შუასაუკუნეების საქართველოში.

3) ჩვეულებითი და პოზიტიური სამართლის ურთიერთმიმართება.

უკვე დიდი ხანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცალკე სასწავლო დისციპლინის სახით შემოღებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი. სამართლის ეს სისტემა დამოუკიდებელი მოელენაა იურისპრუდენციაში. ჩვეულებები, იგივე ადათები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებიან და მოქმედებენ და კანონმდებლის ნების საფუძველზე იძენენ უმაღლეს იურიდიულ ძალას და გარდაიქმნებიან ჩვეულებით სამართლად.

უნდა ითქვას, რომ სტუდენტის სრულყოფილი ცოდნა ქართული სამართლის ისტორიაში არ არსებობს თუ მან არ შეისწავლა ჩვეულებითი სამართლის არსი და ძირითადი პრინციპები. ჯერ კიდევ, სახელმწიფოების წარმოშობამდე ადამიანთა ურთიერთობა ჩვეულებებით წესრიგდებოდა. ჩვეულებები დიდ შეგავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. ასე რომ პოზიტიური სამართლის წყარო არის ჩვეულებითი სამართალი. სწორედ ამის გამო შეიტანეთ დამოუკიდებელი ლექციის სახით პროგრამაში ჩვეულებითი სამართლი.

ქართული სამართლის ისტორია, როგორც აკადემიური მეცნიერება შეისწავლის სამართლის ინსტიტუტების ევოლუციასა და განვითარებას დაწერილი სამართლის, ანუ ჩვენამდე მოღწეული ძეგლების მიხედვით, მაშინ როდესაც ჩვეულებით სამართალს ეს საკითხება აინტერესებს დაუწერელი კანონების მიხედვით. ამ საკითხების შესწავლის დროს მეცნიერები ხშირად საქართველოს მთიან რეგიონებს ირჩევენ, რასაც აქვს ობიექტური მიზეზი. ჩვეულებები აქ უფრო მტკიცე იყო და ყოველთვის დომინირებულ მდგომარეობას იკავებდა სახელმწიფოს კანონებთან შედარებით. თუმცა ყველა ეპოქაში სახელმწიფო კანონმდებლის მიზანი იყო შეეგნებინა ჩვეულებითი სამართლის მოქმედება და საზოგადოებრივი ურთიერთობები მოეწესრიგებინა დაწერილი სამართლით. ამის კლასიკური მაგალითია გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება. მეფე თვითონ აღიდა მთიულეთში, გაეცნო იქაურ მდგომარეობას, შემდეგ ჩამოვიდა ბარში და ამ რეგიონისათვის, ჩვეულებების საფუძველზე შეადგინა სამართლის წიგნი. ეს მაგალითი ადასტურებს სახელმწიფოს დამოკიდებულებას დაუწერელი ნორმებისადმი. მართალია, მეფემ წყაროდ აღათობრივი სამართალი გამოიყენა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ყველა ნორმისათვის სანქციის მინიჭებას. მეფემ ჩვეულებებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, მოგიერთი კი უცვლელად გადმოიგანა ძეგლისდებაში და დაუწერელი კანონები დაწერილად აქცია.

ასე, რომ ქართული ჩვეულებითი სამართალი, ან ჩვეულებები ქართული სამართლის ძეგლების ძირითადი წყარო იყო.

ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტების კვლევა-ძიება დაკავშირებულია პროფესორ მიხეილ კვაჭრაძის სახელთან. მისი ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამი შეიქმნა ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი სპეციალური სამეცნიერო განყოფილება, რომელმაც მოიძია საქართველოს კუთხეებში დამკვიდრებული და ადამიანთა ცნობიერებამი შემორჩენილი ადათები და ჩვეულებები. მეცნიერთა აკადემიური კვლევა-ძიების შედეგები გამოცემულია წიგნებად. მიხეილ კვაჭრაძის სახელი დაუვიწყარია მოგადად ქართული სამართლის ისტორიისათვის და იგი ქართველი სტუდენტებისგან იმსახურებს ღირსეულ პატივგებას. მას მეცნიერული კვლევები ქონდა ჩაგარებული, ასევე, ქართული სამართლის ისტორიაში. განსაკუთრებით შეისწავლა საქართველოს სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხები.

4) სასწავლო კურსის წყაროთმცოდნეობა და კლასიფიკაცია

ქართული სამართლის ისტორიის, როგორც მეცნიერების, წყაროებს სამართლის ძეგლები წარმოადგენს. ამ ძეგლების კლასიფიკაციისა და სათანადო მეცნიერული შესწავლის გარეშე არ არსებობს ცოდნა ისტორიულად არსებულ სამართალზე. ამიტომ, ამა თუ იმ საკითხზე ცოდნის მისაღებად საჭიროა სამართლის ძეგლების დაწერილებითი შესწავლა. XIX საუკუნეში ასეთი ძეგლების კვლევა - ძიება ნიკო ურბნელმა დაიწყო.

სამართლის ისტორიაში სამართლის ძეგლები იყოფა ორ დიდ ჯგუფად მინაარსის მიხედვით: ა) საერო და 2) საეკლესიო ხასიათის ძეგლებად. საერო ხასიათის სამართლის ძეგლები მიიღებოდა საერო ხელისუფალთა მიერ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საკითხებზე. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება," „ხელმწიფის კარის გარიგება" და სხვა. საერო, იგივე სახელმწიფო კანონები არეგულირებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების

ორგანიზაციის საკითხებს, სასჯელის ფორმებსა და მისი დანიშნის პროცესს, ქორწინებისა და განქორწინების წესებს.

საეკლესიო სასიათის სამართლის ძეგლები ძირითადად მიიღებოდა საეკლესიო ხელისუფალთა მიერ და აწესრიგებდნენ ეკლესიის საკითხებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მაგალითად, მცირესჯულის კანონი, რუის-ურბნისის ძეგლისწერა. ამ საერთო ბოგადეროენული სამართლის წყაროებიდან არის გამონაკლისები, რომლებიც თავიანთი შინაარსით შეიძლება მივაკუთნოთ, როგორც საერო, ისე საეკლესიო შინაარსის ძეგლებს. მართალია, რუის -ურბნისის ძეგლისწერა საეკლესიო კრების მიერ იყო დადგენილი, მაგრამ კრება მოიწვია და მას ხელმძღვანელობდა მეფე. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კრების სამართალი არ არის წმინდა საეკლესიო ხასიათის და იგი შეიცავს საერო სამართლისათვის დამახასიათებელ ნიმებს. ჯერ ერთი, იგი საერო ხელისუფალთა ნების გამოვლინებაც იყო (ვინაიდან კრებას მეფესთან ერთად ესწრებოდა საერო პირებიც) და მეორე, შინაარსობრივად ძეგლისწერა შეესებოდა არამხოლოდ საეკლესიო, არამედ სამოქალაქო საკითხებსაც. მაგალითად, ქორწინებისა და განქორწინების წესები. იგიეე შეიძლება ითქვას „კათალიკოსთა სამართალზე." მართალია, სამართლის წიგნი ეპისკოპოსთა

მიერ იყო დადგენილი; მაგრამ იქ არსებულ სასჯელთა უმეტესობა გათვალისწინებული იყო იმ დამნაშავეებისათვის, ვინც ჩაიდენდნენ ადამიანით ვაჭრობას, კაცის კელას და სხვა.

საერო სამართლის ძეგლები (წყაროები) თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად. ესენია: ა) სახელმწიფო სამართლებრივი და ბ) სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი ძეგლები.

სახელმწიფო სამართლებრივი ძეგლებიდან ჩვენამდე მოღწეულია „ხელმწიფის კარის გარიგება" (XIV საუკუნე), „წესი და განგება შეფეთ კურთხეისა." (XIV საუკუნე) და „დასტურლამალი" (XVIII საუკუნე). ამ ძეგლებში ძირითადად საუბარია ხელმწიფის ხელისუფლებაზე, მმართველობის ფორმებზე, ხელისუფლების ორგანიზაციაზე და არ შეიცავენ ცნობებს სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საკითხებზე. ფეოდალიზმის დროს სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით სახელმწიფო სამართალმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა სამართლის სისტემაში.

მთელი ფეოდალიზმის არსებობის ეპოქაში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმები ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული. ამის დასტურია ბაგრატ კურაპალატის სამართალი, ბექა-აღბუღასა და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნები. მაგალითად, გიორგის ძეგლისდებაში 46 მუხლიდან 5 ეთმობა სამოქალაქო სამართლის საკითხებს, ხოლო დანარჩენი 41 მუხლი დანაშაულებსა და სასჯელებს. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლად ჩვენ გვეელინება საკუთრივ ეახტანგის სამართალი და მისი კოდიფიკაცია.

საეკლესიო სამართალის ძეგლები შეიძლება დაიყოს პირობითად ორ დიდ ჯგუფად: ა) მსოფლიო და ბ) ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები. ადგილობრივი კრების დადგენილებაა საქართველოში რუის-ურბნისის ძეგლისწერა, ხოლო მსოფლიო სამართლებრივ კანონიკას განეკუთვნება მცირე და დიდი სჯული კანონები.

საეკლესიო სამართლის წყაროებიდან აღსანიშნაია ასევე საკუთრივ მღვდელმთავართა მიერ მიღებული ეპისტოლენი, გუჯრები და სიგელები, რომელთაც წყაროს მნიშვნელობა აქვს საეკლესიო სამართალში.

შესაძლებელია საეკლესიო სამართალს გაემიჯნოს სამონასტრო სამართლის წყაროები. სამონასტრო სამართლის უძველეს წყაროდ ითვლება პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, რომლის ქართული ხელნაწერი მეოცე საუკუნეში იქნა აღმოჩენილი. ტიპიკონი[1] გულისხობს მონასტრის წესდებას ან დებულებას.

საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის პირობებში ერთიანი სამართლებრივი ძეგლები მოქმედებდა, ხოლო დაქუცმაცებულობის დროს კი პარტიკულარული ხასიათის კანონები აწესრიგებდნენ ამა თუ იმ ურთიერთობებს. ამისდა მიხედვით შეიძლება სამართლის წყაროები დავყოთ ა) ზოგადეროენული ხასიათის და ბ) პარტიკულარულო ხასიათის ძეგლებად. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართალი, რომელიც XI საუკუნის ძეგლია და მესულია ბექა-აღბუღას კოდიფიკაციაში, ზოგადეროენული ხასიათის სამართლებრივი ძეგლია. ამ დროს საქართველო იყო მთლიანი პოლიტიკური ერთეული და აქ უდავოდ ერთიანი სამართლებრივი კანონები იმოქმედებდნენ. ჩვენამდე მოღწეული უძველესი სამართლებრივი ძეგლებიდან პარტიკულარული, ანუ კუთხური უფრო მეტია, ვიდრე ზოგადეროენული. ბექა-აღბუღას სამართალის იურისდიქცია ვრცელდებოდა სამცხე - საათაბაგოში, კათალიკოსთა სამართალი მოქმედებდა დასავლეთ საქართველოში. თუმცა იყო პერიოდები, როდესაც საქართველო ერთიან პოლიტიკურ სხეულს წარმოადგენდა, მაგრამ ამა თუ იმ კუთხეში დამოუკიდებელი კანონები ვრცელდებოდა. მაგალითად შეიძლება დასახელდეს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება" მთიულეთისათვის.

ქართული სამართლის ძეგლები ნორმატიულობის თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს ა) საკანონმდებლო, ბ) არასაკანონმდებლო და გ) პროცესუალური სამართლის ძეგლებად.

---

[1] ამის შესახებ იხილეთ აკაკი შანიძის "ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი" ძველი ქართული ენის ძეგლები, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ. 1971 წელი.

საკანონმდებლო ძეგლი ჩვენამდე მოღწეულია XI საუკუნიდან და ეს არის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი. ასევე ბექა აღბუღასა და გიორგი ბრწყინვალის სამართალი, ვახტანგ მეექვსის კოდიფიკაცია. საეკლესიო სამართლიდან ნორმატიული ხასიათის ძეგლებად შეიძლება. ჩაითვალოს რუის -ურბნისის საეკლესიო ძეგლისწერა და კათალიკოსთა სამართალი.

არანორმატიული, არასაკანონმდებლო ძეგლები არ შეიცავენ ნორმებს და ძირითადად წარმოადგენენ ინდივიდუალური ხასიათის აქტებს. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი, მიუხედავად ამისა იგი ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს.

პროცესუალური ხასიათის უძველეს ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუ არ ჩავთვლით XI საუკუნის ბაგრატ მეოთხის ოპიზის სიგელს, რომელიც სასამართლო სხდომის ჩანაწერს წარმოადგენს. ქართული სამართლის ძეგლები მათი შინაგანი აგებულების მიხედვით შეიძლება დაეყოთ ა) კოდიფიცირებულ და ბ) არაკოდიფიცირებულ ძეგლებად.

კოდიფიცირებული ძეგლის მაგალითია ბექა-აღბუღას სამართალი, რომელიც სამართლის ოთხ ნაწილს შეიცავს: ა) ბექას სამართალი; ბ) აღბუღას სამართალი; გ) ბაგრატ კურაპალატის სამართალი და დ) კანონიკური სამართლის ფრაგმენტი. კოდიფიცირებული ძეგლის ნიმუშია, ასევე, დასტურლამალი და ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებული, რომელშიც სხვადასხვა დროს დადგენილი კანონები არის სისტემურად მოცემული.

არაკოდიფიცირებული ძეგლი პირითადად თავებსა და მუხლებს აერთიანებს და ფორმის მხრივ მთლიანობით გამოირჩევა. ასეთი აქტია, გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება, კათალიკოსთა სამართალი და სხვა.

სამართლის იგორიის მეცნიერებაში მიჯნავენ ა) იურიდიულ და ბ) არაიურიდიულ წყაროებს. იურიდიული (პირდაპირი) წყაროო ძირითადი, პირველხარისხოვანია სამართლის ისტორიაში, რომელიც უშუალოდ ეხება სამართლის საკითხებს. მაგალითად კათალიკოსთა სამართალი.

არაიურიდიული წყაროები შეიძლება იყოს ისტორიული ან ლიტერატურული ნაწარმოები, არქეოლოგიური აღმოჩენები და სხვა. მოთა რუსთაველის ეეუხისტყაოსანი, მართალია, არ არის იურიდიული აქტი, თუმცა საინტერესო ცნობებს შეიცავს შუასაუკუნეების საქართველოს სახელმწიოსა და სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებზე.

5) სასწავლო კურსის პერიოდიზაცია

სასწავლო კურსის პერიოდიზაცია. ქართული .სამართლის ისტორიის მკვლევარები პრობლემებს პერიოდების მიხედეით იკვლევენ. ქართულ სახელმწიფოსა და სამართალს განვითარების მრავალათასწლოვანი ისტორია გააჩნია, მესაბამისად, მისი, კვლევა იწყება უძველესი პერიოდიდან. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას სტუდენტები შეისწვალიან შემდეგი პერიოდების მიხედეით: ა) სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობიდან ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვალდე. ეს მოიცავს ძე. წ. აღ - ის I ათასწლეუსა და ახ. წ. IV საუკუნეს. ამ .დროის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტების შესახებ ჩვენ ქართულ ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ძირითადად უცხოური წყაროები გეაწედიან ცნობებს. დროის ეს მონაკეეთი საქართველოში აღინიშნება მონათმფლობელური წესწყობილების არსებობით. ამ დროის სამართლებრიე ძეგლს, სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწეეია; ბ)ადრეფეოდალური სახელმწიფო და სამართალი. ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვა საქართველოში იწყება IV-V საუკუნეებში. ეს პროცესი ემთხვეევა სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებას. ადრეფეოდალიზმის პერიოდის სამართალგანვითარების პროცესებზე და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ ინფორმაციას გეაწედიან არაპირდაპირი, არაიურიდიული წყაროები. განსაკუთრებით, აღსანიშნაეია შუშანიკის წამება, აბოს წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოერება და სხვა. საქართველოში ასეთი განვითარებული სამწერლობო ცხოერების კეალობაშე სამართლის წიგნების შედგენასაც, ექნებოდა უთუოდ ადგილი, რაც საქართველოს ისტორიის ბედუკუღმართობის გამო ჩვენამდე არ მოღწეულა. გ) განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი. XI-XV საუკუნეებში საქართველოში ვითარდება ფეოდალიზმი. საუძველი ეყრება ახალ აზრთაწყობას ერთიანი სახელმწიფოს შესახებ, რაც პრაქტიკულად დაგეირგვინდა შეფეთა მიერ განხორციელებულ რეფორმებში. განვითარებული ფეოდალიზმის სანიმუშო სამართლებრივ ძეგლებს წარმოადგენდნენ ბაგრატ კურაპალატის სამართალი, ხელმწიფის კარის გარიგება, გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება და სხვა, რომლებიც უშუალო ცნობებს გეაწედიან ერთიანი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიე წესწყობილებაზე და სამართალგანვითარების საკითხებზე. დ) გეიანფეოდალიზმის პერიოდის სახელმწიფო და სამართალი. ამ პერიოდის ქართული სამართლებრიეი აზროენების გვირეენის წარმოადგენს ვახტანგ მეექვსის კოდიფიკაცია, ბაგრატიონეების სამართალი. ეს არის რუსული მმართველობის წინაპერიოდის სამართლებრიეი სისტემები. ე) სახელმწიფო და სამართალი რუსული მმართველობის დროს. XIX საუკუნეში საქართველოში მმართველობის სულ სხვა პრინციპები დამკეიდრდა. შესაბამისად, რუსულმა პოლიტიკამ ახალი სამართალი დაამკეიდრა, რაც მიუღებელი იყო

ბოგადად ქართული ცნობიერებისათვის. თუმცა იყო პერიოდი, როდესაც ვახტანგ მეექვსის კანონები არა თუ საქართველოში, არამედ რუსეთის ზოგიერთ ოლქებშიც მოქმედებდნენ და აწესრიგებდნენ აღმოსავლთა ცხოვრებას. ე) სახელმწიფო და სამართალი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. 1918-1921 წლებში საქართველოში ფართოდ გაიშალა სამართალშემოქმედება და კანონმდებლობითი საქმიანობა, რომლის შედეგი იყო საქართველოს პარლამენტის (ეროვნული საბჭოს) და საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები. სტუდენტები გაეცნობიან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციას და პირველ კონსტიტუციას. ეს პერიოდი, რასაკვირველია, ასახავს საქართველოს ახალი ისტორიის საკითხებს, თუმცა ქართული სამართლის ისტორიისათვის აქვთ დიდი მნიშვნელობა იქიდან გამომდინარე, რომ ისინი წარმოადგენენ ამ ისტორიის კუთვნილებას.

ნ) მეთოდოლოგიური მიდგომები

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების მესწაულა წამოუდგენელია იმ ხერხებისა და საშუალებების გარეშე რომელსაც მეთოდებს უწოდებენ. სამართლის ისტორია მეთოდების იმ ფორმებს იყენებს, რაც დამახასიათებელია, როგორც იურიდიული, ისე ისტორიული მეცნიერებისათვის. ხშირად გამოიყენება პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის, ქრონოლოგიური, ისტორიზმის, სისტემური, პერმენევტიკული მეთოდები. სამართლის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის შედარებითი ანალიზის მეთოდს, რაც ფართოდ გამოიყენება ბოგადად თეორიულ იურისპრუდენციაში. შედარების მეთოდი თავის მხრივ გულისხმობს ა) შედარებით-ისტორიულ და ბ) შედარებით სამართლებრივ მეთოდს. შედარებით-ისტორიული მეთოდი სამართლის ისტორიის მეთოდია, ხოლო შედარებით სამართლებრივი მეთოდი თანამედროვე სამართლებრივი სისტემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე იძლევა მეცნიერულ ღირებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებს იურიდიული ინსტიტუტების თავისებურებებზე და განმასხვავებელ ნიშნებზე.

მეცნიერული კვლევის შედარებითი ისტორიული მეთოდი სამართლის ისტორიის მიერ გამოყენება სხვადასხვა მიმართულებით და ემსახურება სამართლის ისტორიული წარსულის მესწაულას. ეს მიმართულებებია:

ა) სამართლის ინსტიტუტების შედარებითი კვლევა სხვა ხალხების სამართლის ინსტიტუტებთან. მაგალითად, ქართული სამართლის ისტორიიდან სასჯელის კონკრეტული ფორმა შეიძლება შევადაროთ ფეოდალური გერმანიის, საფრანგეთის ან რომელიმე მუსლიმანური სახელმწიფოს სასჯელთა სისტემას. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა გვეხმარება დავადგინოთ ბოგიერთი უცხოური იურიდიული ტერმინის წარმოშობის მიზეზები ანუ მეცნიერულად ვარკვეეთ თუ რომელი ტერმინია ქართული და რომელი უცხოური, თუ სამართლის რომელი ინსტიტუტი არის ქართული ან არაქართული წარმომაელობის. ივანე ჯავახიშვილმა ამ მეთოდის გამოყენებით დაადგინა, რომ ძველ ქართულ იურიდიულ ძეგლებში გამოყენებული ბოგიერთი ტერმინი და სამართლის ინსტიტუტი შემოსული იყო უცხო ქვეყნის სამართლიდან.

ბ) სამართლის ინსტიტუტების შედარებითი კვლევა კონკრეტული ეპოქის მიხედვით. ხშირ შემთხვევაში მკვლევარს, უხდება ერთმანეთს შეადაროს კონკრეტული პერიოდის სამართლის ნორმები და ინსტიტუტები, მაგალითად, განვითარებული ფეოდალიზმის ქორწინების წესები გვიანფეოდალიზმის პერიოდის ქორწინების წესებთან. ამ გზით ჩვენ ვარკვეეთ თუ რომელმა ინსტიტუტმა განიცადა შემდგომში ეელუცია და რომელმა შეწყვიტა არსებობა.

გ) სამართლის ინსტიტუტების შედარებითი კვლევა ჩვეულებითი სამართლის შესაბამის ინსტიტუტებთან. ქართული სამართლის ისტორიის ბოგიერთი მკვლევარი ქართული სამართლის ძეგლებში მოცემულ სამართლებრივ ინსტიტუტებს შეადარებს ჩვეულებით სამართალში არსებულ მსგავს ინსტიტუტებთან. ამ მიმართულებით თავის დროზე მუშაობდნენ ისიდორე დოლიძე, მიხეილ კვაჭანტირაძე და სხვები. ეს მეთოდი გვეხმარება დავადგინოთ, თუ რომელმა ინსტიტუტმა ჰპოვა ასახეა ან რომელმა ჩვეულებამ განიცადა ცვლილება პოზიტიურ კანონმდებლობაში.


დ) სამართლის ინსტიტუტების შედარებითი კვლევა ისტორიულად არსებულ და თანამედროვე სამართლებრივ ინსტიტუტებთან. ამ კავშირების ძიების გარეშე, როგორც აღინიშნა, არ არსებობს სრულყოფილი ცოდნა თანამედროვე სამართალზე. საკითხისადმი ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს დადგინდეს თუ რომელი ინსტიტუტი გახდა წარმაეალი და რომელმა შეინარჩუნა დღემდე არსებობა.

ე) სამართლის ინსტიტუტების შედარებითი კვლევა კუთხეების მიხედვით არსებულ სამართლებრივ ინსტიტუტებთან. მაგალითად, სამცხე-საათაბაგოში არსებული ინსტიტუტების შედარება მთიულეთში არსებულ იურიდიულ ნორმებთან შესაბამისად ბექა-აღბუღასა და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნების მიხედვით. კვლევის ამ ხერხით ვარკვეეთ იურიდიული ინსტიტუტების თავისებურებებს.

7) ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერება

ა) ნიკო ურბნელი (ხიმანიშვილი). ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერება ჩამოყალიბებასა და განვითარებას იწყებს XIX საუკუნეში. ქართული სამართლის ძეგლების კვლევა - ძიება ნიკო ურბნელმა დაიწყო. მისი მეცნიერული გზა და მოღვაწეობა უკავშირდება ქართული სამართლის ისტორიას. ჯერ კიდევ, საბჭოთა ეპოქაში მიუთითებდნენ, რომ ურბნელის იურიდიულ ნაშრომებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის. მან XIX-XX საუკუნეების გზაგასაყარზე რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი და პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა სამართლის ისტორიაში. ეს არის „ათაბაგი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი" და „ძეგლის დება გიორგი ბრწყინვალისა". ივანე ჯავახიშვილმა თავის აღრინდელ ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება" ნიკო ურბნელის ნაშრომს ხაზგასმით უწოდა „საუცხოო თხზულებები ქართული კანონმდებლობის ისტორიის შესახებ. ხოლო „ქართული სამართლის ისტორიის" პირველ წიგნში აღნიშნაღა, რომ ნიკო ურბნელი „ქართული სამართლის ისტორიის ერთადერთი მკვლევარი" რომელმაც „ქართულ მამინდელ ღარიბ საისტორიო მწერლობაში მანამდე ხელუხებელი, სრულებით ახალი ასპარეზის მესწაელით ძვირფასი წელილი შეაქონდა". ურბნელის მოღვაწეობას შემდეგნაირად აფასებდა პროფესორი ივანე სურგულაძე: „...ის პირველი ქართველი იურისტი იყო, რომელმაც სერიოზულად მოკიდება ხელი ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას და დაიწყო მთელი რიგი საკითხები, როგორც სახელმწიფოებრივი წყობილების, ისე სხვადასხვა დარგიდან. ამ მხრივ მან კვლევა-ძიების მთელი პროგრამა დაუსახა მომავალ თაობას". ნიკო ურბნელის მოღვაწეობაზე მსგავსი მოსაზრება განაცითარა პროფესორმა ისიდორე დოლიძემ.


ნიკო ურბნელს ეკუთვნის შემდეგი შრომები:



ნიკო ურბნელი

- უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი," 1882 წელი, XI-XII, 1883 წელი, II;
- ძველი ქართული ოჯახი, "დროება," 1885 წელი, 2,3,5,9,6,19,2, 193;
- ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა (ძეგლისწერა), „იერია", 1888 წელი, 38, 46, 47, 270, 271;
- ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალისა, „იერია," 1889 წელი, 261, 264, 266, 270, 1890 წელი, 27, 4.4;
- ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, „იერია," „1889 წელი, 201, 202, 204, 205, 206, 207, 212; 1871 წელი, 18, 23, 43, 117, 158, 174; 1892 წელი, 42, 47, 50, 56, 58, 62, 69;
- ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან - სამართალი კათალიკოზისა, „იერია," 1889 წელი, 3;
- ათაბაგი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, თბ; 1890 წელი.

ამ კვლევებით იწყება ქართული სამართლის ისტორიის აკადემიური მეცნიერების ევოლუცია. ნიკო ურბნელის შემდეგ, ვინც ქართული სამართლის ისტორიას მოუპოვა დიდი პოპულარობა, იყო ივანე ჯავახიშვილი.



ივანე ჯავახიშვილი

ბ) ივანე ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების, როგორც ქართველოლოგიის, სათავეებთან დგას ივანე ჯავახიშვილი. 1928-1929 წლებში მან სამ წიგნად გამოსცა „ქართული სამართლის ისტორია," სადაც მთელი სიმუსტით და დამაჯერებლობით არის განხილული სამართლის ცალკეული დარგების წარმოშობისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი. ივანე ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შედარებით ანალიზის მეთოდს და ძველი ქართული იურიდიული ტერმინების განმარტებას. ჯავახიშვილის ღვაწლი სათანადოდაა დაფასებული შემდგომი თაობის იურისტ-მეცნიერების ნაშრომებში.[3] ივანე ჯავახიშვილმა თავი მოუყარა მდიდარ იურიდიულ მასალას და ამ დოკუმენტების კრიტიკული ანალიზისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მოგვცა ქართული სამართლის ისტორიის

[2] ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომი VI, გვ. 6;

[3] ივანე სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952 წ. გვ. 17

[4] ისიდორე დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953 წ. გვ. 6;

[5] ისიდორე დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ. 1953 წ. გვ. 7. ალექსანდრე ეაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წიგნი III, 1963 წ. გვ. 15. ეახტანგ აბაშმაძე, ლექციები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, 1993 წელი. გვ3;




უქტომე თაყაიშვილი

მეცნიერების სისტემა. თბილისის უნივერსიტეტში ქართული სამართლის ისტორია, როგორც სასწავლო დისციპლინა, ივანე ჯავახიშვილმა დაამკვიდრა. იგი მის მიერ დაუღალავი მეცნიერული შრომით

დაფუძნებულ კურსს სტუდენტებს თავად უკითხავდა. მან შეაყვარა თაობებს ქართული სამართლის ისტორია, უნერგავდა სტუდენტებს ქართული სამართლებრივი კულტურის მნიშვნელობის გაცნობიერებას.

სწორედ ეს არის ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ქართული სამართლისა და ზოგადად ქართული კულტურის წინაშე.

ბ) უქტომე თაყაიშვილი. ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხები შეისწავლა და განაზოგადა თავის შრომებში უქტომე თაყაიშვილმა. მას საინტერესო მოსაზრებები ქონდა ძირითადად საქართველოს სახელმწიფოებრივი წესწყობილების საკითხებზე. უქტომე თაყაიშვილი რომ არა, დღეს ქართულ იურიდიულ მეცნიერებას არ ექნებოდა ისეთი მნიშველოვანი კულტურული ძეგლი, როგორიცაა XIV საუკუნის „ხელმწიფის კარის გარიგება". მეცნიერმა ძეგლი აღმოაჩინა ქუთაისში, ერთ-ერთ ოჯახში, ძეგლი ხელნაწერის სახით. ეს, მისი აზრით, იყო ქართული ისტორიოგრაფიის გეიმი. სამართლის წიგნი მან დაწერილებით შეისწავლა და გამოსცა კიღევაც.



ივანე სურგულაძე

დ) ივანე სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიკოსი, პროფესორი ივანე სურგულაძე ღირსეულად დგას ეროვნული იურიდიული მეცნიერების სათაოვეებთან. იგი გეელინება ახალი სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინის - ქართული სამართლებრივი მოძღვრებების ისტორიის მესაძირკველედ. ყოველი ქართველი იურისტი-სტუდენტი ვალდებულია იცოდეს ივანე სურგულაძის სახელი და ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მას ქართული მეცნიერების წინაშე.

ივანე სურგულაძემ ღირსეულად გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის აკადემიური გზა ქართული სამართლის ისტორიაში. ივანე სურგულაძის ნაშრომებში ძირითადად განხილულია გეიანფეოდალური პერიოდის სახელმწიფოსა და სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები. მან უმთაერესად სახელმწიფო სამართლის ისტორია წარმოაჩინა[6]. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს იმ პერიოდს, რომელიც ქართული ისტორიული სამართლის მეცნიერების მიერ არ იყო მესწაელილი[7].



ალექსანდრე ვაჩეიშვილი

მას დიდი წელილი მიუძღვის ქართული სამართლის იურიდიული წყაროების შესწაელის საქმეში. ბეერ ძეგლს ახლებური მეცნიერული ინტერპრეტაცია მისცა.

გ) ალექსანდრე ვაჩეიშვილი. ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების განვითარებაში ფასდაუდებელი წელილი შეიტანა პროფესორმა ალექსანდრე – ვაჩეიშვილმა. მას სამართლის მეცნიერების მრავალ დარგში ეთქმოდა სიტყვა. იკელევდა სამართლის თეორიას, სამართლის ფილოსოფიას, ქართულ ჩეეულებით სამართალს. ლექციებს კითხულობდა სოციოლოგიაში, მატერიალურ და პროცესუალურ სისხლის სამართალში. მის კალამს ეკუთვნის ბეერი საინტერესო მონოგრაფია[8]. კელევისას უმთაერსად იყენებდა შედარებითი ანალიზის მეთოდს. ვაჩეიშვილმა მოგეცა პირეელად შედარებითი მეთოდის განმარგება სამართლის თეორიაში. იგი მოუთითებდა: „შედარებით-ისტორიული მეთოდის მიზამია იურიდიული ინსტიგუტების მესწაელა და ამ მესწაელის სამუალებით იურიდიული მოელენების ერთგეარობის გამორკეეა სხვადასხვა ხალხების ცხოერებაში. ამ მიმართულების მეთოდოლოგია წარმოადგენს ორი მეთოდის სინთეზს: შედარების და ისტორიულის. ერთის მხრივ ის მეისწაელის განსაზღერული ინსტიგუტის ისტორიას, ე. ი. მის

---

[6] იხ. ივე სურგულაძის ნაშრომები: „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათეის" (1952 წ); „იოანე ბაგრატიონის სჯულდება" (1957); „ნარკეეები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან" (1-2 ტ., 1963 წ. 1965 წ.); „ქართული სამართლის ძეგლები", „ქართული სამართლის წყაროები" (2002 წ); „სასამართლო ორგანიზაცია გეიანფეოდალურ საქართველოში" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1952 წ., ტ. 47),, „სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში" (საქმეცაკ.);

[7] ბექა ქანთარია, შეხეედრები გერმანიაში, 2004 წ. გე.126.

[8] იხ. „სასჯელი და სოციალური დაცეის ღონისძებანი" (1960 წ); „ნარკეეები ქართული სამართლის ისტორიიდან" (1-3 ტ. 1946-1963 წ) და სხვა;

განეითარებას, მეორეს მხრივ, იკლევეს ამ ინსტიტუტს სხვადასხვა ხალხების ცხოვრებაში სხვადასხვა კულტურული საფუძვლებ. ცხადია, რომ ასეთი კელევა-ძიება სამართლის განეითარებისა იძლევა უფრო მეცნიერული და დასაბუთებულ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორია სამართლის ევოლუცია. მისი აზრით, შედარებით ისტორიული მეთოდი უფრო მრუნავს მსგავსების გამორკვევაზე, ვიდრე განსხვავების ნიშნების გამოყოფაზე[10]. უნდა ითქვას, რომ შედარებითი მეთოდი შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული არა მხოლოდ სხვადასხვა ხალხის სამართლის ინსტიტუტების, არამედ ეროვნული, ქართული იურიდიული ინსტიტუტების ერთმანეთთან შესადარებლად.

ვ) ისიდორე დოლიძე. ერთ-ერთი პიროვნება, რომლემაც თავისი შეუნებული ცხოვრება ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერულ კელევა-ძიებას შეალია, იყო პროფესორი ისიდორე დოლიძე. მან ძირფუსეანად შეისწაელა ქართული იურიდიული წყაროთმცოდნეობის მნიშნელოანი საკითხები. წლების განმაელობაში მოიძია უძველესი ქართული სამართლებრივი ძეგლები და რვა ტომად გამოსცა. საუნივერსიტეტო თუ სახელმწიფო სისტემაში მის მიერ დაკავებული მაღალი თანამდებობების მიუხედავად, მეცნიერი იცლიდა კელევა-ძიებისათვის. მან სიღრმისეულად წარმოაჩინა ქართეელი ერის სამართლებრივი კულტურული ძიწეები. იგი იყო პირველი ქართეელი იურისტი, მეცნიერი, რომელიც საქართეელოს მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიკოსად აირჩია. ამ აქტით სახელმწიფომ ღირსეულად დააფასა მკელეარის უანგარო ღაწლი ქართული მეცნიერების წინაშე.



ისიდორე დოლიძე

ზ) გიორგი ნადარეიშეილი. ქართული სამართლის ისტორიის მკელეარი ყოეელთვის ირჩეეს კელევა-ძიების ერთ კონკრეტულ სფეროს. მოიძიებს ხოლმე არსებულ ლიტერატურას, შეისწაელის მათ და აკეთებს მეცნიერულ დასკენებს. სამართლის ისტორიაში გიორგი ნადარეიშეილის კელეეის ინტერესი იყო უმთაერესად საოჯახო-საქორწინო სამართალი. მას შრომები ქონდა რომის სამართალზეც. წლების განმაელობაში ქართული სამართლის ისტორიის კურსს უკითხაედა სტუდენტებს, მისმა ნაშრომებმა[11] პოპულარობა მოუტანა ეროვნული სამართლის ისტორიას.



გიორგი ნადარეიშეილი

თ) ქართული სამართლის ისტორიის სხვა ქართეელი მკელეარები. ქართული სამართლის ისტორია ყოეელთვის იყო მკელეართა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. სამართლის ისტორიის პრობლემებს იკელეედნენ პროფესიით არაიურისტი მეცნიერები. მართალია ბეერ მათგანს სპეციალური შრომა არ მიუძღენია აღნიშნეი საკითხებისადმი, მაგრამ თაეიანთი შეხედულებები დაფიქსირებულია სხვადასხვა დროს მათ მიერ გამოქეეყნებულ მონოგრაფიებში. განსაკუთრებით აღნიშენის ღირსია აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, პაელე ინგოროყეა, შოთა მესხია, თედო ჟორდანია, გიორგი წერეთელი, თედო სახოკია, სარგის კაკაბაძე და სხეები.



მიხეილ ქუთელა

ბოგიერთ ისტორიკოს ქართული სამართლის ძეგლები დაბალი დონის მაჩეენებლად მიაჩნდა. მაგალითად სოსელიას. მან ამის შესახებ, ჯერ კიდეე, 1956 წელს გამოაქეეყნა სტატია (Вопросы Истории, 10) წერილს გამოეხმაურა პროფესორი იეანე სურგულაძე[12]. მან არგუმენტირებულად დაგმო სოსელიას მოსაზრებები ძეელი ქართული სამართლის საკითხებზე.

---

[9] ალექსანდრე ეანეიშეილი, სამართლის ზოგადი თეორია, 1926 წ. გე. 110-111;

[10] იქეე, გე. 113;

[11] იხ.გიორგი ნადარეიშეილის შრომები: „ნარკეეები სამართლის ისტორიიდან“ (1986 წ); „ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“ (1989 წ); „სახელმწიფო სამართალი და მორალური ნორმები „ეეფხისტყაოსანის“ მიხედეით, (2002 წ); „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (ლექციების კურსი, 2002 წ.); „ფიცი, როგორც მტკიცებულება“ (1962 წ.),ქართული სამართლებრიეი კულტურა XI-XII საუკუნის საქართეელოში“ (1958 წ.); „ქართული სამართლის ისტორისს ნარკეეები“ (1971 წ); „ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან“ (1965 წ); „ძეელი ქართული საოჯახო სამართალი (1996 წ); რომის სამოქალაქო სამართალი“ (2005 წ)

[12] `საქართეელოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისა დამახინჯების წინააღმდეგ“, ჟურნალი მნათობი“, 1957 წ., №9;

ქართული სამართლის ისტორიაში დაუეჭვარია ნიკო ბერძენიშვილის (სავაჭირო ფეოდალურ საქართველოში)[13], ვახტანგ აბაშიძის (ყუთლუ არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია)[14], ლ. ფურცელაძის (სამოქალაქო სჯულეილება, 1960 წელი, სამართალი ბაგონიშვილის დავითისა. 1964 წელი); შიხეილ კეკელიას (სასამართლო ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში[15], წინასწარი და სასამართლო გამოძიების საკითხისათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში[16], მსაჯულთა შეკრებულობის განაჩენი 1782 წლისა[17], გეიანფეოდალურ საქართველოში სასამართლოს განაჩენთა დამტკიცების წესის შესახებ[18], დიკასტერის სასამართლო ფუნქციისა და უფლებამოსილების შესახებ)[19], დავით ბაგრატიონის (საქართველოს სამართლის და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, 1959 წელი), მზია. ღუკეიშვილის (მდივანბეგის სასამართლო კომპეტენცია გეიანფეოდალურ საქართველოში, 1963 წელი[20], სასამართლო პროცესი XVII-XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, 1963 წელი[21]),” ნ. ჯორბაია-სამადაშვილის (დანამაულის მოგიეი ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით[22]) და სხვათა სახელები.



გიორგი დავითაშვილი

ქართული სამართლის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი დავითაშვილის შრომები. პროფესორი გიორგი დავითაშვილი იკვლევს ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს, ასევე მრავალი მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული ჩვეულებითი სამართლის პრობლემებზე. ვალერიან მეტრეველთან ერთად თანაავტორია სახელმძღვანელო წიგნისა “პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი.”

ი) *უცხოელი მკვლევარები.* ქართული სამართლის ისტორიისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ რუსი და ევროპელი მეცნიერები. XIX საუკუნეში რუსი მკვლევარები იკვლევდნენ ძირითადად ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხებს. საინტერესოა მარი ბროსეს, ფრანგი იერისტის დარესტის, გერმანელი პოლდაკის, ინგლისელი ალენის და სხვების შრომები. ბევრმა მათგანმა საკუთარ მშობლიურ ენაზე თარგმნა ქართული სამართლის უძველესი ძეგლები.

ქართული სამართლის ისტორიის შესახებ გარკვეული ცნობებია დაცული უცხოელი მოგზაურების ჟან შარდენისა (საქართველოში იმყოფებოდა 1672 წელს) და არქანჯელო ლამბერტის შრომებში.

უცხოელ მკვლევართა საქმიანობა მიუთითებს ქართული სამართლის, როგორც ქართველოლოგიური დისციპლინის, განსაკუთრებულობაზე მოეკადად მსოფლიო სამართლის ისტორიისათვის.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სამართლის უძველესი ძეგლები არამარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო სამართლის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ, ამ ძეგლებით ნებისმიერი ერი იამაყებდა დედამიწაზე.

---

[13] „ენკენის მოამბე“ V-VI, 1940 წ;
[14] „საბჭოთა სამართალი“, 1966 წ. 6;
[15] „საბჭოთა სამართალი“, 1961 წ. 4;
[16] „საბჭოთა სამართალი“, 1962 წ. 4;
[17] “საისტორიო მოამბე” ტ. XV, 1963 წ.
[18] „საბჭოთა სამართალი“, 1964 წ. 2;
[19] ჟურნალი „მაცნე“, 1966 წ., 2;
[20] „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. 5-6;
[21] თსუ შრომები, 1960 წ;
[22] თსუ შრომები, 1959 წ.

ლექცია II

სამართლის აღმნიშვნელი ტერმინები და ქართული სამართლის წყაროები

ივანე ჯავახიშვილი

სამართლისა და სამართლის ძეგლის აღმნიშვნელი ტერმინები

საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლების მესწაელა რომ შემდეგში უფრო გააღეიღღეს და თეით საკანი გასაგები გახდეს, სანამ ქართულად არსებული ძეგლების ჩამოთელასა და დახასიათებას შეუდგებოდეთ, ჯერ საკანონმდებლო ძეგლებისათეს მიღებული ტერმინოლოგიის გამორკეეას უნდა მივყოთ ხელი.

სამართლის აღსანიშნავად ძეელ ქართულ მწერლობაშიაც იხმარებოდა და ეხლაც არის შერჩენილი სიტყეა „კანონი“. გრიგოლ ხანძთელი რომ გეარად მამფალს შეება და საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეებში მის ჩარევას წინააღუდგა, საპასუხო სიტყეაში მოაგონა თურმე: „წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელთმოძღუართაგან განსაზღერებულსა კანონს მინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ეითარმცა... მჯულის მოძღურებასა იკადრებდაო“-ო. ამ მაგალითიდანა ჩანს, რომ აქ და მამინ კანონს მოაგღი მნიშველობა პქონდა და სამართალს ულრიდა.

მაგრამ თუ უფრო მეტად არა, მაინცდამაინც იმგეარადეე ხშირად ეს ტერმინი ქართულში სამართლის წიგნის თეითოეულ მუხლსაც ენიშნაედა. რუის-ურბნისის 1103 წ. კრების ძეგლის წერაში, მაგ., ნათქეამია: „ქმნილ იყენეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი — პირეელი ანკუირიას, რომელსაცა დაესხნეს კანონი ოცდაოთხნი, მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ოხდაათოთხეტგთაჲ... ამისა შემდგომად მეორე წმიდაჲ მსოფლიო კრებაი კოსტანტინეპოლისა ასერგასისთა წმიდათა ჰამათაჲ, რომელთა კანონნი არიან რიცხუით შეულ“. ყველა შემოყეანილ შემთხეევაში, როგორც ეს განსაკუთრებით ნათლად უკანასკნელი სიტყეებიდანა ჩანს, „კანონი“ სამართლის ძეგლის მუხლსა ჰნიშნაეს.

ასეთიეე მნიშველობა ამ სიტყეას ბერძნულშიაც პქონდა და ბერძნული დიდი სჯულის კანონის წიგნშიაც შესატყეის ადგილებში ამგეარადეე ნახმარი ეს ტერმინი. საფიქრებელია, რომ კანონს ქართულში სამართლის წიგნის მუხლის მნიშველობა პქონდა საშოგადოდ, სულერთია, საერო იყო თუ სასულიერო ის სამართლის ძეგლი, რომლითგანაც. მუხლია ამოღებული. ეს იქითგანა ჩანს, რომ რუის-ურბნისის ძეგლის წერაში ნათქეამია „კანონნი საეკლესიონი“-ო . კანონი რომ მარტო საეკლესიო სამართლის ძეგლის მუხლსა პრქმეოდა, მაშინ სიტყეა „საეკლესიონნი“ დამატებულ არ იქმნებოდა.

რაკი სამართლის ძეგლის თეითოეულ მუხლში დამნაშაეეთათეის განსაზღერული სასჯელია აღნიშნული, ამიგომ ქართულად სიტყეას „კანონი სასჯელის მნიშველობაც მიეცეა და მოგჯერ ბერძნულს „ეპიგრიმას“ სასჯელს უდრიდა ხოლმე, მაგ: მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ქართულ თარგმანში, რომელიც ეფთიმე მთაწმიდელს ეკუთვნის მ'გ მუხლში ნათქეამია: „მონაზონი უკეთუ სიძეითა დაეცეს და მონაზონებისა — ოდენ კურთხეეა აქუნდეს, სიძეისა კანონი აღასრულოს“-ო. ბერძნულ დედანში ნათქეამია „ტოჱს ტონ პორნეეუოგონ ეპიგიმიოის„. პჯპობლეფეზეგჱა. იმაეე თარგმანში მუხ. . ოჱ ნთქეამია: „რნლი მისცემენ დედათა წაპალსა, შეილის მკელელსა საშოსა მინა... კაცის კელისა კანონსა ქეეშე არიან“-ო, ხოლო ბერძნულ დედანში შეს. მწერია „და ტა ამბლოთრიღია დიდუზას ფარმაკა ტო ტუ ფონეოს ეპიტიმიო კათუპობალლომენ“. ამისდა მიხედეით ჩეენ ძეელ მწერლობაში ჰმნას „განკანონება“-ს ხშირად დასჯას მაგიერ ხმარობდნენ. „განკანონება“-ს ისეთს დასჯას ეძახდნენ, რომელიც სამართლის შესაფერისს კანონზე იყო დამყარებული. გიორგი მთაწმინდელი მოგეითხრობს, მაგ., რომ ათონის ქართეელთა მონასტერში ეფთუიმე „უკუეთუ ვინმე არა მოეიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისასა, განკანონის ჯეროვნად ვითარცა განეწესა მამასა“-ო. შემდეგ იგიეე აეტორი გეიამბობს, რომ ეფთუიმეს „უკეთუ ტყუეილით რაჲმე მოახსენიან, მძიმედ განკანონნის და მის მიზეზისათეის მრაეალნი ძმანი მონასტრისაგან გაასხნა“-ო. ხოლო როცა იგი ეკლესიაში წირეის დროს მძინარე მონაზონს შეამჩნეედა, აფრთხილებდა თურმე: „აქა ნუ დაიძინებ, თუ არა მძიმედ გაგკანონებს“-ო.

მაგრამ „კანონი“ მარტო სასამართლო წიგნის ერთერთს მუხლს-კი არა ნიშნაედა, არამედ თეით ამ კანონების კრებულს, თეით სასამართლო წიგნსა, ან ძეგლსაც, სადაც კანონები მოიპოეება, მაგალითად:

იოანე მმარხეელის სამართლის წიგნს ქართულად პქეიან „რჩეულის კანონი წმიდისა იოანე მმარხეელისა (იქვე, 29), ცნობილს საეკლესიო სასამართლო კრებულსაც „მჯულის კანონი“ ეწოდება.

ქართული „კანონი“ ბერძნულ კანონ — ისაგან არის წარმომდგარი. ბერძნულში კი ეს სიტყეა მემოხიზნულია ძეელისძეელ დროსაეე, უკეე პომიროსის წინათ, ერთ-ერთი სემიური ენითგა, სადაც იგი ლერწამსა ჰნიშნაედა, ლელის მუხლებს. ბერძნულად „კანონ“ს თაედაპირეელად ხეროს

ერთს იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტაგები მუშაობის დროს თარაზოს მაგიერ სისწორეს ეასაკებად ხმარობდნენ ხოლმე. შემდეგ საბერძნეთშიაც სამართლის წიგნებსაც „კანონს“ ეძახდნენ, იმიტომ რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითელებოდა. II საუკუნის ხახვრითიგან მოყოლებული „კანონი სარწმუნოებისა“ იმ მცნებას და წესსა ჰნიშნაედა, რომელიც ყველა მაშინდელ საქრისტიანო ეკლესიაში მიღებული იყო, ხოლო მსოფლიო კრებების შემოღების შემდგომ „კანონ-ს მსოფლიო და ადგილობრივი კრებების გადწყვეტილებას ეძახდნენ, სადაც განსაზღვრული იყო „მართალი სარწმუნოება,“ საეკლესიო წესწყობილება და ის სასჯელი, რომელიც უნდა გადახადა საძღდელოებასა და მრეელს სხვადასხვა დანამაულობისათვის სარწმუნოებისა, წესიერებისა და სინდისის წინაშე.

სხვებისავით ქართული საეკლესიო სამართალიც უმთაერესად მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობას ემყარებოდა. ამიტომ მსოფლიო ეკლესიის მიერ შემუშავებული ძეგლები საეალდებულო იყო მისთვისაც და მისი შედგენილობის ულიდეს ნაწილს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია მსოფლიო ეკლესიის სამართალის მთავარ წყაროდ საეკლესიო კრებები იყო, რომელთა დადგენილებანიც უცილობელ ჭეშმარიტებად იყო ხოლმე მიჩნეული, თუმცა არა ერთხელ მოწინააღმდეგენიც გამოსენილან.

საეკლესიო კრებები კი ორგვარი იყო. რუის-ურბნისის ძეელს წერაშიც არის ნათქვამი: „მეფემან კონსტანტინე შეკრიბ პირეელი და მსოფლიოი კრებაი ნიკეას..., რომლისა პირეელად ქმნილ იყუეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი“ ანკვირიას და ნეოკეისრისა „შემდგომ დიდის და მის მსოფლიოსა კრებისა და სხუანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი“-ო. დიდი სკულისკანონის ქართულ თარგმანში ნათქვამია; „მსოფლიოსა კრებასა და სხუათა ადგილობითთა კრებათა განწესებანი“-ო.

მსოფლიო ეკლესიას 7 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება მიაჩნდა სავალდებულოდ: პირეელი ნიკეის (325წ.), მეორე კონსტანტინეპოლის (381წ.), მესამე ეფესოს (431წ.), მეოთხე ქალკედონის (451წ.), მეხუთე კოსტანტინეპოლისა (553წ.), მეექვსე კონსტანტინეპოლისაეე (680წ.) და მეშვიდე ნიკეის (787წ.).

მაშასადამე, საეკლესიო კანონმდებლობის სათაეედ ერთის მხრით „მსოფლიოი კრებაი“, მეორეს მხრით „ადგილობითნი კრებანი“ იყო.

მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილების გარდა ძეელად ქრისტიანეთა წრეში რასაეირეელია, განსაეუთრებული პატივისცემით ეეყრობოდნენ ყეელაფერს, რაც მოციქულთაგან ნაანდერძევად თუ დაწერილად იყო მინერეული. ამიგომ არც გასაკეირეელია, რომ ისეთი ძეგლები, როგორც მოციქულთა კანონებია, მსოფლიო ეკლესიის სამართლის წიგნს, ე.წ. სჯულისკანონს შეეთვისებინა. მოციქულთა კანონებს ლათინურად Constitutiones apostolicae, ან apostolorum, ქართულად ერქვა „განწესებანი წ`თა მოციქულთანი“.

საეკლესიო სამართალმა შეითვისა აგრეთვე ზოგიერთი განთქმული მღვდელმთაერის, თუმცა კერძო, გარკეეული შემთხვეევით გამოწეეული, წერილები ანუ ეპისტოლეები, მაგრამ რომელთა მინაარსი საეკლესიო ცხოერების რომელსამე მოუწესრიგებელ მხარეს ეხებოდა და მათ აეგორთა განსაკუთრებული გაელენიანობის წყალობით საყოეელთაოდ მოწონებული იყო. ქართულად ამის გამოსახატავად მიღებული იყო ტერმინი „ეპისტოლე კანონიანი“. რუის-ურბნისის კრების ძეელისწერაში მაგ. ნათქვამია: „გრიგოლ ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკიერეელთმოქმედისა ეპისტოლე კანონიანი, დიდისა ბასილის... ეპისტოლე კანონიანი დიოდორეს მიმართ, მისსიე ეპისტოლე კანონი გრიგორეს მიმართ ხუცისა, მისსიე ეპისტოლე კანონი მის ქუეშეთთა ეპისკოპოსთა მიმართ“.

გარკეეული მისამართითა და პირისადმი კანონიან ეპისტოლებს გარდა არსებობდნენ ეპისტოლეები, რომელნიც ყეელასათეის იყო განკუთენილი წესაკითხაედ და სახელმძღვანელოდ. ქართულად ამ ცნებისათეის ორი განსხვაეებული ტერმინი მოიპოეება ძეელს მწერლობაში: ერთი მათგანი „საყოეელთაო ეპისტოლეი“ ამ ცნების აზრის გადმომცემია, ხოლო მეორე „მრგუალითმოსაელელი ეპისტოლეი“ სიტყეასიტყეითი თარგმანია. რადგან ეს ორი ტერმინი ერთისა და იგიეე ძეგლის სათაურში გეხედება, აქ უნებლიეთ აბრი იბადება, რომ სხვადასხვაობა შეიძლება მთარგმნელთა სხვადასხვაობით აიხსნებოდეს. დიდი სჯულის კანონში ნათქვამია: „ეენაი წესა პაგრიარქისა კონსტანტინეპოლელისა– „საყოეელთაო ეპისტოლეი“, „მრგუალითმოსაელელი ეპისტოლე გენნადი წისა ეპისკოპოსისა კ`ნტგინეპოლისა“. თანამედროეე სამეცნიერო იურიდიულს მწერლობაში შეიძლება ორიეე ტერმინი გამოყენებულ იქმნეს ისე კი, რომ თვითეულს მისთეის უფრო შესატყეისი მნიშენელობა მიენიჭოს.

საეკლესიო სამართლის ერთ-ერთ წყაროდ აგრეთვე მწერლობის ის დარგი იქცა, რომელიც სახელგანთქმულ მოძღეართადმი მიმართული კითხეების საპასუხოდ დაწერილ ნაწარმოებს წარმოადგენდა და თეითეულ წამოყენებულ კითხეაზე შესატყეის პასუხს შეიცაედა. ამგეარ ძეგლებს ლათინურად ეწოდებოდა „responsa canonica“. ქართულად კი „კითხა მიგებაი“.

იმას, რაც თითოეულ ერს კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოერებისა და მოქმედება-დამოკიდებულებათა უშენაეს და ჭეშმარიტ განმსაზღერელ მცნებად მიაჩნია, იმას ქართულად „სამართალი“ ჰქეიან. ეს სიტყეა „მართალი“-საგან არის წარმომდგარი, რაც თაედაპირეელად „სწორესა“ ნიშნაედა. ამისდა მიხედეით „სამართალი“-ც სისწორესა, სწორობასა აღნიშნაეს და ამ

მხრიეაც ფრანგულს droit's, რომელიც ლათინურ „directum" (=სწორეს)-ისაგან არის წარმომდგარი, და გერმანულს „Recht"-ს უდრის. უძველეს დროს „სამართალ"-საც სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ., იოანეს სახარებაში ნათქვამია: „ნუ თუალხუმით მჯით, არამედ სასჯელის სამართალი სჯეთ"-ო. გრიგოლ ხანძთელის ცხოერებაშიაც გიორგი მერჩულეს უწერია: „სამართალ არს სიტყუაი შენი", სამართალ იყო სიტყვისგებაი იგი"-ო, ესე იგი „შენი სიტყვა სწორეა, კამათი სწორე იყოო". დაჟით აღმაშენებლის ისტორიოსიც იმ აზრის გამოსათქმელად, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ყოველგვარი შეცდომა და კანონის შელახვა გაასწორა, შემდეგს წინადადებასა ხმარობს: „ყოველი ცთომილი „განმართეს"-ო.

თუ უძველეს ხანაში ტერმინი „სამართალი" სწორესა ნიშნავდა, შემდეგში მას სწორედ ნორმა აგენდა-ს მნიშვნელობა მიენიჭა. უეჭველია ამაზე უწინარესაც უნდა ქქონოდა ამ ტერმინს ასეთი განყენებული ცნების მნიშვნელობა, მაგრამ ძეგლების გამოუქვეყნებლობისა და შეუსწავლებლობის გამო ამ ყამად პირველ საკანონმდებლო ძეგლად, სადაც „სამართალს" უ.ყე სრულებით გარკვეეით ნორმა აგენდა-ს მნიშვნელობა აქეს, მხოლოდ XIVს. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის სათაური „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისაე" და სვიმონ მეფის 1590 წლის განწესება მეკობრეთმძებნელებზე შემიძლიან დაეასახელო. იქ მეფეს ნათქვამი აქეს: „ვისაც სასისხარი საქმე ქქონდეს, ჩუენს კარზედ მოვიღეს და რა რიგადაცა კარისა ჩუენისა სამართალი იყოს, ისრე გარდასწყვიტონ"-ო. ამით სვიმონ მეფეს უნდოდა ეთქვა: სისხლის სამართლის საჸიარი სახელმწიფო კანონების მიხედით უნდოდა ეთქვა: სისხლის სამართლის საჸიარი სახელმწიფო კანონების მიხედით გაღასწყვიტონო. XVII-XVIII სს-ში ეს სიტყვა უ.ყე ერთადერთი ტერმინია ამ განყენებული ცნების გამოსახატავად. მაგ., ვახტანგ VI კანონების კრებულში დასაელეთ საქართველოს XVI ს. საეკლესიო კანონმდებლის ძეგლს სათაურად აქეს „სამართალი კათოლიკოზთა", გიორგი V ბრწყინვალის ძეგლის დადებას „სამართალი მეფისა გიორგისა" ეწოდება, ათაბაგ ბექას და აღბუღას კანონებს ქვიან „სამართალი აღბუღასი", ვახტანგ VI საკანონმდებლო ძეგლსაც თავში აწერია „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგის ნაბრძანები", დასასრულ სომხურითგან და ბერძნულითგან საკანონმდებლო ძეგლებსაც ხომ „სამართალი სომხური" და „სამართალი ბერძნული" ეწოდება. თუმცა ყველა ამ ზემომოყვანილ შემთხეევაში „სამართალი" შემოკლებულ გამონათქვამს წარმოადგენს „სამართლის წიგნი"-ს მაგიერ ვახტანგ VI კრებულში სომხური კანონების თარგმანის პირველ წინადადებაში ნათქვამია კიდეც: „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა შედან გაღმოთარგმანებული"-ო, მაგრამ როგორც „სამართლის წიგნი" აგებულობითაცა და მნიშვნელობითაც გერმანულს Rechtsbuch-ს უდრის, ისევე „სამართალი" ყველა ასეთ შემთხეევაში ლათინურს jus-ს, ფრანგულს droit-სა და გერმანულს Rechts-ს ეთანასწორება.

იმავე მნიშვნელობით, რაც „სამართალსა" ქონდა, ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვა „სჯული", ანუ „მჯული"-ც იხმარებოდა. ბერძნულთაგან ნათარგმნ თქმულებებში პო ნომო-ს უდრიდა, რაც კანონს, სამართალს ნიშნავდა. ეს სიტყვა მშნა „სჯა"-სგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყეეტილის მნიშვნელობა უნდა ქქონოდა. ძველ ქართულ მწერლობაში „სჯულს", ან „მჯულს" მაინც უფრო სარწმუნოებრიეი, საეკლესიო სამართლის მნიშვნელობის ელფერი ედვა და ამით იგი ტერმინისაგან „სამართალი" განსხვაეებოდა.

ის, რასაც რომაულს სამართალში facultas agendi, გერმანულად das subjective Recht, რუსულად право в суб'ективном смысле ერქვა, ქართულად „უფლება" ეწოდებოდა (ყველგან ძველს ნაწერებში, დაბადებისა და სახარების თარგმანშიაც).

სამართალი ან ერის საზოგადოებრიეი ცხოერებით შექმნილი ჩვეულება და წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელი კრების გაჩენილია ხოლმე. უძველეს ხანაში რასაკვირველია სამართალი და ერის ზნე-ჩვეულება ერთიდაიგივე იყო, შემდეგ, როცა კაცობრიობა განეითარდა და წარმატებული მოქალაქეობრივი ცხოერება შექმნა, მაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებას დაშორდა, დაწინაურდა და კანონდებულ სამართლად გადაიქცა. რაკი იმ ხანაში, რომელიც ჩვენი კელეების საგანს შეადგენს, კანონებს საქართველოში ჩვეულებრიე მეფის მიერ მოწვეული სამღვდელოებისა, მაღალ წოდებისა და მოხელეობის წარმომადგენელთა და „საბჭოთა საქმეთა მეცნიერთა" კრება, ან სახელმწიფო დარბაზი აღგენდა ხოლმე, ამიგომ სამართალს იმ დროს „გაჩენილი" სამართალი ერქვა (ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი), ხოლო თვით მოქმედებას „განჩინებაი ეწოდებოდა, — „განჩინებაი სარწმუნოებისაი დადებულისა ი-ნეს მიერ ღ-თისმეტყუელისაი, — ანუ „განაჩენი".

კანონმდებელი კრება სასამართლო წიგნს აღგენდა ხოლმე, ეს იყო მისი ბჭობისა და მრომის ნაყოფი და ნამთი, ამის გამო ამისთანა კრების ნაღვაწსა და დადებულს „ძეელი" ეწოდებოდა ხოლმე. მაგ., ეფთვიმე მთაწმინდელი VI მსოფლიო კრების კანონების ქართული თარგმანის შესავალში ამბობს: „წეერებმა „აღწერილი იგი მართლისა სარწმუნოებისა ძეელი და საეკლესიონი იგი კანონნი წინაშე ღეთისმსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხეს"-ო . ბერძნულითგან ქართულად ნათარგმნ თხზულებებში „ძეგლისწერაი" ბერძნულ „ ექთეზისს უდრის, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედგენილი კანონებიც ხომ „ძეგლისწერა"-დ იწოდება თვით დედანში. გიორგი V ბრწყინვალის სამართლის წიგნსაც „ძეგლის დადება" ჰქვიან და მეფის

სიტყვათაგანა ჩანს, რომ სამართალი შეიძლებოდა გაჩენილიყო „ძეკლითა, განაჩენითა და დადებითა“ (ძეკლის დადება, შესაკალი). კანონმდებელი კრების განაჩენი, რომელიც კრების „ძეკლად“ უნდა ჩათვლილიყო, სამეფოს სამართლად მიეცემოდა, „დაედებოდა“, ის „დადებული“ იყო. გიორგი ბრწყინვალეს მიერ მოწვეული კანონმდებელი კრების შედეგნილ სასამართლო წიგნს ამიტომ ჰქვიან „დადებულის“ მაგიერადაც „დასხმული“ იხმარებოდა, მაგ. ამბობდნენ „კანონნი დასხმულნი“.

როგორც ტერმინი „სამართალი“-ს განმარტებისათვის მოყვანილი მაგალითებითგანა ჩანს, საკანონმდებლო ძეკლს XIV-XVII სს-ში „სამართლის წიგნი“-ც ეწოდებოდა და XVII-XVIII სს-ში უფრო ხშირად სწორედ ეს ტერმინი იხმარებოდა.

განცალკევებული საკანონმდებლო ძეკლის გარდა, რასაკვირველია, ამნაირი ძეკლების კრებულიც არსებობდა ხოლმე როგორც საეკლესიო უწყებაში, ისევე სახელმწიფო სამოსამართლო დაწესებულებაში. არსენიც იყალთოელს ამის შესატყვის ტერმინად ნახმარი აქვს „შეკრებაი კანონთაი“.

ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება ავრეთვე ტერმინები „კოდიკოი“ და „დიგესტნი“ ტფ. სახ. უნივ. №9 ხელთნაწერში პირველი ამ ტერმინთაგანის მნიშვნელობის განსამარტაებად ნათქვამია: „კოდიკოი არს სახელი ჶრომაული და ეწოდების გუჯარსა განერცელებით მქონებელსა სამეფოთა რათამე პირთა და სჯულდებათასა“-ო. ეს სიტყვა ლათინურია და, როგორც „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“-ში განმარტებული მაქვს, „კოდექსი“-ი შეკერას და წიგნსა ჰნიშნაედა. ზემომოყვანილი ქართული განმარტების მიხედვით „კოდიკოი“ საკანონმდებლო ძეკლების ერცლად, ანუ მრაველად მქონებელ კრებულს წარმოადგენდა და არსებითად ეს ახსნა სწორეა. ჩვენი „კოდიკოი“ კოდექსის ნასესხებ ბერძნულ ფორმას წარმოადგენს და საფიქრებელია, გვაირად შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში ეს ტერმინი აღდგენილი უნდა იყოს კოდექსის აღსანიშნავად. „კოდიკოი“ სხვადასხვა საკანონმდებლო ძეკლების უბრალო გროვასა და შესაკრებს კი არ ეწოდებოდა, არამედ მინაარსის მხრით შეთახხმებულ კანონების კრებულს, რომელშიც სხვადასხვა-დროინდელი ძეკლების ურთიერთშორისი შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა მოსპობილია და ამ გზით მთლიანობა დამყარებული იყო.

იმავე ხელნაწერის განმარტებით „დიგესტნი კუალა ეწოდების პრომაულად წიგნსა ყოველთა მეპირაგესთა ბრძენთასა, ვითარ სოლონისა, სოკრატისა, პლატონისა, არისტოტელისა და ეგვეიტართა სამოქალაქოთა წესთა შედა განვრცელებით თქმულთა წიგნთა შემოკლებით მქონებელსა წიგნსა მრავალნაწილ [ეღს“-ო. „დიგესტი“ ლათინური სიტყვაა. იუსტინიანე კეისარმა 530წ. ქ.მ. შეაქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც გამოჩენილი რომაელი იურისტკონსულტების სამართლის შესახებ დებულებათა ამონაწერების შეთახხმებული კრებულის შედგენა დაავალა. ეს დავალება 532 წ. შესრულებულ იქნა კიდეც: კომისიამ ამგვარი კრებული შეადგინა და მას სახელად ლათინურად დიგესტა ეწოდა, ბერძნულად კი „პანდექტაი“. ქართული განმარტებაც სწორედ ამიტომ ამბობს, რომ დიგესტნი რომაულად ერქვა წიგნს, რომელიც ყველა საუკეთესო ბრძენთაგან „სამოქალაქო წესთა შედა“ ერცლად თქმულ წიგნების დებულებათა „შემოკლებით მქონებელი“ იყო, ე.ი. სხვადასხვა ერცელი ნაწარმოების მოკლე ამონაწერებს შეიცავდა. გამონათქვამი „სამოქალაქო წესნი“ აქ სამოქალაქო სამართალს კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ მოქალაქეობრივ, კულტურულ ცხოვრებას. ქართული განმარტებით დიგესტნი, ანუ პანდექტები მრავალნაწილედს წიგნს წარმოადგენს.

სამართლის წიგნის „ნაწილი“ ქართულ იურიდიულ ნათარგმნ მწერლობაში ბერძნული ტერმინის ჰო ტიგოლს-ისა და ლათინური titulos ტიტულუს-ის შესატყვისობას წარმოადგენს: დიდი სჯულისკანონის წინაღაღება ქართულად მაგ. ნათარგმნია „შეკრებაი კანონთა საეკლესიოთაი ვანყოფილი ათოთხმეტ ნაწილად“. ტიტულუსი, ან ტიგოლოსი თავდაპირველად წარწერას, შეღწერილსა ჰნიშნაედა. ეს ჩვენ წინაპრებსაც სცოდნიათ. ტფ. სახ. უნივ. №9 ხელთნაწერის განმმარტებელს მაგ. შემდეგი ცნობა მოეპოვება „ჩუეულება რომთა იყო... შეტყუებულთა ფიცართა შედა სჯულთა პირთა სხუათა მათ თქმულთა და დაჰკიდებდნენ ურაკპარაკთა შედა (მოედნებზე) ქალაქისათა, რათა არავინ იყოს უმეცარ სჯულისა, ამ ჩუეულებისა მპყრობელმან პილატე დაწერა ტიგლოსი ფიცარსა იესოსათჳს სამწილად მაუწყებელი“-ო. ხოლო „ტიგლოსნი, რომელთა ჩუენი უწოდთ ნაწილებად პირთათჳს, ნიეთნი არიან, პრომაულად ტიგლოსად წოდებულნი, ესე იგი არს პირთა რამე მქონებელნი ფიცარნი, განა განსაგებელთა გინა საქებელთა ანუ საგიობელთა“.

განმარტება მთლად მკაფიო არ არის. Titulus ჰნიშნავდა წარწერას, სათაურს წიგნისას, ან თავისას, ფიცარზე იქმნებოდა იგი გამოყვანილი, თუ სხვა რამე ნივთიერებაზე. საკანონმდებლო ძეკლების კრებულში ტიგლოსი ამ კრებულის ნაწილს აღნიშნავდა, რადგან თვითეულ ნაწილს თავისი საკუთარი სათაური ჰქონდა. ეს ტერმინი ფრანგულ იურიდიულ მწერლობაშიაც არის შესული და იქაც le titre კოდიკოის ნაწილს აღნიშნავს.

რაკი XIV ს-მე უწინარესი ქართული საერო კანონმდებლობის ძეგლები დაკარგულია, ან ჯერ აღმოჩენილი არ არის, არა ვიცით რა დანამდვილებით, იხმარებოდა თუ არა ტიგლოსი, ან ნაწილი იმდროინდელ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში. ეახტანგ VI სამართლის წიგნში კი არც ერთი

ამ ორ ტერმინთაგანი არ გეხეღება, თუმცა თვით ძეგლი მართლაც ნაწილებად არის დაყოფილი. ამ სამართლის წიგნში ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინად ნახმარია სიტყვა „კარი“ და იქ სწერია მაგ.: „კარი თეთრის გარიგებისა“, „კარი გაყრისა და ერთმანეთის დამორებისა“, „კარი ვალისა“ და სხვა.

როგორც აღნიშნული იყო უძველეს ხანაში სამართალი დამყარებული იყო მწე-ჩვეულებაზე. „ჩვეულებაი აღამიანის ისეთს ქცევას ქვიან, რომელსაც იგი უნებლიეთ მისდევს, რომელსაც იგი ჩვეულია. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს მაგალითად, რომ „ესრეთი იყო ჩვეულებაიცა მის ჟამისა წინაშძღუართა მამათაი, რამეთუ თვინიერ ღედისა ჭეშრონიაისაგან წრახვისა საქმეი არია ხელყეიან“-ო იგივე ავტორი ფიქრობს, რომ როცა ამოტ კურაპალატმა სხვა ქალი შეიყვარა, ეს ეშმაკის ბრალი იყო, იმიტომ რომ „პირველ არა აქუნდა ეგე ეითარი ჩუეულებაი“ (იბიდ, ნე.). გიორგი მთაწმინდელიც მოგვითხრობს, რომ „ესე ეითარი ჩუეულებაი აქუნდა წმინდასა მამასა ჩვენსა ეფთემეს, რამეთუ სამთა დღეთა მეიღეულისათა – ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევსა – სენაკსა თვისსა მზის დასვლასა პური და წყალი იხმარის“-ო. მაგრამ „ჩეეულებაი“ მარტო კერძო, თვითოეული აღამიანის ქცეეას კი არ ერქეა, არამედ აღამიანთა მთელი ჯგუფის, ეკაროენობის, წოდების, დასის, ან მთელი ერის ზნესა და ქცევასაც. მატიანე ქართლისაი, მაგ., ამბობს, რომ ქართლის აშნაურობამ ბაგრატ III-ის დროს ისე მაკეას მიჰყეეს ხელი „ეითარცა არს ჩეეულება ქართლისა აშნაურთა“-ო, ხოლო „ძეგლის წერის“ დამწერნი აღიარებენ, რომ „წარმომადგენლობითი“ გეორგეინის კურთხეეისა და ქორწინების წესი საქართველოში „კაცობრეისა ქცეეისა და ჩეეულებისა“ ნაყოფიაო. ამიგომაც არის, რომ ეფთემე მთაწმინდელი მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნული ღედნი კანონში სიტყვას „ეთოს“ ქართულად „ჩეეულება“-დ სთარგმნის.

სიტყვა „წესი“ სხეებზე უფრო ხშირად გეხეღება ძეელ ქართულ მწერლობაში და არც გასაკეირეელია. „წესი“ აღნიშნავს ისეთს ცნებას, რომელიც საზოგადოებრივს, სახელმწიფოსა და საეკლესიო ცხოვრებაში მუდმივ მოქმედობს. მნიშვნელობით სიტყვა „წესი“ არც სამართალს, არც მჯულს და არც კანონს არ უდრის და არ ეთანასწორება. პირიქით ძეელ მწერლობაში „წესი“ და „მჯული“ თითქმის ყოეელთვის გარკეეული, განსაკეთრებული მნიშვნელობით ხმარება და ერთიმეორის მაგიერ არ ბის ხოლმე. „წესი“ ყეელაზე უწინარესად ჩეეულებას ერქეა. გიორგი მთაწმინდელი, მაგალითად, მოგვითხრობს „წესი იყო მამისა ჩუენისაი (ეფთემესი), რომელ ტრაპეზსა შედა ყოელადეე არა უბნობენ“-ო, ან კიდეე „წესი იყო მამისა ჩუენისაი, რომელ უკეთუ დიდი რაიმე საქმე არნ, გინა სამეფო, გინა ბჭისაი, ეკლესიას დაიუბნის ძმანი“-ო. ამ ორსაეე წინადადებაი ავტორი ეფთემე მთაწმინდელის ჩეეულებებზე ლაპარაკობს და აქ სიტყვა „წესი“ გარკეეული რიგისა და წესიერების დამამყარებელ ჩეეულებას ჰნიშნავს, ისეთს ჩეეულებას, რომლის აღსრულებაც მონასტრის სხვა ბერებისათეისაც სავალდებულო იყო და გახდა, ამიტომაც არის, რომ მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნული დედნის სიტყეებს„იუდაიკოის ეთეზინ პეპომენონ“ (ებრაულ ჩეეულებათა მიხედეით) თვით ეფთემემ ქართულად გადასთარგმნა „ეს წესი ებრაული არს“. ამიგომეეა, რომ დიდი რჯულისკანონის ქართული კანონის „წესი“ ბერძნული დედნის „პე დიაგაქის“-ს უდრის. ამნაირად „წესი“ გერმანულ **nordnung**-ს ეთანასწორება.

ამნაირიეე მნიშვნელობა აქეს „წესს“ გურამ მამულის სიტყვაში, რომლითაც მან გრიგოლ ხანძთელს მიჰმართა: „უკეთუ ქეეყანისა ჩუენისა ერისკაცი ეინმე... მიიწეოს იერუსალეიმად ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა და იხილოს რაიმე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შეუნოდის და ჩუენ შორის არ იყოს“, – მეიძლება თუ არა ჩეენმიე თავისნებით შეშოიღოსო. აქ გურამს სარწმუნოების სიმბლო, ღოგმაები და კანონები-კი არა აქეს მხედეელობაში, არამედ კეთილი ჩეეულება, წესრიგი. ქრისტიანობაეც ხომ ორი უშთაერესი ნაწილისაგან შედგებოდა: თეითეულს კეთილმორწმუნეს ჰქონდა „ტეირთი მჯულისაი და წესი ქრისტეანობისაი“. ამისდაეეარად თეითეულ მართლმადიდებელს უნდა სცოდნოდა „წესი და მჯული“: მჯული სარწმუნოების აღსარებას, სიმბოლოს და საეკლესიო სამართალს, კანონებს შეიცაეღა, წესი კიდეე ცხოვრებისა და ქცეეის რიგს, საქრისტიანო და საეკლესიო ჩეეულებას. ეფთემე მთაწმინდელიც მეექვსე კრების დადგენილების ბერძნული ღედნის წინადადებას ქართულად სთარგმნის „წესი კეთილ არს ყ'ისაე რი იწყებოდეს“. ამგეარი გარკეეული ყოფა-ცხოერებისა და ქცეეის რიგი, აღწერილი იყო იგი თუ დაუწერელი მაინც წესად იწოდებოდა.

რაკი მონაზონების ყოეელღღიური ცხოერება სამუდამოდ გარკეეულ რიგზე იყო დამყარებული, დილითგან დაწყებული მეორე დილამდის მათი თეითეული მოქმედების დრო და ხასიათი წინდაწინეე განსაზღერული იყო: დილით ერთ დროს დგებოდენ, ერთ დროს ღოცულობდენ ეკლესიაში, ერთად, ერთსა და იმაეე დროს იძინებდენ ხოლმე, ამიტომ ამ გარკეეულს სამონასტრო ცხოერების რიგსაც „წესი“ ერქეა. უფრო ხშირად იგი დაწერილი ინახებოდა ხოლმე თითოეულ მონასტერში, მაგრამ მეიძლება დაუწერელიც ყოფილიყო და მხოლოდ მეპირი გადმოცემითა და ჩეეულებით სცოდნოდათ. გიორგი მთაწმინდელის მესახებ მაგალითად ნათქეამია, რომ მან ქართეელ საზოგადოებასა და სამღედელოებას „წესნი დაუსხნა წერით და უწერლად“.

სამონასტრო ცხოვრებისათვის სახელმძღვანელო და საეალღებულო დებულებას ან დამფუძნებელი აღუნდა ხოლმე, ან თვით ძმობა ერთობლივ. მაგალითად ხანძთაში თვით გრიგოლ დამაარსებელმავე „განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაი და მონასგრისაი“. დაჟით აღმაშენებელი კიღე მოგვითხრობს, რომ შიო მღვიმის მონასგრისათეის ჩემის მოძღერის რჩეით „წესსა ზედა სვიმონ-წმინდისასა დაესხენ მონასგრისა მღვიმის წესი“. ეს იყო მონასგრისათვის საეალღებულო წესდება, სადაც წეერების მიღების შესახებ, შინაურ და საეკლესიო ყოფაქცეევაზე, მონასგრისა და მისი ქონების გამეღობაზე ეწერა და თვითოეული წესდების მუხლის დარღეევისათვის გარკეეული სასჯეი იყო დაწესებული. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ იოანე მთაწმინდელმა სიკედილის წინ „უფლებაი მამას ეფთვიმეს მისცა, რათა, რომელიცა გონებაი და წესი ენებოს, იგიცა დაუდვას მონასგერსა და მას ზედა განკანონოს“-ო. როცა გრიგოლ ხანძთელმა სამონასგრო წესდების წინააღმდეგ თავის მონასგერში ორი უწეერული ჭაბუკი შემოიყვანა, ბერებმა იუცხოეს და თავიანთ სულიერ მამას უსაყვედურეს: „წესსა შენგან დამგკიცებულსა“ შენეე არღეევ, შენი საქციელი სამონასგრო წესდებას ეწინააღმდეგება, „ცარეშე წესისა არს საქმეი ესეი“-ო.

ხოლო რაკი სამღვდელოება და მონაზონები საეკლესიო წესის მიმდევარნი და მსახურნი იყუნენ, ამიგომ სასულიერო პირს ბოგჯერ „მოწესე“-ს უძახდნენ: „მოწესენი და ერისკაცნი“.

„წესი მარგო სამონასგრო-საეკლესიო წესდებას, დებულებასა და ჩეეულებას კი არ ერქვა, არამედ სამოქალაქო და სახელმწიფოსაც. მაგალითად, იმ გარკეეულს ჩეეულებებსა და რიგსა, რომელსაც ქართეელი მეფეების დარბაზობის დროს მისდეედენ და ასრულებდენ, ერქვა „წესი სახლისა სახელმწიფოსა“ და დარბაზობის წესი. დარბაზობის დროს მხოლოდ განსაზღერულს დიღებულთ მოხელეთა ჯგუფს შეეძლო მეფის წინაშე მჯდარიყო, სხეები უნდა მდგარიყვნენ. ამას გარდა ამათ მორისაც, ვისაც ჯდომა შეეძლოთ, ზოგს სასთაულის უფლებაც ჰქონდა, ზოგნი კი უსასთაულოდ უნდა მსხდარიყვნენ. ამის შესახებ გარკეეული, მტკიცე დებულება არსებობდა, რომელსაც ერქვა „წესი ჯდომისა და დგომისა“. იმ ჩეეულებებს, რომელთაც სტუმარი და მასპინძელი ერთიერთმანეთს დარბაზობის დროს მიესალმებოდნენ ხოლმე, „მოკითხვის წესი“ ერქვა. დასასრულ, იმ ჩეეულებებს, რომელთაც მიეცალებული მეფის დატირებისა და გლოეეს დროს მისდეედნენ და ასრულებდენ, „გლოეეს წესი“ ეწოდებოდა. ზოგი წესი ჩეეულებაე იყო დამყარებული, ზოგი კიდეე „მეფეთა განწესებული“ იყო. თავის დალოცვაში გრიგოლ ხანძთელმა აღნიშნა ბაგრატ კურაპალატის ღეაწლი და სთქვა „გლახაკთა ნაწილი (საქეელმოქმედო) თქეენ მიერ განწესებულ არს“-ო. ერთი სიტყვით „წესი“ საზოგადოებრიეი ცხოერებისა და დაწესებულების მართეა-გამგეობის მომაგეარებელ ჩეეულებას, რიგსა და დებულებას ერქვა და არა სასამართლო კანონს.

სიტყვა „განგება“-ს თითქმის იგიეე მნიშენელობა აქეს, რაც „წესს“. მაგ., გრიგოლ ხანძთელის ცხოერებაში საბაწიდური სამონასგრო წესი იწოდება „საბაწიდისა განგება“-დ. როცა ამ ცხოერების აეგორი ხანძთის სამონასგრო წესის აღწერას იწყებს, აღნიშნული აქეს, „განგებაი ყოეელი ეერ დაიწერა წიგნსა მას, არამედ თითო სიტყუაი ყოეელისაგან“, შემოკლებული შინაარსი წესდებისაო. გიორგი მთაწმინდელის თხზულებითაგანაცა ჩანს, რომ სამონასგრო წესი, ანუ გიბიკონი „განგება“-დაც იწოდებოდა. იგი რომაულ ეკლესიამი განთქმულ ბენედიკტეს სამონასგრო წესდებას „განგება“-ს უძახის და მოგვითხრობს, რომ ქართველების მეეობარო რომაელი ბერები ათონის მთაზე „ცხოვნდებიან კანონსა და განგებასა ზედა წმიდასა ბენეგიკტესსა“-ო.

მარგო სამონასგრო გიბიკონი-კი არა, საეპისკოპოსოს წესსა და რიგს, სარგოსი და შემოსავლის განჩინებასაც „განგება“-ს უძახენ. ისგორიკოსი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ როცა ლეონ აფხაზთა მეფემ მოქვის ეკლესია ააშენა და საეპისკოპოზო საყდრად გახადა, „განასგულა ყოეითა განგებითა“-ო.

„განგება“ საზოგადოდ გამართეას, მოწყობასა ჰნიშნაედა: როცა მაგალითად გიორგი მთაწმინდელი გეამცნობს, რამდენად მძიმე იყო ათონელი ქართველი ბერებისათეის ვენახში მუშაობა, აღნიშნაეს, რომ ახალნერგი ვენახი ჰქონდათ და ვაზებს „ყოეელთა სარითა განგებაი უნდა“-ო , სარის შეღგმა ჰჭირდებოდაო. საზოგადო, საეკლესიო, ან სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებსა და განმართეასაც „განგება“ ეწოდებოდა. მაგ., როცა გუარამ მამფალმა დაინახა, რომ ქართველ სამღვდელოებას ეწყინა და იუკადრისა მისი ჩარეგა კათალიკოზის არჩეევანის საქმეში, ფიცხლავე უკან დაიხია და დაეთმო „თქეუენგან ჯერ არს განსაგებელი განგებად“-ო. გიორგი მთაწმინდელიც მოგვითხრობს, რომ იოანე ათონელმა სამონასგრო საქმეების მართვა თავის შეილს ეფთვიმეს უანდერძა: „შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეგ განაგოს“-ო, ხოლო მამის სიცოცხლის დროსაც ეფთვიმე „განაგებდა საქმეთა მონასგრისათა, ვითარცა იკონომიაი“. სახელმწიფო მართეა-გამგეობასაც „განგება“ ერქვა. მემატიანე მოგვითხრობს, მაგ., რომ გიორგი აფხაზთა მეფემ „განაგნა და განაწყუნა ყოეელნი საქმენი კეთილნი მამულსა და სამეფოსა თეისსა“, ხოლო როცა ბაგრატ III ქართლისა და აფხაზთა მეფეთაც დასეს, იმავ მემატიანეს სიტყვით იგი „გარდამოეიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი“. მაგრამ ქართლის აზნაურებს მისი მოსეელა არაფრად მოეწონათ, „რამეთუ თეითეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“. ამისდა მიხედეით ყეელა სახელმწიფო მართეა-გამგეობის საქმეს

„განსაგებელი“ ეწოდებოდა. გიორგი მთაწმინდელი წერს, რომ როცა ბასილი და კონსტანტინე მცირეწლოვანები იყვნენ, „ყოველი განსაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა“-ო.

ამგვარად თუმცა მნიშვნელობით „განგება“ „წესს“ მიაგავს, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „წესი“ განსაკუთრებით საზოგადოებრიეი ცხოვრებისა და დაწესებულების მართვა-გამგეობის დებულებასა და რიგს ერქვა, „განგება“ კი ამას გარდა თვით მართვისა და მოწესრიგების მოქმედებასაც აღნიშნავდა.

კანონებისა და წესის შემოღებას ბევრი სხვადასხვანაირი სახელი აქვს ქართულად, მაგალითად: „დასხმა კანონთა „განწესება“, რომელიც მეექვსე მსოფლიო კრების ეფთიმეს თარგმანში „პორიძო“, „დიაგორეუო“-ს ულრის, „განსაზღერა“ და „განჩინება“.

ისიდორე დოლიძე

ქართული სამართლის წყაროები

1. ბაგრატ კურაპალატის სამართალი

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ბექა-აღბუღას კანონების რუსული გამოცემის 78-ე მუხლის შენიშვნაში მიუთითებდა, (რუსული) და აღნიშნავდ, რომ საქართველოში დაწერილი კანონები, როგორც არნიშნული მუხლის შინაარსიდან ჩანს, გიორგის კანონებამდეც არსებობდა, მაგრამ დაკარგულაო.

რაც შეეხება ბაგრატ კურპალატის სამართლის წიგნის შესავალს, რომელიც რუსულ გამოცემაში აღნიშნულია ბექა-აღბუღას სამართლის 99-ე მუხლად, დ. ბაქრაძის აზრით ამ მუხლის შინაარსი ის არის, რომ კანონები ძველი მეფეების დროსაც დაუწერიათ სასულიერო და საერო პირთა მონაწილეობით და თვით აღბუღასაც ხელთ ჰქონია ამგვარი კანონებიო. 99-176 მუხლები დ. ბაქრაძეს მიაჩნდა ბექა-აღბუღას სამართლის შემადგენელ ნაწილად. ნ. ურბნელიც, რომელმაც ბექა-აღბუღას სამართალს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, მემთაღნიშნულ მუხლებს აღბუღას სამართლის წიგნის ნაწილად თვლიდა. ეხება რა 101-ე მუხლის შინაარსს, რომლის მიხედვითაც მეფეს არ შეუძლია ეპისკოპოსის შეპყრობა და მეფე მხოლოდ ბოდიშსა და მუხვეწნას უნდა დასჯერდეს, ურბნელი დაასკვნის, რომ ეს მუხლი გამოხატავს საათაბაგოს საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულებასო. „თუ საათაბაგოში ეპისკოპოსის დასჯა მეფეს არ შეეძლო, ამის მიზეზი მეფობის დამცირება იყო და სამთაეროს დამოუკიდებლობა“.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნს პირველად ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. 1909 წელს გამოქვეყნებულ „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ ნაწილში მან აღნიშნა, რომ ბექა-აღბუღას სამართალში შემორჩენილი არის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტიო. შემდეგ ეს აბრი უფრო ვრცლად და დამაჯერებლად დაასაბუთა იმავე წიგნის მეორე გამოცემაში 1928 წელს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესავალი, რომელიც ბექა-აღბუღას სამართლის 99-ე მუხლად ითელება, სამართლის წიგნის წინამღებარე (96-ე, 97-სა და 98-ე) მუხლებს რომ შეეადაროთ, დაეინახავთ, რომ მათ შორის შინაარსობრივად არავითარი კავშირი არ არსებობს. გარდა ამისა ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, შესავალი რომ ბექასა და აღბუღას სამართლის ნაწილს არ წარმოადგენს, იქიდანაც ჩანს, რომ წინასიტყვაობაში ისინი სრულიად არ არიან ნახსენები. ეს რომ მათი კანონმდებლობის ნაწილი ყოფილიყო, ისინი მიუთითებდნენ ამის შესახებ თვით შესაელის ტექსტში, როგორც ამას აღგილი აქვს ბექასა და აღბუღას სამართლის წინასიტყვაობაში. ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესავალში ლაპარაკია ბაგრატ კურაპალატის, აღმაშენებელთა მეფეთ-მეფის შესახებ, რომლის ბრძანებით შეკრებილი უმაღლესი სამღვდელოების, დიდებული ამნაურების და ჭკვიანი კაცების მონაწილეობით შედგენილ იქნა სამართლის წიგნი. აკადემიკოსი იუანე ჯავახიშვილის აზრით ამ ნაწყვეტში მოხსენიებული ბაგრატ კურაპალატი უნდ იყოს ბაგრატ III (978-1014), რომლის შესახებ მატიანეში ნათქვალია, რომ იგი იყო „სამართლისა მართლად მოქმედი ყოველთა კაცთათვისო“. მისი აზრით ბექა-აღბუღას კანონებში შერჩენილი არის არა მარტო ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავალი, არამედ რამდენიმე სხვა მუხლიც (100, 101, 102, 103). მე-100 მუხლი განსაზღვრაცს, თუ ვინ უნდა იქნას დანიშნული მოსამართლედ. ეს მუხლი აგრძელებს შესავლის შინაარსს მართლმსაჯულებისა და მართალი სამართლის გაჩენის შესახებ. რაც შეეხება 101-ე, 102-ესა და 103-ე მუხლებს, ბექასა და აღბუღას კანონების მუხლებისაგან განსხვავებით, მასში ლაპარაკია არა პაატრონ-ათაბაგის შესახებ, არამედ მოხსენიებულია მეფე. ბექამ და აღბუღამ კი, როგორც ცნობილია, თავიანთი სამართლის წიგნი სამცხე-საათაბაგოსთვის შეადგინეს და მათი კანონების მოქმედების სფერო საქართველოში ამ კუთხით განისაზღვრებოდა. საყურადღებოა, რომ ათაბაგები მათი სამართლის წინასიტყვაობაში არც კი იხსენიებენ საქართველოს მეფეს. ზემოთ მოყვანილი ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მუხლებში კი ლაპარაკია მეფეზე, ხოლო ათაბაგი სრულიად არ არის მოხსენიებული. ეს იმას ამტკიცებს, რომ ზემოთ მითითებული

მუხლები წარმოადგენენ მთელი საქართველოს გაერთიანებული სამეფოს სასამართლო წარმოებისთვის შედგენილ სამართლის წიგნს.

მეშოახლინმნულ მუხლებში მეფესთან ერთად ლაპარაკია ეპისკოპოსზე და არაფერი არ არის ნათქვამი სათაბაგოს მაწყვერელზე. მამასადამე, კანონმდებელს მხედველობაში ჰყავს არა სამცხის მღვდელმთავარი, არამედ საქართველოს ეპისკოპოსი. თვით ეპისკოპოსისა და სამღვდელოების გაბატონებული მდგომარეობა, რომელიც მეშოთ მითითებული მუხლებიდან ჩანს, არ შეესაბამება სათაბაგოს ეითარებას და სწორედ თამარ მეფის წინა პერიოდზე მიუთითებს, როცა მეფე სამღვდელოების წინამე ჯერ კიდეე უძლური იყო. „ცხადია, 101, 102, და 103 კანონი, რომ ათაბაგ-აღბუღას, ან იმდროინდელი მეფის დაწერილი ყოფილიყო, სამღვდელოებას ისეთი გასაოცარი უპირატესობა არ ექნებოდა. ამიტომ ეს სამივე მუხლი ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი, ესეიგი დვითი აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა ყოფილიყო“. სხვა აზრი აქვს განეითარებული პროფესორ სარგის კაკაბაძეს, ისე რეალური მინაარსის მიხედვით შეუძლებელია სამართლის წემო აღნიშნული ფრაგმენტები მიეკუთვნოს XI საუკუნეს. მისი აზრით აღნიშნული მუხლები შუა საუკუნეების ბოლოდროინდელ ნაწარმოებს წარმოადგენს, მაგრმა ეს აზრი ავტორმა თვითონ უარყო შემდეგ.

XII საუკუნემდე საქართველოში ოთხი ბაგრატ მეფე იყო: ბაგრატ I კურაპალატი, რომელიც გარდაიცვალა 876 წელს, ბაგრატ II, რომელიც 994 წელს გარდაიცვალა, ბაგრატ III (978-1014) და ბაგრატ IV (1027-1072). ბაგრატ I-ს მემატიანის სიტყვებით, ჰქონდა „მოღუაწებაი წმიდათა ეკლესიათაი ნუგეშინისცემაი გლახაკთაი და ყოელისა ერისა სიმართლით განკითხვაი სიტყვისაებრ უფლისა, ვითარმედ: ნუ თუალ-ხუმით შჯით, არამედ საშჯელი სამართალი საჯეთო“... მის მიერ იყო მემოღებული სახელმწიფო საქეელმოქმედო თანხა („გლახაკთა ნაწილი თქუენ მიერ განწესებულ არს“), იგი იყო „ხელმწიფე, წმიდათა ეკლესიათა მაშენებელი და მონაეებთა მემწირეელი და გლხაკთა მოღუაწე“. სამართლის წიგნის მემდგენელი არ შეიძლებოდ ბაგრატ III ყოფილიყო, რადგან იგი კურაპალატი არ ყოფილა.

ბაგრატ IV-ის დროის შესახებ მემატიანე აღნიშნავს, რომ ქვეყანას სიმშვიდე და დაწყნარება არ ჰქონდა და მართლმსაჯულებაც შელახული იყო. ბაგრატ III-ის შესახებ მემატიანე ამბობს, რომ იგი იყო მეფე „სამართლისა მართლად მოქმეელი ყოველთა კაცთათვისო“. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ამ ოთხი ბაგრატიდან სამართლის წიგნი ან ბაგრატ I-ის ან ბაგრატ III-ის მიერ უნდა იყოს შედგენილი. ბაგრატ კურაპალატის „კანონების შინაარსი გეიჩვენებს, რომ ისინი თითქოს უფრო IX საუკუნის საზოგადოებრივი განწყობილების გამომხატეელია. ამგვარად, თავისი შინაარსის საერთო თვისებებითა და არა ენით, რომელიც დროთა განმავლობაში სრულებით განახლებულ-შეცვლილი ჩანს, კანონთა ეს მუხლები თითქოს უფრო ბაგრატ I კურაპალატის დროისენად გამოდის“, მაგრამ „უფრო სწორე იქნება, თუ ბაგრატ III-ისადან და მე-XI-ს დამდეგისად მივიჩნეეთო“. ქართული სამართლის ისტორიის შემდეგ ტომებშიც განსეენებული მეცნიერი 99-103 მუხლებს ბაგრატ III-ის სამართლის წიგნის ფრაგმენტად თელის. რაც შეეხება 104-160 მუხლებს. ისინი აკად. ივ ჯავახიშვილის აზრით არ შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ კურაპალატის სამართლის მუხლებად, რადგან აღნიშნულ კანონებს „სამწუხაროდ ისეთი ცხადი ნიშანი არ ეტყობა, რომ საკითხის გადაჭრა პირდაპირ შეეძლოს მკვლევარს“. ამიგომ მათი ავტორების ვინაობისა და დროის საკითხის გარკვეეა მომავალი კვლევა-ძიების საქმეაო.

XIV საუკუნეში მეფედ იყო ბაგრატ V (1360-1395), მაგრამ მას კურაპალატის პატივი არ ჰქონია. დვითი აღმაშენებლის შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოს მეფეები აღარ ატარებდნენ კურაპალატის პატივს, რაც ბიზანტიის სახელმწიფოს უმარლეს მოხელეთა საპატიო წოდება იყო. ამიგომ ბაგრატ V არ შეიძლებოდა სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი ყოფილიყო.

თავის ეხლახან გამოქვეყნებულ შრომაში პროფ. ივ. სურგულაძე იზიარებს აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ 99-103 მუხლები მეეკუთენება ბაგრატ კურაპალატს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, ავტორის აზრით, აღნიშნული ფრაგმენტი უფრო ოპიზრთა სიგელის ავტორს ბაგრატ IV უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ „დიდებულისა და აზნაურის ასეთი განცალკეევება ფენებად საფიქრებელს ხდის, თუ ტექსტის რაიმე გაეგებრობასთან არ გეაქვს საქმე, სამართლის წიგნის ამ მუხლის უფრო გეიან პერიოდში წარმოშობას. ამიგომ ამ მუხლების ბაგრატ კურაპალატისად აღიარება ჯერჯერობით მხოლდო ვარაუდია და საკითხი კიდევ გამოსარკეევი რჩებაო“. ტექსტის დამახინჯებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან XI საუკუნეში, როგორც ეს ოპიზართა სიგელიდან ჩანს, დიდებულთა და აზნაურთა განცალკეევებას უკვე ადგილი აქეს, ამიგომ საეჭვოა ის აზრი, რომ ძეგლი უფრო გეიან პერიოდში იყოს შედგენილი. საქართველოს ისტორიამ, როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-ის შემდეგ არ იცის კურაპალატის პატივის მქონე სხვა ბაგრატ მეფე. ამასთან ერთად სამართლის წიგნის წინასიტყვაობიდან სავსებით ცხადია, რომ კანონები ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. სწორი არ არის აგრეთვე ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბაგრატ მეფის სამართლის წიგნის ნაწყვეტი ცნობილია ჩეენთვის „მხოლოდ აღბუღას რედაქციით“. 1672 წლის ნუსხის აღმოჩენის შემეგ ცხადი გახდა, რომ ბაგრატის სამართალმა მოაღწია ჩეენამდე მხოლოდ ეახგანგ VI-ის საკანონმდებლო კრების რედაქციით, რომელმაც მოათავსა იგი ბექა-აღბუღას კანონთა ბოლომი.

რაც შეეხება 103-ე მუხლის მომდევნო მუხლებს (104-175), პროფ. ივ. სურგულაძის აზრით შესაძლებელია ამ მუხლების ავტორები სხვადასხვა პირი იყოს; ნაწილი მუხლებისა შეიძლება მიეწეროს ბაგრატ კურაპალატს, ან მის ახლო დროს, ნაწილი შეიძლება ამოღებული იყოს საეკლესიაო დადგენილებიდან. 103-ე მუხლის მომდევნო მუხლების მნიშვნელოვანი ნაწილი საეკლესიო ხასიათი არის. ასეთი სჯულდება საქართველოს ცალკეულ სამთაეროებად დანაწილების შემდეგაც შეიძლება მომხდარიყო. „აღბუღას სამართლის წიგნის 103-ე მუხლის მომდევნო მუხლებიც შეიძლება აღბუღას შემდეგაც იყოს შედგენილი ეკლესიის მესვეურების მიერ".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 103-ე მუხლის მომდევნო მუხლები აღბუღას შემდეგ არ უნდა იყოს შედგენილი, რადგან ისინი თავისი შინაარსით და ტერმინებით ძველ სჯულდებლობის ძეგლი, რომელიც მთელი საქართველოს სამართლის წიგნს შეადგენს და არა რომელიმე სამთაეროს ან კუთხისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ სჯულდებას.

პირველ ყოვლისა აუცილებელია გულდასმით გაეარჩიოთ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წინასიტყვაობის ტექსტი. სამართლის წიგნის შესაეალში ნათქვამია: „სახელითა ღმრთისაითა დაიწყების საღრმთოისა გაჩენილი და გასაჩენელი, პირველად დავითიდან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისაითა". ამით მთაერდება შესაეალი. შემდეგ არის 99-ე მუხლი, სადაც ჩამოთვლილია ის თვისებები, რომლებიც უნდა გააჩნდეს მოსამართლეს, მას მიჰყვება მე-100 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს მოსამართლე. ეახგანგის მიერ შედგენილ კანონთა კრებულში 99-ე მუხლი შესაელის სახით არის წარმოდგენილი. ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარნიც ამ მუხლის სამართლის წიგნის წინასიტყვაობის ნაწილად მიიჩნეევენ, მაგრამ ეს უმართებულოა, რადგან იგი არ არის შესაელის გაგრძელება და ცალკეულ მუხლს შეადგენს ისე, როგორც მისი მომდევნო მე-100 მუხლი. ამას ცხადყოფს ამ მუხლების დასაწყისი. 99-ე მუხლი იწყება ასე: „ეინცა საბჭოდ სჯდებოდეთ"..., მე-100 ამგვარად იწყება „ეინცა მოძღუარი იყოს", რაც ცალკე მუხლების ხაბგასინთი გამოყოფის აღმნიშვნელი სიტყვებია.

სმართლის წიგნის წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ 99-170 მუხლები, რომლებიც აგრძელებენ ბექა-აღბუღას სამრთალს, ორ საკანონმდებლო ძეგლს უნდა შეიცავდნენ. წინასიტყვაობის დასაწყისში აღნიშნულია, რომ „პირველად დავითიან ბაგრაგ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა" გაჩენილი იქნა სამართალი. მაშასადამე, ზემოაღნიშნული მუხლების ერთი ნაწილი შეადგენს ბაგრაგ კურაპალატის სამართლის წიგნს, რომელიც ჩვენი აზრით შეიცავს 99-60 მუხლებს. რაც შეეხება მეორე საკანონმდებლო ძეგლს, მის შესახებ შესაეალში ნათქვამია: „ და მერმე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე" შედგენილი იქნა სამართალიო. ჩვენი აზრით იგი შეიცავს 161-170 მუხლებს, რომელიც კანონიკური სამართლის ფრაგმენტს შეადგენს და ჩვეულებრივ სასჯელებს გარდა დამნაშავის მიმართ ითვალისწინებს უმძიმეს საეკლესიო სასჯელს-ანათემას. აკად. ივ. ჯავახიშეილს წინასიტყვაობის ზემოაღნიშნული ტექსტის ამგვარი გაგება არ მოუცია, მაგრამ ზოგიერთი მუხლების შედარების შედეგად მან აღნიშნა, რომ 104-160 და 161-170 მუხლების სასჯელთა თაეისებურების მიხედვით კანონმდებლობის ორ სხვადასხვა ძეგლს შეადგენსო.

აკადემიკოსი ივ. ჯავახისეილი ბაგრაგ კურპალატის სამართლის ფრაგმენტად მხოლოდ ოთხ მუხლს მიიჩნევს (100-103). მთავარი მოსაზრება, რომელსაც ავტორი ეყრდნობა, იმაში მდგომარეობს, რომ მითითებულ ოთხ მუხლში მოხსენიებულია მეფე და ეპისკოპოსი და აღნიშნულია სამღვდელოების მაღალი უფლებრივი მდგომარეობა. რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს (104-106) მათ თითქოს ასეთი ნიშნები არ გააჩნია, რის გამოც ეს ნორმები არ უნდა მიეკუთვნებოდეს სჯულმდებელ ბაგრაგ კურაპალატს.

ზემოაღნიშნული მოსაზრება დამაჯერებელი არ არის, რადგან მეფისა და ეპისკოპოსის შესახებ ლაპარაკია სამართლის წიგნის სხვა მუხლებშიც. 152-ე მუხლში ნათქვამია „მეფისა და უდიდებულესის კაცისაგან [ციდე] თუალთა დაწუას არავინ ღირსა", ე.ი. თვალთა დაწვა, როგორც მძიმე ასოდამამახიანებელი სასჯელი, სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლის მეფის ან უდიდებულესის კაცის კომპეტენციას შეადგენს. იგივე უნდა ითქვას ეპისკოპოზის შესახებ. „თუ ეპისკოპოზსა დიდებულმა აგიროს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს დიდად მხვეწნით", ნათქვამია 106-ე მუხლში.

სამღვდელოების პრივილეგიური და მაღალი უფლებრივი მდგომარეობა ნათლად ჩანს სამართლის წიგნის სხვა მუხლებიდანაც (105-108, 112, 121-122, 139 და სხვა). ხსენებული მუხლები სწორედ იმას მოწმობენ, რომ სამართლის წიგნის 99-160 მუხლები ერთ კანონმდებელს უნდა ეკუთვნოდეს. ამაეე დროს აუცილებელია აღინიშნოს, რომ 99-160 მუხლები არ შეიცავენ ცალკეულ ნორმათა შინაარსობლივ შეუსაბამობას და წინააღმდეგობას, ერთისა და იმავე ხასიათის დანაშაულზე განსხვაეებულ სანქციას, ან ერთ საგანზე განმეორებით მსჯელობას. ზემოაღნიშნული მუხლები შინაარსობლივად დალაგებულია ერთგვარი სისტემით, გარკვეული ორგანული და ლოგიკური თანმიმდევრობით და ყველა მუხლი ერთიან რედაქციაშია მოყვანილი.

101-115, 121-123 მუხლები ითვალისწინებენ სამღვდელოებისა და ეკლესიის წინაღმდეგ მიმართულ სხვადასხვა დანაშაულს; 116-120, 124-160 მუხლები უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავენ. გუხდება სამოქალაქო სმაართლის ნორმებიც. სისხლის სამართლის დანაშაულთა შორის აღნიშნულია მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, მუქარა, სქესობრივი დანაშაული, ქალის მოგაცება, ცოლის დაგდება, გაძარცვა და ქურდობა. საოჯახო სამართლიდან გათვალისწინებულია ოჯახის გაყრის და საუხუცესოს მიცემის წესი.

ეხლა საჭიროა სეეჩერდეთ ზემოაღნიშნული მუხლების (99-160) ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლებითაც ისინი განსხვავდებიან ძეგლში მოთავსებული სხვა მუხლებისაგან. პირველყოვლისა უნდ აღინიშნოს ძეგლის იურიდიული ენა. განსხვავებით ბექასა დ აღბუღას სამართლისაგან აღნიშნული მუხლები შეიცავენ ძველ იურიდიულ ტერმინებსა და ცნებებს, რომლებიც არ გუხდება ძეგლის სხვა მუხლებში. ასეთ დამახასიათებელ ტერმინს წარმოადგენს სიტყვა „სასჯელი, რომელიც მთელ ძეგლში მხოლოდ ორ ადგილას გუხდება (მუხ. 101 დ151). „სასჯელი" ძველ ქართულ სამართალში თანამედროვე მნიშვნელობით არ იხმარებოდა, იგი ნიშნავდა „სამართალს", „ბჭობას", და სწორედ ამ აზრით არის გამოყენებული ის ზემოაღნიშნულ ორ მუხლში. მაშასადამე, „სასხელი" სამართლისა და კნონის აღმნიშნელი ცნებაა. „სასჯელი" ამ მნიშნელობით არ იხმარება ქართული სამართლის სხვა გეიანდელ საკანონმდებლო ძეგლებში. ეს თავისებურება იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლები ერთი საკანონმდებლო ძეგლის ნაწილებს შეადგენენ.

სამართლის წიგნის 101-ე. 145-ესა და 149-ე მუხლებში სისხლის დაურვების მნიშნელობით ნახმარია სიტყვა „შეკაზმა". ეს ტერმინი „შეკაზმა" თავისებური სასჯელის გამომხატველი ცნებაა. იგი ნიშნავს გაღახდას, ანაზღაურებას, ჩაღენილი დანაშაულის გამოსყიდვისათვის სანაცვლოს მიცემას. თუ ეპისკოპოსი მეფის მიმართ დანაშაულს ჩაიდენს, მისი დაპატიმრება არ შეიძლება, „შეკაზმა მართებს ეპისკოპოზსა მეფისაი", ე.ი. დამნაშავე ეპისკოპოსმა მეფეს სისხლი უნდა დაუურეოს („დიაცისა ქმარსა შეუკაზმის"). თუ პატრონს ყმა გაპორდა, ე.ი. სენიორს ეასალი გაბუდა, პატრონს „თორმეტი გლეხი შეეკაზმოსო" ნათქვამია კანონში. მაშასადამე, „შეკაზმა" სისხლის დაურებას, საზღაურის გადახდას ნიშნავს. ზემოაღნიშნულ მუხლებში შენარჩუნებული ეს ძველი ტერმინი იმას უნდა მოწმობდეს, რომ აღნიშნული მუხლები ერთი საკანონმდებლო ძეგლის ნაწილებს შეადგენენ.

სიტყვა „შეკაზმასთან" დაკავშირებულია აგრეთვე ტერმინი „შეხუეწა", რომელიც მონანიებითი ხასიათის სასჯელია. „შეხუეწა" ნიშნავს მონანიებას, შეუვდრებას, ბოდიშის მოხდას. ეს ტერმინი მთელ ძეგლში მხოლოდ ოთხ აღგილას არის მოხსენიებული (მუხ. 101, 106, 107, 108). ოთხივე შემთხვეევაში საქმე ეხება ერთი მხრით სამღვდელოებს წარმომადგენლებსა და მეორე მხრით საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს. თუ ეპისკოპოსმან მეფესა მესცოდოს, „შეხუეწა" მართებს ეპისკოპოს მეფისა. დამნაშავე ეპისკოპოსი მეფეს უნდა შეეუვდროს, პატიება სთხოეოს და დანაშაული მოინანიოს. თუ დიდებულმა ეპისკოპოს აგინოს, სისხლი დაუურეოს „დიდად შეხუეწითო", ნათქვამია კანონში. მაშასადამე, საზღაურის გადახდასთან ერთად დიდებულმა დანაშაული აგრეთვე „შეხუეწით" უნდა მოინანიოს და პატიება სთხოეოს ეპისკოპოსს. იგივე უნდა ითქვას აზნაურებზედაც. შეურაცხმყოფელმა აზნაურმა ეპისკოპოსს ოცი ათასი თეთრი უნდა დაუურეოს „დიდითა მეხუეჩითა". კანონი იცავს სასულიერო წოდების დაბალი თანამდებობის წარმომადგენელთა პრივილეგიურ მდგომარეობას. დიდებულმა ან აზნაურმა თუ მღვდელს აგინოს, სისხლის შესამედი დაუურეოს და „დიდად მეეხუეწოსო", აღნიშნულია კანონში.

ამრიგად, სამღვდელოების წარმომადგენელთა მაღალი უფლებრივი მდგომარეობა გათვალისწინებულია არა მარტო 101-ე, 102-ესა და 103-ე მუხლებში, რომლებსაც აკად ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტად თელის, არამედ სხვა მომდევნო მუხლებიც. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ შემდგომი მუხლებიც ერთი საკანონმდებლო ძეგლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. კონკრეტული სასჯელის აღმნიშნელი სიტყვები „შეკაზმა" და „შეხუეწა", რომლებიც მხოლოდ ძეგლის ამ ნაწილში იხმარება, ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს.

სამართლის წიგნის 99-160 მუხლები, რომ ერთ კანონმდებელს უნდა ეკუთვნოდეს, ეს ჩანს მხოლდო ამ კანონში გამოყენებული სხვა იურიდიული ცნებებიდანაც. ასეთ დამახასიათებელ ტერმინს შეადგენს სიტყვა „საპირო", რომელიც აღნიშნულია სამართლის წიგნის 112-ე, 159-ესა და160-ე მუხლებში. არც ეს სიტყვა გუხდება ქართული სამართლის მომდევნო პერიოდის საკანონმდებლო ძეგლებში. „საპირო" სპეციალური სასჯელია, რომელიც სისხლის დაურების გარდა უნდა გადაიხადოს დამნაშავემ საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ. „საპირო" საჯარო ხასიათის სასჯელია, რომელიც არ შეღის სისხლის დაურვების ფასში. ეს ნათლად ჩანს სამართლის წიგნის ზემოთ მოყვანილი მუხლებიდან, რომლებიც სხვადახვა დანაშაულისათვის სისხლის დაურვების გარდა „საპიროს", სახით მძიმე ქონებრივ სასჯელს უწესებს დამნაშავეს. „საპიროს", როგორც სპეციალური სასჯელის, გათვალისწინება ზემოაღნიშნულ მუხლებში ამაგრებს აზრს იმის შესახებ, რომ ეს ნორმები ერთ საკანონმდებლო ძეგლს უნდა ეკუთვნოდეს.

სამართლის წიგნის 115-ე, 121-ესა და 141-ე მუხლებში გათვალისწინებულია აგრეთვე სპეციალური სასჯელი „საუპატიო", რომელიც ეახგანგის კანონებამდე არ გუხდება ქართული სამართლის სხვა წიგნებში. „საუპატიო" საპატიო და მოსარიდებელი ობიექტის (ეკლესიის, ხატის,

ჯოვისა და სხვა.) ხელყოფისათვის გათვალისწინებული ქონებრიეი სასჯელია, რომელიც დამნაშავეემ უნდა გადაიხადოს ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

განსაკუთრებული მინაარსის შემცველი სასჯელის აღმნიშნელი ძველი ტერმინი „საუკაბიო“ მხოლოდ ამ საკანონმდებლო ძეგლისათვის დამახასიათებელი ცნებაა, რაც ამას უნდა ნიშნავდეს, რომ შემოაღნიშნული მუხლები ერთი სამართლის წიგნის ნაწილია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბრალდებულის, ან დამნაშაეის პასუხისმგებლობის გამოსახატავად სამართლის წიგნის 120-ე, 133-ე, 137-ესა და145-ე მუხლებში სპეციალური ტერმინებია, რომლებიც არ გეხვდება სხვა საკანონმდებლო ძეგლებში. 137-ე მუხლის მიხედეით პასუხისმგებლობის დაკისრება აღნიშნულია ფორმულით „ყეელა შედა-აც“, ე.ი. ბოროტმოქმედს ჩადენილი დანაშაულისათვის ყველა პასუხისმგებლობა ეკისრება. საწინააღმდეგო მინაარსის შემცველია ფორმულა „არა შედა-აც“, რომელიც ნახმარია სამართლის წიგნის 120-ე მუხლში. თუ ბრალდებული ფიცით თაეს იმართლებს, მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება („არა შედა-აც“). სამართლის წიგნის მთელ რიგ მუხლებში ნახმარია ძველი იურიდიული ტერმინები და ფრაზები, როგორიცაა მაგალითად: „შეყიელება“, „მუქარის თხოეა“, „ნაბჭობი სისხლის დაჭერა“, „ცილის წაღება“, „სამსახურის შექცეეა“, „შეფიცოს ნაშენითა“, „მართლითა სახსრითა“, „მარტიეითა სახსრითა“, „მამულისაგან გაყენება“, „მონაგები“, „შეკანილი და ჭირნახული“, „შესმულ-შეჭმული“, „სასისხლო“ და სხვა. გეხვდება მმნის ძველი ფორმები: „ასმიოღეს“, „მოკუდების“, „სცეს“, „წაულოს“, „წარმოულოს“, „აქუნღეს“, „დასწუნეს“ და სხვა. საყურადღებოა ზოგიერთი მუხლის დაბოლოებაც. სისხლის სამართლის მინაარსის შემცველი მუხლების სანქციის ნაწილში უკანასკნელი სიტყეების დაბოლოება წარმოღეენილია ფორმულით „სისხლი ემატოს“ (მუხ. 104, 105, 117, 118, 1151), რაც ერთი კანონმდებლის ხელს უნდა ეკუთენოდეს. ამაეე ხასიათისაა სიტყეები „მართებს“ (მუხ. 101, 131, 132), და „ალაფიცა შეაქცეოს“ (მუხ. 110, 113, 114, 116, 123). მთელი რიეი მუხლების დაბოლოება ფორმულებით „სისხლი დაუურეოს“ ან „თეთრი დაუურეოს“ (მუხ. 107, 108, 109, 110) თაედაპირეელად ამ საკანონმდებლო ძეგლში უნდა იყოს ნახმარი, რომელიც გამოყენებულია შემდგომი პერიოდის სამართლის წიგნებში.

და ბოლოს, ყურადღების ღირსია პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიის სააძიო მუზეუმში დაცული ეახგანჯის წიგნის ბოლოს ერთი უცნაური მინაწერი: „ბაგრატ კურაპალატის სმართალი აღბუღამდე, მუხლი 141. თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლის გეარს არას ემართლების“... ეს მინაწერი აღნიშნული აქეს აკად. იე. ჯავახიშეილს. როგორც ამ უცნობი მინაწერიდან ჩანს, მის ავტორს ცოდნა, რომ აღბუღას სამართლის სახელწოდებით ცნობილი სამართლის წიგნი მეიცავს აგრეთვე ბაგრატ კურაპალატის კანონებსაც. ხსენებულ მუხლზე მითითებაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ სამართლის წიგნის 99-160 მუხლები ერთ საკანონმდებლო ძეგლს შეადგენას.

ამრიგად, სამართლის წიგნის შემოაღნიშნულ მუხლებში შემორჩენილი ზოგიერთი ძეელი ტერმინის მნიშნელობისა და არა პირდაპირი ცნობების ანალიზის საფუძეელზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვთქვათ აზრი იმის შესახებ, სამართლის წიგნის 99-160 მუხლები ერთ საკანონმდებლო ძეგლს შეადგენს, რომელიც სჯულმდებელ ბაგრატ კურაპალატს უნდა ეკუთნოდეს.

ეხლა საჭიროა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ბაგრატ კურაპალატს შეიძლებოდეს მიეკუთენებოდეს შემოაღნიშნული სამართლის წიგნი. აკად. ივ. ჯავახიშეილის აზრით სამართლის წიგნის ფრაგმენტი (მუხ. 99-103) ბაგრატ I-ის ან ბაგრატ III-ისა უნდა იყოს. მისი აზრით იგი უფრო ბაგრატ III-ს ეკუთენის. როგორც ცნობილია, ბაგრატ I-ის დროს მეფობა ახალი აღდგენილი იყო. მატიანეში ბაგრატი თითქოს მეფედაც არ იხსენიება. სამართლის წიგნის შესავალში კი სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი აღნიშნულია ტიტულით „მეფეთ-მეფე“. ამაეე დროს მითითებულია, რომ სხვა კატეგორიების წარმომადგენლებთან ერთად მოსმართლედ დანიშნულ უნდა იქნას „მეფეთა წინაშე ბრდილი და ნამყოფი კაცი“, ე.ი. სამეფო კარზე აღმრდილი და სჯულმდებლობაში გასწყაელი კაცი. ჩანს, რომ მეფობის ინსტიტუტის აღდგენიდან გარკეეული დრო გასულა, ჩამოყალიბებულა და დამკეიდრებულა მეფის მონარქიული ხელისუფლება. ეს მდგომარეობა არ უნდა შეესაბამებოდეს ბაგრატ I-ის დროს, როცა მხოლოდ ის-ის იყო დაიწყო სამთავროების გაერთიანებისკენ მისწრაფება. იმ დროს თითქოს და არ არსებობდა ასეთი სამაართლის წიგნის შედგენისათეის ხელსაყრელი პირობები.

რაც შეეხება ბაგრატ III-ს, ცნობილია, რომ მისი მმართველობისათეის დმახასიათებელი იყო შეუზღუდელი მონარქიისაკენ მისწრაფება, სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლების უშენაესობის აღიარება და მკაცრი ძალაუფლების დაწესება, ამიგომ მისი მმართველობის ბუნებას არ შეეფერება, სამართლის წიგნის 102-ე მუხლი აღიარებული პრინციპი: „მეორე მეფე ეპისკოპოსი არსო“. ბაგრატ III-ის დროს სამღედელოება არ სარგებლობდა ასეთი მაღალი უფლებრიეი მდგომარეობით. სახელმწიფოს მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდა და ეპისკოპოსი „მეორე მეფე“ არ იყო. ბაგრატის მმართველობის დროს საერო ხელისუფლება სამღედელოებაზე მაღლა იდგა და საჭიროების შემთხეეაში მეფეს აღვილად შეეძლო დაეპატიმრებინა და დაესჯა სამღედელოების უმაღლესი წარმომადგენელნიც კი. ამასთან, მეფეს „სჯულის საქმეზეც“ კარგად მიუწედებოდა ხელი.

ჩვენი აზრით უფრო მეტი საფუძეელი გაქეს ეიფარაუდოთ, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი მეფე ბაგრატ IV-ის დროს უფრო იყო შედგენილი. პირეელყოვლისა საჭიროა

აღინიშნოს ზოგადი ხასიათის ორი მოსაზრება. მაგიანეში აღნიშნულია, რომ ბაგრატ VI-ის დროს „ქვეყანას დაწყნარება არა აქუნდა, ეკლესიანი, გლახაკნი, აბნაურნი ვერ იყითხვებოდნენ", ე.ი. ქვეყანა არეული ყოფილა, მართლმსაჯულება დაცემული და შელახული. ამის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი დასძენს: „არც საფიქრებელია, რომ ასეთ შეფეს სამართლის წიგნის შედგენით თავი შეეწუხებიაო". მაგრამ ეს ფაქტი საწინააღმდეგო გარემოებაზე მიუთითებს. სჯულმდებლობის ისტორიიდან ცნობილია, რომ სამართლის წიგნების შედგენა მაშინ ხდებოდა, როცა მართლმსაჯულება შელახული და ბოროგმოქმედება გამრაველბული იყო. სწორედ ასეთ პირობებში ცდილობს ცენტრალური ხელისუფლება თავისი კანონმდებლობით აღკვეთოს ბოროგმოქმედება და შექმნას სამართლის წიგნი. სხვა ქვეყნების კანონმდებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ნათლად ჩანს გიორგი ბრწყინვალის, აღბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნების წინასიტყვაობიდან. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში აღბუღა მიუთითებს, რომ „რაიცა ჟამთა სიაეთთა სხუანი უწესონი საქმენი შემოსრულ იყუნეს, მათი სამართალი ზედა დაურთეთო". საკუთრივ თავისი სამართლის წიგნის შესაეალში აღბუღა აღნიშნავს, რომ „ჟამთა სიაეითა... ლაშქართა ცხენთა პარეა შექმნილიყო" და „მრავლისა აჳისა მოქმედი კაცი არღარა ვის რა გარდახდია წინათ ჟამთა აქათ პატიეთო".

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაშიც" გრკეეთი მითითებულია იმაზე, რომ „დიდი უსმართლობა და მძლავრობა ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა და აღეილად ჩანდა ერთმანერთის ღალატად დასხმა და დაქცეეა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოეელიეე სამართალი აღარ იყო, და ამიგომ შეეადგინეთ კანონებიო.

სჯულმდებლობის გარემოებათა შესახებ ასეთიეე ხასიათის მიზეზებზე მკაფიოდ მიუთითებს ვახტანგის სამართლის წიგნის შესაეალი: „იყო ქვეყანა ესე ქართლისა ყოელითურთ კეთილითა შემკული და შეზავებული, ხოლო ცუალებითა დღითა და ეითარებითა ჟამთათა თეით სიბრძნით და თეით თეისით სჯიდნენ და განაგებდნენ, ეიეთნიმე მოყუსობით, ეიეთნიმე მეგობრობით, ეიეთნიმე მორიდებით, ეიეთნიმე ღუთის ურიდეელობით და ეიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა, ეითარცა ენებათ, ეგრეთ ასჯიდნენ". ამრიგად, სამართლის წიგნების შედგენა სწორედ მაშინ წარმოეს, როცა საზოგადოებრიეი ცხოვრების პირობები ამას მოითხოეენ, როცა სახელმწიფოს ახლად წარმომობილ სხვადასხვა ბოროგმოქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლეელად სჭირდება მკაცრი კანონმდებლობა.

ზემოაღნიშნულ გარემოებათაგამო ჩვენ ეფიქრობთ, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი ბაგრატ IV-ის დროს უნდა იყოს შედგენილი, როცა მემატიანის სიტყეით „ქვეყანასა დაწყნარება არა აქუნდა".

მეორე ზოგადი ხასიათის მოსაზრება იმასი მდგომარეობს, რომ ბაგრატ IV-ს, როგორც ცნობილია, ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა სასულიერო ხელისუფლებასთან. მან საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად სამმობლოში მოიწეია გიორგი მთაწმინდელი და სთხოეა მას დარჩენილიყო მღდელ მთავრად. ეკლესიისადმი დამოკიდებულება და სჯულმდებლობაში ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა ნათლად ჩანს მეფე ბაგრატ IV-ის სიგელიდან ოპიზისა და მიჯნაბორის ბერების ადგილზე დაეის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღუდელთმოძღუარნიო". მეფე ბაგრატ IV-ის დროს სამღდელოება დიდი მფარველობითა და უფლებებით სარგებლობდა. ამიგომ საფიქრებელია, რომ სამღდელოების პრიეილეგიური მდგომარეობა, რაც აღნიშნულია სამართლის წიგნის მუხლებში, ამ პერიოდის საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულებას უნდა გამოხატაედეს. მეფისა და ეპისკოპოსის ხელისუფლების თანასწორობის პრინციპი – „მეორე მეფე ეპისკოპოზი არსო" – ცხადია, უფრო ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდს შეეფერება.

ამ ზოგადი ხასიათის მოსაზრებებთან ერთად საჭიროა შევჩერდეთ ძეგლის სხვა დამახასიათებელ ნიშნებზედაც. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნისა და მეფე ბაგრატ IV-ის ოპიზის სიგელს შორის არსებული მსგავსება. ამ ორი ძეგლის ერთმანეთთან შეჯერება და მათი საერთო ნიშნების აღნიშენა მნიშენელოვნად ამაგრებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ორივე ეს ძეგლი ერთი კანონმდებლის მიერ უნდა იყოს შედგენილი და სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი იგივე მეფე ბაგრატ IV უნდა იყოს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესაეალში ნათქეამია, რომ სამართალი შედგენილ იქნა „ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე". მამასადამე, სჯულმდებლობის შესადგენად მეფემ შეკრიბა უმაღლესი სამღდელოების წარმომადგენლები, მსხვილი ფეოდალები, აზნაურები და განსწაელული ადამიანები. ამაეე წოდებისა და კატეგორიის ადამიანები ასეთიეე თანმიმდეერობით ჩამოთელილია ბაგრატ IV-ის ოპიზართა სიგელის შესაეალში: „შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღუდელთმოძღუარნი, ერისთაეთ-ერისთაენი, აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი". ორიეე ძეგლში პირეელყოელისა მოხსენიებულია მაღალი სამღდელოების წარმომადგენლები–ეპისკოპოსები და მღდელთმოძღუარნი, შემდეგ აღნიშნულია მსხვილი ფეოდალები–დიდებულები და ერისთავთ-ერისთაენი; მათ მიჰყეებიან აზნაურები და ბოლოს მოხსენიებულნი არიან „ჭკუიანი კაცნი" ანუ იგივე „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი", რაც სამართლის მცოდნე, განსწაელულ პირებს ნიშნავს. სჯულმდებლობაში მონაწილე თანაბარი სოციალური და უფლებრიეი მდგომარეობის მქონე წარმომადგენელთა

ასეთი ერთნაირი თანმიმდევრობით მოხსენიება ორიეე ძეგლის წინასიტყვაობაში საფუძველს გვაძლევს, რომ სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი ოპიზართა სიგლის ავტორი მეფე ბაგრატ IV უნდა იყოს.

ბოლოს, საჭიროა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქრაუღოთ, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი მეფე ბაგრატ IV-ის დროს უნდა იყოს შედგენილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „თეთრი“ ანუ ვერცხლის მონეტა, რომლის საფუძველზე ხდება სისხლის დაურვება. სამართლის წიგნის სათანადო მუხლების განხილვისას გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ შედარებით მსუბუქი დანამაულის შემთხვევაში კანონი დამნაშაეს აკისრებს დაზარალებულის სასარგებლოდ მეტად დიდი ოდენობის თეთრის გადახდას სისხლის დაურვების ანგარიშში. სამართლის წიგნის 105-ე მუხლში ნათქვამია, რომ „თუ კაცმან ხუცისა ცოლი მოაყივნოს,... მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხუაი ემაგოსო“, ე.ი. თუ ვინმე ხუცის ცოლთან სქესობრიეი ძალადობის გზით მრუშობას ჩაიდენს, მან მეურაცყოფილ ხუცეს დანამაულისათვის კანონით გათვალისწინებულ სისხლს გარდა სამოცი ათასი თეთრის დამატებით უნდა გადაუხადოს. „თუ ეპისკოპოზსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაურეროს, აღნიშნულია მომდეენო 106-ე მუხლში, ხოლო „თუ აზნაურმა აგინოს... ოცი ათასი თეთრი“ უნდა დაურეროს ეპისკოპოსს (მუხ. 107). მეტად დიდი ოდენობის სისხლის სამართლის ჯარიმას ითვალისწინებს აგრეთვე ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის უკანასკნელი (159-ე და 160-ე) მუხლები. კონკრეტული დანამაულისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ კანონით გათვალისწინებული სისხლის დაურვების გარდა დამნამაეემ დიდი ოდენობის სპეციალური ჯარიმა უნდა გადაუხადოს სჯალო ხელისუფლების წარმომადგენლებს. ასეთი სჯალო ხასიათის ჯარიმას „საპირო“ ეწოდება. ჯარიმის ოდენობა დაზარალებული სოციალური მდგომარეობის მიხედეით განისაზღერება; დიდებულთა, აზნაურთა და გლეხისათეის მეტად განსხვაეებული ჯარიმაა დაწესებული – „ოცდაათი ათასი, ჩვიდმეტი ათასი, თორმეტი ათასი, შვიდი ათასი, როგორცა ეის მართებს, აგრე გაჩინეთო“, ნათქვამია კანონში.

სამართლის წიგნის სხვა მუხლებში შედარებით მსუბუქი დანამაულისათეის გათვალისწინებულია „თეთრი“ დიდი ოდენობით გადახდა. ზემოთ მოყვანილი მუხლებით დაწესებული თეთრის ოდენობა რომ შეეადაროთ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი განსაზღერულ სისხლის განაჩენებს, დავინახაეთ, რომ დასაურვებელი თეთრის ოდენობის მიხედეით მათ შორის განსაცვიფრებელი მეტნაკლებობაა. როგორც აეღნიშნეთ, ბაგრატ კურაპალატის სამართლის შეარებით ისეთი მსუბუქი დანამაულისათეის, როგორიცაა ხუცის ცოლის შეურაცხყოფა, სისხლს გარდა სამოცი ათასი თეთრის დაურვებას მოითხოეს, დიდებულის მიერ ეპისკოპოზის შეურაცხყოფისათეის – ორმოცი ათასის, ხოლო აზნაურის მიერ ასეთეე დანამაულის ჩადენისათეის ოცი ათასის გადახდას. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მიხედეით კი მძიმე დანამაულისათეის – დიებულის მოკელისათეის – ორმოცი ათასი, ხოლო პირეელი რიგი აზნაურის მოკელისათეის ოცი ათასი თეთრის რაოდენობით არის განსაძღერული. შეურაცხყოფისათეის კი მეტად უმნიშვნელო სისხლია გაჩენილი. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი იმ დროს უნდა იყოს შედგენილი, როცა სახელმწიფოში აღგილი ჰქონდა „თეთრის“ ანუ ვერცხლის მონეტის შემცირებასა და გაუფასურებას. სწორედ ასეთი ხანა იყო ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდი.

როგორც ცნობილია, მთელი XI საუკუნის მანძილზე ქართული ვერცხლის მონეტა განიცდის წონის თანდათანობით შემცირებას. თუ დაეით დიდი კურაპალატის დროს ვერცხლის მონეტა სამ გრამზე ცოტა მეტს იწონიდა, მეფე ბაგრატ IV-ის დროს „თეთრის“ წონა ერთიორად კლებულობს, ხოლო დაეით აღმაშენებლის მონეტის წონა უკეე ერთ გრამზე ნაკლებია. ასეთი მდგმარეობა იმის შედეგი იყო, რომ ე.წ. „ეერცხლის კრიზისის“ გაერცელებას სპეციალურ ლიტერატურაში ხსნიან აღმოსაელური ქეეყნების ვერცხლის საბაღოების გამოფიტვით, აღმოსაელური მონეტის დასაელეთ ქეეყნებში გაზიდვითა და თურქ-სელჯუკთა მომთაბარე ტომების შუა ამიიდან სპარსეთისაკენ მოძრაობით. როგორიც არ უნდ აიყოს ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენის მიზები, იგი XI საუკუნის საქართველოსათეის დამახასიათებელი პროცესია.

ქართული ნუმიზმატიკის მკოდნე ღ. კაპანაძე ეხება რა ზემოაღნიშნულ პროცესს, წერს: „სამუალო საუკუნეთა საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ აღმაელობას, საყოველთაოდ ცნობილს, უცნაურად უპირისპირდება ჩვენი ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“. ეერცხლის კრიზისი, რომელმაც, როგორც უკეე ითქვა, წინა აღმოსაელეთში საერთოდ XI საუკუნეში იჩინა თაეი ჩვენშიც გაერცელდა, იმდენად გაღრმავდა, რომ მთელი ერთი საუკუნის მანძილზე ეერცხლის მონეტა აღარსად აღარ იჭრებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენში რომ ეერცხლი ეჭრათ იმ დროს, როდესაც მეზობლები მხოლოდ სპილენძსა ჭრიდნენ, ეს უფრო მაღალღირებული მონეტა აღარ გაჩერდებოა და განძების სახით დაიფლობოდა მიწაში, ან უცხოეთში გაედინებოდა. ამიგომ ეერცხლის ნაცელად საქართველოში მხოლოდ სპილენძის მონეტა იჭრება, რომელსაც იძულებითი კურსი აქეს და რომელსაც აწერია ეს „ეერცხლიაო“.

ცნობილია აგრეთვე, რომ ბაგრატ მეოთხემ მონეტის ტიპი, მისი გარეგანი სახე და მოყვანილობა შეცვალა. მისი მონეტის შუბლზე გამოსახულია ღეთისმშობელი, ხოლო ზურგზე ასომთაერული წარწერა „ქრისტე აღიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოელისიმოსი„ ან „სეევასტოსი“.

ბაგრატ მეოთხის მონეტის წონის ერთიორად შემცირებისა და მისი გაუფასურების გამო, ცხადია, დასაურეველი თეთრის ოდენობა მეტად უნდა გაზრდილიყო. სამართლის წიგნის მეშოთ მოყვანილ მუხლებში დიდი ოდენობით გათვალისწინებული „თეთრი“ სწორედ ამ გარემოებით უნდა აისახებოდეს. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების პროცესი ასახული იქნა კანონმდებლობაშიც.

ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი არის ბაგრატ მეოთხე, რომლის სამართლის წიგნი მეიცავს ძეგლში მოთავსებულ 99–160 მუხლებს.

ივანე სურგულაძე

ა) ოპიზის სიგელი (1027 – 1072წწ.)

ოპიზართა სიგელი ქართული სამართლის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. სიგელი თავისი შინაარსით სასამართლოს გადაწყვეტილებაა, რომელიც ეხება ორი მონასტრის – ოპიზისა და მიძნაჯორის დავას მამულების შესახებ. რადგანაც საქმე ეხება ორ მონასტერს შორის სადავო საკითხს, ამიგომ სასამართლო პროცესი დიდად მნიშვნელოვანია და საქმეს არჩევს მეფის თავმჯდომარეობით. ძველი ქართული სამართლის ისტორიის მრავალ საკითხს არკვევს. პირველ ყოლისა ჩანს, რომ სასამართლო ორ მონასტერს შორის მაბავებლის როლს ასრულებს. ძეგლში წარმოჩენილია სასამართლო პროცესში მხარეების უფლება-მოვალეობანი, მტკიცების საშუალებანი და სხვა; მოცემულია აგრეთვე მეფის დომენის სამართლებრიეი რეჟიმის დახასიათება; საყურადღებოა, რომ ძეგლში დამოწმებულია სამართლის სპეციალისტების მონაწილეობა სასამართლო პროცესში და სხვა;.

ბ) დავით აღმაშენებლის ანდერძი მიომღვიმის მონასტრისადმი (1123წ.)

ანდერძი საქართველოს ისტორიის მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა. იგი ეკუთვნის მეფე დავით აღმაშენებელს, რომლის მიხედვიტაც მეფე უმტკიცებს მონასტერს მამულებს და განსაზღვრავს მის იმუნიტეტს.

ძეგლში აღნიშნულია, რომ მსხვილი ფეოდალი ძაგანი ფრიად „შემაწუხებელი“ იყო მეფისათვის და მონასტერმა დიდი დახმარება აღმოუჩინა მას ძაგანის შეპყრობაში. დავით აღმაშენებელი სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდა მსხვილი ფეოდალების ასალაგმავად. ცნობილია, რომ მან ამისათვის რიგი ღონისძიებანი ჩაატარა: მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც ძირძველი ფეოდალები შეიცავა საეკლესიო სახელობებიდან და მათ ნაცვლად მეფის ერთგულნი დაადგინა. ამასთანავე საეკლესიო კრებამ ხაზი გაუსვა იმას, რომ საეკლესიო თანამდებობა შეიძლება დაიჭიროს ისეთმა პირებმაც, რომლებიც მსხვილ ფეოდალებს არ ეკუთვნიან.

ძეგლში ხაზგასმულია, რომ მიომღვიმის მონასტერი მეფის ერთგულია; მეფეს სურდა თავისი ერთგული მონასტრისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები შეექმნა ფართო იმუნიტეტის მინიჭებით. მიომღვიმის მონასტრის „სოფელნი და აგარანი“ კათოლიკოსის „სასჯულოი სამრევლოისაგან თავისუფალია. ეს ნიშნავს იმას, რომ მიომღვიმის მონასტერი კათალიკოსის იურისდიქციიდან ამოღებულია. ეკლესიას ხელი მიუწედებოდა ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე (მკრეხელობა, მკელელობა, სქესობრივი დანაშაული და სხვ). მეორე მხრივ, ეკლესიას, როგორც საფეოდალოს, უფლება ჰქონდა საკუთარი ყმების გასამართლებისა; სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში დავით აღმაშენებელს თავის ანდერძში. მიომღვიმის მონასტერყ. კათოლიკოსის ყმა იყო და ამიტომაც მიომღვიმის სოფლებისა და მამულების მცხოერებნი კათოლიკოსის იურისდიქციას ექვემდებარებოდნენ (დავითის ანდერძამდე). ანდერძის მიხედვით, მიომღვიმის მონასტრის ყმებს ასამართლებს დიაკონი და შემოსაეალი მონასტერს უნდა მოხმარდეს ზეთის საყიდლად-

ძეგლში მოხსენიებულია მღვიმის „საქონებელნი სოფელნი და აგარანი. “ აგრეთვე ნათქვამია: არავის აქვს უფლება მღვიმის „აგარაკთა და საქონებელთა-თანა. “ მაშასადამე, მონასტერს აქვს სოფლები და აგარაკები. აგარაკები ალოდის მსგავსი იურიდიული რეჟიმის მქონე მიწის საკუთრება უნდა იყოს, როგორც ეს აღნიმნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ შემდეგში „აგარაკსა და მამულს“ შორის საკუთრების უფლების მხრივ განსხვავება ჩაიშალა. შესაძლებელია, სოფლის საპირისპიროდ, აგარაკი საყანე ან, საერთოდ დაუსახლებელი ადგილი იყოს, რომელიც აქვს მონასტერს.

ძეგლში ნახსენებია „საავაზაკონი და წარგყუენილი,“ რაც ნიშნავს ძალადობით წართმეულს. ავაზაკი ყაჩაღს, მძარცველს ნიშნავდა. ანდერძით აკრძალულია მონასტრის შევიწროება,

ვისგანაც არ უნდა იყოს ან რის საფუძველზეც არ უნდა მოხდეს ეს; ერთი ასეთი მიზეზია „ქრთამი," ე.ი. თუ რომელიმე ხელისუფალმა „ქრთამის" აღების შედეგად ზიანი მიაყენა მონასტერს. „ქრთამს"ძველ ქართულში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: მოხელისათვის დანიშნული კანონიერი გასამრჯელოსი და სამართლის გამრუდებისათვის მოხელის მიერ არებული საფასური. წყაროებში „ქრთამი" გვხვდება როგორც კანონიერი გასამრჯელოს, ისე დანამაულის მნიშვნელობით.

ძეგლში ერთმანეთთანაა დაპირისპირებული მეფე და მთავარი, ეპისკოპოსი და მონაზონი, გლეხი და აზნაური; ცალკეა დასახელებული ხელისუფალი. მეფე ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელია, ის არის სუვერენი; მთავარი ძეგლის შედგენის პერიოდში მეფის მოხელეა ან კიდევ დიდი ფეოდალი, მოხელეობის გარეშე. ეპისკოპოსი ეპარქიის გამგებელია, ხოლო მონაზონი მოწესეა. ხელისუფალი ეწოდება დიდ მოხელეს.

„სამკვიდრებელი", საერთოდ, მემკვიდრეობას ნიშნავს, ხოლო ძეგლის მიხედვით, ყოველგვარ ქონებას, რომელიც აღამანმა მემკვიდრეობით მიიღო; ვინც ჩემი ანდერძი დაარღვიოს, წერია ანდერძში – „ სამკვიდრებელი მისი ოხერ და ნამობნი მისიმოსაყრელ"იყოს.

სასამართლო საქმის გარჩევას ამ პერიოდში, როგორც ჩანს, „განჯა" ეწოდებოდა.

ძეგლი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძისა და ი. დოლიძის მიერ.

აკ. შანიძე შეეხო ამ ძეგლის ერთ ადგილს, რომელიც სხვდასხვანაირად აქვს წაკითხული თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძეს. თ.ჟორდანიას აქვს „შედაის მეწყის," ს. კაკაბაძეს – „ მე დთს მაწვიეს," აკ. შანიძეს – მე დთს მიწყიეს," რაც ნიშნავს: „მე დავითს დამიწყია ამ ანდერძის წერა." საყურადღებოა, რომ ანდერძის დამწერი თავისი ხელით იწყებდა და ამთავრებდა ანდერძს და დავითიც ასე იქცევა: ანდერძის თავი და ბოლო მხედრულით არის მესრულებული თვითონ დავითის მიერ.

გ) გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი

ძეგლი, თავისი შინაარსით, გიორგი III-ის მიერ ბოძების სიგელია შიომღვიმის მონასტრისადმი. ამ სიგელით მეფე, პირველ ყოვლისა, უმტკიცებს მონასტერს იმ მამაულებს, რომლებიც წინა მეფეების მიერ მონასტრისათვის იყო შეწირული: თაეის მხრივ, მეფე უბოძებს მონასტერს სოფლებს და განსაზღვრავს მონასტრის მფლობელობის იურიდიულ რეჟიმს.

ცნობილია, რომ გიორგი III ცდილობდა ხელისუფლების გაძლიერებასა და მსხვილი ფეოდალების ალაგმვას. მაგრამ მსხვილი ფეოდალები იმდენად ძლიერები აღმოჩნდნენ, რომ მეფე ხშირად იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. იგი ცდილობდა, საერო და საეკლესიო ფეოდალების მიმხრობის მიზნით მათთეის მამულები ებოძებინა. აღსანიშნავია, როდესაც გიორგი III-მ მსხვილი ფეოდალების ერთ-ერთი მძლავრი აჯანყება ჩააქრო, თბილისში დაბრუნებისას მას ეკლესიის მესვეურნი, ე.ი. საეკლესიო მსხვილი ფეოდალები შეეგებნენ და მოთხოვნები წაუყენეს. მეფე იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო.

შიომღვიმის მონასტერი ერთ-ერთი მსხვილი საფეოდალო იყო და მის მეფის მხარეზე ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გიორგი IIIუბოძებს შიომღვიმის მონასტერს ფართო შინაარსის იმუნიტეტს. ძეგლში გარკვეულია მონასტრის საკუთრების წარმოშობის საფუძვლები: 1) ნასყიდობა, 2) შეწირულობა, 3) ბოძება. გიორგი III ათაეისუფლებს მონასტრის სამფლობელოს თითქმის ყოველგვარი გამოსაღებისაგან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძეგლის ის ადგილი, რომელიც სამპარავთმძებნელო დაწესებულებას ეხება. ძეგლიდან ჩანს, რომ გიორგი III-ის დროს სქართველოში ყოფილა ისეთი დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავდა მეკობრეებისა და ქურდების დევნას და მათ გასამართლებას. ასეთი სპეციალური დაწესებულების არსებობა მაჩვენებელია გამწვავებული კლასთა ბრძოლისა. მპარავთმძებნელის საქმიანობა მიმართული იყო საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანამაულისადმი. ასეთი დამნაშავეები ფეოდალური წყობილების დროს ძირითადად გლეხები იყვნენ, ხოლო მეკობრეები კალაპოტიდან ამოვარდნილი წერილი აზნაურები. სამპარავთმძებნელო დაწესებულება მიზნად ისახავდა სასტიკი ზომების მიღებით დაეთრგუნა გაბაგონებული კლასის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი. მპარავთმძებნელი იძიებდა ასეთ საქმეებს და კიდეც ასმართლებდა დამნაშავეებს. შემდეგში მპარავთმძებნელი შეცვალა მეკობრეთმძებნელმა (სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელი), ხოლო „დასაურლამალით" მეკობრეთმძებნელის მაგიერ ხეეისთავი გვეელინება. ამ ძეგლის შესახებ სხვა შრომებშიც გვაქვს საუბარი. ძეგლი გამოცემული გვაქვს რუსულ და ფრანგულ ენებზე. ქართულად გამოაქვეყნა ექ, თაყაიშვილმა და ი. დოლიძემ.

დ) ხელმწიფის კარის გარიგება

„ხელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნის ძეგლია. ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის XVIII საუკუნის ხელნაწერმა. იგი დაღუპვას გადაარჩინა და გამოსცა ექ. თაყაიშვილმა. ივ. ჯავახიშვილის აზრით „ხელმწიფის კარის გარიგების“ მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის, კერძოდ, ქართული სამართლის ისტორიისათვის განუზომელია. ექ. თაყაიშვილი წერდა:ხელმწიფის კარის გარიგების აღმოჩენა „ზეიმია ჩვენი ისტორიისათვის“.

ძეგლის აღდგენაზე მუშაობდნენ ექ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი. ექ. თაყაიშვილსა და ნ. მარს განზრახული ჰქონდათ ამ ძეგლის რუსული თარგმანის გამოცემაც. ძეგლი ნაკლული და ძნელად გასაგებია.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში„ დახასიათებულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა. ძეგლის მიხედვით, მეფე საერო და საეკლესიო ხელისუფლების მეთაურია. საეკლესიო დღესასწაულის დროს (ნათლისღება) „მეფე სადაც იყოს რაც სული კაცი არის ქრისტიანი“ იქ იყრიან თავს და მეფის მეთაურობით, დრომებით მიემართებიან ეკლესიისაკენ. წყლის კურთხევის შემდეგ მეფე ეკლესიიდან იმავე წესით ბრუნდება სასახლეში. მეფე იწვევს დარბაზს თავისი მეხედულებით „დიდი წესითა და უმცროსითა“. ამ შემთხვევაში მეფის ხელისუფლებას, ისე როგორც ბიზანტიაში, თეოკრატიული ნიშნები აქვს. სავარაუდოა, რომ მეფის ხელისუფლების ასეთი ხასიათი ქრისტიანული ბიზანტიის გავლენითაც იყო განპირობებული.

„ხელმწიფის კარის გარიგებით“, მეფე განსაკუთრებული პატივით სარგებლობს. თითოეული მისი ნაბიჯი გაანგარიშებულია: დილით ვინ აცმევს ტანთ, როგორ მიესალმებიან, როგორ ღებულობს კარის კაცებს და სხვა. ისიც არის გათვალისწინებული თუ მასთან ვინ არის, როცა მეფე „უკაბმავია.“. ვინ აწვდის სასმელს „თუ მეფესა ღამით მოეწყუროს,“ როგორი ცერემონიით მოგზაურობს მეფე და სხვა. მეფის ცხოვრება ისე არის აღწერილი, როგორც აბსოლუტური მონარქისა საფრანგეთში. ძეგლის მიხედით მეფის ხელისუფლება შეუზღუდავია. აბსოლუტიზმი წარმოიმება მაშინ,როცა ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩანასახებია განვითარებული. აბსოლუტიზმი ფეოდალიზმის უკანასკნელი საფეხურია, ასეთი ვითარება-გარემოება კი XIV საუკუნის საქართველოში არ იყო.

XIII საუკუნეში ქართული სამართლის განვითარება მაღალ საფეხურზეა ასული. არც ერთ ეეროპულ ქვეყანაში არ იყო გამომუშავებული საკუთრების უფლების ამსახველი ტერმინი, ხოლო X საუკუნის ძეგლში ასეთი ტერმინი დამოწმებულია. დამოწმებულია აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობა (რკონის სიგელი); ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბრალის პრობლემის დამუშავება მაღალ საფეხურზეა აყვანილი. ეს ასეა, მაგრამ კაპიტალიზმის ჩანასახები X–XIV საუკუნეების საქართველოში მაინც არ არის და აბსოლუტიზმის იდეები, რომელიც ძეგლშია, ამ დროის მიხედეით მოწინავე და პროგრესული, შეიძლება წარმოშობილიყო იმაზე ადრე, ვიდრე შესაძლებელი იყო მისი რეალურად განხორციელება.

თამარის დროს მეფის ხელისუფლება, მსხვილი ფეოდალების აჯანყების შედეგად შეიზღუდა. მეფე დარბაზს თავის შეხედულებით იწვეედა. დარბაზი, როგორც სარო, ისე დაეკლესიო მსხვილი ფეოდალებისაგან შედგებოდა. ოპიზართა სიგელში ჩამოვლილია დარბაზის შემადგენლობა: ერისთავთერისთავები, ერისთავები, ეპისკოპოსები და სხე.არ არიან დასახელებული კარის დიდი მოხელეები, რაც სიგელის ნაკლულოვანებას უნდა მიეწეროს. დარბაზს მეფისათეის მრჩეელის მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მოწვევა, ფორმალურად, მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ფორმალურად ვამბობთ იმიგომ, რომ მეფე სახელმწიფოს განაგებდა მსხვილ ფეოდალებთან „ერთნებაობით;“ ერისთავები, რომელნიც თამარ მეფემ „განაჩინა“, მეფსისთან ერთად მართაედნენ სამეფოს. „ერთნებაობით შეიღსავე სამეფოსა დიდებულთა“ – წერია სახელმწიფოს კარის გარიგებაში. თამარი დიდი მოხელეების დანიშენის საკითხს დიდებულების დაკითხეით, მათთან შეთანხმებით წყვეტდა.

საკითხავია, თუ როგორია საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო ფორმის მხრივ? აქ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ფორმალური და ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც თამარ მეფემდე იყო. დავით აღმშენებლისა და გიორგი III-ის დროს იყო, ე.ი. დიდ მეფეთა ხანაში, მეფის ხელისუფლება ფორმალურად არ იყო შეზღუდული; ფაქტიური მდგომარეობის მხრივ კი, მეფე მსხვილ ფეოდალებთან მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდა. მართალია, ქვეყანა გაერთიანებული იყო, მაგრამ მეფეები სამეფოში შემავალ სამეფო-სამთაეროებს ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი კანონებითა და წეს-ჩვეულებებით მართაედნენ. დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად მნიშენელოვანი რეფორმები ჩაატარა, მაგრამ შემდეგში მოელენათა განვითარება სამეფოს ცენტრალიზაციის გაძლიერების მიმართულებით არ წაეიდა. ამ გარემოებას მთელი რიგი მიზეზები აპირობებდა. მთაეარი ის იყო, რომ ეკონომიკური განვითარება არ უწყობდა ხელს ხელისუფლების ცენტრალიზაციას. საქმე ისაა, რომ მსხვილი ფეოდალების ალაგმეა, მეფის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მათ ეკონომიკურად დასუსტებას საჭიროებდა, სინამდვილეში კი, მეფე ფეოდლებთან მორიგების მიზნით, მიწებს მსხვილ ფეოდალებს უწყალობებდა, რის გამოც წერილი აზნაურობა მსხვილი ფეოდალების ხელში გადადიოდა. ამას გარდა, საქართველოს გაერთიანებას

წინ უსწრებდა საქართველოს ცალკე სამეფოებად დაყოფის ხანგრძლიეი პერიოდი. ეს ტრადიცია ძლიერი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ საქართველო ხშირად იყო ობიექტი ძლიერი დამპყრობი სახელმწიფოების ოკუპაციისა. ამასთანავე, ეს სახელმწიფოები კულტურით უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე საქართველო და მათი დაპყრობა ხელს უშლიდა ინტენსიური მეურნეობის განეითარებას (თურქ-სწლჩ,ები, მონღოლები და სხვ.).

საეპიზრო — მეფის დასაყრდენი — დარბაზის საწინააღმდეგოდ, ბიუროკრატიული დაწესებულება იყო, რომელსაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის ხელი უნდა შეეწყო. საეპიზრო ექვსი ვეზირისაგან შედგებოდა. მეექვსე ვეზირად მსახურთუხუცესი მხოლოდ რუსუდან დედოფლის დროიდან გვხვდება. ათაბაგობა კი საქართველოში თამარის მეფობის უკანასკნელ წელს შემოიღეს და პირველი ათაბაგი იეანე მხარგრძელი იყო, რომელმაც ათაბაგობა თაეისი თხოვნით მიიღო.

ცნობილია, დაეით აღმაშენებელმა ჭყონდიდელს მწიგნობართუხუცესობა მისცა იმ მიზნით, რომ მეფის ხელისუფლებას ეკლესიაც მორჩილი ჰყოლოდა; ჭყონდიდელი ეპისკოპოსია და მისი მწიგნობართუხუცესობა, ე.ი. კანცლერობა, ანუ პრემიერ-მინისტრობა იმასაც ნიშნაედა, რომ კანცლერს, როგორც სასულიერო პირს ხელი მიუწედებოდა ეკლესიაშეც. მწიგნობართუხუცესობა-ჭყონდიდელობა ემთხეეია შედარებით ძლიერი მეფის ხელისუფლების არსებობას და ამ სახელის საბოლოო გადამშენებას დაემთხეა (XIVს) საქართველოს პოლიტიკური დაშლის დასაწყისი. მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი პირია.

გიორგი III-ის დროს მოხსენიებულია ვეზირები, მაგრამ ისინი კონკრეტულად დასახელებული არ არიან. გიორგი III-ის დროიდან იხსენიება ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი. ყუთლუ - არსლანი, რომელმაც თამარის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო, მეჯოჩლეთუხუცესი იყო. მაშასადამე, თამარის დროს იყო კარის შემდეგი თანამდებობები: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელობა, ამირსპასალარობა, მანდატურთუხუცესობა და მეჯურჭლეთუხუცესობა. მსახურთუხუცესობა თამარის დროსაც იყო და ეს თანამდებობა იეანე მხარგრძელს ეჭირა, მაგრამ მაშინ მსახურთუხუცესი არ იყო ვეზირი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორის ცნობით, „მსახურთუხუცესი მანაეული რუსუდან მეფეს მეუყეანია საეაზიროში“. როგორც ჩანს, „საეაზირო“ დაწესებულებაა. ძეგლის მიხედით, საეაზირო ისეთ დაწესებულებადაა მოხსენიებული, რომელშიც ვეზირები მედიოდნენ და რომელიც რუსუდან მეფემდეც არსებობდა. თუმცა „ქართლის ცხოერება“ გიორგი III-მდე ცეზირებს არ იხსენიებს, მაგრამ როგორც აღენიშნეთ, რუსუდანის დროს საეაზირო ისეთ კონტექსტშია მოეემული, რომელიც მის არსებობას წინათაც გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ „საეაზირო“ გვხვდება X საუკუნის ძეგლში „მამათა ცხოერება“ და ის „სათათბიროს“ ნიშნაეს, ხოლო „ეაზირობა“, იმაეე ძეგლის მიხედით, „თანამშრახელობას ნიშნავს, ე.ი. საეარაუდოა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ „საეაზირო“ წინა პერიოდიდან მომდინარეობს.

„ამირან-დარეჯანიანში“ დამოწმებულია „ეაზირთა უხუცესი,“ ასეთი იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. „ეეფხისტყაოსანში“ ნახსენებია მთაეარი ეეზირი არაბეთის მეფესთან; აგრეთეე ამირსპასალარი, ამოლახორი და სხე. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ კი საეაზიროში 6 ეეზირი შედის; იგი მთაერობის სახით, მუდმიედ მოქმედი დაწესებულებაა.

საინტერესოა საეაზიროს მოწეეის საკითხი. ძეგლში ეკითხულობთ: „და თუ ეეზირობა იყოს მათ მოახსენონ ჭყონდიდელსა, ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მეჯურჭლეთუხუცესსა, მსახურთუხუცესსა და ამოლახორსა“. რას ნიშნაეს ეს სიტყეები? „და თუ ეეზირობა იყოს მათ მაოხსენონ “. „ეინ არის ეს მათ“? ჩამოთელილ მოხელეებს თაეიანთი საგამგეო დარგი აქეთ და ყოეელდღიურად იმას განაგებენ, ამასთანაეე ძნიშენელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწრელად საეაზიროში იკრიბებიან. შეიძლება „მათ“, ამ შემთხეეაში იმ ეეზირებს ნიშნაედეს, რომლებიც ქეემოთ ჩამოთელილია, სხეაგარად „მათ“-ის გაგება არ ხერხდება. საეაზიროს მოწეევის ინიციატიეა მეფეს უნდა ეკუთენოდეს ან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, რამდენადაც ეეზირთა უსირეელესის შესახებ ძეგლში წერია:„ჭყიონდიდელი მამა არს მეფისა, აგრეთე ყეელა საურაეი უმისოთ არ იქნების“. ძეგლში გამეორებულია, რომ „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა“.

საინტერესოა, საეაზირო მუდმიად მომქმედი დაწესებულება იყო თუ დროებითი, ე.ი. ისეთი, რომელსაც საჭიროების მიხედით იწეედნენ. საეაზიროს, თუ მეფე ესწრებოდა, ის ხელმძღეანელობდა, ხოლო სხეა შემთხეევაში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილია საეაზიროს მუშაობა, რომელსაც მეფე ხელმძღეანელობს. საეაზიროს მეფის სასახლეი იწეედნენ. სხდომის დაწყებამდე ხდებოდა „ჯალაბის გაყრა“; ჯალაბი ოჯახის წეერებს ნიშნაეს: ცოლს, ყმაწეილებს. აქ უნდა იგულისხმებოდეს მეფის ოჯახის წეერები; როდესაც საეაზიროში მეფე თაეის აღგილს დაიჭერდა, მსახურთუხუცესი, როგორც სასახლის ეეზირი, ეეზირებს სხდომის დაწყებას აუწყებდა და მწიგნობართუხუცესი - ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი (ხელნაწერის დაზიანების გამო მანდატურთუხუცესი გამოტოეებულია) და მეჯურჭლეთუხუცესი თაეიანთ აღგილებს იკაეებდნენ. ეეზირები სხედან. ამოლახორი დგას, „ეეზირობა ესმის და იგი არას იტყეის“.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან დგას საწოლის მწიგნობარი, როგორც მისი მოადგილე, მას ხელში საწერელი უჭირავს. „ამირეჯიბი შუაზე დგას“. იგი მანდატურთუხუცესის მოადგილეა და სავაზიროს სათათბიროს ხმის უფლებით ესწრება, ასევე ამილახორი: იგულისხმება რომ აქვეა მანდატურთუხუცესი. მესაწოლეთუხუცესი გარეთ დგას, „მეფის ზურგით“. იგი დიდი მოხელეა, ემსახურება მეფეს მამინაც, როცა ის „უკამბავია“. მესაწოლეთუხუცესს ექვემდებარება 700 სახლი მესაწოლე, ძირითადად ამნაურები, რომელნაც მეფის დაცვა ევალებათ. სავაზიროს სხდომის დროს იქვე არის მოლარეთუხუცესი, რომელიც „სალაროს კართა შინა დგას, გამოსაეალსა“. იქვე, მაგრამ სავაზიროს გარეთ იცდიან: მეაბჯრეტუხუცესი, განმგეთუხუცესი, საჭურჭლის ნაცვალი, მესტუმრე და ბარდახნის მწიგნობარი. ესენი დიდი მოხელეებია, რომლებიც სავაზიროს რაიმე განკარგულებას უცდიან: „ვინცა ხელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან“. ამასთანავე, „მწიგნობარს ჭყონდიელი გადასცემს და ასწერენ და იურვიან, რაც სასაურეო იყოს“. აი, ყველაფერი ის, რაც სავაზიროს საქმიანობას შეეხება. სიტყვა „სამოციქულოდ“, როგორც ჩანს, ფართოდ უნდა გავიგოთ.

ი. აბულაძეს „მოციქული“ განმარტებული აქვს როგორც „მიმთხრობი“, „დესპანი, გაგზავნილი. ასეთი „მოციქული“ შეიძლებოდა გაგზავნილი ყოფილიყო საზღვარგარეთ, აგრეთვე ქვეყნის შიგნით რაიმე საკითხის მოსაგვარებლად, მაგალითად, ლაშქრის მოსაწვევად, ადგილზე რაიმე განკარგულების შესასრულებლად და სხვა.. თუ საჭირო იყო, სათანადო საბუთიც სელდებოდა. ამისათვის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიელს მწიგნობრები ჰყავდა. ძეგლში, სავაზიროს შუმაობასთან დაკავშირებით, მოხსენიებულია საწოლის მწიგნობარი, ბარდახნის მწიგნობარი და მწიგნობარი.

საჯაო კარს, როცა ორმაბაათობით მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიელი საქმეების განსახილველად დაჯდებოდა, მასთან ერთად იყენენ საწოლისა და ბარდახანის მწიგნობარნი. „ბარდახნის მწიგნობარი საწოლის მწიგნობარის გვერდით“ იდგა. გარდა ამ ორი მწიგნობრისა, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიელს ექვემდებარებოდა 24 მწიგნობარი.

სავაზიროს „ურეა“ საჭიროებდა სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტის შედგენას, რასაც მწიგნობარნი და სამეფო კანცელარია აკეთებდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიელის ხელმძღვანელობით. ძეგლის მიხედვით, აღნიშნული „სასაურეო,“ ანუ საქმიანობა ეხებოდა სავაზიროს მუშაობას, სადაც იხილებოდა ყოველგვარი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაწყვეტა არ შეეძლო ერთ რომელიმე უწყებას. ამისთვის საჭირო იყო უწყების, ანუ მმართველობის სხვადასხვა დარგის მეთაურების, ე.ი. ვეზირების შეკრება.

ექვსი ვეზირისაგან შედგენილ სავაზიროს (რომელიც რუსუდან მეფის დროიდან ჩამოყალიბებული ჩანს), წინ უნდა უსწრებდეს „4 ვეზირისაგან შემდგარი სავაზირო“ მწიგნობარტუხუცეს-ჭყონდიელის, ამოირსპასალარის, მანდატურთუხუცესისა და მეჭურჭლეთუხუცესის შემადგენლობით. აღვნიშნეთ, რომ სავაზიროს შესახებ„ხელმწიფის კარის გარიგებაშია“.

აღსანიშნავია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ძვირფას ცნობებს შეიცავს მოძღვართ-მოძღვრის შესახებ: არსად, არც ერთ წყაროში ამ ინსტიტუტის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მოძღვარ-მოძღვარს სახელმწიფოში ისეთი პატივი აქვს როგორიც არც ერთ მოხელეს. მეფის შემდეგ ის პირველი პირია. დარბაზობის დროს მოძღვართ-მოძღვარს მეფე მეტი პატივით ეგებულობს, ვიდრე კათალიკოსებსა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიელს. მოძღვართ- მოძღვარი სწავლული ბერია. შესაძლებელია ის გელათის აკადემიის რექტორი იყო, მოძღვართა მასწავლებელი, რომელსაც საკუთარი სკოლა ქონდა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და საკუთარი მოწაფეებიც ჰყავდა. ეს იმის მაჩვენებელია, თუ განვითარების რაოდენ მაღალ საფეხურზე იდგა მაშინდელი საქართველო.

ძეგლი გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის, ი. დოლიძისა და ი. სურგულაძის მიერ.

ე) წესი და განგება მეფედ კურთხევისა (XIV ს)

„წესი და განგება მეფედ კურთხევისა“ საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლის თვალსაზრისით შესანიშნაი ძეგლია. სამოხელეო წყობილების გასათვალისწინებლად ის „ხელმწიფის კარის გარიგების ცნობებს აესებს და ადასტურებს.

ძეგლის პირველი გამომცემლის ს. კაკაბაძის აზრით, ძეგლში მოხსენიებულია ათაბაგობის ინსტიტუტი, რომელიც XIII ს-ის დასაწყისში შემოიღეს; აგრეთვე აფხაზეთის კათალიკოსი. აფხაზეთის საკათალიკოსო XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში უნდა იყოს დაარსებული. ამიგომ, ს. კაკაბაძის აზრით, ძეგლი XIII საუკუნეზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს.

ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ძეგლში მსახურთუხუცესი ვეზირებს შორისაა მოხსენიებული, ხოლო მსახურთუხუცესს ვაზირობა რუსუდან მეფემ უბოძა. ნ. ბერძენიშვილი ეარაუდობდა, რომ ძეგლი არ შეიძლებოდა შედგენილი ყოფილიყო XIII ს-ის 40-იან წლებზე ადრე.

ძეგლი მეორედ გამოსცა ი. დოლიძემ, რომელიც ეარაუდობს, რომ იგი XIII ს-ის II ნახევარშია შედგენილი. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მეფის კურთხევის წესი, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსის შრომიდან ჩანს, ცნობილი ყოფილა საქართველოში.

თამარის ისტორიკოსის სიტყვით, თამარის მეუღე კურთხევის დროს „ეინათგან ლიხთ-იმერთაგან იყო წესი დადგმად გუირგუინსა თავსა სამეფოსა“, ამიტომ მოიწუეს „ეპისლოპოსი ქუთათელი ანტონი, საღარის ძე“ და სწორედ ამან შეასრულა ეს წესიო. მამასადამე მეფისთეის გეირგეინი ქუთათელს უნდა დაედგა. ტახტზე ასელა და მეუღე კურთხეუა ისეთი მნიშენელევანი მოელენა იყო, რომ ამისათვის სავსებით გარკეეული განაწესი უმდა არსებულიყო. საეარაუღოა, რომ ამის შესახებ წეილობითი განაწესი არსებობდა. აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრის დაარსების შემდეგ (XIII საუკუნის დასაწყისი) აფხაზეთის კათალიკოსი ქუთათელს შეადგებია: დასაელეთ საქართეელოს საეკლესიო უმაღლესი იერარქი მე ვარ და მეფის კურთხეაც მე მეკუთენისო. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედით, „დაისარჩლნენ აფხაზეთის კათალიკოსი და ქუთათელი იოვანე“. იოვანემ თურმე კათალიკოსს უთხრა: ორჯერ-სამჯერ „ჩემს საყდარსა შიგან“ მეფეები დამოლოცაეს, ე.ი. მეუღე მიკურთხებიაო, ამიტომ „გუირგუინი, ანუ სკიპტრა ჩემსა საყდარსა შიგან არ დასდგა?“ დაეა „ეებრითა და ერთობილთ ლამქართა“ გდაწყეტილებით, ქუთათელის სასარგებლოდ გადაწყდა და „სკიპტრა ქუთაქელს გაუჩინეს“.

თამარის ისტორიკოსის მიხედით, როგორც აღენიშნეთ, მეუღე კურთხეა ქუთათელს უნდა შეესრულებინა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედით, ქუთათელს აფხაზეთის კათალიკოსი შეადგებია, ხოლო „წესისა და განგების“ მიხედით, მეფის კურთხეა მხოლოდ კათალიკოსს შეეძლო. საკითხაია, რომელია უფრო ადრინდელი ძეგლი: „წესი და განგება“, თუ „ხელმწიფის კარის გარიგება“. უწინდელი უნდა იყოს მეორე, რდგამნ მასში საუბარია ქუთათელის მიერ მეფის კურთხეაზე. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ეს წესი სადაეოდ გამხდარა; „წესსა და განგებაში“ ხაზგასმულია, რომ მეფის კურთხეას საქართეელოს კათალიკოსი ასრულებსო: „ ხოლო ესე საცნაურ იყავნ, რომელ თჳნიერ კათალიკოზისა არა ვისგან ჯერ არს კურთხეა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნეშია შედგენილი, ზემოთ კი ეთქეთ, რომ წესი და განგება მეუღე კურთხეისა“ XIII საუკუნის ძეგლად მიაცნიათ. ეს ორი ძეგლი დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში უნდა იყოს შედგენილი. ჯერ „ხელმწიფის კარის გარიგება“ და შემდეგ „წესი და განგება“. საეარაუღოა , რომ ორიეე ძეგლი XIV საუკუნისაა.

რას ნიშნავს „დასდვას“ ან „გაუჩინოს“? ჩანს, თითქოს მეფის კურთხეის გეირგეინი უთათელის უკლესიაში ინახებოდა, ასე ესმის ტექსტის ეს ადგილი ივ. ჯავახიშეილს. ჩეენი აზრით ეს ადგილი ბუნდოეანია: რაკიმ უნდა ინახებოდეს მეფის გეირგეინი ეკლესიაში და არა მეფის სასახლეში? შესაძლებელია, ის გეირგეინი, რომლითაც აკურთხეედნენ მეფეს ტახტზე ასელისას, მხოლოდ ამ ცერემონიისათვის იყო განკუთენილი და მეფე სხვა დროს არ ჰაიდგამდა, ე.ი. სხეა შემთხვეევისთვის მას სხვა გეირგეინი ჰქონდა. მაგრამ სინამდვილესთან ის უფრო ახლოა, რომ მეფის გეირგეინი სასახლეში იყო და რომელი გეირგეინიც უნდოდა იმას დაიდგამდა.

თამარ მეფე როცა აკურთხეს, დასაელეთ საქართეელოდან ქუთათელი თბილისს „აწეიეს“ და გეირგეინი აკურთხებინეს. საეჭეოა რომ ქუთათელს ქუთაისიდან წამოეღო მეფის გეირგეინი. ყოეელ შემთხვეევაში, თუ „ხელმწიფის კარის გარიგებით“ გეირგეინი ქუთაისის ეკლესიაში ინახებოდა, ამეამად საკლესეი ძეგლის მიხედით, გეირგეინი და სკიპტრა მეფის პალატაში ინახება. მეფის კურთხეასა და გეირგეინის დადგმას კათალიკოსი ასრულებს, მას ეხმარებიან აფხაზეთის კათალიკოსი და სავა საეკლესიო და საერო იერარქები.

მამასადამე, ძეგლის მიხედით, როგორც კურთხეეის წესს, ისე გეირგეინის დადგმას კათალიკოს-პატრიარქი ასრულებდა და ამ შემთხვეევაში დასაელეთ საქართეელოს წარმომადგენელი არ იღებს მონაწილეობას. მეფის კურთხეეა რთული წესით სრულდებოდა, პირეელ ყოელისა, კათალიკოსის შერჩეევით, ერთ-ერთი მღდელმთავარი, მღედლები, დიაკენები და მგალობლები სათანადოდ შემოსილნი, მეფის კურთხეეის წინადღით, გმადაგზა გალობით მოდიოდნენ მეფის სასახლეში, მეფის გეირგეინს, სკიპტრას, პორფირსა და ბისონს დადებდნენ ფეიხუმზე და მიიგანდნენ იმ ეკლესიაში, რომელშიც მეფის კურთხეეა უნდა მომხდარიყო. სამეფო ნიშნებს ეკლესიაში საკურთხეესის ტრაპეზე დადებდნენ. ღოცეა მთელი ღამის განმაელობასი მომდინარეობდა. მას ესწრებოდნენ თეით საკურთხებელი მეფე, „სამღვდელოება და საერო პირნი“. გათენებისას, ღოცეის შემდეგ, მიდიოდნენ დასასეენებლად, ხოლო დასაწყისში, როცა „სამჯერ რეკონ ძელსა“,კელავ მეიკრიბებოდნენ. მეფის ჯვარისმტვირთველი „ძელი ცხოერებისას“ დაიჭერდა ხელში და მთავარდიაკონის წინამძღოლობით მეფის სასახლეში მიემართებოდა. სამეფო პალატაში მესელისას, თაეშოდრეკილი ჯვარისმტვირთველი ასე მიმართაედა მეფეს: „ჳაკურთხენ, წმიდაო და თჳითმპყრობელომეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქუენისანი“; ლამქარიც იგიეეს იმეორებდა.

შემდეგ თაემოდრეკილი ჯვარისმტვირტველი მიმართაედა ლამქარს: „და თქუენცა გიხაროდენ ძალნო ულეველნო და დამამხობელნო მტერთა სამეფოთანო, ჳამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად“.

საყურადღებოა მეფის მიმართ ნახმარი ტერმინი „თეითმპყრობელი“. ამ შემთხვეევაში „თეითმპყრობელი“ მხოლოდ „სუეერენს“ ნიშნავს; მაგრამ საქართველოში აბსოლუტური მონარქია არ დამყარებულა. მეუღების ბრძოლა უეოდალების ასაღაგმაედ მათი განცალკეევებისაკენ მიდრეკილების აღმოსაფხვრელად, მეფეების გამაარჯეებით არ დამთავრებულა, პირიქით, თამარ მეფის წინააღმდეგ უეოდალთა აჯანყებანი ერთგვარი

კომპრომისით დამთავრდა; მსხვილი ფეოდალები ქეყანას მეფესთან ერთად განაგებდნენ. ძეგლშიც სწორედ ეს გარემოებაა ასახული.

როგორც უნახეთ, ჯვარისმტვირთველი მეფის შემდეგ ლაშქარს მიმართავს. „ლაშქარი“ამ შემთხვევაში უნდა იყოს სამხედრო გავლენიანი წრე. ეს იყო ის „ლაშქარი,“ რომელსაც ჯვარისმტვირთველმა მიმართა: დრო არის მეფის კურთხევას შეეუდგეთო. ეს იმასაც ნიშნავს, რომ „ლაშქარი ის დიდი ძალაა, რომელსაც მეფის ტახტზე ასვლა ეკითხება. გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, მამის მიერ ტახტზე აყვანილი თამარი ამ ლაშქარმა ისევე აკურთხა მეფედ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მსხვილმა ფეოდალებმა ხაზგასმით აღნიშნეს: მეფის ტახტზე ასვლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ვისაც გვინდა იმას ავიყვანთ ტახტზეო.

ივ. ჯავახიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ მეფის გვერდით, „ლაშქრის“ სახით მეფის „სწორი მეორე ძალა არის წარმოდგენილი.

ჯვარისმტვირთველის ამ მიმართვის (მეფისა და ლაშქრისადმი) შემდეგ შედიოდნენ ეკლესიაში, სადაც კურთხევა უნდა მომხდარიყო: წინ მიპქონდათ „ ზარი მეფეთა და შემდგომად დრომა და შუბი.“ ამას მიპყვებოდნენ „მთავარდიაკონი და ჯვარისმტვირთველი, მეფე და ლაშქარი“. რას ნიშნავს „ზარი მეფეთა“? თუ მხედველობაში მიეიღებთ იმ გარემოებას, რომ პროცესია მეფის სასახლიდან ეკლესიაში მიემართებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ზარი არის ძვირფასი კიდობანი, ანუ ძვირფასად მორტული ტოდორი, რომლითაც მიჰქონდათ სამეფო რეგალიები და სხვა საგნები. ხოლო გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და ბისონი სასახლიდან ეკლესიაში წინა ღამით მიტანილი იყო.

ჯვარისმტვირთველის შემდეგ მიდიოდა მანდატურთუხუცესი „სამანდატუროსა არგინისა მქონებელი,“ შემდეგ კი მეფე და „ლაშქარი“. როდესაც თამარ მეფემ ჭიაბერს მანდატურთუხუცესობა უბოძა, „მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა“. მაშასადამე, ოქროს არგანი იყო მანდატირთუხუცესის სამოხელეო ნიშანი. მანდატურთუხუცესი სასახლის მთავარი განმკარგულებელი იყო.

მეფეს მარჯვნივ მიპყვებოდა ხმალშემორტყმული ამირსპასალარი, რომელსაც ორივე ხელში სამეფო ხმალი ეჭირა. ამირსპასალარი სამხედრო უწყებისუფროსი იყო და მას მეფის კურთხევის დასასრულს, მეფისათვის ხმლის შემორტყმა ევალებოდა. მეფის მარჯვნივ, ამორსპასალარს ახლდა ამილასპონა და მეაბჯრეთუხუცესი“. მარცხნივ მიდიოდნენ ჭყონნდიდელი, ათაბაგი და „სხუანი მთავარნი“. „ეზოთუხუცესსა, ჩუხჩერახსა, მეაბჯრეთუხუცესსა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში და მეფის უკანით მიდიოდნენ“.

პროცესია ასეთი წესით მიდის იმ ეკლესიაში, სადაც მეფე უნდა ეკურთხოს. ეკლესიის კარებთან მას ხვდებიან კათალიკოსი და ეპისკოპოსები.

კათალიკოსი მეფეს თავმდრკიით ხმამაღლა მიმართავს: კურთხეულ არს მოსელა თქუენი და დამტკიცება მეფეთ-მეფედ სამეფოსა ამას თქუენსა-ზედა, და განამტკიცნეს ღმერთმან მიმსა და სარწმუნოებასა მისსა ზედა, და დაგამორჩილნეს ყოველნი მტერნი და წინააღმდგონი სამეფოსა ამის თქუენისანი ქვეშე ფერხთა თქუენთა“, კათალიკოსის ამ სიტყვაზე დამსწრენი „ამინ“-ით უპასუხებენ.

ყურადღებას იქცევს გამოთქმა „მეფეთ-მეფე“. ეს ერთი მხრივ, მეფეზე აღმატებული ტიტულის მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ, იმისა, რაც საქართველოს ფეოდალური მონარქიის სისუსტის ერთ-ერთი მაჩვენებელია. კათალიკოსი მეფეს მიუთითებს სარწმუნოებისა და ღვთისადმი ერთგულებაზე, ეს საფუძველია იმისა, რომ მან სძლიოს მტერნი და მოწინააღმდეგენი, რომ სამეფოში ყველა მეფის „ფერხთა ქვეშე უნდა იყვნენ,“ ე.ი. ყველანი მეფეს უნდა ემორჩილებოდნენ. ეკლესია, ამ შემთხვევაში, მეფის ერთგულებას იჩემებს, ცდილობს მის გაძლიერებას.

მეფე კათალიკოსს მდაბლად დაუკრავდა თავს, რომელიც მარჯვენა ხელს დაუჭერდა, ხოლო მარცხენას (სიტყვა „მარცხენა ხელს“ ძეგლში არ არის) აფხაზეთის კათალიკოსი, ის თუ არ იყო, მაშინ იმხნელი ან მთავარეპისკოპოსი, და ამ სახით, მეფე „წარიყუანონ და სამეფო ადგილს დააყენონ“ ეკლესიაში. სამეფოს დროშა და შუბი ეკლესიის გარეთ უნდა ეჭიროთ.

აფხაზეთის კათალიკოსმა ან მთავარეპისკოპოსმა მეფე „საჰხუროს“, ჯვარისმტვირთველი ამირსპასალარს გამოართმევს სამეფო ხმალს და საკურთხეველში დადებს. მღვდელთმოძღვარი საკურთხეველიდან ბისონს აიღებს, თავს მიოღრეკს და მეფეს მუხლებზე დაუყენს. ამის შემდეგ მეფეს კათალიკოსთან მიიყვანენ, იგი კაკალიკოსს თავს მოუდრეკს და ეტყვის: მაკურთხე მე/უფლო“. კათალიკოსი ჯვარს დასწერს და აკურთხებს. ამის შემდეგ, ის მღვდელთმოძღვარი, რომელმაც მეფე კათალიკოსთან მიიყვანა, წაუძღვება მეფეს თავის ადგილას.

სახარების წაკითხვის შემდეგ გამოდის აფხაზეთის კათალიკოს, თუ ის არ არის იმხნელი და მთავარეპისკოპოსი. ესენი მიპკიდებენ ხელს მეფეს: ერთი მარჯვენა, მეორე მარცხენა მხარეს და მიიყვანენ საკურთხეველთან და სამჯერ ათაყვანებენ. კათალიკოსი მეფეს აკურთებს და მიმართავს სიტყვით, რომ ღვთის მიერ „მეფედ ხარ განჩინებული“, დამსწრენი სამჯერ ეტყვიან „ამინს“. ამის შემდეგ კათალიკოსი აიღებს საკურთხეველიდან გვირგვინს, „დარქუამს“ თავზე მეფეს, შემდეგ იღებს პორფირს და მთააცვამს მეფესა“.

შემდეგ კათალიკოსი მეფეს ბისონს ჩააცმევს, ხელში (მარჯვენაში) მისცემენ სკიპტრას, მგალობელნი მეფის მისამართით მრავალჟამიერს შეასრულებენ. მეფე დგას წირვის დასრულებამდე. შემდეგ მღვდელთმოძღვარნი ეზიარებიან და აზიარებენ მეფესაც. ამირსპასალარი

მეფეს ხმალს შემოარტყამს და ბოლოს მიდიან სასახლეში იმავე წესით, რა წესითაც ეკლესიაში მოვიდნენ. მეფის მარჯვენა ხელი კათალიკოსს უნდა ეჭიროს, მარცხენა აფხაზეთის კათალიკოსს ან ჭყონდიდელს, ან იმხნელს. კათალიკოსმა და ჭყონდიდელმა „ტახტსა ზედა დასვან მეფე და წამოვიდნენ“. ჯვარისმტეირთველი იღგა მეფის ტახტის მარჯვენა მხარეს და ხელში „ძელი ცხოველისა“ ეჭირა. შემდეგ იწყებოდა „ლაშქართა თაყვანისცემა“ და „ძღუნის“ მეწირვა.

მეფის პირველი მიმლოცველი დედოფალია. შემდეგ მიმლოცველები ასეთი რიგითაა მოცემული: კათალიკოსი, ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამორსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი, შემდეგ მიდიან სხვა მოხელეები. როდესაც მილოცვა დამთავრდება, ჯვარისმტეირთველი ტახტიდან ჩამოვა და შესამოსელს გაიხდის. სამი დღის განმავლობაში მეფე ტახტზე ზის გირვანქითა და პორფირით.

„წესი და განგება მეფის კურთხევისა, „ხელმწიფის კარის გარიგებისაგან“ განსხვავებით საკანონმდებლო შინაარსის ძეგლია.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებულია აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსები, ხშირად კი ორი კათალიკოსი, იგულისხმება აფხაზეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსები. „წესსა და განგებაში“ მოიხსენიება აფხაზეთის კათალიკოსი და კათალიკოსი, ე. ი. საქართველოს კათალიკოსი, რომელიც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ან ქართლის კათალიკოსად იწოდება, ან, უბრალოდ, კათალიკოსად, რომელიც საქართველოს კათალიკოსად იგულისხმება. მაშასადამე, „წესისა და განგების“ მიხედვით, მეფის ტახტზე კურთხევას მხოლოდ კათალიკოსი აწარმოებს.

ამავე საკითხს ეხება აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი, იგი აღნიშნავს, რომ „წესისა და განგების“ მიხედვით,მეფეს გეირგეინს ქართლის კათალიკოს-პატრიარქი დააღვამს. მეცნიერი განაგრძობს: „როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, მეფის კურთხევის წესში მოხდენილი ცვლილება ქუთაისელს თავისი უფლება მელახვად მიუჩნევია და კათალიკოზისათვის მითვისებული უფლება გაუსაჩივრებია. ასეთი გასაჩივრების, ეგრონ ჯ XIV ს.. ერთი კვალთაგანი „კარის გარიგებაშიც“ არის დაცული“, და მას მოპყავს ჩვენს მიერ დასახელებული ადგილი „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“, რომლის მიხედვით, ქუთაისელი და აფხაზეთის კათალიკოსი ერთმანეთს ედაებოდნენ კურთხევის უფლების შესახებ. აკად. ი. ჯავახიშვილი დასძენს: „ცხადია, ასეთი სარჩელი აქ აღნიშნულ ხანაზე გაცილებით უწინარესაც და ქუთაისელ-ქართლის კათალიკოსს შორისაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ქუთაისელს სარჩელი, როგორც ეტყობა, წაუგია, ანდა უშედეგოდ დარჩენილა“. ი. ჯავახიშვილის აზრი, იმის შესახებ, რომ ქართლის კათალიკოს-პატრიარქს მეფის კურთხევის უფლება მითვისებია, ეს ქუთაისელს თავის უფლების დარღვევად მიუჩნევია და გაუსაჩივრებია, ამ გასაჩივრების ერთგვარი კვალი, თითქოს მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, ჩვენ არაზუსტად მივაჩნია. ვინაიდან მეფე აფხაზთა და ქართველთა ტახტზე ადიოდა ქუთაისში, რომელიც დაეით აღმაშენებლამდე საკახეო ქალაქი იყო, ამიტომ გვირგვინს მას ქუთაისელი უკურთხებდა. აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრა დაარსებული უნდა იყოს XII ს-ის ბოლოსა თუ XIII ს-ის დასაწყისში; აფხაზეთის კათალიკოსის ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, როგორც ჩანს, აფხაზეთის კათალიკოსმა მოიხლომა ქუთაისელისთვის მეფის კურთხევის უფლება ჩამოერთმია და თეითონ მიეთვისებინა, როგორც დასაელეთ საქართველოს უმაღლეს საეკლესიო იერარქს. როგორც ჩანს, ეს დაეა ქუთაისელის სასარგებლოდ გადაწყვეტილა, მაგრამ შემდეგში ეს უფლება კათალიკოს-პატრიარქს მიუთვისებია, მით უფრო, რომ როგორც საერო, ისე საეკლესიო უმაღლეს ხელისუფალთა რეზიდენცია აღმოსაელეთ საქართველოში იყო გადმოსული.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ეპისკოპოსთა შორის იმხნელი ფრიად საპატიოა. ეპისკოპოსები ასეა ჩამოთვლილი: იმხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მგბეეარი, გოლგოთელი. „ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით“ იმხნელს ქუთათელის თანასწორი პატივი აქვს.

აღსანიშნავია, რომ „წესისა და განგების“მიხედვითაც იმხნელი აფხაზეთის კათალიკოსის შემდეგ მოიხსენიება და თუ აფხაზეთის კათალიკოსი არ არის, ცელის კიდეც მას. მამასადამე, იმხნელსა და ქუთათელს თანასწორი პატივი აქვთ. შეძლება ეიეარაუღოთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „წესი და განგება“ დაახლოებით ერთ ეპოქაშია შექმნილი, როცა იმხნელი ეპისკოპოსებს შორის პირველთაგანი იყო. „წესი და განგება“ ერთადერთი ძეგლია, რომელშიც სამოხელეო მგაგი ისევეა წარმოდგენილი, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

აღენიშნეთ, რომ კურთხევის შემდეგ მეფეს მიესალმებია, ჯერ დედოფალი,შემდეგ კათალიკოსი, შემდეგ ეემირები: ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურტუხუცესი და სხვა მოხელენი და სახელოს არ მქონე დარბაისელნი. საკითხი ეხება გაერთაიანებული საქართველოს კარის დიდ მოხელეებს, ანუ ეემირებს. ამ შემთხეევაში მხოლოდ ეს ორი ბეგლია („ხელმწიფის კარის გარიგება“ და „წესი და განგება“), რომელშიც ყველა ეემირია მოხსენიებული მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ათაბაგის შემდეგ ამირსპასალარია დასახელებული, ხოლო „წესსა და განგებაში“ მანდატურთუხუცესი. პატივი ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ერთნაირია, მაგრამ ამირსპასალარი ყოველთვის უწინ მოიხსენიება. შესაძლებელია, „წესსა და განგრაში“ უბრალო შეცდომასთან გექონდეს საქმე ან იქნებ, ძეგლი პირეელად მანდატურთუხუცესის მოხსენიებას მართებულად ცნობს. ყოველშემთხეევაში,

საყურადღებოა, რომ „წესი და განგება“, ისე როგორც „ხელმწიფის კარის გარიგება“ გაერთიანებული საქართველოს სავაჭიროს შემადგენლობას ერთნაირად წარმოგვიდგენს; მსახურთუხუცესი ვეზირებს შორის არის მოხსენიებული, ის კი, როგორც აღვნიშნეთ, ვეზირად რუსუდან მეფის დროს გახდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ მეფის „კურთხეის წესი“ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი უნდა იყოს, მაგრამ ამ ორი ძეგლის შედარებითი შესწავლა შეძლებ გარემოებას არკვევს; მეფის მგზაურობის დროს „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, წარდახნის უხუცესი და ამირჩუხჩი ჯვარისმტვირთველისა და მეფის შუა მიდიან, ხოლო „წესისა და განგების“ მიხედვით, მეფესა და ჯვარისმტვირთველს შორის არის მანდატურთუხუცესი „სამანდატუროსა არგნისა ხელთ მქონებელი“. ამიგომ „მეფის კურთხეის წესი“ არ არის „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილო. დიდი მეცნიერის მიერ მოყვანილი დასაბუთება განმარტებას საჭიროებს. „წესსა და განგებაში მეფის მგზაურობა განსაკუთრებული შემთხვევებისთეის არის გათვალისწინებული. მეფე და მისი თანმხლები საერო და საეკლესიო პირები ეკლესიაში მიდიან მეფის კულტხევის ცერემონიის მესასრულებლად. ეს პროცესია ფეხით მიემართება სასახლიდან ეკლესიამი. ხოლო „ხელმწიფის კარის გარიგებით“, მეფე ამხედრებულია, ცხენით მიემგზავრება, ეს მეფის ჩეულებრივი მგზაურობაა სამეფოს რომელიმე ნაწილში, რაიმე საქმეე დასხეა. ამ ორ განსხვავებულ შემთხვევაში მოგზაურობა შესაძლებელია განსხვავებული წესით სრულდებოდა.. როცა მეფე ამხედრებულია და უფრო შორს არის მისი მგზაურობა გამიზნული, მაშინ მას სხვაგვარი მომსახურება ესაჭიროება, ხოლო კურთხევის პროცესის დროს მეფეს სხვა შემადგენლობის ამალა ახლავს. ამგვარად, მეფის ამხედრებული მგზაურობა სდა სასახლიდან ეკლესიამი კურთხეისათვისათის მსელელობა საესებით სახადასხვა შემთხვევაა და მათი სხვაგვარი აღწერილობა არ გამორიცხავს, რომ „წესი და განგება“ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი იყოს. მაგრამ ამ ორ ძეგლში ვაზირებს ჩამოთელა ერთნაირი არ არის. ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის აღგილების შეცვლითი მოხსენიება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „წესი და განგება“ არ არის „ხელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი. არის სხვა განსხვაეებაც. საესებით მართებულად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „ხელმწიფის კარის გარიგების“ სრულ ტექსტს ჩეენამდე რომ მოელწია, მასში დაცული იქნებოდა მეფის კურთხეის წესიც.

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს საქართველოში მეფეთა ტახტზე ასვლის ყველა შემთხვევას, რომელთა შესახებ ცნობებია დაცული.

ადარნასეს მეფედ დასმა აღნიშნული აქვს სუმბაკ დავითის ძეს, მაგრამ რაიმე ცერემონიაზე იქ საუბარი არ არის: „ადარნასე დასუეს ქართველთა მეფედ“. ძნელია იმის თქმა, თუ რაგომ არაფერს ამბობს ისტორიკოსი მეფის ტახტზე ასვლის ცერემონიალის შესახებ. საეარაუდო სწორედ ის არის, რომ მეფის ტახტზე აყვანა გარკეეული წესით მოხდებოდა: საქართველოში კარგად იცნობდნენ ბიზანტიის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების ტახტზე აყვანის წესებს. განსაკუთრებით ამ შემთხვევაში სამაგალითო ბიზანტია იქნებოდა. ყურადღებას იქცევს ის ეარემოება, რომ მაშინდელ საქართველოში მეფობის აღგილობრიეი ტრადიციებიც იქნებოდა შემონახული. ეახტანგ გორგასლის მეფობის შესაებ ცნობები, გადმოვემით, მთელი სამუალო საუკუნეების განმაელობაში იყო შემონახული. ის გარემოება რომ სუმბათს ადარნასე მეფის ტახტზე ასვლა აღწერილი არა აქვს, შემთხვეეითი გარემოებით აიხსნება. როცა ლიპარიტმა ბაგრატ IV საბერძნეთში გააქცია, „მატიანე ქართლისას“ მიხედით, ბაგრატის შვილი გიორგი II ლიპარიტის ინიციატივით „მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ“. საყურადღებოა რომ ისტორიკოსის სიტყეებით, მეფის ტახტზე ასვლა საჭიროებდა ეკლესიამი კურთხევას, ეს ამ შემთხვევაში რუისის ეკლესიამი მეუსრულებიათ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გეამცნობს, რომ დავითმა თავისი შვილი დემეტრე დასვა ტახტზე და „დაადგა თავსა შუენიერსა გუგუნი ქვათაგან პატიოსანთა“, მეარტყა „წელთა ძლიერთა მახული“ ამასთანავე, „შემოსა პორფილი მლაეთა ღომებერთა და ტანსა ახოვანსა“. მაშასადამე მეფედ კურთხეის დროს მეფეს თავზე გეირგვინს აღეამდნენ. ამიგომაც მეფე „ეეირგვინოსნად“ იწოდებოდა. წელზე ხმლის შემორტყმა მის უმაღლეს მთავარსარდლობას ნიშნავდა.

გიორგი III-მ სიცოცხლემიეე აიყვანა თაეისი ქალი თამარი ტახტზე; თამარის პირეელი ისტორიკოსის სიტყეით, მეფემ თამარს „დაადგა გურგუნი ოქროსა თავსა მისსა“. იგიეე ისტორიკოსი უფრო დაწერილებით აგეიღწერს თამარის მეორედ ტახტზე ასვლას მამის გარდაცვალების შემდეგ. ისტორიკოსის სიტყეებით, რადგანაც „ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გურგუნსა თაესა სამეფოსა“, ამიგომაც „აწ ეს მონაზონი ღირსი და მაღლშემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონ საღირის-ძე მიღებად გეირგვინისა“, რაჭისა და „თაკუერის“ ერისთავი კახაბერი, სეანთა ერისთავი ვარდანის-ძე, საღირის-ძე და ამანელის ძენი მოიწეიეს მეფისათეის ხმლის შემოსარტყმელად. საყურადღებოა, რომ როგორც ქუთათელი, ისე ხმლის დამჭერი დიდებულები დასაელეთ საქართველოდან არიან. ეს არის მეფეთა კურთხევის ძეელი წესი, როცა სამეფო ტახტზე დასაცლეთ საქართველოში აღიოღნენ.

„წესსა და განგებაში კი ეს გადმონათმი აღმოფხვრილია და ერთიანი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაფერისად მეფისათვის თავეზე გვირგვინის დადგმა კათალიკოსის ხელშია, ხოლო სამეფო ხმალი ამირსპასალარს აბარია.

8) გიორგი V-ის ძეგლის დადება

გიორგი V (1318-1346წწ), დიმიტრი თაყდადებულის შვილი, ენერგიული და გამჭრიახი მეფე იყო. მან სამართლიანად დაიმსახურა „ბრწყინვალის“ სახელი. გიორგი საგარეო და საშინაო ვითარებაში კარგად ერკვეოდა. მან აღღო აუღო საერთო მდგომარეობას და შეძლო მონღოლების ყოვლისშემძლე ეეშირის – ჩობანის დაახლოებული პირი გამხდარიყო. მიეიდა რა ურღოსა მეფე გიორგი, განიხარა ჩოუან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მისცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დაეით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასანი“. მიიღო რა მონღოლთა მხარდაჭერა გიორგი V-მ მტკიცედ მოკიდა ხელი ქვეყნის გაერთიანებას; მან პირველ ყოვლისა, ალაგმა ოსთა თარეში საქართველოში, ბოლო მოუღო მთაეართა თეითნებობას, მოწეია ურჩი მთაერები კახეთში ცივის მთაზე და ამოაწყვეტინა ისინი. გიორგი მეფემ დასავლეთ საქარტველოს შემოერთება 1329 წელს მეძლო. როცა დასავლეთ საქართველოს მეფე მიქელი გარდაიცვალა, გიორგიმ მისი შვილი, პატარა ბაგრატი თბილისში წამოიყვანა და ამით ორ მეფობა მოსპო. 1334 წელს მეფემ, როცა მესხეთის მთავარი, გიორგი V-ის ბიძა, გარდაიცვალა, გიორგიმ მესხეთიც საქართველოს მეფეს დაუმორჩილა.

ამის შემდეგ გიორგი V ყურადღება მთიულეთზე გადაიტანა. მთიულეთში აღგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ გამოსულებს ჰქონდა აღგილი, გახშირებული იყო მკვლელობა და სხვა დანაშაული, მეფე გიორგიმ პირადად შემოიარა მთიულეთი. ჩამოიყვანა იქიდან წარმომადგენლები თბილისში, მოიწეია დარბაზი და მთიულეთს შეუღგინა სამართლის წიგნი – „ძეგლის დადება“, რაც 1334 – 1335წლებში უნდა მომხდარიყო.

მაშასადამე, „ძეგლის დადება“ შედგენილია მთიულეთისათვის, საქართველოს ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხისათვის. ამის მიზეზი, როგორც ძეგლის შესაეალშია ნათქვამი, მთიულეთში დაწყებული არეულობა ყოფილა. „ძეგლის დადება“ ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებისაგან შედგება.

ძეგლი შედგება შესაელისა და 45-I მუხლისაგან. მასში ჩამოთვლილია შემდეგი დანაშაული:

1) მკვლელობა: ერისთავის (მუხ-1), გამგებლის (მუხ2-5), ხევისბერის, მისი ნათესაეის ან განაყოფის (მუხ6-10), პეროვანის, ციხისთავის, დედ-მამათა და ძმის (მუხ11-15-17); 2) სამხედრო ეალდებულებისათვის („სალაშქრო საქმე“) თაეის არიდება (მუხ.19-20); 3) ცოლის გაშვება და მოტაცება (მუხ.21-25;29); 4)ციხის დაქცევა (მუხ.26) 5) თაედასხმა(მუხ.28); 6) უარშანგობა (უპატიობა) (მუხ.30); 7)დაჭრა და ასოთ მირება (მუხ. 31-39); 8) ასაბიას მოკვლა ან დაჭრა (მუხ.40); 9) ამიერთ და იმიერთ (ხევის) ერთმანეთთან სამგროდ მიდგომა (მუხ.42); 10) მეკობრობა (მუხ. 43-44); 11) ეალი და პროცენტი (მუხ. 45); 12) გაყრა (მუხ. 18) 13)ბეითალმანი ქონება (მუხ.27); 14)მოხუცი მამისა და შვილების ურთიერთობა (მუხ.16).

როგორც ეხედავთ, სამოქალაქო სამართალს ეხება მხოლოდ ოთხი მუხლი: 16, 18, 27 და 45. მე-16 მუხლი ეხება მამისა და შვილების ეკონომიურ ურთიერთობას. მე-18 მუხლი გაყრას, 28-ე ბეითალმან ქონებას და 45-ე ეალის საკითხს.

სისხლის სამართლის დანაშაულს შეიცავს მუხლები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 17, სამხედრო ეალდებულების თაეიდან აცილებას – მუხ. 19, 20; ცოლის გაშვებას და მოტაცებას – მუხ. 21, 22, 23, 24, 25, 29; ციხის დაქცევას – 26; თაედასხმას –მუხ.29; უპატიობას – მუხ, 31; დაჭრას – მუხ. 32, 33, 34, 35, 36, 37, 28, 38, 40;ასაბიის მოკვლას ან დაჭრას – მუხ. 41; ერთმანეთთან სამგროდ მიდგომას – მუხ.43; მეკობრობას – მუხ.43-44; სისხლის სამართლის მინაარსის არის 41 მუხლი.

ძეგლის დადება პატრიკულარული დანიშნულების ძეგლია. ის სედგენილია, როგორც ეთქვით, მხოლოდ მთიულეთისათვის, რომელიც განვითარების მხრივ დიდად ჩამორჩებოდა ბარს. ამის გამო, ძეგლის დადებით, შურისძიება შეზღუდულია, მაგრამ საესებით აკრძალული არ არის.

ვისაც ცოლი მოსტაცეს, მას უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში მომტაცებელს თვითნებურად უპასუხოს დაწეით, მოტაცებით ან დარბევით (მუხ.22, 25, 29); ძეგლის მიხედვით, თუ ვინმემ მოპირდაპირე სამჯერ გამოიძახა სასამართლოში და მისგან გამოცხდებაზე უარყოფითი პასუხი მიიღო, გამომწვევს შეუძლია თაეს დაესხას მოპასუხეს (მუხ. 28). თუ ვინმეს რამე მოპარეს, დამკარგავს შეუძლია მოითხოვოს თაეისი საქონელი უკან, ამის შესახებ დამკარგავი განმგებელთან და ხევისბერთან უნდა მიეიდეს; მაგრამ, თუ მომპარავმა საქონელი უკან არ დააბრუნა, მაშინ დამკარგავს შეუძლია ძალა იხმაროს დამ ას თავზე „დამსხმელი“ არ ეწოდება, ე.ი. ამის უფლება აქვს (მუხ. 54). მაშასადამე, შურისძიება და თვითგასწორება დაშვებულია, თუმცა ის შეზღუდულია, ერთი მხრივ დროით (ერთ წლამდე), მეორე მხრივ ხელისუფლებით, ე.ი. თაედამსხმელი ჯერ განმგებელთან ამნ ხევისბერთან უნდა გამოცხადდეს. ამის გარდა,

თეითგასწორებას პიროვნული ხასიათი აქვს. შურისძიება არ გადადის გვარზე, როგორც ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო.

სასჯელის სახეებში მოცემულია გაძევება (მუხ. 3, 9) და გაპარსვა (მუხ. 2). ცხადია, სასჯელის ორივე სახე ადათობრივი სამართლიდან მომდინარეობს და მათი ძირი ისევ გვაროვნული წყობილებაა. თემური წყობილებისათვის გაძევება უმაღლესი სასჯელი იყო.

„ძეგლის დადების" ძირითადი წყარო ადათობრივი სამართალია. ეს გასაგებიცაა: მთიულეთში მოქმედებდა ადათები და ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების საწყისები. კანონმდებელი იძულებულია მხედველობაში მიიღოს სისხლის აღების ჩვეულება. იგი ცდილობს, სადაც კი შესაძლებელია, გააგაროს განვითარებული სამართლის საწყისები. გიორგი V-ის დროს და მის წინა პერიოდში იყო სამართლის წიგნები. ამის შესახებ „ძეგლის დადებაში" თითქოს მითითებულიც არის, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ისეთ სახელმწიფოში, როგორიც გაერთიანებული ფეოდალური საქართველო იყო სამართლის წიგნები არ ყოფილიყო. ცნობილია, რომ საქართველოში არა თუ სისხლის სამართლის კოდექსები, არამედ ცალკეული უწყებისათვის საგანგებო იურიდიული აქტებიც იქმნებოდა, მაგალითად, გიორგი III-ის სიგელის მიხედვით, საქართველოში ჩამოყალიბებულია სამპარაეთმბებნელო დაწესებულება, რომელსაც თავისი მგატი და თავისი დებულებაც გააჩნია. ქართული სამართლის საწყისების გავლენა ჩანს „ძეგლის დადებამიც." ძეგლის მიხედვით, კეალიფიციურ მკვლელობად ითვლება დედის, მამისა და ძმის მკვლელობა (მუხ. 15,17). კანონმდებელს მშობლების მკვლელობა მეტად შემზარავ დანაშაულად მიაჩნია, რომელსაც ყოველგვარი სასჯელი ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით, კანონმდებელი იხილავს თანამონაწილეობის საკითხს: თანამონაწილეები ერთნაირად ისჯებიან. შვილები მშობლების მკვლელობისათვის კეალიფიციური დანამაულისათვის აგებენ პასუხს, მაგრამ შეილების თანამონაწილე გარეშე პირი, წერს კანონმდებელი, არ უნდა აგებდეს პასუხს კვლიფიციური დანამაულისათვის, რამდენადაც მოკლული არ არის მისთვის მშობელი (მუხ. 15), ამიგომ თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს ჩვეულებრივი მკვლელობისათვის.

ძეგლი ქართულად გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ, მოკლე შესალეით. შემდეგ ის 1930 წელს დაიბეჭდა. ძეგლი ორჯერ გამოსცა ი. დოლიძემ. ძეგლი რუსულ ენაზე გამოვიდა 1836 წელს. ამიერკავკასიაში რუსული მმართველობის საჭიროებისათვის გამოცემული იყო ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული და ამაში შედიოდა გიორგი V-ის „ძეგლის დადებაც". 1887 წელს მეორედ გამოვიდა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის რუსული თარგმანი, ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ერცელი კომენტარებით. ამ კრებულში მოცემულია გიორგი V-ის „ძეგლის დადებაც" ძეგლი გადათარგმნილია ინგლისურად ოლიეერ უორდროპის მიერ. ფრანგულად კი ი. კარსტის მიერ.

ამ ძეგლის მიხედეით გამოიკვლეეა დაწერა ნ. ურბნელმა (ნ. ხიზანიშეილმა), ხოლო იგი თავიანთ შრომებში ვრცლად განიხილეს ივ, ჯავახიშეილმა, იე. სურგულაძემ, ი. დოლიძემ და სხვა.

თ) აღბუღას სამართლის წიგნი

„აღბუღას სამართლის" წიგნი ქართული სამართლის ისტორიის რიგი ინსტიტუტების შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია. ძეგლის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ეკუთვნის ერთ კანონმდებელს. ძეგლის დასაწყისი — შესავალი თეითონ აღბუღასია. პირეელი 65 მუხლი — ბექასი, 65-დან 98-ე მუხლამდე — აღბუღასი, ხოლო 100-დან 103 მუხლის ჩათელით და შეიძლება მეტიც ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. მაშასადამე, ძეგლი რამდენიმე საკანონმდებლო აქტისაგან შედგება. ძირითადი, თავდაპირეელი ნაწილი, როგორც ეს 1672 წლის ხელნაწერიდან ჩანს, არის პირეელი 98 მუხლი, რომელიც ბექასა და აღბუღას ეკუთვნის; ამ 98 მუხლიდან 65 ბექასია, ხოლო 33 აღბუღასი, 98-დან დაწყებული მუხლები შემდეგ არის მიმატებული.

დ. ჩუბინაშეილის გამოცემით, ძეგლი 175 მუხლისაგან შედგება დამ ას აღბუღას სამართლის წიგნი ჰქეია. ვახტანგის სამართლის წიგნის კრაბულში ეს სამართლის წიგნი 176 მუხლისაგან შედგება და იქაც ძეგლი აღბუღას სახელწოდებას ატარებს. ი. დოლიძის გამოცემით, ეს სამართლის წიგნი 175 მუხლისაგან შედგება და მას ბექა-აღბუღას სამართალი ეწოდება. 1672 წლის ხელნაწერით, რომელიც უმეელესია და 98-ე მუხლით მთაერდება, სამართლის წიგნს ეწოდება: „წიგნი სამართლისა კაცთა მეცოდებისა ყოეელგვე".

სამართლის წიგნის მესაეალში აღბუღა წერს: მეეკრიბე საბჭო და პაპაჩემის, მანდატურთუხუცესის ბექას სამართლის წიგნი, ანუ „განაჩენი" დაეიდეი წინ და „სრულობიც და უკლებლად დაესწერეთ", ე.ი. ბექას სამართალი უკლებლიე გადმოეიწერე და დავამტკიცე სამოქმედოთო; ამასთანავე, იგი წერს, რომ ბექას სამართალს დაეურთეთ ჩვენი სამართალიო: „და რაცა ქამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყენენ, მათი სამართალიცა ბედ დაეურთეთ? თვით ბექას სამართალს დაურთო? 66-ე მუხლიოს წინ, აღბუღა აცხადებს, რომ მან გამოიკელია, შეისწავლა „სრულისა სამცხისა საქმე," ცხენის ქურდობა გახშირებულიყო, აღბუღამ „სააპაგიო კანონი" მოიწეია და მათთან „ბჭობით" დაადგინა, რომ ძეელი „განაჩენით" იხელმძღვანელოს და ახალიც დაუმატოს. აღბუღამ დაწერა 33 მუხლი. ძეელი განაჩენის სახით, ამ

შემთხვევაში, აღბუღას ბექას სამართლის წიგნი არ უნად ჰქონდეს მხედველობაში, რადგანაც ბექას სამართლის წიგნში მეკობრეებზე არ არის საუბარი. როდესაც პირველ შესაელში საუბარია „ზედ დართვაზე," შესაძლებელია ეს დართვა თვით ბექას სამართლის წიგნს შეეხებოდეს და აღბუღამ რომელიმე მუხლი დაუმატა კიდეც ან შეიძლება „ზედ დართვა" ისე გავიგოთ, რომ ბექას კანონებს საკუთარი კანონებიც მიუმატა. „სრულობით და უკლებლად" ბექას სამართლის წიგნი რომ აღბუღას არ გადმოუწერია, ამის შესახებ ის ქვემოთ წერს: ბექას დროინდელი ფულის ერთეული – ყაბანური (მონღოლური) გიორგაულით – გიორგი V-ის სახელით მოჭრილი ფულის ერთეულით შეეცალეო. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აღბუღა საბღვარის რაოდენობ ამიც შეიგანდა ცვლილებას და საერთოდ „ი „ბექას სამართლის წიგნი შენახულია აღბუღა ათაბაგის დროის საკანონმდებლო კრების რედაქციით."

შეიგანა თუ არა აღბუღამ სხვა ტაიმე ცვლილება ბექას სამართალში არ ვიცით. არც ის ვიცით მთლიანად მოიგანა სამართლის წიგნი, თუ შემოკლებით, ან როგორი რედაქცია გაუკეთა მას. გარდა იმისა, რასაც აღბუღა თვითონ გვაწვდის, სხვა ცნობები ამის სესახებ არ მოგვეპოვება. ბექას სამართლის წიგნს ვიცნობთ მხოლოდ აღბუღას შესალით, მისი და მასთან მოწვეული „საპატიო კაცების" საბჭოს მიერ რედაქტირებულსა და დამტკიცებულს.

აღსანიშნავია შებდეგი: მიუხედავად იმისა, რომ აღბუღას განცხადებიტ, მას არაფერი შეუცვლია ბექას კანონებში, ენახეთ, რომ ფულის ერთეული სწორე დამნ შეცვალა. მეორე, მან გაუკეთა ბექას წიგნს შესავალი. ალბათ, წიგნს საკუთარი შესაელი ექნებოდა, ან განმარტება სათაურის სახით, რომელიც კანონმდებლის ენაობას გვამცნობდა. ამას გარდა, აღბუღამ და მისმა საბჭომ საკმარისად არ ცნეს ბექას სამართალი და გააგრძელეს, ანუ საკუთარი კანონები დაუმატეს, მაშასადამე, სამართლის წიგნი ერთიანობაში მოიყვანეს, გაშართეს, ე.ი.ერთი სიტყვით, ჩვენ გვაქვს ბექას სამართლის წიგნი მხოლოდ და მხოლოდ აღბუღას მიერ მისი შეხედულებისამებრ გამართული და ერთიანობაში მოყვანილი. მაშასადამე, იმ სახით, როგორც ჩვენ მას ვიცნობთ, ბექას სამართალს საკანონმდებლო ძალა აღბუღამ მისცა და სანამ ბექას სამართლის წიგნის ხელნაწერი ცალკე არ აღმოჩნდება, მანამ აღბუღას მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტი აღბუღას სახელს უნდა ატარებდეს.

საჭიროდ მიგვაჩნია, ძეგლის შესწაელისას, გამოვყოთ მისი შემადგენელი ნაწილები. აღბუღას სამართლის წიგნის პირეელი ნაწილი 66-ე მუხლამდე ეკუთვნის ბექას, მეორე ნაწილი –99 მუხლამდე აღბუღას. გამოსარკვეეია დანარჩენი ნაწილები.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის შედგენის თარიღი დაადგინა ს. კაკაბაძემ. ეახუშტის მიხედვით, მანდატურთუხუცესი ბექა ცნობილია 1285-1305წლებში მოღაწე მთაურად. ამის შემდეგ მანდატურთუხუცესის ტიტულს სამცხის მთაურები აღარ ატარებდნენ. მაშასადამე, ბექამ სამართალი სწორე დიმ ხანებში შეადგინა., ხოლო ბექას შეილიმეილი აღბუღა მოღაწეობდა გიორგი V–ის შემდეგ (მან შემოიღო გიორგი V-ის მონეტა), ე.ი. XIV საუკუნის მეორე ნახევარშიო. ი. დოლიძე ამუსტებს აღბუღას მიერ სამართლის წიგნის შედგენის თ არიღს. ეს უნდა ყოფილიყო 1381-1386 წლებს შორის.

აღბუღას სამართლის წიგნი, რომელშიც შედის ბექას სამართალიც (98-ე მუხამდე), ადგილობრიეი დანიშნულებისაა. იგი მხოლოდ სამცხე-საათაბაგოსათეის არის შედგენილი; ამ სამართლის წიგნით უმაღლეში მხელისუფალია არა მეფე, არამედ ათაბაგი, ხოლო ეკლესიის უმაღლეში იერარქია არა კაღალიკოსი, არამედ მაწყვეერელი.

აღბუღას სამართლის წიგნში მოცემული ნორმები სამართლის სხვადასხვა დარგიდან აქ ეხვდებით უმთავრესად სისხლის სმართლის ნორმებს (მკელელობა, დაჭრა, მეკობრეობა და სხეა და მათი საზღაური), ხოლოსამოქალაქო სამართლის ნორმებით სამართლის წიგნი ეხება საკუთრების უფლებას, ნასყიდობას, გირაენობას, სესხსა და სხეა. წიგნი ეხება აგრეთვე სამოსამართლო სამართლის საკითხებს (ბჭე, შუაკაცი, მტკიცების სამუალებანი და სხე.).აღბუღას სამართლის წიგნი ფეოდალური საზოგადოების ძეგლია და ის გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესებს იცავს.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყეეტი, როგორც ვთქვით, აღბუღას სამართლის წიგნში 98 მუხლის შემდეგაა მოთავსებული. 98-ე მუხლის შემდეგ წერია: „სახელითა ღმრთისათა დაიწყების საღმრთოისა გაჩენილი და გასაჩენელი. პირეელი დაეითიან ბაგრატკურაპალატისა და აღმაშენებელღა მეფე-მეფეთა ბრძანებითა და მერე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუანთა კაცთა წინაშე ერთბაშად გაჩენილი განგებითა ღმრთისაითა. ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მართსა საჩიეარსა მართლად მოიხსენებდეთ, თქუენთა გულთა შიგან ღმრთისა შიში უნდა დაიჭიროთ და არაეის სთნიოთ, არა მამასა და დედსა, არა პაგრონსა, არა ძმასა მეყეისთა, არას ქრთამის ქადაგებისათეის, არა, არამედ მართალი უნდა გააჩინოთ."

მოყვანილი ადგილის მიხედეით, მეფეთ-მეფე ბაგრატ კურაპალატი იწეეეს ეპისკოპოსებს, დიდებულებს, აზნაურებს, „ჭკეიან კაცებს" და ადგენს კაკონებს. ამასთანაეე კანონმდებე;ლი განმარტავს, თუ როგორი უნდა იყოს ბჭე, მოსამართლე: იგი უნდა იყოს ღეთის მოშიში, მიუდგომელი, უქრთამო. ასეთი მოსამართლე, მე-100 მუხლის მიხედვით, შეიძლება იყოს მოძღვარი. მაშინდელი ენით რომ ეთქვათ სწაელული, მეფესთან დაახლოებული ან დიდი ვაჭარი, ან სოფლის მამასახლისი. ყეელაეური ეს (99-ე და მე-100 მუხლები) განსხვავებულია აღბუღას კანონებისაგან და ერთი კანონმდებლის ნახელაეია, ერთიანი აზრის გაგრძელებაა, სამეცნიერო

ლიტერატურაში ამ საკითხს პირველად ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია; მან შეისწავლა აღბუღას სამართლის წიგნი და იმ დასკვნამდე მიეიდა, რომ აღბუღას სამართალს შემდგომ დამატებული აქვს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, როგორც ამის შესახებ გვამცნობს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი „მეფეთა-მეფის“ ბაგრატ კურაპალატის სიტყვები (99-ე მუხლის შესავალი).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესავლის გარდა მე-100, 101-ე, 102-ე და 103-ე მუხლებიც „უეჭველია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნითგან არის აღბუღას კანონებში შეტანილი“.

შესავლის შემდეგი აღგილი მოსამართლის მიუკერძოებლობას ეხება. თუ ამ აღგილს ცალკე მუხლად ჩაეთვლით, როგორც ეს ამ ძეგლის გამოცემაში მოცემული4, მაშინ ივ. ჯავახიშვილის ეარაუდით, ოთხი მუხლი უეჭველად ბაგრატ კურაპალატისაა. შეიძლება სხვა მიხლებიც მისი იყოს, მაგრამ ავტორის აზრით, ეს შესწავლას მოითხოვს. ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას, თუ რომელ ბაგრატ კურაპალატზეა ძეგლში ლაპარაკი. ავტორი ასახელებს ყველა ბაგრატს, რომლებიც საქართველოში მეფობდნენ: ბაგრატ ამოგის ძე — სამცხე-საათაბაგოს მეფე. ბაგრატ II, ბაგრატ III, ბაგრატ IV და ბაგრატ V.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ I-ის, ე.ი. ამოგის ძის (IX საუკუნე) სასარგებლოდ მიუთითებს შემდეგი გარემოება:

1)ბაგრატ კურაპალატის წიგნის იმ მუხლების შესავალში, რომლებიც აღბუღას სამართლის წიგნშია მოხვედრილი, საუბარია ბაგრატ კურაპალატზე, როგორც „აღმამენებელზე“, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც დახასიათებულია ბაგრატ I, როგორც ეკლესიათა მამენებელი.

2) გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, ბაგრატ I-ს

განუწესებია „გლახაკთა ნაწილი“, მასვე ამაეე ნაწარმოებით, ღვაწლად ეთვლება „ყოველისა ერისა სამართლით განკითხვა.“ ასეთ თვისებათა მქონე მეფეს შეეფეება სამართლის წიგნის შედგენაც და საეარაუდოა, სწორედ სამართლის წიგნის შედგენა ჰქონდეს „მხედველობაში გიორგი მერჩულეს, როცა „ყოელისა ერისა სამართლით განკითხვაზე აქვს“ საუბარი.

3)ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, IX საუკუნის სამცხე-საათაბაგოში სამღვდელოებას „ეასაოცარი უპირატესობა“ აქვს: ბერი ბაგრატ უთელის, რომ მას „არა ჰნებავს მოსვლა“ მასთან, და როცა გამოცხადდა მასთან გრიგოლის მოწვევით, ბერი ეუბნება: „შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ,“ მე შენ კი არ გემორჩილები, არამედ ღმრთსო; ამაეე ძეგლის მიხედით, გუარამ მამფალი, ქვეყნის მთავარი, გრიგოლ ხანძთელის განმარტებით, არ უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში.

ივ.ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმას, ბაგრატ კურაპალატაისად ცნობილი აღბუღას სამართლის წიგნის 102-ე მუხლის მიხედით, „მეორე მეფე ეპისკოპოზი არს.“ ეპისკოპოსის, ე.ი. სამღვდელოების ასეთი განდიდება, სწორედ შეესაბამება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილ ეითარებას, და, მაშასადამე, აღბუღას სამართლი წიგნში ხსენებული ბაგრატ კურაპალატი, ბაგრატ I უნდა იყოს. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ I-ს ეს კანონები არ შეიძლება მიეწეროს, ვინაიდან მას მეფეთ-მეფის წოდება არ ჰქონდა. მისი აზრით, XIV საუკუნეში მეფედ იყო ბაგრატ V დიდი, მაგრამ მას კურაპალატის წოდება არ ჰქონდა და ამიგომ ის არ შეიძლება აღბუღას სამართლის წიგნში მეომნარული ბაგრატ კურაპალატის კანონების ავტორი ყოფილიყო. XI საუკუნეში ცხოვრობდა ბაგრატ II, რომელიც აერთვე არ შეიძლება ამ კანონების ავტორი ყოფილიყო, ჯერ ერთი იმიგომ, რომ „რეგედნად“ იწოდებოდა და კიდევ იმიგომ, რომ კურაპალატობის პატივი არ ჰქონდა.

ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის შესახებ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა ასეთია: ბაგრატ IV-ის დროს, მემბაიანეს სიტყვებით, „ქეეყანასაა დაწყნარება არა აქვნდა, ეკლესიანი და გლახაკნი, აწნაურნი ვერ იკითხვებოდესო,“ როდესაც გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოსულა, მან თურმე „აღლესა მახეილი მხილებისა“ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. გიორგი მთაწმინდელს არ მოსწონდა „სამეუფო სამართალი“ და მოითხოვდა რომ მართებულად „უსჯიდნენ ობოლსა და ქვრივს,“ „რათა არა მისდრკვლეს სასწორსა სამართლისასა, დიდი გინა მცირისო.“ ივ. ჯავახიშვილია აზრით, საისტორიო წყაროების მოწმობით, ბაგრატ IV-ის დროს „სამართალი განსაკუთრებით დაცემული და შელახული ყოფილა და არც საფიქრებელია, რომ ასეთ მეფეს სამართლის წიგნის შედგენით თავი შეეწუხებინა.“

რაც შეეხება ბაგრატIII-ს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წუაროებში ის მოხსენიებულია განსაკუთრებული პატივისცემით, რადგან ყოფილა ეკლესიათა მამენებელი, გლახაკთა გამკითხავი და „სამართლისა მართლად მომქმედი;“ მაშასადამე, ბაგრატ III-ის მართლმსაჯულება ძლიერ შექებულია, ამიგომ, დაასკვნის ავტორი, „ეუჭველია იმ მფეს სამართლის საქმისათვის სხვებზე მომეტებით უმრუნეია და გაუკეთებია კიდეც.“ აღბუღას სამართლის წიგნის მე-100 მუხლის შესავალში ნათქვამია, რომ ბაგრატი „აღამამენებელი“ იყოო, მემატიანე ბაგრატ III-საც „მმენებელს“ უწოდებს.

ყველა ამის გამო, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხსენებული კანონების ავტორი არის ბაგრატ III.

პროფ. სარგის კაკაბაძის აზრით, ხსენებული კანონები შეღგენილი უნდა იყოს XIV და XV საუკუნეში. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მართებული მოსაზრებით, ჯერ ლიდევ დავით აღმამენებელმა არ მიიღო კურაპალატობის ტიტული და ამის შემდეგ საქართველოს მეფეები

ასეთ ტიტულს აღარც ატარებდნენ, ამგვარად ბაგრატ V არ შეიძლებოდა ყოფილიყო კურაპალატი.

ჩვენ შევეხეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ბაგრატი უნდა იყარაუღებოდეს აღბუღას სამართლის წიგნისათვის დამატებული პირველი ოთხი მუხლის ავტორად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით, აღვნიშნეთ, რომ ამ კანონების ავტორია ან ბაგრატ III, ან ბაგრატ IV.

ამ კანონიების შესაეალი, რომელშიც საუბარია მეფის მიერ ეპისკოპოსების, დიდებულების, აზნაურებისა და „ჭკუანთა კაცთა“ შესახებ, მსგავსია ოპიზართა სიგელისა, რომელიც ბაგრატIV-ს ეკუთვნის. 99-ე მუხლის მიხედვით, მეფის მიერ მოწვეული პირები შეადგენდნენ საბჭოს, რომელიც აღგენს კანონს. ოპიზართა სიგელით, მეფის მიერ მოწვეული პირები შეადგენდნენ დაახლოებით ასეთივე შემადგენლობის საბჭოს, რომელიც არჩევს სასამართლო სქემებს.

ის წიგნი, რომელშიც ეს მოსაზრება გვაქვს გამოთქმული, 1952 წელს გამოვიდა. იმაეე წელს მოხდა ამ წიგნის განხოლეა და, როდესაც ბაგრატ კურაპალატის ავტორობის საკითხი წამოიჭრა, ბაგრატ I-ის ავტორობის სასარგებლოდ დაეუმატეთ ის, რომ ბაგრატ IV-ის დროს ქვეყანას დაწყნარება არ ჰქონდა და ეს იყო მიზეზი კანონმდებლობის შექმნისა.

ზემოთ მოვიყვანეთ დიდი მეცნიერის აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ბაგრატ III-ის სასარგებლოდ ის იყო, რომ ბაგრატ IV-ის დროს ქვეყანაში არეულობა იყო, რომ გიორგი მთაწმინდელი სწორედ ამაზე მიუთითებდა და სხვა.

ჩენი მოსაზრება კი სწორედ ამის საწინააღმდეგოა. გეეჩვენება, რომ სწორედ ქვეყნის დაყწყნარებლობა, არეულობა და აჯანყებანი შეიძლება კანონის შედეგნის მიზეზი იყოს.

გიორგი ბრწყინეალე „ძეგლის დადებაში აღნიშნავს, რომ მთიულეთში გამრაელდა დანაშაული, არეულობა, მკელელობანი, თაედასხმები და სხვა. ამიტომ მან სპეციალურად იმოგზაურა მთიულეთში, აღგილზე შეისწაელა მდგომარეობა და სამართლის წიგნი შეუდგინა.

„აღბუღას სამართლის წიგნშიც“ აღნიშნულია, რომ „უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ“, მკელელობანი, დაჭრა, თაედასხმა, ღალატი და სხვა და ამიტომაც, საგანგებო ზომების სახით, აღბუღამ შეადგინა სამართლის წიგნი.

„კათალიკოსთა სამართლის წიგნის“ შესავალში აღნიშნულია, რომ დიდი სიყმილი მოვიდა ცოდეათა ჩვენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კელა, კაცის სყიდეა, ეკლესიის კრეხვა და უხეედრობა.“ ასეთი არეულობა და დანაშაულის გამრაელება შეიქმნა მიზეზი ეკლესიის მესვეურთა შეკრებისა და საგანგებო ღონისძიებების სახით კანონების მიღებისა; ეს არის XVI საუკუნე, როდესაც პოლიტიკურად დანაწილებული საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: დანაშაული გამრაელდა, განსაკუთრებით სამიში შეიქნა ადამიანით ვაჭრობა . ამგვარად, კანონის შედგენის ერთ-ერთი მიზეი შეიძლება იყოს ქვეყანაში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობა — დანაშაულის ზრდა, რაც იწვევს მთაერობის მიერ, განსაკუთრებული გარემოების გამო, კანონის გამოცემას. ეს შეხედებით ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომაც ივ. ჯავახიშვილის დასაბუთება, რომ ბაგრატ III-ის დრის სიწყნარე იყო, მეფის ხელისუფლება კი შედარებით მტკიცე, ხოლო ბაგრატ IV-ის დროს საწინააღმდეგო ვითარება იყოო, ეს მართალია, მაგრამ იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ბაგრატ IV შეეძლო ამ კანონების შედგენა. რასაკეირველია, ეს საბუთი გადამწყეტი ხასიათის არ არის, შეიძლება კანონები მტკიც სელისუფლის დროსაც დაიწეროს და იწერება კიდეც, მაგრამ თუ ამ საბუთიანობას მხედეელობაში მივიღებთ, მაშინ, ზემოთ მოყვანილი სამართლის წიგნების (აღბუღას, კათალიკოსთა სამართალი) სათანადო ადგილები სწორედ ბაგრატ IV-ის სასარგებლოდ უფრო უჩვენებენ. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ „ოპიზართა სიგელი“ ერთგეარ მსგავსებას ამეღაენებს ბაგრატ კურაპალატის სახელით ცნობილ სამართლის წიგნის ნაწყეტის შესავალთან.

ი. დოლიძე დაწერილებით განიხილაეს ბაგრატ კურაპალატის დროის საკითხს. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 99-ე მუხლიდან 160 მუხლამდე ბაგრატ IV-ს ეკუთვნის, ხოლო 161-ე მუხლიდან კანონიკურ სამართალს განეკუთენებაო. 171-175 მუხლებს ავტორი „დანართს“ უწოდებს. მისსივე აზრით, 171-175 მუხლები 33-ე, 64-ე და 81-ე მუხლების განმეორებას წარმოადგენს. იგი ბაგრატ IV-ს ავტორად ითვლის, რომ მის დროს ქვეყანა დაუწყნარებელი იყო, კანონსაც ამისთეის შეადგენდაო, ამას გარდა, ბაგრატ IV-ის დროს სამეელეობა დიდი უფლებებით სარგებლობდა და ეს აგრემოება ასხულია კიდეც სამართლის წიგნის მუხლებში. ი. დოლიძის აზრით, დიდი მნიშენელობა აქეს აგრეთვე ოპიზართა სიგელისა დაბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტების ერთ-ერთი მუხლის (99-ე) მსგაესებას. უკანასკნელად, საქართეელოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საისტორიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე, ამავე საკითხის განხილეისას ი. დოლიძემ ის მოსაზრება განაცხადა, რომ სამართლის წიგნის ეს ფრაგმენტი უსათუოდ X საუკუნისაა და შესაძლებელია ბაგრატ III-საც შეედგინაო; მაგრამ ი. დოლიძის გამოკელეეა მით უფრო საყურადღებოა, რომ ის შეეცადა შეესწაელა ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებული აღბუღას სამართლის წიგნის სახელით ცნობილი ძეგლი მთლიანად. ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატისად თელიდა ოთხ მუხლს — 99-დან 102-მდე. ი. დოლიძის აზრით,ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის 99-დან 160-მდე მუხლები. ავტორი წერს, რომ ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატს ოთხი მუხლის ავტორად მიიჩნეეს იმ მოსაზრებით, რომ ამ ოთხ მუხლში არის მოხსენიებული მეფე

და ეპისკოპოსი, მაშინ როდესაც მეფე და ეპისკოპოსი იხსენებიან სხვა მუხლებშიც: მე-100 მუხლში მოხსენიებულია ეპისკოპოსი, ხოლო 152-ე მუხლში მეფე. სამღვდელოების პრივილეგირებული მდგომარეობა, რომელზედაც საუბარია 99-დან 160-ე მუხლებში, წერს ი. დოლიძე, იმაზე მიუთითებს, რომ ეს მუხლები ერთ კანონმდებელს ეკუთვნის. ამ დაკვირვებას აეტორი სხვა საყურადღებო დასაბუთებასაც უმატებს. მისი დაკვირვებით, ორ მუხლში – 104-ესა და 151-ეში გვხვდება ტერმინი „სასჯელი“. ეს ტერმინი ორიეე მუხლში ნიშნავს „სამართალს,“ „ბჭობას, ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერმინს ძველ ქართულ სამართალში, ხოლო გვიანდელ საკანონმდებლო ძეგლებში ასეთი მინაარსი ამ ტერმინს აღარ ჰქონია. ამასთანავე, ი.დოლიძე ყურადღებას აქცევს ტერმინებს „შეკაბმა,“ „მეხეუწა,“ რომლებიც გვხვდება, როგორც 107-ე, ისე შემდეგ მუხლებიც (108, 149), აგრეთვე ტერმინს „საპირო“ (მუხ.112,159.160); ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ 98-ე მუხლის მომდევნო კანონები ერთ კანონმდებელს ეკუთვნის. ტერმინები „მეხეუწა “ და „საპორო“ მომდევნო პერიოდის საკანონმდებლო ძეგლებში არც გვხვდება. აეტორი მიუთითებს სხვა სიტყვებზეც, რომლებიც 99-ე და 150-ე მუხლებში იხმარება, რაც ამტკიცებს, რომ ძეგლი ერთი კანონმდებლის ნახელაევია.

საყურადღებოა ი. დოლიძის მიერ მოყვანილი 1460წლის საბუთი, რომელშიც „ბჭედ“, ანუ მოსამართლედ ისე როგორც ბაგრატ კურაპალატის სახელით ცნობილ სამართლის წიგნის ფრაგმენტში (აღბუღას სამართლის წიგნის მე-100 მუხლი), დასახელებულნი არიან: ეპისკოპოსნი, დარბაზის კარის ვეზირნი, ქალაქის ეჯარნი და „ქუეყანისა მამასახლისნი.“ მოსამართლეები აქ დაყოფილია სამოგადოების ფენების, კლასების მიხედვით: ფეოდალების მოსამართლეა დარბაზის ვეზირი, მეფესთან დაახლოებული პირი, ეჯარებსა და გლეხობას ცალ-ცალკე მოსამართლეები ჰყაეთ. ჭრიალ საყურადღებოა ასეთი დამთხვევა. ეს ძეგლი (ქურულების სასისხლო სიგელი) სამეცნიერო ლიტერატურაში ყალბად არის მიჩნეული. ამის მიუხედავად ამ საბუთით სარგებლობა შეიძლება. ის გარემოება, რომ ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტთანამ ძეგლის ერთი ნაწილი მსგავსებას ამეღავნებს იმას ნიშნავს, რომ ქურულთა საბუთის შემდგენელი იცნობდა ბაგრატ კურაპალატისად მიჩნეულ სამართლის წიგნს ან მის ფრაგმენტს. ძეგლის შემდგენელი ცდილობდა, თუ ძეგლი ნატყუარი იყო, მის მიერ შედგენილი ძეგლი აღჭურვილი ყოფილიყო ისეთი ნიშნებით, რომლებიც მას მართებულად წარმოადგენდა. ამიგომაც ამოუღია ბაგრატის წიგნიდან სათანადო მუხლი. აღსანიშნავია, რომ ის ადგილი, რომელიც ძეგლშია ჩართული, უადგილოდაც გამოიყურება. მართლაც: ქურული არის ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, მისი მოსამართლე იქნებოდა კარის ვეზირი ან დიდებული, მაშ რაღა საჭირო იყო ამ ძეგლშიქალაქის ეჯარის მოსამართლეზე ან სოფლის მამასახლისზე საუბარი? ეს სხვათა შორის; მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტად მიჩნეული სამართლის ნორმა მოსამართლეების შესახებ, საკმაოდ გავრცელებული, მრავალთავეის ცნობილი ნორმა ყოფილა; თუკი ქურულთა სასისხლო სიგელის შემდგენელს ის თაეის ძეგლში მოუტანია, იქნებ, დროის მიხედვით, ეს ძეგლები დაახლოებით ერთ ხანაშია შედგენილი. ეს და ამასთან დაკავშირებით მრავალი საკითხი შესასწავლია. ამასთანავე, ი. დოლიძეს მოჰყავს სიმონ მეფის 1593 წლის განჩინება, რომლის ნაწილები იმეიით მსგავსებას ამეღავნებს ეახტანგის სამართლის წიგნის კრებულში შესულ აღბუღას სამართლის წიგნის შემდეგ მუხლებთან: 105,124, 125, 127, 129, 130, 132, 133, 134,136, 138, 141, 197.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ივ. ჯავახიშვილი ეარაუდობდა, 102-ე მუხლის შემდეგი მუხლები სხვადასხვა დროის შედგენილი კანონიკური სამართლის ძეგლებია ან შეიძლება ერთი კანონმდებლის მიერ იყო შედგენილი, მაგრამ შესაძლებელია, მისი აეტორი ბაგრატ კურაპალატი არ იყოს. ამასთანავე, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ნაწილი საერო მინაარსის ნორმებია, ხოლო ნაწილი კანონიკური სმართლის. ყველაფერი ეს შესასწავლია.

აღბუღას სამართლის წიგნის გაგრძელების საკითხს, რომელიც ეახტანგის სამართლის კრებულშია მოცემული, შეეხო ზ. რაგიანი.

ივ. ჯავახიშვილს თაეისი ნაშრომის ერთ-ერთი პარაგრაფის სათაური ასე აქეს გაკეთებული: „ეახტანგ VI-ის კოდიკოში ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში შეცდომით დართული კანონების შესახებ.“ მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს კანონები შეცდომით არის მიწერილი აღბუღას კანიონებთან. ი. დოლიძე იმეორებს ივ. ჯავახიშვილის მიერ მოყვანილ მოსაზრებას და თაეის მხრივ უმატებს იმას, რომ ეს შეცდომა „უნდა მიეწეროს ეახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას, რომელმაც შეკრიბა იმ დროისათვის შემონახული საკანონმდებლო ძეგლები.“ ზ. რაგიანის აზრით, ეახტანგის საკანონმდებლო კომისია აეტორიტეტული იყო დამ ის მუშაობას ნდობით ინდა მოეეკიდოთ.

მართლაც, ეახტანგის კომისია გარკეული გეგმით მუშაობდა, გარკეული მიიმნები პქონდა დასახული და თაეის მოქმედებაში საქმის ღრმა ცოდნასაც ამეღავნებდა. ამიგომ საყურადღებოა იმის ცოდნა, თუ რით ხელმძღვანელობად ეს კომისია, როდესაც მთელი ეს დანართი მუხლები აღბუღას კანონმდებლობაში შეპქონდა; ამით ის ამ დანართ მუხლებს სამცხე-საათაბაგოს კანონმდებლობას უკავშირებდა. შესაძლებელია, კომისია ცეებოდა, მგრამ მისი გადაწყეტილება ჩეენს ყურადღებას ამახეილებს იმაზე, რომ ეს საკითხი სერიოზული და ყოველმხრივ შესასწავლია.

ზემოთ აღნიშნულ საკითხს შეეხო ა. კიკეიძე. მან მოიყვანა ივ. ჯავახიშვილისა და ი. დოლიძის გამოთქმული მოსაზრებანი, მაგალითად, ეკლესიის მსახურთა დიდი უფლებების შესახებ, რაც ამ კანონებშია მოცემული, კურაპალატობა დასხვა. ა. კიკეიძის აზრით, ხსენებული კანონების ავტორი უნად იყოს ბაგრატ I, ამოგის ძე. ბაგრატ ამოგის ძისადმი ამ კანონების მიწერა პირველად ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა და მანვე უარყო ასეთი შესაძლებლობა. ა. კიკეიძე, ამის დამადასტურებელ ძლიერ საბუთად მიიჩნევს შემდეგს: 102-ე მუხლის მიხედით, მეორე მეფე ეპისკოპოსია. იგი წერს: „ ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ ეპისკოპოსი მეორე მეფედ არის მიჩნეული და კათალიკოსის ხსენებაც არ არის. ეს გარემოება ცხადად მოწმობას, რომ სამართლის დამდები გაერთიანებული საქართველოს მეფე არ არის და სამართალი ქეყნის ერთ ნაწილს ეხება," ამიგომ ამ კანონების ავტორი არის ბაგრატ ამოგის ძეო. ამის გამო შეენიშნავთ, რომ მესხეთის ეკლესიის იერარქი სავსებით გარკეული პირი იყო, ეს იყო მაწყვერელი, რომლის შესახებ თეთონ ა. კიკეიძე წერს: როდესაც „გუარამ მამფალის თავმჯდომარეობით ქართლის კათალიკოსის საქმე ირჩეოდა, მთელი კრება აწ ურის ეპისკოპოსს — მაწყვერელს უცდიდა, თუ რას იგყოდა ის, მამასადამე, მაწყვერელი მამინ კურაპალატისა თუ მამფალის, ამ მეუეთა შემდეგ პირველი პირი იყო.1". მართლაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მიხედვით, მაწყვერელი ასეა დახასიათებული ისმის კითხეა, თუ რაგომ არის დასახელებული. მაწყვერელი ეპისკოპოსის ნაცვლად? მამასადამე, კათოლიკოსის არ მოხსენიება საბუთად არ გამოდგება და საესებით მართებულია ივ. ჯავახიშვილი, როცა წერს, რომ ეპისკოპოსის მოხსენიება ძეგლში სწორედ იმის დამადასტურებელია, რომ ხენებული მუხლები საქართველოს გაერთიანებული პერიოდის მეფეთა-მეფის ნახელაეია2.

როგორც ეხედათ,ჯერჯერობით საკმარისი მასალაარ არის იმისათვის, რომ საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს საკითხი, იმის შესახებ, თუ 99-ე, მე-100, 101-ე, 102-ე მუხლები რომელ ბაგრატ კურაპალატს ეკუთენის. შეიძლება ეთქვათ, რომ ეს ოთხი მუხლი X საუკუნისაა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, და ორი ბაგრატიონიდან ჩვენ უფრო საეარაუდოდ ბაგრატ IV მიგვაჩნია. რაც შეეხება მომდევნო მუხლებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუხლები ბაგრატ კურაპალატს არ ეკუთენის, შედგენილია უფრო გვიან და შესაძლებელია სხვადასხვა დროსა და სახეადასხვა პირის მიერ.

თ) ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული

ვახტანგის სამართლის წიგნთა· კრებული შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ვახტანგის· სამართლის წიგნი, ებრაული სამართალი, ბერძნული სამართალი, სომხური სამართალი, კათალიკოსთა სამართალი,გიორგი V-ის ძეგლის დადება და აღბუღას სამართალი.

გიორგი V-ის ძეგლის დადება და აღბუღას სამართალი უკვე განვიხილეთ. კათალიკოსთა სამართალს განვიხილავთ საეკლესიო სამართლის ძეგლებთან ერთად.

ვახტანგის სამართლის წიგნი (1704-1709წწ)

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის მთავარი და ძირითადი ნაწილი ვახტანგის სამართლის წიგნია, რომლის სათაურია „სამართალი ბატონიშეილის ვახტანგისა."

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული და მასში შესული საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი შედგენილ იქნა ვახტანგის ჯანიშნობის დროს, ე.ი. მამინ, როდესაც ვახტანგი გიორგი XI-ის მაგივრად ქართლს განმგებლობდა. გიორგი მეფე სამართლის წიგნის შესავალში მოხსენიებულია როგორც ქართლის მეფე და ირანის მთავარსარდალი; მამასადამე, გიორგი XI ჯერ კიდევ ცოცხალია, ის მოკლეს 1709 წელს. ვახტანგი კი ქართლს განაგებდა 1704 წლიდან, ე.ი. 1704-1709 წლებშია შედგენილი ვახტანგის სამართლის წიგნი და წიგნთა კრებულიც.

ვახტანგის სამართლის წიგნის ძირაითადი წყარო ქართული ჩეეულებათა სამართალია. საყურადღებოა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სამართლის წიგნები გამოყენებულია საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის წყაროდ. ამ მხრივ ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას დიდი სამუშაოები ჩაუტრებია.

ვახტანგის სამართლის წიგნისათვის წყაროდ გამოყენებულია: გიორგი V—ის ძეგლის დადება, აღბუღას სამართალი, კათოლიკოსის სამართალი, ბერძნული, ებრაული, სომხური სამართალი. ვახტანგის სამართლის შემდგენელი დასახელებული წიგნებიდან იღებს ამა თუ იმ ინსტიტუტს, და ამლევს მას ამა თუ იმ შინაარსს, ფორმას, რომელიც კანონმდებელს თავისი დროისა და ვითარების შესაბამისდ მიაჩნია; მამასადამე, როდესაც ვამბობთ, რომ ესა თუ ის სამართლის წიგნი ვახტანგის სამართლის წიგნის შემდგენელს წყაროდ აქვს გამოყენებული, ეს არ ნიშნავს, რომ მან სიტყვასიტყვით გადმოიღო რომელიმე მუხლი; ვახტანგის სამართლის წიგნის

შემდეგნელი, ძეგლის დადებისა და აღებულას სამართლის წიგნების გამოყენებისას, ხშირად საქართველოში მიღებულ ჩვეულებითი სამართლის ნორმებს იყენებდა.

ვახტანგის სამართლის წიგნი ერთიანი სისტემით არ არის დაწერილი. 204-ე მუხლის შემდეგ ვხვდებით კანონმდებლის ბოლოსიტყვაობას, ამის შემდეგ მოდის 205-ე მუხლი; მამასადამე, პირველი ეარიანგი ვახტანგის სამართლის წიგნისა 204-ე მუხლით მთავრდებოდა და დანარჩენი მუხლები შემდეგ არის მიმატებული.

ამ მხრივ საყურადღებოა ბოლოსიტყვაობის შემდეგი ადგილი: თუ „მოიძაგოთ და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნურცა გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აგეწეროს, არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით თვისე თქმულად, სად ენებოს მუნ დაწეროს და იგიც ეგოს.“

ჰქონდა თუ არა მოსამართლეს ან სხვა ვინმეს მეფის სამართლის წიგნში დამატებათა შეტანის უფლება, ეს საკითხი ამჟამად საინტერესო არ არის, რამდენადაც, ვახტანგის სამართლის წიგნის 105-დან 165-მდე თუ 167-მდე მუხლები შედგენილია თეით ვახტანგ VI–ის დროს და შემდეგში ჩამატებებს უკვე ადგილი აღარ ჰქონია.

205-ე მუხლამდე ვახტანგის სამართლის წიგნი გარკვეულ სისტემაზეა აგებული, საკითხები დალაგებულია გარკვეული პრინციპით, მსგავსი ინსტიტუტები ერთმანეთს მოსდევს. 205-ე მუხლიდა კი კანონების დალაგებას შემთხვევით ხასიათი აქვს, ადგილი აქვს განმეორებებს და სხვა.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის საკანონმდებლო ძალის შესახებ. პირველ ყოვლისა, შევჩერდეთ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნზე.

შეავალში ვახტანგი მოგვითხრობს, რომ მან სამართლის წიგნი შეადგინა კათალიკოსის, მთავარეპისკოპოსის, მტროპოლიტ-წინამძღვრისა და დიდებულთა: მუხრან ბატონის, არაგვის ერისთავის, ქსნის ერისთავის, ორბელიანის, ამილახორის, მდივანბეგის ერასტისა და „სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა“ მონაწილეობით. გარდა ამისა, კანონმდებელი გადმოგვცემს, რომ სამართლის წიგნი შეადგინა „კითხვით ჭკუათმყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა, ამგვარად გაეაჩინეთ და დაგწერეთ, რომელსა მიეწყოდით და ანუ გონება ჩვენნი სამართლითა მიუღნეს.“

კანონმდებელი მიუთითებს, რომ მოსამართლეებმა ნახონ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის წიგნები, მერე საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი, და „რომელიც ენების მოსამართლესა, მით იქმოდეს სამართალსა.“ ამასთანავე, კანონმდებელი განმარტავს, რომ სამართლის წიგნი მე ასე „არ დამიწერია და არც ეიჩემებს, რომე არა აკლდეს რა, ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ბოგი ეერ მოეიღონეთ და არც მიწედების კაცის გონება, ვერც მიხუდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულსა იქს.“ მამასადამე, კანონმდებელი გვიხსნის, რომ მოსამართლეს შეუძლია ნახოს სამართლის წიგნის კრებულში შესული წიგნები, შეუდაროს საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს და რომელიც უნდა ის გამოიყენოს, მაგრამ იქვე განმარტავს, რომ ყველა შემთხვევისათვის, ყველა კამუსისათვის, ალბათ, ამომწურავად პასუხის გაცემა არც საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნით და არც ამ კრებულში შემავალი სხვა წიგნებით მაინც არ შეიძლება. კანონმდებელმა კარგად იცის, რომ კამუსები ამოუწურავია, ე.ი. ყველა კამუსის გათვალისწინება შეუძლებელია და ამიტომ ეინც მიხედეს, თეითონ შეადგინოს შესაფერისი მუხლი, ამით ის კარგ საქმეს გააკეთებსო. კანონმდებელმა პრაქტიკული ცხოერებიდან კარგად იცის, რომ ცხოერებისეული კამუსები მრავალფეროვანია, ყველა მათი გათვალისწინება შეუძლებელია, ამიტომ უშვებს იგი ჩამატებების შესაძლებლობას. ამასთანავე, ჩვეულებითი სამართალი იყო ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყარო, ამიტომ მიიწეია კანონმდებელმა „ჭკეიანი“ და „მოხუცებული“ კაცები.კანონმდებელს სურს რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს ჩეულებითი სამართალი, რაღგანაც ასეთ შემთხვევაში კამუსები შედარებით უფრო ფართოდ იქნებოდა გათვალისწინებული. ამ საკითხს კანონმდებელი 204-ე მუხლის შემდეგ ჩართულ განმარტებაშიც უბრუნდება. იგი მიმართავს საბოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს (გარდა მმრომელისა); კათალიკოსს, ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს, წინამძღვრებსა და მღვდელთ, საეროთა წარმომადგენლებს: მომავალ მეფეებს, ახლანდელ და მომავალ უფლისწულთ, დიდებულთ, თავადებს, აზნაურებსა და „ყოველთა მყოფთ“ ქართლის სამეფოში, რომ სამართლის წიგნები მათთვის შეადგინა დიდი მონდომებისა და შრომის შედეგად. კანონმდებელი ამბობს, რომ „მრავლით გამოძიებით“, ე.ი. საკითხის მრავალმხრივ შესწავლით, საეკლესიო და საერო პირებთან შეთანხმებით, გამოვიმუშაეთ საკუთრივ ჩვენი სამართლის წიგნი, აგრეთვე სხვა სამეფო წიგნებიც „მოეიძიეთ“ და გადმოვთარგმნეთ, ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ თარგმანებზე მუშაობაო.

კანონმდებელი ებრაული, ბერძნული და სომხური სამართლის წიგნების შესახებ, რომლებიც გადმოატარგნინა და შეიტანა სამართლის წიგნთა კრებულში, ამბობს: „ქართველთა წესნი და ქცეევანი სხეა რამ ეარს და არა მიაგაეს სხეათა ქეეყანისა რიგთა და ქცეულებათა,“ ამიტომ უცხო ქეეყნების სამართლის წიგნები, რომლებიც შეეიტანეთ კრებულში, „უფრო ჩვენდა უხმარ არს“. მამასადამე, კანონმდებლის აზრით, საქართველოს წეს-ჩვეულება თავისებურია, ის განსხვავებულია სხვა ქეყნების წეს-ჩვეულებებისაგან, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება სხეაა, „სხეა არს დიდებული და თაეადი, სხეა არს სისხლი“ და სხვა. ამ

განსხვავებულობის გამო, წერს კანონმდებელი, უცხო ქვეყნის სამართლის წიგნები „უფრო უხმარ არს;“ ე.ი. ნაკლებად გამოსადეგია, ვიდრე საკუთრივ ჩემ მიერ შედგენილი სამართლის წიგნიო.

კანონმდებელი მიმართავს „ბრძენსა და გულისხმიერს მსაჯულსა და მოსამართლეს.“ რომელიც უქრთამოდ და მიუკერძოებლად არჩევს სასამართლო საქმეებს: შეიძლება მსაჯულმა შეიძულოს ჩემი წიგნი, ე.ი. არ მიიჩნიოს მისი გამოყენება შესაძლებლად და მოინდომოს ამ წიგნის შეცვლა, მაგრამ ამას ნუ გააკეთებს, ჩემს წიგნს ნუ შეცვლის, ხოლო რომელმაც ჩემი წიგნი ამა თუ იმ მუხლზე „უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოვოს, იგი ჩარგვით თვისვე თქმულად, სად ენებოს მუნდაწეროს და იგიც ეკოს,“ ე.ი. თუ მოსამართლემ ნახოს, რომ ჩემი სამართლის წიგნი არ მოიხმარება იმ საქმის გადასაწყვეტად, რომელსაც ის არჩევს, მაშინ ახალი ნორმა შეადგინოს და ჩაურთოს ჩემს სამართლის წიგნს, მაგრამ ისე, რომ ჩემი სამართლის წიგნი უცვლელად დატოვოსო.

რაც შეეხება ეროვნული სამართლის წიგნებს – გიორგი V-ის სამართალს, აღბუღასა და კათალიკოსთ სამართლის წიგნებს – მათთან შედარებით, ვახტანგის სამართის წიგნს ის უპირატესობა აქვს, რომ პირველები დროის მიხედვით წინა პერიოდებს განეკუთვნებიან; მაშინ როდესაც ვახტანგის სამართლის წიგნი იმ დროისათვის არის სამოქმედოდ განკუთვნილი, რომელ დროსაც იგი შეადგინეს, ხოლო ძველი დროის კანონები, როგორც წესი, ახალ დროს არ შეესაბამება. სწორედ ამიტომაც ადგენენ დრო და დრო სამართლის წიგნებს. როგორც ეხედავთ, კანონმდებელი კრებულის სხვადასხვა ადგილს ერთსა და იმავეს ამტკიცებს, რომ სამოქმედოდ ვახტანგის სამართლის წიგნია უფრო ვარგისიო.

როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის საუკეთესო ძალის საკითხის შესახებ, აღვნიშნავთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნს სხვა სამართლის წიგნებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა. რაში გამოიხატებოდა ეს უპირატესობა? იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი კაზუსის შესახებ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნში მოიპოვებოდა სათანადო პასუხი, მაშინ მოიხმარებოდა მხოლოდ ვახტანგის სამართლის წიგნი. სხვაგვარად ვახტანგის სამართლის წიგნის უპირატესობა კრებულის სხვა წიგნებთან შედარებით, არ შეიძლება აიხსნას. მაშასადამე, მთლიანად აღებულ კრებულს სამოქმედო ძალა აქვს, მაგრამ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს გარდა, სხვა სამართლის წიგნებს, რომლებიც კრებულშია, სუბსიდიარული, დამატებითი მნიშვნელობა აქვს და მოსამართლე ამ სამართლის წიგნებს მაშინ მიმართავს, როცა სათანადო ნორმას ვახტანგის სამართლის წიგნში ვერ იპოვის.

პროფ. ი. დოლიძე არ იზიარებს ჩვენს მოსაზრებას ამ საკითხის შესახებ და ა ბაბუად მოჰყავს ის, რომ ხსენებული სამართლის წიგნებიდან და აგრეთვე უცხოეთის სამართლის წიგნებიდან (ებრაული, ბერძნული და სომხური) მრავალი რამ შეტანილია ვახტანგის სამართლის წიგნში.

მიგვაჩნია, რომ ის, რაც ვახტანგის სამართლის წიგნშია შესული, აღბუღას სამართლიდან იქნება ის, თუ სხვა სამართლის წიგნიდან, საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოსეს, ბერძნული, სომხური და ძველი ქართული სამართლის წიგნები იმ სახით, როგორც ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულშია შესული. ამ წიგნების შესახებ უნდა ვთქვათ,რომ მათი მოქმედების ძალა შეზღუდულია, პირობითია და ეს პირობითობა, დამატებითი ხასიათი თვით კანონმდებლის მიერ არის ხაზგასმული.

პროფ. ი. დოლიძის აზრით, ვახტანგის სამართლის წიგნისა და სამართლის წიგნთა კრებულის შესახებ ჩვენი მოსაზრებანი წინააღმდეგობას შეიცავენ, ამ საკითხშიც დოლიძის მოსაზრება მცდარია, მოვიყვანოთ დასაბუთება.

ვწერდით, რომვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების ძალა დამოკიდებული იყო მეფის ხელისუფლების, ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება-სისუსტეში. თვითონ კანონმდებელი გამოთქვამს სურვილს, რომ მისი კანონები შედმიჭვენით სრულდებოდეს; იგი წერს, რომ სამართლის წიგნთა კრებული „„მდიანბეგისაგან დაბეჭდილი, სალაროში ებარებოდეს“ და სასამართლო პროცესის დროს „ამ წიგნს გამოიტანდნენ და მდიანბეგი გახსნიდეს. მდივანს წინ ედვას და კითხულობდეს,“ ხოლო განაჩენ-გადაწყვეტილების გამოტანის დროს „ამ წიგნის რომლისამე სამართლიდამ დაიწეროს, განაჩენმიაც ასე ჩასწერდნენ“ კანონთა კრებულის რომელი სამართლის, რომელი „თავიდან ეს სამართალი გავაჩინეთო“ (მუხ.205), მაგრამ არა ჩანს რომ პრაქტიკაში ეს ასე ხორციელდებოდა, სასამართლი პროცესის შემცველ ძეგლებში ვხვდება მითითება ვახტანგის სამართალზე ან ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის რომელიმე წიგნზე, მაგრამ ზოგადად და არა იმ ფორმით, როგორც ამის შესახებ კანონმდებელი 205-ე მუხლში აღნიშნავს. ბევრ შემთხვევაში ვახტანგის სამართლის წიგნზე ან კრებულის რომელიმე მუხლზე კი არა, სართოდ კრებულზე, ან საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნზე მითითებაც არ არის. თვითონ ვახტანგ VI თავის გადაწყვეტილებებში, როდესაც ის სასამართლო საქმეს არჩევს, არ მიუთითებს მის მიერ შედგენილ სამართლის წიგნზე.

ის გარემოება, რომ მეფის ხელისუფლება სუსტი იყო, მეფის მიერ გამოცემულ კანონებს საკმაოდ ძალას აცლიდა, ასუსტებდა მის მოქმედებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ძირითადად კომპოზიციის სისტემაზეა აგებული.მასში სამრთლის საკითხი საწყისზე აგებული სასჯელის სახეები ნაკლებადაა მოცემული, ამასთანავე, ვახტანგის სამართლის წიგნში ზოგჯერ აღწერილია დანამაულის შემადგენლობა სანქციის გარეშე.

ვახტანგის სამართლის წიგნში, როგორც აღვნიშნეთ, თავად წერს კანონმდებელი მსაჯულის მისამართით, რომ თუ ჩემს მიერ შედგენილ სამართალს მოიძულებთ, უარყოფთ, არ მოისმართ მას, მოისურვებთ მის შეცვლას, რომელსაც „უმჯობესად“ მიიჩნევეთ,ჩაურთეთ, ჩაუმატეთ, სადაც გნებავთ იქ „დაწერეთ“, ოღონდ ჩემს დაწერილს ნუ ამოაგდებთო. ამიტომ ვწერდით, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის საეალდებულო ძალა პირობითია.

ვახტანგი, რომელმაც კანონები შეადგინა, ქართლის მეფე იყო, ამიტომ მის კანონებს საეალდებულო ძალა, მეფის ხელისუფლების მიხედვით, მხოლოდ ქართლში ჰქონდა. ამავე დროს, ვახტანგის სამართლის წიგნსა და ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს იყენებდნენ, ე.ი. ეს კანონები მოქმედებაში იყო, საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთაეროებში: კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში.

ქართლისათვის რომ ეს კანონები საეალდებულო ხასიათს აგარებდა, ამის თაედები ის უნდა ყოფილიყო, რომ კანონმდებელი ქართლის მეფე იყო, მაგრამ იმერეთსა და გურიაზე ვახტანგის იურისდიქცია არ ერცელებოდა და თუ მაინც ვახტანგის სამართლის წიგნი მთელ საქართველოში მოქმედებდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ქართულ ჩვეულებათა საფუძველზე იყო შედგენილი. ამავე დროს, საქართველოს მეფეებსა და მთაერებს არ მიუციათ ვახტანგის სამართლისათვის საეალდებულო ძალა, ეს არაფრით არ მტკიცდება. ამ კუთხეებში ვახტანგის სამართლის მოქმედებას კიდევ უფრო პირობითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ქართლში.

აღვნიშნეთ, რომ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი შედგენილია, როგორც კანონმდებელი წერს, ძველი ჩვეულებების შესწავლის საფუძველზე. ვახტანგის სამართლის წიგნის ზოგიერთი ნაწილი, სამრთლის განვითარების თვალსაზრისით, ჩამორჩენილობის დაღს ატარებს. კერძოდ, ეს შეეხება ორდალს, როგორც სასამართლოს მტკიცების სამუალებას. სამართლის წიგნის შეექვსე მუხლში საუბარია „საქართველოს რიგსა და სამართალზე,“ ასეთად სამართლის წიგნი ასახელებს ექვს საშუალებას: 1) ფიცს, 2) მანთს, 3)მდუღარეს, 4) ხმალს, 5)მოწმესა და 6)ცოდეის მოკიდებას. მოწმე ყველა განვითარებული ქეეყნის სასამართლო პროცესის დამახასიათებელი ელემენტია, ხოლო დანარჩენი სამუალება დამახასიათებელია სამართლის განვითარების დაბალი საფეხურისათვის.

საყურადღებოა, რომ ღეთის მსჯაერი, ამუ ორდალები, როგორც მტკიცების სამუალება, წყაროების მიხედვით არა ჩანს, რომ გაერთიანების პერიოდის საქართველოში გამოიყენებოდა. ფიცს, როგორც მტკიცების სამუალებას დიდი ხნის ისტორია აქვს და მას XIX და XX საუკუნეების სასამართლოში ხშირად მიმართავდნენ. ხმალში გაწეევაც ხშირი იყო სხვადასხვა ხალხის ჩეულებების მიხედვით. გვიანფეიდალურ საქართველოში მას ადგილი ჰქონდა და ერი ასეთი შემთხეევა, ქართლის მეფე როსტომის დროს, დაწერილებით აქეს აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძეს. გაერთიანების ხანის საქართველოში სასამართლო პროცესის დროს ხმლით გამოცდას მიმართავდნენ თუ არა, ძნელი სათქმელია, რადგანაც ამის შესახებ ცნობები არ მოიპოეება, მაგრამ მანთით და მდუღარით გამოცდა არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ჯერ ერთი, რომ ამის შესახებ არაეითარი ცნობა წყაროებში არ შემონახულა, და მეორეც, ამ პერიოდის სამართლის განვითარების მაღალი დონე იმაზე მიუთითებს, რომ ამ სახი გამოცდას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. შინითითა და მდუღარით გამოცდა მორალებს შორის ყველაზე უფრო შემმარაეია და განვითარების შედარებით უფრო დაბალ საფეხურს შეეფერება. მტკიცების ამ მასუალებას გვიანფეოდალურ პერიოდში უმთაერესად გლეხების მიმართ იყენებდნენ, ხოლო გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა მიმართ მხოლოდ განსაკუთრებული შემთხეევების დროს (მაგალითად, მეფის ღალატი, მკრეხელობა დასხვ.).

ორდალების საკითხს, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, მრავალი მკვლევარი შეეხო.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, IX–X–XIV საუკუნეებში ორდალების შესახბ ცნობები არ მოგეპოება, თუმცა სასამართლო წარმოებაში ორდალებს მრავალი ხალხი მიმართავდა; ამასთანავე, XVII–XVIII საუკუნეების საქართველოში „ღეთის მსჯაერი,“ როგორც სასამრთლოში მტკიცების სამუალება, დამოწმებულია; ივ. ჯავახიშვილის აზრით, თუ მხედველობაში მიეიღებთ გაერთიანების ხანაში „სამართლის განვითარების მაღალ დონეს“ საქარტველოში, აგრეთვე იმას, რომ ამ პერიოდის ძეგლებში „ღეთის მსჯაერის“ არსებობა დამოწმებული არ არის, შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ „ორდალები ქართულ მაშინდელ სასამართლოს წარმოებას არც ჰქონდა, ყოველ შემთხეევაში, განაგრძობს ივ. ჯავახიშეილი, „შანთი, მდუღარე და ხმალი ღეთის მსჯაერის სახით თუნდაც რომ არსებულიყო, სასამართლოს წარმოების სამუალებად მეგად იშეიათად უნდა ყოფილიყო“.

გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოში ორდალები სპარსეთიდან შემოსული უნდა იყოსო. ასეთ მოსაზრებათა ატკრება არიან: დ. ბაქრაძე, მ. კოვალევსკი, ი. კარსტი.

ალ. ვაჩეიშეილის აზრით, ორდალები, ადათობრიეი ნორმების სახით, შემონახული იყო „ხალხურ სასამართლო წარმოებაში,“ ამასთანავე, ორდალების „შორეულ ისტორიულ წყაროს“ სესაძლებელია ირანი წარმოადგენდეს: „საპროცესო მტკიცების ეს სამუალებანი ჩვენ იურიდიულ ცხოერებაში შემოეიდა ირანის გაელენის გზით. შესაძლოა, რომ აქედან არის შემოღებული აღნიშნული საპროცესო წესები, ვინაიდან ირანული წარმოების წესებთან მათ ბეერი საერთო

აქეთ და როგორც ცნობილია, ირანი ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე განსაზღვრულ მოქმედებას ახდენდა.“

ი. ღოლიძის აზრით, „ორდალების წარმომობა არაეითარ შემთხვევაში არ შეიძლება აიხსნას უცხო სამართლის გაელენით. ისინი ხალხის სოციალურ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული ინსტიტუტია დამ ის შეხედულებას გამოხატავს მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში“. ასეთი კატეგორიული განცხადება მართებული არ არის; მაგალითად, თუ ქართული სამართლის მანთით ან მღუღარით გამოცდა, ისეთ თაესებურებას შეიცავს, რომელიც სხვა რომელიმე ქვეყანას არა აქვს — ეს უნდა დასაბუთდეს. არ ვამტკიცებთ, რომ ორდალები უსათუდ სპარსეთიდან შემოვიდა, მაგრამ სპარსეს ამ მხრივ გაელენა რომ ჰქონოდა საქართველოზე, ამაში საკვირველი არაფერია.

ი. ღოლიძე იმოწმებს ეახუშტის, რომ ძველად საქართველოში ორდალები არსებობდა. ამას ეახუშტი მართლაც წერს. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ეახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონი ეახუშტის ცნობებს იმეორებს თუ აღასტურებს, მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლის. საქმე ისაა, რომ გაერთიანების პერიოდის ძეგლებში არ არის ცნობები საქართველოში ორდალების არსებობის შესახებ. ამასთანავე, ორდალები სამართლებრივი განვითარების ჩამორჩენილობის ამსახველია და ამდენად გაერთიანების პერიოდში, როდესაც სამართლებრივი კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, ორდალების გამოყენებას არც უნდა ჰქონოდა ადგილი. შესაძლებელია ორდალები საქართველოში გაერთიანების წინა პერიოდში, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში და შემდეგაც იყო, ხოლო გაერთიანების ხანაში ეს გადმონაშთური ინსტიტუტები შეიძლება ან კიდეც მოისპო, ხოლო შემდეგ, მოღოლების ხანგრძლივი ბატონობისა და სხვა დამპყრობთა — სპარსელებისა და ოსმალების ბატონობის ხანაში, ამ ინსტიტუტის მოქმედება კელავ გამოცოცხლდა.

ი. ღოლიძე ცდილობს დაარწეოს მკელეეართა დებულება იმის შესახებ, რომ საქართველომ გაერთიანების ხანაში არ იცოდა ორდალები. ამისათვის მას მოჰყავს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდან 49-ე და 90-ე მუხლები. 49-ე მუხლში საუბრია ძმების გაყოფის შესახებ, ხოლო 90-ე მუხლი მოსამართლის მიერ ქრთამის აღების დანაშაულს ეხება. ის აღგილები, რომელიც ი. ღოლიძეს ხსენებული მუხლებიდან მოჰყავს, ბუნდოვანია, განსაკუთრებით კი 90-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ „ბჭესა სიაესა ხელნი დაესხნენ“; აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელს მღუღარით გამოცდა აქეს მხედველობაში, არ უნდა იყოს მართებული.

ორდალების შესახებ ჩვენი მოსაზრება ასეთია: 1) შესაძლებელია ორდალები იცოდნენ ძველ საქართველოში; 2) გაერთიანების ხანაში, როგორც მართებულად აღნიშნავს იე. ჯაეახიშეილი, ორდალების არსებობის დამამტკიცებელი საბუთები არ არის, ხოლო ამ პერიოდის სამართლის განვითარების მაღალი დონე ორდალების გამოყენების საწინააღმდეგოდ უჩვენებს.

ეახტანგის სამართლის წიგნში ორდალები, რასაკვირველია, ჩვეულებითი სამართლიდან უნდა იყოს აღებული, მაგრამ „თეით ეახტანგის ეპოქაში და შემდეგაც ორდალების გამოყენება, როგორც მტკიცების საშუალება, განსაკუთრებულ შემთხვევებში იყო მიღებული. იშეიათად გამოიყენებოდა ორდალებიდან ყველაზე უფრო მკაცრი და ჩამორჩენილი საშუალება, როგორიც იყო მანთი და მღუღარე. ფიცი, როგორც ვთქვით, ხშირად გამოიეენებოდა, მაგრამ შერჩეულ შემთხვევებში. მანთი გამოიყენებოდა მხოლოდ მძიმე დანაშაულის დროს:მ მეფის ღალატი, მკრეხელობა და სხეა (ეახტანგის სამართლის წიგნი, მუხ.9). ფიცი, კანონმდებლის განმარტებით, იმ მხარეს ეღებოდა, რომლის უფლებრიეი რეჟიმი ირღეეოდა ან კიდეე ვის წინააღმდეგაც ბრალდება იყო წამოყენებული: მგალითად, თუ ვინმე ვისმე ქურდობას დასწამებდა, შეწამებული ფიცით იმართლებდა თავს, თუ ვინმეს მიწა-ადგილს შეედავებოდნენ, ფიცი იმისი იყო, ვინც მიწას ფლობდა. კანონმდებელი აფრთხილებს მოსამართლეს, რომ „ფიცის მოხდენას ეკრძალოს და სხვარიგად მოჩივრის გარიგებას ეცადოს“(მუხ.10).

ყველა შემთხვევაში ორდალები სამართლის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, განურჩეველად იმისა სხვა ქვეყნის გაელენით არის მიღებული იგი, თუ წინა პერიოდის ჩეულებითი სამართლის გადმონაშთს წარმოადგენს.

აღსანიშნაეია, რომვახტანგის სამართლის წიგნი სხვა მხრივ არ აგლენს ჩამორჩენილობის ნიშნებს. ავიღოთ, მაგალითად, ბარალის პრობლემა. ბრალის საკითხი კანონმდებელს, თავისი ეპოქის მიხედეით, მაღალ საფეხურზე აქეს განხილული. ეახტანგის სამართლის წიგნის 92-ე მუხლში ნახმარია ტერმინი „უბრალო“. ამ მუხლის მიხედვით, როცა პირი მეორე პირს ჩაუსაფრდება მოსაკლავად, ეს მეორე პირი კი „უბრალოა“, ე.ი. უდანაშაულოა და „უბრალო“ მიკლავს ჩასაფრებულს, ამ მუხლის მიხედვით, ის პასუხს არ აგებს. 62-ე, 65-ე, 72-ე, 210-ე და 227-ე მუხლებშიც „უბრალო“ უდანაშაულოს, მართალს ნიშნავს. ეახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ბრალის საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ტერმინი „ფათერაკის“ შინაარსი. 193-ე მუხლში წერია: „დამწეარი კაცი თუ ამას ამბობდეს, რომე „ განწრახ მიყოო და ფათერაკს აბრალებსო, იმისი ჯერი უნდა იყოს, რომ ფათერაკი მოსცლოდეს, და არც თაეისი ნებით ექნას, ასრე საფათერაკო მისცეს.“ „ფათერაკს აბრალებს“ აქ ნიშნავს — შემთხვეევას აბრალებს. ფათერაკი თაეისთავად შემთხვეევაა, რომელიც გამორიცხავს ბრალს, და თუ მაინც, ფათერაკთან დაკავშირებით, აქ ბრალზეა საუბარი, ეს იმიტომ, რომ ბრალი აქ გაგებულია როგორც მიზეზი.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მუხლში შემთხვევითი (ფათერაკი) მოქმედება დაპირისპირებულია განზრახ ჩადენილ მოქმედებასთან („განზრახ მიყოო და ფათერაკს აბრალებსო"). მაშასადამე, ის ეინც განზრახ დანაშაულს ჩადის, ცდილობს ეს „ფათერაკს" გადააბრალოს, რადგანაც განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა უფრო მძიმეა, ფათერაკი კი ან სრულად არ იწვევს სასჯელს (პასუხისმგებლობას), ან კიდევ ნაკლებს იწვევს.

საინტერესოა, თუ როგორ ესმის კანონმდებელს „ფათერაკი". დავუშვათ, რომ „ფათერაკი" გაუფრთხილებლობას ნიშნავს, მაშინ „შემთხვევა" რომელი სიტყვით გადმოიცემა? 193-ე მომდევნო მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როცა „ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს" შესაძლებელია „აწყენინოს რამე, ან მოსტეხოს რამე ან დაჭრას," ან მიკლას. ასეთ შ მთხვევაში „დაჭრილს საქიმო უნდა მისცეს და, თუ მოკვდეს, სამარხი უნდა მისცეს", მაგრამ თუ დაზარალებული „ეუბნებოდეს: განზრახ შენის ნებით მიყაო, მაგისი ჯერი არის. თუ თავი იმართლა, რომ მისი ნება არ ყოფილიყოს და ისრე მოსელოდეს, როგორც დაგეწერია, დაჭრილსა და აეადმყოფს სააქიმო მისცეს და მკედარს სამარხი უნდა მისცენ"(მუხ.194). აქაც, „განზრახვა"საგანგებოდ ხაზგასმულია იმ მხრივ, რომ განზრახ მოქმედება უფრო მძიმე პასუხისმგებლობას იწვევს. ამასთანავე, განზრახვა, და ეს ფრიად მნიშვნელოვანია, დაკავშირებულია ნებასთან („განზრახ შენის ნებით მიყაო"). მაშასადამე, განზრახვა, ნებისგანაა დამოკიდებული. რასაკვირველია, განზრახვა ნების გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ კანონმდებელს მაინც საჭიროდ უცვნია ნებაც ეხსენებინა, რომ ამით განზრახვის გარეშე მოქმედება, ე.ი. უნებური მოქმედება კიდევ უფრო დაეპირისპირებინა ნებისგან დამოკიდებული მოქმედებისაგან.

194-ე მუხლთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კანონმდებელს ძირითადად მხედველობაში აქვს ისეთი დანაშაული, რომელიც განზრახ ჩადენილი არ არის. ასეთია: ხუმრობა-თამაშის დროს კაცის დაჭრა ან მოკვლა. თამაშის დროს აღამიანმა აღამიანი შეიძლება მოკლას გაუფრთხილებლობით და შემთხვევით. კანონმდებელი თუ 193-ე მუხლში ხმარობს სიტყვა „ფათერაკსდ", 194-ე მუხლში აღარ ხმარობს ამ ტერმინს, რადგანაც ორივე მუხლში დანაშაულთა მსგავსი შემადგენლობაა აღწერილი. ორივე შემთხევაში განზრახვას უპირისპირდება ნების გარეშე ჩადენილი მოქმედება, ხოლო ერთ შემთხევევაში ნახსენებია „ფათერაკი", მეორეში კი არა. ეს გარემოებაა შეიძლება იმის მაჩვენებლად მივიღოთ, რომ კანონმდებელი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან გაუფრთხილებლობასა და „ფათერაკს," ანუ შემთხვევას.

ეახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთ დანაშაულს, რომელიც განზრახვით არის ჩადენილი, საგანგებოდ ჩერდება პასუხისმგებლობის საფუძველზე და განასხვავებს მოქმედებას, რომელიც აღამიანის სურვილის, ნების მიხედვით არის ჩადენილი, ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც აღამიანის ნებაზე არ იყო დამოკიდებული; მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელი კარგად უნდა არჩევდეს როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევას; ყოველ შემთხვევაში, ცალ-ცალკე ტერმინები გაუფრთხილებლობისა და შემთხვევისათვის მას არა აქვს, თუმცა კი ამ მიმართებით საკითხის ვაღაწყვეტა, როგორც ჩანს დღის წესრიგში დგას.

ფათერაკის შესახებ უფრო დაწერილებით მოვეითხრობს კანონმდებელი 92-ე მუხლში: „თუ ფათერაკად კაცს კაცი შეშოალეღეს ან შემოჭრას, ან დაშავდეს, რისაც ფათერაკით რომ იმ კაცს არ ნღომოდეს, ცხენით თუ იარაღით, ასე რომ ან ცხენმან თაეი წაართვას და შეეძგეროს, ან გადავარდნაში შეიძგერნენ, ან ნაღირს თუ თოფი ან ისარი შესგყორცნოს და კაცს მოხვდეს, ან თამაშობაში აწყინოს რამე, ბევრი ფათერაკი სხეა არის,ამისი ასე არის: ცხენისაგან მოხდების სიკვდილი თუ იარაღისაგან, ის ცხენი, ის მკელელი და ის იარაღი მიეცემის; და იქნების, მკედარს სამარხი და დაჭრილს სააქიმო გაუჩნდეს. თუ ნაღირს შესგყორცნოს და კაცს მოხვდეს, ან ფრინველს შესგყორცნოს და კაცს მოხვდეს, ან ყაბახს ესროლოს და ისარით კაცს დაეცეს, ამგვარს ყველას ფათერაკი ჰქვიან. ყაბახის მსროლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი ამიგომ მიეცემი; ამაებს მთლად არა საფათერაკო სისხლი უნდა მიეცეს." ეს საკმაოდ გრძელი მუხლი სრულად მოვიყვანეთ, ტადგანაც ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევები შეიძლება მიეკუთვნოს როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევს; მაგალითად, აღამინმა ნაღირს თოფი ესროლა და კაცს მოხვდა; ეს ფაქტი იმის მიხედვით, თუ რა პირობებში მოხდა, შეიძლება გაუფრთხილებლობაც იყოს და შემთხვევაც. მაშასადამე, კანონმდებელი, შემთხვევასსაა და გაუფრთხილებლობას არ განასხვავებს, ორივე ტერმინს „ფათერაკით" გადმოგეცემს ახსნა-განმარტებას თხოულობს ციტირებული მუხლის უკანასკნელი ნაწილი. საუბარია იმ შემთხვევაზე, როცა ყაბახს ისარს ესვრიან და კაცს მოხვდება. ამ შემთხვევაში მსროლელი ციტირებული ულის თანახმად, იმ იარაღს, რომლითაც ისროდა, გადასცემს დაზარალებულს, უკანასკნელი მიიღებს მსროლეისაგან აგრეთვე სამარხს ან საქიმოს. კანონმდებელი განმარტავს: „ყაბახის მსროლელ კაცს ისარზე პირი არ უნადა ესხას, სისხლი იმიგომ მიეცემისო"; მაშასადამე, მსროლელი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, თუ ისარს პირი აქვს; თუ ისარზე პირი არ არის გაკეთებული, ასეთი მსროლელი პასუხს არ აგებს, რადგანაც უპირო ისარი არ არის საშიში, მაგრამ თუ ყაბახის მსროლელის ისარს პირი ექნება გაკეთებული, მაშინ საქმე გვაქვს არა შემთხვევასთან, არამედ გაუფრთხილებლობასთან. ჩანს, რომ ისეთ გიპიურ შემთხვევას, როგორიც მოცემული მაგალითია,

კანონმდებელი ფათერაკს უწოდებს. მისთვის ფათერაკი ფართო მცნებაა და ის როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევას შეიცავს(ცასუს)ყურადღებას იქცევს აგრეთვე ცოტნერებული მუხლის უკანასკნელი წინადადება: „ამავეს მთლად არა საფათერაკო სისხლი უნდა შიეცეს“. რას ნიშნავს „მთლად არა საფათერაკო“? შეიძლება კანონმდებლის აზრი ასე გაეიგოთ: მუხლში ჩამოთვლილი მაგალითები მას ფათერაკად მიაჩნია, მაგრამ ისეთად, რომლისთვისაც მეტი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, ვიდრე სხვა (ჩვეულებრივი) ფათერაკის დროს.

191-ე მუხლში საუბარია „უნებურად და ფათერაკად“ ცეცხლის გაჩენის შესახებ. უნებური და ფათერაკი განცალკევებულია ერთმანეთისაგან, თუმცა ორივე შემთხვევაში ერთგვარი სნქცია არის გათვალისწინებული. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ის ვინც პირუტყვს საბოვარზე ან წყალზე“ წაიყვანს ა მოუვედება ან დაუშავდება, პასუხს აგებს, ხოლო თუ საქონლის სიკედილი ან დაშავება „ფათერაკის სახით მოუხდა“, მაშინ საბღაურის ნახევარი უნდა დაიკლოს საქონლის პატრონმაო (მუხ.230). ამ შემთხვევაში „ფათერაკი“ მხოლოდ სანახეეროდ ათავისუფლებს მიანის მიმყენებელს. კანონმდებელი მკელელობის შემთხვევაში არჩევს:1)მოწამეილით მკელელობას (ყველაზე მძიმე ფორმა), 2)შუღლით მკელელობას, 3)„მგრობით სიკედილს“ და 4)„ფათერაკით სიკედილს“ (მუხ.252).

„ფათერაკით სიკედილი“ მკელელობის ყველა ფორმაზე მსუბუქი უნდა იყოს, მაგრამ კანონმდებელი არ აღწერს მოქმედების შემადგენლობას კონკრეტულად და ამიტომ საფიქრებელია, რომ კანონმდებელი, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას გულისხმობს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ შემთხვევის (ცასუს) მნიშვნელობა ცნობილი იყო გაერთიანების ხანის საქართველოში და შემდეგაც.

საინტერესოა ამ ცნების შინაარსი ეახტანგის წინა ხანებში და ეახტანგის ეპოქის სხვა წყაროებში.

ექვთიმე მთაწმინდელის სიტყვა შემთხვევის (ცასუს-ის) მნიშვნელობით ხმმარობს ტერმინს „იშობრივს“. სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას განმარტავს შემდეგნაირად: „იშობრივ- ფათერასაეით“ (ფათერაკად)“.

ლ. მუსხელიშვილი, აბუსერიძე გბელის მიხედვით, ასე განმარტავს სიტყვა ფათერაკს: „ფათერაკი (სპარს. ფათერა) ხიფათი, უბედური შემთხვევაა“. როგორც ჩანს, სპარსული წარმოშობის „ფათერაკი“ საქართველოში შეღარებით გვიან შემოღის ხმარებაში და მანმადე მას ცელის სიტყვა „იშობრივ“. როცა საუბარია „იშობრივი“ სიტყვით დახასიათებულ მოქმედებაზე იურიდიული კვალიფიკაციის მიხედვით, ის არ განსხვავდება გაუფრთხილებლობისაგან.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სიტყვა „იშობრივს“ გაღმოგვცემს სიტყვით „უეცრად“.

„ამირანდარეჯანიანში“ ხშირად გვხვდება „ფათერაკი“. „ამირან დარეჯანის ძემ პკითხა მხედარს: რაგომ სტირიო? – პატრონისათვისო, უპასუხა; კელავ შეეკითხა: – პატრონი მოკედაო? – პასუხი: არა, ფათერაკი წაეკოდაო“. პატრონი ბადრი იამანის ძე იყო, ხოლო ფათერაკი , რომელიც მას მოუხდა ის იყო, რომ მძინარე ბაყბაყ დევმა მოიგაყა.

მაშასადამე, ფათერაკი ამ შემთხვევაში უბედურებას, ხიფათს ნიშნავს. ამირამ დარეჯანის ძემ მეფეებთან ომის შესახებ თქვა: „ღმერთმან იცის, ნებითა ჩემითა არ ეებრძეი კელმწიფეთა მით, რომელ არამცა ფათერაკი წამეკიდოს და მოკუდეს რომელიმე ხელთა ჩემთაგან. არა კარგი არს აზნაურთაგან კელმწიფეთა სიკუდილი“. მაშასადამე, ამირან დარეჯანის ძე გაურბის მეფეებთან შებმას, რომ უბედურება არ შეემთხვეს და მეფე არ შემოაკედეს.

წითლოსანის ჭაბუკის ძმას დარეჯანის ძემ უთხრა: „ძმაშან შენმან სიამპარტაკენითა მოიკლა თავი თუსი და ფათერაკად მოკუდა და აწა კულა შენ მეწყალვი, რომელ შენცა მოპკუდები კელითა ჩემითა“. ე.ი. შენ ძმას ამპარტავნობით უბედურება შეემთხეაო.

„მზემან ჭაბუკმან ეგრე ჰრქუა: რასა ებრძეი, უბადო ვინმე და მუხთალი ვინმე კაცი არისო. თუ შეები კაცურად და კარგად შეებმოო, რომელ არა გეფათერაკოსო“, ე.ი. უბედურება, ხიფათი არ მეგემთხეესო.

ამგვარიეე შინაარსი აქეს სიტყვას „ფათერაკს“ „ვისრამიანშიც“: „რაზომიცა მიჯნურობასა მიგან ფათერაკი დაემართოს, ეგრეცა ყუელასა თაეის ნებითა მას გამოირჩევს“. ამ შემთხვევაში ფათერაკი უბედურ შემთხვევას ნიშნავს. „აწ იხარებენ ეშმანი და ქაჯნი, იციან თუ რაზომი კელმწიფე და დიდებული მოკუდების“. აქ ფათერაკი უბედურებას ნიშნავს.

რამინმა ძიძას უთხრა: „გულისა ნებისა უკანდგომითა ბრალი დია გიქმნია და ავისა სახელისა უპატიობისა ფათერაკიცა დია გარდგი ხდია“.

„უწყი, რამეთუ არა ეარ შესარაცხაე ღმრთიე მონიჭებულისა კეთილისაი. გარნა ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულქმნაჲ ჩემგან სამუშაოდ კაღრებულისა ხიხათა ეკლესიისაჲ, რომლისა მუშაკობასა მინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცააათა ფათერაკთაგან კსნისანი“. მოყვანილ ტექსტში ფათერაკი უბედურ შემთხვევას ნიშნავს.

სულხან-საბა ორბელიანი თავის „ქართულ ლექსიკონში“ „ფათერაკის“ ასეთ განმარტებას იძლევა: „ფათერაკი მოულოდებლად და უნებლიეღ იქნმას რამ ანაზდათ“. ამ განმარტებაში ყურადღებას იქცევს ორი ცნება: „ნება და მოულოდებლად; „ფათერაკი“ სულხანის აზრით, გამორიცხავს ნებელობას. ნების გამორიცხვით სულხან-საბამ ფათერაკი გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას დაუკავშირა, ხოლო სიტყვები – „მოულოდებლად“, „ანაზდად“, უფრო შემთხვევას.

ყოველშემთხვევაში, ეახტანგის სამართლის წიგნის თვაკსაზრისი სრულად შეესაბამება სულხან-საბა ორბელიანის თვალსაზრისს.

სულხანის „სიბრძნე სიცრუისაშიც“ გეხვლება ტერმინი „ფათერაკი“; ყადმა თქვა: „მე ამ ქოსას აქ ვეღარ დავუდგები, ფათერაკს კიდევ გამბაბამსო“ ე.ი. უბედურებას, ჭირს შემყრისო. ყაბან მაპის მეუღლეს „ფათერაკი მოუხდა“, ე.ი. უბედურება, არასასიამოვნო შემთხვევა მოუვიდა.

მაშასადამე, „ფათერაკი“ ძველ ტექსტებში უბედურებას ნიშნავს, ხოლო სულხანის მიხედვით, ის უბედურებაც არის და მ მთხვევა-გაუფრთხილებლობაც.

ეახტანგის სამართლის წიგნში „ფათერაკი“ შემთხვევა-გაუფრთხილებლობას ნიშნავს.

მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ობიექტური შერაცხვის საფეხური გადალახა, დანაშაულისათვის სასჯელის მიყენების საფუძვლად თანდათანობით ბრალი აღიარა. დამთავრებული მოძღერება გაუფრთხილებლობაზე არც რომსა და არც ფეოდალურ სამართალს არ მოუცია. დამთავრებული მოძღერება გაუფრთხილებლობის შესახებ მას ხარისხებად ყოფს და ამასთანავე, შემთხვევისაგან გამოყოფს. ასეთი სახის მოძღერება გაუფრთხილებლობის შესახებ ევროპაში განმანათლებელთა იდეების გაელენით წამოიშვა XVII–XVIII საუკუნეებში, ხოლო საბოლოოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ეახტანგის სამართლს წიგნის მიხედვით, მოცემულია განზრახვისა და აგრეთვე, არაგანზრახვითი მოქმედების დიფერენცირება; სამართლის წიგნმა იცის როგორც გაფრთხილებლობის ცნება, ისე შემთხვევაც, მაგრამ გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას შორის მკაციე დემარკაციული ხაზი არა გაუელია; ბრალის ცნების ის დიფერენცირება, რომელიც ეახტანგის სამართლის წიგნშია მოცემული, სამართლის განვითარების მაღალ დონეს აელენს.

ზემოთ საუბარი გექონდა ეახტანგის სამართლის წიგნის ორი საკითხის ორდალებისა და ბრალის შესახებ. პირველი საკითხის განხილვით შევეცადეთ დაგეესაბუთებინა, რომ ორდალებით ეახტანგის სამართლის წიგნი ჩამორჩენილობას ასახავს, ხოლო ბრალის საკითხით სამართლის მაღალ განვითარებას.

ძლიერი და მაღალი განვითარების მქონე საქართველოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაბალი კულტურის მქონე მონღოლების ბატონობის ქვეშ მოექცა. მონღოლთა თარეშმა ქვეყანა გააპარტახა. საქართველოში კულტურული განვითარება შეფერხდა. სამართალში, მნე-ჩვეულებაში ჩამორჩენილობა დამკვიდრდა. იე. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ კულტურულად საქართველო დაქვეითდა,ეს ჩანს XIV საუკუნის ძეგლებიდანო. XI საუკუნეში ე. მთაწმინდელს, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ბრალის ფორმები მკაფიოდ დიფერენცირებული ჰქონდა, ხოლო გიორგი V-ის ძეგლის დადებასა და აღბეჭდას სამართლის წიგნში ამ საკითხში ქართული სამართლის მიერ ნაბიჯის უკან გადადგმა შეინიშნება, ხოლო ეამთააღმწერელს მონღოლთა ველური წესი „დანაშაულზე წასწრებულის გამოუძიებლივ დაგაუსამართლებლივ იქვე მოკელა, უკვე მოსწონდა და საქებურადაც კი მიაჩნდა“.

მწარმოებელი კლასი უკვე ვეღარ უძლებდა გარეშე და შინაურ მოძალადეებს, ვეღარ აუდიოდა ფეოდალურ ეადასახადებსა და მონღოლთა სასარგებლო ხარკს. სათავადოების სისტემის ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო შეაფერხა ქვეყნის ეკონომიური წინსვლის შესაძლებელობა. ბარში ჩამოწოლილმა მთის მცხოვრებლებმა ჩამოიგანეს ჩამორჩენილი მნე-ჩვეულება.

ზემოთ ვთქვით, რომ გაერთაიანების ხნაში ორდალებს იმიტომაც არ უნდა ჰქონოდა აღგილი, რომ ქართული სამართლის განვითარების დონე მაღალი იყო; ამას უნდა დაეუმატოთ შემდეგი: ქართულმა სამართალმა X საუკუნეში შეიმუშავა საკუთრების უფლების ცნების ამსახველი ტერმინი, რომელიც დასავლეთ ეეროპის ქვეყნებში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ შემუშავდა. ამას გარდა, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიეი წყობილების შესახებ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულია ფრიად მნიშვნელოვანი პროგრესული შინაარსის იდეები აბსოლუტური მონარქიის შესახებ. ამაეე ძეგლში დადასტურებულია ის გარემობა, რომ გაერთიანების ხანის სახლმწიფოში მეცნიერებს უაღრესად პატივს სცემდნენ.

მნიშვნელოვანია ის, რომ გაერთიანების ხანაში „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სახელმწიფო მმართველობა დარგებად არის დაყოფილი , მმართველობის სისტემა გარკვეულ საუწყებო პრინციპზეა აგებული, სასახლის მმართველობის სამართლის კერძო საწყისები გამოყოფილია მმართველობის საჯარო სისტემისაგან. გაერთიანების ხანაში ჩამოყალიბებულია ცალკეული დანაშაულისათვის მპარავთმდევნელთა ცალკე უწყება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს საჯარო მმართველობის საწყისები ძირითადი საფუძველია ცენტრალური და აღგილობრივი მოხელეების საქმიანობისათვის.

ორდალების საპირისპიროდ, გაერთიანების ხანაში, თამარ მეფემ მოსპო დამასახიჩრებელი სასჯელები, როგორიც იყო ასოთმოკვეთა, თვალების დათხრა; ამასთანავე, სიკვდილით სასჯელი იმდენად შეამცირა, რომ თამარის ისტორიკოსის ცნობით, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოიყენებოდა ეს სასჯელი ავაზაკობის მძიმე ფორმის დროს. შეიძლება ეთქვათ, რომ თამარმა სიკვდილით სასჯელი როგორც წესი, მოსპო. ასეთი პუმანიზმი ძლიერი და მაღალი კულტურის

სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი და ამდენად, შეუსაბამო იქნებოდა ასეთ სახელმწიფოში ორდალების არსებობა.

როგორც ვთქვით, ეახტანგის სამართლის წიგნში გაერთიანების პერიოდის სამართლის განვითარების მაღალი დონის საწყისებიც არის მოცემული და ჩამორჩენილობის მაუწყებელი ინსტიტუტებიც. გარდა ორდალებისა, ჩაორჩენილობის მაუწყებელია ის გარემოებაც, რომ ვახტანგის სამართლით, მოწმე სათანადოდ არ არის დაფასებული; მოწმე, წერს კანონმდებელი, ბერძნებს, ფარნეკებსა და რუსებს სწამთ, ხოლო „ქართლში უფრო განუწესებიათ", ე.ი. საქართველოში, როგორც მტკიცების სამუალებას, მოწმეს იმდენად არა აქვს მნიშვნელობა, როგორც სხვა ქვეყნებშიო (მუხ.13). სამართლის წიგნმა იცის აგრეთვე მოფიცარი (შეგდებული და მეუგდებელი მოფიცარი) (მუხ.10).

ვახტანგის სამართლის წიგნით, დანამაულის მიმართ ძირითადად რეაქციად კომპოზიციაა გთვალისწინებული, რაც სასჯელს ქერძო სამართლებრივ ხასიათს აძლევს.

ვახტანგის სამართლის წიგნში შემორჩენილია კოლექტიური პასუხისმგებლობის საწყისები. თუ ცრუ მთხრობელს „გადახდა არ შეეძლოს," აგრეთვე, „თუ ქურდი ვალს ვერ აუვიღეს", ე.ი. ვერ გადაიხადოს შეღმაჯი, მაშინ მთხრობელი დაქურდი ცოლშვილით უნდა გადაეცეს დამარალებულს (მუხ.39, 15); მაგრამ, ამ ჩამორჩენილობის მაუწყებელ ნიშნებთან ერთად, ეახტანგის სამართლის წიგნმა ბრალის საკითხის გარდა იცის სხვა საკითხებიც, სხვა ინსტიტუტებიც, რომლებიც სამართლის პროგრესული და განვითარების მაღალი დონის მაჩვენებლები არიან. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეახტანგის სამართლის წიგნი კატეგორიულად კრძალავს თვითნებობას, თვითგასწორებას (მუხ.173). ყოველი პირი რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში ვალდებულია ხელისუფალთ მიმართოს. არავის არ აქვს უფლება ხელისუფლების გარეშერ გადასახადები შემოიღოს (მუხ.214).

აღსანიშნავია, რომ ეახტანგს სამართლის წიგნში სამოქალაქო სამართალი განვითარების მაღალი დონით არის ასახული. უკეთ რომ ვთქვათ,გაერთიანების ხანის მაღალი დონე შენარჩუნებულია, მაგალითად,ნასყიდობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლების სიმტკიცე (მუხ.160).წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ თვით საკუთრების დიფერენცირება საქართველოში ღრმად იყო წასული. საბუთებიდან ელინდება საკუთრების მრავალი სახე: მამული, დედული, მონაგები, ნამმითეი, ნასყიდი, სამემკვიდრეო, ნაჩუქარი, ნაწყალობები და სხვა.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომვახტანგის სამართლის წიგნი (მუხ.126) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების დადების დროს მხარეების ფორმალურ ნება-სურვილს. თუ მხარეები დადებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას, მისი მოშლა არავის შეუძლია.

როგორც ეხედავთ, მიუხედავად ზემოთქმულისა (ქვეყნის ეკონომიკური დაცემა, პოლიტიკური დაქუცმაცება და სამართლის დარვში რეგრესული შინაარსისსამართლის ნორმების შემონახვა),ეახტანგის სამართლის წიგნი ასახავს გაერთიანების პერიოდის მაღალი დონის სამართლის საწყისებს და განაგრძობს ამ პერიოდის მიერ სამართლის განვითარებისაკენ აღებულ გეზს.

მოსეს სამართალი

ებრაული, ანუ მოსეს სამართალი, რომელიც შეტანილია ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში, შეიცავს ბიბლიიდან ამოკრებილ მუხლებს, სახელდობრ, ის არის დაბადების ის ნაწილი, რომელსაც „მეორე სჯულის კანონი" ეწოდება.

„მეორე სჯულის კანონი" ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის ერთ-ერთი წიგნია (მეხუთე). მის შედგენას მიაწერენ ლეგენდარულ წინასწარმეტყველ მოსეს, სინამდვილეში კი შედგენილი უნდა იყოს (ძ.წ. VIIს.) ებრაელების მეფის იოსიას დროს, როცა სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალიზაციისათვის შესაბამისი რეფორმები ჩატარდა.

„მეორე სჯულის წიგნში" მოცემულია რელიგიური კანონმდებლობა, მოთხრობილია ებრაელების ხეტიალი უდაბნოში, მოსეს სიკვდილი და მოსო დასაფლაება.

„მეორე სჯულის კანონი" ქრისტიანულ ქვეყნებში მოქმედ სამართლის წიგნად ითელებოდა და ამიტომაც ის ეახტანგის საკოდიფიკაციო კომისიის მიერ სამართლის წიგნთა კრებულშია შეტანილი.

ბერძნული სამართალი

ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია ბერძნული სამართალი. დიდი ხანია მეცნიერების ყურადღებას იქცევს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროს საკითხი. ამ საკითხის შესახებ მოსაზრება გამოთქვეს მ. ბროსემ, ბ. როზენკამპმა, დ. ჩუბინაშვილმა და ენგელმანმა. ელ. სოკლსკიმ დაწერილებით განიხილა ეს მოსაზრებანი, ღრმად მეიწავლა საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი

ბერძნული სამართალი წარმოადგენს მატე ელასტარის სინტაგმის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც მიგადამიე შესებულია არმენოპულოს სამართლის წიგნიდან და სხვა წყაროებიდან. ამასთანავე, ელ.სოკოლსკის აზრით, ქართყლის შესატყვისად, ბერძნულის ასეთივე რედაქცია უნდა არსებულიყო, რადგანაც მასალა ბერძნული ანაბანის მიხედვითაა დალაგებული (ქართულად მთარგმნელს თავისი ინიციატივით გაუჭირდებოდა ბერძნულ-რომაული სამართლის წყაროების ასეთი კრებულის შედგენა). ამასთანავე, ელ. სოკოლსკი აღნიშნავს, ბერძნულად ქართული მსგავსი რედაქციები ხშირად დგებოდა და დიდი გავრცელებაც ჰქონდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში.

მეცნიერ მუშაკმა თ. ბრეგაძემ მართალც აღმოაჩინა ქართული ტექსტის მესატყვისი ბერძნული ხელნაწერი და ქართულ-ბერძნული ტექსტი სათანადო გამოკვლევით გამოსცა კიღეც. თ. ბრეგაძის გამოკვლევაში დასაბუთებულია, რომ ქართული ტექსტი წარმოადგენს ბერძნული ტექსტის გამოკრებილ თარგმანს. შესაძლებელია, ეს თარგმანი უფრო ერცელი იყო, ხოლო შემდეგში დახვეწეს. „თარგმანი თავისუფალ ხასიათს ატარებს, მინაარსი დაცულია იმეითათი გამონაკლისის გარდა, რაც ქართული ხასიათისთ არის გამოწვეული".

ბერძნულ ხელნაწერში, რომლიდანაც ქართული თარგმანია გაკეთებული, მრავალი ქართული მინაწერი გეხვდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ სწორედ ეს ხელნაწერი ჰქონდათ ხელთ ქართულად მთარგმნელებს. ქართული თარგამანი შესრულებულია კვიპრიანე სამთაენელის მიერ1.

ბერძნული ხელნაწერი, როგორც ანდერძიდან ჩანს, გადაწერილი ყოფილა 1670წელს ცალაცმი მოლდავეთ-ვლახეთის მპყრობელის იოანე დუკას ვოევოდას დროს. ხელნაწერი ვლახური ყოფილა; ვლახეთი კი XVIII საუკუნის დასაწყისში საქრისტიანო აღმოსავლეთის ცენტრად გადაიქცა; იგი აღმოსავლეთს წიგნებით ამარაგებდა და ქართველები კარგად იცნობდნენ ვლახეთს XVII-XVIII საუკუნეებში კულტურული კაეშირი ჰქონდათ დამყარებული ამ ქვეყანასთან.

ელასტარის სინტაგმა პირველად გადაითარგმნა სერბიულ ენაზე, შემდეგ, სტეფანე დუშანის სურვილის მიხედვით, ამ სინტაგმიდან ამოკრებილი ადგილები შეიდა მის 1349 წლის „კანონებში". როგორც ეთქვით, ბერძნული ტექსტი შეიცავს მატე ელასტარის სინტაგმას, რომელიც ადგილ-ადგილ შევსებულია კონსტანტინე არმენოპულოს წიგნებიდან ამოღებული ადგილებით.

სასულიერო პირი მატე ელასტერი XIV საუკუნეში ცხოვრობდა. ის ცნობილი იყო როგორც აღმოსავლეთ ეკლესიის კანონიკური სამართლის დიდი მცოდნე; შეადგინა ანბანური წესით დალაგებული სინტაგმა, რომელიც საეკლესიო კრებთა დადგენილებებსა და საერო მინაარსის კანონებს შეიცავს. კონსტანტინე არმენოპულო, გამოჩენილი იურისტი, ცხოვრობდა ბიზანტიაში (XIVს.). მან შეადგინა კანონების სახელმძღვანელო, ანუ „ექვსი წიგნი". ეს წიგნი წარმოადგენდა IX საუკუნის ბიზანტიური საკანონმდებლო ბეგლის პროხირონის შემოკლებით გადამუშავებას.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებული ბერძნული სამართლის ქართული თარგმანის ბერძნული ხელნაწერი, რომელიც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტეს ბერძნულ ხელნაწერთა ფონდში (რ 10), შედგენილია ელახეთში და წარმოადგენს მატე ელასტერის სინტაგმას კონსტანტინე არმენოპულოს „ექვსი წიგნიდან" ჩამატებებით გავრცობილს.

აღსანიშნავია, რომ ელ. სოკოლსკის საესებით მართებული შენიშვნით, ბერძნულ-რომაული სამართლის კრებული, რომელიც დგებოდა კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, იურიდიული აზროვნების დაბალ დონეს ამეღავნებს: შემდგენლებს სათანადოდ არ ესმით ბერძნულ-რომაული სამართლის საწყისები, რომლებიც მათ შემოკლებული სახით შეაქვთ კრებულებში; ამახინჯებენ ბერძნულ-რომაული სამართლის პირვანდელ ტექსტს, უმართებულოდ ამოკლებენ ან აერცელებენ მას.

ბერძნული სამართლის ქართული თარგმანი სათანადო გამოკელევით გამოქვეყნებული აქვს ი. დოლიძეს, რომელმაც გამოსცა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული.

სომხური სამართალი

აღვნიშნეთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში ვახტანგ VI ჩამოთვლის იმ სამართლის წიგნებს, რომლებიც კრებულში აქვს შეგანილი. ბერძნული და სომხური სამართლის შესახებ შესავალში ნათქვამია, რომ ისინი გადმოათარგმნინა ქართულ ენაზე; სომხური სმართლის შესახებ მეფე წერს, რომ სომხური სმართალი „ეჩმიაძინიდან" ჩამოაგანინა.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სომხური სამართალი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორი ნაწილისაგან შედგება:

1) სირიულ-რომაული სამართლისა და 2) მხითარ გოშის სამართლისაგან.

ვ. სოკოლსკის გამოკვლევით, როგორც აღვნიშნეთ, სირიულ-რომაული სამართალი შედგენილია ბიზანტიაში VIს-ის დამლევს; ცნობილია მისი სამი რედაქცია: სირიული, არაბული და სომხური. მისიეე აზრით, ბერძნულ-რომაული სამართალი მოცემულია ვახტანგის სამართლის

წიგნთა კრებულის როგორც ბერძნულ სამართალში, ასევე სომხურშიც, სახელდობრ, ქართული ტექსტის პირველი ნაწილის პირველი 150 მუხლი ბერძნულ-რომაული სამართლიდან მომდინარეობს რომელიც V–ში იქნა შედგენილი.

რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ბერძნულ-რომაული სამართლის სირიული,არაბული და სომხური რედაქციები ცვლილებებს განიცდიდა.

პროფ. მელიქსეთბეგმა გამოსცა ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სომხური სამართალი; წინასიტყვაობაში ის აღნიშნავს, რომ სომხური სამართლის პირველი ნაწილი თარგმანია XIIს-ის სომხური ეერსიისა, რომელიც შედგენილი იყო ნერსეს ლამბრონელის (1158-1198წწ) მიერ. ნერსესი ყო სომხური ეკლესიის მსახური, ბერძნული და სომხური ერთიანობისათვის მებრძოლი.

ეახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას ეჩმიაძინიდან თბილისში ჩამოუვიდა ხელნაწერი, რომელშიც ეს ორი განსხვაეებული სამართლის წიგნები – სირიულ-რომაული სამართალი და მხითარ გოშის სამართალი ერთ კრებულში იყო გაერთაინებული; ორიეე სომხეთში მოქმედი სამართალი იყო. ეს ძეგლები ქართულადაც ერთ კრებულშია მოთავსებული სამართლის წიგნის სახით.

სომხური სამართლის ქართული რედაქცია მრავალი ცვლილებებით, დამახინჯებული ადგილებით არის წარმოდგენილი. ამ დამახინჯებათა ნაწილი ქართეელ მთარგმნელს მიეწერება, ნაწილი სომხური ხელნაწერის გადამწერს, რომელსაც, ალბათ, ნათლად ვერ გაუგია ბერძნულ-რომაული სამართლის ძველი სომხური რედაქციის ამა თუ იმ ადგილის მინაარსი.

ვ. სოკოლსკი ეარაუდობდა, რომ ბერძნულ-რომაული სამართალი ძველი დროიდანვე მოქმედებდა როგორც საქართველოში, ისე სომხეთში.

სირიულ-რომაული სამართლის კრებული, აღმოსაელეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, რომლებიც ბიზანტიის გაელენის ქვეშ იყვნენ, გაერცელებული იყო და მოქმედ სამართლის წიგნს წარმოადგენდა; მოსალოდნელია, რომ სირიულ-რომაული სამართლის წიგნი ქართულად ეახტანგ მეფემდე იყო გადმოთარგმნილი და დაიკარგა.

ეს. სოკოლსკის მოსაზრებას, რომ ბერძნულ-რომაული სამართლის წიგნი ძეელ სომხეთსი მოქმედებდაო, სომხური სამართლის ყველა მკელეეარი არ იზიარებს. ბოგი სომეხი მკელეეარის აზრით, მხითარ გოშამდე (XIIს) არ იყო არც უცხოური და არც ეროვნული სამართლის წიგნები. ბოგიერთი კი ამტკიცებს, რომ X–XV საუკუნეებში და შეიძლება უფრო ადრეც, სომხეთში მოქმედებდა სირიულ-რომაული სამართლის წიგნი. სომეხ მკელეეართა გარკეეული ჯგუფი, და მათ შორის, ლ. მელიქსეთბეგი, იმ აზრისაა, რომ სირიულ-რომაული სამართლის კრებული თარგმნილია სომხურად XII საუკუნის ბოლოს კილიკიის სომეხი ეპისკოპოსის ნერსეს ლამბრონელის მიერ.

სომხური სამართლის მეორე ნაწილი მხითარ გოშის სამართლის წიგნს წარმოადგენს.მხითარ გოში განჯაშია დაბადებული; ის იყო გრიგორიანული საეწმუნოების მიმდეეარი, ღეთისმეტყეელი, მოძღეარი და მონაზონი. სწავლის დასრულებისა და სრულყოფის მიზნით გაემგზაერა კილიკიაში, რომელიც მაშინ სომხური განათლებისა და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. კილიკიიდან მხითარ გოში ისევ განჯაში ბრუნდება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი აარსებს მონასტერს და იქ ეწეება საქმიანობას; მხითარ გოში სომხურ მწერლობამიც მოღეაწეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი სომხური იგავ-არაკების კრებული. სამართლის წიგნს მხითარ გოში ხანგრძლიეი პერიოდის განმავლობაში ადგენდა. როგორც თეითონ შესავალში აღნიშნავს სამართლის წიგნის წერა დაუწყია თამარის მამის, გიორგი III-ის გარდაცვალების წელს, ე.ი. 1184 წელს. შესაძლებელია ამ წლიდან თაეისი სიცოცხლის ბოლომდე (1213 წელი) ადგენდა სამართლის ამ წიგნს. მხითარ გოში წერს, რომ სამართლის წიგნის დამთაერება ჩემს ძალას აღემატებაო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ის დიდხანს მუშაობდა მასზე.

სომხური სამართალი შედგენილია კაზუსების სახით, გარკეეული სისტემის მიხედეით. შესავალს გარდა მასში მოცემულია საეკლესიო და საერო შინაარსის კანონები. აღსანიშნაეია ის გარემოება, რომ მხითარ გოში, როგორც სჯულის მოძღეარი, ხშირად არჩეედა მორწმუნეთა თხოენით სასამართლოს ამათუ იმ საქმეს. სამართლის წიგნის შედგენისას ის ხელმძღვანელობდა საღმრთო წიგნებით: მოსეს კანონით, რომელიც კილიკიაში მოქმედი იყო. მხითარ გოშმა სომხური სამართლის შედგენისათეის გამოიყენა აგრეთვე თეოდოსისა და იუსტინიანეს კანონები. აღმოსაელეთ რომის იმპერიის კანონების გარდა, მის სამართლის წიგნში შეეიდა სასამართლოს პრაქტიკა, სომხეთის ნაციონალური ჩვეულებანი.

შემდეგში სომხური სამართლის წიგნი პოლონეთში სიგიზმუნდ I-ის მიერ მიღებულ იქნა სამოქმედოდ სომეხთა კოლონიისათეის ლეოეში, კამენეცში და სხეა ქალაქებში. ის მოქმედებდა აგრეთვე ნახიჩეანში 1868 წლამდე.

სომხური სამართალი ქართულად გადმოთარგმნილია თაეისუფლად, ბოგიერთი ადგილი გამოტოეებულია, ბოგი კიდეე დამახინჯებულად არის გადმოცემული.

კ) დასტურლამალი

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი დასტურლამალი“ წარმოადგენს კანონთა კრებულს, რომელიც თავისი შინაარსით სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება. იგი მოქმედი კანონი იყო XVIII საუკუნეში.

„დასტურლამალი“, პირველ ყოვლისა, სასახლის განაწესია. ამასთანავე, ძეგლში მოცემულია მეფის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების დახასიათება, მათი ფუნქციების განსაზღვრა.

ქართლის სამეფოს ეკონომიკური მდგომრეობის დასახასიათებლად „დასტურლამალს“ არც ერთი ძეგლი არ შეედრება საქართველოში. მასში უხვი მასალა მოიპოვება ქართლის სამეფოს საგადასახადო სისტემისა და ფინანსების შესახებ.აღწერილია გლეხთა გადასახადები და დახასიათებულია გადამხდელთა სხვადასხვა კატეგორიის იურიდიული რეჟიმი.

ძეგლში დახასიათებულია სასამართლო ორგანიზაცია, საპოლიციო აპარატი და საფინანსო ორგანოების მოხელეები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობები ევმირის და მუსტოფის შესახებ.

„დასტურლამალში“ საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი ცნობები თურქული მომთაბარე ელების შესახებ.

ამ ძეგლის მიხედვით შესაძლებელია გამუქებულ იქნეს მეფისა და მეფოლადეების ურთიერთობა, მათი დამოკიდებულება.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ „დასტურლამალში“ ფრიად საყურადღებო მასალა მოიპოვება საქალაქო წყობის შესახებ.

საქართველოს გვიანფეოდალური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით „დასტურლამალი“ უძვირფასესი წყაროა.

„დასტურლამალი“ რამდენჯერმე გამოიცა (პირველად იგი სამი ნუსხის მიხედვით გამოსცა პ.უმიკაშვილმა 1886წ). ძეგლის ბოლო გამოცემა დღემდე გამოვლენილი ყველა(15) ხელნაწერის მიხედვით ეკუთვნის ივ. სურგულაძეს (1970წ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „დასტურლამალის“ მიხედვით სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტები განხილული გვაქვს შრომებში: „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, გლეხთა კატეგორიები გადასახადები „დასტურლამალის“ მიხედვით „ნარკვევი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“ და სხვ.

ამავე და სხვა შრომებშიაც საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ვეხებით აგრეთვე „დასტირლამალის“ ამა თუ იმ ადგილს ტექსტის დადგენის თვალსაზრისით, გამოვთქვამთ ვარაუდს ცალკეული მუხლის პირვანდელი სახით აღდგენისა, მუხლების გადაადგილებისა, „დასტურლამალში “ შემაეალი ამა თუ იმ აქტის ავტორის შესახებ და სხე.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ „დასტირლამალი“, გაიხილა როგორც ქართული სამართლის ისტორიის წყარო. მან აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლს სსაქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის შესწავლის თვალსაზრისით. აქვე შეეხო „დასტურლამალის“ პირეანდელი სისტემის საკითხს და დაახასიათა ის ხელნაწერები, რომლებიც საფუძვლად დაედო პ. უმიკაშვილის გამოცემას. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის სხვა შრომაშიც განიხილავს „დასტურლამალს“, როგორც საქართველოს ისტორიის შესწავლის წყაროს და აღნიშნავს: „ცნობათა სიუხვითაცა და მრავლფეროვნებითაც ვახტანგVI-ის დასტურლამალი საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის ნამდვილ დაუმრეტელ განძს წარმოადგენს“. ი.

ი. ლორთქიფანიძემ სპეციალური შრომა უძღვნა XVIII საუკუნის პიეელი მეოთხედის ქეემო ქართლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შესწავლას და ამასთან დაკავშირებით ზედმიწევნით შეისწავლა „დასტურლამალი“. ხსენებულ შრომაში ი. ლორთქიფანიძემ განიხილა „დასტურლამალის ის ხელნაწერები, რომლებიც საფუძვლად დაედო პ. უმიკაშვილის გამოცემას. მანეე განიხილა საქართველოს სსრ აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული „დასტურლამალის“ ერთი ხელნაწერი „ს-4532“, რომელიც სინამდვილეში ისეე მდიეანს ეკუთვნის. მკელევარი შეეხო აგრეთვე „დასტურლამალის “ შედგენის დროის საკითხს.

პროფ. ვ. გაბაშვილმა გამოაქეეყნა ნაშრომი სპარსული „დასტურლამლი“. ამ ნაშრომში ავტორი დაწერილებით განიხილავს ვახტანგ ბაგრატიონის მიერ შედგენილი „დასტურლამალის“ ორიგინალობის საკითხს.

1943წელს ინგლისში მინორსკიმ ინგლისში გამოსცა სპარსული „დასტურლამალის“ ტექსტი ინგლისური თარგმანით, გამოკელევითა და კომენტარებით. მინორსკის აზრით, ქართული „დასტურლამალი“ სპარსულის იდენტურია.

პროფ. ვ. გაბაშვილმა შეადარა ქართული „დასტურლამალის“ (მარეელ თუმანიშვილის ხელნაწერის მიხედვით) სარჩეეი სპარსულ „დასტურლამალის“ სარჩეეს, ამოკრიფა ორიეე „დასტურლამალიდან“ მსგავსი ადგილები და შესადარებელი მასალის შესწავლისა და სათანადო ანალიზის საფუძველზემიეიდა შემდეგ დასკეანმდე: ქართული „დასტურლამალი“ ორიგინალური ქართული ძეგლია, წარმომობილი ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-

ეკონომიური პირობების საფუძველზე და ასახავს გეიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას.

ამასთანავე, „დასტურლამალში“ შეტანილია ისეთი იურიდიული აქტები, რომლებიც გამოხატავენ ქართლის ვასალურ დამოკიდებულებას ირანთან, ან კიდევ, მასში არის ისეთი გარიგებანი, რომლებიც ასახავენ ირანის სახელმწიფოებრივი წყობილების გავლენას ქართლის სამეფოზე. ძირითადად კი „დასტურლამალი“ შეიცავს ქართული ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფო წყობილებისათვის დამახასიათებელ გარიგებებს ანუ „დასტურლამალებს“.

პროფ. ე. გაბაშვილი ამ შრომაში ასაბუთებს, რომ გვიანფეოდალურ პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთში „დასტურლამალი“ ეწოდებოდა „სახელმწიფო სამართლის ძეგლს“. ეს ტერმინი (დასტურლამალი) გავრცელებული იყო ირანში, თურქეთში, მონღოლების ინდოეთში და ამიერკავკასიის სახანოებში. საქართველოში იგი დამკვიდრდა XVIII საუკუნიდან.

ამაეე აეტორს ეკუთვნის ნაშრომი: „დასტურლამალის 1729წ. ხელნაწერი“, რომელშიც მესწავლილია მარეელ თუმანიშეილის ხელნაწერი.

პროფ. მ. მესხიას ეკუთვნის სამრომი: „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“. ამ ნაშრომში აეტორის მიერ განხილულია ლენინგრადის სალტკოე-შჩედრინის სახელობი სა%არო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცეი „დასტურლამალის“ ორი ნუსხა. ერთი – იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან, მეორე – ქობულაშეილის ხელნაწერი.

პროფ. მ. მესხიასათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ქობულაშეილის მიერ გადაწერილი ნუსხა, რადგანაც ამს დართული აქეს „ქალაქის ბაეისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“.

დასტურლამალის შედგენის დრო. „დასტურლამალი“ შედგენილია ეახგანგ ბატონიშეილის მიერ, როცა ის ქართლს განაგებდა თავისი ბიძის გიორგი XI მაგიერ, გიორგი XI კი ამ დროს სპარსეთში იყო „სრულიად ერანელთა სპასალარისა და სპასპეგად“ დაღგინებული“. გიორგი XI შეურიგდა ირანს, იქ თანამდებობა მიიღო, ხოლო ქართლში ძმისშეილი, მომაეალი მეფე ეახგანგ VI განაწესა გამგებლად 1703 წელს, გიორგი XI კი მოკლეს 1709 წელს. მამასაღამე,რადგანაც „დასტურლამალის“ შესაეალში გიორგი XI მოხსენიებულია, როგორც ირანის მთაეარსარდალი, ამიგომ ძეგლი შედგენილია გიორგი XI სიკვდილამდე, ე.ი. 1709 წლამდე. მაგრამ ამ თარიღის კიდეე უფრო დაზუსტება შეიძლება.

ლორთქიფანიძის მართებული მოსაზრებით, მეფეს ეკუთვნოდა თრიალეთში სოფლები: უბნარიანი, კარუკუღმართი და კარწახი. „დასტურლამალის“ მიხედეით თრიალეთის სახასო სოფლებში მოხსენიებულია კარწახი. უბნარიანი და კარუკუღმართი კი1707 წელს ეახგანგ ბატონიშეილს შეუწირავს ნათლისმცემლის მონასტრისათეის (კარწახი კი 1719 წელს ბაქარ მეფემ შესწირა იმაეე მონასტერს).აქედან უნდა დაეასკვნათ, რომ „დასტურლამალი“ შედგენილია არ უადრეს 1707 წლისა და არა უგეიანეს 1709 წლისა.

„სადედოფლო დასტურლამალის“ დასაწყისშიეე აღნიშნულია: „პირეელ მეფის გიორგისაგან განწესებული და შემდგომად მეფის ეახგანგისაგან დამტკიცებული“, ხოლო პირეელი პარაგრაფის სათაურია: „სააღაპოდ მისაცემი მარიამ დედოფლისათვის“. აქედან უნდა დაეასკვნათ: „სადედოფლო დასტურლამალი“ შედგენილია პირეელად გიორგი XI მიერ, მარიამ დედოფლის (დადიანის ასულის, ეახგანგ V მეუღლის, გიორგი XI დედინაცეალის) გარდაცვალების ახლო ხანებში, ე.ი. 1683-84 წლებში, არა უგეიანეს 1688 წლისა, რადგანაც 1688წელს გიორგი XI ნაცელად ერეკლი I არის ქართლის მეფე.

გიორგი XI „სადედოფლო დასტურლამალი“ ეახგანგ ბატონიშეილს „განახლებით“ დაუმტკიცებია. შეიგანა თუ არა რაიმე ცელილებები ეახგანგმა მასში, არ ჩანს.

დასტურლამალის შედგენილობა. ეახგანგ VI „დასტურლამალი ერთგეარი კრებულია, რომელიც შედგენილია სხეადასხეა დროის საკანონმდებლო აქტებისაგან. ჩვენ უკეე ვთქეით, რომ მასში შევიდა გიორგი XI მიერ მრდგენილი „დასტურლამალი“. ამაეე ძეგლში ვხედებით ეახგანგ VI მამის ლეეან მეფის მიერ შედგენილ მდივანბეგობის გარიგებასა და ბოქაულთუხუცესის სარგოს.

ამავე დროს მურდრის დებულება გამოცემული იყო როსტომ მეფის მიერ 1638 წელს. 1703-1724 წლებში შედგენილი ყოფილა აარეთვე მურდრის განაწესი. ეს დებულებანი ცოტაოდენო ცვლილებებით შეტანილია „დასტურლამალში“.

„დასტურლამალში“ აღნიშნულია, რომ ყაიყულის შესახებ გარიგება შედგენილია გიორგი XI, ხოლო ყარაის კონის განაწესი როსტომ მეფის მიერ.

როდესაც ეახგანგი „დასტურლამალს“ ადგენდა, მან მეკრიბა წინათ შედგენილი დებულებანი, დაუმატა ახალი და ყველაფერი ეს ჩამოყალიბდა საკანონმდებლო აქტში – „დასტურლამალში.“

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მდივანბეგობის გარიგება, რომელიც 1704 წლით არის დათარიღებული, „დასტურლამალის შედგენის დროს ძნელად საშოვნელი ყოფილა.

ამის დამადასტურებელია, ამ გარიგების ანუ სიგელი ერთ-ერთ ასლზე შემდეგი მინაწერი: „ქ. თქეენის თაეის მზეშა და ღ-მან იცის დიდათ გულს მოდგინეთ ეეცადეთ, რომ ის წიგნი მეშონა და მოერთმია, მაგრამ ეერ ვნახე ახლა მდივანბეგობის წესი და რიგი არც ერთი იოტა არ დარჩომილა რა ისეთ თამბათ დავსწერეთ და ეს გეიახლებია. ამიგომ დაგეიგეიანდა ამდენს ხანს თქეენი უხლებლობა“.

სიგელი, როგორც ვთქვით, 1704 წელს არის შედგენილი, მაგრამ ამ სიგელის ასლი და ეს მინაწერი, რომელიც მოვიყვანეთ, არ არის დათარიღებული. იგი დაწერილია XVIII ს. პირველ ნახევრის ქაღალდზე და გადაწერილი უნდა იყოს „დასტურლამალის“ შედგენასთან დაკავშირებით ბაგონიშვილის დაკვალებით, რადგანაც ძეგლის შემდეგ ეს სიგელი უკვე შეტანილი იყო „დასტურლამალში“.

მამასადამე, „დასტურლამალი იმ სახით, როგორსაც მას ჩვენ ვიცნობთ, შედგენილია ვახტანგ ბაგონიშვილის მიერ 1707-1709 წლებში. მაგრამ ამ ძეგლის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეფის მიერ არის შედგენილი, ხოლო ვახტანგმა გააერთიანა ისინი. ამ მხრივ „დასტურლამალი ერთგულია.

ცნობილია ის გარემოება, რომ მეფეები ამათუ იმპ ირის სახელოებით დაჯილდოების შემთხვევაში, დაჯილდოებულს აძლევდნენ სიგელს, რომელშიც განსაზღვრული იყო სახელოს ფუნქციებიც. სახელო კი, როგორც ცნობილია, მემკვიდრეობით გადადიოდა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ საბუთები, განსაკუთრებით კი იესეთები, რომელიც სახლოებისა და გადასახადების გარიგებას შეეხებოდა, სახელმწიფო საცავში ინახებოდა. ამის ნიშნები „სახელმწიფო კარის გარიგებაშიც“ მოიპოვება(§14). თვით საბუთებიდანაც მოსჩანს არაპირდაპირი მითითება საბუთების შესანახი ადგის შესახებ. მეფეები ხშირად წერენ „მოეითხუნი ვქენით“-ო. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სათანადო საბუთებს საცავებში ნახულობდნენ საჭიროების შემთხვევაში. „დასტურლამალის“ მიხედვით სისტემატურად ხდებოდა სამეფოს აღწერა. რასაკვირველია, აღწერის მეღები სათანადოდაც ინახებოდა სახელმწიფოს საცავსა თუ სალაროში. სახვაგვარად წარმოუდგენელია. ამასტანაეე სიგელი ექნებოდა დაინტერესებულ პირს, სახელოს ამუ მამულის თუ სხვა რაიმეს პატრონს.

უნდა აღენიშნოთ, რომ თითოეულ აქტს, სახელოს დებულებასაა თუ სარგოს „დასტურლამალი“ ანუ „დასტურლამა“ ეწოდებოდა. თვით ვახტანგის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“, სახელდობრ, ზარაფხანის გარიგებაში სწერია: „ამისი ეეჯუბი დასტურლამა“, „ეეჯუბი დასტურლამა“ ნიშნავს განაწესს, ანუ სარგოს, ან გარიგებას ოქროს ან ვერცხლის გამონაღნობის იმ ნაწილისა, რომელსაც გადასახდელის სახით იღებდნენ მეფის სასარგებლოდ. ამგვარადვე, შეიძლებოდა ყოფილიყო მდივნებეგის დასტურლამალი, დიღომის გადასახდელთა დასტურლამალი და ასე შემდეგ.

მამასადამე, „დასტურლამალი“ ეწოდება ვახტანგ ბაგონიშვილის მიერ შედგენილ კანონთა კრებულს, და აგრეთვე ამ კრებულში შემავალ ცალკეულ აქტებს.

ჩვენ დაეასახლეეთ კიდეც ვახტანგის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“ შესული ზოგიერთი გარიგება, რომელიც ცალკე აქტად ინახებოდა. მაგრამ „დასტურლამალში შემავალი მუხლების უმრავლესობას არ ეიცნობთ ცალკეული აქტების სახით. შეიძლება ზოგი მათგანი ცალკე არსებობდა, მაგრამ ამჟამად ჩვენ არ ვიცნობთ ასეთ წყაროს. შესაძლებელია მრავალი მათგანი ადათობრივი სამართლის ნორმის სახით არსებობდა და ვახტანგის მიერ პირველად იქნა შეტანილი თავის „დასტურლამალში“. საფიქრებელია, რომ ცლეხთა გადასახლებები, ზოგიერთ სოფლებში ადათობრივი სამართლის სახით არსებობდა და ვახტანგმა მისცა წერილობითი ფორმა „დასტურლამალში“ შეგანით.

სახელოებისა თუ მამულების მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევაში, სახელოსა თუ მამულის ახალი მფლობელი მეფეს უდგენდა სიგელს ხელახლად დასამტკიცებლად. ამასთანავე, სიგელში, დროთა განმავლობაში, შეჰქონდათ ესა თუ ის ცვლილება.

ზოგჯერ მეფეები სცელიდნენ გლეხთა გადასახადებს, უმატებდნენ ან აკლებდნენ მას, იმის მიხედვით , თუ როგორი ხასიათი ჰქონდა კლასთა ბრძოლას. მაგალითად, ცნობილია ის გარემოება, ვახტანგ-ბაქარის დროს ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებას რამდენიმე სოფელში, რის შედეგად მეფის ხელისუფლება იძულებული მეიქნა გადასახადების ერთიანი და ახალი განაწილება შემოეღო.

იმ შემთხვევაშიც, როცა მეფე ან ფეოდალი ეკლესია-მონასტრებს მამულებს სწირავდა, შეწირულების სიგელში მოცემული იყო აგრეთვე საგადასახადო დებულებანიც.

ვახტანგმა შეკრიბა ასეთი აქტები, სახლმწიფო არქივსა თუ კერძო პირებისაგან, თავი მოუყარა ადათობრივ სამართლის ნორმებს, მოიყვანა ისინი სისტემაში და მისცა მათ ერთიანი საკანონმდებლო აქტის ფორმა, რის შემდეგ მიეიღეთ „დასტურლამალი“.

„დასტურლამალის“ ამა თუ ნაწილის წარმოშობის შესახებ. ჩვენ ვთქვით, რომ „დასტურლამალში“ შემავალ ვალკეულ ზჭტებსაც დასტურლამა ეწოდებაო. „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბული სიტყვაა და ნიშნავს სახელმძღვანელოს, ინსტრუქციას, გარიგებას. უცხო ტერმინი „დასტურლამა“ სემოდის საქართველოში ფეიანფეოდალურ პერიოდში, როდესაც ქართლი და კახეთი ირანის ვასალები იყვნენ. ქართლის სამეფო კარზე, „დასტურლამალის“ მიხედვით, ეეზირისა და მუსტოფის თანამდებობა არსებობდა, რომლებიც ირანის მოხელეები იყვნენ. მათ ერთგვარი საკონტროლო ფუნქციები ჰქონდათ ეასალურ ქართლში.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ XVII საუკუნიდან, სახელდობრ, როსტომ მეფის დროიდან, ქართლის სამეფო წყობილებაში აღგილი ჰქონდა ზოგიერთ ცვლილებას. „დასტურლამალის“ შესავალში მოხსენიებული მეფე გიორგი XI „დასტურლამალის“ შედგენის პერიოდში, ირანში რამდენიმე პროვინციის გამგებელი და ირანის სპასალარი იყო. ვახტანგის

მამას, მეფე გიორგის ძმას – ლევანს „ერანის მდივანბეგის“ თანამდებობა ეკაკა. ეს აღნიშნულია კიდეც „დასტურლამალის“ შესავალში.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ „დასტურლამალში“ შესულია ლევან მეფის ორი სიგელი – ერთი ბოქაულთუხუცესის სარგო და მეორე – მდივანბეგის გარიგება. მამასადამე, ირანში მდივანბეგის სახელოს მქონე ქართლის მეფე ლევანი – მდივანბეგობას უბოძებს ერასტი ორბელიანს და ამასთანავე განსაზღვრავს ამ სახელოს ფუნქციებს. სიგელში სხვათა შორის წერია: „... თუ ელში ეს ოთხი საქმე მოხდეს, კაცის სიკვდილი, ბიქრი, თვალისა და კბილის გაგდებინება, ეს კარზედ უნდა მოვიდეს.“ საყურადღებოა, რომ ასეთ კონტექსტში ხსენებულ დანაშაულთა ჩამოთვლაარც ერთმა ქართულმა სამართლის ძეგლმა არ იცის. ამასთანავე სახელწოდება „ბიქრი“ ქართული სამართლის ძეგლებისათვის უცნობია. პროფ.ვ. გაბაშვილს ჩვენ მიერ შემოღასახელებულ ნაშრომში, მოჰყავს ქართული „დასტურლამალიდან ეს ადგილი, უდარებს მას სპარსული „დასტურლამალის“ სათანადო ადგილს, აღნიშნავს ამ ადგილების მსგავსებას, მიუთითებს იმასაც, რომ ქართულ „დასტურლამალში“ ეს ადგილი მხოლოდ ელის მოსახლეობას ეხება და ასკენის, რომ მიუხედავად ამ მსგავსებისა, მდივანბეგობის დებულებათა შორის ამ ორ ძეგლში არსებითი ხასიათის განსხვავებაა, რადგან „ერანის მდივანბეგი უპირატესად მარიათით ხელმძღვანელობდა და საღრის მონაწილეოით აწარმოებდა გასამართლებას“.

რაც შეეხება ქართული და სპარსული მდივნობეგობის გარიგებიდან მოყვანილ მსგავს ადგილს ელში მომხდარი დანაშაულის ოთხი სახის შესახებ, საეარაუდებელია, რომ ერანისმდივანბეგის ლევანის მიერ ქართულ მდივანბეგისათვის შედგენილ განაწესში ეს ადგილი სპარსული სამართლის მიხედით იყოს გამართული, მით უმეტეს, რომ ქართლის მდივანბეგობისათვის შედგენილ ამ განაწესში ხსენებული სახეებიდანამაულისა გათვალისწინებულია ელისათვის, ე.ი. ქართლის სამეფოში უმთაერესად სპარსეთიდან ჩამოსახლებულ მომთაბარე თურქმანი მოსახლეობისათვის.

ამასთანავე, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართული სამართლის ძეგლებისათვის ცნობილია ჩამოთელილი სახეები დანამაულისა (გარდა ბიქრისა), მაგრამ მათი ქვემდებარობის საკითხი სხვაგაერად არის გადაჭრილი, კბილის ჩაგდებინებაზე (მუხ.47), თვალის დაზიანებასა (მუხ.44, 45) და მკელელობაზე (მუხ.37, 60, 75). როგორც დანამაულზე, საუბარია ეახტანგის სამართლის წიგნში, რაც შეეხება ბიქრს, თუ ის ქალწულის გახრწნას ნიშნავს, ასეთი დანამაული არც არის გათვალისწინებული ვახტანგის სამართლის წიგნში, ხოლო მისსივე სამართლის წიგნების კრებულში შესულ ბერძნულსა და სომხურ კანონებში კი არის.

ვახტანგის სამართალში მკელელობის, კბილის ჩამოგდებისა დათვალის დათხრისათვის საზღაურია დანიშნული, ხოლო ქვემდებარეობის საკითხი „დასტურლამალშია“ გათვალისწინებული. ქართული სამართლით ყოველგვარი მსხვილი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე მდივანბეგს უნდა განეხილა. მსხვილ საქმედ ითვლებოდა მკელელობა,დიდი ფეოდალის გაყრა და სხვა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მკელელობა, მდივანბეგის გარიგებით მდივანბეგს ექვემდებარება (სადაც არ უნდა მოხდეს). მაგრამ, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ, ელისათვის ცალკეა აღნიშნული, რომ მკელელობის საქმე მდივანბეგმან გაარჩიოსო. ამავე დროს მკელელობის შესახებ იმაივე გარიგებაში კელავ არის საუბარი, რომ ასეთი დანამაულის შესახებ საქმეები მდივანბეგს ექვემდებარებაო. რაღა საჭირო იყო ორჯერ ერთსა და იმავე საკითხზე მსჯელობა? ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ელის შესახებ ზემოთ მიგირებული ადგილი დანაშაულის სხვადასხვა სახის ქვემდებარეობის შესახებ მდივანბეგის გარიგებაში ჩამატებული ჩანს, ეს ადგილი აქ უცხოდ გამოიყურება.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ არსებობს მდივანბეგობის სიგელი, რომელიც ვახტანგ V გაუცია 1776 წელს ვახტანგ ორბელიანისადმი (ვახტანგი იყო „დასტურლამალის“ მდივანბეგის ერასტის მამა). ამ სიგელსი დანამაულის ოთხი სახე – მკელელობა, ბიქრი, თვალისა და კბილის გაგდებინება, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, – არ არის. სიგელში ნახსენებია „სისხლისა და სხვა საქმეები“, რომლებიც მდივანბეგს ექვემდებარება, საუბარია „დიდ სისხლის“ სამართლის საქმეებზე. ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ „დასტურლასმალის“ მდივანბეგობის გარიგებაში ვახტანგ V შეილს, ერანის მდივანბეგს ლევანს შეუგანია შესწორება და მიუმატებია ხსენებული ადგილი, რომელიც მანმადე მდივანბეგობის გარიგებაში არ ყოფილა. ეს ადგილი კი, როგორც აღენიშნეთ, უცხოური წარმოშობისაა.

ვახტანგის „დასტურლამალის“შარაფხანის გარიგება, სათანადო ირანული დებულებიდან უნდა იყოს გადმოღებული, როგორც ეს მართებულად აქვს აღნიშნული პროფ. ვ. გაბაშვილს.

თეიმონ ტერმინი მდივანბეგი არაქართულია. საყურადრებოა აღინიშნოს, რომ ზემოთმოყვანილ 1776 წლის სიგელში ვახტანგ ორბელიანისთვისვახტანგ V მდივანბეგობის ბოძების შესახებ ორბელიანის მისამართით წერს: „წინაც მამა თქუენსაც ჰქონებოდა ჩუენის საბაგონოს ქართლის მდივანბეგობა“. მამასადამე, ვახტანგ ორბელიანის მამასაც ჰქონია მდივანბეგობა და სავარაუდებელია, სათანადო სიგელიც ექნებოდა. მამის სიგელს უახლებს მეფე შეილს. რასაკვირველია, არც ვახტანგის მამის სიგელში იქნებოდა ბიქრსა და მსგავს რამეზე საუბარი.

ზარაფხანის დამღიეანებეგობის გარიგებათა ზემოთმოყეანილი ადგილის გარდა, რომელიჩ ელში მომხდარი დანამაულის ქვეშდებარობის საკითხს ეხება, „დასტურლამალის“ სხეა ადგილი უცხოურიდან გადმოღებული არ უნდა იყოს.

„დასტურლამალში“ ხშირად ვხვდებით სპარსულ და თურქულ ტერმინებს, რომელთა შინაარსი ქართულია. ზოგი ამ ტერმინთაგანი გაქართულებულია, ზოგი არ არის გაქართულებული, მაგრამ უცხოური ტერმინის ქვეშ აღწერილი ქართულია.

რასაკეირველია, უცხოური გაელენა, განსაკუთრებით ირანული, დიდია „დასტურლამალზე“, რადგანაც იგი ქართლის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ასახავს, ხოლო ქართლის სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, განსაკუთრებით როსტომ მეფის ხანაში, ირანის დიდი გაელენა განიცადა.

ამ საკითხის შესახებ ჩვენ დაწერილებით გეაქეს საუბარი მრომაში „საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორიისათვის“ (1952 წ), რომელსაც ასეთი ქვესათაური აქეს: „ ქართლის სახელმწიფოებრიეი წყობილება გეიანფეოდალურ პერიოდში“.

<u>დასტურლამალი და ხელმწიფის კარის გარიგება.</u> სანამ უცხო ტერმინი „დასტურლამალი“ ანუ „დასტურლამა“ შემოეიდოდა, მანამ სქართველოში იხმარებოდა ტერმინი გარიგება, სარგო, რიგი, განაწესი. მაგალითად, „დასტურლამალში“ გეხვდება: „ზარაფხანის რიგი“, „ეეზირის სარგო“, „ქარხნის ნაზირის სარგო“, „მდიანბეგის გარიგება“ და ასე შემდეგ.

ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებიდან მინაარსის მიხედეით ეახტანგის „დასტურლამალს“ ყეელაზე უფრო ემსგაესება „ხელმწიფის კარის გარიგება“. მათი მსგაესება იმაში მდგომარეობს, რომ ორიეე ძეგლი სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება და პირველ ყოელისა, სასახლის განაწესს წარმოადგენენ; ძეგლებში საუბარია სასახლის აუდენციისა, დარბაზობისა, პურობისა და ამ მოელენებთან დაკაეშირებულ სასახლის წესჩეულებების შესახებ. ამასთანაეე, ორიეე ძეგლში მოცემულია მეფის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრიეი მოხელეების დახასიათება.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ შესამე პარაგრაფში საუბარია დარბაზობის შესახებ. მეფე დარბაზობას მართავს „დიდი წესითა“ ან „უმცროსი წესით“. დასტურლამალის “ იმ მუხლში, რომლის სათაურია „სასახლეების რიგისათვის“, საუბარია „დიდი“ წესით გამართულ სერისა და ნადიმის შესახებ, ჩვეულებრივად კი „დასტურლამალი“ ითვალისწინებს ნადიმს, რომელზედაც მომსახურეები გაცილებით ნაკლები რაოდენობით არის გათვალისწინებული, ეიდრე „დიდი სერისა“ და ნადიმის დროს (§§14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21). აქედან ვასკვნით, რომ „დასტურლამალში“, ისე როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ სასახლეში აუდიენცია იმართებოდა დიდი და მცირე წესით.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დაწერილებით არის გათვალისწინებული დარბაზობის წესი, დარბაზობის მოწეევის რიგი, გათვალისწინებულია, თუ ვინ ვის შემდეგ უნდა დამჯდარიყო. „ხელმწიფის კარის გარიგების 24-ე პარაგრაფის მიხედით, მოძღეართმოძღვარს, კათალიკოსს და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მოიწეევს საწოლის მწიგნობარი ან ამირეჯიბი, ხოლო ვეზირთა პირეელი სამეული და მეჭურჭლეთუხუცესი – ეჯიბმა უნდა მოიწეიოს, ე.ი. უფრო პატარა მოხელემ, ვიდრე საწოლის მწიგნობარი ან ამირეჯიბი იყო.

„დასტურლამალის“მიხედით „დარბაისელნი რომ შემობრძანდებოდნენ, დიდროანს კაცებს აქათმან ეშიკაღასბაშმან აქათ უჩეენოს ალაგი და იქითმან იქით უჩეენოს ალაგი, როგორც შეეფერებოდეს, ხოლო მერმე სხუა დარბაისელნი რომ მოეიდნენ“, ის ბოქაულთუხუცესმა მიიწეიოს და უჩეენოს თაეისი ადგილი (§14). ბოქაულთუხუცესი ეშიკაღასბაშის მოადგილე, მისი თანაშემწე იყო. მამასადამე, უფრო დიდ კაცებს ეშიკაღასბაში იწეევს, მეღარებით დაბალი რანგის დიდებულებს ეშიკაღასბაშის მოადგილე – ბოქაულთუხუცესი. ადგილები კი დიდებულთათვის განსაზღერულია დიდკაცობის მიხედით. ამრიგად, ამ შემთხეევაში „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“ ერთმანეთს ემსგავსება, „დასტურლამალისაგან“ განსხვაეებით „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დარბაზობის წესი, მოწეევის რიგი, უფრო დაწერილებით არის მოცემული „დასტურლამალში“ კი უფრო საწერილებით არის მოცემული სამეჯილისო საჭმელების ჩამოთელა. „დასტურლამალის“ ეპოქაში, გაერთიანებული ფეოდალური საქართეელოს სამხედეო წყობილება შეცელილია. „დასტურლამალში“ უკეე აღარ გეხედება გაერთიანებული პერიოდის ეეზირები და მათი მოადგილეები. თუ „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედით დარბაზის დროს წესრიგისმიმეცემი მანდატურთუხუცესი და ამირეჯიბი იყვნენ, „დასტურლამალის“ მიხედით ამ როლში ეშიკაღასბაში და ბოქაულთუხუცესი გამოდიან. მიუხედავად იმ დიდი განსხვაებისა, რომელიც მანდატურთუხუცესის სახელოსა და ეშიკაღასბაშის სახელოს სორის არსებობდა, ამ შემთხვეევაში მათ მსგავსება მაინც აქეთ. ეს მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორთაეე სახელოში საპოლიციო მინაარსის ფუნქციებიც შედის.

უნდა აღინიშნოს, რომორიეე ძეგლში არის ერთი და იმაცეე სახელწოდების სახელოებიც, ასეთებია: მოლარეთუხუცესი, მოლარე, ფარემთუხუცესი, ფარემი და სხე. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ ერთი და იმავე სახელწოდების მოხელეებს, ფუნქციებიც დაახლოებით ერთგვარი აქეთ. მმართველობის აღგილობრიეი მოხელეებიდან ორიეე ძეგლში მოხსენიებულია ერისთაეი. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ საუბარია საერთოდ ერისთაეებზე, რომლებიც მსხეილი ფეოდალები და იმაეე დროს აღგილზე დიდი მოხელეები იყვნენ. „დასტურლამალში“ კი

მოხსენიებულია ქსნის და არაგვის ერისთავი. ამ ორი ეპოქის ერისთავებს შორის, რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა, მაგრამ, გარდა სახელისა, შინაარსის მიხედვითაც მათ შორის მსგავსება მაინც არის. ორიეე ძეგლში ერისთავები მსხვილი ფეოდალები არიან და ადგილზე მოხელეების ფუნქციაც აქვთ. ორიეე ძეგლში საუბარია მეფეზე, მის სასახლეზე, დარბაზობასა და სხვათა შესახებ.

მაგრამ, ყველაზე მეტი მსგავსება ამ ძეგლებს შორის იმში მდგომარეობს, რომ ორიეე სასახლის განაწესს შეეხება, ორიეე სასახლის გარიგებაა.

ამასთანავე, ამ ორ ძეგლს შორის დიდი განსხვავებაა. „ხელმწიფის კარის გარიგება“ უცნობი აეტორის მიერ შედგენილი იურიდიული შინაარსის ტრაქტატია, „დასტურლამალი“ კი საკანონმდებლო აქტია. „ხელმწიფის კარის გარიგება“ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიე წყობილებას ასახავს, როცა იგი დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო იყო და თავის მხრიე ეასალურ ქვეყნებს განაგებდა. „დასტურლამალი კი მხოლოდ ირანის ეასალურ ჩაგვრამი მყოფ ქართლის სახელმწიფოებრიე წყობილებას ასახავს, თეითონ „დასუგრლამალში“ ირანის სასარგებლო ხარკი არ არის გაგეალისწინებული. ქართლის მეფეს „დასტურლამალში“ „ბატონი“ ეწოდებოდა, ხოლო ირანის შაჰს – „ხელმწიფე“.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთადერთი ხელნაწერი, რომელმაც ჩეენამდის მოაღწია, ნაკლულია და თანაც გადამწერის მიერ დაშეებული შეცდომებით აღსავსე. ამიგომ, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ არ არის სრულად გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოებრიეი წყობილება, „დასტურლამალი“ კი მრავალი ხელნაწერით არის ჩეენამდე მოღწეული. იგი სრულია და მდიდარ მასალას შეიცავს, ეიდრე „ხელმწიფის კარის გარიგება“.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ აეტორი აბსოლუტური მონარქიის სასარგებლოდ არის განწყობილი. იგი აბსოლუტიზმის იდეებს ქადაგებს. „დასტურლამალიც“ ძლიერი მეფის ხელისუფლების მომხრეა, რადგანც თეით ისეთი ერთიანი საკანონმდებლო ძეგლის შექმნა, როგორც „დასტურლამალია“, მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ამასთანაეე, „დასტურლამალში“ კანონმდებლის ასეთ მისწრაფებასთან ერთად, ასახულია რეალური ეითარებაც: ქართლის მეფე ირანის ეასალია და სამეფო საფეოდალოებად არის დაყოფილი, რის გამო მეფის ხელისუფლება სუსტია.

ლექცია III

საეკლესიო მინაარსის სამართლის ძეგლები

ა) მცირე სჯულის კანონი

ივანე სურგულაძე

მცირე სჯულისკანონი ოთხი ნაწილისაგან შედგება:
1.შეექვსე მსოფლიო კრების (ტრული 692 წ. კრება) კანონები.
2.კანონნი მეცოდებულთანი იოანე მმარხველისა.
3.კანონნი ღმითი-ღმეთა ცდომათანი.
4.ძეგლის წერა სარწმუნოებია.

პირველი ნაწილი, ანუ „წესი და განგებაჲ და რჯულის კანონი მეექუსისა კრებისაჲ“ ცალკე შრომად ითვლებოდა. ის ცალკე გამოსცა ალ. ხახანაშვილმა. ასევეა მიჩნეული იე. ჯავახიშვილის და კეკელიძის მიერ.

მეორე ნაწილია: „კანონნი მეცოდებულთანი“, აღწერილი, ანუ განწესებული იოანე მმარხველის მიერ.

მეორე ნაწილიც ცალკე გამოსცა ალ. ხახანაშვილმა და ზაობერსკიმ. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნაწილიც ცალკე შრომად ითვლებოდა.

მესამე ნაწილის სახელწოდებაა: „კანონნი ღმითი-ღმეთა ცდომათანი, ვითარცა წმიდამან მამამან ჩუენმა ბასილიმ განაწესნა“.

მეოთხე ნაწილი – „ძეგლის წერაი სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლეს შეკრებულთა, წმიდათა ხაგთა თაყუანისცემისათჳს.“

მესამე ნაწილს (კანონნი ღმითი-ღმეთა ცდომათანი) მეორის (კანონნი მეცოდებულთანი იოანე მმარხველისა) ნაწილად თვლიდნენ.

მეოთხე ნაწილი მიაჩნდათ VII მსოფლიო კრების კანონებად.

სინამდვილეში ეს ოთხი ნაწილი წარმოადგენს ერთ კრებულს, რომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა, რომელსაც „მცირე რჩულისკანონს“ უწოდებს და მიაჩნია ერთ შრომად: „მაიცულეს ღმრთისმოყუარეთა და სულიერთა ძმათა აღწერად მცირედი ესე რჩულის კანონი“. ასეთი შედგენილობის ქართულის ზუსტი შესატყვისით კრებული ბერძნულ ენაზე არ არსებობს. ექვთიმეს ის სხვადასხვა წყაროდან აქვს ამოკრებილი.

მთარგმნელს ძეგლი არა მარტო თავისებურად დაულაგებია, არამედ თავისუფალი თარგმანი გაუკეთებია, მრავალი თავის მოსაზრებაც ჩაუმატებია; ქართული ტექსტი, ბერძნულთან შედარებით, კანონის ახსნა-განმარტებასა და დასაბუთება-მსჯელობას შეიცავს.

ექვთიმეს, როგორც აღენიშნეთ, კრებული სხვადასხვა წყაროებიდან ამოუკრებია, ამდენად მას არა აქვს ერთიანი საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობა. „ეფთუმეს მიერ გაღმოქართულები მეექვსე მსოფლიო კრების კანონები ამ კრების ძეგლის წერას კი არ წარმოადგენს, არამედ მერმინდელს, „შემოკრებულ“ ნაწარმოებს, რომელიც ამასთანავე განმარტებით ყოფილა შემკული. ასეთ ნაშრომს „დაბეჭდული“ ძეგლის თვისება, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა ჰქონოდა და ამიტომ ექვთიმე მთაწმინდელს შეეძლო უფრო თავისუფლად ოქცეულიყო და საჭიროდ დაინახავდა, ცვლილებები შეეტანა“, თავისი განმარტებები მიეცა; ასეთი მუსაობა ექვთიმესათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო და ამას აღნიშნავდა კიდეც ეფრემ მცირე.

ექვთიმე ტექსტს ბრმად არ მისდევს, ამოკლებს ან ავრცელებს, უმატებს ქართული სინამდვილის შესაბამისად, ამას კ.კეკელიძეც აღნიშნავს.

ძეგლში მოცემულია სამართლის მრავალი დარგის შესასწავლი მასალა.მასში სისხლის სამართლის მრავალი ინსტიტუტია წარმოდგენილი; საუბარია სხვადასხვა სახის დანაშაულზე, სასჯელზე, ბრალის დადების დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებაზე და სხვ. ამ საკითხებზე ექვთიმე მთაწმინდელი თავის ახსნა-განმარტებას იძლევა.

ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ქვეყნებში მსოფლიო კრებების დადგენილებებს, საეკლესიო მინაარსის კრებულებს მოქმედი კანონის ძალა ჰქონდა და ამიტომაც ბერძნულიდან ქრისტიანული ქვეყნების სხვადასხვა ენაზე ითარგმნებოდა. ექვთიმე მთაწმინდელმა იმიტომ თარგმნა ეს შრომა, რომ მას საქართველოში გასცნობოდნენ. ამასთანავე, ექვთიმე მასში ქართული სინამდვილის შესაბამის განმარტებასაც იძლევა. სამწუხაროდ, არ მოგვეპ [ოვება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებოდა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში მცირე სჯულისკანონი. მიუხედავად ამისა, მასში ხმარებული იურიდიული ტერმინების მიხედვით, იგი ძვირფასი წყაროა ამ ეპოქის ქართულ-იურიდიული ინსტიტუტების მინაარსის დასადგენად.

ეს შრომა ექვთიმეს შესრულებული აქვს მამის სიკვდილის შემდეგ (მისი მამა იოანე გარდაიცვალა 1005 წელს). ექვთიმე გარდაიცვალა 1028 წელს (დაბადებულია დაახლოებით 995 წელს), მაშასადამე, ექვთიმეს თარგმანი შესრულებულია 1005-1028 წლებში.

ძეგლი გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა. გამოცემას დართული აქვს ე. გიუნაშვილის გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები (ე. გიუნაშვილი თანახმად, ძეგლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები შედგენილია ეინმე იოანე მონაზონის „კანონარის“ (მე-2 ნაწ.), უცნობი აეტორის „კანონიკონის“ (მე-3 ნაწ) და კონსტანტინეპოლის 843 წლის აღგილობრიეი კრების ძეგლისწერის (მე-4ნაწ) მიხედეით, – რედ. ნ.ს.)

ბ) პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (1083წ)

XI საუკუნის მოღვაწემ, ბიზანტიის სახელმწიფოს დიდმა მოხელემ, დასაელეთის დემესტიკოსმა, „სევასტოსის“ პატრიეის მქონემ, ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, ბულგარეთის ტერიტორიაზე დააარსა პეტრიწონის მონასტერი ქალაქ ფილიპოპოლის (პლოვდიეი) მახლობლად, როდოპის მთის კალთებზე, ახლანდელ სოფ. ბაჩკოვოსთან. გრიგოლი იყო ტაოელი ერისთავთაერისთავის ბაკურიანის შვილი. გრიგოლმა მონასტერს შეუდგინა წესდება, ანუ ტიპიკონი, რომელიც საქართველ;ოს ისტორიისათეის საყურადღებო წყაროს წარმოადგენს.გრიგოლ ბაკურიანის ძე ერთგულად ემსახურებოდა ბიზანტიას, მაგრამ ის მაინც ქართველ პატრიოტად რჩებოდა. „ქართლის ცხოერების“ გადმოცემით, გრიგოლ ბაკურიანის ძე ბასანი მ ხედა გიორგი II-ს, „გაიხარეს ერთად ყოფნით“ და გრიგოლმა მეფე გიორგის მისცა „კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქეეყანა“,

ამ გამოჩენილმა პიროენებამ პეტრიწონის მონასტერყ ქართველთათეის დააარსა და წესდებაში განსაზღერა ჯიდეც, იქ ბერძნები მოწესეებად არ დაეშეათ; მხოლოდ ერ ტი ბერძენი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მას ბერძნულად ეწარმოებინა მიწერ-მოწერა ბიზანტიის სხეადასხეა დაწესებულებებთან. გრიგოლს ტიპიკონი შეუდგენია ორ ენაზე: ქართულსა და ბერძნულზე. ტიპიკონის წესდების ბერძნილი ტექსტის ახალბერძნული თარგმანი, რომელიც შესრულებულია 1782 წელს, გამოაქეეყნა გიორგი მუსეოსმა 1888 წელს. 1904 წელს ბერძნული ტექსტი ძეელი ნუსხიდან XVIII საუკუნეში გადაწერილი გამოსცა შეცნიერმა ლუი მას ჯტიმ. ტიპიკონის ქართული ტექსტი, ძეელი დედნიდან გადმოწერილი, 1954 წელს ღათინურად თარგმნა და გამოსცა მ. თარხნიშეილმა.

საქართველოში ცნობილი გახდა,რომ ხიოსში ინახება ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტის ძეელი ხელნაწერები. აკაკი შანიძის ცდის შედეგად მიღებულ იქნა ამ ხელნაწერების მიკროფილმები. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკელეეითა და ლექსიკონით გამოსცა ს. ყაუხჩიშეილმა 1963 წელს, ხოლო ქართული ხელნაწერი, გამოკელეეითა და რუსული თარგმანით, 1971 წელს აკ. შანიძემ.

ტიპიკონის ქართულ გამოცემაში ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ძეგლი შედგენილია 1083 წელს, ხოლო ხიოსის ქართული ხელნაწერი დედნიდან გადაწერილი უნდა იყოს მე-13 საუკუნეში.

მიხეილ თარხნიშეილის გამოცემის მიხედით, ტიპიკონი გამოქეეყნებული აქეს ი. დოლიძეს.

მონასტრის განწესება-განგება, ანუ ტიპიკონს საქართველოში მონასტრებისათეის უძეელესი დროიდანეე აღგენდნენ. ქართეელებს მონასტრები აქონდათ რიგორც საქართველოში, ისე საზღარგარეთ. თითოეულ მონასტერს თაეისი მმართველობის განაწესი, ანუ ტიპოონი გააჩნდა.გარდა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონისა, ჩვენამდე მოაღწია ვაჰანის ქეაბთა განგებამ და ზოგიერთი მონასტრის განწესების ნაწილმა.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი საყურადღებო მასალას შეიცავს ქართული სამართლის ისტორიისათეის.

მონასტერი, რომლის ტიპიკონსაც ვიხილავთ, ბიზანტიაში იყო (ბულგარეთი მაშინ ბიზანტიაში შედიოდა), ქართული საზოგადოებრიეი და სახელმწიფოებრიეი წყობილებისათეის უცხო გარემოში; მაგრამ ქართულ ტიპიკონში მოცემული ტერმინები, თაეისი შინაარსით ქართულ სინამდგილეს ასახაეენ.

განეიხილოთ ტიპიკონი საზოგადოებრიეი წყობილების, სახელმწიფოებრიეი წყობილებისა და სამართლის ინსტიტუტების მიხედით.

ძეგლში აზნაური და აზნაურობა თაეისუფალს და თავისუფლებას ნიშნავს. ამაეე დროს, აზნაური უკეე დიდი ხანია, რაც გაბატონებული ქლასის წარმომადგენელს ნიშნაედა.

„უფალი“ძეგლით ნიშნაეს პატრონს, ბატონს: „... მე ეიქენ უფალ ხელმწიფე ამის სოფლისა და ციხისა“.

ამასთანაეე, უფალი ზოგჯერ არ აღნიშნაეს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას. მაგალითად, ძეენის მომტანს ჰქეია ძეენის უფალი, ანუ პატრონი. მწარმოებელი კლასის წარმომადგენელს გლეხი ეწოდება; ძეგლის მიხედით, გლეხი ყმა არის; მას სწირაეენ მონასტერს, ისე როგორც ნიეთს, მიწას, ვენახს, ბოსტანს და სხე. გლეხი მონასტერს ეკუთენის, მას არა აქეს თაეისუფლება და ამდენად შეიძლება მასზე „უსამართლო დებულების“ დაღება. გლეხის ასეთი სამართლებრიეი რეჟიმი ძეგლის მიხედით, ბიზანტიაშია, მაგრამ საქართველოშიც გლეხის მდგომარეობა ასეთიეე იყო.

ჯუანმერი ხმარობს ტერმინს — გლეხი. ისტორიკოსის გადმოცემით, გლეხები ეახტანგ გორგასლის დროს მებეგრენი ყოფილან.

დავითისა და თამარის ისტორიკოსების მრომებში გლეხი საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელია, მისი გასხვისება, შეწირვა დასაშვებია. თუ მანამდე, „წერილი ერი“ თავისუფლებას თანდათან კარგავდა, შემდეგ მან მთლიანად დაკარგა იგი; ამასთანავე, „გლეხი“ ყმობის პროცესის გაფართოებასა და განვითარებასთან ერთად, მწარმოებელი კლასის წარმომადგენლის ზოგადი სახელი შეიქნა. მწარმოებელი კლასის სრული ყმობის პროცესი XII-XIII საუკუნეში უკვე დასრულებულია.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონით, გლეხი ყმა არის. მონასტრის სოფლები ბერძნებით ან ბულგარელებით ყოფილა დასახლებული, მაგრამ ქართულ ტიპიკონში ყმის გამოსახატავად ტერმინი გლეხია ნახმარი, „გლეხი“ კი ყმა იყო საქართველოში.

„ხელი“ მნიშვნელოვანი ტერმინია ქართული სამართლის მიხედვით, ამასთანავე, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს: 1) „ხელი“ ნიშნავს ფიზიკურ ხელს, 2) გადარეულს, შეშლილს, 3) უფლებას. ჩვენთვის უკანასკნელის მნიშვნელობით არის „ხელი“ საყურადღებო.

„ხელიდან“ არის ნაწარმოები ხელისუფალი, ხელმწიფე, სახელო, ხელწერილი, ხელდასხმა, ხელისუფლება, მოხელე და სხვა. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის მიხედვითაც, „ხელს“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: 1. ფიზიკური ხელი — კელაპყრობილი. 2. „ხელი“ ნიშნავს აგრეთვე „ვისით“ — ჩემი ხელით გაკეთებული, მსახურის ხელით საბრდოს დანაწილება და სხვა. 3. „ხელი“ ნიშნავს უფლებას, გამგებლობას: საბუთში იყოს „ხელსა ქვეშე მამასახლისასა“. 4. „ხელმწიფე“ ძეგლის მიხედვით მეფეს ნიშნავს და აგრეთვე სოფლებისა და ციხის დიდ მფლობელს; 5. „ხელმწიფება“ —სრულ უფლებას. არავის არ უნდა ჰქონდეს „ხელმწიფებაი არცა განიჭებად, არცა განსასყიდად“ საყდრის მონაგებისა, „ხელმწიფება სრულითა და შეუძრაეითა უფლებითა“, ადამიანს უნდა ჰქონდეს „ხელმწიფებაი თავისი თვისისა უფლებად“, მოძღვარს არ უნდა ჰქონდეს უფლება თვითნებურად, წესების გარეშე რაიმეს გაეკეთებს. 6. ხელისუფალი ეწოდებოდა მონასტრის მოხელეებს. მონასტრის ხელისუფალია: წინამძღვარი. იკონომოსი, აბარმადი, მამასახლისი და სხვა. იკონომი და აბარმადი სამეურნეო მინაარსის მოხელეებია. 7. „ხელდება“ ძეგლის მიხედვით, ნიშნავს მიღებას, დაჭერას, დაკავებას: თუ არ იცოდეს, არც შეეძლოს საეკლესიო თანამდებობის შესრულება, ისეთ პირს ეკრძალება „ხელთდებად ესე ვითარისა ამ აღგილისა“.

8. „ხელყოს“ ნიშნავს მიითვისოს, შეეცადოს კიდევ მეტის მიღებას.

9. „ხელადი — მომსახურებას.

10. „ხელითწერილი“ ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონით ხელნაწერს, ნუსხას, თამასუქს ნიშნავს. 11. „ხელოვანი“, ე.ი. დახელოვნებული ან კიდევ გაიძეერა, 12. „ხელთ საქმე“ ი. აბულაძის ლექსიკონით არის „ხელთ საქმარი“, „ხელობა“, ყველა ეს ტერმინი „ხელთან“ არის დაკავშირებული. „ხელი ქვაზე გამოხატული მამულების სასაზღვრო მიჯნას აღნიშნავდა. ეს, რასაკვირველია, იმის მომასწავებელი იყო, რომ „ხელი“ უფლებაა, იმ შემთხვევაში კი, როცა ის მამულთა შორის მიჯნად იხმარებოდა, გამოხატავდა საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე. დახატული ხელი უფლების მაჩვენებელ მატერიალურ ნიშანს წარმოადგენდა. „ხელის ამართვა“, „ხელის ჩართვა“ იურიდიული მნიშვნელობის ტერმინებია და დაკავშირებულია „ხელთან“ როგორც უფლების გამომხატველ სიტყვასთან; ასევეა „სახელო“ და მოხელეც“.

„სახელმწიფო“ და „სამეუფო“ ძეგლში ერთნაირი მნიშვნელობით არის ნახმარი, ხოლო „სამთავრო“ ნაწარმოებია „მთავრისაგან“ და ნიშნავს სახელმწიფოს გარკვეულ ნაწილს, რომლის გამგებელია მთავარი.

მთავარი შეიძლება დამოუკიდებელი სამთაუროს გამგებელი, ხელისუფალი, სუვერენი იყო. ალბათ „მთავრიდან“ არის ნაწარმოები „მთავრობა“. მთავრობა , პირველ ყოველისა, საერთოდ, გამგებლობას ნიშნავს; მაგალითად, ძეგლში საუბარიამონასტრის გამგებლობაზე („მთავრობაზე“), გროგოლ ბაკურიანის ძის დემესტიკოსობასა დამთავრობაზე. „მთავრობას“ ახლა ზოგადი მნიშვნელობა აქვს და გამოხატავს სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებას; ქართული ძველი წყაროების მიხედვით, მთავრობა პროვინციის გამგებლობასაც ნიშნავდა და საერთოდ, გამგებლობას.

სამეგრელოსა და გურიის მთავრები ზოგჯერ იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ, დამოუკიდებელ სამთაუროს განაგებდნენ (XVII-XVI-II).

საერთოდ, ფეოდალიზმის დროს მსხვილ ფეოდალებს (ასეთები იყვნენ მთავრები) ყოველთვის ჰქონდათ სეპარატიზმისკენ მიდრეკილება და ზოგჯერ აღწევდნენ დამოუკიდებლობას. ამის გამო, „მთავრიდან“ წარმომობილი „მთავრობა“ რომ უმაღლესი ხელისუფლების ცნებადაც გადაიქცა, ეს კანონზომიერი მოვლენაა.

ძეგლში მთავარი არ გამოხატავს სოციალური მინაარსის სიტყვას. ის „თვითონს“ ნიშნავს, და ამასთან, მას მეორე მნიშვნელობაც აქვს- „გამგებლობის“, „მმართველობის“. ძეგლში წერია: მონასტერში იყოს ერთი ბერძენი მწერალი, რომელიც საჭიროებისამებრ „თავადსა თანა მიიელინებოდეს“. ამ შემთხვევაში თავადი უფროსს, მმართველს, გამგებელს ნიშნავს (ალბათ, იმ პროვინციის გამგებელს, სადაც მონასტერყ იყო).

ძეგლში მოხსენიებულია ერისთავთერისთავი. ეს თანამდებობა საქართველოში ეკავა გრიგოლის, მონასტრის დამაარსებლის მამას -ბაკურიანს. თვითონ გრიგოლს ბიზანტიაში ეჭირა სასახლის კარის დიდი ტიტული - სეევასტოსისა, თანამდებობით ყოფილა „დიდი დემესტიკოსი“, მისი ძმა აბაზი კი მაგისტრისი.

მეფის ტიტულად ძეგლში ნახბარია სიტყვა „თვითმპყრობელი“. ამ შემთხვევაში ტიპიკონის აეტორს მხედველობაში ჰყავს ბიზანტიის მეფეები. „თვითმპყრობელში“ ძეგლი გამოხატავს თავის მფლობელს, ე.ი. თაეისუფალს. „სეფე“ნიშნავს ბატონს, ბატონისას.

ძეგლის მიხედით, მამასახლისი მონასტრის წინამძღვარია, მამასახლისი ერქვა ავრეთეე ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელს. მოურაეი გეხედება სულისათეის მზრუნველის გაგებით, სულისათეის მზრუნველს ეწოდება აგრეთეე სული „მოურე“. საყურადღებოა, რომ მოურაეი მოხელეა, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელი, მაგრამ ტიპიკონის მიხედით, ასეთი თანამდებობა არ ჩანს, ამ შემთხვევაში სახელწოდებაში მოცემულია მოქმედების აღწერა: სული მოურავი, ანუ სული მოჭირნახულე, სულისათვის მზრუნველი.

ძეგლში გეხედება ტერმინი სიკრიგონი: „სამეფო წიგნები, რომელნი კატასტროს -ქმნილ არიან სიკრიგონთა შინა“. „პატაკი ეოგინატისა, რომელი გარდაიწერა სიკრიგონსა შინა“. სიკრიგონი საბუთების შესანახი ადგილია, სამეფო სალარო, სამეფო დაეთარნახა. ძეგლში საუბარია სამეფო წიგნებზე, როლებიც აღწერილი და რეგისტრირებულია, აღნუსხულია სიკრიგონში, ე.ი. ამ წიგნების შესანახ დაწესებულებაში, აკაკი შანიძე ამ უწყების დაეთარხანასი, ანუ სამდივნოს უწოდებს, ს. ყაუხჩიშეილი – სამდივნოს. იე. ჯავახიშეილი –საჯამიროს. ეს ტერმინი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც დაკავშირებულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტერმინ „სიკისტრონთან“. შეგლში გეხედება მსახურთუხუცესი, რომელიც რუსუდან დედოფლის დროიდან ვაზირი იყო; მის გამგებლობაში შედიოდა სასახლის შეურნეობა, მეფის სამსახურის ხელმძღვანელობა, აგრეთე ებარა სალარო, სადაც ინახებოდა ძვირფასეულობა, მეფის სასახლის საწოლი და მისი სათაესოები; მსახურთუხუცესი ხელმძღვანელობდა მეფის სამსახურს მაშინაც, როცა მეფე მოგზაურობდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მე-15 მუხლის მიხედით, მეფე მოგზაურობაში, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის. წინ მიპყავთ, თუ მიღის მოკაზმული „სიკისტროსანი ჯორი“, მიაქეს დიდი ჩანთა, ძვირფასად მორთული, რომელშიაც არის ნოხი, ბალიში და სხეა; „ამა სიკისტრონსა ჯორისასა“ მისდეეს შეიდასი შუბოსანი მეფის მეცეი, „სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი და უკან მიპყეება სხეა ჯორები, რომლებთაც მიაქეთ ბარგი, ნივთები. „ბარგეს უხუცესი წინ მიეძღეის და სიკისტრონი და მესაწოლენი წინ იარებიან“.

მესაძლებელია, მეფეს ამ მოგზაურობის დროს თან გადაქონდა თავისი სამდივნო, მოძრაეი დაეთარხანა. ცნობილია, რომ მეფე ადგილზე არჩეედა საქმეებს. ამაეე ძეგლის მიხედით, „როცა მეფე ცხენსა ზედა მის“, ამილახორი წარუდგენდა მას მთხოვნელებს ძღეენსაც ის მიიღებდა. ალბათ, მეფეს მოძრაეი სალარო, სამდივნო თან ახლდა მოგზაურობისას. ეფიქრობთ, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის „სიკრიგონი“ „ხელმწიფის კარის გარიგების“ „სიკისტრონია“, ალბათ სახელწოდება დამახინჯდა დროთა განმავლობაში (ტიპიკონი XI საუკუნის ძეგლია, ხოლო ხელმწიფის კარის გარიგება XIV საუკუნეს ეკუთენის). საცარაუდოა, რომ ორი სხეადასხეა ძეგლის ეს ორი ტერმინი ერთნაირი შინაარსისაა. გაუგებარია, თუ რატომ იყი საჭირო იმ ჯორის განსაკუთრებით მორთეა-მოკაზმეა, რომელსაც სამდივნო-სალარო მიპქონდა.

ძეგლში გეხედება აგარა და აგარაკი. სოფელთან ერთად ორიეე სახნავ-სათესი ადგილი უნდა იყოს.

ძეგლში დასახელებულია ანდერძი, რომელიც ეკუთენის გრიგოლის ძმას აბაზს, რომ მისი სიკედილის შემდეგ მისი ქონება მონასტერს შეეწიროს, ხოლო თეითონ იქეე მონასტერში დაიმარხოს (რომელსაც გრიგოლი ააშენებს); ამაეე აბაზს ძმისთეის ანდერძით დაუტოეებია ძეირფასი ნიეთები, სამკაულები და სხეა.

ძეგლში გეხედება სიტყეა „განჩინება“, „განჩინებული“ – განწესების, განჩინებულის ან დაწესებულის ნაცელად; შემდეგ განჩინება სასამართლოს გადაწყეეტილებასაც ნიშნაედა.

გრიგოლი გადმოგეცემს, რომ მამის გარდაცალების შემდეგ დედამ „ყოეელი მონაგები და საკმარი მამისა ჩეენისა“დებს მზითეად გაატანა და „ჩუენ დაგუტენა ყოელისაგან მამულისა და დედულისაგანაც საკმრისა. „მონაგები და საკმარი“ მოძრაე ქონებას უნდა ნიშნაედეს, მაგრამ ტექსტის მომდეენო ადგილას „მონაგებში“ „მამულიც“ და „დედულიც“ შედის, ე.ი. მთელი ქონება, რაც კი გრიგოლის მამას დაუტოეებია (ეს ქონება დედას ქალიშეილებისთეის მზითეად მიუცია).

მამული, როგორც წესი, მემკეიდრეობით ვაეჭე გადადიოდა, მაგრამ აქ მამულის მესაკუთრედ ქალი გამოდის. ეს ამბაეი საქართველოში ხდება.

ძეგლში გეხედება გამოთქმა: „სასარჩლო საქმე“. „სასარჩლო საქმე“ დასაეო, საცილობელს ნიშნაეს. ტერმინი „სარჩელი“ სხეა წყაროებშიც გეხედება. როგორც ტიპიკონის პერიოდს, ისე წინა ხანებისაც. „სასამართლო წიგნები, რომელნი სოფიაწმინდას ნამარხეეად არიან“, „სასამართლოთა ნაწერთა, რომელნი ნამარხეი სხენან „სოფიაწმინდას“; აქ ყურადღებას იქცეეს „სასამართლო ნაწერი“ და „სასამართლო წიგნები“. ამ შემთხვევაში „ნაწერი“ და „წიგნები“ ერთი და იგიეეა, ლაპარაკია საბუთებზე, რომელიც სოფიაში ინახება და ეს საბუთები სასამართლოსია, ე.ი. სამართლებრივი შინაარსისაა და მონასტრის ქონებრიე უფლებებს შეეხება. სასამართლო იმ დაწესებულებას ეწოდა, სადაც საცილობელ საქმეებს არჩეეენ. ამ შერმთხვევაში სსამართლო,

რამდენადაც ის საბუთების, ანუ წერილების და წიგნების ერთგვარ განმარტებას იძლევა, ამდენად, ზოგადად უნდა იქნეს გაგებული, როგორც საერთოდ სამართლებრიეი შინაარსის საუთები.

ძეგლებში ხშირად გვხვდება ტერმინი „სამართალი“ და ამ ტერმინით აღინიშნება სიმართლე, სამართლიანი, სწორი. სამართალი ობიექტური გაგებით სიმართლიდან მომდინარეობს.სამართლიანობის საწინააღმდეგო ცნების გამოსახატავად ძეგლში იხმარება „უსამართლობა“.

კანონს ძველ ქართულში სჯული ეწოდებოდა; ტიპიკონში გვხვდება ტერმინი „მჯულის-დება“, ე.ი. სჯულდება, რომლითაც აღინიშნება განაგება, წესდება, თვით ტიპიკონი. ხელისუფლების მიერ შეღგენილ კანონებს სჯულდება ერქვა.

ძეგლში გვხვდება ტერმინი „უფლება“, სამართალი სუბიექტური გაგებით. გრიგოლი წერს, მონასტრის „უფლებისა და თვითმფლობელობისათვის“, იგულისხმება მონასტრის სამართლებრიეი რეჟიმი, მისი უფლებები, თავისუფლება. გრიგოლი მონასტერს სწირავს თავის მონაგებს და მამულს, რომელიც მას გააჩნია „ხელმწიფებით სრულითა და შეუძრავითა უფლებითა“. აქ მოცემულია შეუზღუდველი საკუთრების უფლების დახასიათება, რომ მესაკუთრეს აქვს „სრული ხელმწიფობა“, ყოველმხრივ შეუზღუდველი და ხელშეუხებელი უფლება.

საკუთრების უფლების ის რეჟიმი, რომელიც აქ მოცემულია, ფეოდალიზმისათვის არც არის დამახასიათებელი, რადგანაც ფეოდალური საკუთრება საერთოდ შეზღუდულია, მაგრამ ზოგჯერ ის შესაძლებელ სისრულეს აღწევს და სწორედ საკუთრების უფლების შესაძლებელი სისრულე არის აქ მოცემული.

ძეგლის მიხედვით, ქართულ სამართალში ცნობილია სამართალი - ობიექტური გაგებით და უფლება - სუბიექტური გაგებით.

გიპიკონი, თითქოს განმარტავს კიდეც სამართალს სუბიექტური გაგებიტ, ე.ი. უფლებას: უპლება არის ხელმწიფება, ანუ სრული ბატონობა საკუთრების შეუზღუდველობის თვალსაზრისით; უფლება ნისნავს იმას, რომ ადამიანი „ეუფლოს სხვისასაკმართა ვითარცა თვისთა“ და ისე გასცემდეს საკუთრებას, როგორც სურდეს.

ძეგლში ნახსენებია განკითხვის დღე, როცა ადამიანს იმ ქვეწნად, თავისი მოქმედების მიხედვით, მიეცემა ღვთის სამსჯაროს მიერ სასჯელი: განკითხვის დღეს „სამართალთა მათ სასჯელთა“ საქმეთა გამო მიესჯებაო. პირველ ყოელისა, სანამაულისათვის შესაფერისი, შესატყვისი სასჯელი უნდა მიესაჯოს. მეორედ, „სამართალი“ აქ სასამართლოს უნდა ნიშნავდეს. ამ შემთხვევაში ღვთის სასამართლო განიხილავს თითოეული ადამიანის საქმიანობას და სათანადოდ მიუსჯის კიდეც. საჯელიდან არის ნაწარმოები დასჯა.

ძეგლში გვხვდება ტერმინები „ ბრალი“ და „ უბრალო“ - დანამაულისა და უდანამაულობის მნიშვნელობით, მაგრამ ამ შინაარსთან ერთად ეს ტერმინები გამოხატავს დამნამავის სუბიექტურ მდგომარეობასაც: „ჯერ არს რაჲთა ყოველთა დღეთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღვარსა გულის სიგყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაიცა შეჰმთხუოდის მათ“. ბერები წინამძღვარს აღსარებას ეუბნებოდნენ თავიანთი ცოდვების შესახებ. „გულის სიგყუათა და საქმეთა“, ე.ი. აღსარება უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ მოქმედებას, არამედ იმ განზრახვებსაც, რომელიც აღსარების მიმცემს ჰქონდა.

ბრალი კი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად დანამაულს ნიშნავს.

საინტერესოა ტერმინი „უდები“, რომელიც ძეგლშია ნახმარი: ტიპიკონი აფრთხილებს უდებსა, ე.ი. დაუდეგარს, გაუფრთხილებელსა და მცონარეს, ე.ი.ზარმაცს, რომ ის დაუდევრობითა და მცონარებით სჯულს არღვევს, ანუ კანონის „გარდამავალი“ არის.

„უდებობა“ დანამაულობასთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობა ბრალის ერთ-ერთი ფორმაა.

„მოპარვა“ ნიშნავს, უმთავრესად, დამნამავის ფარულ მოქმედებასაც.

„მპარავი“ და თავისი ბაგონის ორგული სასტიკად უნდა დაისჯოს.

ასევე მძიმე დანამაულად ითვლება „ეერცხლისმოყვარეობა“. ეერაგობა, „ზაკუელობა“, რაც გიპიკონის მიხედვით, სასჯელს იმსახურებს.

ძეგლში ნახმარია მრავალი სხვა ტერმინიც, რომელთა შესწავლა აუცილებელია ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართათვის.

ამგვარად, გიპიკონი ძვირფას მასალას შეიცავს ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების შესახებ.

გ) დიდი სჯულის კანონი (XI–XII საუკუნეების მიჯნა)

ძეგლი არსენ იყალთოელის მიერ არის ნათარგმნი. ნომოკანონიბერძნულად ნიშნავს კანონს და წესს; ნომოკანონები ეწოდება მართლმადიდებლური საეკლესიო სმართლის კრებულებს, რომლებიც შეიცავენ ეკლესიის შინაგანაწესს, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის ნორმების დებულებებს.

ნომოკანონი საეკლესიო შინაარსის კოდექსია, რომელშიც შედის: „მოციქულებისა და მსოფლიო და აღგილობრივ კრებათა კანონები, ეკლესიის ცნობილ მოძღვართა კანონიკური

ეპისტოლენი და განმარტებანი, აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობა ეკლესიის საქმეთა გამო. ამ კოდექსს ბერძნულად ეწოდება ნომოკანონი, ხოლო ქართულად „სჯულისკანონი“.

მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსი საბოლოოდ ჩამოყალიბდა IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში 14 ტიტულოვანი ნომოკანონის ე.წ.883 წლის რედაქციის სახით. მან კონსტანტინოპოლის 920 წლის საეკლესიო კრებაზე ზოგადქრისტიანული სახელმძღვანელოს ხასიათი მიიღო. კანონიკური კოდექსის წყაროები ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. „ზოციქულთა“-ს სახელით ცნობილია 85 საეკლესიო კანონი, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობის პირველ წერილობით ძეგლად ითვლება.

2. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები.

3. ადგილობრივი საეკლესიო კანონები.

4. ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა.

კანონიკურ კოდექსში შესული ზემოთ დასახელებული კონკრეტული წყაროების კოდიფიკაცია თანდათანობით მიმდინარეობდა III საუკუნიდან IX საუკუნემდე. ამ დროის განმავლობაში, ეპოქის საჭიროების მიხედვით, იცვლებოდა კანონიკური კრებულის შინაარსობრივი შემადგენლობა.

ნომოკანონს ქრისტიანულ სახელმწიფოებში მოქმედი სამართლის მნიშვნელობა ჰქონდა. შეგლი ქართულად გადმოთარგნოლია არსენ იყალთოელის მიერ XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველ წლებში. დავას იწვევდა, იყო თუ არა თარგმნილი ეს ძეგლი არსენ იყალთოელამდე. კ.კეკელიძე ამტკიცებდა, ძეგლი არსენ იყალთოელამდე ქართულად არაეის უთარგმნია. ამჟამად ეს საკითხი დამტკიცებულად ითვლება, რომ არსენ იყალთოელი არის ძეგლის ქართული პირველი მთარგმნელი. მცირე სჯულისკანონისა და დიდი სჯულისკანონის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ამ ორი ძეგლის შედარებიდან ირკვევა, რომ ბრალის შესახებ მცირე სჯულისკანონი და დიდი სჯულისკანონი ერთნაირი წყაროებით სარგებლობდნენ, ამასთან, ბრალთან დაკავშირებული საკითხებიორივე ძეგლში ერთნაირად არის მოცემული. ამის მიხედვით, ირკვევა ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობით მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები. დიდი სჯულისკანონი განსაკუთრებით მდიდარია სამრთლებრივი შინაარსის ტერმინებით.

იმ მდიდარი მასალებიდან, რომელსაც დიდი სჯულისკანონი შეიცავს ამჟამად შეეხებით მხოლოდ „ბრალთან“ დაკავშირებულ ტერმინებს.

დიდი სჯულისკანონის ქართული გამოცემის რედაქტორის ე. გაბიძაშვილის გამოკვლევით, დიდი სჯულისკანონის ზოგიერთ ხელნაწერში გვხვდება რომაული სამართლიდან ერცელი ამონაწერები. რომლებიც თარგმანის შემდეგ უფრო მოგვიანებით შეასრულა არსენ იყალთოელმა. არსენის თარგმანში საერო სამართლის ეს ნაწილი შემოკლებული სახით არის, ხოლო შემდეგ, ბერძნული ტექსტის მიხედვით, ეს ადგილი უთარგმნიათ და არსენის თარგმანიც შეუვსიათ. დიდი სჯულისკანონის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ადგილი „კანონებრივი განწესებანის“ სახელწოდებით არის ცნობილი. „კანონებრივი განწესებანი“, „ბრალთან“ დაკავშირებით, საყურადღებოა იმით, რომ საუბარია ბრალზე, განზრახვასა და შემთხვევაზე, ე.ი. განზრახ ჩადენილსა და შემთხვევით მომხდარ დანაშაულზე და მითითებულია „კორპუს იურის ცივილის“-ის დიგესტებზე. შემთხვევის საილუსტრაციოდ მოყვანილია ასეთი მაგალითი: ნადირობის დროს ნადირის „განმგეველი“, ე.ი. ნადირი მომგერიებელი კლავს ადამიანს. „შემთხვევის“ მაგიერ ძეგლში ნახმარია ტერმინი დამთხვევა. აქვეა აღნიშნული „წინაწარწურთილების“ შესახებ, ე.ი. წინასწარ მოფიქრებულ დანაშაულზე. „წინაწარწურთილება“ განზრახვის ნიშნავს. ამ შემთხვევაში ძეგლი არ ხმარობს ტერმინს განზრახვას, სხვა ადგილას კი არის ნახმარი განზრახვა-ბჭობა, მოფიქრების მნიშვნელობით.

დიდი სჯულისკანონში „ბრალთან“ დაკავშირებით ხშირად გვხვდება ასეთი ადგილები: თუ ეპისკოპოსი „ბრალისა რაჲსათჳსმე განკითხულ იქნეს“ და მისი სამთაროს ეპისკოპოსნი ამ ეპისკოპოსის ბრალიანობის შესახებ ერთი აზრის არ იყვნენ, მაშინ მიტროპოლიტმა მოიწვიოს მახლობელი სამთაროს ეპისკოპოსნი „რომელთა ბჭობითა საცილობელი იგი“ საკითხი გაღაწყვეტსო. „ბრალი“ აქ დანაშაულს ნიშნავს.

სეთივე მნიშვნელობით გვხვდება „ბრალი“ ძეგლის სხვა ადგილასაც: „ეკლესიისაგან ბრალეულ და განკანონებულ და განჴდებულ მისგან“ უზიარებელნი არიანო, ეკითხულობთ ძეგლში. აქ ბრალეული დადანაშაულებას ნიშნავს, ე.ი. ბრალი დანაშაულია, ხოლო ბრალეული ბრალდებული, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ხოლო განკანონება – საეკლესიო სასჯელია, ეპიტემია.

ძეგლის ამავე მუხლში „ბრალი“ გვხვდება ასეთ კონტექსტში: „ბრალი განიძარცოს“, ე.ი. დანაშაულისაგან თავი იმართოს, დაამტკიცოს, რომ ის უბრალოა. „ვსცნენილნი ბრალთა“, „ემხილენ ბრალეულობანი“, „უკეთუ სამთაეროსა მის ეპისკოპოსთა ეერ შეუძლონ განმართებაჲ ეპისკოპოსისა შეჲა დასხმულთა მათ ბრალობათა“. მოყვანილი მაგალითებიდან ბრალი, ბრალთა, ბრალეულობა დანაშაულს ნიშნავს, ამასთანაეე, იგივე სიტყვები დამნაშავის შინაგან მიმართებასაც ასახავს. „ბრალთათჳსისა მტანჯველობა“ არის მტანჯველობითი სასჯელი დანაშაულისათვის, ხოლო „ბრალიანობა“ – ბრალდება, დანაშაულის დაბრალება, „ბრალის ქეშე ქმნილი“ – ბრალდებული, „ეკლესიისაგან ბრალეული“ – ეკლესიის მიერ დამნაშავედ მიჩნეული.

ყველა შემთხვევაში ბრალი დანამაულის მინაარსით არის გადმოცემული, ამასტანავე დამნაშავის სუბიექტურ მდგომარეობასაც გვიჩვენებს.

დიდი სჯულისკანონის მიხედვით, „გულისთქმა“ ნიშნავს სურვილს, წადილს, ნდობას: „უკეთუ ეინმემ ინებოს გულისთქმაჲ დედაკაცისაჲ და საწოლსა უკე ბისსა დაწეეს, ხოლო არა სრულ-ყოს საქმით გულისთქმაჲ თჳსი, საცაურ არს, ეითარმედ მადლისა მიერ გამოკსნილი არს“. „გულისთქმა“ ამჟამად ჩვენთვის იმიტომ არის საინტერესო, რომ ამ სიტყვითაც გამოითქმებოდა ნება-სურვილი, განზრახვა. ძეგლში მხედველობაშია გულისთქმით, ე.ი. განზრახვით დანამაულის ჩადენა, რომელიც დანამაულის ჩადენის განმზრახველმა ბოლომდე არ მიიყვანა.

ძეგლში გეხვდება მარხვის დარღვევის დანამაული, რომელსაც ბრალდებული ჩაიდენს „გულისსიტყუსითა“. „გულისსიტყვა“ ნიშნავს მოსაზრებას, მოფიქრებას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოფიქრებით, ანუ განზრახვით დანამაულთან.

„გულსაესე“ და „გულსავსება“ ნიშნავს დარწმუნებულს და დარწმუნებას. ამ სიტყვებსაც კავშირი აქვს ნებასა და განზრახვასთან, ხოლო „გულყოველობა“ — გულწრფელობას, გულითადობას.

დიგესტების მიხედვით, ძეგლში საუბარია სრულწლოვან ჭაბუკზე, რომელიც „თუთუფალია“ და არაის „ხელმწიფების ქვეშე“ არ იმყოფება. „ბრალთან“ დაკავშირებით აქ საყურადღებოა ის, რომ ასეთი პირი ასაკით სრულწლოვანია. თავის მოქმედებაში თავისუფალი და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებელია დანამაულებრივ საქმეზე.

ძეგლის მიხედვით, „თეითხელმწიფობა“ ნიშნავს თავისი მოქმედების სრულ გამგებლობას, ასეთივე მნიშვნელობა აქვს „თავისუფალ თეითმფლობელბას.

ძეგლში „დამთხვევით“ „შემთხვევითს უნდა ნიშნავდეს. ტექსრის მიხედვით, ეს სიტყვა დაკავშირებული არ არის შემთხვევით დანამაულთან, მაგრამ თვით სიტყვის შინაარსი იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ტერმინი არსებობდა და საჭიროების შემთხვევაში იხმარებოდა „ბრალთან“ დაკავშირებითაც.

„უდებება“, ისე როგორც სხვა ძეგლებში, დიდი სჯულისკანონშიც ნიშნავს სიზარმაცეს, უსაქმურობას. თუ ეპისკოპოსი, სწერია დიდი სჯულისკანონში, „უდებებითა თჳსითა“ არ გამოცხადდა შეკრებაზე, ამის შესახებ გაფრთხილება უნდა მიეცეს. „უდებება“ თავისი შინაარსით დაკავშირებულია გაუფრთხილებლობასთან, გაუფრთხილებელ დანამაულთან.

ძეგლში იხმარება ტერმინი განკითხეა, რაც გასამართლებას, მსჯაერის დადებას ნიშნავს.

დიდი სჯულისკანონში გეხვდება განწესებული, განჩინება,ბჭე, საბჭო, ბჭობა, განბჭობა, მბჭობელობა, სჯული, მსაჯული, სამსჯაერო, სამართალი, სასჯელი, დასჯა და სხვა.

ტერმინების მხრივ მცირე სჯულისკანონსა და დიდი სჯულისკანონს შორის განსხვავებაც არის, რადგან ყველა იურიდიული ტერმინი დაზუსტებული არ არის. რასაკვირველია, დიდი სჯულისკანონი დიდი მოცულობის წიგნია და ამიტომ ტერმინებიც მეტი იქნება. ჩვენ შეეცადეთ მხოლოდ „ბრალთან“ დაკავშირებული ტერმინი მოგვეყვანა; ძეგლს დართული აქვს იურიდიული ტერმინების ლექსიკონი, სადაც 500-მდე სიტყვაა მოცემული, რაც ქართული იურიდიული ამროვნების მაღალ დონეზე მეტყველებს.

დიდი სჯულიკანონი გამოსაცემად მოამზადეს ვ. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ. გამოცემის რედაქტორია ვ. გაბიძაშვილი, მანვე დაწერა ძეგლისადმი მიძღვნილი გამოკვლევა და წინასიტყვაობა. ძეგლისადმი დართული ლექსიკონი ეკუთვნის მ. დოლაქიძეს.

ძეგლს დართული აქვს ყველა სახის საძიებელი.

დ) რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ძეგლისწერა

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს აღგილობრიეი ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომელთაც მოქმედი კანონის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთ ძეგლებს ეკუთვნის რუის-ურბნისის ძეგლისწერა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწვეული იყო დავით აღმაშენებლის ინიციატივით; ეს კარგად ჩანს ძეგლის სათაურიდანაც: „ძეგლისწერა წმიდისა და ღრმთივმეკრებულისა კრებისაი, რომელი შემოკრიბა ბრძანებითა და კეთილად მსახურებისა და ღმრთიე დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათეს რომელნი ქუემო მოკსენებულ არიან“.

სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლის პროცესში დავითი ცდილობდა ეკლესიის დამორჩილებას. იგი შეებრძოლა მსხვილ ფეოდალებს და მათ შორის ეკლესიასაც. თვით ძეგლში არის აღნიშნული, რომ რუის-ურბნისის კრების მოწვანი იყო, განეხილა „საეკლესიოთა და სამღვდელოთა“ საქმეები და არა სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი, დოგმატკური საკითხები.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოცემით, ეკლესიას დაეუღლენ „ქუაბ ავაბაკნი“, რომლებმაც „მამულობითი“, ე.ი. გჳარიშეილობითა და ქონებით დაიპყრეს „საეპისკოპოსონი, ეითარცა ავაბაკთა“. „მამულობით“ ეპოსკოპოსის თანამდებობათა მომხვეჭელებმა მათდამი

დაქვემდებარებული ეკლესიის მსახურნიც „მათნივე მსგავსნი დააღგინე. „მამულობით“ საეკლესიო თანამდებობათა დამპყრობნი „ღირსებით“ ამ თანამდებობის მეუფენი იყვნენ.

„მამულობით“ ეკლესიის თანამდებობათა დამპყრობნი ფეოდალების ოჯახებიდან იყვნენ, რომლებიც მეფის ხელისუფლებას ებრძოდნენ. ამიტომაც, შემატიანეს გადმოცემით, დაეით აღმაშენებელმა მოიწვიაარუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომლის მიზანს შეადგენდა დემოკრატიული რეფორმების გატარებით ეკლესია მეფის ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა, აგრეთვე „მთავართა და წარჩინებულთა შეილნი, რომელნი უწესობით დაეპყრნენ საყდრები“, გაეაქეყნებინა და ამ ღონისძიების შედეგად მეფის ხელისუფლება გაეძლეირებინა.

ნ. ურბნელის მიხედეით, სამეფოს გაძლიერება დაეით აღმაშენებელს გამიმნული პქონდა მსხვილი ფეოდალების დასუსტების გზით: კრების სახელითა და შემწეობით მეფეს სწადდა გაეძლიერებინა სამეფო გახტის მნიშვნელობა, ფეოდალების ძალა მოესპო, მთავარნი და ერისთავნი დაემორჩილებინა, დაესუსტებინა“. აეტორის მეხედულებით, დაეითს სურდა სახელმწიფო ეკლესიაზე მაღლა დაეყენებინა, ე.ი. ეკლესია სახელმწიფოსთვის დაემორჩილებინა.

ნ. ურბნელი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ მეფის ჩანაფიქრის მიხედეით, ძეგლისწერა „სასულიერო წოდების წარმომდგენლებს ებრძვის“, მათ წინააღმდეგ არის მიმართული. ე სარის მთავარი. რასაკვირველია, ძეგლისწერა, სხვადასხვა სახის დანაშაულს ითვალისწინებს; მაგალითად, მექრთამეობას (სამღედელო საქმიანობის უმეცარის დანიშენას ამ თანამდებობაზე ქრთამით), ანგარებას, ოჯახში საეადასხვა სახის უწესრიგობას და სხვა.მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთაეარია მეუფის ხელისუფლების გაძლიერება.

იე. ჯაეახიშეილი ძეგლისწერას ყოფს 4 ნაწილად; 1. შესაეალი, 2. დადგენილებანი, 3. დაეითის შესხმა, 4. გამოჩენილ ქართელ მოღეაწეთა მრავალეამიერი (ცოცხლების) და საუკუნო ხსენება (მიცვალებულების).

ჯ. კეკელიძის ამრით, ძეგლი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. შესაეალი, 2. კანონები, ე.ი. დადგენილებანი და 3. სინოდიკონი. შესაეალს მოსდევს დადგენილებები, ანუ კანონები, შემდეგ წინადადება: „მეფესა დაეითს მონაზონი არსენი“. ეს ერთგეარი სათაურია დამ ის ქვემ მოცემულია დაეით აღმაშენებლისადმი მიმართული შესხმა, ქება-დიდება. შესხმა ვრცელია, ხასიათდება შედარებებით, რომელთა მიზანია მეფის განდიდება: „ჰაეროეანი ხარ, ეითარეა სამყარიჲ ხილულისა, სოფლისა შორის, საჩინო ეითარცა მზე ეარს კელაეთა შორის... ძლიერი, ეითარეა ლომი მხეცთა შორის... მტკიცე, ეითარცა ანდამატი... ბრძენ, ეითარცა სოლომონ“ და სხვა. დაეითის შესხმა მოცულობით დაბეჭდილი წიგნის ორ გეერდზე ცოტა ნაკლებია, ხოლო ძეგლისადმი დართული სხვა პირთა მოსახსენებელი – ერტ გეერდსა და სტრიქონს შეიცავს. იე. ჯაეახიშეილი ეარაუდობს, რომ არსენ მონაზონი, შესაძლებელია, საეკლესიო მდივნის მოვალეობას ასრულებდა; მამინ ძეგლის შემდგენელი არსენია, ე.ი. მას ეკუთვნის არა მარტო დაეითის შესხმა, არამედ ამ სესხმის წინა და მომდეგენი ნაწილიც.

ამრიგად, ძეგლში მოხსენიებული არსენი, იყალთოელია დაეითის შესხმაში წერია, რომ ეს შესხმა „ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა“, ე.ი. საეკლესიო კრებამ.

როეორც ჩანს, საეკლესიო კრებას დაუდგენია, რომ დაეითის საგანგებო შესხმა მიართვას და ეს საქმე არსენისათვის დაუვალებია.დაეითის შესხმა ძეგლისწერის სხეა ნაწილებისაგან გამოირჩეეა ხატოეანი შედარებებით, რაც ცხადყოფს აეტორის ფართო ერუდიციასა დამ ის სამწერლო ნიჭს.არსენმა ამ ნაწილის აეტორად თაეი დაასახელა იმიტომაც, რომ, როეორც ჩანს, ეს ნაწილი საეკლესიო კრების მიერ სჯა-ბაასის საგნად არ გამხდარა, შესწორება არ შეუტანიათ, მაშინ როდესაც სჯულდების სხეა ნაწილი გაცხოეელებულ კამათს გამოიწეეულა. რასაკვირველია, ასეთი კამათი და მსჯელობა განსაკუთრებით ძეგლის დადგენილებათა ნაწილს შეეხებოდა. შესაძლებელია რაიმე შესწორება ძეგლის ბოლო ნაწილშია შეტანილი. ყოველ შემთხვეევაში, დაეითის შესხმა, მხატგერული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოეებს და გამოირჩეეა როგორც ცალკე ნაწარმოები. ამასთანავე, ძეგლის ის ნაწილი, რომელიც დაეითის შესხმას შეიცავს, შინაარსობრივად არ განსხვაედება მომდეგენო ნაწილისაგან; მისარებად მიგვაჩნია კ. კეკელიძის შეხედულება, რომელიც ძეგლისწერას სამ ნაწილად ყოფს, ე.ი. დაეითის შესხმასა და სხვა მოღეაწეთა შესხმას ერთ ნაწილად თელის.

შესავალსი მოთხრობილია ადამიანის წარმოშობის ისტორია; ღმერთის მიერ ადამიანის გაჩენა, ადამიანის ცხოერება სამოთხეში, ღმერთისაგან ადამიანისათეის „თეითმფლობელობის“, ე.ი. თავისუფლების მინიჭება, რაც ადამიანმა ვერ გამოიყენა თავის საკეთილდღეოდ. ის გააძეევეს სამოგხიდან შემდეგ ამას მოსდევს კაენის მიერ ძმის მოკლა და ამის გამო ღმერთის მიერ ქვეყნის დაწყეება. ადამიანთა ცოდეამ გამოიწეია წარღენა. გოდლის შენებითა და ენათა შერეეით დაისჯა ადამიანი. შემდეგ „სოდომელტა სიბილწეთ“ ღეთის რისხვა გამოიწეია. ღმერთამ მისცა ადამიანს მოსეს სჯული. ამის სემდეგაც ადეილი აქეს კერპთაყეანისმცემლობას. ეერაფერმა უსელა ცოეილ ქეყანას; „– სჯულნიცა უქმ იყენეს. ბუნებითსა ეიტყუ და დაწერილსა... “. ქეყანის სახსნელად მოეიდა ქრისტე და ეწამა ადამიანისათეის. ქრისტემ აღდგომისა და ამაღლების სემდეგ მოაელინა 12 თაეისი მოციქული, რომ ადამიანს მოაშოროს „ბნელი უღმრთობისაჲ“ და ასწაელოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ანდრია მოციქულმა „– ყოველსა ქეყანასა საქართეელოჲსასა“ უქადაგა ჭეშმარიტი ღეთისადმი მსხურება. მაგრამ ქამთამსელელობაში მრავალმა ქართეელმა „დაეიწყა ქადაგება“ ანდრიასი. მირიანის მეფობის დროს საქართეელოს განმანათლებლად

მოეულინა ნინო კაპადოკიელი. ნინომ გააქრისტიანა საქართველო უკვე მოქმედებდამსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებანი და წმინდა მამათა განწესებანი. ძეგლის შესაბამში ჩამოთვლილია მსოფლიო საეკლესიო კრებები და მამათა მიერ განწესებულნი ... კანონნი".

ღმერთის დამახასიათებელია „სიბრძნე და ძალი". ადამიანის სახით მან შექმნა არსება, რომელიც დააჯილდოვა სიბრძნით. მაგრამ ამასთანავე, ადამიანს ახასიათებდა „თვითმფლობელობა", ღვთის მიერ მოცემულ სიბრძნეს სძლია ეშმაკის ცდუნებამ. ამ ცდუნების არსი კი იმასი მდგომარეობდა, რომ ადამიანი ეძიებდა ახალს, ისწრაფოდა მეეცნო ის, რისი ცოდნაც ღვთის მიერ ეკრძალებოდა.

ძეგლისწერის მიხედვით, თავისუფლება ეხება სახელმწიფოსაც, თუ სახელმწიფო სუვერენულია და სხვაზე დამოკიდებული არ არის. ასეთი სახელმწიფო არის „მქონებელი დაუმონებლისა თავისუფლებისაი".

ძეგლისწერა სამართლის ფილოსოფიის საკითხსაც აყენებს. მაგალითად, ძეგლისწერის მიხედვით, არსებობს ბუნებითი სამართალი, ე.ი. თანდაყოლილი. იგი უპირისპირდება პოზიტიურ სამართალს. ბუნებითი სამართალი ცნობილი იყო საბერძნეთში, რომში. ფეოდალიზმის დროს კი ბუნებით სამართალს სარწმუნოებრივი ხასიათი მიეცა და ღვთაებრივ სამართალს უწოდებდნენ, რომლითაც ბაგონყობის არსებობას ამართლებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეებში ბურჟუაზია ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა ბუნებით სამართალს. ძეგლისწერის მიხედვით, არსებობს ბუნებითი და დაწერილი სჯული, ე.ი. კანონი, სამართალი.

„დაწერილი სჯული" არის პოზიტიური, მოქმედი, ბუნებითი სამართალი კი მისი საპირისპიროა, რომელიც ბუნებიდან ან ღვთისაგან მომდინარეობს დამ ას, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს პოზიტიური სამართალი.

ძეგლისწერის მიხედით, ყოველი ქვეყანა საქართველოჲსა" ნიშნავს ერთიან საქართველოს, საქართველოს ყველა ნაწილს ერთად აღებულს. მესავალში აღნიშნულია: მესავალი იმიტომ დაეწერეთ („ამისთვის მოვიხსენენით") რომ „განეკმარტოთ" ჩვენი დადგენილებანიო, ე.ი. ის ზოგადი დებულებანი, რომელიც შესავალშია, ძეგლისწერის საფუძველია.

საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები ეხება ეკლესიის მსახურთ, მათ დანამაულს, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს როგორც ეკლესიის მსახურმა, ისე ერისკაცმაც. I. პირველ ყოელისა, ძეგლისწერა თანამდებობიდან გადაყენებულად აცხადებს უღირს მღვდელმთავარს; უღირსად ითვლება ის მღვდელმთავარი, მღვდელი, და, საერთოდ, ეკლესიის მსახური, რომელსაც, ქრისტიანული სარწმუნოების მიხედით, სულისათეის ხორცი არ დაუთრგუნავს. ამასთანავე, ასაკიც საეკლესიო პირს შესაფერისი უნდა ჰქონდეს (ამის შესახებ ქვემოთ აღვნიშნავთ).

2. ეპისკოპოსი უნდა იყოს არანაკლებ 35 წლის, მღვდელი – ოცდაათის, დიაკონი – 25, ხოლო „წიგნის მკითხველი" – რეა წლის. ხელდასხმა უნდა ხდებოდეს ჯერ უმცროს თანამდებობაზე, შემდეგ თანდათანობით უფროსზე.

3.ხელდასხმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმინდელის განწესების მიხედვით.

4. ძეგლისწერა კრძალავს ხელდასხმას, ე.ი. სამღვდელო თანამდებობაზე დანიშვნას ქრთამით, საფასით ან ძღვენით; ძეგლში ჩამოთვლილია ეკლესიის მსახურნი უფროს-უმცროსობის მიხედვით: ქრთამი, ძღვენი და საფასე აკრძალულია კათალიკოსმა მიიღოს ეპისკოპოსისაგან და ეპისკოპოსმე დაბალი რანგის მსახურთაგან, ხოლო ეპისკოპოსმა ეკლესიის მსახურთაგან და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქრთამს ფეოდალურ საქართველოში ორგვარი მნიშენელობა ჰქონდა: 1) თანამდებობის პირს ის ეძლეოდა, როგორც გასამრჯელო, 2) ქრთამი ნიშნავდა დანამაულს. ძეგლისწერა კი კრძალავს ქრთამს, მას დანამაულად აცხადებს, მაგრამ გარკვეულ ეითარებამ, ე.ი. საეკლესიო თანამდებობათა დანიშვნის დროს. აქედან არ ჩანს ქრთამის ზოგადი მინაარსი.

5. საეკლესიო ქონება, საეკლესიო ჭურჭელი, ნაყიდი ან შემოწირული, მხოლოდ თავისი დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს.

ძეგლისწერას დასახელებული აქვს უკიდურესი გარემოება, როცა ტყვის გამოხსნისათვის საჭირო იყო სახსარი. ამ შემთხვევაშიც კი ეკლესიის სამღვდელო ჭურჭელს ხელი არავინ უნდა ახლოს.

6. ქორწინება, მონათვლა, მონაზონად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით და ამ წესის დარღვევა აკრძალული იყო. გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო. შეგლისწერაში ნახსენებია პირველი და მეორე ქორწინება. როგორც ჩანს, მესამე და მეოთხე ქორწინებას ის არ ცნობდა.

7. დაქორწინებისათეის საჭირო იყო განსაზღვრული ასაკი: ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლები 12 წლისა.

როგორც ჩანს, მაშინ მიღებული ყოფილა „ჩვილთა ქალყრმათა" გვირგვინის კურთხევა, რასაც კრძალავს ძეგლისწერა.

8. კათალიკოსსა და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირცეს ეკლესიის ისეთი მსახურნი, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან საქრისტიანო წესებში; ამასთანავე, მღვდელი იქნება,დიაკონი თუ, საერთოდ, ეკლესიის მსახური, უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს ეკლესიის საქმეს; არც ერთმა

მათგანმა „არა რაჲ ... განსცეს ქრთამისათჳს, არცა რაჲ განყიდოს ეერცხლად, ეითარცა იუდა“ იუდამ უფალი. ეერცხლით გაყიდეა აქ უნდა ნიშნავდეს ღალატს, სარწმუნოების საწინააღმდეგო დანაშაულს.

9. ძეგლის მიხედვით, მოძღვართა სიმრავლე მონასტერში „...მრავლისა შფოთისა და განხეთქილების მიზეზსა შემოიღებს“, ამიტომ მოძღვართა რიცხვი უნდა განისაზღვროს: დიდ მონასტერში დასაშვებია მხოლოდ ორი მოძღვარი, ხოლო პატარაში – ერთიც საკმარისია.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებულია მოძღვართმოძღვარი, რომელსაც მეფის შემდეგ პირველი ადგილი ეკავა. ის უნდა ყოფილიყო გელათის აკადემიის რექტორი. მოძღვართმოძღვარი ნიშნავს მასწაულებელთა-მასწაულებელს. მოძღვართმოძღვარი სწაელული იყო, მას მოწაფეები ჰყავდა – მოძღვრების სახით და საკუთარი სკოლა ჰქონდა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მოძღვართმოძღვარი, პირველ ყოვლისა, მოძღვრების უფროსია, საქართველოში როგორც ჩანს, მრავალი მოძღვარი ყოფილა. ამ გარემოებას სახელმწიფო და ეკლესია შეუწუხებია, რადგანაც, ისინი თურმე, შფოთსა და განხეთქილებას თესაელნენ, ე.ი. ისეთ იღეებს ქადაგებდნენ, რაც ეკლესიისათჳის მიუღებელი იყო, ამიგომაც საეკლესიო კრებას საჭიროდ უცნია მათ წინააღმდეგ ზომების მირება და მოძღვართა რიცხვი მონასტერში შეუმცირებიათ.

10. ძეელისწერა კრძალავს მონასტერში ერისკაცთა მიერ „სამოქლაქო“ და „სოფლის“ საქმიანობას – ვაჭრობას. გამბართავს, რომ მონასტერყ არის სამლოცველო დაწესებულ;ება და იქ ერისკაცების შეერება, საერო ხასიათის საქმისათჳის, დაუშეებელია.

ძეგლისწერა მონასტრის საპირისპიროდ ახსენებს „ადგილთა ქუაბავაშაკთა“. გამოქვაბულები, სადაც შესაძლებელია თავს აფარებდნენ ავაზაკები, ყაჩაღები. თაეისთაეად ტერმინი „ქუაბ-ავაშაკთა“ საყურადღებო და დამახასიათებელია ძეგლიწერის ეპოქისათჳის იმ მხრივ, რომ მიუთითებს ყაჩაღობის გავრცელებაზე; ამ შემთხვეევაში მონასტრისადმი „ქუაბ-ავაშაკთა ადგილი“ დაპირისპირებულია მედარების გასაძლიერებლად (მსჯელობის უფრო თეალსაჩინოებისათჳის).

11.ძეგლისწერაში განმარტებულია, თუ სად, როგორ, ეის მიერ უნდა სრულდებოდეს ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა და „ეამისწირეა“.

12.ძეგლისწერის მიხედვით, სომეხნი სარწმუნოებით მწეალებელნი არიან და თუ სომეხი მართლმადიდებლობას აღიარებს, მართლმადიდებელმა წეკლესიამ ისეთი წესი უნდა მიიღოს, როგორი წესითაც ღებულობს წარმართს.

13.ძეგლისწერა კრძალავს მართლმადიდებლია და წარმართის შეუღლებას.

14.კრძალავს აგრეთვე ე.წ. წარმომადგენლობით ქორწინებას. წარმომადგენლობითი ქორწინებისას თუ შესაუღლებელი სხეადასხეა ადგილას არიან და მათი ერთად მეყრა არ ხერხდება, მაშინ გეირეეინის კურთხეეის დროს საქმროს მაგიერ მისი წარმომადგენელი უნდა იყოს.

15.ეხება ისეთ დანამაულს, როგორიც არის სოდომური დანამაული, ე.ი. არაბუნებრიეი სქესობრიეი კაეშირი, მამათმაელობა. ერცლად განიხილავს აგრეთვე ამ დანაშაულს და თელის, როგორც ბუნების საწინააღმდეგოს. ასახელებს ცოდეებს: ადამიანთა შორის მგრობასმ შურს, სიძულეილს, კაცისკელას, მრუშობას, ცრუ-ფიცს და მათ შორის ყეელაზე დიდ ცოდად მიაჩნია კერპთმსახურება.

ძეგლისწერის მიხედით, სოდომური ცოდეაც განსხვაებულია ჩამოთელილი ცოდვებისაგან. ყოეელგეარი ნიეთი, საგანი ღმერთმა გააჩინა და მათ გარკეეული დანიშნულება მისცა ადამიანის სასარგებლოდ, ხოლო სოდომური ცოდვა „წინაუკუმო ბუნებისა შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თჳსსა“; სოდომური ცოდეა ღეთისა და ბუნების საწინააღმდეგო მოელენაა. ამ ცოდემ დაღუპა მრაეალი სახელმწიფო,მრაეალ ხალხს დაუკარგა მან თავისუფლება. ძეგლიწერის ამ ნაწილში, სხეათა შორის, აღნიშნულია: სოდომურმა ცოდემ „მკეცის ბუნებათა ეითმე კაცთა ავაზაკურითა ზედა-მოსელითა“ სპარსეთი დასცაო. „ავაზაკურად ზედა-მოსელა“ ნიშნავს ადამიანზე თაედასხმას, რომლის მიმართ გამოყენებულია „მიცუს ბუნება“. მხეცის ბუნებას შეუყრია ადამიანი, სრულად დაუმორჩილებია ის, ბუნების საწინააღმდეგო ცოდეის, ანუ დანაშაულის ჩასადენად.

ძეგლისწერაში ასეთი დაპირისპირებებია მოცემული: მდიდარი და ელახკი, მეფე და მთავარი, აზნაური და მდაბიო, მღცდელი და უმღდელო, მოწეე და ერისკაცი. მოცემულია აგრეთვე ადამიანის ასაკი: ე.ი. მოხუცებული, შუა-კაცი და ჭაბუკი.

ივ. ჯავახიშეილისა და კ. კეკელიძის მოსაზრებით, ძეგლისწერა 15 მუხლისგან შედგება. მისი უკანასკნელი გამომცემელი ი. დოლიძე კი 16 მუხლად ყოფს. ი. დოლიძის მიერ გამოყოფილი მე-16 მუხლი, ჩეენი აზრით, წინა მუხლის უმუალო გაგრძელებაა, ამიგომ ამ ნაწილის მე-16 მუხლად გამოყოფა უმართებულოა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწეეულ იქნა 1103 წელს ქართლში. ორი საეპისკოპოსოს მახლობლად. კრების თაემჯდომარე ყოფილა კათალიკოსი იოანე. თვალსაჩინო მონაწილეობა მიუღიათ ძეგლისწერის შემუშაებაში საქართეელოს მაშინდელ მწიენობართუხუცესს გიორგი მონაზონსა და არსენ მონაზონს, ანუ იყალთოელს.

ძეგლისწერა ორჯერ არის გამოცემული.

ე) კათალიკოზთა სამართალი (1543-1549წ.წ.)

ამ ძეგლის დათარიღების საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო. თელიდნენ, რომ იგი შედგენილია XVII ან XVI საუკუნეში. კ. კეკელიძის გამოკვლევით, ძეგლი შედგენილია 1543-1549 წლებში. ეს თარიღი სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს.

ძეგლი შედგენილია ქართლის კათალიკოსის მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონის მიერ; ამასთანავე კათალიკოსებთან ერთად, როგორც ეს ძეგლის შესავალშია აღნიშნული, შეკრებილნი ყოფილან „ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი“.

ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში ამ ძეგლს ეწოდებოდა „წმიდათა მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოსთაგან გაწესებული სამართალი“. ასეთი სათაური იქნებოდა სრული და შინაარსისადმი საესებით შესაბამისი. ი.დოლიძე ამოკლებს ამ სათაურს „კათალიკოზთა სამართალი“. ძეგლი შედგენილია დასავლეთ საქართველოში და ამ მხარისათვის არის განკუთვნილი.

ძეგლის შესავალში აღნიშნულია მისი შედგენის მიზები: „... ცოდვათა ჩვენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის ყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა“, ე.ი. კრების მოწვევის მიზები ყოფილა დასავლეთ საქართველოში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლის გამო საჭიროდ უცნიათ საგანგებო ზომების მიღება, რისთვისაც შეკრებილან და შეუდგენიათ კანონები – „კათალიკოზთა სამართლის“ სახით.

ამ პერიოდში საქართველო პოლიტიკურად დანაწილებულია, მაგრამ ამ კრებას ქართლის კათალიკოსიც დასწრებია. ფეოდალიზმის განვითარების თავისებურება საქართველოში ის იყო, რომ მთელმა ღიგმა მინაგანმა და გარეგანმა ფაქტორებმა ხელი შეუშალა ერთიანი ქართული სახელმწიფოს განვითარებას., მაგრამ ერთიანობისთვის ბრძოლა საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა. ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობა დასავლეთ საქართველოში ეკლესიის მესვეურთა კრების მოწვევა და კანონების მიღება, აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებობდა. ამიტომ ეხედათ ამ კრებაზე აღმოსავლეთ საქართველოდან კათალიკოს მალქიას.

იე. ჯაეახიშვილის აზრით, კათალიკოსთა სამართლის მოქმედების ასპარეში დასავლეთ საქართველოთი შემოიფარგლება, მაგრამ რადგანაც გურიის ეპისკოპოსი არ მონაწილეობდა კათალიკოსთა სამართლის შედგენაში, ამიტომ გურიაში ეს სამართალი არ მოქმედებდა.

კათალიკოზთა სამართლის“ მესავალში წერია: „დავიღევით სჯულის კანონი და ჩვენცა იმისგან გადმოვიღეთ; და რაც იმიდაგან არ გადმოვიღეთ, ჩვენ ჩვენი მაგიერი არა შეგუმაგებია რა და სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს“.

დ.ბაქრაძის აზრით, ეს „სჯული“ უნდა იყოს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „მცირე სჯულისკანონი“; კ.კეკელიძე არ ეთანხმება დ. ბაქრაძეს და ამტკიცებს, რომ „კათალიკოზთა სამართლის“ შემდგენელნი დიდი სჯულისკანონით ხელმძღვანელობდნენ, ეს მოსაზრება მართებული უნდა იყოს.

„კათალიკოზთა სამართლის“ შედგენის პერიოდი მეტად მძიმეა საქართველოსთვის. ოსმალეთის აგრესია განსაკუთრებით თავს იჩენს XVI საუკუნეში. სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა ხანგრძლივი ომების შემდეგ დაიპყრო და მოსახლეობის გათურქებას შეუდგა. ამის შემდეგ ის იწყებს საქართველოს სხვა ნაწილების დალამქრას, განსაკუთრებით კი მან პირველად დასავლეთ საქართველოს შემოუტია. 1510წელს ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოდან მოულოდნელად ქუთაისში შემოიჭრა.

დასავლეთ საქართველოს ოსმალეთი ყოველმხრივ უტევდა. საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე ოსმალეთმა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია „ჯიქები და სხვა ჩერქეზულ-აფხაზური ტომი“. ამ მხრიდან დაიწყო დასავლეთ საქართველოში ლაშქრობა. ამას გარდა, ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს ტრაპიზონის მხრიდანაც შემოესია. XVI საუკუნიდან ოსმალეთმა ჭანეთი (ლაზეთი) მიიტაცა და დასავლეთ საქართველოს გურიის მხრიდანაც მოადგა. ოსმალეთის აგრესია თანდათან ძლიერდებოდა. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება შეფერხდა. ეკონომიურ შეფერხებას საქართველოს პოლიტიკურად დამლა მოჰყვა. ოსმალთა აგრესიის მძვინვარე ტალღები დასავლეთ საქართველოს წალეკეით ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში ქვეყნის მიგნით გამწვავდა კლასთა ბრძოლა, გახშირდა მეკობრეობა, მკვლელობა. განსაკუთრებით საშიში გახდა ტყეეების საზღვარგარეთ გაყიდვა. ოსმალეთი საქართველოდან ტყეეებით ვაჭრობას ყოველმხრივ უწყობდა ხელს. ქართველი გლეხების საზღვარგარეთ გაყიდვა ქართული ფეოდალური საზოგადოების ფიზიკური არსებობის საკითხს კითხვის ქვეშ აყენებდა.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოში მოიწვეიეს საეკლესიო კრება, რომელმაც „კათალიკოზთა სამართალი“ შეიმუშავა. „კათალიკოზთა სამართალი“ ეხება საეკლესიო და საერო სამართლის საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალთა აგრესიის გაძლიერების ვითარებაში განსაკუთრებით სამიში მოიქცა საქართველოსთვის ტყეეების ყიდვა-გაყიდვა. ძეგლიც სწორედ ამ დანაშაულის განმარტებითა და სანქციით იწყება.

„რამანც კაცმან კაცი დაყიღოს, ანუ დიდმან , ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩუნებულ იყოს და განქდილი“.

პირველ ყოელისა, ყურადღებას იქცევს ტყვის „გაყიდვა“ და არა „ყიდვა-გაყიდვა“. ცხადია, იგულისხმება საზღვარგარეთ – ოსმალეთში ან სპარსეთში, ან კაეკასიის მთებში გაყიდვა. მყიდველს, ამ შემთხვევაში, ოსმალებს ან სპარსელებს და სხვა, ეერ დასჯიდნენ, მათზე ხელი ქართველ ხელისუფალთ არ მიუწვდებოდათ, მაგრამ თუ ქართველი იყიდდა ტყვეს საზღვარგარეთ, და საქრთველოში მოიყვანდა, ეს აკრძალული არ იქნებოდა, რადგან არაქრისტიანს ქრისტიანულ ქვეყანაში მოიყვანდა და, ალბათ გააქრისტიანებდნენ.

ამგვარად, დამნაშაეედ ითელება ტყვის გამყიდველი საქართველოდან საზღვარგარეთ.

ძეგლით კაცის გაყიდეა ყეელას ეკრძალებოდა „დიდი“ იქნება თუ „მეორე – თაეადი , აზნაური და გლეხი. XVI საუკუნეში გაბატონებული კლასის მაღალი ფენა თაეადია, აზნაური გაბატონებულ კლასს ეკუთენის, მაგრამ თაეადზე დაბლა დგას, ხოლო გლეხი მშრომელი მასების წარმომადგენელია. გლეხობა ამ პერიოდში დიდი ხანია უკეე ყმადქცეულია. ადამიანის გაყიდეისთვის დაწესებულია მეჩვენება და დავმობა-გაძეევება, მაგრამ ამით არ თაედება ამ დანაშაულის შესახებ საუბარი. საჭიროა საქმის მართებული გამოძიება („მართლით განკითხეითა და გამოძიებით“); თუ აღმოჩნდება და დადასტურდება, რომ ბრალდებული დამნაშაეეა, მაშინ ის უნდა დაისაჯოს. თუ დამნაშაეე მის მიერ გაყიდულს დაიხსნის და მოიყვანს თაეის ადგილზე, მაშინ ეალდებულია საურავი, ანუ ჯარიმა გადაუხადოს იმ სამწყსოს, ეპისკოპოსს, საღაც ტყვე ცხოვრობდა, აგრეთვე საურავი ტყეის ბაგონს. თუ გაყიდულ ტყეეს დამნაშაეე უკან ეერ დააბრუნებდა, მაშინ მას ჩამოხრჩობა არ ასცდებოდა, ხოლო თუ ვინმემ ქრთამი აიღო და „არ ჩამოახრჩო“, შეჩეენებული და დაწყეელილი იქნება.

საყურადღებოა, რომ ქრთამი აქ აღნიშნულია, როგორც დანამაული.

ამ მუხლით მაშინეე უხდის საურავს ეპისკოპოსსა და გაყიდულის ბატონს. იმიტომ რომ გაყიდეა ხდება ყმის, ე.ი. ადამიანის, რომელსაც ბატონი პყავდა. შეიძლება, როგორც გამონაკლისი, საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენელიც გაეყიდათ. მაგრამ ეს იმდენად იშეიათი იქნებოდა, რომ ამის აღნიშენა საჭიროდ არ უცენიათ.

ეკლესიისა და ხატის გაძარცეა, „კათალიკოზთა სამართლის“ მიხედვით, მკრეხელობაა და დამნაშაეე უნდა ჩამოახრჩონ. ქართულ ტექსტში წერია: ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განძარცოს უკანონოდ, ძელსა მიეცეს“. რუსულ ენაზე გამოცემულ ძეგლში კი ასეთი თარგმანია: „– кто церковь обокрадет и оброза ограбит тот без суда будет повешен“. როცა ერთმანეთს ეადარებთ ქართულსა და რუსულ ტექსტებს, ყურადღებას იქცევს ის, რომ ქართული „უკანონოდ“ რუსულად გამოცემულია „без суда“, რაც არ მიეკარჩნია მართებულად. სიტყეა „უკანონო“ წინა მუხლშიც არის ნახმარი და „უსამართლოს“ ნიშნავს. აქაც ასე უნდა გაეიგოთ. შემდეეი მუხლი (მე-3) ეხება ეკლესიიდან საქონლის „გამოტანას“, ე.ი. ეკლესიის საქონლის, ნიეთის მითვისებას. წიმა (მეორე) მუხლში, როგორც ენახეთ, აღნიშნულია ეკლესიის „გატეხა“ და ხატის „გაძარცეა“, აქ კი წერია: „ვინცა ეკლესიას შიგან შეეიდეს და საქონელი გამოიტანოს“. მხედეელობაშია „გატეხის“ და „გაძარცეის“ გარეშე ეკლესიაში შესელა და იქიდან საქონლის გამოტანა. როცა ეკლესია ღიაა, იქ შესელა ყეელას შეუძლია, შიგ ყოეელთეის არის ეკლესიის მსახური. რომელიც ეკლესიის საქონელს წასაღებად არ გასცემს. მამასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, ეკლესიიდან საქონლის გამოგანა ხდება ფარულად, ქურდულად. მესამე მუხლის მიხედეით, დამნაშაეეს მიესჯება საქონლის ანაზღაურება და დაშაეება, ანუ გახეიბრება, რომელიმე ასოს მოკეეთა.

მეოთხე მუხლის მიხედეით, ძმისა და მამის მკელელს უნდა მიესაჯოს ხელის მოკეეთა და გაძეეება. ხელის მოკეეთა ტალიონის პრინციპის გამოძახილია, რამდენადაც მკელელობა ხელის საშუალებით ხდება, ამიტომ სწორედ ხელის მოკეეთაა გათვალისწინებული. ამგვარეე პრინციპია ასახული ვახტანგის სამართლის წიგნში, რომელიც მეფის მოღალატეს (ვინც „მტერს მიუეიდეს“) ფეხის მოკეეთით ემუქრება (მუხ220)

მეხუთე მუხლის მიხედეით, ვინც „უბრალოდ“, ე.ი. დანამაულის გარეშე მოკლაეს ვინმეს, ან მგზავრს, ან მცეელს – დაისჯება, მაგრამ სასჯელის სახე დასახელებული არ არის. ამასთანავე, ეს მკელელობა თითქოს „ქურდობით“ ხდება, ე.ი. მიპარვით.

მეექვსე მუხლით, ქურდი უნდა დაისაჯოს ძეელი „წესის“ მიხედვით, მაგრამ ამ წესის შინაარსი ახსნილი არ არის.

პირეელ ყოელისა, ქურდობას ქართული საკანონმდებლო ძეგლები (ვახტანგის სამართლის წიგნი, „დასტურლამალი“ და სხვ.) განასხვაეებდნენ მისი ჩადენის ადგილის მიხედვით: ქეყნის შიგნით, ქეყნის გარეთ, ურღომი ჩადენილი დანამაული და სხვ. ქურდობისათეის სასჯელის სხვადასხვა სახე იყო დაწესებული: ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი, ხუთმაგი და შეიდმაგი გადასახადი.

მე-7 მუხლიდან დაწყებული მე-16 მუხლამდე, ე.ი. ცხრა მუხლი, ეკლესიის მსახურთა მოეალეობას, ამ მოეალეობის შეუსრულებლობასა და სხეა საკითხებს ეხება.

ეპისკოპოსი თუ 20 დღეზე მეტი ხნის განმაელობაში თაეის ეკლესიაში არ იმყოფება, ისე რომ მეფეს ან კათალიკოსს არ გაუგზანეია ან არ არის თაეის სამწყსოს დასათეალეერებლად, ან არ ყოფილა აეად, ანდა სისტემატურად ქორეპისკოპოსს არ აეგზაენის თაეის სამწყსოში სხვადასხეა საკითხის მოსაგვარებლად, არ იცავს ეკლესიას, მის ქონებას, დიდი სჯულისკანონის წინააღმდეგ ნებას რთავს „უხეედრო“ (ნათესავთა)ქორწინებაზე, ასეთი ეპისკოპოსი დაიწყეელოს და ექსორია ქმნილ იყოს თაეისი საყდრისაგან (მე-7 მუხლი).

ეპისკოპოსმა ღირსეული დიაკონი და მღვდელი უნდა აკურთხოს. სანამ აკურთხებდეს, მანამ უნდა გამოსცადოს (მუხ.8). ეპისკოპოსი არ უნდა ჩაერიოს სხვა ეპისკოპოსის სამწყსოს საქმიანობაში (მუხ.9), წინააღმდეგ შემთხვევაში შეჩვენებული იქნება.

მღვდელი თუ ერისკაცის ხელით ვინმეს ბიარებას გაუწევანის, ის მღვდლობიდან უნდა გადააყენონ (მუხ.10), თუ ეპისკოპოსმა ასეთი მღვდელი არ დასჯა, ის ეპისკოპოსი უნდა დაიწყვეტოს (მუხ.11).

ქორეპისკოპოსი ვალდებულია დადიოდეს საეპისკოპოსო და ამოწმებდეს სარწმუნოებრივი წესების შესრულებას: ბარხვის დაცვას, უქმე დღეების შენახვას, ნათესაობას და სხვ. (მუხ12).

არც თავადს, არც ამბაროსა და არც გლეხს არა აქვთ უფლება წინააღუდგნენ ეპისკოპოსსა და ქორეპისკოპოსს და ხელი მეუშაღონ წინა მუხლში აღნიშნულ საქმიანობაში (მუხ13). ასეთი წინააღმდეგობა „შეუმამ მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს“ (მუხ.14), ე.ი. ჩაითვალოს მეფის წინააღმდეგ ჩადენილ ურჩობად და დანაშაულად.

ეპისკოპოსი სარწმუნოებრივ საკითხებში თუ წინააღუდგება კათალიკოსს და არ შეისმენს მის მთაწონებას, ეს საქმე კარგად გამოიძიოს და თუ ეპისკოპოსის დანაშაული კათალიკოსის მიმართ დამტკიცდება, ასეთი ეპისკოპოსი მეფის მიერ ექსორია ქმნილ უნდა იყოს (მუხ.15).

მეფის მოღალატეს, თუ დანაშაული „მართლით განკითხვით და გამოწულილვითა“ დაუმტკიცდება, სიკვდილით დაისჯება (მუხ16).

კათალიკოსისა და ეპისკოპოსის გინებისათვის დამნაშავე, ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ეს კათვალისწინებულია დიდი სჯულისკანონში (მუხ17).

ეპისკოპოსმა უღირსი მღვდელი ან დიაკონი თუ აკურთხა, ისე რომ იცოდა მისი უღირსობა, მაგრამ ქრთამი აიღო, მისთვის უნდა შეჩვენდეს, როგორც სვიმონ მოგუი. ამასთანავე, ეპისკოპოსი, მოძღვარი და წინამძღვარი „ქრთამით ხუ დაიდგინების“, „სჯულის კანონი“ წყვეტილს, როგორც მაკურთხებელს, ისე კურთხეულს (მუხ.18)

პირველ ყოვლისა. ჩვენს ყურადღებას იქცევს ბრალის საკითხი: ეპისკოპოსმა უნდა „იცოდეს“, რომ მღვდელი უღირსია, ე.ი.ეპისკოპოსს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი მოქმედება დანაშაულებრივია; დამნაშავე ეპისკოპოსი დანაშაულს ჩადის ანგარებით, ქრთამით.

„კათალიკოზთა სამართალში“ ჩამოთვლილი დანაშაულის სახეები მძიმეა, მაგრამ ძველის მიხედვით, განსაკუთრებით მძიმეა ტყვის გაყიდვა და ეკლესიის გაძარცვა, ამიტომაც სასამართლოს ევალება მკაცრი იყოს ასეთ დამნაშავეთა მიმართ. ძველი წყევლა-კრულვით ემუქრებამას, ვინც ამ საქმეს მართებულად არ გამოიკვლევს, ვინც „მართალი მრუდად გამოიკულიოს და მრუდი განამართლოს“ (მუხ19).

„კათალიკოზთა სამართალი“ შეჩვენებით ემუქრება აგრეთვე იმას, ვინც ეკლესიასა და მონასტერს ქონებას წაართმევს (მუხ20). ჩამოთვლილი ეს ქონება: მამული, სოფელი, ეენახი, მიწა და აგარა.

„ვნება სასჯულოს“განხილვისას აღვნიშნეთ, რომ „მამული“ ყანასთან არის დაპირისპირებული; ყანაც შეიძლება შედიოდეს მამულში, აგრეთვე სოფელი, ვენახი, მიწა და აგარა, ანუ აგარაკი. „მიწა“ ამ შემთხვევაში „მიწა-ადგილის“ მნიშვნელობით არის ნახმარი.

აქ ჩამოთვლილი ცალკეული ერთეულები დაწერილებით უნდა იქნეს შესწავლილი სხვა წყაროების მონაცემებთან დაკავშირებით. ძველის მიხედვით,მამული, სოფელი, ვენახი, მიწა და „აგარაკი“ ფეოდალური საკუთრების ცალკეული სახეებია.

მომდევნო მუხლში (მუხ21-ე) დასახელებულია: სახლი, მამული და აგარაკი. სახლი ოჯახს ნიშნავს, მამული – უძრავ საკუთრებას, ხოლო აგარაკი სახნავ-სათესი ადგილი უნდა იყოს.

ძველის 21-ე მუხლი ლოცვა-კურთხევას უგმაინის იმას, ვინც დაიცავს და შეასრულებს „კათალიკოზთა სამართლის“ მუხლებს, ხოლო წყევლა-კრულვით ემუქრება ამ სამართლის მოწინააღმდეგეთ. ე სარის სიტყვის ბოლო, რომელშიაც შედის: წყევლა-კრულვა სიტყვის დამრღვევთა, ლოცვა-კურთხევა სიტყვის დამამტკიცებელთა, ხელრთვა, თარიღი და სხვა.

ხელრთვამდე კი ჩასმულია ცალკე მუხლი (მუხ22), რომელშიც წერია: თავადი, აზნაური ან გლეხი, რომელიც რბალს შეირთავს, შეჩვენებულია და ამასთანავე „აცილა და დედაკაციც გაღმა-გამოღმა დაიკირონ, და მკირავი ჩვენგან დალოცვილ და კურთხეულნი იყონ“.

სასჯელის ასეთი სახე იშვიათად გვხვდება. როგორც ჩანს, ამ სახის დანამაული გავრცელებული ყოფილა, რომ „კათალიკოზთა სამართალში“ შეუგანიათ. გაუგებარია, რომ სხვა ნათესავე არაფერია აღნიშნული. ამ მუხლს მოსდევს ხელრთვა.

თაქმი წერია აფხაზეთის კათალიკოსი, ამას მოსდევს საეკლესიო იერარქები შემდეგი თანმიმდევრობით: ქუთაისელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, ღრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმინდელი და ჩიმელი. მაგრამ ძველი ამით არ მთავრდება, ხელრთვის შემდეგ მოცემულია ცალკე მუხლი: „უბრალოდ“ ცოლის დამგდებელი შეჩვენებულიც იყოს და ამასთანავე „სიკუდილითა განიაგეთოს“. ეს მუხლი შემდეგ უნდა იყოს დამატებული, ვის მიერ ან რისთვის არის მიმატებული, ეს არ ჩანს. ცოლის გაშვებისათვის სიკვდილით დასჯა გაუმართლებელია და ასეთი რამ უცნობია ქართული სამარგლის სხვა წყაროებისათვის“.

„კათალიკოზთა სამართალი“ მნიშვნელოვანი წყაროა ქართული სამართლის ისტორიისათვის.

ამ ძეგლს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ნ.ურბნელმა. ძეგლი პირველად გამოსცა ს. კაკაბაძემ. ხოლო მეორედ ი. დოლიძემ.

ლექცია IV

ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართალი როგორც ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინა

გიორგი დავითაშვილი

ქართული ჩვეულებითი სამართალი, როგორც დამოუკიდებლად არსებული სასწავლო დისციპლინა, ცხადია, გულისხმობს იმას, რომ დაზუსტდეს მისი შესწავლის ობიექტი, მეთოდოლოგია და სისტემა.

§1. ქართული ჩვეულებითი სამართლის საგანი, მეთოდი და სისტემა.

ქართული ჩვეულებითი სამართლის, როგორც სასწავლო დისციპლინის შესწავლის საგანი, ობიექტი არის ქართული ჩვეულებითი სამართლის ცალკეული ინსტიტუტები, მათი წარმოშობა და განვითარება, მათი ურთიერთმიმართება ქართული სამართლის ძეგლებში გაფანტულ ინსტიტუტებთან. ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტებს აღნიშნული სასწავლო დისციპლინა განიხილავს იმ სახით, რა სახითაც ისინი ჩამოყალიბდნენ და არსებობდნენ XIX-XX საუკუნეებში, სწორედ ამ პერიოდის მასალების მიხედვით.

ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტები განხილულია საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით. ცხადია, აქცენტი გაკეთებულია მთის რეგიონებზე, განსაკუთრებით კი, სვანეთსა და ხევსურეთზე, სადაც ყველაზე სრულყოფილი სახით ფიქსირდება განსახილველი ინსტიტუტები. რაც შეეხება ბარის რეგიონებს – სახელმწიფოებრივი სტრუქტურების და სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმების მიერ ჩვეულებითი სამართლის ნორმების შეზღუდვა აქ საკმაოდ ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მთის რეგიონებში. ჩვეულებით სამართალს ბარში დამხმარე როლი ჰქონდა. სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ბატონობის პირობებში. თუმცა ჩვეულებითი სამართლის გარკვეული ინსტიტუტები საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში აქაც ფიქსირდება. სვანეთსა და ხევსურეთში კი ჩვეულებით სამართალს ეკავა გაბატონებული მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში მთის სხვა რეგიონებშიც (თუშეთი, ხევი, ფშავი და სხვა) საკმაოდ მცირდება ჩვეულებით სამართლის როლი, თუმცა იგი დაუფლებას არ მისცემია და ამ რეგიონებშიც არის დაფიქსირებული ჩვეულებითი სამართლის საკმაოდ საინტერესო ინსტიტუტები. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქართული ჩვეულებითი სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა ძირითადად სვანურ და ხევსურულ მასალებზეა აგებული და შევსებულია მთისა და ბარის სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მონაცემებით. სასწავლო დისციპლინა მიზნად ისახავს, ზოგადად წარმოაჩინოს ქართული ჩვეულებითი სამართლის ძირითადი ინსტიტუტები XIX-XX საუკუნეების მასალების მიხედვით. თუმცა ცხადია, რომ XIX საუკუნეში და თუნდაც XX-ში დაფიქსირებული ჩვეულებით-სამართლებრივი ინსტიტუტი ბევრად უფრო ადრეა წარმოქმნილი და ამ პერიოდის ინფორმაცია უფრო ადრეულ პერიოდში მოქმედ ქართულ ჩვეულებით სამართალზე გვიქმნის წარმოდგენას.

რა თქმა უნდა, მეოცე საუკუნე და მეცხრამეტეც არ არის ჩვეულებითი სამართლის ბატონობის ეპოქა. რუსულმა მმართველობამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ძალზედ შეამცირა მისი მოქმედების არეალი. მას გამოეცალა სოციალურ-ეკონომიკური და სარწმუნოებრივი საფუძველი. ურბანიზაციამ, სამეურნეო ურთიერთობების ინტენსიობის ბრდამ თავისი საქმე გააკეთა, თუმცა მხოლოდ მაგერიალური ფაქტორები არ განაპირობებენ სამართლებრივი ინსტიტუტების ყოფნა-არყოფნის საკითხს. ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტები მაინც შემორჩა ხალხის ცნობიერებას. მათი შესწავლა ძალზედ წაადგება ქართული სამართლებრივი კულტურის ჩარმოჩენას. სხვებთან შედარებით განკერძოებული ბალსზემო სვანეთი და ხევსურეთი ამის კარგ საშუალებას იძლევა.

ქართულ ჩვეულებით სამართალს მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ სასწავლო დისციპლინასთან, როგორიცაა „ქართული სამართლის ისტორია“. ჩვეულებითი სამართალი ქართული სამართლის ძეგლების ძირითადი წყაროა (ეს სათანადოდაა დასაბუთებული სამეცნიერო ლიტერატურაში). ქართული სამართლის ძეგლების და საერთოდ „ქართული სამართლის ისტორიის“ ყოველმხრივი და ამომწურავი შესწავლა შეუძლებელია ჩვეულებითი სამართლის შესწავლის გარეშე. კანონმდებელი მეფეები ხომ ძირითადად სამართლებრივი ჩვეულებების (ჩვეულებითი სამართლის ნორმების) სანქციონირებას ახდენდნენ. ქართული სამართლის ძეგლებში შესული თითქმის ყველა ინსტიტუტი ჩვეულებითი სამართლის პირმშოა. მათი წარმომაელობის და განვითარების შესწავლა უნდა მოხდეს. თანაც აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართული სამართლის ძეგლებში არ შესულა ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი ყველა ინსტიტუტი (რაც შეუძლებელი იყო), ამიტომ ჩვეულებითი სამართალი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ძველი

ქართული სამართლის ისეთი ინსტიტუტებიც, რომლებსაც ქართულ წერილობით, იურიდიულ აქტებში ვერ ვხედებით, ასევე იურიდიული ხასიათის წერილობით აქტებში გაფრთხილებული ნაკლებადასაგები ინსტიტუტების განმარტებაც უფრო ადვილდება ჩვეულებითი სამართლის მოშველიებით, და საერთოდ, თითოეული ინსტიტუტის სიღრმისეული ანალიზი სწორედ ჩვეულებითი სამართლის მეშვეობითაა შესაძლებელი.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა იმით, რომ უძველესი ჩვეულებით-სამართლებრივი ინსტიტუტების დაფიქსირება უკანასკნელ ხანებამდე საკმაოდ სრულყოფილი სახით იყო შესაძლებელი და გარკვეულწილად დღესაც შესაძლებელია. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული სამართლის დაყოფა ჩვეულებით სამართლად და „დაწერილ სამართლად“ (ე.ი იმ სამართლად, რომელიც ქართული სამართლის ძეგლებსა და სხვა იურიდიული ხასიათის დოკუმენტებშია გაფრთხილებული), ძალზე პირობითია. ისეთი დისციპლინა, როგორიცაა „ქართული სამართლის ისტორია“, მხოლოდ წერილობით აქტებში გამოხატულ ძველ ქართულ სამართალს შეისწავლის. ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლას კი ნაკლები ყურადღება ექცევა. ჩვენი აზრით, ძველი ქართული სამართლის ეს ორივე სეგმენტი ერთიანი მოვლენაა, ერთიანი სამართლებრივი სამყაროა, რომლის ხელოვნური გათიშვა არ უნდა ხდებოდეს. ძველი ქართული სამართლებრივი ინსტიტუტების შესწავლა უნდა მოხდეს ჩვეულებითი სამართლის მონაცემების და წერილობითი აქტების მონაცემების მიხედვით, ერთიან ასპექტში. დღეს, ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტებს დამოუკიდებლად განვიხილავთ, რადგანაც იგი ნაკლებად შესწავლილია და საერთოდ, მის შესახებ საუბრისა და მსჯელობის შესაძლებლობა ცალკეული ენთუზიასტი მეცნიერების მეცადინეობის შედეგია. როდესაც ქართული ჩვეულებითი სამართალი მაღალ დონეზეა, შეძლებისდაგვარად სრულყოფილად იქნება შესწავლილი, ამის შემდეგ ძველი ქართული სამართლის ინსტიტუტების შესწავლა, როგორც აღვნიშნეთ, ერთიანად უნდა მოხდეს და ქართული სამართლის ისტორია ხელოვნურად აღარ იქნება დაყოფილი ჩვეულებით სამართლად და დაწერილ სამართლად.

ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტების შესწავლისას გამოიყენება ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით ამა თუ იმ ინსტიტუტის განხილვისას მოხდება მათი საერთო მახასიათებლების გამოკვეთა და ქართული სამართლის ძეგლების შესაბამის ინსტიტუტებთან შედარება, რაც საშუალებას მოგვცემს მთელი სისრულით მიმოვიხილოთ ეს ინსტიტუტი (თუმცა შესაძლოა ქართული სამართლის ძეგლებში ანალოგიური ინსტიტუტი არც იყოს). გამოიყენება ასევე დიალექტიკური მეთოდი. თუ ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას იძლევა, ესა თუ ის ინსტიტუტი განისილება დინამიკაში, თუ როგორ წარმოიმობა და ვითარდება იგი, რა ცვლილებები განიცადა მან XIX საუკუნიდან XX საუკუნის ბოლომდე.

ცხადია, ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტების შესწავლა ხდება სისტემური მიდგომით. ქართული ჩვეულებითი სამართლის, როგორც სასწავლო დისციპლინის სისტემა ასეთია:

1) სახალხო თვითმმართველობა საქართველოში. თვითმმართველობის ინსტიტუტის შესწავლა ქართულ ჩვეულებით სამართალში ხდება საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით. კერძოდ, განხილულია სახალხო თვითმმართველობა სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში და სხვა კუთხეებში (აჭარა, მთიულეთი, თუშეთი, ხევი, ქართლ-კახეთი, სამეგრელო).

2) დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში. თავდაპირველად მოცემულია დანაშაულის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება, დანაშაულის არსი ქართულ ჩვეულებით სამართალში, დანაშაულთა კლასიფიკაცია, მურისძიების ინსტიტუტი. შემდეგ ცალ-ცალკე შეისწავლება დანაშაულის ინსტიტუტი ფშავში, ხევსურეთში, სვანეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში, ასევე სასჯელები ქართულ ჩვეულებით სამართალში.

3) სანივთო სამართალი ქართულ ჩვეულებით სამართალში.

4) ვალდებულებითი სამართალი ქართულ ჩვეულებით სამართალში. აქ განიხილება ვალდებულებათა ზოგადი დახასიათება, მათი წარმოშობისა და შეწყვეტის საფუძვლები, ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის საშუალებანი, ხელშეკრულებათა ცალკეული სახეები.

5) საქორწინო-საოჯახო სამართალი ქართულ ჩვეულებით სამართალში.

6) სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში. აქ განხილულია სასამართლო ორგანიზაციასა და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით, სამედიატორო სასამართლო სვანეთსა და ხევსურეთში.

7) სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში. აქ განხილულია სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა, ეჭვმიტანილის (მოპასუხის) ფიცი, ფიცის მნიშვნელობა, თანამოფიცრობის ინსტიტუტი, ფიცის ცალკეული სახეები, აღიარება, როგორც მტკიცებულება, ნივთიერი მტკიცებულებები, ექიმის ჩვენება, ცოდვის მოკიდება და მტკიცებულებანი, რომლებიც “მიცვალებულისადმი შეწირეის” ელემენტს შეიცავენ, ორდალიები, მოწმის ჩვენება.

§3. ჩეულებითი სამართლის ცნება, წარმოშობა და დამახასიათებელი ნიშნები

"ჩეულებითი სამართალი" ჩვენში კარგად ცნობილი და დამკვიდრებული ტერმინია. იგიეე მნიშვნელობით ხშირად ხმარობენ "ადათობრივ სამართალსაც". ცნობილია, რომ "ადათი" არაბული წარმოშობის ტერმინია და ხალხურ ჩეულებას აღნიშნავს. ეს ტერმინი მუსლიმ მოსახლეობაში თავისი შინაარსით ჩეულებითი სამართლის აღმნიშვნელია. მაგალითად, ჩრდილოკავკასიელ მთიელებში "ადათი" ადგილობრივ ჩეულებით სამართლს ნიშნავს. "ჩეულებითი სამართალი" სხვადასხვა ტერმინით იხსენიება ქართული სამართლის ძეგლებში. კერძოდ, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში მას ეწოდება: "ქეეყნის წესი", "ალაგისა და გვარის წესი" (მუხ. 43, 49), ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში ჩეულებით სამართალს "ალაგის წესი" აქვია (მუხ. 372), რომელიც აქ უპირისპირდება დაწერილ სამართალს, შესაბამისი მუხლით, "ალაგის წესი", ანუ ჩეულებითი სამართალი გამოიყენება მაშინ, როდესაც "საწერილი სამართალი", ანუ კანონმდებლობა, არ არის. ჩეულებითი სამართლის აღსანიშნავად ასევე ეხვდებით ტერმინს "სჯული", "რჯული". მაგალითად, ცნობილია, რომ საქართველოს ჩეულებითი სამართლის პირველი კრებული, რომელიც შედგენილია XIX საუკუნის დასაწყისში და ჩეულებითი სამართლის ნორმების ჩაწერის პირველ ცდას წარმოადგენს, იწოდება "საქართველოს ძველთაგან და ჩეულებათად ქართველ მეფეთა დროთა შემორებული Jსჯული" ანუ "საქართველოს ჩეულებითი სჯული". ტერმინი "სჯული", "რჯული", "მჯული" საქართველოში სამართლის მნიშვნელობით უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. იე. ჯაველიშვილი სამართლის მნიშვნელობით ამ ტერმინის არსებობას აღასტურებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, გიორგი მერჩულეს "ქრისტოლ ხანძთელის ცხოვრებაში", რუის-ურბნისის საეკლესიო კრების "ძეგლისწერაში". მისი განმარტებით ეს სიტყვა მშვინ "სჯა"-სგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილების მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საინტერესოა, რომ ხევსურეთში დღესაც ხევსურულ სამართალს (აღგილობრივი ჩეულებითი სამართლის ნორმების ერთობლიობას) "რჯულს" უწოდებენ.

როგორც დაეინახეთ, ილია ჭავჭავაძე ჩეულებით სამართალს უწოდებს: "წესს", "თვითრჯულს", "მამა-პაპათა აღიარებულ სიმართლეს", ასევე "სახალხო სამართალს", ტერმინს "ხალხური სამართალი" ჩეულებითი სამართლის მნიშვნელობით არაერთი ქართველი მკლევარი იყენებს. დ. ჯალაბაძე მიიჩნევს, რომ ეს ტერმინი უფრო მუსაგად გამოხატავს "ჩეულებითი" ("ადათობრივი") სამართალს, სამართალს ამ უძველესი წყაროს არსსა და ხალხურ წარმომაელობას და მის დამკვიდრებას თელს მიმანშეწონილად. ეს მოსაზრება საეჭვით მისაღებად მიგვაჩნია, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩეულებითი სამართალი სახალხო მართლმეგებაზეა დაფუძნებული, თუმცა ამჯერად, რაკი სასჯაელო დისციპლინასთან გეაქვს საქმე, ჩვენ უფრო აპრობირებული და დამკვიდრებული ტერმინით ესარგებლობით.

ჩეულებითი სამართლის ცნებასთან დაკავშირებით განსხვაეებული მოსაზრებები არსებობს. ჩვენ აქ არ ეაპირებთ ამ საკითხის ღრმა თეორიულ კვლეევას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩეულებით სამართალზე საუბრისას მასში არ ვდებთ იმ მნიშვნელობას, რაც საბჭოთა იურისპრუდენციაში იყო დამკვიდრებული. კერძოდ, მიჩნეული იყო, რომ ჩეულებითი სამართალი (როგორც სამართალი საერთოდ) წარმოიქმნება მხოლოდ სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ და წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ჩეულებების ერთობლიობას, ხოლო ჩეულება სახელმწიფოს სანქციონირების გარეშე ყოველგვარ იურიდიულ ძალასაა მოკლებული. ჩვენ კი ამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ ჩეულებითი სამართალი წარმოიქმნება იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ დამკვიდრებული არ არის, ამიგომ მისი ავტორიტეტი, საეალდებულო ძალა, სახელმწიფო ხელისუფლებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ ხალხის მართლმეგებას ეყრდნობა. ჩეულებითი სამართალი წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ყალიბდება ერთგვაროვან შემთხვეევებში ერთი და იმაეე წესების მუდმივი გამოყენების შედეგად. ჩეულებითი სამართლის ნორმები იმდენად არის ზოგადსაეალებულო ქცეების წესები, რამდენადაც ასეთი აღიარებულია მოცემული საზოგადოების წევრთა მიერ. ალ. ვაჩეიშეილი მიუთითებს, რომ ჩეულებით სამართალში გამოყოფენ ორ ელემენტს: 1. გარეგანს, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ეს თუ ის ნორმა ხორციელდება ერთგვაროვნად და ხანგრძლიეად და 2. შინაგანს, ე.ი. იმის შეგნებას, რომ გამოსაყენებელი ქცეების წესი ნამდეილად არის სამართალი. მოქმედი პირი დარწმუნებულია, რომ მოქმედების ნორმა მისთეის სავალდებულოა. ჩეულებითი სამართლის ნორმები (ისევე, როგორც სამართლის ნორმები საერთოდ) არეგულირებენ ისეთ ურთიერთობებს, რომლის მონაწილეებსაც ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ უფლებები და მოვალეობები. ჩეულებითი სამართლის ნორმები სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგაც აგრძელებენ მოქმედებას, თუმცა სახელმწიფო ხელისუფლება თანდათანობით ბღუდას მათ და მათი მოქმედების არეალს.

ჩეულებითი სამართლის ყოეელი კონკრეტული ნორმა თავდაპირველად ყალიბდება პრეცედენტის მეთხებით. მათი წარმოშობა ხდებოდა ცალკეულ შემთხვეევასთან დაკავშირებით, რომლის მოსაწესრიგებლად შემუშაეებული გადაწყეეტილება, როგორც პრეცედენტი, შემდგომში გამოიყენებოდა მსგავს, ერთგვაროვან შემთხვეევებში და თანდათანობით ყალიბდებოდა სამართლებრივ ჩეულებად. ყოველივე ეს კარგად ჩანს კავკასიის შესახებ დაფიქსირებულ

მონაცემებში. კერძოდ, XIX საუკუნის ცნობილი რუსი მეცნიერი თ. ლეონტოვიჩი. რომელმაც ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ჩვეულებითი სამართალი (ადათები) შეისწავლა, აღნიშნავს, რომ ჩეჩნებითი სამართლის ნორმების წარმოშობის მთავარ ორგანოდ ძველთაგანვე სამედიატორო სასამართლო ითვლება. თუ სამედიატორო სასამართლო განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად შესაბამის ადათს ვერ მონახავდა, მას უნდა გამოეტანა სრულიად ახალი გადაწყვეტილება, რომელიც ადათების საერთო სულს მიესადაგებოდა. ასეთი საკითხის გადასაწყვეტად, ჩვეულებრივ, იწვევდნენ ჩვეულებითი სამართლის მცოდნე პირებს, მოხუცებს, რომელთაც შესაძლოა ახსოვდათ განსახილველის მსგავსი რაღაც შემთხვევები. ასეთი გზით გამოტანილ გადაწყვეტილებას "მასლაპათი" ეწოდებოდა. "მასლაპათი" განმეორებული ანალოგიურ შემთხვევაში, უერთდება ხალხურ ჩვეულებათა საერთო მასას და საბოლოოდ ადათად იქცევა. თ. ლეონტოვიჩის მიერ მოყვანილ ცნობებში კარგად ჩანს, რომ როდესაც ჩრდილოკავკასიელ მთიელებში მოხდებოდა რაიმე შემთხვევა, რომლის მოწესრიგებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ჩვეულება (ადათი) არ არსებობდა, იწვევდნენ მოხუც, ავტორიტეტულ, ჩვეულებითი სამართლის მცოდნე პირებს. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ("მასლაპათი") მომავალში სამედიატორო სასამართლოთა მიერ გამოიყენებოდა ანალოგიურ შემთხვევებში და თანდათან წესად, ჩვეულებითი სამართლის ნორმად იქცეოდა. აღნიშნული წესით დადგენილი "მასლაპათი" სხვა არაფერია, თუ არა სასამართლო პრეცედენტი, ასე, რომ სამართლებრივი ჩვეულება სწორედ პრეცედენტის საუუძველზე წარმოიშობა. სრულიად სამართლიანად შენიშნავს ე. ტრუბეცკოი, რომ ჩვეულება სხვა არა არის რა, თუ არა მრავალგზის განმეორებული პრეცედენტი.

ჩეჩნებითი სამართლის ნორმები სწორედ პრეცედენტის მეშვეობით რომ იქმნება ქართული ჩეჩნებითი სამართლის მასალებშიც ჩანს. ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა სვანური "ჯარაკი" და ხევსურული "ანდრეზი". გამოჩენილმა ქართველმა ეთნოგრაფმა რ. ხარაძემ ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი: "ხევსურული ანდრეზი – ხალხური სამართლის წყარო". იგი აღნიშნავს, რომ ანდრეზიც და ანდაზაც ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება და წარმოადგენდა მაგალითის სახით შემონახულ წარსულის გადმოცემას, რომლითაც შემდეგ თაობას უნდა ეხელმძღვანელა. . ანდრეზი, როგორც ნიშანი, ბჭეების მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხალხური სამართალწყაროების დროს. "ხევსურული რჯული" (სამართალი) ზოგადად ნორმირებული არ ყოფილა, იგი ყოველთვის ხელმძღვანელობდა წინათ მომხდარი და გადმოცემაში დაცული კონკრეტული შემთხვევით, ე.ი. ანდაზით. მესისხლეთა შერიგების დროს ბჭეები ანდრეზს მოიგონებდნენ და მამა-პაპათა მირებული გადაწყვეტილების მსგავსად, თვითონაც, განსჯიდნენ. ბჭეებისაგან დასკვნის მიღების შემდეგ საგანგებოდ ინიშნებოდნენ ე.წ. ანდრეზის შემნახავი პირები, რომლებიც ვალდებულნი იყუნენ მომხდარი ამბავი შამომავლობისთვის ანდრეზად გადაეცათ. რ. ხარაძის ამ ცნობაში ასევე კარგად ჩანს, რომ სასამართლო, კერძოდ, იგულისხმება სამედიატორო სასამართლო, განაჩენის გამოტანისას ძველად მომხდარ ანალოგიურ შემთხვევას ან შემთხვევებს იხსენებდა და მათზე მირებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ანდრეზის სახით გადაეცემოდა თაობებს, პრეცედენტად იყენებდა. ე.ი. საქართველოშიც კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით ოდესღაც დადგენილი პრეცედენტი მომავალში სამედიატორო სასამართლოების მიერ ანალოგიურ შემთხვევებში გამოიყენებოდა და ზოგადსავალდებულო ქცევის წესად, ჩვეულებითი სამართლის ნორმად იქცეოდა.

ქართული ჩეჩნებითი სამართლის მასალებში ვხვდებით უაღრესად საინტერესო მონაცემებს, რომლებიც ეხება ჩეჩნებითი სამართლის ნორმების შემუშავების და მათში ცვლილებების შეგანის უძველეს წესს, რომელიც რელიგიურ-სარწმუნოებრივი მომენტებითაა გაჯერებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ძირითადად კი ხევსურეთში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალა, რომელშიც ჩანს, თუ როგორ იქმნებოდა ჩეჩნებით-სამართლებრივი ნორმები, თავდაპირველად, უძველეს ხანაში, მაშინ, როდესაც ხევსურებმა თავიანთი პირველი სალოცავები შექმნეს და დაიწყეს ჩეჩნებითი სამართლის ნორმების შემუშავება, ერთმანეთში ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის, ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, ხევსურეთში ჩეჩნებითი სამართლის ნორმების (ხევსური რჯულის) წარმოშობა სალოცავებს (ჯვარ-ხატებს) უკავშირდება. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია გუდანის სალოცავი, რომელიც სამი დიდი გვარის – არაბულების, გოგოჭურებისა და ჭინჭარაულების სალოცავ ცენტრს წარმოადგენდა და მგელ ხევსურეთზე დიდი გავლენა ჰქონდა. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ გუდანში შეიქმნა დიდი სალოცაო, გაჩნდნენ მისი მოსამსახურეები; აქ ხალხმა რელიგიურ ღღესასწაულებზე დაიწყო მოსვლა. მათ აირჩიეს უუროსი ხალხი და უწოდეს "მბჭე-ხევისბერნი", "მბჭე-ხევისებერთ" ხევსურეთში უდიდეს პატივს სცემდნენ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ხახელიანი და დამსახურებული როგორც ხალხის, ისე ჯვაროსნის (ჯვარის მსახურთა) წინაშე, ძალიან კარგი მცოდნე ხევსურეთის წარსულისა. ისინი დასხდებოდნენ და ბჭობდნენ ხევსურეთის საჭირბოროტო საკითხებზე ალ. ოჩიაურის მიხედვით, სწორედ ისინი ჩანან "რჯულის" ანუ ხევსურული ჩეჩნებითი სამართლის ნორმების შემქმნელებად. მათ თანდათანობით, გუდანის ჯვარში შეკრებილებმა, შეიმუშავეს "რჯულის" წესები. გუდანის ჯვარში "რჯულის" საკითხებზე

ბჭობის დროს სხვა თემებიდანაც იწვეოდნენ უფროს კაცებს (თუ გზა იქნებოდა). ისინი ქმნიდნენ ახალ ნორმებს, ან თუ "რჯულში" რომელიმე წესი არ მოსწონდათ დასვამდნენ საკითხს მისი შეცვლის შესახებ. მირებულ გადაწყვეტილებას ზეპირად იმახსოვრებდნენ და გადასცემდნენ ხალხს – გუდანში ეს რჯული დაწესდა და ეს რჯული გაუქმდაო და სხვა. გუდანში შემუშავებული წესი გადაჰქონდათ სხვა სამლოცველო ადგილებში, რათა მთელი ხევსურეთისათვის გამხდარიყო ცნობილი, მაგალითად, ლიქოში, ხახმატში, რომკაში, უკან ხადუში, არხოტში, შატილში, სადაც ასევე მეიქმნა სალოცაველები. აქ ადგილზებე გუდანში დადგენილ "რჯულს" ზოგი რა აკლდებოდა, ზოგი ემატებოდა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა ხევსურული "რჯული" ძირითადად გუდანის ჯვარში შემუშავდა და ყველა მას ემორჩილებოდა.

ალ. ოჩიაურის მასალებში ჩანს, რომ ხევსურეთში არსებობდნენ "ბჭე-ხევისბერნი", რომლებიც უპირველეს ყოვლისა იყვნენ კანონშემოქმედნი და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ ხევსურული სამართლის ახალი ნორმების შექმნასა და არსებულ ნორმათა შეცვლაში. თავის დროზე "რჯული" შემუშავება გუდანში დაწყებულა. ალ. ოჩიაურის მიხედვით, ყველაზე გაცლენიან ცენტრს ხევსურეთში გუდანი წარმოადგენდა. კანონშემოქმედების ცენტრალურ სალოცაოში განხოციელება იმას უნდა მიუთითებდეს, რომ უშენაეს კანონმდებლად თეით ჯვარ-ხატი იგულება, რომლის ავტორიტეტიც სალოცავში სემუსაებული წესების, სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფის გარანტად შეიძლება იყოს აღქმული. ჯვარ-ხატებში შემუშავებული რჯულის, წესების დარღვევა ხომ, საზოგადოების წევრთა რწმენით, ჯვარ-ხატთაგან მოელენილ ღვთაებრივ სანქციას გამოიწვევდა.

ის, რომ ფორმალურად კანონშემოქმედი სალოცავია, ჯვარია და საზოგადოებაც ასეთად აღიქვამს მას, ჩანს ალ. ოჩიაურის და ვ. ბარდაელიძის იმ მასალებში, რომლებიც მიუთითებენ ქადაგის* მონაწილეობაზე კანონშემოქმედების პროცესში. ალ. ოჩიაურის მიხედით, ყველა ჯვარში წელიწად-ღღეს (რელიგიურ ღღესასწაულზე, რომელიც წლის დასაწყისში იყო) შუშაგლებოდა რჯულის საკითხები, რასაც ზოგან ყრილობის ფორმას აძლეენდენ, ზოგან კი ქადაგს სვამდნენ. მაგალითად, ქადაგს სვამდნენ ლიქოში, გუდანში, რომკაში, ხახმაგში, ხოლო ძალიან ძეელად – არხოტს და მაგიდიც, თუმცა შემდეგ არხოტს და მაგიდში აღარ სვამდნენ ქადაგს და მის გარეშე საუბრობდნენ. ცენტრალური სალოცაეი ხევსურეთში იყო გუდანის ჯვარი. წელწად დიდას ქადაგი იქადაგებდა, მათ შორის რჯულში ცელილებების შეგანის თაობაზეც, თუ ამის საჭიროება იყო. წელიწადის შემდეგ კი ხალხი კითხულობდა, თუ რა ითქვა გუდანის ჯვარში ქადაგის ან ბჭე-ხევისბერების მიერ.

ვ. ბარდაელიძის მიხედით კი "...სრულიად ხევსურეთის თემის ხევისბერ-მეენე (მხედეელობაშია ქადაგი – გ.ღ) საღმრთო გუდანის ჯვარის სახელით, მთავარი რჯულისმდებლის როლში გამოდიოდა ხევსურეთის მასშგაბით. მისი ინიციაგიით, საღმრთო გუდანის ჯვარში იკრიბებოდნენ ხალხური სამართლის საუკეთესო მცოდნე პირები – ბჭე-ხევისბერები, რომლებსაც, მეენის ორაკულის საფუძველზე, გადაწყვეტილებანი გამოჰქონდათ ან სრულიად ხევსურეთის რჯულში ცელილებები შეჰქონდათ..."

როგორც ვხედავთ ალ. ოჩიაურისა და ვ. ბარდაველიძის მონაცემების მიხედვით, კარგად ჩანს ქადაგის როლი სამართლებრიეი საკითხების გადაწყვეტაში. უშენაეს კანონმდებლად ხევსურული მასშგაბით, გუდანის ჯვარი გეეელინება, სწორედ იგი აღგენს ხევსურული რჯულის ნორმებს და ცვლილებები შეაქვს რჯულში, ხოლო მის ნებას ქადაგი უცხადებს გუდანის ჯვარში შეკრებილ, ჩვეულებითი სამართლის შესანიშნაად მცოდნე ბჭეებს. ასე რომ, ქადაგის მონაწილეობა კანონშემოქმედებით საქმიანობაში ალ. ოჩიაურისა და ვ. ბარდაველიძის მასალებში ამკარად ჩანს, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ, ხალხის რწმენით, "რჯულის" დამდგენი უშენაესი ღვთაებაა, რადგან ქადაგი სწორედ მის ნებას გამოხგაცს (სამართალშემოქმედების ასეთი წესი, როგორც ჩანს, ხევსურეთში ძეელად, აღრეულ პერიოდში მოქმედებდა).

ღმერთის აღქმა უზენაეს კანონმდებლად უძველეს პერიოდში ქართველთათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო. გამოცენილი ქართველი იურისგი მეცნიერი გ. ნადარეიშვილი მიუთითებს, რომ „ძეელ ქართველთა რელიგიური წარმოდგენების მიხედით, ქეცეის წესს, „რიეს" ღმერთი აძლევდა ხალხს. აქედან გამოჩნდება გამოთქმა „მორიგე ღმერთი", ე.ი. ღმერთი რომელიც ქვეყანას რიგს, ქეცეის წესს უბოძებს და ადამიანებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს". ხევსურეთში „რჯულის" წესების ჩამოყალიბების შესახებ საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ ხევსურეთის რაღაც ანალოგიური, მაგრამ ალბათ უფრო არქაული ელფერის სოციალურ-რელიგიური ინსგიტუგები წინარეკლასობრიეი ეპოქის ქართველთა ტომებშიც უნდა არსებულიყო. როცა ჩნდებოდა აუცილებლობა შეეგანათ ცელილებები ქეცეის წესებში, სათანადო სასულიერო პირი, ქურუმი, ქადაგი და ა.შ. „ღვთაებას უკაეშირდებოდა" და ღმერთის მიერ „ნაკარნახევ" სულიერი თანაცხოერების წესებს, ხალხს აუწყებდა. დახლოებით ასეთი ვითარება იგულისხმება ძეელი აღმოსაელეთის ქვეყნებსა და საბერძნეთში. მაგალითად, სპარგაში ძ.წ. აღ-ის მეორე ათასწლეულის დასასრულს იყენენ სპეციალური მოხელეები – ეფორები, რომელთაც ეეალებოდათ ღვთაების ნაკარნახევი ქეცეის წესები და ნორმები ეუწყებინათ ხალხისათვის. ღვთაებრივი ნების გამოცხადება სასულიერო პირთა, ქურუმთა მეშეობით, უძეელეს ხანაში, საყოეელთაოდ გავრცელებულ მოელენას წარმოადგენდა და მასზე ფართოდ აღარ ვისაუბრებთ, მხოლოდ

აღენიშნათ, რომ ხევსურეთში, ეთნოგრაფიული მასალების მეშეეობით დაფიქსირებული „რჯულის“ (სამართლის) ნორმების დადგენის უძველესი წესი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო თავის დროზე ჩვეულებითი სამართლის ნორმების ჩამოყალიბება.

ალ. ოჩიაურისა და ე. ბარდაველიძის მასალებში კარგად გამოჩნდა ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი პარტიკულარიზმი. კერძოდ ის, რომ ჩვეულებით სამართალს შეუძლია გარკვეული თავისებურება ახასიათებდეს აღგილობრივი სპეციფიკის გათალისწინებით. როგორც დავინახეთ, გუდანის სალოცავიდან სხვა თემებში (ლიქოკში, ხახმატში, რომკაში, უკანხადუში, არხოტში, მატიღში) გადაცემულ რჯულს შესაძლოა გარკვეული კორექცია განეცადა.

ალ. ოჩიაურის მასალებში არის მინიშნება, რომლის მიხედვითაც ბჭეები რჯულის წესების, ახალი სამართლებრივი ნორმების შემუშავებას, ძირითადად მას შემდეგ ახდენდნენ, როდესაც რაღაც კონკრეტულ შემთხვევაში პირველად ექნებოდა აღგილი და არავინ იცოდა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ საქმის, კაზუსის გადაწყვეტა, რადგანაც არანაირი შესაბამისი ნორმა არ არსებობდა. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ ხევსურები არა მარტო მეზობლებს ეცემოდნენ, არამედ ერთმანეთშიც ჰქონდათ ძალმომრეობა. ხდებოდა მკვლელობა, დაჭრა, ქალის მოტაცება, მამულის წართმევა და სხვა. ხევსურებში ერიენენ ჭკვიანი კაცები და ისინი ფიქრობდნენ მტრების შერიგებაზე, მაგრამ მერიგებას სჭირდებოდა შემუშავებული წესი, რაც ჯერ არ იყო სწორედ ამ წესების შემუშავება, კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე იწყეს ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, სალოცავში შეკრებილმა „ბჭე-ხევისბერებმა“. ბჭეები ცხადია იმსჯელებდნენ მომხდარ კაზუსთან დაკავშირებით და გადაწყვეტილებას ირებდნენ არა რაიმე წესის, ნორმათა მიხედვით, არამედ როგორც ალ. ოჩიაური აღნიშნავს, „უწესოდ“, „შედარებით“, თავიანთი საკუთარი შეხედულებისა და ჩვეულებითი სამართლის (ხევსურთა რჯულის) ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით და ეს გადაწყვეტილება გამომდინარე მათი ავტორიტეტიდან, სალოცავებისადმი ხევსურთა პატივისცემიდან, წესად იქცეოდა და მოგვიანებით ხასიათის ქცევის წესის, ხევსურული სამართლის ნორმის სახეს იღებდა. ამრიგად, ბჭეები იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ესა თუ ის კაზუსი და მას, როგორც პრეცედენტს, ეყრდნობოდნენ შემდეგ “რჯულის კაცები” (შედიატორები) ანალოგიურ საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანისას. ეს გადაწყვეტილება “ანდრეზის” სახით გადაეცემოდა შთამომაელობას.

ალ. ოჩიაურის ხევსურულ მასალებში არის ძველი გადმოცემის სახით შემორჩენილი რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ უძველესი დროიდან ხევსურეთში ახალი სამართლებრივი ნორმების დადგენა მას შემდეგ ხდებოდა, რაც ახალ კაზუსს ექნებოდა აღგილი. ამ მასალებით, კონკრეტულ საქმეზე მოწვეული მოსამართლის, აეტორიტეტული პიროვნების გადაწყვეტილება იქცევა პრეცედენტად, რათა მომავალში, ანალოგიურ შემთხვევაში, მოსამართლეები განაჩენის გამოტანისას მას დაეყრდნონ. მაგალითად, ალ. ოჩიაურს მოჰყავს ხევსურული სამართლის კარგად მცოდნის, სოფელ უკანახაღურში მცხოვრები შიშია ქერაულის მონათხრობი (მასალა ჩაწერილია 1945 წელს). მისი თქმით, როდესაც ხევსურეთში პირველად მოხდა ქალის მკვლელობა, კერძოდ, ღიქოკში, ხალხს გადაუწყვეტია მკრების შერიგება, მაგრამ არაეის სცოდნია კაცის თაეისისლი უფრო მეტად უნდა შეუსაბეულიყო თუ ქალის. ეს რომ ეერაეინ შეძლო, თქეეს, რომ ამ საქმეს გაარჩეეს ისეთი ხნიერი კაცი, რომ ეერი ჯერ გათეთერებული ჰქონდეს სიბერით და შემდეგ კი გაყეთილებული. ასეთი კაცი იყო ერთი ქისტი, რომელიც მოიყვანეს. ამ ქისტის უთქეამს: „დიაცი არც მეომარია ადგილისა და გეარის დამცეელი, არც ჭკეაგონითა და ძალ-ღონით შეეუძლია კაცის ოდენი, ამიტომ „დიაცის თაეი კაცისთაეის ნახეერად უნდა შეუსაღესო“ და დიაცის თაესისლით 30 ძროხად შეფასდა, კაცისთაეის ნახეერად. ეს შემთხვეეა საინტერესოა იმით, რომ პირეელად მოხდა ქალის მკვლელობა, და არაეითარი გადასახადი ამისთეის დადგენილი არ იყო. ამ საკითხის გადასაწყეტად მოიყვანეს ხანშიშესული, გამოცდილი კაცი და ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული გადაწყეტილება პრეცედენტურად იქცა და დროთა განმაელობაში სამართლის ნორმად ჩამოყალიბდა. ღღესაც ხევსურეთში მამაკაცის თაესისლი 60 ძროხადაა შეფასებული, ხოლო ქალისა – 30 ძროხად. მას შემდეგ, რაც პირეელად მოხდა ქალის მკვლელობა და დადგინდა შესაბამისი გადასახადი, ქალის ყოეელი შემდგომი მკვლელობის შემთხვეევაში, მკვლელს 30 ძროხა ეკისრება.

ყოეელივე ზემოთ თქმული ხევსურულ რჯულზე, სრულიად შესაძლებელია, საერთოდ, ჩვეულებით სამართალზე განეაერეოთ და ამ მასალების მიხედვით დავადასტუროთ, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმების წარმოქმნა თავდაპირველად პრეცედენტის საფუძველზე ხდებოდა. ამრიგად, ჩვეულებითი სამართლის ნორმები ძირითადად დგინდებოდა საჭიროებისამებრ, განსაზღერული წესით, როდესაც რაღაც ისეთი შემთხვეევა მოხდებოდა, რომელიც ჩვეულებითი სამართლით არ იყო მოწესრიგებული. გუდანში ბჭეების შეკრება, სწორედ, ამის მაგალითია.

ჩეენს მიერ ზემოთ მოგანილი ლეონტოვიჩის მასალებში ყურადღებას იპყრობს ერთი მომენტი. თუ სამედიატორო სასამართლო ეერ გადაწყეტდა სადაეო საქმეს იმის გამო, რომ შესაბამისი ნორმა არ არსებობდა, ღღის წესრიგში დგებოდა სრულიად ახალი გადაწყეტილების მიღება, რომელიც პრეცედენტი გახდებოდა შემდგომში ანალოგიური საქმეების გადასაწყეტად,

ამას კი, რაც ჩვენი აზრით, ლეონგოვიჩთან ჩანს, გააკეთებდნენ არა მოცემულ საქმეზე მხარეების მიერ ჩამოყალიბებული სამედიატორო სასამართლოს წევრი, არამედ ამისათვის სპეციალურად მოწვეული ჩვეულებითი სამართლის მცოდნე პირები, მოხუცები. ასეთიე წესთან უნდა გექონდეს საქმე ხევსურეთშიც. აქაც, თუ კონკრეტულ საქმეზე სამედიატორო სასამართლო ვერ გაიხსენებდა „ანდრეძს“, ე.ი. არანაირი წესი ასეთი საქმის გადასაწყვეტად არ არსებობდა, მაშინ მოცემულ კაზუსთან დაკავშირებით, ახალი გადაწყვეტილება უნდა მიეღებულიყო, რომელიც შემდგომ ანალოგიურ საქმეებზე წესად იქცეოდა. აი, ასეთ შემთხვევაში, ხევსურეთში, როგორც ჩანს, ხდებოდა გამოცდილი, ხნიერი, ჩვეულებითი სამართლის კარგი მცოდნე პირების თავშეყრა სალოცავში, რაც ალ. ოჩიაურის მასალებში ჩანს (თუმცა უფრო გვიანდელ პერიოდში ქადაგის მონაწილეობა აღარ გვხვდება).

ცხადია, როდესც რაღაც შემთხვევას პირველად ექნებოდა ადგილი და შესაბამისი ნორმების არარსებობის გამო, სათანადო წესით (რაზეც ზემოთ გექონდა საუბარი), ამ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იქნებოდა გამოტანილი. იგი ზოგადად ხასიათის ქცევის წესად, სამართლის ნორმად ჩამოყალიბდებოდა იმდენად, რამდენადაც შემდგომში, ანალოგიურ შემთხვევებში მედიატორ- მოსამართლეები ამ გადაწყვეტილებას პრეცედენტად აღიარებდნენ და გადაწყვეტილების გამოტანისას მას დაეყრდნობოდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც მედიატორები საქმეს განიხილავდნენ, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, თუ მათ არ ახსოვდათ, როდის მოხდა პირველად ანალოგიური შემთხვევა (ეს შესაძლოა ძალზე დიდი ხნის წინათაც მომხდარიყო), მასგან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პერიპეტიები, ამიგომ მედიატორი მოსამართლეები იმ ანალოგიურ შემთხვევებს იხსენებდნენ, რომლებიც მათთვის უფრო ახლო პერიოდში იყო მომხდარი და სხვა სამედიატორო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, იმ პრეცედენტს ეყრდნობოდნენ, რომელსაც ან რომელიმე მედიატორთაგანი თვითონ მოესწრო ან გადმოცემით ჰქონდა გაგონილი. ასე, რომ, ხევსურეთში მედიატორ-მოსამართლეთა მიერ განაჩენის გამოტანისას, ძირითად წყაროს მსგავს საქმეზე აღრე გამოტანილი განაჩენი წარმოადგენდა, რომელიც „ანდრეძის“ სახით იყო შემორჩენილი მოსამართლეთა მეხსიერებაში (ანალოგიურ ვითარებას ჩრდილოეთ კავკასიაშიც ეხვდებით). ხევსურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას რომ სამედიატორო სასამართლოს შემადგენლობას განაჩენის გამოტანისას არ დაერღვია ჩვეულებითი ·სამართლის შესაბამისი ნორმა, არ გადაეხვია „რჯულისათვის“, რადგანაც თუ სასამართლო „რჯულის“ დარღვევით გამოიტანდა განაჩენს, ეს სესაძლოა პრეცედენტი გამხდარიყო მომავალში მომხდარ ანალოგიურ შემთხვევებში და სამართლის ნორმად ჩამოყალიბებულიყო სხვა სასამართლოთა მიერ არაერთგზის მასზე დაყრდნობის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით, ალ. ოჩიაურის მასალებში არის მინიშნება, სადაც ვკითხულობთ, რომ მაგალითად, თუ „რჯულს კაცი“ ანუ მედიატორი გადახრას აკეთებს, სხვა „რჯულის კაცი“ ეტყვის მას: „მე მაგ რჯულს არ დავსდებ, ბოლოს ეგ რჯულად დარცების“. ალ. ოჩიაურის განმარტებით, ახლაც შეიძლება ეინმემ გააგაროს უწესო წესი და ის რჩება რჯულად, რადგანაც სხვა შემთხვევაში მედიატორები სწორედ ამ გადაწყვეტილებას უთითებენ; ის საქმე ასე გაირჩაო. ე.ი სამედიატორო სასამართლოს კონკრეტული შემადგენლობა სრულიად შესაძლებელია „რჯულში“ ცელილებების შემგანი გამხდარიყო. ალ. ოჩიაური ამის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად ძალდატანებას ასახელებს, როდესაც მრავალრიცხოვან გვარს თვისი გაჰქონდა შედარებით მცირერიცხოვანთან, როდესაც მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას „რჯულის“ დარღვევით აღწევდა. ამას ეწოდებოდა „ურჯულო რჯული“ და ამას ყველა რჯულის მცოდნე ხევსური ერიდებოდა და როდესაც საქმის „გასარჯულაად“ (გასარჩევად) ისხდნენ, იტყოდნენ: „მე ურჯულო რჯულს აქ ეერ დავდებ და მერე თავის სოფელში ვერ წავიღებო“. როგორც ეხედავთა, გამოცდილი ხევსური მოსამართლეები იმიგომ არიდებდნენ ტკეს „რჯულის“ დარღვევას, რომ იცოდნენ – ეს „ურჯულო რჯულის“ დამკვიდრებას გამოიწვეოდა მათ სოფელშიც და საერთოდ ხევსურეთშიც. ხევსურეთში „რჯული“ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, იგი სხვადახვა კონფლიქტური ურთიერთობის დარეგულირების ძირიგად საფუძველს წარმოადგენდა. ხალხს უდიდესი პატივისცემა ჰქონდა „რჯულის“ მიმართ, „რჯულის მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო„ იტყოდნენ ხევსურები. ამიგომ რჯულის უგულებელყოფას ხევსურეთში, „ურჯულო რჯულის“ დადგენას, შესაძლოა რჯულისადმი ასეთი რწმენა და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი თანასიოერების რაღაც საწყისები შეერყია, ჭკვიან ხევსურებს კი კარგად ესმოდათ ამის დაუშვებლობა.

ჩვეულებითი სამართლის ნორმების შემოქმედი შესაძლოა სახალხო ყრილობაც ყოფილიყო. თ. ლეონგოვიჩი მიუთითებს, რომ ჩრდილო კავკასიელ მთიელებში ჩვეულებითი სამართლის ნორმები სახალხო კრებების „მასლაჰათის“ ფორმითაც ყალიბდებოდა.

ცნობილია, რომ სახალხო კრება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სახალხო თვითმმართველობის ორგანო იყო და მას სხვა ფუნქციებთან ერთად სასამართლო ფუნქციაც ჰქონდა. თ. ლეონგოვიჩის მიხედით გამოდის, რომ როდესაც იგი რაიმე კონკრეტული სახის საქმეზე პირველად მიიღებდა გადაწყვეტილებას, ეს გადაეცემოდა მთამომავლობას და ანალოგიურ საქმეებზე პრეცედენტად იქნებოდა გამოყენებული, რის შედეგადაც ჩვეულებითი სამართლის ნორმად იქცეოდა. არსებობს კონკრეტული ფაქტები, როდესაც სახალხო ყრილობას ცელილებები შეაქვს ჩვეულებითი სამართლის არსებულ ნორმებში. ამ თვალსაზრისით, უაღრესად

საინგერსოა ხევსურეთში, არხოტის თემის სახალხო ყრილობის მიერ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, 1927 წელს, სისხლ-მესისხლეობის წესებში ცვლილებების შეტანა. არხოტის თემში შემავალი სამი სოფლის (ამღის, ჭიმღის, ახიელის) მოსახლეობამ გადაწყვიტა შეემსუბუქებინა სისხლ-მესისხლეობის ძველი წესები, რადგანაც ისინი უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდნენ არა მარტო მკვლელს, არამედ მის ნათესაობასაც. მათ არხოტის თემის სამიე სოფლიდან აირჩიეს ხევსურეთის რჯულისა და მწე-ჩეულებების მცოდნე ხალხი, რათა ემსჯელათ აღნიშნულ საკითხზე, გამოეტანათ დადგენილება და დასამტკიცებლად წარედგინათ ხალხისათვის საერთო ყრილობაზე. მათ სამი დღე და ღამე იმსჯელეს და გამოიტანეს დადგენილება. არხოტის თემის ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ დადგენილებას და იგი მიღებულ იქნა. როგორც ვხედავთ, რჯულში ცვლილებების შეტანის მიზნით სამოგადოების (ამ შემთხვევაში არხოტის თემის) ყრილობა რჯულის მეტად კარგად მცოდნე, ავტორიტეტულ პიროვნებებს ირჩევს და აუალებს მსჯელობის მედეგად გარკვეული დადგენილების გამოტანას. ამ პიროვნებებს, ჩვენი აზრით, ბევრი საერთო აქვთ აღ. ოჩიაურის მასალებში მოხსენიებულ „ბჭე-ხევისბერებთან", რომლებიც ასევე სამოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და ძველი წეს-ჩეულებების უბადლო მცოდნეებად ითვლებოდნენ. როგორც დაეინახეთ, ისინი რჯულმდებლად გვეელინებოდნენ და არსებულ რჯულში ცვლილებებიც შეჰქონდათ (საფიქრებელია, რომ რჯულში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას მათ რაიმე კონკრეტული ფაქტი, ან ფაქტები მიანიშნებდა). მოცემულ შემთხვევაში არხოტის ტემის ყრილობის მიერ არჩეულმა ავტორიტეტულმა პირებმა ფაქტობრივად იგივე ფუნქცია შეასრულეს, რასაც, აღ. ოჩიაურის მასალებით თუ ვიმსჯელებთ, გუდანის ჯვარში შეკრებილი „ბჭე-ხევისბერები" ასრულებდნენ. მხოლოდ მათი დადგენილება თემის ყრილობამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა და მისი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით არხოტის ჯვარში ჩასეა სამანი.

ამრიგად, ჩვეულებითი სამართლის წარმოშობასთან დაკავშირებული ასპექტების განხილვიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმების წარმოშობის უძველესი წესით, დაფიქსირებული აღ. ოჩიაურის ხევსურულ მასალებში, ჩვეულებითი სამართლის ნორმების დადგენის უნიეერსალური წესი უნდა ყოფილიყო. ფაქტობრივად, ჩვეულებითი სამართლის ნორმების დამდგენლებად (რჯულმდებლად) გვეელინებიან საზოგადოების ავტორიტეტული, პატიოსანი, უფროსი ხალხი (ხევსურეთში ბჭეებად წოდებულნი). მაშინ როდესაც, ხევსურული რჯული თავდაპირეელად იქმნებოდა ისინი მოცემული ტერიტორიული ერთეულის (ხეობის, თემის) მთავარ სალოცავში იკრიბებოდნენ და იქ ბჭობდნენ ახალი ნორმების დაწესებისა და უკეე არსებულ ნორმებში ცვლილებების შეტანაზე, ასეეე, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, შესაძლოა ეს განხორციელებულიყო მათთვის ქადაგის მიერ სალოცავის (ჯვარ-ხატის) ნების გამოცხადებით. სამართალში მოქმედების ასეთი წესი დამახასიათებელი იყო იმ საზოგადოებისათვის, რომლებიც უზენაეს კანონმდებლად აღიქვამდნენ ღმერთს, მოცემული ტერიტორიული ერთეულის მთავარ სალოცავს, რომლის ნების განმცხადებელია ქურუმი (აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში - ქადაგი)*.

ავტორიტეტული, რჯულის მცოდნე, უფროსი ხალხის მიერ ჩეულებითი სამართლის ახალი ნორმების დადგენა (უფრო სწორედ არსებულ ნორმებში ცვლილებების შეტანა) ხევსურეთში XX საუკუნემიე ფიქსირდება. ჩეენს მიერ მოყეანილ შემთხვეევაში ამ პიროვნებებს თემის ყრილობა ირჩევს და მათ მიერ მორებულ გადაწყეეტილებას ხმების უმრავლესობით ეს ორგანო ამტკიცებს. ე.ი. სახეზეა საზოგადოების ყრილობის მიერ სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება. აღსანისნაეია, რომ საზოგადოების ყრილობის მიერ ჩეულებითი სამართლის ნორმების დადგენა არა მარტო ხევსურეთში ფიქსირდება, იგი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გუხედება (მაგალითდ, სვანეთში).

დადგენილი ჩეულებით-სამართლებრივი ნორმები ზეპირად გადაეცემოდა მტამომავლობას. დროთა განმავლობაში ხდებოდა მათი შესწორება, დახვეწა, ცვალებადი რეალობისადმი მისადაგება. ჩეულებითი სამართლის ნორმის მეფარდებას ძირითადად ახდენდნენ სამედიატორო სასამართლოები. მედიატორი-მოსამართლეები იხსენებდნენ, თუ როგორი გადაწყეტილება მიიღეს ანალოგიურ საქმეზე მათმა წინამორბედმა მედიატორებმა, ხოლო მათ განაჩენს მსგავს საქმეზე დაეყრდნობოდნენ შემდგომში არჩეული სამედიატორო სასამართლოები.

ახლა მოკლედ განვიხილოთ ჩეულებითი სამართლის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებანი.

ჩეულებითი სამართალი პარტიკულარული ხასიათისაა. ლეონტოვიჩი აღნიშნავს, რომ არა მხოლოდ თითოეულ ტომს, არამედ თითოეულ თემს, აულს ტაეისი განსაკუთრებული ადათები აქვს. გამოცენილი ქართეელი მეცნიერი ისიდორე დოლიძე ასეეე ხაზს უსვამს ჩეულებითი სამართლის პარტიკულარიზმს და წარმოაჩენს მას როგორც დაქსაქსულ-დაქუცმაცებულ სამართლებრივ სისტემას, როდესაც ყოეელ კუთხეს, თემს, სოფელს და ადგილს თავისი ჩეულება აქვს. მისი თქმით, ტყეილად როდი ეწოდება წყაროებში ჩეულებით სამართალს „ალაგისა და გვარის წესი". ე.ი. ადგილობრივი და საგვარეულო ადათი.

ქართულ ჩეულებით სამართალთან დაკავშირებით ეს მოსაზრებანი ძირითადად მართებულია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს თითოეულ სოფელში თუ თემში პრინციპულად განსხვავებული სამართლებრივი ნორმები არსებობდა. ჩეულებითი სამართალი

ხალხის მართლშეგნებაზე, ცნობიერებაზეა დაფუძნებული. ქართველი ერი კი საერთო ცნობიერების, ეთნოფსიქოლოგიის მაგარებელია და ცხადია, რომ ქართული ჩვეულებითი სამართალი სხვადასხვა კუთხეში, თემში, სოფელში საერთო საფუძვლებზე და პრინციპებზეა დამყარებული. მაგალითად, ხევსურეთის სხვადასხვა თემში შესაძლოა, ესა თუ ის სამართლებრივი ინსტიტუტები რაღაც ნიუანსით განსხვაებებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთო კულტურულ, სარწმუნოებრივ, ფსიქოლოგიურ საფუძველზე არიან აღმოცენებული. ამ ინსტიტუტებს საერთო პრინციპები ახასიათებთ და სხვადასხვა თემში მათ საერთო უფრო მეტი აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი. ამიტომ სრულიად შესაძლებელია საუბარი ისეთ ფენომენზე, როგორიცაა ხევსურულის ჩვეულებითი სამართალი, ან თუნდაც სეანური ჩვეულებითი სამართალი, ასევე ქართული ჩვეულებითი სამართალი. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებითი სამართლის ყველა ინსტიტუტში შეიძლება რაღაც საერო მახასიათებლის გამოყოფა, რომელიც ამ ინსტიტუტის არსის განმსაზღვრელია.

აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალს, განსაკუთრებით ქართველ მთიელთასამართლს, უამრავი საერთო აქვს ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალთან. ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველ მთიელთა წარმართულ სარწმუნოებასა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წარმართობას საერთო საფუძველი აქვს. ხოლო ამ საერთო სარწმუნოებრივ საფუძველზე წარმოქმნილი ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტები ერთგვაროვანი ბუნების მაგარებელი არიან.

პარტიკულარიზმის გარდა უნდა აღვნიშნოთ ჩვეულებითი სამართლის ისეთი თვისება, როგორიცაა მისი კონსერვაიულობა. ამასტან დაკავშირებით, ი. დოლიძე აღნიშნავს, რომ წარმოადგენს საუკუნეობრივი ტრადიციით დაცულსა და განმტკიცებულ სამართლის ფორმას. ამასთან, ეს ფორმა უფრო მტკიცე და უცელელია, ვიდრე მოქმედი სამართლის სხვა რომელიმე წყარო.

საუკუნეების მანძილზე ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრებული სამართლებრიეი ჩვეულებები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, ცხადია, კონსერვატიულია. მათი სეცვლა, შესწორება ხალხის ცნობიერებაში რაღაც სეგმენტის მეცელას მოითხოვს და შესაძლოა, მსოფლმხედველობრივ ცვლილებებთანაც კი იყოს დაკავშირებული. ამას კი სესაძლოა რამდენიმე თაობა დასჭირდეს. ხშირად სახელმწიფო ხელისუფლებაც კი უძლურია, ახალი ნორმების დადგენის ან ჩვეულებითი სამართლის ნორმების აკრძალეის მიუხედავად, შეზღუდოს ჩვეულებითი სამართლის ნორმების მოქმედება. ჩვეულებითი სამართლის კონსერვატიულობის მანიშნებელია თუნდაც ის გარემოება რომ იგი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზეც კი აგრძელებს არსებობას. მაგალითად, ხევსურები და სვანები ხშირად დაეუბს ძველი წესით, ჩვეულებითი სამართლის ნორმების მიხედით არჩევენ და სასამართლო მტკიცებულებად ფიცს და ცოდვის მოკიდებას იყინებენ, რომლებიც უძველეი სამართლებრივი ინსტიტუტებია და უძველესი დროიდნ არსებობს.

ჩვეულებით სამართალზე ძალზე დიდი და არსებითია რელიგიურ-სარწმუნოებრიეი ფაქტორების გაელენა. სამოგადოებაში, რომელშიც ჩვეულებითი სამართლის პრიმატია, სამოგადოებრიე მართლშეგნებას ფაქტობრიეად აყალიბებს და განსაზღვრაეს მისი რელიგიურ-სამართლებრიეი მრწამსი. სამოგადოების რელიგიურ-სარწმუნოებრიეი შეხედულებანი ჩვეულებით-სამართლებრიეი ნორმების საფუძველს წარმოადგენს. ქართული ჩვეულებითი სამართლის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს ქრისტიანობამდელი წარმართული სარწმუნოების დამკვიდრებასთან. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით, რომელშიც ქრისტიანობის შეტანის სემდეგაც წარმართული ელემენტი საკმაოდ ძლეავრი იყო. იგი განაპირობება სწორეს ჩვეულებითი სამართლის ნორმების შინაარსს. ხალხის რწმენით, მიცვალებულთა სულები დიდ გაელენას ახდენენ ხალხის ცხოვრებაზე, საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, ყოფით საკითხებზე. განსაზღრავენ ხალხის ბედ-იღბალს, იწვევენ ჩხუბსა და აყალმაყალს, ბარაქასა და უბარაქობას, გადამწყვეტ გაელენას ახდენენ მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე და სხვა. მიცვალებულთა სულების მიმართ საზოგადოების წევრებს მთელი რიგი ვალდებულებები გააჩნიათ, რომელთა შეუსრულებლობისას, ხალხის რწმენით, სულები სამაგიეროს გადაუხდიან მათ და სასჯიკ განსაცდელს მოუელენენე ვალდებულების არშემსრულებელს და მის ოჯახს. ასე რომ, ჩვეულებით-სამართლებრიეი ნორმების მნიშნელოვანი ნაწილი არეგულირებს ურთიერთობებს მიცვალებულთა სამყაროსა და ამქვეყნიურ სამყაროს შორის. ამ ნორმათა დარღვევა კი, ხალხის რწმენით, ძალზე მძიმე რელიგიურ სანქციებს იწვევს. მიცვალებულთა სამყაროს გაელენა ჩვეულებითი სამართლის ნორმათა კონსტრუირებაში, ეთნოგრაფიული მასალით, კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ამ მასალის მიხედით რჩება შთაბეჭდილება, რომ მიცვალებულთა სამყარო და ამქვეყნიური ცხოვრება, რაღაც ურთიერთდაკავშირებულ, პირობით ერთიანობას წარმოადგენს, სადაც მიცვალებულთა სამყარო უზრამაზარ გაელენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მაგალითად, ხევსურთა რწმენა-წარმოდგენებით, სხვადასხვა გვარებს, ოჯახებს შორის კონფლიქტები, დაეუბი მიცვალებულთა სამყაროდან მომდინარეობს და ეს კონფლიქტი მხოლოდ მაშინ მოგვარდება და ბჭე-მედიატორთა ძალისხმევა მაშინ იქნება შედეგიანი, თუ კონფლიქტში მონაწილეთა ახლობლების სულები საიქიოში მორიგდებიან. თუ ეს არ მოხდება, კონფლიქტი უცილობლად გაგრძელდება და შეიძლება გამძაფრდეს კიდეც.

მოკლულთა სულები მათი ნათესაებისაგან მოითხოვენ შურისძიებას და მკელელის მათდამი შეწირვას. ხალხის რწმენით, ნათესაობიდან მოკეეთა მიცვალებულთა სამყაროშეც აისახება და იქაც იწეევს ნათესავთა სულებს შორის ნათესაობის გაყრას და სხვა. ასე რომ, ჩეეულებითი-სამართლებრივი ნორმის შინაარსი გარკეეულწილად მიცვალებულთა სამყაროს შესახებ რწმენა-შეხედულებებითაა განპირობებული და არსებიგად რელიგიურ-სამართლებრივი ხასიათისაა. ვალდებულებანი მიცვალებულთა სულების მიმართ ზოგიერთი კონკრეგული ჩეეულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს განსაზღერაეს და ამ შინაარსის არსებით ელემენგად გეეელინება.

ხალხის რწმენით, ასევე უდიდეს გაელენას ახდენენ მათ ცხოერებასა და ბედისწერაზე მათი სალოცაეები. აღმოსაელეთ საქართეელოს მთიანეთში მიცვალებულთა სულების გარდა, ხალხის რწმენით, მათ ბედისწერას ჯვარ-ხატები (უპირეელეს ყოელისა, სწორედ ისინი) განაპირობებენ. აღმოსაელეთ საქართეელოს მთიანეთის მოსახლეობა ჯვარ-ხატების ყმად ითელება, მათი სამართლებრივი სგატუსი სწორედ ჯვარ-ხატებისადმი დამოკიდებულებით განისაზღერება. როგორც ზემოგ აეღნიშნეთ, ჯვარ-ხატები უზენაესი სამართალშემოქმედნი და მოსამართლეები არიან, ხალხის რწმენით, ჩეეულებითი სამართლის ნორმები სწორედ ჯვარ-ხატების ნება-სურეილის გამოხატულებაა, ამიგომ მათი დარღეეა რელიგიური სანქციის გამომწეევია. ყოელივე ეს მეტყეელებს, რომ ჩეეულებითი სამართალი ხალხის რელიგიურ-სარწმუნოებრივ შეხედულებებს ეფუძნება. ხალხი ჯვარ-ხატს ბატონად აღიქეამს. ჯვარის ყმებს კი ბატონის მიმართ ვალდებულებათა მთელი კომპლექსი გააჩნიათ. მათი დარღეეა, შეუსრულებლობა კი ბატონათ რისხვას იწეევს. მრაგალი ჩეეულებით-სამართლებრივი ნორმის შინაარსი ჯვარ-ხატებისადმი ასეთი რწმენა-შეხედულებებიდან მომდინარეობს.

როგორც აღინიშნა, ჩეეულებითი სამართალი წინასახელმწიფოებრივ ეპოქამი წარმოიქმნება და აქედან გამომდინარე, მას სახელმწიფო ხელისუფლება არ ქმნის. თუ ჩეეულებითი სამართლის ნორმებს, სამართლებრივ ჩეეულებებს სახელმწიფო არ ქმნის, მამ რით განსხვაედებიან ისისნი უბრალო, არასამართლებრივი ჩეეულებებისაგან? ჩეენი აზრით, მათ შორის განსხვაება ის არის, რომ ჩეეულებითი-სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ უფლება-მოვალეობით ურთიერთობებს, რომლის დროსაც ურთიერთობის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ, ხოლო საზოგადოების წევრები (მათ შორის კონკრეგული ურთიერთობების მონაწილენი) დარწმუნებული არიან, რომ ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა სამართლებრივია, ზოგადსავალდებულო ქცევის წესია. რაც შეეხება უფლება-მოვალეობების, როგორც ასეთი, გაცნობიერებას საზოგადოების წევრთა მიერ, ესეც მათი შეგნებიდან, ცნობიერებიდან მომდინარეობს. საზოგადოების წევრები კონკრეგულ სიგუაციაში თელიან, რომ მათ გაუნწდათ რაღაც უფლება, ხოლო სხვა პიროვნებას – მოვალეობა მათ მიმართ და პირიქით ე.ი. ჩეეულებით-სამართლებრივი ნორმა აწესრიგებს სხვადასხვა სუბიექგთა (თემი, საზოგადოება, სოფელი, ინდივიდი) შორის წარმოქმნილ კონფლიქგებს, დაეებს და იგი ამ ურთიერთობის მომწესრიგებლად, ზოგადსავალდებულო ქცევის წესად, სამართლად აღიარებულია თეით ამ სუბიექგთა მიერ. ამრიგად, ჩეეულებით-სამართლებრივი ნორმა ისეთი ზოგადსავალდებული წესიაგრომლის დარღეევა იწეევს სხვადასხვა სუბიექგ შორის უფლება-მოვალეობით ურთიერთობებს. კერძოდ, როდესაც ხდება სუბიექგის (მათ შორის რაიმე კორპორაციის წეერის), ვთქვათ, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, ღირსების, საერთოდ გარეგანი თაეისუფლების ხელყოფა სხვა სუბიექგების მიერ, ეს იწეევს კონფლიქგს და უფლება-მოვალეობითი ურთიერთობების წარმოქმნას ამ სუბიექგებს შორის, რაც ჩეეულებითი სამართლის ნორმებით რეგულირდება, ხოლო უბრალო, არასამართლებრივი ჩეეულებები ისეთი ქცევის წესებია, რომელთა დარღეევა სუბიექგის მიერ არ იწეევს სხვა სუბიექგის გარეგანი გაეისუფლების შეზღუდას, ხელყოფას, დარღეევას და აქედან გამომდინარე არც უფლება-მოვალეობით ურთიერთობებს წარმოშობს სხვადასხვა სუბიექგ შორის. ეს ჩეეულებები ყოველდღიურ ყოფაში ვლინდება.

ისეე როგორც თანამედროვე სამართალი, ჩეეულებითი სამართალიც შედგება როგორც მაგერიალური, ისე პროცესუალური ნორმებისაგან, თუმცა განსხვაება, გამოჯენა სისხლის და სამოქალაქო სამართლის პროცესებს შორის არ არსებობს, ისეე როგორც პირობითია განსხვაება სისხლისა და სამოქალაქო სამართლს შორის.

ჩეეულებითი სამართლის ნორმების შესრულების უზრუნეელყოფა, ცხადია, არ ხდება სახელმწიფოებრივი იძულებით. სამართლის ნორმათა შესრულება მაინცდამაინც სახელმწიფოებრივი იძულებით რომ უნდა იქნეს უზრუნეელყოფილი, ეს ჩეენი აზრით, არ უნდა იყოს სამართლის განმსაზღერელი ნიშანი. როდესაც სამართლის ამ ნისანზე საუბრობენ, ბუნებრიეია, მხედეელობაში არა აქეთ ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი კუდში დასდეს თითოეულ პიროვნებას (სამართლის სუბიექგს), რათა მან არ დაარღეიოს სამართლის ნორმა და საჭიროების შემთხვეევაში აიძულოს იგი, დაიცას კონკრეგული სმართლის ნორმა. აქ იგულისხმება ფსიქიკური ზემოქმედება სამართლის სუბიექგებზე, რომ თუ ისისნი დაარღეეენ სამართლის ნორმებს, დაისჯებიან სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდა (რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო, მთ უფრო ქმედითია ეს ზემოქმედება). ფსიქიკური ზემოქმედების მომენგი დაკაეშირებული სამართლის ნორმათა შესრულების უზრუნეელყოფასთან, არც

ჩვეულებითისამართლისათვის არის უცხო. ჩვეულებითი სამართლის ნორმის დარღვევას (უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საზოგადოება, რომელშიც ჩვეულებითი სამართლის პრიმატია) შეიძლება მოჰყვეს შურისძიება, საზოგადოების მხრიდან შემოქმედება, კერძოდ, ტემიდან გაძევება, მოკვეთა, რაც თემური საზოგადოების წევრისათვის, არც მეტი და არც ნაკლები, სოციალური სიკვდილია, კომპოზიციის დაკისრება, რელიგიური წარმოდგენებიდან გამომდინარე ჯვარ-ხატის მხრიდან სასჯელი, მიცვალებულთა სულთა მხრიდან შურისძიება და სხვა. პიროვნებისატვის, რომელიც ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობდა, რომელშიც ჩვეულებითი სამართალი იყო გაბატონებული, მისი ფსიქოლოგიიდან და რწმენა მეხედულებებიდან გამომდინარე, ზემოთ ამოგელილი მედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ჩვეულებით-სამართლებრივ ნორმების დარღვევას, ფსიქიური ბემოქმედების თვალსაზრისით, არანაკლებ ეფექტურია (თუ მეტად არა), ვიდრე სახელმწიფოებრივ იძულებითი სამართლის ნორმის შესაძლეო დარღვევის შემთხვევაში. მაგალითად, ხევსურეთში, სვანეთში მცხოვრებ პიროვნებას გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, რომ მკვლელობის ჩადენას შურისძიება მოჰყვებოდა, ეგარებს შორის მტრობა, რაც შესაძლოა, მსხვერპლით დამთავრებულიყო, რისგანაც არავი იყო დაზღვეული, პირველ რიგში კი მკვლელი. თემის ღალატი გამოიწვევდა პიროვნების მოკვეთა-გაძევებას თემისაგან. ეს კი თემურ საზოგადოებაში მცხოვრები პიროვნებისა და, მისი ოჯახისატვის მართლაც ტრაგედია იყო, რადგანაც ასეთი პიროვნება მტელი თავისი არსებით დაკავშირებული იყო თემთან და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მისთვის ძნელი წარმოსადგენი იყო თემის გარეთ ყოფნა. ჩვეულებითი სამართლის ნორმების დარვევას სესაძლოა გამოეწია კომპოზიციის დაკისრება დამნაშავისატვის, რაც მისი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ევიეალენტი შიძლება ყოფილიყო. ჩვეულებითი სამართლის ნორმების დარღვევა, ხალხის რწმენა-შეხედულებებიდან გამომდინარე, რელიგიურ სანქციასაც იწვევდა. რელიგიური სანქციები ფეოდალური საზოგადოების სამართლებრივი სისტემებისთვის იყო დამახასიათებელი და მით უმეტეს ეს ცეეულებრივი მოელენაა თემურ საზოგადოებაში, რადანაც რელიგიის როლი იქ ძალზე დიდია. ,აგალითად, აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ჩვეულებითი სამარტლის ნორტმები ჯვარ-ხატების ნებიტ იქმნებოდა (საერთოდ კი თავის ნებას ქადაგის მეშვეობით აწვდიდა ჯვარ-ხატი ხალხს), ამიტომ ამ ნორმების დარღვევა, ხალხის რწმენით, ჯვარ-ხატების განრისხებას გამოიწვევდა. ხატში ცრუ ფიცსაც იყივე სეღეგი უნდა ჰქონოდა. ოჯახის უბედურება, ავადმყოფობა, სიკვდილიანობა ამის შედეგად უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველმყოფი ფსიქიკური ბემოქმედება თემურ საზოგადოებაში (საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიურ-სარწმუნოებრივი ასპექტებიდან გამომდინარე) საკმაოდ ეფექტური და ძლიერია და ამ ბემოქმედების ფორმათა მრავალგვარობით გამოირჩევა.

როდესაც თემური საზოგადოების მაორგანიზებელი, შემღუდაბებელი რელიგიურ-სარწმუნოებრივი საფუძვლები ირღვევა, თემის წევრათა ფსიქოლოგია, რომელიც თემური, გვაროენული სოლიდარიმბის, კოლექტივიმბის განმაპირობებელი იყო, თანდათან ინდივიდუალიმბის ფსიქოლოგიით იცვლება. ჩვეულებითი სამართალიც თმობს პოზიციებს, რადგან ის ეველ არეგულირებს, წარმოქმნილ უფლება-მოვალეობით, კონფლიქტურ ურთიერთობებს და ჩნდება სახელმწიფოს შექმნის საჭიროება. სწორედ ეს საჭიროება განაპირობებს სახელმწიფოს შექმნას, რის შემდეგაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმების შესრულება უკვე უზრუნველყოფილია სსახელმწიფოებრივი იძულებით. ასე, რომ, ყოველ ეპოქა შეესაბამება სამართლებრივი ნორმების შესრულების უზრუნველმყოფი სხვადასხვა ფორმა. რელიგიური სანქცია, შერიეხება, კომპოზიციის დაკისრება, თემის ბემოქმედება უფრო ეფექტური ფსიქიკური ბემოქმედების სამუალებებია ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმების შესრულების უზრუნველსაყოფად თემურ საზოგადოებაში, ხოლო სახელმწიფოებრივი სანქცია – უკვე სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საზოგადოების პირობებში.

სასამართლო ორგანიზაციასა და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში

გიორგი დავითაშვილი

§1. სასამართლო ორგანიზაცია

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სასამართლოების შესახებ ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები ცალსახედ მიუთითებს, რომ XIX-XX საუკუნეებში საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედებდნენ (ზოგან კი დღესაც მოქმედებენ) ასეთი სასამართლოები. როგორც დავინახეთ, საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება სამაედიატორო სასამართლოები. როგორც დავინახეთ, საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება სამაედიატორო სასამართლოები, ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა სახალხო თვითმმართველობის ორგანოების მიერ, სხვა ფუნქციებთან ერთად, სასამართლო ფუნქციების განხორციელებაც. საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც, ძირითადად, ჩვეულებითი სამართალი არეგულირებდა სამართლებრივ ურთიერთობებს დასახელმწიფო ხელისუფლების გაელენა ნაკლები იყო (მხედველობაშია მთის რეგიონები – სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი და სხვა),სახალხო თვითმმართველობის ორგანოები მოქმედებდა ყველა ტერიტორიულ ერთეულში (სოფელი, თემი, ხეობა მგთელი კუთხე, მაგალითად სრულიად ხევსურეთის, ფშავის, ხევის, თუშეთის, ბალმსემო სვანეთის სახალხო ყრილობები), ხოლო ბარის რეგიონებში, ძირითადად, გვხვდება სოფლის, ან რამდენიმე სოფლის გაერთიანების (თემის) სახალხო თვითმმართველობის ორგანოები. ყველა ამ ორგანოს – სოფლის, თემის, მთელი კუთხის სახალხო ყრილობებს – გააჩნდა სასამართლო ფუნქციებიც. ისინი არეგულირებდნენ მთელი საზოგადოების (შესაბამისად, ეს იქმებოდა მთელი კუთხის, ხეობის, თემისა თუ სოფლის საოგადოება) ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს, ხოლო სამედიატორო სასამართლოები მხოლოდ კერძო – სამართლებრივ დავებს განიხილავდნენ. საზოგადოების ყრილობის, როგორც სასამართლო ფუნქციების მატარებელ ორგანოს, ძირითადი მიზანი იყო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი პირის (ვთქვათ, საზოგადოების მოღალატის)დასჯა, რასაც ყოველთვის პრევენციული მნიშვნელობა ჰქონდა. საზოგადოების ყრილობა დამნაშავის დასჯით აფრთხილებდა მის ყოველ წევრს, რომ არ ჩაედინა ისეთი მოქმედება, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესის ხელმწყობი იქნებოდა, ხოლო სამედიატორო სასამართლოს ძირითადი ფუნქცია, მხარეთა მერიგება იყო.

ამ საკითხის დასაკონკრეტებლად, თუ რა საქმეებს განიხილავდა საზოგადოების ყრილობა და სა საქმეები - სამედიატორო სასამართლო, საჭიროა შეეჩერდეთ დანაშაულთა კლასიფიკაციაზე ქართულ ჩვეულებით სამართალში. ქართული ჩვეულებითი სამართლის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია, დანაშაულებანი პირობითად დავყოთ ორ ჯგუფად: 1. დანაშაულებანი, რომლებიც მიმართულია საზოგადოების (ხეობის, თემის, სოფლის) წინააღმდეგ, ე.ი. რომელიც ხელყოფს მთელი საზოგადოების ინტერესს და იწვევს მის რეაქციას. დანაშაულთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება საზოგადოების ღალატი. აქ, ძირითადად, იგულისხმებბა საზოგადოების თაეისუფლების ხელყოფა, საზოგადოების მგრების დახმარება, ხელშეწყობა. აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში ამ დანაშაულს იხსენიებენ, როგორც თემისა და ხატის ღალატს, რომელსაც საკმაოდ მრავალფეროვანი შემადგენლობა აქეს და არაერთი დანაშაულებრივი ქმედების ერთობლიობას წარმოადგენს. თითოეული ეს ქმედება ცალკე აღებული, ქმნის თემისა და ხატის ღალატს, როგორც დანაშაულის შემადგენლობას. საზოგადოების წინააღმდეგ გარეცელებულ დანაშაულთაგან ეამოეყოფთ ეკლესიისა და ჯვარ-ხატის გაბარეას (ამ უკანასკნელს ფშაე-ხევსურეთში თემისა და ხატის ღალატის შემადგენლობის ელემენტად მოიაზრებენ), გვარსა და ნათელ-მირონში ქორწინებას, უკანონო სქესობრივ კავშირს და სხვა; 2. დანაშაულებანი,რომლებიც მიმართულია არა საზოგადო, არამედ კერძო ინტერესების წინააღმდეგ. ეს შეიძლება იყოს პიროვნების, ოჯახის, გვარის, გვარის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულის ინტერესი. ეს დანაშაულებანი იწვევენ, სწორედ, კერძო ხასიათის რეაგირებას. ამ ჯგუფის ყველაზე გავრცელებული დანაშაულებანია: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქონებრივი ზიანის მიყენება, ქურდობა დასხვა.

დანაშაულთა დაყოფა ორ აღნიშნულ ჯგუფად ჩეულებით სამართალში ფორმალურია, ზუსტი მიჯნის გაელება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა და კერძო პირთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს შორის შეუძლებელია. ჩვეულებითი სამართალი, თავისი არსით, პრეცედენტურია, არა არის ზუსტად რეგლამენტირებული. დანაშაულთა ასეთი გარკეეული სისტემატიზაცია, ძირითადად, მეცნიერული თვალსწრისით ააღილებს საკითხთა უკეთ შესწაელას, რეალურად კი, საკმაოდ დიდი პირობითობის მატარებელია. საერთოდ, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს მიეკუთვნება ყველა ის დანაშაული,რომელთაც თვით საზოგადოება მიიჩნევს მისი ინტერესების ხელყოფად და თვით საზოგადოება და მისი მესეეურები განიხილავენ და დამნაშავეს შესაბამის სასჯელს უსჯიან

(ეს საჯელებია: ჩაქოლვა, მოკვეთა, გაძევება, შერისხვა, გამაწბილებელი სასჯელები , ჯარიმა და სხვა). კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა განხილვაში კი, როგორც წესი, არ ერეკა (თუმცა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გუხედება გამონაკლისები). ასეთ დანაშაულებად შეიძლება ჩაეთვალოთ ისინი, რომელთაც საზოგადოება არ მიიჩნევს მისი ინტერესების ხელმყოფად, ხოლო კერძო პირთა მიერ აღძრულ იქნება მათი ინტერესების შემლახველად (ეს დანაშაულებანი დაზარალებულის მხრიდან იწვევდა შურისძიებას ან კომპოზიციისა თუ მიყენებული ბიანის ანაზღაურებას).

ამა თუ იმ დანაშაულის მიკუთვნება დანაშაულთა ერთ-ერთი ჯგუფისადმი შეიძლება იმის მიხედვითაც, თუ ძირითადად, ვინ განიხილაედა ამ დანაშაულებებს. საზოგადოების ღალატი, ეკლესიის გაძარცვა, აკრძალული ქორწინება, უკანონო სქესობრივი კავშირი, ჩვენს ხალხ არსებული მასალებით, საზოგადოების განსჯის ობიექტია, ხოლო მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა, (მხეველობაშია არა ეკლესიის, ჯვარ-ხატის გატეხვა). ძირითადად, კერძო პირთა მიერ არჩეული მედიატორების, შუამავლების რეგულირების ობიექტია (ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მთის რეგიონებში, კერძოდ, ხევსურეთში). თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ რაიმე დანაშაული ერთ, რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში, საზოგადოების მიერ ჩაითვალოს მის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად, სხვა შემთხვევაში კი – არა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქურდობა, საერთოდ, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედით, ქურდობის ინსტიტუტეს უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე აქვს დღეს. ქურდობა გულისხმობდა მხოლოდ სხვისი ნივთის ფარულ, მართლსაწინააღმდეგო მითვისებას, სხვისი ნივთის ყოველგვარ დაუფლებას მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, თუ ეს ქმედება, საზოგადოების თვალსაზრისით, დანაშაულად მიიჩნეოდა. ქურდობის ინსტიტუტე ქართულ ჩვეულებით სამართალში ძალზედ უახლოვდება რომის სამართალში ცნობილ დელიქტს – ფურტუმ-ს, რომელიც, ასევე, უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე ქურდობა თანამედროვე გაგებით და საერთოდ, ქონებრივი უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დელიქტს წარმოადგენს. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედით, ნაპოვნი ნივთების მითვისებაც ქურდობაა. მაგალითად, დომიტრი ცისკარული ხევსურეთზე საუბრისას აღნიშნავს, რომ თუ პირი ნაპოვნის შესახებ საჯაროდ არ გამოაცხადებდა და ნივთს მითვისებდა, ქურდად ითვლებოდა.

იმ შემთხვევაში თუ მოხდებოდა ეკლესიის, ან ჯვარ-ხატის გაძარცვა, ან საერთოდ, ჯვარ-ხატის, თემის საკუთრების ხელყოფა, ეს საზოგადოების (თემის, სოფლის) ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიიჩნეოდა, ხოლო ოჯახის, კერძო პირის საკუთრების ხელყოფა კი, კერძო დელიქტს წარმოადგენდა, ე. ი. თუ დანაშაულთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის ქურდობა, დამოკიდებულია კონკრეტული ქურდობის ხელყოფის ობიექტზე, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო, რომ ქურდობა (მხედველობაში არაა ჯვარ-ხატის ან ეკლესიის ქონების) საზოგადოების რეაგირების საგანი გამხდარიყო და საზოგადოებას თეითონვე დაესაჯა ქურდი. ეს, ძირითადად, მაშინ ხდებოდა, როდესაც პირი ქურდობას განმეორებით ჩაიდენდა, მის ასეთ საქმიანობას სისტემატური ხასიათი ექნებოდა (ცხადია,სოფლის ყრილობა მხოლოდ მის ტერიორორიაზე ჩადენილი ქურდობისათვის გაასამართლებდა პიროვნებას, ხოლო კერძო პირთა (ოჯახთა) ქონების ხელყოფისას მხოლოდ იმავე სოფლის მცხოვრებსა და მის მიმართ რაიმე საჯარო ხასიათის სასჯელს გამოიყენებდა, ბუნებრივია, ამის გარდა, დაზარალებული მხარეც ქურდისაგან სათანადო საბღაურს მიიღებდა). ამის დამადასტურებელი მაგალითები, როგორც დავინახეთ, არსებობს არა მხოლოდ მთის რეგიონების (სვანეთი, ხევსურეთი დასხვა), არამედ იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, ლეჩხუმის სინამდვილიდან, როდესაც სოფლის ყრილობა აძევებს სოფლიდან გამოუსწორებელ ქურდს, მოიკვეთს ან მის მიმართ იყენებს რაიმე გამაწბილებელ სასჯელს (მაგალითად, ნნაქურდალით სოფელში საჯაროდ ჩამოგარება). ასეთი სასჯელები (გაძევება, ბოიკოტი, გამაწბილებელი სასჯელები) სოფლის ყრილობას, მათი ბუნებიდან გამომდინარე, სესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ თანასოფელი ქურდისათვის გამოეტანა. იყო შემთხვევები, როდესაც ქურდს, გარდა ნაქურდალის ანაზღაურებისა და ქურდობისათვის დაწესებული გადასახადისა (ნაქურდალის ორმაგი თუ მეტი ოდენობის) დაზარალებულისათვის გადახდისა, საზგადოებაც აკისრებდა ჯარიმას თავის სასარგებლოდ, მოაწყობდა დარბევას. ამრიგად, ქურდობა (არა ეკლესიის თუ ჯვარ-ხატის ქონების) კერძო დელიქტი იყო ქართულ ჩვეულებით სამართალში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, საჯარო საწყისების მაგარებლადაც გვეელინებოდა, რომელიც ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მიუხედავად ამისა, რომ დანაშაულთა აღნიშნულ ორ ჯგუფთა შორის, ჩვეულებითი სამართლით დადაგენილი ზუსტი მიჯნა არ არსებობდა. სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა გათვალისწინებით, მაინც შეგვიძლია ეთქვათ, რომ გარკვეული დანაშაულობანი, კონკრეტულ შემთხვევებში, უმთაერსად, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებად მიიჩნევა, ხოლო მეორენი – კერძო სამართალ დარღვევებად.

ჩვენ საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედით განვიხილეთ თუ კონკრეტულად რა ჩვენებები მიეკუთვნებოდა საზოგდოების ყრილობათა განსჯადობასა და რა სამედიატორო სასამართლოს განსჯადობას. ძირითადად, ყველა კუთხეში დაახლოებით ერთი სურათი მიგიღეთ. მთელი საქართველოს მასშტაბით თყ ვიმსჯელებთ, საზოგადოების ყრილობები, უმთაერსად, განიხილავდნენ შემდეგ დანაშაულებებს: საზოგადოების ღალატს, საზოგადოების თავისუფლების

ხელყოფას (ეს, ძირითადად, მთის რეგიონებს ეხება, მაგალითად, ბალსზემო სვანეთს), საზოგადოების პირის გაგტეხას, საერთო საქმისადმი თავის არიდებას, ქურდობას (ძირითადად, სისტემატურს), უწნეო საქციელს - უკანონო სქესობრივ კაეშირს, მრუშობას, სიძვას, გაუპატიურებას, ბუშის გაჩენას; საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, ეკლესიის გაძარცვას (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატის გაძარცვას), საზოგადოების (თემის, სოფლის,) საერთო საკუთრების, საერთო ქონების ხელყოფას, მის უკანონო ექსპლოატაციას (მოხვნას, ტყის მოჭრას), უკანონო ქორწინებას (ნათესავებს შორის ქორწინებას, მათელ-მირონის გაგტეხვას), საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას), ხალხის ხშირად შეწუხებას, აყალ-მაყალის ატეხვას, ჩხუბს, საჯაროდ ლანძღვა-გინებას), უფროსის, მშობლის შეურაცხყოფას, თემში, სოფელში რაიმე უპირატესობის (სოციალური, ქონებრივის) მოპოვებისაკენ სწრაფვას და თემისაგან გადასალოცვების მცდელობას (ეს ფიქსირდება მთის რეგიონში), უქმის გაგტეხვას და სხვა.

ცხადია, ეს არ არის სრულყოფილი ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შესაძლოა, საზოგადოების ყრილობას განეხილა. ჩვეულებითი სამართალი კაზუისტურია, კაბუსები კი ძალზე მრავალფეროვანი შეიძლება ყოფილიყო და საზოგადოების ყრილობას, შესაძლოა, ისინი თავისი მსჯელობისა და სასამართლო განხილვის ობიექტად გადაექცია. მაგალითად, ხევსურეთთან დაკავშირებით, ჩვენ მივუთითეთ მონაცემები, რომელთა მიხედვით, სოფლის ყრილობა სჯის იმ მამაკაცს, რომელსაც ცოლი ჩაგრავს, როგორც მამაკაცი ვერ უძღება ოჯახს, სილაჩრეს იჩენს, სათანადოდ არ უვლის მოხუც მშობლებს და სხვა.

რაც შეეხება სამედიატორო სასამართლოს, მისი განსახილველი საქმეები იყო: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა, შეურაცხყოფა, ქონების დაზიანება, ვალის დაუბრუნებლობა, საოჯახო სფეროში წარმოშობილი დავები, განქორწინება, ქონებრივი დაეები, ოჯახის გაყრისას, ქონების გაყოფასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები და სხვა.

აღნიშნულ ტენდენციის ჩამოყალიბებული სახით ეხვდებით XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნეში.სამედიატორო სასამართლო მკვლელობის, დაჭრა-დასახიჩრებისა და მსგავს მძიმე საქმეებს საკლევ პერიოდში განიხილავდა, ძირითადად, მთის რეგიონებში, სადაც მეტი შესაძლებლობა იყო ოფიციალური ხელისუფლის გეერდის აელით, ხალხური წესით, სადაეო ურთიერთობების მოგვარებისა და, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება უფრო ფართო ყოელისმომცეელი იყო და დიდხანს შემორჩა ძეელი სახით.

ბარის რეგიონებში კი ასეთი საქმეების განხილეა სამედიატორო სასამართლოს მიერ არ ხდებოდა, მათ სახელმწიფო სასამართლოები განიხილავდნენ (აღსანიშნავია, რომ მთის რეგიონებში, ეთქვათ, სვანეთსა და ხევსურეთში, თუ ოფიციალური ხელისუფლება განსჯიდა დამნაშავეს, საქმის განხილეა ხალხური წესით მაინც მოხდებოდა). არის ცალკეული მინიშნებანი, როდესაც მკვლელობის და სხეა მძიმე სასისხლო საქმეთა განხილეა, შესაძლოა, ბარის რეგიონებშიც სასამართლოს მიერ მომხდარიყო, თუმცა ეს უფრო გამონაკლისის სახით ხდებოდა. სამოქალაქო საქმეთა განხილეა კი, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ჩვეულებრივ მოელენას წარმოადგენდა. ქურდობის საქმეთა განხილეა სამედიატორო სასამართლოს მიერ დაფიქსირებულია საქართველოს სხვადასხეა კუთხეში, რაც მას კერძო სამართლებრიეი დარღვეეის ხასიათს ანიჭებს (სამედიატორო სასამართლო, შეიძლება, გამართულიყო ქურდის ვინაობის დასადგენად, დამნაშავის მიერ დაზარალებულისადმი გადასახდელი კომპოზიციის ოდენობის განსასაზღვრად). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ერთი და იმაეე პიროვნების მიერ ქურდობის არაერთგზის ჩადენას საზოგადოება უკვე მისი ინტერესების ხელმყოფ მოქმედებად აღიქვამს, რაც მკელი საზოგადოების სიმშეოღეს არღეევდა და ამიტომ მას უკეე საზოგადოების ყრილობა სჯიდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, საკლევ პერიოდში საზოგადოების ყრილობის გაელენა თანდათანობით მცირდება, განსაკუთრებით, რუსული მმართველობის პერიოდში, ეს უფრო ბარის რეგიონებე აისახა და ზოგიერთ მთის რეგიონზეც., ნაკლებად – ხევსურეთზე და ბასლზემო სვანეთზე. რაც შეეხება სამდიატორო სსმართლოს , მისი მოქმედება ყველგან უფრო დიდხანს შემორჩა. სვანეთსა და ხევსურეთში დღესაც შეიძლება ხალხური სამართლის ამ ინსტიტუტეს მოქმედების მოწმე გაეხდეთ, მძიმე სასისხლო საქმეებთან დაკავშირებითაც, ასევე როგორც ბარის, ისე მთის რეგიონები სამედიატორო სასამართლოს გამართეა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, მათ შორის, მედიატორთა არჩეეა ოჯახის გაყრისას XX სასუკუნის განმაელობაშიც კი ჩვეულებრივ მოელენას წარმოადგენდა.

ცხადია, როდესაც საზოგადოების ყრილობა სრულად ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას,იგი უფრო ინტენსიურად ერეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი გავლენა ცალკეულ ინდივიდთა ყოფაზე საკმაოდ არსებითი იყო (განსაკუთრებით მთის რეგიონებში). ჩვენ მიერ მოყვანილ მონაცემებში გამოჩნდა, რომ საზოგადოების ყრილობა ზოგიერთ კუთხეში მკვლელობისა და სხვა კერძო-სამართალდარღვეევების საქმეებშიც ერეოდა.

კერძოდ, სვანეთსა და ხევსურეთშიც ჩანს თემის აქტიური მონაწილეობა მესისხლეთა შერიგებაში, მაგალითად, ეჭ, გაბლიანი მიუთითებს, რომ თუ მოსისხლე ეგარებს შორის მგრობა დიდხანს გაგრძელდებოდა და მხარეთა შორის მორიგება არ მოხდებოდა, აი, სწორედ, ასეთ დროს, შესაძლოა, თემის ყრილობა ჩარეულიყო საქმეში, ზეგაელენა მოეხდინა მხარეებზე და

დაეთანხმებინა ისინი შერიგებაზე. ამის გამო მხარეებს მორის გარიგების მიუღწეელობა იშვიათობას წარმოადგენდა. ავტორი მიუთითებს, რომ თუ შუამავალთა მცდელობა შედეგს არ გამოიღებდა და მხარეებს ვერ დაეთანხმებინებინ შერიგებაზე, მაშინ მახვში მოიწვეევდა თემის ყრილობას და მოახსენებდა საქმის არსს. ყრილობა, თავის მხრივ, წინადადებას აძლევდა, ურჩევდა დათანხმებულიყვნენ შერიგებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თემის რისხვითა და ჭირსა და ლხინში საზოგადოებისგან გარიყვეით („განრისხვით“) ემუქრებოდნენ. ამას, ცხადია, შესაბამისი შედეგი მოჰყვებოდა. ასე რომ, ბალსმემო სეანეთში თემის ყრილობას, შესაძლოა, გადამჭრელი ზომები მიეღო მოსისხლეთა შესარიგებლად, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მხარეებს ითანხმებდნენ სამედიატორო სასამართლოების მემეეობით გადაეწყვიტა მათი დავა, თვით თემის ყრილობა უშუალოდ საქმის განხილვასა და განაჩენის გამოტანაში არ ერეოდა. ამას მხარეთა მიერ არჩეული მედიატორები გააკეთებდნენ და მათ მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების საფუძველზე მოხდებოდა მხარეთა საბოლოო შერიგება.

ასევე ხევსურეთშიც, საზოგადოების ყრილობა, შესაძლოა, ჩარეულიყო მესისხლეთა შერიგების პროცესში, თუ ამის საჭიროება იქნებოდა. საილუსტრაციოდ მოეიყვანთ ერთ შემთხვევას მ. კელაძის არქეიდან. 1951 წელს ჩაწერილ ერთ- ერთ ორგანიზაციაში აღნიშნულია, რომ რამდენიმე წლის წინათ აბიკა ლიქოკელმა შემთხვევით მოკლა სუმბატა ლიქოკელი (სხეადასხვა სოფლის მცხოვრებნი იყვნენ). შემდეგ სისხლის აღების მიზნით, წინასწარი განზრახეით მოკლეს აბიკა (მკელელი). მ. კელელაძის მთხრობელი აღნიშნავს, რომ საქმის გათაეებას ბოლო არ უჩანდა, მოსალოდნელი იყო განმეორებითი მკელელობა. ამიტომ შეიკრიბნენ კარაგის ჯერის ყმები და კარაგის ჯვარში თემმა სამანი ჩადგა იმის სამრისხელოდ (საწყეერად), თუ რომელიმე მოწინააღმდეგე მხარე არ შეწყეეტდა მგრობას და არ შეურიგდებოდა მეორე მხარეს. ამაეე დროს, თემმა ორიეე მხარე გააფრთხილა, რომ თუ კიდეე მოუხდებოდათ ასთი რამ, ორიეეს მოიკეეთდნენ და არც ჯვარში მიუშეებდნენ და არც ხალხში. ამ კონკრეტულ შემთხეევაში კარგად ჩანს, რომ თემი სამანს უსვამს და ამით წყეეს-კრულეას უელენს იმ მხარეს, რომელიც გააერძელებს სისხლის ღერას არ შეურიგდება მეორე მხარეს. როგორც ვხედავთ, თემი სპეციალურად იკრიბება იმისათეის, რათა მხარეები დაამშვიდოს და აიძულოს ისინი შეწყეტონ მგრობა და შეურიგდნენ. გატარებული ღონისძიება ხეესურთათეის საკმაოდ ეფექტური იყო დამ ას სათანადო შედეგიც მოჰყეებოდა-თემის ·ნების წინააღმდეგ ვერაეინ წაეიდოდა და ვერც სამანის ამოღებას გაბედაედა.

თემის ყრილობის ჩარეეის შესაძლებლობა სასისხლო ურთიერთობებში, კონკრეტული ეითარებიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელ მოელენას წარმოადგენდა,. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასისხლო ურთიერთობის მონაწილე ორი მხარე ერთი თემის წეერები, ერთი ჯერის (კარაგის ჯერის) ყმები იყვნენ და თემის ყრილობას ორიეე მხარეზე შეეძლო გაელენის მოხდენა, რითაც, მოცემულ შემთხეევაში, ისარგებლა კიდეც. ცხადია, თემის ყრილობას შეეძლო დაპირისპირებულ მხარეთათეის მოეთხოეა მგრობის შეწყეეტა და შერიგება და გარკეეული ზომებიც მიეღო ამ მიზნით (ეთქეათ, სამრისხელო სამანი ჩაესეა, თუ არ შერიგდებოდნენ, დამუქრებოდა მოკეეთით, საზოგადოებისგან გარიყეით), თუ ორიეე მხარე მოცემული თემის თუ სოფლის მცხოვრები იყო.

საერთოდ, უნდა ითქეას, რომსაზოგადოების ყრილობა და სამედიატორსასამართლო სასამართლო ფუნქციების მატარებელი უძეელესი დაწესებულებებია. ალ. ეაჩეიმეილი მიუთითებს, რომ სახალხო კრება, თავდაპირეელად, თეითონ ასრულებს სასამართლო წარმოებას და მხოლოდ განეითარების შემდეგომ საფეხურზე გამოყოფს მსაჯულთა სპეციალურ ჯგუფს.

საზოგადოების ყრილობის მიერსაქმის განხილეა და განაჩენის გამოტანა, როგოტც აღენიშნეთ, საქართველოს ყეელა კუთხეში დასტურდება.

საზოგადოების ყრილობის ყეელა მონაცილეს შეეძლო თაეისი აზრი გამოეთქეა განსახილეელ საქმესთან დაკავშირებით და, უმრაელეს შემხეევაში, ყრილობა საერთო გადაწყეეტილებამდე მიდიოდა. როცა ჩადენილია თენის ღალატი, ქურდობა, რაიმე უაღრესად უზნეო საქცეელი, თემის ყრილობის მონაწილეებს, ცხადია, საერთო აღშფოთება იყრობს და მათი დამოკიდებულება დამნაშაეის მიმართ წინასწარ ცნობილია, ყეელა განწყობილება დასაჯოს დამნაშაეე, თუმცა საქმის არსებითი განხილეა, დამნაშაეისა თუ დაზარალებულის, ასეე მოწმეთა დაკითხეა, საჭიროების შემთხეევაში, ჩეეულებრიეი ხდება და ამის შემდეგ მიდის მსჯელობა, ტუ რა გადაწყეეტილება იყოს გამოტანილი, რა სახის საჯელი გამოიგანონ დამნაშაეის მიმართ, ხო მარ არის რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება, ჯერ მსუბუქი სასჯელი ხო მარ აკმარონ და განმეორების შემთხეევაში დასჯონ უორო მკაცრად, ან საერთოდ, ხმ არ აპატიონ დამნაშაეეს (საჯელი შეიძლება ყოფილიყო: სიკედილით დასჯა, გაძეეება, საზოგადოებისგან იზოლირება- მოკცეთა, ბოიკოტი, ჯარიმა, გაფრთხილება და სხეა. მათი გამოყენება ოფიციალური ხელისუფლების გეერდის აელით ხდებოდა). ჩეენ ქართლის სინამდეილიდან მოეიყვანეთ კონკრეტული შემთხეევა, როდესაც სოფლის ყრილობამ დამნაშაეეს გამოუტანა განაჩენი, რომელიც წერილობით იქნა გაფორმებული დამ ას 214-მა კაცმა მოაწერა ხელი, ე. ი. სოფლის ყრილობის ყეელა მონაწილემ. აქ კარგად ჩანს, რომ განაჩენის გამოტანა თეით საზოგადოების ყრილობის, როგორც ერთიანი კორპორაციის, პრეროგატივას წარმოადგენდა. ცხადია,

საზოგადოების თავკაცთა (უხუცესი, ავტორიტეტული, გონიერი, ძველი წეს-ჩვეულების მქონე პირები, ზოგან კი ყრილობის მიერ არჩეულნი) თანხმობით ხდებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, როდესაც საზოგადოება ღელობაზე იკრიბებოდა, საკითხების განხილვა- გადაწყვეტა, შესაძლოა, მაპმხდარიყო ჯვარიონის ხევისბერების-თეოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენელთა ინიციატივით. თავკაცები ხელმძღვანელობდნენ ყრილობას, აცნობდნენ შეკრებილ ხალხს განსახილველ საკითხს, იცავდნენ წესრიგს ყრილობის მიმდინარეობისას და, საერთო, ორგანიზებას უწევდნენ ყველა იმ პროცედურას, ყველა იმ პროცესუალურ ქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზოგადოების ყრილობის მიერ სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას (ეთქვათ, დაკითხვის პროცედურა, განაჩენზე მსჯელობა ღ სხვა). შესაძლოა, საზოგადოების ყრილობას, მას შემდეგ, რაც დაადგენდა დამნაშავის ვინაობას, აერჩია რამდენიმე პირი, რომელსაც უნდა ემსჯელა განაჩენზე და დაელგინა იგი. ასეთი შემგხვევა ჩვენ სამეგრელოს სინამდვილიდან მოვიყვანეთ, როცა ყრილობამ აირჩია სასამართლო ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელთაც სასჯელის სახე და ზომა უნდა განესაზღვრათ, რაც გააკეტეს კიდეც. შესაძლოა, თავკაცებს წინასწარ გაეფრთხილებინათ ქურდობაში შემჩნეული პიროვნება, ხოლო თუ იგი არ მოიშლიდა ქურდობას, იწვევდნენ ყრილობას, რომელიც უკვე აძევებდა ქურდს ან რაიმე სხვა სასჯელს უფარდებდა მას. ასევე ხდებოდა, რომ თავკაცები ცალკე იმსჯელებდნენ განაჩენის შესახებ, მიიღებდნენ გადაწყვეტილებას და უთანხმებდნენ მას საზოგადოების ყრილობას. ამ შემთხვევაში, განაჩენი ძალაში რომ შესულიყო, საზოგადოების ყრილობის თანხმობა იყო საჭირო.

გარკვეული მონაცემებით (რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ საქართველოსსხვადასხვა კუთხესთან დაკავშირებით), არის ისეთი შემთხვევები, როდესაც საზოგადოების ყრილობა თავის უფლებამოსილებებს (მმართველობითს, სამეურნეოს თუ სასამართლოს) განსაზღვრული ვადით გადასცემდა მის მიერ არჩეულ გარკვეულ ორგანოს თუ პირებს. საზოგადოების ყრილობა, ცხადია, გარკვეული პერიოდულობით იმართებოდა, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნებოდა გადასაწყვეტი. როგორც მასალების მიხედვით ჩანს, საზოგადოების ყრილობა განსაზღვრული ვადით ირჩევდა მუდმივმოქმედ დაწესებულებას, ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები რაოდენობის პირებისაგან შემდგარს, რომელიც განიხილავდა მოცემული საზოგადოებისათვის ყოველდღიურ საჭიროროგო საკითხებს, მათ შორის სასამართლო ხასიათს. საჭიროებისას კი ხდებოდა საზოგადოების მოწვევა. საზოგადოების მიერ არჩეული თავკაცები ამ ყრილობის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, შესაძლოა, მიღებული გადაწყვეტილება შეეთანხმებინათ ყრილობისათვის. მაგალითად, აღმინისტრაციულ-სასამართლო ფუნქციების მატარებლად ქართლში გვეკლინება 12 პირისაგან შემდგარი „ამორჩეული კაცების“ ინსტიტუტი, რომელსაც გ.ჟორდანია აფიქსირებს, როგორც ჩვენებითი სპართლის საფუძველზე მოქმედს. იგი XIX საუკუნის I ნახევრისათვის უკვე აღარ მოქმედებდა, მისი რუსული მმართველობის მხრიდან შებღუდვის გამო. ამ ორგანოს თითოეული სოფელი თურმე ერთი წლის ვადით ირჩევდა და იგი იმავე საქმეებს განიხილავდა, რასაც სოფლის ყრილობა. ასევე რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და სამეგრელოში დაფიქსირებულ მასალებში საკმაოდ ხშირად ფიგურირებენ საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული პირები, რომლებიც სამეურნეო თუ აღმინისტრაციული ფუნქციების პარალელურად, სასამართლო ფუნქციებს ახორციელებდნენ, მაგალითად, როგორც რაჭაზე საუბრისას აღვნიშნეთ, სოფელი 3 წლით ირჩევდა გონიერ, ხალხური წესების მცოდნე პირებს, რომლებსაც ეკალებოდა სოფლის სახელით მთავრობასთან ურთიერთობა. მთხრობელები ასევე იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში იხსნებენ სოფლის მიერ არჩეულ სამ თავკაცს, რომელთაც სხვა ფუნქციებთან ერთად, შესაძლოა, მოსამართლის ფუნქციებიც განეხორციელებინათ და თავკაცთა როლო შეესრულებინათ, კერძოდ, განეხილათ ქურდობის, უმნეო საქციელის (ბოზობის) ფაქტები. ასევე წერილშანი დანაშაულბანი თუ სამოქალაქო დავები. გურიაში სოფლის მიერ არჩეულებს ინფორმატორთა მნიშვნელოვანი ნაწილი მედიატორებს უწოდებს. დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც მედიატორებმა შვილის მკვლელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

მთის რეგიონებში, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა მინიმალური იყო (ზოგან რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც), ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სახალხო თვითმმართველობის ორგანოები უფრო თვითმყოფადნი იყვნენ და საზოგადოებისათვის საჭიროროგო ყველა საკითხს, სწორედ საკუთარი თვითმმართველობის მეოხებიგ წყვეტდნენ (ბალსზემო სვანეთიდა ხევსურეთი ამის საუკეთსო დადასტურებაა). ბარის რეგიონებში საზოგადოებათ ყრილობები სასამართლო ფუნქციებს ახორციელებდნენ ან ხელისუფლების გვერდის ავლით, ან ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებსაც ოფიციალური ხელისუფლება არ მიიჩნევდა დანაშაულად, მაგალითად, ზნეობის წინააღმდეგმიმართული ქმედებანი, - ცოლქმრული ღალატი, ბოზობა, ბუშის გაჩენა, საევე საზოგადო, საერთო საქმისათვის თავის არიდება და სხვა (ზოგიერთი სამართლდარღვევების შესახებ, შესაძლოა, არც გამხდარიყო ცნობილი ხელისუფლებისათვის და მისი განხილვა საზოგადოების ყრილობის მიერ მომხდარიყო, ვთქვათ, ქურდობისა, რომელიც სოგელში მოხდებოდა).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან გამოჩნდა, თემის ყრილობაგარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა მის მიერ გამოკანილი განაჩენის აღსრულებისათვისაც. კერძოდ, მაგალითად, ჩვენ მოვიყვანეთ ერთი კონკრეტული ფაქტი (ქართლი) , როდესაც ყრილობამ აირჩია 18 პიროვნება,

რომელთაც დაევალა განაჩენის სისრულეში მოყვანა - ქალის ეირზე შესმა და სოფელ-სოფელ ჩამოტარება. შესაძლოა, კონკრეტული პირებისათვის დაევალებინათ საზოგადოების ყრილობის სასიკეთოდ განაჩენისა თუ სხვა სასჯელის სისრულეში მოყვანა, ე.წ. „ დარბეული “ განხორციელებაში კი საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვანნაწილს უშუალოდ შეიძლება მიეღო მონაწილეობა.

თემის ყრილობის მიერ გამოტანილი განაჩენი იყო საბოლოო და მის უკან მთელი საზოგადოების ავტორიტეტი იდგა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების ყრილობის, მისი თავკაცების ხშირად აქტიურ მონაწილეობას განაჩენის აღსრულებაში. იგივე ეხება საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული თავკაცების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ცხადია, ისეთ საქმეებზე, რომლებიც საზოგადოების ყრილობის განსჯადობის სფეროს მიეკუთვნებოდა, მით უმეტეს, თუ შეთანხმებული იყო თვით ყრილობასთან.

ჩვენ მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სასამართლო სისტემის განხილვა გვიჩვენებს, რომ XIX- XX საუკუნეების მასალების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ყველა კუთხეში ფიქსირდება სასამართლოს უძველესი ფორმა — სამედიატორო სასამართლო. სამედიატორო სასამართლო ეს სპეციალიზებული სასამართლო დაწესებულებაა. მისი ერთადერთი ფუნქცია , სწორედ სასამართლო ფუნქციის განხორციელებაა (განსხვავებით საზოგადოების ყრილობისაგან).

სამედიატორო სასამართლო ჩნდება საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც სისხლის აღების , შურისძიების ინსტიტუტეს პარალელურად, თანდათ ნობით ფეხს იკიდებს კომპოზიციათა სისტემა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი განვითარების აღრეულ ეტაპზე დაეა სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს შორის იწეევს გვარებს შორის სისხლის აღებას, შურისწიებას. სხვა მექანიზმი დავის მოგვარებისა არ არსებობს და , სრულიად შეუზღებელია, დაპირისპირება მხარეებს შორის საუკუნეების განმავლობაში გაგრძელებულიყო. შურისძიების შეწყვეტის,მხარეთა შერიგების უძველეს მექანიზმად იქცა სამედიატორო სასამართლო, როდესაც დაპირისპირებული მხარეები ნებაყოფლობით მიმართავდნენ მუამავალ, მომრიგებელ მოსამართლეებს და მათაც გამოპქონდათ განაჩენი, რომლის აღსრულების შეღეგადაც ხდებოდა მხარეთა შერიგება. როდესაც საზოგადოება შესაძლებლად მიიჩნევს, რომ სისხლის აღების ნაცვლად, შესაძლებელი და უპრიანია ქონებრივი საბღაურიგდაქმაყოფილება და შურისძიების ალტერნატივად ყალიბდება კომპოზიციათა სისტემა, ცალკეულ სამართალდარღეეეათა გამო დაწესებული კომპოზიციების რეალიზაცია, ძირითადად, სწორედ, სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება. ხევსურეთზე საუბრისას, ჩვენ უკვე აეღნიშნეთ კონკრეტულ დაეასთან დაკავშირებით მოწვეეულ მოსამართლეთ როლი კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებაში.

სამედიატორო სასამართლოს დანიშნულება სწორედ ისაა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხეევაში, თავიდან იქნეს აცილებული შურისძიება და მხარეები მორიგდნენ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ქონებრივი ანაზღაურების დაკისრების საფუძველზე, ე. ი. სამედიატორო სასამართლოს მთავარი ფუნქციამხარეთა შერიგებაა. მან ისეთი გადაწყეეტილება უნდა გამოიგანოს, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს და მას სამართლიანად მიიჩნეეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მოწინააღმდეგე მხარეებს შორის კვლავ გაგრძელდეს მტრობა და შურისძიება.

სამედიატორო სასამართლო არ ყოფილა მუდმივმოქმედი სასამართლო დაწესებულება. მხარეები მის შემადგენლობას თვითონ განსაზღვრაეენ ყოეელი კონკრეტული საქმისათეის. ორივე მხარე, ძირითადად, თანაბარი რაოდენობის მედიატორებს ასახელებდა. მხარეთა შორის წინააღმდეგობის დასაძლეევად, სამედიატორო სასამართლოს გამოყენება მთლიანად მხარეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მხარეები ნებაყოფლობით ირჩეედნენ მედიატორებს, მას შემდეგ, რაც დათანხმდებოდნენ დაეის მერიგებით გადაწყეეტას. მათ დაყოლიებას მერიგებაზე, ძირითადად, მუაკაცები ან სოფლის თავკაცები ცდილობდნენ. როდესაც მხარეები სამედიატორო სასამართლოსადმი მიმართავდე ეაიყოლიებდნენ, ეს ნიშნავდა, რომ დაბარალებული მხარე თეითანვარიშსწორებას შერიგებას ამჯობინებდა, ხოლო დამნაშავე (ზიანის მიმყენებელი) კი თანახმა იყო, გადაეხადა ის ქონებრიეი სამღაური, რასაც სამედიატორო სასამართლო დაადგენდა. სამედიატორო სასამართლოში პროცესის ჩატარებაც ისეთი წესით ხდებოდა, რომ ხელი შეეწყო მხარეთა შერიგებისათეის.მედიატორ-მოსამართლეებად ირჩეედნენ მათ, ეინც ცნობილი იყვნენ თავისი ავტორიტეტით, პატიოსნებით, ჩვეულებითი სამართლის უბადლო ცოდნით. ისინი ისე უნდა დალაპარაკებოდნენ მხარეებს, რომ უნდობლობის მრცალი არ ჩამოეგდოთ მათ შორის, პირიქით, შეერბილებინათ არსებული წინააღმდეგობა. გამოტანილი განაჩენი კი უნდა დაფუძნებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, და შესაძლოა, მხარეთა შორის გარკეეული კომპრომისის გამომხატველიც ყოფილიყო, რათა განაცენის აღსრულება პრობლემად არ გადაქცეულიყო. სამედიატორო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყეეტილება ფაკულტატერ ხასიათს ატარებდა. ეს კარგად ჩანს მ. კოეალეეს კისთან, რომელიც მიუთითებს, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყეეტილების აღსრულება მხარეებზეა დამოკიდებული და საეალდებულოა იმდენად, რამდენადაც აკმაყოფილებს ორივე მხარეს. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სამედიატორო სასამართლოს განაჩენი საქართეელოშიც ფაკულტატიურ ხასიათს ატარებდა. ეს კარგად ჩანს ხევსურეთის, ფშაეის,

თუმეთისა და რაჭის მაგალითებზე. თუ რომელიმე მოდავე მხარე უსამართლოდ მიიჩნევდა სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას, პრინციპში, შეეძლო არ დამორჩილებოდა მას., რითაც მხარეთა შორის შუღლის პერსპექტივას კვლავ რეალურს ხდიდა. ასეთ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელი იყო, სასამართლოს ხელახალი არჩევა და ახალი პროცესი.მაგალითად, ხევსურეთსი, თუ ერთ-ერთი მხარე არასწორად ჩათელიდა სასამართლოს განაჩენს, შეეძლო ხელახალი „რჯული“ (ანუ სამედიატორო სასამართლო) მოეთხოვა. შესაძლებელი იყო ერთსა და იმავე საქმეზე სასამართლო პროცესის რამდნჯერმე ჩატარება მოსამართლეთა სხვადასხვა შემადგენლობით, თუ, რასაკვირველია, ორივე მხარე დათანხმდებოდა „რჯულის“ გამართვას. სასამართლო პროცესთა ჩატარება, შესაძლოა, მანმადე გაგრძელებულიყო, სანამ ორივე მხარისთვის მისაღები განაჩენი არ იქნებოდა გამოტანილი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მხარეები, უმრავლეს შემთხვევაში, ახორციელებდნენ სამედიატორო სასამართლოს განაჩენს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მედიატორებად ირჩეოდნენ ძალზე პატივცემულ და პატიოსან ხალხს, რომელთა ავტორიტეტი გამოკანილი განაჩენების შესრულების გარანტი იყო. ასევე, მტრობის გაგრძელების პერსპექტივაც არ უნდა ყოფილიყო მხარეთათვის სახარბიელო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი, სამედიატორო სასამართლოს არჩევაზე არ დათანხმდებოდნენ და თვითონ იზრუნებდნენ დარღვეული უფლების აღსადგენად.

ხშირ შემთხვევაში, სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაცენის აღსრულების გარანტად გვეელინება მხარეთა ფიცი, რომ ისინი შეასრულებენ განაჩენს. ასეთი ფიცი საკლებულო იყო სვანეთსა და ზოგიერთ სხვა კუთხეში, ან შესაძლოა მხარეებს წინასწარ ხელმეორულება დაედოთ, რომ აღასრულებდნენ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას (აქ უკვე აღარ შეიძლება განაჩენის ფაკულტატურობაზე საუბარი, მისი შესრულება მხარეთათვის სავალდებულო იყო).

ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა კატეგორიის საქმეებს განიხილავდა სამედიატორო სასამართლო, ორიოდე სიტყვა იმაზეც, თუ რა მიზნით იმართებოდა იგი. ჯერ ერთი, სამედიატორო სასამართლოს ჩატარება ხდებოდა მოცემულ საქმეზე კომპრომისის ოდენობის დასადგენად (გადასახადის ოდენობასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის უთანხმოების არსებობისას); მეორე –დამნაშავის ვინაობის დასადგენად; მესამე – მიყენებული ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრიეი კავშირის დასადგენად; თუ ამ საკითხზე მხარეთა შორის იქნებოდა უთანხმოება; მეოთხე – ქონების მესაკუთრის დასადგენად, ე.ი. თუ ადგილი ექნებოდა მხარეთა შორის დავას ამა თუ იმ ნივთზე (ქონებაზე) საკუთრების უფლების შესახებ; მეხუთე – საქორწინო საოჯახო სფეროში ურთიერთობების მოსაწესრიგებლად (ეთქვათ, განქორწინების, ოჯახის გაყოფისას).

სამედიატორო სასამართლო, საზოგაოებრიეი განვითარების აღრეულ ეტაპზე, ყველა ხალხის სამართლებრიეი კულტურის შემადგენელი ნაწილი იყო. ძველბერძნები და რომაელებიც კი, უძველეს ეპოქაში დავებს სამედიატორო სასამართლოების მეშეეობით აგვარებდნენ, სხვა ხალხებზე რომ აღარაფერი ეთქვათ. საქართველოში სამედიატორო სასამართლოთა მოქმედება, ძირითადად, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ხორციელდებოდა დამ ას გარკეული თავისებურებანი ახასიათებდა, ის გარემოება, რომ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შექმნილი სამედიატორო სასამართლოს მოქმედება სქართველოში XIX–XX საუკუნეებშიც ეიქსირდება და ზოგიერთ რეგიონში (სვანეთი, ხევსურეთი), ფაქტობრივად, პირეანდელი სახით, ძალზედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ უძველესი დაწესებულების შესწავლას საქართველოში, შედარებითი იურისპრუდენციის თვალსაზრისით. ქართული სინამდვილე (ასევე ჩრდილოკავკასიური) სამუალებას იძლევა, წარმოვაჩინოთ ჯერ კიდე წინასახელმწიფოებრივ სტადიაზე წარმოქმნილი უძველესი სასამართლო დაწესებულება – სმედიატორო სასამართლო.

საქართველოში, ისივე, როგორც ყველგან, სამედიატორო სასამართლო მხარეთა ნებაყოფლობით იქმნება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არიშ რაიმე სამართლებრივი ხასიათის დავა. განაჩენის გამოტანის შემდეგ სასამართლოს მოცემული შემადგენლობა ასრულებს თავის საქმიანობას.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მთის რეგიონებში XIX–XX საუკუნეებში სამედიატორო სასამართლოს მოქმედების არეალი ბევრად ფართო იყო, ვიდრე ბარში. მის განსჯადობას აქ უმძიმესი სასისხლო დაეებიც ეკ განეკუთნებოდა. სამედიატორო სასამართლოე კი იყო ყველაზე ეფექტური მექანიზმი ამ დაეების მოსაწესრიგებლად. მთის რეგიონებში (სვანეთი, ხევსურეთი, ფშაეი და სხვა) სამედიატორო სასამართლო კონკრეტული დავის გადასაწყვეტად მხარეთა მიერ აირჩეოდა, ძირითადად, თანაბარი რაოდენობით, თუმცა რაიმე მძიმე დანაშაულობის დროს (მაგალითად,მკვლელობა, მძიმე დაჭრა) ძალზე რთული იყო მხარეთა (განსაკუთრებით კი დაზრალებულის) დაყოლიება შერიგებზე, რაც სამედიატორო სასამართლოს მეშეეობით უნდა განხორციელებულიყო. მხარეთა დაყოლიებას ამ რეგიონებში ახლდნენ შუაკაცები, შუამავლები, რომლებიც არწმუნებდნენ მხარეებს, რომ აუცილებელია მერიგება, სამედიატორო სასამართლოს არჩევა და მისი განაჩენის საფუძველზე არსებული დავის მოგვარება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები დათანხმდებოდნენ სამედიატორო სასამართლოს გამართვას, ღღის წესრიგში დგებოდა მედიატორი მისამართლების არჩევის საკითხი. ეს მხარეთა პრეროგატიეს წარმოადგენდა, თუმცა მხარეებს, შესაძლოა შუაკაცებისათვის ეთხოვათ მედიატორთა არჩევა, იმდენად, რამდენადაც მათ მეტი გამოცდილება ჰქონდათ ამ საქმეში და უკეთ იცოდნენ, ვის შეეძლო

მედიატორის ფუნქციის შესრულება. ამრიგად, ამ რეგიონებში შუაკაცები რომლები იყოლიებდნენ მხარეებს შერიგებაზე, ეს სხვა პირები არიან, ხოლო მხარეთა მიერ არჩეული მედიატორები – სხვა, თუმცა არ იყო გამორიცხული, ერთ ან ორიეე მხარეს რომელიმე შუაკაცი დაესახელებინა მედიატორად, თუმცა ეს საეალდებულო არ იყო, დეა, შესაძლოა, არ მომხდარიიყო. მძიმე სასისხლო საქმეებზე საქართველოს მთიანეთში საკმაოდ დიდი ოდენობის მედიატორებს ეხეედებით. მაგალითად, 25, 20, 12 და ა.შ. შედარებით მსუბუქ საქმეებზე მედიატორთა რაოდენობა შესაძლოა ნაკლები ყოფილიყო. მედიატორთა მთავარი ფუნქცია, როგორც აღენიშნეთ, მხარეთა შერიგება იყო, რისკენაც წარმართავდნენ ხოლმე, ისინი მთელ თავიანთ ძალისხმეეას. როგორც აღენიშნეთ, ძირითადად, მხარეები თანაბარი რაოდენობის მედიატორებს ირჩევდნენ, რაღგანაც სასამართლო პროცესზე მხარეები თანაბარ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყუნენ. თუმცა, შესაძლოა ეს პარიტეტი, კონკრეტულ შემთხეევაში, დარღვეულიყო, მასალების მიხედით თ ეიმსჯელებთ, ძირითადად, დაბარალებულის სასარგებლოდ, ესეც იმ შემთხეევაში, თუ მეორე მხარე დათანხმდებოდა ამას (ყეელაფერი მხარეთა შეთანხმებით ხდებოდა). ასეთ ფაქტებს ეხედებით სვანეთსა და ხეხსურეთში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ეს უფრო ეეიანდელი მოელენაა. მაგალითად, კალის თემში (ბალსზემო სვანეთი) დაახლოებით XX საუკუნის შუა ხანებისათვის (შესაძლოა ცოტა აღრეც) დაინერგა წესი, რომლის მიხედვითა მედიატორ-მოსამართლეთა მთელ შემადგენლობას დაბარალებული ასახელებდა და უკლებლივ ყეელას დამნაშაეე მხარე „მოულობდა". სვანეთის სხვა თემებში მხარეები მედიატორებს თანაბარი რაოდენობით ირჩევდნენ ხოლო ხანდახან არათანაბარი რაოდენობითაც (დაბარალებულის სასარგებლოდ). სვანეთში, ხეხსურეთში მხარეთა მიერ მედიატორთა არათანაბარი რაოდენობით არცეეას არ უნდა მოეხდინა გაელენა განაჩენის ობიექტურობაზე, თუნდაც იმიტომ, რომ მედიატორები საერთო, ერთსულოვან გადაწყეეტილებამდე უნდა მისულიყუნენ, თანაც მედიატორთა მხრიდან მიკერძოებას არ ჰქონდა აღეილი, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი კონკრეტული მხარის არჩეულები იყუნენ. სვანეთში, უპირეელეს ყოელისა, მოსამართლეთა „ტოლობის ფიცი" განაპირობებდა მათ ობიექტურობას. სვანეთში ეხედებით უფროს მედიატორსაც, რომელიც ზედამხედეელობდა მედიატორთა საქმიანობასა და ობიექტურობის დაცეას.

ამრიგად, როგორც მთის, ისე ბარის რეგიონებშიც სამედიატორო სასამართლო არჩეედა სხეადასხეა სახის სამოქალაქო ხასიათის დაეებს. ბარის რეგიონებში სამედიატორო სასამართლო სამეშობლო თუ საოჯახო დაეების მომწესრიგებლად გეეელინებოდა (მიჯნაზე, წანახედზე დაეა, ოჯახის გაყრა და სხეა), აქ, ძირითადად, ბოდაეე მხარეები მედიატორებს თანაბარი რაოდენობით ირჩევდნენ. ორიეე მხარე თავ-თაეის მედიატორს (ან მედიატორებს) ასახელებდა, ხოლო ურთიერთშეთანხმებით ირჩევდნენ უფროს მედიატორს, რომელიც ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის უზრუნეელყოფილია და წარმართავს საქმის განხილვას (სამედიატორო სასამართლოს დაკომპლექტების ასეთი წესი გეხედება: რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში. ქართლსა და აჭარაში მედიატორებს მხარეები თანაბარი რაოდენობით ირჩევდნენ. ოჯახის გაყოფისას კი იმდენი მედიატორი ირჩეოდა, რამდენი ოჯახის წეერიც იყრებოდა და ისინი კიდეე ურთიერთშეთანხმებით, ერთ უფროს მედიატორსაც ირჩევდნენ. ოჯახის გაყოფისას, უმრაელეს შემთხეევაში, მედიატორებად, ოჯახის ახლობელ-ნათესაეები გეეელინებოდნენ. ოჯახის გაყრისას მედიატორთა არჩეეა სხეა წესითაც შეიძლება მომხდარიყო, მაგალითად, გურიაში.

ბარის ზოგიერთ რეგიონში მედიატორ-მოსამართლეებს, სწორედ მედიატორებს უწოდებდნენ, ზოგან – შუაკაცებს (მაგალითად, ლეჩხუმელ ინფორმატორებს ესმით მედიატორის მნიშეენელობა და ხშირად შუა კაცის ქეემ, სწორედ, მას გულისხმობენ). აღნსანიშნავია, რომ, როგორც წესი, მედიატორთა მიერ გამოტანილი განაჩენი წერილობით ფორმდებოდა და მას ხელს მხარეები და მედიატორები აწერდნენ.

სამედიატორო სასამართლოს მოქმედება საბჭოთა პერიოდშიც ფიქსირდება საქართველოს ყეელა რეგიონში, სვანეთსა და ხეხსურეთში კი მეელელობისა და დაჭრა-დასახიჩრების საქმეებზეც. აქ მხარეები მხოლოდ და მხოლოდ ჩეეულებით სამართლით დადგენილი წესით აეგარებდნენ დაეებს და მეფის რუსეთისდროინდელი თუ საბჭოთა ორგამებისადმი მიმართეა დიდ სირცხეილად მიიჩნეოდა, ამიტომ ამას ყეელა ერიდებოდა, მათ შორის, მკელელობის, დაჭრა-დასახიჩრებისა თუ ქურდობის საქმეებზე, ხელისუფლების მიერ დანმაშაეის დაკაეებისა თუ გასამართლების მიუხედაეად, მხარეები ადგილობრივი წესით მაინც არჩევდნენ საქმეს და მხარეცა შერიგებაც ჩეეულებითი სამართლის ნორმებით ხდებოდა. როგორც აღენიშნეთ, სვანეთსა და ხეხსურეთში, შეიძლება დღესაც გაიმართოს სამედიატორო სასამართლო ყეელაზე მძიმე სასისხლო საქმეებზეც კი, თუმცა, ბოლო პერიოდში მთის რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის (ეს უფრო ხეხსურეთსა და აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთს ეხება), თემურ-გეარონეულ ურთიერთობების რღეეის შედეგად, ცხადია, ჩეეულებითი სამართლის, კერძოდ კი, სამედიატორო სასამართლოს მოქმედების ინტენსიეობა მკეეთრად შემცირდა.

აღსანიშნაეია, რომ საქართველოში ჩეეულებითი სამართლის ნორმების საფუძეელზე მოქმედი სასამართლო ორგანოების სისტემისათვის არ იყო დამახასიათებელი ინტენსიურობა, არ არსებობდა პირეელი, მეორე და ა. შ. ინსტანციის სასამართლოები. ყეელა სასამართლო ორგანო

საკუთარ განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავდა და მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ხდებოდა. სამედიატორორ სასამართლოსათვის ეს სრულიად ბუნებრივია. იგი არ იყო მუდმივმოქმედი დაწესებულება და ყოველი კონკრეტული საქმის განსახილველად ხდებოდა მისი ფორმირება მხარეთა მიერ. მისი განაჩენი, შესაძლოა, საბოლოო და საჯალდებულო ყოფილიყო მხარეთათვის (მაგალითად, სვანეთში), ხოლო თუ ფაკულტატური იყო, ვთქვათ, როგორც ხევსურეთში, და რომელიმე მხარე არ დაეთანხმებოდა სამადიეტორო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მხარეებს, თუ მათი სურვილი იქნებოდა,შეეძლოთ ახალი სამედიატორო სასამაღლო („რჯული") აერჩიათ, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ალბათობა ისეთიე იყო, , როგორც პირველი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა. სამედიატორო სასამართლო მხარეებს, შესაძლოა, მესამედაც აერჩიათ, მეოთხედაც, მეხუთედაც და ა. შ. (იგივე ფიქსირდება თუმეთში, ფშაველი, რაჭაში). ყოველი ახლად არჩეული სასამართლო არ წარმოადგენდა რაღაც ზედა ინსაგანციის სასამართლოს წინაო არჩეული მიმართ. წინა სასამართლოს გადაწყვეტილებას (ხევსურულად „ნარჯულეს") არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ხელმეორედ არჩეულთათვის. მიიჩნეოდა, რომ წინა სამედიატორო სასამართლომ მიზანს ვერ მიაღწია,მხარეები ვერ შეარიგა და ახლა აირჩიეს სრულიად ახალი, რომელმაც ჩვეულებრივე უნდა განიხილოს საქმე და შეეცადოს, ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების გამოგანას. პირველად არჩეულ და შემდგომ არჩეულ ყველა სასამართლოს აბსოლიტურად იღენტური კომპეტენცია ჰქონდა. საერთოდ, სასამართლო ინსტანციები შეიძლება გაჩნდეს მაშინ, როდესაც არსებობს მუდმივმოქმედი სასამართლო დაწესებულებები და მათი უფლებამოსილება წინასწარ განსაზღვრულია, ხოლო მხარეებმა იციან, რომ თუ არ დააკმაყოფილებს მათ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მას გაასაჩივრებენ ზემდგომ ინსტანციაში და არსებობს უმაღლესი ინსტანციის სასართლო, რომლის გადაწყვეტილებაც საბლოოა. სასამართლოთა ასეთი იერარქია ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მოქმედ სასამართლოებში არ გეხვდება, სწორედ, მუდმივმოქმედი სპეციალიზებული სასამართლოების არარსებობის გამო, როცა სამედიატორო სასამართლო კონკრეტულ შემთხვევაში იქმნება, ისიც მხარეთა ნება-სურვილით, რაიმე ინსტანციურობაზე საუბარი აქ საერთოდ ზედმეტია. გადაწყვეტილების გასაჩივრების არანაირი ინსტიტუტი აქ არარსებობდა.გადაწყვეტილებით უკმაყოფილების შემთხვევაში კი, შეიძლება არჩეულიყო ახალი სამედიატორო სასამართლო, მაგრამ, თუ რომელიმე მხარე ამას აღარმოისურვებდა, ახალი სამედიატორო სასამართლოს არჩევა აღარ მოხდებოდა, ე.ი. ახალი სამედიატორო სასამართლოს არჩევა შეიძლება მომხდარიყო იმდენად, რამდენადაც ორივე მხარე იქნებოდა ამაზე თანახმა და, ცხადია, ასეთ შემთვევაში, ინსტანციებზე, ზემდგომ სასამართლო დაწესებულებებზე საუბარი არ შეიძლება.

ასევე, რაც უფრო ფართო ტერიტორიული ერთეულის მომცველი სახალხო თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენდნენ სასამართლო ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით შემდგომი ინსტანციის დაწესებულებას, ამ ერთეულის შემადგენლობაში შემავალი შედარებით ნაკლები მოცულობის ტერიტორიული ერთეულის თვითმმართველობის ორგანოს მიმართ, მაგალითად, სახარო ხასიათის სამართალდარღვევათა განხილვისას, თემის ყრილობა სოფლის ყრილობის მიმართ, ან მთელი კუთხის, ხეობის ყრილების თემის ყრილობის მიმართ, ყველა დონის საზოგადოების ყრლობა მხოლოდ მის განსჯადობას მიკუთნებულ საკითხებს განიხილავდა და მის მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოო იყო (ისევე, როგორც მის მიერ მიღებული ნებისმიერი, სხვა არასასამართლო ხასიათის გადაწყვეტილება) და საკალდებულო მოცემული ტერიტორიული ერთეულის ყველა მცხოვრებისათვის. მაგალითად, აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში საზოგადოების ყრილობა იმართებოდა ჯვარ-ხატის ტერიტორიაზე. ეს ჯვარ-ხატი შეიძლება ყოფილიყო მთელი კუთხის ხეობის, თემის, სოფლის, გვარის, მამიშვილობისა და საზოგადოების ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო მხოლოდ მოცემული ჯვარ-ხატის ყმათათვის. ვთქვათ, თუ პირი ჩაიდენდა სოფლის ღალატს, მის საქმეს მთელი სოფელი განიხილავდა. ეს იქნებოდა მხოლოდ სოფლის ყრილობის განსჯადობას მიკუთვნებული საკითხი და თუ სოფელი გააძევებდა ან მოიკვეთდა დამნაშავეს, ეს იქნებოდა საბოლოო გადაწყვეტილება, რაც მხოლოდ ამ სოფლის დამოკიდებულების გამომხატველი იქნებოდა მოკლულის მიმართ. თემის ყრილობა სოფლის ყრილობის კომპეტენციაში ვერ ჩაერეოდა, ამიტომ სოფლის ყრილობის გადაწყვეტილების გასაჩივრება თემის ყრილობაზე არ ხდებოდა.

ისეთ რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის რეალური მოქმედება ყველაზე დიდხანს შემორჩა (სვანეთი, ხევსურეთი), მხარეთა შორის სადავო საქმეთა განმხილველ ძირითად სასამართლო დაწესებულებად ბოლომდე დარჩა სამედიატორო სასამართლო, რომელიც კერძო-სამართლებრივ საქმეებს განიხილავდა. აქ კერძო-სამართლებრივი დავების განმხილველი რაიმე მუდმივმოქმედი სასამართლო დაწესებულება არ გეხვდება. იგივე ითქმის სხვა კუთხეებზეც. აქაც არ დასტურდება, რომ იმ საქმეებს, რომლებიც სამედიატორო სასამართლოს განსჯადობის სფეროს მიეკუთვნებოდა, განიხილავდა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ჩამოყალიბებული მუდმივმოქმედი სასამართლო დაწესებულება და მუდმივმოქმედი მოსამართლე. საზოგადოების ყრილობის მიერ გარკვეული ვადით არჩეული მუდმიემოქმედი ორგანოები, რომლებიც

სასამართლო ფუნქციებსაც ასრულებდნენ, არ წარმოადგენდნენ სპეციალიზებულ სასამართლო დაწესებულებებს, რადგანაც ამ ორგანოებს სასამართლო ფუნქციათა გარდა, სხვა ფუნქციების გააჩნდათ. ეს ის ფუნქციებია, რომლებიც მათზე დელეგირებული იყო საზოგადოების ყრილობის მიერ და მათ შორისაა სასამართლო ფუნქციებიც. ე. ი. ეს ორგანოები, ძირითადად, საზოგადოების ყრილობის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განიხილავდნენ, კერძოდ, სჯარო ხასიათის სამართალდარღვევებს.

ასევე, თითოეულ სოფელში იყვნენ სიბრძნით, პატიოსნებით, გონიერებით, წეს-ჩვეულებათა ცოდნით გამორჩეული უხუცესები, რომლებიც არ იყვნენ არჩეულნი სოფლის მიერ და თავიანთი ავტორიტეტის გამო, ხალხი მათ სოფლის თავკაცებათ მიიჩნევდა. როგორც დავინახეთ, მასალებში კარგად ჩანს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ერთ სოფელში მცხოვრებნი არცთუ იშვიათად, სამეზობლო, საოჯახო დავების გადასაწყვეტათ, სწორედ, მათ მიმართავდნენ. მათთვის კონკრეტულ სიტუაციაში, შესაძლოა, მხარეებს დაეკისრებინათ მედიატორთა ფუნქციებიც, თუ ორივე მხარე თანახმა იქნებოდა ამაზე. უმთავრესად, ეს ასეც ხდებოდა. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოების ყრილობის მოწვევისა და საქმიანობის თვალსაზრისით.

ზოგიერთ კუთხეში ისიც ჩანს, რომ ისინი, შესაძლოა, მოპრიგებლებად ყოფილიყვნენ მკვლელობისა თუ დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში. კერძოდ, ხევში, რაჭა -ლეჩხუმში, აჭარაში,ქსნის ხეობაში და სხვა, მკვლელობის, დაჭრა-დასახიჩრების,ცემის, შეურაწყოფისა და სხვა მიზეზთ გამო, ოჯახების დაპირისპირებისას,ისინი ცდილობდნენ, მოერიგებინათ მხარეები და შეაკაცებად გეელინებოდნენ. საქართველოს ამ კუთხეებში, ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალით არ ჩანს , რომ მას შემდეგ, რაც შეაკაცები მხარეებს დაითანხმებდნენ მერიგებაზე, ხდებოდა მხარეების მიერ სამედიატორო სასამართლოს არჩევა, რომელიც არსებით დ განიხილავდა საქმეს და გამოიტანდა განაჩენს. ასეთი წესი ფიქსირდება სვანეთსა და ხევსურეთში. ხევში, აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმსა და სხვა კუთხეებში კი, სწორედ, თავკაცების (ხევში „თემის კაცები", აჭარაში „წინაიკაცები") მხარეთა შერიგების მიზნით, ცხადია, გაერკვეოდნენ საქმის ვითარებაში და საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე მხარეს თვითონვე დაეკისრებდნენ გარკვეულ გადასახადს, რომლის ოდენობა კონკრეტული ხასიათის საქმეზე წინასწარ არ იყო განსაზღვრული დამ ას აღნიშნული შეაკაცები განსაზღვრავდნენ ცალკეული შემთხვევიდან გამომდინარე, ე.ი. ისინი მომრიგებლადაც გეელინებოდნენ და, გარკვეულწილად, მედიატორთა ფუნქციებსაც ითავსებდნენ. მათ შეაკაცის ფუნქცია, შესაძლოა, ეკისრათ თავიანთი ინიციატივით ან დამხმაშაე მხარის თხოვნით. მშესაძლოა, შერიგების პროცესში, ამ დროს, დამარალებული მხრის წარმომადგენლებიც ჩაბმულიყვნენ და თეკაცებთან ერთ ღ მიეღწიათ მხარეთა მორიგებისათვის. სრულიად შესაძლებელია, რომ ძველად საქართველოს ამ კუთხეებშიც სვანეთისა და ხევსურეთის მსგავსად, ადგილი ჰქონოდა შეაკაცებისა და მედიატორების ფუნქციების გამიჯვნას, როდესაც შეაკაცები დაიყოლიებდნენ მხარეებს სამედიატორო სასამართლოს მეშეებით შერიგებაზე, ხოლო შემდეგ მხარეები აირჩევდნენ მედიატორებს, რომლებიც არსებითად განიხილავდნენ და გადაწყვეტდნენ დაეას.

მასალიდან ჩანს ასევე, რომ, შესაძლო, ადგილი ჰქონოდა თვითგასამართლებასაც, როდესაც მხარეები ყოველგვარი შეამავლების გარეშე, თვითონ აგვარებდნენ საქმეს და საჭიროების შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის გადასახდელი კომპოზიციის ოდენობასაც თვითონ განსაზღვრავდნენ. ხევსურეთში ამას „თაოპირად გარიგება" ერქვა.

§2. სასამართლო პროცესი

ცნობილია, რომ ისტორიულად არსებობდა სასამართლო პროცესის სამი ისტორიული ფორმა: 1. საბრალდებო პროცესი; 2. ინკვიზიციური ანუ სამძებრო პროცესი; 3. შერეული პროცესი. ქართულ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება სასამართლო პროცესის უძველესი ფორმა, საბრალდებო პროცესი. სვანეთში, ხევსურეთში ან ჩრდილოეთ კავკასიაში პროცესის ეს უძველესი ფორმა უკანასკნელ წლებიც კი გეხვდება (ძირითადად, სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის დროს), მისთვის დამახასიათებელი ყველა პრინციპით. ესენია: საჯაროობა, შეჯირობა, შეჯიბრებითობა. ეს უკანასკნელი გამოხატება იმით, რომ მხარეები აბსოლუტურად თანასწორნი არიან. საქმის აღძრა მხოლოდ მხარეთა მიერ ხდება; საბრალდებო პროცესის დროს, სასამართლო მტკიცებულებების მოგროვებაც მხარეთა პრეროგატივეს წარმოადგენს, ხოლო მოსამართლეთა როლი პასიურია. მტკიცებულებათა მოძიებაში ისინი არ მონაწილეობენ და მხოლოდ მათი შესწავლისა და შეფასების საფუძველზე გამოაქვთ განაჩენი. ყოველივე ეს კარგად ჩანს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაფიქსირებული სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის აღმნუსხველ ეთნოგრაფიულ მონაცემებში. იმ კონკრეტულ მაგალითებში, რომელთაც ცალკეული ინფორმატორები გვაწვდიან, განსაკუთრებით, სვანეთისა და ხევსურეთის სამედიატორო სასამართლოთა მოღვაწეობაში.

ხევსურეთთან დაკავშირებით საუბრისას, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ იქ მხარეები თვითონ აგროვებენ სასამართლო მტკიცებულებებს. „მთხრობელს" სწორედ, დამარალებულ მხარესთან

მოაქეს ინფორმაცია მომხდარ დანაშაულთან ან დამნაშავის ვინაობასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება, კონკრეტული ბრალდების წაყენების საფუძველი გახდეს. მხარეები თეითონ ეძებენ დამნაშავეს, მოწმეებს, ნიეთიერ მტკიცებულებებს თუ ასეთი არსებობს, შემდეგ კი მედიატორებს წარუდგენენ მათ. ამასტან დაკავშირებით, ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორყ ზუსტად „შენიშნავს“: „საერთოდ, ქურდს ან სხვა დამნაშავეს თეითონ დაბარალებული ეძებს და დანაშაულის დამამტკიცებელ საგნებსაც ისინი აგროვებენ და შემდეგ წარუდგენენ „რჯულის კაცებს“ (მედიატორებს, – გ.დ.) საქმის გარჩეესას. ჩვენს ხელთ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალაში არის ერთი საინტერესო კონკრეტული შემთხვევა, როდესაც „რჯულის კაცებმა“უსაყვედურეს დაბარალებულ მხარეს, რატომ არ შეამოწმა მან „მთხრობლის“ ინფორმაცია. მთხრობელმა დაბარალებულს უთხრა, თუ ვინ მოიპარა და დაკლა მისი ხარი და საღ შეინახა რქები და საღ გააშრო ხორცი, თუმცა სასამართლო პროცესზე უარი თქვა თავის სიტყვებზე. „რჯულის კაცებმა“ დაბარალებულს უსაყვედურეს: „როცა გაიგე შენი ძროხის რქები საღ იყო, რაკომ არ ნახე...“. ამ მაგალითიდან ჯარგად ჩანს, რომ მტკიცებულებათა შეგროვება, სწორედ, მხარეთა მოვალეობაა. თეით დაბარალებულს უნდა შეემოწმებინა მთხრობელის ნათქვამი და თუ იგი ნიეთიერ მტკიცებულებას, კერძოდ, „ტერმს“ წარუდგენდა სასამართლოს, ამით უფრო დაღებით შეღეგს მიაღწევდა. მხარეებს, შესაძლოა, გარკეული „საგამოძებო მოქმედებანიც“ თეითონ ჩაეგარებინათ. აღ.ოჩიაურის მასალებში გვხვდება მაგალითი, როდესაც დაბარალებული მხარე თეითონ ახორციელებს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას.

რაც შეხება მოსამართლეებს, მათი როლი სრულიად პასიურია. ისინი პროცესის დაწყების წინ ეცნობიან ერთმანეთს და საქმის არსსაც. რაიმე საგამოძიებო მოქმედებამი, მოწმეთა მოძიებასა და საერთოდ, მტკიცებულებათა შეგროვებამი ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. მათ განაჩენი გამოაქეთ მხარეთა დაკითხეის, მტკიცებულებათა შესწავლისა და შეფასების საფუძველზე.

პროცესი საჯაროდ მიმდინარეობს. საქმის არსებით განხილვას შეიძლება გარეშე პირებიც დაესწრონ. თანამედროვე ხევსური თუ სვანი ინფორმატორები აქცენტს აკეთებენ ახალგაზრდობის დასწებაზე, რათა მათ შეისწავლონ ადგილობრიეი სამართალი.

ჩვეულებრიე მოელენას წარმოადგენს პროცესის ბეპირობა. შესაძლოა არაეითარი წერილობითი დოკუმენტი არ შედგეს. ეს განსაკუთრებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს ეხება. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოქმედებდა დაუწერელი ჩვეულებითი სამართალი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და სამართალწარმოებაც ბეპირი ფორმით ხორციელდებოდა. „ანდრეში“, იგივე „პარაკი“, ეს იყო პრეცენდენტი, ნიმუში იმისა, თუ როგორ იყო გადაწყეტილი ესა თუ ის კონკრეტული დავა, რათა ანალოგიურ შემთხვეევაში იგი გამოეყენებინათ მომავალი თაობის მოსამართლეებს. საქმის განხილეა ბეპირად ხდებოდა. ნ. ხიმანაშეილი მიუთითებს, რომ საბჭოს სამართალი სიტყვიერი სამართალია და საბუთს არ ითხოვს. თუმცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვეულებრიეი მოელენა იყო სამედიატორო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყეტილების წერილობითი გაფორმება. ცნობილია, რომ შემორჩენილია სამედიატორო სასამართლოს მიერ მიღებული არერთი წერილობითი გადაწყეტილება, რომლებიც, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებს ეხება. სვანეთში კი ცალკეულ ოჯახებს შემორჩა სასისხლო საქმეებზე მედიატორთა მიერ გამოტანილი წერილობით გაფორმებული განაჩენები, განაჩენის აღსრულების შესახებ მხარეთა მიერ დადებული ხელწერილებიც. მიუხედავად სამედიატორო სასამართლოთა გადაწყეტილებების შესაძლო წერილობითი გაფორმებისა, თვით პროცესი ზეპირად მიმდინარეობდა.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ სასამართლო პროცესში მონაწილე პირებზეც. ესენი არიან: მხარეთა მიერ არჩეული მედიატორები, პროცესში მონაწილე მხარეები, მოწმეები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილობრიეი ექიმიც („დასკაქარი“) გამხდარიყო პროცესის მონაწილე.

პროცესში მონაწილე ერთი მხარე არის მომჩივანი (ბრალმდებელი), იგივე დაბარალებული, რომელიც აღძრავს საქმეს და ზეპირად მოახსენებს თაეის საჩიეარს (სარჩელს) მოსამართლეებს. დაბარალებულად ითელება ის პირი, რომლის პიროვნებას, ჯანმრთელობას ან ქონებას მიადგა ზიანი, ან გაუტეხეს სახელი, მიაყენეს შეურაცყოფა. მკვლელობის საქმეზე (მთის რეგიონებში) დაბარალებულად მიიჩნეეიან მოკლულის ოჯახის წევრები, ახლობლები, მისი ის ნათესავები, რომელთაც ევალებათ სისხლის აღება. მეორე მხარედ გვეელინება მოპასუხე (ბრალდებული, ეჭვმიტანილი, დამნაშავე). ეს არის დაბარალებულისადმი ზიანის მიმყენებელი, დამნაშავე (თუ მისი დანაშაული დადასტურებულია და პროცესი იმართება მხოლოდ კომპიზიციის ოდენობის დასადგენად) ან ეჭვმიტანილი დაბარალებულისადმი ზიანის მიყენებაში. აღსანიშნაეია, რომ „ბრალდებულისა“ და „ეჭვმიტანილის“ იურიდიულ მნიმენელობას მორის ქართულ ჩვეულებით სამართალში განსხვაეება არ შეინიშნება როგორც ეს თანამედროვე პროცესუალური სამართლისთეისაა დამახასიათებელი. ინფორმატორები მოპასუხე მხარეს ორიეე ტერმინით იხსენიებენ, თუმცა მათ შორის განსხვაეებას არ აფიქსირებენ. ძირითადად, მოპასუხე მხარეს ეჭვმიტანილად მოიხსენიებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც პროცესზე უნდა გაირკვეს დამნაშავის ვინაობა და არსებობს კონკრეტული პირი, ვისაც დანაშაულის ჩადენას აბრალებენ. იგივე პირი ბრალდებულადაც შეიძლება მოიხსენიონ (დაბარალებულს მასზე ეჭვი აქეს, რომ დანაშაული

ჩაიდინა და ამიტომ ის ეჭვმიტანილია და, როგორც ეჭვმიტანილს წაუყენა ბრალი, ბრალი დასდო, რასაც დამტკიცება სჭირდება, ამიტომ ის ბრალდებულადაც მოიხსენიება, რაც სრულიად ბუნებრივია).

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე დაკითხვას ესწრებიან დაზარალებულისა და დამნაშავის (მოპასუხის) ახლობლები - ოჯახის წევრები, ბიძაშვილები (ეს უფრო მთიან რეგიონს ეხებაისხლის სამართლის საქმეებზე). ამიტომ, პირები, რომლებიცთან ახლავეს დაზარალებულს ან მოპასუხეს (დამნაშავეს) სასამართლო პროცესზე, შეიძლება მიიჩნიონ პროცესის მონაწილეებად. დაზარალებული მასთან ერთად დამსწრე ახლობლებთან ერთობლიობაში მოიაზრება დაზარალებულ მხარედ, ხოლო მოპასუხე (დამნაშაე) თავის ახლობლებთან ერთად – მოპასუხე მხარედ. უფრო მეტიც, არცთუ იშვიათად, ჩვენებას დაზარალებულის ან მოპასუხის სახელით, ოჯახის უფროსები, გვარის უფროსები ან ბიძაშვილობაში დარბაისლობითა და სიტყვა-პასუხით გამორჩეული პირები იძლევიან.

საქართველოს ყველა კუთხეში ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედ სამედიატორო სასამართლოში სასამართლო პროცესი, ძირითადად, ერთგვაროვანი იყო. სასამართლო პროცესის პირველ სტადიაზე ხდებოდა საქმის არსებითიგანხილვა. მედიატორები, უპირველეს ყოვლისა, დაპკითხავდნენ მხარეებს, ჯერ მოსარჩელეს, შემდეგ მოპასუხეს. მერე ხდებოდა მოწმეთა დაკითხვა (თუ ისინი სახეზე იყვნენ და საქმეში მონაწილეობდნენ). შესაძლოა, აღვილი ჰქონოდა მოწმეთა დაპირისპირებას. სისხლის სამართლის საქმეებზე მხარეთა დაპირისპირება არ ხდებოდა. მამულზე დავისას მედიატორებს, შესაძლოა, საღაჯო მიჯნებიც დაეთვალიერებინათ, სამოქალაქო საქმეებზე კი,გასცნობოდნენ მხარეების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს.

საქმის არსებითი განხილვის დამთავრების შემდეგ, აღვილი ჰქონდა მედიატორთა მსჯელობას განაჩენის დასადგენად და განაჩენის გამოგანას,რაც სასამართლო პროცესის მეორე სტადიას წარმოადგენდა. მედიატორ - მოსამართლეთა მსჯელობა განაჩენის თაობაზე საიდუმლოდ ტარდებოდა, ისინი ყველასაგან განცალკევებოდნენ და გარეშე პირთა დაუსწრებლად მსჯელობდნენ გადაწყვეტილების შესახებ. მესამე სტადიაა განაჩენის გამოცხადება. განაჩენის გამოცხადების სხვადასხვა წესი და ვარიანტი არსებობდა და სხვადასხვა კუთხეში,შესაძლოა, სხვადასხვა აღვილას მომხდარიყო. განაჩენი მედიატორებს შესაძლოა სასამართლო პროცესის ჩატარების დროს გამოეცხადებინათ მხარეთათვის ცალ-ცალკე ან ორივე მხარისათვის ერთად, ან განაჩენი მისი გამოგანიდან გარკეული დროის შემდეგ გამოეცხადებინათ მხარეთათვის, მათივე ოჯახებში, ან ცალ-ცალკე, ან ერთად, შერიგების აღმნიშვნელი პურობისას, უშუალოდ სუფრაზე და ა.შ. ამ სემთხვევაში ვარიანტი მრავალი იყო.

სასამართლო პროცესის ბოლო სტადიას განაჩენის აღსრულება წარმოადგენდა, რაშიც მონაწილეობას, ძირითადად, თვით მედიატორებიც იღებდნენ. განაჩენის (გადაწყვეტილების) აღსრულების დადასტურების მიზნით, შესაძლოა, წერილობითი დოკუმენტი შეედგნათ.

საბრალდებო პროცესის დამახასიათებელი პრინციპები ჩანს, ასევე, საზოგადოების ყრილობის მიერ მართლმსაჯულების ფუნქციის განხორციელების შემთხვევაშიც. ცნობილია რომ ეს ორგანო, ძირითადად,საჯარო სამართალდარღვევების განიხილავდა. აქედან გამომდინარე, დამნაშავეს ბრალს წაუყენებდა მთელი საზოგადოება (თემი, სოფელი, ხეობა). სასამართლო პროცესის სტადიებიც, შეიძლება ითქვას, სამედიატორო სასამართლოს ანალოგიურია. შესაძლოა, განაჩენზე საზოგადოების თავკაცებს, მესეურებს ემსჯელათ და თავიანთი გადაწყვეტილება წარედგინათ ყრილობისათვის, რომელიც იწონებდა ან უარყოფდა მას. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც საზოგადოების ყრილობა ირჩევდა რამდენიმე პიროვნებას, რომელთაც ავალებდნენ განაჩენზე მსჯელობას და გადაწყვეტილების მიღებას, რომელსაც ბოლოს საზოგადოების ყრილობა ამტკიცებდა.

საზოგადოებამ ყრილობის მიერ გამოგანილი განაჩენის აღსრულების უზრუნველმყოფი თვით ყრილობა იყო თავისი ავტორიტეტით. თუმ განაჩენის აღსრულებას რაიმე ძალისხმევა სჭირდებოდა, შესაძლოა, ყრილობას აერჩია რამდენიმე პიროვნება,რომელსაც დაევალებოდა ყრილობის მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულება.

ეთნოგრაფიულ მასალაში გეხვდება არაერთი კონკრეტული ცნობა, როდესაც საზოგადოება, საზოგადოების ყრილობა ზომებს იღებდა დამნაშაეის გამოსაელენად და მოსაძებნად. ეს, ძირითადად, ხდებოდა საჯარო ხასიათის დანაშაულის შემთხვევაში, ასევე, იმ დამნაშაეების მიმართ, რომელთა მიერ არაერთგზის დანაშაულის ჩადენა უკეე მთელი საზოგადოების ინტერესსა და სიმშვიდეს ხელყოფდა, ასევე, ქურდების მიმართ.

ქურდების გამოელენასა და მოძიებაში საზოგადოების ყრილობისა თუ მისი თავკაცების ან არჩეული პირების მონაწილეობა განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ქურდობა, როგორც დანაშაული, საზოგადოების თვალში მთელი საზოგადოების ინტერესების ხელმყოფ ქმედებად აღიქმებოდა,ასევე იმითაც,რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილ იქნა ჩვეულება, რომლის მიხედვითაც, საზოგადოება (სოფელი ან თემი) მისი წევრის მიერ ან მის ტერიტორიაზე ჩადენილი ქურდობისათვის თეითონ, სოლიდარულად აგებდა პასუხს, თუ ქურდს ვერ გამოაელენდა, ან თუ ქურდობის კვალს სოფლიდან არ გაიგანდა. ეს, ცხადია, უბიძგებდა სოფლის თავკაცებს, სოფელთან ერთად, ქმედითი ღონისძიებანი გაეტარებინათ ქურდების გამოსაელენად.

სამოგადოების თავკაცების მიერ დამნაშავის გამოელენის ძალზე საინტერესო შემთხვევა დაფიქსირებულია ფშაის სინამდვილეში. ახმეტაში მცხოვრები ფშაველი მოგვითხრობს: „ჯადმოცემით მახსოვს, რომ სოფელ ხადორში (ახმეტის რაიონი, ახლა იგი დაცლილია) იპოვეს მკვდარი ახალშობილი ბაესვი. სოფლის თავკაცებმა ასე მოძებნეს დედა: სოფლის ყველა ქალი გასინჯეს და ეთქვა რძე ქონდა, ამის მიხედვით დაადგინეს. იგი, როგორც უწესოდ ბაშვის გამჩენი, სოფლიდან გააძევეს (უკანონო სქესობრივი კავშირი, ამის შედეგად ბუშის გაჩენა, საჯარო ხასიათის უმძიმეს სამართალდარღვევად ითვლებოდა). ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ სოფლის თავკაცებმა დამნაშავის გამოსაელენად გარკვეული ღონისძიება გაატარეს. რის შედეგადაც დაადგინეს დამნაშავის ვინაობა.

სოფლის თავკაცების მიერ ქურდის გამოელენის არაერთი კონკრეტული შემთხვევა ჩვენ მოვიყვანეთ სამეგრელოს, გურიის, იმერეთისა თუ აჭარის სინამდვილიდან. ამისათვის, შესაძლოა, თავკაცებს მთელი სოფლისათვის მოეთხოვათ დაფიცება, ჩაეტარებინათ ეჭვმიტანილის საცხოვრებლის ჩხრეკა, ან ქურდობაში ეჭვმიტანილისათვის მიეჩინათ პიროვნება, რომელსაც ფარულად თვალყური უნდა ედევნებინა მისთვის, დანაშაულის მორიგ ფაქტზე წასწრების მიზნით, ასევე, გაეტარებინათ სხვა ღონისძიებანი კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

აი, ასეთი მოკლე დასკვნები შეიძლება გაკეთდეს პროცესუალურ საკითხებზე ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებზე დაყრდნობით.

მარიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხები ქართულ ჩვეულებით სამართალში XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე საქართველოს ცალკეული კუთხის მიხედვით. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ საკითხი მთლიანად ამოწურულია. სრულიად შესაძლებელია, სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხებზე ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, საქართველოს თითეულ კუთხესთან დაკავშირებით, დაიწეროს ცალკე მონოგრაფია, ასევე, საეარაუდოა, მომავალში მოძიებულ იქნეს დამატებითი ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც კიდევ უფრო გაამდიდრებს საკვლევ თემას და ხელს შეუწყობს იმ ხარვეზების გამოელენასა და გამოსწორებას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, მასალების არასრულყოფილების გამო, ჩვენს ნაშრომში იყოს. ზოგიერთ საკითხზე კი, სასურველია დამატებითი კვლევის ჩატარება (მათ შორის, საველე სამუშაოების მეშვეობით).

ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებს ნაშრომთან დაკავშირებით და მინიშნებებს იმ მასალებზე, დოკუმენტებზე, რომლებსაც კავშირი აქვთ თემასთან.

ლექცია V

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა საქართველოში, სამეფო ხელისუფლების ევოლუცია და განვითარება

გიორგი ნადარეიშვილი

ა) სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში

საეარაუდოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოერება დაიწყო მილიონზე მეტი წლის წინათ. მეცნიერ არქეოლოგთა აზრით საქართველოში პირეელი ადამიანები ცხოერობდნენ მილიონ შეიდასი ათას – მილიონ რეაასი ათასი წლის წინათ. ადამიანთა პირეელი სამშობლო უნდა ყოფილიყო აფრიკა. საიდანაც ისინი თანდათან განსახლდნენ ევრაზიის ერეელ ტერიტორიაზე. დმანისის აღმოჩენების შემდეგ არქეოლოგთა მნიშენელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ სწორედ საქართველოდან უნდა დაწყებულიყო ადამინის ეეროპაში განსახლების ხანგრძლეიი პროცესი.

ცხადია, ათასეული წლების განმაელობაში საქართველოში ადამიანები ცხოერობდნენ შემგროებლობითი მეურნეობის პირობებში. ასე უნდა გაგრძელებულიყო დიდხანს, ძალიან დიდხანს, ეიდრე ქრისტს შობამდე მეათე აღთსწლეულამდე.

შემგროებლობითი მეურნეობის პირობებში სახელმწიფო სტრუქტურების წარმოშობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ამიტომაც ჩენი ყურადღება ძირითადად უნდა გავამახეილოთ მწარმოებლური მეურნეობის ხანაზე.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძეელი ქეის ხანაში ქრისტეს შობამდე X ათასწლეულიდან საქართველოში იწყება კაცობრიობის ისტორიაში მნიშენელოვანი პერიოდი – ახალი ქეის ხანა, ე.წ. მეოლითური რეეოლუცია, რომელიც აღინიშნა მწარმოებლური მეურნეობის – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებით ძე. წ. VIIV ათსწლეულებში პყეაეის ე.წ. აღრე სამიწათმოქმედო საზოგადოება.ამ დროს ჩნდება არქიტექტურის უძეელესი ნიმუშები – ალიზით ნაგები მრგეალგუმბასთიანი საცხოერებლები და საკულტო ნაგებობები. ძე. წ. V ათასწლეულს კი ფეხს იკიდებს ბრინჯაოს მეტალურგია, რთული ტექნოლოგიური წესების გამოყენებით.

გ. მელიქიშეილის აზრით საქართველოში ძეელი ქეის ხანაში ხდება საზოგადოების ძირითადი უჯრედის – გვარის, სისხლით მონათესაეე აღმოანთა ამ მტკიცედ შეკრული კოლექტიეის ჩამოყალიბება, ხოლო ახალი ქეის ხანაში უკეე საკმაოდ სიცოცხლისუნარიან კოლექტიეს წარმოადგენდა მონათესაეე გვარების გაერთიანება – ტომი.

საეარაუდოა, რომ ტომთა კაეშირების განმტკიცებას აღგილი ჰქონდა გეიანი ბრინჯაოს ეპოქაში. ამავე ხანას უნდა ეკუთენდეს თრიალეთის მდიდრული ყორღანების კულტურა. შეიძლება დავუშეათ, რომ ამ დროს ჩამოყალიბებულია წინასახელმწიფო და აღრეკლასობრიეი საზოგადოება.

ცხადია, სახელმწიფო ვერ წარმოშობდა მწარმოებელური მეურნეობის გარეშე. პროტოსახელწიფოს – წინასახელმწიფოს სტრუქტურებიც თაეისთაეად გულისხმობდა მწარმოებელური მეურნეობის არსებობას. მწარმოებელური მეურნეობის ცნების ქეეშ იგუკლისხმება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარება.

გამოთქმულია საფუძლიანი მოსაზრება და ვარაუდი, რომ საერთოქართველური ფუძე-ენა დაიშალა დაახლოებით ხუთი ათასწლეულის წინ. „თანამედროვე ქართეელური ენები შეიქმნა საერთოქართველური ფუძე-ენის ყეელაზე მსხეილი და მნიშენელოვანი დიალექტების საფუძველზე.“

მწარმოებელური მეურნეობის არსებობა გულისხმობს გარეულ ცხოეელთა მოშინაურებას. ჯერ კიდევ საერთო ქართველური ფუძე-ენის არსებობის ხანაში ჩენს წინაპრებს ძაღლი უკეე მოშინაურებული ჰყაედათ. ქართულ, მეგრულ და სვანურ ენებში ძაღლი, ეოღორი და ქეე სახელწოდება საერთოქართველური ფუძე-ენიდან მიმდინარედ ითვლებოდა.

ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის დასასრულიდან საქართველოში, როგორც ერთი მეცნიერი არქეოლოგი წერდა „იწყება რკინის ინდუსტრია“, რომელმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში.

ამაეე ხანებში საქართველოში, არქეოლოგიური მონაცემებით აღგილი აქეს „დემოგრაფიულ აფეთქებას“. წარმოიშეა ე.წ. „ჭარბი მოსახლეობის ფაქტორი“, რომელმაც როგორც ცნობილია სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტორთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოელენას წარმოადგენდა.

ამ ხანებში გვარის, ტომის წეერთა რიცხეი იმ ზომით არის დიდებული, რომ საარსებო საშუალებათა ამკარა უკმარისობას აქეს აღგილი. ამ პრობლემის გადაწყეეტა ორი გზით

შეიძლებოდა: 1) საარსებო სამუალებათა წარმოების გადიდებით, რომელიც შრომის იარაღების გაუმჯობესებასაც გულისხმობდა 2) ამ საარსებო სამუალებათა სხვა ტომებისა და გვარებისათვის წართმევით. ორივე შემთხვევაში საქმე სახელმწიფო სტრუქტურების წარმოშობისაკენ მიდიოდა.

თუ შრომის ნაყოფიერება იმ ზომით გადიდებოდა, რომ ნამეტი პროდუქტი გაჩნდებოდა გვარებსა და ტომებში, დაიწყებოდა მათ შორის გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა, წარმოიშობოდა მდიდარი და ღარიბი. შესაძლებელი გახდებოდა მონობაც. ამიერიდან სამხედრო ტყვეებს კი არ დახოცავდნენ, არამედ მონებად გამოყენებდნენ... სხვა ფაქტორებთან კავშირში ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა ჯერ პრიმიტიულ წინა სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ სახელმწიფოს წარმოშობასაც– თუ ერთი ტომი ან გვარი მეორეს დაიმონებდა და მას ხარკის გადახდას დააკისრებდა, თეით ხარკის ამოღების ორგანიზება მოითხოვდა პროტოსახელმწიფოებრივი თუ სახელმწიფო სტრუქტურების შექმნას, აღრიცხვიანობას, ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობისათვის აუცილებელი ორგანოების შექმნას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის დასასრულიდან საქართველოში იწყება რკინის კულტურა, რკინის იარაღების და სამეურნეო და კულტურული დანიშნულების რკინის ნივთების შექმნა. ეს გარემოება ხელს უმართავდა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესს, სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს.

რკინის ხმარება ე.წ. კრეტა-მიკენის ეპოქაში არ იყო გაერცელებული. ხოლო ჰომეროსის „ილიადასა" და „ოდისეაში" რკინა ასე თუ ისე იხსენიება, მაგრამ „ოდისეაში" უფრო ხშირად, ვიდრე „ილიადაში".

ჰომეროსის ეპოქის საბრძნეთში რკინის გამოყენება ახალი მოვლენაა. კუნძულ კრეტაზე ძველ ბერძნებს, როგორც გაირკვა, იეროგრიფული დამწერლობა გააჩნდათ ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულში. მამასადამე, არსებობს მაგალითი, რომ რკინის იარაღების გამოყენებამდე ტომსა თუ ხალხს დამწერლობა შეექმნას ან გამოეყენებინოს.

სახელმწიფო, რომელიც დამწერლობით სარგებლობდა, ცხადია უფრო მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო იმ სახელმწიფოსთან შედარებით, რომელიც დამწერლობის გამოყენებამდე არ ამაღლებულა. ისტორია იცნობს დამწერლობის არ მქონე სახელმწიფოებსაც. ზოგან დამწერლობის არ მქონე, უდამწერლობო სახელმწიფოები იწყებენ მეზობელი დამწერლობის მქონე სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებას. რიგ შემთხვევებში წარჩინებულთა ფენა იყენებს მეზობელ ქვეყნის ან ქვეყნების დამწერლობის გამოყენებას.

ძველ საბერძნეთში, კერძოდ ძველ ათენში, ანბანური დამწერლობის გაერცელება და სახელმწიფოს წარმოშობა დაახლოებით დროში ერთმანეთს ემთხვევა, მეტ-ნაკლებად ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ძველ ჩინეთშიც. სადაც იეროგლიფური დამწერლობის უძველესი სახეობის წარმოშობა დაემთხვა სახელმწიფოს წარმოქმნას. საქართველოსა და ზოგიერთ მის მეზობელ ქვეყნებში საეარაუდოა სახელმწიფოს უფრო აღრეულ ხანაში ჩამოყალიბება. ვიდრე საკუთარი ანბანური დამწერლობა იქნებოდა გამოგონილი და ჩამოყალიბებული.

გზა სახელმწიფოს წარმოშობისა, სავარაუდოა, რომ არა ერთი და ორი არსებობდა, მაგრამ მკელევართა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია. რომ მათ შორის ორი მთავარი მიმართულება უნდა გამოეყოთ. საუკეთესო შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პროტოპოლიტიკური ურთიერთობების შედარებით მაღალ საფეხურზე საგვარეულო არისტოკრატია დაეუფლა ქვეყნის, ხალხის სიმდიდრის უდიდეს ნაწილს. მათ შორის უპირველესობასაც. ერთი სიტყვით საგვარეულო არისტოკრატია ხელთ იგდებს ეკონომიკურ ძალაუფლებასაც. ეკონომიკური ძლიერება კარგი საუუბეველი იყო საგვარეულო არისტოკრატიის ხელში სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრისა.

ასეთი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს წარმოშობის კლასიკური გზა, რომლის მაგალითადაც ათენში სახელმწიფოს წარმოშობა ითელება.

მეორე მთავარი გზა სახელმწიფოს წარმოშობისა გულისხმობს, რა თქმა უნდა სოციალურ-ეკონომიკური და კუტურულ-რელიგიური განვითარების გარკვეული ისტორიული სიმაღლის არსებობას... ამასთან ამ შემთხვევაში საგვარეულო არისტოკრატია ჯერ კიდევ არ არის ეკონომიკურად გაბატონებული ძალა. ის ჯერ კიდევ არ ფლობს ქვეყნის სიმდიდრის, სახალხო ქონების უდიდეს ნაწილს.

საზოგადოებრიეი თანამდებობის პირები, რომლებსაც სახლხო კრება ირჩეედა გარკვეული ვადით და რომლებიც უსასყიდლოდ ასრულებდნენ სახალხო კრების მიერ დაკისრებულ თანამდებობრიე მოვალეობებს, დროთა ვითარებაში, საზოგადოებრიეი ურთიერთობების გართულებასთან ერთად, სახალხო კრებისაგან მოითხოვენ ანაზღაურებას საზოგადოებრიეი თანამდებობის შესრულებისათვის. სახალხო კრების მიერ არჩეული, ვთქვათ, გვარის მამასახლისი იგიეე გვარის უხუცესი იძულებული ხდება მოწყდეს მწარმოებლურ შრომას და წელიწადში რამოდენიმე თვე (საერთო ჯამში) მოახმაროს გვარის (ტომის) წევრთა შორის დავის გარჩევას. ასეთ ვითარებაში დაისვა საკითხი სახალხო კრების წინაშე. რომ გამონახულიყო წყარო საზოგადოებრიეი თანამდებობის პირთა შრომის ასანაზღაურებლად... თავდაპირველად ამ ანაზღაურებას ცხადია, ნატურალური ფორმა ექნებოდა. საზოგადოებრიეი თანამდებობის პირებს მოდაეე მხარეები, სავარაუდოა, დავის გარჩევის საზღაურად უხდიდნენ ცხვარს, ღორს, ხბოს,

ძროხას, ხარს და ა.შ. დროთა ვითარებაში გაჩნდა აღგილმამულების მიწების სპეციალური ფონდი. ამ მიწის ნაკვეთებზე მოსული მოსაკიდან უნდა აენაზღაურებინათ საზოგადოებრივი თანამდებობის პირებისათვის გაწეული შრომა. სამამასახლისო სამსახურებული აღგილ-მამულები რომ არსებობდა ძველ საქართველოში ამის შესახებ ინფორმაცია შეძონახული გვაქვს XI საუკუნის დოკუმენტში, ცნობილ ოპიზის სიგელში, ხსენებულ სიგელის მიხედვით მეფეს უფლება ჰქონდა სამამასახილო სამსახურებლობისათვის განკუთვნილი მიწის ფონდის ნაწილი შეეწირა ეკლესიებისა და მონასტრებისათვის.

წინასახელმწიფოებრივ ხანაში, საეარაუდოა, რომ სახნავ-სათესი მიწების ნაწილი განკუთვნილი იყო თემის, გვარის, „სახლის“ უპირველესი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთი მიწები დამუშავდებოდა „სახლის“ ე.ი. გვარის საერთო ძალებით და აქედან აღებული მოსაკალი მოხმარდებოდა ისევე თემის წევრებს მოუსაკლიანობის წლებში. აგრეთვე საზოგადოებრივი თანამდებობის პირთა სრომის ანაზღაურებას მას შემდეგ, რაც სახალხო კრებების დადგენილებით დაწესდებოდა მათთვის გარკვეული გასამრჯელოს გაღება. ასეთი ხასიათის მიწის ნაკვეთების არსებობის შესახებ ვიცით რიგი ძველი სამყაროს ხალხების ისტორიიდან. საკმარისია გაეიხსენოთ ძველი ჩინური მიწათმფლობელობის ისტორია (ე.წ. „ჭების სისტემა“).

რაკი ერთსელეე დაწესდა, რომ საზოგადოებრივი თანამდებობის პირის ღვაწლი, როგორც მმართველობითი და მართლმსაჯულებითი ხასიათის შრომა ანაზღაურებადია, ამით საფუძველი ცაეყარა ერთი მხრით საჯარო ხელისუფლებას და მეორე მხრით გაჩნდა გადასახადი, როგორც ხელისუფალთა შენახვის საშუალება. ამას უნდა მოპყოლოდა საზოგადოებრივი თანამდებების პირთა არჩევითობის იდეის შერყევა. ის თანდათან ყალიბდება, როგორც მემკვიდრეობითი ხასიათის თანამდებობა, რომელიც პრინციპში მამამ მემკვიდრეობით შეიძლება გადასცეს შვილს. ასე თანდათან ნელი ეეოლუციის გზით უნდა ჩამოყალიბებულიყო ჯერ მიკროსახელმწიფო და შემდეგ კი სახელმწიფოც. დროთა ვითარებაში მმართველი ფენების ხელში თავი უნდა მოეყარა ქვეყნის აელადიდებას, უძრავ და მოძრავ ქონებათა მასას.

რიგი მონაცემების მიხედვით, საეარაუდოა, რომ გომისა თუ გვარის უხუცესები ასრულებდნენ აგრეთვე რელიგიური ლიდერის ფუნქციებსაც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ასეთი ლიდერი უნდა ყოფილიყო ხევისბერი, რომლის ხელშიაც უნდა მომხდარიყო საერო და სასულიერო ხელისუფლების თაემოყრა. თუ ხევისბერს სახალხო კრება არა რამოღენიმე წლით, არამედ სამითდღეშიოდ აირჩეედა. ეს გარემოება ხელს შეუწყობდა პროგოსახელმწიფოებრივი სტრუქტურის უკეე პოლიტიკურ სტრუქტურად ანუ სახელმწიფოდ გადაქცეევას. ბერი, უხუცესი, მთავარი, ხელმწიფე და ა.შ. ტერმინებში ელინდება სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ქეეყნისა... რიგი ისტორიული მონაცემების მიხედვით გამორიცხული არ იყო სახელმწიფოებრიობის გადაგვარება ადრეელასობრივ საზოგადოებად ან სულაც გვაროვნულ საზოგადოებად. არახელსაყრელ საგარეო და საშინაო პირობებს შეეძლო გამოეწეიათ სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური რეგრესი. გარდაქმნა უარესისაკენ. ხომ ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში დორიელების დაპყრობით აქეიებს შეღეგად მოპყეა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური რეგრესი, მკეეთრი უკანდახეეა. ისტორიის ჩარხი ყოველთვის წაღმა როდი გრიალებდა...

საქართველოშიც არ არის გამორიცხული ასეთი პროცესები. მაგრამ ჯერჯერობით საკმაო მასალები მოძიებული არ არის.

სახელმწიფოს წარმოშობა რიგ სერიოზულ აეტორთა აზრით განაპირობა ექვსმა სხვადასხვა ფაქტორმა. ჩვენ ვიზიარებთ ამ ფაქტორთა დიდ როლს ისტორიაში და ჩვენის მხრივ შესაძლებლად მიგეაჩნია. ამ ფაქტორებს დავეშმაგოთ მეშვიდე ფაქტორიც – გეოგრაფიული ფაქტორი.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის სესახებ არსებობს საკმაოდ ერცელი სამეცნიერო ლიტერატურაც.

უკანასკნელ წლებში საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებზე ნაშრომებს აქეეყნებს პროფ. გ. ყორანაშვილი.

სხვადასხვა მკვლევარები საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის დროს განსხავებულად აღნიშნავდნენ, ზოგი ავტორი თვლის, რომ საქართველოში სახელმწიფო სამ ათას წელზე მეტია რაც არსებობს. ნაწილი მკვლევარებისა იმ აზრს იზიარებს, რომ საქართველოში სახელმწიფო წარმოიშვა ამ ორი ათასი ხუთასი წლის წინათ ე.ი. 25 საუკუნისაა ქართული სახელმწიფოებრიობა. პროფ. გ. მამულიას აზრით სახელმწიფოს წარმომობა ძველ ქართლში ემთხვეეა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას და მოღის ქრისტეს მობამდე IV საუკუნის დასასრულზე.

„წითელი პროფესორი“ ი.ი. ტაღახაძე XX საუკუნის ნახევარში წერს საღოქტორო დისერტაციას საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, სადაც ცდილობს დაიცეას თავისი წინასწარ აკვიატებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში პოლიტიკური წყობილების აღმოცენების პროცეესი იწყება მამულ- სახელმწიფოს წარმოქმნით ა.წ. მეექვსე საუკუნეში და მთავრდება მეათე საუკუნეში ერთიანი სიუზერენტიტეტის წარმოშობით. (აეტორეფერატის გვ.35). აეტორი ზემოხსენებულ დისერტაციაში აკეთებს ასეთ დასკვნას:

ამგვარად, ქართველებში VII-X საუკუნეებში ჩამოყალიბებული კლასობრივი ურთიერთობები თაეის პოლიტიკურ-იურიდიულ გაფორმებას პოულობს წერილობით დოკუმენტებში X-XI საუკუნეებში.

ავტორს გააჩნდა პრეტენზია იმისა, რომ მან გაანალიზა საწარმოო ძალებისა და წარმოებით ირთიერთობათა განეითარება საქართველოში მთელი ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში და იძულებული იყო შეხებოდა ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორს ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა. საოცარია რომ ავტორის დასკვნით ახ. წ. მეექვსე საუკუნემდე ყველა ქართველურ ტომში არსებობდა. ე.წ. პუნალუა ოჯახი, რომელიც პირველი საუკუნიდან აბარებდა წყვილადი ქორწინების ფორმას. მიუღებელია და მეცნიერულად მცდარია შეხედულება იმის შესახებ, რომ პუნალუა ოჯახისათვის დამახასიათებელი ეეულებები კარგად არის წარმოდგენილი მერვე საუკუნის ძეგლში – აბო თბილელის მარტეილობაში.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემის შესახებ სწორი შეხედულების ფორმირებას აძნელებს სახელმწიფოს ცნების შესახებ ერთიანი აზრის არ არსებობა მკვლევართა შორის. XX საუკუნის მეა წლების საბჭოთა მკვლევარები არ ცნობდნენ წინარესახელმწიფოს – პროტოსახელმწიფოს ცნებას და უნდა ითქვას, რომ დღესაც ძნელია მკვლევართათვის სახელმწიფოს გამიჯვნა პროტოსახელმწიფოსაგან.

არაიშვიათად მკვლევარები სახელმწიფოს წარმოშობაზე მსჯელობისას სახელმწიფოს ნიშუშად წარმოადგენდნენ ძველ ათენს, რაც მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ათენის სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განეითარების დონე ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში იმდენად მაღალი იყო, რომ ძნელია მას მეეადაროთ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი სლაეებში ან გერმანელებში. თანაც ისტორიული წყაროები უხვ ინფორმაციას გვაწვდიან ათენის სახელმწიფოს და სამართლის შესახებ, რასაც მოკლებული ეართ საქართველოში ან სომხეთში სახელმწიფოს წარმოშობასთან დაკავშირებით.

ი. ტალახაძეს მიაჩნდა, რომ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორები ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და ივ. ჯავახიშვილი მთლიანად და საესებით დგანან „ედ. მეიერის რეაქციულ პოზიციაზე“ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ქართველი ხალხის ისტორიაში რამდენჯერმე მეეცალეს ერთმანეთი გეაროენულმა და კლასობრივმა პოლიტიკურმა წყობილებამ.

ისტორიკოსმა საერთოდ და მათ შორის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სპეციალისტებმაც წინასწარ აკეიატებული რომელიმე პოლიტიკური მოძღერების გასამართებლად კი არ უნდა დაამახინჯონ ისტორიული ფაქტები, სანდო ისტორიული წყაროების მონაცემები, არამედ კეთილსინდისიერად უნდა გაანალიზონ ისინი. ივანე ჯავახიშვილი ისეთი მკვლევარი იყო, რომ წინასწარ აკეიატებული რომელიმე მოძღერების სასარგებლოდ არ დაამახინჯებდა ისტორიულ ფაქტებს. ედუარდ მაიერი (მეიერი) მისთვის არასოდეს ყოფილა კერპი და ამ მხრივ მიუღებელია ი. ტალახაძის მოსაზრება, რომ ხსენებული ისტორიკოსები იდგნენ ედ. მეიერის „რეაქციულ პოზიციაზე“.

ი. ტალახაძის აზრით „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორები „არ სცნობენ ისტორიულ მატერიალიზმს“. ასეთი ბრალდება XX საუკუნის ნახეეარში, როდესაც ი. ტალახაძის ავტორეფერატი დაიბეჭდა მოსკოვში, ნიშნავდა მეცნიერული დავის პოლიტიკურ სიბრტყეზე გადატანას და თუ მას დაუჯერებდნენ, აღამიანის, მეცნიერის გაჩირეასაც.

ი. ტალახაძეს, ნ. ბერძენიშვილს, იფ. ჯავახიშვილს და ს. ჯანაშიას მიერ დაწერილი „საქართველოს ისტორიის“ პირეელი ნაწილის 1946 წლის რუსული გადმოცემიდან მოაქვს ასეთი ციტატა: „ძვ.წ. VI საუკუნისათვის ჩრდილოეთ სუბარგის რაიონებში კერძოდ თანამედროეე საქართველოს ტერიტორიაზე, მოსახლეობა და მისი კულტურა განეითარების ისეთ საფეხურზე იდგა, როდესაც უკეე არსებობდა ყველა აუცილებელი პირობა სახელმწიფოებრიობის წარმოშობისათვის“.

ი. ტალახაძეს მიაჩნდა, რომ არა კულტურა, არამედ ეკონომიკა და საწარმოო ძალების მდგომარეობაა განმსაზღერელი ძალა სახელმწიფოებრიობის წარმოშობისა. ავტორის ასეთი შენიშენა მიუღებელია. თვით მარქსისტული მოძღერების მიხედვითაც კულტურა მოიცავს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოერების ყველა სფეროს და მათ შორის მატერიალურ-ეკონომიკურსაც.

ამასთან ერთად თვით მარქსიზმის კლასიკოსებიც არ უარყოფენ იმ გარემოებას, რომ ისტორია ზოგჯერ აკეთებს უზარმაზარ ნახტომს უკან და ა.შ.

თუ ტალახაძის მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოდის რომ ქართულმა ანბანურმა დამწერლობამ საუკუნეებით დაასწრო ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობას. ეს აზრი მცდარია. ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა ქართული სახელმწიფოებრიობა, რაც არმაზის ორენოვანი დამწერლობიდანც ჩანს. ისიც ცხადია, რომ ქართველებმა დიდი ხნის განმავლობაში ქრისტიანობის გამარჯვებამდე კარგად იცოდნენ არამეული და ბერძნული ენები და იყენებდნენ ხსენებულ ენებს ცხოერებაში.

მკვლევარი გ. მამულია მართებულად აქცეევს ყურადღებას სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტორებს.

გ. მამულიას აღნიშნული აქვს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში სახელმწიფოს გენეზისის შესწავლის შედეგად მკვლევარნი ექვს ფაქტორს გამოყოფენ, რომელთა მოქმედებაც განაპირობებს სახელმწიფოს წარმოქმნას.

ჩვენი აზრით სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზმის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა გეოგრაფიულ ფაქტორსაც. ამდენად მართებული იქნება ეისაუბროთ სახელმწიფოს წარმოშობის შეიდი ფაქტორის შესახებ.

სახელმწიფოს წარმოშობის პირველ ხელშემწყობ ფაქტორად მოსახლეობის სწრაფი ბრდა ითვლება. ამ მოვლენას ხშირად დემოგრაფიული აფეთქების" სახელწოდებით მოიხსენიებენ.

მოსახლეობის ბრდის დონე წინ უსწრებდა საარსებო საშუალებათა მოპოვების დონეს. ამ წინააღმდეგობის გადაჭრის რამოდენიმე გზა არსებობდა. ყველაზე პროგრესული იყო შრომის მწარმოებლურობის გადიდება, საწარმოო ძალების განვითარება, რასაც თან მოპყვებოდა საარსებო საშუალებთა ბრდა, მდიდართა და ღარიბთა ფენების გაჩენა. ეს კი თავისთავად ხელს გაუმართავდა სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს. უარეს შემთხვევაში ტომი რომელიც საარსებო საშუალებათა ნაკლებობას განიცდიდა, თავს ესხმოდა იმ ტომსა და გვარს, საღაც ეს სამუალებები ეგულებოდა. ამ შემთხვევაშიც საქმე სახელმწიფოს წარმოშობის მიმართულებით მიდიოდა. ტომებსა თუ გვარებს შორის ბატონობა-მორჩილებითი, უფალ-მონობითი ურთიერთობა მყარდებოდა და თუ სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების დონე ამის სამუალებას იძლეოდა, ბუნებრივად, სტიქიურად წარმოშობდა სახელმწიფოც.

სახელმწიფოს წარმოშობის მეორე ფაქტორად ომს და ომის სამიშროებას ასახელებენ.

„მოსახლეობის სწრაფი ბრდის კვალობაზე ომი, ომის სამიშროება და თავდასხმები ხელს უწყობენ ბელადთა აღმეფების და სოციალურ ორგანიზმთა უფრო ძლიერი და დახვეწილი ფორმების წარმოქმნას, იმისაგან დამოუკიდებლად, სოციალურ ორგანიზმთა გაძლიერების და დახვეწის უშუალო მიზები თავდასხმა თუ თავდაცვა იყო. ომი თავისთავად არ წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოქმნის მიზებს, მაგრამ ფიქრობენ, რომ იმი, ომის სამიშროება და სოციალური სტრესი დიდად უწყობდა ხელს სახელმწიფოს წარმოქმნას".

პროფ. გ. მამულია მართებულად აღნიშნავს, რომ ომით, ომის სასიშროებითა და თავდასხმისაგან თავის დაცვით აიხსნება ის გარემოება, რომ ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აღმოსაელეთ საქართველოს მიწა-წყალზე მდებარე „ციხეები" საგანგებოდ იყვენენ გამაგრებულნი, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ იყოდა ამ „ციხეზე" - მიწათმქმედი თუ მესაქონლე პატრიარქალური ტომი.

ხსენებულ ავტორს, ეფიქრობთ რომ მართებულად მიაჩნია, რომ აღნიშნულმა მოვლენებმა შეამზადეს დაახლოებით ძვ. წ. XII საუკუნეში აღმოსაელეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაწყებული სოციალური სტატიფიკაციის პროცესი.

გ. მამულიას აზრით აღმოსაელეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონე ძვ. წ. მეორე-პირველი ათასწლეულის მიჯნაზე ჯერ არ იყო საკმარისი სახელმწიფოს წარმომობისათვის. ამ დროისათვის „ქართლისიანთა" წილ მიწა-წყლის ფარგლებში ჩამოყალიბებულ „სახელმწიფო წარმონაქმნია" მიერ როგორც ერთმანეთს შორის წარმოებული ომები, აგრეთვე მეზობლებთან წარმოებული ომები ხელს უამრთავდა „სოციალური პროცესის" შემდგომ გაღრმავებას და ამდენად იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნასაც.

ამგვარად მკვლევარი „სახელმწიფო წარმონაქმნებს", ცხადია, არ თელის უკეე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოდ. ამით გ. მამულიას მოსაზრება ეწინააღმდეგება იმ ისტორიკოს-მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებთაც მიაჩნიათ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა ქართული სახელმწიფო იბერიაში (ქართლში) სამი ათასი წლისაა.

საერთოდ კი რთული ამოცანაა პროტოსახელმწიფო- სახელმწიფოებრიეი წარმონაქმნი გამიჯნო სახელმწიფოსაგან, როდესაც სათანადო სანდო წერილობითი წყაროების ნაკლებობას განიცდის მკვლევარი.

ძნელია ვისაუბროთ სახელმწიფოს, როგორც ასეთის არსებობის შესახებ თუ არ გაგეგზნია სანდო ცნობები საჯარო ხელისუფლების არსებობის შესახებ. პოლიციისა და მუდმივი არმიის არსებობის შესახებ, თუმცა მეგისმეგად საყურადღებოა კუნძულ კრეტაზე ე.წ. „ბე-ხაზოვან" დამწერლობაში ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულში ქვეყანა კოლხეთის ხოსხენება.

თაეი რომ დავანებოთ ლეგენდარულ ქრონოლოგიას „ქართული სახელმწიფოს საწყისები" ქრისტეს შობამდე X-VII საუკუნეშია საგულეებელი „რადგან სწორედ ამ დროიდან ჩნდება ძველაღმოსავლურ (ასირიულ, ურარტულ) წყაროებში დაიაენის, დიაოხის და კოლხას მოხსენიება, რომლებიც ქართულ ტაოხს და კოლხეთს უნდა შეესაბამებოდნენ". ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ნაწილს ქრისტეს შობამდე VIII-VII საუკუნეებში დასაელეთ საქართველოში კოლხეთის სახელმწიფოს არსებობა რეალობად მიაჩნია ქრისტეს შობამდე XIV-XII საუკუნეების მიკენურ დოკუმენტებში იხსენიება აიეტი, მედეა, კოლხიდა და ა.შ. ფიქრობენ, რომ ქართველური ტომები იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უჭირავს საქართველოს, ხუთი ათასი წელია რაც მოსახლეობენ.

საეარაუდოა, რომ მეფის ხელისუფლება ნელი ეეოლიციის გზით წარმოიშეა ტომის ბელადის ძალაუფლებიდან. ფიქრობენ, რომ მეფის თავდაპირეელი წოდებულება იქნებოდა „მეუფე მამასახლისი". „მეუფედან" ინდა იყოს მიღებული მეფე.

სახელმწიფოს წარმოშობა – ჩამოყალიბების მესამე ფაქტორად დაპყრობა ითვლება. ამ გზით სახელმწიფოს წარმოშობის მრავალი მაგალითია ცნობილი ისტორიაში. სპარგაში დაპყრობილი მოსახლეობა რიცხობრივად ოცჯერ აღემატებოდა დამპყრობლებს. ამიტომ დამპყრობლები იძულებულნი იყვნენ ისეთი სახელმწიფო შეექმნათ, რომელიც უმცირესობას უმარაგელსობაზე ბატონობად უზრუნველყოფდა.

დაპყრობის ორი ციკლის შესახებ საუბრობენ ქართველი ისტორიკოსები. ქრისტეს შობამდე მეორე პირველ ათასწლეულთა მიჯნაზე დაპყრობის შედეგად ჩამოყალიბდნენ სახელმწიფო წარმონაქმნები, ხოლო ძვ. წ. IV ს. ფარნაოაზის ხანაში ქართლის სამეფოც ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო ვერ წარმოიმობოდა მემგროეებლობითი მეურნეობის წიაღში, რადგანც ამ ხანებში ნამეტი პროდუქტი არ არსებობდა. სახელმწიფო მწარმოებლური მეურნეობის ღვიძილი შეილია. სახელმწიფოს ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მწარმოებლური მეურნეობის მაღალ დონეზე.

გ. მამულია აღნიშნავს სახელმწიფოს წარმოქმნის მეოთხე ფაქტორად ნაჭარბი პროდუქციის წარმოებას ასახელებენ. ნაჭარბი პროდუქტი საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ტომის ბელადთა დონეზე ჩნდება და საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის პროცესიც ნაჭარბი პროდუქციის წარმოების ბრდის პარალელური მოელენა არის, რომელსაც „მმართველი ფენა მოიხმარს სხვადასხვა ფორმის გადასახადების გზით“. ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მკვლევარები* აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე „მორწეის, სახნავი მიწათმოქმედებისა და ლითონის თოხის შემოღებამ განაპირობა ნაჭარბი პროდუქტის წარმოების სწრაფი ზრდა, რომელიც გ. მამულიას მართებული შენიშვნით „სოციალური განშრევების გაღრმავების პროცესში მიდიოდა სეფეწულთა მბარდი ფენის შესანახად“.

სეფეწულთა მბარდი ფენის შესანახად გაჩნდა გადასახადი, რომელიც თავდაპირველად მათი ნატურალური ფორმით შენახვას გულისხმობდა. ბოგიერთ ინდოევროპულ ენაში გადასახადი ეტიმოლოგიურად საღილს და გამასპინძლებას უკავშირდება. ქართულ საბუთებში შემონახულია „გოჯკომური“, რომელიც გულისხმობს წარჩინებულთა, მმართველთა ფენის გამასპინძლებას. გოჯკომური ნიშნავდა გრადიციულ სამასპინძლოს.* გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისურ ქართულ საბუთებში ის ხშირად იხსენიება. იგი უძველესი, ადრეკლასობრივი საზოგადოებიდანაა მოღწეული გადმონამთის სახით.

„გოჯკომურ-ი (გოჯკომურს) ტრადიციული სამასპინძლო ყოფილა: თავადები მიდიოდნენ გლეხებთან, სვამდნენ და ჭამდნენ. ამას ეძახდნენ გოჯკომურს.“

იხ. აგრეთვე ქარტული სამართლის ძეგლები, ტომი III, 1970. ი. დილიძის რედაქციით დასაწყისურ ქართულ საბუთებში ხშირად იხსენიება გოჯკომური. ბოგჯერ გოჯკომურის შინაარსი (გამონაკლის შემთხვევებში) წინასწარ არ არის დადგენილი და იგი დამოკიდებულია გლეხის პატიჟსა და ღირსებაზე. ბოგიერთი გლეხს „როგორც ეკაღრებდეს“ ისეთი გამასპინძლება ედო ბეგრად.

სახელმწიფოს წარმოშობა – ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობ შემდეგ (მეხუთე) ფაქტორად რელიგიური იდეოლოგია, „საზოგადოების“ მითი“ მიაჩნიათ. რელიგია აქრაულ ხანაში უდიდესი ძალა იყო. რელიგია მეიძლება განიმარტოს, როგორც ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებული მეხედულება ღმერთისა თუ ღმერთების შესახებ და მათ დამოკიდებულებაზე ადამიანებთან. რელიგიის უძველესი მნიშვნელობა ლათინურში უკავშირდებოდა სინდისს და ეს ბუნებრიეიცაა. რელიგიას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე მართებულია, ჯეროვანია, წესიერია, რიგიანია თუ არა ესა თუ ის საქიციელი ადამიანისა. რელიგიისათვეის მისაღებია თუ არა ესა თუ ის სოციალური ინსტიტუტი. ამა თუ იმ საგუარეულოს წარმომადგენელია ღიდერობა საზოგადოებაში, ტომში და ა.შ. რელიგიასვე უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე სამართლიანი თუ არა, კანონიერია თუ არა სახელმწიფოებრივი ინსტიგუტების აესებობა და ა.შ.

მეფე თუ მთავარი ვალდებული იქნებოდა თავდაპირველად და სხვა გუარების წევრთა მორის დავა გაერჩია იმ რელიგიურ ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე და მისი მოღვაწეობის ეს მხარე იქნებოდა მისიეე პოპულარობის საფუძველი. რელიგიურ-მითოლოგიურად საბუთდებოდა მეფის თუ ბელადის მაღლიანობა-კურთხეულობა.

სავარაუდოა, რომ მრავალ ხალხში არსებობდა შეხედულება, რომ მეფე არის მატარებელი ნაყოფიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგისა. მეფე იგულისხმებოდა იმ კურთხეულ-დალოცვილ არსებად, რიგ შემთხვევაში ღეთაებრივე არსებადაც, რომლის მაღლიც მიწის ნაყოფიერებას აღიდებს. არსებობს რწმენა, რომ ღმერთი მფარველობდა ამა თუ იმ გვარეულობას, საიდანაც წამოაყენებდა მეფეს, რომელიც უმწიკვლო არსებად და ღეთისმოსავად ითვლებოდა. რელიგია სამართლიანობის და სინდისიანობის ნიადაგზე იდგა, რა თქმა უნდა, იგულისხმება შედარებით განვითარებული რელიგიები.

მეიძლება ითქვას, რომ „საზოგადოების მითი“ იყო სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, მისი იდეოლოგიური გუმბათი.

სახელმწიფოს წარმოშობის ხელშემწყობ შემდეგ (მეექვსე) ფაქტორად თელიან განვითარებული სახელმწიფოების მქონე ფენების ზეგავლენას ამ მიმართულებით შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე სოციალ-ეკონომიკურად, პოლიგიკურად და კულგურულად

განვითარებული ქვეყანა, უეჭველია, გარკვეულ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა წინარესახელმწიფოებრივი დონის ხალხზე (ქვეყანაზე). მაგალითად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძველი ეგვიპტური კულტურის მეგავლენა ხელს უმართაველა სახელმწიფოს წარმოშობას ებრაელებში. ასევე ითქმის ბერძნების მეგავლენის შესახებ სლაეებზე და ა.შ.

საქართველოზე, განსაკუთრებით კი აღმოსაელეთ საქართველოზე გარკვეულ გავლენას მოახდენდა ურარტუს კულტურა, პირველყოფილისა მათი პოლიტიკური კულტურა. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ძველ ბერძნებთან და სპარსლებთან ქართველთა ურთიერთობის ფაქტორიც.

ჩვენი აზრით, უკეე შეიძლება გამოეყოთ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში მეშვიდე გეოგრაფიული ფაქტორიც. მკაცრი კლიმატური პირობები, გაუვალი ტყეები, გაყინული ზღვები ხელს არ უწყობს სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს.

„თითოეული ამა თუ იმ ფორმით გეოგრაფიულად განკერძოებული გარემო (მისი ტერიტორიული კომპლექსი) სპეციფიკურად ახდენს გავლენას საზოგადოებაზე და ეს გავლენა შეიძლება არა მხოლოდ საზოგადოების განვითარების ტემპებში, არამედ მის თვისობრიობასა და მიმართულებაში“.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ლანდშაფტის დემოგრაფიული ტევადობა, ე. ი. მოსახლეობის მასქიმალური რაოდენობის გათვალისწინება, რომელმაც საწარმოო ძალების მოცემულ დონეზე ლანდშაფტური ერთეულის ტერიტორიაზე შეიძლება იარსებოს და თავი ირჩინოს.

ძველი ბაბილონის კანონმდებლობა გავლენას ახდენდა სპარსეთზე. რიგი მონაცემებით ის მოქმედებდა ძველი სპარსეთის ტერიტორიაზე და ძველ ბაბილონური სამართლებრივი კულტურის „რადიაცია“ საეარაუდოა, აღწევდა საქართველომდეც.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზუსტი თარიღის დაღგენა ჭირს. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მკვლევარები სხვადასხვა აზრისანი არიან სახელმწიფოს ცნების და არსის შესახებ. ერთმანეთისაგან უნდა იქნას გამიჯნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, წინასახელმწიფო და სახელმწიფო. ხოლო ამისთვის საჭიროა სათანადო ისტორიული წყაროების მოხმარება, რაც ყოველთვის არ გაგეაჩნია სათანადო და საკმაო წყაროებიც რომ გაგვაჩნდეს, თუ ეერ შეეთანხმდებით სახელმწიფოს ცნების, მისი ძირითადი მახასიათებლების შესახებ, წარმატებას ეერ მიეაღწეეთ.

ყველა მკვლევარი თანახმაა, რომ სახელმწიფო გულისხმობს ქვეყნის და მისი საზოგადოების განვითარების გარკვეულ ისტორიულ სიმაღლეს, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების რაღაც აუცილებელ დონეს.

არ არსებობს შეთანხმებულობა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში რუს სწაელულ ისტორიკოსთა შორისაც 1989 წელს გამოცემულ ნაშრომში „თეთრი ლაქები უცდიან მკვლევარებს“, აკად. ბორის რიბაკოვი აკრიტიკებს ლენინგრადელ ისტორიკოს ი. ფროიანოვს, რომელიც თავის ერთ-ერთ მეცნიერულ ნაშრომში ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ 1241 წლამდე, ე.ი. XIII საუკუნის ორმოციან წლებამდე რუსეთში არსებობდა წინარეკლასობრიეი უკლასო საზოგადოება, ე.ი. პირველყოფილი წყობილება. ი. ფროიანოვის აზრით თეთრი ქვით ნაშენი ქრისტიანული ტაძრები, მხატერობა, საეკლესიო ლიტერატურა, ენციკლოპედიური ხასიათის კრებულები, მატიანეები, რომლებიც შეიცავენ შესაბამისი ეპოქის პოლიტიკურ შეხედულებებს, ყველაფერი ეს შექმნილია პირველყოფილ საზოგადოებასი.

არც ერთი ისტორიკოსი დაბეევული არ არის მეცნიერისაგან. ისტორიული პროცესის ობიექტურად ასახეა არ არის ადვილი. ისტორიკოსის ეროვნული, კლასობრიეი და რელიგიური ინტერესები გავლენას ახდენს მის მიერ შექმნილ ნაშრომზე.

ბ) სამართლის წარმოშობა საქართველოში

უნდა ვიეარაუდოთ, რომ პირველყოფილ, წინასახელმწიფოებრიე საზოგადოებაში არსებობდა ერთიანი მონო ნორმები. წეს-ჩვეულებები, სადაც ერთ ნაკადად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რელიგიური, სოციალ-ეკონომიკური და სხვა ხასიათის ქცევის წესები. თუ რელიგიის ცნების ქვემ ვიგულისხმებთ ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებას ღმერთის თუ ღმერთების შესახებ და მათ დამოკიდებულებას ადამიანებთან, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მნიშვნელობა დიდი იყო საზოგადოებრიე ურთიერთობათა სისტემაში. ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში „სარწმუნო“ რიგ შემთხვეევებში დღევანდეი მნიშვნელობით იხმარება. მისი მნიშვნელობა აგრეთვე ერთგული, საიმედო, ნამდვილი, შეურეეველი.* სარწმუნოება ითვლებოდა საიმედო, ნამდვილ მოძღერებად, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თუ წარმოვიდგენთ, რომ რელიგიური შეხედულებით გაჟღენთილი ჩვეულებები, როგორც ქცევის წესები, საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდნენ, მათ თავისი კეალი უნდა დაეტოვებინათ ენაში. ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში „სამართალი“ იხმარებოდა როგორც ბედსართაული, ასევე არსებითი სახელის მნიშვნელობით. მამასადამე „სამართალი“

ნიშნაედა სამართლიანს, სწორს და სამართალსაც დღევანდელი გაგებით („სამართალი წარმართთა მათ მიუთხრას“ (მ. 12, 18.) „სამართალი“ სიტყვა დღევანდელი მნიშნელობით უფრო გვიანდელი ჩანს. უფრო ძველი უნდა იყოს სტადიალურად, ისტორიული სიმაღლის თვალსაზრისით „წესი“, „რიგი“, „ჩვეულება“, „ჯერი“.

ძველი ქართული-წარმართული ხანის რელიგიური წარმოდგენებით – ქცევის წესს - „რიგს“ ღმერთი აძლევდა ხალხს. აქედან ღმებულობს სათავეს გამოთქმა „მორიგე ღმერთი“- ე.ი. ისეთი ღმერთი, რომელიც ქვეყანას-მასში მცხოვრებ ხალხს ქცევის გარკვეულ წესს (რიგს) უწყალობებს და ადამიანთა შორის ურთიერთობას აწესრიგებს. „რიგი“-ს მომცემ ღმერთს ეძღვნებოდა კვირაში ერთი დღეც – მორიგისა.

„რიგი“ ტერმინი მოგვიანებით, ქრისტიანულ ხანაში მნიშნელოვან ადგილს იკავებს ქართულ სამართალში, მოვიგონოთ ქართული სახელმწიფო სამართლის მნიშნელოვანი ძეგლი - „გარიგება ხელმწიფის კარისა“. ცხადია „რიგი“ დროთა ვითარებაში მნიშნელობას იცვლიდა, მოგვიანებით, გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ხანაში, როდესაც მეფე ღვთის სწორად წარმოიდგინებოდა „რიგისა“ და „გარიგების“ მიცემა მეფის, ხელმწიფის საქმე გახდა.

„მორიგე ღმერთი“ ძველი ქართული წარმართული მითოლოგიის მიხედვით უზენაესი ღვთაება იყო და სწორედ უზენაესს უნდა დაედგინა – დაეწესებინა ქცევის წესი.

„რიგის“ სინონიმებად ძველ ქართულში გვევლინება „წესი„ და „ჯერი“.

„წესი“ ერთ-ერთი უძველესი ქართული სოციალური მნიშნელობის სიტყვა-ტერმინია. იგი ქართულიდან უნდა იყოს სომხურში შესული, როგორც ამას პრ. აჭარიანიც აღიარებდა.

პროფ. ილია აბულაძის მიერ შეკრებილი ძველი ქართული ენის მასალების მიხედვით „წესი“ - ნისნაედა კანონს, სჯულს, განაწესს, ბუნებას და ა.შ. სჯულში უძველეს ხანაში რელიგიას იგულისხმებოდა და სამართალიც. გამოთქმაში წეს-რიგი, სწორედ იმ გარემოების გამოძახილია, რომ „წესი“ და „რიგი“ ერთმანეთის ანალოგიური მინაარსის მატარებლები იყვნენ და ბუნებრივად განნდა გამოთქმა მოწესრიგება, მიაწესრიგა და ა.შ.

შუა საუკუნეებში ჯერ კიდევ ანსხვავებენ წესსა და სამართალს. XIV საუკუნის საკანონმდებლო ძეგლში ბექა მანდატურთხუცესის სამართლის წიგნში (49-ე მუხლი) ერთმანეთისაგან გამიჯნულია „წესი“ და „სამართალი“. „იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა მამულოენებით გაიყვნენ, თუ ცოლსა შეირთავს, იგი წესია – სამართალი – არა“.

„ – წესი რამე დადებული ძნელად მოიშლების, შუანი არა ემართლებიან.–“

ჩვენი აზრით „ალაგის“ წესში უნდა იგულისხმებოდეს ტერიტორიული თემისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულება, რომელიც ზოგადად მთელი ქვეყნისათვის არ არის დამახასიათებელი, ხოლო „გვარის“ წესში უნდა იგულისხმებოდეს ამა თუ იმ საგვარეულოში შემორჩენილი არქაული წესჩვეულება, რაღაც მსგავსი იმისა, რასაც ძველი რომაელები „იუს გენციუმს“ საგვარეულო სამართალს ეძახდნენ. „იუს გენციუმმა“ მხოლოდ მოგვიანებით მიიღო საერთაშორისო სამართლის მნიშნელობა, ხალხთაშორისი სამართლის მნიშნელობა.

XIV საუკუნის ქართველი კანონმდებლისათვის „სამართალი“ უფრო ფართე და მნიშნელოვანი ცნებაა ვიდრე „წესი“. ქართულად თარგმნილი ოთხთავის ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში (ადიშის ოთხთავი 897 წ) გვხვდება „წეს – ყოფა“, „წეს – არს“ (მ. 22,17) მნიშნელობით საჭიროა, უნდა, ჯერ-არს.

საგვარეულო თემისათვის დამახასიათებელი ქცევის წესი, წესჩვეულება დროთა ვითარებაში „ალაგის“ - ტერიტორიული თემის წესად გარდაიქმნებოდა, ხოლო ცალკეული ხევებისა და სოფლების თუ „ალაგებისთვის“ დამახასიათებელი ქცევის წესები თანდათან ცელილებებს განიცდიდა, შეღარებით ერთიან სისტემურ ნორმებად ყალიბდებოდა და ჯერ წინარესამართლად, ხოლო შემდგომ დროთა ვითარებაში სამართლის სახით მოევლინებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

სამართალი დიდხანს ინარჩუნებდა რელიგიურ ელფერს და აქედან გამომდინარე, საკარაუდოა, რომ განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურზე ფიცს – რელიგიურ მტკიცებულებას დიდი მნიშნელობა ენიჭებოდა. ზოგან ფიცი უნივერსალური მტკიცებულებაც კი უნდა ყოფილიყო. ქართული სამართლის მასალების მიხედვით ფიცი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ მნიშნელოვანი მტკიცებულება იყო.

ქართული ყოფისათვის დამახასიეთებელია ის გარემოება, რომ ქართულივე სამართლის მასალების მიხედვით წესის და რიგის სინონიმური მნიშნელობით იხმარებოდა „ჯერი“, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ფიცს, უპირაგესად კი განსაწმენდელ ფიცს ნიშნავდა.

ქცევის საველდებულო წესს, სხვადასხვა ქართველურ ტომებში, მათ საკომო ენებში (დიალექტებში) ყოველთვის ერთი და იგივე სიტყვით არ გამოხატავდნენ. ამიტომაც შეიძლება „წესი“ „რიგი“ და „ჯერი“ სხვადასხვა დიალექტებიდან მომდინარეობდეს.

წინარე სახელმწიფოებრივ თუ ადრეკლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა ურთიერთობა საერთოდ და მათ შორის წარმოებითი ურთიერთობაც ძირითადად რელიგიური ნორმებით წესრიგდებოდა, ქცევის წესი, სავარაუდოა, სწრაფ ცვალებადობას არ ექვემდებარებოდა; მაგრამ საზოგადოება დროთა ვითარებაში თანდათან ვითარდებოდა ძველი ქცევის წესი გვარის ან ტომის ეკონომიკური, სოციალ-კულტურული და რელიგიური განვითარების გზაზე დაბრკოლებად, მუხრუჭად იქცეოდა და თუ ეს გარემოება სარწმუნოებისა და

საზოგადოებრიები ხელისუფლების მესვეურთა მიერ გააზრებული იქნებოდა, შეგნებული იქნებოდა, დღის წესრიგში დგებოდა ქცევის ახალ წესსაც რელიგიური დასაბუთება სჭირდებოდა, ღმერთს უნდა შეეცვალა ქცევის ძველი წესი – ახლით. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღიარეს ისტორიკოსებმა წინარე სახელმწიფოებრიები დონის სამართლის, წინარესამართლის არსებობა, ლ.ს. იაკიჩს შესაძლებლად მიაჩნია ე.წ. არაიურიდიული, არასამართლებრიები სამართლის არსებობა. ასეთი სამართალი არსებობდა სახელმწიფოსა და სამართლის არსებობამდე, მათ საკანონმდებლო გაფორმებამდე ის არსებობდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მორალურ წესებში, სოციალურ დაჩემებაში (განაცხადში), ჟამტრობრიევან ჩამოყალიბებულ ნორმებში.

თუ როგორ, რა გზით შეპქონდათ ქცევის წესებში ცვლილებები, ამის წარმოსადგენად უნდა მოვიშველიოთ სათანადო ეთნოგრაფიული მასალები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქცევის წესებში ცვლილებების შეტანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქადაგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქადაგის ფუნქციათა შორის უმთავრესს წარმოადგენდა. ა) შუამავლობა ხალხსა და „ღვთისშვილებს“ შორის, ბ) მომაელის წინასწარმეტყველება, გ) ხატის მსახურთა არჩევა, დ) სახატო საქმეების მოწესრიგება ხატის უძრავი მოძრავი ქონების გაზრდა, ე) საზოგადოებრიები ცხოვრე მნისვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა - მოწესრიგება... რჯულის წესების ჩამოყალიბებასა და დადგენაში მონაწილეობა.

ქცევის წესების ჩამოყალიბება, სოციალურ-რელიგიური ნორმების თავდაპირველად წერილი ფორმით ფიქსირება, საზოგადოების, ხალხის ცხოერებაში მნიშნელოვანი მოელენა იყო. ცხადია, მძიმე და სერიოზული საქმე იყო ერთხელ უკეე დამკეიდრებული ქცევის წესებისა და ნორმების სავსებით ახლით შეცელა. საფიქრებელია, საეარაუდოა, რომ არსებულ სოციალურ-რელიგიურ ნორმებში ცვლილებები ნელ-ნელა უფრო ხშირად თანდათანობით შეპქონდათ.

ხეესურეთის მაგალითის მიხედით თუ ეიმსჯელებთ, უნდა ეიფიქროთ, რომ ტომის ყეელაზე ავტორიტეტული სალოცავის საშუალებით ხდებოდა ქცევის წესებსა და ნორმებში ცვლილებების შეტანა.

ე. ერიაშეილის მიერ მოძიებული მასალების მიხედით „სრულიად ხეესურეთის თემის სალოცავი გუდანის საღმრთო გიორგის ჯვარი მთავარი რჯულმდებელის როლში გამოდიოდა. აქ იკრიბებოდნენ ხალხური სამართლის მცოდნე პირები – ბჭე-ხეეთსბერნი, რომლითაც ქადაგის, ორაეულის საფუძეელზე სრულიად ხეესურეთის რჯულში ცვლილებები შეპქონდათ. ქადაგობის მნიაარსი და ბჭე-ხევისბერთა გადაწყეტილებანი სათანადო წარმომადგენლობის მეშეეობით გადაეცემოდა სხვა თემების ჯვარ-ხატთა დარბაზებს“.

ამგვარად პროგრესის პრინციპი ჩაისახა თეით რელიგიის წიაღში სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები განეითარების უნარიანნი იყენენ.

ჩვენი აზრით წინასახელმწიფოროებრიე და წინასამართლებრიე ღონეზე ქართველთა ტომებში უკეე გამომუშაევებული იყო სოციალური პროგრესისა და კულტურული წინსელის თაეისებური ხერხი, მეთოდი. ქურუმები, სასულიერო პირები. განსაკუთრებით მაღალი რანგის სასულიერო პირები მონაწილეობდნენ სამართალ-შემოქმედებაშიც და მართლმსჯულებაშიც. გვარებს შორის კონფლიქტს მომწესრიგებელნიც ისინი იყენენ. ეს ჩანს, სტრაბონის მიერ შემონახული ცნობიდანაც.

საგულეებელია, რომ ბარის რეგიონის საქართეელოშიაც ქადაგები, სასულიერო პირები თამამობდნენ მნიშვნელოვან როლს ქცევის წესების ეეოლუციაში და სამართალგანეითარებაშიც.

სპარგაში ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის დასასრულს ყოფილან სპეციალური მოხელეები – ეფორები. რომელთაც ეეალებოდათ ღეთაების ნაკარნახეი ქცევის წესები და ნორმები ეუწყებინათ ხალხისათეის.

სასულიერო თუ საერო პირი, რომელიც სოციალური პრაქტიკის მეშეეობით მომზადებული იყო ქცევის წესებში ცვლილებების შესატანად, იძინებდა გაძარში და აქ ღებულობდნენ საბოლოო გადაწყეტილებს ქცევის წესებში, სოციალურ-რელიგიურ ნორმებში ცვლილების შეტანის შესახებ, აქ ხდებოდა ქცევის ძეელსა და ახალ წესებს შორის მერყეეი წონასწორობის დაძლეეა და არსებითად ადრე დაწყებული სოციალური პროგრესის შენობის მოგუმბათება.

პირეელყოფილი თუ ადრეკლასობრიეი საზოგადოების პირობებში მცხოვრები ადამიანისთეის ადეილი როდი იყო გაეაზრებინა განეითარების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესში გამოხატულ-გამოელენილი ისტორიული აუცილებლობა, მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა მიეიღოთ მხედველობაში, რომ ხსენებული საზოგადოების წიაღში ადამიანთა გარკეეული, საეარაუდოა, მცირე ნაწილში მაინც აღინიშნებოდა ზოგადი გონიერების იმდენად მაღალი დონე, რომ მათ უნარი შესწეედათ კულტურის მიღწეულ საფეხურთან შედარებით, ახალი გზა გაეკაფათ მოქმედებისათეის, წინსვლისათეის, სოციალური პრქაგიკისათეის. საგანთა ლოგიკა ქმნიდა ახალი სიტუაციას და მასთან შეგუება ქცევის წესთა სისტემაში გარკეეული ცვლილებების შეტანას მოითხოედა. საწირო ხდებოდა ქცევის წესის, „გვარის წესის“ „ალაგის წესის“ მეგნაკლებად შეცელა, „სჯულში“, „რჯულში“, „რჩულში“, „წესაა“, და „რიგში“ ცვლილების შეტანა.

ქცევის წესში ცვლილებების შეტანას შემდეგაც გამორიცხული არ იყო ბრძოლა, რეციდიეი კვლავ ძეელი წესის აღდგენისა. მურისძიების ჩეეულება, მართალია, აიკრძალა და „სისხლის“ საფასურის გადახდა დაწესდა, მაგრამ კვლავ იყო სამიშროება ძეელი „რიგის“ აღორძინებისა. ერთი სვანური ანდაზის მიხედით სისხლის საფასურის ამღები მეგს დარდობდა, ეიდრე მისი

გადამხდელი.* როგორც ჩანს, ფასეულობათა არქაულ სისტემაში შურისძიება ვაჟკაცობად ითვლებოდა, ხოლო მასზე უარის თქმა – ლაჩრობად. ასე რომ შურისძიების ჩვეულებამ მისი აკრძალვის შემდეგაც დიდხანს გაძლო და გადმონაშთების სახით საუკუნეების განმავლობაში იარსება.

ოთხთავის ქართული თარგმანის უძველესი ხელნაწერების მიხედვით სასჯელი, სასჯელი, სარჩელი ნიშნავდა სასამართლოს, სამართალს, გასამართლებას, განაჩენს, მსჯავრის დიდებას. ეს გარემოება გეგულისხმებინებს რომ სიტყვა ტერმინი სამართალი ყალიბდებოდა დიდი ხნის განმავლობაში სასამართლო პრაქტიკის წიაღში, სატომო ტერიტორიული ერთეულების დონეზე და მხოლოდ მოგვიანებით, სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ჩნდება ტერმინი სასამართლო ჯერ შეფხსართავი სახელის სახით – მართალის, სამართლიანის და სწორის მნიშვნელობით, და მხოლოდ გვიან არსებითი სახელის სახით. მაგ. „სამართალი წარმართთა მან მიუთხრას (მ. 12, 18) ან კიდევ „თანა-წარჰვალთ სამართალსა და სიყვარულსა ღმრთისასა (ლ. 11, 42).

სამართლისა და რელიგიის ერთმანეთისგან გამიჯვნა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ქრისტიანული მოძღვრება გადაიქცა სამართლის თეორიულ საფუძვლად. თანაც საერო სამართალს გაემიჯნა საეკლესიო სამართალი – როგორც საერო ასევე საეკლესიო სამართალი ქრისტიანული სულიერი ფასეულობებისა, ქრისტიანული კულტურისა და მორალისა.* ათვისებული იქნა ბერძნულ – რომაული შედარებით განვითარებულ სამართლებრივ ინსტიტუტში. უარყოფილ იქნა შურისძიების იდეა, ობიექტური მერცხვა, დამუშავდა მოძღვრება ბრალის შესახებ. საეკლესიო სამართალი ვერ მიიღებდა რიგ ქვეყნებში საერო ჩვეულებით სამართლისთვის დამახასიათებელ რიგ ბარბაროსულ მტკიცებულებებს – ორდალებს და ა.შ.

20) მართებულია სს. ალექსეევის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლის სოციალური ფასეულობის გასაგებად მის ყველა ასპექტში არსებითია ის გარემოება, რომ სამართალი გეელინება სამუალებად, რომელიც გამოხატავს საზოგადოების სულიერ ცხოვრებას; სამართალი თავისებურად მატარებელია საზოგადოების სულიერი, კულტურული და მორალური ფასეულობებისა.

საინტერესოა ქართული ენისათვის დამახასიათებელი უძველესი იურიდიული ტერმინოლოგია. ძველ ქართული ენის დონეზე პროფ. ილია აბულაძეს დაფიქსირებული აქვს ძალ-ღება, რომელიც ნიშნავდა „შეძლებას“ „ძლებას“ „ხელმწიფებასა“ და „ფლობას“ - მამასადამე „ძალ- ღების“ სინონიმი იყო „ხელმწიფება“. ერთ დროს „ძალა“ და „ხელი“ ერთსა და იგივეს ნიშნავდა. მაგრამ შეინიშნებოდა სხვა ტენდენციაც. „ხელი“ ნიშნავდა წესს და სავარაუდოა სამართლასაც. ძალაუფლება და ხელისუფლება დღეს იდენტურ ცნებებად გვეჩვენება. მორეულ წარსულში ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. რუსთაველთან ვკითხულობთ „ცაჭრა ხელია მიჯნურთა“. „ცაჭრა“ აქ ველად გაეარდნას ნიშნავს, ხოლო „ხელი“ წესს, მოვალეობას, საქმეს. არ მევცდებით თუ ვიტყვით, რომ ხელი ამ შემთხვევაში ქცევის წესს ანუ დაახლოებით სამართალს ნიშნავს. ხელის წესის მნიშვნელობით ხმარების სხვა შემთხვევასაც ეხვდებით შოთა რუსთაველთან:

„დიდსა ვერ მოჰკელენ, ხელად აქეთ ხოცა ნაღირთა მცირეთა“ (16) მეშოთ მოტანილ სტროფში „ხელად აქეს“ ნიშნავს წესად აქეს. საეარაუდოა, რომ ერთ დროს (ადრეკლასობრივ ხანაში?) სამართალს, წესს გამოხატავდნენ სიტყვა „ხელით“. ამ დროს, ვფიქრობთ, ხელი ნიშნავდა სამართლასაც და უფლებასაც. მოგვიანებით ცნების გამოხატავდნენ „წესი“ სიტყვის შემეეობით, ხოლო წესი თანდათან მეცვალა „სამართალმა“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ერთმანეთს ებრძოდა ორი იდეა სახელმწიფოს შესახებ. ერთის მიხედვით სახელმწიფოს არსი, მისი საყრდენი ძალაა. აქედან ტერმინი ძალაუფლება. მეორის მიხედვით კი სახელმწიფო უნდა ეყრდნობოდეს სამართალს, წესს, სამართლიანობას. აქედან მიეიღეთ ტერმინი „ხელისუფლება“ - სამართლის ბატონობა, სამართალზე დაფუძნებული ძალა, სამართალზე დამყარებული სახელმწიფო.

ივანე ჯავახიშვილი

§ 1. მეფე და მეფის ხელისუფლების საფუძველი

ამ საკითხის შესასწავლადაც ჩვენ ხელთ თითქმის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ მოგვეპოვება საკმაო ცნობები, რომ საფუძველიანი მსჯელობა შესაძლებელი იყო. დასავლეთ საქართველოს აღწერილობა ამ პრობლემის შესასწავლად სანდო მასალებს არ გვაძლევს, მაგრამ რის შესახებაც ცნობებია, ის ქვემოთ მოყვანილი იქნება.

სტრაბონის აღწერილობიდანა ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობითგან განირჩეოდა და გამოყოფილი იყო ის წრე, რომლითგანაც მეფეს ირჩევდნენ, ან სეამდენ ხოლმე. ხოლო რადგან ამავე ავტორს ნათქვამი აქვს, რომ მეფედ ისეთ პირს ირჩევდენ ხოლმე, რომელიც გარდაცვლილი მეფის შემდგომ მახლობელობითა და წლოვანობით ყველაზე უფროსი იყო, აქედან ცხადი ხდება, რომ მახლობელობა ნათესაობის თვალსაზრისით უნდა

ყოფილიყო ნაგულისხმევი, მამასადამე, ის წრე, საიდანაც იბერიის მეფეს ირჩევდნენ უნდ აიმ სოციალურ ერთეულად ვიგულისხმოთ, რომელიც ნათესაობას წარმოადგენდა და ნათესაურ კავშირზე იყო დამყარებული. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს წრე და ნათესაური კავშირი ერთი გარკვეული საგვარეულო უნდა ყოფილიყო, რომელიც ევების რამოდენიმე შტოდ იყო დაყოფილი. მამასადამე, საფიქრებელია, რომ იბერიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს სათავეში სამეფო საგვარეულო მდგარა.

მეფის ხელისუფლების დამკვიდრების წესი სტრაბონს მკაფიოდ აქვს აღწერილი:

მეფედ იმასა სვამდენ, ვინც საგვარეულომი წინანდელი მეფის ყველაზე მახლობელი იყო ნათესაობითა და წლოვანობით კიდეც უხუცესი. მამასადამე, მეფის ხელისუფლება არ შეიძლება, რომ მამის შემდგომ მის უროს, ან რომელსამე სხვა შეილს მიელო, რადგან ის საგვარეულოში ყველაზე უფროსი არ იქნებოდა. ამგვარად მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი აღმოსაელეთ საქართველოში პირდაპირი მემკვიდრეობის წესი კი არ ყოფილა და პირმშოობის კანონზე კი არა, არამედ უხუცესობის კანონზე ყოფილა დამყარებული.

რა წოდებულება უნდა ქქონოდა საქართველოს მეფეს? თუ გაეიხსენებთ, რომ იგი მეფის საგვარეულოს უხუცესი იყო, საფიქრებელია, რომ მას იგივე სახელი უნდა რქმეოდა, რომელიც გვარის უფროსს ეწოდებოდა, ე.ი. მამასახლისი. რასაკვირველია, ჩეეულებრიე გვარის უფროსთა და სხვა ხელისუფალთაგან განსარჩეევად მის წოდებულებას ამას გარდა რაიმე განმასხვაებელი დანართი სახელიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ გეექნება საუბარი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლეონტი მროველსაც სცოდნია, რომ საქართველოს უზენაეს საჭეთმპყრობელს და მმართველსა და საქეეყნოდ გამრიგე ხელისუფლებასაც ქართულად წინათ „მამასახლისი“ ეწოდებოდათ“. ეს ცნობა მას რომელიღაც ძეელი ქართული წყაროსაგან უნდა ჰქონდეს ამოღებული, მხოლოდ ქრონოლოგიურად ეს მოელენა შეცდომით მერმინდელად და ვითომც არეულობის დროინდელად მიუჩნევია. მას სხვათა შორის ნათქვამი აქეს: „არაეინ იყო მათ (ე.ი. ქართლოსიანთა) მორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ აღეიოთი-აღგილად თაეადი (ე.ი. მეთაურნი) იჩინიან. ხოლო, რომელიც იყვის მცხეთას, იგი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა. და არცა სახელდებოდა მეფედ, არცა ერისთაეად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა და იგი იყვის მაზაეებელ დაბ ჭე სხუათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედა-ქალაქდ“-ო.

მცხეთის მამასახლისი, ეითარცა ქვეყნის უზენაესი ბაგონ-პატრონი, ჩეენ ისტორიკოსს მოხსენებული პაატს თურქთა აღმოსაელეთ საქართველოში დასახლების შესახებ ცნობამიაც: ისისნი „ მოვიდეს მცხეთას სახლი რეა და ებრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწეენა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართუელთა და ინებეს მეგობრობა მათ თორქთა“-ო.

მაგრამ, როგორც ლ. მროველის ცნობიდანა ჩანს და შემდეგში სხვა წყაროების მოწმობითაც დაერწმუნდებით, მამასახლისი მარტო მეფეს – კი არა, არამედ თემისა და თემის, ქალაქისა, დაბისა და საგვარეულოს მმართველსაც ეწოდებოდა სახელად. ბუნებრიეად იბადება საკითხი, თუ როგორ უნდა გაერჩიათ ქვეყნისა და სამეფოს უზენაესი გამგე საქეეყნოდ გამრიგე მოხელეებისაგან. ლ. მროველის სიტყეით საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელს „მცხეთის მამასახლისი“ უნდა პრქმეოღეს და თითქოს სწორე დეს უნდა ყოფილიყო მისი სხეებისაგან გამარჩეეული წოდებულება. ეს ცნობა რომ მთლად უსაფუძელო არ უნდა იყოს, ამას ერთი ანალოგიური მოელენაც გეაფიქრებინებს: ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელსაც ქართლისა კატალიკოზის სახელის გარდა მცხეთისა კათალიკოზიც ეწოდებოდა. მაგრამ მაინც დაუჯერებელია, რომ მცხეთისა მამასახლისის სახელის გარდა აღმოსაელეთ საქართველოს უზენაეს გამგეს თაეისი განსაკუთრებული წოდებულება არ ჰქონოდა. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის მსგავსად შეუძლია მას ქართლისა მამასახლისი პრქმეოდა, რადგან იბერიის სამეფოში ქართლი თუმცა უდიდეს, მაგრამ მაინც ერთადერთ შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა. საკუთრივ ქართლის გარდა ევრი და მესხეთიც იყო.ამიტომ არის რომ „ქართლისა მამასახლისი“ ქართლის საქეეყნო გამრიგე ხელისუფლის სახელი იყო.

სრულუფლებიანი ხელისუფლების მქონებელს ქართულად „ხელმწიფი“ ეწოდებოდა და მეშდეგში, მაგ., XI-XIII სს-ში, საქართველოს მეფესაც მართლაც ხელმწიფეს ეძახდენ. იქნებ იბერიის მეფეს „მცხეთისა მამასახლის“-საც ხელმწიფეს უწოდებდენ? საეჭეოა, რადგან უძეელეს ქართულ ძეგლებში, მათ მორის საღმრთო წერილის უძეელეს თარგმანშიც, „ხელმწიფე“ არას დროს მეფეს არ ჰნიშნავს. „ხელმწიფი“, როგორც თეით ამ ტერმინის აგებულებითაგან ჩანს, ისეთ პირსა ჰნიშნეს, რომელსაც „ხელი“, ე.ი. უფლება „მწიფე“ ანუ სრული აქეს. ამგვარად „ხელმწიფი“ სრულუფლებიანს, უფლების მქონებელს უდრის იმისდა მიუხედაეად, თუ ვინ იყო ეს პირი, მაგ. იაკობ ხუცესის სიტყვით, როდესაც ვარსქენ პიტიახშის გამაზღეანების გამო მისმა ცოლმა მუშანიკმა წარმართ ქმართან ერთად ყოფა აღარ მოისურვა და სხეაგან გადაეიდა, ვარსქენს უთქვამს: „რაისა ხელწიფა ჩემზედა ცოლმან ჩემმან ესეეითარისა საქმედ“-ო ე.ი. ჩემ ცოლს რა უფლება ჰქონდა ესრე მოქცეულიყოო? ევსტათე მცხეთელის მარტეილობის ავტორის ცნობითაც მცხეთაში მცხოვრებ საარსელს ხელოსნებს მცხეთის ციხისთაეისათვის უთქვამთ: „აქ არის კაცი ჩუენისა რჯულისაგანი... აწ შენ მოუწოდე და კკითხე, რამეთუ ამას ქალაქსა მინა ხელმწიფე ხარ“-ო (საქართ. სამოთხე, 313), ე.ი. ამ ქალაქში შენ სრული ხელისუფლება გაქვსო, ხოლო როდესაც ამ

მცხეთის ციხისთავს დასმენილი პირი დაუბარებია და საქმე გამოუძიებია, მას თურმე განუცხადებია: „ამის კაცისა პაგიი (ე.ი. დასჯა) მე არარაი ხელმწიფების არცა აღბმა ძელსა, არცა ჴყრობილება“-ო (იქვე, 314), მისი არც ციხეში ჩასმისა და არც ჯვარზე აღბების უფლება არა მაქვსო. ჭემონათქვამითგან ცხადი უნდა იყოს, რომ „ხელმწიფეი“ იბერიის მეფის განმასხვავებელ წოდებულებად მეუძლებელია ყოფილიყო.

ეხლა თუ გაეიხსენებთ, რომ ქეყნის უზენაესი გამგისა და ბერძნულ „ბაბილეუს“-ისა და სომხური „თაგაეორ“-ისა და არქა-ს ერთადერთ აღმნიშვნელ ტერმინად და შესატყვისობად „მეუე“ იყო, რომელიც თაედაპირველად „მეუფე“-დ გამოითქმოდა და იწერებოდა, ხანმეტ ტექსტებში ამ სახითვე გეხვდება, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის მეფეს თაედაპირველად საქვეყნოდ გამრიგე მოხელე და გვარის უფროსი მამასახლისებისაგან განსარჩევად ალბათ „მეუფეი მამასახლისი“ ერქმეოდა, რომლისგანაც შემდეგში მარტივად „მეუფეი“ და შემდეგ მეუე წარმოსდგა. აღსანიშნავია, რომ შემდეგ ხანაშიაც, მაგ. XI ს-ში, როდესაც საქართველოს მეფის ხელისუფლება, როგორც ქართული სამართლის ისტორიის“ II წიგნში დავრწმუნდებით, სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენდა, საქართველოს მეუე ვითარცა სამეფო სახლობისა და საგვარეულოს უფროსი, იმავე დროს მამასახლისადაც ითელებოდა. ამ გარემოებას ბაგრატ IV საკუთარი სიტყვები ცხადყოფენ, რომელიც მას ოპიზის სიგელში აქვს ნათქვამი: თუმცა დავა მიჯნაძოროელებმა მოიგეს, მაგრამ ოპიზარნიც რომ გულნატკენი არ დარჩენილიყვნენ, ამიტომ „რათამცა ოპიზარნიცა გულსაესე ეყვენ... თავსაცა ჩემსა დავათმინე: აეიღე სამამასახლისოისა სამსახურებელისა ჩუენისაგან სოფელი ბარევანი და მიეეც ოპიზართა“-ო. მაშასადამე, ამგვარად, როგორც სამეფო სახლობის წევრებს „უფლისწულები“ ეწოდებოდათ და მათ სამფლობელოს „საუფლისწულო“ ერქვა, ისევე უნდა დაეასკვნათ, რომ რაკი მეფის პირად კერძო საკუთრებას „სამამასახლისოი სამსახურებელი“ პრქმეია, თითონ ისიც მამასახლისად ყოფილა მიჩნეული.

§ 2. მეფის ხელისუფლების უხუცესობით დამკვიდრების დამადასტურებელი ცნობები

სტრაბონის საუცხოო აღწერილობა იმდროინდელი იბერიისა, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, ძვირფასს ცნობებს გვაძლევს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესრიგის შესახებ. იქ, როგორც ეიცით, ნათლედ არის აღნიშნული, რომ მემკვიდრეობის რიგი პირდაპირი კი არ იყო, მაშის შემდგომ მეფობის უფლება შვილზე პირმშოობით კი არ გადადიოდა, არამედ წლოვანებასა, უფროსობაზე და მხცოვანებაზე, უხუცესობაზე იყო დამყარებული: განსვენებული მეფის შემდგომ ვინც სამეფო საგვარეულოში ყველაზე უფროსი იყო ხნიერებით და ყველაზე მახლობლად ითელებოდა, იმას ეკუთვნოდა კიდეც იბერიის სამეფო ტახტი.

ფრიად საყურადღებო საგანია, გამორკვეულიყო, რამდენად ადასტურებენ სტრაბონის ამ ცნობას ქართული საისტორიო წყაროები? ლეონტი მროველის თხზულება ამ საკითხის გაღსაწყვეტად საჭირო მასალებს არ გვაძლევს, „მქცი ქი“-ს მატიანეში კი მოიპოვება ბერძენთა გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვების სიმართლის დამამტკიცებელი ცნობები. სამწუხაროდ, ამგვარი ცნობები მატიანეს თავითვანვე არ იწყება, დასაწყისში მეუეთა ნუსხა მეტად მოკლეა და სიტყვა ძეირი, ისე რომ იქ მეუეთა ჩამომაელობა-ნათესაობაზე მემატიანეს ერთი სიტყვაც არ წამსოცდენია. მხოლოდ მირიანის შემდგომ არის აღნიშნული, ისიც მხოლოდ ხუთი მეფის ნათესავობა და სწორედ ეს ცნობებია ჩვენთვის საყურადღებო. მქცი ქი-ს მატიანე ამტკიცებს, რომ მირიან მეფის გარდაცვალების შემდგომ „დაჯდა მეუედ ბაკურ ძეი რევისი“. ჩვენ ვიცით მატბერდისეული წა ნინოს ცხოვრებით, რომ მირიანს ჰყავდა შვილი, მაგრამ მაინც სამეფო ტახტზე ის კი არ ასულა, არამედ „ბაკურ ბეი რევისი.“ დასახელებულს მატბერდისეულ ცხოვრებაში მირიანის შვილი იწოდება რევად. მაგრამ ჭილძისეულში იგი „რევასაე“ (ibid), ესე იგი რევაზად, არის მოხსენებული. თუნდაც რომ ამ შემთხვევაში მატბერდისეული ცხოვრების ცნობა უფრო სწორე იყოს, მაინც მეონია ეს ბაკური მირიანის შვილი კი არ უნდა იყოს, – იმიტომ რომ მაშინ გაუგებარი იქნებოდა რატომ არ აეიღა სამეფო ტახტზე მირიანის ძე, თუ რომ მის შვილისშვილს გამეუება შეეძლო, – არამედ მირიანის ძმა უნდა ყოფილიყო, რევის (ან როგორც „მქცი ქი“-ს მატიანეში ალბათ შეცდომით წერია ლევის „ლეე მამაი კ8 (27) მეფის მირიანისი“) ძეი.

საყურადღებოა აგრეთვე რომ როცა „მოკუდა რევ“, მის მაგიერ ტახტზე „დაჯდა მეუედ ძმაი მისი თრდატ“ და არა ძე მისი. უფრო მეტი მნიშვნელობა შემდეგს ცნობასა აქვს, რომ „შემდგომად მისა (ესე იგი თრდატისა) დაღდა ვარაზბაკურ მეუედ“ და არა შვილი მისი, რომელიც სამეფო ტახტს ეღირსა მაშის შემდგომ კი არა, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ვარაზბაკური მიიცვალა. სწორედ „მისა შემდგომად მეუობდა ბაკურ ბეი თრდატისი“. დასასრულ ბაკურის „შემდგომად მეუობდა ფარსმან დისწული (ძმისწული?) თრდატისი“. სამწუხაროდ, აქა სწყდება მემატიანეს ცნობები მეუეთა ნათესაობაზე, მაგრამ ზემომოყვანილი მაგალითებიც ნათლად ამტკიცებენ, რომ მეუობის უფლება პირდაპირი მემკვიდრეობის წესრიგით კი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე, პირმშოობის წესით კი არა, არამედ ყოველთვის წლოვანობით უფროსზე ანუ უხუცესობით,

მაგალითად განსხვავებულ მეფის ძმაზე. როგორც ქეგმოთ გამორეეული იქნება, მჭი ჭი"-ს მაგიანეს მეფეთა ნუსხა სწორი და სრული არ არის, მაგრამ მაინც მაგიანეს შემოალნიშნულს ცნობებს მეფეთა ნათესაობაზე დიდი მნიშვნელობა აქეს: საქართველოს სამეფო კარის მემეეიდრეობის წესრიგი იმდენად მეთვისებული და ძველ-რბილში ჰქონია გამჯდარი, რომ მაშინაც კი, როცა მფეთა ჭეშმარიგის ნუსხის შესადგენად ღირსეული მასალები არ მოეძებნებოდა, მას სამეფო გახგის მემეეიდრეობის წესი არ დაჰეიწყებია.

სგრაბონის სიგყვების სრულ ჭეშმარიგებას ამგეიცებს მეგაღრე VI საუკ. დამდეგს ასურულად დაწერილი პეგრე იბერის ანუ ქართველის ცხოვრება. ეს თხზულება ასურულად როგორც ამ ცხოვრების ქართულ თარგმანთანა ჩანს პეგრე ქართველის მოწაფის მაქარია ქართველისაეე მიერ ყოფილა დაწერილი: „მე გლახაკი მოწაფე მისი ქართლითგანეე უკანა შეუდექ წიდასა, მას ვიდრე მიცვალებადმდე მისა; ამისთვისეც აღვწერე ცხოვრება მისი და სასწაულნი თვალითა ჩემითა ხილული და ყურითა სმენილი"-ო, ნათქვამია იქ. მამასადამე, ჩვენ ხელთა გვაქეს თანამედროვეს მიერ დაწერილი ნაწარმოები, რომელსაც თუმეა რ. რააბეს მიერ გამოცემულს ასურულს ცხოვრებაში სამწუხაროდ, უკუე თავდაპირველი სახე შეცვლილი აქეს, მაგრამ მაინც შიგ ძვირფასი საისგორიო ცნობები არის შენახული. ცხოვრების პირველ ნაწილში მოთხრობილია და ჩამოთვლილი პეგრე ქართველის ჩამომავლობა და ნათესავობა, ხოლო რაკი იგი სამეფო საეკლესიო წევრი იყო, ამიგომ იქ აღნუსხულია ქართველ, იევრთა მეფეთა სამი თაობა. სამწუხაროდ, ასურულ დედანში სახელები ცოგა არ იყოს დამახინჯებულია და ბოლოშიაც თვითეულ სახელს ბერძნული დაბოლოება „ოს" აქეს მიმაგებული. პეგრე იევრის, ანუ ქართველის ერისკაცობის სახელად თურმე ყოფილა „ნბრნვეიოს", რაც შეიძლება სხვადასხვანაირადაც იყოს წაკითხული: ან „ნაბარნუგიოს", ან ნაბრონუგიოს", ან ნიბარანაუგიოს, ნიბარნუგიოს და სხვა ქართველ მთარგმნელს ამის მაგიერ „მორეანობა" უწერია. რომელია სწორი, ჯერ ამის თქმა არ შეიძლება იმიგომ, რომ თუმცა ნ. მარრისა არ იყოს, იქნებ ასურელ გადამწერს მისთვის უცნობი სახელი „მორუანობ", ანუ „მურუანობა" დაემახინჯებინა, მაგრამ ესეც კია, რომ სამაგიეროდ ქართულ თარგმანშიაც, რომელიც პავლე ხუცესსა და დეკანობს შეუსწორებია, სწორედ შესაყალი და მეგადრე მეფეთა საკუთარი სახელები გადაუკეთებია. ამასთანაეე მას თვით შესაყალიც კი იმდენად გადაუსწორებია, რომ მეფე მირიანისა და წა ნინოს შესახები ცნობები ჩაურთავს: ასურულ დედანში კი არც ერთი, არც მეორე მოხსენებული არ არის. ამიგომ იქნება სწორედ ასურულში იყოს შენახული პეგრე ქართველის ერის კაცობის სახელის მართლწერა. მაინც და მაინც სხვათა სახელები ასურულში უკეთესად არიან შენახული ეიდრე ქართულში. რაკი პეგრე ქართველის ყმწვილობის სახელი ჩვენი კელეების საგნისათეის არა გეჭირდება, ამიგომ მისი მართლწერის საკითხს აღარ გამოეეკიდებით.

პეგრე ქართველის მამა ყოფილა „ბუსმაროს", ან „ბუსმუროს" თაედაპირეელად იქნებოდა „ბუსმპორიოს". თუ ბერძნულ დაბოლოებას „ო"-ს მოეაკეეთ, დარჩება „ბუსმირი" ან „ბუსმიპრი", ბუმმიპრი სპარსული საკუთარი სახელია, რომელიც საქართველოშიაც მიღებული ყოფილა; ეს სახელი პრქმეეია მაგ., ქართლის მთავარს. „ბუმმილ"-აღეე იწოდება ევსგათე მცხეთელის ერთი მეგომეთაგანი. პეგრე ქართველის მამა ბუმმიპრი იბერთა მეფედ ყოფილა. პეგრეს მამის მამას ბუმმიპრს ცოლად ყოლია ქალი, რომლის სახელის ასურული დაწერილობა შეიძლება წაკითხული იყოს სხვადასხვა გვარად: „ოსდუკტია"-დ, „ევასდუკტია"-დ და სხვანაირადაც იმისდა მიხედვით, თუ რა ხმოვნები უნდა მისდევდნენ თანხმოვნებს. ამ სახელის მეორე ნაწილი უდრის სპარსულს „დუხტ"-ს, რომელიც ფაპლაურში ქალიშვილსა ანიმნავდა და ფაპლაური დედათა საკუთარი სახელების მეორე მემადგენელ ნაწილად იყო ხოლმე, როგორც მაგ. ანარმიდუხგ, ორმიმდუხგ, პეროზდუხგ და სხვა. ქალთა ამგვარად ნაწარმოები საკუთარი სახელები საქართველოშიც იყო მიღებული, როგორც მაგ. მიპრანდუხგი, ეახგანგ გორგასლის და და მეფე არჩილის ასული და გურანდუხგ დედოფალი.

პეგრე ქართველის დედას და ბუმმიპრ მეფის თანამეცხედრესა პრქმეია „ბაკურდუკტია", ანუ ბაკურდუხგი. როგორც ცხოვრებაში აღნიშნულია, ბაკურდუხგი ყოფილა ბაკურ მეფის ასული, რაც თვით სახელშივე არის გამოთქმული. დედის მხრივ პეგრე ქართველის პაპა ყოფილა მეფე „ბაკურიოს", ანუ ბაკური, რომლის თანამეცხედრესა რქმეეია „დუკტია" ანუ დუხგი. ბაკურ მეფეს პყოლია ძმა „არსილიოს" არჩილი, რომელიც გარეთვე მეფეთა მჯდარა. ნუსხა რომ სრული იყოს ყოფილა კიდეე გავიხსენოთ, რომ პეგრე ქართველის მამის მამას ბუმმიპრის თანამეცხედრეს ძმა პყოლია, რომლის სახელი ყოფილა „ფარსმანი". ეს ფარსმანიც სამეფო გახგზე ასულა.

ეხლა გამოსარკეეია, თუ ეინ როდის და ეის შემდგომ მეფობდა. როგორც თვით ცხოვრებიდან ჩანს, ყველაზე უწინ ბაკურს, „დიდს ბაკურს უმეფნია. ბაკურის მეფობის დროის განსაზღვრა დაახლოებით შეიძლება: ის პირეელი მეფე იყო იევრიამი, რომელმაც თითონაც ქრისგიანობა მიიღო და მთელი ერიც ქრისგიანობისაღმი მოაქცია, ნათქვამია ასურულს ცხოვრებაში. ხოლო ამმიანე მარცელინის თხზულებით ჩვენ ვიცით, რომ 361წ., როდესაც პრომაელებს სპარსთა მეფის ლაშქრობის მიში ჰქონდათ და ამის გამო მემობელი მეფეების გულის მოგებას, განსაკუთრებით კი სომეხთა და იევრთა მეფეების თაეიანთკენ მიმხრობასა სცდილობდენ ბრწყინეალე სამოსლებითა და მრაეალგვარი საჩუქრებით, მაშინ იევრთა სამეფო გახგზე თურმე უკეე მირიპანი (ლათინურად მერმინდელ გადამწერთა მეცდომით სწერია „მერიბანეს") იჯდა. მამასადამე, ყოეელ შემთხვეევაში 360წ. მოყოლებული შეუძლებელია ბაკური

იბერიაში ისევ მეუფედ ყოფილიყო. ყურადღების ღირსია, რომ პეტრე ქართველის ცხოვრების აღმწერი, თვით ქართველივე, მირიანის სრულებით არ იხსენიებს. შესაძლებელია, ამგვარი უცნაური დუმილი იმით აიხსნებოდეს, რომ ავტორი ცნობებს ყველა მეუფეზე კი არ მოგვითხრობს არამედ მარგო პეტრე უფლისწულის პირდაპირ ნათესაობაზე, იქნებ მირიანი ამ მხრის არ ეკუთვნოდა. მირიანის მეფობამ, როგორც ჩანს, დიდ ხანს არ გასტანა, 368 წელს იბერიის გახდმე მეუფედ საურმაგი მჯდარა, საურმაგი ვგონებ 374 წ-საც მეუფედ ყოფილა, მაგრამ ამიანე მარველინის სიგგუით ამ დროს იბერია უკვე ორად ყოფილა გაყოფილი.

არკადი კეისრის დროს (395-408) იბერიაში სამეფო გახგზე ასულა ფარსმანი, რომელსაც ჯერ არკადი კეისარი თურმე დიდს პატივსა სცემდა, მას პირეელი ადგილი ეკავა და სპასალარი იყო, მაგრამ მერე, როცა გამოაშკარავდა, რომ კეისრის თანამეცხედრეს ეუდოქსიას ჰყვარობდა, და დედოფლის მრუშობა გამომეღავნდა, გაიქცა თავის სამშობლოში და შემდეგ იბერიაში გამეფდა. იგი რომაელებს ომგრობდა. ამისათვის მან თეთრი ჰონნები გამოიყვანა და მიუსია რომაელების ქვეშეერლობებს. რაკი ეუდოქსია 404 წ. გარდაიცვალა, ამიტომ ფარსმანის დაბრუნება სამშობლოში და გამეფება დაახლოებით 395-404წ. შუა უნდა მომხდარიყო. როდემდის იმეფა ფარსმანმა, არც ეს ვიცით.

თეოდოსი II კეისრობის დროს-კი (408-450) იბერიის მეუფედ უკვე პეტრე ქართველის მამა, ბაკურ მეფის სიძე, მისი ასული ბაკურდუხტის მეუღლე ბუმბიპრი იყო. როდის გამეფდა იგი არა ჩანს, მხოლოდ ცხორებაში ნათქვამია, რომ თეოდოსი კეისარი მრავალგზის სთხოვდა მეფე ბუმბიპრს თავისი მცირეწლოვანი მეილი მისთვის მძეელად გამოეგზავნა და თავის თორმეტი წლის შეილი თეოდოსი II-ისა და მის თანამეცხედრე ეუდოქსიასთვის გაეგზავნა კონსტანტინეპოლში. რაკი თეოდოსი II-ემ ეუდოქსია მხოლოდ 421 წ. მეირთო, ხოლო მელანიას ქართველი უფლისწული 424წ. ბიზანტიაში დახედა, მამასსაღამე, 421-424წ. ბუმბიპრი მეუფედ მჯდარა. ხოლო ამ დროს კეისართან მძეელად მოყვანილი პეტრე ქართველი 12 წლისა ყოფილა და რაკი ცხორებაში აღნიშნულია რომ თეოდოსი მრავალგზის სთხოვდა შეილს მძეელადო და ამასთანავე შეუძლებელია სამის წლისაზე ადრე განეშრახა კეისარს ბავშვის მძეელად წაყვანა, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუმბიპრი, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხეევაში დაახლოებით 413-416წ. უკვე მეუფედ უნდა ყოფილიყო. შეილის მძეელად გასტუმრების შემდგომ როგორც ჩანს დიდხანს აღარ დასცლია სიცოცხლე.

როდესაც პეტრე ქართველი მონაზონად შემდგარა, მაშინ იბერიაში მეუფედ უკვე მისი დედის მამის ბაკურის ძმა მოხუცებული არჩილი ყოფილა. თავის ძმისწულის შეილის განთქმული ასკეტური მოღვაწეობით გახარებულმა არჩილ მეფემ ეპისკოპოსე გაუგზავნა და მისი სულისათვის მეოხება სთხოვა. ხოლო პეტრე ქართველის მოქალაქეობის აღმწერი ამბობს, რომ ქართველ უფლისწულ მონაზეწნობა ოცის წლისას მიუღია, ქართულ თარგმანში „ოცდახუთნი წელნი" არის მოხსენებული, მაგრამ ეს მისი აღკვეცის თარიღი კი არ არის, არამედ მისი გულმოდგინე მონაზონური მოღვაწეობისა: მამასახლისმა „აკურთხნა მონაზონად ...და უწოდა... სახელი პეტრე.- და წარიყუანნა მონასტერადეე და იღუწიღეს... ეიდრემდის წარხდეს ოცდახუთნი წელნი წმიდისა პეტრეს ცხორებისანი და ესოდენ განჯნა ხორენი თვისნი წმიდამან წმიდისა პეტრე ეიდრემდის დამთეს ძუალნი ოდენ და ტყავენი". ამგვარად ქართული თარგმანის მიხედვითაც გამოდის, რომ პეტრე ქართველი უფრო წინათ აღკვეცილა და ამიტომ ბერად მედგომის ასაკად 20წ. უნდა ეიცნათ, ხოლო 25 წლისა მესრულებულა, როცა მისი ასკეტიური მოღვაწეობა უკვე განთქმული ყოფილა. სწორედ ამ ხნის განმავლობაში იქმნებოდა დაწერილი არჩილ მეფის ეპისტოლეც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 421-424წ. პეტრე ქართველი 12 წლის ყმაწვილი ყოფილა, მამასაღამე დაახლოებით 409-432წ. უნდა დაბადებულიყო. ამიტომ პეტრე ქართველი ბერად დაახლოებით 429-432წ. უნდა მემდგარიყო, ხოლო განთქმულ განდეგილად იგი იქნებოდა 434-437წ. ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ 429-437წ. დაახლოებით იბერიაში მეუფედ იჯდა არჩილი, პეტრე ქართველის მამა ბუმბიპრი გარდაცვლილა და მისი დაქერიებული მეუღლეც ბაკურდუხი მეილთან ალორეთის იერუსალიმში წასულას, მაგრამ პეტრემ განდეგილური სიმკაცრითა და გულქვაობით დედის გულის ნატერა უარჰყო (ასურ. ც'ა, 12, თარგმ., 20). აქეთგან ჩანს, რომ არჩილ გამეფებულა ბუმბიპრ მეფის გარდაცვალების შემდგომ. ზემომოყვანილი გამოანგარიშების შემდგომ იბერიის IV-Vსს. მეფეთა ნათესაური დამოკიდებულება აქვე დართული შგომ სახით წარმოგვიდგება (იხ. შგო).

როგორც ამ შგოთაგან ჩანს, მეფობის უფლების მემკვიდრეობის წესრიგი მართლაც პირდაპირი არ არის, არამედ გადადის მთელი სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ წევრზე უფროსობის მიხედვით. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ ასურული ცხორების დამწერს აღნიშნული აქვს, არჩილი მოხუცებული იყო, როცა მეფობა მიიღოო (ასურ. ც'ა, 5-6, - თარგმ., 15-16, 18), და როცა თეოდოსი მცირემ პეტრე უფლისწულის ბერად აღკვეცის სურვილი შეიტყო წინააღუდგა ჭაბუკს, ერმა, რომელმაც ეს ყმაწვილი მძეელად ჩამაბარა, რომ უკან მომთხოვოს, რაღა პასუხი გავცეო (ასურ. ც'ა, 20, თარგმ., 27). ამ სიტყეებითგანა ჩანს, რომ თუმცა უფლისწული მეფის-ძე იყო, მაგრამ მეფობა მამის შემდგომ მაინც და მაინც მას არა პკუთვნებია და სამეფო გახგზე მართლაც მისი პაპის (დედის მხრივ) ძმა არჩილი ასულა.

დასაელეთ საქართველოს, ე.წ. ლაზიკის სამეფოს მეფის ხელისუფლებისა და სოციალური წესწყობილების შესახებ სტრაბონს სამწუხაროდ, არაფერი აქვს ნათქვამი და ამის გამოამ

საკითხზე იმ დროისათვის არაფრის თქმა არ შეიძლება. მხოლოდ მერმინდელ აეტორს პრისკოს პანიელს აღნიშნული აქვს, რომ ლაზიკაში მესაძლებელი იყო მამასაცა და შეილსაც ერთსა და იმავე დროს ემეფნა (№№№ IV, 26. – მეყგ. ეტ ჩაუცასიცა ლატინეეის 840-1). მამასადამე, თანამოსაყდრეობის წესი ყოფილა. საფიქრებელია, რომ მოელენა უხუცესობაზე დამყარებული ტახტის მემკვიდრეობის წესის დასარღვევად და პირმშოობის კანონის განმტკიცებისათვის ლაშთა მეფეთაგან გამოყენებული სამუალება უნდა იყოს. საეჭეოა, რომ იგი ძველი ჩვეულება ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოშიაც, ლაზიკაშიც რომ სამეფო ტახტის დამკვიდრების კანონი პირმშოობის პრინციპზე არ ყოფილა დამყარებული და უხუცესობას ეყრდნობოდა, ამის დამტკიცება ისტორიული ცნობების სამუალებითაც შეიძლება. მაგ., ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობით VIს. მეორე ნახევარში ლაზიკაში მეფობდა წათე, რომელიც გაქრისტიანდება. შემდეგ პროკოპი კესარიელი ლაშთა მეფედ იხსენიებს ოფსიტე-ს, გუბაზის ბიძას, ე.ი. წათეს ძმას, შერმე გუბაზი გამეფებულა, წათეს შეილი. შემდეგ სამეფო ტახტზე წათე აღის, გუბაზის უმცროსი ძმა. ამ ლაშთა მეფეთა სიითგან ცხადად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოშიაც მამის შემდგომ სამეფო ტახტზე მისი შეილი-კი არ ადის, არამედ ძმა. მამასადამე, იქაც მემკვიდრეობის კანონი უხუცესობის პრინციპზე ყოფილა დამყარებული და ამის გამო უფლება გვაქვს დაეასკვნათ, რომ დასალეთ საქართველოშიაც მეფის ხელისუფლება საგვარეულო წესწყობილების ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული.

რაკი აღმოსაელეთიცა და დასაელეთ საქართველოც I ს-ით ქ.წ. რომაელების პოლიტიკური გაელენის სფეროდ იქცნენ, მათი მეარეელობის ქეეშე იმყოფებოდენ, მათ ყმად-ნაფიც სახელმწიფოებად გახდენ. ხოლო შემდეგ მათი აღგილი ბიზანგიამ დაიკავა. IV ს-ითგან მოყოლებული სპარსეთი თანდათან აღმოს. საქართველოში გაბატონებას ცდილობს ჯერ ეითარცა მფარეელი, შემდეგ როგორც დამპყრობელი, ამიგომ როგორც რომაელები და ბიზანტიელები, ისეე მათი მეგობელ სპარსელები, თაეიანთი პოლიტიკის განსამგიცებლად ცდილობდენ, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მათი მომხრე მჯდარიყო. ამ თაეიანთი წაღილის განსახორციელებლად ისინი არაეითარ სამუალებას არ ზოგაღენ, სხეათა შორის უფლისწულებიც მძეელად მიჰყაედათ და შემდეგ მათ გამეფებას ცდილობდენ. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მემკვიდრეობის კანონის უხუცესობის პრინციპი არა ერთხელ დაირღეეოდა და პირმშოობის პრინციპის განმტკიცებას ყოველნაირად ხელი შეწყობილი ექნებოდა.

ქართული სამართლის ისტორიის შემსწაელელს უნდა კარგად ჰქონდეს გათვალისწინებული ის ძირითადი განსხვაება, რომელიც I-VI სს-ისა და IX-XIIIსს-ის საქართველოს სამეფოს შორის იყო: თუ I-VI სს-ში სამეფოს მთელი წესწყობილება და მეფისა და საქეყნოდ გამრიგე მოხელეების ხელისუფლება გვაროვნულ წესწყობილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლისობიდან წარმოიშეა და განეითარდა, IX-XIIIსს. მეფის ხელისუფლება ერისმთაერობის ნიადაგზე აღოცენდა და აღორძინდა. ამგაარად აქ ორი სხვადასხვა სამყაროა, ცხოერების სხვადასხვა პირობებით წარმომობილი.

§3. მთავარსარდალი და უმენაესი მსაჯული

სტრაბონის სიტყვით მეორე პირი, ალბათ მეფის მემდგომ, მოსამართლეობდა და სარდლობდა, ე.ი. მართლმსაჯულებასა და სამხედრო საქმეს განაგებდა. საფიქრებელია, რომ მეფის შემდგომ მეორე პირად მიჩნეეის საკითხი ამ შემთხეეაშიაც იმავე პრინციპის თანახმად იქნებოდა გადაწყეეტილი: აქაც უხუცესობასა და მახლობელობას უნდა ჰქონოდა გადამწყეეტი მნიშენელობა. ამნაირად ისე გამოდის, რომ რადგან იბერიის უმენაესი მოსამართლე და სარდალი მეფის შემდგომ მეორე პირი იყო და იმავე დროს მეფის შემდგომ ყეელაზე უხუცეს წეერადაც ითელებოდა, მეფის გარდაცვლის შემდგომ იბერიის მეფედ უხუცესობაზე დამყარებული მემკვიდრეობის კანონის ძალით სწორე დეს მეორე პირი, უმენაესი მართლმსაჯული და მთაეარსარდალი უნდა დაესვათ.

გამოსარკეეია, თუ რა უნდა ჰქონოდა ამ მეფის შემდგომს მეორე პირს. ამის გამოსაცნობად შეიძლება ის გარემოება იქმნეს გამოყენებული, რომ ამ პირის უფლება-მოეალეობას უმენაესი მოსამართლეობა და მთაეარსარდლობა შეადგენდა. რა ეწოდებოდა მერმე მაშინ ჯარის უფროსს? ამაზე მხოლოდ დაახლოებითი პასუხის მოცემა შეიძლება, რადგან სტრაბონის დროინდელი ქართული ძეგლები ჯერ არ მოგეპოეება და ამ საკითხის გადაწყეტა მხოლოდ საღმრთო წერილის უძეელესი თარგმანის ტერმინოლოგიის სამუალებით შეიძლება.

დაბადების ქართულ თარგმანში ჯარის უფროსის აღსანიშნაად, ხოლო სომხ. სპარაპეტ-ის შესატყეისობად „ერისმთაერი“ არის ნახმარი. ეს რასაკეირეელია ასეე უნდა ყოფილიყო, რადგან ჯარის აღმნიშენელ ტერმინად მაშინ „ერი“ იხმარებოდა.

რაკი გამოირკეა, რომ ჯარის უფროსის, სპასპეტის აღსანიშნაად V-VIსს. ქართულ ძეგლებში „ერისმთაერი“ იხმარებოდა, თაეისთაად წყდება საკითხი იმ სახელის შესახებ, რომელიც მეუფე-მამასახლისის მომდეენო ხელისუფალს, აღმოსაელეთ საქართველოს სამეფოს სარდალს, უნდა პრქეოდა. მისი თანამდებობის აღმნიშენელ ტერმინად, თუ იგი ქართული იხმარებოდა, უნდა

„ერისმთავარი“, ან უკეთ რომ ესთქვათ „ერისმთავართ-ერისმთავარი“ ყოფილიყო, რადგან საფიქრებელია, რომ ერთი უზენაესი მთავარსარდლის გარდა თითოეული თემის ჯარის უფროსებიც იქმნებოდენ და სწორედ მათი თანამდებობის აღსანიშნავად უფრო მოსალოდნელია „ერისმთავარი“, ხოლო მთელი სახელმწიფოს ჯარის უფროსის წოდებულებად „ერისმთავართ-ერისმთავარი“ უნდა ყოფილიყო.

§4. საქეყნოდ გამრიგე ხელისუფალნი

გეაროენული წესწყობილებისა და მეფის ხელისუფლების შესახები საკითხების განხილვის დროს უკვე გექონდა მოყვანილი ღ. მროველისაგან დაცული ცნობა, რომ ოდესღაც საქართველოში ქეყნის საჭეთმპყრობელსა და საქეყნოდ გამრიგე მოხელეებს მეფე და ერისთაები კი არ ეწოდებოდათ, არამედ მამასახლისი. მეფის შესახებ ეს ცნობა რომმ მართალი უნდა იყოს, ამაზე თავის ადგილს უკვე იყო საუბარი. ეხლა გამოსარკვევი გვაქვს, რამდენად მართალი უნდა იყოს ეს ცნობა საქეყნოდ გამრიგე მოხელეთა შესახებაც. ამის გამოსარკვევად ერთი საყურადღებო ცნობაბ მოიპოვება. სახელდობრ სომეხთა იხტორიკოსს ლაზარე ფარპელ აღნიშნული აქვს, რომ იეზდიგერდ სპარსთა მეფესთან გაემგზავრენ.

ქართველთა ქეყნითგან არმუშა პიგიახში და სხვანი მამასახლისნი ქვეყნისანი“-ო.

როგორც ქართლის პიგიახში საქეყნოდ გამრიგე მოხელის, პერეთის მთავრის, თანამდებობის აღმნიშნელი ტერმინი იყო, ისევე „მამასახლისნი ქეყნისანი“ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სხვადასხვა თემთა საქეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა აღმნიშნელი მოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო.

მართლაც ეესტათე მცხეთელის VI ს. მარტვილობაში. აღმოს. საქართველოს მმართველთა წრეში არმუშა ქართლის პიგიახშის გარდა, რომელიც ნამდვილად პერეთის მთავარი იყო, იხსენიება „გრიგოლ ქართლისა მამასახლისი“-ც. საფიქრებელია, რომ ამაეე წყაროს ცნობაში მოგადად დასახელებული „ქართლის მთავარნი“-ც ალბათ სხვადასხვა თემის საქეყნოდ გამრიგენი, მამასახლისნი უნდა ყოფილიყუნენ.

ლეონტი მროველის „მცხეთისა მამასახლისი“-ს შესახები ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ძველ საქართველოში უძველეს ხანაში ქალაქის უფროსსაც მამასახლისი პრქმევია. ეს თანამდებობა და სახელი შემდეგშიაც არსებობდა, მაგრამ უკვე ჩამომცრობილი და გარკვეული ხანითგან არაბულ-სპარსულ ტერმინთან „მელიქ“–თან შეერთებით მელიქ-მამასახლისის სახით. მაგრამ ეს მერმინდელის, არაბთა ბატონობის დროინდელი ნამთია და წინათ კი ქალაქის თავის აღმნიშნელ ტერმინადაც „მამასახლისი“ ყოფილა.

რაკი ქართულ უძველეს საისტორიო ძეგლებში დაბა-სოფლების ყოფა-ცხოვრება და მეტადრე წესწყობილება ჯერ აღმოჩენილი არ არის, ამიტომ XI ს-ზე უწინარეს სოფლის მამასახლისის ხსენება ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ უეჭველია XI-XIII და მერმინდელ საუკუნეებში გავრცელებული ეს ტერმინი იმ უძველესი ხანის წესწყობილების ნაშთი უნდა იყოს, როდესაც დაბა-სოფლის მოსახლეობა მომეტებულ ნაწილად ერთი რომელიმე გვარის, ანუ „სახლის კაცთა“-გან შესდგებოდა და როდესაც დაბა-სოფლის უფროსი, მართლაც, ამ გვარის მამასახლისი უნდა ყოფილიყო.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ უმცირეს სოციალურ და ადმინისტრაციულ ერთეულთაგან, დაბა-სოფლითგან, მოყოლებული ყველა ერთეულის (ქალაქისა, ხეეისა, თემისა და თვით მთელი სამეფოს) უფროს ხელისუფალთა აღმნიშნელ ტერმინად „მამასახლისი“ ყოფილა. ეს იმ უეილობელი ფაქტის მომასწავებელია, რომ უძველეს საქართველოში გვაროვნული წესწყობილება მარტო სოციალურის კი არა, არამედ სახელმწიფო წესწყობილების საფუძველიც ყოფილა.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის 523 და 532 წ.წ. მოსპობის შემდგომ მეფედ მამასახლისის ხელისუფლებაცა და წოდებულებაც უნდა გამქრალიყო. მაგრამ რაკი სპარსეთის მთავრობა ჩვეულებრივე დაპყრობილი ქეყნების მინაურ მართვა-გამგეობაში არ ერეოდა ხოლმე და უმთავრესად გადასახადების წესიერად მიღებითა და პოლიტიკური ერთგულებით იყო დაინტერესებული, ამიტომ წინანდელი ადმინისტრაციული აპარატი აღმოს. საქართველოშიაც მთლიანად არ მოიშლებოდა და მოისპობოდა, არამედ მომეტებული ნაწილი თავის უფლებას შეინარჩუნებდა და მუშაობასაც წინანდებურად განაგრძობდა. სომხეთშიაც სპარსთა ბატონობის ხანაში სპასპეტისა და განუგერ-მამასახლისთა თანამდებობანი კელაეინდებურად არსებობდა.

VI ს. ქართველ ავტორსაც აღნიშნული აქვს, რომ ქართლიდან სპარსეთის მარზპანის არვანდ გუშნასპის გამგზავრების დროს „შეკრბეს ქართლისა მთავარნი“ და რაიკამს ამხელრებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამეულ ქართლისა კათალიკოში და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არმუშაი ქართლისა პიგიახში და სხუანი სეფეწულნი“. და მარზპანს ევსტათე მცხეთელის საპყრობილეთგან განთავისუფლება სთხოვეს (მარტვილობაი ეესტათე მცხ.). ამ ცნობითგანა ჩანს, რომ VI ს. შუა წლებში აღმოსავლეთ საქართველოს აღგილობრივი

უმაღლესი საერო ხელისუფლების მქონებელნი „ქართლისა მთავარნი“ ყოფილან. ამ მმართველ წრეს ქართლისა მამასახლისი, ქართლის პიტიახში და „სხუანი სეფუწულნი“ ჰკუთნებიან. ცხადია, ქართლისა მამასახლისი ამ დროს მხოლოდ საქეეყნოდ გამრიგე ხელისუფალია იმყარადეე, როგორც ქართლისა პიტიახში, რომელიც ამ სპარსულ სამოხელეო სახელს მხოლოდ იმიტომ ატარებდა, რომ სანაპირო თემის მმართველი იყო.

საფიქრებელია, რომ გამონათქვამი „მთავარნი ქართლისანი“ სრულად არ არის წარმოდგენილი და ეს ტერმინი სრულიად უნდა ან როგორც „ერისმთავარნი ქართლისანი“ ეიგულისხმოთ, ან როგორც მამასახლისნი. მაგრამ მეორეს მხრით ცხადია, რომ VI ს. ქართველი ისტორიკოსის ზემომყვანილ ცნობაში მთავარნი ქართლისანი მხოლოდ და მხოლოდ ჯარის უფროსებად არა ჩანან, არამედ, როგორც აღნიშნული გექონდა, საქეეყნო გამრიგე მოხელეებად გეეელინებიან. მამასადამე, პირველი საუკუნის შემდგომ ცვლილება უნდა მომხდარიყო და ერისმთავართა ხელისუფლება საგრძნობლად გაფართოეებულდა და ბუნებითაც არსებითად შეეცელილა: ჯარისუფროსობისა და მოსამართლეობის მაგიერ ის საქეეყნოდ გამრიგე ხელისუფალად ქცეულა, მაგრამ ჯარის მეთაურობაცა და მართლმსაჯულების უფლებაც შეუნარჩუნებია. ამ მხრივ ლეონტი მროველს რომელიღაც მასზე მედარებით ძეელი წყაროთგან ამოღებული ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება, სადაც ნათქვამია, პიტიახშთა, და ერისთავთა სოფლებისა. ამ საგულისხმო წინადადებაში გამონათქვამი „მთავარანიო სოფლებისანი“ ცხადია. სპარსული ტერმინის „პიტიახშნი“-ს ქართულ თარგმანს წარმოადგენს და სპარსული „ხშათრა“, ქეეყანა, როგორც ეს უძეელეს ქართულ ენასა და მწერლობაში IX ს-მდე იხმარებოდა , „სოფელად“ არის წოდებული. ამიტომ მომდეენო ტერმინიც „ერისთავნი სოფლებისანი“ აქ უნდა ქეეყნის ერისთაეებს ჰნიშნავდეს, ისიც სპარსული ტერმინის ქართულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. რაკი „მთაეარი სოფლისაი“, პიტიახში საქეეყნოდ გამრიგე მოხელის სახელი იყო, ამნაირადეე „ერისთაენი სოფლებისანი“ აქ სპარსული სამოხელეო ტერმინის ქართულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ გამოსარკეეეი გეაქეს საკითხი ამ ტერმინის მამინდელი მართლწერის შესახებ, მთაერისა, ერისმთაერისა და ერისთაეის ტერმინების გარეგნული, ფონეტიკური დიფერენციაციის შესახებ: შესაძლებელია, თუ არა, ერისმთაერი და ერისთაეი ამ ხანაში და თეით VII – IX სს-მდე „ერისთაეი“- ს ფორმით ყოფილიყო და აქ გარეგან განსხეაეებულობაში ფუნქციათა სხეაობაც ხო არ ჩანს?

იოანე საბანისძე ამ ხელისუფლების აღსანიშნაედ ამ ტერმინს ძეელი სახეობითეე ხმარობს. ადგილობრივი ხელისუფლების მამინდელ წარმომადგენელს ის „ერისმთავარს“ უწოდებს: „ერისმთავარი იგი ქართლისაი სახელით ნერსე ძეი აღრნესე კურაპალატისა და ერისმთაერისაი მიწოდებულ იქმნა ქუეყნად ბაბილოვნისა... ქალაქსა მას დიდსა ბაღდად“. პაპო ტფილელმა ბაღდაღითგან „ინება წამოსელაი თეისი აქა ერის მთაერისა მის ნერსეს თანა“ საქართეელოშიო. ნერსეს ქართლითგან გახიზენის შემდგომ იოანე საბანისძის სიტყეით მაჲი ამირამ დააღგინა „სტეფანოზ ძე გურგენისი... ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლად“, რომლის „ერისმთაერობასა“-ეე უწამებიათ პაპო, აფხაზეთის მმართეელსაც ჩეენი ისტორიკოსი მთავარს ეძახის. ამიტომ ორიოდე სხეა ადგილს ნახმარი ფორმა „ერისთაეი“ მერმინდელი გადამწერის უნებლიედ შესწორებად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ამნაირად ირკეეეა, რომ IX ს-მდე ამ ხელისუფლებას „ერისმთავარი“ პრქმეეია. ამაზე გაცილებით უწინარეს კი მისი უფლება მოვალეობა მარტო ჯარისუფროსობით არ ამოიწურებოდა და დიდი ხანი იგი საქეეყნოდ გამრიგე მოხელედ იყო ქცეული, რასაც სხეათა შორის ლ. მროველის თხზულებაში დაცული ტერმინი „ერისთაენი“, ანუ უფრო სწორედ რომ ითქეას „ერისმთავარნი სოფლებისანი“-ც ცხადჰყოფს. მამასადამე, ერისმთავრის პირეანდელი უფლების გაფართოებას ამ თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინის ფონეტიკური ცვლილება არ გამოუწეეეია და ლ. მროველის ზემომოყვანილ ცნობაში „ერისთაენი სოფლებისანი“ უნდა ან შერმინდელი გადამწერის დამახინჯებული იყოს, ან თეით ლ. მროველის მიერ თავის სროის შესაფერისად იყოს ნახმარი.

ლექცია VI

სახელმწიფოებრიები წესწყობილება განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში, მოხელენი და მოხელეობა

ივანე ჯავახიშვილი

§ 12. საქართველოს მეფის „მართებანი“ და „განსაგებელნი“

რის უფლება ჰქონდა საქართველოს მეფეს და რა საქმეებს განაგებდა ხოლმე იგი, ანუ როგორც შეთორმეტე საუკუნეში ჩვენი მეცნიერები იტყოდნენ, „რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა“-ო?

„ხელმწიფის კარის გარიგებ“-ის ხელთნაწერის დაბიანებულობის წყალობით მკვლევარს ჯერ საშუალება არა აქვს ეს საკითხი ამ მნიშვნელოვანი და მინაარსიანი ძეგლის ცნობების მიხედვით შეისწავლოს. იმ ორიოდე ცნობას გარდა, რომელიც შერჩენილია, მკვლევარი ამ საკითხის გამოსარკვევად იძულებულია უმთაერესად მამინდელ საისტორიო ძეგლებს და მთავრობის მიერ გამოცემულ სიგელებს მიმართოს: იქაც საკმაო და საყურადღებო ცნობების პოვნა შეიძლება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ერთი საგულისხმო მსჯელობა აქვს მეფის უფლება-მოვალეობის შესახებ: „ვინ აღრაცხნეს“-ო, ამბობს ისტორიკოსი, „რაოდენნი საქმენი ეთხოებიან მეფობასა, რაოდენი მართებანი და განსაგებელნი: კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, ვაჭრეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარობისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთაჲართ შაკვისა ცნობანი, მკედართა განწესებანი, საერონი შიშნი, საკელოთა და საბჭოთა სჯანი, საჯურჭლეთა შემოსაღალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითი წურთევანი, მსახურებელთა ნიჭმრაღლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყუისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, — და რაოდენნი ვინ ამოწყუნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა“-ო.

ეს საგულისხმო ნაწყვეტი გვიჩვენებს, რომ მამინდელ ქართველ განათლებულ საზოგადოებაში სჯა-ბაასი ჰქონიათ თუ „რაოდენი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენი მართებანი და განსაგებელნი“. „მართება“ იმას ჰგულისხმობდა, რის გაკეთება მეფეს მართებდა, და მაშასადამე, თანამედროვე მოვალეობას უდრიდა, — „განსაგებელი“-ს ის იყო, რაც უნდა განეგო მეფეს. ისტორიკოსის სიტყვები ცხად ჰყოფენ, რომ საქართველოს მეფის „მართებანი“ და „სათხოვარნი საქმენი“, ანუ მეფეთა უფლება და მოვალეობანი მამინდელ ისეთ განათლებულ და ნასწავლ მწერლებსაც-კი, როგორიც მაგალითად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იყო, ჯერ კიდევ მკაფიოდ გამორკვეული არა ჰქონიათ. ეს გამოურკვეველობა ისტორიკოსის სიტყვებს ნათლად ეტყობა: „ვინ აღრაცხნის რაოდენი მართებანი და განსაგებელნი ეთხოებიან მეფობასა“-ო, გაოცებული კითხულობს ჩვენი ავგორი და ამ კითხვის კილოშევე ეტყობა, რომ მისი აზრით მეფობის ყველა განსაგებელი საქმეების ჩამოთვლას ვერავინაც ვერ შესძლებდა. ისტორიკოსი თითონაც ცდილობს, აღწუსხოს საქართველოს ხელმწიფის მართებანი და მოვალეობანი, მაგრამ ბოლოს მისსივე განცხადებით ამ საკითხის გამორკვევა საესებით მასაც არ ძალუძს და ამის გამო ისევე ამბობს: „რაოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთა“-ო. მაშასადამე ჩვენი ისტორიკოსის სიტყვით მეფის მოვალეობანი უფსკრულსა ჰგაედა, და ვინ უგუნური იქნებოდა, რომ ამ უფსკრულისა ძირი ეპოვნა და სიღრმე აღმოეწყო?.. უეჭველია, აქ ხელოვნურ რიგორიკასთანაც გვაქვს საქმე, რომ ამით მეფის მართვა-განსაგებელის ტვირთის მთელი სიმძიმე უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა მკითხველისათვის, მაგრამ მისსივე ზემომოყვანილი სიტყვებითგან მაინც ერთგვარი უძლურებაც გამოსჩენია. ეტყობა, რომ მამინდელ მეცნიერებს ჯერ კიდევ საკმაო ძალა არ შესწევდათ, ცხოვრების მრავალ-მხრივისა და ყოველ-დღიურ შემთხვევებში რამდენიმე ერთნაირი უმთავრესი მოელენა შეენიშნათ. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ისტორიკოსი სახელმწიფო ცხოვრებით თითოეულ შემთხვევას ცალ-ცალკე ასახელებდა და, ეტყობა, ფიქრადაც არ მოსდიოდა რამდენიმე ერთგვარი მოელენა ერთად აღენიშნა. ზემომოყვანილ ნაწყვეტში ის მაგ. სხვადასხვა სახელით ერთსადაიმავე საგანზე ლაპარაკობს: განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარობისა ღონენი, მთაჲართა შაკვისა ცნობანი, საერონი შიშნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთვანი და მსახურებელთა ნიჭმრაელობანი. ჩვენთვის ეხლა, რასაკვირველია, ცხადია, რომ მთავართა შაკვის გაკებისათვის და სამეფოს დაწყნარებისა და სახელობრ სამეფოს განგებას შეეხება. როცა მეფე იმის ცდაში იყო, რომ თავის სამფლობელოში მყუდროება ჩამოეგდო, უეჭველია იგი „შემცოდე“ მეამბოხეებს დასჯიდა, ხოლო ერთგულ მოყმეებს წყალობას გაუმრაელებდა. იმავე ნაწყვეტში ისტორიკოსი სამ სხვადასხვა ალაგას სამხედრო, ანუ სალაშქრო საქმეებზე ლაპარაკობს: მაგ., ლაშქრობათა მეცადინეობანი, მხედართ განწესებანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, — ყველა ეს საბრუნაი სამხედრო საქმეებს შეეხება და ეხლა, რასაკვირველია, თვითოეული კერძო

სალაშქრო მეცადინეობისა და ვარჯიშობის ჩამოთვლას არაეინ დაიწყებდა, არამედ მხოლოდ ზოგადად აღნიშნავდა „სამხედრო საქმეებით“. იგივე უნდა ითქვას საერთაშორისო საქმეების შესახებაც. ისტორიკოსი აქაც ერთსადაიმავე საგანზე რამდენჯერმე ლაპარაკობს: მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი და მოსაკითხავთა შესაფყვისნი მოკითხვანიო. ერთი სიტყვით, ეტყობა, რომ მაშინ სინგეთიკურ მსჯელობას ჯერ კიდევ საკმაოდ არა ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

თუმცა ზემომოყვანილ ნაწყვეტში მეუობის „მართებანი“ და განსაგებელი საქმეები ხერხიანად და თანამედროვე მოთხოვნათა მესაფერისად ვერ არის ჩამოთელილი, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რათგან ამ ნაწყვეტის საშუალებით მკვლევარს შეუძლიან დაახლოებით მაინც გაემარკვიოს, თუ რა შეადგენდა საქართველოს მეფის უფლება-მოვალეობას. სახელმწიფო წესწყობილება უეჭველია წინათაც რიგიანად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ, როგორც „დარბაზობის წესი“ და მეტადრე „ქელმწიფის კარის გარიგება“-ითგან ჩანს, მე-XII ს-ში ქართულმა იურიდიულმა შემოქმედებამ ახლად შექმნილი დიდი სახელმწიფოს წესწყობილებისა და ორგანოების უფლება-მოვალეობათა მკაფიოდ ჩამოყალიბებაც შესძლო. ამიგომ თანამედროვე მკვლევარსაც აქვს საშუალება მეფის უფლებანი მეისწაელოს.

სამ ზემოდასახელებულ, — საგამგეო, სამხედრო და საერთაშორისო, — საქმეების გარდა, ხელმწიფის განსაგებელ საქმეთა ჯგუფს ეკუთვნოდა აგრეთვე „საჭურჭლეთა შემოსაეალნი“, ანუ საფინანსო საქმეები, — „მოჩივართა მართალნი გამოძიებანი“, ანუ მართლმსაჯულება, — და „საკელოთა და საბჭოთა სჯანი“, ანუ განაგებისა და საკანონმდებლო მოღვაწეობა. იქ სრულებით მოხსენებული არ არის საეკლესიო საქმეები, მაგრამ ესეც ისტორიკოსს აქ, რასაკვირველია, შემთხვევით უნდა ჰქონდეს გამოტოებული.

ცხადია, მეფეს პირადად ყველა საქმეების განაგება არ შეეძლო. მართეა-გამგეობის ტვირთის გასააღილებლად მას ორგანოები და თანამშრომლები ჰყაედა, მაგრამ რაკი მოხელეების და ვაჭირობის უფლება-მოვალეობის შესახებ უკვე გექონდა საუბარი (იხ. თხზ., ტ. VI, ქართ. სამ. ისტ., II, I, თაეი მეორე, გვ. 258-340), ამიგომ ამ საკანზე აქ აღარაფერია სათქმელი.

უკვე აღნიშნული გექონდა, რომ საქართველოს მეფე „ქუეყანათა“ და „ნათესაეთა“, ანუ ქუეყნისა და მცხოვრებთა „მფლობელად“ ითელებოდა. იგი იყო „მკუდრი“ მეფობისა, „უფალ ქვეყნისა განაგებასა“ და „განმგებელი მეფობისა“. დაეით აღმაშენებელსაც აქვს თავის უკანასკნელ ანდერძში ნათქვამი: „მე წარეედ წინაშე მსაჯულისა (ე.ი. ღმრთისა) მისისაებრ განმგებელი მეფობისა“-ო. მეფის კურთხეეის დროსაც მაკურთხეეელი მღელმთაეარი ხმა-მაღლა აცხადებდა, რომ ის „განიჩინების... ერსა ღა სამეფოსა ამას ზედა მეფეთა მეფედ“. მაშასადამე, მას ეკუთვნოდა სახელმწიფოს, როგორც მიწა-წყლის, ტერიტორიის, ისეეე „ერის“, ე.ი. მოსახლეობის მართეა-გამგეობის უზენაესი უფლება.

თუმცა მეფე „ქუეყანათა“ მფლობელად ითელებოდა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნაედა, ეითომც მაშინ მეფე მთელ საქართველოს მესაკუთრედ ყოფილიყოს მიჩნეული, როგორც ამას ამტკიცებდა დ. კარიჭაშეილი თაეის თხზულებაში „საქართველო მეთორმეტე საუკუნეში“. რასაკვირველია არა: აქ პოლიტიკურ მფლობელობაეა ღაპარაკი და არა კერძო მფლობელობის უფლებაზე.

მე-X-XI საუკ. თხზულებებითგანაც ჩანს, რომ, თუ ამაზე ადრე არა, ამ დროს მაინც უკეე იცოდენ, რომ სახელმწიფო კერძო სამფლობელო და ქონება არ იყო: სახელმწიფოსა და მეფის საკუთრებას ერთმანეთისაგან მაშინაც არჩეედნენ. იქ, სადაც მემატიანე ქუთაისის საყდრის კურთხეეის ამბავს მოგეითხრობს, მას შაგ. ნათქეამი აქეს: ბაგრატმა „შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ქელმწიფენი, კათალიკოზნი, მღუდელთმოძღვარნი_ და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მაშულსა და სამეფოსა მისსა მყოფნი“-ო. შემდეგ ისტორიკოსს მოთხრობილი აქეს, რომ ბაგრატის სიკედილის შემდგომ „მეფე იქმნა ძე მისი გიორგი და... ეუფლა ყოველსა სამეფოსა და მამულსა თუისსა“-ო. ხოლო ამაეე ხელმწიფის სიკედილის გამო მწუხარების შესახებ ნათქეამია: „დაუტეხა გლოეა და მწუხარება ყოველთა მკუიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა“-ო. დასასრულ გიორგის გარდაცვალების შემდგომ „მეფე იქმნა ბაგრატ ყოველსა მამულსა და სამეფოსა მისსა ზედა“-ო. ზემომოყვანილი ამონაწერების დედააზრის გასაგებად უნდა გათვალისწინებული გექონდეს, რომ იქცა „მამული“ სრულებით კერძო საკუთრების მნიშენელობით არა არის ნახმარი ისე, როგორც ეხლა (და დიდიხანია უკვე) „მამული“ გეესმის, არამედ იმას ჰგულისხმობდა, რაც ამ მეფეთა მაშებს სამფლობელო-საბრძანებელი ჰქონდათ, ე.ი. მემკეიდრეობით მიღებულ სამეფოს. საქართველოს სწრაფმა პოლიტიკურმა ზრდამ XI-XII სს-ში საქართველოს სახელმწიფოს საზღერები გააფართოეა და ამის წყალობით ერთის მხრით იყო სამეფო და „მეფობაჲ მამული“, მეორეს მხრით „ახლად-მოგებული“. დაეით აღმაშენებელს თაეის უკანასკნელ ანდერძში აღნიშნული აქეს: ღმერთმა „ესერა მიმიწოდა მე და უწოდა მაგას (ე.ი. მის ძეს დიმიტრი I-ს) მეფობაჲ მამული და ახლადმოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქუენითა“-ო. ყველა ამ მოყვანილი მაგალითებითგან ჩანს, რომ XI-XII საუკუნეში ესმოდათ, რომ მამული სხეაა და სამეფო კიდევ სხეა. მით უმეტეს ეცოდინებოდათ, რომ სამეფო ხელმწიფის კერძო საკუთრება და მამული არ იყო. იმდროინდელი ძეგლების კითხეის დროს უნდა გეახსოვდეს, რომ „მამულ“-ს მაშინ მერმინდელისაგან განსხვაეებული მნიშენელობა ჰქონდა. მეფეს რასაკვირველია თაეისი კერძო საკუთრებაც, მამულიც, ჰქონდა, მაგრამ სამეფო მისი კერძო საკუთრება არ იყო.

ერთი წინადადებითგან, სადაც ნათქვამია: მოიწია ბაგრატის ღედა „მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თჳისასა ქუეყანასა ტაოსა“-ო, ჩანს, რომ საქართველოს მეფეების „მამულ“-ად ტაო ითვლებოდა, რაკი ისინი თავდაპირველად ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონიანები იყვნენ.

ბაგრატ III-ითგან მოყოლებული ახხაზთა სამეფო სახლის მემკვიდრეებადაც ქცეული წყალობით, საქართველოს მეფეებს „მამული“ ლიხთ-იმერეთშიაც, აფხაზეთშიაც უნდა ჰქონოდათ.

ამგვარად, თუმცა იმდროინდელი სიგელების მეტისმეტი სიმცირის გამო ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მკაცრად იყო საზღვარი გატარებული მეფის პირად უძრავ ქონებასა და სახელმწიფო ქონებას შორის, მაგრამ ამ ორ ცნებათა შორის განსხვავების შეგნება რომ მაშინაც არსებობდა, ეს ცხადია. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: მაშინ თვით სამოხელეო წესწყობილებაშიაც მეფის პირადი მოთხოვნილებისა და მინაური ყოფა-ცხოვრებისათვის განკუთვნილ მოხელეებს სახელმწიფო წესწყობილების ფუნქციების ასასრულებლად განკუთვნილი მოხელეებისგანაც არჩევდენ. „ქართ. სამართლის ისტორი“-ის II წიგნის პირველ ნაწილში, მოხელეობაზე საუბრის დროს, აღნიშნული გექონდა, რომ მოხელენი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდენ: ერთ ჯგუფს დარბაზის კარსა მყოფი მოხელეები შეადგენდენ, მეორეს საქეყნოდ გამრიგე მოხელეები. ეხლა, აქ უნდა აღნიშნულ იქმნეს, რომ დარბაზის კარსა მყოფნი მოხელენი თავის მხრივ ორი განსხვავებულ ჯგუფად განიყოფოდენ. ერთი მათგანი სახელმწიფოს ემსახურებოდა, მეორე ჯგუფი პირადად მხოლოდ მეფეს, მის კერძო ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი.

თამარ მეფის ისტორიკოსს დასახელებული აქვს თანამდებობა „მსახურთუხუცესობა კელ-შინაური“ და „შინაური ეჯიბი“: თამარ მეფე „გზაენიდის ოღუმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა“-ო. ამავე აქტორს ერთი საგნიმო, დიდი დარბაზობის აღწერილობაში მოხსენებული აქვს, რომ სადარბაზოდ მოსულ მარვანშაჰს თვით იმ „კარვის კარსა“, სადაც დარბაზობა იყო მაშინ მოწყობილი, მიეგებენ „ხელისუფალნი და შინაურნი“-ო. აქითგან ცხადი ხდება, რომ მსახურთ-უხუცესსა და ეჯიბს გარდა „კელ-შინაური“, ანუ მარტივად „შინაური“ მოხელენი ბლომად უნდა ყოფილიყვნენ: ამიტომაც არის, რომ ისტორიკოსი მათზე მრავლობითად ლაპარაკობდა, „შინაურნი“-ო. „კ. გარიგება“-შიც მოხსენებულია „შინაური დარბაზის ერი“ (13/279), რომელსაც მოძღვართ-მოძღვარი დარბაზობაზე უნდა მიეწვია და მოეყვანა.

ამ ტერმინს გარდა, საისტორიო ძეგლებში გეხვდება ამაგე თვალსაზრისით საყურადღებო ტერმინი „საკუთარი“ და „საკუთარნი.“ თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობის აღწერილობაში ნათქვამი აქვს, რომ თამარ მეფემ „თანამშრახველ-მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესი“-ო. ეს ტერმინი სხვა ძეგლებშიაც გეხვდება. რაჟდენის წამებაში მაგ. ნათქვამია: რაჟდენ იყო მთავართაგანი და საკუთართა შორის სპარსთა მეფისათა წარჩინებულ“, ხოლო ვახტანგ გურგასალმა რაჟდენი საქართველოში საკუთარ და თანამშრახველ“-ყო.

მამასადამე, საქართველოში ყოფილან „საკუთარნი“ და „შინაურნი“, ან „კელ-შინაურნი,“ რომელნიც მეფის პირადი, საკუთარი მოხელეები იყვნენ და რომელთა ხელისუფლების ასპარეზი მეფის შინაურ სამსახურს არა სცილდებოდა. როგორც „მამულისა“ და „სამეფოს,“ ისევე დარბაზის კარს მყოფ ხელისუფალთა და „კელშინაურ“, ანუ „საკუთარ“ მოხელეთა ცალკე არსებობა და განსხვავების გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება კერძო უფლებრივ-საფუძველზე კი-არა, არამედ სახელმწიფოებრივ შეგნებას და სამართალზე იყო დამყარებული.

რასაკვირველია, ამ მემთხვევამიც უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ზოგი საკუთარი და ხელშინაური მოხელეთაგანის სამოქმედო ასპარეში მეფის შინაურ სამსახურსაც შეიძლებოდა გადასცილებოდა და სახელმწიფო სამსახურის სარბიელზედაც წილი სდებოდა. რაკი ხელშინაურ მოხელეთა შორის ზოგი მეფესთან ხშირი, უშუალო დამოკიდებულების გამო და მისდამი რწმუნებული სამსახურის თვისების წყალობით მეფესთან დაახლოებულ პირად ხდებოდა. ამოტომ მათ ბუნებრივად შინაური ცხოვრების გარეშეც გავლენა უნდა მოეპოვათ. ასეთი ხელშინაური მოხელეების მდგომარეობა მუალედი იყო და მათი მოღვაწეობაც ორივე ასპარეზის შემაერთებელი ხდებოდა. თავდაპირველად მაგ. საწოლის მწიგნობარი უეჭველია მეფის საკუთარ და ხელშინაურ მოხელეთაგანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე-XII – XIII სს – ში ის ამასთანავე მწიგნობართუხუცესის თანაშემწედ ითვლებოდა და ამნაირად მისი მოღვაწეობის ასპარეზი სახელმწიფო სამსახურთანაც იყო მჭიდროდ დაკავშირებული.

რასაკვირველია, მეფეს მართვა-გამგეობის ყველა ზემოაღნიშნულ საქმეებში ერთნაირი უფლება არ ჰქონდა. საელესიო სფეროში მაგ. მისი ხელისუფლების თვისება სხვანაირი იყო, ვიდრე სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სხვა დარგებში. ამიტომ ეს საკითხი სათითაოდ უნდა იქმნეს განხილული.

პირველად უნდა განხილულიყო დამოკიდებულება მეფესა და ეკლესიას შორის.

I. საერთოდ ქართული ეკლესია საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი იყო, მაგრამ ზოგ საკითხში სახელმწიფო ხელისუფლებას და მეფეს საეკლესიო საქმეებშიც მიუწვდებოდა ხელი.

1. საეკლესიო კრებას მაგ. ჩეეულებრივ მეფე იწვევდა ხოლმე. გ. მერჩულის სიტყვით, გუარამმა,დიდმა მამფალმა, „ბრძანა შეკრებაჲ ეპიზკოპოზთაჲ და უდაბნოჲსა მამათაჲ“ არსენის კათალიკოზად მსწრაფლ არჩევის საკითხის განსახილველად. რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო

კრებაც „შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღთ˙იე-დაცულისა მეფისა ჩუენისა დაეით აფხაზთა და ქართუელთა, რათა და კახთა მეფისათა“-ო. ქართველ-სომეხთა საპაექრო კრების მოწვეისთვისაც სომეხთა სამღვდელოების წარმომადგენლებმა მეფე დაეითს მიმართეს და „მოაკსენეს, რათამცა ყოს ბრძანებითა მისითა კრება“. თამარის დროსაც თეით თამარ მეფემ „ინება რათა იქმნეს“ საეკლესიო კრებაზე „შეყრა და გამორჩეუა“ და კიდევაც „შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თუსისა მღუდელმთავარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი სჯ˙ულისა საღმრთოსანი“. ასე იყო ჩვეულებრივ.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ამისდა მიხედეით დაეასკვნიდით, თითქოს საეკლესიო კრების მოწვეეის უფლება ყოველთეის მხოლოდ მეფეს ეკუთვნოდა.. საისტორიო ძეგლებში არაერთი ისეთი ცნობა მოიპოვება, რომლებითაც ჩანს, რომ ქართველ სამღვდელოებას მეფის დაუკითხაედაც შეეძლო, სწორედ თვით მეფის წინააღმდეგაც, შეკრებილიყო. ასეთი თეისებისა იყო მაგ. საეკლესიო კრება გიორგი III-ის დროს.

მეფის წინააღმდეგეე იყო მიმართული 1263 წ. ახლო დროის საეკლესიო დადგენილება და უეჭველია მეფის ნებადაურთველადეე იქნებოდა შეყრლი.

ჩვეულებრივ-კი, როცა ეკლესიასა და მთავრობას შორის უთანხმოება არ არსებობდა, საეკლესიო კრების შეყრის ბრძანების გამცემელი მეფე იყო ხოლმე. რასაკვირველია, უმეტეს შემთხეევაში აქაც მეფე მხოლოდ თვით სამღვდელოების სურეილს ახორციელებდა ხოლმე, მაგრამ შოგჯერ თაოსნობაც მეფისა იყო და თეით მეფეეე აცხადებდა, თუ რა და რა საკითხი უნდა ყოფილიყო განხილული და რა იყო გადასაწყეტი. რუის-ურბნისის 1103 წ. კრება დაეით აღმაშენებლმა შეკრიბა „პირითათუს“, ანუ საკითხთათეის, „რომელნი ქუემო მოსენებულ ანაან“-ო, თამარ მეფემაც განსაზღერული მიზნით მოიწვია კრება. ამნაირადეე მოიქცა გურგენ მამფალიც.

შეყრილი სამღვდელოებისა, ერისა და სჯ˙ულისმეცნიერთა საეკლესიო კრებას თეით მეფე ხსნიდა და შეკრებილთ შესაფერისი სიტყვით მიმართაედა ხოლმე, რომელშიაც აცხადებდა კიდეც, თუ რა აზრით იყო მოწვეული საეკლესიო კრება და რაღარა საკითხი იყო განსახილველი. ასე მოიქცა გურგენ მამფალი, ამნაირადეე გახსნა კრება თამარ მეფემაც.

სხვა დროსაც ჩვეულებრივაც თავმჯდომარეს, რომელსაც მაშინ „კრების წინამძღვარ“-ს ეძახდენ, მეფე ჰნიშნაედა ხოლმე, როგორც მაგალითად თამარ მეფე მოიქცა, თუ სხვაფრიე იყო, ძეელებითგან არა ჩანს, მაგრამ, უეჭველია, ნორმალურ პირობებში თავმჯდომარედ კათალიკოზი იქმნებოდა. რაკი კრება დაიწყებოდა, მეფეს უკეე არაეითარი უფლება არ ჰქონდა სჯა-ბაასში მონაწილეობა მიეღო. მეფეები საეკლესიო კრებისაგან მხოლოდ წამოყენებული საქმეების „გამოძიებასა იკითხიან და ითხოიან სიტყუსა გამოცხადებაჲ“ მხოლოდ გადაწყეტილება, „სიტყუა“ უნდა შეეტყობინებინათ და, თუ საჭირო იქნებოდა მეფისა და მთავრობის შეცელა, მაშინ იგი სიტყვას „საქმედ“ აქცეედა.

ამგვარად საეკლესიო კრებას განგების ხელისუფლება ჰქონდა, მეფეს კიდეე აღმასრულებელი. ბასილ ეზოს-მოძღვარს მაგ. აღნიშნული აქეს, რომ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ „ჯდა უკეე თამარ მცირედ ჟამ შორის მათსა, მერმე მოიღო კურთხეეა მათგან და წარეიდა პალაგად თ˙სად“-ო. ხოლო თუ რომელიმე მეფე კრების სჯა-ბაასში ჩაერეოდა, მაშინ მას, როგორც გურგენ მამფალს, ისე მოაგონებდენ, რომ მეფეს უფლება არა აქეს საეკლესიო კრებაში მონაწილეობა მიიღოს და „შჯ˙ულის მოძღურებასა იკადრებდეს“-ო.

თუმცა დაეით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგეითხრობს, რომ ამ მეფის დროს „მონასტერნი და საეპის˙კოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგს ღოცეისა და ყოელსა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უეთომელსა და ყოელად შეუნიერსა და დაწყობილსა კეთილწესიერებასა ღოცეისა და მარხეისასა“-ო, მაგრამ უეჭველია, ამ ავტორის ცნობა მეტად გაზეიადებული უნდა იყოს: ცხადია, რომ შეუძლებელი იყო საქართველოს საყდრებს „ყოველი საეკლესიო განგება“ სამეფო დარბაზითგან მიეღოთ. აქ მას ალბათ რამდენიმე კერძო შემთხეევა ბოგად მოელენად გაუხდია. ეინც იცის, რამდენად დამოუკიდებელი იყო მაშინ სამღვდელოება, ის ადვილად მიხვდება, რომ ამ კერძო შემთხეევაშიაც, უეჭველია, საქმე უმაღლესი საეკლესიო მთავრობის ნებადაურთველად არ იქნებოდა გაეეთებული.

2. საეკლესიო კრებების დადგენილების ასრულებას გარდა, მეფე და მთავრობა მოვალე იყო სამღვდელოების ბოგიერთი სხვა განაჩენიც განეხორციელებინა. როცა ეისმე ეკლესია შეაჩეენებდა და დაპკრულაედა, მაშინ ის სასჯ˙ელი, რომელიც „შეჩეენებულ“-თათეის დაწესებული იყო, მეფეს უნდა გადაეხდეეინებინა. მეფეს უფლება არა ჰქონდა განესაჯა, სამართლიანი, ან საბუთიანი იყო ეკლესიის განაჩენი, თუ არა: იგი მხოლოდ ამ განაჩენის „სრულმყოფელი“, აღმასრულებელი იყო. 1263 წ. ახლო დროის საეკლესიო კრება მოწმობს, რომ ყოველთეის როცა „ეინცა-ეინ დაკრულეილია რაჲთაცა მიზეზითა და საქმითა“, მეფეთა „მიერცა მერისხულა, მამული დასჭირეია და ღამქართა შინა არა შემუებულა“-ო. მამასადამე საეკლესიო „დაკრულება“-ს სამოქალაქო სფეროშიც „მერისხეა“ მოსდეედა, რომელიც ადამიანის მოქალაქეობრივ უფლებათა ჩამორთმეევას წარმოადგენდა და მაშელის წართმეევითა და სამხედრო სამსახურითგან გაძეევებით, თუ ის მანამდე უკეე მსახურობდა, ან „ღაშქართა შინა“ მეუშებლობით გამოიხატებოდა, თუ ის ჯერ სამსახურში არ იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მეფის საეკლესიო სფეროში ჩაურეელობა და მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მქონებლობა მტკიცე დებულება იყო, მაგრამ ეს თეორიული

დებულება ცხოვრებაში არაერთხელ დარღვეულა, რის რამოდენიმე მაგალითი თავთავის ადგილას დასახელებულიც გვქონდა.

II. საქართველოს მეფის უზენაეს უფლებას სამართლის დადება და ქმნა, ანუ კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება შეადგენდა. მაგრამ მარტო თეითონ მეფეს საქართველოში არას დროს ახალი კანონი არ დაუდვია, არამედ ყოველთვის დარბაზის ერთა თანამშრომლობითა და განჩინებით. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, მაგალითად, „პირველად... მეფეთ-მეფისა ბრძანებითა და შერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი“ იყო. „ძეგლის დადება“-დ წოდებული მთიულთათეის განკუთვნილი სამართლის წიგნის შედგენის მესახებაც გიორგი V ბრწყინვალე თეითეე მოუთხრობდა მეითხველს: „შემოეედით ქალაქსა და შემოვიგანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და კეეისთავნი და კეეისბერნი და ჰაეროვანნი, დავსხედით და დაესხით წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოსი ეფთუმი, დაესხით ვაზიორნი და ეპისკოპოსნი და მოურავნი“ და „ეს განაჩენი დაედეეით“-ო. მამასადამე ეს ძეგლიც იმავე წესით დარბაზის გაფართოებულ საგანგებო სხდომაზე „ერთბამად“ არის შედგენილი.

ეს წესი XVIII ს-შიაც-კი იყო დაცული და ვახტანგ VI-საც თითონვე ეს გარემოება აღნიშნული აქეს: „ნურავინ ჰგონებთ, რამეთუ თუთ თავით თუსით რასმე ეპყოფდეთ“-ო, „არამედ თანაყოლითა და თოწმებითა მღვდელმთაერისა... ძმისა ჩუენისა ბაგონისშეილისა კათალიკოსის დომენტისითა, აგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთეის შეილის, მთავარეპისკოპოზის გრიგოლისა და სხვათა მიტროპოლიტეპისკოპოზ-წინამძღუართ და საღთოთაგანთა, დამოწმებითა და თანაზრახვითა მუხრანის ბაგონის ერეკლეთიდა სახლისა ჩუენისა პაპუათი, არაგვის ერისთეის გიორგითა, ქსნის ერისთეის დაეითისითა, ორბელიძის სარდლის ლუარსაბითა, ამირახორის ავთანდილით, მდივანბეგის ერასტითა, სხვათა ყოველთა დარბაზისერთა ჩეენთა და კითხეითა ჭკუთამყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გაეაჩინეთ და დაეწერეთ“-ო.

მამასადამე, საქართველოს მეუე სამართლის წიგნს, ანუ კანონებს მარტო თეითონ-კი არ აღგენდა და მხოლოდ თავის სახელით-კი არ აცხადებდა, არამედ დარბაზის, ან საკანონმდებლო კრების „თანადგომითა და თანაზრახვითა“ „ერთბამად“.

2. საქართველოს მეფის უფლებას, როგორც აღნიშნული გვქონდა, მართლმსაჯულება, ანუ „მოჩიეართა მართალნი გამოძიებანი“-ც შეადგენდა. რასაკეირველია, როცა ისტორიკოსი ამბობდა მეფის „მოჩიეართა მართალნი გამოძიებანი“ ეკითხებოდაო, ეს იმასა ნიშნავს, რომ მეფე უზენაეს მსაჯულად ითვლებოდა. მისი წამდაუწუმ, წეროლმანი საჩიერებით შეწუხება არ იქნებოდა, ამისთეის განსაკუთრებული მოსამართლეები იყენენ დაყენებულნი. მაგრამ აქაც ყოველთეის, როცა რთული და ძნელი გასარჩევი საჩიერი იყო ხოლმე, მეფე საქმეს მარტო თითონ კი არ არჩეედა, არამედ დარბაზის წეერთა თანადგომითა და თანაზრახეით, მაგალითად, ოპიმასა და მიჯნაძორის მონასტრების მამულის გამო ცილობის გასარჩეევადაო, ამბობს მეფე ბაგრატ IV: „მეეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩეენისასა მღდელმოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ქეეთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი, და დავსხენით წინაშე ჩუენსა... და სამართლად ესე გავიგონეთ“-ო.

მაგრამ ეს უმაღლესი მოსამართლეობაც მეფის ხელში მხოლოდ XII საუკუნემდე იყო. ძველი წესი დაეით აღმაშენებლის დრომდე მოქმედებდა, ხოლო დაეითმა მართლმსაჯულებას ახალი გზა გაუკეთა. დაეით აღმაშენებლის ისტორიკოსი ჩეენი სამართლის ამ თვალსაჩინო წარმატებისა და გაუმჯობესების ამბაეს ამნაირად მოგეითხრობს: „სლავთა შინა თუსთა სამეფოთასა სიმრავეითა სპათათა და სიმალითა სლავთა“-ო მეფეს „ეერ ეერ აღეილად მიემთხუეოდიან მოჩიევარნი და ეინმე აღეიდის ბორცუსა შედა რასამე გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ეითარცა მაქე, უკუეთუ ოღენ ეპოს ესეეითარი რამე და მუნით საცნაურ ყეის ჭრტინეა თუსი. ამისთუს დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხეელნი მოჩიეართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა“-ო.

როგორც ამ ჰეირფასი ცნობითგან ჩანს, ვიდრე დაეით აღმაშენებელი ამ ახალ წესს შემოიღებდა, თითონ მეფე ყოფილა პირადად მსაჯულად, მაგრამ როცა სახელმწიფო გაფართოვდა და სახელმწიფოს საზღვრები მეტად გაერცელდა, ცხოვრებაც, რასაკეირველია, გართულდა, სამეფოს მართვა-გამგეობაც საგრძნობლად გაძნელდა. მეფე იძულებული იყო თაეისი განთქმული მხნეობა და თავისუფალი დრო გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ძლიერების დამყარებისათეის მოეხმარებინა. ამისათეის-კი სწრაფი ღამქრობა და მუდმივი სამხედრო სამზადისი და მოქმედება იყო ხოლმე საჭირო. მეფეს, რასაკეირველია, დრო და მოცალეობა არ ექმნებოდა და ამის გამო „მოჩიევართა“ საქმეების გარჩევას ვეღარ შეასწრებდა. მეფე რომ ერთ ალაგას არ ეგულებოდათ ხოლმე, მოჩიევარნი და მთხოვნელები თურმე ცდილობდენ მეფეს სადმე გზაში მაინც დახვედროდენ და თაეიანთი ჭირ-ვარამი და დარდი შეეჩიელათ: ისტორიკოსის სიტყვით, ისინი გზის პირად გორაკებზე, ან მაღალ კლდეებზე ადიოდენ ხოლმე, ან არა და ხის კენწეროებზე მოექცეოდენ, ოღონდ-კი მეუემ როგორმე შეგეამჩნიოს და ჩვენი ამბაეი იკითხოსო.

ხელმწიფემ მოჩიევართა და მართლმსაჯულების ასეთ გაჭირეებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია და საქმის მოწესრიგება დააპირა. რაკი თითონ მეფეს მოცალეობა არა ჰქონდა, ამიგომ მეფესთან ნაჩიელი ყეელა საქმეების გამოსაძიებლად და გასარჩეევად მან ახალი დაწესებულება დააარსა, სადაც, „კაცნი მართლად მცნობელნი“ დაასყენა. ამიერითგან უზენაესი

მართლმსაჯულება საქართველოში ამათ ეკითხებოდა, ეს საქმეები უკეე მეფის პირადი განსაგებელი აღარ იყო. შესაძლებელია უზენაეს მოსამართლეთა მხოლოდ განაჩენი დასამტკიცებლად ყოფილიყო მეფისათვის წარდგენილი.

III. საქართველოს მეფე სახელმწიფო ჯარის უზენაესი პატრონი და მთავარი წინამძღოლიც იყო. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ბასილი ეზოს-მოძღვრის სიტყვით საქართველოს წარჩინებულნი თამარის ქმროსნობას იმიგომაც აჩქარებდნენ, რომ ამით „წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს“-ო. ჩვეულებრივ მეფე თითონაც იღებდა მონაწილეობას ომში და მეთაურობდა ჯარს. დავით აღმაშენებლის შესახებ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს ციდეე, რომ ის „არა ვითარეა სხუაჲ ეიმე ბურგით უღაჲ ოდენ სპათა თჳსთა, ანუ მორით უწრახებდა, ეითარცა ერთი მრაეალთაგანი, არამედ უპირატეს ყოეელთა თჳთ წინა-უეიდოდა“-ო. ამიგომაც იყო, რომ „ლაშქართა მეცადინეობანი“, „მკედართა განწესებანი“ იმგვარადეე, როგორც „სპათა დაწყობანი და ღონენი“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, მეფის საბრუნაეი უნდა ყოფილიყო და ამის ჯეროვნად მოწყობა მის მოვალეობას შეადგენდა.

რასაკეირეელია, სამხედრო საქმისათვის განკუთენილი ეაბირი, ამირსპასალარი, მთელი ამ საქმის გამძღოლი იყო და მეფე მხოლოდ ზოგად ხელმძღვანელობას უწეედა და მიმდინარე მუშაობას თვალყურს აღეენებდა. ამიგომ ის, რაც ამირსპასალარის შესახებ ნათქეამი გექონდა, უნდა აქაც მხედეელობაში გექონდეს. რაც უფრო-და-უფრო იბრძებოდა საქართველოს სახელმწიფო მიწა-წყალი, სულ უფრო-და-უფრო ნაკლები მოცალეობა უნდა ჰქონოდა მეფეს, რომ სახხედრო საქმის უმუალო ხელმძღვანელობა შესძლებოდა. ამავე დროს თანდათანობით უნდა ემატა ამირსპასალარის ამ სფეროში გაელენიანობასაც. ამიგომაც არის რომ „კარის გარიგება“-ში უკეე ნათქეამია: „ლაშქრობაჲ და ლაშქრობის ეაბირობა ამირსპასალარის ქელი არის“-ო და „მას წინაჲ არავინ იგყეის რაჲ ეაბირობა იყოს“-ო (9/181-182). მაშასადამე, სამხედრო უწყებასა და სფეროში ამირსპასალარს უღიდესი გაელენა მოუპოებია: მის სიტყეისა და აზრისათეის პირეელობა მიუკუთენებიათ. ამირსპასალარის ასეთი უპირატესი მდგომარეობა ალბათ თამარის მეფობაში უნდა განმტკიცებულიყო.

IV. საქართველოს მეფის საზრუნაე საქმეს, რასაკეირეელია, საფინანსო საქმეები, ანუ „საჭურჭლეთა მემოსაეალნი“-ც შეადგენდა: იმაზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო გადასახადებისა და ბეგარისაგან განთაეისუფლება, „მეუუალობის“ მინიჭებაც. მელქისედეკ კათალიკოზი, მაგალითად, თაეის 1020 წ. სიგელში ამბობს: „ესე ყოეელი სოფელი რომელი მომიგია და რომელნი სოფელნი ძეულად ქონდეს ამას წმიდასა ღედა-ქალაქსა, მესაეალნი იყუნენ და მე მოვაკენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და მეუუალედ გამიკადეს და მიბოძეს სიმტკიცე მეუუალობისა“-ო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც მოგეითხრობს, რომ მეფემ „განათაეისუფლნა არა მონახტერი ოდენ და ღაერანი მოსაკარგაეეთა მაჭირეებელთაგან, არამედ ხუცესი სამეფოსა მინა მისსა ყოელისა ბეგარისაგან“-ო. თამარ მეფის ისტორიკოსიც ამტკიცებს, რომ თამარმა საქართველოში „თაეისუფალ-ყუნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან“-ო.

ამ მაგალითებითგან ჩანს, რომ სახელმწიფო გადასახადების და ბეგარისაგან განთაეისუფლება მეფის უფლება ყოფილა. მას შეეძლო მიეცა ქეეშეერდომისა, ან ამა თუ იმ დაწესებულებისათეის ის უპირატესობისა მიმნიჭებელი საბუთი, რომელსაც ეწოდებოდა „სიმტკიცე მეუუალობისაჲ, ანუ „სიგელი მეუუალობისაჲ“.

მრავალი ცნობებითა მტკიცდება აერეთეე, რომ მეფისაეე უფლებას შეადგენდა დამსახურებული ქეეშეერდომთათეის სახელმწიფო მიწებისა და ყმების „წყალობა“ და „ბოძება“, რასაც რასაკეირეელია სახელმწიფოს „საჭურჭლეთა მემოსაელის“ რაოდენობაზე საგრძნობეი გაელენა ჰქონდა ხოლმე. მაგალითად: სულა კალმახელმა რომ ბაგრატ IV-ის ძლიერი, ურჩი მოყმე ლიპარიტ შეიპყრო და მეფეს გაღასცა, „ამის მსახურებისა ნაცუალად მეფემან უბოძა მამულობით – ციხის-ჯუარი და ოძრქე ბოდო კლდითა და სხუანეცა მრავალი საქონელი და სამღუდეელთმოძღურონი“, გიორგი II-მაც „უბოძა ივანეს სამშეილდე და ბესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლეწუბანი, ნაცვალად რუსთაეისა, რომელი მიეცა კახთა, და ნიანიას – თმოეეი და სხუანი საქონელნი რჩეულნი, ეარდანს უბოძნა ასკალანა და უთაღუბო ჯაყეული, ივანეს სიტყუთ, უბოძა და ყოეელივე ერთგუნეი და ორგული დაფარა წყალობითა“-ო. თამარის პირეელი ისტორიკოსი მოგეითხრობს, რომ თამარ მეფემ „შემწყალებელმან ერთგულთა და საკუთართა მისთა, შეიწყალა ბაქარია ეარდანისძე და უბოძა გაგი ქურდეაჭრითა განძამდის მრავალთა საკუთარითა და მრავალთა სანახეეროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა.– მეიწყალეს და დალოცეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“-ო. იმავე თამარ მეფემ ზაქარია მკარგრძელს „მოუმატეს ქალაქიცა რუსთაეი... ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ეინოანი ქალაქი და ციხე მრავალითა მთიულეთითა და შეიწყალეს სარგის ეარდანის ძე დალოცეს და უბოძეს თმოგეი“-ო.

თაეისთავად ცხადია, რომ ისეთი საკითხების გადაწყეეტა, როგორიც იყო უძრავი ქონების სანახეეროდ, თუ სახარაჯოდ, ან და სამმაულოდ წყალობა და მეუუალობის უპირატესობისა და სიგელის ბოძება მარტო მეფეს არ შეეძლო: უეჭეელია იგი წინასწარ სათანადო უწყებათა უფროსების, ეაბირების აზრს შეეკითხებოდა. მართლაც „კარის გარიგება“-ში ნათქეამითგან ჩანს, რომ ამირსპასალარი ერთი იმ ეაბირთაგანი ყოფილა: „უამისოდ ქეეყანა არ გაიცემის, არც ეინ

სამამულოდ შეიწყალების“–ო (19/441-443). როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. თხზ., ტ. VI, გვ. 289), ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ უძრავ ქონებისა და მამულის მფლობელობაზე იყო დამყარებული ლამქარ-ნადირობის მოვალეობა და სამსახური სამხედრო მინისტრს, რასაკვირველია, უნდა შეკითხებოდენ, ქვეყნის და მიწის ამ გაეცემის წყალობით ხომ საქმეს რაიმე მიანი არ მოუვიდოდა. ამაზე მოსაზრებით, საჭიროებელია და უფრო მოსალოდნელიც, რომ ასეთ შემთხვევებში მეფე მეჯურჭლეთ-უხუცესსაც, რომელსაც სახელმწიფოს ფინანსები ებარა, შეეკითხებოდა.

მეფე სმიწების წყალობა, რასაკვირველია, სახელმწიფო ან სასეფო უძრაეი ქონებითაან შეეძლო და ჩვეულებრიე ასეთი მიწები, თავისუფალი „უმკუდრონი და უმამულონი“ უნდა ყოფილიყო. დაეით აღმამენებელს თავის ანდერძში მაგ. ნათქვამი აქვს: „რომელი მიმიცემია (გელათის მონასტრისათვის), მისგან ნურას დააკლებს და აღგილნი, რომელნი მიმოვებიან, უმკუიღრონი და უმამულონი, მათგანცა, ეითარცა ბერმან არსენიც და კათალიკოზმან გამოარჩიონ, შეფმან დიმიტრი მიცემითა წერ[ილ]თა და სიგელთა განასრულონ ყოველითურთ უნაკლულოდ“–ო . „უმკეიღრო“ და „უმამულო“ ისეთ უძრაე ქონებას ეწოდებოდა, რომელსაც მემკვიდრეობით მფლობელი და პატრონი არა ჰყავდა.

თუ მიწების წყალობისათვის სათანადო ვაბირების თანხმობა ყოფილა საჭირო, მით უმეტეს, ცხადია, ეაბირთა საბჭოსა და თეით სახელმწიფო დარბაზის თანხმობა იქმნებოდა საჭირო, როდესაც მეფე ან ახალი გადასახადის შემოღებას, ან ძველის გადიდებას განიზრახაედა. მაგრამ, ალბათ „კარის გარიგების“ ტექსტის უდიდესი ნაწილის დაღუპვის გამო, ამ საკითხზე პირდაპირი ცნობები ჯერ არსადა ჩანს.

მეფისაგან გაცემული წყალობისა, თუ შეუვალობის წიგნს ძალა მხოლოდ მის მეობის დროსა ჰქონდა, მისი სიკუდილის შემდგომ-კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო მეფე ამ საბუთს დაამტკიცებდა.

უძველესი ქართული იურიდიული საბუთები ცხად-ჰყოფენ, რომ ხელმწიფე გახგზე ავიდოდა თუ არა, ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთაც განსვენებულ მეფეთა მიერ წყალობის, ან მეუვალობის წიგნები ნაბოძება ჰქონდათ, მოვალენი იყვნენ ახალი ხელმწიფისათვის მიერთმიათ და საბუთების დამტკიცებას მეჰვედროდენ. როცა მეფე თავის მოყმეს ისეთ წყალობის წიგნს აძლევდა ხოლმე, რომელიც „საუკუნოდ“ უძლელად უნდა დარეჩენილიყო, იგი თავის ნაბოძებ ბრძანებაში უეჭველად ჩაუმატებდა ხოლმე: „აწ ეინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა... დაუმტკიცეთ და ნუ ინ უშალავთ ბრძანებულსა და გაგებულსა ამას ჩუენსა“–ო . ასეთი თხოვნა ყველა მეფეთა სიგელებსა აქვს ჩართული.

ჩვენამდის სწორედ ერთმა ასეთმა საბუთმა მოაღწია, სადაც მეფე გიორგი II მიომღვიმისადმი წინანდელ მეფეთა ნაწყალობევ უფლებებს უმტკიცებს. მეფე ბრძანებს: „მოვიდეს მღუმეს ჩუენ წინაშე წმიდა მამა მიქელ და ყოველნი მამანი, მკუდრნი მღუვიმისანი და მოიხუნეს სიგელნი მამათა და პაპათა ჩემთანი და დაწერილნი მთავართა ყოველთა და აზნაურთა..., რათა იგი სიგელნი გაუახლენით და დაწერილნი დაუმტკიცენით“–ო. ამ დამტკიცების და უფლებათა განახლების საბუთის ბოლოს ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაა და სიგელი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩემისასა: ა: პირველსა“–ო. რასაკვირველია მიომღვიმის მამაბეს გიორგი II-ისათეის მის მეფობის პირველსავე წელს დასამტკიცებლად იმიგომ წარუდგენიათ, რომ მათ საბუთებს ძალა და მნიშვნელობა არ დაჰკარგოდათ.

თუ მეფეებს აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდათ, რომ როცა რომელსამე მოყმეს მამულს, ან სხეა უფლებას უწყალობებდნენ, სიგელში ჩაემატებინათ ხოლმე მემდგომად მომავალ მეფეების მიმართ თხოვნა, ჩემი ბრძანება და წყალობის წიგნი დაამტკიცეთ და ნუ გააუქმებთო, უეჭველია, ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ამთ მემკვიდრე მეფეებს შეეძლოთ წინაპართა ნაბრძანები და წყალობის წიგნი მოეშალათ. რამდენად დარწმუნებულნი ყოფილან საქართველოს ხელმწიფენი, რომ მათ მოადგილეებს მათი ბრძანების დარღვევა შეეძლოთ, იქითგანაც ჩანს, თუ რა სამუალებასა ხმარობდენ ხოლმე მეფენი, ოღონდ-კი თაეიანთი წყალობის წიგნისათვის საუკუნე უქცეულება მიენიჭებინათ: თხოვნის გარდა ისინი სიგელში ყოველთვის ჩაურთაედენ ხოლმე, „უკეთუ ვინმე, რასაცა ჭამსა რაიცა გუარი კაცი, დიდი, გინა მცირე აღგეს და ამა ნაქნარსა ჩუენსა აქცეედეს, გამცაურასხდების მამი, ძედ ა სული წმიდაი და ესემცა წმინდანი მოციქულინი არიან მსაჯულნი სულისა მათისანი ღღსა მას განკითხეისასა“–ო. ამ გვარივე კრულვა ყველა საბუთებში მოიპოვება.

მაგრამ მეფეების აზრით, არც ესა კმაროდა. წყეულას რომ გაეჭრა და მომავალში საბუთი ვისმე არ დაერღვია, ამისათვის ისინი თვითეული თაეიანთი სიგილს ბოლოს მიამატებდენ ხოლმე: „თქუენ ქრისტჱს მიერ– ქართლისა კათალიკოზმან და წმინდათა მღედელთ-მოძღუართა დაწერილი ესე ჩუენი დაამტკიცეთ, ვიტა წესი არს, წყეულანი და მეჩუენებანი დაწერეთ ვინცა უქციოს და მეუცვალოს“–ო. კათალიკოზებიც გულმოდგინედ ასრულებდენ ხოლმე მეფეთა თხოვნას და „კრულობით მოწმობას“ ურთაედენ ხოლმე. სამინელი უმართმაზარი კრულეა-მეჩვენება იყო ხოლმე საჭირო, რომ მეფე დარწმუნებული ბრძანებულიყო, რომ მისი მოადგილეები სიგელს არ გააუქმებდენ და არ მომლიღენ. მაგრამ ზოგჯერ არც ასეთი წყეულა-კრულეა ჰმეელოდა ხოლმე

რასმეს. ეხლაც-კი აუარებელი საბუთი მოიპოვება, საცა ნ ათქვამია, რომ განსვენებულ მეფეთა სიგელი არ დაამტკიცეს და მოშალესო.

ამ ნაირად ყველა შემომოყვანილი მასალებითგან ცხადად ჩანს, რომ საქართველოს მეფეთ-მეფის ბრძანებას მნიშვნელობა და გასაჯალი მხოლოდ მისი ზეობის, სიცოცხლის დროსა ჰქონდა, ესე იგი თვითეული მეფის ბრძანებისა და განკარგულების მოქმედებას საზღვარი ედო: ეს საზღვარი მეფის სიკვდილი იყო. განსვენებული მეფის ბრძანებასა და წყალობის წიგნს მხოლოდ მამინ შერჩებოდა ხოლმე ძალა და მნიშვნელობა, თუ მისი მოადგილეები შეიწყნარებდნენ და უქმეველობას დაუმტკიცებდენ.

ჩვენამდის ერთმა საყურადღებო საბუთმა მოაღწია, რომელიც საუცხოოდ გვიხატავს, თუ რა გაჭირებულ მდგომარეობაში ჩაცივდებოდენ ხოლმე ის პირები, რომელთაც გახმებე ახლად აბრძანებულ ხელმწიფისათვის თავის მფლობელობის, ან წყალობის წიგნი დასამტკიცებლად არ წარუდგენიათ. ეს საბუთი ბაგრატ IV-ის ოპიზის მონასტრისადმი ბოძებული სიგელი გახლავთ. „მოვიდეს ჩუენ წინაშე"-ო, ამბობს მეფე, „ქუთაისის სახლსა სამკუიღრებელსა ჩუენსა, ესე მამანი მიჯნაბოროლნი და მამანი ოპიზარნი... და მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთა-ერისთაისა, გურგენ მეფეთა-მეფისა, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისი და მამისა ჩემისა გიორგი მეფისა, რომლითა იგი ტყენი და ზღუარნი მიჯნაბოროისთუის დაემტკიცნეს და კრულობითა მოწმობანი კათალიკოზთა და მღვდელთმოძღუართანი. — და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გურამ მამფალისა (+882), რომლითა მას ტყესა და ზღუარსა მიჯნაბოროელთა ერჩოდეს. და ამათ მიჯნაბოროის სიგელთა შინა გურამ მამფალისა დაწერილი, რომელ ოპიზართათეის დაუწერია არა ქსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგებებულად".

ოპიზის მონასტრის ბერებს, როგორც ამ საბუთითგან ჩანს, გურამ მამფლისაგან მამული საჩუქრად მიუღიათ, მაგრამ უთაურობისა და დაუდევრობის გამო, თუ სხვა რაჰმე მიზეზით, გურამ მამფალს (+882) სიკვდილის შემდეგ ოპიზელ ბერებს თავიანთი წყალობის წიგნი ხელმწიფისათეის დასამტკიცებლად არ წარუდგენიათ და ის მამული, რომელიც მათ გურამ მამფლისაგან ჰქონდათ ნაბოძები, გურგენ ერისთავთა-ერისთაეს მიჯნაბოროელთათეის გადაუცია. მიჯნაბოროის მამებს თავიანთი უფლება კანონიერად დაუცავთ დაყ ეელა შემდგომად მომაეალ-მეფეებისათეის სიმტკიცისა და მოუშლელობის ხელრთვა, ხოლო კათალიკოზებისათეის კრულობითი მოწმობანი უთხოეიათ და მიუღიათ კიდეც. მამასადამე მიჯნაბოროელნი ამ დაეაში მართალნი იყენენ, ოპიზელების საქმე-კი წაგებული იყო.

ასეთივე მსჯაერი დასდო ამ საჩივრის განხილეის შემდეგ უმაღლესი დარბაზის კართან მოწეეულმა კრებამაც. მეფე ბრძანებს: „კელნი ამათნი (ე.ი. მიჯნაბოროელთა საბუთზე მოწერილთ დამტკიცება) მრაეალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩეენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო და სულსა მათ პირეელთა მეფეთასა ეერ დაეიმძიმებდით"—ო. მართალია, მამული საჩუქრად თაედაპირეელად ოპიზელებმა მიიღეს, მაგრამ რაკი წყალობის წიგნი შემდგომად-მომაეალ მეფეებს არ დაამტკიცებინეს, ამიტომ ნაჩუქარი მამულის მფლობელობის უფლებაც დაკარგეს. სასამართლომ მამაული მიჯნაბოროელთ მიაკუთენა.

ამგეარად, იურიდიული საბუთები გეიმტკიცებენ, რომ საქართეელოს მეფის უფლებას მის სიცოცხლის დროს ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა, სიკედილის შემდეგ კი მარტო იმ შემთხეეეაში, როცა მოადგილე დაამტკიცებდა. ეს გარემოება, რასაკეირეელია, თეალსაჩინოდ და არსებითად აეიწროებდა და ბეღუდაედა მეფის უფლებას. თანამედროეე სახელმწიფოებში თვითეული მეფის, ან მთავრობის ბრძანებას იმ დრომდე აქეს ძალა და მნიშვნელობა, მანამდის რომელიმე მომაეალი მეფე, ან სხეა სათანადო ორგანო არ გააუქმებს, მაშინდელ საქართეელოში კი მხოლოდ მამინ ჰქონდა ძალა, თუ თვითეული მომაეალი ხელმწიფე მას დაამტკიცებდა.

V. მეფის უმთაერეს საზრუნაეს მაინც, რასაკეირეელია, სახელმწიფოს მინაური საქმეების გაძღოლა-მოწესრიგება შეადგენდა. თაედაპირეელად უნდა ქეეყნის საზღერების დაცულობისათეის ებრუნა: „კიდეთა პყრობანი" და „ნაპირთა ჭირეანი" სწორედ ამ მოეალეობას პგულისხმობდა. ამასთანაეე მეფე უნდა სახელმწიფოს წესიერი და მშეიდობიანი ცხოერების ფხიმეით მოდარაჯე ყოფილიყო. ამიტომაც საერთოდ „სამეფოსა წყნარობისა ღონენი" და „განხეთქილებათა კრძალვანი" და რასაკეირეელია დროულად „მთავართა ზაკეისა და ისედაც „შემცოდეთა წყალობითნი წურთანი", ხოლო ერთგულთა და „მსახურებელთა ნიჭისა მრაელობანი'-ც მის უფლებად ითელებოდა. ცხადია, ყველა ამ საქმეებს მეფე სათანადო მოხელეებისა და ორგანოების სამუალებით აწარმოებდა და უძღეებოდა, მაგრამ მინაური პოლიტიკის საერთო გეგმის მიმცემი და ხელმძღუანელი თვით მეფე და მისი alter ego, ეაზირთა-უპირეელესი იყო. თუ გაეიხსენებთ იმ ხანგრძლიე ინტენსიურ პოლიტიკურსა და სოციალურ ბრძოლას, რომელიც მამინდელ საქართეელოში წარმოებდა და რომელზედაც უკეე საკმაოდ გექონდა საუბარი, მაშინ ცხადი გახდება, თუ რაოდენი მუშაობა, მორსგამჭრეტელობა და წინდახედულობა დასჭირდებოდა მეფეს მინაური პოლიტიკის წარმოებისა და მრაეალგეარი საქმეების ზოგადი ხელმძღუანელობისათეისაც-კი.

მეფის უფლება-მოეალეობას შეადგენდა, რასაკეირეელია, უმაღლეს მოხელეთა, ხელისუფალთა არჩეეა და დანიშენა, ისეეე როგორც უეარგისად აღმოჩენილი გადაყენება. სწორედ ამას პგულისხმობდა დავიტ აღმაშენებლის ისტორიკოსი, როდესაც მეფის მართება-

განსაკუთრებულ საქმეთა სიაში „საკელეთა სჯანი“ შეჰქონდა. ასე იყო თამარ მეფემდე, ხოლო თამარის დროს დიდ მოხელეთა არჩევისთვისაც დარბაზის ერთა თანადგომა და ერთნებაობაც საჭირო გამხდარა.

ახლად-არჩეულ ხელისუფალთა „დალოცვა“ და „კელდასმა“-ც მეფის უფლებას შეადგენდა. იგივე აძლევდა ამ "დალოცვი" ხელისუფლებს მათი თანამდებობის ნიშანს, როგორც მაგალითად ამირსპასალარს ოქროს ღომის თაეიან არგანსა და ხრმალს, მანდატურთუხუცესს ოქროს არგანს, მოლარეთუხუცესს თეალედ ბეჭედს და სხვა.

VI. დასასრულ, მეფის უფლებას საერთაშორისო საქმეებისა და დამოკიდებულის წარმოებაც შეადგენდა. მისი საბრუნაეი მეზობელი, თუ მორეული დიდი სახელმწიფოების „მოციქულთა შემთხუევანი“, ე.ი. მიღება და „პასუხნი“, მოლაპარაკების წარმოება, – აგრეთვე „მოსაკითხავთა შესაგეინი მოკითხვანი“, როდესაც წარმოელენილ მოციქულს მეზობელი მბრძანებლისაგან მხოლოდ მოკითხეის მოხსენება ჰქონდა დაეალებული, და „მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი“, როცა ყმად-ნაფიცთაგან ძღვენის მომგანთა წესისაებრ დასაჩუქრება იყო საჭირო. თაეისდა-თავად ცხადია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებაცა და ტვირთიც მეფეს ჰქონდა.

ეითარცა სახელმწიფოს უზენაეს საჭეთმპყრობელსა და გეზის მიმცემს, მეფეს ყველაფერი მნიშვნელოვანი უნდა სცოდნოდა. ამიგომ სახელმწიფო საქმეების გამო მეფე შეიძლება ყოველგვარ დაწესებულებაში მისულიყო და ხშირად იმყოფებოდა კიდეც. კ. გრიგებაძი ნათქვამია: „სადა გინა იყოს მეფე – სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს“, მასთან მომხსენებელი ამირეჯიბი „ყოველგან მიეა და ყოველგან იურვის“-ო.

საქართველო რომ XII ს-ში დიდ სახლემწიფოდ იქცა, მეფე სახელმწიფო საქმეებით ისე დატვირთულა, რომ დილა-აღრიანეე მუშაობის დაწყება უხდებოდა: „დილას რაჟ მეფე საწოლით გავიღეს“, სანამ მეფე „უკაზმაეი“ იყო, მაშინაც, თუ სასწრაფო საქმეები იყო, შეიძლება მომხსენებელი მიეღო. ასეთ დროს მოსახსენებელ საქმეებზე „მსახურთ-უხუცესი და მისის კელისანი უფრო იურვიან“, მაგრამ ასეთ შემთხვევამიაც მეფესთან ჩვეულებრივ შემყვანი და წარმდვენი მოხელის, „ამირეჯიბის დათხოეა არც მათგან (ე.ი. მსახურთ-უხუცესისაგან) ეგების“-ო. ხოლო „რა შეეკაზმოს და გამოვიღეს“ მეფე საწოლითგან, ამ დროითგან მოყოლებული „საღამოს რეკამდის“, ყოეელი „საურაეი“ საქმე ამირეჯიბის პირით უნდა მოჰხსენებოდა.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ, თუმცა „საწოლი“ სასახლის იმ ნაწილის აღმნიშნელი ტერმინი იყო, სადაც მეფე იწვა და ეძინა ხოლმე, მაგრამ, საკუთრივ საწოლ ოთახს გარდა, „საწოლი“ იმ ოთახებსაც ჰგულისხმობდა, სადაც მეფე იმყოფებოდა, სანამ "უკაზმაეი" იყო ხოლმე.

საწოლში მყოფი მეფისათვის განსაკუთრებული მოხელეები არსებობდნენ, რომელთა დანიშნულებას, ან მეფის კერძო სამსახური, ან დაცვა, ან სახელმწიფო საქმეების მოხსენება და განკარგულების აღნუსხეა და ასრულება შეადგენდა. ასეთ მოხელეთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მსახურთ-უხუცესსა სა საწოლის მწიგნობარსა ჰქონდათ.

საქართველოში მაშინ არსებული წესის გამო, მეფეს თაეის საბრძანებელში მიმოსელა ხშირად უხდებოდა. სახელმწიფო საქმეები რომ არ შეფერხებულიყო, საქართველოში მეფეს თაეისი მოძრაეი დაწესებულებებიც ჰქონდა, რომელნიც მოგზაურობაში მას, თუ საჭირო იყო, თან სდევდა ხოლმე, როგორც მაგ. მოძრაეი სალარო, მოძრაეი საწოლი, დაეით აღმამენებლის დროს მოძრაეი წიგნსაცაეიც და, რასაკვირეელია, სამდიეანმწიგნობროც.

აღსანიშნაეია, რომ მოგჯერ, ლაშქრობის და სასწრაფო საქმეების დროს, მეფეს ეგმაიაც-კი უწარმოებია საქმეები. ამ მხრივ „კელმწიფის კარის გარიგება“-ში ერთი საგულისხმო ცნობა მოიპოეება: „რაჟ მეფე ცხენსა ზის, ეითარცა უდარბაზებს, ეინ გინდა იყოს, ათაყვანებს. თუ ეისი ძღვენი იყოს, შესძღვნის“-ო.

ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით, როგორც დავრწმუნდით, სამეფოს მთელი მართეა-გამგეობის სათაეეში ეაზირთა საბჭო იდგა და ამ საბჭოს თავმჯდომარე, ეაზირთა ყოეელთა უპირეელესი და მწიგნობართ უხუცესი ბრძანდებოდა. მისი ხელისუფლება იმდენად ფართო და დიდი იყო, რომ თეით მეფის მამადაც-კი იყო მიჩნეული და საქართველოში სახელმწიფოს „ყეელა საურაეი უმისოდ არ იქმნების“-ო. ამგვარად, თუმცა ეაზირთა-უპირეელეს მეფის დაეკითხვად მნიშვნელოვანი საქმეები არ უნდა ეწარმოებინა, მაგრამ სამაგიეროდ არც მეფეს უნდა განეგო „საურაეი უმისოდ“. არსებითად-კი სახელმწიფოს მართეა-გამგეობის მთელი ტვირთი მწიგნობართ-უხუცესს, ეითარცა ეაზირთა ყოეელთა უპირეელესს და ყეელა „საურაეთა შემეცნებულ“ სპეციალისტს, აწეა თავზე. ამიგომ ხშირად საქართველოს სახელმწიფოს დაწინაურება იმდენად მეფის პირადი ღეაწლი არ იყო, რამდენადაც ეაზირთა-უპირეელესის. იმისდა მიუხედაეად, რომ მაშინდელი ისტორიკოსების თხზულებათაგან ჩეენამდის უფრო კარის ისტორიკოსების ნაწარმოებებმა მოაღწიეს, მაინც თეით დაეით აღმამენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებითგანაც ნათლად ჩანს, რომ ასეთ დიდ პიროვნებათა ბრწყინეეკებასაც, როგორიც ეს გეორგიანოსანნი იყენენ, მთლად ვერ დაუჩრდილავს მათი ეაზირთა-უპირეელესთა გიორგი მწიგნობართუხუცესისა, რომელიც ისტორიკოსისაეე სიტყეით იყო „თანაგამკაფეი ყოეელთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა“ დაეით აღმამენებლისთა და ანტონი გლონისთეის ძის, გიორგი III-ისა და შეგადრე თამარ მეფის სახელგანთქმული ეაზირთა-უპირეელესის ღეაწლი საქართველოს სახელმწიფოსა და ერის წინაშე.

§ 13. მეფის საჯდომელი ქალაქი და აღგილები

იმ ქალაქს ანუ აღგილს, სადაც მეფე მუდამ ცხოერობდა ხოლმე, „სამეუფო, ან სამეფო ქალაქი“, „სახლი სამეფო“ და მეფეთა საჯდომელი“, ან „საჯდომი“ ერქვა.

ბაგრატ III-თგან მოყოლებული ვიდრე დავით აღმაშენებელი 1122 წელს ტფილისს არ აიღებდა, სამეფო ქალაქად ქუთაისი ითელებოდა. ხოლო ტფილისი კელავ საქართველოს შემოუერთდა თუ არა, მეფემ მაშინვე იგი აქცია „საჭურჭლედ და სახლად თუსად საუკუნოდ“. ტფილისში იდგა „სამეფო სრა“ ისანს და დიდუბეში, რომელნიც მაშინ გარეთუბნებად ითელებოდენ.

მაგრამ მეფეები ყოველთვის ერთ აღგილას არ ბინადრობდენ, არამედ მამთარში საცხოერებლად უფრო თბილ მხარეს ირჩეოდნენ, მაფხულში-კი გრილი, მაღლობი აღგილებისაკენ მიეშურებოდენ. ბაგრატ IV მაგალითად გაბაფხულში ქართლში ცხოერობდა ხოლმე, ხოლო მამთარში აფხაზეთს გადადიოდა. მემატიანეს სიტყვით დიდგორიც „მეფეთა საზაფხულო სადგომი“ ყოფილა. ხოლო გიორგი III-ის დროს ნაჭარმაგევს „მეფის სახლი სალხინო“, ან „სათამაშო“ იყო.

გიორგი III-ეს და თამარის დროს ტფილისის გარდა „სამეფო გახგი“ გეგუთსაცა ყოფილა. თამარ მეფის დროს-კი მეფეთა საჯდომად ტაბაკმელაც ითელებოდა.

§14. მეფის გარდაცელა და გლოვეს წესი

როგორც მეფის დაგვირგვინების განგება არსებობდა, ისეევ მეფისა და მისი სახლეულის გარდაცვალების გამო გლოვისა და დასაფლავების მკაციე წესი იყო დამკვიდრებული, რომელსაც „გლოვის წესი“ ერქვა: როცა მაგალითად, გიორგი III-ის თანამეცხედრე ბურდუხან დედოფალი გარდაიცვალა, ისტორიკოსის სიტყვით, „ეაბანი და ტყებანი იქმნეს ეამსა მას, შემსგავსებული მოსაწეარისა ...და წესისაებრ იგლოეს ყოველთა ქართველთა“-ო. რასაკვირველია საზოგადო „გლოვეს ნიშნები“-ც არსებობდა და უმთავრეს ნიშნად თმისა და წვერის მოპარსეა ითელებოდა, რაც, როგორც ეტყობა, გლოვის საერთო ნიშანი ყოფილა. ბურდუხან დედოფლის სიკვდილის ამბის გაგონებაზე, მაგალითად, გიორგი III-მ „ამფხერელმან თმათა და წვერისამან“ გლოვა დაიწყო.

თამარ მეფის სიკვდილის გლოვის ნიშნადაც „აღეპარსა ყოველთა თაეისა ...თმანიცა“-ო. „ძაძის ჩაცმა“-ცა და „კიდექმნა ყოელისა სანოეაგისა“ აუცილებელი ყოფილა. დაკრძალვის შემდგომ, რომელსაც მთელი უმაღლესი სამღდელება და დიდებული მოხელეობა ესწრებოდა ხოლმე, მიცვალებულის მგლოვიარეთ „ბნელთა სახლთა შინა შეწყდეევსა, შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა და კიდე-ქმნასა ყოელისა სანოეაგისასა“-ში უნდა გაეტარებინათ დრო. გლოვა, როგორც ჩანს, ერთ წელიწადს გასტანდა ხოლმე და „მოქცეასა წელიწადისასა“, როცა წლისწირვას გადიხდიდენ „ეითარცა წესი იყო, რამეთუ გარდაჴდა ეამი ამის ეამისა, და მოსწორებასა მოქცეისასა“, „შემდეომად გლოვისა მის გადახდისა“, მხიარულება კლაეინდებურად შეიძლებოდა.

სახელმწიფო დარბაზი და დარბაზობა

§ 1. სიტყეა „დარბაზ“-ის მნიშვნელობა

საქართველოს სახელმწიფოს უმენაესი ორგანო სახელმწიფო „დარბაზი“ იყო. სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო შემთხვეევების დროს, – სახელმწიფო საქმეებზე ბჭობისათეის, ან რთული იურიდიული საკითხის გადასწყვეტად, თუ დიდებული მოხელეების დასანიშნაეად, ან და მემობელი მეფე-მბრძანებლების მისაღებად საქართველოს მეფე „დარბაზობა“-სა მართაელა ხოლმე. დარბაზი სპარსული სიტყეა „დარეაზეკ“ არის და ნიშნავს სახლის კარს, ან ალაყაფის კარს. ქართულში ეს სიტყეა ამირას, მეფის, ან საერთოდ მბრძანებლის სასახლესა ჰნიშნაედა. მაგრამ ამასთანავე დარბაზს სასახლის იმ ოთახსაც ეძახდენ, სადაც სახელმწიფო საქმეების გამო მეფის თანდასწრებითა და მონაწილეობით სხდომა იმართებოდა ხოლმე. „დარბაზის კარ“-ში შეკრიბა მაგ. ბაგრატ IV რთული სასამართლო საქმის გასარჩეევად წევრნი.

ტერმინი „დარბაზი“ X-XI ს-ზე უწინარეს არა ჩანს, სომხურშიაც “დარაპას“ თომა არწრუნის მოეპოეება.

რაკი სპარსულში ეს სიტყეა კარსა ჰნიშნაედა, საფიქრებელია, რომ მას ქართულშიაც თაედაპირველად ასეთიეე მნიშენელობა ექმნებოდა და ჯერ ეს ტერმინი „სამეუო კარის“ მაგიერი და „სამეფო კარი“, ან „უმაღლესი კარი“ მეფის სასახლის აღსანიშნაეადაც იხმარებოდა, ამიგომ

„სამეფო დარბაზ“-საც ასევე მეფის სასახის მნიშვნელობა მიენიჭებოდა. მაშინ სასახლის აღმნიშვნელ ტერმინად „დარბაზის კარი“-ც ყოფილა მიღებული და ამ გამოთქვამისაგან მეორე სიტყვის, სწრაფი საუბრის წყალობით, ჩამოყალიბის შემდეგ, სასახლის მნიშვნელობა „დარბაზს“ მერჩებოდა. თბილისის საამიროში სპარსელთა ერთი საგუბერნიო იყო გაბატონებული და ტფილისის ამირასაც თავისი „დარბაზი“ ჰქონდა და „დარბაზის ყმანი“ ჰყოლია, ამიტომ შესაძლებელია იქითგანვე იყოს ეს ტერმინი ქართულშიც შემოსული.

იმავე დანიშნულებისათვის, რისთვისაც დარბაზსა ხმარობდენ ხოლმე, „კარავი“-ც არსებობდა. გიორგი მთაწმინდელი მაგალითად ბაგრატ „მეფე კართა თანა კარვისათა წინა მოეგება... და ქელყრობით შეიყვანა კარვად“. თამარ მეფემაც მირვანშაჰი და ამირმანი სადარბაზოდ „კარავ“-ში მიიღო და დარბაზობაც კარავში გაუმართა, დარბაზობის სასახლეში გამართეის დროსაც, თვით ბიზანტიაშიაც, მეფისა და კეისრისათვის კარავი იდგმებოდა და კარავ ქვეშ იყო კეისრის ტახტი მოთავსებული. ერთი სიტყვით, კარავსა და დარბაზს თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდათ.

§ 2. სახელმწიფო დარბაზის შემადგენლობა

დარბაზსა და დარბაზობასაც საქართველოში, რასაკვირველია, თავისი ისტორია ექნებოდა: დროთა განმავლობაში, როგორც მისი დანიშნულება და უფლება-მოვალეობანი, ისევე მისი შემადგენლობა და თვით დარბაზობის წესებიც არა ერთხელ უნდა იყოს შეცვლილი. ამ ეამად,მასალების სიმცირის გამო, ამ ისტორიის მხოლოდ ზოგიერთი საფეხურისა და მოვლენის შესახებ შეიძლება მსჯელობა, ისიც შემთხვევით გადარჩენილი ცნობების წყალობით.

ჯერ-ჯერობით უძველეს ცნობად, რომელშიც დარბაზის წევრთა შემადგენლობა იხსენიება, ბაგრატ IV-ის ოპიზისადმი 1060 — 1065წ. ბოძებულ სიგელში მოყვანილი თხრობა უნდა იქმნეს მიჩნეული. ბაგრატ მეფეს აქ ნათქვამი აქვს: მიჯნაბოროტოლთა და ოიბართა შორის აგებილი დაეის გასარჩევად „შეეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთაენი, ერისთაენი და ყოველთა კეეთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და დაესხენით წინამე ჩუენსა“ და საკითხის წესიერი გზით განხილვის შემდგომ დარბაზმი შეკრებილთაგან „სამართლად ესე გავიგონეთ“-ო.

ამ ცნობითგან ჩანს, რომ ბაგრატ IV-ეს სახელმწიფო დარბაზის კარს შეუკრებია უმაღლესი სამღდელოება (მღდელთ-მოძღუარნი, ანუ ეპისკოპოსნი), საქეეყნოდ გამრიეე ხელისუფალთა უფროსი წარმომადგენელი (ერისთაეთ-ერისთაენი) დაყ ველა ხეობების „საბჭოთა“, ანუ სასამართლო საქმეთა მეცნიერნი აზნაურნი.

გასაოცარია, რომ ამ ცნობაში დარბაზში მოწეეულთა და შეკრებილთა შორის დარბაზის კარსა მყოფ მოხელეთაგან არც ერთი წევრი დასახელებული არ არის. აკი სრულებით დაჯერებელია, რომ ცენტრალური ორგანოს უფროს წევრებს, რომელთაც XII ს-ში ეაბირები ეწოდებოდათ, დარბაზის კარს შეკრებილთა ასსეტ მსჯელობაში მონაწილეობა არ მიეღოთ, ამიტომ უნდა ეიფიქროთ, რომ მათი მოუხსენებლობის მიზეზი ის გარემოება უნდა ყოფილიყო, რომ იმათი, ვითარც მუდმივ დარბაზის კარს მყოფ ხელისუფალთა, მოწეეეა-შეკრება არ იქმნებოდა საჭირო და ამ ბჭობაში მათი მონაწილეობა თავისდათავად იგულისხმებოდა. ამიტომ შეიძლება დაეასკენათ, რომ სახელმწიფო დარბაზში XI ს. შუა წლებში წეერებად ყოფილან: უმაღლესი სამღდელოებისა, დარბაზის კარსა მყოფთა და საქეეყნოდ გამრიეე ხელისუფალთა უფროსი წარმომადგენელნი და „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“, ანუ იურისტი აზნაურნი.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებითგან ჩანს, რომ დარბაზის წევრებად ეაბირები იყვნენ, რომელნიც ამ ავტორის სიტყვით „დასეეს სელებითა ოქროჭედილებითა რომელნიმე მარჯუენით მისსა (ე.ი. მეფისა) და რომელიმე მარცხენით“. ამ დარბაზის კარსა მყოფ დიდ ხელისუფალთა გარდა საქეეყნოდ გამრიეე ხელისუფალნიც, ერისთავთ-ერისთაენი და ერისთაეებიც ყოფილან წევრებად და თვითოეულს თავისი ადგილი ჰქონია მიჩენილი.

ამაეე ავტორის ცნობით დარბაზობის მონაწილედ დარბაზის კარსა მყოფ და საქეეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა გარდა ყოფილან კიდევ „სხუანი კელისუფალნი გაძარსა და საყდრისა სამეეფოსა წინამე მდგომელნი“, რომელნიც თურმე „განაჩინეს წესისაებრ სიახლ[ო]ისა“-ო.

თვით დარბაზობა მეფის თავმჯდომარეობით იმართებოდა. დარბაზობის დროს მეფე იჯდა ხოლმე „ტახტსა ზედა ოქროჭედილსა“.

ამგვარად დარბაზობაში მონაწილენი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდენ: ერთ ჯგუფს შეადგენდენ ხელისუფალნი, რომელთაც ჯდომის უფლება ჰქონდათ, მეორეს — ხელისუფალნი, რომელთაც ჯდომის უფლება არ ჰქონდათ, არამედ უნდა მდგარიყვნენ.

ამას გარდა ჯდომის უფლების მქონე ხელისუფალნიც თავის მხრივ რამდენიმე ჯგუფად იყოფოდენ: ეაბირები ოქროჭედილ სელებზე ისხდენ, დანარჩენი დიდი ხელისუფალნი ჩვეულებრივ საჯდომზე, მაგრამ უფროსი მათგანნი „სასთაულითა“, ე. ი. ბალიშზე, უმცროსნი ალბათუსასთაულოდ მსხდარან.

თაეისდა-თავად იგულისხმება, რომ უმაღლესი სამღდელოების წარმომადგენელნი თამარის დროინდელ დარბაზობაშიაც მონაწილეობას იღებდენ.

ყურადღების ღირსია, რომ დარბაზის წევრებს განსაკუთრებული საერთო სახელი ჰქონიათ: მათ ეწოდებოდათ „დარბაზის ერნი“. ქართული ენის ცნობილი ფონეტიკური კანონის წყალობით ამ ტერმინითგან წარმოიშვა „დარბაისელნი“, რომელიც შემდგომში შემკრებლობითი მნიშვნელობის სიტყვად-კი არა, არამედ მრავლობითი რიცხვის ჩვეულებრივ ფორმად იქცა მიჩნეული და ამის წყალობით ამ ტერმინის მხოლოობითი რიცხვის ფორმად შექმნეს „დარბაისელი“ რომელიც თავდაპირველად დარბაზის წევრის აღმნიშნელი ტერმინი იყო, ხოლო შემდეგ მას დინჯი ადამიანის მნიშნელობაც მიენიჭა.

XIII საუკ. „მეფის კურთხევის წესისა და განგებ“-ითგანა ჩანს, რომ „დარბაზისერნი“ ანუ დარბაზის წევრნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდენ: ერთ ჯგუფს შეადგენდენ „ქელოსანნი“, მათ შორის იქმნებოდენ უეჭველია ეაბირებიც, რომელნიც, როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, დარბაზის მუდმივი წევრები იქმნებოდენ, — მეორე ჯგუფს „უქელონი“ შეადგენდენ. მეფის კურთხევის „წეს“-ში აღნიშნულია, რომ საყდრითგან სასახლეში დაბრუნებული სამეფო ტახტზე მჯდომარე მეფედ ცხებულისათვის ასე უნდა მიელოცათ: „პირველად დედუფალმან თაყვანისცეს, მერმეთა კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთ-უხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჭურჭლეთ-უხუცესმან, მსახურთუხუცესმან და შემდგომად ქელოსანთა და უქელოთა დარბაზის ერთა სრულიადთა (ს˙დთა)“-ო.

ამ საგულისხმო ნაწყვეტითგან ნათლად ჩანს, რომ დარბაზის წევრებად ეაზირთა გარდა სხვა „ქელოსანნი“-ც ანუ მოხელენიც ყოფილან. თუ ზემონათქვამს ჩაუკვირდებით, დაერწმუნებით, რომ „დარბაზისერთა“ საკუთრივ „ქელოსანთა“ ჯგუფში ეაბირები თითქმის არც-კი ითელებოდენ. „ქელოსან“ დარბაზისერთა წრეს ალბათ სხეა-და-სხეა უწყების სხვა წარმომადგენელი მოხელენი ეკუთვნოდენ.

განსაკუთრებით საყურადღებო ის გარემოებაა, რომ „დარბაზისერთა“ მეორე ჯგუფში „უქელონი“ ყოფილან. როგორც თვით მათი სახელწოდებაც გვიჩვენებს, ისინი ცხადია მოხელენი არა ყოფილან. მამ ეინ? ალბათ წოდებათა წარმომადგენელნი. ეყოლებოდა თუ არა „დარბაზ“-ში ყველა წოდებას თავისი წარმომადგენელი, ამ საკითხის გადასაწყვეტად ჯერ არაეითარი ცნობები არ მოიპოეება. მაგრამ ვგონებ, რომ იქ მხოლოდ მაღალ წოდებათა წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ, ე.ი. „დიდ-გვართ თავადნი“, აზნაურთა, დიდეაჭართა და მოქალაქეთაგან „მკეცრნი“, ანუ, უკეთ რომ ეთქვათ, „მკვიდრთა“ წარმომადგენელნი.

„ქელმწ. კარის გარიგებ“-ის ცნობითაც სახელმწიფო დარბაზის სხდომებს ესწრებოდენ ყველა ეაბირები თავიანთ თანამემწეებითურთ, უმაღლესი სამღვდელოება კათალიკოზისა და მოძღვართ-მოძღვარის მეთაურობით და მნიშვნელოვანი მონასტრების წინამძღვარნი, საქეეყნოდ გამრიგეთაგან-კი უფროსი მოხელეები. ამ ძეგლის ტექსტის დაზიანებულობის გამო გამოურკეეველი რჩება საკითხი „უქელოთა დარბაზის ერთა“ შემადგენლობის შესახებ.

§ 3. დარბაზობა დიდი და უმცროსი წესითა და მათი დანიშნულება

დარბაზობა ორნაირი სცოდნიათ: ან „დიდის წესითა“, ან „უმცროსითა“. თუ რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო დარბაზობა ყოველ კერძო შემთხეევაში, ეს მეფეს უნდა ებრძანებინა: „დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს, დიდის წესითა, თუ უმცროსითა, ვითარცა-ღა წესი იყოს, იქმნას“-ო, ნათქვამია „კარის გარიგება“-ში (2_{25-27}).

დიდი დარბაზობა დარბაზის საზეიმო სხდომას წარმოადგენდა, რომელსაც დარბაზის ნამდეილ წევრთა, დარბაზის ერთა, გარდა მრაეალრიცხოვანი ხელმინაური მოხელეობა და დარბაზის ყმანიც ესწრებოდენ წესრიგისა და ზეიმის მოსაგვარებლად. ასეთ საზეიმო, დიდ დარბაზობაზე, რასაკვირველია, შეიძლება მხოლოდ ისეთი საქმეები ყოფილიყო გარჩეული, რომელთა შესახებ საჯაროდ მსჯელობა უხერხული და სახიფათო არ იყო.

საფიქრებელია, რომ დარბაზობა „უმცროსითა წესითა“ სახელმ. დარბაზის საქმიანი სხდომა უნდა ყოფილიყო, რომელსაც, ეაბირობის მსგავსად, მხოლოდ დარბაზის ნამდეილი წევრნი, დარბაზის ერნი, ესწრებოდენ და რომლის საიდუმლოება ალბათ ისეთივე სიმკაცრით იქმნებოდა დაცული, როგორითაც ეაბირობისას იცავდენ ხოლმე. „კარის გარიგების“ ტექსტის დაზიანებულობის წყალობით მსჯელობა ამ საკითხის შესახებ, ჯერჯერობით მაინც, მხოლოდ ალბათობით შეიძლება.

დარბაზობა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განსახილეველად და გადასაწყეეტადაც იკრიბებოდა და დღესასწაულ-შეიმისთვისაც. მისი განსაგებელი იყო:

1) კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება.

2) ომის გამოცხადების საკითხი.

3) თამარის მეუობითგან მაინც დიდ ხელისუფალთა არჩეევა-დანიშნის საკითი.

4) არჩეული ხელისუფლების „დალოცეა“ და „კელდასხმა“.

5) საზეიმო სხდომა გამარჯეებული ღამქრის შინ დაბრუნებისა და ზაეის ჩამოგდების გამო.

6) დარბაზობა შემობელ და შორეულ სტუმრად, თუ დახმარების სათხოვნელად მოსულ მეფე-მბრძანებლების, ან და მათგან წარმოელენილი დესპან-მოციქულების მისაღებად და მოსასმენად.

7) დიდი (გამეფების, ან საეკლესიო, თუ სხვა) დღესასწაულების დროს.

როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა, „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასის პოლიტიკური პროგრამით, დასასრულ, სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვანი საქმეების განგების ხელისუფლება დარბაზში დასხდომილთა ხელში უნდა გადასულიყო.

§ 4. დარბაზობის წესები

დარბაზის სხდომების მოსაწყობად და მიმდინარეობის მოსაგვარებლად მტკიცედ შემუშავებული წესი არსებობდა, რომლსაც „დარბაზობის წესი“ ეწოდებოდა. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ დარბაზობის დიდითა თუ უმცროსითა წესით გამართვის ბრძანება მეფეზე იყო დამოკიდებული. მაგრამ როდესაც უცხო ან მეზობელი სახელმწიფოს, თუ სამფლობელოს მბრძანებელი ესტუმრებოდა საქართველოს მეფეს და მის სანახავად მოეიდოდა, ამას „დარბაზობად მოსვლა“ ერქვა. რასაკვირველია, დარბაზობად მოსვლას ჩვეულებრივ წინ უძღოდა „თხოვა დარბაზობისაჲ“, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით აუდიენციის თხოვნა. მაგრამ შესაძლებელია მეფეს მეზობელი მფლობელი, ან მბრძანებელი თითონაც დაეპატიჟა თავისთან, ამას „დარბაზობად მოყვანა“-ს ეძახდენ ხოლმე.

ისეთი მრავალრიცხოვანი სხდომის მოსაწესრიგებლად, როგორიც დარბაზობა იყო, რასკვირველია სხდომასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური საკითხები უნდა წინასწარ მოგვარებული ყოფილიყო და მოგვარებული ყოფილა კიდეცაც. ზოგიერთი ასეთი საკითხის შესახებ უნდა ორიოდე სიტყვა მაინც ითქვას.

როგრც ოპიზის 1060-1065 წ. სიგელითაგან ჩანს, ბაგრატ IV-ის დროს დარბაზის სხდომა რომ იმართებოდა ხოლმე, დარბაზის კარს მეკრებილი წევრები მეფის წინ, ანუ პირდაპირ მსხდარან. ამ გარემოებას ამ საბუთში ნახმარი გამონათქვამი „დავსხენით წინაშე ჩუენსა“ ამტკიცებს.

თამარ მეფის-დროინდელი დარბაზობის ზოგიერთი წესების შესახებ ორიოდე საგულისხმო ცნობა მის პირველ ისტორიკოსსა აქვს დაცული. ეს ცნობები უმთავრესად დარბაზობის გარეგნულ წეს-რიგს გვისურათებენ, ჯდომისა და დგომის წესების ზოგიერთ საკითხს ეხებიან.

თამარის დროს ბაგრატის დროინდელი წესი, როგორც ეტყობა, შეუცვლიათ. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, ვაზირები თურმე „დასეულ... რომელნიმე მარჯუენით მისსა (ე.ი. მეფისა) და რომელნიმე მარცხენით“. მაშასადამე, პირდაპირ დასხმის მაგიერ, მეფის ორთაექ მხრით, მხარ-მარჯვნივა და მხარ-მარცხნივ დაუსეამთ.

უქველია თამარ მეფის დროს დარბაზობის წესებს საერთოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონოდა მიპყრობილი: ზოგი რამე ახალიც უნდა იყოს შემოღებული. ამას გეუფიქრებინებს თამარის პირველი ისტორიკოსის ხაზგასმით მოყვანილი ცნობა, რომ ვაზირებს „შთააცეს სკარამანგი (ან საკრამანგი) განსა მათსა და დასვეს სელებითა ოქროჭედილებითა“. წინათ ალბათ ვაზირებს სხვანაირი განისამოსიც ექნებოდათ და საჯდომებიც ოქროჭედილი არ უნდა ყოფილიყო.

ისტორიკოსისაგან ამის საგანგებოდ აღნიშნა სწორედ იმ გარემოების მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ეს ახლად შემოღებული ცელილება უნდა ყოფილიყო.

იმავე ისტორიკოსის სიტყვით, თამარ მეფემ ვაზირები და სხვა მაღალი ხელისუფალნი დარბაზობის დროს სელებზე „დასხნა სასთაულითა“, ე.ი. ბალიშებით. ბალიშებით დასხმა ძველის-ძელი წესია და ჯერ კიდევ სასანიანთა სპარსეთში იყო წესად მიღებული.

„დარბაზის ერთა“ ყოველ წევრს, ანუ დარბაისელს, რასაკვირველია, თავისი მიჩენილი ადგილი ჰქონდა, სადაც მას უფლება ჰქონდა, რომ მჯდარიყო. ამ მიკუთვნილი ადგილის გამოცვლა არც ერთს დარბაისელს არ შეეძლო, რათგან დარბაისელთა ადგილები უფროს-უმცროსობისდა მიხედვით იყო განაწილებული. ადგილის გამოცვლისათვის მეფის განსაკუთრებული ნებართვა და განკარგულება იყო საჭირო. ეს გარემოება თამარ მეფის ისტორიკოსის შემდეგი ცნობით მტკიცდება: მისი სიტყვით კახეთის ერისთავმა ბაკურ-ყმა ძაგანისძემ (შეესებული ქართლის ცხოვრებით თითქოს გრიგოლის ძე ასათმა, ჰერეთის ერისთავმა) „იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა“-ო. შეწყნარებულ იქმნა, თუ არა ეს „აჯა“, ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, მაგრამ ზემონათქვამითგანაც ნათლად ჩანს, რომ დარბაზის თვითეულ წევრს თავისი დასაჯდომი ადგილი ჰქონია, სადაც მას დარბაზობის დროს სასთაული, თუ უსასთაულოდ დაჯდომის უფლება ჰქონდა. „დარბაზის ერთა“ და „დარბაზის ყმათა“ ადგილ-პატივის მომწესრიგებელ წესებს ეწოდებოდა „წესი ჯდომისა და დგომისა“.

სამეფო „ტაძრისა და საყდრის წინაშე მდგომელნი“ ხელისუფალნი, ე.ი. მოხელეები, რომელნიც მეფის სასახლისა და ტახტის წინ იდგნენ, რასაკვირველია, დარბაზის წევრნი არ იქმნებოდენ, არამედ ერთის მხრივ დარბაზობისათვის საჭირო წესრიგისა და ცერემონიალის დამცველი ხელმძღვანელი მოხელეები, მეორეს მხრით საქმის წარმოებისათვის აუცილებელი მოხელენი, მაგ. მწიგნობარნი და სხვები.

ამ უეზზე მდგომელთა მოხელეებსაც თეითეულს თავისი აღგილი ჰქონდა მიჩენილი „წესისაებრ სიახლოისა“, ე.ი. მეფესთან უფრო ახლობელსა და თანამდებობით მნიშვნელოვანს, როგორც მაგ. საწოლის მწიგნობარი იყო, უფრო მახლობელი აღგილი ჰქონდა მიკუთნებული.

ამგეარად ჯდომისა და დგომის წესი დარბაზის ერთა, ანუ წევრთა და დარბაზის ყმათა უფროს-უმცროსობაზე იყო დამყარებული და მოხელისა, თუ წეერის ყოეელი დაწინაურება მისთეის მიკუთნილ აღგილსაც უნდა უეჭეელად დასტყობოდა. ამ ნიადაგზე, რასაკეირეელია, აჯა ამა-თუ-იმ აღგილზე სასთაულით დაჯდომის წყალობის შესახებ და ბრძოლა ამის გამო მოხელეთა შორის უნდა ყოფილიყო საქართეელოშიაც, როგორც ყოფილა სხეა ქეყნებშიაც, მეტადრე მოსკოეის სამეფოს რუსეთში (ე.წ. „მესტნიჩესტეო“). ერთი ასეთი ცნობა თამარ მეფის პირეელი ისტორიკოსის მემომყეანილ ამონაწერშია დაცული არიშიანის აღგილზე დაჯდომის აჯის შესახებ და ამაეე ხასიათის ბრძოლის ძლიერი ანარეკლი მეფეთა კურთხეეის დარბაზობის იმ წესსა და განგებაშიც მოჩანს, რომელიც, როგორც გამორკეეულია, ნატყუარი ძეგლია და მიქაელ კათალიკოზს მიეწერება.

დარბაზობის ცერემონიალის წესების აღსადგენად და შესწაელისათეის საკმაო საგულისხმო ცნობებია შენახული მეტადრე „კარის გარიგება“-ში ისე, რომ თითქმის მთლიანი სურათის წარმოდგენა შეიძლება, მაგრამ რაკი ეს უკეე ნიეთიერი კულტურისა და მნე-ჩეეულებათა ისტორიის სფეროა, ამიტომ „ქართული სამართლის ისტორია“-ში ამაზე საუბარი საჭირო არ არის.

ლექცია VII

გვიან ფეოდალიზმის პერიოდის ქართლის სახელმწიფოებრივი წესწყობილება:

ივანე სურგულაძე

ა) მეფის ხელისუფლება

მეფის ხელისუფლების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული თვით სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმასთან. სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის მხრივ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ის თავისებურება აქვთ, რომ მეფე ფორმალურად მეუღლეველია, ფაქტიურად კი სუსტი; მეფესთან ერთად სამეფოს მსხვილი ფეოდალები განაგებენ. „სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და თავის მხრივ ამ ჩამორჩენილობას ესახურებოდა“; სათავადოების წინააღმდეგ ბრძოლა სამეფოს გაერთიანებასა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ნიშნავდა. მსხვილი ფეოდალები, რომელთა ალაგმვა ვერ შეძლო მეფემ, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში გადამჭრელ როლს თამაშობდნენ. გვიანფეოდალურ საქართველოში სამეფოს მეთაურს ძველებურადვე „მეუე“, „ხელმწიფე“, ეწოდებოდა, მაგრამ იმავ დროს „ბაგონსაც“ უწოდებდნენ. უკანასკნელი სახელწოდება მეფის ხელისუფლების დაკნინების გამომხატველი იყო. „ბაგონი“ ეწოდებოდა, აგრეთვე თაეადებსაც, მსხვილ ფეოდალებს; მაშასადამე, სამეფოს მეთაური და ფეოდალი ერთსა და იმავე სახელწოდებას ატარებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეების ძეგლების მიხედვით ქართლის მეფის ხელისუფლება სუსტია. ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში წერს: „საქართველოს მეფენი ბევრჯერ დიდად ამაღლებულნი და ნებისაებრ მათისა ბრძანებულან და ბევრჯერ ჟამთა და დროთა ცუალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ, ამის მომსწრეები თვითონ მეცა ვარ და სხვანი მრავალნი_ თუ მეფეს მეფობა მეეძლოს ქნას, თუ არა სახელი და საუკუნო უნდოდენ, შეუძლებლად მეფობას უქმნელობა სჯობს და ხელის აღება“.

მაშასადამე, კანონმდებელი გამოთქვამს სურვილს, რომ მეფის ხელისუფლება ძლიერი უნდა იყოს. მაგრამ თვით მისივე კანონებიდან ჩანს, რომ ეს მხოლოდ სურვილია: მართლაც, ის ადგენს სამართლის წიგნს, მაგრამ ვერ ახერხებს მისცეს მას საეალდებულო ძალა.

კანონმდებელი ნებას იძლევა კანონების თავისუფალი ახსნა-განმარტებისა, ფართე ანალოგიისა, ახალი მუხლების მიმატებისა და სხვა. ამასთანაეე კანონმდებელი ნებას ძლევს მსჯეველებს შეიგანონ სამართლის წიგნში ახალი მუხლები: „ვინც მიხუდეს რასმე და მოიგონოს ჩაურთოს და ჩასწეროს – კარგსა და მართებულს იქს“, მხოლოდ „ნუ გარყვენით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგეწეროს; არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თავისი ჰპოოს, იგი ჩართეით თეისიეე თქმულად, საღ ენებოს მუნ დაწეროს და იგიცა ეგოს“. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ მეფის თხოვნას მისი სამართლის წიგნის დუმახინჯებლობის შესახებ ვინმე არ შეასრულებს, კანონმდებელს არ შეუძლია მისი დასჯა.

ის გარემოება, რომ კანონების უკან არ დგას იძულების მტკიცე აპარტი, მაჩვენებელია, მეფის ხელსიუფლების სისუსტის.

გარდა ამისა, ვახტანგის სამართლის წიგნის მთელი რიგი მუხლები მარტო დისპოზიციისგან შედგება, ე.ი. მოცემულია ცალკეული დანაშაულის მხოლოდ მემადგენლობის აღწერა სანქციაზე მიუთითებლად.

დანაშაულის შემადგენლობის აღწერა უსანქციოდ მეფის ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია. ცენტრალური ხელისუფლების დაკანონებას და სისუსტეს აღასტურებს აგრეთვე კომპოზიციების სისტემა, რომელსაც გაბატონებული ადგილი უჭირავს ვახტანგის სამართლის წიგნში.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მეფის მიმართვის ფორმა გაერთიანებულ და გვიანფეოდალურ საქართველოში. ვახუშტის მიხედით, გაერთიანებული საქართველოს მეფე ასე მიმართავდა ყველას: „ჩვენი ბრძანება არს, მესტუმრეო. თუ მანდატურო, ესრეთ ყამბე“; ხოლო გვიანფეოდალურ საქართველოს მეფე კი ფეოდალებს ასე მიმართავდა: „მესტუმრეო, ჩვენ მაგივრად ჩვენს დიდს იმედ დარბას-ბაგონს (სახელი) ასრე უანბეთ“, დანარჩენებს არაფეოდალებს („მდაბალთა“) მეფე ასე მიმართავდა: „ჩვენი ბრძანება არის“. სვიმონ მეფის 1599 წლის ერთ სიგელში ასეთი მიმართვაა: „უბედაესთა“ – მოგახსენებთ და „უქუედესთა გიბრძანებთ“. მაშასადამე, მეფე ყველას ვერ უბრძანებს: მსხვილ ფეოდალებს ის მოახსენებს, მხოლოდ დანარჩენებს – უბრძანებს. მიმართეებუს ამ განსაკუთრებულ ფორმებში ჩანს წინანდელი და შემდგომი პერიოდის ქართველი მეფის ხელისუფლების ძალაუფლება.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მეფე მხოლოდ თვითონ აწერდა ხელს სიგელზე; გვიანფეოდალური სასქართველოს მეფეებთან ერთად ხელს აწერენ დედოფალი, ბაგონიშვილები და სხვები.

გვიანფეოდალურ საქართველოში დედოფლები ფაქტიურად ქვეყნის ბაგონ-პაგრონნი არიან. სათავადოების სისტემა უფრიო მძლავრი აღმოჩნდა, ვიდრე მეფის ცენტრისკენული მიდრეკილება. ფეოდალები თვითონ ისწრაფვიან უუმენაესი ხელისუფლებისაკენ. „აღარ დაუდგა თავი ბაგონს თეიმურაზს“ ზურაბ ერისთავმა, ე.ი. აღარ ემორჩილებოდა ზურაბ ერისთავი თეიმურაზ პირველსაო, — გადმოგვცემს ისტორიკოსი. არც ერეკლე მეორის დროს მოხერხდა მსხვილი ფეოდალების ალაგმვა. საქართველოდან დაბრუნებული რუსეთის მოხელე თავის მოხსენებაში წერს: ერეკლე ჩივის, რომ მან ვერ შეძლო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაო.

მაგრამ გვიანფეოდალური საქართველოს მეფე-მთავრების ხელისუფლების სისუსტის ყველაზე უფრო მკაფიო მაჩვენებელია საკანონმდებლო ძეგლებში თვითნებობის დაკანონება.

გიორგი V-ის „ძეგლის დადების“ მიხედვით, ქმარს, რომელსაც ცოლი მოსდაცეს, შეუძლია ერთი წლის განმავლობაში მომდაცებელს წაართვას რაიმე, დაარბიოს ის, რაც მას დანაშაულად არ ჩაერთვლება, ხოლო მეორე წელსაც თუ გააგრძელა რბევა-წართ,ევა, მაშინ სისხლის ნახეარ ფასს გადაიხდის. მაშასადამე, XIV საუკუნეში, გიორგი V-ის დროს, როცა საქართველო გაერთიანებული იყო, აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთისათვის შედგენილ სამართლის წიგნში კანონმდებელი იძულებულია შეურიგდეს თვითნებობის ფაქტს და მხოლოდ ცდილობს ეს თვითნებობა ერთგვარ კალაპოტში ჩააყენოს. ასეთი მდგომარეობა იყო XIV საუკუნეში მთიანეთში, სადაც ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება არსებობდა; საქართველოს ბარში კი თვითნებობა კანონით ამაზე უწინაც აკრძალული თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში, უფრო შევიწროებული უნდა ყოფილიყო. ამაე XIV საუკუნეში შედგენილ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში, რომელიც სამუხე-საათაბაგოსათვის იყო განკუთვნილი, დაშვებული არის თვითნებობა: თუ დაზარალებული მხარე მკელელობის შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლების ადგილზე გამოცხადებამდი მკელელს რაიმე მიანს მიაყენებს, „იგი სისხლსა მიგან არ მიეფაროს“, ხოლო მას შემდეგ, რაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოცხადებამდის მკელელს რაიმე მიანს მიაყენებს, „იგი სისხლსა მიგან არ მიეფაროს“, ხოლო მას შემდეგ, რაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოცხადდებიან „მას უკან ვერარ ემგერების“, — ეს უკვე დანაშაულად ჩაერთვლებაო. ვახტანგის სამართალი, ერთი მხრივ, თითქოს კიდევ კრძალავს თვითნებობას, მაგრამ ამას მტკიცედ ვერ აგარებს.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედით, თუ ვინმეს ვინმეს მიმართ სამართლიანი პრეტენზია აქვს და სამაგიეროს გადახდის მიზნით მოკლავს მოწინააღმდეგეს, მოსამართლემ უნდა შეისწავლოს მკელელის და მოკლულის ჭირისუფალთა პრეტენზიები და სისხლის ფასის გამოანგარიშებისას ასეთი პრეტენზიები მხედველობაში მიიღოს. ასეთივე მინაარსის არის 61-ე მუხლიც. გარდა ამისა, არეულობისა და მფოთის დროს, რაც ასე ხშირი იყო მაშინდელ, საქართველოში, დანაშაულობისათვის პასუხს აღარვინ აგებდა. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედით, თუ ვინმე ცეცხლს წაუკიდებდა სახლს, რომელშიაც ოჯახი იმყოფებოდა, ის გადაიხდიდა სრულ სისხლის ფასს და ზარალს აუნაზღაურებდა; მაგრამ თუ დაზარალებულს სისხლი მართებდა თავდამსხმელისა, ის გამოექვითებოდა თაედამსხმელს. თუ ვინმე ეისმეს დაიჭერდა და მოკლავდა, ეალდებული იყო გადაეხადა მხოლოდ სისხლის ის საფასური, რაც მოკლულს მკელელისა ემართა, ეს მოსამართლეს უნდა გამოეანგარიშნა. ასე რომ, სახელმწიფო ორგანოები, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედით ამ შემთხვევაში მომრიგებლისა და მოანგარიშის როლში გამოდიან. ყველა აქ მოყვანილი მაგალითი და კომპრომიცების ის სისტემა, რომელსაც გაბატონებული ადგილი უჭირავს გვიანფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლებში, იმის დამადასტურებელია, რომ სასჯელის საკითხი სასჯარო სამართლის პრინციპების მიხედით არ არის გადაჭრილი. მართალია, გიორგი V-ის ძეგლის დადებასთან შედარებით ბექა-აღბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნები უფრო მღუდაეენ თვითნებობას, მაგრამ მას მაინც ვერ სპობენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქართლ-კახეთი გაერთიანებულია და ცენტრალური ხელისუფლება თითქოს უფრო ძლიერია, მთავრობის ორგანოების მოქმედებას და მათ ბრძანებას მაშინაც არ ჰქონდა სავალდებულო ძალა. დამახასიათებელია ამ მხრივ იოანე ბაგრონიშვილის ერთი განაჩენი. იოანე ბაგრონიშვილი არჩევს სისხლის სამართლის საქმეს, გამოაქვს განაჩენი, განსაზღვრავს სისხლის ფასს საქმის გამო და თანაც დასძენს: „ჩვენი განჩინება ეს არის და თვითონ თუ ჯარგად მორიგდებიან ნება აქვსთ“. ასე რომ, ხელისუფლება დანაშაულს თვითონ არ მისდევს, დანაშაული მისთვის უმრავლეს შემთხვევაში კერძო ურთიერთობის საქმეა. ასეთ პირობებშო ცენტრალური ხელისუფლება არ შეიძლება იყოს მტკიცე და ძლიერი. მაშასადამე, ქართლის სამეფო XVI-XVIII საუკუნეებში არ წარმოადგენს ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიას, მეფის ხელისუფლება სუსტია, სამეფო შედგება სათავადოებისაგან და თითოეული ფეოდალი თავის საფეოდალოს დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვის. ასე რომ, მეფე აქ პირველია თანასწორთა შორის, დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა კახეთსა და იმერეთის სამეფოებსა და საქართველოს სამგაეროებში: გურიასა, სამეგრელოსა და აფხაზეთში.

მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართლის ან კახეთის, ან იმერეთის მეფეები, ან გურია-სამეგრელოს მთავრები არ მიისწრაფოდნენ თავიანთ სამფლობელოში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და ფეოდალების ალაგმვისაკენ. განვიხილოთ საკითხის ეს მხარე.

სახელდობრ: რაში გამოიხატებოდა მეფის ხელისუფლების მისწრაფება ხელისუფლების გაძლიერებისაკენ და როგორი გამოხატულება ჰპოვა მან სინამდვილეში.

ამ მხრივ საინტერესოა, პირველ ყოვლისა. იმავე თვითნებობის საკითხის გათვალისწინება საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით, რომლებშეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. კანონმდებელი უსათუოდ ცდილობს თვითნებობის აკრძალვას. ვახტანგის სამართლის წიგნით არავის არა აქვს უფლება თვითნებურად დააპატიმროს ვინმე ან წაართვას რაიმე იმის საფუძველზე, რომ მას პრეტენზია აქვს დაპატიმრებულის ან დაბარალებულის მიმართ; პრეტენზიის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია მიმართოს მეფეს და მის სამოსამართლო ორგანოებს, რომლებიც გაარჩევენ საქმეს; თვითნებური მოქმედება კი ისჯება ჯარიმით: თვითნებური მოქმედების წინანდელი მდგომარეობა უნდა აღსდგეს და ამის შემდეგ თვითნებურად მოქმედმა უნდა გადაიხადოს 60 მანეთი ჯარიმა. ხაზინის სასარგებლო ჯარიმა ეს უკვე სასჯელია, საჯარო სამართალზე დაფუძნებული. სხვა ადგილას კი თვითნებობის შემთხვევაში კანონით დაბარალებულს ემუქრება „კანონიერ საბღაურზე“ უარის თქმა.

ზოგიერთი ქმედობისათვის, განსაკუთრებით სამიში დანაშაულისათვის კანონმდებელს არ მიაჩნია შესაძლებლად სისხლის ფასის დაწესება; ასეთი დანაშაულისათვის ის სისხლის ფასის ნაცვლად აწესებს სასჯელს: სამშობლოს მოღალატეს, რომელიც მტერს მიუვა, დაპატიმრების შემდეგ თუ მეფემ არ აპატია, ფეხი უნდა მოჭრას. აქ სახელმწიფო ხელისუფლება უკეე კი არ გამოღის მოდავე მხარეთა შორის შემარიგებლის როლში, არამედ დამნაშავეს თვითონ სჯის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი.

ვახტანგის სამართლის წიგნი ფეოდალური კლასის ინტერესების გამომხატველია და ამ კლასის ინტერესების სადარაჯოზე დგას. ამიგომ ვახტანგის სამართლის წიგნი გამოყოფს ისეთ დანაშაულს, რომელიც განსაკუთრებით საშიშია გაბატონებული კლასისთვის და ასეთი დანაშაულისათვის კი მიმანშეწონილად არ ცნობს სისხლის ფასის დაწესებას. ყმას, რომელმაც ბატონი მოკლა, არ შეიძლება სისხლის ფასი გადახდეს: მას ყოველგვარი ქონება უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს დაბარალებულს, – წერს კანონმდებელი; მაგრამ ქონების ეს გადაცემა, – განმარტავს კანონმდებელი, – არ უნდა ჩაითვალოს სისხლის ფასის გადახდად, მაშასადამე, ეს არის სასჯელი; გარდა ქონებისა, თვითონ დამნაშაეც გადაეცემა დაბარალებული ბატონის ოჯახს როგორც ტყვე, მონა. განსაკუთრებული შეხედულება აქვს კანონმდებელს აგრეთვე ყამახზე, ე.ი. გლეხზე, რომელიც იარაღით ხელში გასულია ტყეში და ებრძვის ფეოდალებს; მათო მოკვლა ვახტანგის კანონებით ნებადართულია, ხოლო თვითონ ყამახმა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უნდა გადაიხადოს სამმაგი სისხლის ფასი და, გარდა ამისა, მეფის ნებაზეა დამოკიდებული მისთვის სხვა სასჯელის მიყენება.

თვითონ ის ფაქტი, რომ შედგენილ და გადმოცემულ იქნა ვახტანგის სამართლის წიგნი და „დასტურლამალი“, მოწმობს იმ გარემოებას, რომ ცენტრალური სასამართლოს ერთიანი პოლიტიკის გატარებას ცდილობს. ვახტანგის სამართლის წიგნი თავის ნორმებს ყველასათვის სავალდებულოდ აცხადებს. საკანონმდებლო ძეგლებში მეფე საჯარო ხელისუფლების მატარებელია.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით მეფე, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი, აკრძალავს თვითნებურად გადასახადების გაწერას, სოფლებისა და გლეხების გაყიდვას მეფის ნებართვის გარეშე; გარდა ამისა, კანონმდებელი აცხადებს: „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შუმა და ბალახი“. მეფეს, კანონმდებლის განმარტებით, თავის სამეფოში „სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდების“. ამაში უეჭველად ჩანს კანონმდებლის მისწრაფება, მიმართული მეფის ხელისუფლების გაძლიერებისაკენ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სამართლის საჯარო და კერძო საწყისების არევა დამახასიათებელია XVII-XVIII საუკუნეების სამართლის ძეგლებისათვის. მეფე, მაგალითად, თავის სამეფოს ისე უყურებს, როგორც თავის საკუთრებას. მეფის მამულებისაგან შემოსავალი და სამეფოს სხვა შემოსავალი ერთნაირად შედის მეფის სალაროში, ისინიო განსხვავებული არ არიან. „დასტურლამალი“ აწესრიგებს არა მარტო მეფის ე.წ. სახასო მამულების რეჟიმს და მის შემოსავალს, არამედ სამეფოს ფინანსებსაც. მაგრამ აქ მეფის სახასო მამულებისაგან შემოსავალი და სახელმწიფოებრივი ხასიათის გადასახადები, როგორიც არის, მაგალითად, კოდისპური და სხვა. ერთნაირად შედის სალაროში და ერთნაირად იხარჯება მეფის განკარგულებით. მთელი რიგი ფაქტი ადასტურებს, რომ მეფე სამეფოს თითმის ისე უყურებს, როგორც თავის მამულს. ამის დამადასტურებელია:

1. სახელმწიფო შემოსავალი მეფის პირად განკარგულებაში იყო, ისე როგორც მისი სახასო მამულების შემოსავალი. ღალა, როგორც ცნობილია, მემამულის სასარგებლოდ ყმების გადასახდელია. მეფე, როგორც მემამულე, ღებულობდა ღალას გლეხებისაგან. მაგრამ ეს ღალა მეფის სალაროში ისევე შედიოდა, როგორც სახელმწიფო ხასიათის გადასახადი – კოდისპური, მალი და სხვა.. ღალა და მალი ან კოდისპური ამ მხრივ ერთგვარ რეჟიმს ემორჩილებოდა. ღალიდან მოხელეებს ისევე ერგებოდათ წილი, როგორც მალიდან.

2. მეფე წყალობის სახით გასცემდა ყველა მიწას, მიუხედავად იმისა, ეკუთვნიდა ის მას, როგორც მეფეს თუ მემამულეს.

აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ X-XI საუკუნეების ძეგლების მიხედით ერთმანეთისაგან განირჩევა მეფის კერძო საკუთრება სახელმწიფოს საკუთრებისაგან. გვიანფეოდალურ საქართველოს მრავალ სამეფო-სამთავროდ დაშლის შემდეგ მეგისმეტად არამყარია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ასეთი განსხვავება იყო განსაკუთრებით XVIII საუკუნის ბოლოხანების ძეგლების მიხედით: მეფეს ჰქონდა კერძო მამულები და აგრეთვე ისეთი ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს; დედოფალსაც ჰქონდა ისეთი ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა, როგორც დედოფალს; არსებობდა აგრეთვე საუფლისწულო მამულები და სხვა.

დავით ბატონიშვილი განასხვავებს ერთმანეთისაგან სამეფო და სასახლის მამულებს: ქონება, მამულები, გლეხები შეიძლება ეკუთვნოდეს მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს, ეს არის სახელმწიფო ქონება; ასეთ მამულებზე დასახლებული გლეხები იხდიან მხოლოდ სამეფო გადასახადებს.[23]

მაგრამ პირადად მეფეს, როგორც ფეოდალს, აგრეთვე მეფის ოჯახის სხვა წევრებს აქვთ მამულები, ქონება; ეს არის სასახლის, საუფლისწულო ქონება; ასეთ მამულებზე დასახლებული გლეხები სახელმწიფო გადასახადების გარდა იხდიან აგრეთვე სხვა გადასახდელებსაც.

მაშასადამე, დავითის მიხედით სამეფო და საუფლისწულო მამულებს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ. საკითხი ნათელი იქნებოდა, რომ შესაძლებელი იყოს დავითის შრომის ამ ცნობებზე სავსებით დაყრდნობა. მრომა, რომლიდანაც ჩვენ ციტატები მოვიყვანეთ, დაწერილია დავით ბატონიშვილის მიერ, რუსეთში გადასახლების შემდეგ, აეგორის მიერ გამოყენებულია ის ტერმინები, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის იყო დამახასიათებელი. ქართული შესატყვისი ტერმინები აეგორს არ მოპყავს, თუმცა სხვა შემთხვევაში ის ამას ხშირად აკეთებს. ამიტომ, დავითის ეს განმარტებანი რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილებიდან უნდა იყოს აღებული და საქართველოს სინამდვილეს არ უნდა მეეფერებოდეს.

საერთოდ, მამული არის ფეოდალის პოლიტიკური უფლებების საფუძველი, რამდენადაც დიდია მამული და მრავალრიცხოვანია ფეოდალის ყმები, იმდენად ძლიერია ფეოდალი. ფეოდალის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ აქედან გამომდინარეობს. მაგრამ, გარდა ამისა, მეფეს, თუნდაც დაქუმაცებული ფეოდალური მონარქიისას, მაინც აქვს რაღაც მეტი სხვა ფეოდალებზე. ეს არის მისი ხელისუფლების საჯარო ხასიათი. რა თქმა უნდა, მეფე ფეოდალთა შორის ყველაზე უფრო ძლიერია, ყველაზე მეტი მამულები აქვს (თუმცა არა ყოველთვის: ისტორიაში ყოფილა შემთხვევა, როცა ფეოდალი თავის მეფეზე უფრო მდიდარი იყო მამულით და ყმებით), მაგრამ რამდენადაც ძლიერი უნდა ყოფილიყო მეფე ცალკეულ ფეოდალებზე, თავისი მამულებით და ყმებით ყველას ერთად მაინც ვერ გაუთანასწორდებოდა და ამ შემთხვევაში ფეოდალთა ურთიერთწინააღმდეგობაზე ამყარებდა ის თავის ხელისუფლებას.

მეფე, როგორც საჯარო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი, აღგენს და აქვეყნებს ყველასათვის სავალდებულო კანონებს, მაგრამ ეს კანონები გამსჭვალულია კერძო უფლებრივი პრინციპებით. ასეთი ორმხრივი ბუნების მატარებელია ამ პერიოდის სამართლის ნორმები. ავიღოთ, მაგალითად, მოხელეების გასამრჯელოს საკითხი. მოხელეები, „დასტურლამალით“, გასამრჯელოს ღებულობდნენ სამეფოს შემოსაელის სხვადასხვა წყაროდან. და ისიც ამ შემოსაელის გარკვეულ წილს, მაგრამ ამაეე დროს ზოგიერთ მათგანს სალაროდან ეძლეეა აგრეთვე თანხის გარკვეული რაოდენობაც. მაგრამ ეს არ არის მოხელეების უმრავლესობისათვის დამსაყოფილების წყარო. მოხელეების უმრავლესობისათვის შემოსავლის ძირითადი წყაროა მისი ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული და მისი ცალკეული მოქმედებისათვის დაწესებული გამოსაღები, რომესაც იხდიდა დაინტერესებული მხარე, სახელდობრ ის, ვინც მიმართაედა მოხელეს ამა თუ იმ საქმის მოსაგვარებლად. ზოგიერთ შემთხვევაში მეფე გამონაკლისს უშვებდა. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედით, როდესაც მამულებს უწყალობებდნენ ან კიდევ სხვა გზით აძლევდნენ ფეოდალებს, სიგლის გაფორმებისათვის დაწესებული ხარკები გლეხებს არ უნდა გადაეხადათ, რადგან გლეხები არ წარმოადგენდნენ ამ შემთხვევაში მხარეებს; გადასახადი უნდა გადაეხადა იმ ფეოდალს, რომელიც მამულსა და გლეხებს ღებულობდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მამული და გლეხები მეფის ხელში გადაღიოდა, მაშინ მეფემ „სხვა რიგი წყალობა უყოს“, მოხელეებსო. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, გაყავს ზღვარი ფეოდალებსა და თავისთავს შორის; ფეოდალებმა უნდა გადაიხადონ მოხელეების სარგო, ხოლო მეფე გადასახადს კი არ გადაიხდის, არამედ „სხვა როგ წყალობას“ მოიღებს მოხელეებისადმი. ერთი მხრივ, ის თავის თავსე ღებულობს მოხელეების გამოსაღებას, – ამ მხრივ ის ფეოდალების თანაბარია; მეორე მხრივ, ის არ განსაზღვრავს ამ გამოსაღებს და საერთოდ არც უწოდებს მას გამოსაღებს, არამედ უწოდებს წყალობას, რითაც ის აღნიშნავს მოხელეების სამსახურებრივ მდგომარეობას.

საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ საჯარო, საქვეყნო საქმეების შესახებ ძეგლებში გვხვდება მითითება: სულხან-საბა ორბელიანი ქვეყნის საქმეებზე მიუთითებს; ერეკლე II

[23] ამ თაეში რუსული ტექსტი მოგან ამოღებულია (შემდგ. ბ. ქ.).

სასწრაფო კრებას იწვევს „საქვეყნო საქმეზე“; დავით ბაგონიშვილს საუბარი აქვს თავის პროექტში საზოგადოებისა და მისი ინტერესების შესახებ. „საქვეყნო საქმე“ სამეფო საქმეს ნიშნავდა. მეფე გამოდიოდა ქვეყნის გამაერთიანებლად, მისი საერთო, საგარეო ინტერესების დამცველად; ამასთანავე, რაც მთავარია, მას მოპყავდა მორჩილებაში ექსპლოატირებული მასები, საჭიროების მიხედვით ის ამახვილებდა თავის ყურადღებას ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ საერთოდ კი ის ყოველთვის ფეოდალების ინტერესების დამცველი იყო, – ამით განსაზღვრავდა ის თავის ყოველგვარ მოქმედებას. თითოეული სამეფო გადასახადის ანალიზი ნათელყოფს, რომ მეფე, როგორც უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი, აწერდა და კრეფდა ამ გადასახადებს სახელმწიფოში.

როგორც ვთქვით, ყოველგვარი შემოსავალი, სამეფო იქნებოდა ის თუ მეფის კერძო მამულების, ერთნაირად მედიოდა მეფის განკარგულებაში და ამ შემოსავალში ზოგჯერ მაინც ჩანდა მისი საჯარო თუ კერძო საწყისები, ამ შემოსავალში ზოგჯერ მაინც იოანე სალაღოეს განცხადება პ. ციციანოვისადმი: „... თავადი სოლაღოეი იოანე სანაბერელს მეფეს ერეკლეს ვახლდი. ათი თუმანი ჯამაგირი მქონდა. ხან იჯარიდამ, ხან ჯიბიდამ მაძლევდა. ულუფა მქონდა ჩემთვის და ბიჭისთვის“. ხოლო იოსებ სოლაღოეი წერს: „თავადი სოლაღოეი იოსებ ბაგონიშვილს იულონს ვახლდი. ათი თუმანი ჯამაგირი მქონდა. ხან მეძლეოდა სალაროდამ, ხან მაძლევდა ჯიბიდამ“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოლაღოეების ამ განცხადებებში განსხვავებულია ერთმანეთისაგან სალარო და „ჯიბე“: სალარო, ამ შემთხვევაში, ხაზინას ნიშნავს. ხოლო „ჯიბიდამ მაძლევდა“ – კერძო შემოსავლიდან მიცემას. მართალია, ორივე წყარო ერთი და იმავე მოთხოვნილების – მოსამსახურეების ჯამაგირის გასასტუმრებლად მიდის, მაგრამ შემოსავლის წყაროები ერთმანეთისაგან მაინც განსხვავებულია.

მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს, უდაეოდ აქვს ფუნქციები, მაგრამ ეს ფუნქციები საკანონმდებლო ძეგლებში არ არის განსაზღვრული, – მეფე მოქმედებს ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, პირველ ყოვლისა, მეფე უზენაესი ხელისუფალია. ამ ხელისუფლებას ის ახორციელებს უშუალოდ და თავის აპარატის, ე.ი. მმართველობის დაქვემდებარებული ორგანოების საშუალებით. მეფის ხელისუფლების პირველი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია მისი საკანონმდებლო ფუნქციაა. ვახტანგის სამართლის წიგნში მეფე-კანონმდებელი აცხადებს, რომ მან გადაწყვიტა კანონთა კრებულის შედგენა. „დასტურლამალის“ შესავალში მეფე აღნიშნავს: „ვიღულისმოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა, განუშინეთ და განუწესეთ წიგნითა ამით“... მამასადამე, მეფეს, როგორც უზენაეს ხელისუფალს, ეკუთვნის საკანონმდებლო ფუნქცია.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენაში მეფესთან ერთად მონაწილეობას იღებს დარბაზი, საეკლესიო და საერო მსხვილი ფეოდალები. კათალიკოსი, ეპისკოპოსები, ერისთავები და სხვა. მამასადამე, საკანონმდებლო ფუნქციას მეფე ახორციელებს მსხვილი ფეოდალების მონაწილეობით. რადგან კანონთა კრებულის შედგენა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა სამეფოს ცხოვრებაში, ამ მნიშვნელოვანი აქტის განხორციელებაში მსხვილი ფეოდალების მონაწილეობა და მათი „შეკითხვა“, როგორც მეფე წერს, აუცილებელი ყოფილა. რაც შეეხება „დასტურლამალს“, კანონმდებელი არ მიუთითებს მის შედგენაში მსხვილი ფეოდალების მონაწილეობაზე. საქმე ისაა, რომ „დასატურლამალი“ ძირითადად მეფის სახასო მამულების შემოსავალ-გასავალს ეხება, ამიტომ მის შედგენაში ფეოდალები არ მონაწილეობენ. გარდა ამისა, „დასტურლამალის“ მნიშვნელოვანი ნაწილი შედგენილია სხვადასხვა დროს, ამა თუ იმ საკითხზე სხვადასხვა მეფის მიერ გამოცემული სიგელებიდან.

მამასადამე, საკანონმდებლო ფუნქცია მთავარი იყო მეფის ხელისუფლებისათვის და ამას მეფე ახორციელებდა მსხვილი ფეოდალების მონაწილეობით.

მეფის ხელისუფლების შემდეგი ძირითადი ფუნქცია იყო უზენაესი მმართველობის ხელისუფლება (იმპერიუმ). ამ უზენაეს მმართველობაში შედიოდა შემდეგი საკითხები: 1) მმართველობა ვიწრო გაგებით; 2) სამეფო ოჯახის მართვა; 3) სამხედრო მმართველობა; 4) საეკლესიო მმართველობა; 5) თავდაცვითი ღონისძიებათა მიღების უფლება; 6) ფულის მოჭრა; 7) საგარეო ურთიერთობა და 8) დებულებებისა და რეგლამენტების გამოცემა. გავარჩიოთ თითოეული მათგანი.

უზენაესი მმრათველობა, ვიწრო გაგებით, შეიცავდა, ერთი მხრივ, მეფის უშუალო მმართველობას და, მეორე მხრივ, მმართველობას შუალობით, ე.ი. მმართველობას დაქვემდებარებული ორგანოებით.

მეფეს შეეძლო უშუალოდ ჩარეოდა მმართველობის ყოველგვარ საქმეში და თვითონ განეხორციელებინა ის ღონიშძიებანი, რომელთაც საჭიროდ ცნობდა. მაგალითად, სასამართლო ფუნქციას ასრულებდა სასამართლო ორგანოები, მდივანბეგები, მაგრამ მეფეს შეეძლო განეხილა ის საქმე, რომელიც მას სურდა. მართლაც, მნიშვნელოვან საქმეებს ხშირად თვითონ მეფე არჩევდა. ასევე შეეძლო მას უშუალოდ გადაეწყვიტა მმართველობის სხვა სარგების საქმეებუც.

მეფეს თავისი ინიციატივით შეეძლო რომელიმე საქმისათვის მოეკიდა ხელი და რაიმე ახალი ღონისძიება გაეტარებინა. ვახტანგ მეექვსემ წიგნის ბეჭდვის საქმე მოაწყო ქართლში, ერეკლე მეორემ განაახლა ის. მეფეს აქვს უფლება გაიყვანოს არხი იქ, სადაც სურს, და მიწის მესაკუთრე ამას ვერ დაუშლის.

მეფე, როგორც სახელმწიფოს უზენაესი მმართველი, არაეისგან არ ღებულობდა თავისი მოქმედებისათვის სანქციას. არაეის არ ჰქონდა უფლება განესაზღვრა მისი ფუნქციები, ხოლო თვითონ კი განსაზღვრავდა მმართველობის ორგანოების კომპეტენციას. მის ხელში თავს იყრიდა მმართველობის ყველა ძაფი. რა თქმა უნდა, ყველაფრის გაკეთება მას ფიზიკურად არ შეეძლო, მაგრამ რის შესრულებასაც კი მოახერხებდა, ეს მასზე იყო დამოკიდებული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გეიანეთოდალური პერიოდის მეუეები უმეტესი საქმეების გარჩევას უშუალოდ თვითონ ასწრებდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მოხელეები თავიანთ მოხსენებებში აღნიშნავდნენ რომ ქართლ-კახეთის მეფის კარზე ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, რაც ასე ახასიათებდა მეფის რუსეთს, უცხო იყოო. ხაში უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ერეკლე მეორე ხშირად განცხადების მეგანის დღეს იხილავდა საქმეს და აღებდა რეზოლუციას. 1771 წლის 18 დეკემბერს დაწერილ თხოვნას მეფე ერეკლე II-ის იმაეე დღის დადებული რეზოლუცია ახლაეს; 3 მარგის თარიღით დაწერილ განცხადებას იმაეე დღეს აქეს გაკეთებული დასკენა (ერეკლე II-ის მიერ). ასეთი შემთხეეევები მრაკალია.

მაგრამ, რადგან მეფეს ფიზიკურადაც არ შეეძლო მმართველობის ყველა ფუნქციის შესრულება, ამისათვის მას ჰყავდა მოხელეები. მეფე ნიშნავდა მოხელეებს და კონტროლს უწევდა მათ მუშაობას. ამ მხრივ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს „დასტურლამალი", რომელშიაც მოცემულია სამეფოს, უმთავრესად ცენტრალური აპარატის მოხელეები და მათი ფუნქციები. იმავე „დასტურლამალის" მიხედით მმართველობის ადგილობრიეი ორგანოების ისეთ პატარა მოხელეს როგორიც არის მამასახლისი, იმასაც კი მეფე ნიშნაედა. მოხელეების დანიშენისას მეფის უფლება ადათობრიეი სამართლის მიხედით ერთგვარ შეზღუდეას ექეემდებარებოდა, – მას უნდა დაეცა სანამდებობის მემკეიდრეობითი გადაცემა; მიღებული წესის მიხედით გარდაცელილი ფეოდალის შეილი გამოცხადდებოდა მეფის წინაშე, მიაართმეედა მას დაწესებულ ძღენს. გარდაცელილის ხმალს მეფე გადასცემდა მის მემკეიდრეს ნიშნად იმისა, რომ მასზე გადადიოდა მამის ქონება და სახელი.

მეფე აწესებდა სახელმწიფო გადასახადებს, ბაეს და აღგენდა მათი აკრეფის წესებს.

მეფე იყო აგრეთეე სამხედრო უწყების ხელმღვანელი, ჯარების მთაეარსარდალი. XVIII საუკუნის განმაელობაში ქართლ-კახეთის მეფეები ცდილობდნენ სამხედრო რეფორმების მოხდენას (ვახტანგ მეექვსემ მუდმიეი ჯარის შექმნა სცადა, ერეკლე მეორემ მორიგე ჯარი დაარწყა).

ეკლესიას აუარებელი მამულები ჰქონდა და ის დიდ როლს თამამობდა სახელმწიფოს ცხოერებაში. ვახტანგი სამართლის წიგნის მიხედით მეფე და ეკლესიის მეთაური – კათალიკოსი თანასწორია. ეკლესია სახელმწიფო საქმეებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მეფის დარბაზში ეკლესიის მაღალი მოხელეები მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, რიგი სისხლის სამართლის სამეები საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა. ამიგომ ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხი მეფის გასარჩეევი იყო.

ეკლესია, პირეელ ყოელისა, როგორც მემამულე, მთელი რიგი საკითხების გამო მეფესთან ურთიერთობაში იყო. ეკლესია-მონასტრები მეფეს მიმართაედნენ მამულების ბოძებისა, სიგელების გამოცემისა, გადასახადებისა და სხეა ამგეარი საკითხებისათვის. საბუთებში ჩვენ ეხელებით მეფეების განკარგულებას იმის შესახებ, რომ ყმები მორჩილებაში იყენენ ეკლესიის მიმართ: მეფე სწერს მოურავს, რომ უკანასკნელმა, ეკლესიის წარმომადგენლის მითითებით სასტიკად დასაჯოს ურჩი ყმები. ეკლესიას ეყრდნობოდა მეფე თაეისი ბატონობის გასამკეიცებლად, ამიგომ ის იძულებული იყო ეკლესიასთან საერთო ენა გამოენახა.

ეკლესია თვითონ იორჩეედა კათალიკოსს, მაგრამ მეფე აქტიურად ერეოდა ამ საქმეში.

ეკლესია, გარდა სამხედრო გადასახადისა, იხდიდა აგრეთეე სხეა გადასახადებსაც. საერთოდ კი ეკლესიის მამულებს ნაკლები გადასახადი ჰქონდა, მეფეებიც სწორედ ეკლესიებს აძლეედნენ შეუედნობას. მეფეების მიერ საეკლესიო მამულების გადასახადებისაგან განთაეისუფლება ხშირად ხდებოდა.

ეკლესია-მონასტრები თაეს უყრუდა დიდძალ მამულებს. მეფის ხელისუფლება ზოგჯერ იძულებული იყო ჩარეულიყო ამ საქმეში, – ეკლესია-მონასტრების საწინააღმდეგოდაც: მაგალითად, თეიმურაზ პირეელი ეკლესია-მონასტრებს მიწებს ართმეედა. ვახტანგის სამართლის წიგნში არის ისეთი მუხლი, რომელიც ეკლესია-მონასტრების ხელში მამულების გადასვლას ბღუდაეს; ასე, მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედით ქვრივს არ შეეძლო ეკლესიისათვის მამულები შეეწირა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედით, გარდაცელილი ეპისკოპოსის ქონება ასე იყოფა: ნაწილი ეკლესიას რჩება, ნაწილი ძმებს და ერთი მესამედი გადადის მეფის ხელში.

მეფე ითანალისწინებს ღონისძიებებს საეკლესიო მამულების სარგებლობის შესახებ. ზოგჯერ კომისიასაც კი ნიშნავს ეკლესიის სასარგებლოდ ელეხთა გადასახდელების გასაწერად და სხეა.

მეფის ოჯახის წეერები გეიანეთოდალურ საქართეელოში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოებრივ ცხოერებაში. პირეელ ყოელისა აღსანიშნეია ის გარემოება, რომ მეფის ოჯახის წეერები ხელს აწერენ, მეფის შემდეგ, სიგელებსა და სხეა დოკუმენტებზე. გარდა ამისა, სამეფო ოჯახის წეერებს მეფე ანდომებდა ამა თუ იმ საქმის შესრულებას. სამეფო ოჯახის

წევრებს ჰქონდათ თაეიანთი მამულები, რომლებიც განსაკუთრებულ რეჟიმს ექვემდებარებოდა. ყველა იმ საქმეს, რაც მეფის ოჯახს და მის წევრებს ეხებოდა, მეფე აწესრიგებდა. ტახტის მემკვიდრე განსაკუთრებულ აღზრდას მოითხოვდა, რაზეც მამას უნდა ეზრუნა. მიღებული წესების მიხედვით ნენკეიდრე განსწაელული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივ საქმეებში. მეფის შვილები ხშირად ხელმძღვანელობდნენ ჯარს, არჩევდნენ სასამართლო საქმეებს. სამეფო ოჯახის რომელიმე წევრის გათხოვება ან ცოლის შერთვა მნიშვნელოვან მოვლენად ითელებოდა. ვახტანგ VI-ის ელჩი ევროპაში ხანს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ვახტანგს ჩერქეზთა ბაგონის ასული ჰყავდა ცოლად და მისი გაელენა დიდი ჩრდილოეთ კავკასიაშიო. ასე რომ, მეფის ოჯახში ქალის გათხოვება მოყვანას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

XVII-XVIII საუკუნეებში ფეოდალთა მაღალი ფენები თაეიანთ შეილებს ასწაელიდნენ სამხედრო და, საერთოდ, სახელმწიფოებრივ საქმეებს; ეს მით უმეტეს შეეხებოდა მეფის ოჯახის წევრებს.

XVII-XVIII საუკუნეების სიგელებში ქება-დიდებას ასხამდნენ იმას, ვინც განათლებული იყო: იცოდა ფილოსოფია, შეეძლო საქმეების წინასწარ განჭვრეტა, ე.ი. კარგი პოლიტიკოსი იყო, კარგი მოსამართლე, სუფრის წესების კარგი მცოდნე, მოჯირითე, მობურთაეე, გულუხეი, მოწყალე და ა.შ. ამიგომ მეფის შვილების აღზრდას საგანგებო ყურადღება ექცეოდა. ამ სამეს მეფე ხელმძღვანელობდა.

მეფე განაგებდა აგრეთვე ნადირობის საქმეს. ნადირობას ფეოდალურ სახელმწიფოებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნადირობა ერთგვარ მანევრებსაც წარმოადგენდა სამხედრო მომზადების მიზნით. სპეციალური გადასახადიც არსებობდა ე.წ. „სანადირო", რომელიც ძველებში ხშირად სამხედრო გადასახადებთან ერთად იხსენიებოდა („ლამქარ-ნადირობა"). ლამქრობა-ნადირობის შესახებ განსაკუთრებული წესები იყო შემუშაებული.

რაც შეეხება საგარეო სქმეებს, ის უშუალოდ მეფის გამგებლობაში შედიოდა. ხაში უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გეიანფეოდალურ საქართველოში ქორეები მეფეები მესანიშნავი დიპლომატები იყვნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თეიმურაც I და ერეკლე II. ისინი საუკეთესოდ ერკეეოდნენ მეზობელი სახელმწიფოების საქმიანობაში და მესაფერის ზომებსაც ღებულობდნენ საჭიროების დროს. როდესაც ჩვენ ვეცნობით თეიმურაზ I-ის და ერეკლე II-ის წერილებს, გვანცეიფრებს მათი ღრმა ცოდნა, დიდი დიპლომატიური ნიჭი და საგარეო ურთიერთობამი გარკვევის დიდი უნარი.

ბ) XVII-XVIII სს. სახელმწიფო საბჭო (დარბაზი)

გაერთიანებული საქართველოს დარბაზის ფუნქციების შესახებ „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ვპოულობთ ძეირფას ცნობებს: „ხელმწიფის კარის გარიგების მსგავსი სამართლის ძეელი გეიანფეოდალურ საქართველოში გვაქეს „დასტურლამალი", „დასტურლამალიც" ეხება დარბაზს: „საქართველოს ჯანიმინმან ბატონისშეილმან პატრონმან ვახტანგ, ოღეს ეოგულმოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა განუჩინეთ და განვუწესეთ წიენითა ამით, რათა ყოველნი ხელისუფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ იქცეოდნენ და განაგებდნენ თავს თეისი მოხელენი სახელოთა თეისთა, და წესითა და შემსგავსებითა იქცეოდნენ– და ამით ყოველთა პსენან და დაიმარხონ წესი და რიგი ესე, თუ რომელი სამსახურის მოქმედი და მოხელენი დაგიდგინებია სახლოთა თეისთა ზედა, ესრეთ თვითოეულად აღწერილის წიგნითა ამით"– მართალია, კანონმდებელი საკმაოდ ბუნდოვნათ გამოთქვამს თავის აზრს, მაგრამ მაინც გასაგებია, რომ მას სურს მოგეცეს დებულება არა მარტო დარბაზის მოხელეების, არამედ საერთოდ სამეფოს მოხელეების შესახებ; „დასტურლამალი" ძირითადად სასახლის გარიგებას და სამეფო მამულებს ეხება, მაგრამ, გარდა ამისა, როგორც სახელმწიფო სამართლის ძეელი, ის ასახავს სახელმწიფოებრივ წყობილებასაც.

„დასტურლამალი" ეხება თითქმის ყველა ინსტიტუტს, რომლებიც კი მმართველობის რომელიმე დარგში არსებობდა, თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დაწესებულება, როგორიც არის სახელმწიფო საბჭო – დარბაზი, რომელიც მეფის ხელისიფლების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო იყო, „დასტურლამალის" ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო. დარბაზის კარის მოხელეები მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელეებია საერთოდ. მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ კანონმდებელი, „დასტურლამალით", მიზნად ისახავს შემოიღოს „წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა". მამასადამე, „დასტურლამალი" დარბაზობის წესებს ეხება და, თუ ის ამ ფარგლებს მორღება თავისი შინაარსით, ყოველ შემთხვევში, პირველ რიგში, „დარბაზის" საკითხები უნდა ჰქონდეს მხედველობაში. როგორც „ხელმწიფის კარის გარიგება", ისე „დასტურლამალი" თავისი დანიშნულებით სასახლის წესებს, მის ეთიკეტს, დარბაზის მომსახურებას უნდა ეხებოდეს; ეს არის, ასე ვთქვათ, ამ ძეელების საგანი, მაგრამ თავისი შინაარსით ერთიცა და მეორეც ამ ფარგლებს ციდება და სახელმწიფოებრიეი წყობილების ძირითად საკითხებს ეხება. ამ მხრივ ეს ორი ძეელი ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

განვიხილოთ დარბაზის საკიპხი „დასტურლამალის“ მიხედვით. „დასტურლამალში“ სიტყვა „დარბაზი“ მხოლოდ შესავალში გვხვდება, შემდეგ ის იქ აღარ მოიპოვება. ისმის კითხვა: ხომ არ არის საფიქრებელი, რომ „მეჯლისი“, რომლის შესახებაც დაწერილებით არის საუბარი „დასტურლამალში“, დარბაზის შინაარსის შემცველი სიტყვა იყოს? მსგავსება მართლაც არის: მეჯლისიც, „დასტურლამალის“ მიხედვით, დიდითა და მცირე წესით იწეოეა მეფის მიერ, მეჯლისის დროსაც შეიძლება ამა თუ იმ საკითხის გარჩევა.

„დასტურლამალში“ მეჯლისისადმი მიძღვნილია 6 პარაგრაფი, „დასტურლამალის“ სულხან მდივნისეულ ხელნაწერში, რომელიც შინაარსის მიხედვით არის დალაგებული, მეჯლისის შესახები ეს ექვსი პარაგრაფი ერთიმეორეს მოსდევს, ხოლო ალექსიძისეულ ხელნაწერებში, რომელიც ანბანზე არის გაბნეული. შესადარებლად მოგეყვანეს სულხან მდივნის ხელნაწერის პარაგრაფები ალექსიძის ხელნაწერის სათანადო პარაგრაფებზე მითითებით (ა. უმი,ა შვილის მიერ გამოქვეყნებული „დასტურლამალის“ მიხედვით): სულხან მდივნისეული 1. კარი სასახლეების რიგისა; 2. მუშამბის სახლის რიგი; 3. ტოგუნის რიგი; 4. ალაყაფის აიეანი; 5. ალაყაფის შუა სახლის რიგი; 6. ახალი სახლის რიგი; 7. მანიშნის დივანხანისა; 8. მოხელენი როგორ უნდა მოიქცნენ. ალექსიძისეული: 1. სასახლეების რიგისათვის; 2. მუშამბის სახლის რიგისათვის; 3. ტოგუნის რიგისათვის; 4. ალაყაფის რიგისათვის; 5. ალაყაფის შუა სახლის რიგისათვის; 6. ახალი სახლის რიგისათვის; 7. მანიშნის დეკანგანის რიგისათვის; 8. მოხელენი როგორ უნდა მოიქცნენ მათთა რიგთათვის.

განსხვაეება სულხანიშვილისეულისა და ალექსიძისეულ პარაგრაფებს შორის შინაარსის მიხედვით თითქმის არ არის: სულხანიშვილისეულ ხელნაწერშია: „კარი სახელების რიგის“, ალექსიძისეულ ხელნაწერში – „სასახლეების რიგისათვის“, პირველში – „მუშამბის სახლის რიგი“, მეორეში „მუშამბის სახლის რიგისათვის“; პირველში – „როდესაც ბატონმა დიდ სახლში მეჯლისის ბრძანოს“, მეორეში – „როდესაც დიდი სახლის მეჯლისი ბრძანოს“, და ა.შ. შინაარსის მიხედვით ეს პარაგრაფები სწორედ ისე უნდა იყოს დალაგებული, როგორც ეს სულხანისეულ ხელნაწერშია, მხოლოდ მე-7 და მე-8 პარაგრაფები გაერთიანებული უნდა იყოს, როგორც ამის შესახებ გექონდა ლაპარაკი, როცა „დასტურლამალი“ განვიხილეთ.

მაშასადამე, ალექსიძის ხელნაწერის მიხედვით, ა. უმიკაშვილის რედაქციით გამოქვეყნებული „დასტურლამალის“ მეჯლისის შესახები პარაგრაფები შინაარსის მიხედვით ასე უნდა იქნეს დალაგებული: 163, 96, 167, 7 და 8 ერთად, შემდეგ 9. 205 და 95.

163-ე პარაგრაფი ეხება მეჯლისის დიდ სასახლეში; აქ აღწერილია მეჯლისის ორი შემთხვევა: როდესაც „რუსი“ აწეულია და ისე იმართება მეჯლისი და როცა „რუსი ჩამოშვებული იყოს და ან იქით აიეანში და ან აქეთ შუა სახლში მეჯლისი ბრძანოს“ მეფემო. მეჯლისის ადგილის დასახელების შემდეგ ჩამოთვლილია მოხელეები, რომლებიც მეჯლისს ემსახურებიან, დახასიათებულია მათი მოქმედება, ფუნქციები, შემდეგ აღწერილია ის კერძები, რომლებიც მეჯლისის მონაწილეებს უნდა მიერთვას.

ასეთივე წესია დაცული მომდევნო პარაგრაფებშიც: დასახელებულია მეჯლისის ადგილი, მოხელეები და კერძების რაოდენობა; მხოლოდ მომდევნო პარაგრაფებში მოხელეების ფუნქციები აღარაა აღწერილი, – იგულისხმება 163-ე პარაგრაფში გათვალისწინებული წესი.

163-ე პარაგრაფის მეორე ნაწილშიც არაა მოხელეების ფუნქციებზე ლაპარაკი, მხოლოდ მითიტებულია ამაეე პარაგრაფის პირეელ ნაწილზე – მოხელეები იმაეე „მემთის წესით იმსახურებოდენო“; ასე რომ, 163-ე პარაგრაფი ერთგეარი შესავლის მნიშვნელობის მქონე პარაგრაფია: მასში მოცემულია საერთო წესები, რომლებიც საერთოდ უნდა დაეცეათ მეჯლისის დროს, სადაც უნდა ყოფილიყო ის გამართული. რაც შეეხება უკანასკნელ, 95-ე პარაგრაფს, მასაც საერთო ხასიათი აქეს: ის არის, ასე ეთქვათ, დამამთავრებელი პარაგრაფი მეჯლისის შესახებ. მასში მოცემულია არა რომელიმე მეჯლისის, არამედ საერთოდ მეჯლისის მოხელეების ფუნქციები. გარდა ამისა, პარაგრაფი უმთავრესად ეხება მოხელეების ფუნქციებს სუფრის მიღებამდე და სუფრის დამთავრების შემდეგ.

ყეეკა იმ პარაგრაფში, რომლებიც მეჯლისს ეხება, უკანასკნელი დახასიათებულია როგორც ნაღიმი, წეეულება, პურობა. ასე ესმის ეს სიტყვა სულხან საბა ორბელიანსაც. სიტყვა დარბაში, საბას განმარტებით, მეფის დიდ სასახლეს ნიშნავს, ხოლო დარბაზობა – სხეის სახლში სტუმრობას.

დარბაზი X-XIV საუკუნეებში, როგორც ეიცით, უმაღლეს ორგანოს სახელმწიფო საბჭოს ნიშნავდა. რთული და მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყეტად, მაღალი მოხელეების დასანიშნავად ან უცხო ხელმწიფეთა მოციქულების მისაღებად გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მეფე ნიშნაედა „დარბაზობას“; ზუსტად განსაზღერული იყო დარბაზის შემადგენლობა; მეფე დარბაზს იწეეედა დიდი და მცირე წესით; არსებობდა დარბაზობის გარკეეული წესები; დარბაზის წეერებს ეწოდებოდათ დარბაზის ერანი“; გიორგი ბრწყინეალის XVI საუკუნის ძეელის დადებითაც სახელმწიფო საბჭოს დარბაზი ეწოდება.

აკად. იე. ჯავახიშვილის აზრით, დარბაზი საერთოდ სახელმწიფო საბჭოს ნიშნავს. მაგრამ „ხელმწიფის კარის გარიგების“ მე-3 მუხლში დარბაზობა უეჭველად წეეულებასთან, ნადიმთან არის დაკაეშირებული. ამ მუხლის მიხედვით, ნათლისღების დღესასწაულის დროს მეფე განსაკუთრებული ცერემონიალით მიდის ეკლესიაში, ხოლო წირვის შემდეგ სასახლეში იწყება

დარბაზობა. ასეთი საღღესასწაულო მიღება, დარბაზობა, ყოველთვის ნადიმთან იყო დაკავშირებული, რაც იმავე „ხელმწიფის კარის გარიგებით“ დასტურდება. დიდი დარბაზობის დროს მეკარეს არ აქვს უფლება მაგიდას შემოუჯდეს, მან დარბაზის დაბალ მოხელეებთან ერთად უნდა მიიღოს საჭმელი“. „ხელმწიფის კარის გარიგების“ სხვა მუხლების მიხედვითაც დარბაზობა ყოველთვის ნადიმთან არის დაკავშირებული. გამოდის რომ, „ხელმწიფის კარის გარიგების“ დარბაზი და „დასტურლამალის“ მეჯლისის ორივე მეფიდ მიერ დიდი და მცირე წესით იწვევა, ორივე ნადიმთან არის დაკავშირებული. ამაეე „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნადიმობა მეჯლისადაც იწოდება, როცა მეფე რომელიმე საღღესასწაულო შემთხვევის გამო ან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის სტუმრობისას იწვევდა დარბაზობას, მაშინ უკანასკნელი ნადიმთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ მეფის მიერ მოწვეული დარბაზი ყოველთვის იყო თუ არა დაკავშირებული პურობასთან?

პურობა თუ ლხინი მეტად დამახასიათებელი იყო ფეოდალური კლასისათვის. სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ ვახტანგ მეექვსე კეირამი ორჯერ — სამშაბათს და კვირას — იწვეოდა მეჯლისს; მეფე გიორგი XI ირანში ყოფნისას ქართველებისთვის მეჯლისს იწვეოდა შაბათობით, ხოლო ირანელებისთვის — სამშაბათობით, ამ შემთხვევაში მეჯლისი ლხინს, პურობას ნიშნავდა. ფეოდალური კლასის წარმომადგენლებისთვის ლხინის, სუფრის წესების ცოდნა აღმრიელ უპირველეს ამოცანას შეადგენდა. ნადიმობას, ქეიფს, მეფეები განსაკუთრებულ დღეებს უთმობდნენ; სხვა დღეები კი სხვა საქმეებისთვის ჰქონდათ გამოყოფილი. იმავე ისტორიკოსის სიტყვით, მეფე „სამდივნო სახლში“ ოთხშაბათობით და პარასკევობით არჩევდა საქმეებს. მეფე არჩილი აღწერს, თუ როგორი უნდა იყოს ნადიმი, როგორი უნდა იყოს ნადიმის მონაწილეთა ქცევის წესები და სხვა.— „კალმასობის“ მიხედვითაც დარბაზი ლხინია, ნადიმი. ასე რომ, მეჯლისი ლხინია, ნადიმობაა; მაგრამ საქმე ისაა, რომ დარბაზობაც „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ნადიმობასთან არის დაკავშირებული; მიუხედავად ამისა, აკად. ივ. ჯავახიშვილს მაინც შესაძლებლად მიაჩნია ასეთ დარბაზობას სახელმწიფო საბჭოს მნიშვნელობა მისცეს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ, სადაც ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დიდი და მცირე წესის დარბაზობაზეა ლაპარაკი. იქ სწორედ საღღესასწაულო აუდიენციასთან და მასთან დაკავშირებულ ნადიმთან გვაქვს საქმე მეფის სასახლეში. ამის მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ „დასტურლამალის“ მეჯლისი „ხელმწიფის კარის გარიგების“ დარბაზობის შემცველია. ასეთი მსგავსება კიდევ უფრო მტკიცდება იმითაც, რომ „დასტურლამალის“ შესავალში დარბაზზე და მის მოხელეებზეა ლაპარაკი, ე.ი. „დასტურლამალი“ თითქოს მარტო ამ საკითხებს ეხება, მაშინ როდესაც თვით „დასტურლამალის“ ტექსტში არსად სიტყვა „დარბაზი“ აღარ გეხვდება და მის ნაცვლად მეჯლისი და მისი მოხელეებია აღწერილი.

მიუხედავად ამისა, „დასტურლამალში“ აღწერილი მეჯლისი ნადიმს უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ასეთი პურობა და ლხინი, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის დარბაზის საქმიან სხდომას მოსდევდა. ამ გარემოებაზე სრულიად გარკვეულად მიუთითებს კანონმდებელი „დასტურლამალში“, როცა ის წერს: ავრეთვე სუფრის მიღებამდინ, ერთი მდივანიც იდგებოდეს: ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რომ ჩამოვარდების, ეგების ბატონმა ბრძანოს რამე...

„დასტურლამალის“ მეორე ადგილას კანონმდებელი წერს: მეჯლისის საქმეების „სახელთუხუცესი და ნაბირი გაარიგებდეს და დადებოდნენ; ერთი მდივანიც იმათთან იქნებოდეს“. ამ შემთხვევაში მდივნის ფუნქცია არ არის დაზუსტებული; მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ, თუ მდივნის დასწრება საჭირო იყო, მაშინ რაიმე საქმე იქნებოდა გასარჩევი, რაიმე საბუთი იქნებოდა შესადგენი. „დასტურლამალში“ კი ორჯერ, ორ პარაგრაფში, აღნიშნულია მდივნის მეჯლისზე დასწრების საჭიროება. ორივე ეს პარაგრაფი მეჯლისის შესახებ საერთო წესებს შეიცავს. 163-ე პარაგრაფი დეტალურად ჩამოთვლის მეჯლისის მოხელეებს და მათ ფუნქციებს, ხოლო 95-ე პარაგრაფი დასკვნითი ხასიათისაა, მას არა აქვს მიზნად რომელიმე კონკრეტული მეჯლისის წესების აღწერა. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მდივანი ყველა მეჯლისს ესწრებოდა, მიუხედავად იმისა — იყო ის დასახელებული მეჯლისის შესახებ ყველა პარაგრაფში თუ არა.

რა საკითხი შეიძლება დასმულიყო მეჯლისზე? „დასტურლამალში“ ამის შესახებ გაკვრით არაფერია ნათქვამი: „ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რომ ჩამოვარდები“; „წიგნის დაწერა“, ე.ი. რაიმე საბუთის ან სიგელის შედგენა შეიძლებოდა სამეფოს მართველობის სხვადასხვა საკითხზე; ამიტომ, ამ შემთხვევაში „წიგნის დაწერის“ ცნება ერცელია და ის შეიცავს მმართველობის ყოველგვარ საკიბს. გარდა ამისა, მეჯლისის დროს შეიძლებოდა დასმულიყო სასამართლო საქმეც. სასამართლო ფუნქციები კი, როგორც ვიცით, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს დარბაზსაც ჰქონდა. ასე რომ, „დასტურლამალის“ მეჯლისი ამ შემთხვევაში მართლაც „ხელმწიფის კარის გარიგების“ დარბაზის შემცველია.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას: 95-ე პარაგრაფით მდივანი უნდა იყოს „სუფრის მიღებამდინ“, ეს კი სუფრის გაწყობის წინა პერიოდს უნდა ნიშნავდეს; სხვანაირად ტექსტის ამ ადგილის გაგება შეუძლებელია. დაეუშვათ, რომ აქ იგულისხმება „სუფრის“ დამთავრება (ერთი მდივანი იდგეს სუფრის დამთავრებამდე)ლ მაგრამ ტექსტის ასეთი გაგება შეუძლებელია შემდეგი გარემოების გამო: სახლთუხუცესისა და ნაბირის ფუნქციები ამავე

პარაგრაფში განსაზღვრულია; ისინი „სუფრის გარიგებამდინ“ ასრულებენ თაეიანთ ძირითად დანიშნულებას, სუფრის მიღების შემდეგ სახლთუხუცესი სუფრაზე იკაეებს თავის ადგილზ. თუ ჩვენს მიერ ტექსტი სწორად არის გაგებული, მაშინ ასეთი რამეც შეიძლება დაეუშეათ; რადგან მდივნის საჭიროება „სუფრის მიღებამდინ“ არის გათეალისწინებული, აქედან შეიძლება ეიფიქროთ, რომ მეჯლისი ორ ნაწილად იყოფა: მისი ერთი ნაწილი, საქმიანი მხარე, არის სუფრის მიღებამდე, როცა მეჯლისი განიხილაეს სხეადასხეა საკითხს და ამ დროს მდივნის საჭიროებაც არის, ხოლო შემდეგ იწყება მეჯლისის მეორე ნაწილი, თეითონ ლხინი. მაგრამ აქეე კ შეიძლება არ მიეუთითოთ იმ გარიგებაზე, რომ მდივნის საჭიროება, და საერთოდ რაიმე საკითხის დასმა თუ გარჩევა მეჯლისზე, თითქოს შემთხვევითი ხასიათის მაგარებლად ჩანს: „ეგების ბატონმა ბრძანოს რამე“. ყოველ შემთხვევაში, რაიმე გარკეეული წესი ამისა არ ჩანს. გარდა ამისა, როგორც ვიცით, მეფის ხელისუფლება, ფორმალურად მაინც, არ იყო განსაზღერული, და მას ყოველთვის და ყველგან შეეძლო ბრძანების გაცემა, რაიმე საკითხის გარკეეეა და მისთ., და როდის ან საღ გააკეთებდა ამას, ეს მისი საქმე იყო. მაშასადამე, მეჯლისზე მდივნის საჭიროება მხოლოდ ამისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

საინტერესოა მეჯლისის შემადგენლობის გარკეეეა. დიდი მეჯლისის დროს მეფე „გახსგე ბრძანდებოდეს“, ხოლო „დარბაისელნი რომ შემობრძანდრბიან, დიდრონს კაცებს აქეთმან ეშიკაღასბაშმან აქათ უჩვენოს ალაგი და იქითმან იქით უჩვენოს თავისი ალაგი როგორც შეეფერებოდეს. მერმე სხუა დარბაისელნი რომ მოვიდნენ, ბოქაულთუხუცესმან იქითმან იქით მისრული დააწუნეინოს და აქათმა აქათი მოსული დააწუნეინოს“. „დასტურლამალის“ სხეა ადგილას ვკითხულობთ, რომ მეჯლისზე მოსულ „დარბაისელთ“ მაშიებს ჩამოართმეეენო. აქედან ჩვენ ეხედაეთ, რომ მეჯლისზე მოწვეულთ „დასტურლამალის“ დარბაისელს უწოდებს, რომ დარბაისელნი „დიდი კაცებია“ საერთოდ, მაგრამ მათ შორის არის განსხვაეება: ზოგი მათგანი უფრო დიდია, ზოგი ნაკლები.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში დარბაზისერნი დარბაზის წევრები იყვნენ. დარბაზისერნი შემდეგში „დარბაისელნი“ შეიქნენ; შერე ამ ტერმინის მხოლობითი რიცხეიც წარმოიშვა (დარბაისელი), რომელიც უფრო გვიან, XIX საუკუნეში, კეთილშობილს, ბრძილ ადამიანს ნიშნაედა. ის გარემოება, რომ „დასტურლამალი“ მეჯლისის წევრებს დარბაისელთ უწოდებს, არ არის საბუთი მათი დარბაზის წევრობისა. დარბაისელნი XVII-XVIII საუკუნეებში, საერთოდ, ფეოდალურ I კლასის მაღალი ფენის წარმომადგენლები არიან. სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი, რასაკეირეელია, ფეოდალური კლასის მაღალი ფენის წარმომადგენლებისგან იქნებოდა შემდგარი. სწორედ ეს სახელწოდება „დარბაისელი“, უფრო მესაფერისია იმ პერთათეის, რომლებიც მეფის საბჭოში მონაწილეობას მიიღებდნენ. როგორც ეიცით, XVIII საუკუნეში მსხეილ ფეოდალებს მეფე ასე მიმართავდა: „მესტუმრეო, ჩვენ მაგიერად, ჩვენს დიდ იმედს დარბაზ-ბატონს (სახელი) ასრე უამბეთ“. ამ პერიოში მსხეილ ფეოდალებს დარბაზბატონს, დარბაისელთ ან დიდკაცებს უწოდებდნენ; დარბაისელი იყო ფეოდალი, რომელმაც სოციალური იერარქიის განსაზღერულ საფეხურს მიაღწია. დარბაისელი არ იყო წოდება, რომელიც რაიმე უფლებას ანიჭებდა ამ სახელის მატარებელს. დარბაისელნი მსხეილი ფეოდალები იყვნენ და, როგორც მსხეილ ფეოდალებს, მათ მეფე იბარებდა სათათბიროდ.

უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც „დასტურლამალით“ გათვალისწინებული იყო მეჯლისის, იმავე დარბაზში სხვა დროს შეიძლებოდა სხვა რაიმეს გამართვა, მაგალითად, ეხმგანგ შეექვსეშ, როცა თავის ბიძის სიკედილი გაიგო, სამგლოეიაროდ იჯდა დიდ სასახლეში; მეჯლისი, „დასტურლამალით“, ზოგჯერ ინიშნებოდა ისეთ დარბაზში, რომელიც ჩეეულებრიეად მეფის სამუშაო ადგილი იყო, სხეა დროს იქ მეფე თათბირებს აგარებდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ა. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოს მთავარი სუფრაზე არჩეედა სხეადასხეა საქმეს.

ყეელა ზემოთქმულიდან I, დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ „დასტურლამალის“ მეჯლისი იგივე სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზია. ჩეეულებრივ, ის მეფის სასახლეში და მეფის მიწვევით იკრიბება. მას მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა. მეჯლისის საქმიან სხდომას ყოველთვის პურობა მოსდევდა ხოლმე.

დარბაზი, სახელმწიფო საბჭო, როგორც მეფის სათათბირო ორგანო, უეჭველად არსებობდა გეიანფეოდალურ საქართველოს სამეფო-სამთაოვრებში, მეფე ფორმალურად შეუზღუდეელი იყო, მაგრამ ფაქტიურად მისი უფლებები შეზღუდული იყო მსხვილი ფეოდალების მიერ; თუ მეფეს რაიმე ღონისძიების გატარება სურდა, ის იწვეედა მსხვილი ფეოდალების თათბირს, რომელიც იყო სამეფო საბჭო ანუ დარბაზი. მსხვილი ფეოდალების გარეშე მეფეს არ შეეძლო ფაქტიურად რაიმე სერიოზული ღონისძიების გატარება. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ მეფე თეითონ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ მან ესა თუ ის გადაწყეეტილება მსხვილ ფეოდალებთან შეთანხმებით მიიღო.

ქართლის მეფე ეახტანგ მეექვსემ სამართლის წიგნის შესადგენად და მის დასამტკიცებლად მოიწეია ფეოდალების თათბირი ანუ სახელმწიფო საბჭო. ეახტანგ VI-ის მიერ სამართლის წიგნის შესადგენად მოწვეული იყვნენ: კათალიკოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსები, წინამძრევრები, მუხრანი ბატონი, არაგეის და ქსნის ერისთაეები, სარდალი ლუარსაბი, ამილახვარი, მდიანბეგი და სხეა დარბაზისერნი. უეჭველად აქ ჩვენ საქმე გვაქეს სახელმწიფო საბჭოსთან. დამახასიათებელია, რომ კანონმდებელი, როგორც თეითონს ამბობს, სამართლის წიგნს აღგენს ზემოხსენებულ მსხვილ ფეოდალებთან თანხმობითა და „თანაშრახეით“; თითქოს

მეფე და მსხვილი ფეოდალები თანასწორნიც არიან; მეფემ უჰნდა შეუთანხმოს მათ კანონების გამოცემა. ფაქტიურად ეს ასეც იყო: თუ მსხვილი ფეოდალები არ იქნებოდნენ თანახმა, ისე კანონებს ძალა არ ექნებოდა. ამით აიხსნება ის, რომ მეფე სახელდებით ჩამოთვლიდა თითოეულ მსხვილ ფეოდალს, რომ ამით თავის სამართლის წიგნს მეტი სიმტკიცე ჰქონოდა.

ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალში ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ დიდებულების შემდეგ სამართლის წიგნის შედგენაში მონაწილეობას ღებულობენ „სხვა დარბაზისერნი". აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ დიდებულები „დარბაზისერნია", მაგრამ არა ყველა „დარბაზისერნი" არიან დიდებულები; მაშასადამე, დარბაზში მონაწილეობას იღებენ, დიდებულების გარდა, სხვა მსხვილი ფეოდალებიც. რადგან ამ შემთხვევაში სამართლის წიგნი იყო შესადგენი, ე.ი. სპეციალური, იურიდიული საკითხი იყო გადასაწყვეტი, ამიგომ თათბირზე მოწვეული ყოფილან აგრეთვე სამართლის მცოდნენი, რომლებიც საერთოდ სხვა დროს საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

ამგვარად, ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენისას დარბაზი საეკლესიო და საერო მსხვილი ფეოდალებისაგან შედგებოდა.

პროფ. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, დარბაზი (გვიანფეოდალურ საქართველოში) არის მსხვილი ფეოდალების საბჭო, რომლის სათავეშია მეფე.

ვახტანგის სამართლის წიგნის შესადგენად მოწვეული იყო დარბაზი დიდი წესით; თუ თვითონ სამართლის წიგნში აღწერილია მხოლოდ მისი შემადგენლობა და ნახსენები არ არის სახელი „დარბაზი", ეს იმიტომ, რომ დარბაზი არ იყო განსაზღვრული კომპეტენციისა და რეგლამენტის მქონე მუდმივად მოქმედი დაწესებულება. ის მეიკრიბებოდა განსაზღვრული საქმის გასარჩევად და შემდეგ დაიმლებოდა გაურკვეველ დრომდე. მისი შემადგენლობაც იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რა ცვლილებების ხდებოდა ფეოდალთა კლასის მაღალ ფენებში: ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით ზოგიერთი ფეოდალი აიწევდა ფეოდალურ კიბეზე, ზოგი დაიწევდა, ამისდაგვარად განისაზღვრებოდა მათი მოწვევა დარბაზის სხდომაზე.

დარბაზი ანუ საბჭო, როგორც ვთქვით, იწვეოდა „დიდი წესით" ან კიდევ „მცირე" წესით. დიდ დარბაზს მეფე იწვევდა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად (მეფის გახგზე ასვლა, უცხო სახელმწიფოს ელჩებაციის მიღება, სამართლის წიგნის შედგენა და სხვა).

როცა თეიმურაზ პირველმა რუსეთის ელჩები მიიღო, მასთან, გახგის მემკვიდრე დავითის გარდა, იყვნენ ეკლესიის მაღალნი ხელისუფალნი და მრავალი კარისკაცი. როგორც ჩანს, ეს იყო მეფის საბჭო, დარბაზი.

ვახუშტის ცნობით, სახლთუხუცესის კომპეტენციაში შედიოდა „წესნი და რიგნი სახლისა მეფისა და თათბირობა სამეფოსი". ვახუშტი სახლთუხუცესს უძველესი თანამდებობად თვლის, და ასეთი ფუნქცია სახლთუხუცესს, მისი აზრით, ჰქონია ძველად და შემდეგაც. სახლთუხუცესი შეიძლება მართლაც ძველი თანამდებობა იყოს, თუმცა მის შესახებ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს დროს ძეგლებში არა გვაქვს ცნობა. ძველად ეს ხელშინაური მოხელე იქნებოდა და, საეჭვოა, რომ მას სახელმწიფო თათბირის წესების დაცვის მოვალეობა ჰქონდა; რაც შეეხება XVI-XVIII საუკუნეებს, ე.ი. გვიანფეოდალურ ეპოქას, მაშინ კი სახლთუხუცესისთვის ეს ფუნქცია სწორედ შესაფერისი იქნებოდა. ეს „თათბირობა", რომელზეც ვახუშტი ლაპარაკობს, სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი იყო.

დარბაზი მეფის ხელმძღვანელობისთ იხილავდა სხვადასხვა ხასიათის მნიშვნელოვან საკითხს. 1708 წლის ერთი თავის სიგელში წინამძღვარი ონოფრე წმინდა დავითის სახელობის მონასტრის ყმებს მონასტრის ერთგული სამსახურისათვის პპირდება სითარხნეს: „ხელმწიფისაგან, დარბაისელთ ეპისკოპოზისაგან სითარხნისა და საურის ამოკვეთის წიგნები" განუახლეთ, „ხელახლა ხელმწიფის სიგელიც.. და დარბაზისელთ-ეპისკოპოსთა ყველასაგან გაგიახლეთ". ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ მონასტრის ყმების გადასახადების საკითხი დარბაზს განუხილავს.

საინტერესო ცნობებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დარბაზის შესახებ გვაწვდის რუსეთის ელჩი ერეკლე II-ის სამეფო კარზე. თავის მოხსენებაში რუსეთის მთავრობის მიმართ ის წერს: „...Царь (грузинский. – ი. ს.) имеет свой диван или совет, в коем участвуют его дети, каталикос, архиерей, члены совета, диванбегами называемы, и знатные земли, без чьего совета царь имеет обычай ничего не предпринимать, хотя и самовластен".

ბურნაშევის ამ ცნობის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს საბჭოს წევრები მდივანბეგებად იწოდებოდნენ: ეს სიმართლეს არ შეეფერება: მდივანბეგი მოსამართლეს ეწოდებოდა და არა საბჭოს წევრს. დავით ბაგრატიონიშვილის ცნობით, ერეკლე II-ის დროს საბჭოში მდივანბეგებიდან მხოლოდ თბილისის მდივანბეგი შედიოდა.

დავით ბაგრატიონიშვილი წერს, რომ ლაშქრობის დროს მეფე ეთათბირება სამხედრო მოხელეებს და არა საბჭოს წევრებსა და მდივანბეგობსო; მაშასადამე, დავითი მდივანბეგებს საბჭოს წევრებისაგან განასხვავებს, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ მდივანბეგები საერთოდ არ იყვნენ საბჭოს წევრები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე II ხშირად იწვევდა დარბაზს, მაგალითად, მეფემ მორიგე ჯარის დასაწესებლად მოიწვია სახელმწიფო საბჭო, რომელშიც მონაწილეობას

ღებულობდნენ: ბახტის მემკვიდრე, ეპისკოპოსები, თავადები, მოხელეები. 1765 წელს გამოცემულ კანონში ეკითხულობთ, რომ მის შედგენაში მონაწილეობა მიუღიათ: კათალიკოსს, ეპისკოპოსებს და მსხვილ ფეოდალებს. თავის 1791 წ. ერთ წერილში მეფე სარდალ ციციშვილს სწერს, რომ საჭიროა სასწრაფოდ „დიდი კაცების“ შეკრება „საქვეყნო საქმეების“ გასარჩევადო. მაშასადამე, დიდი და რთული საკუთხების გადასაჭრელად მეფე ყოველთვის იწვევდა მსხვილი ფეოდალების თათბირს, მხოლოდ ყოველდღიური მუშაობისათვის მეფეს ჰყავდა მცირე საბჭო, რომელიც მეფის დაახლოებული პირებისაგან, ძირითადად კარის მსხვილი მოხელეებისაგან შედგებოდა.

მაგრამ დარბაზს, დიდსა თუ მცირეს, ოფიციალური გაფორმება არ მიუღია: არსად ის არ იწოდება ამ სახელით. თაყის პროექტში სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების შესახებ იოანე ბაგრატიონი აყენებს საკითხს განსაზღვრული რეგლამენტის, კომპეტენციისა და შემადგენლობის მქონე სახელმწიფო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ; მანამდის რომ ასეთი დაწესებულება არსებულიყო, იოანეს არარ დასჭირდებოდა მასზე სპეციალური საუბარი.

დაეით ბაგრატიონს საინტერესო ცნობები აქვს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს საბჭოს შესახებ. სამეფო საბჭო ცალე თავად აქვს მოცემული აეტორს თავისი შრომაში; ეს თავი 29 პარაგრაფისაგან შედგება.

საბჭოს წევრების რაოდენობა განსაზღვრა დამოკიდებულია მეფის ნებასურვილისაგან, საბჭოს თავმჯდომარეობს მეფე, ურომლისოდაც საბჭოს სხდომა არ შეიძლება შედგეს.

საბჭოში მონაწილეობას ღებულობდნენ თბილისის მდივანბეგი და მოურავი, როგორც ქალაქის პირველი მოხელეები. მეფის უმაღლესი საბჭოს ბრძანება საკალდებულოა ყველასათვის, განურჩეველად მდგომარეობისა; ამ შემთხვევაში მეფის ოჯახის წევრებიც არ შეადგენენ გამონაკლისს; საბჭოს ბრძანების არ შემსრულებელნი, ისე დაისჯებიან, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების ურჩნი.

საბჭო თვალყურს ადევნებს კანონების განუხრელად გაგარებას; საბჭო მართაეს ყოველგვარ სახელმწიფოებრივ საქმეს, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხასიათისას; საბჭოს კომპეტენციაში შედის: გადასახადების დაწესება და გაწერა, ბაეებისა, გარიფებისა და საეაჭრო წესების დადგენა, მეფის სახელით მოხელეების დანიშენა და მათი ჯამაგირების განსაზღერა, მეფისათვის დასაჯილდოებელი პირების წარდგენა.

საბჭოს აქვს სასამართლო ფუნქციები.

ყოველწლიურად საბჭოს წევრებიდან ინიშნებიან რეეიზორები, რომლებიც სათანადო ინსტრუქციით დაიელიან სამეფოს სხვადასხვა პროვინციას.

საბჭო თვალყურს აღევნებს, რომ სამეფოში არ იყოს აჯანყება, ყაჩაღობა, მკელლობა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული.

საბჭო ღებულობს ყოველგვარ ზომებს სამეფოს შემოსაელის გასაძიდებლად. როგორც ვხედავთ, დაეით ბაგრნიშეილის ამ შრომის მიხედვით საბჭო არის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც მეფესთან ერთად მართაეს სამეფოს, – მის ხელშია სახელმწიფოს მართეის ყეელა მხარე: მას აქეს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმინისტრაციული ხასიათის ფუნქციები. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ დაეით ბაგონიშეილი განსაკუთრებით ჩერდება საბჭოს საფინანსო ხასიათის ფუნქციებზე. ყოველგვარი გადასახადის, ბაჟისა და, საერთოდ, სამეფოს შემოსაელის საქმე უშუალოდ საბჭოს ექეემდებარება. იმ ფეოდალურ სახელმწიფოებში, რომელთაც წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის სტადია გაელეს, მეფეები სამეფო ფინანსების საქმეს წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების საშუალებით არიგებდნენ. საქართველოში არ იყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების და ფინანსების საქმე სამეფო საბჭოს ხელში იყო; საბჭოში ქალაქის ხელისუფალნი (თბილისის მდივანბეგი და მოურავი) შედიოდნენ. დარჩია ბებუთოეის მიერ ჰაელე ციციანოვისადმი გაგზავნილი განცხადებებიდან ჩანს, რომ „საქართველოს სამეფო შემოსავალ-გასავალთა საქმეთა შინა დასწრება“ მელიქ-მამასახლისსაც ეეალებოდა, მაგრამ მელიქ-მამასახლისი საბჭოს წევრი არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვეევაში, დამახასიათებელია, რომ საფინანსო მმართველობაში ქალაქის ხელისუფალნიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

დაეით ბაგონიშეილის აღნიშნულ შრომაში მოხსენებულია აგრეთვე საგანგებო საბჭო, რომელსაც მეფის ბრძანებით იწვეოდნენ საგარეო საქმეთა მდივანთუხუცესები.

დაეით ბაგონიშეილის შრომის მიხედვით საბჭოსთან დაარსებული ყოფილა განსაკუთრებული დაწესებულება, რომელიც სანხედრო საქმეებს აწესრიგებდა მორიგე ლაშქრის დებულების საფუძველზე. მორიგე ლაშქრის გაუქმების შემდეგ ცნობილი არ არის არსებობდა თუ არა ასეთი დაწესებულება.

დაეით ბაგონიშეილის მიერ აღწერილი სამეფო საბჭო მუდმიეად მოქმედი დაწესებულებაა. აეტორი მას მთაერობას უწოდებს. სამეფო საბჭო იმ სახით, როგორც ეს დაეით ბაგონიშეილს აქეს აღწერილი, XVIII საუკუნის მეორე ნახეევარში ერეკლე II-ის რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული ჩანს.

მამასადამე, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფო საბჭოს ცელილება განუცდია: ერეკლე II-ის დროს სამეფო საბჭო განსაზღვრული კომპეტენციის მქონე, მუდმიეად მოქმედი დაწესებულება გამხდარა. მაგრამ აქეე უნდა დავძინოთ, რომ საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება ქართულ სინამდეილეს დაეით ბაგონიშეილის ცნობები, ჯერ კიდეე შესაწაელია და გამოსარკეეეი.

როგორც ვთქვით, ფორმალურად მეფის ხელისუფლება არ იყო შეზღუდული არც ქართლში და არც სხვა რომელიმე სამეფო-სამთაეროში, მაგრამ ფაქტიურად მეფე სამეფოს განაგებდა მსხვილ ფეოდალებთან ერთად. ასეთივე მდგომარეობა იყო გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. „როგორც მეფე, ერეკლე თვითმპრობი იყო, ის შეუზღუდველი უფლებით არგებლობდა. მიუხედავად ამისა, მის დროს საბჭოს (დივანს") უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერეკლე არც ერთს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს ამ საბჭოს დაუკითხავად არ გადაწყვეტდა. საბჭო ორგვარი იყო — დიდი და მცირე. პირველში შედიოდნენ მეფის შვილები, კათალიკოსი და სხვა საეკლესიო და საერო დიდებატონები. აქეს მონაწილეობდნენ სამეფო დიდმოხელენიც. მცირე საბჭო მეფის მიერ შერჩეულ პირთაგან შედგებოდა. ასეთები იყვნენ მისი ერთგული მრჩეველ-თანამშრომელნი. საქმის ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით მეფე ზოგ მათგანს დიდ საბჭოში განიხილავდა, ზოგს კიდევ თავის უახლოეს თანაგამზრახებთან ერთად შეიმუშაევბდა".

ყველა ზემოთქმულიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოტანა:

I. XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს სამეფო-სამთავროებში არსებობს სახელმწიფო საბჭო — დარბაზი; ფორმალურად დარბაზი სატათბირო ორგანოა, რადგან მეფე შეუზღუდველია, ფაქტიურად კი მეფე მსხვილი ფეოდალების გარეშე სერიოზულ ღონისძიებას ვერ ჩაატარებს;

2. დარბაზს იწვევენ დიდი და მცირე წესით; რაიმე რეგლამენტი, დარბაზის კომპეტენციისა და შემადგენლობის შესახებ არ ასრებობს, არც რაიმე განსაკუთრებული სახელწოდება აქვს დარბაზს. მას, ჩვეულებრივად, ბეჭდებში თათბირი, ბჭობა ეწოდება. დარბაზს იწვევს მეფე, როცა საჭიროდ დაინახავს, და თვითონვე განსაზღვრავს მის შემადგენლობას. დარბაზის მონაწილენი მსხვილი საერო და საეკლესიო ფეოდალები არიან;

3. მეფესთან ყოველთვის არიან დაახლოებული პირნი — ცენტრალური აპარატის მაღალი მოხელეები, მსხვილი ფეოდალები; ისინი შეადგენენ მეფის მცირე საბჭოს, რომელიც ყოველდღიურად, მუდმივად მეფესთან ერთად წყვეტს ამა თუ იმ საკითხს. არც ამ საბჭოს აქვს რაიმე რეგლამენტი და სახელწოდება;

4. „დასტურლამალის" მეჯლისი არის სახელმწიფო საბჭო; მეჯლისის დროს ირჩეოდა სხვადასხვა ხასიათის საქვეყნო საკითხები. ამ მხრივ მეჯლისი წინა პერიოდის დარბაზს ჰგავს, აქაც მეჯლისის საქმიან სხდომას, როგორც წესი, პურობა ანუ ნადიმი მოსდევდა;

5. დარბაზი ანუ სახელმწიფო საბჭო გეიანფეოდალურ საქართველოშიაც სათათბირო ორგანოა;

6. ერეკლე II-ის დროს დარბაზი ანუ საბჭო მუდმივად მოქმედ დაწესებულებად ჩანს.

.

გ) მმართველობის ცენტრალური აპარატი

ქეიშევრდომი. უმაღლესი მმართველობის განსაგებელი სამეფოს ქეიშევრდომები იყვნენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქეიშევრდომების ცნების გამოსახატავად სულხან-საბა ორბელიანი ხმარობს სიგყვას „ხელქვეითს", როდესაც ს. ორბელიანი იძლევა მთაერობის განმარგებას, ის წერს: „მთავრობა ხელქუეშეთთა უფროსი" არისო.

ძეგლები საერთოდ გაურბიან ქეიშევრდომის ცნების გამოსახატავად რაიმე გარკეული ტერმინის ხმარებას. როცა საჭიროა ამ ცნების გამოსახვა, ცდილობენ მას როგორმე შემოუარონ; მაგალითად, ერეკლე II წერს: „ჩვენს მორჩილების ქვეშ" მყოფი კაცი; ეახტანგ VI — „საქართველოს კაცი"; გიორგი XI — „ქართველი"; ეახტანგის სამართლის წიგნში გვხვდება „ყმა". ასე რომ, ს. ორბელიანის „ხელქვეითს" არ ჰქონდა მოქალაქეობრივი უფლება მოპოვებული; ეს იქიდანაც ჩანს, რომ თეითონ ს. ორბელიანი ამ სიგყვასთან დაკავშირებით („მთაერობა"). ის გარემოება, რომ „ხელქვეითს" არ ჰქონდა გაურცელება, აიხსნებოდა იმდროინდელი საზოგადოებრიეი წყობილების თავისებურებით. საქმე ისაა, რომ სამეფოს მცხოვრებთა ძირითადი მასა ყმა-გლეხები იყვნენ. თუ „ხელქვეითობა" ისეთი იურიდიული მიმართება არის, რომელიც განსაზღვრავს „ხელქვეითის" მოვალეობას სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, ასეთ „ხელქვეითად" მაშინდელი გლეხი ვერ ჩაითვლებოდა. გლეხების დიდი უმრავლესობა მემამულეების ყმები იყვნენ, მათთან სახელმწიფო ხელისუფლებას უშუალო ურთიერთობა არც ჰქონდა. ასევე, ეაჭრებისა და სამღვდელოების დაბალი ფენები, როგორც ყმები, არ ექვემდებარებოდნენ უშუალოდ მეფის ხელისუფლებას. მაშასადამე, მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, უშუალოდ საქმე ჰქონდა ფეოდალებთან (საერო იქნებოდა ის თუ საეკლესიო). ვაჭრების მაღალ ფენებთან და იმ ყმა-გლეხებთან, რომლებიც სამეფონი იყვნენ, მარიგად, მეფის ხელისუფლება სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში იყო საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან.

როგორც ვიცით, მსხვილი ფეოდალები მუდმივ მეტოქეობას უწევდნენ მეფის ხელისუფლებას; მათზე ცენტრალური ხელისუფლება შეზღუდულად ახორციელებდა თავის უფლებებს. ამასთან, ფეოდალებს, განსაკუთრებით საეკლესიო ფეოდალებს, ფართო ხასიათის იმუნიტეტის ჰქონდათ;

მეფე, ყოველგვარი პირობის გარეშე, თავის ხელისუფლებას მხოლოდ საკუთარ ყმა-გლეხებზე ახორციელებდა, თუმცა იგი ცდილობდა თავისი უფლებების გაფართოებას, ფეოდალების ალაგმვას.

ზოგიერთ საკითხში მეფე უფრო ამქლაურებდა თავის ცენტრისკენულ მიდრეკილებას. სისხლის სამართლის მსხვილი საქმეები მხოლოდ მეფის იურისდიქციას ექვემდებარებოდა, ე.ი. მსხვილი ფეოდალის სამფლობელომიც რომ მომხდარიყო ასეთი საქმე, მას მაინც მეფის სასამართლო გაარჩევდა; მეფის ხელისუფლება ამ მხრივ მთელ სამეფოზე ვრცელდებოდა. გარდა ამისა. განსაზღვრულ სფეროში მეფეს მსხვილი ფეოდალებიც ცნობდნენ როგორც სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენელს, რის გამოხატულებას წარმოადგენდა სამხედრო ვალდებულება და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო გადასახადიც, რომელსაც ფეოდალიც იხდიდა.

მოხელე. მეფე, როგორც ვთქვით, არ იყო ფორმალურად შეზღუდული თავისი ხელისუფლების განხორციელებაში, იგი მას ახორციელებდა უმუალოდ თვითონ ან თავისი სამოხელეო აპარატის საშუალებით. ის პირები, რომლებიც მეფის სახელით ასრულებდნენ მმართველობის სხვადასხვა ფუნქციას, იყვნენ თანამდებობის პირები, მოხელეები.

აქ ჩვენი მიზანია, პირველ ყოვლისა, გამოვარკვიოთ თანამდებობის ანუ სახელოს არსი

თანამდებობის პირს სამართლის ძეგლის მიხედვით მოხელე ეწოდებოდა. ეს სახელწოდება არ არის ახალი, მას ეხვდებით X-XIII საუკუნეებშიაც. მოხელე წარმოდგება სიტყვა „ხელისაგან“; აქედანაა წარმოშობილი მთელი რიგი სიტყვები: ხელისუფლება, ხელმწიფე და სხვა.

იმ მოვალეობას, რომელსაც მოხელე ასრულებდა, სახელო ეწოდებოდა. სახელო თანამდებობას ნიშნავს. მაგრამ სიტყვა „თანამდებობა“ გვიანი წარმოშობის არის (XIX ს.). სახელოს პარალელურად გეხვდება აგრეთვე ტერმინი „სამსახური“, რომელსაც ნაკლები გავრცელება ჰქონდა. იგი საერთოდ სახელოს შემცველი კი არ იყო, არამედ ზოგიერთი მოხელის სპეციფიურ მოვალეობაზე მიუთითებდა; მაგალითად, ე.წ. ხელჯოხიანი მოხელეების მიერ შესრულებულ ან შესასრულებელ მოვალეობას სამსახური ეწოდებოდა. სამსახური ეწოდებოდა უმთავრესად ისეთ მოვალეობას, რაც რაიმე ბრძანების შესრულებას ან რაიმე ღაცვას გულისხმობდა... ასეთ სამსახურს ეწოდნენ მცველები, იასაულები და მისთ. „დასტურლამაში“ ეკითხულობთ: „ჯარჩები, თალიმები და იასაულები გარეთ დიღის კარის ყიუჟიხთან დადგებოდნენ, და რომელიც სამსახური უბრძანონ, ათაიებენ“. იმავე „დასტურლამალში“ ჯარჩებს“ სპეციალური მუხლი აქვს მიძღვნილი („ჯარჩებისათვის“), სადაც მოცემული არის მათი განაწესი: ჯარჩები „სამსახურზე დააყენონ. იმათი სამსახური ეს არის: დილას მოვიდოდნენ, კარზე იდგნენ; როგორც ხელჯოხიანი, ისრე გარედამ კაცს დაითხოვდნენ; შეჯლისთან შესასელელად ხელი არა აქვთ“. მეფის „პაეების“ საქმიანობას „დასტურლამალი“ სამსახურს უწოდებს: „ეინც და ეინ საპაჟიოს კაცის შეილი ყული იყოს, ბაგონს თაეს დააყენოს, რიგზედ მართებისად იმსახუროს“. ხელჯოხიანი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, წესრიგის დამცველს ან, საერთოდ, სასახლის მცველს, ან რაიმეს შემსრულებელს ეწოდებოდა. ის თავისი მოვალეობის შესასრულებლად ხელში კომპაბს აგარებდა. ისინი ხელჯოხიანი მოხელეები იყვნენ.

ძეგლებში სიტყვა „მოხელესთან“ ერთადვე გეხვდება აგრეთვე „მოსაქმე“ და „გამრიგე“. მოსაქმე წინა პერიოდში საქმისმოქმედად იწოდებოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მოხელესა და საქმისმოქმედს შორის გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს პერიოდში განსხვავება იყო: მოხელე ეწოდებოდა იმა, ვინც უფლებამოსილი იყო, რომელსაც შეეძლო განკარგულების გაცემა, ხოლო საქმისმოქმედი — შემსრულებელი იყო. მამასაძდმე, საქმისმოქმედი დაბალი, აღმასრულებელი ფუნქციის მქონე მოხელეა. XVI-XVIII საუკუნეებში მოსაქმეც შემსრულებელია: ყველა ხელჯოხიანი — იასაული იქნება ის თუ მცველი, მოსაქმეა; მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში ყველა ის პირი, ვინც კი რაიმე მოვალეობას ან დავალებას ასრულებდა, შემსრულებელი იქნებოდა ის თუ მბრძანებელი, მოხელედ იწოდებოდა, ხოლო დაბალი მოხელეების შესასრულებელ საქმეს სამსახური ეწოდებოდა; სამსახურიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, არ წარმოშობილა მოსამსახურე (როგორც, მაგალითად, სახელოდან — მოხელე); საერთოდ, ტერმინი „მოსამსახურე“ ნაკლებად გეხვდება ძეგლებში. ამის ნაცვლად გეხვდება მოსაქმე. გარდა დაბალი მოხელეებისა, ე.ი. ხელჯოხიანებისა და საერთოდ რაიმე საქმის აღმსრულებლებისა, ზოგჯერ ძეგლებში მოსაქმე ეწოდება აგრეთვე მმართველობის აღვილობრივი აპარატის მომუშავეს. უნდა აღინიშნოს ის, რომ რაიმე მტკიცე განსხვავებას მოსაქმესა, გამრიგესა და მოხელეს შორის ეერ ენახულობთ; ერთი კი უდავოა, რომ მოხელე საერთო სახელწოდებაა ყველასთვის; ძეგლებში მოხელე ზოგჯერ თითქოს კიდეც უპირისპირდება მოსაქმეს, მაგრამ საერთოდ კი, ეიმეორებთ, მოხელე ყველას ეწოდება, — ის ზოგადი ცნებაა.

ძეგლებში, სიგელებსა და გუჯრებში მეფეები მიმართავდნენ მოხელეებს თავიანი ბრძანების შესასრულებლად. ეს მიმართვანი სტერეოტიპული ხასიათისაა და, ჩვეულებრივად, სიგლის ბოლო ნაწილშია მოთავსებული. უმრავლეს შემთხვევაში მიმართვა იწყება „ვექილ-ვეზირებით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ვექილ-ვეზირი, საერთოდ, მოხელეების აღმნიშვნელია ტერმინია. მიმართვანი ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის: ვექილ-ვეზირების შემდეგ ან მოხელეების დასახელებული, ან მოსაქმე, ან გამრიგე და, ან კიდეე არავინ. მეფე აძლევს ვისმეს ბოძების სიგელს და უბრძანებს თავის მოხელეებს, რომ მის მიერ ბოძებულ მამულსა ან სახელოში არავინ შეეცილოს ბოძებულს, ან არავინ შეუძალოს მას ხელი თავისი უფლების განხორციელებაში.

მეფის მიმართვის ასეთი ფორმები გეხვდება:
1. ექვილ-ეუზირები და სასახლის სხვა მოსაქმენი;
2. ექვილ-ეუზირები, მდივნები და სასახლის სხვა მოსაქმენი;
3. ექვილ-ეუზირები და სასახლის სხვა გამრიგენი;
4. ექვილ-ეუზირები და სასახლის სხვა მოხელეები;
5. სასახლის ექვილ-ეუზირები და სხვა მოხელ-მოსაქმენი;
6. სასახლის ექვილ-ეუზირები;
7. სასახლის გამრიგენი;
8. სასახლის მოხელენი;
9. ექვილ-ეუზირები და სასახლის მდივან-მწიგნობრები;
10. ექვილ-ეუზირები და სხვა წარელენილნი მოსაქმენი;

როდესაც საჭირო იყო მეფის ბრძანების შესასრულებლად აღგილობრიეი მოხელეების დახმარება, მეფე მათ იხსენიებდა თავის მიმართვაში; გიბრძანებთ, — წერდა მეფე, — ექვილ-ეუზირებსა და ქალაქის მოურავს, მამასახლისსა და მელიქს, ან კიდევ ექვილ-ეუზირებსა და სურამის ციხის უფროსს და მოურავს, ან ფშაეის მოურავს და სხვა მოსაქმეებს, ან საბარათიანოს სარდალს.

„დასტურლამალი“ 4-ჯერ იხსენიებს თანამდებობას; ამ 43 შემთხვეეიდან 3-ჯერ ხმარობს მოსაქმეს, ერთხელ — ხელჯოხიანსა და 39-ჯერ — მოხელეს, ე.ი. ძეგლებში თანამდებობის პირის აღსანიშნაგად უმრაელეს შემთხვეევაში იხმარებოდა მოხელე, შემდეგ მოსაქმე და გამრიგე. გამრიგეს მესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სიტყვა განმარტება არის მოხელის, თანამდებობის პირის, რომელიც აკეთებს რაიმეს, არიგებს საქმეს; სიტყვა „გამრიგეს“ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არცა აქვს. რაც შეეხება მოსაქმეს, აქ კი ცოტა სხვანაირი მდგომარეობა გვაქვს: ზოგიერთ შემთხვეევაში იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მოხელე და მოსაქმე სულ სხვადასხვა ცნებაა. ასე, მაგალითად, ლეონ ერეკლეს ძის ერთ-ერთ სიგელში ეკითხულობთ, რომ არცერთ მოხელესა და მოსაქმეს არ შეუძლია ამ ბრძანების დარღეეა. აქ თითქოს მოხელე და მოსაქმე სხვადასხვაა. თუმცა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი დაპირისპირება გამონაკლისის სახით გეხვდება, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვანია: უნდა შეენიშნოთ, რომ მოსაქმე იგიეე მოხელეა, მაგრამ მას აქეს თავისებურებაც; მოსაქმე ისეთი მოხელეა, რომელიც რაიმე დავალებას ასრულებს — აღმინისტრაციულსა თუ ფინანსურს. მეფე იესე ასეთ რეზოლუციას აღებს საქმეს: მოსაქმემ ნახოს და, თუ ეიცი იქნება საჭირო, დააფიცოს. „დასტურლამალში“ კანონმდებელი წერს: „ჩუენი ბრძანება ასრე არს და ქუემო ქარხნის ნაზირის დაეთარი და ქარხანაში შემოსასელელი ჩეენის მოსაელისა, შემომტანის... წასელისა მოსაქმისა რიგი და წესი ასე გეიბრძანებია, მოსაქმემ ასრე ისაქმოს, სა იმ კეალად სალთხუცესსა და ჩეენის კარის გამრიგეთ, და ქარხნის ნაზირს ასრე ანგარიშს მისცემდნენ“; ამ პარაგრაფის სათაურია: „მეკოდის-პურთათეის“; მაშასადამე, მოსაქმედ დასახელებულია მეკოდისპურე, ე.ი. ეინც კოდისპურის გადასახადს კრეფს, ხოლო კარის „გამრიგე“ — სასახლის, ე.ი. ცენტრალური აპარატის მსხეილი მოხელეა, სახლთუხუცესი.

გარდა ამისა, „დასტურლამალი“ სხვაგანაც ეხება გადასახადის ამკრეფთ და მათ მოსაქმეთ უწოდებს: „მეკოდის-პურთა და სხუა ეს გუართა მოსაქმეთათუის“, ასეთია პარაგრაფის სათაური; მართლაც, პარაგრაფი ეხება სხეადასხეა გადასახადის ამკრეფთ.

ამრიგად, ძეგლებში გეხვდება: მოხელე, მოსაქმე, მოსამსახურე, მოქმედი და გამრიგე. „ყოეელნი ხელისუფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ იქცეოდნენ“, როცა „ჭამის მოხელემან და მოსამსახურემან თავის სამსახური გაათაოს... კარში გაეიდეს“, მოსაქმენი „სახლთუხუცესსა და ჩეენის კარის გამრიგეთ... ანგარიშს მისცემდნენ“.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოხელე საერთო სახელია. ზოგიერთ შემთხვეევაში, მართალია, კანონმდებელი მოსაქმეზე ან მოსამსახურეზე ლაპარაკობს, მაგრამ მათ მოხელესაც უწოდებს. მაგალითად, მეკოდისპურეს „დასტურლამალი“ მოსაქმეს უწოდებს, მის მოვალეობას — სამსახურს. მეკოდისპურე, ამბობს კანონმდებელი, „ჩეენს სამსახურს“ ნუ წაახდენს, თუ თავისი მოვალეობა კარგად არ შეასრულა, „მეკოდისპურემ იმ სახელოზედ ხელი აიღოს“; მაშასადამე, მეკოდისპურე მოსაქმეც, მოსამსახურეც და მოცელეც ე.ი. სახელოს მქონე არის; ასე რომ კანონმდებელი პრინციპულ განსხვავებას არ ხედავს სახელოსა და სამსახურს შორის, მოხელესა და მოსამსახურეს შორის, მოხელესა და მოსაქმეს შორის. საერთოდ, ყველა მათ მოხელე ეწოდება, თანამდებობას კი სახელო; მაგრამ აღმასრულებელი ხასიათის მოხელე ხშირად იწოდება მოსაქმედ ან მოსამსახურედ; აგრეთვე აღგილობრივი მოხელეც ზოგჯერ ასევე იწოდება; რაც შეეხება კარის მოხელეებს — სახლთუხუცესს, მდივანს და სხვათ, მათ კარის გამრიგე ეწოდებათ; მაშასადამე, ტერმინები: „გამრიგე“, „მოსაქმე“, „მოქმედი“, „მოსამსახურე“ ზოგჯერ მოხელის საქმიანობის ამა თუ იმ ხასიათზე მიუთითებს.

მსხეილ მოხელეს, „რომელსაც განკარგულებისა და ბრძანების გაცემა შეეძლო“, ხშირად ხელისუფალი ეწოდებოდა, ხოლო ხელქეითს, ბრანების „ამსრულებელს, მოხელეს“, საქმის მოქმედს უწოდებდნენ.

უნდა აღენიშნოს ის გარემოება, რომ ერთი და იგიეე პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მრავალი სახელობის პატრონი; ამასთანაეე, ხშირად მაღალი თანამდებობის პირიც ითაესებდა მცირე

თანამდებობას. ასე, მაგალითად, სახლთ უხუცესი აბაშიძე წერს, რომ ის იყო ამილახვარისა და დაეითაშვილის საქმეზე იასაულად. ვინმე ნიქოზელი წერს, რომ მეფემ მას იასაულად მისცა ამილახვარი. როგორც ვიცით, იასაულობა პატარა სახელო იყო თავისთავად, მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ზოგჯერ მსხვილი ფეოდალები და ისეთი დიდი მოხელეც კი, როგორიც იყო სახლთუხუცესი, არ თაკილობდა იასაულობას. იმის გამო, რომ მამული და სახელო ფეოდალებისათვის ექსპლოატაციის ძირითადი წყარო იყო, ისინი იბრძოდნენ შემოსაელიანი სახელოს მისაღებად. ამიტომ ხშირად ერთი და იგივე პირი ითავისებდა რამდენიმე სახლოს.

გარდა ამისა, ერთი და იმავე თანამდებობისთვის მეტი თუ ნაკლები სარგო და პატივი იყო განკუთვნილი იმის მიხედვით, თუ ვის ეჭირა ის: დიდ თავადს, მცირეს, აზნაურს თუ სხვას. თუ იასაულად „საპატიო კაცის შვილი იყოს“. მას „ღლიერის სასმელ-საჭმელისათვის“ ორი აბაში ეკუთვნის, შეძლებულ ვაჭარსა და აზნაურიშვილს – ერთი აბაში, ხოლო მსახურს – ორი მაური. თუ „საპატიო კაცის შვილი ყული იყოს“, ის მეჯლისზე დაიშვება, ხოლო არა საპატიო კაცის შვილი მეჯლისზე არ დაიშვება. „იქნება ასეთი ყულიც, რომ დიდს მეჯლისში არ დაიყენებოდეს“. რა თქმა უნდა, სახელოს გვარისაგან, წოდებრიობისაგან დამოკიდებულება აფერხებდა ბიუროკრატიული სამოხელეო აპარატის მექმნას, რაც ასე აუცილებელი იყო ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად.

იგივე გარემოება ხელს უმლიდა ნიჭიერი მოხელეების მერჩევას. მნიშნელოვანი სახელოები მსხვილი ფეოდალების გვარის ხელში იყო მოქცეული. ფეოდალები სახელოებს მემკვიდრეობით ჩემულობდნენ და სახელმწიფოებრივი ინტერესების მაღლა ვიწრო წოდებრივ ინტერესებს აყენებდნენ; როდესაც დაბალი წენების წარმომადგენლები გამოხატულის შემთხვევაში აღწევდნენ მაღალი თანამდებობის მიღებას, ამას გაბატონებული კლასის მაღალი წენა დაუფარავი აღშფოთებით ხედებოდა, XVIII საუკუნის დასასრულს გიორგი VII ერთ-ერთ სასულიერო პირის – დიონისეს შესახებ ამბობს, რომ, მიუხედავად დიონისეს პირადი ღირსებისა, მას არ შეუძლია მისი ნიქოზელად განწესება, რადგან დიონისე არ არის მსხვილი ფეოდალების წრიდანო.

XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიული ვითარების საერთო ფონზე ერეკლე II-ის ღონისძიებანი, მიმართული ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მსხვილი ფეოდალების ალაგმვისა და დაბალი წენებიდან მეფის ხელისუფლებისათვის ერთგული და ნიჭიერი მოხელეების დაწინაურებისაკენ, უფრო გამონაკლისს წარმოადგენდა; იგი არ გამომდინარეობდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებიდან. ეს ღონისძიებანი მამენებელი იყო ნიჭიერი და ენერგიული მეფის პროგრესული მისწრაფებისა, რომელიც განუხორციელებელი დარჩა.

მოხელე, როგორც ვთქვით, ფართო ცნება იყო, მოხელე ყველას ეწოდებოდა, ვინც კი რაიმეს აკეთებდა: ყავა და ჩაი მისმან მოხელეებმა მისს დროს მოიგანონო“, „გუთნის მოხ თაეისი ფუნქციები. მოსახლეობას უნდა ცოდნოდა, რომ მოხელის მოქმედება თვითნებობას კი არ ემყალელებოდა ეს ქნან: თუ ავად გაუხდეს ხარი... მამასახლისს“ შეატყობინონო, სწერია „დასტურლამალში“. გარდა ამისა „დასტურლამალი“ იძლევა განაწესს „საფარეშოს მოხელეთათუის“, საჯაბაღროს მოხელეთათუის“, „სახაბაზოს მოხელეთათუის“, „სამშაურულოს მოხელეთათუის“, „საღუნის მოხელეთათუის“, „სამარბათოს მოხელეთათუის“ და სხვა.

ჩაის მომტანი, ღვინის მომტანი, მშარეული, ტკბილის გამომცხობი, – ყველანი მოხელედ იწოდებიან. ამ შემთხვევაში მოხელე ხელობის მინაარსსაც იღებს და ამდენად ცილდება თანამდებობის პირის ცნებას. თეით ძეგლები სახელოსა და ხელობას არც განასხვაებენ ერთმანეთისაგან. „დასტურლამალში“ კანონმდებელი წერს: „დაგეყენებია ეშიკაღასბამათ არაგეის ერისთაეის შვილი ზურაბ, ამილახვრის შვილი რევაზ;ეს ორნი ამ ხელობაში იყუნენ“.

ხეჩაგურ ბებუროეი თავის განცხადებაში პ. ციციანოეისადმი წერს: „მე ეიყავი ჩემის ხელოენებით მსახური მეფის ირაკლისა და მეფის ირაკლისა და მეფის გიორგია და ეკაეთებდი იმათ საკადრისს იარაღებს, რომელსაც თითონ ხმარობდენ და ხანებსაც ფეშქაშებად უგზავნიდნენ, და მქონდა იმათგან ულუფა და ჯამაგირი განწესებული, რომელსაც ღრამაგა მეფის გიორგია არზისა ამისა თანა მომირთმეეია“; მართლაც, არზას ახლაეს გიორგი XII-ის წყალობის სიგელი (სიგელის რუსული თარგმანი).

ამ სიგელში ჩვენს ყურადღებას იქცევს სიტყვები: „служба“ და „должность“. ამ სიტყვების შესატყვის აღგილზე ქართულ ორიგინალში იქნებოდა: „служба“-ს ნაცვლად „სამსახური“, ხოლო „должность“-ის ნაცვლად, თუ ქართულ სიგელში ის საერთოდ ერთი სიტყვით იყო გამოთქმული, შეიძლება სიტყვა „სახელო“ ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ხელოსნის შრომის ძეგლი სამსახურს უწოდებს, და როგორც სამსახურა და სახელოს შეეფერება, კამაგირსაც ისე ურიგებს.

მოხელე, როგორც თანამდებობის პირი, არა მარტო მეფეს ჰყავდა, არამედ ფეოდალებსაც. ფეოდალებს ისეთიეე სამოხელეო მცატი ჰყავდა, როგორც მეფეს. 1701 წლის ერთ წყალობის სიგელში ანუკა ციციშეილი მოწმედ თაეის ეშიკარასბამს ასახელებს. ეშიკარასბაში ჰყავდა დედოფალს და ისიც ორი.

დედოფალსა და სხვა ფეოდალებს თაეიანთი სახლთუხუცესები ჰყავდათ. დედოფლი სახლთუხუცესს სასამართლო ფუნქციაც ჰქონდა მინიჭებული და მის სასარგებლოდ

გადასახადებიც იკრიფებოდა; როგორც დიდი თანამდებობის. პირს, მას თავისი კაცები ჰყავდა, რომლის შემწეობით ის დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა.

საბუთებში ჩვენ ვხედებით შემდეგი ფეოდალების სახლთუხუცესს: ერისთავისას, ამილახვრისას, მუხრანბატონისას, აბამშეილისას და სხვათა.

მოხელეთა ცალკე მგაგი ჰყავდა კათალიკოსს და ეკლესიის სხვა სვეურებს. მაგრამ საქმე მარგო სახლთუხუცესით და ეშიკაასბაშით როფი ამოიწურებოდა. თითქმის ყველა სახის მოხელე ჰყავდა დიდებულებსა და სხვა ფეოდალებს: მაგ., ბოქაულთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, მელეინეთუხუცესი, სამმარეულოს მოხელენი, მომარაგების მოხელე, პურის გამომცხობი, მდიანი, მწერალი, მურდარი, სახლთუხუცესი, იასაულები, ყაფიჩები, სხვადასხვა გადასახადის ამკრეფნი, მხატვრები; როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია თითქმის ყველა ის მოხელე, რომლებიც მეფეს ჰყავდა, გარდა მხატვრებისა, რომელთაც მეფის „დასტურლამალში“ არ ეხედებით. აღსანიშნავია ის, რომ ღედოფლის ეს მოხელეებიც იწოდებიან მოხელეებად და მოსაქმეებად. ასეთივე სახელწოდების მოხელეები ჰყავდა კათალიკოსს, ბატონიშვილებსა და სხვა ფეოდალებსაც. ასე რომ, მოხელე მარგო სამეფო როდი იყო. ეს გარემოება იქიდან გამომდინარეობდა, რომ თვით სამეფო არ იყო ცენტრალიზებული, ის დაქუცმაცებული იყო და თითოეული ფეოდალი დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა.

მაგრამ მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, ჰყავდა ისეთი მოხელეც, რომელიც არც ერთს ფეოდალს არ გააჩნია. ასეთი — მდიანბეგი იყო. მდიანბეგი მხოლოდ სამეფო მოხელეა; მართალია, ფეოდალებს თავიანთი ყმების მიმართ ამა თუ იმ მოცულობით სასამართლო ფუნქციაც ჰქონდათ, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე ამოღებული იყო ფეოდალების იურისდიქციიდან და ის მხოლოდ მეფის მდიანბეგს ექვემდებარებოდა. გარდა ამისა, მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეტაურს, ხელი მიუწვდებოდა სამეფოში მემამულე ყველა საფეოდალოზე ე.წ. სამეფო გადასახადების ხაზით, რისთვისაც მეფეს ჰყავდა მოხელეთა სპეციალური მგატი, რომელიც ფეოდალებს არ შეიძლებოდა რომ ჰყოლოდა; ამასთანავე, მეფეს, როგორც ყველაზე ძლიერ ფეოდალს, შედარებით დიდი და სრული მგატი ჰყავდა. ამის გამო, რომ მეფე საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, მისი მოხელეებიც თავისი დანიშნულების მიხედვით განსხვავებოდა სხვა ფეოდალების მოხელეებისაგან. სამეფო მოხელე სამართლის საჯარო ელემენტის მატარებელი იყო. ამის გამო, მხოლოდ სამეფო მოხელე ღებულობდა საკანონმდებლო ხასიათის განსაკუთრებულ დაცვას. გარდა ამისა, ამა თუ იმ სამეფო სახელოს შესახებ არსებობდა რეგლამენტი — განაწესი, რომელშიც დეგალურად იყო გამორკეული ამ სახელოს შინაარსი; მაგალითად, „დასტურლამალში“ გათვალისწინებულია სახელოების განაწესი: ზოგიერთი მოხელის კომპეტენცია დაწერილებით არის განსაზღვრული, ზოგიერთის — მოკლედ, ზოგი მოხელე კი მარგოდენ დასახელებულია; ის თანამდებობანი, რომელთა განაწესი საკანონმდებლო აქტით არ არის მოცემული, წესრიგდებოდა ადათობრივი სამართლით.

სამეფო მოხელე განსაკუთრებით დაცული იყო კანონით, ამაში ჩანს მოხელის საჯარო ხასიათი; იმ შემთხვევაში, როცა მოხელეს მოკლავდნენ ან დაჭერდნენ, მისი გვარისდა კვალად სრული სისხლის ფასის გარდა დამნაშავეს უნდა გადაეხადა მოკლულის ან დაჭერილის სისხლის ფასის ნახევარი, იმიგომ რომ დაზარალებული მოხელე იყო; მაგრამ თუ მოხელეს მოკლავდნენ ან დაჭრიდნენ თავისი მოვალეობის შესრულებისას, მაშინ სისხლის ფასი უნდა დიდებულიყო, გარდა ამისა, შეფეს შეეძლო დამნაშავისთეის სხვა სასჯელიც დაედო.

თუ მოხელეს მისის მოვალეობის შესრულების დროს წინააღმდეგობას გაუწევდნენ და მოკლავდნენ, მაშინ მოხელის სისხლის ფასი ერთნახევარს უდრიდა, ხოლო თუ მოხელე მოკლავდა წინააღმდეგობის გამწევს, მაშინ მოხელეს არაფერი გადახდებოდა. მამასადამე, მოხელე უფლებამოსილი იყო შეესრულებინა თავისი ფუნქციები. მოსახლეობას უნდა ცოდნოდა, რომ მოხელის მოქმედება თვითნებობას კი არ ემყარება, არამედ უზენაესი ხელისუფლების განკარგულებას, რომელმაც თავისი დამოკიდებულება მოხელისადმი კანონით ჩამოაყალიბა, და იცავს მას როგორც სახელმწიფოს მოსამსახურეს.

მოხელე ღებულობდა სარგოს, ჯამაგირს და ულუფას. მთავარი შემოსავალი მოხელისათვის მისის სარგო იყო; მოხელის ეს შემოსავალი პირდაპირ კაეშირში იყო იმ საქმიანობასთან, რომელსაც ის ეწეოდა; მაგალითად, სახლთუხუცესის კომპეტენციაში შედიოდა სამეფო შემოსავალ-გასავალი; ამიგომ სამეფოს შემოსავლის ცალკეული წყაროებიდან სახლთუხუცესს ეძლეოდა მეთერთმეტედის მეოთხედის ნახევარი. ამაეე პრინციპის მიხედვით ღებულოდნენ სარგოს მდიენები და სხვა მოხელეებიც; „დასტურლამალში“ კანონმდებელი ყოველთვის ცდილობს, რომ მოხელის შემოსავალი უკანასკნელის განსაგებელ ობიექტს დაუკავშიროს.

იმ შემთხვევაში, როცა მოხელის საგამგეო ობიექტიდან არ შეიძლებოდა მისი შემოსავლის დაკავშირება, მაშინ მოხელეს ეძლეოდა ჯამაგირის და ულუფა. „ქართლ-კახეთის სამეფოში მოხელეთა გასტუმრების შემდეგი წესი იყო: დარბაზის რიგის მაღალი რანგის ზოგ მოხელესა და საქეეყნოდ გამრიგე ყველა მოხელეს თანამდებობის მიხედვით სარგო ჰქონდა გარიგებული; დარბაზის რიგის სხვა მოხელეთ კი, სარგოს გარდა, ულუფა და ჯამაგირი ენიშნებოდათ. ზოგი ხელისუფალი კიდეც მხოლოდ ჯამაგირითა და ულუფით იყო დაკმაყოფილებული“. ჯამაგირს მოხელეები მეფის სალაროდან ღებულობდნენ, ხოლო ულუფას — სურსათ-სანოვაგის სახის მეფის

ქარხნიდან. რაც შეეხება მოხელის სარგოს, ის სამეფო შემოსაელის გარკვეულ ნაწილის აღებაში გამოიხატებოდა; თვითონ ეს შემოსაელი კი უმთავრესად სხვადასხვა სახის გადასახადებისაგან შედგებოდა, რაც მოსახლეობისაგან იკრიფებოდა. იქნებოდა ეს ჯამაგირის, ულუფა თუ სარგო, საბოლოოდ ყველა ამას გლეხები იხდიდნენ. სამოხელეო გადასახადი ექსპლოატირებულ მასებს მძიმე ტვირთად აწვა. მოხელის თითოეული საქმიანობისათვის, რომელიც დაკავშირებული იყო მოსახლეობის რაიმე მოთხოვნილების შესრულებასთან, დაინტერესებულ პირს გადასახდელი უნდა გადაეხადა. ეს გადასახდელი ნაწილდებოდა მოხელეებს შორის. გარდა ამისა, მოხელეები მოსახლეობისაგან ღებულობდნენ ძღვენსა და „ქრთამს“, ამასთან უნდა აღინიშნოს ის, რომ სარგო, ულუფა და ჯამაგირი მაინცდამაინც ზუსტად განსხვავებული ერთმანეთისაგან არ იყო; მაგალითად, სარგო ზოგჯერ მოხელის საერთო შესაკლს უდრიდა. ეახტანგ V თაეის ბოძების ერთ სიგელში მაჰმად ბამბანას მისამართით წერს: „... მეფის როსტომისაგან ჯამაგირი და გინა სხვა სარგო გქონია, ჩვენც უკლებლად გუიბოძებიაო“; მამასაღმე, ჯამაგირი ამ შემთხვევაში სარგოს ერთი სახეა.

სამოხელეო გადასახადი უმეტეს შემთხვევაში საკანონმდებლო გზით იყო მოწესრიგებული. ეს გარემოება მიუთითებს მეფის, როგორც საჯარო ხელისუფლების უფლება-მოსილებაზე.

მეფეებისთეის წყალობის ძირითადი საშუალება სწორედ სახელო და მამული იყო. ფული XVII-XVIII საუკუნეების ქართლის მეფის ხაზინაში მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა.

ფეოდალებს ჰქონდათ ესა თუ ის სახელო ისე, როგორც მამული. სახელო ფეოდალისათეის შემოსაელის ძირითადი წყაო იყო; რადგან სახელო შემოსაელის წყარო იყო ფეოდალისათეის, უკანასკნელი ცდილობდა ხელში ჩაეგდო რამდენიმე სახელო. ზრავალია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი და იგივე პირი რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელოს პატრონია.

სახელო, როგორც მმრომელი მასების ექსპლოატაციის ძირითადი საშუალება, გაღაიქცა საკუთრების ობიექტად, ყიდვა-გაყიდეის ისეთ ობიექტად, როგორიც იყო მიწა ან ყმა, 1712 წლის ერთი სიგელის მიხედეით გაყიდა „ერთი საკომლო მამული“ და ამასთანაეე გამყიდველს მყიდველისაგან „მოურაობაც — მიეცა“. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად გაერცელებული იყო სახელოს ყიდვა-გაყიდვა, — სიგელებში ამის შესახებ ცნობები ნაკლებად გეხედება, მაგრამმოყვანილი მაგალითი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ სახელოს უყურებდნენ როგორც საკუთრების ობიექტს, რომლის გასხვისება შესაძლებელი იყო. საფიქრებელია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი სახელო, როგორიც იყო სახთუხუცესი, არ შეიძლებოდა ასეთი ყიდვა-გაყიდეის ობიექტად გამხდარიყო. მაგრამ სახელო რომ კერძო საკუთრების ობიექტი იყო, ამას მისი მემკეიდრეობითი ხასიათიც ამტკიცებს.

გიორგი XII ერთ თაეის სიგელში წერდა, რომ თუმანიშეილებს მდიენობა პირეელი ბაგრატიონებიდან აქეს. გიორგი XI ერთ თაეის 1686 წლის სიგელში წერს, რომ ქვათახეის მოღრის თანამდებობა ყოველთეის სააკაძის გვარს ჰქონდა და ახლაც მეფე უწყალობებს ამ გვარს ქვათახეის მოძღერობას სამუდამოდ, მხოლოდ იმ პირობით, თუ სააკაძის ოჯახს ერთი თაეისი წევრი ეყოლება ბერი, რადგან მოძღერად შეუძლებელია ერისკაცის დანიშენაო. მართალი, ამ შემთხვევაში საეკლესიო სახელოზეა ლაპარაკი, მაგრამ სახელოს მემკეიდრეობის გადაცემის პრინციპი აქაც იგივეა.

ეახტანგ V თაეის 1676 წლის სიგელში უწყალობებს ეახტანგ ორბელიანს მდიენბეგობას, ხოლო ლევან მეფის 1704 წლის სიგელით იგივე თანამდებობა ნაწყალობებია ეახტანგის შეილისთეის, ერასტი ორბელიანისათეის; მეფე ერეკლე II წერს მთხოენელის მისამართით, რომ თაეისი ბიძის სახელო მთხოვეო და აძლევს ამ სახელოს, რადგან მემკეიდრეობით მას ეკუთენოდა. მეფეები სახელოს წყალობას იძლეოდნენ სმკეიდროდ და სამეილიშეილოდ; მამასაღმე, როგორც წესი, სახელო მემკეიდრეობით გადაღიოდა.

ზოგიერთი სახელო განსაკუთრებულ მომმაღებას მოითხოვდა, ამიტომ, თუ მოხელის მემკეიდრე არ იყო სათანადოდ მომმაღებული. ისე მამის სახელოს ვერ მიიღებდა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის მეორე ნახეარში მაინც მეფის ხელისუფლება ცდილობდა მოხელეების შერჩევას სახელოების მემკეიდრეობით გადაცემის წესის შეზღუდეის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იესე ოსესშვილის ცნობა, ის წერს: მღონბას ჩემს შემდეგ 1კი მისცემენ ჩემს შეილებს და მდიანბეგობას ვინ მისცემსო“. მაშასადამე, იესე ოსესშეილს ეშინია, რომ მისის შეილები მის სახელოს ვერ მიიღებენ. მდიანბეგობა განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელო იყო და ცენტრალური ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცეედა ამ თანამდებობაზე დანიშენის საკითხს.

მემკეიდრე სახელოს ვერ მიიღებდა, თუკი ის მცირეწლოვანი იყო. დავით-ბატონიშეილის თაეის წყალობის სიგელში იოსებ მელიქიშეილისადმი წერს: მამან შენმან რომ პაპის ჩვენისა და ჩვენნის ოჯახის სამსახურსა და ერთგულებასა შინა აღსასრული მიიღო, შენ პატარა დარჩომოდი და იმ ქამად შენ სხვებს „ეშოენოთო“. ყოველ შემთხვევაში, სახელოების მემკეიდრეობითი გადაცემის წესი იშვიათად ირღვეოდა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ სახელოების ყიდვა-გაყიდეა, მათი მემკეიდრეობა, რამდენად უარყოფითს გავლენას ახდენდა სახელმწიფოებრივ მმართეელობაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოხელეების იერარქიული დაქეემდებარების საკითხი ზუსგად არ იყო განსაზღერული. ხშირად ერთი პირი აერთიანებდა სხვადასხვა შინაარსის სახელოებს, მაგალითად, ცენტრალური

აპარატის მოხელე შეიძლებოდა რომელიმე სოფლის მოურაედ ყოფილიყო. სახლთუხუცესი ზმირად იყო სხვადასხვა სოფლის მოურავად, ამავე დროს ის იყო მსხვილი მემამულეც, როგორც მსხვილი მემამულე, მისი ინტერესები ეწინააღმდეგებოდა მმართველობის ცენტრალიზაციას. ასეთი წინააღმდეგობა ხშირი იყო.

ცენტრალური ხელისუფლების სისტემის, დაკნინების მაჩვენებელი იყო ის გარემოება, რომ მოხელის უფლებამოსილება, როგორც ვთქვით, ერთნაირად არ ვრცელდებოდა მთელ სამეფოზე.

მოხელეები დარგების მიხედვით ძეულებში არ არიან დანაწილებული, არსებობდა ცალკეული თანამდებობის კომპეტენცია, მაგრამ არ იყო დაწესებულების განაწესი; არსებობდა მოხელეთა იერარქია, მაგრამ ეს დაწესებულების მიხედვით არ იყო განლაგებული. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მმართველობის ცენტრალური აპარატი დარგებად იყო დაყოფილი: მმართველობის ერთი რომელიმე დარგის სათავეში ცებრი იდგა. გეიანფეოდალურ საქართველოში ეს ასე არ იყო. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე მეორემ დაიწყო მმართველობის სარგებად დაყოფა. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფოში „სახელმწიფოს მმართველობა სხვადასხვა ცენტრალიზებულ დარგებად იქნა დაყოფილი: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსაელისა და სამხედრო საქმეებისა“.

ერეკლე II-ის ეს რეფორმა – სახელმწიფოებრივი მმართველობის დარგებად დაყოფისა, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული, ძირითადად კი ისევ ძველი მდგომარეობა დარჩა.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ ის მდგომარეობა, როცა მმართველობა დარგებად არ იყო დაყოფილი? რა თქმა უნდა, ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს სხვადასხვა მოხელის უფლებები ერთმანეთში არეული იყო და საერთოდ მმართველობაში გაურკვეველობა და არეულობა სუფევდა. მეფის სამოხელეო აპარატი, პირველ ყოვლისა, სამეფო მეურნეობის მომსახურების შესაბამისად იყო აგებული. მსხვილ ფეოდალებსაც ჰყავდა ამავე პრინციპზე აგებული სამოხელეო მგატი, მაგრამ მეფეს, როგორც ყველაზე უფრო ძლიერ ფეოდალს, მოხელეთა ყველაზე დიდი მგატი ჰყავდა. ამ შემთხვევაში ცალკეულ ფეოდალებს მეფესთან კონკურენცია არ შეეძლოთ, რადგან მას უფრო ფართო ეკონომიური გასაქანი ჰქონდა: დიდ მამულს დიდი მემოსავალი ჰქონდა: ეს მამული დიდ მომსახურებას მოითხოვდა, მაგრამ მრავალრიცხოვან მოხელეთა მგატის შენახვაც შეეძლო. ეს განსხვავება რაოდენობითი ხასიათისა არის. გარდა ამისა, მეფეს განსხვავებული პრეტენზია ჰქონდა სხვა ფეოდალებთან მედარებით. ამ პრეტენზიის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობდა, რომ მეფე ყველა ფეოდალისგან მორჩილებას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში მეფე ცდილობდა საკუთარი მამულის ფარგლებს და თავის უფლებებს მთელი სამეფოს მიმართ ახორციელებდა; ამდენადვე მეფე საჯარო ხელისუფლების მატარებელი იყო; აგრეთვე მისი სამოხელეო მგატიც, რომელიც ემსახურებოდა მეფეს, როგორც ფეოდალს და მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, არა მარტო რიცხობრივად განსხვავდებოდა, ცალკეული ფეოდალების სამოხელეო მგატისაგან, არამედ თვისობრივადაც: მეფის სამოხელეო მგატი საჯარო-უფლებრივი ხასიათის ფუნქციებს ასრულებდა, მაშინ როდესაც ასეთი ხასიათის ფუნქციები არცერთი ფეოდალის სამოხელეო მგატს არ შეიძლებოდა ჰქონოდა. მეფის სამოხელეო მგატი შეგუებული იყო იმ მდგომარეობასთან, რომ მეფე ფეოდალიც არის და საჯარო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელიც. სამეფოს მოხელეები არ არიან დაყოფილი იმის მიხედვით, თუ როგორ სამსახურს ეწევიან ისინი მეფის მიმართ (როგორც ფეოდალისას თუ როგორც სახელმწიფო მეთაურისას).

სამეფოს ყველა მოხელე ამ თუ იმ მოცულობით საჯარო-უფლებრივი ფუნქციების მატარებელია; ზოგიერთ სახელში უფრო ჭარბობს საჯარო ხასიათის ფუნქციები, სხვებში – ასეთი ფუნქციები ნაკლებად არის მოცემული.

სახელო, როგორც ვთქვით, მემკვიდრეობით გადადიოდა და საკუთრების ერთგვარ ობიექტს წარმოადგენდა. მოხელე თავის სახელის, პირველ ყოვლისა უყურებდა როგორც შემოსაელის წყაროს; აქედან გამომდინარეობდა ის საინტერესო ფაქტი, რომ ხშირად მოხელე თავის მოვალეობას პირადად კი არ ასრულებდა, არამედ თავისი „კაცების“ სამუალებით. ძეგლებში ჩვენ ვხვდებით სახლთუხუცესის, მდივნების და სხვა მოხელეების „კაცებს“. ისინი არ არიან სამეფოს მოხელენი, მაგრამ თავიანთი პატრონის დავალებით მის ამა თუ იმ დავალებას ასრულებენ.

§ 5. სასამართლო ორგანიზაცია

სასამართლო ფუნქცია მმართველობის ძირითად ფუნქციად ითვლებოდა ფეოდალურ სახელმწიფოებში. ამ მხრივ დამახასიათებელია ის, რომ ძველ ქართულში მოსამართლეობა ან მსაჯულება გამგებლობასა და მართვას ნიშნავდა. რა თქმა უნდა. ეს არაეითარ შემთხვევაში არ არის ფეოდალური სასამართლოს მუშაობის ხარისხის მაჩვენებელი, ეს მხოლოდ ფეოდალურ სახელმწიფოს სპეციფიკის მაჩვენებელია. საქმე ისაა, რომ ფეოდალურ სასასახლო მამულის მმართველობაში სასამართლო დარგი ყველაზე უწინ გამოეყო მმართველობის საერთო სისტემას, როგორც ისეთი დარგი, რომელიც ვეღარ თავსდებოდა სასასახლო მამულის მმართველობის

ეიწრო ფარგლებში და ფართო სახელმწიფოებრივ ხასიათს ღებულობდა. საერთოდ, ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალი თავის საჯარო-უფლებრივ ფუნქციებს სწორედ სასამართლო საქმიანობაში გამოაელენდა. აღგილობრივ ფეოდალებთან ცენტრლური ხელისუფლების ბრძოლაში სასამართლო ფუნქციას მნიშვნელოვანი აღგილი ეჭირა. სასამართლო ხელისუფლება მჭიდროდ დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, ამიგომ ფეოდალები თავგამოდებით იბრძოდნენ სასამართლოს ფუნქციების შენარჩუნებისათვის. რამდენადაც მეფე იბრძოდა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, იმდენად ფეოდალებს უზღუდავდა სასამართლო ფუნქციას. ყმა-ვლეხებისათვის ბაგონი იყო ერთადერთი მოსამართლე, მხოლოდ ბაგონის შეზღუდვა აქ იმაში გამოიხატებოდა, რომ ფეოდალური სახელმწიფოს კანონების მიხედით ბაგონს არ შეეძლო თავისი ყმის მოკვლა. თუმცა ფაქტიურად არც ამ მხრივ იყო იგი შეზღუდული.

პირველ ყოვლისა, სასამართლო, უმუალოდ ბაგონის იქნებოდა ის თუ მის უკან მდგომი სახელმწიფოსი, ექსპლოაგირებული მასების დათრგუნვის საშუალება იყო, რადგან სასამართლო ორგანიზაცია მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. გარდა ამისა, სასამართლო ფეოდალებისათვის მეგად მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროც იყო.

თუ ფეოდალური სასამართლო გაბატონებული კლასის ხელში ექსპლოატირებული მასების პირდაპირი გასწორების საშუალება იყო, ფეოდალური კლასისათვის ფეოდალური სახელმწიფოს სასამართლო აპარატის დანიშნულება ძირითადად კლასობრივი დისციპლინის დაცვაში მდგომარეობდა და აქედან გამომდინარე, მისი ამოცანა შუამავლებისათვის სახელმწიფო სასამართლოს განაჩენსა თუ გადაწყვეტილებას არც კი ქონდა იძულებითი ძალა. მას უფრო რჩევის ხასიათი ჰქონდა, ეიღრე ბრძანებისა.

აღნიშნულის დასამგიცებლად მეგად საინტერესო საბუთები არსებობს. მაგალითად, ფეოდალებს ციციშვილსა და ჯაჯახიშვილს დავა ჰქონდათ მამულების შესახებ. ორიეე მხსვილი ფეოდალია. ამ საქმის გარჩევისათვის ვახტანგ VI-ს თეითონ მოუკიღია ხელი, როცა ის ბიძის მაგიერ განაგებდა ქართლს. ვახტანგი წერს: „ჩვენ საქართველოს ჯანიშინმან ბაგონიშვილმან, პაგრონმან ვახტანგ, და ძმამან ჩვენმან, ბაგონმან სვიმონ და თეიმურაც ეერთ ვიახელით მუხრანის ბაგონი ერეკლე, არაგვის ერისგაცი გიორგი, სარდალი ლუარსაბი, ამილახორი ავთანდილი და სხვანი ებისკოპოზ დარბაისელნი და მდივნები“ და გავარჩიეთ ციციშვილისა და ჯაჯახიშვილის სადაო საქმეო. მხარეების დაკითხვის შემდეგ სასამართლოს დაუკითხავს, როგორც მოწმე, მთავარეპისკოპოსი, რომლის მოწმობა დამაჯერებლი აღმოჩენილა სასამართლოსათვის. ამის მიხედით სასამართლო მისულა იმ დასკვნამდე, რომ ერთი მხარე მართალია. მიუხედავად სასამართლოს ასეთი რწმენისა, მას გადაწყვეტილება მაინც ეერ გამოუტანია? მართალია, საკითხი გამორკეეულია, ერთი მხარე მართალია, „მაგრამ უფიცრად ამათი ჩხუბის გაძლიერებას ეხედაღით და არამც ერთი ურიგო რამე მოეხდინათ და არ სჯობდა, ფიცი უფრო გულის დასაჯერებელი იყო“, – წერია განჩინების წიგნში.

სასამართლოს საკითხი გამორკეეულად მიაჩნია, მაგრამ მაინც ფიცს მიმართავს და პირდაპირი გადაწყვეტილება არ გამოაქვს, რადგან მან იცის, რომ წინააღმდეგ შემთხვეევაში მის გადაწყვეტილებას ძალა არ ექნება. მოცემულ შემთხვეევაში ჩვენ ვხედაეთ სასამართლოს განსაკუთრებულ შემადგენლობას: სასამართლოს შემადგენლობაში შედიან ქართლის სამეფოს უმსხვილესი ფეოდალები და უდიდესი მოხელეები როგორც საერო, ისე საეკლესიო ხაზით. ამათზე უფრო წარჩინებული პირები სამეფოში აღარ იყვენენ. ეს იყო მაშინდელი ქართლის სამეფოს დარბაზის შემადგენლობა. ასეთი შემადგენლობით დარბაზმა დაამტკიცა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი. მიუხედავად სასამართლოს ასეთი განსაკუთრებული შემადგენლობისა, მას მაინც არ აღმოაჩნდა სათანადო ძალა, რომ გამოეგანა საეალდებულო გადაწყვეტილება ფეოდალებისათვის. საერთოდ, ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია სუსტი ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

როგორც დავინახეთ, მეფის ხელისუფლების სისუსტის გამო მეფის სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება არ არის მტკიცე, მას რჩევის ხასიათი აქვს. ასე, მაგალითად: იოანე ბაგონიშვილი არჩევს ერთ საქმეს ქალის მოგაცების შესახებ და ბოლოს წერს: „ჩვენი განჩინება ეს არის და თითონ თუ კარგად მორიგდებიან ნება აქვსთო“.

გვიანფეოდალურ პერიოდში მოსამართლე მდივანბეგად იწოდებოდა. სასამართლო კოლეგიალური იყო, სასამართლო შემადგენლობაში შედიოდა 3, 4, 5 და კიდეე მეტი წევრი.

მსხვილი საქმეების გარჩევის დროს მეფე იწვევდა დარბაზს, ასეთ მსხვილ საქმეებად ითვლებოდა მეკელობა, მსხვილის ფეოდალების გაყრის სქმე და სხვა.

ზოგჯერ მეფე ბაგონიშვილს ან რომელიმე მასთან დაახლოებულ მსხვილ ფეოდალს მიანდობდა საქმის გარჩევას; ჩვეულებრივი სასამართლო ორგანო კი მდივანბეგის სასამართლო იყო. სასამართლოს ფუნქციები ჰქონდათ აგრეთვე მოურავებს. გარდა ამისა, ხშირად იმუნიტეტი ჰქონდათ ფეოდალებს, განსაკუთრებით კი ეკლესია-მონასტრებს, და ასეთ შემეხვევაში სასამართლო ფუნქციები თავიანთ მამულებში მხოლოდ მათ ხელში იყო. ძალიან მცირე რაოდენობის სისხლის სამართლის საქმეების იყო ამოღებული აღგილობრივი სასამართლოს კომპეტენციისაგან, უმრავლესი საქმე აღგილზე მემამულეებს ექვემდებარებოდა.

მოურავის გარდა აღგილზე ე.წ. ხევისთავი იყო, რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდა. მთელი რიგი საქმეები ეკლესიის განსახუთრებულ კომპეტენციაში შედიოდა.

ჩვენი მიზანია სასამართლო ორგანოების ცალ-ცალკე განხილვა. სანამ ამ განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: სასამართლოს ორგანოები იერარქიულად ერთმანეთთან როდი იყვნენ დაკავშირებულნი. მაგალითად, მდივანბეგსა და ხევისთავს ორიეულ სასამართლო ფუნქციები ჰქონდათ, მაგრამ ამ სახელებს ერთმანეთთან არ ჰქონდათ უწყებრივი ხასიათის კავშირი ან უფროს-უმცროსობა. ორიეულ უფროსი მეფე იყო, მეფე არკვევდა მათ კომპეტენციას და განსაზღვრულ კომპეტენციის ფარგლებში ისინი მხოლოდ მეფის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი.

1. მეფე როგორც მოსამართლე. მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, სასამართლო პრეროგატივა ჰქონდა, – სამეფოში ის იყო უმაღლესი. სასამართლო ფუნქცია სამეფოს მეფის სახელით ხორციელდებოდა. მეფე მასთან შეტანილ განცხადებას, საჩივარს რომელიმე საქმის შესახებ ან თვითონ არჩევდა, ან გადაუგზავნიდა სასამართლოს, ან კიდევ სპეციალურად დაავალებდა ვინმეს მის გარჩევას.

ერეკლე მეორემ 1748 წელს სასამართლოს რეორგანიზაცია მოახდინა და მდივანბეგების სასამართლო უწყება ჩამოაყალიბა, სადაც უნდა შესულიყო განცხადებანი საქმის შესახებ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მთელ რიგ საქმეს მეფე პირადადაც არჩევდა, სასამართლოს უფლებია მეფეს ეკუთვნოდა როგორც სახელმწიფოს მეთაურს; მამასადამე, აქ ქვემდებარეობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო განსაზღვრული. მეფე გაარჩევდა ყოველგვარ საქმეს, რომელსაც კი მოისურვებდა. ძველებში არსად არ არის აღნიშნული ან განსაზღვრული საქმეების გადაგანის ანუ გასაჩივრების წესი. ამ შემთხვევაშიც უფლება განსაზღვრელი იყო; ის ხელმეორედ გაარჩევდა უკვე გარჩეულ საქმეს, ჩაერეოდა პროცესში იმ დროს, როდესაც საჭიროდ ცნობდა.

ინსტანციები საერთოდ არ არსებობდა. ასე რომ, საქმეს, როგორც წესი, საბოლოოდ არჩევდა სასამართლო, მაგრამ, როგორც გამონაკლისი, მეფესთან შეიძლებოდა უსამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების გასაჩივრება. პრონციაში არ შეიძლებოდა, რომ უსამართლო განაჩენი ძალაში დარჩენილიყო. განაჩენსა თუ გადაწყვეტილებას მეფე ამტკიცებდა. მცირემნიშვნელოვან საქმეებზე, რომელთაც არჩევდნენ აღგილზე, ასეთი დამტკიცება საჭირო არ იყო. მეფესთან შეიძლებოდა ყოველგვარი საქმის გასაჩივრება. ერთი საბუთის მიხედვით სასამართლოს გადაწვეტილებით უკმაყოფილო მხარე მიმართავს ბაგონიშვილის საჩივრით. ბაგონიშვილი მოსამართლეებს უბრძანებს გაარჩიონ საქმე ხელმეორედ, თუ რაიმეს შეცვლაა საჭირო – შესცვალონ, თუ არა – გადაწყვეტილება დასტოვონ ძალაში.

ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი ითვალისწინებს, რომ თუ მეფის მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილება არ აღმოჩნდება სამართლიანი, ასეთი გადაწყვეტილების გამომტანს და მეფესთან დასამტკიცებლად მიმტანს მეფემ „უწყინოს და გარდაახდეინოს“. იგივე კანონმდებელი მოსამართლეს აუანძრს, რომ სამართლის წიგნი ჰქონდეს პროცესის დროს და მის შუხლებზე მიუთითოს განაჩენსა და გადაწყვეტილებაში, რომ შემდგომ, საჩივრის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს განაჩენისა თუ გადაწყვეტილების შემოწმება. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიგანოთ, რომ კანონმდებელის საქმის გასაჩივრება შესაძლებლად მიაჩნია. მართაც, ჩვენ ვხედებით მეფის გადაწყვეტილებას, რომელშიაც აღნიმნულია, რომ მდივანბეგის გარჩეული საქმე მან ხელმეორედ გაარჩია და „მდივანბეგის მიცემული განაჩენი... ბათილად“ გამოაცხადა.

დავით ბაგონიშვილის ცნობით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფო საბჭოში, როგორც წესი, შესაძლებელი იყო განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გასაჩივრება. დავითის ამ ცნობაში საინტერესო ის არის, რომ ქართული სამართლის მიხედვით დამნაშავენი იყო საქმის გასაჩივრება, მაგრამ მოყვანილი ცნობა შემოწმებას საჭიროებს და სხვა წყაროებითაც, რაღგან გასაჩივრების ეს სისტემა დავით რუსეთის სინამდვილიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

ბაგონიშვილი ვახტანგი დარჯან დედოფლის ბრძანებით ხელმეორედ არჩევს საქმეს, მაგრამ წინანდელ გადაწყვეტილებას უცელელად ტოვებს, რადგან „მოსამლელი და დასარღვევი არ იყო რაო“, – წერს ვახტანგი.

მეფე კეირამი ორჯერ იჯდა სამდივნო სახლში, ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, ვახტანგ VI, რომელმაც „განაჩინა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათს და პარასკევს დაჯდა სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა“. ეს იმას ნიშნავს, რომ მას სპეციალური დღეები ჰქონია გამოყოფილი სასამართლო საქმიანობისთვის: ირ არჩევდა ახალ საქმეებს, იხილავდა საჩივრებს ძველ საქმეებზე და სხვა.

როგორც ვთქვით ზოგიერთი საქმე მხოლოდ მეფეს ექვემდებარებოდა, ასეთი საქმის გარჩევა, მეფის გარდა, სხვას არავის არ შეეძლო, კანონმდებელი წერს: სიგელის წრთმეევის შესახებ საქმეს მხოლოდ მეფე გაარჩევს და სხვას არავის არ მიუწვდება მასზე მასზე ხელიო. „სიგელის წართმეევისათვის ვინ ვის მოაერიოს. სიგელები წაართვას ან დაუხიოს, ან დაწვას, ხელმწიფის მეგს ამისი სამართალი არ შეუძლიან“. 1785 წლის ერთი საბუთის მიხედვით ნიქობელი უჩიევის ფაველენიშვილს, სხვათა შორის, მამულების შესახებ საბუთების წართმეუასაც. მეფე უბრძანებს მოხელეს: მხარეები „აქ კარზე სამართალში უნდა მოიყვანო და, რაც დავით ნიქობელის დანარჩომი წიგნების ფაველენიშვილებს წაეღოს, ეგ უკლებლივ აქ ჩამოიტანე“. „კარის სამართალი“, საერთოდ, მეფის სასამართლოს ნიშნავდა, მამასადამე, მდივანბეგის სასამართლოც

კარის სასამართლო იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მეფის მონაწილეობით საქმის გარჩევა უნდა იგულისხმებოდეს, რადგან საბუთების მოტაცების საკითხიც არის გამოსარკვევი.

როგორც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ციტირებული მუხლიდან ჩანს, სიგელის წართმევას კანონმდებელი მეტად მნიშვნელოვან საქმედ თვლის. მართალია, სხვა საქმეების მიმართ კანონმდებელი არ აღნიშნავს განსაკუთრებულ ქვემდებარეობას, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ, გარდა სიგელის წართმევისა, სხვა მეტად მნიშნელოვანი საქმეებიც იყო, რომელთა ქვემდებარეობა მეფის და კათალიკოსის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა ყოფილიყო. ასეთი იყო: მეფის ორგულობა და ღალატი, მეფის სალაროს გატეხა, ტახტის დამტერევა, საყდრის „გატეხა“ და მსგავსი საქმეები. „საყდრის გატეხისა, ჯვარისა და ხატის დამტერევისა, ხელმწიფის სალაროს გატეხისა ჩვენ არა გეითქვამს რა, როგორც ხელმწიფესა და კათალიკოზს ეპრიანებოდეთ, ისრე გადაახდევინონ“. აგრეთვე „„აცი, რომ ცოლს სტანჯავდეს, უპატიურად ეპყრობოდეს, ურიგოს უშერებოდეს“, ასეთი საქმეც მეფესა და კათალიკოსს ექვემდებარება. მაშასადამე, კანონმდებელი სპეციალურად ჩერდება ზოგიერთ ისეთ საქმეზე, რომლებიც თავისი ხასიათით ან მეფის, ან კათალიკოსის კომპეტენციაში შედიოდა. მაგალითად, სიგელის წართმევა მხოლოდ მეფის კომპეტენციაში შედიოდა, სალაროსა და ეკლესიის გაძარცვა მეფისა და კათალიკოსის კომპეტენციაში და ა.შ.

ეს ჩამოთვლა ამომწურავი არ არის და, უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევ იყო ისეთი საქმეები, რომლებიც მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედიოდა. დოც. ვ. გაბაშვილისა და გ. თარხნიშვილის აზრით, მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედიოდა „დიდებულთ შორის დავა“; ავტორები მიუთითებდნენ ვახტანგის სიმართლის წიგნის 24-ე მუხლზე. 24-ე მუხლში „დიდებულთა შორის დავა“ არ არის მოხსენიებული: „ერთი ესეც უწყოდეს, მოსამართლემ, რომე რა დიდი საქმე და დიდროანს კაცის სიკუდილი და რაგინდა რა სისხლი მოხდეს“, ასეთი საქმე მეფემ და კათალიკოსმა „ეპისკოპოს-დარბაისელთ შემოყრით და დახდომით“ გაარჩიოსო, – წერს კანონმდებელი 24-ე მუხლში. მაშასადამე, ასეთი საქმე დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა და არა მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციაში.

საერთოდ არ არის ზუსტად განსაზღვრული თუ რა შეადგენდა მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციას სასამართლოს დარგში. როგორც სახელმწიფოს მეთაურს, მას ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ საქმეზე – დიდი იქნებოდა ის თუ პატარა, ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელს მხოლოდ ერთ საქმეზე – სიგელის წართმევის საქმეზე აქვს გადაჭრით განცხადებული რომ ეს საქმე მხოლოდ მეფემ უნდა გაარჩიოსო, რადგან მეფემ უნდა აღადგინოს წართმეული და განადგურებული საბუთებიო. რაც შეეხება ისეთ საქმეებს, როგორიცაა სალაროსა და საყდრის გატეხა, ცოლის გატანჯვა და სხვა, ამ საქმეების მიმართ კანონმდებელი სანქციას მეფესა და კათალიკოსს ანდობს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი საქმეები მეფის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო და, ალბათ, მათ თეითონ მეფე არჩევდა.

მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე მეფის ღალატი ომის დროს: „თუ ხელმწიფეს ლაშქრიდამ კაცი წაუეიდეს და მტერს მიუვიდეს“, აქაც სასჯელი მხოლოდ მეფეს აქვს მინდობილი.

ყველა ზემოაღნიშნული საქმის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ისინი მხოლოდ მეფის იურისდიქციაში შედიოდნენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასეთი საქმეები უეჭველად მეფეს უნდა გაერჩია. სასამართლო პრაქტიკიდან ჩვენ ვიცით, რომ ისეთ მძიმე საქმეებს, როგორიც მეფის ორგულობა იყო, ზოგჯერ არჩევდა არა მეფე, არამედ დარბაში მეფის დაუსწრებლად, ან კიდევ მდივანბეგი. ასე მაგალითად, მეფე ერეკლე მეორემ დარბაზს მიანდო მის წინააღმდეგ მოწყობილი მეთქმულების მონაწილეთა საქმის გარჩევა (პაატა ბატონიშვილისა და სხვების გასამართლება), მაგრამ ამ საქმეზე გამოძიებას თეითონ მეფე აწარმოებდა. ა. ამილახვრის გადმოცემით, რომელიც მეფის წინააღმდეგ მეთქმულებაში მეწამებული იყო. ის პირადად მეფე ერეკლემ დაკითხა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების დროს ბრალდებულთა პირისპირ დაყენების წესიც ყოფილა. როდესაც ა. ამილახვარმა არ სცნო თავი დამნაშავედ, მან მოითხოვა ბრალდებული პაატა ბატონიშვილი პირისპირ დაეყენებინათ. მეფის განკარგულებით ბრალდებული ამილახვარი მოხელეებმა წაიყვანეს პატიმარ პაატა ბატონიშვილთან და ერთად დაკითხეს ისინი.

ერეკლე მეორემ, როდესაც იესე ოსესშვილს ორგულობა დასწამა, მისი საქმის გარჩევა მდივანბეგების სასამართლოს უბრძანა.

სრულიად გარკვეით ერთი შეიძლება ითქვას: „დიდ საქმეს“ არჩევდა მეფე და მისი დარბაზი, ყოველ შემთხვევაში მეფის შეუკითხავად მდივანბეგი დიდ საქმეებს ვერ გაარჩევდა. მეფე მდივანბეგს პირდაპირ ავალებდა: „...რომელიც დიდი სისხლი და გასასამართლებელი იყოს, ჩვენც შეგვატყობინებდეთ და ისრე გარდაწყვეტდეთ“.

სამდივნო სახლის სახით არსებობდა სპეციალური სასამართლო დაწესებულება, სადაც მეფე განსაზღვრული დღეების განმავლობაში იჯდა, მაგრამ გარდა ამისა, მეფე „სადაც ბრძანდებოდეს, ქალაქს თუ გორს, ელში თუ სხეა ადგილას“, იქაც არჩევს ის საქმეს. იესე ოსესშვილი წერს: „იელისს 16 ბატონი მობრძანდა კოდაზე, ეამლოვანელნი და კუმელნი სამზღვარზე ცილობდენ, ნახა, გაარიგა“. აღგილზე წასვლისას მეფე ხშირად მდივანბეგსაც თან იახლებდა სასამართლო საქმეების გასარჩევად.

მოგზაურობისას მნიშვნელოვან საქმეებს მეუე თაეის ამალის წევრების მონაწილეობით არჩევდა ხოლმე. მეუე თეიმურაზ I თაეის გადაწყვეტილებაში წერს, რომ მან თაეისი ამალით დაათვალიერა მონასტერი, ნახა მრავალი საინტერესო რამ და შემდეგ ამალის წევრებთან ერთად გაარჩია სასამართლო საქმე. საინტერესოა, რომ მეუეს ახლდნენ „სტუმრები“, იმერეთის თაეადაზნაურები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქმის გარჩევაში.

დაინტერესებული პირის თხოვნით, მეუე თეითონ ესწრებოდა საქმის გარჩევას, თუ ამას საჭიროდ ცნობდა. ასე, მაგალითად, 1772 წლის ერთი სიგელის მიხედვით გოსტაბაძეული ერასტი წერს მეუე ერეკლე II-ის მისამართით, რომ ის ედავება მამულს ყაფლანაშვილს და თხოვს, რომ საქმეს მაინცდამაინც მეუემ გაარჩიოს. რადგან მისი მოპირდაპირე და მდივანბეგი ორიეე ყაფლანიშვილია და მიკერძოებას ექნება ადგილიო. „ჩემს სამართალს თქუენგან ვითხოვ, თორემ მე სამართალი არ დამემართება, და ნება თქუენია, ერთი ყაფლანიშვილი მოდაეეთ მყავს და მეორე მდივანბეგად გიბის, და აბა რა გავაწყო“. მეუე ამ განცხადებას ასეთ რეზოლუციას აღებს: „ბაზავ ყორაიასულ-ბაძო! მერე ზაალ ყაფლანიშვილი და ეს ერასტი უზბაში ჩვენს სამართალში ალაპარაკე, მდივანბეგებსაც ჩვენთან დავისწრებთ და მის სამართალს ჩვენ განვსჯით“. მამასაღამე, მეუეს დაუკმაყოფილებია ერასტი გოსტაბაშეილი და საქმეს თეითონ არჩევს მდივანბეგებთან ერთად. ხშირად მეუეები თაეიანთ შვილებს, ბატონიშვილებს, ანდობენ საქმეების გარჩევას. ბატონიშვილი იულონი „ბატონის მამის მეფის ირაკლის ბრძანებით“, არჩევს საქმეს. იმაეე საქმეს ბატონიშვილი ვახტანგი არჩევს დედოფლის ბრძანებით. 1782 წლის განაჩენით ბატონიშვილი ვახტანგი მსაჯულებთან ერთად არჩევს სოფლელების დაეას (ორი სოფელი ერთმანეთს სარწეაეი წყლისთვის ედაეება. როცა „სოფლები ერთმანეთს უჩიოდეს, იმისი სამართალი ბატონის მოსაქმეჰ ჰქმნას“, — წერს კანონმდებელი „დასტურლამალში“). ბატონიშვილი ვახტანგი ამ შემთხვევაში მეფის „მოსაქმეა“. ბატონიშვილი იულონი არჩევს მამულების შესახებ ბერძენიშვილების საჩიეარს. 1783 წლის სიგელით ბატონიშვილი გიორგი მოსამართლეებს უბრძანებს სისხლის სამართლის საქმის გარჩევას, თეითონ კი განაჩენს ამტკიცებს. ყველა ამ შემთხვევაში ბატონიშვილები (დედოფალიც), როგორც სამეფო ოჯახის წევრები, მეფის სახელით მოქმედებენ.

2 დარბაზი როგორც სასამართლო ორგანო. დარბაზს ჰქონდა სასამართლო ფუნქციაც. განსაკუთრებულ მძიმე საქმეებს მეუე არჩევდა დარბაზთან ერთად. დარბაზი მსხვილი მოხელეებისა და ფეოდალებისაგან შედგებოდა. რადგან დარბაზის შემადგენლობა არ იყო მკაცრად განსაზღერული, ამდენად მისი ამა თუ იმ შემადგენლობით მოწეევა მეფისგან იყო დამოკიდებული, თუმცა მეუე უეჭველად ანგარიშს უწევდა მოსაწეეის სახელოსა და მამულის რაოდენობას. საფიქრებელია, რომ, როცა მეუე სასამართლო საქმის გასარჩევად დარბაზს იწეევდა, ის უმთავრესად იმ საღრომოსაგან მოიწეევდა მსხვილ ფეოდალებს, რომელსაც გასარჩევი საქმე ეხებოდა. საერთოდ კი, როცა ჩვენ ვაკვირდებით დარბაზის იმ შემადგენლობას, რომელსაც მეუე იწეევს კანონების შესადგენად, ან სამხედრო მორიგეობის დასადგენად, ან სასამართლო საქმის გასარჩევად, დარბაზის მონაწილენი ყოველთვის საერო და საეკლესიო მსხვილი ფეოდალებია.

როგორც სამართლის წიგნის შედგენისას მეუე ვახტანგმა მოიწეია მსხვილი ფეოდალები და მოხელეები, ასევე სასამართლო საქმის გასარჩევად მეუეები იწეევენ მსხვილ ფეოდალებსა და მოხელეებ. ასე, მაგალითად: ვახტანგ V თაეის 1670 წლის სიგელში წერს, რომ ბარათაშვილებსა და გირშელიშვილებს მორის წამოჭრილი დაეის გასარჩევად მან მოიწეია კათალიკოსი, ბაგონიშვილები, მთავარეპისკოპოსი თბილეი, ბოლნელი, ამილახორი და სხეა. ამ შემადგენლობაში ჩვენ ეხედავთ მსხვილ ფეოდალებს, დიდ მოხელეებს როგორც საეკლესიო, ისე საერო დარგიდან.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მეუე რთული და დიდი საქმის გასარჩევად იწეევდა დარბაზს, ასევე გეიანფეოდალური საქართველოს სამეფო-სამთავროებში ასეთი საქმეების მეფის საბჭოს, ანუ დარბაზს ექეემდებარებოდა. დარბაზი საქმეს განიხილაედა უმთავრესად მეფის თავმჯდომარეობით, მაგრამ შეიძლებოდა საქმის გარჩევა მეფის მონაწილეობის გარეშეც, მაგრამ მისი ნებართვით.

დაეით ბაგონიშვილის შრომის მიხედვით სამეფო საბჭო, როგორც პირეელი ინსტანცია, „არჩევდა პოლიტიკური შინაარსის საქმეებს“. ამასთან ამაეე შრომის მიხედვით, როგორც ზემოთ ვთქვით, სამეფო საბჭო სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენდა სახელმწიფოში არსებულ ყველა სასამართლო ორგანოს მიმართ. გარდა ამისა, საბჭოს ჰქონდა სასამართლო ორგანოების შედამხედველობის ფუნქცია. საბჭო მეთვალყურეობას უწეედა სასამრთლო ორგანოების მუშაობას, დევნიდა ბოროტმოქმედებას, სჯიდა დამნაშაეე მოსამართლეებს, ხოლო საგანგებოდ კარგად მომუშაეეებს მეფეს ურდგენდა დასაჯილდოებლად.

განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამოტანისას საბჭო ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს კანონებით, ხოლო ამ განაჩენისა და გადაწყვეტილების სისრულეში მოყეანა შესაძლებელი იყო მხოლოდ მეფის დასტურით. დაეითის ეს ცნობა საყურადღებოა, მაგრამ გამოსარკეეევია, თუ რამდენად შეეფერება ის ქართულ სინამდეილეს.

3 განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო. განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლოს ჩვენ ეეძახით ისეთ სასამართლოს შემადგენლობას, რომელსაც მეუე ნიშნაედა

ერთი რომელიმე კონკრეტული საქმის გასარჩევად. ამ საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლოს შემადგენლობა იშლებოდა. ეს შემადგენლობა განსაკუთრებული იყო იმით, რომ მას არ ჰქონდა სასამართლო ფუნქციები საერთოდ. სიგელებში ხშირად ეხებებით ისეთ შემთხვევას. ასე, მაგალითად, ორბელისშვილი სარდალი თამაზი მეფის ბრძანებით არჩევს საქმეს. ან კიდევ" მეჯინიბეთუხუცესები იარაშვილი და გაბაშვილი, მეფე ირაკლი I-ის ბრძანებით მიემგზავრებიან აღგილზე, რომ გაარჩიონ ფეოდალების დავა მამულების მიჯნების შესახებ.

ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი ითვალისწინებს, როცა არა მოსამართლე, არამედ სხვა ვინმე მეფის მიერ „გაგზავნილი კაცი მოსაქმე" არჩევს სასამართლო საქმეს. როცა ბატონის ბრძანებით ვინმე საქმეს არჩევდა, ის ამ დროს თანამდებობის პირად ითვლებოდა და მას კანონი განსაკუთრებით იცავდა.

საქმის გარჩევა რომ მოსამართლის ან ბჭის გარდა შესაძლებელი იყო სხვა ვინმეს, არა მოსამართლე, კერძო პირს დავალებოდა, ამის შესახებ „ქილილა და დამანში" საინტერესო ცნობაა შემონახული: დამანა მეფის დედას თხოვს: „...ჩემი საქმე ერთს მმეიდობის მყოფელსა ვისმე უბრძანოთ, ბრჭისა და მისთანა კაცთა გარეშე ვინმე იყოს".

ამ სასამართლოს თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც წესი, მასში მეფე მონაწილეობას არ იღებდა. თუ დარბაზის მიერ საქმის გარჩევისას იგულისხმება მეფის მონაწილეობა, სასამართლოს ამ შემადგენლობაში მეფის მონაწილეობა არ არის საგულისხმო. ასეთი სასამართლო რამდენიმე კაცისაგან შედგებოდა. ზოგჯერ მისი შემადგენლობა დიდი იყო. ასე, მაგალითად. 1700 წლის ერთი საბუთის მიხედვით სასამართლო შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდნენ: ამილახვარი, ციციშვილი, არქიეპისკოპოსი, მდივანი და სხვა. როგორც ვხედავთ, აქ მსხვილი ფეოდალებია ჩამოთვლილი. ასეთი შემთხვევა მრავალია.

4. მდივანბეგი. მდივანბეგი ეწოდებოდა უფროს მოსამართლეს, სასამართლოს თავმჯდომარეს, ვახუშტის ცნობით, როსტომ მეფემ მსაჯულთუხუცესს უწოდა მდივანბეგი. ამ ცნობაში მართალია ის გარემოება. რომ მდივანბეგი მართლაც გვიანფეოდალურ პერიოდშია წარმოშობილი. ყოველ შემთხვევაში გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიებმა წყობილებამ ეს თანამდებობა არ იცის. დოც. ვ. გაბაშვილის სიტყვით, სიმართლესთან ახლოს იქნება, თუ სასამართლოს მდივნების უფროსის (მდივანბეგის) ინსტიტუტის წარმოშობას XV საუკუნის მეორე ნახევრის შუა წლებით დავათარიღებდით".

მაშასადამე, როსტომის მეფობამდე ეს ინსტიტუტი არსებობდა: „ტერმინი „დივანბეგი" ჩვენ მიერ დამოწმებულია 1620 წლის საბუქმი, სადაც მოხსენიებულია დივანბეგი პაპრონი ბეჟან", — წერს იგივე აეგორი.

იმის შემდეგაც, როცა ტერმინი „მდივანბეგი" შემოვიდა, ძეგლებში აქა-იქ მსაჯულთუხუცესიც გეხვდება. ვახუშტის ცნობით, ვახტანგ მეექვსემ თავის ძმას იესეს „მისცა მუხრანი და მსაჯულთუხუცესობა".

სასამართლო დაწესებულებას სამდივნო სახლი ეწოდებოდა. ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, მეფე „ოთხშაბათს და პარასკევს დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა". გარდა „სამდივნოს სახლისა", ეს დაწესებულება იწოდებოდა აგრეთვე „დივანად". 1619 წლის ერთ სიგელში წერია, რომ მხარეები გამოცხადდნენ „დივანში".

1657 წლის სიგელში ეკითხულობთ: ქ. ესე წიგნი მოგე მე ხიზანმა შენ ბიძაჩემს შელისა და შენს შვილს გიოსა და ქიტიასა და ასე რომე ერთი ემმაკის ცთუნებითა შენი შვილის მამულა შემომაკუდა და მერმე დამიჭირეთ, და სამდივნო საქმე გამიხდა". „სამდივნო საქმე" სასამართლო საქმეს ნიშნავდა.

მაშასადამე, სასამართლო გადაწყვეტილებას სამდივნო სახლი ანუ დივანი რქმეოდა. ამ სამდივნო სახლში კეირაში გარკვეული დღეების განმავლობაში მოსამართლეობდა თვითონ მეფე, ჩვეულებრივად კი იქ არჩევდნენ საქმეებს მოსამართლენი, რომელთა უფროსს მდივანბეგი ერქვა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე მეორემ სასამართლოს რეორგანიზაცია მოახდინა და მსაჯულთ შეკრებულება დაარსა: „...ახალი იყო მსაჯულთ შეკრებულობის დაწესებულება, ერეკლემ რომ შემოიღო 1778 წელს. ამიერიდან „ყოველი არძა და საჩივარი მდივანბეგებთან მოივიდესო". მაშასადამე, საჩივარი მდივანბეგთან უნდა შეეტანათ. 1784 წლის ერთ საჩივრის წიგნში მაძიებელი გოსტაბაშვილი ერასტი წერს: „ღმერთმან ბაგონის მდივანბეგის ჭირი მისცეს ერასტი გოსტაბაშვილს", და შემდეგ მოჰყავს საჩივრის შინაარსი.

მოსამართლე, მსაჯული, ბჭე საერთო სახელწოდება იყო. იმ თანამდებობის პირს, რომელიც სასამართლო საქმეს არჩევდა, მოსამართლე და მსაჯული ეწოდებოდა. მოსამართლე და მსაჯული იმასაც კი ერქვა, ვისაც მეფის ბრძანებით მხოლოდ ერთი რომელიმე საქმის გარჩევა ჰქონდა დავალებული. ისეთივე ზოგადი მნიშვნელობით მოსამართლე მდივანბეგსაც ეწოდებოდა. როდესაც კანონმდებელს სურს იმ თანამდებობაზე ილაპარაკოს, რომლის მოვალეობას სასამართლო ფუნქციის შესრულება შეადგენს, ის ხმარობს ტერმინებს: „მოსამართლე" ან „მსაჯული", ხოლო მოსამართლისა ანუ მსაჯულის მიერ სასამართლო ფუნქციის შესრულებას სამართლის ქნა" ან კიდევ სამართლოა" ეწოდებოდა. თუ მეფეს, წერს კანონმდებელი, თვითონ არ შეუძლია მეფობა, რამდენიმე „დიდებული გამოარჩიოს და იმათ სამართლონ ქნეყანა". ხოლო „სამართლის ქნა", სასამართლო საქმის გარჩევა შეეძლო მოსამართლეს ანუ მსაჯულს. „მეფეთა და მსაჯულთა" მოვალეობა არის სამართლიანად საქმის გარჩევა, — წერს კანონმდებელი. „პირველი ესე რომე

მომსამართლე დიდად“ დაკვირვებულად უნდა არჩევდეს საქმესაო. მამასადამე, მოსამართლე, ანუ მსაჯული საერთო სახელწოდება იყო ყველა იმათი, ვინც სასამართლო მდივანბეგი ეწოდებოდა. „მდივანბეგი“ ანუ „მსაჯულთუხუცესი“ უფროსი მოსამართლე იყო. ვახტანგის სამართლის წიგნში მდივანბეგს „თაეი მოსამართლე“ ან კიდევ უფროსი მოსამართლე ჰქვია. როცა აღგილზე რაიმე საკიცხია გამოსარკვევი „...თაეი მოსამართლე მდივანბეგი ხომ ვერ წაეა“, არამედ ისასაულს გაგზავნის, წერს კანონმდებელი. შემდეგ: „სამართალში თუ უფროსმან მოსამართლემ და მსაჯულმან არა ჰკითხოს რა გინდ უფროსი სა ჭკუამყოფელი კაცი იყოს და იქ უჯდეს, სამართალი არ უნდა თქვას, არც უნდა რომელსამე მოეხმაროს, და როდესაც მსაჯულმან ჰკითხოს, ღუთის წინაშე რასაც მიუდგეს სწორე და მართალი უნდა თქვას და არ დაბოგოს“. მდივანბეგს, როგოც ვთქვით, მოსამართლეც ეწოდებოდა: „თაეი მოსამართლე მდივანბეგი“ საკითხის გამოსარკვეველ იასაულს გაგზავნის და დააბარებს: „გასინჯე, მოკითხული ჰქენი და მართალი ამბავი მოგეიგანე, თუ იმ იასაულმა ღმერთი პგმო და ქრთამით მოსამართლეს მრუელ ამბავი მოუგანა, მოსამართლემ რა ჰქნას, მაგრამ ასრე უნდა: მდივანბეგს, გინა სხვა მოსამართლეს, ასეთი საქმეებისათეის საგანგებო იასაული ჰყავდესო“. მამასადამე, ადგილზე გამოსაძიებლად მდივანბეგი იასაულს გზავნის, ხოლო გამოძიებიდან დაბრუნებული იასაული მოხსენებას უკეთებს მოსამართლეს. ასევე ვახტანგის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში მდივანბეგი აგრეთვე მოსამართლედაც იწოდება. მოსამართლე, პირველ ყოელისა, საერთო, ზოგადი, გეაროვნული ცნებაა. „მოსამართლე სამართლის მქმნელია“, ასევე „მსაჯული“. ვახტანგის სამართლის წიგნი „მდივანბეგზე“ უფრო ხშირად „მოსამართლეს“ ხმარობს. როცა კანონმდებელს „სამართლის მქმნელის“ გამოხატეა სურს ზოგადად, მაშინ ის ყოველთვის ამ ტერმინს მიმართავს.

ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი ახსნა-განმარტებას აძლევს მოსამართლესებს, თუ რით უნდა ხელმძღვანელობდნენ სისხლის ჟასის დაწესების დროს, ან კიდევ როგორ უნდა გაარჩიონ მსხვილი ფეოდალების საქმე. როგორ უნდა მოხდეს გაყრა. ყველა ამ შემთხვეევაში კანონდებელი ხმარობს ტერმინს „მოსამართლეს“, და უსათუოდ ზოგადი მნიშვნელობით. ყველა ეს საქმე, კანონმდებლის თეალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანი საქმეები იყო. ასეთი საქმეების გარჩევისას მდივანბეგის გეერდის ახეევა შეუძლებელი იქნებოდა. ის კი არა, ამ საქმეების გარჩევაში მეფე და კათალიკოსიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

ვინებისა, ბეზღებისა და მუქარის შემთხვეევაში საჩივრით უნდა მიმართონ მოსამართლეს, — ბრძანებს კანონმდებელი. ამ შემთხვეევამიც მოსამართლე ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი. აქედან ნათელი, რომ მდივანბეგი მოსამართლედ იწოდება, მაგრამ მდივანბეგი „თაეი მოსამართლეა ეს იმას ნიშნავს, რომ ცნება „მოსამართლე“ ზოგადად იმ მოხელეს ნიშნავს, რომელიც სასამართლო ფუნქციას ასრულებს. გამოძიებისათვის საგანგებო იასაული უნდა ჰყავდეს „მდივანბეგს ან სხვა მოსამართლეს“. ან კიდევ: სასამართლო პროცესს აწარმოებენ მოსამართლე და მსაჯული (სამართალში თუ უფროსმა მოსამართლემ და მსაჯულმან არ ჰკიგხოს, ისე არ უნდა თქვან რამეო).

მოსამართლე რომ იმ მოხელის საერთო სახელია, რომელიც სასამართლო ფუნქციას ასრულებს, ამის შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი კიდევ უფრო გარკეეით წერს. კანონმდებელი კატეგორიულად კრძალავს თვითნებობას და, თუ ვინმეს რაიმე საქმე აქვს, ამაზე საჩიერით უნდა მიმართოს მეფე, ან მდივანბეგსა და მოსამართლეს („...თუ ვისმე ქართული ჰქონდეს, ან ხელმწიფეს შემოსჩივლოს, ან მის მდივანბეგსა და მოსამართლეს და ისრე თაეის საქმე გაარიგოს“).

მამასადამე, საჩიერის მიგანა მეიძლებოდა მეფესთან, მდივანბეგთან და მოსამართლესთან.

იესე ოსეშეილი წერს: „ვიყავ ტფილის, ესამართლობი, ზოგი მდივანბეგს მეძაგხდა, ზოგი მსაჯულს, ზოგი მდივანს, სამსავ ეითაეს ებედი და განეგებოდა ჩემგან ყოეელი სამართალი ქართლის და კახეთის დაუბრკოლებლად და შეწყნარებული იყო ყოეელთაგან“.

გარდა ამისა, მსაჯული ანუ მოსამართლე მდივანბეგის სასამართლოს წეერსაც ნიშნავდა, ე.ი. მოსამართლისა და მსაჯულის ფართო, ზოგად ცნებასთან ერთად არსებობდა აგრეთვე მოსამართლის ანუ მსაჯულის ეიწრო გაგებაც. ამ შემთხვეევაში მსაჯული ანუ მოსამართლე მხოლოდ მდივანბეგის სასამართლოს წეერი იყო და ამის გარდა მას არ ჰქონდა სხვა ფუნქციები. ეს იმას ნიშნავს, რომ მდვანბეგის სასამართლო კოლეგიალურია, და ამ შემთხვეევაში მოსამართლე ანუ მსაჯული მხოლოდ ამ კოლეგიის წეერია. მამასადამე დამოუკიდებლად მოსამართლე ანუ მსაჯული საქმეს არ არჩევს, პროცესს არ ხელმძღვანელობს, მას შეუძლია მხოლოდ დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს იმ საქმის გარჩევაში, რომელსაც მდივანბეგი ხელმძღვანელობს. ამ შემთხვეევაში ჩვენ მხედეელობაში გვაქვს ბეგლებში ხმარებული ტერმინი „მოსამართლე“, ანუ „მსაჯული“, ეიწრო გაგებით.

მდივანბეგის სასამართლო კოლეგიაში მსაჯულები და მდივანი შედიოდა. სასამართლოში, გარდა მოსამართლისა და მდივნისა, თითქოს სხეა პირების მონაწილეობაც ჩანს. „სამართალში თუ უფროსმა მოსამართლემ და მსაჯულმან არა ჰკითხოს რა, გინდ უფროსი და ჭკუა მყოფელი კაცი იყოს და აქ ჯდეს, სამართალი არ უნდა თქვას“, — წერს კანონმდებელი. მამასადამე, ისე გამოდის, რომ მდივანბეგებთან და მოსამართლეებთან ერთად მეიძლებოდა სხეებიც ყოფილიყენენ სასამართლოში და მათაც მიეღოთ მონაწილეობა საქმის გარჩევაში.

ვახტანგის სამართლის წიგნით სასამართლო არ შეიძლება ორი კაცისაგან შედგებოდეს. „ოთხი იყოს თუ მეტნაკლები“ საჭიროაო, – ამბობს კანონმდებელი. ასევეა ქალაქშიც: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქესთან ახლდეს სამართლის ბჭობაში“. სასამართლოს კოლეგიალური ფორმა წინა პერიოდის საქართველოს სახელმწიფო წყობილებისათვისაც დამახასიათებელი იყო.

სასამართლოს შემადგენლობა ზუსტად არ იყო განსაზღვრული, ეს კი, რომ სამ კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. მსაჯულის მონაწილეობა სასამართლოში აუცილებელი იყო, რომ სასამართლო კოლეგიალური ყოფილიყო. როცა კანონმდებელი ლაპარაკობს მდივანბეგისა და მსაჯულის ანუ მოსამართლის შესახებ ზოგადი გაგებით (მაგალითად, საჩივრის შეტანა შეიძლება მდივანბეგთან ან მოსამართლესთანო), ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აყავს ყველა ის მოხელე, რომელთაც აქვთ სასამართლო უფლება: მდივანბეგი, მოურავი, ხევისთავი და სხვა „დასტურლამალის“ მიხედვით დედოფლის სახლთუხუცესიც ზოგჯერ საქმეებს არჩევს, ამ შემთხვევაში დედოფლის სახლთუხუცესი მოსამართლეა, თუმცა მისი ძირითადი საქმიანობა სხეაა. ასევეა მოურაეიც, ხოლო ხევისთავს კი, როგორც ვნახავთ, სპეციალურად საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციები აქვს.

მნიშნელოვან საქმეებს ყოველთვის რამდენიმე პირისაგან შემდგარი სასამართლო არჩევდა. იესე ოსესშვილის საქმე ხუთი კაცისაგან შემდგარმა სასამართლომ გაარჩია. სხვა საბუთების მიხედვითაც საქმეებს რამდენიმე პირისაგან შემდგარი სასამართლო არჩევს.

სასამართლოში მდიენის მოვალეობას შეადგენდა მხარეების ჩვენების ჩაწერა. ამის გარდა მდივანი მოსდებნიდა სამართლის წიგნის იმ მუხლს, რომლის მიხედვითაც უნდა გამეტანა თავიანი დასკვნა სასამართლოს. ასრულებდნენ რა სამდივნო ფუნქციებს, ამაევე დროს მდივნები სასამართლოს წევრებად (მსაჯულებად) ითვლებოდნენ და საქმეების გარჩევაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც მოსამართლეები, 1677 წლის ერთ საბუთში ეკიდხულობთ: „ქ. ჩვენ მდივანბეგმა, პაატრონმა ვახტანგ და მდივნებმა გიორგი და სულხან ეს სამართალი ექვნით“ და აღწერილია საქმე, რომელიც გაურჩეიათ. მამასადამე, მდივანი ისე კი არ უნდა გაეიგოთ, როგორც უბრალო ოქმების შემდგენი, არამედ როგორც მოსამართლე. ის გარემოება, რომ სწორედ მდივანს უნდა მოეძებნა გასარჩეი საქმის შესაგყვინი მუხლი სამართლის წიგნში, იმის მაჩვენებელია, რომ მდივანი სამართლის მცოდნე პირად. სპეციალისტად ითვლებოდა.

სასამართლოს განკარგულებაში იყვნენ იასაულები. იასაულები ვახტანგის კანონების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდნენ: იასაულთა ერთი ჯგუფი საქმეების გამოძიებას წარმოებდა, გამომძიებლები იყვნენ. იასაულების მეორე ჯგუფი კი „გაწყრომისა და დაჭერის“ საქმეებს აწესრიგებდა.

უნდა აღენიშნოთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის გარდა სხვა ძეგლებში ასეთი დაყოფა არ შეგხვედრია; თუ როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკაში იასაულთა ასეთი დანაწილება და, საერთოდ, როგორი იყო მათი ფუნქციები, არა ჩანს.

სასამართლოს პყავდა სხვა დამხმარე პერსონალიც. პყავდა, მაგალითად „მემათრახენი“, რომლებიც „ხმალში“ ბრძოლის დროს წესრიგს იცავდნენ.

ყველაზე უფრო რთული მდივანბეგობის ინსტიტუტის შესწავლისას მისი კომპეტენციის საკითხია. ნორმალური სასამართლოს ორგანო მდივანბეგის სასამართლო იყო, მაგრამ სასამართლო ფუნქციებს, გარდა მდივანბეგისა, მრავალი სხვა მოხელეც ახორციელებდა, პირველ ყოელისა, მეფე, შემდეგ დარბაზი, მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი, მჭე, მოთემე, ხევისთავი და თვითონ მემაულე (უკანასკნელის მაგიერ ხშირად სასამართლო ფუნქციებს ასრულებდა ან სახლთუხუცესი ან კიდევ მოურავი), ყველა ამ მოხელეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მდივანბეგს. საერთოდ, მდივანბეგის სახელო ფეოდალური სახელოების საერთო ფონზე იმით გამოიყოფოდა, რომ მდივანბეგის თანამდებობაში ყველა სახელოზე უფრო მკეთრად ჩანს სახელმწიფოებრიეი საწყისი. საჯარო სამართლის ელემენტები. როგორც ვიცით, ფეოდალური სახელმწიფოში სასამართლოს ფუნქცია სახელმწიფოს მეთაურის მთავარ ფუნქციათაგანი იყო და ამიტომაც თვითონ მმართველობის ცნება სასამართლოს საქმიანობას მეიცავდა. მართეა უპირველეს ყოელისა, სამართლის მიცემას გულისხმობდა, ამიტომაც მეფის ხელისუფლება ცენტრისკენულ მიდრეკილებისას პირველ ყოელისა თავიანი იურისდიქციის გაფართოებისათვის იბრძოდა. მდივანბეგი მმართველობის ცენტრალუი აპარატის მოხელე იყო. მისი უფლებამოსილებანი სასამართლოს წარმოების დარგში მეფის ხელისუფლებას ემყარებოდა, ამდენად მდივანბეგის სახელოში ყველა სხვა სახელოებთან შედარებით უფრო მეტად არის მოცემული, საჯარო-უფლებრიეი საწყისი, ამით აიხსნება ის, რომ, განსხვაეებით სხვა ყველა სახელოებისაგან, მდივანბეგი მხოლოდ მეფის, ე.ი. კარის მოხელე იყო. მდივანბეგი არ პყავდა არც ერთს საფეოდალოს, მაშინ როდესაც სახლთუხუცესი, შეკაბასბაში და ცენტრალური აპარატის სხვა მოხელეები იყვნენ ცალკეულ საფეოდალოებშიც; ამდენად მდივანბეგის კომპეტენცია მეფის ხელისუფლების სიძლიერით განისაზღვრება. მეფის ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს გააფართოოს მდივანბეგის კომპეტენცია, წაართვას ფეოდალებს სასამართლო უფლეცია. „დასტურლამალში“ კანონმდებელი წერს: „ბაატონის უბრძანებლად არა სარდალს სასამართლოთ თაეის სასამართლოსთან ხელი არა აქუს“. თუ რამდენად ახერხებდა მეფე ამის გატარებას, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამ გამოთქმაში მეფის მიდრეკილება და მისი სურეიღი ამკარაა. ამ

შემთხვევაში მეფე თავის აბრს გამოთქვამს სწორედ მდივანბეგის იურისდიქციის მოცულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამას ნათელყოფს ლევანის წყალობის სიგელი ერასტი ორბელიშვილისადმი, რომელსაც მეფე მდივანბეგის სახელოს უწყალობებს. ეს სიგელი შეგანილია ეახტანგ VI-ის მიერ „დასტურლამალში“ ცალკე პარაგრაფის სახით, შემდეგი სათაურით: „მდივანბეგის გარიგებისათუის“. სწორედ ამ სიგელში სხვა საკითხებთან დაკავშირებით გარკვეულია მდივანბეგის კომპეტენციაც. ერასტის მამას ეახტანგსაც და უკანასკნელის მამასაც მდივანბეგობის სახელო ჰქონიათ. ვახტანგ V-ის 1676 წლის ეახტანგ ორბელიშვილისადმი ბოძების სიგელში ვკითხულობთ: „ჵიბოძეთ თქუენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისებრ მრავალჟერად თაუდაჳებით ნამსახურსა ყმათა ბარათამეილს ორბელიმეილს ვახტანგს, ასრე რომე ვითაც მამა თქუენსაე ქონებოდა ჩუენის საბაგონოს ქართლის მდივანბეგობა და სამართლის ქნა, ახლა თქუენს დაგუიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მეგიწყალეთ და გიბოძეთ მდივანბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათამეილოსა, სომხითისა და თათრისა, ეინცა ვინ ჩუენსა სახელმწიფოსა და საბრძანებელსა ქუეშ მორჩილი იყოს, ან სისხლისა და ან სხვის, რასაც საჩიერისა, ყუელა თქუენგანთ ჴ(ა)ისამართლდებოდეს და გარდაწყდებოდეს და ეინცა თქუენს გარიგებულს სამართალსა გარდაჰხდებოდეს, ჩუენ დიდათ გაუწყრებოდეთ და გარდაეახდევინებდით, თქუენცა წესისებრ სამართალსა გულს მიაპყრობდეთ“. მამასადამე, ქართლის მდივანბეგს ამ „სახელმწიფოსა და საბრძანებელს ქუეშე მორჩილი“ ეინც არის, ე.ი. ქართლის სამეფოს მცხოვრებნი მდივანბეგს მიმართავენ, რადგანაც სასამართლო საქმეები მას ექვემდებარება. როგორც ვხედავთ, აქ მდივანბეგის კომპეტენცია ფართოდ არის წარმოდგენილი და ისე გამოდის, რომ თითქოს მდივანბეგია ერთადერთი კომპეტენტური მოხელე, რომელსაც შეუძლია საჩივრების მიღება და საქმეების გარჩევა. აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოს სხვას არავის არ შეუძლია (რასაკვირველია, გარდა მეფისა) სასამრთლო ფუნქციის განხორციელება, მხოლოდ დიდი საქმეების შესახებ აძლევს მეფე მდივანბეგს დავალებას, რომ ასეთი საქმეები მეფეს შეატყობინოს და ისე გადაწყვიტოს. მეფე კატეგორიულად აცხადებს, რომ ეინც მდივანბეგის „გარიგებულს“ სამართალს არ დასჯერდება, დაარღვევეს, მეფის ხელისუფლება მას დასჯის. გარდა ამისა, მდივანბეგს ექვემდებარება ყოველგვარი საქმე როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლისა.

ციტირებულ სიგელში მდივანბეგის კომპეტენცია ბოგადად არის მოცემული. მდივანბეგი მართლაც მთელს სამეფოზე ახორციელებდა თავის უფლებებს, ამას გარდა მას მიუწვდებოდა ხელი როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, მაგრამ მთელ რიგ სასამართლო საქმეს ის მაინც არ არჩევდა, რადგან ეს საქმეები სხვა მოხელეებს ექვემდებარებოდა. სახელდობრ, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მსხვილი საქმეების ამოღებული იყო ადგილობრივი მოხელეებისა და ფეოდალების იურისდიქციიდან, ეს საქმეები მდივანბეგს ან კიდევ მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა.

მეფის ხელისუფლება ცდილობს ამოიღოს ადგილობრივი მოხელეებისა და ფეოდალების იურისდიქციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეები და დააყენოს ის სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. „დასტურლამალის“ მდივანბეგის გარიგების წიგნის მიხედვით ბოგიერთი მსხვილი სისხლის სამართლის საქმე მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს. კანონმდებელი წერს: „...მდივანბეგობის წესი და რიგი მოკითხული ვპქენით და ამ წესით ყოფილიყო გარიგებული, და ახლაც ამ წესით გვიბოძებია, ასრე რომ, თუ ელში ეს ოთხი საქმე მოჰხდეს: კაცის სიკუდილი, ბიქრი, თვალის და კბილის გაგდებინება, ეს კარზე უნდა მოეიდეს, მდივანბეგმან უნდა გაარიგოს“. მამასადამე, ელში (მომთაბარე თათრები) მდივანბეგს ოთხი სახის სისხლის სამართლის საქმე ექვემდებარება, ამ საქმეებს მხოლოდ მდივანბეგი გაარჩევს, სისხლის სამართლის სხვა საქმეები მდივანბეგს არ ექვემდებარება. ქართლის სამეფოს სხვა მცხოვრებთა მიმართ მდივანბეგის კომპეტენცია სისხლის სამართლის დარგში უფრო შეზღუდული ჩანს: „თუ ქალაქში კაცის სიკუდილი მოხდეს ან მოქალაქისგან ან სხუისაგან, იმისი სამართალი კარზედ მდივანბეგმან უყოს“. ასევე, თუ „საღედოფლოს სასახლში კაცის სიკუდილო მოჰხდეს, მდივანბეგმან გაარიგოს“. მამასადამე, მდივანბეგის კომპეტენციაში შედის თათრების ელში ოთხი სახის სისხლის სამართლის დანაშაული და, მათ შორის მკვლელობის საქმე, ხოლო ქალაქსა და საღედოფლოში – მარტო მკვლელობის საქმე. ის გარემოება, რომ ელში მდივანბეგს ოთხი სახის დანაშაული ექვემდებარება, ხოლო საღედოფლოში და ქალაქში მხოლოდ ერთი, უეჭველად იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ელში მდივანბეგის ქვემდებარეობა გამონაკლისს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ კანონმდებელს მდივანბეგის კომპეტენცია გაფართოებული აქვს ელის მიმართ. მართლაც სხვა საბუთებიდან ჩვენ ვიცით, რომ დანაშაულის ის სამი სახე, მკვლელობის გამოკლებით, რომელიც „დასტურლამალის“ მიხედით ელის მიმართ მდივანბეგს ექვემდებარება, ელის გარდა სხვა ადგილას მდივანბეგს არ ექვემდებარება. ისმის კითხვა: მკვლელობის საქმე საერთოდ, ყველგან, სადაც უნდა მოჰხდარიყო, მდივანბეგს ექვემდებარებოდა თუ არა? „დასტურლამალში“ დასახელებულია: ელი, საღედოფლო მამულები და ქალაქი; ამით ქართლის სამეფო არ ამოიწურებოდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მკვლელობის საქმე ადგილობრივი მოხელეებისა და მემამულეების იურისდიქციისაგან ამოღებული იყო. თუ დედოფლის სახასოში ან ქალაქში მკვლელობის საქმე მდივანბეგს ექვემდებარეობოდა, რაგომ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა საფეოდალოები ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდნენ? სისხლის სამართლის საქმეებიდან

მკელელობის საქმე მდივანბეგის მიერ კარზე უნდა გარჩეულიყო. ისე როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეები – ღალატი, სალაროსა და ეკლესიის ძარცვა – მხოლოდ მეფის და მისი დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა, მკელელობაც მნიშვნელოვანი საქმე იყო და ასეთი საქმე მდივანბეგის კომპეტენციაში შედიოდა. შეიძლებოდა მკელელობის სამე, მისის თაეისებურების გამო, მეფის ან დარბაზის გარჩევის საგანიც ყოფილიყო, მაგრამ ჩეეულებრივად კი ამ საქმეს მდივანბეგი არჩევდა.

სისხლის სამართლის დანაშაულის სხვა სახეები აღგილობრივად ექვემდებარებოდა ჭეოდალს ან მოხელეს, ან კიდევ ხევისთავს. მართლაც, „დასტურლამალისა“ და სხვა წყაროების მიხედვით სისხლის სამართლის ისეთი საქმეები, როგორიც არის თაეის გატეხა, კბილების ჩაგდებინება და სხვა, მოურავს და ჭეოდალს ექვემდებარებოდა. თაეის გატეხა და ხელის მოტეხა, აგრეთვე „კბილის ჩაგდებინება“ ან კიდევ „ბოზობა“ „დასტურლამალით“ მოურავს და ნაცვალს ექვემდებარებოდა. ხოლო ასეთივე საქმეები, მაგალითად, „კბილის ჩავარდნა“ იმ მემამულეს ექვემდებარებოდა, რომლის მამულშიც ის მოხდებოდა. ქურდობის საქმეს ზოგჯერ მოურავი არჩეედა. აღგილობრივ მოხელეებს არ შეეძლოთ გაერჩიათ არა მარტო მკელელობის, არამედ საერთოდ დიდი საქმე: „იქნების ასეთი საჩივარი, ან კაცის სიკუდილი, ან დიდი საქმე რამე, იმისი სამართალი კარზედ უნა იქნას“. პირველ ყოველისა აქ საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ კანონმდებელი მკელელობის საქმეს საერთოდ იღებს აღგილობრივი ხელისუფლების იურისდიქციიდან, აქ ელმე, ქალაქზე ან საღეღოჭლო მამულებზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ საერთოდ მთელს სამეფოზე, გარდა ამისა, მკელელობასთან ერთად და მის გეერდით, კანონმდებელი ასახელებს „დიდ საქმეს“, რომელიც აგრეთვე კარზე უნდა გაირჩეს. დიდი საქმე შეიძლება ყოფილიყო როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის და მდივანბეგს ორივეზე მიუწედებოდა ხელი. ის გარემოება, რომ მკელელობა მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა, არ ნიშნავს იმას, რომ მას არ შეეძლო გაეჩჩია სხეა, მკელელობაზე უფრო მცირემნიშნელოვანი საქმეები. მკელელობის გარდა კარზე უნდა გარჩეულიყო კიდევ დიდი საქმეები, მაგრამ „დიდი საქმეებიდან“ მრავალი, როგორც ვთქვით, მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა. ნაწილი ამ „დიდი საქმეებისა“ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებიდან მდივანბეგსაც ექვემდებარებოდა. დიდ სამოქალაქო საქმეებად ითვლებოდა, მაგალითად, მსხვილი ჭეოდალების გაყრა. ხშირად მსხვილი ჭეოდალების გაყრის საქმეს მეფე ან საბჭო არჩეედა, მაგრამ ჭეოდალების გაყრს საქმეს მდივანბეგიც არჩეედა. „საღეღოჭლოს თავადისა და აზნაურიშვილის გაყრაში დეღოჭლის სახლთუხუცესი მდივანბეგთან უნდა დაესწროს“. მამასადამე, საღეღოჭლოს თავადისა და აზნაურის გაყრის საქმე მდივანბეგის კომპეტენციას შეადგენდა, ხოლო დეღოჭლის სახლთუხუცესიც უნდა დასწრებოდა ამ საქმეების გარჩეეას.

საერთოდ, მდივანბეგს ხელი მიუწეღებოდა არა მარგო სისხლის, არამედ სამოქალაქო სამართლის საქმეებზეც. მდივანბეგი რომ სამოქალაქო საქმეებს არჩეედა, ეს, სხეათა შორის, ჩანს „დასტურლამალის“ მდივანბეგის შესახებ გარიგების წიგნიდან. სახელდობრ იმ პარაგრაეიდან, რომლის სათაურია „მდივანბეგის ასაღებისათვის“ და რომელშიც ჩამოთელილია მდივანბეგის გასარჩევი საქმეები.

ყეელა ის საქმე, რომელებიც არ ითვლებოდა „დიდ საქმედ“ და, მამასადამე, არ შეადგენდა მეფის, დარბაზისა და მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას, როგორც წესი, აღგილობრივ ჭეოდალებსა და მათ მოხელეებს ექვემდებარებოდა. ეს წესი ერთნაირად ერცელებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. ნათლისმცემლის მონასტრის 1708 წ. სიგელში, რომელიც ამ მონასტრისადმი შეწირული სოფლების გარიგების წიგნს წარმოადგენს, ეკითხულობთ: გაყრა, თავის გატეხა, „მკლავის მოტეხა, კბილის ჩავარდნა, ღეღაკაცის გალახეისა და ბოზობის და სისხლის საქმე, რაც იმ სოფელში და ერთმანეთში მოხდეს, ბერები გაურიგებდნენ, ჯურუმს თავისთეის წაიღებდნენ, თუ გარეშე კაცით მოხდეს, ბაგონის კარის გამრიგი გაურიგებდეს“. მამასადამე, ყეელა ჩამოთელილი დანაშაულის სახეები და აგრეთვე გაყრა, ე.ი. სამოქალაქო სამართლის საქმე, ექვემდებარება მონასტერს, რომელსაც ეკუთვნის სოფელი, მაგრამ ეს საქმეები ექვემდებარება მონასტერსა და მოხელეებს იმ შემთხვეეაში, თუეს საქმეები ამ სოფლის გარეთ არ გამოდის, ე.ი. დანაშაული ჩადენილია ამ სოფლების მიერ, ან კიდევ იყრებიან ამ სოფლის მცხოვრებნი. ხოლო თუ საქმე ცილდება მონასტრის საშფლობელოს (მაგალითად, მონასტრის სოფელშა გალახა მოსაზღერე საფეოდალოს სოფელი, ან პირიქით), მაშინ საქმე ექვემდებარება „ბაგონის კარის გამრიგეს“, ე.ი. მეფის მოხელეს. ასეთ პრინციპზე იყო აგებული სამართლის წარმოება მთელ სამეფოში. მეფის სახასო მამულებშიც გაყრის საქმე (სამოქალაქო სამართალი) და სისხლის სამართლის ისეთი საქმეები, როგორიც არის თავის გატეხა, ხელის მოტეხა, კბილის ჩამტვრევა, მრუშობა, – მოურავსა და ნაცვალს ექვემდებარებოდა, მაგრამ მოურავს თავის სამოურაოს გარეთ ხელი არ მიუწედებოდა: „რომელიც სოფლის კაცი ერთი მეორეს უჩიოდეს, იმისი სამართალი მოურავმა ქქნას, და რომელიც სოფელს და სოფელი ერთმანეთს უჩიოდეს, იმისი სამართალი ბაგონის მოსაქმემ ჰქნას“. აგრეთვე „დეღოჭლის სახასოს კაცის საჩიერებს დეღოჭლის სახლთუხუცესი უნდა გაარიგებდეს“, ხოლო „მოქალაქის საჩივარი ერთმანეთში მოურავმა გაურიგოს“.

სამეფო შემდეგნაირად იყო დაყოფილი: მეფის სახასო მამულები (თავის მხრივ სამოურავებად იყოფოდა), სადედოფლო, ელი, ქალაქი და სათავადოები. ყველა ამ საგამგეო ერთეულის მოხელეებს ჰქონდა სასამართლო ფუნქცია: მეფის სახასოში – მოურავს, სადედოფლოში – დედოფლის სახლთუხუცესს, ქალაქში – მოურავს, თათრების ელში – ელიაღასს„ ხოლო საეთოდალოებში – მემამულეებს. ფეოდალები თავიანთ საბაგონოში მოსამართლეები იყვნენ. ყველა ის საქმე, რომლებიც არ იყო ამოღებული ადგილობრივი კომპეტენციიდან, ამათ ხელში იყო. მეფის სახასო მამულების მოურავები ახორციელებდნენ მეფის როგორც მემამულის იურისდიქციას; ასევე დედოფლის სახლთუხუცესიც. მსხვილ ფეოდალებსაც ჰყავდათ თავიანთი მოურავები, რომლებიც აგრეთვე მემამულეთა იურისდიქციას ახორციელებდნენ. ხოლო ვერც ერთი ადგილობრივი ფეოდალი ან მათი მოხელე ვერ განახორციელებდა სასამართლო ფუნქციას, ვერ გაარჩევდა საქმეს, თუ ს საქმე ცილდებოდა მის საბაგონოს ფარგლებს. ასეთი საქმეები მხოლოდ და მხოლოდ მეფეს ექვემდებარებოდა, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, და ეს საქმეები მეფის მოხელეს უნდა გაერჩია. ჩვენ მოვიყვანეთ ნათლისმცემლის მონასტრის სიტყვი, რომლითაც მონასტრის სოფლელისა და მონასტრის გარემე სოფლელის საჩივარი და საქმე მეფის მოხელემ უნდა გაარჩიოს. ეს წესი საერთო იყო. „თუ მოქალაქე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან გარეშე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს... სამართალი მდივანბეგმა უყოს... აგრეთვე თუ სადედოფლო სახასო გარეშე კაცს, ან გარეშე კაცი სადედოფლო სახასო კაცს უჩიოდეს, სამართალი მდივანბეგმან უყოს“. მაშასადამე, ყველა ეს საქმე, რომლებიც ამა თუ იმ საფეოდალოს საზღვრებს ცილდებოდა, მეფის მოხელეს, მდივანბეგს, ექვემდებარებოდა.

გარდა ამისა, მდივანბეგს ექვემდებარებოდა ის საქმეებიც, რომელთა მონაწილე მხარეებიც მდივანბეგს მიმართავდნენ: „თუ ელის კაცს ერთმანეთთან საჩივარი ჰქონდეს და თავისის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, იმისი სამართალი მდივანბეგმან უყოს“. აგრეთვე თუ „ორნივ მოქალაქე კაცნი თავის ნებით მოვიდეს და მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს, ...ან სახასო, ან სადედოფლო კაცი თავის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, სამართალი მდივანბეგმან უყოს, ... თუ გორელი კაცი ერთმანეთს უჩიოდნენ და თავის ნებით მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს“.

კანონმდებელი ამბობს, რომ, მართალია, მოქალაქეთა საჩივარი ოურავმა უნდა გაარჩიოს, სადედოფლოს სასამართლო საქმეები – დედოფლის სახლთუხუცესმა, მაგრამ თუ მხარეები თავისი სურვილით მიმართავენ მდივანბეგს, უკანასკნელი უფლებამოსილია ასეთი საქმეები გაარჩიოს, აქ გამოსაყალი წერგილი მხარეების ნებაა. ამავე საქმეებს მოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მდივანბეგის გარდა სხვა მოხელეებიც არჩევდნენ. „თუ მდივანბეგი იქ არ იყოს, მოქალაქის კაცისაგან სოფლელმან კაცმან ქალაქის მოურავს შემოსჩივლოს, მოურავმა გაურიგოს“. ცხადია, მოქალაქისა და სოფლელის საჩივარი მდივანბეგს ექვემდებარება, მგრამ, თუ მდივანბეგი ქალაქში არ არის, მაშინ სამართლის წარმოება რომ არ დაბრკოლდეს, მოურავმა უნდა გაარჩიოს საქმე. „თუ მეფე და მდივანბეგი იქ არ ბრძანდებოდეს, დედოფლის სახლთუხუცესმ სამეფოს კაცში სამართალი ქმნას, მდივანბეგს თავის სარგოს მისცემდეს“. მაშასადამე, დედოფლის სახლთუხუცესიც არჩევდა მდივანბეგისადმი ქვემდებარე საქმეებს, უკანასკნელის აღეილზე არყოფნის დროს. „დასტურლამალი“ ამ შემთხვევაში იმ დედოფალს გულისხმობს, რომელიც ცოცხალი მეფის მეუღლეა. ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, დედოფალი დარეჯან თავის წერილში გიორგი მეთორმეტისადმი უკანასკნელს თხოვს, რომ მისი ამალისა და ყმების საქმეები დედოფალ დარეჯანის მონაწილეობით გაარჩიეს: „ვინცა მე ვინ მახლავან, თავადნი, აზნაურნი ან გლეხნი, იმათ თუ დაამაონ რამე, უჩემოთ არ მოეკითხოსთ. მე მევიტყო იმათი დანაშაული და როგორც წესია დამნაშავეს ისე გადავახდევინოთ“.

ჩვენ ვთქვით; რომ სათავადოს ფარგლებში მემამულეებს ჰქონდათ სასამართლო იურისდიქცია. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ცალკეული საფეოდალოები არ სარგებლობდნენ ერთნაირი უფლებებით. ზეიერთი ფეოდალი იმდენად ძლიერი იყო, რომ მეტოქეობასაც კი უწევდა მეფეს და ნაკლებად ემორჩილებოდა მის კანონებს. ზოგიერთ დაფეოდალს, სახელდობრ მონასტრებს, ზოგჯერ ჰქონდა ძალიან დიდი უფლებები, ფართო იმუნიტეტი, მეფის სიგლით დამტკიცებული. მაგალითად, მეფე კონსტანტინე ერთ თავის შეწირულების სიგელში მონასტერს პპირდება, რომ თაეის მოსისხლე მტერსაც კი, თუ ის მონასტერში შეაფარებს თავს, იქ არ შემოსდევს. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიგანოთ, რომ ამ მონასტრის სასამართლო ფუნქცია შეუზღუდველია. ამ შემთხვევაში მდივანბეგს მონასტრის სამფლობელოს საქმე არ ექვემდებარება. თუ მეფის ორგული და მოღალატე, მისი მოსისხლე მტერიც კი მონასტრის სამფლობელოში შესული გამოღის მეფისა და მისი მოხელეების ქვემდებარეობისაგან, უნდა ეიფიქროთ, რომ სხვა უფრო მსუბუქი დანაშაულის შესახებ საქმეები მით უმეტეს „შეუვალი“ იქნებოდა მეფის მოხელეებისათვის. ასეთი ფართო მოცულობის იმუნიტეტი იშვიათი შემთხვევა იყო, მაგრამ იმუნიტეტი ამა თუ იმ მოცულობით ხშირად ეძლეოდათ ეკლესია-მონასტრებს. თუმცა ჩვენ მიერ მოყვანილი ძეგლის მიხედვით მეფის განცხადებას, რომ თავის მოსისხლე მტერსაც კი არ შემოსდევს მონასტრის სამფლობელოში, უნდა ეიფიქროთ, უფრო დეკლარაციული ხასიათი უნდა ჰქონოდა, რადგან ძნელი დასაჯერებელი, რომ ისეთი მძიმე საქმეები, როგორიც არის მეფის ღალატი, სალაროს გაძარცვა და სხვა, მეფის იურისდიქციიდან

ამოღებული ყოფილიყო, მაგრამ ეკლესია-მონასტრების ფართო ხასიათის იმუნიტეტის არსებობა მაინც ცხადია.

ასეთი მდგომარეობა, როცა ცალკეულ საფეოდალოებს სხვადასხვა მოცულობის შეუვალობა ჰქონდათ, აძნელებდა მეფის სასამართლო პოლიტიკის გატარებას. ისეთ საქმეებსაც კი, რომლებიც ამოღებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების ქვემდებარეობიდან და კარზე უნდა გარჩეულიყო, ადგილებიდან ფეოდალები მოპყვებოდნენ, რომ მონაწილეობა მიეღოთ ამ საქმეების გარჩევაში. ფეოდალები ვერ ურიგდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამ საქმეებში ჩარევას. მეფის ხელისუფლებას კი არ ჰქონდა სათანადო ძალა ფეოდალების ასაღაგმაედ და იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. მსხვილი ფეოდალის, დიდებულის და სარდლის ამილახვარის მისამართით მეფე წერდა: „თქვენი დროშის კაცნი უთქვენოდ ვერ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენის დროშის კაცს სასამართლო საქმე ჰქონდეს, ჩვენს კარშედ მოვიდნენ, თქვენც დახვებოდეთ და რასაც თქვენის სასარდლოს კაცს ლამქრობის ბარობაზედ მამულს წაეართმეოდეთ, ამასაც შემოგეკითხებოდეთ“. ამილახვარი, როგორც სარდალი, არ წარმოადგენდა გამონაკლისს: „რომლისაც დროშის კაცი გაიყრებოდეს, და ან დიდი ბჭობა და სამართალი იქნებოდეს, თაეისი სარდარი უნდა დაესწრებოდეს“. მართალია, კანონმდებელი აცხადებს, რომ „არას სარდარს სამართლად თაეის სასარდლოსთან ხელი არა აქვსთო“, მაგრამ სამაგიეროდ კარზე გასარჩევ სადროშოს საქმეებს ამ სადროშოს სარდალის ესწრებოდა. აგრეთვე „საღედოფლოს თაეადისა და აზნაურიშვილის გაყრაში დედოფლის სახლთუხუცესი მდივანბეგთან უნდა დაესწროს“. დედოფლის სახლთუხუცესი ამილახვარი და სხვა სარდლები, ალბათ, გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ და ეს წესი ვრცელდება სხვა დიდებულებზეც; უნდა ეიფიქროთ, რომ კათალიკოსის და სხვა მსხვილი ფეოდალების სამფლობელოების მიმართაც ასეთიეე მდგომარეობა იყო.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღენიშნოთ, რომ ზოგჯერ სარდლები გაყრის საქმეს თაეიანთ სადროშოში თეითონ არჩეულნენ. 1703 წლის ერთი სიგელის მიხედეით, მუხრანის მფლობელი ირაკლის სწერს, რომ მუხრანის საღრომოდან რაგიმეილებმა მიმართეს მას გაყოფისათეის. ირაკლი გამოცხადდა აღგილზე თავისი ამალით — აზნაურებით, არქიეპისკოპოს ქრისტეფორეს თანხლებით, მოახდინა გაყოფა და მიიღო ამისათეის ოთხი ყმა.

მდივანბეგის კომპეტენციასთან ჰქიდროდ დაკავშირებულია საკითხი იმის შესახებ, თუ ტერიტორიულად რა მოცულობის იყო მდივანბეგის იურისდიქცია, ე.ი. სამეფოს რა ნაწილზე აერცელებდა ის თავის ხელისუფლებას, ან სხვაგვარად რომ ეთქვათ, რამდენი იყო მდივანბეგი ქართლში ან სხვა სამეფო სამთავროში, განეიხილოთ ეს საკითხი პირველ ყოვლისა ქართლის სამეფოს მიმართ.

პირველი, რაც ჩეენს ყურადღებას იქცეეს, ის გარემოებაა, რომ როსტომ მეფის დროს ქართლის სამეფოში სულ ცოტა ორი მდივანბეგი მაინც ყოფილა. 1634 წლის ერთ სიგელში მოხსენიებულია მდივანბეგი ყაფლან ბარათაშეილი. ხოლო იმაეე როსტომის მეფობის პერიოდში მოხსენიებულია აგრეთვე მდივანბეგი როინ ჯავახიშეილი.

ყაფლანი მსხვილი ფეოდალი იყო და როსტომ მეფის დროს აქტიურ როლს ასრულებდა სახელმწიფოს ცხოერებაში. ის იყო სახლთუხუცესი და მდივანბეგი. ყაფლანის ასული იყო ვახტანგ V-ის მეუღლე.

როსტომ მეფის 1657 წლის ერთ სიგელში მოხსენიებულია „სახლთუხუცესი პატრონი ყაფლან“ და მისი შვილები: პაპუნა, ასლანგ, ვახტანგ, თამაზ და გიორგი. სიგელში ყაფლანის მეორე სახელო — მდივანბეგობა მოხსენიებული არ არის. სიგელი შეეხება თეითონ ყაფლანს, მას მამულებზე ედავებიან, საქმეს არჩევენ მეფესთან ერთად: „არაგეის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი, ციცეშვილი, ჯავახიშეილი, მდივანბეგი როინ და სულ ქართველნი დარბაისელნი“.

1646 წლის ერთი სიგელის მიხედეით სოლოღაშეილის დაეის შესახებ, მეფე როსტომის ბრძანებით „სასამრთლოდ“ დამსხდარან: „სახლთუხუცესი ციციშეილი, ბაგონი მანუჩარ, კიდეე სახლთუხუცესი ბარათაშეილი, ბაგონი ყფლან და მდივანი თუმანიშეილი პირთეელი“. ეფიქრობთ, რომ ყაფლანი აქ საქმის გარჩევის მონაწილეა, როგორც მდივანბეგი, ხოლო ეს მისი სახელო იმიტომ არ არის მოხსენიებული, რომ სახლთუხუცესი უღრო საპატიო და დიდი სახელო იყო, ვიდრე მდივანბეგი, საერთოდ კი ორივე სახელოს მოხსენიება აუცილებელი არ იყო.

ყაფლანი 1671 წელს გარდაიცვალა, ხოლო ერთ-ერთი მისი შვილი ვახტანგი 1676 წლის სიგელით ღებულობს მამის სახელოს — მდივანბეგობას, ამ სიგელში ვახტანგ V ვახტანგ ორბელიშვილის მისამართით წერს: მამათქვენსაც ქონებოდა ჩეენისა საბაგონოს ქართლის მდივანბეგობა, შენც ისე მოგეცი“. მაშასადამე, ვახტანგ მეფეე აღნიშნავს, რომ ორბელიშვილებს უწინაც ჰქონიათ ეს სახელო. ვახტანგ მდივანბეგის შესახებ ცნობებს გიორგი მეფის დროს ეხედებით. გიორგი XI აძლევს პირობას ვახტანგს, რომ მისგან „გასამყრელოს“ არ აიღებს. მეფე ასე მიმართავს ვახტანგს: „მდივანბეგო ვახტანგ“ სარდალი თამაში და „მდივანბეგი ვახტანგი“ პირობას ღებენ, რომ ერთმანეთის ერთგულნის იქნებიან. მდივანბეგი ვახტანგი მოხსენიებულია აგრეთე 1678, 1681, 1684 და 1685 წლის სიგელებში. მაშასადამე, ვახტანგ მდივანბეგის მოღეწეობა ძირითადად გიორგი XI მეფობით განისაზღერება. ამავე ხანებში ქართლის სამეფოში მეორე მდივანბეგიც ჩანს: 1689 წ. ერთი სიგელის მიხედეით მდივანბეგი ბარძიმი სწირაეს იოანე ნათლისმცემლის მონასტერს ყოველწლიურად 25 კოდ პურს, სამ საპალნე ღეინოს, 65 ლიტრა ზეთსა და ორ ლიტრა სანთელს. ბარძიმი იყო ძმა გიორგი არაგეის ერისთავისა. ერეკლე I

„კვალად დაადგინა კარისა თვისსა გამგეთ მსაჯულთუხუცესად ბარძიმ, ძმა გიორგი ერისთავისა“. რომის მისიონერის მოხსენებიდან ირკვევამ რომ ბარძიმი, რომელსაც კათოლიკური სარწმუნოება მიუღია 1689 წელს, დიდ დახმარებას უწევდა მისიონერებს თბილისში, რომ ის უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდა სამეფოში. მისიონერის მოხსენებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ბარძიმი მდივანბეგი იყო. ვახუშტის გადმოცემით, „ბარძიმი იყო ამაყი, თავხედი და არა რაინდ ვინმე ჩნდა“. ბარძიმსა და მის ძმას გიორგის გიორგი XI-ის წინააღმდეგაც უმოქმედიათ, მაგრამ, როდესაც ახალციხიდან მეფე გიორგი XI ისევ ქართლში დაბრუნებულა, მისულა თიანეთის, „არაკვის ერისთავი იყო გიორგი და ძმა მისი — მდივანბეგი მარძიმ, რა ჰსცნეს პატრონისა მათისა მოსვლა, გაიხარეს სიხარულითა“, და „მოეგებნენ ორივე წინ, სიხარულითა თაყვანისმისემენლი და ითხოვეს შენდობა“. ამ მერიგების შემდეგ გიორგი XI-მ „წარგზავნა ბარძიმ მსაჯულთუხუცესი იმერეთს მეუნეენად არჩილ მეფისად სპით“. იმერეთიდან დაბრუნებული ბარძიმი იბრძვის გიორგი XI-ის მხარეზე. ამ ბრძოლაში ის მოკლულ იქნა.

მაშასადამე, ჩვენ მოვიყვანეთ ვახტანგ ორბელიშვილის მდივანბეგობის შესახებ უკანასკნელი ცნობები 1685 წლისა, ხოლო ბარძიმის შესახებ პირველი ცნობა 1689 წლისა, როდის გარდაიცვალა ვახტანგი, არ ვიცით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება საკითხის ასე დასმა: 1) შესაძლებელია ვახტანგი გარდაიცვალა და ბარძიმმა დაიჭირა მისი სახელო; 2) ან კიდევ, ერეკლე პირველმა წაართვა სახელო გიორგი XI-ის მომხრე ვახტანგს და ბარძიმს გადასცა. ჩვენ ეფიქრობთ, რომ ბარძიმი და ვახტანგი ერთი და იმავე დროს იყვნენ მდივანბეგებად; ამათ გარდა შეიძლება კიდევ სხვაც იყო მდივანბეგად, მაგრამ მოყვანილი საბუთები მაინც არ არის საკმარისი ერთი და იმავე დროს ორი მდივანბეგის სახელოს არსებობის დასამტკიცებლად. მართალია, გიორგი XI-ის დროსაც, როცა ის ქართლში დაბრუნებულა ახალციხიდან, ბარძიმი მსაჯულთუხუცესად იხსენიება, მაგრამ ეს სახელო შეიძლება მას ერეკლე პირველისაგან მიეღო და, რადგან გიორგიმ ის შეირიგა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას ეს ჩამოართვა ბარძიმს ეს სახელო. ამის გარდა ვახტანგის მდივანბეგობის შესახებ უკანასკნელი ცნობა და ბარძიმის მდივანბეგობის პირველი ცნობა დაშორებულია ერთმანეთისაგან ოთხი წლით და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ ვიცით რა მოხდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქსნის ერისთავის ასულის მზითევის წიგნში, რომელიც ერეკლე I-ის დროს, 1692-1703 წლებში არის შედგენილი, მოხსენიებულია „მდივანბეგი, ბატონი პაატა“. ეს ძეელი ეკუთვნის ბარძიმის სიკვდილის შემდეგ პერიოდს და, როგორც ჩანს, მდივანბეგის სახელო ბარძიმის შემდეგაც ერისთავების ოჯახის წევრებს ჰქონიათ.

ვახტანგ ორბელიშვილის შემდეგ მდივანბეგობა მიუღია მის შვილს ერასტის. ვახტანგს რამდენიმე შვილი ჰყავდა: სულხანი (სულხან-საბა ორბელიანი), ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი, ნიკოლოზი, ბაალი, ზურაბი და დიმიტრი. ერასტი ვახტანგის-ძე მაის სახლოს ღებულობს ქართლის გამეის ლევანისაგან 1704 წელს. 1704 წლამდე ძეგლებში ერასტი ბოქაულთუხუცესის სახელოთი მოიხსენიება, სწორედ ისეევე, როგორც როინ ჯაეახიშვილი, რომელსაც მანამ, სანამ მდივანბეგი გახდებოდა, ბოქაულთუხუცესად იხსენიებენ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ვახტანგს მამის სახელო მაშინვე კი არ მიუღია, როცა ყაფლანი გარდაიცვალა, არამედ შემდეგ (ყაფლანი 1671 წელს გარდაიცვალა, ხოლო ვახტანგი მდივანბეგად 1676 წელს გახდა). ასეევ ერასტისაც, როგორც ჩანს, მამის სიკვდილის შემდეგ ჯერ ბოქაულთუხუცესობა მიუღია (მართალია, მდივანბეგის სახელო მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ აქ გამონაკლისსაც ჰქონდა ადგილი).

დაწყებული 1704 წლიდან ერასტი დმივანბეგის შესახებ ცნობები გვხვდება სისტემატიურად 20-25 წლის განმავლობაში: 1707, 1709, 1710, 1712, 1717, 1718 და 1727 წლებში. მაშასადამე, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა ქართლის გამგებლად ან მეფედ ვახტანგ VI, მისი ძმები და შვილი ბაქარი იყო, როცა შედგენილ იქნა „დასტურლამალი“, რომელშიც მოცემულია მდივანბეგის გარიგების წიგნი, მდივანბეგად ყოფილა ერასტი ვახტანგის-ძე, რომლის შესახებ მრავალი ცნობა არის შემონახული.

საქმე ისაა, რომ ცნობები ამა თუ იმ გვარისა ან სახელოების შესახებ შემგხვეეით არის ჩვენამდე მოღწეული. ამიგომ ზოგიერთი გვარის, სახელოს ან რაიმე ინსტიტუტეის შესახებ მრავალი წყარო მოგეეპოვება, ზოგიერთის შესახებ კი ნაკლები ან ძალიან მცირე. ან კიდევ სრულებით არაფერი. ამ თვალსაზრისით რომ მივუდგეთ მდივანბეგის სახელოს, მართლაც, ერთი შეხედვით XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ერასტი ორბელიანის გარდა სხვა მდივანბეგი არაეინ იქნება. ორბელიანები გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეების იყვნენ, მარგო სულხან-საბა ორბელიანი, სხვა ორბელიანებზე რომ არაფერი ეთქვათ, იმდენად დიდი პიროვნება იყო, რომ ყველას ყურადღებას იქცეედა.

საერთოდ, XVII-XVIII საუკუნეების ძეგლებში ორბელიანთა გვარის წარმომადგენლებზე მრავალი ცნობაა შემოხანული. ერასტი მდივანბეგი „დიდი ორბელის“ მთამომავლი იყო, ამიგომ ერასტის შესახებ ხშირად არის საუბარი ძეგლებში“ არა მარტო როგორც მდივანბეგზე, არამედ როგორც ორბელიანთა გვარის წარმომადგენელზე. ერასტი, სადაც კი არის ნახსენები, თითქმის ყველგან მდივანბეგად იხსენიება, მაგრამ უმრავლეს შემგხვეეაში ის საბუთები, რომლებიც ერასტის იხსენებს, სრულებით არ არის დაკავშირებული მდივანბეგის სახელოსთან, არამედ ორბელიანთა გვარის რაიმე საქმიანობას ეხება. ერასტი მდივანბეგი ორბელიანი რომ არ ყოფილიყო, მაშინ მის შესახებ ორი სამი საბუთი თუ გეექნებოდა. ამით ჩვენ იმის თქმა გეინდა,

რომ თუ მდიანბეგის სახელო ნაკლებად ცნობილ გეარებს ქონდათ, მაშინ მის შესახებ ცნობები უფრო ძნელი მსაძებნია და იშვიათი. მართალია, მდიანბეგის სახელო მსხვილ ფეოდალებს ჰქონდათ, მაგრამ ფეოდალებს შორის მაინც იყო განსხვავება.

XVII-XVIII საუკუნის ისტორიკოსები ძირითადად მეფეებისა და მათი ომების ამბებს აგეიწერენ; მდიანბეგის სახელო მათთვის არ წარმოადგენს განსაკუთრებული მსჯელობის საგანს, ხოლო სიგელ-გუჯრებში მდიანბეგების ოქმები, განაჩენი და გადაწყვეტილებები მცირე რაოდენობით არის შემონახული. ასეთი მცირე და შემთხვევითი ცნობების საფუძველზე სიფრთხილეა საჭირო რაიმე მოგადი ხასიათის დასკვნის გამოსაგანად, თუ ეს ცნობები ყოველმხრივ არ იქნა მესწავლილი და ერთმანეთთან შეჯერებული.

ჩვენ ვთქვით, რომ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მდიანბეგად იყო ერასტი ორბელიანი, მაგრამ, გარდა ერასტისა, ამ პერიოდშიე სხვა მდიანბეგიც ყოფილა. ამ საკითხზე ცნობებს ისევ ორბელიანების შესახებ წყაროებში ენახულობთ. როცა ეახუშტი ორბელიანი, ძმა სულხან-საბასი, გარდაიცვალა, ეახუშტის „გადასაბურაეად" ერასტი მდიანბეგის ოჯახში, სადაც იყვნენ ეახუშტის ობლები, სხვადასხვა პირს მიუგანია მრავალეგარი მიეთი. ამ „გადასაბურაეის" მომგანთა სიაში ჩამოთვლილი არიან ქართლის სამეფოს მაშინდელი მსხვილი ფეოდალები და მოხელეები და მათ შორის ერთ-ერთი მომგანი ყოფილა „მდიანბეგი ბანგუა". ამ მომგანთა სიაში აგრეთვე მოხსენიებულია მდიანბეგ ბარძიმის ცოლი, თვითონ ბარძიმი კი ამ დროისათვის ცოცხალი აღარაა.

ცხადია, მდიანბეგი ბანგუა, რომელსაც მდიანბეგ ერასტის ძმის გარდაცვალების გამო „გადასაბურაეი" მიაქვს ეარსკის ოჯახი, ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მდიანბეგია; სამწუხაროდ, სხვა ცნობები ამ მდიანბეგზე ჯერ-ჯერობით არა გვაქვს. სახელი ბანგუა იესე ოსესშვილის თაეგადასაეალში გეხვდება, გიეი ამილახეარი იესეს მწყალობელი ყოფილა „ბანგუას" გამო. იესეს ბანგუას შესახებ ხშირად აქეს საუბარი. ბანგუა ყიეი ამილახორის ცოლი იყო, მამასადამე, „თაეგადასაეალში" ბანგუა ქალის სახელია. მდიანბეგი ბანგუა, რომელზეც ჩვენ ზემოთ მიეუთითეთ. რასაკეირეელია, მამაკაცია: ასეთი შემთხვეევა, როცა კაცისა და ქალის სახელი ერთია, ხშირია.

არის სხვა საბუთიც XVIII საუკუნის პირეელ მეოთხედში ერასტი ორბელიანის გარდა სხვა მდიანბეგის არსებობის შესახებ. 1723წლის ერთი სიგელით მდიენის ყმას ცხილეანელს სიდამონიძეს დემეტრეს". მამასადამე, 1723 წელს მარგიროზიშეილი მდიანბეგეა ყოფილა, რომ ამავე დროს ერასტი ორბელიანიც მდიანბეგეი იყო, ეს უკეე ეიცით.

1685 წლის ერთ საბუთში გიორგი XI მანშეან მარგიროზიშეილის მისამართით წერს: „...მოეიხსენეთ ხეეწნა და აჯა... თქეენ ჩეენისა დიდათ ერთეულისა... თაედადებით ნამსახურსა კარის ჩეენისა მდიენისა მანშეან მარგიროზიშეილის ბეგთაბეგისა". მარგიროზიშეილები მდიენები ყოფილან. მარგიროზიშეილის მდიენობა სხეა საბუთებშიც გეხვდება. საქართეელოს სამოხელეო წყობილებაში მდიენს ბეერი საერთო ჰქონდა მდიანბეგთან. XVIII საუკუნეში მდიენის სახელოს მქონე ხშირად მდიანბეგობას აღწეევს (იესე ოსესშეილი, სოლომონ ლეონიძე). ასეთ შემთხვეევასთან გეაქეს საქმე აქაც. მარგიროზიშეილებს მდიენობის სახელო ჰქონიათ და მდიანბეგობის სახელომდისაც მიუღწეეიათ.

ყოველივე ამის შემდეგ სრულიად გასაგებია, როცა „დასტურლამალში" მდიენების შესახებ პარაგრაფში ჩვენ ეხვდებით ასეთ გამოთქმას: მდიენებს ერგებათ „მდიანბეგებთან სამდიანბეგოს მესამედი", ცხადია, კანონმდებელს ქართლის სამეფოში რამდენიმე მდიანბეგი მაინც ყაეს ნაგულისხმეეი.

რაც შეეხება თვითონ მდიანბეგის გარიგებას, რომელიც „დასტურლამალშია" მოცემული, იქ ლაპარაკია მხოლოდ ერთ მდიანბეგზე – ერასტი ორბელიანზე, და სხეანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მდიანბეგის შესახებ ეს პარაგრაფი მთლიანად წარმოადგენს ლეეან მეფის წყალობის სიგელს ერასტი ორბელიანისადმი, და როგორც სიგელს შეეფერება, ის ისეთიეე ფორმით არის შედგენილი და ისეეე უცელესად „დასტურლამალში" შეგანილი.

ღოც. მ. მესხია სწორედ შენიშნავს, რომ ეახტანგ V-ის წყალობის სიგელში ეახტანგ ორბელიანისადმი ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი „მდიანბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშეილოსა, სომხითისა და თათრისა". ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მდიანბეგობა ასეეე იყო განაწილებული ამ შემთხვეევაში, შესაძლებელია, ეახტანგ V-მ გააერთიანა ეს სახელოები ერთი პირის ხელში. მაგრამ ქართლის სამეფო ჩამოთვლილი აღგილებით არ ამოიწურებოდა და მამასადამე, სხეა მდიანბეგების არსებობა მაინს გამორიცხული არ იყო. ამის საფუძველზე ლ. გეახარია სრულიად სამართლიანად ასკენიდა, ქართლის სამეფოში რამდენიმე მდიანბეგის არსებობას.

ზემომოყვანილ სიგელში ეახტანგ მეფე ეახტანგ ორბელიშეილის მისამართით წერს: „მამა თქუენსაც ჰქონებოდა ჩუენის საბაგონოს ქართლის მდიანბეგობა და სამართლის ქნა" და თქეენც ასე მოგეცითო". „ჩეენის საბაგონოს ქართლის მდეაბეგობა" ხო მარ ნიშნაეს, რომ ეახტანგი არის ერთადერთი მდიანბეგი ქართლის სამეფოში? – არა, შეიძლება მრავალი მდიანბეგი ყოფილიყო და თითოეულ მათგანს ქართლის სამეფოს მდიანბეგის" სახელწოება ეტარებია.

სამთავისის საყდარში იესე მეფის ქალის საფლაეის წარწერაში აღნიშნულია, რომ მისი მეუღლე იყო „ქართლის მსაჯული საპასეგი ამილახვარი იესე". წარწერა დათარიღებულია 1790

წლით. ამავე საყდარში დასაფლავებულია თეითონ „სარდარი ამილახვარი მდივანბეგი იესე“, რომელიც 1787 წელს გარდაიცვალა. ჩვენ კი ვიცით, რომ ერეკლეს დროს მდივანბეგის რიცხვი ცამეტზე მეტი იყო. მამასადამე, ცხადია, „ქართლის მსაჯული“ იესე ამილახვარი არ იყო ქართლის ერთადერთი მდივანბეგი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ ესმოდათ მაშინ „ქართლის საბაგონო“ ან „ქართლი. საინტერესოა ამ მხრივ ერეკლე II-ის 1778 წლის ერთი ბრძანება: „ჩვენი ბრძანება არის ჭურთის მოხელეე ილურიძეე, ხარაჯაე კობაძეე, ბუჯიაშეილო ნაცეალო, გარემემოს მოურაო რუსიგაშეილო და ჯაბანაშეილო და ერთობით ოსნო და ქართველნო! მერე ჩვენ ქსანი და ლიახეი ორისაე წილი ჩვენს სახასოთ დაეღევით. თქვენთან სხვას არას კაცს ხელი აღარა აქვს. რაც როსტომ ერისთავს თავის მამის წილი ერგებოდა, ჩვენ გვერდის ძირზე და ქართლში მიეეცით და თუ იმისთეის სხვა მამულის მიცემა გვენებება, სხვას მიესცემთ“. გამოდის, რომ ქსნისა და ლიახვის ხეობას ერეკლე II ქართლის გარეშე იგულვებს. რაგომ არ შეიძლებოდა, რომ ვახტანგ მეხუთესაც ამ გაგებით ეხმარა „ქართლი“.

ზემოთქმულიდან შემდეგი უნდა დავასკვნათ: 1. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქრთლის სამეფოში XIII საუკუნის პირველი მეოთხედში სამზე ნაკლები მდივანბეგი არ ყოფილა. მაგრამ შესაძლებელია მეტიც იყო.

2. XVII საუკუნეში ქართლის სამეფოშიც რამდენიმე მდივანბეგის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ. საფიქრებელია, რომ მდივანბეგის სახელოს შემოღების პერიოდში, როდესაც ფეოდალური სქართველოს პოლიტიკურად დაყოფის საკითხი საბეგო-სამთავროებად ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო იმ სახით, როგორადაც ჩვენ ვხედავთ მას XVII საუკუნის მეორე ნახევარში, მდივანბეგის სახელო ადგილების მიხედვით იყო გათვალისწინებული.

დამახასიათებელია, რომ დაეით ბაგონიშვილის პროექტითაც ქალაქისა, სომხითისა და თათრის მდივანბეგი ცალ-ცალკეა გათვალისწინებული.

თაეის მრომაში საქართველოს სამართლის ისტორიიდან დაეით ბაგონიშვილს საინტერესო ცნობები აქეს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართ-კახეთის სამეფოს მდივანბეგების მესახებ: 1) მდივანბეგს ნიშნავს მეფე; 2) მდივანბეგები არიან კახეთის, ქართლისა და სომხითის უპირველესი თაეადებისაგან; გარდა ამისა, არის კიდეე თათრის მდივანბეგი. მდივანბეგები არიან: თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ხოლო თათრების მდივანბეგები — ყაზახში, შამშადილსა და ბორჩალოში.

დაეითის გადმოცემით, თათრების გარდა სხვა მდივანბეგები უეჭველად ბერძნული წესის ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ. „სომხები არაეითარ შემთხვეეაში მდივანბეგებად არ უნდა იყუნენ“, რადგან ისინი ეაჭრები არიანო.

მდივანბეგებს მორის თბილისის მდივანბეგი უპირველესია.

მდივანბეგის სასამართლოს ექეემდებარება ყეელა მნიშნელოვანი სამეფო საქმე როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის. მდივანბეგებს ენდობათ სახელმწიფო საიდუმლოება. აღსანიშნაეია ის გარემოება, რომ დაეით ბაგონიშვილის შრომის თანახმად მდივანბეგი, რომლის მესახებ დ. ბაგონიშვილს საუბარი აქეს როგორც თაეის სამართლის წიგნის პროექტში, ისე შრომაში — ქართული სამართლის ისგორიიდან. არ არის მდივანბეგების იმ სიებში, რომლებიც დღე. მ. მესხიას „მასალებშია“ გამოქეეყნებული. მესაძლებელია ქართლ-კახეთში მცხოერებ თათრული მოსახლეობის მდივანბეგს სხეა სახელი ჰქონდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „დასგურლამალის“ მიხედეით ქართლში მომთაბარე ელის სასამართლოს საქმეებს ეალიაღასი არჩეედა.

დაეით ბაგონიშვილის შრომის მიხედეით მდივანბეგებს შორის უფროს-უმცროსობა ყოფილა: თბილისის მდივანბეგი პირეელ მდივანბეგად ითელებოდა. თუ რა მინაარსი ჰქონდა ამ უფროსობას, დ. ბაგონიშვილი ამის მესახებ არაფერს ამბობს. თბილისის მდივანბეგის უპირატესობა სხეა მდივანბეგებთან შედარებით იმაში გამოიხატებოდა. რომ თბილისის მდივანბეგის სახელმწიფო საბჭოს წეერი იყო. გარდა ამისა, თბილისის მდივანბეგს, მესაძლებელია, ეგი შემოსაეალი ჰქონოდა, ეიდრე სხეა მდივანბეგებს. ყეელა ამის გამო თბილისის მდივანბეგობა უფრო საპაგიო უნდა ყოფილიყო. ამ მინაარსით უნდა გაეიგოთ დაეით ბაგონიშვილის გამოთქმა, რომ თბილისის მდივანბეგი უმფროსი იყოო; სხეა მხრივ თბილისის მდივანბეგობის უფროსობა არ ჩანს. არ არის საფიქრებელი, რომ მდივანბეგებს მორის იერარქიული დამოკიდებულება ყოფილიყო. მდივანბეგები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და ყეელანი მეფეს ემორჩილებოდნენ.

აგრეთეე დ. ბაგონიშვილს არა აქეს ახსნილი, თუ რას ნიშნავს მისი გამოთქმა, რომ მდივანბეგებს სახელმწიფო „საიდუმლოება ენდობოდათო“. ალბათ, ავტორს მხედეელობაში აქეს ის გარემოება, რომ თბილისის მდივანბეგის გარდა სამეფო საბჭოში დანარჩენი მდივანბეგები არ შედიოდნენ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლაშქარნივისი და მუშრიბი მელიქიშეილი ერეკლე II-ის მიერ „დიდრო საქმეებში“ შეუყვანია „მწერლობით“.

დაეით ბაგონიშვილის შრომის მიხედეით მოურავს უფლება აქეს ერთგეარი რეეიზია გაუკეთოს მდივანბეგის მუშაობას. მოურავი ეერ შეცვლის მდივანბეგის განაჩენს თუ გადაწყეეტილებას, მაგრამ მეფესთან გასასჩერებს და ამით შეაჩერებს მდივანბეგის განაჩენისა და გადაწყეეტილების სისრულეში მოყეანას. ჩვენი აზრით, ეს სინამდეილეს არ უნდა

შეეფერებოდეს. ყოველ შემთხვევაში, დავითის ეს ცნობა (მოურავისა და მდივანბეგის დამოკუდებულების შესახებ) ჯერ-ჯერობით სხვა წყაროებით არ მტკიცდება.

სასამრთლოს ხაზით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ცვლილება მოხდა „მსაჯულთა მეკრებულობის დაწესებულების" ჩამოყალიბებით.

მეფე ერეკლე მდივანბეგების სასამართლოს „საქართველოს მსაჯულთ მეკრებულობას" უწოდებს. „მსაჯულთ-მეკრებულობა" ამ ძეგლში შემთხვევითი გამოთქმა კი არ არის, არამედ ასეთი სახელწოდება სხვა სიგელებშიაც გვხვდება. 1784 წლის ერთი განჩინების წიგნში ეკითხულობთ: „...ხელმწიფეს პატრონს მამა-ჩვენს ამათი სამართლის განსჯა მათის ძის გიორგისათვის და საქართველოს მსაჯულთ მეკრებულებისათვის ებრძანა". ან კიდევ: „ჩვენ ყოველისავე საქართველოისა მეფემან ირაკლი მეორემან, ჩუენთან ეიახელით საქართველოს მსაჯულთ მეკრებულებანი" და გაეარჩიეთ საქმეო. „ჩვენ ბატონიშვილმან ვახტანგ, ჩვენთან საქართველოს მსაჯულთ მეკრებულების თანდასწრებით" საქმე გაეარჩიეთო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით „მსაჯულთ-მეკრებულების" დაწესების შემდეგ, მდივანბეგის რაოდენობამ იმატა. გიულდენშტედტი, რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში მოგზაურობდა საქართველოში, აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ოთხი მდივანბეგი იყოო. დავით ბატონიშვილს თავის პროექტში ქართლ-კახეთის სამეფოსათვის 8 მდივანბეგი ჰყავს გათვალისწინებული: ქართლში – 2, კახეთში – 2, ქალაქში – 2 და სომხითში – 2.

1793 წლის სისხლის სამართლის საქმეზე ერთ განაჩენს ექვსი მდივანბეგის ბეჭედი უზის. მაგრამ მდივანბეგების რაოდენობა კიდევ მეტი ყოფილა. ამჟამად მდივანბეგების რაოდენობის შესახებ უფრო ზუსტი ცნობები არსებობს. დოც. მ. მესხიას მიერ გამოქვეყნებულ მდივანბეგთა სიის მიხედვით თეიმურაზ-ერეკლეს დროს შეიღი, ხოლო ერეკლე II-ის დროს ცამეტზე მეტი მდივანბეგი ყოფილა.

გიორგი XII-ის დროს მდივანბეგების რაოდენობაში რაიმე ცვლილება არ უნდა მომხდარიყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქ თბილისისათვის ცალკე ყოფილა გამოყოფილი ორი მდივანბეგი. საერთოდ, მდივანბეგების რაოდენობა XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

ჯვინაფეოდალურ საქართველოში სხვა სამეფო-სამთავროებშიც მოსამართლეებად მდივანბეგები იყვნენ. მაგრამ თითოეულ სამეო-სამთაოროში მათი რაოდენობის შესახებ, სათანადო წყაროების უქონლობის გამო, გარკვეული არაფრის თქმა შეიძლება.

მცირემნიშნელოვან საქმეს მეფე ერთ რომელიმე მდივანბეგს მიანდობდა, რომელიც ამ საქმეს მსაჯულთან და მდივანბეგთან ერთად გაარჩეედა. 1762 წლის ერთი გადაწყვეტილების მიხედვით თუმანიშვილის და გასპარაშვილის დავა მეფემ მდივანბეგ ციციშვილს მიანდო: „საქართველოს მეფეს ირაკლის ამათი სამართალი ჩვენთეის ებრძანებინა. ჩვენ მდივანბეგებმა ციციშვილმა ფარსადან, ამათი საჩივარი გაესინჯეთ", – წერს მდივანბეგი. გადაწყვეტილებას სამი ბეჭედი უზის: მდივანბეგ ფარსადან ციციშვილის, მდივნის ელიშერის და მესამე ბეჭედი სასამართლოს მესამე წევრისაა. მეფე ამ გადაწყვეტილებას „მდივანბეგების" გადაწყვეტილებას უწოდებს: „ქ. ჩვენ მეფემ ირაკლიმ ამ განაჩენს ასე ვამტკიცებთ, როგორადაც მდივანბეგებს ეს განაჩენი დაუწერიათ". როგორც სხვა ადგილას აღვნიშნავდით, მდივანბეგების განაჩენსა და გადაწყვეტილებას მეფე ამტკიცებდა. რომელი საქმეც უნდა გაერჩია სასამართლოს – სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქოსი, მას გამოპქონდა „განაჩენი". ტერმინი „განაჩენი" საერთო იყო ყველა საქმისათვის.

სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს მოჩიეარი და მოადი ეწოდებოდა. მოჩიეარი სისხლის სამართლის საქმეების ბრალმდებელსა და სამოქალაქო საქმეების მაძიებელი ეწოდებოდა, ხოლო მოადი სისხლის სამართლის საქმეების ბრალდებულსა და სამოქალაქო სამართლის მოპასუხეს. სასამართლოსადმი მიმართეას საქმის აღსაძერელად, ამ მიმართეის ჩამოყალიბებულ ფორმას საჩივარი ეწოდებოდა.

პროცესი იყო შეჯიბრებითი, სასამართლო პროცესის დროს მხარეები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, თუ ისინი ფეოდალური ეერარქიის ერთ საფეხურზე იდგნენ. სასამართლო მოისმენდა მხარეების ჩვენებას, გასინჯავდა მათ მიერ წამოყენებულ საბუთებს. შეამოწმებდა საბუთების სისწორეს, დაკითხავდა მოწმეებს, მოახდენდა ადგილობრივ დათვალიერებას და თუ საჭირო იყო, მოიწვევდა ექსპერტსაც.

სასამართლო სახარო იყო. პროცესი უშუალობის პრინციპზე იყო აგებული. 1785 წლის ერთი სიგელის მიხედეით, როდესაც სადავო საქმის გასარჩევად მდივანბეგები და ეპისკოპოსები შეიკრიბნენ, გასარჩევ საქმესთან დაკავშირებით საჭირო იყო იორდანესშვილის ქერიეის დაკითხვა, ამიტომ „ის ქვრიეიც წამოაყენეს და ალაპარაკეს, თითომ მდივანბეგებმა წიგნები დასინჯეს და სასმენელად ყოველთა წარიკითხეს".

მოსამართლის პირად თვისებებს დიდ მნიშვნელობას აძლევს კანონმდებელი. „მოსამართლე დიდათ მხხრეელი, მიმხღური და გამომძიებელი, გონებააუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონი, საჩიერის ყურის მიმგდები, გამსინჯავი... მოჩიერის მოადის მომცდელი, სხვისა მკითხველი... თუ მოსამართლე სამართალში სხვას რასმე საქმობს და მოჩიერის საჩიეარს ყურს არ უგდებს, საჩიეარში ჯაერობს და მოჩიეარს უწყრების, იმასაც საჩიეარს დააკარგვინებს და ეერცარას

თითონ მიხუდების და უსამართლოს მოუა. იქნების მის ალაგს ჯაერიც უნდოდეს ან ქურდსა ან ავაზაკსა ან ტყუვილის მთხრობელს და ან ტყუილის მოწამეს მაგით აჩვენოს, რომე მით გასტეხოს, ან ტყუვილი არ ათქმევინოს, მარგო მოჩივარს სამართალი არ უნდა უყოს, მეორეც დაიბარის, ორივე ერთად ალაპარაკოს მოწმეთ, კითხვით და გამოძიებით, მათის საჩიერის მართლად შეტყობას ეცადოს, არც ფიცხლავ სამართალი ქნას, უნდა ორჯერ სამჯერ, ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე ალაპარაკოს... მოსამართლე თუ ან ქრთამით ან მოყუსობით, ან მუსაიბობით, განა შიმით ანუ სიყვარულით და ან მგრობით ერთ მეორეზედ მიუდგება არ იქნების. არც სამართალი მოხდების".

მეუე ერეკლე II მდივანბეგობის სახელოს ბოძების სიგელში აღნიშნავს ბარათაშვილის მისამართით: „როგორადაც მდივანბეგის წესი არის, ისე უნდა სისწორით სამართლობდე.. ეიცოდით შენი გონება, რომ სისწორით მოიქცევი და სამართალსაც კარგად მიხუედები".

იოანე ბაგონიშვილის სიტყვით, მდივანბეგი „უნდა იყოს სარწმუნო კაცი და მამულის ერთგული; მეორე — დიდი კაცის შვილი, რომ არავისი ეშინოდეს; მესამე — სწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არ ქნას რა; მეოთხე — მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს; მეხუთე — პირუთვნელი; მეექვსე — ჭკუანი; მეშვიდე — არა ქრთამის მოყვარე; მერვე — საზოგადო გულის, რომ თვის მონათესავეს, მეკობარს არ მიუდგეს და იმის მხარე არ დაიჭიროს სამართალი; მეცხრე — ღვთის მოყვარე". აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იოანეს სიტყვით, მოსამართლე „დიდი კაცის შვილი" და მდიდარი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ მდივანბეგის სახელო საპატიო და შემოსაელიანი იყო, ზოგიერთი ძეგლის მიხედვით, თითქოს, ის პირეელხარისხოვანი სახელოდ მაინც არ ითვლებოდა. ერეკლე მეორე მდივანბეგობის სახელოს უწყალობებს ბარათაშვილს და თანაც დასძენს: „სხვა უფრო უდიდესი სახელო უნდა გბოძებოდა, მაგრამ ამ ხანად სხვა შენი შესაფერი სახელო არ იყორა ძირს ამ მდივანბეგობის მეტი". შესაძლებელია, მდივანბეგის სახელოს მნიშვნელობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ცოტათი დაეცა, როცა მდივანბეგები მეტად გამრაველდნენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ მდივანბეგობას ძეგლებში „საბრძნო ხარისხი" ეწოდებოდა. მდივანბეგი კი „ბრძენი" და „საფილოსოფოსოთა წესითა აღჭურვილი" უნდა ყოფილიყო. როდესაც თეიმურაზ მეორე ირანში იმყოფებოდა, „ებოძა იქიდამ... ორბელიანისათვის მდივანბეგობა ქართლისა, მეუე ერეკლემაც ბრძანებისამებრ მამისა და აღახარისხეს დალიჭასა საბრძნოსა და მისცეს სასწორი სიმართლის, ეითამც იოანე საფილოსოფოსოთა წესითა აღჭურვილ იყო და კიბეთა ბრძანებისათა აღმხდარ იყო და ქართლშიაც უბრძნე და უმცოდნე არავინ იპოვებოდა, დაუმტკიცეს ესე საბრძნო ხარისხი და საზომისაებრივე არა დაიაღებდა მეცნიერად ყოველთა მოკებებასა სამართლისასა".

მდივანბეგის ასეთი დახასიათების შემდეგ ძნელი წარმოსადგენიცაა, თუ რომელი სახელო შეიძლებოდა მდივანბეგზე უფრო საპატიო ყოფილიყო; მხოლოდ სახლთუხუცესის სახელო აღემატებოდა მდივანბეგს მნიშვნელობის მიხედვით, სხვებზე კი მდივანბეგის სახელო მაღალ იფგა. ამიგომ ერეკლე II-ის სიგელის ის ნაწილი, რომელიც შემოთ მოეიყვანეთ, უფრო ღეკლარაციული ხასიათისა უნდა იყოს, დასაჩუქრებულის მოფერების თვალსაზრისით დაწერილი.

მდივანბეგის სახელო, ისე როგორც ფეოდალური საქართველოს სხვა სახელო, მემკეიდრეობით გადადიოდა, მაგრამ ზოგ შემთხეევაში გამონაკლისსაც ჰქონდა ადგილი.

ვინაიდან მდივანბეგის სახელო დიდად შემოსაელიანი და საპატიო თანამდებობა იყო, ამიგომ ეს სახელო ყოველთვის მსხვილ ფეოდალებს ჰქონდათ. მაგალითად, XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში ეს სახელო მსხვილ ფეოდალთა გვარს — ორბელიანს ჰქონდა. ამ თანამდებობის შესრულებას, გარდა დიდი გვარისა, სათანადო ცოდნაც ესაჭიროებოდა. მდივანბეგი ორბელიანი თავის ერთ-ერთ შვილს ბრდიდა მდივანბეგის სახელოსათვის, აძლეედა მას სათანადო განათლებას. მდივანბეგ ვახტანგ და ერასტი ორბელიანების ოჯახი ცნობილი იყო როგორც ფრიად განათლებული ოჯახი. ორბელიანებმა XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა დარგის გამოჩენილი მოღვაწეები მისცეს საქართველოს. სულხან-საბა ორბელიანი მდივანბეგის შვილი იყო და მისი ძმაც მდივანბეგი იყო. ორბელიანებს ყველა პირობა ჰქონდათ, რომ მდივანბეგობის სახელო არ დაეკარგათ. იესე ოსესშვილი წერს, რომ, როცა მას მდივნობის სახელო დაუბრუნეს, ძალიან გახარებული იყო. შეიძლება ჩემმა შვილებმა შესძლონ ამ სახელოს ჩემს შემდეგ მიღებაო: „ეგების ერთმაც არის შვილმა შეიძლოს სამკვიდრო სახელოა და კარგი მდივნობა ბაგონის მახლობელი და ეგების ბაგონს მიეახლნენ. ჩემს უკან ამა კი მისცემენ ჩემს შვილებს და მდივანბეგობას ვინ მისცემსო".

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მრავალი მდივანბეგია, ეს თანამდებობა მაინც მსხვილ ფეოდალებს ეჭირათ. სოლომონ ლეონიძე წარმოშობით არ იყო დიდი გვარის, მაგრამ შემდეგში, მდივანბეგობის სახელო რომ მიიღო, თავადიშვილად იწოდებოდა.

მდივანბეგს, როგორც მმართველობის ცენტრალური აპარატის დიდ მოხელეს და მსხვილ ფეოდალს, ზოგჯერ, სასამართლო ფუნქციის გარდა, სხვა საქმიანობაც ევალებოდა; მაგალითად: საჭიროების დროს ის მეიძლებოდა ლაშქრის მონაწილე ყოფილიყო, — მდივანბეგის ლაშქარი მოეიდაო, ეკითხულობთ საბუთებში. მდივანბეგს თავისი კაცები ჰყავდა, რომლებიც მის ამალას შეადგენდა და მის ბრძანებას ასრულებდა. კათოლიკეთა სარწმუნოების მისიონერი თავის მოხსენებაში რომის პაპს თბილისიდან წეს, რომ, როცა სომხები თავს დაესხნენ კათოლიკეთა

ეკლესიას თბილისში, ამ დროს შემთხვევით მიღიოდა მღივანბეგი თავისი კაცებით და თავდამსხმელები გარეკაო.

ასეთია, საერთოდ, მღივანბეგის სახელო და მისი ფუნქციები გვიანფეოდალურ საქართველოში.

ისტორიული განვითარების ამ საფეხურზე სასამართლო ფუნქცია უმუალოდ ხელთ ჰქონდა ფეოდალთა კლასს. ამიტომაც სასამართლო საქმეების დიდი უმრავლესობა მემამულეთა ხელში იყო თავმოყრილი და, ცხადია, ისინი ცავიანთი ყმების მოსამართლეებად გამოდიოდნენ. შეჯიბრების პრინციპზე აგებული სასამართლო პროცესი მხოლოდ ფეოდალთა კლასისათვის არსებობდა.

მღივანბეგი ფეოდალთა კლასის ინტერესების სადარაჯოზე იდგა. სასამართლოს მაღალი გადასახადების გამო მშრომელთა მასებს ხელი არ მიუწვდებოდათ მღივანბეგის სასამართლოზე და უმეტეს შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის საქმეებს, როგორც აღვნიშნეთ, თეით მემამულეები არჩევდნენ. თუ მემამულეთა კომპეტენციიდან ზოგიერთი მსხვილი საქმე ამოღებული იყო და ასეთ შემთხვევაში მშრომელთა საქმეები მღივანბეგების სასამართლოში მოხვდებოდა, ექსპლოატირებულ მასებს აქ წინ ელობებოდა მთელი რიგი სერიოზული დაბრკოლება, ვინაიდან სასამართლოს წინამე ისინი საესებით უუფლებონი იყვნენ.

5. ხევისთავი. ხევისთავი სიტყვა-სიტყვით ხევის უფროსს ნიშნავს; პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ხევი გეოგრაფიული ცნებაა, ხევი საფუძლად დაედო ადმინისტრაციულ დაყოფასაც. ამის მიხედვით ხევისთავი განსაზღვრული ადმინისტრაციული საგამგეო ერთეულის უფროსი უნდა იყოს, მართლაც, ხევისთავი, როგორც ადმინისტრაციული ფუნქციებით აღჭურვილი ადგილობრივი მოხელე, განსაზღვრული საგამგეო ერთეულის უფროსი, წყაროებში დამოწმებულია საქართველოს მთიანეთისათვის. მაგრამ ხევისთავის სახელოს, რომელსაც ახლა ვეხებით, ასეთი მნიშვნისი არ ჰქონდა. ეს კია, რომ ხევისთავი ადგილობრივი მოხელე იყო. ისტორიული თანმიმდევრობით ხევისთავი წინა პერიოდის „მპარაეთ მძებნელის“ და ცოტა უფრო მემდგომი პეიოდის „მეეობართ მებნელის“ მონაცვლე უნდა იყოს. გიორგი III-ისა და თამარ მეფის სიგელებში დამოწმებულია „მპარაეთ-მძებნელობის“ ინსტიტუტი. გიორგი III-ის 1170 წლის ეეთ სიგელში „სამპარაეთმეძებლო“ გადასახადია დასახელებული. ამაეე სიგელში „მპარავთმეძებელნი“ იხსენიებიან. თამარ მეფის 1202 წლის სიგელში მოხსენიებული არიან „მპარაეთმეძებელნი“, 1451 წლის ერთ ძველში მოხსენიებულია „მპარაეთმეძებარი“, 1529 წლის საბუთში – „მპარაეთმძიებელი“, ხოლო სეიმონ მეფეს 1590 წელს მეკობრისმძებელის დებულება აქვს გამოცემული.

XVIII საუკუნის დასაწყისში ერთი სიგელის მიხედვით სარდალი ლუარსაბი და მისი ძმები – ოთარი, მაუჩარი და რეეაბი თაეიანთი რძლის ანახანუბის მისამართით წერენ: „...სანამდი თქენ ცოცხალი ბრძანდებით, სოფელი შინდლარა და მუხლარას სამეკობრო მოგეირთმეეია თქენდა სასამსახუროთ, ღმერთმა სიკედილი გამოროს, და მსუკან როგორც ჩვენში ძმობა არის და პირობა, იმ რიგად გარიგდეს და ჩვენგან ეს არ მოგემალოს“.

როსტომ მეფის 1651 წლის წყალობის სიგელში მოხსენიებულია „ქურდის მძებნელი“ და „სამეკობრო“. მეფე ეკლესიის მისამართით წერს: „თქვენი საყდრის ყმას არა ეთხოებოდეს ერთის ლაშქარ ნაღირობისა და საურისაგანაც არ გეთხოოს და ვერც ქურდის მძებნელთან ხელი დაიდვას რა რიგადაც ძუელს გუჯარში ეწეოდეს... აგრეთე რა რიგადაც ამას წინად ხელმწიფეთაგან სახელისა ღვთისა მშობლის მამულისაც ნამეკობრიეი შესჩენოდეს და მისი ჯურუში საყდარს შესწეოდეს. ჩვენც იმავე წესით დაგვიმტკიცებია სამეკობრო, რაც წესი იყოს პატრონს უნდა რომე მიეცეს და თუ სხეის კაცის ნამეკობრეეს საყდრის ყმაზედ გამოჩნდეს, ერისთაეის ორ პატრონს უნდა რომე მისცენ და სხუა რაც საბღაური გამოეიდეს, ისიც საყდარს უნდა რომე მიართონ“. სწორედ ამ „მპარაეთმძებნელის“ და „მეეობრეთმძებნელის“ მონაცულეა ხევისთავი.

ხევისთაეის თანამდებობას აქვს როგორც საგამომძიებლო, ისე სასამართლო ფუნქციები. ხევისთავის თანამდებობაში, უეჭველია დიდად მნიშვნელოვანია მისი საგამომძიებლო ფუნქცია – დამნაშავის დევნა-აღმოჩენა. „დასტურლამალში“ კანონმდებელი წერს: „ ხევისთავმა როგორც ისამართლოს იმის სამართლის წიგნს მიესცემთ“. მისეა თუ არა კანონმდებელმა ეს წიგნი, ჩვენ არ ვიცით; ასეთ წიგნს ჩვენამდე არ მოუღწევია; მაგრამ სასამართლოს ფუნქცია რომ ხევისთავეს ჰქონდა, ეს ცხადია.

„დასტურლამალის“ მიხედვით ხევისთაეის ფუნქცია ქურდების დევნაში გამოიხატებოდა: ხევისთავმა და მისმა მხლებლებმა „თუ ქურდი იპოვნონ, იმ სოფელში ქურდ ჩაუდგნენ, თორემ გაეცალოს“. „ქურდი“ წყაროებში უფრო ფართო ცნებად ჩანს, ეიდრე ღღეს ჩვენ გვეჩვენებს. ქურდი, საერთოდ, ბოროტმოქმედს ნიშნავს, მაგრამ ხევისთაეის ფუნქცია ასე ფართო ხასიათისა არ უნდა იყოს და მას, როგორც ირკვევა, მაინცდამაინც მხოლოდ ქურდების დანამაულის საქმეების ექვემდებარებოდა.

როგორც ვთქვით, გიორგი III-ის მპარაეთმძებნელი სეიმონ მეფის მეკობრისმძებნელის წინამორბედი იყო. სეიმონ მეფის ეს სიგელი 1590 წელს არის შედგენილი. სეიმონ მეფე, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს მეკობრისმძებნელის სამოქმედო ტერიტორიას: „დიღომისა ზედათნო, მტკუარ გამოღმართნო ვიდრე ხევამდე... თქენდა მეკობრის მძებნელად ჯავახიშვილი გოშფარ და

ლარაბე ყარაიგთ გამოგუიგზავნია“, – ასე მიმართავს მეფე განსაზღვრული ტერიტორიის მოსახლეობას, რომელიც მის მიერ გაგზავნილ მეკობრისმძებნელს უნდა დაემორჩილოს. მეკობრისმძებნელები ვალდებული იყვნენ მხოლოდ მეფის „ნაბრძანები და დანაწესები“ შეესრულებინათ, ხოლო რაც მეფისაგან „ნაბრძანები არ იყოს, მის მეტი ძალი და უსამართლო არავის უყონ“. ამასთან, ყველანი ვალდებული იყვნენ მეფის ბრძანების შესასრულებლად მეკობრისმძებნელისთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ, არაფერი დაემალათ, ე.ი. როცა მეკობრისმძებნელი ბოროტმოქმედს დევნიდა, ყველას ხელი უნდა შეეწყო მისთვის. ვინც „დაუმალაც რასმე“ მეკობრისმძებნელს, ამას „ჩენნად მეცოდებად მოვპკიიხამთ“, – წერს მეფე. მაშასადამე, მეკობრისმძებნელი დაკითხავდა მცოვრებთ, თუ საჭირო იქნებოდა, ჩხრეკასაც მოახდენდა. ამისათვის მეკობრისმძებნელს კაცებიც ახლდნენ.

ძეელში განსაზღვრულია აგრეთვე მეკობრისმძებნელის კომპეტენცია. „სამრუშო საქმე“ ეპისკოპოსს ექვემდებარება, ხოლო „ვისაც სასისხარი საქმე ჰქონდეს, ჩვენს კარზედ მოვიდეს და რარიგადაც კარისა ჩვენისა სამართალი იყოს. ისრე გარდასწყვიტონ“; ვისაც ლაშქრობის დროს რაიმე მმოპაროს, „ის ქურდი ჩუენს კარზედ მოიყუანონ, ეისაც გორის ციხის აღების წინათ რამ მოპაროს, ის სამეულად აზღვევინონ: ერთი პატრონსა, ერთი და ნახევარი ჩენ და ნახევარი მეკობრისმძებნელსა. ვისცა სხუის უმტეროს თუმისა რამ მოპაროს, ის ხუთეულად აზღუევინოს: ორი პატრონსა, ორი ჩუენ და ერთი მეკობრისმძებნელსა. ვისაც ჩუენის საბაგონისა რამ მოპაროს, ის მეიდეულად აზღვევინონ: ორი პატრონსა, ოთხი ჩუენ და ერთი მეკობრისმძებნელსა. ვინც კბილი ჩააჟღებინის, იმას უკეთეს სამასი მაური, საშუალოს ორასი და უქუღაეს ასი მაური აზღვევინონ.. ეს ყოველივე ამრიგად ისაქმონ და საღაც რამ აიღონ ნუსხად უნდა იქნან და იმ ნუსხით კარისა ჩუენისა მოსაქმეთ ანგარიში უნდა მოსცენ“.

როგორც ამ ძეგლიდან ჩანს, „სასისხარი“ საქმე აქაც, ისე როგორც სხეა წყაროებში. მხოლოდ მკვლელობა და დაჭრაა. სისხლის სამართლის დანარჩენი საქმეები არ ითვლება „სასისხარ“ საქმედ. მაგალითად. თავის გატეხა, კბილის ჩაჟღებინება და სხვა, ადგილობრივ მოხელეებს ან უეოდალებს ექვემდებარებოდა; მეკობრისმძებნელს კი ქურდობის საქმეზე მიუწედებოდა ხელი.

ძეგლის მიხედვით ქურდობა სახეებად იყოფა და ზოგიერთი სახის ქურდობა ამოღებული იყო მეკობრისმძებნელის იურისდიქციიდან. ქურდობა, ჩადენილი ლაშქრობის დროს, კანონმდებლის თვალსაზრისით, უნდა გამოყოფილიყო ქურდობის სხვა სახეებისაგან, და ლაშქრობისას ჩადენილი ქურდობის დანაშაულის საქმე კარზე უნდა გარჩეულიყო იმის გამო, რომ ომიანობის დროს ჩადენილი ქურდობა განსაკუთრებით სამიმი იყო სახელმწიფოსათვის. ამიგომ ასეთი დანაშაული ამოღებული იყო ჩვეულებრივი ქვემდებარეობისაგან. ქურდობის დანარჩენი სახეები მეკობრისმძებნელს ექვემდებარებოდა. იმის მიხედვით, თუ სად იყო ჩადენილი ქურდობა, გადახდეინებაც სხვადასხვა ზომისა იყო: ქვეყნის შიგნით ჩადენილი ქურდობისათვის დაწესებული იყო შეიდეული. ე.ი. ქურდს მოპარული ნივთის შვიდჯერადი ღირებულება უნდა აენაბღაურებინა; აქედან ორმაგი ღირებულება ნივთის დამკარგაეს უბრუნდებოდა, ოთხმაგი – მეფის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა, დანარჩენი ერთმაგი მეკობრისმძებნელისა იყო, ხოლო, თუ „უმტერო თემის“ მოპაროს, იმას ხუთმაგი გადახდებოდა, აქედან: ორი – პატრონს, ორის – ხაზინას, – ხოლო ერთი მეკობრისმძებნელს.

„დასტურამალიც“ განასხვავებს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ჩადენილ ქურდობას. ქვეყნის შიგნით ქურდობა „შეიდეულად“ აზღვევინონ: ერთი ორად პატრონს, ოთხი ბატონს და ერთი მოურავს“, ხოლო „თუ უცხო ქვეყნის მოპარული შეაჩნდეს, თავენი პატრონს, ერთი ბატონს, ერთი აბაზი მოურავს“. სვიმონ მეფის სიცოცხლეში გორის აღების წინ ჩადენილი ქურდობისთვისაც მხოლოდ სამმაგი გადასახადი იყო დაწესებული; აქედან: ერთი პატრონს, ერთნახევარი ბატონსა და ნახევარიც მეკობრისმძებნელს ეკუთნოდა. კანონმდებელს მხედველობაში აქეს გორის ის პერიოდი, როცა იგი თათბირების ხელში იყო, და ამიგომ იქ ჩადენილი ქურდობისათვის უფრო მცირე გადასახადი აქეს დაწესებული.

ყაიყულის სამოურაოს გარიგებით, „ქურდობა თუ საქართველოს მამულში შეაჩნდეს, შეიღეულად აზღვევინოს მოურავმან და ერთი ორად პატრონს მისცეს, სხუა საბაგონოდ მოეიდეს. თუ სხვის ქვეყნის ქურდობა შეაჩნდეს, ერთი ორად აზღვევინონ, ერთი პატრონს მისცენ და ერთი საბაგონოდ მოიყუანონ“. შულავერში და თეთრ სოფელში დაწესებული იყო „ქურდის“ საზღაური... ხუთისთავი“, თრიალეთში „სახეეისთავო: პატრონს ორი, ბატონს ოთხი, ხევისთავს ერთი“.

ქურდობისათვის დაწესებული გადასახადი ერთნაირად არ ნაწილდებოდა. თუ დაკარგული, მოპარული „საქონელი საპატიოს კაცის შეილისა იყოს აზნაურიშეილისა, ექვსი პატრონს, ერთი ხევისთავს, თუ გლეხისა იყოს. ერთი ორად გლეხს, ერთი ხევისთავს, ოთხის ბატონს“. შეგად დამახასიათებელია, რომ ფეოდალურმა სამართალმა არ იცის ნიღაბის გაკეთება: თუ უეოდალს მოპარეს რაიმე, ექვსმაგი უნდა დაუბრუნონ, თუ გლეხს – მხოლოდ ორმაგი.

კახეთის საბაჟოს გარიგების წიგნში (1750-1760), რომლითაც სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებისათვის გამოსაღებია დაწესებული, ხევისთავი მხოლოდ ქურდობის საქმეებთან არის დაკავშირებული: „ნაქურდალი ასე არის: შვიდი გამოვა, ორი ბატონის არის, ხუთი დარჩება. ერთი ხევისთავის არის, ოთხი დარჩება, ამ ოთხისაგან ორი წილი ბატონისა არის და მესამედი მოურავისა. რაც ქურდი იქნება, კაცის თავს მარჩილი აება. აქედან ორი წილი

ბაგონის ნაცვალისა არის და მესამედი მოურავის ნაცელისა“. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიგანოთ, რომ ხევისთავს მხოლოდ ქურდობის დანაშაულის საქმეები ექვემდებარებოდა.

როგორც ეთქვით, XVIII საუკუნის მაარავთმძებნელი სიმონ მეფის გარიგების წიგნით მეკობრისმძებნელით შეიცვალა, ხოლო მეკობრისმძებნელის მონაცვლე შემდგომ ხევისთავი შეიქნა. მაგრამ ტერმინი „სამეკობრეთსამძებნელი“ XVII-XVIII საუკუნების ძეგლებშიც გხვდება „ხევისთავთან“ ერთად, თუმცა „დასტურლამალი“ მას აღარ იხსენიებს.

„დასტურლამალის“ მიხედვით მოურავი ხშირად აღგილზე ითავსებს ხევისთავის სახელოს. ატენის „ხევისთავობა მოურავის არის“, ასევეა ღიღომში.

ზოგიერთი აღგილისათვის „დასტურლამალში“ ხევისთავის სახელო არც კია დასახელებული, მაგრამ მისი ფუნქციები მოურავისთვის არის გათვალისწინებული („ახალის მოსულის კაცისათუს“ დებულებაში ქურდობის საქმე მოურავს ექვემდებარება).

ხევისთავები თავიანთ სოფლებს „წელიწადში ერთხელ შემოიელიდენ.

თუთოოს პაგონის კაცს მუშრიბად წაიყვანდენ“, — წერს კანონმდებელი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხევისთავთან ერთად მუშრიბის გაგზავნა აუცილებელი ყოფილა. მეფე ვახტანგ მეექვსე საბარათამვილოში აგზავნის ხევისთავს და მუშრიბს. თეიმურაზ მეფე თავისი 1750 წლის სიგელით საბარათამვილოში ხევისთავად გზავნის გერმანოზიმელს და მასთან ერთად მეფის მუშრიბს. სვიმონ მეფის სიგელში ეკითხულობთ: „მეკობრისმძებნელად ჯავახიშვილი გოშფარ და ლარასძე ყარაიგთ გამოგუიგზავნიათ“. ალბათ, ეს უკანასკნელი მეფის მწერალი იყო. მეფის მუშრიბის ხევისთავთან ხლება იმისათვისაც იყო აუცილებელი, რომ „საბღარის“ აღების კონტროლი გაწეულიყო; „რაც ბაგონისათვის დადგებოდეს, იმის ათისთავს სახლთუხუცესს და მღიენებს მისცემდნენ, ხევისთავს ხელი არა აქუს“. სვიმონმეფეც თავის სიგელში აღნიშნავს: მეკობრისმძებნელმა „სადაცა რამ აიღოს, ნუსხად უნდა ქნან და იმ ნუსხით კარისა ჩუენისა მოსაქმეთ ანგარიში უნდა მისცენ“. საბარათიანოში სახეისთაო „რაც საბღარი იყოს, ჩვენს სარქაოში მოაბარონ“, — წერს თეიმურაზ მეორე.

როგორც წესი, ფეოდალურ საქართველოში მოხელის „გამოსაღები“ დაკავშირებული იყო უმუალოდ მისი სახელოს ფუნქციებთან, ამ შემთხვევაში სახლთუხუსესისა და მღიენების სარეო — ათისთაეი გათვალისწინებულია მათთვის, როგორც კარის მოხელეებისათვის, რომელთაც სამეფო მმართველობის ყველა დარგზე მიუწვდებოდათ ხელი. სახევისთაოდან მეფისთვის კუთვნილი სარგოს ანგარიმს სახლთუხუცესი ღებულობდა. სახევისთაო გადასახადი ყველა სოფლისათვის საუალდებულოდ ითვლებოდა. იყო თუ არა დანაშაული ჩადენილი, სოფელს გადასახადი მაინც უნდა გადაეხადა, როცა ხევისთავი იქ მიეიდოდა: „ხევისთავის თარხანი არაენ იქნება, რასაც სოფელში არ ისაქმებენ, იმ სოფელს სოფლობრივ გარდაეახდევინებთ“, — წერენ მეფეები ბრძანებაში ხევისთავის შესახებ. მხოლოდ ხევისთავი „წელიწადში ერთხელ“ შემოიელიდეს სოფლებს; „სოფელში რომ მიეიდეს, იმ დღეს კვამლად ყველამ ძღვენი მიუგანოს. კვამლად თუითო საღვინე ღვინო, სამი პური, ერთი ქათამი, ერთი ლიტრა ქერი — ესენი მიუგანონ. მეორე დღეს, თუ ქურდი იპოვნონ, იმ სოფელში ქურდს ჩაუდგნენ თორემ გაეცალოს, საბღაური რომ აბღევევინოს.

მაშასადამე, პასუხისმგებლობისათვის საჭირო არ იყო კონკრეტული დანაშაული; ამასთან, დანაშაულისათვის პასუხისმგებელი იყო მთელი სოფელი. გადასახადები საკმაოდ სერიოზული ხასიათის ყოფილა. როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, სოფელში „ჩადგომა“ დიდი ტვირთად აღგა სოფლებს: ხევისთავებს, მუშრიბს გარდა ათი ცხენიანი კაცის ახლდა.

ჩანს, ხევისთავი, როგორც აღგილობრიეი მოხელე, ძალიან აწუხებდა მოსახლეობას. მეფეები წყალობის სიგელში აღნიშნავდნენ, რომ ათაეისუფლებენ ამა თუ იმ მამულს ხევისთაეისაგან, ასე, მაგალითად, ერეკლე I უწყალობებს მამულს პეტრე გიორგიმეილს და ათაეისუფლებს მას გადასახადებისაგან: „შენი ყმა ასე გეითანხმებია, რომე არა ჩვენი გამოსაღები არ ეთხოვებოდეს რა. არ შემოვიდეს ჩვენი იასაული შენს ყანაში, არც ხევისთავი. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მღიენისა, მღიევაბეგისა და ხევისთავის სახელოები ერთ კაცს ეკუთვნოდა.

მეფის მუშრიბი ხევისთავთან ერთად საქმეების გარჩევაში ირებდა მონაწილეობას. თეიმურაზ II-ის სიგელში ეკითხულობთ: აქ ჩვენი ბრძანება არის, მერმე ხევისთავი გერმანოზმაშეილი ოთარ და ჩვენი მუშრიბი ოთარა გამოგეიგზავნია, და როგორც ამას წინად ბაგონის მამის ჩვენისა და სხეას ბაგონების დროს ხევისთავი ყოფილიყო და ესამართლებინოსთ, ეხლაც ყოველს აღგილს საბარათამვილოში მოეიდნენ და სამართალი ქმნან“. მაშასადამე, ხევისთავთან ერთად მუშრიბიც საქმეებს არჩევს.

ხევისთავი, პირველ ყოვლისა, საქმის კვლევა-ძიებას ახდენდა. მისი მოვალეობა იყო, როცა სოფელში მიეიდოდა, ქურდი „ეპოვნა“ და გაერჩია მისი საქმე: ხევისთავი ეალდებული იყო საქმე მეეცნეარა, დაეკითხა ბრალდებული ან მოწმეები, გაერკვია საბუთები, საჭიროების დროს დაეფიცებინა ბრალდებული და სხვა.

ვახტანგის სამართლის წიგნის საერთო წესები სამართლის წარმოების შესახებ, ალბათ, ხევისთავებეც ვრცელდებოდა.

მუშრიბს გარდა ხევისთავს თან ახლდა კიდე დაახლოებით 10 კაცი. ეს მხლებლები ხევისთაეისთვის საჭირო იყო როგორც დამხმარე პერსონალი, სხვადასხვა დაეალების შესასრულებლად: დაპატიმრება, გაჩხრეკა, გადასახადების აკრეფა და სხვა.

რადგან ვახტანგის სამართლის წიგნის მიეხვეით „ორი ბჭე არა ჯერ არს“ უნდა ეიფიქროთ, რომ ხევისთაეიც ამ წესით არჩეედა საქმეს და მუშრიბს გარდა საქმის გარჩევაში კიდევ მონაწილეობდა ეინმე სხეა: ხევისთავის რომელიმე მხლებელი ან ადგილობრიეი მოხელე (მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი, ბჭე, მეთემე).

„დასტურლამალის“ სულხან მდივნისეული ხელნაწერის მიხედვით ხევისთავს მუშრიბი და სხლთუხუცესი კაცი უნდა ხლებოდა: „რომელიც ხევისთაეი სოფელში უმუშრიბოთ და უსახლთხუცესო კცოდ მოეიდეს და საბღაური აიღოს, ქურდულად ბღოს“. თუ ხევისთავს მუშრიბთან ერთად სახლთუხუცესის კაციც ახლდა, მაშინ, შესაძლებელია, ის იყო სასამართლოს მესამე წეერი.

გაბატონებული კლასის ხელში ხევისთავის სასამართლო სოფლის მოსახლეობის მიმართ პირდაპირი გასწორების იარაღი იყო. ხევისთავი თავისი რაზმით სოფელში შეიჭრებოდა როგორც დამსჯელი ექსპედიცია. ხევისთავისათვის საჭირო არ იყო კონკრეტული დანაშაული. ის თავისი შეხედულებისამებრ დასჯიდა ყეელა იმას, ეინც რაიმე უკმაყოფილებაში იქნებოსა შემჩნეული. ფეოდალთა კლასისათვის ეს „საეჭეო“ ელემენტებთან გასწორების საუკეთესო საშუალება იყო. ფეოდალთა კლასის სადამსჯელო ექსპედიცია ყოველწლეიურად დაიელიდა სოფლებს, რომ ძირფესეიანად აღმოეეხერა „ყაზახობა“, მოესპო კლასობრიეი მოწინააღმდეგენი, შიშის ბარი დაეცა ექსპლოატირებული მასებისათეის. ხევისთავის სასამართლო მხოლოდ სოფლებისთეის იყო გათვალისწინებული, — ის „ყმებს“ ასამართლებდა. შემამულეების საკუთრების დაცეა გლეხების ხელყოფისაგან ხევისთავის ძირითად ამოცანას შეადგენდა.

ხევისთავის ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ეს სახელო მსხეილი ფეოდალების ხელში იყო, სეიმონ მეფის სიგელით ხევისთავად მსხეილი ფეოდალი ჯაკახიშეილი იყო დანიშნული, ხოლო, თეიმურაც II-ის ბრძანების თანახმად, მსხეილი ფეოდალი გერმანოზიშეილი, ხევისთავის სახელო ფეოდალური ექსპლოატაციის ერთ-ერთი წყაროთაგანი იყო.

ხევისთავის სახელო დარჩა სოფლად რუსეთთან საქართეელოს მეერთების შემდეგაც. ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში ხევისთავი სოფლებში ქურდობის საქმეებს არჩეედა. ეს თანამდებობა იყო როგორც აღმოსაელეთ, ისე დასაელეთ საქართეელოში. მაგრამ ამ პერიოდში, ე.ი. რუსეთთან მეერთების შემდეგ, ხევისთავი სოფლის მოხელეა, თეით სოფელში არჩეული. ჩოხაგაურის რაიონის სოფლებში ოქტომბრის რეეოლუციის წინა პერიოდში ამორჩეული იყენენ ხევისთავები, რომელთაც ქურდობის საქმეები უკითხებოდა.

6. შედაყორე. ბჭე. მოთემე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით „ბჭე“ არის „ცილების გამსინჯაეი“, ხოლო „ბრჭობა გასინჯეათ გასწორებას ნიშნაეს“.

დ. ჩუბინაშეილის განმარტებით, ბჭე არის „შუა კაცი, გამორჩეული მოჩიეართაგან გასასინჯაედ ცილობისა მათისა, მოსამართლე, მედიატორე...

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედეით ბჭე სადაო საქმის გამრჩეეს, მოსამართლეს ნიშნაეს: ბჭე არის „სადაო საქმის განსახილეელად ამორჩეული მოსამართლე, — მედიატორე“. ამ სიტყეის განსამარტებლად ლექსიკონს დამოწმებული ჰყაეს მოთა რუსთაველი, ა. ყაზბეგი და სხეა. მაშასადამე, ლექსიკონის მიხედეით XII საუკუნიდან XX საუკუნებე ამ ტერმინის შინაარსი, ძირითადად არ შეცელილა.

ბჭე XI საუკუნის ძეგლებში გეხვდება; ლეონტი მროეელი წერს, რომ ქართლოსიანთა მორის არაეინ იყო „უწარჩინებულეს“, მხოლოდ მცხეთის მამასახლისი „იყეის მაზაეებელი და ბჭე სხეათა ქართლოსიანთა“. ქართლოსიანთა ეს პერიოდი წინ უსწრებს მეფობის პერიოდს, რომელიც, ლეონტი მროეელის კონცეფციით, ფარნავაზის გამეფებით იწყება. მაშასადამე, მამასახლისობის პერიოდში, თანახმად ლეონტი მროეელისა, იყო მჭეობის ინსტიტუტი; აქაც ბჭე „მაზაეებელთან“ ახლოს დგას და ერთგეარი შუამაელის როლს ასრულებს.

თუ მხედეელობაში მიეიღებთ იმას, რომ ლეონტი მროეელის მამასახლისობის პერიოდი უკლასო საზოგადოების პერიოდის, მაშინ უნდა დაეასკვნათ, რომ ბჭე თაეისი წარმომობით წინაკლასობრიეი საზოგადოებიდან მიმდინარეობს.

ვახტანგის სამართლის წიგნში ეკითხულობთ: „ბჭის დადგენისათეის ხელმწიფემ ასეთ კაცს უნდა უბრძანოს, რომე ორმოცს წელიწადს იქით იყოს და არც დიად სიღარიბე აწუხებდე... ორი ბჭე არა ჯერ არს, ამად რომე ერთმან ერთისაკენ სთქეას და ერთმან მეორისაკენ, უსამართლო მოხდების და ბჭესა ესეც უნდა სჭირდეს, რომ რაც მოჩიეარმა შესჩიელოს ასე დაისწაელოს, ასე უამბოს როგორც შეეჩიელოს, რომ შენ ასე არ იჩიეე, თუ სწორედ დაუსწაელია და ან ორთაეეს საჩიეარი ახსოვს, უსამართლოს ნუ იგყეის“. ბჭობა სასამართლო საქმის გარჩეასაც ნიშნაეს, და აქედან — ბჭე, საერთოდ, მოსამართლესაც შეიძლება ეუწოდოთ, მაგრამ ბჭეს ეიწრო შინაარსიც აქეს. მოსამართლის შესახებ ხომ დაწერილებით ლაპარაკობს კანონმდებელი ვახტანგის სამართლის წიგნში: მოსამართლე „დიდად მჩხრეკელი, მიმხედარი, საქმის გამსინჯაე“ უნდა იყოს. მოსამართლემ მხრები კარგად უნდა დაკითხოს; გრძელი საჩიეარე თუ იყოს, „მდიცამა დასწეროს“, რომ მოსამართლეს არ დაეიწყდეს და სხეა.

ბჭე და მოსამართლე ერთი და იგიე რომ იყოს, მაშინ კანონმდებელი მეორედ აღარ დაუბრუნდებოდა იმაეე საკითხს 215-ე მუხლში. ამ მუხლში კანონმდებელი მჭეს ეხება და მის საქმიანობას სხეაგარად აღწერს, ეიდრე მოსამართლის საქმიანობას, 215-ე მუხლის მიხედეით საჩიეარი ბჭემ უნდა დაისწაელოს და თითქოს ეინმეს კიდეე უნდა უამბოს. აქ მდიანი მას უკეე

აღარ ეხმარება საჩივრის ჩაწერაში. ასე რომ, ბჭე და მოსამართლე სხვადასხვა უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ორიეულ სასამართლო ფუნქცია აქვს.

მაშასადამე, ბჭე გაგებულია აქ როგორც შუამავალი მედიატორე, სამედიატორო სამართალი საქართველოში დიდი ხანია არსებობდა. შუამავლობით საქმის გარჩევისას მხრები დაასახელებდნენ თავიანთ მოსამართლეებს, უკანასკნელნი კი გაარჩევენ საქმეს.

ა. ლამბერტი ასე აგვიწერს XVII საუკუნის სამეგრელოს სამედიატორო სასამართლოს: თითოეული მოდავე ირჩევს ერთს მომხსენებელს (რეფერენდარიო). ამ კაცის მოვალეობა ის არის, რომ არჩეულ მოსამართლესთან ერთად დაჯდეს და ერთი მოდავის სიტყვები მეორეს გაცალცეს. დანიშნავენ დღეს და ადგილს, როდის და საღ უნდაა მოხდეს საქმის გარჩევა. ჩვეულებრივ შეიყრებიან ამორჩეულ ადგილზე. მოსამართლეების და საქმის მომხსენებელი რომ დასხდებიან, ჯერ გამოცხადდება მომჩივანი და მუხლმოდრეკით მოახსენებს მათ თავის საჩივარს და წარუდგენს რაც საბუთები აქვს. ეს რომ ყოველივეს იგყვის, რაც სათქმელი აქვს, ადგება და წავა ისეთ ადგილას, რომ მან ვერ გაიგოს, რასაც მოპასუხე იგყვის. მერე მოსამართლეთა წინაშე გამოცხადდება და მუხლს მოიდრეკს მოპასუხე, რომელსაც საქმის მომხსენებელი სიტყვა-სიტყვით გადასცემს ყოველსავე, რაც მომჩივანმა მოახსენა მოსამართლეებს. ამის შემდეგ მოპასუხე თავის პასუხს მოახსენებს მოსამართლეებს და წარუდგენს თავის საბუთებს, დაასრულებს თუ არა თავის სიტყვას, მოპასუხე წავა. შემდეგ შემოვა ხელახლა მომჩივანი კიდევ თავისას იგყვის, კიდევ წავა და შემოვა მოპასუხე. ასე გაგრძელდება, ვიდრე ორივე მხარე არ დაასრულებს თავ-თავის სიტყვას. როცა მათ აღარ ექნებათ სათქმელი, მოსამართლენი ცალკე წაელენ საბჭოდ და გადაწყვეტენ საქმეს წინამდებარე საფუძველთა მიხედვით. მათ განაჩენს ორივე მხარე ყაბულდება". ა. ლამბერტის გადმოცემით. ამ წესით არათუ მარტივი, არამედ რთული საქმეც ირჩეოდა.

ა. ლამბერტის მიერ აღწერილი მოსამართლე ჩამოგაეს ეახტანგის სამართლის წიგნის 215-ე მუხლის ბჭეს. ეახტანგის სამართლის წიგნით მჭე საჩივარს დაისწავლის, რომ „უამბოს როგორც შეეჩივლოს". მართალია, კანონმდებელი არ წერს, ვის უამბოს, მაგრამ საგულისხმებელია, რომ უამბობს მეორე მხარეს, რომელიც ამ დროს მოწინააღმდეგის პასუხს არ ისმენს და გასულია. ამ შემთხვევაში ეახტანგის ბჭე ა. ლამბერტის მომხმარებლის როლში გამოდის. დამაფიქრებელია მხოლოდ ის გარემოება, რომ ეახტანგის სამართლის წიგნის 215-ე მუხლის მიხედით „ბჭეს დაღეგნისათეის" ხელმწიფემ უნდა უბრძანოს, მაშინ როდესაც მედიატორეებს მხარეები ირჩევდნენ, ეახტანგის სამართლის წიგნის მიხედით ბჭე მუდმივ „დაღეგნილ" მოხელედ ჩანს. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა 1657 წლის ერთი სიგელი. ვიღმე ხიმანა წერს, რომ მან მოკლა თაეისი ბიძაშეილი და ბიძის სახლს ცეცხლი წაუკიდა: „სამდეგნოთ საქმე გამოხდა, და სიკუდილს მიპირებდეს, და მერმე ნეფესთან რა რომ სასიკედილოდ წამაყენეს ბაგონი კათალიკოსი და ბაგონი თბილელი და სახლთუხუცესი ყაია და გოსტაბაშეილი პაპუნა, და სრულად საქართველოს ეფისკოპოზნი, და ხელმწიფის კარის მდივანი, შუა მემოეიდნენ და აღარ მომკლეს, და ჩემი კერძო მამული და დედული მეუღარისთეის სააღაპოდ დადეს. წინ-წინ გაეისამართლებით და ამგვარად გაეჭირიეს, და მერმე გოსტაბაშეილი პაპუნა შუა ჩამოეეიდეს, ბაგონმა და მისმა ჯარმა და ბაგონმა თბილელმან და კაკალიკოზმან გოსტაბაშეილს უბრანეს: „თუ შენ გაურიგე, დამხდომი შენ ხარ", და მერმე დაესხედით და გაეიარანჭეენით და სამართალი ექენით, ერთი სისხლი და ნახეკარი კიდეე დამედო, ამიგომ რომ სახლს ცეცხლი შეუკიდე ბიძის ჩემის ჯაეროთა, შიგ მინდოდა დამეწო მედია და მისი ცოლი და შეილი. არიან ამისნ ბჭენი და მოსამართლენი და გარდამწყეეტელნი"...

აქ ჩენთეის მნიშენელობა აქეს შემდეგ გარემოებას: მკვლელიბის შემდე ხიმანა მეფის სასამართლოს წინაშე წამდგარა – „წინ გაეისამართლენით". სიკედილით სასჯელი ეკუთენოდა, თუმცა, ხიმანას, მაგრამ „შუა შემოეიდნენ" და შუამაელებით ეს სასჯელი აცილეს. გასამართლების („გაეისამართლენით") „მერმე გოსტაბაბიშეილი პაპუნა შუა ჩამოეეიდეს... დადაესხედით და გაეიარანჭეენით... არიან ამისნი ბრჭენი და მოსამართლენი და გარდამწყეეტელნიო", – ბრჭე ამ შემთხვეევაში შეაკაცი, შემარიგებელი მოსამართლე უნდა იყოს. საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, რომ მკვლელობისა და დაწეისათეის სიკედილით სასჯელი ყოფილა დაწესებული, რაც ეახტანგის სამართალმა არ იცის. ამ სასჯელს მეფის სასამართლო უსჯიდა, ხოლო, როცა ასეთი სასჯელი მეფის სასამართლომ აღარ გამოიტანა, სისხლის ფასის დასადგენად და მოსარიგებლად საქმე ბჭებს გადაეცა.

იოანე ბაგონიშეილის სიგყეით „მთის კაცთა იციან ბჭეები, ისინი ეითარგასჯრიან სამართალს, ორიეე კერძო დასჯერდება და მათ ჩეეულებაც სხეა არს". მაგრამ მთიანეთის გარდა ბჭე სხეა ადგილებშიც უნდა ყოფილიყო.

საყურადღებო ცნობები აქეს ბჭის შესახებ დაეით ბაგონიშეილს თაეის პროექტში. პროექტით ბჭეს ცალკე მუხლი აქეს მიძღენილი შედეგი სათაურით: „ბჭის გამორჩევისათეის", სადაც წერია: „ყოელისა წელიწადსა გამორჩევა ბჭისა ნებისა და რომელიცა ბჭეთა ვერ ძალეჯესთ, მაშინ მოახსენოს უპირეელსსა მსაჯულსსა და უკეთუ გამოარჩიონ მოდაეეთა ბჭეი, აქუსთ სამართალი, გონება შეუჯერებელნი სამართლისანი დაისჯებიან მდგომარეობისამებრ საქმისა ჯრუშითა და ანუ სხეითა რაითამე საქმითა". პირეელ ყოელისა. ჩვენს ყურადღებას იქცეეს ის გარემოება, რომ

როგორც ეახტანგის სამართლის წიგნით „მჭეს დაღუნისათვის“ ხელმწიფემ უნდა უბრძანოს, დ. ბატონიშვილის პროექტითაც „გამოირჩევა ბჭისა ნებისა მეფისათა“ უნდა მოხდეს. პროექტით, თუ ბჭემ საქმის გარჩევა ვერ შეძლო, მაშინ უნდა მიმართოს სასამართლოს, მსაჯულებს – „უპირველსსა სამსაჯულოსა“; ამ შემთხვევაში „უპირველესი სამსაჯულო“ მეფის სასამართლოა (მდივანბეგის სასამართლო) და ეს სასამართლო ბჭის სასამართლოს მიმართ უმაღლეს ინსტანციად არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია, რომ მხარეებს თვითონ შეუძლიათ ამოირჩიონ ბჭეები. სწორედ ეს საკიდხია ამჟამად ჩვენთვის საინტერესო: პროექტით, „უკეთუ გამოარჩიონ მოდავეთა ბჭე, აქუსთ სამართალი“, ე.ი. გამორჩეულ ბჭეს უფლება აქვს გაარჩიოს საქმე და მისი გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს მხარეებისათვის. მხარე, რომელიც ბჭის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდება, დაისჯება. ბჭეობის ინსტიტუტი დ. ბატონიშვილს სინამდვილიდან აქვს არებული, შესაძლებელია, ამ ინსტიტუტის ზოგიერთი მხარე ისე იყოს შეცვლილი, როგორც ეს სასურველად მიაჩნდა პროექტის ავტორს. მხოლოდ პროექტით გათვალისწინებული მხარეების უფლება ბჭის ამორჩევისა ქართული ჩვეულებითი სიმართლიდან უნდა იყოს აღებული.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ როგორც ეახტანგის სამართლის წიგნი, ისე პროექტი მდივანბეგს (მსაჯულს, მოსამართლეს) და ბჭეს ცალ-ცალკე განიხილავს. ჩვენ მიერ ციტირებული პროექტის მუხლშიც ამკარად ჩანს, რომ მსაჯული და ბჭე დაპირისპირებული ერთმანეთთან. გარდა ამის, პროექტი ცალკე მუხლში მოგვითხრობს, თუ როგორი და რამდენი მსაჯული უნდა იყოს ქართლ-კახეთის სამეფოში.

მეგად საინტერესოა ბჭის შესასწავლად რ. ხარაძის გამოკვლევა „ხევსურული რჯული“, ხევსურული „რჯულის კაცი“ იგივე ბჭეა. გამოკვლევის ავტორი წერს: ხევსურეთში „არ არსებობს ჩამოყალიბებული სასამართლო ბჭეებით. ამ უკანასკნელთა არჩევა ხდება საკანგებოდ თითოეული ცალკე შემთხვევაში“. ხევსურეთის რჯულის კაცი ანუ ბჭე საშუალებად გვაძლევს გაეთვალისწინოთ ფეოდალური საქართველოს ასეთივე ინსტიტუტი, რომელიც ასახულია საკანონმდებლო ან სხვა ხასიათის ძეგლებში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხევსურეთის რჯულის კაცს ანუ ბჭეს დაინტერესებული პირები მიმართავენ, ანუ ირჩევენ საჭიროების დროს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხევსურეთში რჯულის კაცი, როგორც აღათობრიეი საშართლის მცოდნე პირი, მუდმივად ჰყავთ და მას მიმართავენ ამა თუ იმ კაზუსის გადასაწყვეტად. ასეთი რჯულის კაცების მრავალია ხევსურეთის სხვადასხვა კუთხეში. რ. ხარაძის დასკვნით, დაინტერესებული პირების მიერ ბჭეების ამორჩევა განსაზღვრული არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ რჯულის კაცების გარდა, მათ სხვა პირების ამორჩევაც შეუძლიათ. ხევსურეთის რჯულის კაცი მეგად საინტერესო ინსტიტუტის და საჭიროა მისი ყოველმხრივ შესწავლა. პირველ ყოვლისა, გამოსარკვევია, როგორ წარმოიშვა ხევსურეთის სხვადასხვა ადგილას ეს რჯულისკაცი? როგორ და რანაირად ღებულობს ესა თუ ის პირი ამ სახელწოდებას?

უნდა აღინიშნოს ის, რომ ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში საქართველოს სოფლებში იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ევალებოდათ წერილ სამოქალაქო საქმეებზე ერთგვარი ექსპერტის როლში გამოსვლა. მაგალითად, შეფასება საქონლის მიერ ყანაში მიყენებული ზიანისა და სხვა. ასეთ პირს გურიაში კეთილსაიმედო პირს ესახელნენ (სამხრეთ გურია), ან კიდევ, მართალპირს (აღმოსავლეთი გურია). მათ ირჩევდა სოფელი განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ხდებოდა ხელახალი არჩევები. ამათგან განსხვავებული იყო სამედიატორო სასამართლო. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ეს ინსტიტუტი საერთო მოვლენა იყო და მას აღარ ჰქონდა წოდებრიეი ხასიათი. სამედიატორო სასამართლო მოქმედებდა საქარველოს სხვადასხვა კუთხეში. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ის სოფლებში, მხარეი ირჩევდნენ მედიატორებს (თანასწორი რაოდენობით: თითო-თითოს, ორ-ორს, სამ-სამს); ამორჩეულ მედიატორებ თავის მხრივ იწვევდნენ თავმჯდომარედ (გარეშე პირს). მხარეები წინასწარ შეთანხმებული იყვნენ, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება მათთვის საკალდებულოა.

როგორც ზემი აღვნიშნეთ, ბჭეს იმდენად, რამდენადაც მას მოსამართლის ფუნქცია აქვს, შეიძლება, ზოგადი აგებით, მოსამართლე, მსაჯული ვუწოდოთ.

ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქილილა და დამანაში“ „ბრჯე“ იხმარება მოსამართლის მნიშვნელობით: „ბრჯენი საბჭოთა დასხდიან“ და არჩევდნენ საქმეს; მეფემ საქმე გამოიძია და „ბრჯესა უბრძანა“ გასამართლება. ბრჯემა.– გაბრჯო და განჯინი სიკეთილი გააჩინა“; „ლომმა ბრჯენი შეტუქსა“; „დანამაული და დაუნამაულობა გაირჩევა და გაირკვევა, მაშა, ქვეყანასა შეღა ანღა მოწამე, ანღა ფიცი, ბრჯენი და მოსამართლენი რათღა სახმარი არს“; ბრჯენო და მოსამართლენი აქ მართალია, ცალ-ცალკეა მოხსენიებული, მაგრამ ერთმანეთისაგმი დაპირისპირებული არ არის და ორივე სახელწოდება მოსამართლეს ნიშნავს. ამავე ნაწარმოებში ბრჯე მოსამართლის მნიშვნელობით ხშირად გვხვდება. ასე რომ, ბჭე, საერთოდ, მოსამართლეა, მაგრამ ბჭეს ამ ზოგად შინაარსს გარდა განსაკუთრებული, კონკრეტული შინაარსიც აქვს.

ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მედიატორისა და ბჭისათვის ის უნდა იყოს, რომ მას თავისი ნებით მიმართავენ მხარეები,. მხარეებისაგან ამორჩეულ მოსამართლეთა მიერ გარჩეული საქმეების შესახებ ცნობებს ეხვდებით საბუთებში. საინტერესოა ამ მხრივ 1789 წლის ერთი

სეგელი, რომელმიც ეკითხულობთ: „მისი სიმაღლის დედოფლისათვის მოეხსენებინათ აბაშაძეს, ბერუკაშვილებსა და შაალის შვილებს: ამდენი ხანი არის თქვენცა და მოსამართლეთაც თავს გაწყენთო და ჩვენი სამართალო არ გადაწყდაო, და ახლა ასე ვარჩიეთო, რომ ორ-ორი კაცი გამოუვარჩიოთ, ოთხნი კაცი დავსხვათ, ჩვენი ლაპარაკი იმათ მოისმინონ და სამართლით უშფოთველად მოგვარიგონ, მის სიმაღლეს დედოფალს ბრძანება მიეცა, თუ მშვიდობიანად ეცდებით მორიგებას, დიახ კარგი იქნებაო. ამ ორთავ მხარემ შაალის შვილებმან მე ბეგთაბეგისშვილი მდიანი ბეგთაბეგ და გაბაშვილი ზაზა გამოგვირჩიეს, და ბერუკაშვილებმან მე თურქესტანიშვილი იოანე და მღვდელი მიო აღმოგვირჩიეს. ამ ორსავ მხრივ აღმორჩეენთ და ამათის ნებაყოფლობით ჩვენ ეს მემომხსენებულნი დაესხედით და ეალაპარაკეთ, და ორთავ მხრიდამ ამათი სარჩელი გამოვიძიეთ და გაეშინჯეთ და, რაც წერილები ჰქონდათ მეფეთაგან და ან სხვა ძველი თუ ახალი წერილები, ყველა აღმოვიკითხეთ და გავიჩხრიკეთ". ამ გამორკვეევის შემდეგ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს ოთხივე ამორჩეული პირი: მდიან ბეგთაბეგ ამათს სამართალში ეიყავი" და ა.შ. გადაწყვეტილებას ხელს აწერენ ასეთივეე აბაშაძეები, „რომ ამ სამართალით ყაბული გეაქვსო". გადაწყვეტილებას ამტკიცებენ: მეფე, დედოფალი, კათალიკოსი და ბაგონიშვილები ამ გადაწყვეტილებას „გარიგების წიგნს" ეძახიან, დედოფალი კი მას სამართლიანად მორიგებას" უწოდებს. ბაგონიშვილები დამტკიცებისას მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ორივე მხარემ „იყაბულოს" ეს გადაწყვეტილება.

ეს ძეგლი მრავალმხრივ არის საინტერესო: მხარეებს პირველად მეფის სასამართლოსათვის მიუმართავთ, მაგრამ საქმე ვერ დაუმთავრებიათ, ალბათ, იმიტომ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ-ერთ მხარეს არ უცნია; ამის შემდეგ დედოფლისათვის მიუმართავთ სამედიატორო სამართლის შესახებ და დედოფლის დასტური მიუღიათ.

XIX საუკუნის დამდეგს შედგენილ ქართველ მეფეებისდროინდელი „ისჯულში" მოხსენიებულია ბჭეც და მედიატორეც; ამ ძეგლის მიხედვით „განჩინება მდიანბეგთა, ბჭეთა და ადგილობით დადგინებულ მოსამართლეთა" საბოლოოა, ე.ი. არ საჭიროებს მეფის დამტკიცებას. მოდავე მხარეები „გამოირჩევდნენ ორს, სამს, ექვსსაც ბჭეს და მეგს კი აღარ ანუ მეფის ბრძანებთ, ანუ სასაურნიც იქნებოდნენ მოდავენი მუნებურის მოხელის ბრძანებით და ისეთ გარდასწყვეტდნენ მათს საღაოს; დაუწერდნენ გადაწყვეტილების განაჩენს ორსავე მხარეს და თუ, ვინ იცის, რომელიმე მათგანი მოჩვიარი იჩიელებდა მეფეთა ანუ მოხელეთა თანა, ასე რომ მედიატორეთაგან უსამართლო დამემართაო, გაშინჯაენენ მათს გადაწყვეტილებას"... ამის მიხედვით ბჭეთა მედიატორე ერთი და იგივეა.

თეიმურაც ბატონშვილის აზრით, ბჭე საქართველოს უძველეს პერიოდში ე.წ. მამასახლისობის ეპოქაში არსებობდა: „პირველად მამასახლისი აღირჩევდა ორსა ანუ სამსა მბრჯენესა, ხოლო მოჩიეარნი თუის თუისად ოროლსა, მეკრბებოდეს ესენი ერთად და ესრეთ გარდასწყვეტდეს მოჩიეართა მათ სამართალსა". თეიმურაზ ბატონიშვილის ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ნ. ურბნელი წერს: „ბჭე ასპარეზზე შემდეგ გამოღის, როცა საგვარეულო წესი ისპობა და სხვა შმართველობა არსდება. ამიტომ ბჭეს მმართველობას ხელი არ აქვს". ნ. ურბნელის აზრით, „ბჭე – მოხელე მოსამართლეა და ბჭობა შუაკაცობის შემდეგ ჩნდება". ხოლო „როცა სახელმწიფო მმართველობა მკვიდრდება, მაშინ შუაკაცსაც მნიშვნელობა ეკარგება".

ნ. ურბნელი მართალია იმაში, რომ გვაროვნული წყობილების დროს მართლაც არ შეიძლებოდა ბჭეობის ინსტიტუტი არსებულიყო მოსამართლის მნიშვნელობით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, ნ. ურბნელის აზრით, ბჭე – მოხელე, მოსამართლეა, რომელსაც მხარეების კი არ ირჩევენ, არამედ სახელმწიფო ხელისუფლება ნიშნავს. რაც შეეხება „შუაკაცობას", საფიქრებელია, რომ ასეთი ცალკე ინსტიტუტი არ არსებობდა: „შუაკაცის" ფუნქციები, საერთოდ, დამახასიათებელი იყო ფეოდალური სასამართლოსათვის, თუკი ის ყმების საქმეს არ არჩევდა; ყმების საქმეების მიმართაც კი აღბუღას სამართლის წიგნში ეკითხულობთ: „საგრონთა ყმათა შუა თუ რა საბაგონ-ყმო სამღურაეი და საცილობელი შემოეიდეს მართალითა და უთნეეარითა შუათა, თუ ბრჭობით მოიყვანნე მოიშაენენ, არა საკვირველია". მამასადამე, ბაგონსა და ყმას შორისაც კი შეიძლებოდა საქმის შუაკაცობით გათავება, რა თქმა უნდა, ასეთი საქმეები თავისი შინაარსით უმნიშვნელო „საცილობელო" უნდა ყოფილიყო. ძეგლებში, ჩვენ ხშირად ეხვდებით ასეთ გამოთქმებს: მოსამართლეები „შუა შემოგვივიდნენ", გაგვასამართლეს და „გაგვაშაეცს", მოსამართლეებმა „გვიპატიეს". ეს იმას ნიშნავს, რომ ფეოდალურ სასამართლოს მაშაეებლისა და „შუაკაცის" ფუნქცია ჰქონდა. კომპრომიციების სისტემა მხარეთა მორიგებას დაშაეებას გულისხმობს: „შუამემოსაელით უნდა გათავებულიყო საქმე. რამდენადაც კომპრომიციების სისტემა იწღუდება და ცენტრალური ხელისუფლება მტკიცდება, იმდენად მოსამართლე კარგავს მოშაეის, „შუაკაცის" ფუნქციებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხევსურეთში, „რჯულის კაცებს" ბჭეებსაც უწოდებენ, ხოლო „შუაკაცები" „სასისხლო" საქმეების გასარჩევად „რჯულის კაცებს", ე.ი. ბჭეებს შეყრიდნენ. ამ შემთხვევაში „შუაკაცის" როლი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეები დააკავშიროს „რჯულის კაცებთან"; ასეთ როლში, ალბათ, მხარეების ყველა მეზობელს შეუძლია გამოეიდეს.

ბჭის საკითხს ეხება აკად. ი. ჯავახიშვილი თავის „ქართული სამართლის ისტორიაში". აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, „ბჭე" X-XI საუკუნეებში ჩნდება და მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში მსაჯულის აღსანიშნავად იხმარებოდა იმგვარადეე, როგორც „ბჭობა" –

ვასამართლების მნიშვნელობით“. XIV საუკუნის ძეგლებშიც მოსამართლეს „ბჭე“ და სასამართლოს „საბჭო“ „ეწოდება“, ხოლო „მეშჱეგ ტერმინი „ბჭე“ უკვე ქრება დამ ის ადგილს მოსამართლე და კელავ „მსაჯული იჭერს, რომელსაც X-XIV საუკუნეებშიც იხმარებოდა. „შემდეგში „ბჭე“ თუ გაქრა, „ბჭობა“ მწერლობასა და სასაუბრო ენას შერჩა, მაგრამ ის უკვე სხვა, სახელდობრ თათბირის მნიშვნელობით-ღა იხმარებოდა“. თუ XVII-XVIII საუკუნეებში „ბჭეს“ არ ჰქონდა ზოგადი (საერთოდ მოსამართლის) შინაარსი, ყოველ შემთხვევაში, „ბჭე“ ვიწრო მნიშვნელობით მოსამართლის ფუნქციების მატარებელი მაინც იყო. საკეირველია, რაგომ გამორჩა მხედველობიდან აკად. ი. ჯავახიშვილს ვახტანგის სამართლის წიგნის 215-ე მუხლი.

მედიატორესა და ბჭის გარდა, ძეგლებში ეხედებით აგრეთვე მოთემეს. ვახტანგის სამართლის წიგნის თანახმად, თუ დედაკაცი დედაკაცთან ჩიოდეს, მდივანს ხელი არა აქვს, მოთემემ უნდა გაურიგოს. ვახტანგის სამართლის წიგნში არსად სხვა ადგილს მოთემე ნახსენები არ არის. სულხან-საბა-ორბელიანის განმარტებით, თემი არის ქვეყნის ერთი ნაწილი“, ხოლო „მოთემე მისისავე თემისა“.

დაჲით ჩუბინაშვილი მოთემეს ასე განმარტავს: „თემის მოხელე ან მცხოვრები.„

ვახტანგის კანონთა კრებულის რუსული თარგმანში მოთემე გადათარგმნილია: „выборный от общества“. არც ერთი განმარტება არ უპასუხებს იმ კითხვაზე, თუ რა ფუნქციები ჰქონდა მოთემეს და რას წარმოადგენდა ეს სახელო, ვახტანგი სამართლის წიგნის მიხედვით ის ქალებს შორის საქმეებს არჩევს. ცხადეია, მას მარტო ეს ფუნქცია არ ექნებოდა.

ჩვენ ვიცით, რომ სოფლად მამასახლისი რამდენიმე სასამართლო ფუნქციას ასრულებდა (მაგალითად, გლეხების გაყრის საქმეში მონაწილეობას ღებულობდა). ისმება კითხვა: რა უნდა ყოფილიყო მოთემე? რუსულ ენაზე ვახტანგის სამართლის წიგნის მთარგმნელთა გაგება თითქოს რამდენიმედ მაინც უახლოვდება სინამდვილეს. მოთემე არ უნდა იყოს მეფის მოხელე. მოთემე, მართლაც, სოფლის სანდო პირი უნდა იყოს, და ამ მხრივ ის შორეული წარსულის, თემური წყობილების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს. ისიც შესაძლებელია, რომ მოთემე სოფლის ბჭეს რქმეოდა, ან კიდეე დროთა ეითარებაში ბჭისა და მოთემის ინსტიტუტები გაერთიანებულიყო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის, ვახტანგის კანონთა კრებულის თარგმანისა და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ბჭე და მედიატორე ერთი და იგიეეა; რამდენადაც ბჭე საერთოდ მოსამართლეს ნიშნავს, იმდენად ასეთი გაგება სწორია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბჭეს ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონია (წყაროებში ის საერთოდ მოსამართლეს, მსაჯულს ნიშნავდა) და, ამავე დროს, ვიწრო მნიშვნელობაც. სწორედ იმის გამო რომ ბჭეს ასეთი ორმაგი მინაარსი ჰქონდა, წყაროების მიხედვით ძნელდება ამ ორი გაგების ერთმანეთისაგან გარჩევა. ჩვენ ზემოთ მოეიყვანეთ დაჲით ბაგონიშვილის სამართლის წიგნის პროექტის სათანადო ადგილი, სადაც იგი ბჭეს ეხება. პროექტით ბჭე ყოველ წელიწადს გამოირჩეეა „ნებისა მეფისათა“. დაჲით ბაგონიშვილს თავის უფრო გეიანდელ შრომაში დაწერილებით აქეს საუბარი როგორც ბჭეზე, ისე მედიატორეზე.

დაჲით ბაგონიშვილის ამ შრომის მიხედეით, ისე როგორც მისსიეე სამართლის წიგნის პროექტით, ბჭე ყოველწლიურად იცელება; ვახტანგის სამართლის წიგნით ბჭეს მეფე „დაადგენს“; დაჲით ბაგონიშვილის პროექტით გამოირჩეეა ბჭისა ნებისა მეფისათა“ ხდება, ხოლო მისსიეე შრომის მიხედით ბჭეს მცხოვრებნი ირჩეევენ ყოველწლიურად, ხოლო ეს ამორჩეევა მოურაეთა და მემამულემ უნდა დაამტკიცონ. გარდა ამისა, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ავტორი ბჭეს სოფლის მოსამართლესაც უწოდებს.

ეიდრე საბოლოო დასკვნას გამოვიტანდეთ ბჭისა, მედიატორისა და მოთემის შესახებ, საჭიროა დაჲით ბაგონიშვილის შრომიდან მოეიყვანოთ მედიატორის შესახებ სათანადო ადგილები. დაჲით ბაგონიშვილის სპეციალური პარაგრაფები აქეს მიძღვნილი მედიატორობის ინსტიგუტისადმი. მედიატორები ირჩეევენ თეითონ მხარეებს ერთმანეთთან შეთანხმებით, მედიატორები ფიცს დებენ, რომ პირუთვნელად გაარჩეევენ საქმეს.

მედიატორები შეიკრიბებიან მხარეებთან ერთად და დაწერილებით შეისწაელიან საქმეს: განიხილაეენ დოკუმენტებს, ანგარიშებს და სხეა საბუთებს, დაკითხაენ მხარეების მიერ დასახელებულ მოწმეებს და სხეა. შემდეგ ისინი თაეიანთ გადაწყეეტილებას გადაცემენ მოურაეს სისრულეში მოსაყვანად. სამედიატორო სასამართლოს გადაწყეეტილება საბოლოოა და ის ზუსტად უნდა შესრულდეს. თუმცა სამედიატორო სასამართლოს გადაწყეეტილება არ გასაჩივრდება, მაგრამ ყოფილა შემთხეეა, – წერს დ. ბაგონიშვილი, – როცა განსაკუთრებული ეითარების გამო, მეფეს მიუღია ასეთი საჩივარი, გადაუყეია ნდობით აღჭურვილი ორი-სამი კაცი, რომელთაც მეფის სახელით გაურჩევიათ სამედიატორო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები. ამაეე შრომის სხეა ადგილას მეტად საინტერესო ცნობებია სამედიატორო სასამართლოს შესახებ. ეხება რა თაეადაზნაურობის უფლებას საქართეელოში.

გარდა ამისა, ავტორს საუბარი აქეს ქალაქის მოსახლეობის უფლებრიე მდგომარეობაზე. ავტორი, სხეათა შორის, ჩერდება ეაჭართა მაღალი ფენის, „პირეელი მოქალაქეების“ უფლებებზე: „პირეელი მოქალაქეები“ არ ისჯებიან სიკედილითა და სხეულის დაბიანებით, თუ არა განსაკუთრებული დანაშაულის ჩადენისათეის; ამასთან „პირეელ მოქალაქეებს“

ანგარიშსწორებისა და გაყოფის დროს უფლება აქეთ ამოირჩიონ თავიანთი წრიდან მედიატორები".

დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ როცა დავით ბაგონიშვილს საუბარი აქვს სამეფო ოჯახის უფლებების შესახებ, ის აღნიშნავს: სამეფო ოჯახის წევრებს თავისი სურვილის მიხედვით შეუძლიათ გამოვიდნენ მედიატორებად რომელიმე საველო საქმეში. .

ჩვენ მოვიყვანეთ დავით ბაგონიშვილის ცნობები, ერთი მხრივ, ბჭემე და, მეორე მხრივ, მედიატორებზე. პირველ ყოველისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აეგორი ბჭესა და მედიატორს ცალ-ცალკე განიხილავს, თითოეული მათგანს რამდენიმე პარაგრაფს უძღვნის ცალკე სათაურებით. მაგრამ უფრო საინტერესო ის არის, რომ დავით ბაგონიშვილის მრომის მიხედვით მედიატორეთა არჩევის უფლება აქეთ თავადებს. აზნაურებსა და მსხვილ ვაჭრებს; მხოლოდ მოსახლეობის ამ მაღალი ფენების პრივილეგიაა სამედიატორო სასამართლო. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, ყმებს, ისინი ირჩევენ ბჭებს. ბჭები არჩევენ მცირემნიშნელობის საქმეებს, მაგრამ მათი გადაწყვეტილება, ისე აეროგორც მედიატორეების გადაწვეტილება, გაუსაჩივრებლად სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი.

დავით ბაგონიშვილის ამ შრომის მიხედით როგორც მედიატორები, ისე ბჭები, ძირითადად, სამოქალაქო სამართლის შინაარსის საქმეებს არჩევენ.

ძნელია იმის დადგენა, თუ როდის მიეცა ბჭეობისა და მედიატორობის ინსტიტუტებს ის შინაარსი, რომელიც მათ აქეთ დავით ბაგონიშვილის შრომის მიხედით. საერთოდ კი ბაგონყმობის უღელში შებმულ გლეხობას, რომლის საკუთრების უფლება მეტად პირობითია, არ შეეძლო ესარგებლა ისეთი სასამართლოთი, რომლის შექმნა მთლიანად მხარეების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ამიტომ, დანიშნულების მიხედით სამედიატორო სასამართო გაბატონებული კლასისათვის იყო შექმნილი, ხოლო თავისუფლებას მოკლებული ყმებისათვის მოურავისა და მემამულის კონტროლქვემ მყოფი მჭე ეწეოდა მოსამართლეობას. ბაგონყმობის გაუქმების შემდეგ მედიატორების არჩევა გლეხებსაც შეეძლოთ.

მოთემეობას, როგორც ცალკე ინსტიტუტიშს, დავით ბაგონიშვილი არ ახსენებს, საყურადღებოა აღინიშნოს, რომ დავით ბაგონიშვილის მიხედით ბჭები არჩევენ საქმეებს შინაური უთანხმოებისა დად ავის შესახებ; ამიტომ, საფიქრებელია, რომ ბჭეობა და მოთემეოდა შინაარსით ერთი და იგივე იყოს.

ყველა ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა:

1. მედიატორობა და ბჭეობა სხვადასხვა ინსტიტუტია;

2. სამედიატორო სასამართლო საზოგადოების პრივილეგიური ფენებისათვის იყო განკუთვნილი, ასეთი სასამართლოს შექმნა მხოლოდ მათ შეეძლოთ;

3. ბჭეები ყმებისათვის არსებობდნენ;

4. როგორც მედიატორები, ისე ბჭეები დავით ბაგონიშვილის დასახელებული შრომის მიხედით მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ხასიათის საქმეებს არჩევდა;

5. როგორც მედიატორებს, ისე ბჭეებს ირჩევენ;

6. ცნება „ბჭეს" ორგვარი შინაარსი აქეს: ეჭე — ზოგადი მნიშვნელბით, მოსამართლეს, მსაჯულს და, საერთოდ, იმ ადამიანს ეწოდება, რომელიც რაიმე საქმეს არჩევს, იხილავს; ბჭე — მეორე გაგებით, სოფლის მოსახლეობის მიერ არჩეული პირია (მცირემნიშვნელობის საქმეების გასარჩევად), ბჭე — ზოგადი ნიშნულობით, მედიატორეც იყო; მედიატორე (მედიატორ) — საერთოდ შუა კაცს, მომრიგებელს ნიშნავდა;

7. მედიატორეს ცალკე საქმეების გარჩევისათვის ირჩევენ მხარეები, ბჭეს კი ყოველწლიურად ირჩევენ;

8. სამედიატორო სასამართლოს არჩევა მხარეებისათვის საეალდებულო არ არის; ბჭეებისათვის მიმართეა კი სათანადო ქვემდებარეობი ფარგლებში საეალდებულო იყო.

ხევისთავი, ბჭე და მოთემე სოფლის მოსამართლეებია. ხევისთავის სისხლის სამართლის, ძირითადად ქურდობის საქმეებს განაგებს; ბჭეს — წერილი სამოქალაქო საქმეები ექვემდებარება. ქართველი მეფეების დროს (რუსეთთან შეერთებამდე) ხევისთავი და ბჭე სამეფო მოხელეები იყვნენ და მათ ხელისუფება ნიშნავდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ოქტომბრის რეეოლუციამდე საქართველოს სოფლებში ეს თანამდებობანი არ მოსპობილა, ოღონდ ამ თანამდებობების პირთ სოფლები ირჩევდნენ.

სოფლის სასამართლო საქმეებთან, როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, ხელი მიუწვდებოდათ მამასახლისებსაც.

7. საეკლესიო სასამართლო. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ ეკლესია-მონასტრები იმუნიტეტით სარგებლობდნენ და თავიანთ სამფლობელოებში სასამართლო საქმეებს თეითონვე არჩევდნენ.

ეკლესიას სასამართლოს ხაზით ხელი მიუწვდებოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის გარკვეულ საქმეებზე მთელი სამეფოს მასშტაბით.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედით მეფე და კათალიკოსი თანასწორნი არიან: „ერთი — ხორცის ხელმწიფე არის და მეორე — სულისა". ამიტომ ორივეს მიუწვდება ხელი ადამიანის ყოველგვარ საქმიანობაზე. რადგან კათალიკოსი ადამიანის „სულის ხელმწიფეა", ამიტომ მას

ისეთი საქმეები ექვემდებარებოდა, რომლებიც რელიგიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო.

ეკლესიას სხვადასხვაგვარად მიუწვდებოდა ხელი სასამართლო საქმეებზე. ეკლესიის მესვეურებს, როგორც ფეოდალებს, ექვემდებარებოდა რიგი საქმეები, ხოლო რიგი საქმეები მარტოოდენ ეკლესიის კომპეტენციაში შედიოდა; გარდა ამისა, ეკლესიის მესვეურნი არჩევდნენ ზოგიერთ საქმეს საერო ხელისუფლებასთან ერთად.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ცოლ-ქმარს შორის ყოველგვარი სასამართლო საქმე, გარდა ქმრის მიერ ცოლის წამების შემთხვევებისა, კათალიკოსს ექვემდებარეობოდა. ასეთი საქმე კათალიკოსის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა აგრეთვე შვილის მიერ მამისა და მამის მიერ შვილის მკვლელობა: „თუ მამამ შვილი მოკლას ან შვილმა მამა, მაგისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და სჯულის კანონით უნდა გარიგდეს“.

ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი დანაშაულად ითვლებოდა და ასეთი საქმე „ეპისკოპოზსა და მოძღვარს“ ექვემდებარებოდა.

გაყრის საქმე დიდმნიშვნელოვან საქმედ ითვლებოდა და ეს საქმე საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციაში შედიოდა. დამახასიათებელია ამ მხრივ 1775 წლის ერთი საბუთი, რომელიც წარმოადგენს ვინმე მეზრუხიძის ახსნა-განმარტებითს წერილს ნეკრესელისადმი: „ეს წიგნი მოგართვი მე გიორგი იმერელმა მეზრუხიძემ რაჭველმა, თქვენ ყოველად სამღვდელოს დოსითეოს ნეკრესელს. თქვენ მოგეხსენებათ... ცოლი გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი. თუ სხვა მიზეზით ვამეშოს და ბოზობის მიზეზით არ ვამეშოს, ქრისტეს წინ შენ პასუხი მოგეც“. ჩვენთვის აქ საინტერესოა ორი რამ: 1) ცოლიძს მრუშობა შეიძლებოდა გაყრის კანონიერი მიზეზი ყოფილიყო; 2) გაყრის საქმე საეკლესიო ხელისუფლება ექვემდებარებოდა.

გაყრის საქმე ეხება აგრეთვე 1740 წლის მეორე საბუთიც, ამ ძეგლის მიხედვით ლუარსაბ გოსტამბაბიშვილს „თავისი შვილი იორამისათვის ამალლებაბარის ქალი ეთხოვნა და დაექორწინებინა, თუმცა ხანი დაეყოთ ქორწილის უკან, გარნა შფოთითა და სიძულვილითა, რა ერთმანეთისობა აღარ მოჰხდენოდათ, მოვიდნენ და ჩვენ ყოელის საქართველოს კათალიკოზს-პაგრიარხს ბაგონიშვილს ბაგონს დომენტის მოეახსენეს. აწ ჩვენ ყოელისა საქართველოს მაკურთხეველმან კრება ვყავით და დავსხით: მთავარ ეპისკოპოზი ბაგონი კირილე, თფილელი მიტროპოლიტი ბაგონი ეფთვიმე, და ყოელისა ქართლისა ეპისკოპოზ-წინამძღვარნი და სამღვდელონი დასნი, აგრეთვე საქართველოს დარბაისელნი სარდალ-მდივანბეგი ბაგონი ქაიხოსრო, მისკარბაში ბაგონი გივი ამილახორი, ბაგონი ოთარი და ყოველნი საქართველოს დარბაისელნი; გავსინჯეთ ამათი სიტყვა და საჩივარი, დიდის გამოწულილვით გამოვიკულიეთ და შევიტყეთ, რომ, რა ჯვარი დაეწერათ და მეერთებულიყვნენ, მამინვე სიძულვილი და უყვარულობა სთესებოდათ, და არც მას აქეთ ამათში ერთობა და საცოლქმროთ შეყრა ჰქონებიათ, ცხრა წელიწადი გავიდა ამათს ქორწილს უკან, მრავალი ცდილიყუნენ ამათნი დედ-მამანი ამათის შეერთებისათვის, მაგრამ არა სიტკბოებით და არა სიმწრით ამათი ერთობა აღარ ექნათ. ახლა რაღგან თვითეა ერთმანეთისაგან მოშორების ნება ჰქონდა ჩვენს შენდობას გუთხოვდნენ და ეხედაედით, რომელ სიძულვილსა შინა მტრობა და კაცის კელა მოჰხდებოდა, და ესე ბოროტი უფროსად გავრცელდებოდა, ამისათვის ჩვენცა ჩვენთან შეკრებილთ ამათ პატიოსანთა სამღვდელოთა დასთათა და თანა მოწმებითა საქართველოს მთავართა შენდობა მივეცით, რომელ თუცა ეაქსა ენებოს ვისიცა ქალი ცოლად შეირთოს, და აგრეთვე ქალმა ვინცა უნდეს ქმრად შეირთოს, ერთმანეთთან არა რა ხელი აქუსთ“.

ეს ძეგლი მრავალ მხრივ არის საინტერესო: 1) გაყრის საქმეს საეკლესიო სასამართლო არჩევს, მაგრამ კათალიკოსი, ალბათ საქმის თავისებურების გამო, იწვევს საერო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც; 2) გაყრის საფუძველი შესაძლოა ყოფილიყო, როგორ ამ საბუთიდან ჩანს, ცოლ-ქმრის შეუგუებლობა. კათალიკოსის ხელმძღვანელობით შეკრებილ სასამართლოს „გამოწულილვით“ შეუწყალია საქმე და დარწმუნებულა, რომ ცოლ-ქმარს ერთად ცხოვრება აღარ შეუძლიათ, ამასთანავე მხედველობაში მიუღიათ, რომ ორივეს, ცოლსა და ქმარსაც, გაყრა სდომნიათ და სასამართლოს მიუცია ნება გაყრისა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ, როგორც ამ ძეგლიდან ჩანს, ქორწინების საკითხს წყვეტდნენ შმობლები.

ამილახვარის ცოლთან გაყრის საქმეც კათალიკოსმა გაარჩია, გაყრისათვის ძალიან სერიოზული მიზეზი იყო საჭირო. ამილახვარის ცოლი ერეკლე მეფის და იყო, ხოლო ამილახვარის ოჯახი მეფის ორგული აღმოჩნდა. კათალიკოს ანტონ პირველმა გაყარა ცოლ-ქმარი ცოლის საჩიერის საფუძველზე, რომ მისი ქმარი იმპოტენტია.

დავით ბაგონიმეილის ცოლთან გაყრის საქმე კათალიკოს ანტონ მეორემ გაარჩია; კათალიკოსმა და მისმა საკრებულომ დავიგს ცოლთან გაყრაზე უარი უთხრა, გაყრისათვის საჭირო საფუძვლების უქონლობის გამო.

საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები ერთად არჩევდნენ გაყრის ისეთ საქმეებს, რომლის საფუძველი ავადმყოფობა იყო.მეფის სასამართლოს მიერ გამოტანილ სასჯელს საეკლესიო ხელისუფლება თავის მხრივ უმატებდა საეკლესიო ხასიათის სასჯელს ასეთი საქმეები იყო: წვალებით სიკვდილი, უსამართლოდ ვინმეს დაპატიმრება, რამაც გამოიწვია დაპატიმრებულის სიკვდილი, ან დაპატიმრების შემდეგ მისი მოკვლა ან მოწამელით ვინმეს

მოკვლა, ან კიდევ ქმრის მიერ ცოლის მოკვლა, სხვისი ბავშვების გაყიდვა და სხვა. ამ დანაშაულთათვის კანონით გათვალისწინებული იყო სისხლის ფასი, რის შემდეგ კათალიკოსი დამნაშავეს რელიგიურ სასჯელს დაადებდა, მაშასადამე, საეკლესიო სასამართლო ამ შემთხვევაში არ შედიოდა საქმეების განხილვაში, უკვე განხილულ საქმეებზე დამნაშავეს მიუმატებდა რელიგიურ სასჯელს.

გარდა ამისა, საერო და საეკლესიო ხელისუფლების საერთო კომპეტენციაში შედიოდა: ქმრის მიერ ცოლის წვალების საქმე, მშობელთა და შვილებს შორის მკვლელობის საქმე, ძმის მიერ დის მოკვლა, ყმის მოკვლა ან დასახიჩრება, სხვისი ცოლის მოტაცება და გაყიდვა, სალაროსა და ეკლესიის გატეხა და სხვა.

მსხვილ საქმეებს, რომლებიც ეკლესიის იურისდიქციას ექვემდებარებოდა, თვითონ კათაკილოსი არჩევდა ან მისი ხელმძღვანელობით ირჩეოდა, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ საეკლესიო სასამართლოს განსაკუთრებული კომპეტენციის საქმე არჩევდა ეპისკოპოსი ან მოძღვარი.

ლექცია VIII

სისხლის სამართლის ზოგადი პრობლემები და დანამაულის ცალკეული ფორმები

ივანე ჯავახიშვილი

ზოგადი მოძღვრება გარდამავლობითი მოქმედების შესახებ

რამდენადაც ყოველი ერის სისხლის სამართალი და კანონმდებლობა გარკვეული უფლებრივი შეგნების ნაყოფია და გარკვეული სისტემის განსახიერებას წარმოადგენს, სამართლის ისტორიის მკვლევარი ვალდებულია გამოარკვიოს და მეისწაელოს ის ზოგადი საფუძველი, რომელზედაც სისხლის სამართლის შესახები კანონმდებლობა აღმოცენებული იყო. ასეთი მოვალეობა მკვლევარს იმ შემთხვევაშიაც აწევს, როდესაც ზოგადი მოძღვრების აღმნუსხველი ძეგლებიც-კი არ მოიპოვება. ამგვარ შემთხვევებში თვით სამართლის დაწესებულებათა შესწავლა მეცნიერს ამ საკითხის გამორკვევას შეაძლებინებს, რათგან ყოველი ასეთი დაწესებულება და სამართლის ტერმინოლოგია ცოტად თუ ბევრად მაინც ამის საშუალებას აძლევს. მით უმეტეს ასეთი მოვალეობა ქართული სამართლის ისტორიის მკელევარს აწევს, რათგან, დაწესებულებათა და უხეი ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგის გარდა, მას ზოგადი მოძღვრების აღმბეჭდელი ძეგლებიც მოეპოვება.

§ 1. სამართალი და გარდამავლობითი მოქმედებანი

„ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნში აღნიმნული გექონდა, რომ მამინდელი მოძღვრების მიხედით შემოქმედმა პირველ ადამიანსა და საერთოდ მთელ ადამიანთა მოდგმას მათი ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედების „სჯული“ დაუწესა.. ეს სჯული თვით ადამიანთა ბუნებასაც ჰქონდა თანდაყოლილი და მცნებითაც შთაგონებულ იქმნა. ამიტომ ეს „ბუნებითი სჯული“ იყო. არქიპიერაგიკონში ასეთი ვედრებაა ჩართული „უფალო, რომელმან მჯული დასდევ საბლვარსა ყოველთასა და ნებით წესი განუჩინე ყოველთა შენ მიერ დაბადებულთა“-ო. ამგვარად ამ ქვეყნად ყველასათვის და ყველა ქმნილებათათვის მჯულის სახით სწორე მოქმედების სამღვარიც იყო დადებული და წესიც განჩენილ იქმნა. ეს იყო „მჯულდებაჲ“ და „წესი ქუეყანისაჲ მის“.

შემდეგ, როგორც იქვე აღნიშნული გექონდა, გაჩნდა „დაწერილი სჯული“, რომელიც კანონისა და სამართლის წიგნების, წერილობით აღბეჭდილი წესებისა და განგებათა დადებით იქმნა შემოღებული. ამნაირად ბუნებითი სჯულისა და მჯულდების გვერდით გაჩნდა კანონმდებლობაც, „სჯული წიგნისაჲ“, რომელიც შეიძლება წესების სახითაც ყოფილიყო ჩამონაკეთილი.

კანონმდებლობის მიზანს ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგება შეადგენდა, მოქმედების იმ საბღერის დადება, რომლის გადასვლა სახელმწიფოს, სარწმუნოებისა, თუ სხვისი უფლებისა და ინტერესის შელახვას წარმოადგენდა. კანონითა და სამართლის წიგნით დადებული საზღერით ადამიანთა შორის „კანონიერება“ უნდა დამყარებულიყო და ამიტომ ადამიანის სწორ მოქმედებასა და ქცევასაც ასევე კანონიერებას უწოდებდნენ.

მეორეს მხრით, წესით დამყარებული ყოფა-ცხოვრების რიგს წესიერება“ ერქვა: „რამანცა გუარმან კაცმან იმეცადინოს დაჰსნად კეთილსა ამას წესიერებასა და კანონსა ამის მონასტრისა“, ღმერთმა შეჰრისხოსო. წესიერების გარდა ტერმინად იხმარებოდა გრეთვე „კეთილ-წესიერება“-ც: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით მონასტრები და ეკლესიები „დრბაზის კარით მიიღებდიან... კეთილწესიერებასა ლოცვასა და მარხვისასა“-ო.

ყოველი გონიერი ადამიანისათვის საჯალდებულოა კანონთა „მეცნიერებაჲ და მედგომაჲ და მტკიცედ პყრობაჲ“. კანონთა „მეცნიერებაჲ“ კანონის ცოდნას ჰნიშნავს, „მედგომაჲ“ — მიმდევრობას და „მტკიცედ პყრობაჲ“, ანუ „დამარხვაჲ“ კანონის დაცვას. ამგვარადვე, როგორც საჯანის ყოველსავე წევრს, ისევე და უფრო მეტად, რასაკვირველია, „უკმს მოძღუარსა (ე.ი. წინამძღვარს, მამასახლისს) ფრიადითა კრძალულებითა პყრობაჲ ამათ განწესებათაჲ და საქმით სრულ-ყოფაჲ ამათ შინა აღწერილთაჲ“.

თავისდა-თავად ცხადია, რომ ეს დებულება ყოველგვარ წესსა, განწესებასა და განგებასაც ეხებოდა.

მაგრამ „დაბადება“-ში დაცული თქმულების მიხედვით, რომელიც ქრისტიანობამაც შეითვისა, უკვე პირველ ადამიანებმა „ბუნებითი მჯული“-სა და მცნების დაცვა ვერ შესძლეს, არამედ დაარღვიეს იგი.

რაკი მჯული, კანონი და წესი, როგორც აღნიშნული გექონდა, უცთომელი და სამართლიანი მოქმედების საბღვრად იყო მიჩნეული, ამიტომ ეს მცნების დამრღვევი მოქმედება ამ საბღვრისა, თუ კანონის, ან წესის, გინდა მცნების „გარდასლვა“-დ იყო მიჩნეული. ე. ხუცეს-მონაზონს ამ პირველ შეცოდებაზე ნათქვამი აქვს კიდეც: „მცნებისა გარდასლვითა იგი მჯული და ხოგბაჲ ღ'თისაჲ ორკერძო განიყო“-. ამავე აზრის გამოსათქმელად „გარდაკლობა“-საც ხმარობდენ: „გარდაეკედით... მას მცნებასა“-ო, სწერია იოანე მმარხველის შეცოდებულთა კანონის ქართულ თარგმანში (6ჯ4).

ამისდა გვარად, ვინც კანონის, ან განწესებათა, თუ წესის დამრღვეველი აღმოჩნდებოდა, „კანონის და წესების „გარდამაელი“ იყო. ეპანაის მონასტრის ტიპიკონი ავალებდა მამასახლისს, რომ მას „უკმს“ მტკიცედ „ყრობაჲ განწესებათაჲ“ და თეითონვე ვალდებულია, „რათა თუალ-უხუავად ამხილებდეს ყოველთაევე გარდამაელთა“ კანონ-წესებისათაო.

თვით საქციელს, რომელიც მჯულისა, სამართლისა, თუ წესის გარღალახვას წარმოადგენდა, „გარდამაელობითი მოქმედება“ სწოდებია. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს დემნა უფლისწული განდგომილება დახასიათებული აქვს, ეითარცა „გარდამაელობითა მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა“.

სამართლის, მჯულისა, თუ კანონის დარღვევის გამოსახატავად „დათრგუნეა“-საც ხმარობდენ ხოლმე. დავით აღმაშენებელს თავის სინანულის გალობაში მაც ნათქვამი აქვს: „სჯულნი დავთრგუნენ წიგნისაჲ და ახალი ბუნებითი“-ო.

გარდამაელობითი უკანონო საქციელი ყოველთვის მხოლოდ მოქმედებისა-კი არა, არამედ ზოჯერ შეიძლება უმოქმედობის შედეგიც ყოფილიყო და იყოს. თანამედროვე სისხლის სამართალი ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას აქცევს და დასასჯელად ისეთი უმოქმედობაც აქვს მიჩნეული, რომელმაც ბოროტმოქმედების მესრულება არ შეაფერხა, ან დაუდეერობითა, თუ უყურადღებობით მისი ასრულება შესაძლებელი გახადა.

ძველი ქართული იურიდიული შემოქმედებისა და მოძღვრებისათვისაც ასეთი თვალსაზრისი და იურიდიული დებულება, რამდენადაც ეს საკორპორაციო სამართლის ძეგლებითგანაა ჩანს, უცხო რამ არ ყოფილა: „უდებებისა“ და საქმის „უგულებელყოფისა“-თვის პასუხისმგებლობა მასაც სცოდნია.

„უდებებაჲ“ და „უგულებელყოფაჲ საქმისაჲ“ თანამდებობის პირთაგან მინდობილი სამსახურისა და თავისი მოვალეობის დაუდეერად, უყურადღებოდ წარმოებას ჰნიშნავდა: „უკეთუ მოძღუარმან, გინა დეკანოზმან, გინა იკონომოსმან უდებებად გასცენ თავი თუსი და სენაკთა შინა მოსმურობათა მიდევნებულნი უგულბელს ჰყოფდენ საქმესა მონასტრისასა და გარეშე საჭიროჲსა მიზეზისა შედაჲსზედა ეკლესიისა ლოცვასა დააკლებოდენ, გინა ტრაპეზს მესლვასა უდებ-ჰყოფდენ“, ასეგი მოხელე ბერები თანამდებობითგან გადაყენებულ იქმნენო.

ასეთი უდებებითა და საქმის უგულებელ-ყოფისაგან წარმომდგარი ზიანის პასუხისმგებლობის გარდა, თანამედროვე სისხლის სამართლის მოძღერება დანაშაულობად ისეთ უმოქმედობასაც სთელის, რომელიც ბოროგმოქმედს, თუ გარდამაელობითი მოქმედების გამმრახველს, საშუალებას აძლევს თაეისი განზრახვა შეასრულოს. ასეთი ცნების, განზრახული საქმის განხორციელების ხელშეუშლელობის, აღსანიშნავად ძველ ქართულში ტერმინად „შიშეებაა“ ყოფილა მიღებული. ეფთუმე მთაწმინდელი ქართ. ბერებს ეუბნებოდა ხოლმე: „უკუეთუ მიეიშუნე ამას საქმესა ზედა, თქუენც პასუხს აგებთო და „მერმე მონასტერ უწესოდ გაეა“-ო. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსსაც ნათქვამი აქვს, რომ „უკუეთუმცა მიეშეა ზენასა განგებასა...“, და-მ ცაქცეულ-იყუნეს ყოველნი მაღნარნი სარკინოზობისანი“-ო, ამ მნიშვნელობისაგან ნაწარმოები განყენებული არსებითი სახელი უნდა „მიმშვებლობაა“ ყოფილიყო, მაგრამ ჯერჯერობით არც ასეთი ტერმინი ჩანს და არც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, არსებობდა თუ არა მამინდელ საქართველოში ასეთი იურიდიული ცნება.

§ 2. გარდამაელობით მოქმედებათა ტერმინოლოგია

გარდამაელობითი მოქმედების შეფასება სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლებოდა და ამისდა მიხედვით ამ შეფასების შედეგი სხვადასხვა ტერმინით გამოიხატებოდა. თუ რომ აღამიანი გარდამაელობით მოქმედებას მხოლოდ კანონიერების ფორმალური თვალსაზრისით მიუდგებოდა, მაშინ ცხადია, რომ ყოველი მოქმედება, რომელიც სამართალს, კანონს, ან წესს არღეეღა, მიჩნეული იქმნებოდა, ეითარცა „წინააღმდგომი და დამარღუეული კანონისაჲ“. ამიგომ კანონის, ან წესის ასეთ დამარღვეველ საქციელს მარტივად „უკანონობაჲ“ ეწოდებოდა იმ გვარადეე, როგორც დადებული წესისა და არსებული წესიერების გადალახვა, ანუ „დაკსნაჲ „უწესობა“ იყო: „ნუცა ეისისა შეპოვნებისათეს დაკსნის ეინ წესსა ამას“-ო, ნურაეინ „იმეცადინოს დაკსნად კეთილსა ამას წესიერებას და კანონსა“-ო.

მაგრამ თუ აღამიანი გარდამაელობით მოქმედებას თვისებისა და შედეგის შეფასების თვალსაზრისით მიუდგებოდა, მაშინ შეიძლება იგი დახასიათებულიყო, ან როგორც „ბრალი“, ან როგორც „ცოდეა“, ან როგორც „ბოროგმოქმედება“, ანდა ეითარცა „დანაშაულობა“.

ს. ორბელიანის განმარტებით „ბრალი“ თითქოს „მცირე რამ დანამაული“ უნდა იყოს (ლექსიკ.), მაგრამ ეს განმარტება სწორე არ არის. გ. მერჩულის სიტყვით გრ. ხანძთელმა ამოტ კურაპალატის საყვარელს უთხრა: ჩემ რჩევას დაემორჩილე, ცოლ-ქმართა შორის ნუ შეიჭრები და ხელმწიფეს საფრთხეში ნუ აგდებ, დანებე მათ თავი, რომ ღმერთმა „ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს“-ო. ეამთააღმწერელსაც ნათქვამი აქვს: დიმიტრი თაყდაღებული მონღოლებმა „წარიყუანეს სამსჯაეროსა სახლსა... და აკითხვიდეს, უკეთუ თანაეწამა განბრახვასა ბუღასასა, და ვერა ბრალი პოვეს“-ო.

ამ ცნობებში ბრალი სრულებით მცირე დანამაულობად არ არის ნაგულისხმევი და საერთოდ „ბრალი“-ს ძირითადი მნიშვნელობა დანაშაულობის სიღიდეს, თუ სიმცირეს არ ეხება. სახარების ქართული თარგმანის „ბრალი“ (იოანე 1838) ბერძნული დედნის „ჰე ა#გია“-ს უდრის , ე.ი. culpas-ს ლათინური -ს შესაგყვისი ყოფილა. ეფთუმე მთაწმინდელი იმავე სიტყვით ბერძნულს „ტო ენკლემა“-სა და „ჰე მარაგია“-ს სთარგმნის. თუ „ჰე მარაგია“ უფრო მართებული იყო, რომ ცოლად ყოფილიყო გადმოთარგმნილი, „ტო ენკლემა“ მართლაც იმასვე ჰნიშნაეს, რასაც „ჰე ა#გია“.

„ცოლვა“ გარდამაელობით მოქმედებას უფრო მნეობრივ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ახასიათებს. სამაგიეროდ „შეცოლება“ უკვე დანამაულობას ჰნიშნავდა. ასეთი მნიშვნელობით აქვს ნახმარი ტერმინი „შეცოლება“ ეამთააღმწერელსაც, რომელსაც სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ დიმიტრი თაყდაღებულმა რაჭის ერისთავს კახაბერს „შეუნდო ფიცთა მტკიცეთა მიერ, რათა არა აბრალოს პირველ შეცოლება“-ო. ასევე უნდა გაეიგოთ ეს ტერმინი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის სათაურში: „წიგნი სამართლისა კაცთაშეცოლებისა ყოველისაე“.

„დანამაული“ ს. ორბელიანის განმარტებით ყოფილა იგივე „მეცოლება, ესე იგი არს შეაღ ქმნა საქმისა“-ო (ლექსიკ). შესაძლებელია ჩვნა „დამაეების“ თაყდაპირველი მნიშვნელობა სწორედ საქმის შეაღ ქმნას პგულისხმობდა, მაგრამ „დამაეება“ აგრეთვე ეისთვისმე ფიზიკური, ან და ზნეობრივი ვნების მიყენებასაც ჰნიშნავდა. თეით საბას ცნობითვე„დამაეება ხეიბრად შექმნა“-ს ეწოდებოდა. ხეიბარი-კი იყო „კაცი დამაეებული“, დაჭრილ-დამარალებული. ამისდა მიხედვით „დანამაული“ ვნებისა და მიანის მნიშვნელობის მქონებელ ტერმინად უნდა ეიგულისხმოთ, მაგრამ იმ ხანის ძეგლებში, რომელიც ამ წიგნის ასპარეზს შეადგენს, „დანამაული“ არა ჩანს.

ეისაც ბრალი ეღებოდა, ან მიუძღოდა, იმას „ბრალეული“ ერქვა. გ. მერჩულის სიტყვით გრ. ხანძთელი „ბრალეულთა სინანულად მოაქცევდა და ურჩთა სიმართლისათა სრულიად განასხმიდა“. დავით აღმაშენებელსაც თავის სინანულის გალობაში ნათქვამი აქვს: „ქალწულო (ე.ი. ღვთისმშობელო), ბრალეულთა თაესმდებო“ უსასოება ჩამომამორეო, — „არა უხილაეს ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი“-ო. მცირე მჯულისკანონში ეფთუმე მთაწმინდელს ნათქვამი აქვს: „ყოველნივე ზემოწერილნი ბრალეულნი (მკვლელნი, მპარავნი, მსიძაენი, მემრუშენი, ცრუმფიცებელნი, გრძნეულნი, მწამლველნი და სხვანი) და კანონსა ქუეშე მყოფნი“, თუ სასჯელის ეადის დამთავრებამდე მომაკედავი შეიქმნენ, უფლება აქეთ რომ ეზიარონო.

ეისაც „შეცოლება“ ჰქონდა ჩადენილი, ის „შეცოლებული“ იყო. მცირე მჯულისკანონში ეფთუმე მთაწმინდელს ნათქვამი აქვს: „წათა მამათა თითოეულისა კრებისათა აღწერნეს კანონნი „შეცოლებულთათუს“-ო. ამავე ავტორს განმარტებული აქვს, რომ მსაჯული მოვალეა „განიცდიდეს წესსა მას და გონებასა შეცოლებულისასა“ და ამისდა გვარად უნიშნავდეს სასჯელსაო.

სჯულისა და კანონის გადამლახველს „ბოროტისმოქმედ“-ც ეწოდებოდა. იოანე მმარხველის შეცოლებულთა კანონის ქართულ თარგმანში ეფთუმე მთაწმინდელს ნათქვამი აქვს: რაკი სასჯელსა აღამიანნი ვერ გამოგასწორა, არამედ უფრო „უძუმს ეიქმენით“, ამიტომ ღმერთმა „მოაელინა სამართლად წყალისრღუნაჲ და აღკოცნა ბოროტისმოქმედნი“-ო.

ამავე ცნების აღმნიშნელ ტერმინად ძველ ქართულ მწერლობაში „ძვრის მოქმედი“-ც გეხვდება: „ეითარცა ძრისმოქმედი აეაზაკთა მორის ჯუარსეცუ“-ო, ნათქვამია არქიპიერიგიკონში. კოხგას თავს მომხდარი შეთქმულების მონაწილეთა დამსჯელ მონღოლებს ცოგნე დადიანმაც, ეამთააღმწერლის სიტყვით, უთხრა: თუმცა ჩვენ თქვენი საქმეების მოსაწესრიგებლად ვიყავით შეკრებილნი, ამისდა მიუხედავად „აწ თქვან ძვირის მოქმედთა თანა შეგვრაცხენით“-ო. ამავე ავტორის მოწმობით, ჯუნმერის ძის ბელიან-დადიანის გონიერი მმართველობის წყალობით XIII ს. პირველ ნახევარში მის თემში „ძვირისმოქმედი არა იპოეებოდა“-ო.

ეისაც არავითარი ბრალი არ ეღებოდა, ის იყო „უბრალო“. ამისდა მიხედვით უდანაშაულობას „უბრალოება“ეწოდება. ამგვარავე, ეისაც არავითარი შეცოლება არ მიუძღოდა, „შეუცოდარი“ იყო. ეამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს: „წარვიდა ყანს წინაშე და არქუა ყრმისა დავითის უბრალოება, — „რად გიქმს შეუცოდარისა ყრმისა მოკლევა“-ო.

§ 3. გარდამაელობით მოქმედებათა კლასიფიკაცია

ეფთუმე მთაწმინდელს „მცირე სჯულისკანონ"-ში აღნიშნული აქვს ბოროტმოქმედებისა და შეცოდცოდების სირთულე, მრავალსახეობა და მისი სისწორით შეფასების სიძნელე: „არა მარტივი არს სენი იგი ცოდვათა, არამედ მრავალ-სახე და მრავალ-გვარი"-ო. ამიტომ, ეისაც დამნაშავის გასამართლება აქვს მინდობილი, ის ეალდებულია, „რათა განიცდიდეს წესსა მას და გონებასა შეცოდებულისასა"-ო.

უკვე იოანე მმარხველს თავის შეცოდებულთა კანონში აღნიშნული აქვს, რომ დანაშაულობის განხილვის დროს მრავალგვარი გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული. ჯერ ერთი ის, რომ, მისი სიტყვით, „ყოველი ცოდვაჲ, რომელი უწინარეს ლ (30) წელისა პასაკისა შემთხუეულ ეისღა იყოს, უსუბუქესად განიკანონების", თუნდაც რომ დანაშაულობა „მძიმეთა ცოდვათაგანი იყოს", იმიტომ რომ „ვიდრე ლ: (30) წლამდე უმეცრებაჲ გონებისაჲ და მკურვალებაჲ ქორცთაჲ დიდად მსძლაერობს კაცსა"-ო. ხოლო პირიქით „ყოველი ცოდვაჲ, რომელი [ლ] (30) წლისა წაღმართ შეემთხუიოს ეის", თუნდაც რომ „უდარწმთა ცოდვათაგანი იყოს, უმეტესისა (ე.ი. უფრო მკაცრი) კანონისა თანამდებ არს"-ო.

საერთოდ, ამაზე ბერძენი აეტორის სიტყვით, მოსამართლეს უნდა გათვალისწინებული ჰქონოდა ბოროტმოქმედების ყოველი გარემოება, სახელდობრ, საჭირო იყო გამორკვევა შეცოდებულის „სიჭაბუკისაჲ და სიბერისაჲ", ანუ წლოვანების, — „ძლიერებისა და უძლურებისაჲ", ანუ ფიზიკური მდგომარეობის, — „განყოფილებანი აღგილთანი და სახენი, რომლითა იქმნა ცოდვაჲ", ანუ დანაშაულობის აღგილობრიეი პირობები და წარნოშობილობა.

მსჯულს ამას გარდა უნდა გაეთვალისწინებინა, ბოროტმოქმედებისა, თუ დანაშაულობისათეის „მან დაჰპატიჟა მეორესა, გინა თუ მის მიერ დაეპატიჟა მას, — გინა თუ განბრახვითა შეემთხეია და წურთითა მიეიდა ცოდვასა მას, ანუ თუ იშობრივ (ე.ი. უეცრად) და აღგაცებით შეემთხეია, — ანუ თუ მთერალობითა, — ანუ პატრონისა ბრძანებითა, კელმწიფებითა და მიმითა მისითა ოდენ გულისთქმითა და ნებითა იქმნა, — ამის ყოელისა გამოძიებაჲ ჯერ არს"-ო.

იოანე მმარხველის დებულებით, ერთი სიტყვით, მოსამართლის მოვალეობას შეადგენდა გამორკვეეა დანაშაულობისა და დამნაშავის „ვამისა და პასაკისაჲ და აღგილისაჲ და იძულებისაჲ და ფლობელობისაჲ".

ეფთუმე მთაწმინდელს დანაშაულობათა კლასიფიკაციის აღმნიშენელ ტერმინად ნახმარი აქეს „განყოფილებაჲ ბრალთაჲ".

აღამიანის ყოეელი მოქმედება მისი ნებისყოფის განსახირებას წარმოადგენს: გაღამწყეეტი მნიშენელობა სწორედ ნებას აქვს, რომელიც მის თავში გაჩენილ აზრს საქმედ აქეევს ხოლმე. თავისთავად ცხადია, რომ გარდამაელობით მოქმედების თეისების გამოსარკეევადაც მით უმეტეს ამ მოქმედების გამომწეევ ნებისყოფას უნდა მიაქცეოდა ყურადღება. შეცოდების ნიეთის შეფასების დროს დაწინაურებულ ერთა სისხლის სამართალი გარდამაელობით მოქმედების წარმოშობისა და განხორციელების პროცესს აკვირდება და ამისდა გეარად მსჯელობს კიდეე მასზე.

საბოლოოდ ჩამონაკეთილი რომაული სამართალი ბოროტმოქმედებასა და დანამაულობაში ან dolus-ს, dolus malus-ს, განზრახეას, ბოროტ განზრახეას ჰხედაედა, — ან culpa-ს, ბრალს, ან და casus-ს, შემთხეეევას.

ბიზანტიურ სამართალში ამ საკითხის შესწაელის შესაძლებლობას უფრო საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლები აძლეევენ მკვლევარს. აღსანიშნავია ამ მხრივ, რომ იოანე მმარხველი „შეცოდებულთა კანონ"-ში შეცოდებათა მრავალსახეობასა და მრავალფეროვანობაში სამ ჯგუფს ხედავდა და ამისდაგვარად დასახელებული აქვს შეცოდებათა „განყოფილებაჲ და თითოსახეობაჲ დიდთა და სამუალთა და მცირეთაჲ".

თეით თხზულებაში შეცოდებათა ასეთი სამ ჯგუფად დანაწილების კეალი ოდნაე მოჩანს. ამაზეეე საუბარი მამათმაელობის დანამაულობის განხილვის დროსა აქეს და იქაე ამბობს: „მამათმაელობისა სამი არს განყოფილება" და იმისდა მიხედეით როგორ იყო იგი ცადენილი და რა პირობებში, — „სხუსა მიერ შეემთხუა, ანუ მძლავრობით", ზოგი ამათგანი „ბრალნი... სუბუქნი და რომელნიმე მძიმენი", ზოგიერთი კიდეე „უმძიმეს არს"-ო. მაგრამ არსად არც განმარტებულია, არც ნათქეამი, თუ რაზეა ეს სამ ჯგუფად დაყოფის აზრი.

იოანე მმარხველს ჰქონდა აგრეთეე შედგენილი ცოდეათა, ანუ, უკეთ რომ ითქვას, სქესობრიეი ზნეობისა და კანონის გადამლახველ დანაშაულობათა კლასიფიკაცია. ისეთი შეცოდებისათეის ავტორს ტერმინად ნახმარი აქეს „ცორციელნი ცოდვანი".

ხორციელი ცოდეები იოანე მმარხველს ორ ჯგუფად აქეს დაყოფილი: იყვნენ „ცოდვანი ბუნებითნი" და „ცოდვანი გარეშენი ბუნებისანი". შეცოდებულთა კანონის განხილვის დროს „პირეელად ეთქუათ რიცხუი და განყოფილებაჲ ცოდვათაჲ ბუნებითთა და გარეშეთა ბუნებისათა". ეფთ. მთაწმინდელის განმარტებით, „ბუნებითნი ცოდვანი ესე იგი არს; — სიძეანი დედათა თანა, გინა თუ მკეალთა, ანუ მეძავთა, — წესითა მით ბუნებითისა ცოდეისაჲთა.

ასეთი კლასიფიკაცია იმ რწმენაზეა დამყარებული, რომელიც დავით აღმაშენებლის სინანულის გალობაშია გამოთქმული. მაშინ იცოდენ, რომ განგებისაგან თანდაყოლილი ბუნებითი სჯულის გარდა არსებობს აგრეთვე „სჯული ბუნებისა კორცთაესა“, ადამიანის ფიზიკური ბუნების კანონი, რომელიც ხშირად ადამიანს იმონებს ხოლმე. დაეით აღმაშენებელი ჰგოდებდა, რომ სწორედ ამ „კორცთა სჯულსა დაეემონე“ო.

თუმცა სიძეა, თუ მრუშობა დანაშაულობად იყო მიჩნეული, მაგრამ, რაკი სქესობრივი კავშირი მამაკაცსა და დედაკაცს შორის „კორცთა ბუნებითს სჯულს“ წარმოადგენდა, ამიტომ მათ ბუნებითი ცოდვა ეწოდებოდა. ამისდა გვარად ყოველიეე არა-ბუნებრივი სქესობრივი კავშირი ბუნების გარეშე, ან ბუნების გარეგან დანაშაულობად ითვლებოდა.

როგორც სჯულისკანონში დაცული მსოფლიო ეკლესიის კრებათა კანონმდებლობა, ისევე შეცოდებულთა კანონების შინაარსი ცხადჰყოფს, რომ თუმცა ბოროტმოქმედებისა და შეცოდების სხვადასხვა თვისებათა გარჩევის შეგნება და მართლმსაჯულების დროს ამით ხელმძღვანელობის აუცილებლობა მკაფიოდ ეგრძნობა, მაგრა არაეითარი სახელმძღვანელო დებულება არა ჩანს და შეცოდებათა სამ ჯგუფად დაყოფის გარდა, თანაც ამ დანაწილების პრინციპის განუმარტებლიე, იურიდიულ აზროვნობას ზოგადი თეორიისა და მოძღვრების შემუშავება ვერ მოუხერხებია და კერძო დანაშაულობათა განხილვისაგანაც თავი ვერ დაუწუეია. ამის წყალობით აქა-იქ გაფანტული საგულისხმო მცდელობის ჩანასახი, ამა-თუ-იმ დანაშაულობის სიმძიმე-სიმსუბუქის გარემოებათა მაუწყებელი, მართლმსაჯულებისათვის განკუთენილ კანონთა მუხლების სიხმოში იკარგება. ამის წყალობითეე გამოურკეეელი რჩება, არსებობდა თუ არა მკაფიო შეგნება იმ ზოგადი იურიდიული საფუძელის, რომლის მიხედეითაც დანამაულობის შედარებითი სიმძიმე უნდა განსაზღერული ყოფილიყო?

როგორც ეტყობა, არც ბიზანტიურ სისხლის სამართალს შეუქმნია რაიმე მნიშნელოვანი და ზოგადი თვისებების მქონებელი მოძღერება: აქაც კანონმდებლობა და სხვა ძეელები კერძო, სათითაო ბოროგმოქმედების სასჯელის განსაზღერით კმაყოფილდებოდა და ზოგადი დებულების, ან თეორიის შემოქმედებამდის ვერ ამაღლებულა.

ცნობილია, რომ 1791წ. ფრანგულ სამართალში შემოღებულ იქმნა დანამაულობათა სამ ჯგუფად და საფეხურად დაყოფა იმ სასჯელის სიმკაცრისდა მიხედეით, რომელიც თეითეული საფეხური დანამაულობათათეის იყო მისაგებლად განკუთენილი. პირეელ და უმძიმეს ჯგუფისას ეწოდა ტერმინად crime, მეორისას delit და მესამისას contravention.

დანამაულობათა 3 ჯგუფად დანაწილების ეს პრინციპი სხეაგანც იქმნა მიღებული და გერმანული სამართალიც მაგ. ფრანგული crime-ის შესატყვისად მძიმე დანამაულობის აღმნიშნელ ტერმინად Verbrechen-ს ხმარობს, delit-ის შესატყვისად – Vergehen-ს და contravention-ის შესატყვისად კიდეე bertretung-ს. რუსულ სისხლის სამართალსაც ამგვარადვე სამი ტერმინი აქვს: преступлениеб, проступок და нарушение.

მაგრამ ასეთი სამ-ჯგუფად დანაწილების ფრანგული სისტემის (le systeme tripartite) მოწინააღმდეგენი იტალიელი კრიმინალისტები არიან, რომელთაც ორ-ჯგუფად სისტემა (le systeme bipartite) წამოაყენეს, რომლის მიხედეით ორი პირეელი ჯგუფისათვის ცალცალკე ტერმინი საჭირო არ არის, არამედ, მათი იურიდიული ბუნების იგიეეობის გამო, ორთავეს საერთო ტერმინი უნდა ჰქონდეთ. ამ დებულებას გერმანულ კრიმინალისტიკაშიც აღმოუჩნდა მომხრენი, ნაწილობრივ რუსულშიაც. მთლიანად-კი ორ-ჯგუფად სისტემა იტალიურსა, პოლანდიურსა, უნგრულსა და სხეა ერთა სისხლის სამართალშია მიღებული. ფრანგი კრიმინალისტები-კი სამ-ჯგუფად სისტემის საფუძელიანობის დაცვას განაგრძობენ.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დანამაულობათა სამ-ჯგუფად სისტემის ჩანასახი უკვე ბერძნულ-ბიზანტიურ საეკლესიო კანონმდებლობაში მოიპოეებოდა, მაგრამ იქ ამ სისტემის უფლებრივი დასაბუთების არაეითარი კვალი არ ჩანს. ამასთანავე ამ სამ-ჯგუფად სისტემის დანამაულთა ცალკეული ჯგუფისათეის ბიზანტიელებს არც მოეპოეებოდათ განსაკუთრებული სახელი.

სამ-ჯგუფად დანაწილების სისტემა ქართულ იურიდიულ მწერლობასაც შეთვისებული ჰქონდა, მაგრამ, როგორც იმ-დროინდელი ტერმინოლოგიის მიმოხილვითგან ცხადი ხდება, თეითეული ჯგუფისათეის განსაკუთრებული ტერმინი არც ძეელ ქართულში ჩანს: შეცოდება და დანამაული ყველა ჯგუფებისათეის განურჩეელად იხმარებოდა იმგვარადეე, როგორც გარდამავლობითი მოქმედება. მხოლოდ ბოროგმოქმედებათა თავისი შინაარსით დანამაულმე უფრო მძიმე შეცოდების გამომხატეელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძეელების ენისა და ტერმინოლოგიის მიხედეით ამის დამტკიცებაც შეუძლებელია. ბოლოს-და-ბოლოს დანამაულობათა ჯგუფებად დანაწილება ბრალეულობის შედარებით სიმძიმე-სიმსუბუქეზე ყოფილა დამყარებული და ჩვენი მოვალეობაა გამოვარკეოთ, თუ-კი ეს შესაძლებელია, ის ძირითადი დებულება და საბომი, რომელზედაც ეს დანაწილება დამყარებული იყო.

მთლიანად ჩამონაკეთილი, დამთაერებული მოძღერება გარდამავლობითი მოქმედების შესახებ ძეელად არც ქართულად მოგეპოეება და ასეთი მთლიანად ჩამონაკეთილი მოძღერების არსებობა ძნელი მოსალოდნელიც არის, რამდენადაც საერთოდ სისხლის სამართლის ეს ზოგადი

ნაწილი დასაელეთ ეეროპაშიაც მხოლოდ XVIII ს. დამლევსა და XIX ს-შია ჩამოყალიბებული. მაგრამ სამაგიეროდ ისეთი რთული და პასუხსაგები, მძიმე დანამაულის შესახებ, როგორიც მკვლელობა იყო, ბეელ ქართულ იურიდიულ მწერლობაში საკმაოდ ერცელი და მეტად საგულისხმო ზოგადი ხასიათის მოძღერება მოგეეპოვება, რომელიც ეფთუმე მთაწმინდელს ეკუთვნის.

ეს მოძღერება სახელოვან ქართველ მეცნიერს ბასილი კესარიელსა და იოანე მმარხველის კანონებზე დაუკავშირებია და ამ მამათა კანონების განმარტების სახით დაუწერია. ეფთუმე მთაწმინდლის განმარტება ბასილი კესარიელისა და იოანე მმარხველის §§-ებს იმდენად აღემატება, როგორც შინაარსის სიერცით, ისეე თვით ინტერპრეტაციის განყენებული ხასიათითა და სიღრმით, რომ ის ამ ბოროგმოქმედებისა და საერთოდ გარდამაელობითი მოქმედების შესახებ ზოგად მოძღერებად არის ქცეული.

საგულისხმოა, რომ, რაც მათ აკლია, – მოელენათა ზოგადი შინაარსის შესახები მსჯელობა და დანამაულობათა ზოგად თვისებათა გამორკეეის ცდა, – სწორედ ის ეფთუმე მთაწმინდელს მოეპოება. ეტყობა, რომ ათონის ქართველთა მრავალრიცხოვანი ძმობის იკონომოსად და მამასახლისად ყოფნის დროს თავის მართლმსჯულებითი მოღვაწეობის წყალობით ამ საგანსა და საკითხებზე ბევრი უფიქრია და თავისი ღიდი გამოცდილება და სამართლის სფეროში ზოგადი თეორიული მსჯელობის ნიჭი მცირე სჯულისკანონისა და შეცოდებულთა კანონების თარგმან-განმარტებაში აღუბეჭდია.

§ 4. გარდამაელობით მოქმედებათა კლასიფიკაციის საფუძველი

ყოველ გარდამაელობითს მოქმედებას თავისი შინაარსი აქეს. დანამაულობის ამ არსებას ქართულად ეწოდებოდა „ნიეთი შეცოდებისაჲ“. ამგეარად „ნიეთი შეცოდებისაჲ“ დაახლოებით რომაული სამართლის –ს corpus delicti-ს და ფრანგული -ს corpus du delit-ს უდრის.

ბასილი კესარიელის კანონების § №№ბერძნ. -ის შემდგომ მოთაესებულ განმარტებაში ეფთუმე მთაწმიდელი მკელელობის თვისების გამორკეეის დროს უმთაერეს ყურადღებას დამნაშავის „განზრახვა“-ს, „ნება“-სა და „გულის სიტყუა“-ს აქცეეს. ამისდა გეარად შეიძლებაო ეინმემ „ნებითი თუით და განზრახეით კაცი მოკლას“, – ეს იქმნებოდა „ნებისით კაცის კულაჲ“. მაგრამ შეიძლებოდა ეისმე „არა თუსითა ნებითა, არამედ უნებელად შეემთხუას კაცის კულაჲ“, ეს იქმნებოდა „უნებლიეთი კაცის კულაჲ“, ამასთანაეე „შემთხუეეითი“-ც.

ნებსით და უნებლიეთი კეელელობაც თაეის მხრივ სხადასხეა თვისებისა არის: „განყოფილება მრავალი არის ნებსითთა და უნებლიეთთა კაცის კულისათა“-ო. ეფთუმე მთაწმინდელის მოძღერებისამებრ „არს უკუ სრულიად უნებელი და გარემე გონებისა და განზრახვისა მოქმედებისა მის“, როდესაც ადამიანს არამეთუ განზრახვა არა ჰქონია ბოროგმოქმედება ჩაედინა, არამედ ფიქრადაც არ მოუეიდოდა („გარემე გონებისა“), რომ მისი მოქმედება ეისმე ბიანს მოუტანდა, – მაგალითად „უკეთუ სტყორცოს ქვაჲ, ანუ შემაჲ ძაღმიემთხეიოს ქვაჲ იგი, ანუ ძელი კაცსა უცნაურად მტყორცელის ამის და მოკუდეს კაცი იგი ქეისა მისგან, ანუ ძელისა“. რაკი „განზრახეა და ნება მტყორცელისა მის იყო მხეცისა მიმართ ოტებაჲ მისა, ანუ ხისა მიმართ ჩამოყრად ნაყოფისა“, ამიგომ ეს შემთხეეა „უნებლიეთი და გარეშე გონებისა“-ა.

ამგეარისაეე თეისების დანამაულობაჲა სთელის ეფთუმე მთაწმინდელი „უკეთუ ვინ სწეართოს მონათსი ანუ მოწაფე მოლგითა, ვინა კუერთხითა არა ფიცხელითა და შეემთხეიოს მას სიკუდილი“, იმიგომ რომ „მან არა გულისსიტყეითა მოკლეისათა სცა.., არამედ მოქცეეად მისა უწესობისაგან და არა უზომოდ უქმნია გუემაჲ მისი, არამედ განსაწურთელად ოღენ“-ო. აქ, ცხადია, „უდებობა“-ზე, გაუფრთხილებლობასა და დაუდეერობაზე აქეს ეფთუმე მთაწმინდელს საუბარი, ე.ი. აქ არის ის, რასაც ლათინურად culpa-ს ეძახდენ, ფრანგები la faute, ან imprudence-ს, გერმანელები die Fahrlassigkeit-ს, რუსები неосторожность-ს უწოდებენ.

უფრო მძიმე დანამაულობა იყო, „უკეთუ შეემთხეიოს ეითმე მფოთი ურთიერთას და მიამთხეიოს, გინათუ არგნითა, ანუ მჯიღითა“ ან გასტყორცნოს ქუაჲ, ანუ შემაჲ მიმთხუეეად მეორისა“ და დაკოდილი აღამიანი მოკვდეს. ასეთი ბოროგმოქმედება „მახლობელ არს ნებსითსა კაცის კულასა“ იმიგომ, რომ თუმცა „გულის სიტყეა მისი იყო, რათა აგინოს და მოწყლას“, ანუ „რათა აენოს ოღენ“, მაგრამ ამისდა მიუხედაეად მაინც „ნებსითსა მიეახლების“, რამეთუ... ესრეთ რისხვით და გულისწყრომით ურიდად სცა“, „ანუ საკრძალაესა აღგილსა“ მიარტყა და „ურიად ძლეულიყო გულისწყრომისაგან“. მამასადამე ერთის მხრით გაუფრთხილებლობისა გამო, მეორეს მხრით იმიგომ, რომ სიცოცხლისათეის სახიფათო აღგილას, „საკრძალაესა აღგილსა“ მოურიდებლე მიარტყა, რათგან მას უნდა ეაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების მაენებლობის შესაძლებლობა, და ამასთანაეე რაკი მძულეარების გრძნობითაც ჩაიდინა თაეისი საქციელი.

„ნებსითი კაცის კულაჲ“ არის, თუ ვინმემ „აღიღოს მახვილი და ესრეთ კელ-ჰყოს შურისგებად“, ან „თუ კელის-კელ სცეს მახვილითა“, – „გინა თუ მეტყორცებით მოწყლა, ანუ

კელცულითა, ანუ მაზრაკითა (ე. ხელშუბით), ანუ ისრითა“ და დაჭრილი გარდაიცვალოს, ცხადია, იმიგომ, რომ „შურისგება“ სურდა, მაშასადამე მისი მოქმედება განზრახვითი და ნებსითი ყოფილა, – მეორეც იმის გამო, რომ თავისი წადილის განსახორციელებლად აღამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო იარაღი (მახვილი, კელ-ცული, შუბი და ისარი) აირჩია.

ნებსითა და განზრახვით მკვლელობადა სთელის ეფთუმე მთაწმინდელი, როდესაც „მისცემენ წამალთა, ჩჩვილის მკვლელთა სამოსა მინა“. ამ შემთხვევაში „კაცის მკულელნი არიან: მიმცემელნი იგი წამლისანი და მიმღებელნი მისნი“, ანუ დედები: უკანასკნელი იმიგომ, რომ „განზრახვა და ნება“ მათი იყო წამლით „ჩჩვილი“ „საშოსა მინა“ მოეკლათ, ხოლო პირველნი აგრეთვე იმიგომ, „რამეთუ მრაეალ-გზის არა ხოლო თუ ჩჩვილნი იგი, არამედ თვით იგინიცა დედანი, რომელთა ასეიან წამალი იგი, შეემთხვევის სიკუდილი“. მაშასადამე გამოცდილებით უნდა გათვალისწინებული პქონდათ მათი საშუალების მავნებლობა და მოსალოდნელი სახიფათო შედეგი დედისათვისაც. უკანასკნელ შემთხვევაში დედებიც თაეიანთ თაეის მკვლელებად ხდებიანო.

„ნებსით და ბოროტ“ მკვლელობადა სთელის იგივე ავტორი, „უკეთუ ვინ წამალი ეის შეასუას სასიკუდინე“, „ეითარ იქმან დედანი: მრაეალგზის შეასუმენ წამალსა მამაკაცსა, რათა სიყუარული ტრფიალებისა შეუქმნან მათდა მიმართ, და შეემთხეიის ამისგან სიკუდილი“-ო. თუმცა თვით ეფთუმეც გრძნობს, რომ „არა მოსაკლაედ შეასუა წამალი იგი დედაკაცმან მან, არამედ სიყუარულისა აღსაორძინებელად“, მაშასადამე ამ შემთხევევაში უნებლიეთი ბოროტმოქმედებაა, ამისდა მიუხედაედ იგი მაინც ამტკიცებს: „ვინათგან გულის სიტყეა იგი (ე.ი. თაეისთაეის ძალად შეყუარების სურვილი) უჯეროო იყო და საეშმაკოჲ, უკეთუ შეემთხეიოს სიკუდილი, ნებსითა კაცის-კულათა თანა არს“-ო.

ეფთუმე მთაწმინდელისაევე მოძღერებისაებრ „სრულიად ნებსითნი კაცის კულანი“ არის ხოლმე, „რომელთა შინა იჭვი არცა ერთი არს“, ანუ „კაცის-კულანი ნებსითნი და განზრახეითნი“ მკულელობანია „ავაზაკთანი და მბრძოლთანი, რომელნი მიელენ ტყუენეად და ხოცად“, იმიგომ რომ „ავაზაკნი ანგაარებისათუს დამიხეჭისა უცხოთა საფასეთასა მოკკულენ კაცთა უბრალოთა“, ხოლო „მბრძოლნი მიელენ ტყუენეად და მოსრეად“ და ჰხოცაენენ „წინააღმდგომთა მათთა“-ო.

ზემომყეანილითგან ცხადი ხდება, რომ დანაშაულობათა კლასიფიკაციის საფუძელად ეფთუმე მთაწმინდელს მიღებული აქეს „განზრახვაჲ“, „ნებაჲ“, „გულისსიტყვაჲ“, ანუ „გულისთქმაჲ“ და აღგილ-გარემოებანი. უმთავრესი, შეიძლება ითქეას გადაწყვეტი, მნიშვნელობა პირველ ორს, – განზრახვასა და ნებას, – პქონდა, გულის სიტყვასა და აღგილ-გარემოებას ბრალეულობის მხოლოდ ან დამძიმება, ან აღმსუბუქება შეეძლო.

უპირველესად ყოელისა ბრალეულობის საკითხს განზრახეის მონაწილეობა სწყეტდა: თუ გარდამაელობითი მოქმედება წინასწარი განზრახეის ნაყოფი იყო, მაშინ იგი „განზრახეითი“ იქმნებოდა, – განზრახვისა და ნების მონაწილეობისდა მიხედეით გარდამაელობითი მოქმედებანი განზრახვით და განუზრახველ, – ნებსით, უნებლიეთ, ანდა სრულიად უნებელად ითელებოდენ.

იმ შემთხევევაში, როდესაც ბოროგმოქმედება, ან დანაშაულობა წინასწარ მოფიქრებული და განზრახული იყო, ასეთი განზრახვითუ ბოროგმოქმედებისათეის დამნაშაეეს შესაძლებელია თაეისი განზრახეის განხორციელებისათეის წინასწარი სამზადისიც დასჭირებოდა. გარდამაელობითი მოქმედებისათეის ასეთ წინასწარ მუშაობას „შემზადება“ ეწოდებოდა. მაგ: ერთმა ათონელმა ბერმა „შეიმზადა მახვილი და ენება მოკლეაჲ“ ეფთუმესი, ხოლო ბაგრატ IV-მ გ. მთაწმინდელს უამბო მეამბოხე აბაზაასძეთა „ყოველი გაბრახეა მათი და ბოროგის შემზადებაჲ“. ხოლო ბოროგმოქმედების წინასწარ მოწყობას როგორც ეტყობა, „განზრახგანგება“ სწოდებია და ასეთ დანაშაულობასაც „განზრახგანგებული“ ერქმეოდა.

ბოროგმოქმედების „შემზადებაჲ“ რასაკეირეელია, ფრანგულს l'acte preparatoire, გერმანულს die vorbereitende Handlung-s უდრის.

§ 5. ბრალეულობის განმაქარწყლებელი, ან აღმსუბუქებელი გარემოებანი

რაკი ადამიანის მოქმედებისა, თუ გარდამაელობის საკითხი იმ ძირითად ცნებაზე იყო დამყარებული, თუ რამდენად იგი „თუისითა ოდენ გულისთქმითა“, „ვამბითა“ და „ნებითა იქმნა“, ამიგომ, თუ დანაშაულობა უამისოდ იყო ჩადენილი, პასუხისმგებლობაც საქმისათეის, ან პასუხისმგებლობის ხარისხი ამაზეე იყო დამოკიდებული.

იოანე მმარხეელის შეცოდებულთა კანონთა განმარგებაში ეფთუმე მთაწმინდელს აღნიშნული აქეს, რომ ამისდა გვარად და სხვადასხეა გარემოებათა მიხედეით, „ამათ პირთა (ე.ი. პირობებისა) და საქმეთაგან უმძიმეჲ იქმნებიან ცოდეანი“ იმიგომ, რომ „არა ერთად განიკანონებს“ ის, „რომელსა იძულებით და მძლავრებით და ჭირით შეემთხეიოს“ და ის, „რომელმან კელმწიფებით დაპპაგიოს და მძლავრ ქმნას, გინა თუ აქმნიოს ბოროგი, და კუალად რომელმან ნებსით და განზრახვით და წურთით ცოდს და რომელსა ანაზდით შეემთხუს“-ო.

ამგვარად, იყო ხოლმე გარემოება, ან გარემოებანი, რომელნიც დამნაშავის ბრალეულობასა და პასუხისმგებლობას ამცირებდენ. ასეთ გარემოებებს „აღმსუბუქებელი გარემოებანი“ (circonstances attenuantes, die mildernden Umstande) ეწოდება.

მაშასადამე, გარდამავლობითი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ნებსითობასა და განზრახვითობაშე იყო დამოკიდებული. ხოლო რაკი განზრახვა და ნებსითობა ადამიანის გონიერების ნაყოფია, ამიტომ თავისდა თავად ცხადია, რომ 1. ვისაც „უმეცრებაჲ გონებისაჲ“, ან იქმნებ ფრიადი უძლურებაჲ გონებისაჲ“ აქუს, ის „უსუბუქესად უნდა ყოფილიყო განსჯილი, ან და იქმნებ უბრალოდაც-კი ყოფილიყო ცნობილი.

იოანე მმარხველს თავის სინანულთა კანონებში განსაზღერული პქონდა, რომ თუ დანაშაულობა, ან ცოდეა 30 წლამდე პქონდა მეცოდებულს ჩადენილი, რაც უნდა დიდი ყოფილიყო ცოდეა, ყოველგვარი პატიების ღირსი იყო.

ეფთუმე მთაწმინდელს ეს დებულება არსებითადაც შეუცვლია და თავისი ერცელი განმარტებაც დაურთავს. მას ბერძნული დედნის 30 წლის პასაკის საზღერის შესახები ცნობის ამოშლა შეუძლებლად უცვნია, მაგრამ 30 წლამდე ჩადენილი ყოველგვარი შეცოდების შეურაცხეელობის თეით აზრი, როგორც ეტყობა, მისთვის შეუწყნარებელი იყო და ამიტომ ყოველგვარი პატიების მაგიერ „უსუბუქესი“ დასჯა დაუწერია. ამ დებულების ასეთი შეცელა-შერბილების შემდეგომაც ეფთუმე მთაწმინდელს მისი დედააზრისა და იურიდიული საფუძელის განმარტების დართვა მაინც აუცილებლად საჭიროდ უცვნია. ეფთუმე მთაწმიდელს ასე აქუს ნათქუამი: „ყოეელი ცოდეაჲ, რომელი უწინარეს ლ (30) წლისა პასაკისა შემთხუეულ ეისდა იყოს, უსუბუქესად განიკანონების, დაღაცათუ მძიმეთა ცოდეათაგანი იყოს, რამეთუ ვიდრე ლ (30) წლამდე უმეცრებაჲ გონებისაჲ და მკურალებაჲ კორცთაჲ დიდად მძლაერობს კაცსა და ამისათუს უსუბუქესად განიკანონების“-ო.

ძნელი დასაჯერებელია და საეჭეოა, რომ, ასე შეცელა-შერბილების შემდეგომაც, დანაშაულობის შეურაცხეის პასაკად 30 წლის დადება ქართულ იმდროინდელ სისხლის სამართალს შეეთეისებინა მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ 20-21 წლის ჭაბუკი უკეე სამხედრო მოღეაწეობისთვისაც სრუპასაკოვნად ითელებოდა. ვახტანგ VI-ეს სამართლის წიგნში ამაეე საკითხზე ნათქუამი აქუს: „ათს წლამდის ყმაწეილის ნაქნარის საქმისა, რასაც ფერისა, აეის კაცის აეს საქმესთან არ ჩაიგდების, თავის ტოლს უმამს, თუ უფროსს: ყმაწეილობით და უჭკუობით უქნია, — საფათერაკოსაეით არის“-ო (§187). მაშასადამე, მცირეწლოანობის გამო შეურაცხეელობის პასაკს ეახტანგი 10 წლამდე სთელიდა და ასეთ წლოვანებაში, რასაკეირეელია, გონების უმეცრებაზე მსჯელობა მართებულია.

თუნდაც რომ ეიფიქროთ, რომა ასეთი საზღეარი შემდეგში, სახელდობრ XVIII ს-ში, დაწესდა, მაინც საეჭეოა, რომ შეურაცხეელობის საზღეარი სქესობრიეი სიმწიფის პასაკს, 15-16 წელს, რა დროიდანაც ადამიანი მაშინ შეიძლება მამადაც ქცეულიყო, და უკიდურეს შემთხეევაში სამხედრო და სამოქალაქო სრულპასაკოენობის დასაწყისს, 21-22 წელს გადმოსცილდებოდა. უფრო-კი საფიქრებელია, რომ ვახტანგ VI-ის კანონების ზემომოყვანილი დებულების მსგაესი მოძღერება იქნებოდა ძველადაც.

თავისდა თავად ცხადია, რომ თუ დამნაშავეს გონების „ფრიადი უძლურებაჲ“ პქონდა, წლოვანებას მაშინ შეურაცხეელობისათეის უკეე აღარაეითარი მნიშვნელობა არ ექმნებოდა.

ქართული „უმეცრებაჲ გონებისაჲ“, ანუ შეუგნებლობა უდრის დაახლოებით ფრანგულის l'absence de discernement-ს, გერმანულს Mangel der Einsicht-ს, — ხოლო „ფრიადი უძლურებაჲ გონებისაჲ“ ეთანასწორება ფრანგულს la demance-ს და გერმანულს die krankhaft Storung der Geistesthatigkeit-ს.

2. დანაშაულობის აღმსუბუქებლად, თუ ბრალეულობის სრულიად განმაქარეებელ გარემოებად „იძულება“ ან „იძულებით მგავარდნილობა“-ც ითელებოდა, როდესაც დანაშაულობა ჩადენილი იყო „პატრონისა ბრძანებითა“, კელმწიფებითა და მიმითა მისითა მეემთხუია“, ან და როდესაც ეინმე „ლამქრობათა მინა და მგზაერობათა.. იძულებით, ანუ მიმისაგან.., მგავარდნილ იყენენ ცოდეათა“.

„იძულებით მთავარდნილი ცოდეათა“ ე.ი. იგულისხმება ისეთი დანაშაულობა, რომლის ჩადენის მას არც განზრახვა პქონია, არც ჰნებებია, მაგრამ იძულებული ყოფილა თავისი უფროსის, მეფის, ან სხეა დიდი ხელისუფალის, ბრძანება აესრულებინა და თავისდა უნებურად, მბრძანებელის მიმით, ჩაიდინა დანაშაულობა, ან ომიანობაში, თუ მგზაერობის დროს თავდასხმის მოგერიების დროს იძულებული იყო თავის დასაცავად თავდამსხმელი დაეჭრა, ან მოეკლა, ე.ი. ჩაედინა ის, რაც ეახტანგ VI-ის კანონის „დასწრება“-ს ულრის. ასეთ შემთხეევაში იყო მაიძულებელი გარემოება, რომელსაც ბრალეულობის მობოდიშება, ან შემსუბუქება, ან მოსპობა-გაქარწყლება შეეძლო და რომელსაც იმდროინდელი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიით „ჯეროვანი მიზეზი“, ან და „საჭიროჲ მიზეზი“ ეწოდება. თავისი ბუნებით კი ის ეთანასწორება დასაელეთი ეეროპის necessitas-ს და vis absoluta და compulsiva-ს, ფრანგულს la contrainte, fore irresistable და l'etat de necessite, la legitime defense, — გერმანულს unwiderstehliche Gewalt, Drohung, die Nothwehre და der Nothstand-ს.

§ 6. ბრალეულობის დამამძიმებელი გარემოებანი

იმაეე განმრახვისა, ნების და სულისკვეთებისა, რომელთა წარმომობილიც იყო ბოროტმოქმედება, და იმ გარემოებათა მიხედვით, რომელნიც მას თანსდევდენ, დანაშაულობა შეიძლება ჩვეულებრივზე უფრო მძიმედაც ყოფილიყო მიჩნეული. ამას ბრალეულობის დამამძიმებელი გარემოებანი ეწოდება (die erschwerenden Umstande, circonstances aggrvantes).

1. საერთო დებულება იყო, როგორც საეკლესიო, ისევე საერო სასამართლოში, რომ ყოველი მეორე-ჯერ ჩადენილი გარდამავლობითი მოქმედება თუ საქციელი უკვე მძიმე დანაშაულობას წარმოადგენდა. გ. მთაწმინდლის სიტყვით ათონის ქართველთა მონასტერში მიღებული წესის თანახმად ეკლესიითგან გასული ბერი საჩქაროდ ისე უკანვე უნდა დაბრუნებულიყო. თუ ბერი დაიგვიანებდა, მაშინ დამხედვარი პირველად „აბრალის და დაუმოწმის, ეითარმედ „ამას ნუღარა იქმ“-ო, ხოლო თუ მეორეჯერაც ასევე მოიქცეოდა, „უკუეთუ კუალა ქმნის, სატრაპეზოსა არა შეუშუს, არამედ კმელის პურისა ჭამაჲ განუწესის მას დღესა, ანუ ასი მუკლი მოადრეკინის“-ო.

ზემომთხრობილითგან ირკვევა, რომ პირველი დანაშაულობისათვის სასჯელად სიტყვიერი შენიშვნა ყოფილა დაწესებული და გაფრთხილება, მეორეჯერ ჩადენილი დანაშაულობისათვის-კი უკვე „უსაჭმლობა“, ან 100 მუხლმოყრა, ე.ი. უკვე მკაცრი სასჯელი ყოფილა.

ამგვარადვე, თუ დამხედვართა „იხილნიან ეინმე... ძმათაგანნი, გინა თუ ერთმანერთისა თანა უბნობად, ანუ სიოლად, ანუ კელის მიყოფად“, ისინი დამნაშავეებს ამნაირი საქციელისათVის პირველად „ფიცხლად ამხილიან, და, უკუეთუ მეორედ ქმნიან“, დამხედვარნი „მამასა (ე.ი. წინამძღვარს) მოაკსენიან, და მან მძიმედ განკანონის“-ო.

ეაპანის მონასტრის წესდება და განწესებაც არჩეედა პირველ დანაშაულობას იმავე თვისების მეორეგზისი დანაშაულობისაგან და ამ უკანასკნელისათVის სასჯელსაც უფრო მკაცრსაც ჰნიშნაედა. იქ მაგ. განსაზღვრულია, რომ თუ მონასტრის წინამძღვარმა, ან ღეკანოზმა, ან იკონომოსმა თაეიანთი თანამდებობისა და მოვალეობისადმი უდებობა და უგულეელ-ყოფა გამოიჩინესო, „მყის შეიცვალნენ პატიესაგან თ სისა. და უკეთუ შემდგომად ამისსა ეგეეითარადეე იქცეოღენ, განიკადნენ მონასტრითცა“-ო. მამასადამე, პირეელი დანაშაულობისათვის სასჯელად თუ თანამდებობისაგან გადაყენება იყო დაწესებული, მეორეგზისი დანაშაულობისათეს უკვე მონასტრითგან გაძეეება. ამნაირადვე ნათქეამია, რომ „უკეთუ ეინ გარდარეულებითა სილაღისაჲთა ურჩ-ექმნებოღეს მოძღურისა ბრძანებასა, შეპყრობილი ცუდად მზეაობრობისა ენებითა, დაიყენოს გრაპეზსა შესლვისაგან და დაეჭიროს საწესოჲცა მისი, – ხოლო, უკეთუ დაადგრეს ურცებასა ზედა თჳსსა უკურნებელად, განიკადოს მონასტრითცა“-ო.

ქართულ მაშინდელ საერო კანონმდებლობაში და სისხლის სამართალშიაც მეორე გზისი დანაშაულობისათეის რომ უფრო მკაცრი სასჯელია, ეს დავითთ აღმაშენებლის ისტორიკოსის შემდეგი ცნობითაც მტკიცდება: ლიპარიტ ამირამ რომ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ პირეელად ორგულობა დაიწყო, მეფემ თურმე „ამისთჳსა პყრობილ-ყო იგი დროსა რაოდენსამე, რომელი კმა იყო განსასწაელელად გონიერისა ეისსამე“, და შემდეგ გამოუშეა და თანამდებობაც კელავ დაუბრუნა. ხოლო როცა გამოირკვა, რომ ამის შემდგომაც ის ისევ ხელმეორედ იმასვე აპირებდა„ მაშინ დავით აღმაშენებელმაო „კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილყო და საბერძნეთს გაგზავნა“, გააძევაო.

ისტორიკოსის მეორე გზისი დანაშაულობისათვის დანიშნული სასჯელის სიმკაცრის მიზეზიც აქეს განმარტებული: „იხილა... მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განეშართების, არცა კირჩხიბი მართლადეალს“-ო, ე.ი. დარწმუნდა, რომ, როგორც ძაღლისკუდი ვერ გასწორდება და კიბო პირდაპირ სიარულს ვერ დაიწყებს, ისევე ლიპარიტ ამირას გამოსწორება შეუძლებელიაო. მაშასადამე, მეორე გზისი დანაშაულობა მძიმე დანაშაულობად იმიტომ ყოფილა მიჩნეული, რომ ეს გარემოება მათი ბოროტი მიდრეკილებისა და გაუსწორებლობის გამომეღაენებელად ითელებოდა, რაკი მათი ნებისყოფის სიბოროტის უკეე აღარაეითარი ეჭვი აღარ შეიძლება ყოფილიყო. ასეთი პირები „ჰაეჩეუულნი“ იყვნენ.

ასეთ გაუსწორებელ პირთ თავიანთი სახელიც ჰქონდათ და „განუკურნებელად დადგრომილნი“, ანუ მარტივად „„განუკურნებელნი“ ეწოდებოდათ. დებულებაში ნათქეამი იყო: თუ დამნაშავენი დასჯის შემდგომ გამოსწორდენ, წინამძღვარმა დასტოვოს, „ხოლო უკურნებელად დადგრომილთა მოიკუეთღეს და გარე განსთხეეღეს“-ო. ცხადია, რომ აქ რეციდივზე, რეციდივისტებზე და გაუსწორებლებზეა საუბარი.

დანაშაულობისადმი ასეთი მიდრეკილება ავჩეეულების მიმდეერობის შედეგი იყო და ასეთ პირებს აგრეთვე „მიდეენულნი“-ც ჰრქმეეიათ. მაგ. „მოსმურობათა მიდეენულნი“. ე.ი. ლოთობის მიმდეარენი, თაეიანთ მოეალებას პირნათლად ვერ ასრულებდენ და მინდობილ საქმეს არ აკეთებენო: თუ თანამდებობის პირნი „სენაკთა შინა მოსმურობათა მიდეენულნი უგულებელს-ჰყოფდენ საქმესა მონასტრისასა“ თანამდებობა ჩამოერთვათო.

დანაშაულობისადმი მიდრეკილების აღსანიშნავადაც ქართულ იმდროინდელ იურიდიულ მწერლობაში განსაკუთრებული ტერმინი არსებობდა – „წარმდებობაჲ“. შეცოდებულთა კანონში ეფთუმე მთაწმიდელს ბერძნული დედნის თაეისებურ გარდმონაცემში ნათქეამი აქეს: რაღესაც ღმერთი დარწმუნდა, რომ ადამიანი სინანულს არ მისდეედა, ცოდეიანობაც არ მცირდებოდა,

„მოსცა ძველი იგი რჩეული, მოსეს მიერ აღწერილი, და ბრძანა კორციელითა განჯინეთა წურთად მოქმედთა ცოდვისათა, რაჲთამცა მიშითა მით განჯისაჲთა დასცხრეს უკეთურებაჲ კაცთაჲ და ცოდვისა მიმართ წარმდებობაჲ“.

არც ბერძნულ დედანში, არც სლავურ თარგმანში „ცოდვისა მიმართ წარმდებობაჲ“ არ არის, არამედ მარტივად ნათქვამია ყოველი ბოროტებაო. მინაარსით-კი ეს ტერმინი მიღრეკილების ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამ ტერმინის მნიშვნელობის გამორკვევა შემდეგი მეორე ცნობით შეიძლება. იოანე მმარხველს ჰქონდა განმარტებული, რომ „მეძავი არა მას ეწოდების, რომელ ერთ-გზის, ანუ ორგზის და უმეტესცა მეემთხოს, ანუ იძულებით წაიიღოს, არამედ რომელი განზრახუთ და წარმდებ[ობ]ით იყოს მოქმედი ცოდვისა“-ო (კან. შეცოდ. 24) წარმდებობის შესაყვანად ბერძნულად ქართულის მსგავსად თუმცა განყენებული არსებითი სახელი არ არის, მაგრამ მაინც სწერია ე.ი. ჩვეულებითაო, სლაეურადაც ნათარგმნია „от обычая“.

წარმდებობის მქონებელ დამნაშაეესა და შეცოდებულს „წარმდები“ ეწოდებოდა, რომლისგანაც შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმებიც-კი უწარმოებიათ „უწარმდებესი“, „უწარმდებესად“.

ამგვარად „წარმდებობაჲ და წარმდები დანამაულობა ჩვეულებით დანაშაულობას წარმოადგენდა და უდრის ფრანგულს habitude, delit d'habitude, l'infraction d'habitude და გერმანულს das gewohnheitsmassige Verbrechen-ს.

2. საერთოდ მძიმე დანამაულობად ითვლებოდა გარდამაელობითი მოქმედება, თუ დამნაშაეეებს „ბუნების მკურალებისა“ და ენებათა ღელვით წარმომობილი თავმეუკაებლობით-კი არ მოუვიდათ, არა თუ „აღტაცებით შეემთხუით“, არამედ თუ დამნაშავე „ბუნებით გრილი“ იყო და ჩვეულებრივ „ბუნებითი სიმკურეალეჲ“ და რომელთაც დანაშაულობის ჩადენის დროს „არა ბუნებაჲ მძლაერობდა, არამედ სებაჲ იგი ცოდვის მოყუარე“, – ასეთი პირები მეტი პასუხისმგებლობის ღირსად იყენენ მიჩნეულნი: ეს გარემოება ბრალეულობის დამამძიმებლად ითვლებოდა.

ეფთუმე მთაწმიდელის განმარტებით ბრალეულობას ის ამძიმებდა, რომ მათი ამგვარი თვისება მათ „ცოდვისმოყუარე ნებას“ გარდა მათ „უკრძალეელობა“-ს და თაეხედ კაღნიერებას ამეღაენებდა: ცხად-ჰყოფდა, რომ ისინი „უნიშოებითა ღ'თისაჲთა და უკრძალეელ[ებ]ითა ცოდეე“. ამიტომ „ესეეითარნი უმძიმჩსს და უმეტესსა კანონსა თანამდებ არიან“-ო.

3. უმძიმეს შეცოდებად იყო მიჩნეული მახლობელი ნათესაეისაჲმი ჩადენილი ყოეელგეარი დანაშაულობაჲ: მკეელეობა-დაჭრილობა და ამას გარდა „ურთიერთას თუსთა და ნათესაეთა აღრეეაჲ“, მახლობელ ნათესაეთან სქესობრიეი კაეშირი, მეგაძრე „დისა და ასულისა“, ან და „თუსსა დედასა თანა“, რაც ეფთუმე მთაწმიდელის განმარტებით უფრო არა-ქრისტიანთა შორის იყო გაერცელებული, „რომელ ესე წარმართთა შორის იქმნების სპარსთა და უეიპთა და სხუათა უსჯულოთა“-ო. შემაძრწუნებელ დანაშაულობად ითელებოდა „უპასაკოჲსა განკრწნაჲ, [ესე] იგი არს ქალისა ქალწულისა უწინარეს პასაკად მისლეისა, პირეელ ათერთმეტისა წლისა, გინა თუ ყრმისა უპასაკოჲსა განკრწნაჲ პირეელ ათექუსუმეტისა წლისა“, ყეელა ეს ბოროტმოქმედება „უმძიმესი ცოდეა არს“, „უძრუნი და უსაწყალობესი“ შეცოდეაო.

4. ეფთუმე მთაწმიდელის სიტყეით, „მღედელთა და ეპისკოპოთა ცოდენი ერისკაცთასა ფრიად უმძიმს არიან და სწაეულთა და შეცნიერთანი უძნელს არიან უსწაელესა და უმეცართასა, – ამის ყოელისა გამოძიებაჲ და გამოკითხეაჲ უკს“ მსაჯულსაო .

მამასადამე, სამღედელო პატივ და ნასწაელობა თუ ადამიანს ცხოერებაში უპირატესობას აძლეედა, სამაგიეროდ პასუხისმგებლობაც მათ მეტი ჰქონდათ და, თუ რომელიმე მათგანი დანამაულობას ჩაიდენდა, მათი ბრალეულობაც მოსამართლეს უმძიმესად უნდა მიეჩნია. ასეე მსჯელობდა დაეით აღმამენებლის ისტორიკოსიც, რომელსაც ნათქუამი აქეს: „არა სწორს არს ცოდვა მღედელისა და მკედრისა, არცა ერისა და მღედელთ-მთავრისა, არცა მწყემსისადა სამწყსოსა“-ო. შემდეგ ეს დებულება სამღედელო პირთა და მწყემსთა მეტი პასუხისმგებლობის მესახებ ლუკას 12₄₇-ის დამოწმებით ისტორიკოსს იმით აქეს დასაბუთებული, რომ მათ „ნება უფლისა თუსისა“ იციან და თუ მაინც დანამაულობა ჩაიდინეს, ეს მათი განუკრძალეელობით შეეგებაო. მაშასადამე, დანამაულობის დამამძიმებელ გარემოებად ასეთ შემთხეეებში „განუკრძალეელობა“ ანუ მოურიდებლობა ითელებოდა.

ამისდა მიხედეით მძიმე დანამაულად მიჩნეულია თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედება და მეცოდებაც, თუ იგი მათ სამსახურთანა და მოვალეობის სეინდისიერების დარღეეეასთან იყო დაკავშირებული. ეფთუმე მთაწმიდელის სიტყეით ბასილიკესარიელიც თაეის კანონიან ეპისტოლეში და მოციქულთა კანონებიც ეპისკოპოზისაგან, ან სხეა სამღვდელო პირისაგან ქრთამით მღვდელმსახურის დადგენას მძიმე დანაშაულად სთელის: ბასილი კესარიელი „თუსთა ეპისტოლეთა... შინა დიდად დაამძიმებს ამას საქმესა“-ო და თანაც ამბობს, რომ ამის ჩამდენი „ორკეცისა განჯინისა ღირს არს“-ო, ე.ი. ორკეცი სასჯელი უნდა მიეგოთო.

4. ეფთუმე მთაწმიდელს განმარტებული აქეს, რომ იმისდამიხედეითაც, თუ სად იყო ჩადენილი ბოროტმოქმედება, დანაშაულობის სიმძიმე და პასუხისმგებლობაც განსხეაედებოდა: „აღგილთაგანცა ფრიად იქმნების განყოფილებაჲ“ იმიტომ, რომ „რომელიმე სახლთაცა შინა

თუსთა ერიდებიან ცოდვასა ქმნად და რომელნიმე ეკლესიათაცა და სამინელთა ადგილთაგან არ შეიკლებენ"-ო. ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ მამინდელი შეხედულებით, ისეთი ადგილებიც იყო, რომელთა მორიდება ყოველ ადამიანს უნდა ჰქონოდა. მით უმეტეს ასეთ ადგილებში ბოროტმოქმედებისა, თუ დანასაულის ჩადება არ უნდა გაებედა. ხოლო თუ მორიდება დააეიწყებოდა და იქ დანაშაულობას ჩაიდენდა, ეს დამნაშავის ბრალეულობასაცა და პასუხისმგებლობასაც ამძიმებდა.

5. დამამძიმებელ გარემოებად ასეთ შემთხვევებში რიდისა, შიშისა და „კღემის" უქონლობა და „უკრძაელობა" ითვლებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ასეთ ადგილებს, რომელთა რიდი და კღემა ყოველ წესიერ ადამიანს უნდა ჰქონოდა, ტერმინად „სამინელნი ადგილნი" ჰრქმევია. ეკლესიებს გარდა, რომელიც ეფთუმე მთაწმიდელის შემომოყვანილი განმარტებითგან საგულისხმებელია, სხეა ადგილებიც იგულისხმებოდა.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოს დართულ კანონთა § 167-ითგან ჩანს, რომ ასეთ ადგილებს კიდევ „საპატიო ადგილი" სწოდებია. ამ მუხლში ორთაეე თვალისა და ხელფეხის მოჭრაა სასჯელად დაწესებული, „თუ საპატიოსა ადგილსა მოეპაროს"-ო § 152-ითგან ირკვევა, რომ „საპატიო ადგილად" მაშინ მიჩნეული ყოფილა „დიდი სალარო, ან ეკლესია, ან ჯოგი". იმ ხანაში, რომელიც ამ ჟამად ჩვენი კელევის საგანს შეადგენს, ასეთ ადგილად, რასაკვირველია, საჯურჭლეც უნდა ყოფილიყო ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ როგორც არსებობდა „სამინელი ადგილი", ანუ „საპატიო ადგილი", სადაც ჩადენილი დანაშაულობა უფრო მძიმედ ითვლებოდა, ისეეე ადამიანის სხეულშიც იყო ადგილები და ორგანოები, რომელთაც „საკრძალაეი ადგილი" ეწოდებოდა, რათგან მათ ხელის შეხებასა და დაშავებას უნდა მოკრიდებოდენ. ასეთი სახელი მათ იმიტომ ეწოდებოდათ, რომ ეს ადგილები ადამიანის სიცოცხლისათეის სახიფათო იყო და ამის გამო ყველას მათი დაზიანების კრძალეა უნდა ჰქონოდა. საკრძალეი ადგილის დაზიანება, თუ ამას სიკედილი მოჰყეებოდა, თუნდაც ის არაგანზრახეითაც ყოფილიყო, დამნაშაეეს ბრალეულობას უმძიმებდა. მაგრამ დამამძიმებელ გარემობად ამ შემთხვეევაში სულ სხეა ითელებოდა, ვიდრე საპატიო ადგილში ჩადენილი ბოროტმოქმედების დროს.

მაშასადამე, ყველა ზემომოყვანილის მიხედვით ირკვევა, რომ არსებობდა გარემოებათა მთელი რიგი, რომელნიც ბრალეულობას და დამნაშავის პასუხისმგებლობას ამძიმებდენ. თუ ასეთი „დამამძიმებელი გარემოებანი" დანაშაულობას თან ახლდა, მაშინ მოსამართლეს ჩეეულებრიეზე მომატებული სასჯელი, როგორც ეტყობა, ზოგჯერ ორკეციც-კი უნდა მიესაჯა. ცხადია, რომ აქ ჩვენ ისეთ დანაშაულობებთან გეაქეს საქმე, რომელთაც თანამედროეე სისხლის სამართალში დაკეალიფიცირებული (infraction qualifiee, qualificiertes Verbrechen, квалифицированное преступление) ეწოდება. არსებობდა თუ არა ასეთ დანაშაულობათათეის „მძიმეს" გარდა კიდეე რაიმე განსაკუთრებული ტერმინი, მაგ. დამძიმებადის, ან დამძიმებულის მსგაესი, ძეგლებითგან არა ჩანს.

§ 7. თანამონაწილეობა

გარდამაელობითი მოქმედება შეიძლება მარტო ერთს-კი არ ჰქონოდა ჩადენილი, არამედ შესაძლებელია ბოროტმოქმედებაში, ორსა და მეტსაც მიეღო მონაწილეობა. ასეთ შემთხვეეათაგან უმარტივესი იყო ხოლმე, როცა შფოთი სტყდებოდა, რომელ;შიაც ორი მონაწილე იყო ხოლმე ისე-კი, რომ ორთაჲვე არნ ბრალი", „ორთაეე იყოს ბრალი და ორკერძოვე ცხად-იყოს შეშფოთობაჲ". რაკი აქ თანასწორი მონაწილეობა იყო, დანაშაულობაც „ორკერძოვე", ე.ი. ორმხრივი იყო და ამიტომ პასუხისმგებლობაც ორთაეეს თანასწორი აწეებოდა. მაგრამ უნდა გათეალისწინებული გექონდეს, რომ ასეთ შემთხვეევებში თანამონაწილეობასთან-კი არა გეაქეს საქმე, არამედ „ორკერძოვე დანაშაულობა"-სთან.

მაგრამ შესაძლებელია ბოროტმოქმედების მონაწილე რამდენიმეც ყოფილიყო ან ისე, რომ თაოსნობა ერთს ჰკუთვნებოდა და სხეას, ან სხეებს-კიმარტო ბოროტმოქმედების ასრულებაში ჰქონოდა, ან ჰქონოდათ მიღებული მონაწილეობა, ან ბოროტმოქმედების განმზრახველი თავითგანეე ერთდროულად რამდენიმე ყოფილიყო.

გ. მერჩულეს მაგ. მოთხრობილი აქეს, რომ ვინმე ცქირმა, ტფილისის ამირას ნამოციქულარმა და ამირას შუამგომლობით უკანონოდ ანჩის ეპისკოპოზად გამხდარმა, თავისი ასეთი უწესო საქციელისათეის მამხილებელის გრიგოლ ხანძთელის სამუდამოდ თავითგან მოსაშორებლად „ფარულად მოუწოდა ერისკაცსა, ანჩელსა, ლირსსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტჳ და ხუთნი თხანი და წარაელინა ხანძთად მოკლეად მამისა გრიგოლისსა"-ო.

ამ ცნობითგან ჩანს, რომ მკელელობის გამმრახეელი ცქირი ყოფილა, მკელელობის ამსრულებელ-კი ანჩელი კაცი გაუგზავნია. იმ პირს, რომელსაც ბოროტი აზრი და განზრახეა დაებადა და სხეისი დახმარებით განხორციელებაც თითონეე ნაკისრი ჰქონდა „გამმრახი" ეწოდებოდა.

დანამაულობის ერთდროული თანამონაწილეობის შემთხვევა გ. ხუცესმონაზონს აქვს აწერილი, რომლის სიტყვითაც ძმანი აბაზაჲს ძენი „ხუთნიერთობით“ ბაგრატ IV-ის მეუობის წინააღმდეგობი“ ყოფილან და „შეპყრობაჲ მეფისა ეგულებოდათ“ კიდეც.

თანამონაწილეობაში მესაძლებელია სხვადასხვა პირობები ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედების თანამონაწილეობის მესახებ არც მჯულისკანონში და არც შეცოდებულთა კანონებში თითქმის არაფერია ნათქვამი. მაგრამ სათანადო უხეი და მრავალმხრივ დამახასიათებელი ქართული ტერმინოლოგიის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში სისხლის სამართლის ეს საკითხიც გულდასმით ყოფილა შესწავლილი: ამ საგულისხმო დაკვირვების შედეგი ტერმინოლოგიაში მოჩანს. ამ ტერმინების ანალიზი და ძეგლებში გაფანტული ცნობები ამ ტერმინოლოგიის იერიდიული საფუძვლების გამორკვევის საშუალებას მოგვცემენ.

ბოროტმოქმედთა ურთიერთ შორის განზრახულ საქმეზე მოლაპარაკება-შეთანხმებას „შეზრახება“ ეწოდებოდა. მაგიანე ქართლისაჲს სიტყვით მაგ. მეუის წინააღმდეგ განდგომილების მოსაწყობად „შეეზრახნეს აზნაურნი“ ქართლელნი და „მათ თანა კახნი“ და „მათთანა ორმოცდაათი აზნაური სხუა“ და ბრძოლა დაიწყესო. ქამთააღმწერელის ცნობითაც, „ღალღურ (თუ იალხურ) და რაჭისა ერისთაჲი კახაბერი შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდგეს მეფესა“-ო.

შეზრახების თვითეულ მონაწილეს „თანამზრახველი“, ან „თანაგამზრახი“ ეწოდებოდა. მცირე სჯულისკანონის § ოზ-ში იხსენება ქალის გამტაცებელთა „თანამზრახველი“. ქამთააღმწერლის სიტყვით-კი, დაეით ლამა-გიორგის ძემ მონღოლთა წინააღმდეგ „დაამტკიცა განდგომა და მოუწოდა თანაგამზრახთა მისთა“-ო. VI მსოფლიო კრების ბერძნულ ლედანში ქართული „თანამზრახველთა“ სრული შესატყვისობის მქონე ტერმინი არ მოიპოვება.

მაგრამ შესაძლებელია ადამიანი ბოროტმოქმედების განზრაჳის, ან შეზრახების თაჳდაპირველი მონაწილე და მოთაჳეთაგანი არ ყოფილიყო, არამედ მხოლოდ შემდეგში, განზრახვისა, თუ შეზრახების საიდუმლოების გაგების შემდე, განზრახულ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება მოისურვა. ამისთვის, რასაკვირველია, საჭირო იყო მიზნისა და გეგმის გაგიარება, რასაც „თანაწამება“ ჰქრქუეია. ქამთააღმწერლის სიტყვით, მონღოლთა ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდების გამო დიმიტრი თაჳდაჳებულს მონღოლთა უზენაეს სასამართლოში „კითხვიდეს, უკეთუ თანაწჳმა განზრახვასა... ბუღასასა და ვერა ბრალი პოვეს“-ო.

როცა ვინმე განდობილ განზრახვას „თანაეწამებოდა“ და განზრახულ საქმეში მონაწილეობის მიღებას მოისურვებდა და თანხმობას განაცხადებდა, ამას „მიერთება“ ეწოდებოდა, ან „თანამედგომა“ და მიმდგომობა“, ხოლო თვით იგი უკვე „მიმდგომი“, მომხრე იყო.

განზრახვისა და ბოროტმოქმედების განხორციელებისათვის თვით პირობებიც შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო: ან განმზრახველს, თუ შეზრახებულებს თავისი ბოროტი გეგმა პირადად, სხვის დაუხმარებლივ განეხორციელებინათ, ან სხვის, ან სხვათა დახმარებით, თუ საშუალებით მოეხერხებინათ. გ. მერჩულის სიტყვით მაგ. ცქირს გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად დაქირაებულ-მოსყიდული მკელელი მიუგზავნია. დაეით აღმაშენებლის მოსაკლავად მოწყობილი შეთქმულების დროს, როდესაც თურმე არაერთხელ, არამედ „რაოდენ გზის ყივჩაყთა ყოველთა განიბრახეს ღალატი“, განმზრახველებმა „განაჩინნეს კაცნი მუნითა, რომელნი კრძლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა“-ო.

ყოველგვარ მონაწილეობასა და დახმარებას „თანადგომა“ მეელა და „ასაბიობა“ ეწოდებოდა. ხოლო თვით ბოროტმოქმედების განხორციელების მონაწილეს „მეშუელი“. და „ასაბია“ ერქუა. პირველი თუ ნამდვილი ქართული ტერმინია, მეორე უცხო სიტყვაა და არაბული „ასაბიუ“-ისაგან არის წარმომდგარი. არაბულად ეს სიტყვა თანამოგუარის, ან თანამოძასის დამცველსა და ბრძოლის მონაწილესა ჰნიშნავდა, მნიშვნელობით ოდნავ ქართულ მეშველს უახლოვდებოდა.

ქართულ იმ-დროინდელ მწერლობასა და სამართალს თანადგომისა და მეშველობისთვისაც რამოდენიმე განსხვავებული ცნების გამომხატველი ტერმინი შეუქმნია: „თანამემწე“, „ძალმცემელი“ და „შინათგამცემელი“.

„თანამემწენი“ ნახმარია მცირე სჯულისკანონის ეფთუმე მთაწმიდელი ქართულ თარგმანში.

„ძალმცემელი“-ც ეფთუმე მთაწმიდელის იმავე ნაშრომშია ნახმარი, მაგრამ ამ ტერმინის შესატყვისი არც ბერძნულ ტექსტში მოიპოვება, არც სლავურ თარგმანში. ეს სიტყვა არც ს. ორბელიანს აქვს თაჳის ლექსიკონში. თაჳის აგებულობის მიხედვით „ძალმცემელი“ ისეთი მემველის აღმნიშველი ტერმინი უნდა ყოფილიყო, რომელიც თითონ შეიძლება ბოროტმოქმედების ფიზიკურად მონაწილე არ ყოფილიყო, მაგრამ მის განსახორციელებლად ძალას, საშუალებას აძლევდა, განხორციელებას ხელს უწყობდა.

დასასრულ „შინათგამცემელი“ თამარ მეუის პირველი ისტორიკოსის თხზულებაშიც იხსენიება, სადაც დასახელებული არიან იუანე ვარდანისძე და მოთა ართოეაჩის ძე, რომელნიც დემნა უფლისწულის განდგომილების მონაწილენი ყოფილან „ეითარცა შინათგამცემელნი განზრახ განგებითა“. ქამთააღმწერელის სიტყვითაც ჯალალ-ედ-დინი რომ ჭფილისს მოადგა, რუისსში მცხოვრებ სპარსელებთან ხვარაზმშაჰის წინასწარი შეზრახებით „შინათგანცემა იყო ქალაქისა“. იმაეე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მონღოლებმა სიკედილად დასჯილი დიმიტრი თაჳდაჳებულის „წარიღეს ყოველი (სიმდიდრე), არა რა დამთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოღეს

საგანძურნი მეფისანი და შინათამცემელი იქმნე“-ო. როგორც ამ ამონაწერებითგან ჩანს, „შინათამცემელი“ ისეთ პირს ეწოდებოდა, რომელმაც განსაკუთრებული ნდობისა, თუ თანამდებობის წყალობით საიდუმლოება იცოდა და ამ თავის საიდუმლო ცოდნის გამეღავნებითა, თუ მონაწილეობით ბოროტმოქმედების განხორციელებას ხელსაც უყობდა და უადვილებდა კიდეც.

ერთდროულად მოხდარი დანამაულობის გარდა შესაძლებელია დიდი ხნის განმავლობაში მომდინარე, ხანგრძლივიც ყოფილიყო. იოანე მმარხველიც ამბობდა: „უკეთუ ვის შევმთხუივნენ ბუნებითნი ცოდვანი... და დაიყოვნოს მას საქმესა მინა ცოლვისასა მრავალ ჟამ“. ეს „შეყოვნებითი დანამაულობა იქმნებოდა.

დანამაულობანი სახელმწიფოს წინააღმდეგ

§. 1. განდგომა და ღალატი

როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკური ერთობა და მყუდრობა ირღვეოდა და შინაური ბრძოლა იწყებოდა, ამას „განდგომილება“, „ურთიერთას განდგომილება, „აშლილობა“ და „შფოთი“ ეწოდებოდა ხოლმე. მაგრამ ხშირად განდგომილება მხოლოდ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას წარმოადგენდა.

პოლიტიკური დანამაულობა „განდგომა“, „განდგომილებაჲ“ „განდგომილება“ და „ღალატი“, IX-XII საუკუნეების განმაელობაში, მეტადრე IX-XI ს., იშვიათი მოვლენა არ იყო. საქართველოს იმ-დროინდელი ისტორია ბევრს ამგვარ მაგალითს მოგვითხრობს. ქვემო მოყვანილ შემთხვევებს რომ თავი დავანებოთ, მარტო დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ ისტორიკოსის სიტყვით „ყიენჩაყთა ყოველთა განიზრახეს ღალატი: განაჩინეს კაცნი მჭნენი, რომელიმე კრძლითა, რომელიმე შუბებითა, სხუანი ისრითა და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“-ო.

განდგომა და ღალატი ორნაირი ხასიათისა იყო: ან შინაური, როცა განდგომილნი აღგილობრივ ასპარეზზე მოქმედობდენ და მართოდენ აღგილობრივი ძალისა და თანამგრძნობთა მოხუეჭით კმაყოფილდებოდენ, ან კიდევ გარეშე ძალის დახმარებით, როდესაც განდგომილი, ანუ იმათგან შემდგარი ჯგუფი თავის ბოროტი განზრახვის განსახორციელებლად უცხო, მოსაზღერე სახელმწიფოს დახმარებასა და შესაწეერს სთხოვდენ ხოლმე და მათი მოშეელებითა და თანადგომით თაეიანთ სამშობლოსა და სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდენ.

ღალატის გარდა იხმარებოდა ტერმინად „ორგულობა“-ც. ეს ორი სიტყვა თითქოს ერთი და იმაეე ცნების გამომხატველი იყო: ქამთააღმწერელს ნათქვამი აქეს, რაჭის ერისთავს კახაბერს „გუარისაგან მოაქენდა ორგულობა... იწყო ღალატი მეფეთა და წარაელინა კაცი და წიენი ალიყანს თანა აღვილად კელთ უგდოს მეფე“-ო. „ღალატი“ არაბული სიტყვაა, რაც შეცთომასა და სიყალბეს ჰნიშნავს, ქართულში მას სხეა მნიშენელობა მიენიჭა. ს. ორბელიანის განმარტებით ღალატი უეჭველად მკელელობას არ ჰგულისხმობდა, მუხთლობას კი ყოველთვის შეიცაელა. განდგომილებასა და ორგულობა-ღალატს შორის ის განსხვაეება იყო, რომ „განდგომილება“ პირდაპირ, გულახდილ მოქმედებას ჰგულისხმობდა, „ორგულობა“-კი ფარულს, ხოლო „ღალატი“ ეერაგულ დანამაულობას აღნიშნაედა: ამ გარემოებას ზემომოყვანილი ძეგლის ამონაწერიც ცხად ჰყოფს.

განდგომა და ღალატი, ან მეფობის მაძიებლობაზე, ან უფრო ხშირად მეფობასა და მოწინაეე წოდებას შორის არსებული ბრძოლის ნიადაგზე იყო ხოლმე აღმოცენებული. პირველ ჯგუფს ეკუთენის მაგ. გიორგი აფხაზთა მეფის შეილის კონსტანტინეს „განდგომა“, რომელმაც „იწყო მტერობად მამისა თუსისა და ძებნად მეფობისა“. ამგვარისაეე თვისებისა იყო თეოდოსის „განდგომა“-ც, რომელიც „ალამობდა მკლავით აღებასა მამულისასა თუსისა“, – დაეითისა, დიმიტრი I-ის ძისა, რომელმაც „ღალატსა და განდგომილებასა მინა მამისა თუსისა“ დალია თაეისი ბაღ-ღონე, – დემნასი და სხეათა.

რასაკეირველია, უმეტეს შემთხვეევაში ზემოაღნიშნულ უფლისწულთა „განდგომა“-ში დიდგეარიან აზნაურთა წოდება მხურვალე მონაწილეობას იღებდა: ზოგჯერ იგი საქმის მოგიეე იყო ხოლმე, ზოგჯერ წამქეზებელი და ყოველთვის კი ხელშემწყობიც. მეფე-აზნაურთა შორის არსებული გამწვაეებული ბრძოლის ნიადაგზე აღმოცენებულ „განდგომისა“ და ღალატის მაგალითებს აქ აღარ დავასახელებთ იმიტომ, რომ ამგვარი ცნობები „სახელმწიფო სამართალში“ ბლომად არის მოყვანილი.

„განდგომილება“-ში და „ღალატ“-ში სამართალი დამნაშაეეთ რამდენიმე ჯგუფადა ჰყოფდა: 1) ისინი, რომელთაც „განიზრახეს“, „შეეზრახეს“ ერთიერთმანეთს, ან სხეას, და საქმის აღმსრულებელნი „განაჩინეს“ „გამზრახნი“ ანუ „განზრახ განმგებნი“, 2) ისინი, რომელიც განდგომილთა ჯგუფს „შეუდგენ“ და მიეერთენ“, ანუ „რომელნი დგეს თანა“, მეშეელნი და თანამდგომნი და 3) ისინი, რომელნიც „შინათგამცემელნი“ იყენენ, რომელნიც, ეითარცა შეუესთან დაახლოებულები, განზრახული საქმის განხორციელებას უნდა დაჰხმარებოდენ.

პოლიტიკური შეთქმულება და „განდგომილება“-„ღალატი“ იმ დროს მთავრობისათვის დიდ განსაცდელს შეადგენდა ხოლმე იმიტომ, რომ მისი „განმრახვა-გამგებნი“ „ერ-მრაყალნი“ და ძლიერნი იყვნენ, თვით მთავრობას-კი დაჲით აღმაშენებელის გამეუფებამდე არც საკმაო და ერთგული მუღმიეი მხედრობა მოეპოვებოდა, არც ისეთი დაწესებულება ჰქონდა, რომელსაც ამგვარი საქმის მომწყობელთათვის თვალ-ყური უნდა ედევნებინა და განმრახვის აღსრულება შეეფერხებინა.

მხოლოდ დაჲით აღმაშენებელმა მოაწყო ისე საქმე, რომ „არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მყოფთა კაცთა დიდთა და მცირეთა საქმე ქმნილი კეთილი, გინა ბოროტი, სიტყუა თქმული არა-რა დაეფარეოდა ყოელადეე, არამედ, რაოდენიცა ვის ფარულად ექმნის, ანუ ეთქუს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა“. ყველა ადვილად მიხედება, თუ როგორ გახდებოდა დაჲით აღმაშენებელი ისეთი გულთმისანი: რასაკვირველია, ჯაშუშების დახმარებით.

ამგვარი წესი ბიზანტიაშიც და სპარსეთშიც იყო მიღებული და მელიქ-შაჰის სახელგანთქმული ვაზირი ნიზამ-ულ-მულკი თვითოეულ ხელმწიფეს ურჩევდა ჯაშუშები უეჭველადა ჰყოლოდა.

საქართველოში ეს საქმე დაით აღმაშენებლის დროს, როგორც ეტყობა ახალი შემოღებული ყოფილა და სათაკილოდ ითელებოდა. ეს იქითგანა ჩანს, რომ ისტორიკოსს პირდაპირ იმის თქმა არა ჰსურდა, თუ რა საშუალებით იგებდა დაჲით აღმაშენებელი ქეუშეყრდომთა საიდუმლო განმრახვას, და თანაც დაძენილი ქუს: „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობი, თუ რა სარგებელი ჰოეის ამით“-ო. ამ ახალი დაწესებულების ნაყოფიერი და სასარგებლო მოქმედების გათვალისწინებით ისტორიკოსს, ცოტა არ იყოს, მისი აუგიანობის გაქარწყლება ჰსურდა. ამას გარდა ავტორს მეფის მიერ შემოღებული საშუალების გასამართლებლად ის მოსაზრებაც მოჰყავს, რომ დაჲით აღმაშენებელს ეს იარაღი ბოროტად არ მოუხმარია: „არა ცუდად რაღმე და განსაკითხავად საგიობელთა საქმეთა და ანუ საიცხველად ეიეთათუს-მე იქმოდის“-ო, არამედ მხოლოდ დიდ და სასწრაფო საქმეთათვის ხმარობდა და ისე, რომ „მრაელისა კეთილისა მიზეზ იქმნა“-ო. ამ სამუალებით მეფემ თავის სამეფომი ისეთი მდგომარეობა დაამყარა, რომ „ორგულებასა და ბაკაცასა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებაღცა, არა [თუ] თქმად ვისდა, არცა თუ ცხედრეულსა თუსსა თანა, ანუ მოყუასსა, გინა ყრმათა თუსთა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლეასა-თანა სიტყუასა, საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა“– ამიტომ „ვერცა ვინ განიზრახა ყოელად რაჲთურთით ღალატი დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთა საკრძალავი და სარიდო“-ო.

თუმცა დაჲით აღმაშენებლის ისტორიკოსის შემომყვანილი ცნობა გაბეიადებულია და გადაჭარბებული და მაშინაც „ორგულობა“ და „ღალატი“ მთლად მოსპობილი არ იყო (ამას ყიეჩაყთა მრაეალგზისი შეთქმულება და თვით მისსიეე სიტყვებიე საუცხოეოდ ამტკიცებენ, როცა იგი გეიამბობს „მრავალნი განპატიებულიცა იყუნეს და მხილებულ ესე-ეითათრათუს“-ო: იქეე *557, გე. 324-325), მაგრამ დაჲით აღმაშენებელს ღალატის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც ძალიან გააღეილებული ჰქონდა, მუდმიეი ჯარისა და ჯაშუშთა დახმარებით მას შეეძლო შეთქმულება დასაწყისშიეე მოესპო.

ამ დროსაც ღალატთანა და განდგომილებასთან ბრძოლა რთული საქმე იყო იმიტომ, რომ შეთქმულების მოთავეებად, ან სულისჩამდგმელად ძლიერი და შეძლებული დიდგვარიანი ამხანაგები იყვნენ ხოლმე. გაცილებით უფრო ძნელი და საშიში უნდა ყოფილიყო იგი დაჲით აღმაშენებლის წინათ, როცა საქართველოში არც მუდმივი ჯარი არსებობდა, არც ჯაშუშთა დაწესებულება იყო შემოღებული, და დაჲით აღმაშენებელის შემდგომაც, როცა განდგომის სათაეეში უფლისწულები იდგნენ ხოლმე. ამიტომ განდგომილნი და მთავრობა ზოგჯერ ერთი-ერთმანეთის თითქმის ისე ებრძოდენ, როგორც თანასწორნი. ამის გამო, რასაკვირველია, გართულებულ პირობებში მეფე, თუ შესაძლებელი იყო, რომ დამნაშაეენი მშვიდობიანი მოლაპარაკებით დამორჩილებაზე დაეყოლებია, შუამდგომლობისა და შუამავალთა გარეეაზე არც როდის უარს არ იტყოდა. მოლაპარაკების ჩამოგდება ერთ-ერთს მხარეს უნდა ეთაეა: გაჭირვებულ განდგომილთ შეეძლოთ ეთხოვათ „ზაეი და ფიცი და სიმტკიცე, რათა განუტეონ“. თუ მთავრობა განდგომილი „მიინდვებ“-და, მაშინ ორიეე მხარე ფიცსა და სიმტკიცის პირობებსა სდებდენ, რომელსაც მაშინ „პირი“ ეწოდებოდა, – შეთქმულთა ასეთ დამორჩილებას „მინდობით გამოყუანა“ერქვა, – ან თვით ბრძოლით მობეზრებული მეფე მესამე პატიეცემულ პირს მიპმართაედა „შუამდგომლობითა მენითა მომანდეე“ განდგომილიო და ამ შეაკაცის პირით თეით აჯანყებულსაც მეუთვლიდა: „აღიღე ჩემგან სიმტკიცე და შუამდგომელნი“, რომ არას გაენებ, არც დაგსჯი ორგულობისათეის, და საქმე მშვიდობიანად გათაედესო. ასე მოიქცა მაგ. დემეტრე მეფე, ამგეარადეე დაიჭირა საქმე თამარ მეფემაც, როცა მან აჯანყებულებთან „ორთა საპაგითა დიოფალთა... უბრძანა ფიცით მონდობა და სხუისა არაეისი ბრალობა“.

„შუამდგომელი“-ც თავის მხრივ, ცდილობდა: „მონდობა“-ს , ან და „მინდობა“-ს ურჩეედა და „ეტყოდა: „მე ვიყაე მეძიებელი სისხლისა მენისა“, ღეთისა და აღამიანის წინაშე პასუხისმგებელი ვიყო, თუ მენ რაძე შეგემთხვასო. დაიყოლიებდა თუ არა შუამდგომელი განდგომილს, მაშინვე ფიცსა დასდებდენ ხოლმე.

ჩვენ საისტორიო მწერლობაში ორი ამგვარი „მინდობისა“ და „ფიცისა და სიმტკიცის“ აღების წესრიგი არის აღწერილი. ერთი ცნობა „აფხაზთა და ქართუელთა“ მეფის დემეტრეს ძმის

თეოდოსის განდგომილებას ეხება და მაშინდელ სასამართლო ჩვეულებასა და წესს საუცხოოდ გვისურათებს. როცა მუამდგომელმა კეირიკე კახთა ქორეპისკოპოზმა განდგომილი თეოდოსი ძმის მინდობაზე დაიყოლია, „მაშინ წარიყუანეს თეოდოსი ფიცითა და სიმტკიცითა დიდითა, რომლითა ეუფუცეს წინამე სუეტსა ცხოველსა კათალიკოზი, მღუდელთ-მოძღუარნი და ყოველნი დიდებულნი“. უეჭველია, ამ შემთხვევაში ფიცში კათალიკოზი, ეპისკოპოზები და დიდებულები იმიგომ იღებდენ მონაწილეობას, რომ თეოდოსი უფლისწული იყო. ჩვეულებრივ, რასაკვირველია, საქმე უფრო მარტივად იქმნებოდა მოწყობილი.

მეორე ცნობა ზემომოყვანილზე გაცილებით უფრო საგულისხმო და საყურადღებოა. მეფე დავითმა, ლაშა-გიორგის ძემ, მონღოლთა ყაენთან წასვლის წინ საქართველოს თვითეული თემის მართვა-გამგეობა ერისთავთ-ერისთავების ჩააბარა და „ამცნო, რათა ბრძანებასა დედოფლისასა“ პმორჩილებდენ, რომელიც თავის მოადგილედ დაუტოვებია.

სხვათა მორის კახეთის გამგეობა დავით მეფეს თორღუა პანკელისათვის ჩაუბარებია. მაგრამ მეფე რომ ყაენთან წასულა, „ჯორნა თორღუამან არღარა მოსულა მეფისა, უკუდგა პანკისისა ციხესა, თუისად დაიჭირა კახეთი და არღარა ემორჩილებოდა დედოფალსა“.

მეფე რომ საქართველოში დაბრუნდა, შეინებულმა თორღუამ მასთან გამოცხადება და ჯარდგომა ვერ გაბედა, რათგან განდგომისთვის სასჯელს ელოდა. როცა მეფის არა-ერთხელი მოწოდებისდა მიუხედავად თორღუამ მეფესთან მისვლა მაინც ვერ გაბედა, მაშინ ჯიქურმა, რომელიც იმ დროს საქართველოს სახელმწიფო საქმეებს განაგებდა, თურმე თორღუას „მონდობის“ წესით გაშოყვანა მოისურვა. ამ საქმის მოგვარება მას ხორნაბუჯის ეპისკოპოზისათვის მიუნდვია.

„მაშინ განბრახვითა ჯიქურისათა წარვიდა ხორნაბუჯელი და მიეიდა თორღუას სახლსა“. აქ მას თორღუასთვის ურჩევია, „რათა მას მიენდოს ფიცითა მტკიცითა“ და მეფესთან გამოსაცხადებლად წაჰყვეს. მაგრამ თორღუას ჩვეულებრივი მონდობის წესი თავის უნებლობისა და ძერწხსენებლობის უბრუნველყოფისათვის საკმარის საწინდრად არ მიუჩნევია და თავის მხრით ხორნაბუჯელისათვის ასე უთქვამს: „წარვალ ალავერდსა წა გიორგის წინაშე და მუნ შემომფიცე დამ უნ მომინდევ“-ო. ხორნაბუჯელი ამაზე დათანხმებულა.

„წარვიდეს ორნივე“ ალავერდში და იქ ეკლესიაში შესული თორღუა „გამოება ფესვსა სამოსლისა ალავერდისა მთაერმოწამისასა“, ე.ი. წა გიორგის ხატის სამოსლის ბოლოზე. ამის შემდგომ თავის მხრით „მიეიდა ხორნაბუჯელიცა, მეჰფიცა“ თორღუას უნებლობა „და გამოხსნა ფესეისაგან სამოსლისასა“. ამ დროს ხორ ნაბუჯელის გასაგონად „თორღუამან პრქუა: „რა იგი ჰყო ჩემშედა, ამა წმიდა გიორგიმ გიყოს შენ, — რამეთუ მარტო ვარ და სიკეთილითა ჩემითა უმკეიდრო იქნების მამული ჩემი, — და აგრეთვე უმკეიდრო ყოს წმიდამა მთაეარ-მოწამემა სახლი შენი“-ო. ამის შემდგომ „წარმოიყუანა ხორნაბუჯელმან ფიცითა მტკიცითა შეკრულმან ტაბახმელას“ ამბაირად მონდობილი თორღუა პანკელი.

როგორც ამ მოთხრობითგან ჩანს, აქ ის მარტივი და ჩვეულებრივი მონდობის წესი არ არის, რომელიც მხოლოდ უნებლობის ფიცსა და აღთქმას შეიცავდა. თორღუა, როგორც ეტყობა, ასეთ ფიცს არ ენდობოდა. მისთვის ფიცის მთაეარ სიმტკიცესა და „შემკერელ“ ძალას ის გარემოება შეადგენდა, რომ ის, თორღუა, ალავერდის ეკლესიაში იყო შესული, იქ ალავერდის წა გიორგის ძლიერად მიჩნეული ხატის სამოსელის „ფესვსა“ შედა იყო გამობმული და ხორნაბუჯელმა იგი ამ წა გიორგის ხატის სამოსელის „ფესეისაგან“ თავისი ხელით „გამოიხსნა“. სწორედ თავისი ალავერდის საყდარში ყოფნა და წა გიორგის ხატზე გამობმული ჰქონია თორღუას თავისი ხელუხლებლობის უმთაერეს საწინდრად მიჩნეული, იმ თავშესაფარად, სადაც მისი ხელისხლება არაეის არ შეეძლო. მისი და მაშინდელი რწმენით, თუ მაინც ვინმე ხელისხლებას გაპბედავდა, იმას ასეთი კადნიერებისათვის ღუთაების უსაშინელესი რისხვა მოელოდა.

უეჭველია, აქ ჩვენ იმ რწმენის გაშოხატლება გვაქვს აღწერილი, რომლის მიხედვითაც ბატარი, სამლოცველო და ხატის დასასვენებელი ისეთი ადგილებია, რომელთაგან მათი მფარველობის ქვეშე შეერდომილის, თვით ბოროგომქმედისა და დამნაშაეისაც-კი, არც ძალით გამოყვანა შეიძლებოდა, არც გაცემა და არც დასჯა, ე.ი. ხელშეუხებლად იყო მიჩნეული.

ზემომოყვანილი მოთხრობითგან ჩანს, რომ საქართველოში ამ ჩვეულებისა და რწმენის სიმბოლური გამოხატულება კარგად ყოფილა დაცული: ბატარში ღუთაებისა, თუ წმინდანის მფარველობის ქვეშე შეერდომილი დევნილი პირი, ან დამნაშავე თავის თავს მათი ძლიერი კალთის მფარეობის ქვეშე მყოფად სთვლიდა და ამის ნიშნად თავის ბანისამოს ამ ხატის სამოსლის ბოლოს გამოაბამდა ხოლმე. ამით ის უკვე მათ ხელში მყოფად ითვლებოდა და ვინც ასეთ პირს იქითგან გამოიყვანდა, მას ეს პირი ამ ხატის ხელთაგან მიღებულად უნდა ეგულისხმა და ამ პირისადმი მიყენებული ბიანისათვის ყოველ ადამიანს თავისი თავი იმ ხატის წინაშე პასუხისმგებლად უნდა მიეჩნია, რომლისაგანაც მან ის შეერდომილი გამოიხსნა.

როგორც ეტყობა, დამორჩილებულ მოღალატეს მოჯარ არც ამგვარი ფიცი და სიმტკიცე შველიდა და ცოტა ხნის შემდგომ, უბრალო საბაბის მიზეზებით, „მუამდგომლობისა“ და დადებული ფიცისდა მიუხედავად, მეფე სასტიკად სჯიდა ხოლმე. ასე მოეპყრო მაგალითად, დემეტრე მეფე თავის მერიგრბულ ძმას: „დაიეწყა მუამდგომლობა და შემართა ღუთისა მიმართ ფიცთა გატეხასა, — შეიპყრა თეოდოსი და დასწუნა თუალნი“. ასეეე მოიქცა ჯიქურიც, რომელმაც „მეურაცხყო აღქმა და ფიცი იგი დიდი“ და მონდობითა და ფიცითა გამოყვანილი თორღუა

„მეიპყრა ჯიქურმან განზრახვითა დელოფლისათა თუნიერ მეფისა ცნობისა და წარიყუანეს კლდეკართა და მუნით გარდმოაგდეს“. ამისთანავე ფიცის გატეხილობა უნდა ჩაიდინეს ჰქონოდა, ეტყობა, დემეტრე I-საც, როდესაც მან „აბულეთის ძესა ივანეს თავი მოკვეთა ჩხერეს მერეს... და მეტეხთა დაღეა ფიცის არგატეხისათუის“ (ლაშა-გიორგის დროინდ. მემატიანე, 13₁₄). ფიცის გატეხა აქ ფორმალურად არის თავითგან მოცილებული. მაშინდელი რწმენით ფიცის გატეხა ღეთაებისგან სასტიკად ისჯებოდა, მაგრამ ამგვარი გარემოება მხოლოდ ქამთააღმწერელს აქვს ერთგან, სახელდობრ, თორღვას მესახებ დასახელებული.

როცა განდგომილნი შემოაწერილ „მინდობის“ წესით-კი არა, არამედ მეფისა და მთაერობის ძალით იყვნენ დამორჩილებულნი, მაშინ, რასაკვირველია, „ორგულთ“ არავითარი პირობის დადება არ შეეძლოთ და კანონისამებრ უნდა ყოფილყვნენ დასჯილნი. თეითოეული დამნაშავე ბრალის კვალობაზე ისჯებოდა. ისტორიკოსი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ გიორგი III დემნას განდგომა სძლია თუ არა „შემსგავსებულის საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“.

ამისდა გვარად „ღალატისა და განდგომილებისა“-თვის სხვა და სხვა სასჯელი იყო დაწესებული: თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ამბობს, რომ დიმიტრი I-მა, დაეით აღმაშენებლის ძემ, თავისი შვილის დაეითის განდგომის გამო „ამოწყვიდა ამის სამეფოსა დიდებულნი, რომელნიმე ექსორია-ქმნით, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე გაპატიჯებითა“. რასა ჰნიშნავს და რომელი დამნაშავისათვის იყო განკუთნილი თეითოეული მოხსენებული სასჯელი?

„განპატიჯება“ (იქვე და ლაშა-გიორგის დროინდ. მემატიანე, 15) ან „გაპატიეება“ „პატიე“ სიტყვისაგან არის წარმომდგარი რაც სასჯელსა ჰნიშნავდა. ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით სომხურადაც არსებობდა, მაგრამ მისი ეტიმოლოგია ჯერ გამოკელეული არ არის. ქართულად „განპატიჯება“-ს, როგორც ეტყობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და არა მოუაღი, რომლისთვისაც ქართულად ცალკე სიტყვა „მისაგებელი“ არსებობდა. რომ „განპატიეება“-ს „ეერძო და ამასთანავე განსაკუთრებული მნიშნელობა ჰქონდა, ეს მემატიანეს შემდეგი სიტყვებითა მტკიცდება: გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფემ თავისი შვილი კონსტანტინე განდგომილებისათვის „გაპატიეა ბოროტად: პირველად თვალნი დასწუნეს და მერმე გამოყუერეს“-ო. ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესაც თამარზე ნათქვამი აქვს: „მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ განპატიჯებულა, თუნიერ გუშან ბაოსკარელისაგან კილე: მას თუალნი დასწუნეს“-ო . (15₁₃). მაშასადამე „განპატიჯება“ სასტიკ სასჯელს, თვალთ დაწეასა და გამოყუერასა ჰნიშნავდა. ზემომოყვანილი განდგომილებისათვის დაწესებულ სასჯელთა ნუსხაში ექსორია და სიკედილი ცალკე არის მოხსენებული, თვალდაწეა და გამოყუერეა-კი აღნიშნული არ არის, ალბათ იმიტომ, რომ „განპატიეება“ სწორედ ამ ორ სასჯელს აღნიშნავს.

„თუალთა დაწეითა“ და „გამოყუერეით“, როგორც ეტყობა, განსაკუთრებით, განდგომილების მოგიეე უფლისწულებს სჯიდენ ხოლმე: ამგვარად იყენებ დასჯილი მაგალითად, ბაგრატიონიანი კონსტანტინე თავის მამის გიორგისა მიერ და დემნა თამარ მეფის მამის გიორგი III-ის მიერ თეოდოსისაც განდგომისათვის დემეტრე მეფემ „დასწუნა თუალნი“, გამოყუერეს მესახებ-კი ისტორიკოსი არას ამბობს.

სიკედილით სჯიდნენ განდგომის განზრახვამგებელთ, როგორც მაგ. დემეტრე I-მა იოანე აბულეთის ძეს „თავი მოპკუეთა“ და გიორგი III-ის დროს ორბელნი დაისჯნენ დემნას განდგომილების მოწყობისათვის, და უეჭველია, „მინათგამცემელნი“-ც, ეითარცა ღალატის აღსრულების ხელშემწყობნი.

„ექსორია“ ბერძნული სიტყვაა და გაძევებას ჰნიშნავს. ამ სასჯელს უნიშნავდენ ხოლმე იმათ, ვინც „მინდობით გამოიყვანეს“ და ეისაც განდგომაში მცირედი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, აგრეთვე განდგომილებისა და ღალატის მეორეგზისი განზრახვისა და დაპირებისათვის.

პირველად ამისთანა დანაშაულობისათვის მხოლოდ საყრობილეში ამწყვდეედნენ, მეორედ-კი შეყრობისა და დამწყვდევის შემდგომ ექსორია-ჰყოფდენ ხოლმე. დაეით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომმ მეფემ ლიპარიტ შეატყო თუარა, რომ იგი ორგულობდა და „ზაკუდა წინაშე მისსა“, „ინება გაწურთუა მისი, ამისთჳსცა პყრობილყო იგი ჟამსა რაოდენსამე, რომელი ქმა იყო განსწაელელად გონიერისა ვისიმე და ესრეთ მომგკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთობისათჳს ღეთისა შუა-შემომღებელი განუტეკა იგი და მითვე დიდებითა აღიდა“-ო. მაგრამ რაკი შემდეგაც „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა... მეორესა წელსა კუალად მეიპყრა, ორ წელ პყრობილიყო და საბერძნეთს გაგზავნა“-ო.

§ 2. მეფის შეურაცხყოფა

მეფის სიტყვიერად საჯაროდ და პირადად შეურაცხყოფის შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი ცნობა მოგვეპოვება. ეს ცნობა შენახული აქვს თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს და რუნ-ედ-დინის (ნუქარდინ) მოციქულის მიერ საქართველოს გეირგვინოსნის წინაშე სიტყვიერ თავხედობას აღგეიწერს. პირად სიტყვიერ შეურაცხყოფას მაშინ „კადნიერად კადნიერება“-ს ან „არა

საკადრებელთა სიტყუათა თქუმა“-ს ეძახდენ. თუმცა ეს ამბაւი განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, მაგრამ ამ აღწერილობაში მოიპოვება მოკლე ცნობა იმ სასჯელის შესახებ, რომელსაც ამგვარი დანამაულობისათვის ქართული სამართალი აწესებდა. თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს სახელდობრ, რომ ლუმის სულტანმა საქართველოს ბატონს ელჩი გამოუგზავნა და თან წერილი გამოატანა. მოსული მოციქული რომ მეფესთან შეიყვანეს, მან თურმე „წიგნი მისცა“, წარდგა და იწყო არა-საკადრებელთა სიტყუათა თქუმად: „უკეთუ მეფემან დაუტეოს სჯული, იყრას სულტანმან ცოლად, და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა“-ო.

ამის გაგონებაზე „ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ბაქარია ამირსპასალარი და უხეთქა ქელითა პირსა და, ვითარცა მკუდარი, დაეცა და იდვა. ეითარ აზიდნეს, ამართნეს და ცხობად მოვიდა, რქუა ბაქარია: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენის აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმე-ღა თაეისა კაღნიერად კადრებისათუს“-ო. მამასადამე ჩვეულებრივ მეფის პირადად და საჯაროდ სიტყვიერად შეურაცხყოფისათვის, „არასაკადრებელ სიტყუათა თქუმისათვის“ სამართალი დამნაშაეეს სასჯელად უდებდა „პირველად ენის აღმოკუეთა“-ს, ხოლო „მერმე-ღა თაეისა მოკუეთა“-ს. რა სასჯელი იყო დანიშნული, როცა დამნაშაეეს მეფის წურგთ-უკან სიტყვიერად შეურაცხყოფა, „არა-საკადრებელ სიტყუების თქუმა“, „ბოროტი სიტყუა თქუმული“ ეღებოდა ბრალად, არა ჩანს.

სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაულობანი

§ 1. დანაშაულობანი ბუნებითნი

სქესობრივი ზნეობაც სხეა და სხეა დროს სხეა და სხეა სახისა იყო: თაეის ხანგრძლივი არსებობის დროს კაცობრიობამ ჯერ მრავალცოლიანობა და მრავალქმრიანობა იგემა, მხოლოდ მეშვიდე და თანდათანობით ერთ-ცოლქმრობა დაწესდა. ეს ერთ-ცოლქმრობა ქრისტიანობამ აღამიანთა საეალღებულო ზნეობრივ და საღმრთო კანონად აღიარა, თუმცა უკეე წარმართობის დროსაც ბეერმა ერთმა ერთ-ცოლქმრობის საფეხურს მიაღწია. ცხოერებამ და ქრისტიანობამ ქალ-ეაეის ყოეელეარი სქესობრივი კაეშირი ქორწინებამდე დანაშაულებად აღიარა, ამგვარადეე ცოლისა, ან ქმრის ღალატიც მიუტეეებელ ცოდეად იყო მიჩნეული. მაგრამ ამ შეხედულებას ერთბაშად არ მოუკიდნია ფეხი.

დაუქორწინებელი ქალ-ეაეის სქესობრივ კაეშირს „სიძვა“ ერქეა. ასე ესმის ამ სიტყეის მნიშვნელობა საბა-სულხან ორბელიანსაც: „სიძეა უმეუღლოსაგან ბოზობა“ არისო, ხოლო ცოლისა, ან ქმრის უცხო კაცთან, ან ქალთან სქესობრივ დაახლოებას „მრუშობა“ ეწოდებოდა. VI მსოფლიო კრების ძეგლისწერის ქართულ თარგმანში მაგალითად ნათქეამია: „უკეთუ იპოვოს, ე'დ ცოლი წარეიდა ქმრისაგან, დედაკაცი იგი მემრუშე არს“-ო, „ხოლო, რომელმან დაუტეოს სჯულიერად მერთული მისდა ცოლი და სხუა მეირთოს, მასზედაცა სასჯელი მრუშებისა არს, ეითარცა უფალმან ბრძანა: „რომელმან დაუტეოს ცოლი თუსი გარეშე სიტყეისა სიძეისა და სხუა მეირთოს, იმრუშებს“-ო. საბასაც ამნაირადეე აქეს ეს სიტყეა განმარტებული: „მრუშობა მეუღლიანის ბოზობა (8, 3 იოანე)“ არისო.

უკეე დაბადებაში გეხედება „ცთუნება ქალწულისა უთხოველისაჲ“, რომლის ერთი მაგალითი უკეე ქართული წყაროებიდან ქეემოთ იქნება მოყეანილი.

„მრუშებაჲ“ ძეგლებში, ყოველთეის ბერძნულის და სლავური прелюдбяние-ს შესატყვისობაჲ გეეელინება და ამგვარად ღათინურ adulterium-ს, ფრანგულს adultere-ს და გერმ. hebruch-ს უდრის. მრუშების ჩამდენს „მრუში“ ერქეა.

საეკლესიო სამართალი სიძეისათვის შემდეგს აწესებს: „რომელმან ისიძეოს, შვიდ წელ უზიარებელ იყოს. ისე-კი, რომ ორ წელ მესგიროდის, ორ წელ მსმენეთა თანა იყოს, ორ წელ დაერდომით აღსრულოს, ერთ წელ მორწმუნეთათანა დასდგეს და მერეესა-ღა წელსა მეიწყნარონ მიარებად“-ო.

საერო ცხოერების ერის ზნე-ჩვეულების სამართალი გაცილებით უფრო მკაცრი და ულმობელი იყო: „მეცთენილი“ ქალწულის მახლობელ ნათესავს შემაცდენელისათვის უნდა შური ეძია. ეს გრიგოლ ხანძთელის ცხოერებაში მოთხრობილი ამბითგან ნათლადა ჩანს: ერთი ყმაწეილი კაცის ზენონის „დაჲ იგი... ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინ-მე უკეთურმან კაცმან და ღამე-ყოეელ“ წარეიდის მაგშეთს. ხოლო ზენონ, ვითარცნა, მეიჭურა საჭურველითა მარტოდ და ამეედრდა ცხენსა და დევნა უყო. და ვითარ ღიდი ქუეყანაჲ ელო, თქეა გულსა თუსსა, ვითარმედ „ვარ მე ჭაბუკ სახელოეან და რომელსაა ვსდევ ფრიად მეურაცხ არს, — დაღაცათუ ეეწიო და მოეკლა, საბრკე არს სულისა ჩემისაჲ, და უკეთუ ცუდად უკუნ ვიქცე სახედ ჩემდა, სირცხეილ არს ჩემდა“-ო. მაშასადამე „მეცდენილი“ ქალის ნათესავებს უნდა მახვილით შური ეძიათ, სისხლი დაეღვარათ, თორემ შურის უძიებლობა მათთეის ღიდი სირცხეილი ყოფილა! ასეთი

ზნეობრივი შეხედულება იყო თურმე ხალხში, სამართალი-კი როგორ მსჯელობდა და როგორ ეპყრობოდა ასეთ შურისძიებას, ჯერ არა ვიცით რა.

მრუშებისათვის საეკლესიო სამართალი აწესებდა: დამნაშაეე „ათხუთმეტ წელ უზიარებელ იყოს", რომლის განმავლობაში ოთხ წელ მესტიროდის, ხუთ წელ მსმენელთა თანა დაეწესოს, ოთხ წელ დაერდომით აღასრულოს, ორ წელ მორწმუნეთა თანა დასდგეს და მერმეღა ღირს იქმნას მიარებისა"-ო. ხოლო თუ თვით დამნაშაეე „მოიქცეს სინანულად და უჯეროდ მერთული იგი განიშოროს", მხოლოდ შეიდი წელიწადი უზიარებელი იყოსო.

ამ შემთხვევაშიაც, როგორც ჩანს, საერო სამართალი, ხალხის ზნე-ჩეეულება, დამნაშაეეს, მეტადრე ქალს, გაცილებით უფრო ულმობელად ეკიდებოდა. ქმარს რომ საყვარელი „ხარჭი" ჰყოლოდა, ეტყობა, ისე დიდ დანაშაულობად არ ითელებოდა, როგორც ცოლის ღალატი. ეიცით მაგალითად, რომ აშოტ კურაპალატს დამ ის შეილს ადარნასეს „სჯულიერ" ცოლს გარდა საყვარლებიც ჰყვდათ სახლში. მისი თანამედროვე საეკლესიო მოღეაწენი „მრუშების" მთელ ბრალს მოღალატე ქმრებს-კი არა სდებდენ, არამედ მართოლენ საყვარლებს. ეიცით აგრეთვე, რომ გიორგი III, თამარის მამასაც „ხარჭი" ჰყოლია და ამ ხარჭისაგან ნამობი შეილი ებადა.

სულ სხეანაირად დატრიალდებოდა ხოლმე საქმე, როცა ქმრის მოღალატედ ცოლი აღმოჩნდებოდა: ქმარი ცოლს თაეს ანებებდა და თაეის სამშობლოში გზაენიდა, მის საყვარელ კაცზე-კი მურს აგებდა ხოლმე. ეს გრიგოლ ხანძთელის ცხოერებაში მოთხრობილი ამბაეითა მტკიცდება: აშოტ კურაპალატის შეილს, ადარნასეს ცოლის, თაეითგან მოშორება განუზრახაეს და ამგეარი ხერხით აუსრულებია თავის გულის წადილი: მას ადარნასესთეის ჩაეგონებია, ეითომც მისი ცოლი მას ჰღალატობდეს: ამ საყვარელმა თურმე „განთქუა სახელი მისი ეითარცა მეძაეისაჲ". ადარნასესაც, გულწრფელად, თუ თეალთმაქცობით, ეს ცილის წამება დაუჯერებია და „შესმენითა მეძაეისა ქალისაჲთა, რომლისა თანა მრუმებდა იგი, უსამართლოდ განიმორა სიცრუითა სიძეისაჲთა სარწმუნოჲ ცოლი თჳსი და წარგზაენა ქუყანად თჳსად აფხაზეთად, ეინაჲცა მოეყუანა იგი"-ო. ეს ხომ ეითომც-მრუში ცოლის სასჯელი იყო, ეითომცდა დამნაშაეე ყაწეილი კიდეე უფრო ულმობელად დაესაჯა: შურისძიებით იგი ადარნასემ მოკლა. ეს იქითგანა ჩანს, რომ გრიგოლ ხანძთელი თურმე ამ საყვარელს ქალს ბრალსა სდებდა: „სისხლი უბრალოჲსა ჭაბუკისაჲ დასთხა"-ო. ამგეარად საერო სამართალი და ზნეჩეეულება ქმრის ღალატს უფრო ლმობიერად ეპყრობოდა, ეიდრე ცოლისას!..

§ 2. ბუნების გარეშე დანაშაულობანი

ბუნების გარეშე სქესობრიეი დანაშაულობანი (Windernaturliche Unzucht) ერცლად აღნუსხულია ებრაელთა საღმრთო წერილში და მემდეგ ქრისტიან სჯულის მეცნიერთა თხზულებებში.

ამაზე მსჯელობა სჯულისკანონმიაც არის. რასაკეირეელია, მძიმე დანაშაულობად ითელებოდა უკეე „თჳსთა და ნათესაეთა თანა აღრეაჲ", რაც ნათარგმნ თხზულებებში ბერძნულს „ჰაჲმომიქსია"-ს, სლაეურს кровосмщение-ს, ე.ი. ლათინურს incestus-ს, ფრანგულს inceste და გერმანულს Blutschande-ს ეთანასწორება. ამას აგრეთვე „ურთიერთას თანააღრევა"-ც ეწოდებოდა. ბუნების გარეშე დანაშაულებად ითელებოდა „უპასაკოჲსა განკრწნაჲ".

უპასაკოს გახრწნად ითელებოდა, ქალწულისა და უწინარეს ჰასაკად მოსელისა", ე.ი. 11-12 წლამდე ბავშეის გახრწნა.

მაგრამ ნამდეილ ბუნების გარეშე დანამაულებად ითელებოდა არაბუნებრიეი გზით სქესობრიეი კაეშირი ერთსქესიანთა შორის იქმნებოდა, ორსქესიანთა, თუ პირუტყეებთან. ამისდა მიხედეით არსებობდა „მამათმაელობაჲ".

იონე მმარხეელს აღნიშნეი აქეს „დედათაცა თანა მამათმაელობაჲ, რომელსა მთაეარდებიან მამაკაცნი", რომელნიც „ბუნებითსა მას საქმეს დაუტეობენ" და არა-ბუნებრიეად „აიძულებენ სიძუად უბადრუკთა მათ დედათა თანა და ეიეთნიმე თჳსთაცა ცოლთა თანა". „დედათა თანა მამათმაელობაჲ" წარმოდგენს ბერძნული ტერმინის თარგმანს. ამაეე ბერძენი კანონისტის ქართულ თარგმანში ნახმარია გამონათქუამი „მამათ დედლობაჲ", რაც პასიური მამათმაელობის გამომხატეელი უნდა იყოს.

დასასრულ იხსენიება იმავე აეტორის ნაწარმოებში „პირუტყეთა და ფრინველთა თანა დაცემაჲ", ე.ი. ლათინურს sodomia ratione generis-სა და გერმანულის Bestialitat-ს ეთანასწორება.

აღსანიშნაეია, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული ბუნების გარეშე დანაშაულობათაგანი, მამათმაელობას გარდა, ქართულ ორიგინალურ წყაროებში არსად გეხედება.

სქესობრიეი ზნეობის დამრღეეე დანაშაულობათაგან ქართულ წყაროებში, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სოდომური ცოდეა მოხსენებული. რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრება პგოეებდა: „არა უწყით, თუ ვინაჲ უკეთურებით შემოეხრწნა მოქალაქობასა ქრისტეს-მოსახელისაცა ერისასა"-ო, „არა უწყით, თუ ვითარ შეეთუნა იგი უბარეკსა ამას ნათესაესა"-ო? სოდომური ცოდეა, როგორც ზემოდასახელებული კრების მოწმობითგანა ჩანს, მოღებული

ყოფილა და სამეფოლოება აფრთხილებდა ქართველ ერს: ასურელთა, სპარსელთა და სომეხთა შორისაც და რომმიაც მძეინვარებდა ეს ცოდვა და სწორედ მან დააუძლურა ეს ოდესღაც ძლიერი სახელმწიფოებიო. „ამისთუს ვამცნებთ ყოველსა: დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, ამხარსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ენებისა“-განო. ხოლო ვინც ამიერითგან სოდომურ ცოდვას არ გადაეჩვეოა, იმას სამინელი, სოდომურივე სასჯელი მოელის საიქიოსო, საამაო სასჯელს-კი კრება არ ასახელებს. ბიზანტიაში ამ დანამაულებისათვის სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული.

დანამაულობანი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ

§ 1. კაცისკვლაჲ და დაგერშეა

მკვლელობა ყოველთვის დიდ დანამაულობად ითვლებოდა. მაგრამ სისხლის სამართალი მუდამ ერთგვარად არ უცქერიდა ამ ბოროტმოქმედებას, ან, უკეთ რომ ეთქვათ, კაცობრიობას თითოეული მკვლელობა ყოველ ჟამს ცოდვადა და საუგოდ არ მიაჩნდა. როგორც, მაგალითად, ეხლაც ბრძოლის დროს, ომში მტრის მოკვლა არამცთუ დანამაულებად, არამედ პირიქით სასახელო საქმედ ითვლებოდა, ხოლო თავის მოქალაქის მკვლელსა და დამკოდველს თვითოეული თანამედროვე სახელმწიფო მკაცრადა სჯის, — ისე წინათაც, ძველის-ძველ დროს, როცა საგვარეულო წეს-წყობილება სუფევდა, ყველგან თანამგვარის, ერთი გვარის შვილისა და სახლის კაცის მოკვლა საზარელ, მიუტევებელ ცოდვადა და დანამაულებად ითვლებოდა, სხვა გვარის შვილისა და კაცის დამარცხება და მოკვლა-დაკოდვაც-კი ძლევა-მოსილი მკვლელის თანამოგვარეების სასიქადულო, საქებარ მოქმედებადა და ვაჟკაცობად მიაჩნდათ.

კაცობრიობის საზოგადოებრივმა და წნეობითმა წარმატებამ გვაროვნობაზე დამყარებული სამართალი დაარღვია და ახალი სახელმწიფო სამართალი შექმნა. თავდაპირველად იგი წოდებრივ უსწორ-მასწორობაზე იყო დაფუძნებული, მაგრამ შემდეგ ეს თანასწორობის დამბარკოლებელი გარემოებაც თანდათან ისპობა. რაკი საგვარეულო წესწყობილების დროს გვარი მჭიდროდ შეკავშირებული ერთეული იყო, ამიტომ იგი თვითეული თავის წევრის შეურაცხყოფისა და ზიანისათვის შეურაცხმყოფელის მთელ საგვარეულოს ერთობლივ და კერძოდ ყოველ მის წევრს მაგიერს უხდიდა. ამ დროს მაშასადამე ერთად-ერთ სამართლად საგვარეულო შურისძიება უნდა ყოფილიყო.

უძველეს დროს, რასაკვირველია, ქართველების სამართალიც საგვარეულო შურისძიებაზე იქნებოდა დაფუძნებული, მაგრამ იმ ხანაში, რომელიც ამ ჩვენი გამოკვლევის საგანს შეადგენს, შურისძიება საქართველოში, როგორც საბუთებითგანა ჩანს, აღარ არსებობდა. ამ დროს შურისძიების არსებობის მხოლოდ კვალი-ღა იყო შერჩენილი, ისიც მართოდენ ქართულ სამოსამართლო სიტყვათა საუნჯეში. როცა ჩვენ გრიგოლ ქართლისა ერისთაეთ-ერისთაჲის საბუთებში ამგვარ წინადადებასა ვკითხულობთ: „თუ სისხლი შეჰკუდეს მღუბიის კაცსა ჩუენისაჲ კაცისაჲ, მემღუბიის ქელისუფალმან სისხლის პაგრონსა სისხლი გარდასცეს მონასტრისა ჩუესთა“ და სხვა ამისთანავე წინადადებებს, აქ და სხვა ამნაირსავე შემთხვევებში მართლა სისხლზე-კი არ არის ლაპარაკი, არამედ მარტო ქონებრივ საზღაურზე, სასჯელზე: სისხლის შეხედრა ნიშნავს ქონებრივი საზღაურის მისჯას სასამართლოს მიერ, სისხლის პაგრონად იწოდებოდა დამარალებული, მიმძლაერებული მხარე. მაინც ასეთი ტერმინებისა და გამონათქვამების არსებობის გამო, რასაკვირველია, ჩვენ უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად გამონათქვამებს „სისხლის მექვედრა“, „სისხლის პაგრონი“, „სისხლის ძიება“ და „გადაცემა“, და სხვა ამგვარ სიტყვებს ოდესღაც პირდაპირი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომ მაშინ სამართალი მართლა შურისძიებაზე დამყარებული „სასისხლო საქმე“ და „სისხლის“ სამართალი იყო.

როდის გაქრა სისხლის შურისძიება საქართველოში, ამის გამოსარკვევად ჯერ-ჯერობით არაეითარი ცნობები არ მოგვეპოვება. უკვე იმ უძველეს ქართულ წერილობითს ნაშთებში, რომელთაც ჩვენამდის მოაღწიეს, სისხლის შურისძიებაზე არავითარი ცნობები არ მოიპოვება. საეკლესიო სამართალიც ხომ, როგორც „შესაეაცლი“ აღნიშნული იყო მახვილით „შურისძიებას“ ნებსითს კაცისკვლაჲს სთვლიდა. „სისხლის მაძიებელი“ ჩვენ საისტორიო VIII-XII საუკ. მწერლობაში მხოლოდ ერთხელ არის მოხსენებული. სახელდობრ იქ, სადაც ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ განდგომილ თეოდოსე უფლისწულს შუამავლად მისული კვირიკე კახთა ქორეპისკოპოზი ურჩევდა, ძმას მიანდე და შეურიგდი, ხელს არ გახლებსო, ხოლო თუ რამე გავნოს, მე ვიყო პასუხგამცემი, მე ვიყავ შეძიებელი სისხლისა შენისა“-ო. მაგრამ როცა თეოდოსის ძმამ მაინც ფიცი გატეხა და ძმას თვალები დაათხრევინა, კახთა ქორეპისკოპოზი სისხლის საძიებლად მაინ ცარ გარჯილა.

ხშირი მოელენა იყო კაცისკვლა VIII-XII ს., თუ იმვიათი, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, ხოლო ისედაც ცხადია, რომ VIII-X ს-ში. ამ მხრივ ყურადღების ღირსია გ.

მერჩულისაგან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოთხრობილი ერთი შემთხვევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ IX საუკუნეში საქართველოში მოსყიდული მკვლელის მოვნა შესაძლებელი ყოფილა. ამ თხზულებაში სახელდობრ ნაამბობია, რომ ანჩის ეპისკოპოსად მძლავრ დამჯდარმა ვინმე ცქირმა თავის მამხილებელისა და მგრის გრიგოლ ხანძთელის მოკვლა განიზრახა და ამის განსახორციელებლად „ფარულად მოუწოდა ერის,კაცსა ანჩელსა, ლიბრსა და ელახკასა და მაგრიად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრიგი უეტკ და ხუთნი თხანი და წარაელინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა. და გზას ვისგან-მე ცან, ეითარმედ არს იგი ხანძთისა აგარაკსა და დღეს მოვალს შინა. მაშინ წარვიდა მზრიად ტყესა მას ხანძთისასა და მშულდი გარდაცემული კელთა აქუნდა“-ო.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის ორიოდე ცნობა, რომელიც გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში მოიპოვება. იგი მოგვითხრობს, რომ ათონის ქართველთა მონასტერში ეფთუმე მთაწმიდელი ორჯერ მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილა სიკვდილს: ერთხელ თურმე მონაზონმა „შეიმზადა მახული და ენება მოკლვაჲ მისი... დღესა ერთსა, აღვიდა რაჲ გოდლად და დაპკმა კარი მოწაფემან და თჳთ მთავიდოდა თუსსა სენაესა და, ვითარცა მცირედ მთაელო კიბეთა გოდლისათა, შეემთხუა მას განცოფებული იგი მონაზონი და პრქუა ეითარმედ: „წინაშე მამისა აღვალ და მიკამე“... და ეითარ არა უტევებდა აღსლვად სანატრელი იგი მოწაფჱ მამისაჲ, მეყსეულად განცოფებულმან მან იკადა მახული იგი საკმაკაოჲ და ესრეთ უწყალოდ დაჩხუპა მახულითა“. მეორედ კიდევ „სხუასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისაჲ და აბრახა მასცა მოკლვაჲ წჱიდისაჲ მის, და ეითარცა კელ-ყო, მეყსეულად უქმ-იქმნა კელი მისი და დაშთა ეითარცა შეშაჲ განკეული“-ო.

ორიე ბემომოყვანილი ამბაეი მით არის საგულისხმო, რომ ნათლად გეიჩვენებს, თუ რამდენად დაუმონებელი ყოფილა ჯერ კიდევ მაშინ ადამიანის ენებათა ღელვა: თუ კი მონასტერშიაც, მონაზონებს შორის, რომელთაც ყოველსაე ქუეყნიერზე და ხორციელზე უარი პქონდათ ნათქვამი და მარტოდენ თაეიანთ სულიერსა და ზნეობრივ განსპეტაკებაზე უნდა ეზრუნათ, მესაძლებელი ყოფილა, რომ ადამიანი გულისწყრომას კაცის,კელამდე მიეყვანა, რამდენად უფრო ხშირი იქმნებოდა იმ დროს ეს შემზარაეი ბოროტმოქმედება ხალხში, მსოფლიოთა შორის.

უეჭველია, XI-XII ს.ს. მთელი ქართველი ერის გონებრივ-ზნეობრივ დაწინაურებას ადამიანთა ენებათა-ღელეისათეისაც უფრო მარტივი და უფრო ლმობიერი სახსარი უნდა შეექმნა.

ამ ბოროტმოქმედებას შეიძლება სხვა-და-სხვა სახე პქონოდა და სხვა-და-სხვა შედეგი მოპყოლოდა: ან მომძლავრებულის სიცოცხლე მოესპო, – ამას „მოკლვაჲ“, ან და „კაცის,კლვაჲ“, ან და „მკულელობა“ ერქვა, – ან დაზიანებულს ჭრილობით დაეხწია თავი, მხოლოდ „დაჭრილობა“ ყოფილიყო – ამას „დაკოდვა“-ს, „დაჩხუპა“-ს ეძახდენ.

დაკოდვას გარდა ქართულ სამართალში „ტერში“ და „ნახშირი“-ც იყო გასამართლების დროს მხედველობაში მიღებული. ორივე სიტყვა, როგორც პრ. ნ. მარმა დაამტკიცა, იმ დროითგან უნდა იყოს შერჩენილი, როცა ქართველები ჯერ კიდევ მ,ონადირეობას მისდევდენ: „ტერში“ თავდაპირველად ნადირის ჭრილობასა და სისხლს ერქვა. ამ მნიშვნელობაზეა დამყარებული და იმ დროის ცნების გამომხატველი ტერმინია ეხლანდელი „დაგემეა“-ც. შემდეგ ქართულ სამართალში „ტერშად“ აღამიანის მსუბუქი და არადამამავებელი ჭრილობა და მისი საბღაური იწოდებოდა. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“-ში, მაგალითად, სწერია: „ტერშის საქმე ასრე იქმნას: ეისაც პირსა ზედა ტერში აჩნდეს, ანუ ცხვირი მოეკვეთნესო... თუ ტერში სად საჩინოდ იყოს ასრე, რომე არ დამაეღებოდეს და დაიჩნდეს“-ო... დაბაღების ქართულ თარგმანში „ტერში“ ბერძნულის შესატყვისად არის ნახმარი, ასევეა ასურულშიც, რაც აუგს, ვინებას, სამარცხვინო ლაქას ჰნიშნაედა.

„ნახშირი“-ც თაედაპირველად ჭრილობასა ჰნიშნაედა და სისხლს, ხოლო შემდეგ ზარალსა და საბღაურსაც.

მკელელობისა, ტერშისა და ნახშირისათეის სასჯელი განსხეაედებოდა იმისდა გეარად, თუ რა თეისებისა იყო ეს დანაშაულობა. დაწერილებითი ცნობები განზრახეითი, ნებსითი და უნებლიეთი და სხეანაირი ბოროტმოქმედების შესახებ სისხლის სამართლის პირველ თაეში იყო მოთავსებული და ყოველიეე იქ ნათქვამი აქაც გათვალისწინებული უნდა გექონდეს. იქ მხოლოდ „ღალატით“, მოტყუნელებით, საფრთხით კაცის,კელაზე არაფერია ნათქვამი. ღალატით კაცის კელისათვის ტერმინად X ს-მდე იხმარებოდა: ჩასაფრების აღსანიშნაედ „მზირად წარსლვაჲ“, ან „მზირ ყოფაჲ“, – შურგითგან დაცემის აღსანიშნაედ – „კაცის,კლვაჲ მიპარვითა“, ხოლო თეით მოქმედ პირს ეწოდებოდა „კაცის,მკულელი მოპარეითა“. დასასრულ ამ ბოროტი მიზნის საწამლაეით გამოხორციელებელთ „მწამლეველნი“ პრქმეია, თეით ასეთ დანაშაულობას-კი „მწამლეელობაჲ“. ქართელი ქამთააღმწერლის სიტყვით მწამლეელი კაცის,კელობა მეტადრე სპარსეთში ყოფილა გაერცელებული, სადაც „მრავალნი იპოვებიან მწამლეელნი“-ო.

ამგვარად „კაცის,კლვაჲ“ უდრის რომაულს, ან homicidium-ს ან parricidium-ს, – „კაცის,კლვაჲ საფრეით“, ან „მიპარვით“ – homicidium proditorium-ს და „მწამლეელობაჲ“ – venificium-ს. აქ უნდა აღენიშნოთ, რომ „ღალატით კაცის“ კელას, ეითარცა ეერაგულსა და განზრახ-განგებულ

ბოროტმოქმედების, ქართული მერმინდელი სამართალი მძიმე დანაშაულობადა სთვლიდა და ასევე იყო ძველადაც.

ბოროტმოქმედი ორნაირად ისჯებოდა, ეკლესიისგანაცა და სახელმწიფოსგანაც. საეკლესიო სამართალი ბრძანებდა, რომ ვინც „ნებსით თუსით და განზრახვით კაცი მოკლას და მერმე მოვიდეს სინანულად და აღსარებად, ოც წელ უშიარებელ იყოს... ხოლო ოცი იგი წელი სინანულისა მისისა ესრეთ განეწესოს: ოთხ წელ თანა-აძს შეტირება, – ესე იგი არს, რათა სდგეს გარეშე კართა ეკლესიისათა და მეშაველთა ეკლესიად მორწმუნეთა ევედრებოდის ლოცვად მისთუს და აღიარებდეს ცოდვასა მას თუსსა. ხოლო შემდგომად ოთხისა მის წლისა მსმენელთა თანა დაეწესოს, რომელნი იგი სდგანან ეზოსა შინა ეკლესიისასა წინაშე სამეუფოთა ბჭეთა და ისმენენ წმიდათა წერილთა საკითხავსა... და ხუთ წელ მათ თანა სდგეს. და შვიდ წელ ქუე დავრდომით მვედრებელთა თანა განვიდოდის, რომელნი იგი სდგანან შინაგან ბჭეთა ეკლესიისათა და ოდეს დიაკონმან კმა პყოს – „კათაქმეველნო განვედით“, განვიდენ ეკლესიით, და ოთხ წელ დადგეს მორწმუნეთა თანა, ვიდრე აღსრულებადმდე ჟამისა წირვისა, გარნა არა ეზიარებოდის, ხოლო ოდეს წესი ესე და კანონი აღსრულოს, მერმე ღირს იქმნას ზიარებისა“. უნდა გათვალისწინებული გექონდეს, რომ ასეთ შეჩვენებულს ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით მოქალაქეობრივი უფლებებიც ჩამორთმეული ჰქონდა ხოლმე.

უნებლიეთი კაცის მკვლელისათვის VI მსოფლიო კრებამ დაადგინა: „ათ წელ უზიარებელ იყოს..., ხოლო ათი იგი წელი სინანულისა მისისა, ესრეთ განეწესოს: ორ წელ შესტიროდეს, სამ წელ მსმენელთა თანა დაეწესოს, ოთხი წელი ქუე-დავრდომით აღასრულოს, ერთსა წელიწადსა მორწმუნეთა თანა დასდგეს აღსასრულადმდე ჯამის წირვისა და შერმეცა შეიწყნარების ზიარებად“-ო.

მკვლელობისათვის განკუთვნილი მერმინდელი საერთო, სამეფო სამართლის სასჯელის რაოდენობა, რომელიც საეკლესიოს ზედერთოდა, დამოკიდებული იყო: 1. მოკლულისა, ან დაკოდილის წოდებრივ, საგვარეულო და სამოხელეო ღირსებებზე, მეტ-ნაკლებობაზე: დიდებული აზნაურის „სისხლი“ მაგ. უფრო მეტად ღირდა, ვიდრე მცირე აზნაურისა, გვარიანისა უფრო მეტად, ვიდრე უგვაროსი, ხელისუფლისა უფრო მეტად ვიდრე მინაკაცისა. 2. აგრეთვე თვით დანაშაულის მეტ ნაკლებობაზეც, – ამისდა მიხედვით დამნაშავე, ან ორკეცი „სისხლით“, ან სრული „სისხლით“, ან არადა სისხლის განსაზღვრული ნაწილით ისჯებოდა ხომე. სისხლის ბღვევის გარდა ბოროტმოქმედს სამართალი მკელელობისათვის დროებით მამულითგან გაძევებასაც უნიშნავდა სასჯელად. როგორი სისჯემა იყო ქართულ სისხლის სამართალში X-XII ს.ს-ში მიღებული, სახელდობრ, წოდებრივ და გვაროვნულ გნსხვაებას ჰქონდა თუ არა მაშინაც სასჯელის რაოდენობაზე რაიმე გავლენა, ამის გამოსარკვევად იმდროინდელ ძეგლებში ჯერ არაფითარი ცნობა არ მოგვეპოვება. მხოლოდ ბ. ბარხმელის ერთი ცნობითგან ჩანს, რომ მკვლელისაგან მამულის განსაზღერული ეადით ჩამორთმეეა IX-X სს-შიც ყოფილა სასჯელად მიღებული.

§ 2. მეკობრობა

როცა ბოროგმოქმედნი „მიელენ ტყუენვად და ხოცად“ და „ანგაარებისათუს და მიხვეჭისა უცხოთა საფასეთასა მოპკულენ კაცთა უბრალოთა“ – ამას „მეკობრობა“ და „აეაზაკობა“ ერქვა, ხოლო ამის მოქმედ პირს – „მეკობრე“ და „აეაზაკი“, დაზარალებულს კი „მიმძლაერებული“ ეწოდებოდა. ამგვარად ქართული „მეკობრობას“ ლათინურს latrecinum-ს უდრის.

მეკობრობა, პარეა და რბევა ყოველთვის იყო და ყოველ შემთხვევაში არ ითელებოდა ბოროგმოქმედებად: როცა მაგ. საგვარეულო წესწყობილება სუფევდა, მაშინ მხოლოდ ერთსა-და-იმავე გვარისშვილობაში ითვლებოდა საძრახისად და სამარცხინოდ, თუ ამ გვარის-შვილი ამგვარ საქმეებს თავის თანამოგვარეთა შორის ხელს მიაყოფდა, – თუ არა და სხვა გვარის დარბევ-გაცარცეა, და გაქურდეა თუნდაც ეს ნავარდობა მკელელობით დამთავრებულიყო კიდეც, ეს ისეთ საქებარ და სასახელო გმირობად მიაჩნდათ, რომ მეკობრეთა ასეთ ვაჟკაცობას ზოგჯერ ლექსითაც შეაქებდნენ და შეამკობდენ ხოლმე. შემდეგ, როცა საგვარეულო წესწყობილება დაირღვა და თანდათან ერთმა სახელმწიფო მოქალაქეობრივობამა და მამულიშვილობამ მოიკიდა ფეხი, მაშინ ესეც საძრახისად შეიქმნა და ბოროგმოქმედებად იყო აღიარებული. მაგრამ სამაგიეროდ სხვა, მეზობელი სახელმწიფოს მცხოვრების გაცარცვა დანაშაულობად არ ითვლებოდა. თანამედროვე განათლებულმა ერებმა და სამართალმა ეს ველურობის ნაშთის დაჩაგვეს და ვაჟკაცობის სახელი ასეთი მოქმედებისათვისაც აეკაცობის სახელად მეუცვალეს.

VIII-XIII ს.ს. საქართველოში საგვარეულო წეს-წყობილება დიდი ხანია დარღვეული იყო და თანამემამულის გაქურდეა, გაცარცეა და დარბევა, მით უმეტეს, მეკობრეობა, ბოროგმოქმედებად ითვლებოდა: სამართალი მკაცრადა სჯიდა დამნაშავეს. რასაკვირველია, ქვეყნის აშლილობისა და მგრენის შემოსევის დროს ამგვარი ბოროგება უფრო გახშირებული იქმნებოდა, ვიდრე სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროს, როდესაც ერის მნეობრიეი მდგომარეობაც უფრო გასპეტაკებული უნდა ყოფილიყო და მთაერობაც მოცლილი იქმნებოდა, მეკობრეებთან და მპაოველებთან საბრძოლველად.

XII საუკუნეში საქართველოს საზოგადოებრიეი ცხოერება იმდენად დამშეიდებულა, დამყუდროებულა და დაწინაურებულა, რომ თურმე პარეა აეაზაკობა უკე იშეიათი მოქლენა ყოფილა. თამარ მეფის ისტორიკოსი გაზეიადებით მოგეითხრობს კიდეც: „ქამთა მისთა არა იყო მიმძლაერებელი, არცა მგაცებელი, არცა მეკობრე და მპარაეი“-ო. მაგრამ ასეთი მყუდროება საქართეელოში გიორგი III-ის დროს მოწეეულ საკანონმდებლო კრებას მკაცრი სასჯელის დაწესებით დაუმყარებია. ამაზე ეარდნს თაეის მსოფლიო ისტორიაში შემდეგი საგულისხმო ცნობა აქეს:

„619 წელს (=1170 წ.) გიორგი (მეუმე თაეის) ქეეყანაში მპარაეი და მეკობრე მოსპო. რათგან ყოეელთა ლაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მცირისა და დიდისა საქმისათეის უწყალოდ ყოელისა კაცისა ძელზე აღბმა და ჩინებულთაგან მრავალნი ძელზე ჩამოახჩეეს. ნაპოენი ნიეთი-კი მიაქონდათ და სასჯელის ძელზე კიდებდნენ, ახრჩობდნენ პირუტყეებსაც-კი, ძაღლსა და თაგსა. ყეელას შიშის ზარი დაეცა და დამყარდა დიდი მშეიდობიანობა“-ო.

თუმცა პირუტყეთა დასჯა ძეელად ბეერგან იყო მიღებული და დასაელეთ ეეროპაში სამუალო საუკუნეებშიც იყო წესად, მაგრამ ქართული იურიდიული აზროენება X-XII სს-ში ისე მაღლა იდგა, როგორც დაერწმუნდით, რომ ასეთი რამე იურიდიული შეენების იმ დონესთან ძნელი შესათანხმებელია. ამიტომ ბუნებრივად იბადება ეჭე, უკანასკნელი ცნობა XIII ს. დამლეეს მცხოერები ისტორიკოსის საუთარი დანართი ხო მარ არის? XIII ს. კულტურული დაქეეითების დროს, ასი წლის წინანდელი უფლებრიეი მდგომარეობის სისწორით წარმოდგენა აღარც-კი შეეძლოთ. ამ ცნობას საეჭეოდ ჰხდის თაეის ჩამოხრჩობის სრული უაზრობა. ამის გამო, სანამ ამის დამამტკიცებელი სხეა სანდო ცნობა არ აღმოჩნდება, უკანასკნელი წინადადება საეჭეოდ უნდა იქმნეს ცნობილი.

სამართალი შემდეგშიაც ასეეე მკაცრად ეპყრობოდა მეკობრეს. აეაზაკს მისაგებელად ის სასჯელი ენიშნებოდა, „ძეელის სჯულისა რომელი ძეს აეაზაკთა ზედა – ძელსა ზედა ჩამორჩობა“. ყურადღების ღირსია, რომ თამარ მეფის დროს ყოეელგეარი დანამაულებისათეის იყო სასჯელი შემცირებული, სიცოცხლის მომსპობელი და ადამიანის დამასახიჩრებელი მისაგებელი ამოკეეთილი იყო, მხოლოდ მეკობრობისათეის სუფეედა კელაეინდებურად მკაცრი სასჯელი, იმდენად მიუტეეებელ ბოროტმოქმედებად სთელიდა საქართეელოს მთაერობა აეაზაკობას!..

ქამთააღმწერლის ცნობითგან ჩანს, რომ მეკობრობისათეის საქართეელოში XIII ს. შუა წლებშიაც იგივე მკაცრი სასჯელი ყოფილა. ამ ავტორის სიტყეით მესტუმრე ჯიქურის მეობის დროს ულუ-დავითის „სამეფოსა მპარაეი და აეაზაკი არა იპოებოდა, თუ სადა გაჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდიან“-ო.

დანამაულობანი საკუთრების წინააღმდეგ

§ 1. ნიეთების მოპარეა და ძარცეა

სხეის ქონების ფარულად მითეისებას „პარეა“ ერქეა, ხოლო მიმთეისებელს – „მპარაეი“. როდესაც მიმთეისებელი ცხადად მოქმედობდა და ძალით იტაცებდა, მაშინ ამას „რბეეა“-ს და „მიმძლაერება“-ს, მოქმედ პირს-კი „მძლაერებელ“-ს ეძახდენ.

ქეეყნის აშლილობის დროს, ან პირეელყოფილ მდგომარეობაში და ჩამორჩენილ კუთხეებში ეს დანამაულობა უფრო გავრცელებულია ხოლმე. საქართეელოშიაც სწორედ ასეეე ყოფილა: რამდენად გათამამებული ყოფილან ქურდები VIII-IX ს., იმითაც მტკიცდება, რომ მონასტრებისა და ბერების გაძარცეასაც არ ერიდებოდნენ. გ. მერჩული, გრიგოლ ხანძთელის ცხოერების ავტორი ამბობს, რომ მერეს, ბერი მაგოს საყოფელში „მოიწეენეს ღამე მპარაენი იგი, პრქეა მათ: „გრწმენინ ჩემი, შეილნო, წმიდაჲ ღმრთისმშობელი გიბრძანებს არა ენებად ჩემდა, არამედ მოეედით და ჭამეთ პური, რომელ განგიმზადე თქენ“. რომელსა მოეყვანნეს, კაღნიერ იქმნა წარღებად, რაჲცა იგი აქუნდა წმიდასა მას“-ო. თუ მაშინ მონასტრებსაც ასე ულიერად და კაღნიერებით ეპყრობოდენ ქურდები, კრძო კაცებს ხომ რაღას დაინდობდნენ!

სამართალი პარეას დიდ ყურადღებას აქცეედა: ქურდობასთან საბრძოლეელად მთაერობას განსაკუთრებული მოხელეები მიუწენია, რომელთაც „მპარავთ-მეძებელი“ ერქეათ.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყეით თამარის მეფობის განმაელობაში სამაგალითო სიწყნარე და უშიშროება სუფეედა. მას ამ მყუდროების თუმცა გადაჭარბებული სურათი აქეს დახატული, მაგრამ მისი ცნობა მაინც იმდენად მინაარსიანია და დამახასიათებელი, რომ ამ ადგილის მთლიანად მოყეანაა საჭირო.

მემატიანეს სახელდობრ ნათქეამი აქეს: მეფეთ-მეფის თამარის დროს საქართეელოს სახელმწიფოში „საყდართა და მონასტერთა დალეწასა ეერ ენ იკადრებდა, ქარაეანსა ეერ ეინ ძარცეიდა, ამერი და იმერი, ბეული სამეფო მათი აფხაზეთისა, დაწყნარებით ქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლეოდა: მპარავი, აეისმოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარეი ეინმე პოეის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადეის. ოესმან, მთიულმან და ყიეჩაყმან და სუანმან ეერ იკადრიან პარეა“-ო.

უეჭველია, ეს სიწყნარე და უშიშროება ერთის მხრით ზემოხსენებული საკანონმდებლო კრებისაგან გიორგი III-ის დროს მეკობრობისა და წარმდებობიიი პარეისათვის შემოღებული ულმობელი სასჯელის შედეგი უნდა ყოფილიყო, მეორეს მხრით საქართველოს კეთილდღეობისა და კულტურული ეითარების საერთო წარმატების გამომქღავნებელიც უნდა იყოს.

მაგრამ ლამა-გიორგის დროინდელი შემაგიანის ზემომოყვანილ ცნობას იმითაც აქვს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა, რომ აქ პარეის სხვადასხვა სახეობაც არის დასახელებული. ამ ავტორის სიტყვებითგან, საღაც ნათქვამია, რომ „ერთიცა ქათამი არსად მოიკლეოდა“-ო (ცხადია, იეულისხმებოდა მოპარული ქათამი) უეჭველი ხდება, რომ წიგან ფრინველისა და პირუტყვის პარეა გავრცელებული ყოფილა.

ამას გარდა მისსივე ცნობითგან ცხადად ჩანს, რომ პარეისათვის სცოდნიათ „საყდართა და მონასტერთა დალეწა“, ანუ გატეხეა. აქ დასახელებულია პარეა დალეწითურთ, რომელსაც ფრანკები l'effraction-ს, გერმანელები inbruchsdiebstahl-ს, რუსები кража со взломам-ს უწოდებენ.

მემატიანეს აღნიშნული აქვს აგრეთვე „ქარაენისა ძარცვა“, რომელიც თავდასხმასთან იყო დაკავშირებული და რომელსაც გერმან. Raub auf einem offentlichen Wege-ს, ფრანგ. brigandage-ს, რუსები грабеж-ს უძახიან.

მეტად საყურადღებოა ამავე ავტორის ზემომოყვანილი ცნობა, რომ „თუ ნაპარეეი ვინმე პოვის, კარსა წედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის“-ო. ამ წინადადების რეალური შინარსი მთლად ნათელი არ არის, მაგრამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება მაინც ცხადად ირკვევა თუ ნაპოვნი ნაპარეეის „კარსა წედა მიტანა და დრომათა ქუეშე დადება“ მაშინ საეალდებულოდ ყოფილა დაწესებული, ეს უეჭველია, იმის გამომქღავნებელი და დამამტკიცებელი უნა იყოს, რომ ქართული სისხლის სამართალი მარტო მპარავს, ქურდს-კი არ სჯიდა, არამედ პასუხისმგებლად ნაპარეეის შემნახველსა და მიმთვისებელსაც სცნობდა.

ნაპოვნი ნაპარეეის კართა წედა მიტანისა და დროშათა ქვეშე დადების წესი, უეჭველია, ქართული სამართლით დაკანონებული წესი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ცხადია, რომ აქ ოფიციალური დაწესებულების კარი უნდა იეულისხმებოდეს, მხოლოდ რომლის, ძნელი სათქმელია: ასეთ დაწესებულებად მარტო დარბაზის კარს ვერ მიეიჩნევთ, რათგან ეს განკარეულება, რასაკვირეელია, მთელ სახელმწიფოში და ყველასთვის უნდა ყოფილიყო სავალდებულო. ამის გამო ჯერ კიდევ გამოსარკვევია, სასამართლოს რომელიმე მოხელის, იქნებ, მაგ. მპარავთ-მეძებელის კარი ხო მარ იეულისხმებოდა?

დასასრულ საყურადღებოა მემაგიანის უკანასკნელი წინადადება, რომლითგანაც ჩანს, რომ პარვა-ძარცვა მეტადრე ოსთა, მთიულთა, ყიეჩაყთა და სვანთა შორის გავრცელებული დანაშაულება ყოფილა XII ს-ში.

ეამთაალმწერელს დაცული აქვს ცნობა, რომ XIII ს. პირველ ნახევარში ოდიშში ბედიან-დადიანის ჯონშერის ძის გონიერი მართველობის წყალობით „მპარავი და ძეირის-მოქმედი არა იპოვებოდა“. ამგვარად დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში ამ მხრივ სრული მყუდროება დამყარებულა. მაგრამ სამაგიეროდ აღმ. საქართველო მონღოლთა ურდოების ცარცვა-გლეჯის ასპარეზად იყო ქცეული და ამ გარემოებას, რასაკვირეელია, არ შეიძლება ხალხის უფლებრივ შეგნებასა და მწეობაზეც თანდათან უარყოფითი გაელენა არ მოეხდინა.

დანაშაულების შესახებ ზოგადი მოძღვრების გაცნობის შემდგომ, ცხადი იქნება, რომ ლამა-გიორგის დროინდელი მემაგიანის ზემომოყვანილ ცნობაში ე.წ. საპატიო ადგილსა ჩადენილი პარვის შესახებ არის საუბარი. როგორც დავრწმუნდით, ასეთი პარვა მძიმე დანაშაულობად ითვლებოდა იმეეარადეე, როგორც მეორე და მესამეჯერ და წარმდებობით მომხდარი პარეა.

აღსანიშნავია, რომ ეფთუმე მთაწმიდელს „შეცოდებულთა კანონის“ ტერმინის შესატყვისად ნახმარი აქვს „საჩინონი ნაპარავნი“: „უკეთუ ვინ იპარეიდეს საჩინოთა ნაპარეეთა, ეერ მოეალს მღდელობად“-ო. სლაეურად მთარგმნელს ეს ტერმინი სრულებით გადათარგმნილი არა აქვს და აზრის ზოგადი გადმოცემით დაკმაყოფილებულა.

თაეის აგებულობით-კი ქართული „საჩინო ნაპარეეი“ უფრო რომაული სამართლის furtum manifestum-ს უნდა ულრიდეს, მხოლოდ, რაკი ეს ტერმინი ჯერ სხეაგან არსად ჩანს, ამიტომ მისი ნამდეილი მნიშვნელობის გამოსარკვეელად ჯერ კიდევ სხეა მეგლებია საჭირო.

§ 2. საბუთების მოპარეა-მოსპობა

ორიოდე ფრიად საყურადღებო ცნობა მოიპოეება პარეის ისეთი სახეობის შესახებ, რომელიც მხოლოდ მაღალი კულტურის დონეზე მდგომი ერისა და საზოგადოებრივი ცხოერების ასპარეზმეა შესაძლებელი.

ერთ ცნობაში აღწერილია საბუთის, სიგელის მოპარეისა და სხვაზე გაცემის ბოროტმოქმედების ამბავი, რომელიც ათონის ქართეელთა მონასტერში დატრიალებულა. ათონის აღაპებში ერთგან იენისის პირველს ქეეშე დაწესებულია აღაპი ჯერისამე ბერისათეის მონასტრის

წინაშე მისი განსაკუთრებული ღვაწლისათვის. ამ აღაპში ნათქვამია: „ხარგინი ბოლბონისა და ნისინისანი ძმამან ვინმე ქართველმან, სახელით კოზმან, მოიპარნა და ბერძენსა ეისმე გასცნა“. ამ მამულების მფლობელობის უზრუნველმყოფელი საბუთების მოპარვასა და ბერძნისათვის მიცემას ქართველთა მონასტერყო დიდ გასაჭირში ჩაუგდია, რათგან მას ამ მამულებზე თავისი უფლებების დამამტკიცებელი საბუთების სათანადო დაწესებულებებში წარდგენის სამუალება აღარ ჰქონდა და თავისი მფლობელობის უფლების დაცვა უკვე არ შეეძლო: „მრავალნი აღგილნი და ზღვარნი წარქდებოდეს ამით მიზებითა“-ო.

ქართველთა მონასტერყ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ან მთელი ეს სოფელ-მამულები უნდა სამუდამოდ დაეკარგა, „ანუ უნდა მიეცმად მის ბერძნისაღა“, რომლისთვისაც ამ ქურდ ქართველ ბერს კოზმანს ეს მოპარული საბუთები გაღაუცია, „დრაკანი პროგოხარაგი: რ.“ (100).

ჯერასამე ბერმა თურმე თავის თავზე „შრომაჲ თავს იღეა“ და იმდენი „იღუაწა“, რომ მპოპარული „ხარტინნი დაჰყარნა“, საბუთები უკან დააბრუნებინაო. სამწუხაროა, რომ ამ ცნობაში აღნიშნული არ არის, თუ რა სამუალებით მოახერხა ჯერასიმემ მოპარული საბუთების უკან მიღება.

თუ ამ პირველ ცნობაში საბუთების მოპარვისა და გეცემის დანაშაულებაა აღწერილი და თეით დანაშაულება მხოლოდ იმდენად ეხება საქართველოს, რამდენადაც მპარაეიც ქართველი იყო და დაშარალებული, გაქურდული დაწესებულებაც ქართველთა ძმობას წარმოადგენდა, თაეისი სასამართლო ასპარების მიხედეით ეს საქმე, ვითარცა ათონის მთაზე მომხდარი, ბიზანტიის სასამართლოს ექვემდებარებოდა. მეორე ცნობა საქართველოში მომხდარ ამბავსაც წარმოადგენს და თაეისი იურიდიული თვისებითაც პირველი შემთხვევისაგან განსხვაეღება. სამწუხაროდ ტექსტის დაზიანებულობის გამო ზოგი გარეშოება ბუნდოვანია, მაგრამ ამისდა მიუხედაეად იმ მეორე ცნობაშე, თუ უფრო საგულისხმო არა, ნაკლებ მნიმვნელოვანი მაინ ცარ არის. ეს ცნობა კორიდეთის სახარებაშია მონაწერის სახით დაცული.

ამ მინაწერში ნათქვამია: „ქ: სახელითა ღ'საიითა დაეწერე ესე დაწერილი მე მურეან თქუენ ს'დ (სრულიად) კორიდელთა: თიხჩეთი დედისა ღ'სსაღა შეეწირა მურეანს და აეათასა და თქუენ ნაპარეეად ეითამე [გ]ონებო[დათ] და ვითა გა[რ]დასაკ[ლ]ველი [არ იყო, ამისთ'ს (თუის) არია გარდაკდეენე, ფორცელი ამოკოეთიღი იყო და არ... რ...[გარდაგაკდე]ვინე. ავიღე თქუენგან სამსახური ორმოცდა[ათი ბოტინაგი] და ფორცლისა ამოკოეთაიცა გაგიმოი და თიხჩეთი მოგეც მამულობ[ით დ] მამოლი თქუენი ეგრევე მე (მიგანებე?) მამოლ[ობით თქუენ]სა ერთგულებასა შიგან. ვინცა შე[სცეალოს შერისხულ]ია პირითა ღ'თასაითა. – შემოგაგდე ჯლ (პირველ სამოცი, მაგრა ათი გაგიმოი და ორმოცდა ათისა ბოტინატისაო ავიღე ჩემთ'ს (თუის), ჩემის ცოლისა თუის და საკელისუფლოდ ყოველად ფერად. თიხჩეთის ექოსისა კაბინწისა ნიგოზისაი შეეწირა და განღა პაგრევე იყო“-ო.

ზემომოყვანილი მინაწერის მიხედეით ირკვევა, რომ თიხჩეთი მურეანის ერთ-ერთ წინაპარს, მურეანსაეე და ალბათ მის მეუღლეს აგატეს, კორიდეთის ღეთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს. ამ შეწირულობის წიგნი ამაეე ეკლესიის სახარების ხელთნაწერში ჩაუწერიათ, უეჭველია, ამ საბუთის დაუკარგველობისა და უკეთესად დაცვისათვის. მაგრამ ეს საბუთი ეერც ამ განსაკუთრებულ სამუალებას დაეცაეს და სამაგიეროდ სახარების ხელთნაწერითგან ა შეწირულების წიგნის შემცველი თეით ფურცელი ამოუკვეთიათ.

ვის ჩაუდენია ეს დანაშაულება, ნათქვამი არ არის, მაგრამ, რაკი ამ საბუთის დაკარგეის შემდგომ თიხჩეთი სრულიად კორიდელთ დაუჩემებიათ, ცხადი ხდება, რომ ამაში კორიდელნი უნდა რეულიყუნენ. თეით მურეანიც ამ დანამაულობის პასუხისმგებლად კორიდელთ ასახელებს.

რაკი ბრალი სრულიად კორიდელთ, ე.ი. მთელ სოფელს ხდებია, საფიქრებელი ხდება, რომ საბუთის მამომკეთებელი დამნაშაეე ფიზიკური პირი აღმოჩენილი არ ყოფილა, მაგრამ ამის ჩაღენის მნეობრივ მოთაეე, როგორც ეტყობა, მურეანს თეით კორიდელნი მიაჩნდა, რომელთაც სწორედ ამ საბუთის მოსპობით უსარგებლიათ და თიხჩეთი დაუჩემებიათ.

ეს შემთხვევა იმითაც არის საყურადღებო, რომ აქ მთელი სუფლის კოლექტიური დანამაულობის მაგალითთანა გეაქეს საქმე, რომელიც ალბათ აგრარულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული.

თიხჩეთის ამ სამუალებით კორიდელთაგან დაჩემებასა და დასაკუთრებას „ნაპარეეად ქონება“ ეწოდება. იმიტომ, უეჭველია, რომ მათ ამ მამულის მითვისება შეწირულების წიგნის, საბუთის ამოკეეთა-მოპარეის სამუალებით მოუხერხებიათ. ამგეარად მურეანი ამ საქციელს პარეის მსგაეს დანამაულებად სთელიდე.

მურეანს ორჯერ აქეს აღნიშნული, რომ „ფორცლისა ამოკოთაი“ სასჯელის, გარდასახდეეინებლის ღირსი დანამაულობა იყო, მაგრამ ამასთანაეე ორჯერეე ხაზგასმით ნათქეამი აქეს, რომ ამისდა მიუხედაეად მან კორიდელთა ამ დანამაულებისათეის არაფერი არ გადაახდეეინა. უკანასკნელად მურეანს ისიც-კი აღუნიშნაეს, რომ ამ „ფორცლისა ამოკოთაიცა გაგიმოი და თიხჩეთი მოგეც მამულობით“-ო.

ამ გეარად კორიდელთა წაღილი არსებითად დამკმაყოფილებული ყოფილა, იმ განსხვაეებით მხოლოდ, რომ თიხჩეთი მანმაღე მათ ეკლესიისაგან სრულ საკუთრებად ჰქონიათ მითვისებული, მურეანთან ახალი შეთანხმებით-კი, კორიდელთ თიხჩეთი მემკეიდრეობით ხელში რჩებოდათ

სამუდამო, „მამულობით“ ქონებად. სამაგიეროდ 50 ბოგინაგის გადახდა დაუკისრებია თავისთვის და „საკელისუფლოდ ყოელად ფერად“.

კორიდეთის ეკლესიას, მამასადამე, ეს შეწირული მამული თიხჩეთი, ვითარცა საკუთრება, მაინც დაუკარგავს.

„ნაპარევად“ მამულის მიმთვისებლებთან და საბუთის საბუთის ამოკვეთის დანამაულების მოთავეებთან ასეთი შეთანხმება და მათდამი ასეთი ლმობიერი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ აქ განსაკუთრებულ შემთხვევასთან უნდა მურვანს საქმე. თიხჩეთი შეწირვის დროს პარგახტი ყოფილა, მაგრამ შემდეგში, ალბათ ხალხის გამრაელების დროს, ეს მამულის სოფლისათვის აუცილებლად საჭირო გამხდარა. რაკი კანონიერი გზით ეს ვერ მოხერხებულა, საბუთის ამოჭრისა და მოსპობის საშუალებით უცდიათ ამ მამულის ხელში ჩაგდება. როგორც ეტყობა, მურვანი იძულებული ყოფილაკორიდელებისათვის ანგარიში გაეწია და გარდაწყვიტა, რომ გადასახადის დაკისრების შემდგომ ეს მიწები ისევ კორიდელთათვის დაეტოვებინა.

ამ ცნობაში ერთის მხრით საინტერესოა საბუთის ამოკვეთისა და მოპარვა-მოსპობის თვით ფაქტი, მეორის მხრით, რომ ეს გადასახდევინებელ დანამაულებად ითვლებოდა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ აღნიმნული არ არის, თუ ასეთი დანამაულების ჩამდენს ვისგან რა გზით, და რა უნდა ჰქონოდა სასჯელად მისჯილი.

§ 3. სასჯელი პარვისათვის

მპარავს, იმას გარდა რომ „ნაპარევი“ ჩამოერთმეოდა და პატრონს უნდა დაპბრუნებოდა, პარვისათვის სასჯელად ნაპარევის შვიდეული ღირებულება უნდა გადაპხდენოდა. ეს გრიგოლ ქართლისა ერისთავის XIII ს. ანდერძის შემდეგი ადგილითა მტკიცდება. გრიგოლს ამ საბუთში ნათქვამი აქვს: „თუ ნაპარევი შეპკუდეს მღუიმისა კაცსა, მღუიმის კელისუფალმა თავენი კელთ მისცეს და შუიდეული წსა მოისდა შემიწირაეს სმნი (სამნეო?) ჩემი კერძია საერისთაოჲ“-ო.

ამ სიტყვებითგან ირკვევა, რომ სოფლად სასამართლოს წარმოების მეთვალყურეობა ერისთავსა პბარებია და ამისთვის ერისთავს დამნაშავეთათვის კანონით მისჯილი ჯარიმის ნაწილი ჰქონია მიკუთვნებული. ნაპარევის ჯარიმის ასეთ ნაწილს პრქმეეია „კერძი საერისთაოჲ“.

სამართალი ავალებდა მსაჯულს თეით ნაპარევი გაქურდულისათვის დაებრუნებინა ნივთადეე, ან, თუ თვით მოპარული ნივთი უკეე აღარ იყო, მისი ღირებულება. როგორც ეტყობა, ნაპარევის ღირებულების ოდენობას „თაენი“ პრქმეეია. პატრონისათვის ამ თავნის მიეცემის გარდა, მსაჯულს ქურდისათვის ნაპარევის შვიდკეცი ღირებულება უნდა გადაეხდეინებია და ამას თავნის „შუიდეოლი“ ჰქონია სახელად.

ნ. ურბნელი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის §ჲ8-ის დამოწმებით, რომელშიაც ნაპარევის ორკეცად გადახდაა დაწესებული, ფიქრობდა, რომ „ეახგანგ სჯულ-მდებელმა მოსპო ნაპარევის ორკეცად დარევება, რაიცა რომაელების დულჟემ-ს შეადგენდა, და გააჩინა, ქურდობისა „საბღაური შვიდეული არისო“ (მუხ. რნდ). მაგრამ ახლად გაჩენილი „შვიდეული საბღაური“ ქართული არასოდეს არ ყოფილა, იგი მოსეს სჯულის წესს შეადგენდა და ჩვენმა დიდებულმა მეფემ ებრაელთა სჯულის-მდებელს მიპბაძა“-ო.

გრიგოლ ქართლისა ერისთავის ანდერძის ზემომოყვანილი ამონაწერი ცხადპყოფს, რომ „საბღაური შვიდეული“ ეახგანგ VI-ზე მრავალი საუკუნით უწინარეს უნდა ყოფილიყო საქართველოში შემოღებული და, თუ ამაზე უწინარეს არა, XIII ს. შუა წლებში მაინცდამაინც ქართულ სამართალს შვიდეული საბღაური უკვე სცოდნია.

თაეისდა-თავად ცხადია, რომ „საბღაური შვიდეული“ მარტო სფლად ჩადენილი პარვისათვის-კი არა, არამედ საზოგადოდ იქმნებოდა დაწესებული. ამას გარდა შეიძლეცი საბღაური, რასაკვირველია, მხოლოდ პირეენი ასეთი დანამაულობისათვის იყო განკუთვნილი, მეორეგზისი და წარმდენი იმგვარადეე, როგორც საპაგიო ადგილსა ჩადენილი ქურდობისათვის, სხეა უფრო მკაცრი, სასჯელი არსებობდა.

საეკლესიო სამართალი აწესებდა, რომ „მპარავმან, უკეთუ თავით თჳსით აღიაროს, ერთსა წელსა უნიარებელ იყოს, – უკეთუ კუღა შესწამონ სხუათა და ამხილონ, ორ წელ განიკანონოს დავრღმით და თანადგომით და მერმე ეზიაროს“-ო.

რა სასჯელი იყო დაწესებული წარმდებობით პარვისა და ძარცეა-რბევისათვის? იმ სასჯელთა სიითგან, რომელიც ქართულ სამართალში მიღებული იყო, „მბნელობლობა“ და „ასოთმიღება“ სხვებზე უფრო უდგება ამ დანაშაულს. ბიზანტიაშიაც პარვისათვის ხელის მოკვეთა იყო დაწესებული. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლომი დართული კანონიც ბრძანებს: „რომელმანც კაცმან რა-გინდა-რა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თვალნი დაეწვნენ და ანუ ხელ-ფეხი დაეჭრას, თუ საპაგიოსა ადგილს მოეპაროს“-ო. ამაეე წიგნის სხეა მუხლი გეიხსნის, რა აღგილი იწოდებოდა „საპაგიო ადგილ“-დ: „ესეც იცოდით“-ო, ამბობს კანონმდებელი, რომ

„უმეფოსა და უღიდებულესის კაცისაგან [კიდე], თვალთა დაწვას არა-ვინა ღირსა, ისიცა ასრე, რომე ან დიდი სალარო, ან ჯოგი [მოიპაროს], ან ღალატი იქნას“-ო.

ამგვარად ზემო-მოყვანილ მუხლში აღნიშნულია, რომ საპატიო ადგილს პარვისათვის ორთავე თვალის დაწვა ყოფილა სასჯელად, ხოლო ბოროგმოქმედს, თუ ქურდობა საპატიო ადგილს არ ჩაუდენია, მაშინ სასჯელად ეკუთვნოდა ხელ-ფეხის მოკვეთა. მეორე მუხლში ახსნილია, რომ საპატიო ადგილად სალარო, ეკლესია და ჯოგი ითვლებოდა, და ამისთანა ადგილას ქურდობა უფრო მძიმე დანაშაულობად იყო მიჩნეული.

ყურადღების ღირსია, რომ ამ დანართ კანონებში სასჯელის აღსრულებისათვის მარტო მეფის-კი არა, არამედ უღიდებულესის „მეკითხეა“-ც საკმარისი ყოფილა, თამარის მეუობამდე-კი (რა დროითგან მოყოლებული, ჯერ არ ვიცით) მხოლოდ მეფის „მეცნიერება“ და ნებართვა იყო საჭირო და იმას გარდა სხვას არავის შეეძლო დამასახიჩრებელი და სიცოცხლის მომსპობი სასჯელის დამტკიცება. თამარ მეფემ, როგორც ქვემოთ გამორკვეული იქმნება, თვალთ-დაბნელებისა და „ასოთამიღების“ სასჯელიც ამოკვეთა

ლექცია IX

სასჯელთა სისტემა და სასამართლო მტკიცებულებები

ივანე ჯავახიშვილი

სასჯელის სისტემა და დასჯის სამუალებანი

§ 1. სასჯელის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები და კლასიფიკაცია

ის, რაც დამნაშავეს ჩაღენილი ბოროტმოქმედებისა, თუ გარდამავლობით მოქმედებისათვის მოსამართლის განაჩენით უნდა გადახდენოდა, „სასჯელი“-ს სახელით იყო ცნობილი. მაგრამ ამ სიტყვის გარდა სხვა ტერმინებიც არსებობდა: „სისხლი“ და „მისაგებელი“. გრიგოლ ქართლისა ერისთავს თავის ანდერძში ნათქვამი აქვს: „თუ სისხლი შეჰკ[უ]დეს მღუმისა კაცსა ჩვენისა კაცისაჲ, მღუმის კელისუფალმან სისხლის პატრონსა სისხლი გარდასცეს მონასტრისა წესითა, – ვითა სხვებრ მონასტრისა წესია და სხვებრ ჩუენ“-იო.

საკმარისია აღამიანი ჩაუეირღეს ზემომოყეანილ გამონათქეამებსა და ტერმინებს, – „სისხლი შეჰკუდეს კაცსა კაცისაჲ“, „სისხლისა პატრონი“, „სისხლი გარდასცეს წესითა“-ო, – რომ ცხადი შეიქმნეს, თუ რაზე უნდა იყოს აქ საუბარი. რასაეირველია, აქ „სისხლი“ პირვანდელი, ფიზიკური, მნიშვნელობით არ არის ნახმარი და გრიგოლ ქართლისა ერისთავი თავის ანდერძში შურისა, ანუ სისხლის ძიებაზე არ ლაპარაკობდა. ამას თუნდაც ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ გრიგოლს ნათქვამი აქვს, მღუმის კელისუფალმან სისხლის პატრონს სისხლი გარდასცეს მონასტრისა წესითა“-ო.

ზმნა „გარდაცემა“ ცხად-ჰყოფს, რომ აქ „სისხლი“ იმ ქონებრივი საზღაურის აღმნიშნელი ტერმინია, რომელიც დაზარალებულს, მაგ. დაჭრილს, ან მოკლულის ნათესავებს, დამნაშავისგან ჩაღენილი დანაშაულებისათვის კანონითა, თუ წეს-ჩეეულებით უნდა მიეღოთ.

XIV-XV ს.ს-ის ძეგლებში ამ ტერმინის მნიშვნელობის გასაგებად სრულებით გარკეეული დებულება მოიპოეება და იქითგან ჩანს, რომ „სისხლი“ ნამდეილად „სისხლთა ფასს“ ნიშნავდა დ აიმ ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა, რომელსაც დამნაშავეს თავისი დანაშაულებისათვის კანონით განსაზღერული სასჯელის გარდა დაზარალებულის, ან მისი მემკვიდრეებისათვის უნდა გადაეხადნა.

„სისხლი“ მხოლოდ მკებლელობისა და დაჭრილობისათვის დაწესებული საზღაურის აღმნიშნელი იყო, პარეისათვის „საზღაო“ ეწოდებოდა. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ თავდაპირეელად „სისხლი“ მართლაც სისხლსა ნიშნავდა და ეს ტერმინი იმ ხანის ნამთი უნდა იყოს, როდესაც მხოლოდ სისხლის ძიება სუფეედ. შემდეგში თანდათან ის უკვე ქონებრივ საზღაურად იქცა.

ქართული სამართლის ისტორიას ამ ორი საფეხურის შესახებ ისტორიულ ხანაში არაეითარი ცნობები არა აქეს: სისხლისა და შურისძიება ქართულ სისხლის სამართალს ბოროტმოქმედებად ჰქონდა მიჩნეული და მას სასტიკადაც სჯიდა. ქონებრიეის საზღაურის სახითაც „სისხლი“ მკელელობისა, თუ დაჭრილობისათვის სასჯელს-კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ქონებრიეად ანაზღაურებას. თეით დანაშაულებისათვის დამნაშავეს კანონით თავისი სასჯელი ჰქონდა დანიშნული, რომელიც უნდა აუცილებლივ მოეხადნა.

„სასჯელისა“ და „სისხლის“ გარდა ამაეე ცნების გამოსახატავად „მისაგებელი“-ც იხმარებოდა. „მოქცეულ ქართლისაჲ“-ს მატიანეში მაგ. ნათქვამია: „მიაყო მისაგებელი“-ო. ეს სიტყვა ამ ცნების გამოსახატავად მიღებულ ტერმინთა შორის, უეჭველია, სხვებზე უფრო ძეელი უნდა იყოს, მაგრამ XIII-XIV სს-მიც კელავ იხმარებოდა. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ ღემნას განდგომილების მეთაურებსა და მონაწილეთ გიორგი III-მ „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაყო მისაგებელი“-ო. ეამთააღწერელსაც ნახმარი აქვს ეს ტერმინი. მისი ცნობით, როდესაც რაჭის ერისთაეის კახაბერის ღალატი გამომეღავნდა, „ამისთუს მიეგო მისაგებელი ბოროტი“ და „პირეელ თეალნი დასწუნა და მერმე ერთი კელი და ერთი ფეკი მოკუეთა“-ო.

როგორც ამ სიტყვის აგებულებითგან ჩანს, „მისაგებელი“ ის უნდა ყოფილიყო, რასაც დამნაშავეს ჩაღენილი ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროდ მიუგებდენ. ამგეარად „მისაგებელ“-ად თავდაპირეელად ისეთი სასჯელთა სისტემა უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომელიც ბოროტმოქმედისათვის სასჯელად სწორედ იმაეე თვისების სასჯელის დანიშენას ავალებდა, რაც მან მიმძლავრებულს მიაყენა. ებრაელთა სამართალში ეს დებულება, როგორც ცნობილია, გამოთქმულია კონკრეტულად: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“, ე.ი. თვალის დამაეებისათვის დამნაშავეს თვალის დამაებაეე უნდა ჰქონოდა მისჯილი მისაგებელად. თანამედროვე სამართლის მეცნიერებამი ამ სისტემას „შურისძიების სამართალი“, ანუ ლათინურად ჯუს ტალიონის ეწოდება.

მაგრამ „მისაგებელს“ ასეთი მნიშვნელობა თავდაპირველად უნდა ჰქონოდა. იმ ხანამი-კი, რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევა-ძიების საგანს შეადგენს, „მისაგები“ მხოლოდ სასჯელის ზოგადი ცნების აღმნიშნელი ტერმინი იყო, იმ სასჯელის, რომლისაც ის ღირსი იყო. ვინც იყო „ღირს გუემისაჲ“, ცემა უნდა ჰქონოდა მისჯილი, ვინც აღმოჩნდებოდა „ღირსი სიკუდილისა“, ან „პატიისაჲ“, ეს სასჯელები დანიშნული ჰქონდა განაჩენით. „მისაგებელი“ ამ ხანამი უკვე „შემსგავსებულად საქმეთა“ და „შემსგავსებულად უშჯულოებათა კანონით, და არა შურისძიების პრინციპზე დამყარებული მოძღვრების მიხედვით, დანიშნულ ყოველგვარ სასჯელს ჰგულისხმობდა.

ძველ ქართულ მართლმსაჯულებას სასჯელთა მთელი სისტემა ჰქონდა, რომელიც გარკვეულ პრინციპებზე იყო დამყარებული. სასჯელთა ერთი ჯგუფი ქონებრივი თვისებისა იყო, მეორე ჯგუფი დამნაშავის თავისუფლების აღკვეთისათვის იყო განკუთვნილი, მესამე – გვემითი იყო, რომლის დანიშნულებას ფიზიკური და მნეობრივი სასჯელის მიყენება შეადგენდა, მეოთხეს – ასოთა მიღება, ანუ განპატიჟება ეკუთვნოდა და მეხუთესა და უმაღლეს სასჯელთა ჯგუფს დამნაშავის სიცოცხლის მოსპობა ჰქონდა გათვალისწინებული.

სასჯელთა მიზნების მიხედვითაც, სასჯელთა სისტემა, როგორც თაეის აღგილას დაერწმუნდებით, რამდენიმე ჯგუფად იყოფებოდა.

§ 2. ქონებრივი სასჯელები

სისხლის სამართალი საქართველოში ქონებრივ სასჯელს, როგორც ეტყობა, მხოლოდ სუბუქი დანაშაულებისათვის სდებდა, ამასთანავე ჩვეულებრივ სხვა სასჯელთან ერთად.

გარკვეულ დანმაულებათათვის კანონი დამნაშავეს დამარალებულისა და მისი ნათესავების, აგრეთვე სასამართლოს სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გაღახდას აკისრებდა.

ასეთი წესი საქართველოში XIV-XVIII სს-მი არსებობდა და საკანონმდებლო ძეგლებში ეს აღბეჭდილია კიდეც. ნაწილობრივ მაინც ასეთი წესი წინათაც არსებულა. რაკი IX-XII სს-ის საკანონმდებლო ძეგლები დაცული არ არის, ამიგომ ასეთი წყაროებით ამ ამრის დამტკიცების საშუალება არ არსებობს. მაგრამ ორიოდე ამის დამადასტურებელი ცნობა საბუთებშია მერჩენილი. ამას „საზღვაო“ პრქმეეია იმ გეარადეე, როგორც ასეთი ქონებრივი ასანაზღაურებელის დაზარალებულის მიერ ჩაბარებას „საზღვად აღება“ სწოდებია.

ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ნათქვამია: „ელეხსა ჩუენსა ცხენი მოპპარეს მუნეე წნაკუას და საზღაად ავიღეთ მიწაჲ ნაკუეთი ბ2) და მოწამე არიან კაცნი“, – „ქეელაჲს ძისა შეილთაგან ავიღეთ საზღვად მიწაჲ მხროს მეღა რუსის-ძესა თანა და მოწამე არიან კაცნი“, – „მღილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მის დასაზღეევად ავიღეთ ეელი ჭრულისა, რაჲცა იყო მისი კერძი, მოწამე არიან კაცნი“-ო.

აქეთგან ჩანს, რომ საზღაო დაკოდეისა, ანუ დაჭრილობისა და პარეისათეის ყოფილა მიღებული. უეჭველია, აქ სუბუქი დაჭრილობა და პირეელი და მარგიეი პარეა უნდა იგულისხმებოდეს. პარეისათეის აღებული საზღაური უნდა ის „საზღაური შეიდეული“ იყოს, რომელიც კანონით მარგიეი პარეისათეის სასჯელად დაწესებული იყო. მაგრამ აღამიანის დაჭრილობისათეის დანიშნული საზღაური უკეე სხეა თვისებისა იყო.

§ 3. გვემითი სასჯელები

ძველ ქართულში ცემის აღსანიშნავად „გუემა“ იხმარებოდა, მემდეგში „კრეა“ შემოდის, რომელიც დაკერის სახით ეხლაც არსებობს, და „მიმთხუეეა“-ც.

გარკვეული სუბუქი დანაშაულებისათვის სასჯელად ცემა იყო მიღებული. ცემის იარაღად, ან ჯოხს, ან თასმას, ან მათრახსა ეხმარობდენ ხოლმე. ეითარცა უმარტიეესი საშუალება, ამაეე დროს ერთი უძეელესთაგანიც იყო. ეს სასჯელი, როგორც საერო მართლმსაჯულებაში, ისეეე სამონასტრო და საკორპორაციოშიც იყო მიღებული. მაგ. იაკობ ხუცესის სიტყვით, მუშანიკს „სეესკუერთხითა სამას ოღენ“. თუ აქ ტექსტი მერმინდელ გადამწერთაგან დამახინჯებული არ არის და სამოცი ამის წყალობით სამასად არ იქცა, რიცხეი, უეჭველია, ძალზე გაზეიადებულია.

ცემით დასჯა ისეთ ბუნებრიე მისაგებელად იყო მიჩნეული, რომ მონასტრებშიაც კი ძალიან გაერცელებული ყოფილა.

გ. მთაწმინდელის სიტყვით მაგ. ეფთჳმე მთაწმიდელი მონასტერში ატეხილი შფოთის მოთავეესა და მომწყობს, თუ მეშეელს „სამამოსა მიიყვანნის“ რა „უბრძანის განრთხმაჲ და ძმამან მან“, რომელიც უნდა დასჯილიყო, „თაყუანისსცის და განართხის თაეი თჳის და ერთი ძმაჲ თაესა უმჭირაეენ და ერთი ფერკთა და ერთთა ჩოკასა ზედა მიამთქეან ღუედითა რომელსამე ლ (30) და რომელსამე მ (40) და რომელსამე სამოცი“. სასჯელის ასრულების შემდგომ მათ ცემულთა,

შემდგომად ცემისა მუქთმოდრეკით თაყუანისსციან და ცრემლითა შენდობაჲ ითხოვიან მამისაგან"-ო.

რაკი „ღუედი" თასმასა ჰნიშნავს, ამიტომ „ღუედითა მიმთხუევაჲ" თასმით ცემას ჰნიშნავდა. უმცირესი ასეთი სასჯელი 30 დარტყმაზე ნაკლები არ ყოფილა, უდიდესი 60-ს არ აღემატებოდა. ესეც რომ საკმაოდ მძიმე სასჯელი ყოფილა, იქითგანაც ჩანს, რომ ასეთი სასჯელის მოხდის შემდეგომ ცემული" ლოგინად იყო ხოლმე ჩავარდნილი და „რომელმანმე ორი მსგებსი", ანუ შეიდეული „დაყვის ქუე-მწოლარემან და რომელმანმე სამი"-ო. ცხადია, რომ 14, ან 21 დღის განმაელობაში წოლის უფლებას არავინ მისცემდა, თუ რომ ცემისაგან მას ისე დაწყლულებული არ ექმნებოდა ტანი, რომ წოლა აუცილებელი არ ყოფილიყო.

ამის შემდგომ გასაკვირველიც არაფერია, რომ სისხლის სამართლის სასჯელთა შორის „ტაჯგანაგის კერა" ჰქონოდა. მართალია, თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს ქებით ნათქვამი აქვს, რომ თამარმა „არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ეის სადმე კრვად, კიდემქონებელი ყოელისაეე მესისხლეობისა"-ო. ლამა-გიორგის მესახებაც მის დროინდელ მემატიანეს აღნიშნული აქვს, რომ ეს ჭაბუკი მეფეც „მონისაცა ერთისა მათრაკისა არა მკერელ იყო"-ო, მაგრამ ისტორიკოსებს წინა მეფეთა და მეფობათა შესახებ ხომ ამის თქმა არ შეეძლოთ.

„ტაჯგანაგი" რომანოს ახლის წამებაშიაც არის ტერმინად ნახმარი: „ეეც მას ტაჯგანაგი"-ო. ს. ორბელიანს ეს სიტყვა ლექსიკონში შეტანილი და განმარტებული აქვს: „ტაჯგანალა (ხელთნაწერებში: ტაჯგანაგი) მათრაკი (2 დიოლოღ)"-ო. ეს განმარტება რომ დაახლოებით მაინც სწორე უნდა იყოს, იქითგანა ჩანს, რომ ბემომოყვანილ ორი წყაროს მსგავსი შინაარსის ცნობაში თამარ მეფისა და ლამა-გიორგის შესახებ პირველი წყაროს „ტაჯგანაგ"-ს მეორე წყაროს „მათრაკი" ულრის. მხოლოდ „ტაჯგანაგი", უეჭველია, ჩეეულებრივი მათრახი-კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ განსაკუთრებით ცემით დასჯისათეის მემბადებული.

§ 4. თავისუფლების აღმკვეთი სასჯელები

ერთ-ერთ სასჯელთაგან ბრალდებულისა და დამნაშაეის შეპყრობა და საპყრობილეში ჩაგდება იყო მიღებული. აღსანიშნავია, რომ ეს საშუალება წინასწარადაც და განსჯისა და განაჩენის დადების შემდგომაც გარკეულ დანაშაულობათათეის სასჯელად იყო ხოლმე გამოყენებული.

თავისუფლების აღსაკვეთად დამნაშაეეს, ან ციხეში სეამდენ, ან საპყრობილეში. ამისდა მიხედეით .ამას, ან „ციხესა მიგან პატიმარ ყოფა", ან „ციხესა და. საპყრობილესა შეყენება" ეწოდებოდა. დასჯილის ასეთ მდგომარეობას-კი „პატიმრობა" ერქვა, ხოლო თეით დასჯილს „პყრობილი" და „პატიმარი" ეწოდებოდა.

საბა ორბელიანის განმარტებით საპყრობილე ზოგადი ტერმინია და მისი სიტყეით „საპყრობილე[ნი] განაყოფებიან სამად: დილეგად, საკანად და საპატიმროდ. დილეგი არს სახლი საპყრობილე შებორკილებულთანი, საკანი არს საპყრობილისა ფსკერთა ქუემე ბნელი საპყრობილე და საპატიმრო საპყრობილე სახლი ცნილი, უჯაჭვო"-ო.

ეს საყურადღებო განმარტება, როგორც ეტყობა, თეით ლექსიკოგრაფის ხანისა და წარსულისათეის უნდა იყოს სწორი. საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში-კი ყეელგან ტერმინად „საპყრობილე" არის ნახმარი და „სიმაგრე", რომელიც ციხეს ულრის.

„საღილეგო" იოანე საბანისძის ნაშრომში იხსენიება ტფილისში. ამ სიტყვის აგებულება ცხად-პყოფს, რომ სწორედ იმ დაწესებულების მნიშვნელობა უნდა პქონოდა, რომელიც დილეგისათეის განკუთენილი იქმნებოდა. აიგომ „დილეგი" საპყრობილეს აღმნიშენელი-კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ს. ორბელიანის ბემომოყვანილ განმარტებაშია ნათქვამი, არამედ პყრობილის, ანუ პატიმარისა.

„საკანი" ვაფუხისტყაოსანია ერთგან ნახმარი, საღაც ნათქვამია: „ავთანდილ სარკმლით უჭერეტდა, ტყეე საკნით ნაამატეე"-ო. გეხედება ეს სიტყვა „როსტომიანის" თარგმანშიც: „მე საოშრად მოვეგებეი, თქვენმა როსტომ ვერც იძრახოს და საკან-მიგან ჯდომისათეის, თუ სურიან, მანცა ნახოს"-ო.

„საკანი" ალბათ არაბული უნდა იყოს, რომელიც ბინას და საღგომს ჰნიშნავს. „დილეგი"-ს ეტიმოლოგია-კი ჯერ გამოსარკეეეია.

რაკი „საღილეგო" VIII ს. ძეგლში, ხოლო „დილეგი" და „საკანი" ვისრამიანშიც არის ნახმარი, ამიტომ უნდა დაეასკენათ, რომ ეს ტერმინები არაბთა ბაგონობის ხანაში უნდა იყუნენ ქართულში შემოხიზნულნი.

V-XII ს.ს-ის ქართულ საისტორიო ძეგლებში მხოლოდ „ციხე" და „საპყრობილე" იხმარება. ამასთანავე, როგორც ქვემომოყვანილნი მაგალითებითგან ცხადი შეიქმნება, ბნელი საპყრობილი აღსანიშნავადაც მაშინ „საკანი"-კი არ არის ტერმინად ნახმარი, არამედ მხოლოდ ეს სიტყვაეეა. ამგვარადეე შებორკილი პატიმარნი სწორედ საპყრობილეში იხსენიებიან დამწყედულებად და არსად ასეთ შემთხვეევებში „საღილეგო", ან „დილეგი" ტერმინად გამოყენებული არ არის.

§ 5. საპყრობილეთა ორგანიზაცია

„საპყრობილე, რამდენადაც საისტორიო წყაროებითგან ჩანს, ციხეებში ყოფილა მოთავსებული. ეს იაკობ ხუცესის შემდეგი ცნობებითგან ჩანს. ამ ავტორის სიტყვით საპყრობილეში ჩასაგდებად მიყვანილი შუშანიკისთვის, „ვითარცა შეიღეს ციხედ, პოეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო მცირჱდა ბნელი და მუნ შეაყენეს“-ო.

მეორე-ჯერ დასჯის დროს ვარსქენმა „უბრძანა დადებად ჯაჭუქედსა მისსა და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა რაჲთა წარიყვანონ ჴშიდაჲ შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს“-ო.

ამგვარად საპყრობილე ციხეში ყოფილა, მაგრამ ამ მიზნით იქ მყოფი ცალკე სახლი ყოფილა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივი ნათელი საპყრობილეს გარდა ჰქონიათ აგრეთვე „საპყრობილჲ ბნელი, რომელიც მძიმე დამნაშავეთათვის და ღიდი ტანჯვის მისაყენებლად ყოფილა განკუთვნილი.

შეპყრობილნი სხვადასხვა ციხეებშიც იყვნენ ხოლმე დაპატიმრებულნი, რგორც მაგ. სუმბატ და გურგენ „კლარჯნი კელმწიფენი“, „ძენი არტანუჯელისანი“ ბაგრატ III-ემ „პატიმარ ყუნა ციხესა მიგა თმოგეისასა“, ხოლო მარანის ციხის მფლობელი ხახუა ძე ივანესი გიორგი აფხაზთა მეფემ „შეპყრობილი... წარსცა პყრობილად ჯიქეთს“.

მაგრამ, უეჭველია, ასეთ შემთხვევითსა და განცალკეებულ ციხე-საპყრობილეებს გარდა, უნდა მუდმივი, ბევრი პატიმრისათვის განკუთვნილი საპატიმროც ყოფილიყო. დაჲით აღმამენებლის ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, სად ჰყავდა მას ორი წლის განმავლობაში ლიპარიტ ამირა დაპატიმრებული. ამ დროს ჯერ საქართველოს დედაქალაქი ტფილისი ამირას ეჭირა და უეჭველია სხვაგან სადმე ეყოლებოდა დამწყედეული. მაგრამ იოანე საბანისძეს სიტყვებითგან ჩანს, რომ უკვე VIII ს-ში დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მეტეხის ციხეა, „სადილეგო“ მდგარა: სახელდობრ „აღმოსაელით ციხესა ქალაქისასა, რომელსა პრქუან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა... მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განპელის აღმოსაელით ქალაქსა... სახელით მტკუარი“.

შემდეგში, როდესაც ტფილისი კელავ საქართველოს შემოუერთდა, იყო თუ არა იმავე ადგილას სადილეგო, არა ჩანს. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს, თუ მოხსენებული აქვს ის საყოდებლის სანახები, რომლის არემიე VIII ს. დაშლევს „სადილეგო“ ყოფილა, „სადილეგო“ იქ აღნიშნული არა აქვს. მაგრამ იოანე საბანისძის თხზულებით ცხადი ხდება, რომ VIII ს-შიაც-კი ტფილისში რამდენიმე საპყრობილე ყოფილა.

სალმრთო წერილის ქართულ თარგმანში საპყრობილეთა მკვიდრთა და გამგეობის პირადი შემადგენლობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც მოგვეპოვება. იქ დამწყედეულთ „პყრობილნი“ პრქმევიან, ყოფილან „პყრობილთ-მცველნი“, — „პყრობილმთავარი“ და „მთავარი პყრობილთმცველთაჲ“.

თეით საქართველომიაც, რა თქმა უნდა, ციხესა და საპყრობილეს თავისი „მცველები“ ჰყავდა. იაკობ ხუცეს აღნიშნული აქვს, რომ შუშანიკის ციხეში და საპყრობილეში ჩაგდებისთანავე, ვარსქენმა „დაადგინნა მცველნი მას ზედა და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი“. ამ მცველებს პირადი პასუხისმგებლობით დაჲალებული ჰქონდათ, რომ პყრობილთან არაეინ გარეშე არ შეეშვათ. ქართლისა პიტიახშს შუშანიკისათვის საპყრობილეში მიყენებული მცველები გაუფრთხილებია: „უკეთუ ეინმე შეეიღეს მისა, - მამაკაცი, გინა დედაკაცი, — იხილენით თქენ თქუენნი და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი, — უბრალმცა ეარ, რაჲ გიყო თქენ?“-ო.

დაპატიმრებულთა ნახვა, სასტიკი განკარგულებისდა მიუხედაეად, მოგჯერ მაინც მაშინაც ფარულად და მოდარაჯეთა ზნეობრივი იმულებით, თუ მოსყიდვით შეიძლებოდა. იაკობ ხუცესს მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც დარაჯი შინ დაპატიმრებულ შუშანიკთან მას არ უშებედა, რათგან სასჯელისა ეშინოდა: „ნუ უკუე ცნას (ეს ამბავი) და მომკლას მე“ ეარსქენ პიტიახშმაო, ამის საპასუხოდ მე ვუთხარიო: „უბადრუკო, არა მისი (ე.ი. შუშანიკისა) გაბრდილი ხარა, და, თუმცა მოგკლას შენ მისთჳს, რაჲ არს?!“ მაშინ შემიტევა მე ფარულად“-ო.

არამცთუ შინ დამწყედეულისათვის მიყენებული მცველის, არამედ თეით საპყრობილის მცველთა მოსყიდვა და მცირი განკარგულების დარღვევა შესაძლებელი ყოფილა. იაკობ ხუცესს მოთხრობილი აქვს მაგ.: შუშანიკის ციხე-საპყრობილეში დამწყედევის შემდგომ „მე მრაელითა ეედრებითა ეარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭერი ერთი სამისოჲ“ და ამის შემდგომ „ძნიად თავს იდეა მეტევებაჲ ჩემი და მრქუა მე: „რაჟამს დაღამდეს, მოეედ შენ მხოლო მარგოჲ“. იაკობი მართლაც სწორედ ასე მოქცეულა. მებინდებისას მოსული „შემიყვანა მცველმან მან“ საპყრობილეში მყოფ შუშანიკთანაო. შუშანიკის საბრალო მდგომარეობას რომ იაკობ ხუცესი აუტირებია, მცველს, უეჭველია, შემეების გახმაურების შიშით ხუცესისათვის უსაყვედურნია: „მცველმან მრქუა მე: „ესეცა თუმცა მეცნა, არამცა შეგიტევე შენ“-ო.

§ 6. პყრობილთა მდგომარეობა საპყრობილეში

მინ დაპატიმრებულ მუშანიკს, განკარგულებისდა მიუხედავად, საჭმელიც მისდიოდა ფარულად: „ჭამადი მოეძღუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რაჲმეთუ ფარულად იღუწიდეს“-ო.

მკაცრ მოპყრობასთან ერთად ზოგჯერ და დანარჩენთათვის სასჯელისდა მიხედვითაც ლმობიერი პირობებიც არსებობდა: ბნელის მაგიერ ნათელ საპყრობილეში სვამდენ და დასჯილთა შენახვა-მოპყრობის წესებიც უფრო უკეთესი იყო. მაგ. პირველად ბნელ საპყრობილეში მოთავსებული და მკაცრ პირობებში მყოფი მუშანიკი, შემდეგ, როგორც ეტყობა ჯოჯიკის შუამდგომლობით, უკეთესად მოუწყვიათ ისე, რომ წიგნების კითხვაც შეეძლო და მომსვლელთა ნახვაც, საჭმელიც მოსდიოდა თავისუფლად, ზიარების მიღების სამუალებაც ჰქონდ. თხოვნის შემდგომ ეარსქენი მუშანიკის შებორკილობისაგან განთავისუფლებასაც დასთანხმებია და ამის მაგიერ „ბრძანა... სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ და კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა და რაჲთა არავინ შეეიღეს ხილვაღ მისა, არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი“-ო.

ასევე შეღარებით თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონიათ პყრობილებს ტფილისის საპყრობილეებში არაბთა ბატონობის დროსაც: „იყოფებოდა... პაბოჲ საპყრობილესა შინა მარხვითა და ლოცვითა და ფსალმუნებითა... და ჰყოფდა იგი ქველის-საქმესა, რამეთუ განპყიდა მან ყოველი, რაჲცა აქუნდა მას, და ზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თანაპყრობილთა მათ“-ო.

სიკვდილად დასჯის მოლოდინშიც პაბო ტფილელმა „განიძარცუა... სამოსელი თჳსი და განსცა იგი საეჭროჲ, რათა უყიდონ მას სანთელად კერიონები და საკუმეველი, და წარსცა ყოველთა მათ ეკლესიათა ქალაქისათა, რათა აღნთონ“-ო. ამგვარად მამაპაპეული სარწმუნოების ღალატისათვის ბრალდებულსა და დასჯილსაც-კი თავისი რწმენის აღსარების საშუალება მოსპობილი არა ჰქონია.

§ 7. საპყრობილეთა პიგიენური პირობები

ძველ საპყრობილეთა სამინელებას მათი უსუფთაობა და შებორკილების წესი შეადგენდა. პირველი საკითხის შესახებ საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ცნობა მოგვეპოვება, რომელიც V ს-ს ეკუთვნის.

საპყრობილე, როგორც იაკობ ხუცესის სიტყვებითგან ჩანს, მაშინ სუფთად დაცული არ ყოფილა. იქაც-კი, სადაც ქართლისა პიგიახშმა ვარსქენმა თავისი ცოლი შუშანიკი ჩასვა, ისტორიკოსის ცნობით, „გრწყილი და ტილი მოუგნებელი აღგილსა მას დასხმულ იყო“. სხვაგან და სხვებისათვის განკუთვნილ საპყრობილეში რაღა იქმნებოდა!

აღსანიშნავია, რომ, როცა ევსტათე მცხეთელი და მისი მოყვასნი ქრისტიანობაზე მტკიცედ იდგნენ, ქართლისა პარჩპანმა „ბძანა თავისა და წუერისა დაყუნაჲ და ჯაჭუსა ქედსა დაღებაჲ და ბორკილითა საპყრობილესა შესხმაჲ მათი. ხოლო მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანებაჲ მარჩპანისა მის, დაყუნეს იგინი თმითა და წუერითა და ჯაჭუთა და ბორკილითა საპყრობილედ შეაყენეს“-ო. ამგვარად მძიმე დამნაშავეებად მიჩნეულებს შებორკვასთან ერთად თაეის თმასა და წვერსაც პპარსავდენ.

ეს იმდენად ზოგადი წესი ყოფილა, რომ პირველადვე ქართლის მარჩპანს ასეთიეე განკარგულება გაუცია. საქმის ვითარების შესახებ მოხსენების წაკითხვისა და ბრალდებულთა საქმის გამოძიების შემდგომ, ქართლის მარჩპანმა „უბრძანა მსახურთა თჳსთა პირსა ცემა ნეგჳრთა მათ და გარე-განყუანებაჲ მათ ყოველთა და უბრძანა: „დაპყუენით მაგათ თავი და წუერი და განუკურიცენით მაგათ ცხურნი და ჯაჭუ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეასხენით ფერჴთა და შესხენით იგინი საპყრობილესა... და რომელმან მამული სჩული არა აღირჩიოს, იგი საპყრობილესა შინა მოკუედინ“-ო.

დასჯილთათვის თავის გაპარსვა ბიზანტიაშიც იცოდენ.

გამოსარკვევია, თაეისა და წვერის გაპარსვა წინასწარი პიგიენური სამუალება იყო სისუფთავის დასაცავად, თუ სასჯელი?

როგორი იყო საპყრობილეთა სისუფთაეე მემდეგში, ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

§ 8. შებორკვის წესი

საპყრობილეთა მეორე სამინელებას, როგორც აღვნიშნეთ, შებორკეის წესი შეადგენდა. ეს პატიმრის განჯვის სამუალებას წარმოადგენდა: შემასმენელნი თურმე მსაჯულს სთხოვდენ „ბრძანე შეპყრობაჲ მისი და შეაგდე იგი საგანჯველსა და გუემასა“-ო.

დაჭერილი ადამიანისა და საპყრობილეში დამწყვდეული ბრალდებულისა, თუ დამნაშაულის მესაბორავად დანიშნულ ყოველნაირ იარაღსა და საშუალებას მოგად სახელად „საკრეელნი“ სწოდებია.

„საკრეელნი“ ორნაირი მაინც უნდა ყოფილიყო, რათგან ერთს მათგანს, ლითონისგან გაკეთებულს, ეწოდებოდა „საკრეელნი რკინისანი“. სიკვდილად დასჯის წინ, „გაკსნეს იგი (აბოჲ) კელითა და ფერკითა საკრეელთა მათგან რკინისათა“-ო .

საკრეელად უპირველესად „ჯაჭუ“ იწოდებოდა, რომელიც ადამიანს ჩეეულებრივ „ედეა ქედსა მისსა“. ამ ჯაჭვის გახსნა რომ ფარულად არავის არ შესძლებოდა და, თუ ვინმე ამას გაბედავდა, რომ ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო, ჯაჭეს თურმე ბეჭდით ბეჭდავდენ. ასე მოქცეულა მაგ. ეარსქენ ქართლისა პიგიახში. შუშანიკი რომ საპყრობილეში ჩასეა, „დაბეჭდა... ეარსქენ ბეჭდითა თუსითა“-ო.

„საკრეელთა“ მეორე იარაღად „ბორკილნი“ ითელებოდა, რომელთაც ჩეეულებრივ უეხებზე უკეთებდენ. იაკობ ხუცესს მოხსენებული აქვს „ბორკილი ფერკთაჲ“.

შებორკეას თურმე „ბორკლთა შესხმაჲ“ ერქვა.

ბორკილის დადება, როგორც ეტყობა, „საკრეელთა“ სასჯელთაგან უფრო ჩეეულებრივ სამუალებად ითელებოდა. პირეელად სწორედ იმით იწყებდენ ხოლმე. ეარსქენ ქართლისა პიგიახშმა მაგ. „უბრძანა შეერაჲ მისი (ე.ი. შუშანიკისა) და ბორკილთა შესხმაჲ ფერკთა მისთა“.

არაბთა ბაგონიბის დროს თბილისის საამიროს სასჯელთა სისტემას ორგეარი ბორკილები ჰქონია: არსებობდა „ბორკილი ფერკთა და კელთაჲ“. პაბო ტფილელი მაგ. საპყრობილეითგან გაყვანის დროს მცეელებმა „გამოიყვანეს ეგრეჲთეე ბორკილითა ფერკთა და კელთაჲთა და მიაყვანდა იგი შორის ქალაქსა და, რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტიანენი და მეენიერნი (ე.ი. ნაცნობნი) მისნი, ცრემლოოდეს მისთჳს“-ო.

ხელ-ბორკილი თურმე კისერშე ჰქონდათ მიჭედილი. იოანე საბანისძის სიტყეით, პაბო თფილელმა „კელთა შინა... რკინითა შეჭედილთა ზედა ქედსა მისსა“ სასთელი დასწეაო.

მაგრამ ყველა საპყრობილეში ჩამწყვდეული უეჭეელად შებორკილი არ უნდა ეიგულისხმოთ. თეით ისინიც, რომელთაც პირეელი შეპყრობისა და ჩასმის დროს ბორკილები ჰქონდათ დადებული, სათანადო პირის განკარგულებით შეიძლება შემდეგში ბორკილებისაგან განეთავისუფლებინათ.

შუშანიკის დაჭ რისა და შებორკეის შემდგომ მაგ., იაკობ ხუცესის სიტყეით, დაახლოებული პირი სპარსელყ ეარსქენ პიგიახშს „მკურვალედ ეეედრებოდა... რაჲთამცა საკრეელთა მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკ“ ბორკილ-გაყრილიო. რაკი შუშანიკს ბორკილების გარდა სხეა არაეერი ჰქონდა, ამიგომ ცხადი ხდება, რომ „საკრეელთაგან განტეევაჲ“, ანუ განთავისუფლება ამ შემთხვეაში ბორკილების მოხსნას ჰგულისხმობს.

შემოდასახელებული ავგტორისაეე სიტყეით, ეარსქენის ძმამ ჯოჯიმა რომ შუშანიკის ასეთი დასჯილობის ამბაეი შეიგყო, თავის ძმას „ეეედრებოდა... ფრიად, რაჲთამცა ბრძანა საკრეელთა მათგან განტეევებაჲ მისი“. ძმის თხოენით მობეზრებულმა ეარსქენმა ბოლოს „ბრძანა განტეევებაჲ საკრეელთაგან ოღენ“ და, ეითარ მოეიდა ჯოჯიქ, აღპკადა ჯაჭუ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთაჲ არა თავს-იდეა წმიდამან შუშანიკ ეიდრე აღსასრულადმდე მითურთ“-ო.

§ 9. საპყრობილეში დამწყვდეეის ხანგრძლიეობა

დამნაშავის ციხესა, თუ საპყრობილეში ჩამწყვდეულობის ხანგრძლიეობა, რასაკეირეელია, სასამართლოს გადაწყეეტილებასა და სასჯელზე იყო დაკავშირებული.

იაკობ ხუცესის სიტყეით, შუშანიკი „ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო“, სანამ იქეე სული არ განუტეეა. ამნაირადეე ბაგრატ III-ის განკარგულებით არგანუჯელის ძენი სუმბატ და გურგენ თმოეეის ციხეში დაპატიმრებულნი იქეე გარდაიცვალენ.

მაგრამ საპყრობილეში ჩეეულებრი უფრო მოკლე ვადით აპატიმრებდენ ხოლმე. მაგ. დაეით აღმაშენებელმა ლიპარიტ ამირა ღალატის განმრახეისათეის პირეელად „პყრობილ ყო... ეამსა რაოდენსამე“, მეორე-ჯერ-კი „ორ წელ პყრობილ ყო“.

§ 10. ექსორია და გაძეება

სახელმწიფოთაგან გაძეება გაუსწორებელ პოლიტიკურ დამნაშაეეთათეის ყოფილა სასჯელად მიღებული, როდესაც დანაშაულება მძიმე არ იყო. გაძეებას ბერძნული სახელი „ექსორია“-ც ეწოდებოდა ისეე, როგორც გაძეებულთა აღსანიშნავად „ექსორიაქმნილნი“ იხმარებოდა ტერმინად. თეით სასჯელს ექსორიობა“-ს და „ექსორიობად მიცემა“-ს ეძახდენ. დაეით ნარინმა მოღალატე კახაბერ რაჭის ერისთაეის „ორნი შეილნი... მისცნა ექსორიობად, კონსტანტინეპოლის წარგზაენნა“-ო.

ექსორიის გარდა სასჯელად გაძევებაც არსებობდა, რომელიც შეიძლება დროებითიც ყოფილიყო და მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც. ასეთი გაძევება „მამულის დაჭირვა“-სთან იყო დაკავშირებული. „გაძევება“ ხშირი სასჯელი იყო საკორპორაციო სამართალში და დაწესებულებებში, როგორც ამის შესახებ სათანადო ადგილს უკვე გექონდა კიდეც საუბარი.

ექსორია უდრის რომაულს exilium-ს.

§ 11. ასოთა მიღება, ანუ განპატიჟება

როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, „განპატიჟება“, ან „გაპატიჟება“, თუ „გაპატიჟება“ თავდაპირველად დასჯის ზოგადი აღმნიშნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგში ამ ტერმინს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიპნიჭებია და უკეე ყოველგვარ სასჯელად აღარ იგულისხმებოდა.

„განპატიჟება“ რომ XI-XII ს-ში არამცთუ სასჯელის ზოგადი ცნების მესატყვისი აღარ იყო, არამედ უმაღლეს სასჯელთა ჯგუფის აღმნიშვნელიც არ ყოფილა და უკეე გარკვეული სასჯელის სახელად ქცეულა, ამას გიორგი III-ის მიერ მიცემული 1170 წ. ერთიანი სიგელიც ცხადყოფს. ამ სიგელში მეფეს ნათქვამი აქვს: მიმდები პარვის ჩამდენი გაუსწორებელი დამნაშაეე „ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ“-ო. ამგვარად ჩამორჩობა განპატიჟებას არ უდრიდა და განპატიჟება ჩამორჩობასაც არ ჰგულისხმობდა. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსსაც ეს ორი ტერმინი ცალ-ცალკე აქვს დასახელებული და ნათქვამი აქვს, რომ თამარმა „თჳთ არც ავის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა“ დაუმტკიცა სასჯელიო.

„განპატიჟება“, როგორც ეტყობა, ისეთი დამახასიათებელი სასჯელების აღმნიშნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო, როგორიც „ასოთა-მიღება“, „მბნელობლობა“, „გამოყვერვა“ და სხვაც იყო.

„გამოყვერვა“ გამოსაჭურისებას ჰნიშნავდა და ძალიან იშვიათი სასჯელი იყო, ამასთანავე მხოლოდ განდგომილი მოღალატე უფლისწულებისათვის იყო სასჯელად განკუთვნილი. ამ სასჯელს მიზნად განდგომილი და დასჯილი უფლისწულისათვის შთამომაელობის და მემკეიდრეობის ყოლის ყოველივე შესაძლებლობის მოსპობა და ტახტზე ასვლის უფლების აღკეეთა შეადგენდა, რამდენადაც წესით საჭურისი არ შეიძლება მეფე ყოფილიყო.

„ასოთა-მიღება“ ასოთა მოკეეთით დასჯას ჰნიშნავდა. თამარის მეორე ისტორიკოსს, ბასილ ეზოს-მოძღვარს, ეს სასჯელი სწორედ ასე აქვს კიდეც დახასიათებული. მისი სიტყვით „არცა ვინ ბძანებითა მისითა ასო-მოკეეთილ იქმნა“-ო. ცხადია, რომ „ასო-მოკეეთილი“ შეიძლება მხოლოდ ის დამნაშაეე და ბოროტმოქმედი ყოფილიყო, რომელსაც ასოთ-მიღება ჰქონდა მისჯილი. დამნაშაეეს გარკეეული დანაშაულებისათვის სასჯელად ხელს, ან ფეხს, ან ორივეს, ან მარგო თითებს, ან ენას მოსჭრიდენ ხოლმე.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობითგან ჩანს, რომ მეფის საჯაროდ სიგყეიერად შეურაცხყოფისათვის მაგ. ენის მოკეეთა ყოფილა დაწესებული. ხოლო ქამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ რაჭის ერისთავს კახაბერს მეფის ღალატის განზრახვისათვის და მონღოლთა ამ საქმეში გამოყენების მცდელობისათვის „მიეგო მისაგებელი ბოროტი... პირეელ თვალნი დასწეა და მერმე ერთი კელი და ერთი ფეკი მოჰკუეთა“-ო.

„მბნელობლობა“ და „სიბრმითა დასჯა“ თვალთ დაბნელებას, ანუ დაწეას ეწოდებოდა. ეს საზარელი სასჯელი მძიმე დანაშაულებისათვის არსებობდა, მაგ. ღალატის მთავარ მონაწილისათვის, მეტადრე აჯანყების მომწყობი უფლისწულისათვის. ასე იქმნა მაგ. თევდორე აფხაზთა უფლისწული დასჯილი. დემნა უფლისწულსაც ასეთი დანაშაულებისათვის „თუალნი დასწუნეს“. გუშან ქაოსკარელსაც განდგომისა და მეკობრობისათვის „თუალნი დასწუნეს“. თუმცა შემდეგშ „გაღმა გასული სპარსეთს“ იყო მეხიზნული, მაგრამ შაქარია ასპაანისძისაგან შეპყრობილსა და დარბაზში წარდგენილს ეს სასჯელი თაეითგან არ ასცილებია.

ქამთააღმწერელის ცნობითაც რაჭის ერისთავს კახაბერს ღალატისა და შინათგამცემლობის განზრახეაგანმგებლობისათვის დაეით ნარინმა „პირეელ თვალნი დასწენა“ და შემდეგ ერთი ფეხი და ერთი ხელი მოაჭრევინა.

§ 12. სიკედილად დასჯა

უმაღლეს სასჯელად, რასაკეირეელია, „სიკედილად დასჯა“ იყო, რომელსაც აგრეთეე „სიკედილსა მიცემა“-ც ჰრქმეევია. ქამთააღმწერელს მაგ. მოთხრობილი აქეს: „მოიწინეს ათორმეტნი მკედარნი ყაანისანი, რათა წარიყუანონ და სსიკუდილსა მისცენ“ დიმიტრი თაეღაებულიო.

სიკვდილად დასჯა სხვადასხვა-ნაირად იცოდენ სხვადასხვა ქვეყანამი, რომლისათვისაც თავ-თავისი ტერმინი არსებობდა. მაგრამ ამ კერძოობითი სახელების გარდა კიდევ ერთი ზოგადიც იყო.

„მესისხლეობა“, როგორც ეტყობა, სიკვდილად დასჯის აღმნიშნელი სწორედ ასეთი ზოგადი ტერმინი ყოფილა. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ თამარი „კიდე-მქონებელი ყოველისავე მესისხლეობისა და მბნელობლობისა და ასოთა მიღებისა“ ბაჯაგანაგის დაკვრასაც-კი არაფისთვის იმეტებდაო. თუმცა ასოთა მოკვეთისა და თვალთდახთრით დასჯის დროს შეუძლებელი იყო, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, მაგრამ მაინც მბნელობლობა და ასოთა მიღება ცალკეა დასახელებული, მესისხლეობა კიდევ ცალკე, ამიტომ ეს სიტყვები სხვადასხვა ცნების გამომხატველი ყოფილან და მესისხლეობა ასოთა-მიღებასა და მბნელობლობას არ პგულისხმობდა. ხოლო გამონათქვამი „ყოველივე მესისხლეობა“ ამავე დროს ამ ტერმინის ზოგად თვისებას ამცლავნებს. ალბათ აქ სიკვდილად დასჯის სხვადასხვა საშუალება უნდა იგულისხმებოდეს.

ქართულ საისტორიო წყაროებში სიკვდილად დასჯის სხვადასხვა საშუალებათა შესახებ საკმაო ცნობები მოიპოვება. ზოგი მათგანი თვით ქართულ მართლმსაჯულებას ეხება, ზოგი-კი მემბოელ, ან საქართველოში გაბატონებულ ერთა სისხლის სამართალს ახასიათებს და გამოსადეგია მხოლოდ როგორც სისჯელთა სისტემისათვის არსებული ტერმინოლოგია.

მეკობრობისათვის საქართველოში, ებრაელთა საღმთო სჯულის თანახმად, მიღებული იყო „ძელსა ზედა ჩამორჩობა“. ამ სასჯელს კიდევ „ძელსა ზედა დამოკიდება“ პრქმევია, ან მარტივად „ჩამორჩობა“.

„თავის მოკუეთა“ დიმიტრი I-ის მეუობაში იხსენიება ღალატისათვის სასჯელად. ლამა-გიორგის-დროინდელი მემატიანის სიტყვით, დემეტრე მეუემ „აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეუობისა მისისა“. „თავისმოკვეთა“ უდრის რომაულს decollatio-ს.

„კლდითგან გარდმოგდება“ XIII ს-შია აღნიშნული განდგომისათვის. ჟამთააღმწერლის სიტყვით თორღვა პანელი ამ დანაშაულებისათვის „შეიპყრა ჯიქურმან განბრახვითა დედოფლისათა... და წარიყუანეს კლდეკართა და გარდმოაგდეს“.

მონღოლებმა „მოშთობა“ იცოდენ: არღუნ-ყაანი მაგ. „მომთობითა სიკვდილსა მისცეს“. მათ აგრეთვე „ცეცხლითა დაწვა“-ც ჰქონიათ წესად. ჟამთააღმწერლის ცნობით „კაცი იგი მომკულელი სულტნისა (მონღოლებმა) ცეცხლითა დაწუეს“. „ცეცხლით დაწვა“ რომაულ crematio-ს.

ხაბარებს დამნაშავის ცხენებზე მიბმითა და განმიდით გახლეჩითა და თავის მოწყეტით სცოდნიათ დასჯა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს სიტყვით ხაბართა ხაკანის ბრძანებისამებრ „შეიპყრეს ბულჩან (ხაბართა სპასალარი) და მოაბეს ყელსა საბელი და გაბიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა ამიერ და იმიერ და მოსწყუდეს თავი მისი ბოროტად“-ო. ეს სასჯელი დასავლეთ ევროპაშიაც იყო მიღებული.

ამგვარად ქართულ სისხლის სამართალს სიკვდილად დასჯა მხოლოდ თავის მოკვეთითა და ჩამორჩობით სცოდნია. კლდითგან გადაგდება უკვე მონღოლთა ხანაში იხსენიება და ჯერ გამოსარკვევია, არსებობდა თუ არა წინათაც დასჯის ასეთი წესი.

საერთოდ სიკვდილად დასჯა იშვიათი სასჯელი იყო საქართველოში. ქართული სისხლის სამართლით ასეთი უმაღლესი სასჯელი მარტო მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის არსებობდა, აგრეთვე მეფის პირადი საჯარო სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მეკობრობისათვის. დასასრულ ვარდანის ცნობით ასეთი უმაღლესი სასჯელი 1170 წ. საკანონმდებლო კრებამ ვითომც დიდი და მცირე პარვისათვისაც-კი არამც-თუ ადამიანებისათვის, არამედ პირუტყვებისათვისაც-კი დააწესა.

მაგრამ სისხლის სამართლის კარში, მეკობრობაზე საუბრის დროს უკვე აღნიშნული გექონდა, რომ ვარდანის ცნობის უკანასკნელი წინადადება, ვითომც გიორგი III-ის დროს მოწვეული საკანონმდებლო კრების დადგენილებით მეკობრებთან და მპარავებთან ერთად პირუტყვებისა და თვით ძაღლისა და თაგვისაც-კი ჩამოხრჩობა შემოეღოთ, ძნელი დასაჯერებელია, რადგან იმ მაღალ იურიდიულ განვითარებას, რომელსაც ქართველმა ერმა X-XII ს.ს-ში მიაღწია, ასეთი უსუსურება არ ეგუება. აქ, სასჯელთა სისტემაზე საუბრის დროს, ეს საკითხი უფრო არსებითად უნდა იქმნეს განხილული.

შესაძლებელია და უფლებაც გვაქვს გადაჭრით ვთქვათ, რომ არამცთუ პირუტყვთა დასჯის წესის შესახები ცნობა მართალი არ არის, თვით საკანონმდებლო კრების დადგენილებაც-კი არსებითადაა დამახინჯებული. ეს გარემოება სრული უცილობლობით თვით გიორგი III-ის 1170 წ. სიგელის შინარსით მტკიცდება.

ვარდანის სიტყვით საკანონმდებლო კრებამ მპარავისა და მეკობრისათვის „მცირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოელისა კაცისა ძელზე აღბმა“, ანუ ჩამოხრჩობა დააწესა სასჯელად. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ ამ კანონის ძალით იმ დროს ყოველი მპარავი და მეკობრე, რაგინდ მცირე დანაშაული არ ჩაედინა, უნდა სიკვდილად დაესაჯათ და ცამოერჩოთ. უკვე ასეთი განურჩეველი და ყოელად დაუნდობელი სიმკაცრე თავისდა-თავად დაუჯერებელია.

თეით გიორგი III-ეს-კი თავის 1170 წ. ერთიან სიგელში ამ საკითხის შესახებ ნათქვამი აქვს: „თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ ეპატიჟონ"-ო.

მაშასადამე, იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ქურდს პარვა თავის ჩვეულებრივ დანამაულებად და ხელობად ჰქონდა ნაქცევი, მაშინაც-კი ასეთ დამნამაევეს ყოველთვის ჩამოხრჩობა და სიკვდილი არ უნდა ჰქონოდა მისჯილი, არამედ შესაძლებელია მხოლოდ განპატიეებული ყოფილიყო, რაც შედარებით უფრო სუბუქი სასჯელი იყო. უეჭველია, სასჯელთა სიმკაცრის ამნაირი განსხვავება ჩადენილ დანამაულებათა დამამძიმებელ, თუ აღმსუბუქებელ გარემოებებზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამეგვარად ცხადი ხდება, რომ თეით მძიმე დანამაულების დროსაც-კი განურჩეველი, ყველასათეის თანაბარი სასჯელი დაწესებული არ ყოფილა, არამედ პირიქით აქაც კანონი და მართლმსაჯულება ყოველეგვარ გარემოებას უწევდა ანგარიშს.

მაგრამ ვარდანის ცნობაში ამ კანონის ძირითადი დედააზრი ყოფილა სრულებით დამახინჯებული, რათგან არამცთუ მცირე პარვისათვის სიკვდილად დასჯის დაწესება ფიქრად არავის მოსვლია, თეით დიდი პარვისათვისაც ამგვარი სასჯელი შემოღებული არ ყოფილა. კანონით სიკვდილად დასჯა, ან განპატიეება მხოლოდ ისეთი მპარავისათვის ყოფილა დაწესებული, თუ „მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა"-ო. ცხადია, რომ აქ წარმდებობითს დანამაულობაზეა საუბარი და ასეთი მკაცრი სასჯელი საკანონმდებლო კრებას მხოლოდ წარმდები და განუკურნებელი მპარავებისათვის დაუწესებია.

ამის შემდგომ, რა თქმა უნდა, ვარდანის ცნობა პირუტყვთა დასჯის შესახებ უკვე მხოლოდ სრული გაუგებრობის ნაყოფად შეიძლება ცნობილ იქმნეს. მთელი ეს ზემომოყვანილი ამბავი ერთხელ კიდევ ნათელ-ყოფს, თუ რაოდენი სიფრთხილე ჰმართებს მკვლევარს, როცა წინანდელი ამბები მერმინდელ წყაროებშია დაცული, და რამდენად ადვილად და მოგჯერ არსებითადაც-კი შეიძლება დამახინჯდეს ცნობა თეით ისეთი მოკლე მანძილის განმაველობამიც-კი, როგორიც ისტორიისათვის 100 წელიწადია.

ეის ჰქონდა დავალებული დამტკიცებული განაჩენის აღსრულება, „მოკუდენა", საერთოდ ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოეება. მხოლოდ გიორგი III 1170 წ. სიგელშია განსაზღვრული, რომ გაუსწორებელი ქურდი „ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა"-ო. მაგრამ შესაძლებელია აქაც ჩენილებად ის მოსამართლენი იგულისხმებოდენ, რომელთაც, ეითარცა სამპრავთმეტებლო სასამართლოს წევრებს, მპარაეთა გასამართლებისა და სასჯელის მისჯის უფლება ჰქონდათ მინიჭებული და ზემომოყვანილ ცნობაშიც სწორედ ამ უფლებაზე იყოს საუბარი. ერთი სიტყვით, ჯალაბთის არსებობის შესახებ არსად არაფერი ჩანს. მხოლოდ წა ნინოს მატბერდისეულ ცხოვრებაში ამის აღსანიშნავად „მეკრმლეც" არის ნახმარი, მაგრამ ეს ძეგლი, რასაკვირველია, წმინდა ისტორიული ნაწარმოები არ არის.

§ 13. მძიმე სასჯელთა ასრულების პირობა

მძიმე სასჯელის ასრულებამდე ქართული სისხლის სამართლის თანახმად მეფის მეცნიერება" და „სეკითხვა" იყო საჭირო განაჩენის სრულყოფის შესახებ „ბრძანების", ანუ დასტურის მისაღებად. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს, ბასილ ეშოს-მოძღვარს, აღნიშნული აქვს, რომ „ღეთა შინა თამარისათა, არცა ეინ დასჯილი" იყოო და მხოლოდ გუშან ტაოსკარელი მოღალატობისა და ავაზაკობისათვის შეპყრობილი „დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან უწყოდა დიდი მოწყალება თამარისი, ამისთჳს მისსა შეკითხვამდის თვალნი დასწვნა"-ო.

ზოგიერთი დანაშაულების სასჯელებთან დაკავშირებული იყო მოქალაქეობრივი უფლებების ღროებით, თუ სამუდამოდ ჩამორთმევაც, რომელიც „მამულის დაჭირვითა" და „ქუეყანათა აღხმითა" და „ლაშქართა შიგან არ შემეებით" გამოიხატებოდა ხოლმე. „ქუეყანათა აღხმაც" და „მამულის დაჭირვა" იმგვარადვე, როგორც „ლაშქართა შიგან" შეუშეებლობა, ანუ უკეთ რომ ითქვას, სამხედრო და რაინდობის უფლების ჩამორთმევა საეკლესიო სამართლის დადგენილებით დაწესებული „დაკრულეის" შედეგად, მკვლელობის ჩამდენსა და, რასაკვირველია, მეფისა და სახელმწიფოს მოღალატეს მოელოდა მაშინაც კი, როცა სასჯელი ექსორიობას არ აღემატებოდა. რაკი საეკლესიო დაკრულეა ჩვეულებრივ ან მკერეხელობისა, ან სქესობრივ ზნეობის დამრღეეეი დანამაულებისა და მკვლელობისათვის იყო ხოლმე დაღებული, ამიგომ მოქალაქეობრივი უფლების ჩამორთმევა ზემოჩამოთვლილ დანაშაულებათა დარგით ავსებს.

1263 წ. ახლო ხანის საეკლესიო კრების მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ეინცაეინ დაკრულეილა რაჲცა მიზეზითა და საქმითა", სახელმწიფო ხელისუფლებისაგანაც „შერისხულა: მამული დასჭირეია და ლაშქართა შინა არ მეშეებულა". ეს სასჯელი მეგად მძიმე იყო, და თუ საბოლოო იქნებოდა, დამნამაევეს სრულ ქონებრივ გაღატაკებასა და ზნეობრივ სიკვდილს უქადდა.

გიორგი ნადარეიშვილი

ა) დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა ქართული სამართლის მიხედვით

ამა თუ იმ ეპოქის სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში, როგორც სარკეში სწორედ აისახება ხოლმე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური თუ სამართლებრივი განვითარების დონე.

როგორც ცნობილი მეცნიერ-იურისტი ვ. სპაროვიჩი იტყოდა მოცემული ეპოქის სასამართლო დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა არის ხალხის გონებრივი განვითარების ყველაზე უფრო საიმედო მოწმეობის და სიეპაკაცის მაჩვენებელი. სასამართლო დამამტკიცებელ საბუთთა (მტკიცებულებათა) ისტორია ესაა ხალხის გონების, მისი წეს-ჩვეულებების განვითარების ისტორია.

მოძღვრება სასამართლო დამამტკიცებელი საბუთების შესახებ წარმოადგენს პროცესუალური სამართლის ცენტრალურ პუნქტს, მის სულსა და გულს.

უძველეს ხანაში – წინარესახელმწიფოებრივ და წინარესამართლებრივ დონეზე საზოგადოებაზე დიდი გავლენით სარგებლობდა რელიგია (ეგულისხმობთ წარმართულ რელიგიას). ამიტომაც „ღვთის მსჯაერი“ ანუ ორდალები ჩვეულებრივ მტკიცებულებად ითელებოდა.

ორდალები, როგორც სასამართლო მტკიცებულება უკვე ისტორიულ ხანაშიც კი დამახასიათებელი იყო მრავალი ხალხის ყოფაცხოვრებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით მტკიცედ და დიდხანს შეინარჩუნეს ისინი რიგმა ინდოევროპული წარმომობის ხალხებმა: ინდოელებმა, სპარსელებმა (ირანელებმა), გერმანელებმა, სლავებმა.

ძველ ბერძნულ და რომაულ სამართალში ორდალების არსებობის შესახებ მწირი ცნობებია შემონახული. ი. კოლერს ძველ საბერძნეთში „ცეცხლით გამოცდის“ არსებობა. შესაძლებლად მიაჩნია სოფოკლეს „ანტიგონეს“ მიხედვით, სადაც დარაჯებს თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცება „ცეცხლის გამოცდით“ სურთ.

რომაულ სამართლამი არ ჩანს ორდალების გამოყენების კვალი. ერთ მკვლევარს დამაფიქრებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ რომაელები კლდიდან აგდებდნენ დამნაშავეს, და თუ ის სასწაულებრივ გადაურჩებოდა სიკვდილს, ამის შემდეგ ის ხელახლა არ დაისჯებოდა. ეიჭს, როგორც მტკიცებულებას, ბერძნული და რომაული სამართალი იცნობდა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორდალის უძველესი სახეობა იყო ცეცხლით გაწმენდა. ცეცხლში გავლა. ცეცხლის ძალა ადამიანისათვის დიდხანს რჩებოდა ჯადოსნურ, შიშის მომგვრელ და მისტიკურ რამედ. რელიგიური გადმოცემების თანახმად ცეცხლში გამოიცადა ზოროასტრი, ახალი სარწმუნოების ფუძემდებელი. არ არის გამორიცხული, რომ

ზოროასტრულმა რელიგიამ ხელი შეუწყო ცეცხლისორდალის დამკვიდრებას სპარსეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში.

ძველ ინდოეთშიც ცეცხლს იყენებდნენ ჭეშმარიტების დადგენის საშუალებად. ბრალმდებელი და მსჯავლები მიწაზე ცრა წრეს შემოხაზავდნენ არა უბრალოდ, არამედ აღმოსავლეთითდან დასავლეთის მიმართულებით. ამ დროს ბრალდებული ემზადებოდა სასამართლო გამოცდისათვის. ის ღრეობი განიწმინდებოდა ცოდვებისაგან. მჭედლისგან გახურებულ მანთს წყალში ჩაუშვებდნენ და ხელმეორედ ღვთაებრივ ცეცხლზე გაახურებდნენ. გახურებულ მანთს ბრალდებულს დაადებდნენ ხელზე და ეს უკანასკნელი მანთით ხელში შემოუხვიდნენ ყველა წრეს ვიდრე მეცხრემდე და როცა მეცხრე წრეს მიაღწევდა, მეცხრე წრეზე დადებულ თივაზე დააგდება მანთს. თივას ცეცხლი წაეკიდებოდა. თუ ბრალდებულის ხელების ასეთ გამოცდას მძიმე დამწვრობის გარეშე გადაურჩებოდა, ის გამართლებულად ჩაითვლებოდა.

ცეცხლით გამოცდის უფრო სხვა სახეობას ვხვდებით „რამაიანაში“, სადაც მან თავი უნდა განიწმინდოს ცეცხლის საშუალებით. ანთებენ კოცონს. ეჭვმიტანილი უახლოვდება„ კოცონს და ეეედრება აგნის, ცეცხლის ღვთაებას, დაე მან დაუდასტუროს, რომ მისი გული და გონება წმინდაა და არასოდეს უღალატია რამასთვის. ცეცხლის ალში გამოჩნდება აგნი და უვნებლად გადარჩენს ნას. შემდგომ ამისა, აგნი – ცეცხლის ღვთაება, რამას მიმართავს სიტყვებით: „ო, რამა, სიტა უმწიკვლოა, სუფთაა, ცოდვა მას არ შეხებია, მე – ცეცხლის ღმერთი ამას ვადასტურებ სახალხო. მე შენ გიბრძანებ მის შერთვას“.

სიტას უმწიკვლოებით და სიმართლით აღტაცებული რამა მეკრებულ ხალხს განუმარტავას, რომ მშვენიერი სიტა დიდხანს იყო რავანას ტყვეობაში და მისთვის აუცილებელი იყო ასეთი განწმენდა.

ცეცხლით ჭეშმარიტების დადგენის სცენებს ვხვდებით ფირდოუსთან და „ვისრამიანშიც“. ამ უკანასკნელის მიხეფვით მაჰი მობადი ვისისაგან მოითხოვს, რომ მან თავისი სიმართლე დაამტკიცოს ცეცხლში გავლით.

ორდალებს მიმართაედნენ ადრეული შუა საუკუნეების ეეროპაშიც. ეს ჩანს ბარბაროსული სამართლის წიგნებიდან, აგრეთვე ლიტერატურული ძეგლებიდან, იმოლდას გამოცდიან გავარვარებული მანთით და ის უვნებელი რჩება.

ორდალის ხსენებული სახის არსებობა ეყრდნობოდა რწმენას, რომ ღმერთი უშუალოდ ერევა ადამიანთა ურთიერთობაში და ამგვარად მართალი ადამიანის ცეცხლით გამოცდას არ მეიძლება სხვა შედეგი მოჰყვეს, თუ არა ის, რომ ცეცხლის ღმერთი უვნებლად დაიცავს მას.

ქართველებს უძველესი, წინარესახელმწიფოებრივი და წინარესამართლებრივი ხანიდან ჰქონდათ კონტაქტები ინდოევროპული მოდგმის ტომებთან და ცხადია, ურთიერთგავლენა გამორიცხული არ არის. მაგრამ განეითარების წინასახელმწიფოებრივ საფეხურზე ორდალის ანუ „ღვთის მსჯავრის“ წარმომობისათვის სრულიად არ იყო საჭირო უცხოური მეგავლენა. ორდალი ვერ ჩაითვლება რაიმე ისეთ მიღწევად, რომელსაც რომელიმე ხალხი თავისი ძალებით ვერ მისწვებოდა. თითქმის ყველა ხალხი იცნობდა ორდალის ამა თუ იმ სახეობას.

ისეთი ორდალების შესახებ საქართველოში, როგორიცაა შანთი და მდუღარე, ცნობები მხოლოდ გვიანი სასუალო საუკუნეებიდან მოგვეპოვება.

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თექვსმეტი წელი ცხოვრობდა სამეგრელოში (1633-1649). იგი წერდა: „თუკი ნიშნები იმდენად ცხადი არ არის, მაშინ დანაშაულობა ამნაირად უნდა დამტკიცდეს: ამ საგნისათვის აქვთ პაპარა ქვაბი, რომელიც სიგანით ერთი მტკაველია და ირგვლივ ორი მტკაველი. ამ ქვაბს გაავსებენ წყლით და მიც ჩააგდებენ რკინის პაპარა ჯვარს. ქვაბს ქეშ შეუნთებენ ცეცხლს. ცეცხლი უნდა დაინთოს ვაბისაგან, რომელიც უნდა მოსძებნოს და თავისი ზურგით აღგილზერ მიიტანოს თეით ბრალდებულმა. ქვაბს რომ ცეცხლს შეუნთებენ და წყალი კარგად აღუღება, ბრალდებულმა შიშველი ხელი უნდა ჩაყოს და ჯვარი ძირიდან ამოიღოს. როგორც ბრალდებული ქვაბიდან ხელს ამოიღებს, მოხელენი ამ ხელს ტილოს ტომარაში ჩაუდებენ იდაყვამდის, იდაყვთან ტომარას თაყს შეუკრავენ და დაბეჭდავენ. სამი დღის შემდეგ ბრალდებულს მიიყვანენ მთაერის წინამე, გაუხსნიან ხელს, კარგად გასინჯავენ და თუ ხელზე სრულიად არ აგყვია, რომ მდუღარისაგან დამწვარიაო, მაშინვე უდანაშაულოდ აღიარებენ. წინააღმდეგ შემთხვეევაში, უკეთუ ხელი დამწვარი აღმოჩნდა, ბრალდებულს დამნაშავედ აღიარებენ და, ვითარცა ავაბაკს სასჯელს დაუნიშნავენ და არავითარ გასამართლებელ საბუთს აღარ მიიღებენ“.

ძირითად ხაზებში ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მერვე მუხლი ადასტურებს არქანჯელო ლამბერტის მიერ მოწოდებული ცნობების სისწორეს სამეგრელოში მდუღარის, როგორც მტკიცების საშუალების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით მიემართოთ ხსენებული სამართლის წიგნს, სადაც ვკითხულობთ: „შანთი და მდუღარე ორივ ერთი არის. ამისი ასე უნდა: ილოცოს იგი კაცი, რომელსაც შანთი ან მდუღარე გაუჩინონ. მოედანს, ცინა სხვას ალაგს, წყალი აუდუღონ, ზედ ჩხირი გაღვან ქვაბზედა და ძაფით ან რკინისა ან სპილენძის უნაწილო ჯვარი (რომე სახე არ იყოს გამოყვანილი), გინა ერჩხლისა იყოს ჩაკოდონ. და რა აღუღღეს წყალი და გარდმობრუნდეს, გარდმოიღონ, და მან კაცმან ჩაყოს ხელი სახელსა ზედა ღმერთისასა და დაუბეჭდონ: მესამეს დღემდინ ისრე იყოს და ისრე გაუხსნან და თუ არ დასწვია მართალი არის, და თუ დასწვია მტყუანი იქნების, რა რასაც სწამებენ, გარდაახდევინონ“.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მეცხრე მუხლის მიხედვით ბრალდებულის შანთით გამოცდა ასე ხდება. რკინას გაახურებენ გაწითლებამდე, დანამაულში ეჭვმიტანილს კი ხელზე ქაღალდს დააღებენ და შემდეგ კი გაწითლებამდე გახურებულ რკინას ბრალდებული სამჯერ გადაახტება და გახურებულ რკინას გადააგდებს. ამის შემდეგ ხელებს გაუსინჯავდნენ ბრალდებულს და თუ ხელი არ დასწვა გახურებულმა რკინამ ის გამართლებულად მიჰითქვეობოდა. და თუ დასწვდა, გამტყუნებულად, მანთით გამოცდას მაშინ მიმართავდნენ, თუ ბრალდებულს მეფისა და სახელმწიფოს ღალატი, მკრეხელობა (საყდრის და ხატის გატეხა) მრუმობა და სხვა მძიმე დანაშაულებანი ბრალდებოდა.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში სასამართლო პრაქრიკის მასალების მიხედეით მხოლოდ გამონაკლისის სახით იყენებდნენ შანთსა და მდიღარეს – როგორც სასამართლო მტკიცებულებას. როგორც ჩანს, ცოსულ იურიდიულ პრაქტიკაში მას იშვიათად თუ მიმართავდნენ. ცხადია XV-XVIII საუკუნეებში საქართველო სოციალ-ეკონომიკურად და კულტურულად, სამართლებრიეად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპას.

მაგრამ აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ. ისევე როგორც საქართველოში, ბიზანტიიც გამონაკლისის სახით თურმე მიმართავდნენ ცხელი რკინით გამოცდას. ისგორიკოსი კანკაკუზენი მოგვითხრობს: დიდი მოგიხის ერთმა მოქალაქემ, ჰქონდა რა ამისთვის საკმაო საფიძველი, ცოლს მრუმობა დასწამა. მაგრამ ცოლი თავს არ სცნობდა დამნაშავედ. მასინ ქმარმა გამოუცხადა ცოლს, რომ მხოლოდ მაშინ დაიჯერებს მის პატიოსნებას, როდესაც ის ცხელი რკინით გამოცდას გაიელის. ცოლს უნდა დაეკავებინა ხელში ცხელი რკინა, შემდეგ განსაძღერული მანძილი უნდა გაეელო და შემდეგ ცხელი რკინა გადაეგდო. სწამდათ, რომ თუ ცოლი ქმარს არ ღალატობდა, მაშინ პატიოსანი მეუღლე სიდამწვრის მიღების გარეშე ჩაათარებდა ამ მოქმედებას... ცოლ-ქმარი უცხო პირების გარეშე გაემგზავრა ერთ-ერთ ეკლესიაში. ქმარმა, რამდენადაც შეეძლო გააცხელე არკინა და მისცა იგი ცოლს ხელში და უბრძანა წაელო იგი განსაზღვრულ მანძილზე... ასე რომ ბარბაროსულ მტკიცებულებებს გამონაკლისის სახით ბიზანტიის ცალკეულ პროვინციებშიც იყენებდნენ...

გიორგი აკროპოლიტი მიხეილ კომნენს ათქმევინებს: „თუ მენ მოწმე არა გყავს, მამინ მენი სიმართლე ცხელი რკინით უნდა დაამტკიცო“...

ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის საუკეთესო მცოდნე, აღნიშნულია, რომ არც საისტორიო ძეგლებში, არც სამართლის წიგნებსა და სიგელ-გუჯრებში ბრალდებულის წამებით გამოტეხვის შესახებ არსად არაფერია ნათქვამი. სავარაუდოა ქართული ფეოდალური სახელმწიფო წამების გარკვეული დონის გარეშე ვერ იარსებებდა. მაგრამ როგორც ჩანს, თავისი დონით წამება ჩამორჩებოდა დასაელეთ ევროპულს და აღმოსაელურს.

ივ. ჯავახიშვილი წერდა:* „რასაკვირველია, ჯერ ჩვენ ხელთ მყოფი მეცხრე-მეცამეტე საუკუნეების შესახებ იურიდიული ძეგლები იმდენად საკმაო არ არის, რომ გაბედული და საბოლოო მსჯელობა შესაძლებელი იყოს, მაგრამ ის გარემოება, რომ ამ „საღმრთო მსჯაერის სასამართლოში გამოყენების შესახებ საისტორიო ძეგლებშიაც არავითარი ცნობა არ ჩანს, ქართული იმდროინდელი სამართლის განვითარების მაღალ დონესთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ორდალები ქართულ მამინდელ სასამართლო წარმოებას არც ჰქონდეს. აწ არსებულ წყაროებში ამაზე ცნობების უქონლობა უეჭველია იმის მომსაწავებელი მაინც უნდა იყოს, რომ შანთი, მდუღარე და ხმალი ღვთის მსჯაერის სახით თუნდაც რომ არსებულიყო, სასამართლოს წარმოების საშუალებად მეგად იშვიათად უნდა ყოფილიყო“.

გამოთქვამს რა მოტანილ მოსაზრებას, ივ. ჯავახიშვილის მისთვის დამახასიათებელი სიფრთხილით შენიშნავს: იმის გამორკვევა, საშუალო საუკუნეების ქართულ სამართლის პროცესში ამ წესის არსებობა წყაროებში შემთხვევით არის გამორჩენილი, თუ მას მართლაც არ ჰქონია ადგილი - „მომავალი კელევა-ძიების მოეალეობა“-აო.

ეახუშტი ბაგრატიონი, ცნობილი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში აღნიშნავდა, რომ ქართველებს „წესნი სამართლისა და შერისხეისათვის აქუნდათ: სისხლი, ხრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი“.

ერთი შეხედვით თითქოს გასაოცარია, რომ სასამართლო ორდელებს ეხედებით განვითარების შედარებით მაღალ დონეზე მდგომ ქვეყნებშიც (სპარსრთი, ბიმანგია, საფრანგეთი და სხვა). ჩვენს განცვიფრებას იწვევს თუ როგორ გახდა შესაძლებელი, რომ მტკიცებულებათა სისტემაში მიღწეულ იქნა გრანდიოზული გულუბრყვილობა, როდესაც ცეცხლი, წყალი, შანთი თუ ხმალი წყვეტდა სამართლებრივ დავებს. მაგრამ მათ გეერდით არსებობდა ფიციც. ადამიანთა სინიდისადმი ნდობის რელიგიურ-სამართლებრივი აქტიც.

ეახუშტი ბაგრატიონის აზრით ძველ საქართველოში იცნობდნენ მდუღარეს, შანთს, სასამართლო დუელს. თუ მდუღრით გამოცდას ჰქონდა ადგილი, მამინ ქვაბით წყალს ააღუებდნენ, მასში ჩააგდებდნენ მცირე რკინას „მოვიდის შეწამებული მიმელითა მკლავითა და აღმოიღოს რკინა იგი, და წამს შეუხეიონ, ეითარცა შანთისასა, ეგრეთვე ამისიცა... ქართველებს ეახუშტი ახასიათებს, როგორც კეთილ-ბოროტზე აღრე მიმდრეკად.

პროფ. ისიდორე დოლიძემ თავის წიგნში - „ძველი ქართული სამართალი“, რომელიც 1953 წელს დაისტამბა, გამოსთქვა ვარაუდი, რომ აღბუღის სამართლის 90-ე მუხლში, რომელიც საერთოდ ბუნდოვანია, გამოთქმაში - „ბჭესა სიავსა ხელნი დაესხნენ“ - იგულისხმება მოსამართლის მდუღარით გამოცდა. ხსენებული ავტორისაეე აზრით ბექა მანდაგურთუესის სამართლის წიგნის 49-ე მუხლის მეორე ნაწილშიც, რომელიც აგრეთვე ბუნდოვანია, იგულისხმება სასამართლო დუელით, როგორც მტკიცებულებით საქმის გადაწყვეტა.

იშვიათ შემთხვევებში რომ საქართველოში, სასამართლოებში ორდალებს, როგორც მტკიცებულებებს მიმართავდნენ ეახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის შედგენამდე. არ უნდა იყოს საღაო. კერძოდ სასამართლო ორთაბრძოლას რომ მიმართავდნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში. ეს ჩანს ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებიდან.

ნაწილობრივ ამ მოსაზრებას აღასტურებს სასამართლო საბუთი გიორგი სააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილს შორის დავის შესახებ. აქეე ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ ქართული სამართლის ცნობილ მკელევარებს – ივანე ჯავახიშვილსა და ისიდორე დოლიძეს მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოერების“ ტექსტებში ნახმარ „მუქარა“-ში, მუქარის დათხოვაში ჩვენი აზრით იგულისხმება დუელი გამოწვეეა, მათ შორის სასამართლო დუელში გამოწვეეაც.

მუქარის შესახებ საუბარია თვით ეახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 228-ე მუხლშიც. „თუ დიდმან დიდსა ანუ მდაბლმან თავის სწორს მუქარა დასთხოოს, მისი ასრე იქნას: გასინჯონ რაზე დამუქრებია, ძველი მგრობა აქეთ რამე, ან ცდილობენ რამედმე? ეცადნენ, კარგად შეარიგონ. თუ ძველი საღაო რამ აქეთ, მოსამართლესთან იჩივლონ და რომელიც საჩივარი აქეთ, იმან გასინჯოს და შეარიგოს, უერთმანეთოო არც ერთისა დაუჯერება“.

ეახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ერთ-ერთ საუკეთესო ხელნაწერში ეს მუხლი მოკლედაა ჩამოყალიბებული. „კაცმან კაცს მუქარა დასთხოოს, ამისი ქარილში არა გაჩნდება რა, ამისთვის რომე ამაყნი კაცნი არიან და მოსამართლემ დაბუქოს და კარი გაარონინოს“.

„მუქარა“ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში უკავშირდება მხედრულ ორთაბრძოლას, გოლიათთა შერკინებას. „ქართლის ცხოერების“ მიხედეით ეახტანგ გორგასალმა მიიღო თარხან ხაზარის გამოწვეეა. თარხანი კი „ითხოვდა მუქარასა“. საპასუხოდ ეახტანგ მეფეს უთქვამს: „განვალ თვით ბრძოლად თარხანისა“... ეახტანგ მეფე ორთაბრძოლაში კლავს მტერს.

ლეონტი მროველის ცნობით სუმბატ ბივრიგიანმა მიიღო ბაბოკ „ოვსთა მეფის“ „მუქარა“ (სუმბატმა მიიღო „თაეის-თავ“ - ბრძოლასთან და ამ ბრძოლაში გამოწვეეას ნიშნავდა. და, საკარაულოა, ის აქედან, სამხედრო სფეროდან გადასულიყო სასამართლო პროცესშიაც. ეახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი იხსენიებს ხმალში გატანებას, როგორც მტკიცებულებას (მეშვიდე მუხლი). ის გამოიყენებოდა უმძიმეს დანაშაულებათა გამოსაძიებლად. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით „ხმალში გატანება მეფეთ ორგულობასა, ღალატზედ, მეფის სალაროს გატეხაზედ, ხატისა და საყდრის გატეხაზედ და მსგავს ამათებრზე ან წესით უნდა, რომე ან ორმოცსა და ან ნაკლებს დღემდინ ალოცონ და თვით წიგნი დაუწერონ ასე: სასწორო და სამართალო ღმერთო, მე ესა და ეს კაცი გეაჯები და გეხვეწები, სხვას ჩემს დანაშაულს დღეს ამაში ნუ მკითხავ, რასაც ეს კაცი მიდებს და მეწამების, თუ იმაში უმართლე ვიყო და არას ვერიო; ამისი თავი მე დამანარჩუნე, თორემ ჩემი თავი ამას დაანარჩუნეო“.

„ამრიგი წიგნები ორთავე დაუწერონ და ან ყელზე და ან შუბის ბუღესთან შეაბან, და ის მესაბმელნი კაცნი, როგორც შეეძლოსთ, ისრე შეკაშმონ; ერთი თავს მოედნისას და ერთი ბოლოს დადგნენ, თვითო მემათრახე ჩაადგანონ, უიარაღონი, რომ თვითონ ფარისა და მათრახის მეტი იმათ არა იქონიონ რა. რა რომ დაპირისპირდნენ, გაუსვან და შეუგიონ, მემათრახენი არ უნდა მიეშველნენ. სანამდი ერთი არ გარდაეარდეს. მაშინ მემათრახენი მიეშველნენ და არ მოაკელეინონ და მეფეს მოართვან, და მერმე მეფემ ვით ხამდეს, ეგრეთ ქნას. მეფე და ჯარი ამათ გაგანებას შორიდამ უნდა უყურებდნენ, რომე მოყვარობით ან სხვარიგად არავინ მიეშველოს. რომელიც გარდაეარდების ან გაიქცევის, ის გამტყუნებული იქნების. იარაღი გარდავარდნილსა გარდამგდებისა არის და ცხენი შემათრახისა. ვინ იცის, ორნივე გარდავარდენ, უნდა დაიცალონ, ქვეითად ერთმანეთზე მიუშვან, და რომელიც წააქცევს, სამართალი იმას დარჩება“.

როგორც ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მეშვიდე მუხლიდან ჩანს, კანონმდებელი ღეტალურად აღწერს ხმალში გატანების ანუ სასამართლო ორთაბრძოლის წესს, მაგრამ სამართლის წიგნიდან მოყოლებული, მისი გამოუყენების სესახებ არაფერი ვიცით, როგორც ჩანს, XVII საუკუნის შემდეგ მას არ მიმართავდნენ.

ფიცი. როგორც უკვე აღნიშნულიც გვაქვს, ფიცი ერთ-ერთი უძველესი და უმნიშნელოვანესი მტკიცებულება იყო ძველ ქართულ სამართლამი. უეჭველია, რომ ის უძველესი, წინარესამართლებრივი და წინარესახელმწიფოებრივი ეპოქიდან მომდინარე მტკიცებულებაა.

სიტყვა ფიცი ქართული ფუძე ენის წიაღშია წარმოშობილი. ის იხსენიება ქართული ენის ხანმეტ ტექსტებშიც (ქართულ „ჳუც“-ძირს კანონზომიერად შეესიტყვება მეგრულ-ლაზური „ფურ“).

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით ფიცი ერთ-ერთი პირველთაგანია მტკიცებულებებში ხსენებული სამართლის წიგნის მიხედვით „საქართველოს რიგი და სამართალი“ ექვის არის“. .. ყურადღებას იქცევს გამოთქმა „საქართველოს რიგი და სამართალი“.

„რიგი“-ს ქვემ უძველეს წარმართულ ხანამი იგულისხმებოდა მო-რიგ-ე ღმერთის მიერ დადგენილი ქცევის წესი, ჯერ რელიგიური და შემდეგ რელიგიურ-სამართლებრივი ნორმა. სიტყვა „სამართალი“ დღევანდელი გაგებით სედარებით გვიან შემოსული ჩანს. ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება, რელიგიური ელფერის მატარებელია, რელიგიური მოვლენაა. ის ეყრდნობოდა რწმენას. რომ იმ პირს, ვინც ღმერთის სახელს ტყუილად დაიფიცავდა, უზენაესი არსება დაუსჯელად არ დატოვებდა. მაშინდელი წარმოდგენით ცრუმოფიცარი დაისჯებოდა სააქაოშიც და საიქოშიც. ფიცის ტექსტი შეიცავდა თვითწყევლის ფორმულასაც. მაგალითად ასეთს: თუ ტყუილად ვფიცავდე ღმერთს, მაშინ ღმერთმა სამინელი სასჯელით დამსაჯოს მე (და ჩემი ახლობლები).

საინტერესოა ძველი ეგვიპტური სამართლის მაგალითი სასამართლოს განაჩენებიდან არ ჩანდა, თუ რა სასჯელი გადაუწყვიტა სასამართლომ დამნაშავეს. ძველ ეგვიპტურ განაჩენში მოტანილი იყო ბრალდებულის ფიცის ტექსტი. თვით ამ ტექსტშივე იყო მითითებული: თუ მე ესა და ეს დანაშაული ჩამედინოს, დე მე სიკვდილით დავისაჯო. ეგფიცებით ღმერთებს, რომ მე ეს დანაშაული არ ჩამიდენია... განაჩენში უბრალოდ იყო მითითებული, რომ სამართალში მიცემული გამართლდა ან გამტყუნდა. ი. ლურიემ გამოარკვია, რომ ცრუმოფიცარი იმ სასჯელით დაისჯებოდა, რა სასჯელსაც ითვალისწინებდა ფიცის თვითწყევლა ცრუმოფიცარისთვის.

უბრალოდ ფიცის ფორმულაში გათვალისწინებული სასჯელით ისჯებოდა მოფიცარი თუ ის გამტყუნდებოდა.

სავარაუდოა, რომ უძველეს, წარმართულ ხანაში საქართველოში ფიცი უნივერსალურ მტკიცებულებას წარმოადგენდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფიცის მეშვეობით თავის მართლება ნებისმიერი, თუნდაც უმძიმესი ბრალდებისაგან მეიძლებოდა.

თუ რა ადგილი ეკავა ფიცს ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების შემდეგ აღრეფეოდალურ საქართველოში ამის შესახებ საკანონმდებლო და დოკუმენტური მასალის ჩვენამდე მოუღწეველობის გამო, ძნელია რაიმეს გადაწყვეტით მტკიცება. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ფიცის მნიშვნელობა მტკიცებულებათა სისტემის მიგნით დამოკუღებულია საერთოდ საზოგადოების და კერძოდ სახელმწიფოებრიობის და სამართლის

განვითარების დონისაგან, უნდა ვიფიქროთ რომ აღრეფეოდალური და მუაჭეოდალური ხანის საქართველოში მას უნიერსალური მტკიცებულების მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

ეახუმტი ბაგრატიონის ცნობით ძველ საქართველოში ფიცი მტკიცებულებად გამოიყენებოდა სამამულო დავების გარჩევის დროს, აგრეთვე „მცირე ქურდობისა და სხვათათვისცა დაფიცონ მოწმითა, რაოდენი მეხუღის“. იგივეს იმეორებს ეახტანგ ერეკლეს ძე ბაგრატიონიც თავის „ისტორიებრი აღწერაში“.

ეახუმტი ბაგრატიონიშვილის მიერ მოწოდებული ცნობები არსებითად სწორია, მაგრამ იმდროინდელი ტრადიციების მხედველობაში მიღებით ის მოწმესა და მოფიცარის, უფრო სწორად თანამოფიცარს ერთმანეთში ურევს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა საერთოდ დამახასიათებელია გვიანი შუა საუკუნეების მწერლობისათვის საქართველოში.

სასამართლო პრაქტიკის მასალების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ფიცი, როგორც მტკიცებულება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ფაქტობრივად უფრო ხშირ შემთხვევებში გამოიყენებოდა, ვიდრე ეს ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნით იყო გათვალისწინებული.

მართალია, თვით კანონმდებელიც რჩევას იძლეოდა, ხშირად არ მიემართათ ფიცისათვის, მაგრამ ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში იძულებულნი იყვნენ, რომ სწორედ ფიცის მეშეობით, ფიცის გამოყენებით გადაეწყვიტათ საქმეთა უმრავლესობა.

ქართული ფეოდალური სინამდვილე იცნობდა თანამოფიცართა ინსტიტუტს. ამ მხრივ ქართული ფეოდალური სამართალი დასავლეთ ევროპულს მოგვაგონებს.

XIV საუკუნის ქართული სამართლის ძეგლი – ბექა მანდატურთუხუცესის და აღბუღათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნი ფიცსა და მოფიცარს ხშირად ახსენებს.

ფიცი, როგორც მტკიცებულება გათვალისწინებულია სამართლის წიგნშე დართული ე.წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტშიაც. დიდი დანაშაულისათვის – ეკლესიის მეკობრეთაგან გატეხისათვის დანაშაული ეჭვმიტანილმა ოცდაოთხი კაცით უნდა იმართლოს თავი. აქ ოცდაოთხი თანამოფიცარი იგულისხმება. თანამოფიცარი უნდა ყოფილიყო სრულწლოვანი მამაკაცი, ღმერთის მორწმუნე პირი, რომელიც ცუდ საქციელში არ იყო შემჩნეული და რომლის ფიცსაც საზოგადოება და სასამართლო ნდობის ღირსად თვლიდა. თანამოფიცრის შოვნა არ იყო ადვილი. სახელგატეხილ პიროვნებას თანამოფიცრად არავინ არ ამოუდგებოდა.

ოპიზის სიგელიდან ჩანს, რომ სამამულო დავის დროს ერიდებოდნენ მტკიცებულებად ფიცის გამოყენებას, თუ კი წერილობითი მტკიცებულებანი ეჭვს არ იწვევდა და წესრიგში იყო.

როგორც ირკვევა თანამოფიცართა რიცხვის დადგენა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული.

როგორი იყო თანამოფიცართა ძირითადი რიცხვი ქართული სამართლის მიხედვით? თანამოფიცართა ძირითად რიცხვს იმის მიხედვით ანგარიშობდნენ, თუ რამდენი თანამოფიცრის წარმოდგენას მოითხოვდა კანონმდებელი ვინმეს მკლელობაში ეჭვმიტანილისაგან. ეარაუდის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში თანამოფიცართა ძირითადი რიცხვი თორმეტი უნდა ყოფილიყო.

თანამოფიცართა ძირითადი რიცხვი რიგი ევროპელი ხალხების სამართლის წიგნთა მიხედვით თორმეტი იყო (მაგ. გერმანული და სლავური სამართლის მიხედვით).

აქედან იყო წარმოებული მათი როგორც გადიდებული, ასევე შემცირებული რიცხვიც. ფეოდალური ქვეყნების სამართლის წიგნებში ეხედებით ორჯერ თორმეტს (24) თანამოფიცარს, ხუთჯერ 48 თანამოფიცარსა და ა.შ.

ამავე დროს მოპასუხეს ან დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილს არ თელიდნენ თანამოფიცართა რიცხვში. კაეკასიელ მთიელთა ჩეეულებით სამართლში მოფიცართა რიცხვი ხშირად თორმეტით განისაზღვრებოდა. ზოგან მეოთორმეტედ თითონ მოპასუხე ფიცულობდა. მაგ. ოსებში.

პროფ. რუსუდან ხარაძეს თავის ნაშრომში „დიდი ოჯახის გაღმონაშთები სვანეთში“ აღნიშნული აქვს, რომ მკელელობაში ეჭვმიტანილ პირს თავი უნდა ემართლებინა ფიცით თორმეტი თანამოფიცრის თანადგომით.

რ. ხარაძე აღნიშნავდა „ჯერ ეჭვმიტანილი წარმოსთქვამდა ფიცის ფორმულას და „თუ ამის შემდეგ თორმეტი არჩეული დაიფიცებდა მკელელის მიერ განცხადებულის სისწორეს, ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ მკელელის ნათქვამი ყველასათვის დამაჯერებელი გამხდარიყო“.

დ. ბაქარაძის ცნობით გურიაშიც მკელელობაში ეჭვმიტანილს თავი უნდა ემართლებინა თორმეტი თანამოფიცრის მეშეობით.

ფიცი დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენებოდა საოჯახო ზნეობრივი ხასიათის საეჭვო ბრალეულობათა გარკვევის მიზნითაც. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოს დართულ ე.წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტის მიხედვით „თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის რომე მისსა ხელსა შიოგან დამართებია. თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა, რომე სიძუილითა არა გაყრიდეს, და ნახეკარი სისხლი დაუურეოს. და დედაკაცი მითეეს ნუ ითხოეს, თუ შეილი დარჩეს“ (140-ე მუხლი).

ძეგლის გამომცემელმა ი. დოლიძემ ნიკო ბერძენიშვილის რჩეით გამოთქმა „შეფიცოს ნაშენითა“ გადამწერის შეცდომად მიიჩნია და ჩაასწორა როგორც „შეფიცოს ნაბინითა“. ხსენებულმა მკვლევარებმა ჩათვალეს, რომ ნაშენით ფიცი ნაკლებად მოსალოდნელი იყო ფეოდალურ საქართველოში. 1963 წელს გამოცემულ ერთ-ერთ ნაშრომში ჩვენც ხსენებულ მუხლში „შეფიცოს ნაშენითას“ ნაცვლად „შეფიცოს ნაბინითას“ ვვარაუდობდით. ცხადია, ნ. ბერძენიშვილის აუგორიტეტის გათვალისწინებით.

„ნაბინით ფიცი“ იხსენიება ერთ-ერთ საბუთში და მოსალოდნელია, რომ ნიმნავდა წმინდა ჯვარისა და წმიდა ხატის ნაბანი წყალის მეშვეობით ჩატარებული ფიცის რიტუალს. „ნაბინით ფიცი“ შეიძლება სვანური ეთნოგრაფიული მასალებით ცნობილი ხატის ნაბანი წყლის დალევას უკავშირდებოდეს.

ახლა შეიძლება დაეუბრუნდეთ ე.წ. „ნაშენით ფიცს“. სიტყვა „ნაშენი“ გადატანითი მნიშვნელობით ღესაცა ნიშნავს მთამომავლობას, მოდგმას. ასეთი მნიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა ქართული ენის საუკეთესო მცოდნესთან – ვასილ ბარნოვთან. „ნაშენი“ ხშირად გვხვდება ქართულ საბუთებსა და საკანონმდებლო ძეგლებში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით სიტყვა „ნაშენი“ მიესადაგებოდა როგორც პირუტყვს, ასევე ადამიანსაც. „ნაშენი“ იყო მაგალითად, პირუტყვის ნამრავლიც.

XII საუკუნეში ბერძნულიდან სომხურად თარგმნეს მეხუთე საუკუნეში შედგენილი სირიულ-რომაული სამართლის წიგნი. მეთერამეტე საუკუნის დამღეგს ხსენებული ძეგლი მოთავსდა ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში და მაშასადამე, ქართულადაც იქნა თარგმნილი. სირიულ-რომაული სამართლის წიგნის ქართული თარგმანის 81-ე მუხლში „ნაშენი“ პირუტყვის ნამრავლის ნიშნაეს. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ჩვიანი შუა საუკუნეების საბუთებში „ნაშენი“ ნიშნავს ადამიანებს, კერძოდ ვაჟიშვილებს. XVII საუკუნის მეორე ნახევრის დაეთრებში „ნამენი“, როგორც წესი, ვაჟიშვილების აღსანიშნავად იხმარება. მაგალითად „ტაბაგაძე ბაზუნა კუამლი ერთი. მისი ძმა დათუნა ერთი. იმათი ნამენი ოთხი ვაჟი“ და ასე მრავლაგზის.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ე.წ. ბაგრატ კურაპალატის წიგნის ფრაგმენტების გამოთქმა „შეფიცოს ნაშენითა“ იმას ნიშნავდა, რომ ოჯახებში მცხოვრები სრულწლოვანი მამაკაცები, როგორც თანამოფიცრები თაედათაე მოფიცართან ერთად ფიცულობდნენ, აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ფეოდალური სამართალი საერთოდ, მათ შორის ქართული სამართალიც ქალის ფიცს არ ენდობოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 239-ე მუხლის მიხედვით „დედაკაცს არ ეფიცების, არც გარემე კაცი შეეგდების, ამისთვის რომე გარეშეს კაცს არ გაუტყდება, არც მისის ფიცისას ინაღლის, უნდა მოსამართლემ მოუძებნოს რაც რომ საყვარელი ყუანდეს, ძმა თუ შვილნი სიძე, ის შეაგდოს“.

ასეთი შეხედულება, უნდობლობა ქალის ფიცისადმი მეთერამეტე საუკუნის დამღეგს არ არის წარმოშობილი. ვახტანგის სამართლის წიგნმა შეითვისა ქართულ სამართლში დიდი ხნის განმავლობაში შემუშავებული და გაბატონებული შეხედულება.

„ბაგრატ კურაპალატისად“ წოდებულ სამართლის წიგნის ერთ-ერთ მუხლში ეკითხულობთ: „ცილის წამებისა ასრე არს: თუ მართლასა კაცსა ასმიოღეს. საყვედური გამრაელდეს; თუ მგრობით შეიყიელოს, მაშინ ფიცოს, არა ზედა აც, თუ არა ფიცოს, სისხლი ბღოს“ (120-ე მუხლი).

ცილის წამება ბეელ აღმოსაელურ, აგრეთვე ფეოდალურ სამართლამი მკაცრად ისჯებოდა. ჩვეულებრივ, ცილისმწამებელს სჯიდნენ იმავე სასჯელით, რაც მხოლოდ ცილდაწამებულის, თუ ცილისმწამებლის ბრალდებას დაუჯერებდნენ.

ქართული სამართლის მიხედვით თუ კი ვინმე ფიცით დაადასტურებდა, რომ მის მიერ საჯაროდ გამოთქმული სხვა პირისთვის არასასურველი ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერებოდა, ის პასუხს არ აგებდა. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, ფიცის ძალა და მნიშვნელობა საზოგადოებაში.

და მეტი დამაჯერებლობა რომ პქონოდა ეჭვმიტანილის ფიცის, შემოღებულ იქნა თანამოფიცართა ინსტიტუტიც.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 37-ე მუხლში მოხსენიებული დასახელებული და დაუსახელებელი მოფიცარი შეესაბამება ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მეათე მუხლის „შეგდებულ“ და „შეუგდებელ მოფიცარს“ (თანამოფიცარს).

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში ეკითხულობთ: „ფიცი ასრე არის: ერთის ხარის შეწამებაზე, უმთხრობლოდ რომ მესწამოს, ერთი შეუგდებელი მოწამე არის; და თუ მოთხრობილი სწამობს, შეგდებული მოფიცარი უნდა“... (მეათე მუხლი).

უფრო ძნელი იყო „შეგდებული“ - (შესახლებული) მოფიცარის შოვნა. არ არის გამორიცხული რომ გაქურდულ-დაბარაცებულ მხარეს მთხრობელი ან მთხრობელის მახლობელი პირი შეესახლებინა მოფიცრად (თანამოფიცრად) ეჭვმიტანილისათვის. მთხრობელი ან მთხრობლის დამჯერე პირი არაეითარ შემთხვევაში არ დაუდგებოდა თანამოფიცრად შეწამებულს.

შეინიშნება ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში კანონმდებელი მოწამესა და მოფიცრის ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარობს, რაც მიუთითებს სამართლაგანვითარების დო?ხულობაზე. XII საუკუნის საქართველოში მოწმე და მოფიცარი ერთმანეთში არ აერეოდათ.

ბ) ჯერის, როგორც მტკიცებულების, მნიშვნელობის შესახებ.

დღეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ჯერი“ იურიდიული ტერმინი იყო თუ უფრო ადრე არა, XIV საუკუნეში მაინც. ჩვენ ეს გამორკვეული გვაქვს ერთ-ერთ სამეცნიერო წერილში. ჯერი იურიდიულ ტერმინად იგულისხმება უკვე ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნში, მაგრამ ეს დღემდე შეუმჩნეველი იყო მკვლევართათვის.

ძველი ჩანს იურიდიულ კლაუზულა - „დაგეჯერა ღმერთმან“, რომელიც ჯერს უნდა უკავშირდებოდეს ფიცის მნიშვნელობით.

დაეით გარეჯისა და აეალიშეილების მამულის შესახებ მიმდინარეობდა დავა, ხსენებულ საბუთში ეკითხულობთ: „მაგრამ ამ საქმისა უდაბნოს მამამ ჯერი არა პყო“. ე. ი. საქმესთან დაკავშირებით უდაბნოს მამამ განსაწმენდელი ფიცი არ მიიღო.

საბუთის დაბეჭდილ ტექსტში წერია: „ამ საქმისა უდაბნოს მამამ ჯერ არა პყო“. ცხადია, „ჯერ“ აქ არაფერ შუაშია. უნდა იყოს „ჯერი“. ეს უკანასკნელი ნიშნაველა წესსაც, რიგსაც, მართებულ საქციელსაც და შესაძლოა ოდესღაც წინარე სამართლასაც. „ჯერი“ ჩანს გამოთქმაში „ჯეროვანი საქმე“, „ჯეროვანი ეალი“, „ჯერი დაეადევით“, „გულის შეჯერება“, „მოწმით და ჯერით გარიგება“.

ჩამოყალიბებული გამოთქმა „დაგეჯერა ღმერთმან“ ჩანს თამარ მეფის სიგელში მიომღეიმისადმი. „ვინც ამას იკითხაედეს, ღმერთმან დაგეჯეროს“ გეხედება უფრო ადრეც, ხოლო გამოთქმა „დაჯერებული“ დამტკიცებულის მნიშვნელობით იხმარება ნათარგმნ ძეგლში - „მამათა ცხოვრებაში“.

კაცი, რომელიც სათანადო წესების და რიტუალების დაცვით ღმერთს დაიფიცებდა - „ღმერთს გეფიცებით“ იტყოდა, ამით ღმერთის სახელით თავის სიმართლეში აჯერებდა სასამართლოს და დაინტერესებულ პირთ. აქედან უნდა იყოს წარმოშობილი გამოთქმა „დაგეჯერა ღმერთმაო“.

როდესაც რელიგიური რწმენა მტკიცე იყო, ეჭვმიტანილის განსაწმენდელი ფიცი – ჯერი საკმარისად ითვლებოდა თუნდაც მძიმე ბრალდების განსაქრვებლად, მაგრამ მძიმე დანაშაულის ჩამდენნი, როგორც ამას სოციალური პრაქტიკა აჩვენებდა, ცრუ ფიცს არ ერიდებოდნენ, ამიგომაც პატიოსანი ადამიანებისაგან მოითხოვდნენ თანამოფიცართა როლში გამოსელას, რათა მსაჯულთა ეჭვი გაეფანგათ.

გვიანი შუა საუკუნეების დასაელეთ საქართველოს ისტორიულ-იურიდიულ საბუთებში ხშირად ეხედებით გამოთქმას „ამაეალი კაცი“. (აქვე შეიძლება მოვიგონოთ „ეალმაეალი“ კაცი). ჩვენ ცალკე სამეცნიერო წერილი მიეუიძღვენით ამ საკითხს და გამოვარკვიეთ, რომ „ამაეალი კაცის“ ქვეშ იგულისხმებოდა სასამართლოს მიერ მოფიცარ დასხელებული პირის სოციალური და სამართლებრიეი მდგომარეობით ტოლი, ყადრი, უმტერ-უმოყვრო, მიუკერძოებელი კაცი. თუ თანამოფიცრად დაასახელებდნენ, ეთქვათ, თავადიშეილს, მაგრამ რაიმე მიზეზით თავადიშეილის დაფიცება ვერ მოხერხდებოდა, მისი „ამაეალი კაცი“ იქნებოდა არა ერთი, არამედ რამოდენიმე აზნაურიშეილი, რადგანაც თავადიშეილის ფიცს მეტი მტკიცებითი ძალა ჰქონდა აზნაურის ფიცთან შედარებით.

საერთოდ რამდენიმე გლეხის „ამაეალი კაცი“ ფიცით მტკიცების პროცესში შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი აზნაური.

რაც უფრო დიდგეაროვანი იქნებოდა თანამოფიცარი, მით უფრო ნაკლები რაოდენობა იქნებოდა საკმარისი დავის გადასაწყეტად. ერთი დიდგეაროვანი მოფიცრის „ამაეალი კაცი“ იქნებოდა რამდენიმე გეარდამალი. რაც უფრო დიდგეაროვანი იქნებოდა თანამოფიცარი, მით უფრო მეტი ძალა ექნებოდა მის ფიცს.

XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი ეახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მართალია, ქალაქში „მოფიცართ“ (იგულისხმება თანამოფიცართა) ამოკეეთას ითვალისწინებდა, მაგრამ თავკაცთა ფიცი აქაც ნებადართული და დამეუღული იყო.

სამართლის წიგნი ად ენდა: „ქალაქში მოფიცარი ამოკეეთილი არის. რაგინდ დიდ საქმეს, სისხლსა თუ ბევრს ეალს და საქონელს ან მოქალაქე გარეშე კაცს სწამობდეს და ან გარეშე კაცი მოქალაქეთ სწამობდეს, თავკაცთ აძესთ ფიცი, მოფიცართ ერთმანეთს ვერ მეუგდებენ“.

თუმცა „ქალაქში“ - თბილისში თავკაცთა ფიცი კანონმდებელს სანდო მტკიცებულებად მიაჩნია, მაგრამ თანამოფიცრებს უკვე აღარ ენდობა.

სასამართლო პრაქტიკის მასალებით დასტურდება, რომ თუ ქართველი და უცხოელი დაობდნენ რაიმე ქონებრივ საქმეზე, სასამართლო ერიდებოდა უცხოელის დაფიცებას და უფრო თბილისელს აკისრებდა ფიცს. „ამ ქეეყნის“ კაცის“ ფიცი უფრო სანდოთ ითელებოდა.

ქართული ფიცი და სპარსეთიდან შემოსული ზენაარი საქართველოში ხელშეკრულების მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

საინტერესოა, რომ უკვე წერილობით დოკუმენტებში ვხვდებით გამოთქმას - „ნასყიდობის საფიცარსა“ და სიგელსა და ფიცს“.

ბ. ვაინდშეიდს ერთ-ერთ თავის ნაშრომში მოტანილი აქვს მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ძველი რომის სამართლისთვის უცხო არ იყო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ ხელშემკვრელი მხარეები იმ დაეებს, რომლებიც მათ მორის შეიძლება წარმოიშვას (წამოიჭრას), ფიცის მეშვეობით გადაწყვეტენ. ერთი მხარე მეორეს შესთავაზებდა ფიცით გადაეწყვიტათ სასარჩელო საქმე, თუ მეორე მხარე ფიცზე უარს იტყოდა, ეს იმის მომასწავლებლად ითვლებოდა, რომ მან საქმე წააგო.

ჟ) ცოდვის მოკიდება

ქართული სამართალი იცნობდა ისეთ მტკიცებულებასაც, როგორიც არის ცოდვის მოკიდება. საგწუხაროა, რომ ისეთ კაპიტალურ ნაშრომში, როგორიცაა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ სათანადოთ არ არის ასახული „ცოდვის მოკიდება“ და „ჯერი“.

„ცოდვის მოკიდება“ რომ შედარებით დამოუკიდებელი მტკიცებულერბა იყო კარგად ჩანს ეახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მეექვსე და მეთოთხმეტე მუხლებიდან.

ეახტანგ VI–ის სასამართლო წიგნი გვაუწყებს: „ცოდვის მოკიდება ასრე არის: დიდი საქმე ცოდვით არ გარდასწყდების. ეეთის მარჩილისა (ან ცოტა უფროსი, გინდა უმცროსი) საქმე უნდა იყოს. მაგრამ იქნების ისეთი კაცი, რომ იმისაგან ცოდვის მოკიდება და სულზე შეევარდნა ძროხაზედაც დაეჯერებოდეს.

და ცოდვის მოკიდება ასრე არის, რომე ვისაც ამგვარი რამ შეეწამოს, იმ კაცმან ის შემწამებელი კაცი ბურგთ აიკიდოს, და ასრე უნდა თქვას: შენიმც ცოდვა მათ, მეორედ მოსცლას მემცა მაქვს დამენდა ნაცელადაც მე განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას“. თუ ამრიგად ეს შეიძლო, აღარავინ რასა ემართლების. და თუ ვერ მოიკიდა, რასაც სწამობენ, უნდა პასუხი გასცეს“.

ცოდვის მოკიდებას, როგორც მტკიცების საშუალებას იცნობდა ქართველ მთიელთა სამართალიც. ამაეე დროს ეთნოგრაფიული მონაცემებით ხევსურეთში არ იყო ცნობილი ორდალების ისეთი სახეობანი როგორიცაა მანთი და მდუღარე. მთამი უპირატესად მიმართავდნენ ფიცსა და ცოდვის მოკიდებას.

ფიცისაგან განსხვავებით, რომელიც სამოქალაქო დავების დროს უპირატესად შოპასუხეს ეკისრებოდა, ცოდვის მოკიდება შეიძლებოდა დაკისრებოდა, როგორც მოპასუხეს, ისე მოსარჩელესაც. პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილი ფიქრობდა, რომ „ცოდვის მოკიდება“, როგორც დამამტკიცებელ საბუთთა მეტად თავისებური ფორმა სპეციფიკურია ქართული პროცესისათვის, ვინაიდან სხვა ხალხია სასამართლო წარმოებაში მას ვერ ვნახულობთ“*

მართალია, პროფ. ალ. ვაჩეიშვილი მსოფლიო სამართლის ისტორიის საუკეთესო მცოდნე იყო, მაგრამ ეს მოსაზრება მაინც დაზუსტებას მოითხოვს. შესაძლოა, რომ მტკიცებულების ხსენებულ ფორმას გარკვეული ანალოგი მოეძებნოს სადმე, ვთქვათ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ჩვეულებით სამართალში. ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს.

1751 წელს ბერი დავითაშვილის მეუღლემ სეხნია ბუბიაშვილის ოჯახს მიწების შესახებ უსარჩლა. ამირინდო ამილახვარმა ასეთი „სამართალი გააჩინა“.

„სეფისკვერაძე პაველ წარდგეს სეხნია ბუბიაშვილის საფალვზე და ასე ცოდვა აიკიდოს რომე: „სეხნია ბუბიაშვილო, შენი ცოდვა ჩემი იყოს, თუ ეს მიწები ტყუილათ არა გქვეროდეს და ეს წიგნიც ტყუილი არ იყოს“. თუ ასე ვერ გამოიცოდოს, ბუბიაშვილის ცოლ-შვილს დარჩეს“.

მოგანილი საბუთიდან ჩანს, რომ სიმბოლური „ცოდვისა აკიდების“ რიტუალი გარდაცვლილის საფლავზე ხდებოდა.

მართალია, ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება მრავალ ქვეყანაში იყო ცნობილი, მაგრამ ფიცისაგან ნაწარმოებ განმტკიცებულ მტკიცებულებას თუ მტკიცებულებებს საქართველოს გარეშე იშვიათად შეხვდებით.

ქართველი კანონმდებელი სწორედ ფიცით, „ჯერით“, ცოდვის მოკიდებით და სხვა ანალოგიური შშვიდობიანი მტკიცებულებების შეშეეობით ცდილობდა სოციალური ზავის მიღწევას კონფლიქტში ჩათრეულ მხარეთა შორის.

ღ) მოწმის ჩვენება

ქართული სამართალი „პილიტიკური ძლიერების ხანაში“ იცნობდა მოწმის ჩვენებას, როგორც მნიშვნელოვან მტკიცებულებას.

მხითარ გოშის სომხური სამართლის წიგნში (XII ს.) ნათქვამია, რომ ქართველებს სამი მოწმის ჩვენება მიაჩნიათ დამაჯერებლადო.

მოწმედ ითელებოდა ის პირი, რომელიც სასამართლოს ან გამომძიების ორგანოს ჩვენებას აძლევდა მისთვის ცნობილ გარემოებათა გამო, რომელსაც მნიშვნელობა ქონდა სასამართლოს მხრივ გასარჩევი საქმის გადასაწყვეტად.

მოწმედ ითელებოდა ის პირი, რომელიც მართლმსაჯულების, გამომძიების ორგანოებს განსახილველი საქმის გარემოებების ან ბრალდებულის პიროვნების შესახებ პირადი აღქმის მეშვეობით მიღებულ ცნობებს აწვდიდა.

სამოქალაქო სამართლის პროცესში მოწმედ ითელება ის პირი, რომელიც მხარეთა დავაში არ მონაწილეობს და რომელსაც შეუძლია სასამართლოს მისცეს ჩვენება ისეთი ფაქტების შესახებ, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ სადაო საქმის გადაწყვეტისათვის.

სამართლის თითქმის ყველა სისტემას მეტნაკლებად აინტერესებდა საკითხი: რა ფაქტები და ამბები შეიძლება დაამოწმოს მოწმემ და რა პირობები უნდა იყოს დაცული მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას.

სისხლის სამართლის პროცესის ცნობილი მკვლევარი პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი მართებულად აღნიშნავდა, რომ მოწმის ჩვენება ძირითადი დამამტკიცებელი მასალაა სისხლის სამართლის საქმეთა დიდი უმრავლესობისათვის, მაგრამ ამასთან ერთად მოწმის ჩვენების შეფასება ყველაზე რთულ საქმეს წარმოადგენს. ეს სირთულე მრავალწახნაგოვანია. ზოგიერთი მოწმე სწორად ვერ აღიქვამს მომხდარს, ზოგიც განგებ ამბახინჯებს აღქმულს. ზოგიც მიზით თუ სხვა მოტივით ნახულის ნაწილს მალავს და ა. შ.

აღრეკლასობრივ ნახევრად პატრიარქალურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მოწმის ჩვენებას შედარებით უფრო მცირე მნიშვნელობა უნდა ჰქონდა, ვიდრე განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში, კერძოდ განვითარებულ ფეოდალურ ან კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ვ. პფაფის აზრით, მაგალითად ოსების პრიმიტიული ხალხური სამართლისათვის უცხო იყო მტკიცებულებათა ისეთი სახეები, როგორიც იყო წერილობითი დოკუმენტები და მოწმეთა ჩვენება, რომ ოსურ სამართალწარმოებაში მეტად მცირე მნიშვნელობა ჰქონდა მოწმის ჩვენებას.

ვ. პფაფი პირადად აწარმოებდა დაკვირვებას ოსთა სამართალწარმოებაზე მისი დაკვირვებით ოსური სამართლისათვის უცხო იყო მოწმეთა დაკითხვა. იგი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მოწმეთა დაკითხვა მას არასოდეს არ შეუმჩნევია ოსების სასამართლოებში, და თუ ამას საერთოდ ადგილი ექნებოდა, მხოლოდ როგორც რუსული სამართალწარმოებიდან ნასესხებს.

ცხადია, ასეთ ვითარებაში მოწმეთა ჩვენებებზე და წერილობით მტკიცებულებებზე მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა უიცს. ვ. პფაფის მონაცემებით ოსების ჩვეულებითი სამართალი არ იცნობდა წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს XIX საუკუნის დასაწყისშიც კი.

ყველგან, სადაც პირველყოფილი გვაროენული ტრადიციები ძლიერი იყო და სისხლის აღების ჩვეულებაც არსებობდა, მოწმის ჩვენებისათვის, როგორც მტკიცებულებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. ყოველი მოწმე შეიძლებოდა გამხდარიყო შურისძიების მსხვერპლი.

დანაშაულებრივი ქმედების თვითმხილველი მოწმე იშვიათად თუ გაბედავდა სასამართლოსთვის მიეცა სწორი ჩვენება და თუ კი ეინმე ნებაყოფლობით ისურვებდა მოწმის როლში გამოსულა, სასამართლოს სრული საფუძველი ექნებოდა ასეთი მოწმის პაგოსნებასა და გულწრფელობაში დაეჭვებულიყო. ეს გარემოება მართებულად აქვთ აღნიშნული ე. პფაფს და მ. კოვალევსკის.

ფეოდალურ საქართველოში პოლიტიკური ძლიერების ხანაში მოწმე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამართალწარმოებაში.

„დიდ სჯულისკანონში“, რომელიც XII საუკუნის პირველ ათეულში უკვე თარგმნილია ბერძნულიდან ქართულად. საერო ბიზანტიურ „კოდიკოზე“ მითითებით აღნიშნული იყო, რომ მარტო ერთი მოწმის ჩვენება „არა ისმინებისო“. იმავე პოზიციაზე იდგა მცირე სჯულისკანონიც, რომელიც უფრო ადრე იყო თარგმნილი ქართულად და მისადაგებული ქართულ სინამდვილეს“. „მცირე რჯულისკანონის“ მიხედვით - „ორთა, გინა სამთა მოწმეთა ჩვენების საფუძველზე“ დაემტკიცების ყოველი სიტყვაო“.

უკვე აღნიშნულიც გვქონდა, რომ მხითარ გოშის სამართლის მიხედვით საქართველოში სამი მოწმის ჩვენება ითვლებოდა ნდობის ღირს მტკიცებულებად.

ცხადია, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაშიაც ცნობილნი იყვნენ ისეთი მოწმეებიც, რომელთა დანიშნულებაც იმდენად სასამართლოში სწორი ჩვენების მიცემა კი არ იყო, რამდენადაც ის, რომ გაროგების დადების დროს თაეის დასწრებით უზრუნველყო მისი სიმტკიცე და ნამდვილობა.

როგორც ჩანს, მოწმის ცნებაც წინარეკაპიტალისტური საზოგადოების სინამდვილეში საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო. ცნობილ პროცესუალისტს ე. ვ. ვასილის განმარტებული აქვს, რომ მოწმის ჩვენება არის პროცესში არა მონაწილე, პროცესის მედეგებით არა დაინტერესებული პირის ცნობა (ინფორმაცია) სასამართლოსათვის საინტერესო ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ.*

ფეოდალურ საქართველოში ზოგ შემთხვევაში საღეთო წიგნის-სახარების ფურცლებსაც კი იყენებდნენ მნიშვნელოვანი საბუთების დასაწერად. სახარების ტექსტს, რა თქმა უნდა, ხელს არ

ახლებდნენ და ფურცლის დაუწერელ, თავისუფალ ადგილებს იყენებდნენ საბუთების მისაწერად. სახარებას ეკლესიაში საგულდაგულოდ ინახავდნენ და საბუთებიც დაცული იყო განადგურებისაგან. ამასთან დაკავშირებით აკად. გრიგოლ წერეთელი აღნიშნავდა, რომ ეკლესია სანოტარო კანტორის როლსაც ასრულებდაო.

კორიდეთის სახარების ქართული და ბერძნული მინაწერები სათანადო სამეცნიერი შენიშნებითურთ გამოცემული აქვთ შესაბამისად ცნობილ მეცნიერებს – ნიკო მარს და გრ. წერეთელს.

კორიდეთის სახარების ფურცლებზე მინაწერ დოკუმენტებში ეხედებით ერთ ჩვენთვის საინტერესო საბუთს. ხსენებული დოკუმენტის - „დაწერილის“ მოწმეებად დასახელებულნი არიან „სრულიად კორიდენთი“. მთავარი მოწმეები, რა თქმა უნდა, იყვნენ დასახელებული მოწმეები – კორიდეთის მცხოვრებნი. სავარაუდოა, რომ „სრულიად კორიდელთა“ მოწმობას მეღარებით ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ხუთი სახელდებული მოწმისას, ალბათ იმიტომ, გამყიდველის მიმართ პრეტენზიები მოსალოდნელი იქნებოდა მხოლოდ სათითაოდ დასახელებული მოწმეების მხრივ.

კორიდეთის სახარების მინაწერებიდან ჩანს, რომ სასამართლოც და საზოგადოებაც კრიტიკულად აფასებდა მოწმეთა ჩვენებებს.

განსაკუთრებით ფასობდა მორწმუნე, მოძღვრიანი და თვითმხილველი მოწმე.

დაეით ბატონიშვილის მიერ შედგენილ „სამართალში“ გათვალისწინებულია ვითარება, როდესაც ორი სოფელი დაობდა მიჯნების ადგილმდებარეობის შესახებ და არსებობდა სამუალება მოწმეთა მემვეობით გადაწყვეტილიყო საქმე.

ასეთ ვითარებაში რომელი მხარეც მოფიცარს წამოაყენებდა, ის ჩაითვლებოდა გამარჯვებულად. ჩანს, სარგებლობდნენ მტკიცებულებათა მიმართ ფორმალური მიდგომით. აქ უფრო დამამტკიცებელ საბუთთა გამოანგარიშებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე მათ შეფასებასთან. მაშინდელ საქართველოში, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო დამამტკიცებელ საბუთთა ფორმალური თეორია, რომელიც დამამტკიცებელ საბუთებს ჰყოფდა „უკეთეს“ და „უარეს“ მტკიცებულებებად. ამასთან ერთად თვით ცალკეული მტკიცებულებებიც იმის მიხედვით ფასდებოდა, თუ საიდან, რომელი წოდების წარმომადგენელ პირთან მომდინარეობდა ის. თავადის და აზნაურის, როგორც მოწმის ჩვენება უფრო სანდოდ და ფასეულად ითელებოდა, ვიდრე გლეხისა და ხელოსნისა.

ორი და სამი მოწმის ერთნაირი ჩვენება, უფრო სრულ მტკიცებულებად ითელებოდა, ვიდრე ერთისა, თუნდაც რომ ეს უკანასკნელი ჯემმარიგების მაუწყებელი ყოფილიყო. და მოსამართლეც ამაში დარწმუნებული ყოფილიყო.

მე-18-ე საუკუნეში შედგენილ ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ:

„ბევან ხაჩიაურის მამულზედ რომ დაობენ, თუ იესემ სამი მოწამე წამოაყენა და იმ მოწმეთ იმოწმეს, რომ ხაჩიაურის ვენახი ეს არისი და ლუარსაბს უჭირავსო, უნდა ლუარსაბმა დაიბოს იესეს ეს ვენახი“*

მხითარ გოშის სომხური სამართლის წიგნის მიხედვით კი იქ სადაც სამი მამაკაცის მოწმობა იყო სავალდებულო, იქ ექვსი დედაკაცის მოწმობა ჭიიძებოდა ყოფილიყო მათი ტოლფასი მტკიცებულება. ასევე, ყურანის მიხედვით, ორი ქალის მოწმობა ერთი მამაკაცის მოწმობის თანაბარი იყო. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში მეტ-ნაკლებად შეიცვალა შეხედულება ქალებზე რუსეთსა და ევროპაში. შეიძლება ამის გამოხატულება ყოფილიყო დავით ბატონიშვილის „სამართალში“ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალის, როგორც მოწმის ჩვენება სასამართლოში ისევე სანდო შეიძლება იყოს, როგორც მამაკაცისა.

ქართულ ენაზე არსებობს კონსტანტინე (კოტე) ვაჩეიშვილის ნაშრომი - „მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია“. ავტორის აბრით ის გარემოება, რომ მოწმეები კეთილსინდისიერად ცდებოდნენ, აღრეც იცოდნენ, მაგრამ ექსპერიმენტულად იგი დასაბუთებული იქნა. XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში. „ამ საკითხებს ევროპაში იკვლევდნენ გროსი, შტერნი, ლიმანი, ლისტი, რეოლუციამდელ რუსეთში, შავალკი, გოლოდოსკი, კულიშერი და სხვები. თავის დასკვნებში მოწმის ჩვენებათა სარწმუნოების უარყოფამდე და მოწმეებისათვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის გამოყენების აუცილებლობამდე მივიდნენ“*

ხსენებულ ავტორთაგან ყველაზე დიდი სახელით სარგებლობდა ვ. შტერნი, რომელიც თავის ცდების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მცდარი ჩვენება საერთო წესია, სწორი კი გამონაკლისი. მოწმეებს ხშირად აკლიდათ მომხდარი და როგორც ვ. შტერნი ფიქრობდა: დავიწყება არის საერთო წესი, დამახსოვრება კი გამონაკლისს წარმოადგენს.

დ) მთხრობელი

ქართული სამართლის ისტორია და ქართული ეთნოგრაფია იცნობს მთხრობელის ცნებას.

ძველ საქართველოში მთხრობელი ერქვა ბოროტმოქმედების თვითმხილველ პირს, რომელიც გასამრჯელოს მიღების მიზნით აცხობდა დამნაშავის ვინაობას, და აუცილებლობის შემთხვევაში („თუ დასჭირდეს“) სასამართლო პროცესშიც მონაწილეობდა, როგორც ბრალდების მოწმე.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 38-ე მუხლის მიხედვით თუ კაცი კაცს მთხრობელის მეშვეობით დასწამებს დანასაულის ჩადენას და იმ „დაწამებულს“ მთხრობლის ტოლი ყმა ეყოლებოდა, ეს უკანასკნელი ხმალში უნდა გამოსულიყო მთხრობლის წინააღმდეგ: „თუ მთხრობელს გაემარჯვოს“, დამარცხებულ მხარეს „სამთხრობლო“ უნდა გადაეხადა და „სისხლიც“. ხოლო თუ სასამართლო დუელში მთხრობელი დამარცხდებოდა, ეჭვმიტანილის (დაწამებულს) მთხრობელს გადასცემდნენ ხელშეკრულს და სისხლის საფასურსაც გადაახდევინებდნენ.

კანონმდებლის მიხედვით „მთხრობელი იმას ქვიან, რომელსაც უნახავს თვალითა, როგორც მოუპარავს ან დაუმალავს, ყველა უამბოს, როდესაც ქურდი სასამართლოსთან მოიყვანონ, და არ გატყდეს, პირს წამოუდგეს და მთხრობელმა გასტეხოს“.

თუ მთხრობელი დამნაშავეს „გასტეხდა“, მას ჯილდოდ „სამთხრებლო“ ერგებოდა. ცრუ მთხრობელს იმავე სასჯელით დასჯიდნენ, რაც იმის ენით მართალ კაცს ეღებოდა. ზოგჯერ ცრუ მთხრობელს სცემდნენ, ჯარიმას გადაახდევინებდნენ და ისე გააგდებდნენ. მთხრობელს უპირატესად ქურდებისა და ტყეებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ იყენებდნენ. მთხრობლობას კანონმდებელი საეალდებულოდ მიიჩნევდა. „საღრთოს წინახედისა და ხელმწიფის ორგულობის შემთხვევაში. ჩვეულებრივ კი მთხრობლობა გამართლებულად არ ითელებოდა.

არის ცნობები იმის შესახებ, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილს დაბარებული მხარე ე.წ. „დასახლებულ“ თანამოფიცართან ერთად ფიცით თავის გამართლებას მოსთხოვდა, ხოლო დასახლებულ („შეგდებულ“) თანამოფიცრად სწორედ მთხრობელს მიუთითებდა. იგულისხმებოდა, რომ მთხრობელი მას თანამოფიცრად გვერდში არ ამოუგდებოდა და დამნაშავის მხილებაც ასე მოხდებოდა.

ე) წერილობითი მტკიცებულება

წერის გამოგონებით ადამიანებმა თავისი აზრი, თავისი მეხსიერება უკუდაყო. ამას დიდი მნიშვნელობა პქონდა სასამართლო ჭეშმარიტების დადგენის საქმეშიც, დაწერილში (დოკუმენტში) გარკვეეით რჩებოდა ფიქსირებული ადამიანის ნება, ხელშეკრულების დადება მხარეების ნება-სურეილი, გადასახადების გადახდის ფაქტი, სახელმწიფოს მიერ გამოქეეყნებული კანონის თარიღი და ა. შ.

ანტიკურ საქართველოში, მოსალოდნელია, არამეულ და ძველ ბერძნულ დამწერლობას იყენებდნენ.

ანტიკური ტრადიციის მიხედვით ძველ კოლხებს თავისი საკუთარი დამწერლობა უნდა პქონოდათ.

აპოლონ როდოსელის „არგონავტიკის“ მეოთხე წიგნის მიხედვით კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კეირბები, რომლებშედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია მღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საბღვარი (IV, 279-281). კეირბებში უნდა იგულისხმებოდეს სპილენძის, ქვის თუ თიხისაგან დამზადებული ძველისძველი ფირფიტები, საკრალური თუ კარტოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებით.

სტრაბონის გადმოცემით კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის შექმნა მიეწერებათ „კოლხთაგანნი არიან“.

ერთი ძველი ანონიმი აეტორის აზრით, კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილად ოქორს საწმისი არ იყო (ეს პოეტური გამონაგონია), არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“.

სხვადასხვა მიზეზების გამო ადრეული ხანის წერილობითი საბუთები ჩვენამდე არ არის მოღწეული.

X-XI საუკუნეებიდან ჩვენამდე მოწეულ ქეებზე ამოკეთილ იერიდიული ხასიათის წარწერებს არაიშვიათად „დაწერილი“ ეწოდებათ, ხოლო ქაღალდზე და ეტრატზე დაწერილ საბუთებს უპირატესად „ფელს“ ეძახიან.

X საუკუნიდან სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტებს ეხედებით კედელში ჩატანებულ ქეებზე. საბუთების ხსენებული სახეობა სულ ცამეტიოდეა შემონახული.

საეარაუდოა, რომ ქართული „ხელი“, ისევე როგორც ლათინური „მანუს“ ერთ დროს საკუთრებასაც ნიშნავდა, სამართალსაც და უფლებასაც.

თვით კაკასიის რეგიონშიც ცხოერობდნენ რიგი ისეთი ხალხებისა, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე არ იყენებდნენ წერილობით მტკიცებულებებს სამართალწარმოებაში. თვით მიწებზეც საკუთრების უფლების ირგელივ სადაო საქმეებშიც კი არ გამოიყენებოდა წერილობითი საბუთები (მგ. ოსებთან: ვ. პფაფის ცნობით).

წერილობითი დოკუმენტის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი „დაწერილი" სესხის ხელშეკრულებასაც გულისხმობდა.

აღიშის ოთხთავში, რომელიც 897 წელსაა გადაწერილი, ნახსენებია საგანქორწინებო დოკუმენტი - „განსაკევებელი წიგნი". (მათე, V 31).

ანდერძის გამომხატველ აქტს ერქვა „აღქმის წიგნი".

XI-XIII საუკუნეებში ყოველ იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი" ერქვა, თუ ის მეფისაგან არ იყო გამოცემული „სიგელი" კი მხოლოდ მეფის სახელით გამოცემულ დოკუმენტს ეწოდებოდა. (ნ. ბერძენიშვილი).

ტერმინები „წიგნი" და „სიგელი" ტვიანი შუა საუკუნეების საქართველოში არა მხოლოდ და მხოლოდ მეფეთა, არამედ კერძო პირთა სახელით შედგენილ საბუთებსაც ამავე ხანებში სესხის ხელშეკრულებას ან სავალო ხელწერილს უმრავლეს შემთხვევებში მაინც თამასუქს უწოდებდნენ.

თამასუქი არაბულის ზეგავლენით შედარებით ტვიან არის შემოსული. უფრო ადრე სესხის ხელშეკრულების აღსანიშნავად იხმარებოდა ვალის წიგნი და ვალის ხელწერილი.

ვახტანგ მეექვსეი სამართლის წიგნში* ნათქვამი იყო:

„ვალი რომ კაცსა კაცის ემართოს, მოვიდოდეს დფა იჩივლოს, უნდა მოადიც მოაყვანინოს, თამასუქი გაისინჯოს, ბეჭდი, ქრონიკონი, დამწერი და მოწამე, ამიტომ რომე ბეერს ტყუილათაც მოიგონებენ. იქნების გარდაეხადოს, თამასუქი შერჩემოდეს, ან ერტის რასმე მიზეზით კიდევე წამოედაოს. ესეები იქნების, მაგრამ ამას მოსამართლემ კარგა გულისყური უნდა გააელოს და კარგად გამოძებნოს, თუ გამოძებნით შეიტყო ხომ კარგი იქნების, და თუ ვერ შეიტყო – ან მოწმით ან ფიცით" (143-ე მუხლი). „თუ გამოძიებით შეიტყო" აქ უნდა ნიშნავდეს ისეთი მტკიცებულებების ან მტკიცებულებების შემვეობით საქმის გამოძიებას, როდესაც თამასუქის ნამდვილობა დასტურდებოდა ფიცის და მოწმის ჩვენების გამოყენების გარეშე.

საეარაუდოა, რომ გამოძებნით შეტყობაში კანონმდებელი გულისხმობდა თამასუქის, როგორც წერილობითი დოკუმენტის გარეგნული ნიშნების მიხედვით, აგრეთვე შინაარსობრივ შესწავლას.

სასამართლო ერთ-ერთი მოდავე მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობით საბუთს „გულისყურით" სწავლობდა, რომელსაც კარგად გამოძებნით" საქმის შეტყობა ერქვა.

თამასუქს უსინჯავდნენ ბეჭედს, ამოწმებდნენ დოკუმენტის დათარიღების სისწორეს, შემდეგ იკვლევდნენ ხელწერას და თუ მოწმეები ცოცხლები იყვნენ, მათაც დაკითხავდნენ. კანონმდებლისთვის ცნობილი ყოფილა ყალბი თამასუქის შედგენის შემთხვევები.

თუ თამასუქის უტყუარობა ან ნატყუარობა ამ გზით ვერ გამოირკვეოდა, მაშინ საქმე მოწმის ჩვენებით ან ფიცის მეშვეობით უნდა გადაწყვეტილიყო.

საერთო წესის მიხედვით, რაც უფრო დიდ თანხას შეადგენდა ვალი, მით უფრო მეტი მოწმე და მოფიცარი უნდა წამოეყენებინა თავისი სიმართლის დასადასტურებლად კრედიტორს.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 151 მუხლის მიხედვით*, როდესაც ეჭვმიტანილს ქურდობა „მართალი სამართლის" დონეზე არ უმტკიცდებოდა („მართლის სიმართლით არა ჩნდეს") ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტების დასადგენად ფიცს მიმართავდნენ („ფიცით გამართლდეს"). მასასადამე, კანონმდებელს შესაძლებლად მიაჩნდა ფიცის მეშვეობით, მართალი, ჭეშმარიტი სამართლის დადგენა.

თამასუქის უტყუარობის დადგენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 263-ე მუხლი, რომელიც სხუა ქვეყანას ვალის აღებას ეხება.

კანონმდებელი ბრუნავდა იმის შესახებ, რომ უცხოეთში აღებული ვალი არ გახდეს სიყალბის საბაბი.

თუ საქართველოს გარეთ – უცხოეთში აღებულ ვალს კაცი უცხოეთშივე გადაიხდიდა, ხოლო გამსესხებელი მსესხებელის ნათესავებისაგან უკვე საქართველოში ხელმეორედ მის გადახდევინებას მოითხოვდა, ეს გარემოება არასასურველ ვითარებას შექმნიდა სოციალურ პრაქტიკაში.

ძველ ეგვიპტეში წერილობითი ხელშეკრულების ტექსტები დიდხანს ატარებდნენ მათი საზეიმო სიტყვიერი დაპირებებიდან წარმოშობის კვალს.

უკვე ძველ ეგვიპტეში სესხის ხელშეკრულების არსებობის დასადასტურებლად აუცილებელი იყო წერილობითი საბუთი. ხოლო, თუ ვინმე სესხს წერილობითი გაფორმების გარეშე აიღებდა და უარს იტყოდა თავის ვალზე, მას შეეძლო ფიცის მეშვეობით ემართლებინა თავი. ასეთ ვითარებაში დებიტორის სინდისზე იყო დამოკიდებული ვალის ნამდვილობის აღიარება.

ძველ ქართულში ოფიციალური საბუთების მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე გუჯარიც.

გრიგოლ ბაკურიანის გიპიკონის ბერძნულ ტექსტში გუჯარს შეესაბყვისება „ტომღს“, რომელიც საშუალო საუკუნეების ბერძნულში, როგორც ეს სოფოკლეს ცნობილი ლექსიკონიდან ჩანს, გრაგნილს და დოკუმენტს ნიშნავდა.

გუჯარი სიგელის მნიშვნელობით გვხვდება მუა საუკუნეების საქართველოში. ასე გაჩნდა „სიგელ-გუჯარი“. მაგალითად 1703 წელს ქვათახეის მონასტრისადმი ბოძებულ საბუთს „სიგელ-გუჯარი“ ერქვა.

საბუთის აღსანიშნავად გვხვდება „ნიშანიც“.

საბუთებს ზოგჯერ „ხელი“ ან „ჯვარი“ ერქვათ.

წყისეს სტელის წარწერაში იკითხება:

„ესე ჯუარი ქრისტესი მე, კონსტანტი, ბემან სტეფანესმან და გუდასმან, აღუმართე სახლსა მცხეთის ჯუარისასა, ნასყიდევსა ქვეყანასა ზედა, შაფრამანსა, სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა, ნოემბერს იზ. ამენ“*

ჯერჯერობით წყისეს წარწერა ქვაზე ამოკეთილი პირველი იერიდიული საბუთია საქართველოში. ქვაჯვარი („ჯვარი ქრისტესი“) აქ იერიდიული საბუთის მნიშვნელობით იხმარება. ის შედგენილი უნდა იყოს VI-VI სს. მიჯნაზე.

ეკლესიას და მონასტერს ერჩიენა, რომ მისთვის შეეწირათ ნასყიდი ადგილ-მამული - „ნასყიდევი ქეყანა“, როგორც მოუღეევი ქონება. სწორედ ეს გარემოებაა ხაზგასმული წყისეს წარწერაში ჩვენამდის რომ აღრეფეოდალური ხანის ნასყიდობის ან შეწირულობის დოკუმენტებს მრაელად მოეღწიათ, ყველა მათგანში ჩვენ გეექნებოდა იერიდიული გამოთქმა – კლაუზულა „უჯუარობით დამტკიცება“.

ცნობილ ოპიზის სიგელში, რომელიც ბაგრატ მეოთხის (1027-1072) დროსაა შედგენილი, საბუთის ბოლოს, რომელსაც ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია, ნათქვამია: „და თქუენ, წმინდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოსო და წმინდაო მღდელთმოძღუარნო, უჯუარო“...

მოსალოდნელია, რომ წინადადება მთავრდებოდა ფრაზით „უჯუარობით დამტკიცეთ“... და საბუთის გამომცემლებსაც ასე აქვთ აღდგენილი ტექსტის ნაკლული ნაწილი. 1073 წელს დაწერილ სიგელში გიორგი მეფისა მღვიმისადმი ეკითხულობთ:

„და თქუენ წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო, და ყოველნო მღდელთმოძღუარნო, უჯუარობით და წყევით დაუმტკიცეთ დაწერილი სიგელი ესე“.

მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომელიც დაახლოებით 1123-1124 წლებში უნდა იყოს დაწერილი, საბუთის ბოლოს უმაღლეს საეკლესიო პირებისადმი მიმართვაში ნათქვამია:

„უკეთუ ჟამი მომცეს ღმერთმან და სხუაი უეთესი ანდერძი დაეწერო, იგი თქუენ, თქუენმიერთა კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შეჩეენებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო, ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღდელთმოძღუარნო!“

1170 წლით დათარიღებულ მეფე გიორგი მესამის სიგელში მღეიმისადმი, საბუთის ბოლოს ნათქვამია:

„აწ ვინცა პნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი, ყოველთაეე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უმალაეთ, თვინიერ შეწევნისა და თანადგომისა და თქუენ წმიდაო მამადმთავარო ქართლისა კათალიკოზო, და წმიდანო მღდელთმოძღუარნო უჯუარობითა დაუმტკიცეთ“...

ჩვენამდე მოღწეულია ერთი საინტერესო საბუთი – ერთგულების წიგნი მანგნელ-თბილელ იოანესი კათალიკოს თეოდორესადმი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს დაახლოებით 1437 წელს, სადაც ეკითხულობთ: „ესე წიგნი გაცდრეთ და მოგახსენეთ, თქუენ წმიდასა დედაქალაქსა მცხეთასა... ქართლისა კათალიკოზს თეოდორეს მე, მანგნელ-თბილელ მთავარეპისკოპოსმან იოანე, მას ჟამსა ოდეს გამიწყერ და ორფორი წამიღე და მერმე კიდევ მიბოძე...

და მე ესე საერთგულო წიგნი მოგახსენე: ვიყუნეთ დღეს და ღესისაგან წაღმა თქუენნი ერთგულნი და ერთგულად მლოცველნი მოსამსახურენი, მტერთა ბედა მტერნი და მოყუარეთა მეღა მოყუარენი. ვისაცა გაუწერეთ და შეაჩუენნეთ, ჩვენცა შეეაჩეენოთ და უჯუარო ეყუანეთ; და ვისაცა თქუენ სწყალობდეთ, ჩვენცა მათნი მლოცველნი ვიყვენეთ“*

მოგანილ დოკუმენტში გამოთქმა „უჯუარო ეყუნეთ“ შეჩეენებას უკაეშირდება ეა ამ შეჩეენებას ამაგრებს.

ჩვენი აზრით არა მხოლოდ XV საუკუნის საბუთებში, არამედ ჩვენს მიერ ზემოთ მოგანილ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ძეგლებშიც „უჯუარობა“ შეჩეენებას უკავშირდება.

დაეით აღმაშენებლის ანდერძშიც უჯვარობა წყევლასა და შეჩეენებას უკავშირდება.

დაახლოებით 1459 წ. შედგენილ დოკუმენტებში ლასურიძე კუმურდოელი იოვანურს მიერ კათალიკოზ დავითისადმი მიცემულ ერთგულების წიგნში ნათქვამია: „ ... ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ეპიზკოპოზნი იქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა; და თქუენ დიდითა ხუამნითა მაკურთხეთ“. „ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნენ, ჩუენგანაცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს“.

უჯუარობა და შეუნდობლობა მსგაესი და შესაძლოა ერთმანეთთან დაკაეშირებული ღონისძიება იყო. კუმურდოელი პირდება ქართლის კათალიკოზს, რომ ვისაც არ „უჯუაროდ“ და შეუნდობლად გამოაცხადებს, თითონაც ისე მოეპყრობა როგორც უჯუაროს და შეუნდობელს. სანამდის თქუენგან ახსნითობისა და შენდობის ნიშანი არ მოგეიეიდეს“-ო.

ანალოგიურ ფორმულა-კლაუზულას ვხვდებით იმაეე ხანებში (დაახლ. 1479წ.) შედგენილ „ერთგულების წიგნში“ ანჩელ არქიმანდრიტისა დაეით კათალიკოზისადმი.

ჩვენამდე მოღწეულია „ერთგულების წიგნი“ ზოსიმე კუმურდოელისა ბასილე კათალიკოზისადმი (შედგენილია დაახლოებით 1529 წელს). ხსენებული დოკუმენტის ბოლოს ზოსიმე კუმურდოელი პირდება კათალიკოზს: ვინც „თქვენგან უჯუარო იყოს“ - „წმიდათა მოციქულთა და მამათა კანონთა ქუმეშეა არსო“*.

ვვიძლება ვივარაუდოთ, რომ „უჯუაროდ ყოფნა“ საეკლესიო სასჯელია და შეჩვენებას უნდა უკავშირდებოდეს. 1187 წელს თამარ მეფის ბრძანებით შეადგინეს სიგელი გელათისადმი, რომელსაც ახლავს კრულვითი და განკარგულება-ბრძანებითი ნაწილიც. აქ ეკითხულობთ: „და თქუენ, წმიდანო კათალიკოზნო და წმიდანო მღვდელთმთავარნო, უჯუარობითა დაუმტკიცეთ“...

ზემოხსენებულ სიგელს ერთვის „ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზის“ თევდორეს მტკიცებითი ხასიათის მინაწერი - („მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“). ამ მინაწერში ეკითხულობთ: „ვინ და რამანცა გუარმან კაცმან, რაისაც ჟამსა მიზეზის მოღებითა ხელყოს მლად და ქცეად ამას ბრძანებასა და გაგებულსა, კრულმცა არს პირველად დაუსაბამოისა ღმრთის პირითა, ათორმეტთა მოციქულთა ჯურითა, შვიდთაკრებათა მაღლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუართა, კათოლიკე ეკლეციისა და მენ ღმრთივ – აღმართებულის სუეტისა ცხოველის მაღლითა, ყოველთა პატრიარქთა ჯუართა და მღვდელთმოძღუართათა და ჩემ, გალახაკისაცა ჯუარითა“*

ჯვარი დალოცეის, კურთხევის საშუალებაც იყო და კრულვის საშუალებაც. „ჯუარი“ ზემოთ მოტანილ მინაწერში მოჩანს, როგორც კრულვის საშუალება. ცალკეა გამოყოფილი საერთოდ პატრიარქთა ჯვარები და მათ შორის საქართველოს კათალიკოსის ჯვარიც.

მაშასადამე, „უჯუარობით დამტკიცება“, როგორც სპეციფიკური გამოთქმა ემსახურებოდა საბუთის სიმტკიცეს, სიგელის ურღვევობას. ვინც ხელს მეუწლიდა მეფის მიერ გაცემული სიგელის სიმტკიცეს, „ხელყოფდა“ მას „მლად და ქცევად“. მას აღეკვეთებოდა ჯვრის მაღლი და ამდენად შეჩვენებული იქნებოდა.

დაახლოებით 1250 წელს შედგენილ გრიგოლ სურამელის „დაწერილს მღეიმისადმი თან ახლავს კრულვითი ნაწილიც. სადაც ნათქვამია, რომ თუ ვინმე ხსენებულ საბუთში დადგენილ-დაწესებულს დამლის და ხელყოფს. მას თაეისი ჯუარით რისხვდესო ქრისტე ღმრთის ხატი, რომელიც „მდგომარე არს“ სამთავროს ტაძარსა შინა-ო. ვინც „დაწერილი“ დადგენილს დაწრეეეს, ის ქართლის კათალიკოზის „ჯუარითა კრულია ცოცხალი და მკედარი გაუხსნელად“.

ზემოთ ხსენებულ საბუთს თან ახლავს მინაწერი „უჯუარობითა და კანონით დამტკიცების“ შესახებ (– „უჯუარობითა და კანონითა დაუმტკიცებია“ არსენ მანგლელს). საბუთის კრულვით ნაწილში ნათქვამია: „შემცვალებელნი ამათნი იყვნენ კრულ წყეულ და შეჩვენებულ ცათა შინა. და ქუეყანასა შედა სიტყვითა ღეთისაითა, ათორმეტთა მოციქულთა ჯვარითა და მაღლითა“... და ა. შ.

დაახლოებით 1272 წელს შედგენილი დაეით მეფის სიგელის ხახულის ღვთისმშობლისადმი თან დართული აქვს სეთი მიმართეა: „თქუენ წმინდანო მღდელ-მოძღუარნო“, აგხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, უჯუარობით დამტკიცეთო“.

1282 წელს ნიკოლოზ ქართლის კათალიკოზის მიერ გაცემულ საბუთს ასეთი კრულეითი მინაწერი ახლავს:

„და ვინ და რამანცა გუარმან კაცმან, რა გინდა მიზეზის მიღებითა შეგიცეალოს, რისხავმსცა მამაი, ძე და სული წმინდაი, კრულმაცა არს დაუსაბამოისა ღმთისა პირითა, ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა ჯუარითა და მაღლითა, შეიდთა კრებათა მაღლითა და ჯუარითა, ხუთთა პაგრიარქთა ჯუარითა და მაღლითა“ და ა. შ.

როგორც ვნახეთ, „უჯუარობითა დამტკიცება“ პირდაპირ უკავშირდება ან შესაძლოა ანალოგიური კია „ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა ჯვარითა და მაღლითა“, „შვიდთა კრებათა მაღლითა და ჯვარითა“ დაკრულვასთან.

წერილობით საბუთს სჭირდებოდა რელიგიურ-იდეოლოგიური მხარდაჭერა და ფიცი და ღოკუმენტის დაურღეეველობის რწმენა.

საეკლესიო-სამართლებრიეი გამოთქმა „უჯუარობით დამტკიცება“ უთუოდ ქრისტიანულ ხანაშია წარმოშობილი.

ჩვენი აზრით მისი წინამორბედი წარმართულ ხანაში იქნებოდა „უჯერობით დამტკიცება“ საგულისხმებელია, რომ მორეულ წარსულში, წარმართობის ხანაში „ჯერი“ იყო რიგის, წესის, სჯულის სინონიმი.

საეარაუდოა, რომ „სჯულში“ გულისხმობდნენ სამართლასაც და რელიგიასაც. „ჯვრის“ დარღეეა – ხელშეკრულებით თუ ფიცით ნაკისრი ვალდებულების დარღეეა აღიქმებოდა, როგორც წესჩვეულების, ჯეროვანი ქცევის წესის და რიგუალური სიწმინდის ხელყოფა.

პეტერიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის მიხედვით (XI ს) უჯერო ნიშნავდა უწესოს, უსამართლოს, უკანონოს.

გელათისადმი შეწირულობის ერთ-ერთ სიგელში, რომელიც 1545 წელსაა შედგენილი, ეკითხულობთ: „ვინცა-ვინ ამა ჩვენგან დადგინებულსა მოძღეარსა უჯერო და ირიგო ჰკადროს, ანუ სიკვდილითა, ანუ დაკოდითა ანუ ხელით დაჭირვითა, ანუ გაცურეუითა, ანუ მეკობრეობითა“... სათანადოდ უნდა დაისაჯონო, ისე, როგორც საყდრის ძველ იადგარსა და გუჯარში სწერიაო.*

ჩვენი აზრით, როდესაც ქრისტიანობამ გაიმარჯვა, მან „უჯერობით დამტკიცება“ უარყო და მის ნაცვლად „უჯერობით დამტკიცება“ მემოიღო.

მოსალოდნელია, რომ „უჯარობა“ იყო მძიმე სასჯელი რელიგიურ-საერო ხასიათისა. არ არის გამორიცხული რომ ის წყევლა-კრულვას უკავშირდებოდა.

მაგ. ურარტული წყეველა იყო: „დაე ღეთაება ხალდი, ღეთაება თეიშება, ღეთსება მიეინი მიწაზე ნუ დატოვებენ ნურც თვით მას, ნურც მის სახლს, ნურც მის თესლს“.

წერილობითი მტკიცებულების გაჩენასთან ერთად ჩნდება შესაძლებელობა ნატყუარი ანუ ყალბი საბუთის დამზადებისა.

ცხადია, ყალბი დოკუმენტები მზადდებოდა, რამდენადაც ეს ყალბის მქნელის შესაძლებლობაში იყო, მას მიამსგავსებდა ნამდვილ საბუთს.

ნატყუარი საბუთების შესახებ კარგი მასალები აქვს გამოყენებული ივანე ჯავახიშვილს.

XV საუკუნის დოკუმენტებში – კახთა მეფის ალექსანდრეს მიერ ნაბოძებ „სიგელსა და ნიშანში“ საუბარია იმის შესახებ, რომ მეფემ „გააცუღა“ (გაეაცუღეთ) ფ. ჭავჭავაძის მიერ გაცემული ნატყუარი საბუთი.

ხსენებული დოკუმენტებიდან ამკარად ჩანს, რომ ნატყუარი საბუთი დაიწერა ანუარების მიზნით სხვისი აღგილმამულის მისათვისებლად.

ეინმე ფრიდონ ჭაეჭავაძემ მამული გამო აგეხილი დავის დროს სასამართლოს თავისი „უფლებების“ დასადასტურებლად ყალბი წერილობითი დოკუმენტი - „ნატყუარი სიგელი“ წარუდგინა. მოსამართლეებმა შეისწავლეს რა წარმოდგენილი საბუთი, შესძლეს მისი ნატყუარობის დადგენა. აღმოჩნდა, რომ ყალბი დოკუმენტი სეუდგენია სამღვდელო პირს – ეინმე ზეკნეკის ძეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საბუთის სიყალბის შესახებ წარმოიმობოდა ეჭვი, მაგრამ ფიცის გარდა სხვა არაეითარი საშუალება არ არსებობდა მისი ნამდვილობის დასამტკიცებლად, იძულებულნი იყვნენ ფიცისთვის შეემართათ. საქართველოში, ისევე როგორც ბიზანტიაში, როგორც ჩანს, დასაელეთ ეეროპასთან შედარებით ნაკლებად იყო განეითარებული სანოგარო საქმე.

ბიზანტიური სამართლის სპეციალისტებს მართებულად აქეთ აღნიშნული, რომ ბიზანტიური ნოგარიაგისთვის დამახასიათებელი იყო გარკეული განუვითარებლობა.

სხვა რამეების გარდა ეს ჩანს ის დიდ როლში, რასაც მოწმეთა ინსტიტუტი თამაშობდა გარიგებათა დადებისას და მათი დოკუმენტურად გაფორმებისას.

სამართლის ისტორიკოსთა აზრით დასაელეთ ეეროპაში მეთორმეტე საუკუნიდან შეიმჩნევა ნოტარიუსის სტატუსის ამაღლება. თავის მხრივ სანოგარო აქტის აეტორიგეტმა, როგორც ასეთმა, გამოიწეია მოწმეთა ინსტიტუტის მნიშნელობის გარკეული დაცემა, თუმცა თვით აქტში მოწმეთა დასწრების დაქტი ყოველთვის აღინიშნებოდა.

ბიზანტიაში კერძ-სამართლებრივი სახის აქტი, მათ შორის სანოგარო წესით დამოწმებულიც, ნამდვილად და, მაშასადამე, ძალის მქონედ ითელებოდა. არა იმდენად ნოტარიუსის მიერ მისი დამოწმების ფაქტის, არამედ აქტის შედგენაში მოწმეების მონაწილეობის გამო. თუ სადაეო გახდებოდა ამა თუ იმ საბუთის ნამდვილობა, მოწმეებს მოსამართლის წინაშე უნდა დაედასტურებინათ საბუთის შემდგენელთა ნების გამოელინების მთაეარი მონაცემები.

ბიზანტიაში კანონმდებელი არაიშვიათად მიუთითებდა თუ ამა თუ იმ კერძო-სამართლებრივი აქტის ნამდვილობის დასადასტურებლად რამდენი და როგორი მონაცემების მქონე მოწმე იყო საჭირო. სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით მოწმეთა ჩვენებას დიდი მნიშნელობა ენიჭებოდა.

ბიზანტიური სამართლის მკვლეევრებს აღნიშნული აქვთ, რომ თვით წერილობითი საბუთის სტრუქტურაში გათვალისწინებული იყო სპეციალური კლაუზულის ფორმულის ჩართეა, რომ საბუთის შედგენაში მონაწილეობდნენ „ქეემოთ ხელისმომწერი მოწმეები“, რომელთა თვალწინაც მოხდა ნასყიდობის საგნის გადახდა.

როგორც ერთი მკვლეევარი აღნიშნაედა, ეს იყო „უძეელესი ფორმულა, რომელიც პაპირუსზე შედგენილ საბუთებში მეექვსე საუკუნიდან ჩანს“.

ი.პ. მელეედეეი, რომელმაც შეისწავლა ბიზანტიური საბუთები, აღნიშნავს რომ მათში უპირატესად გვხვდება ხუთი და შეიდი მოწმის დასახელება, თუმცა ჩვენამდე მოღწეულია დოკუმენტები, რომლის ნამდვილობასაც ადასტურებს ექვსი ან ცხრა მოწმე, შეიმჩნეეა მისწრაფება, რომ რაც შეიძლება მეტი მოწმე დაისწრონ საბუთის ნამდვილობის დასამოწმებლად. ტენდეეცია, რომელიც რიგ ბიზანტიურ კერძო-სამართლებრივი სახის საბუთებში იჟრძნობა, რომ რაც შეიძლება მეტი მოწმე ადასტურებდეს თაეისი ხელმოწერით გარიგებას, სამეცნიერო ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც „სუბსრიპციონული ინფლაცია“.

მისწრაფება იმისკენ, რომ კერძო სამართლებრივი საბუთების ნამდვილობას და სისწორეს რაც შეიძლება მეტი მოწმე უნდა ადასტურებდეს, ცხადია გულისხმობს რომ სხვანაირად რაღაც საფრთხე ემუქრებოდა აქტში გამოთქმული ნების აღსრულების საქმეს.

ჩეენამდე მოაღწია ათონის ივერთა (ქართველთა) მონასგრის არქივიდან გაეცილობას საბუთმა. იგი სედგენილია 982 წელს. საბუთს ხელს აწერდა ათი მოწმე. გარდა ამისა ხელს აწერდნენ დოკუმენტი აეტორები, სულ ექვსი კაცი.

როდესაც საქმე ეხებოდა უძრავი ქონების გასხვისებას, როგორც წესი, მოწმეებად გველინებიან გამყიდველის ნათესავები და მეზობლები, ის პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული ჰქონდათ უპირატესი შესყიდვის უფლება,* მაგრამ იგი არ გამოუყენებიათ. ამით ხსენებული მოწმეები აღასტურებდნენ, რომ ხელი აიღეს თავიანთი უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებაზეც. იმპ. ირინამ (797-802) თავისი ერთ-ერთი ნოველით განსაზღვრა „ნდობით ღირსი" მოწმეების რამდენიმე კატეგორია. ლ. ბურგმანის აზრით, როდესაც კანონმდებელი სანდო მოწმეებზე მსჯელობდა, მას მხედველობაში ჰქონდა მოწმეთა სოციალური სტატუსი და არა მათი კულტურული დონე.

ლეო VI-ის (886-912) მიერ გამოცემული ერთ-ერთი (43-ე) ნოველის მიხედვით, როგორც სოფლად ასევე ქალაქად ანდერძისა და სხვა კერძო სამართლებრივი საბუთების ნამდვილობა შეიძლებოდა დაედასტურებინათ არამარტო წერა-კითხვის კარგად მცოდნე, არამედ წერა-კითხვის უცოდინარ მოწმეებსაც, თუ ისინი თავისი ცხოვრების წესით ნდობით ღირსი ადამიანები იყვნენ.

ისევე როგორც ქართულ კერძოსამართლებრივ, ასევე ბიზანტიურ შესაბამის აქტებშიც მოწმეებად ვხვდებით როგორც წერა-კითხვის მცირე მცოდნე, ასევე მის უცოდინარ მოწმეებსაც. წერა-კითხვის უცოდინარი მოწმე საბუთს ჯვარს დაუსვამდა, ხოლო მის ნაცვლად ხელს აწერდა საბუთის შემდგენელი მღიანი ან ერთ-ერთი წერა-კითხვის მცოდნე მოწმე.

როგორც წესი, კერძოსამართლებრივი საბუთებში აუცილებლად აღინიშნებოდა, თუ წერა-კითხვის უცოდინარი მოწმის ნაცვლად ვინ მოაწერა ხელი.

ლექცია X

ძველი ქართული
სანიეთო სამართალი

იეანე ჯავახიშვილი

თავი პირველი
ზოგადი ცნებათა ტერმინები

§ 1. ნიეთი

რომაულ სამართალს თავისი მოძღერება დამყარებული ჰქონდა რეს-ის ცნებაზე, რომლითაც ბუნებამი ყოველი არსებული საგანი იგულისხმება, როგორც მოძრაეი, ასეე უძრაეი. ფრანგები ამის შესატყვისად ხმარობენ les choses, გერმანელები sie Sache, რუსები вещь. თანამედროვე ქართულ სამართალში ამ ცნების გამოსახატავად მიღებულია ტერმინი „ნიეთი“, მაგრამ ძველ ქართულში ამ სიტყვას ასეთი ფართო და ზოგადი მნიშვნელობა არ ჰქონია.

ს. ორბელიანს რიცხეთა 39_{22} დამოწმებით „ნიეთი“ ასე აქეს განმარტებული: „ესე არს ყოველიე საკმარი, რომელსა სპარსნი მასალას უქმობენ“-ო (ლექსიკ.). ხოლო თეით „საკმარ“-მე ნათქეამი აქეს: „ჩასაცმელი, შესასხმელი და რაჲცა შესაწეენელი“-ო. რიცხეთა წიგნს, როგორც ცნობილია, 36 თავი, აქეს და სახას დამოწმებაში ცხადი შეცთომა უნდა იყოს. ხოლო სპარსული „მასალა“-ს ქართული „საკმარ“-ის განსამარტავად მომეელიებისაგან ცხადი ხდება, რომ „ნიეთი“ დაბადების იმ ადგილასაც, სადაც ეს ტერმინი ს. ორბელიანს ამოუკითხაეს, ნიეთეულობის მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო ნახმარი.

გულმოდგინე ძებნისდა მიუხედაეად, ძეელ ქართულ ძეგლებში ისეთი ზოგადი ტერმინი, რომელიც ლათინური რეს -ის შესაკყვისი ყოფილიყო იმ მხრივ, რომ ერთსა და იმავე დროს მოძრაეისა და უძრავი საგნის აღმნიშვნელი იყოს, ჯერჯერობით მაინც, ვერსად ეიპოეე. მაგრამ ჯერ კიდევ ძეელთა მეტად მცირე ნაწილია გამოქვეყნებული, რომ ეს გარემოება მეელეევარს უფლებას აძლეედეს დაასკვნას, რომ ასეთი ტერმინი ქართულად ძეელად არც არსებობდა. აღსანიშნაეია, რომ ჯერ-ჯერობით არც ტერმინები „მოძრაეი“ და „უძრაეი“ ჩანს ტექსტებში, მაგრამ ასეთი ცნების არსებობა ძეელად სრულებით უეჭეელ გარემოებად უნდა იქმნეს ცნობილი.

. .

§ 2. სახმარნი და უხმარნი

სხეადასხეა ტერმინთა შორის თითქოს ზოგადი, უძრავ-მოძრაეი საგნებისა და ნიეთეულობის აღმნიშვნელი იყო „საქმარი“, რომელიც როგორც უძრაეი ქონება-საკუთრების, მაგალითად მიწის, აღსანიშნავადაც იხმარებოდა, ისეეე მოძრაეი ქონებისთეისაც. უძრაეი ქონების განთეისების შესახებ თითქმის ყეელა საბუთებში ეს ტერმინი იხსენიება ხოლმე და იქ ნათქეამია, რომ განთეისებულია ესათუის ნაქონები „საქმარითა და უქმარითა“.

ხოლო „საკმარი“, ვითარცა მოძრაეი ქონების აღმნიშვნელი ტერმინი ბეერგან გეხედება, მაგ: ბ. ზარზმელს ნათქეამი აქეს, რომ გიორგი ჩორჩანელმა სერაპიონისაგან დაარსებულ ზარზმის მონასტერს „მისცნა ყოველნი საკმარნი: ჯორები და კარაულები და რაჲოდენი რაჲ უქმდა სიმრავლესა ძმათასა... ვინაცა სოფლებნიცა მისცნა“-ო.

დავით აღმაშენებელსაც მიომღეიმის 1123 წ. ანდერძში ნათქვამი აქვს, რომ პურისა და ღვინის გარდა „ეგრეთეე სხუაჲ ყოველი საჭიროჲ საკმარი შემოსავალთაგან მონასტრისათა“ მოართვან ბერებსაო.

„საკმარი“ ყოველიე ის არის, რის ხმარება და გამოყენება შეიძლება. რაკი სამართალი ნივთს, რეს-ს, მხოლოდ იმდენად ეხება, რამდენადაც ის ადამიანისა, თუ დაწესებულების, ან ვისიმე უფლების ობიექტს წარმოადგენს, ამიტომ ტერმინი „საკმარი“, ვითარცა ნივთის ამ თეისების დამახასიათებელი სიტყვა, თითქოს შესაფერისი და მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო ლათინური რეს-ის ცნების გამოსახატავად.

მაგრამ გათვალისწინებული უნდა გექონდეს, რომ „უქმარი“ ყოველთეის სრულებით უეარგის მიწას-კი არ ჰნიშნავდა, არამედ ხშირად მხოლოდ იმ დროისათეის უხმარებელს. მიომღეიმის კრებულს მაგ. ერთ თავის საბუთში ნათქეამი აქეს: „საკურთხეელისა მიწაჲ მალგამი, კორდთა გაუტეხელი, უქმარი საქმარად შეჰქმენით, დიდნი ჭირნი ჰნახენით“-. ამგეარად „უქმარი“ შეიძლება „საქმარად“ ქცეულიყო. ამასთანაეე „უქმარი“-ც ამა-თუ-იმ პირის უფლების ობიექტს შეადგენდა. ცხადია, რომ თუმცა „საქმარი“ ზოგადი ცნების შემცეელი იყო, მაგრამ მაინც „უქმარ“-ს არამც თუ არ ჰგულისხმობდა, არამედ სწორედ მისი საწინააღმდეგო ცნების გამომხატეელი იყო.

დაკვირეება ადამიანს დაარწმუნებს, რომ, როდესაც მოძრაეი ნაქონები იგულისხმება, მაშინ „საქმარი“ არსებითი სახელია, მაგრამ როცა საუბარი უძრაე ქონებაზეა, მაშინ ეს სიტყვა უკეე

მხოლოდ ზედსართავი სახელია, ე.ი. უძრავი ქონების მარკო ერთი თვისების აღმნიშვნელია. რაკი „საკმარი“ ასეთ შემთხვევებში მთელი უძრავი ნაქონების დამახასიათებელი ტერმინი-კი არ იყო, არამედ მისი მხოლოდ იმ ნაწილის, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით გამოსაყენებელი იყო, სახმარებლად გამოსადეგად ითვლებოდა, ამიტომ უძრავი ნაქონების მთელი საესებობა რომ აღნიშნულიყო, ამისთვის მაშინ მეორე ტერმინსაც უმატებდენ და ამბობდენ და სწერდენ „საკმარი და უკმარი“-ო.

ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ტერმინი „საკმარი“, უძრავ-მოძრავის აღმნიშვნელობისდა მიუხედავად, ნივთის, რეს-ის ზოგადი ცნების გამომხატველი ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში მაინც არ ყოფილა.

§ 3. ჭურჭელი

ძველ ქართულში მოძრავი უსულო საკუთრებისა და ქონების აღმნიშვნელ ტერმინად „ჭურჭელი“ იხმარებოდა. დაბადების ქართულ თარგმანში „ჭურჭელი“ უდრის ბერძნულს, ხოლო ლათინურს -ს supellex-ს. და vasa-ს, ე.ი. ყოველგვარ ავეჯს, იარაღს, ძვირფასსა და მოძრავ განძეულობას ჰნიშნავდა.

§ 4. ნივთთა მფლობელობის სახეობანი

ყველა ის, რაც ადამიანის მფლობელობის საგანს წარმოადგენდა, ერთნაირი თვისებისა არ იყო და ადამიანის ამ საგანზე უფლებისდა მიხედვით სამართალი აქ რამდენსამე კატეგორიას პხედავდა, რომელთაგან თვითეულს მისი ბუნების გამომხატველი ტერმინი ჰქონდა მიკუთვნილი. ძველ წყაროებში ამის შესახებ საკმაო ცნობები მოიპოვება.

ბ. ბარწმელს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ უშეილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ ანდერძით „ყოველივე, რაჲ აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთუსა“-ო. მისი გარდაცვალის შემდგომ რომ დაგოვებული ანდერძი გაუხსნიათ და წაუკითხავთ, გამორკეეულა, რომ „მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თაეისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საკედართა და მროწეულთა“-ო. ამ სიტყვებითგან ცხადი ხდება, რომ გიორგი ჩორჩანელს ანდერძით დაუტოვებია:

1. „ყოველივე, რაჲ აქუნდა“, ანუ ქონებაჲ, 2. „მამული“, 3. „მონაგები“ და 4. ისტორიკოსს აღნიშნული აქეს, რომ ნაანდერძევი გ. ჩორჩანელმა თაეის დისწულებს, დასასრულ, „საკუთრებით განუთუსა“, ე.ი. მათ „საკუთრება“-დ აქცია. მისი ნაანდერძევის ამ სამი-ოთხი კატეგორიის ცალ-ცალკე მოხსენებულება ამტკიცებს, რომ თითეული ამ კატეგორიის ცალკეული სახელი განსხვავებული ცნების აღმნიშნელი იყო და ქონება, მამული და მონაგები ისევე, როგორც საკუთრება სხვადასხვა იურიდიული ცნების გამომხატველი ყოფილა. სწორედ ამ ტერმინების მნიშნელობის ზედმიწევნით გამორკეევაა უპირველესად საჭირო, რომ ქართული სანიეთო სამართლის დანარჩენი საკითხების განხილვა შესაძლებელი გახდეს.

§. 5. მამული და აღგილნი უმამულონი

უძრავი ნაქონები, როგორც ჩანს, ორ ნაწილად იყოფოდა. ერთს ნაწილს შეადგენდნენ „მამულნი“ მეორეს „აღგილნი უმამულონი და უმკეიდრონი“, ტერმინი „მამული“ ჩეეულებრიეი სიგყვაა, მამულისაგან არის წარმომდგარი და მამისაგან მემკეიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ჰნიშნავდა.

აღსანიშნავია, რომ „მამული“ საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში მხოლოდ მამის სამშობლოს, მამულსა ჰნიშნავს. VIII ს. დამლევსაც „მამული“ და „დედული“ წინანდებურად მამისეულსა და დედისეულს, მამაპაპეულს ჰნიშნავდა. იოანე საბანისძეს მაგ. ნათქვამი აქეს: აბო ტფილელი იყო ნამდეილი არაბი, „ყოელადეე არაბიელთა თესლი მამულად (ე.ი. მამის მხრით) და დედულად (ე.ი. დედის მხრით), რომლისა მამაჲ მისი და დედაჲ მისი და დანი მისნი იყვნეს მუნეე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილონისასა“-ო. გაქრისტიანებულ ჯაბოს მსაჯულმაც უთხრა: „ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოს და დაგიტეეებიეს მამული საჯული-ო.

IX და X სს. ძეგლებში-კი „მამული“ უკეე საგვარეულო, მემკეიდრეობით მიღებული საკუთრების აღმნიშნელი ტერმინია. ამგვარად „მამული“ თავისი მნიშნელობით უკვე ლათინურს res in patrimonio-ს და patrimonium-ის შესატყვისობას წარმოადგენს და ეს მნიშნელობა ამ ტერმინს საუკუნეთა განმავლობაში შერჩა.

XI-XII სს. „მამული“-ს მნიშვნელობა უფრო გაფართოვდა და ზოჯერ საოჯახო უძრაველ საკუთრების აღმნიშვნელადაც გვხვდება: მარტო მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას-კი არა, არამედ მზითვად მოყოლილსაც პეტრიწისძისდენ ხოლმე. არიშიანთაძეში 1105-1125 წ. ბერძნულ წყალობის წიგნში მაგ. ნათქვამია: „გაუმუით და გაეათავისუფლეთ ნიანია ნიანიასძე გრიგოლ მაოკრებლისა შეილი მისითა მამულითა ეეძიკეეითა, ვინათგან პირველეცა მითვად ჰქონებოდა... აწ გაგუიშეია ნიანია მისითა მამულითა მითვად ნაქონები ეეძისკეეითა“-ო.

მაგრამ ჩვეულებრივ და არსებითად „მამული“ მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ჰნიშნავდა, რომელშიაც მამის უძრაე-მოძრაეის გარდა, რასაკვირველია, დედის ნამზითი და მონაგებიც შეიძლება რეულიყო, რამდენადაც შეილები თავიანთი დედის საკუთრების, დედულის, კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ.

„აღგილნი უმამულონი“, ან „უმკვდრონი“, რომელნიც დაეით აღმამენებლის უკანას,ნელ ანდერძში გეხვდება, სწორედ „მამული“-ს, ეითარცა მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების, საწინააღმდეგო ცნების გამომხატველი ტერმინია. ამ თაეის ანდერძში არსენიც ბერის პირით დაეით აღმამენებელს ნათქვამი აქეს: „აღგილნი, რომელნი მიმოვებიან, უმკვდრონი, და ეა უმამულონი, მათგანაც, ეითარცა ბერმან არსენიც და კათალიკოზმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერ[ილ]თა და სიგელთა განასრულონ ყოელითურთ უნაკლულოდ“-ო . ცხადია, რომ „უმამულო“ აღგილი შეიძლება მხოლოდ ისეთი აღგილი ყოფილიყო, რომელიც „მამული“ არ იყო და რომელსაც „მკვიდრი“, ანუ მემკვიდრეობითი მესაკუთრე არ ჰყავდა, რომელიც არაეის კერძო საკუთრებასა და მამულს არ შეადგენდა, ან, რომ უკეთ ეთქეათ, რომელსაც პატრონი არ ჰყავდა, რეს ნულლიუს და სინე დომინო იყო. რასაკვირველია, ეს აღგილნი, ეითარცა დაეით აღმამენებლისაგან „ნაშოები“, ალბათ ძლევამოსილი ლამჭრობის წყალობით, მეფის განკარგულებაში იყო, როგორც სახელმწიფო მიწაწყალი.

შესაძლებელია აგრეთვე, რო ამ აღგილებში მცხოვრებნი ყოფილიყუნენ კიდეც, მაგრამ პატრონყმური წესწყობილებისა და უფლებრიეი თვალსაზრისის მიხედეით, რაკი მათ „მემამულე“ და „პატრონი“ არ ჰყაედათ, ამიტომ უმამულოდ და უმკვიდროდ იყუნენ იურიდიულად მიჩნეულნი. თაეისი თაედაპირეელი და ეტიმოლოგიური მნიშვნელობით კი, როგორც „მამული“ უდრის patrimonium-ს, res in patrimonio-ს, ისეეე „აღგილნი უმამულონი“ უდრის res extra patrimonium-ს, უფრო მის სახეობას res universitatis-ს იმისდა მიუხედაეად, რომ რომაული სამართალი ამ ტერმინით ჭმინდა res nullius-ს პგულისხმობდა.

საკუთრება

§ 1. მემკვიდრეობითი საკუთრება

როგორც უკეე აღნიმნული გექონდა, საღმრთო წერილის უძეელეს ქართულ თარგმანში „მამული“ ჯერ კიდეე მემკვიდრეობით მიღებული უძრაეი საკუთრების აღმნიშნეელი არ არის. ამ ცნების გამოსახატაეად უძეელეს ნათარგმნ ძეგლებში იხმარება ტერმინი „სამკუდრებელი“. რიცხეთა 27_{42} მიხედეით ქართული „სამკუდრებელი“ წარმოადგენს ბერძნულის და ლათინურის haereditas-ის შესატყეისობას, ე.ი. მემკვიდრეობით მიღებულ წილს ჰნიშნაედა.

იოშის 42_{5}-შიაც ნათქვამია: „არა იაოენეს მზგაესნი მუნიერებასა შინა ასულთა იობისათა ცასა ქუეშე და მისცა მათ მამამან სამკუდრებელი ძმათა მათთათანა“.

ამგვარად „სამკუდრებელი“ უმთაერესად მემკვიდრეობითი საკუთრების აღმნიშნეელი ტერმინი იყო.

მაგრამ საკუთრება მარტო მემკვიდრეობით მიღებულისაგან არ შედგებოდა. პირიქით, თაედაპირეელად, როდესაც ჯერ მხოლოდ მოძრაეი კერძო საკუთრება გაჩნდა, სწორედ შენაძენს წარმოადგენდა. ამ ცნების გამოსახატაეად, საერთოდ საკუთრების ზოგადი ცნების აღსანიშნაედ ცალკე ტერმინი არსებობდა.

უკეე V ს. ძეგლში პირადი კუთვნილების აღსანიშნაედ, „საკუთარი“ გეხვდება. ქართლისა პიგიახშის პირადი მსახური მაგ. იაკობ ხუცესს „საკუთარი“-ს სახელით პყავს მოხსენებული (წამებაჲ შუშანიკისი 10_{11}). ხოლო დაბადების ქართულ თარგმანში მოიპოვება უკეე ტერმინი „განკუთნებული“-ც. მაგ. იესო ნავეს 21_{34}-ში ნათქვამია: „მისცა ქალაქები– ქებრონი და განკუთნებულნი გარემოსმისსა, ლებანა და განკუთნებულნი გარემოს მისსა“ და სხეაც ასეეე.

ტერმინი „საკუთრება“ ბ. ზრმმელის თხზულებაში გეხვდება იმ მნიშვნელობით, როგორც ჩეეულებრივ იხმარება. მას მოთხრობილი აქეს, რომ გ. ჩორჩანელმა, რომელიც შეილების ნაადრეეად დახოცვის გამო „შეილთაგან ოქერ და უქმ იყო“, სიკედილს წინ დაღებული ანდერძით „მამულნი... და მონაგებნი მისნი დასა მისსა შეჰეედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა“-ო. ცხადია, რომ აქ ნახმარი ტერმინი „საკუთრებით განთჳსება“ სრულ განუაზღერელ პირად კუთვნილებად გადაქცეეას ჰნიშნავს. ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ნახმარია ტერმინი „გასაკუთრება“-ც: „ჯოჭყარაჲს ძის გლეხისაგან ეიყიდე ნათხალი ეენაისაჲ, ჩუენ თანა ედეა, და გაეისაკუთრე და მიეეცი“ ამდენი და ამდენო.

რასაკვირველია, ეს სიტყეა პირეელად ამ ძეგლებში არ უნდა ეიგულისხმოთ ნახმარად, არამედ იგი აქ უკეე განმტკიცებულსა და მიღებულ იურიდიულ ტერმინს უნდა წარმოადგენდეს.

ამიგომ, თუ ამაზე უწინარეს არა, XI ს-ითგან მოყოლებული მაინც მისი არსებობა უცილობელ გარემობად უნდა მივიჩნიოთ. შემდეგში მხოლოდ ეს ტერმინი გაბატონდა. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ ძლევამოსილი მხედართ-მთავარნი და გამოჩენილი მებრძოლნი უხვად დაასაჩუქრა: „უბოძა გაჲი ქურდეჯჭარითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახეეროთა ქალაქებით, ციხეებითა და სოფლებითა“-ო.

ადამიანის პირადი საკუთრების აღსანიშნავად ერთ-ერთ ტერმინად ძველ ქართულში „საბეპურო“-ც გვხვდება. უკვე პროფ. ნ. მარს აქვს აღნიშნული, რომ „საბეპურო“ საკუთარსა ჰნიშნავდა და სომხურთგან ნათარგმნ თხზულებებში საკუთარს უდრის.

„საბეპურო“ ნაწარმოებია „ბეპუჲრი“-სგან, რომელიც სპარსულითგან ბჷირად შეთვისებული ტერმინია. სპარსულად „ვისპურ“-ი სახლისშვილსა ჰნიშნავდა და ქართულში „ბეპურ“-ის სახით, სომხურად „სეპუჲ“-ის სახით შემოვიდა და წარჩინებულთა და აზნაურთა გვარიშვილებს უწოდებდენ . მაშრობითი სქესის წევრებს „სეფე-წული“, მდედრობითისას „სეპურნი დედანი“ და „სეფე ქალნი“ პრქმვეიათ. სამეფო გვარეულობის უფლისწულებსაც საქართველოში VIII-IX სს-ში „სეფეწულ“-ებს ეძახდენ.

ამ ტერმინის აგებულების მიხდვით საფიქრებელია, რომ „საბეპურო“ თავდაპირველად უნდა მარგო „სეპუპრის“, ანუ წარჩინებული საგვარეულოს წევრის საკუთრების აღმნიშვნელი ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში როდესაც „სეფე“ უკვე უფლის აღმნიშვნელ ტერმინად მეიქმნა, „საბეპურო“ წარჩინებული საგვარეულოს, თუ მისი თვითეული წევრის საკუთრების აღმნიშნელი უნდა გამხდარიყო, მერმინდელი „სასეფო“-ს შესატყვისობა ყოფილიყო.

ეს გარემოება იმის შედეგია, რომ კერძო საკუთრება, რასაკვირველია, ჯერ წარჩინებულთა წრეებში უნდა გაჩენილიყო და მხოლოდ შემდეგში ამ პროცესს უფრო დაბლა მდგომ სხვა წოდებათა საგვარეულოებშიაც უჩინა თავი.

ვითარცა უცხო ენითგან შეთვისებული ტერმინითგან ნაწარმოები და წარჩინებული საგვარეულოების წეერთათვის მიღებული სიტყვა, საეჭვოა, რომ „საბეპურო“ მოგადი, მთელი მოსახლეობისათეს დაწესებული და „საკუთრები“ მოგადი ცნების გამომხატეელი ტერმინი ყოფილიყო. VIII-IX ს-ითგან მოყოლებული ეს ტერმინი თანდათან ქრება და მწიგნობრულ ტერმინად ხდება. მერჩენილია მხოლოდ ტერმინი „სასეფო“, რომელსაც პირადის მნიშვნელობა მიენიჭა. ადამიანის პირადი საკუთრების აღსანიშნავად „საბეპურო“-ს „საკუთარ“-მა სძლია.

ტერმინი „საბეპურო“-ს ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგეერკვია, თუ როგორ წარმოიშვა ტერმინი „სასეფო“ და საკუთრების ცნება. ამაეე მიზნის მისაღწევად, რასაკვირველია, ტერმინი „საკუთარი“-ს ძირითადი, თავდაპირეელი მნიშვნელობის გამორკვეეაა საჭირო. ცხადია, რომ საკუთარი, საკუთრება, განკუთენა ერთიდა-იმავე ძირისაგან წარმომდგარი ტერმინებია და ნაწარმოებია, როგორც სანუკვარი, თავსართი „სა“, „გან“-ისაგან, ძირისა „კუთ“-ისა-და-ბოლოსართების „არი“, „რება“ და „ენა“. ამ ტერმინების პირეელი მნიშვნელობის გაგება გაგეიადვილდებოდა, ამ ნაწარმოებთა ძირის მნიშვნელობა რომ გეცოდნოდა.

საბედნიეროდ „კუთენა“ ძველ ქართულში თავისდა-თავადაც იხმარებოდა. დაბადების თარგმანის წყალობით მისი მნიშვნელობა ირკვეევა.

ირკვევა, რომ ქართული „კუთნა“ ბერძნულისა და ლათინურის, სომხურის მსგავსად მსახურებას, თაყვანისცემას, ბრუნვას და მოელას ჰნიშნავდა. ამისდა მიხედეით „საკუთარი“ თავდაპირეელად მოსაელეის, საბრუნავისა და სათაყვანებელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად საკუთრება ის იყო, რაც საბრუნავი და მოსაელეი, თანაც სათაყვანებელი იყო იმ საერთოსა და ზოგადისა, საბიაროსაგან განსარჩევად, რომლისათეისაც თვითეულ წევრს საგანგებო მბრუნეელობა არ სჭირდებოდა. თუ „საბეპურო“ წარჩინებულთა საგვარეულოების წევრთა საკუთრების აღმნიშველი იყო, საკუთარი“ ამ ცნების ზოგადი თვისების საყოველთაო ტერმინი ჩანს და სწორედ ამით აიხსნება, რომ დროთა გამნაელობაში გამარჯვებული სწორე დეს ტერმინი აღმოჩნდა, „საბეპურო“-კი სრულებით გაქრა.

§ 2. მონაგები

„მონაგები“ უკვე საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში გეხვდება. მონაგები ყეელა იმას ეწოდებოდა, რაც „მოგებული“ იყო. ამასთანაეე მონაგები შეიძლება მოძრავიც ყოფილიყო, უძრავიც.

ძეგლებში დაცული ცნობებით უცილობლად მტკიცდება, რომ „მონაგები“ მარტო უძრავ-კი არ აღნიშნავდა ხოლმე, არამედ მოძრავსაც, განძეულობასაც. იოანე საბანისძეს მაგ. ნათქვამი აქვს: ნერსე ქართლისა ერის-მთავარს „ქუეყნად აფხაზეთისა... წარეგზაენნეს... დედაჲ და ცოლი და შეილნი და მონაგებნი და ყოველნი სახლისა მისისანი“-ო. რაკი უძრავის წარგზავნა არ შეიძლება, ამიგომ ცხადია, რომ ისტორიკოსს აქ მოძრავზე უნდა ჰქონოდა საუბარი.

რაკი „მონაგები“ მმნა „მოგებ“-ისაგან ნაწარმოები ვნებითი მიმღეობაა, ამიტომ მისი მნიშვნელობის მთელი რეალური შინარსის განსაზღერა თეით მმნის — მნიშვნელობის გამორკვეევაზეა დამოკიდებული.

„მოგებაჲ“ ძველ ქართულში შეძენას ჰნიშნავდა. ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ნათქვამია: „ძირგეულს ვიყიდე სეფესა ყანასა თანა ჭარტლის ძისაგან ყანაჲ, – ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარით ძმათა ჩემთა განძითა ვიყიდენ... და კლარჯეთს მოვიგე სოფელი ერთი სხლუვანი (სიც) და შაშეთს მოვიგე სოფელი დიდი სხლობანი, აგარა მისი ნაღუარევი, და ჯაყახეთს მოვიგე სოფელი დიდი ოროკანი აგარათა“.

ამავე ძეგლითგან შემომოყვანილზე უფრო საგულისხმო ცნობების მოყვანაც შეიძლება: „ძირგეულს ვიყიდე... ყანაჲ და მიეცე (აღნიშნულია, რაც მისცა ფასად) და მოწამე არიან კაცნი, მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ გრივისა ერთისა სათესაჲი და მოწამე არიან კაცნი... ფარსმანის ძეთგან ვიყიდე ორი ნაკვეთი ყანაჲ და მიეცე (ჩამოთელილია, სახელდობრ რა) და მოწამე არიან კაცნი“-ო.

ამგვარად, როდესაც სიგელის დამწერი „მოგება“-ზე ლაპარაკობს, მაშინ მხოლოდ მოწმეებს ასახელებს და არას დროს არ ამბობს, „მიეც“ ამდენი და ამდენიო, ხოლო როდესაც ნასყიდობაზეა საუბარი, მაშინ ასეთი ცნობა ყოველთვის მოიპოვება. ამიგომ შემომოყვანილი მაგალითების მიხედვით იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ „მოგება“ უგანძოდ შეიძლებოდა და „მოგება“ სყიდვით შეძენილობას არ ჰნიშნავდა, მოგება და სყიდვა სხვადასხვა ცნების გამომხატველი იყო.

მაგრამ ასეთი დასკვნა სწორე არ იქნებოდა, რათგან „მონაგები“ შეიძლება ნასყიდიც ყოფილიყო. მელქისედეკ კათალიკოზს მაგ. მცხეთის ტაძრისათვის შეძენილი უძრავი საკუთრების სიის შემცველ თავის 1020 წ. საბუთში ნათქვამი აქვს: „მონასტერნი და სოფელნი, რომელნი მომიგიან ამის წმიდისა დედაქალაქისათV ის“ და შემდეგ ცამოთელილია ნაბობებიც, ნასყიდიც, მონაგებიც. ხოლო მთელი შენაძენის სიის ბოლოში მელქისედეკ კათალიკოსი ამბობს: „ესე ყოველი სოფელი, რომელი მომიგია და რომელნი სოფელნი ძველად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, მესაჲალნი იყუნენ“-ო (ქკ'ბი II, 33). ამ ამონაწერითგან და მაგალითითგან ჩანს, რომ მონაგებად მესაძლებელია, მამასადამე, ნასყიდიც იგულისხმებოდეს. მაგრამ ამაჟე დროს ცხადია, რომ „მონაგები“ ყოველთვის ნასყიდობითს შენაძენს არ წარმოადგენდა.

„მოგებაჲ“ რომ ყოველთვის სყიდვს არ ნიშნავდა, არამედ სხვა გზითა და საშუალებითაც რისიმე, ან ვისიმე შეძენას, ამას ანტონ ჭყონდიდელის შესახებ შიომღვიმელთა ნათქვამისა და თამარ მეფის სიგელის ცნობის შედარება ცხადჰყოფს. შიომღვიმის კრებულს აღნიშნული აქვს: „გლეხნი ქოსაჲს ძენი ფუძედ ერთი, კუამლად: გ: (სამი), ვითა ამას სიგელსა შინა გაჩენით სწერია, მათგან (ე.ი. ანტონი ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესისაგან) მოგებული არის და წყაროეჲსთუს მიყენებული“-ო. ამ ქოსაჲს ძეთა შესახებ კი თვით თამარ მეფის 1202 წ. სიგელში ნათქვამია: მოვიდა ჩვენთან ვაზირი და ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი ანტონი და მოგვახსენა, რომ სხალტბის წყლის „სათავესა შედა გლეხი ჯ-და სასეფო“ და გკუთხოვა, რომ „მის წყლის მკაშმაედ იგი გლეხი სამკუიდროდ შესაწირავად მღუიმისად სულისა მისისათუის მას მიუბოძეთ“ და მისი ეს თხოვნა-მოხსენება შეეიწყნარეთ და „რომელი სხალტბას მის წყლისა მისგან მიღებულისა სათავესა ედა გლეხი ზის მიწად ერთი და კუამლად ორი ქოსაჲს ძენი საუკუნოდ მის წყლისა მკაშმაედ მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად მისდა მიგუითავისუფლებია“-ო. მაშასადამე ქოსაჲს-ძენი სასეფო გლეხები ყოფილან, ანტონ მწიგნობართ-უხუცესს თამარ მეფისაგან მათი მობობება და მიომღვიმის მონასტრისათვის წყლის მკაშმაედ შეწირვის უფლება გამოუთხოვნია. ამ ნებართვის თანახმად ანტონს ქოსაჲს-ძენი მონასტრისათუის შეუწირავს კიდეც. ამგვარად „მოგება“ აქ არც სყიდვას, არც გაცვლას არ ჰნიშნავს, არამედ მეფისაგან მობოძების გამოთხოვას ჰგულისხმობს.

ერთი სიტყვით, ძეგლებში გაფანტული ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ „მოგებაჲ“ და „მონაგები“ ზოგადი მნიშვნელობის მქონებელი ტერმინები იყო ყოველგვარი შენაძენის აღსანიშნავად, ნასყიდობის სახით იქნებოდა იგი, თუ სხვა გზით მოპოვებული.

„მონაგები“-ს ნიმანღობლიე თვისებას ის შეადგენდა, რომ „მომგებელი“-ს სრულს საკუთრებას წარმოადგენდა, თუ რომ ეს „მოგებული“ უძრავ-მოძრავი მემკვიდრეობითი აელადიდების, ან ნაწყალობევი ქონების შემოსავლითგან არ იყო შეძენილი ამას შემდეგი ცნობა ამტკიცებს. ბაგან აბულეთის ძეს თავის მეწირულების წიგნის ხელრთეაში აღნიშნული აქვს: სოფელ ანგროინის შიცემულ საფასურში „არია რთავეს ჩემის მამულისა, ჩემსა ნასისხლსა ბაღდადით მოგებულსა შეტი, – არცა რა ღ'სა სწორსა საქმე-ოც და არცა ჩემთა შეილთა და მომავალთა, არცა ვის სხუასა“-ო. ამგვარად რაკი ამ მონაგებში არავისი რაიმე განძი ერია, ამიგომ მასთან არავის „საქმე-უც“-ს, საქმე აქვს, ე.ი. უცილობელი და მოუღეავი საკუთრება იყო.

„მონაგები“-ს მნიშვნელობის შემომოყვანილი, საბუთების ცნობათა ანალიზით მოპოვებული, განმარგების სისწორეს ნათარგმნ ძეგლებში ნახმარი შესატყვისობათა გათვალისწინებაც ადასტურებს. ეს სიტყვა დაბადების ქართულ თარგმანში ორნაირი მნიშვნელობით გვხვდება: ერთის მხრით „მონაგები“ უდრის ბერძნულს და ლათინურს, ე.ი სამფლობელოსა და საკუთრებას.

§ 3. საკუთრების მიღება-შეძენის სამუალებანი

საკუთრება მარტო მემკვიდრეობითა და ანდერძებით მიღებულისაგან და მონაგებისაგან არ შედგებოდა. საკუთრების შესაძენად სხვა კანონიერი გზები და სამუალებაც არსებობდა: შესაძლებელია იგი, ან „ნაშოები“ ყოფილიყო, ან „ნაჭირები“, ან „სიგრძოთა ჟამთაჲთა“ უფლებულობის ძალით შეძენილი ყოფილიყო.

I. როგორც დაჲით აღმაშენებლის ანდერძის სიტყვებითგან ჩანს, თავის ნაშოვნად („რომელნი მიშოვებიან“) ის მიწები, ნიჟით უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი, რომელიც ან ძლევამოსილი ომებით საქართველოს სახელმწიფოს, ან კერძოდ მეომარს შეეძინა. ასეთ უძრაე-მოძრაეს „ნაშოები“ ეწოდებოდა. თუ დაჲით აღმაშენებლის ანდერძში უძრაეი იგულისხმება ნაშოებად, ძაგან აბულეთისძის შეწირულობის წიგნში მოძრაეი ქონების შესახებ არის საუბარი: შემომიწირაეს „სოფელი ანაროინი ჩემგან ნასყიდი, რომელი ჩემსა ბიძაჲს ძესა, გიორგის შვილსა ივანეს, გაეყიდა და მე ზედე უკ-მოეყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა (ე.ი. ფულით, ან განძეულობით). იცოდეს ღმერთმან, მუნ (ე.ი. ნასყიდობის საფასურში) ჩემითა კელითა ნაშოებისაგან კიდე არა ეისი ყოფილა ამის აღგილის სყიდვასა შიგა, ა მამულისაჲ და არ სოფელთაგან ანაღები: შეეწირე მოუდევრად ყოველისა კაცისაგან ...არავის რაჲ საქმე უც, არცა პატრონსა ღ'ს სწორსა ამას აღგილსა თანა, არცა ჩემთა შვილთა და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა“-ო.

ამ სიტყვებითგან სრული უუჭველობითა ჩანს, რომ თუ მამულითგან შეძენილი სახსრით მონაგების განთვისების უფლება შესაძლებელია შვილთა და მომავალთაგან, იმგვარადვე როგორც გვარის კაცთაგან, საცილობლად ქცეულიყო, ხოლო ნაწყალობეი ქონებითგან მიღებული სახსრით შენაძენი მთაერობას გაეხადა სათუოდ, „ნაშოები“ პირიქით მშოენელის მოუდევარსა და უცილობელს, სრულ საკუთრებას წარმოადგენდა.

ომიანობითა და ბრძოლის ველზე „ნაშოები“ უდრის რომაელთა სამართლის res hostiles .

2. მაგრამ „ნაშოები“, რასაკვირველია, მხოლოდ ომიანობის საშუალებით შენაძენს არ ჰნიშნავდა. შესაძლებელია ნამოები აღმოსნს ხანგრძლივი მფლობელობითაც მოქოვებინა საკუთრებად. უმეტეს შემთხვევაში ამ გზით შენაძენი საკუთრება პატრონთაგან მიტოვებული, ან აოხრებული აელაღიდება იყო ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ პატრონთა უყურადღებობით შესაძლებელია შენსა და კაცრიელ აღგილებსაც დაპპატრონებოდენ.

მიტოვებულსა და გაუკაცრიელებულ უძრაე საკუთრებას, თუ ქონებას ძველ ქართულში აგრეთვე „ოკერი“, „ოკერ-ქმნილი“ და „ნაოკარი“ ერქვა.

დაჲით აღმაშენებლის ისტორიკოსს ნათქვამი აქვს რომ მეფემ „აღაშენა ყოველი ოკერ-ქმნილი“.

ასეთი „დატევებული“, „ნაოკარი“, ან უპატრონოდ მიტოვებული უძრაე-მოძრავი, რომელსაც რომაელები res derelicta-ს უწოდებდენ, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ პირობებში შეიძლებოდა, რომ მის დამპატრონებელს თავის კანონიერ საკუთრებად მიეჩნია და სამართალსაც მის უცილობელ კუთვნილებად ეცნა.

ასეთ პირობებად კანონში დაწესებული იყო მიტოვებული, თუ უპატრონოდ დატევებული საკუთრების „უფლებულება“ ხანგრძლივად და „მიუმძლავრებელად“, ე.ი ისე, რომ ამ მფლობელობას ძალმომრეობისა და მიმძლავრების თვისება არ ჰქონოდა. ამ პირობას უნდა ცხადეყო, რომ დასაკუთრებული ნაქონები წინანდელ პატრონს მართლაც მიტოვებული ჰქონდა და თითონ სრულებით არ სარგებლობდა.

მაგრამ ამასთანავე ამ მფლობელობას უეჭველად ხანგრძლივი ხასიათი უნდა ჰქონოდა, „სიგრძოთგან ჟამთაჲსა“ ყოფილიყო. ამ მფლობელობის საკუთრებად ქცევისათვის ეს აუცილებელ პირობად ითვლებოდა. ეს საკითხი უკვე ებრაელთა სამართალში იყო გარდაწყვეტილი და იქითგან ქრისტიანთა სამართალშიაც შეითვისა. ამის შესახები დებულება მჯულისკანონშიაც არის შეტანილი და უფთუმე მთაწმიდელის „მცირე სჯულისკანონ“-შიც მოიპოვება.

ამ ძეგლებში ნათქვამია: „უკუეთუ ეკლესიასა... აქუნდეს აგარაკნი, ანუ სოფელნი, არა ვის კელმწიფების წარღებად ეკლესიისა მისგან, უფროსად უკუეთუ ოცდაათ წლამდე უფლებულ იყოს მის აგარაკისადა ეკლესია იგი მიუმძლავრებელად. უკუეთუ კულა შინაგან ოცდაათისა წლისა იქმნას რაჲ მის შორის იჭვი და ცილობა, კელეწიფების მოჭრტინავთა მათ, რომელნი იჩემებენ აგარაკსა მას ჭრტინვად... რათა გამოიძიონ ჭეშმარიტი და დაამტკიცონ იგი, გინა თუ ეკლესიასა მას შესწევდეს ჭეშმარიტება, გინა თუ მოჭრტინავსა“-ო.

მაშასადამე, VI მსოფლიო კრების ამ ჯ-ის ძალით, რომელიც ბერძნული ტექსტის § -ს უდრის, მიუმძლავრებელი მფლობელობის „ჟამთა სიგრძოი“ 30 წლის ეადით არის განსაზღვრული. თუმცა IX-XII ს.ს. სამოქალაქო სამართლის ქართული ძეგლები შერჩენილი არა გვაქვს, მაგრამ ერთის მხრით ეფთუმე მთაწმიდელის ზემოდასახელებული ნაშრომი, მეორეს მხრით ის გარემოება, რომ ბექა-აღბუღას და ეახტანგ VI-ის სამართლის წიგნებსაც ხანდაზმულობის საზღვრად 30 წელიწადი აქვთ მიღებული, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ასეთივე დებულება უნდა ყოფილიყო საქართველოში IX-XII სს-შიაც.

ზემოთნათქვამის შემდომ ცხადი იქმნება, რომ „სიგრძე ეამთაე“, რომელიც ქონებას საკუთრებად ჰხდიდა და რომელსაც ეხლა ხანდამულობა ეწოდება, რომაული სამართლის usucapio-s, longi temporis, ანუ longae possessionis praescriptio-ს უდრის.

3. დასასრულ, როგორც აღნიშნული გექონდა, საკუთრება შეიძლება „ნაჭირვები“-ც ყოფილიყო. „ნაჭირვები“ საკუთრების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენდა და ამიგომ საკუთრების აღმნიშნელი ტერმინების ქვეშდით ცალკე იხსენიება.

„ნაჭირვები“ შიომღვიმის მონასტრის კრებულისაგან ზოსიმე ბერისათვის მიცემულ საბუთში გეხვდება: „ნასყიდი და ნაჭირვები და დედული.– ყოველივე ესე თქუენ ამის კურკე კახთა მეფისა სამწირველოსა ზედა-მოჰკიდენით“-ო. ტერმინი „ნაჭირვები“-ს მნიშვნელობის გასაგებად ამავე საბუთში რამდენიმე საგულისხმო ცობა მოიპოვება: „მიწაე მალტამი კორდთა გაუტეხელი, უქმარი, საქმარად შეჰქმენით, დიდნი ჭირნი ჰნახენით“, „სახლ-კარი ააშენეთ და მოკიდებით ვენაკი კარგი, დიდნი ჭირნი ჰნახენით“-ო. ის, რაზედაც ადამიანს დიდი ჭირი უნახაეს, რასაკვირველია, „ნაჭირნახულევი“, ან შემოკლებით „ნაჭირვები“ იქმნებოდა. ზემომოყვანილი ამონაწერი ცხადყოფს, რომ „ნაჭირვები“ უხმარის სახმარად გახდასა და იწის პირველად დამუშავება-გამენებას პგულისხმობდა. კორდთა გაგტეხის შესახებ, პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ვერ ვიტყვით, რომ ამით დამშუშავებელს მიწის საკუთრების უფლება მიპნიჭებოდა. ეს დაუჯერებელიც არის: ალბათ, მას მხოლოდ გარკვეული უპირატესობა და სარგებლობის უფლება ექმნებოდა, მაგრამ ვენახის გამენება რომ არა-მემამულეს, ანუ არა-მესაკუთრეს გამენებული ვენახის ნახევრის საკუთრების უფლებას აძლევდა, ეს საბუთებით უცილობლად მტკიცდება.

შიომღვიმის მონასტრის ძმობისაგან ზოსიმე ბერისათვის მიცემულ საბუთში მაგ. შემდეგი ცნობები მოიპოვება: „მენის გამშრდელისა იოანეს მამას, უმბერს, კურიკული მიწაე აერო სამენებლად კელ-გიორგისა ძისა ვენაკის გუერდით დღისა ერთისაე და, რაე აღემენა, ორად გაეყო, ნახევარი იოანეს მამასა დაემჭირა, უმბერს, ნახევარი მიწის პატრონსა“-ო. რაკი ვენახი სწორედ იოანეს მამის, მუბერის, გამენებული იყო დამ ას გამენების შემდგომ ნახევარი ვენახი თითონ დაუსაკუთრებია, მეორე ნახევარი-კი პატრონისათვის მიუცია, ცხადი ხდება, რომ ვენახის გამშენებელს სამართალი გამენებულის ნახევრის საკუთრების უფლებას ანიჭებდა.

გამშენებელს, რასაკვირველია, შეეძლო თავისი ნახევარი პატრონისათვის დაეთმო, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ სამაგიეროდ ამ ნახევრის საფასურის მიღების შემდგომ. სწორედ ამით აიხსნება ის, რაც იმავე შემოდასახელებულ საბუთსა და კორიდეთის სახარების გიორგი ხუცესის შინაწერში ნათქვამია. პირველ ძეგლში, სახელდობრ, წერია: „საგლეხოსა ვენაკსა (იგულისხმება საევნახე მიწა) ზედა კაცნი ეინმე სხდომილ იყენეს არამემამულენი, მიწაე ვენაკად აემენა და იგინი კაცნი კიდე-წაეიდეს. ნამენებისა მათისა ნაცვლად... თექუსმეტი დრაკანი მიეცა მათ კაეთათჳს“-აო.

ხოლო გიორგი ხუცესს ნათქვამი აქეს: „მე გიორგი დავასხ (ე.ი. გავამენე) ვენაკი... სანაკეეროე... ნაკეერისა ფასი აეიღე დასაჯერებელი დრამაე.:. ი.:. (10) ათას“-იო.

ქონება

§ 1. ქონების რაობა

მამულსა და ქონებას გარდა, რომელნიც, როგორც დავრწმუნდით, არსებობდა ტერმინების მთელი რიგი, – „საქონებელი“, „საქონელი“ და „ქონებაე“, ან „ქონებანი“, რომელთა მნიშვნელობის განსაზღვრაა საჭირო.

„ქონება“ ყველა ის უნდა ყოფილიყო, „რაეცა რაე აქუნდა“ ადამიანს. მაგრამ მამულიცა და მონაგებიც „აქუნდა“ კაცს, ამისდა მიუხედავად ეს ტერმინები ცალკე იხსენიება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „ქონება“ მამულისა და მონაგებისაგან რაღაც განსხვავებული ცნების აღმნიშნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. რაკი მამული და მონაგები საკუთრებას წარმოადგენდნენ, ამიგომ საკითხი იბადება, „ქონების“ მამულისა და მონაგებისაგან განსხვავებულობა იმის მომასწავებელი ხო მარ უნდა იყოს, რომ „ქონება“ საკუთრებად არც ითელებოდა.

სპარსულად შეიძლება ითქვას, რომ „ქონებაე“ IX-XII სს. განმავლობაში სრულებით საკუთრებად არ არის ნაგულისხმევი, არამედ ეს ტერმინი მაშინ დროებითი მფლობელობისა და მქონებლობის აღმნიშნელი იყო. ასეთი ქონების განთავისების, გაყიდვისა, თუ შეწირვის უფლება „მქონებელ“-ს არ ჰქონდა, თუ რომ, რასაკვირველია, ამ საკუთრების პატრონისაგან წინასწარ საამისოდ ნებართვა არ ჰქონდა მიღებული. „ქონება“ შეიძლება მქონებელისაგან ნაწილობრივ შეწირული, ან გაცვლილიც ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ „პატრონთა კითხვითა და ბრძანებითა“.

„ქონების“ ფლობა ან მხოლოდ დროებითი იყო ხოლმე ისე, რომ ამ-დროინდელ მქონებელს „შემდგომი მქონებელნი“ ერთი მეორეს მიჰყოლოდენ, ან „მამულობით“ და „მკვიდრად“, ე.ი. მემკვიდრეობითიც, სანამ საკუთრების პატრონნი „მქონებელს“ ამ თავიანთი საკუთრების „ქონების“ უფლებას არ გადასცემდენ.

„ქონების“ ცნების ასეთი თვისება და შინაარსი მანდატურთუხუცესი ჭიაბერის შიომღვიმისათვის მიცემული შეწირულობის წიგნითაც საუხოოდ მტკიცდება. ჭიაბერს თაეის ამ საბუთში ნათქვამი აქვს: „ჩემსა ჟინოვნისა ქონებასა შინა ვაკიდე და მოვაკსენე ღ'თისა სწორსა მეფეთა-მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხეითა გაკიდე და მოგაკსენე“ შიომღვიმის მონასტერს „ჟინოვნით მიხითარიას ძენი დაეითის შეილნი უქროი და მახარაი, ბრაჭი და იოანე მათითა სახლითა და მამოლითა, ნასყიდითა და უსყიდელითა“.

ჭიაბერის ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ ჟინუანის მისგან „ქონება“ მას მაინც უფლებას არ აძლევდა, რომ ჟინვანელი მიხითარაის ძენი მათი სახლ-მამულითა, ნასყიდ-უსყიდელით მონასტრისათვის შეეწირა. ამისთვის თურმე თამარ მეფის საგანგებო „კითხვა“, ანუ ნებართვის აღება, და „ბრძანება“, ანუ დასტური იყო საჭირო. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ჭიაბერის ჟინუანის „ქონებას“ კერძო საკუთრების თვისება არ ჰქონია.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ასეთი გზით მოპოებული ამ თავისი ქონების შეწირულების შეუფალებლობის იმედი და რწმენა ჭიაბერს მხოლოდ იმიტომ ჰქონია, რომ ამ ქონების შეწირვა მეფის დასტურით გაუბედნია.

ეს გარემოება მას თითონვე აქვს საბუთად დასახელებული: არა შეგეცვალოს“ ეს შეწირულება „ჩემგან, არცა შემდგომად ჩემსა ჟინოვნისა მქონებელთაგან რაითგან მე პატრონთა ღ'თისა სწორთა ბრძანებითა და კითხვითა მიქნა“-ო.

სწორედ ჟინუანის ჭიაბერის „შემდგომად“ ერთი „მქონებელთაგანი“ უნდა იყოს ის მოთაი, რომელსაც ჭიაბერის წიგნი დაუმტკიცებია: „ქ: მე მოთაი ჩემს ჟინოვნის ქუნებასა შიგა ამას ეამტკიცებ, ეიგა ამას შიგა სწერია“-ო. თ. ჟორჟანია ფიქრობდა, რომ „ეს მოთა უნდა იყოს რუსთველი: სხვა მოთა ისტორიულ პირთ შორის არ ჩანს თამარის დროს“-ო. ამაეე აეტორის აზრით, „ალბათ ჭიაბერის მეწირულობაში შეცთომით ჩაპყოლია მოთას მამული ჟინეანისა და მოთასაც დაუთმია ეკლესიისათვის“-ო.

მოთას მემომყუანილი ხელრთვითგან არ ჩანს, რომ იგი აუცილებლად უნდა თამარ მეფისა და ჭიაბერის თანამედროეედ ეიგულისხმოთ. უეჭველია ის ჟინუანის მერმინდელი, ჭიაბერის მემდგომ, მფლობელი უნდა ყოფილიყო. ცხადია მაინც-და-მაინც, რომ მისი ხელრთვა იმიტომ კი არ ამმენებს ამ საბუთს, რომ „მოთას მამული“ ჭიაბერის მეწირულებაში ვითომც, „მეცდომით ჩაპყოლოდეს“, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჭიაბერის „მემდგომად ჟინოვნისა მქონებელთა“-განი ყოფილა. ეს გარემოება ყეელასთეის აუცილებელი მეიქმნება. ვინც თვით ჭიაბერისა და მოთას სიტყვებს ერთი მეორეს შეადარებს.

თ. ჟორჟანაას დებულება იმიტომაც უნდა მცთარად მიეიჩნიოთ, რომ მოთას ხელრთვაში მის „მამულ“-ზე არაფერია ნათქვამი. პირიქით მას გარკეეით აქეს აღნიშნული, რომ ჟინუანი მის მამულს-კი არა, არამედ „ქუნებას“-ს, ე.ი. ქონებას შეადგენდა, რაც, როგორც დავრწმუნდით, სრულებით „მამულს“ ანუ მამაპაპეულ საკუთრებას არ ჰნიშნავდა. მოთას თავის ხელრთვაში გამოცხადებული აქეს მხოლოდ: „ჩემს ჟინოვნის ქონებასაც შიგა“, მეც „ამას (ე.ი. შეწირულებას) ეამტკიცებ, ეიგა ამას შიგა (იგულისხმება საბუთში) სწერია“. ერთი სიტყვით, მოთა ამბობს, რომ იმ დროს, როდესაც ჟინუანი მას ჰქონდა, ჟინუანის მქონებელი იყო, მანაც ჭიაბერის შეწირულება უცელელად დასტოვა და დაამტკიცა.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქონება კერძო საკუთრება-კი არ იყო, არამედ მფლობელობა, ე.ი. უღრის ის, რასაც რომაელები უწოდებენ possession naturalis,in possessione esse, detinere, რასაც ფრანგულად possession naturelle, possession corporelle, detention, გერმანულად der Besitz-ი ჰქვიან.

§ 3. ქონება დროებითი და სამამულოდ და მკეიდრად

„ქონება“ შეიძლება ადამიანს, ან მხოლოდ თითონ განსაზღვრული ვადით ჰქონებოდა, ან თაეისი მემკეიდრეებისათვის გადაცემის უფლებითაც-კი.

როდესაც ქონებას მარგო იმ პირს პირადად-კი არა, არამედ მის მთამომავლობასაც აძლეედენ, მაშინ საბუთში უნდა აღნიშნული ყოფილიყო, რომ მიცემული იყო „ყოველთა მომავალთა მათთადა“, მკვიდრად და მამულობით, „სამამულოდ და მკუდრად“, როგორც მაგ. შიომღვიმის კრებული ტოხაძის ძეს იოანეს, ნიკოლოზს და ნიანიას საბუთში უწერდა: თქეენ „ჩუენცა მოგეცით სამამულოდ და მკუიდრად... გიბედნიეროს ღმერთმან თქეენ ტოხაძისეთა იეს, ნიკოლოზს და ნიანიას და ყოველთა ძმათა და შეილთა და მომავალთა თქუენთა“. ასეთია საბუთის მოწმე-დამამტკიცებელნიც თავიანთ ხელრთვაში ამ ფორმულას იმეორებდენ ხოლმე. მაგ. ამაეე ტოხაძისეს წყალობის წიგნსა და სიმტკიცეი ერთ-ერთ მოწმეთაგანს ნათქვამი აქეს: ესე, ეიგა წ-თა და ღ-თ-შემოსილთა მამათა და ძმათა ამის უდაბნოსათა ტუხუის ძისადა და ყოველთა მომავალთა მათდა კრკე მეფისა სამწირეელოს მკუიდრად და მამულობით უბოძებია, მეცა უნდოი მემღუმე მოწამე ვარ“-ო.

მაგრამ „მამულობით“, ან „მკუდრად და მამულობით“, გინდა „სამამულოდ და მკუდრად“, თეით „ყოველთა მომავალთა მათთადა“, ე.ი. მემკეიდრეობით მიცემული უძრავი ქონება მაინც

არც მისი მიმღების, არც მის შთამომაელობის კერძო საკუთრებად არ ხდებოდა. ეს გარემოება სრულის სიცხადით შიომღვიმის კრებულისგან ტოხაჲსძეთათვის მიცემული საბუთით მტკიცდება.

ამ საუანის ძმობამ ტოხაჲსძეთ მისცა „სამამულოდ და მკუდრად“ ჯერ კიდევ კურკეკახთა მეფისაგან შემოწირული „მთათა შინა დათი და ბართა შინა რუეთი“ ორი ფუძის მქონებელი გლეხითურთ ყველაფრიანად. მაგრამ ტოხაჲსძეთა ამ უძრავ ქონებასთან უფლებაცა და მის ფლობასთან დაკავშირებული მოვალეობანიც იმავე მიცემულობის სიმკაცრის წიგნშია განმარტებული. მათი უფლების შესახებ კრებულს ნათქვამი აქვს: „ეითარცა გინდეს, ეერცეა იმსახურებდით და ედეას ღალაჲ ნათხალი თქუენთჳს მოსახუედრებელად და რაჲზომიცა მსახური გინდეს, მუნით იმსახურებდით“-ო. სხვაურივ „არაოდეს რაჲ საქმე გუედვას არცა ჩუენ და არცა ჩუენთა შემდგომთა“-ო.

ტოხაჲსძეთა ამ ორ სოფელზე უფლების ზემომოყვანილი განსაზღვრითგან ჩანს, რომ მათ საკუთრების უფლება არ ჰქონიათ: არც გაყიდეის, არც გაცელის უფლებაზე იქ არაფერია ნათქვამი. ქონებრიეად მათი მოხმარება-გამოყენების უფლების საზღვრებიც წინდაწინე ერთხელ-და-სამუდამოდ განსაზღერულია: ტოხაჲსძეთ მხოლოდ ღალის აღება შეეძლოთ, ე.ი. სასოფლო მეურნეობის მოსაელის გარკეული რაოდენობით უნდა ესარგებლათ. ამ მოსაელის მათი ხეედრის კანონიერი რაოდენობა, „მოსახუედრებელი“-ც არის აღნიშნული „ღალაჲ ნათხალი“, ე.ი. მოსაელის ერთი მეოთხედი.

ამას გარდა, ტოხაჲსძეთ ამ ორი სოფლის ორი ფუძე გლეხის შრომის გამოყენების უფლებაც მიენიჭა: მათ, „ეითარცა გინდეს, ეერცეა იმსახურებდით“-ო. მაგრამ ამის მომდეენო წინადადება ასეთ ფართო, განუსაზღერელ უფლებას შემდეგი განმარტებით ზღუდაეს: „რაჲზომიცა მსახური გინდეს“, იგულისხმება, რასაკეირველია, დაკისრებული მოვალეობის ასასრულებად, „მუნით იმსახურებდით“-ო.

მამასაღამე, ტოხაჲსძეთა უფლება ამ „სამამულოდ და მკუდრად“ მოცემულ ქონებისადმი, ორი სოფელის მოსაელის ერთი მეოთხედის აღებასა და დაკისრებული საქმისათეის საჭირო მსახურთა გამოყვანას არ სცილდებოდა.

ტოხაჲსძეთა მოვალეობას კურკე კახთა მეფისა „სამწირეელჲ“ შეადგენდა: მისი სახსენებლისა და წირეის ყოველწლეიურად გადახდა. სიმკაცის წიგნში ამაზე ნათქვამია კიდეც: „უეთუ ხუცესი არა იყოს, ტრაპეზე გარდაიკადებოდეს კურიე კახთა მეფისათჳს“-ო.

ამას გარდა ტოხაჲსძენი ვალდებულნი იყუნენ მათთან სოფელში მისულ მღეიმელთათეის „ძღუენი“ მიერთმიათ: „ოდესცა მიეიდეთ, ძღუენნი მოგუერთმეოდეს“-ო.

დასასრულ, რასაკეირველია, უძრაეი ქონების მიმცემი დაწესებულების „ერთგულობა“ ედვა ეალიდ: „გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ტოხაჲსძეთჳ... და მომაეალთა თქუენთა უკუნითი უკუნისამდე ერთგულებასა შინა წ-ისა ამის უდაბნოჲსა“-ო.

ცხადია, რომ ყველა ასეთი მოვალეობა მესაკუთრეს არ შეიძლება დაკისრებული ჰქონოდა.

კანონიერი გზით მიღებულ-მშეიენიერ ქონებას გარდა შესაძლებელია, რასაკეირველია, უკანონოდ და ძალმომრეობით დაჭერილი და მიგაცებულიც ყოფილიყო ისეთ პირთაგან, რომელნი იჩემებენ. ასეთ ქონებას ეწოდებოდა „ქონებაჲ საავამაკოჲ“, ან „ქონებაჲ წარტყუენილი“. დაეით აღმამენებელს 1123 წ. ანდერძში მოთხრობილი აქვს: ძაგანს „მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს და წილკანი საყდრისა მონასტრისა, რაცა იყო, მთასა ციხე მარანი, ანუ მაგურე იგი სოფელი და მღუმე მონასტერყ შიგან ციხედ და საღგომად ჰქონდეს. თბთ ოდეს მოიქეცეს სალმთა მისი თაესა მისსა, ყოველი ყოველთაე უკუნით ეცით ნაქონები მისა მიმართ თუსებული და მღუმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილნი“-ო.

ძაგანს ეს „ქონებანი“ მცხეთის და შიომღვიმის მონასტრისათეის დაუჭერია (დაემჭირნეს) და ამ დაწუსებულებათა „ნაქონები“ მიუთვისებია, როგორც ჩანს, გარეგნული ფორმალობის დაცეით („მისა მიმართ თუსებული“) და განსაზღერული ვადით, ეტყობა, სანამ ცოცხალი იყო. ამ ქონების ასეთი მოეერაგების წყალობით ხელში ჩაგდებულობის გამო, დაეით აღმამენებელი ძაგანის ამ „ქონებას“ საავაზაკოდ და წარტყუენილად სთელიდა.

§ 3. საქონებელი და საქონელი

„ქონებას“ გარდა ძეგლებში, მეგაძრე იურიდიულ საბუთებში, ეხეედება ტერმინები „საქონებელი“ და „საქონელი“. მეორე ამ ორ სიტყვათაგანი ისედაც ჩეულებრიეი ტერმინი იყო და მისი მნიშენელობა ნათარგმნ თხზულებათა წყალობით შედარებით ადეილი გამოსარკეევია, მაგრამ სამაგიეროდ პირეელი ნათარგმნ ძეგლებში, თუ არ ეცდები, არა ჩანს, ან იშეიათი სტუმარი უნდა იყოს. ეს გარემოება და იურიდიული საბუთების სიმცირის წყალობით ძეგლებშიაც მკაფიო ცნობების უქონლობის გამო, ამ ტერმინის მნიშენელობის ზედმიწეენით განსაზღერას აძნელებს.

ერთი მხრით „საქონებელი“ უძრაეის აღმნიშნელი გამოდის. ეს გარემოება შემდეგი ცნობებით მტკიცდება.

დავით აღმაშენებლის 1123 წ. შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ნდერძში სწერია: „ვიგა იოანეს ქართლისა კათალიკოზსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან, მღუმესა სასჯულოჲ სამრებლოჲ არს... თუთ მემღუმისა დიაკონმან მოისამართლოს“-ო.

ამგვარად „საქონებელ“-ად აქ სოფლები და აგარაკებია დასახელებული.

მეორე მხრით „საქონებელი“ მოძრავ ქონებასაც ჰგულისხმობდა, როგორც აღამიანებს, ყმებს, ისევე პირუტყვებსაც. ეს გარემოება გიორგი III-ის 1170 წ. სიგელის შემდეგი სიტყვებით ირკვევა:

„ესე ყოველნი მათნი საქონებელნი შეუვალ-გუიქმნიან ყოველისა მესაელისაგან“. „უდაბნოი მღუმე პირველად და მერმე საქონებელნი მათნი უბაჟონია ჩვენსა სამეფოსა შიგან ყოველგან. და ჩუენცა გაგუითავისუფლებია ბაჟისაგან ვაჭარნი მათნი“. რაკი გიორგი III-ეს ნათქვამი აქვს, რომ შიომღვიმის მონასტრის „საქონებელი“ წინათაც შეუვალი და უბაჟო იყო და ამ უპირატესობას იგი მონასტერს კლავე უმტკიცებდა და ამასთანავე ნათქვამი აქვს, რომ ის ბაჟისაგან შიომღვიმის სავანის ვაჭრებს, გლეხებსა და ცხუარს ათავისუფლებდა, ცხადი ხდება, რომ „საქონებელ“-ად ამ შემთხუევაში სწორე დეს ყმა ვაჭარ-გლეხები და ცხერის ფარა იგულისხმებოდა.

ბემომყუანილი მაგალითებითგან ჩანს, რომ „საქონებელი“ შეიძება უძრავიც ყოფილიყო და მოძრავიც.

იმ საკითხის გამოსარკუევად, თუ არსებითად რის აღმნიშნელი იყო „საქონებელი“, სანიეთო სამართლის სახელდობრ რომელი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო, დავით აღმაშენებლის შიომღვიმის მონასტრისადმი 1123 წ. ბოძებული ანდერძის შემდეგი ცნობების მოყუანა შეიძლება. მეფეს ნათქვამი აქვს: როგორც შიომღვიმის მონასტრის, ისევე „მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს“ ბაგანს და „ყოველი... უკუნით ეცით ნაქონები მისა მიმართ თუსებული და მღუმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილნი“. ამ სიტყვითგან ჩანს, რომ მცხეთის „საქონებელნი“ ბაგანს მძლავრობითა და მოეერაგებით დაუჭერია და ხელში ჩაუგდია. დავით აღმაშენებელი ბრძანებდა, ეს ბაგანისაგან მითვისებული სოფლები წინანდელი მფლობელებისათვის უკანეე დაებრუნებინათ. აღსანიშნაია, რომ ეს თავისი განკარგულება ამნაირად აქვს გამოთქმული: დაუბრუნეთ „მღუმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილნი“ ბაგანისაგანო. თუ პირველად „საქონებელნი“-ა ნახმარი, მეორეჯერ უკეე „ქონებანი“. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ ორ ტერმინს ერთნაირი მნიშნელობა ჰქონია და ერთი მეორის მაგიერ იხმარებოდა. რაკი „ქონება“ სახელმძნა იყო და ცნების შედმიწევნით აღნიშვნისათვის-კი ბოგჯერ მჭნა, ბოგჯერ-კი პირიქით არსებითი სახელი იყო საჭირო, შესაძლებელია ამიგომ შეიქმნა ტერმინი „საქონებელი“-ც.

„საქონებელი“-ც „ქონება“-ვით მქონებლის კერძო საკუთრებას არ წარმოადგენდა, არამედ ამ საქონებლის და ქონების მბობებელისა, თუ მიმცემისას. ამას 1263 წ. ახლო ხანის საეკლესიო კრებაც ადასტურებს. მეწირულებისა და წყალობის სახით ეკლესია-მონასტრების ქონება და საქონებელი რომ ულუ-დავითსა და საქართველოს მთავრობას სხეებზე გაუცია და ეკლესიას ამ ქონების უკან დაბრუნება უთხოვია, ამ ქონება-საქონებელთა ახალი მფლობელნი თურმე ასეთ პასუხს აძლეედენ: ამას გუეუნებიან მქონებელნი და მნებელნი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისანი: „პატრონი არ დაგუაღებინებს და არ წაგუიღებს, რომელსა სიგლითა უბოძებია, და თქუენ არ დაგიდებთ და არც გუემართლებით დაღებინებასა“-ო. მაშასადამე, „საქონებელთა“ და „ქონების“ პატრონი ის პირი, ან მისი კანონიერი მთამომაეალი იყო, „რომელსა სიგელითა უბოძებია“. ამ ქონების „დადებინების“ უფლება მხოლოდ მას ჰქონია.

„ნაქონები“, როგორც თვით აგებულებითგანაც ჩანს, თავდაპირველად ისეთი ქონების აღმნიშნელი უნდა ყოფილიყო, რომელიც წინათ ერთ პირს, ან დაწესებულებას ჰქონდა, ხოლო შემდეგ კანონიერად, თუ უკანონოდ სხეის ხელში გადაეიდა. მაგრამ შერმე ეს ტერმინიც საერთოდ „ქონების“ მნიშნელობითაც იხმარებოდა.

„არავის კელ-ეწიფების კათალიკოსთაგანსა, აღესრულოს რაჲ ეპისკოპოსი სამრეველოჲსა მისისა და თუსსა საუნჯესა დადება მიხუეჯით, არამედ მიეცინ ყოველივე სამარხველად (ე.ი. შესანახავად) ხუცესთა მისე საეპისკოპოსოჲთა, ეიდრემდის სხუა ეპისკოპოსი დადეც და მიიღოს საკმარი იგი და აკმარის თუსსა ეკლესიასა“-ო.

„საქონელი“ საბუთებში უფრო ხშირი ტერმინია. ამ ძეელებში უძრაეი ქონების გვერდით „საქონებელი“-ც არის ხოლმე დასახელებული, მაგ. XI ს. საბუთში გიორგი II-ეს ნათქვამი აქვს: „სოფელნი და აგარანი მათნი და ყოველნი საქონელნი მათნი, რომელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან სახელდებით ესე: აგარაი ციხედიდს, გლეხნი და მიწაი, – ნიჩბისს გლეხნი და მიწაი“ და სხეა.

რაკი სიგელში ცალცალკე სწერია, – „სოფელნი და აგარანი მათნი და ყოველნი საქონელნი მათნი“, – ცხადი ხდება, რომ სოფელ-აგარანი სხეაა და „საქონელი“ კიდეე სხეა რამე უნდა ყოფილიყო. ხოლო, რათგან სოფელ-აგარათა სახელით აქ უეჭეელია უძრაეი ქონებაა ნაგულისხმეევი, ამიგომ საფიქრებელია, რომ „საქონელი“ უძრაეი ქონება არ უნდა ყოფილიყო. მომდეენო განმარტებაში-კი ნათქეამია: „სახელდებით ესე“ – ციხედიდს „აგარაი... გლეხნი და მიწაი, – ნიჩბისს გლეხნი და მიწაი“. რაკი გამონათქეამები „აგარანი და მიწაი“ ბემოანიშნული გამონათქეამის „სოფელნი და აგარანი“-ს მესაკყვისობას წარმოადგენენ, „გლეხნი“ ამ უძრაეი ქონების მოსახლე ყმათა აღმნიშნელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად თუმცა ირკეევა, რომ

„საქონებელნი“ უძრავ-კი არა, არამედ მოძრაჲი ქონების გამომხატველი იყო, მაგრამ ამ ძეგლითგან არ ჩანს, თუ სახელდობრ რანაირი მოძღაი ქონება იგულისხმებოდა.

მხოლოდ სხეა ძეგლებითგან და საბუთებითგან ცხადი ხდება, რომ „საქონელი“ ძეელად მოძრაჲი უსულო საგან-ნივთების აღმნიშნელი უნდა ყოფილიყო. გიორგი III-ეს მაგ. ერთ თაეის სიგელში ნაბრძანები აქეს: მიომღეიმის მონასტრის ქურდ-გლეხის „საქონელსა თანა არია საქმეუც ჩუენთა მარაეთ-მეძებელთა, თუით მემღუმისა ქელისუფალმან თაეი ნაპარეესა პატრონსა შეუქციენეს და სამართალი... უდაბნოსთუის აიღოს“-ო. რაკი მოპარეა მხოლოდ მოძრაჲი საკუთრებისა და ქონების შეიძლება, ამიტომ ცხადია, რომ „საქონელი“ აქ მოძრაეად არის ნაგულისხმეი. რასაკეირეელია, შესაძლებელია სულდგმული საქონელიც ყოფილიყო, მაგ. ყოელგეარი მინაური პირუტყეიც, და უსულოც, მაგ. ნივთები, აეეჯეულობა, სურსათი და სხეა.

„საქონელი“-ს მნიშეენობის გასაგებად უნდა ბ. ბარძმელის ერთი ცნობა იყოს მხედეელობაში მიღებული, რომ ჯ. ჩორჩანელმა თეის დისწულებს უანდერძა „აგარაკნი მრაელობით და სიმრაელე საკედართა და მროწლეთა“. „საკედარი“ მამინ შესაჯდომი პირუტყეის აღმნიშნეელი იყო. ხოლო „მოწლე“ თუმცა ნახირის მნიშეენელობით გეხედება ძეელებში, მაგრამ ბ. „ბარძმელს ამ წინადდებაში, უეჭეელია, სახედარივით რომელიღაც მინაური პირუტყეის ტერმინად უნდა ჰქონოდა ნაგულისხმეი, იქმნებ მსხეილი რქოსანისად. მაგრამ თაეიდა-თაეი ისაა, რომ „საქონელი მრაჲაღური“ ცალკეა მოხსენებული, სახედართა და მროწლეთა სიმრაელე კიდეე ცალკე. ცხადი ხდება, რომ სახედარ-მროწლეები მრაჲაღური საქონელის ცნების მინაარსს არ წარმოადგენდა. ეს გარემოება და თეით გამონათქუამი „საქონელი მრაჲალ-ფერი“ და არა მრაჲალგეარი გეაფიქრებინებს ამ შემთხეეეაში, რომ „საქონელი“ უფრო უსულო საგნების, ან ნივთების, ქსოეილ-განძეულობის, ეგების, მასალისაც, აღმნიშნეელი უნდა იყოს.

ასეეე ესმოდა ამ ტერმინის მნიშნეელობა სახელოვან ქართეელ ლექსიკოგრაფსაც.

ს. ორბელიანს „საქონელი“ განმარტებული აქეს, როგორც „უსულო ხეასტაგი“. ხოლო ხეასტაგი მისსიეე სიტყეით იყო „საქონელი და საყოლეი“, ე.ი. მოძრაჲი ქონება, სულდგმული (საყოლეებელი) და უსულო. მამასადამე საქონელი საბას უსულო მოძრაე ქონებად მიაჩნდა. თანამედროეე ქართულში-კი ამ სიტყეას მოძრაჲი, როგორც სულდგმულისა (პირუტყეები), ისეეე უსულო ქონების (ნიეთეულის) მნიშნეელობა აქეს. ცოცხალ თანამედროეე ხალხურ ენაში ამ ტერმინის ასეთი ორნაირი მნიშნეელობა გეაფიქრებინებს, რომ ძეელ ქართულშიც ამ სიტყეას შესაძლებელია მოძრაჲი სულდგმული ქონების, სახელდობრ პირუტყეის, მნიშნელობაც ჰქონოდა.

როგორც გამოირკეა, „ქონება“ საკუთრებას არ წარმოადგენდა, არამედ დროებითს, ან მემკეიდრეობითს მფლობელობას. მის მქონებელს მისი გამოყენებისა და გარკეული პირობით მემოსაზღით სარგებლობის უფლება ჰქონდა, ე.ი. ქონება სახმარებლად ეძლირა. ეს აზრი თეით იმდროინდელ ძეგლებშიაც მოიპოეება და „საქონებელი“-ს შესახებ არის აღნიშნული გიორგი III-ის ერთ სიგელში. იქ ნათქეამია: „ეითა კათოლიკე ეკლესიათა აქუს საკმარებელად რაიცა საკმარებელსა შესაელისაგან“-ო. მამასადამე, „საქონებელი“ და „ქონება“ მის მქონებელს „საკმარებლად“ ჰქონდა, „საკმარებელი“ იყო და ხმარების უფლება ეკუთენოდა.

§ 2. ნაქმნარი და წერილობით მის აღმებჭდელი საბუთის კანონიერი ფორმა

ყოველ ორ მხარეს შორის სანიეთო სამართლის სფეროს მომწესრიგებელი, ან ახალი უფლებრივი მდგომარეობის დამამყარებელი ნებისყოფის გამოხატულება „ნაქნრად“, ან „ნაქმრად“ ყოფილა მიჩნეული. ტერმინი „ნაქნარი“ და „ნაქმნარი“ რასაკეირეელია პირეელადი „ნაქმნარი“-საგან არის წარმომდგარი.

ბაგრატ IV-ეს თაეის 1060-5 წ. ოპიზართა სიგელში ნათქეამი აქეს: „ვიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბირეეანი სოფელი და მიეეც ოპიზართა საგრაეფოდ... ნუ ვინ კელპყოფთ შლასა და შეცდალებასა ამისსა და უკუეთუ ვინმე– ამას ნაქმნარსა ჩუენსა აქცეეღეს–, ჩემი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან“-ო.

გრიგოლ ქართლისა ერისთაესაც თაეის ანდერძში მიომღვიმის მონასგრისადმი მიძღენილი შეწირულობის შესახებ აღნიშნული აქეს: „რამანეა გუარმან კაცმან აქციოს ესე ჩემგან ნაქმარი– სისხლთაცა ქრისტეს ღთისათა მწცეელად წარადგინენ დღესა მას განსჯისასა“-ო.

ორი სხეადასხეა დროისა და სხეადასხეა უფლებრიეი მდგომარეობის პიროენების საბუთში ამ ტერმინის ნახმარობა ცხად-ყოფს, რომ „ნაქმნარი“ შემთხეეითი ტერმინი არ არის და მიღებული უნდა ყოფილიყო.

როგორც უკეე აღნიშნული გექონდა, უფლების ქცეეელობისა და მოუდეერობისათეის აუცილებლად საჭირო იყო, რომ უფლების აღმებჭდელი და დამამტკიცებელი საბუთი სამართლის ყეელა მოთხოვნილების თანახმად ყოფილიყო მედგენილი. მონაგებისა და ქონების შესახებ სანივთო უფლების საბუთი ორ მხარეს შორის ადებულ მეთანხმებას, ან ხელშეკრულებას წარმოადგენდა, ამიტომ:

1. ასეთ საბუთებში ნაქმნარის ორთაეე მონაწილის, ერთის მხრით უფლების დამთმობის, მეორეს მხრით უფლების შემძენელის, ვინაობა უნდა ყოფილიყო აღნიშნული. საკორპორაციო

დაწესებულებათა საკუთრება-ქონების პატრონად ის წმინდანი ირიცხებოდა, რომელიც მის მფარველადაც ითელებოდა და რომლის სახელობაზეც იგი აგებული, ან დაფუძნებული იყო. ამის გამო სამონასტრო საკუთრება-ქონების უფლების აღმბეჭდველი საბუთები ისე უნდა ყოფილიყო დაწერილი, რომ უფლების მიმღებად, ახალ მესაკუთრედ და მომგებელ-მქონებელად საეანის მფარველი წმინდანი ყოფილიყო აღნიშნული.

ამის დამამტკიცებელი მაგალითები საბუთებში მრავალია, რომელთაგან ორიოდეს დასახელება-მოყვანა შეიძლება. „დაწერილი ესე დაგიწერე და მოგაკსენე მე მანდატურთ-უხუცესმან და ამირსპასალარმან ჭიაბერმან პირველად შენ, სასოსა და შესაევდრებელსა წასა მამასა მიოს და შენ მიერ აღმენებულსა უდაბნოსა მღუიმესა დამ უნ შინა დამკუიდრებულთა ყოველთა მამათა და ძმათა“.

მეორე-ჯერ ამავე საბუთში შემწირველი მიიმღვიმელს, ვითარცა შეწირულების მიმღებს, უკვე პირადად მიმართავს და ეუბნება: „გკადრე და მოგაკსენე შენ, წასა მამასა მიოს, და შენთა ცრემლთა მიერ აღმენებულსა უდაბნოსა მღუიმესა და შენ შინა დამკოიდრებულთა მამათა და ძმათა ვინოვანით მიხითარის ძენი“-ო.

თამარ მეფესაც თაეის 1202 წ. მიო მღვიმის მონასტრისათვის ნაბოძებ სიგელში ნათქვამი აქვს: „ჰქონდეს იგი (იგულისხმება სხალტბის) წყალი და გლეხნი ქოსოს ძენი,– სასოსა და მფარველსა ჩუენსა წმიდასა მამასა მიოს და სამლოცველოსა ჩუენსა მონასტერსა მღვიმესა“-ო.

2. „მამულობითი“, ანუ შემკეიდრეობითი ძალის მქონებელი ხელშეკრულებისა, თუ ნაქმნარის აღმბეჭდელი საბუთი მარტო ხელმემკვრელ ორთაეე პირთა სახელით-კი არ იწერებოდა, არამედ საბუთი უეჭველად მათი მომაეალნის შთამომაელობის სახელითაც უნდა ყოფილიყო დაღებული. მაგ. მიიმღვიმის კრებულისგან ტოხაისძეთაგან ბოძებულ საბუთში სწერია: მოგეციით „სამამულოდ და მკუდრად“ და მოცემულ სამწირველოსა და ორ ფუძესთან გლეხებითურთ „არა-ოდეს რაჲ საქმე გუედვას არცა ჩუენ და არცა ჩუენთა შემდგომთა“ და „გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ტოხაისძეთა და თქუენთა მომაეალთა“-ო, ბოლოში დაბენილია: „აწ სრულ არს დაწერილი ესე ჩუენგან და შემდგომთა ჩუენთაგან“-ო.

3. ქონების განთვისების საბუთებს (წყალობისა, შეწირულებისა, აღაპისა და სხვა წიგნებს) რომ შემდგომშიც კანონიერი ძალა ჰქონდათ, ისინი ამ ნაქონების გამთვისებელის მთამომაელობის კანონიერ წარმომადგენელთაგანაც უნდა დამტკიცებული ყოფილიყო, ან იმავე საბუთზე მოთაესებული ხელრთვის სახით, ან განსაკუთრებული ნაქმნარის განახლებისა და სიმტკიცის წიგნის სახით. უამისოდ ნაქმნარი „გაცუდებული“ იყო.

4. ყოველი უძრავი ნაქონების განთვისების დროს უნდა საბუთში ამ ნაქონების ზომა, ან ნიმანდობლიეი საზღვრები ყოფილიყო აღნიშნული, ან მღებარეობა. ნიმანდობლივ საზღვრებს, როგორც ეტყობა, „ნიშნითი ზღვარნი“ პრქმეეია: ოპიზართა 1060-1065 წ. სიგელში ნათქეამია: „ზღვარნი ამათნი, ვითა ამათ პირველთა მეფეთა დაწერილთა სიგელთა შიგან უწერიან ნიშნით ზღვარნი – სამხრით სამწყრისა წყალი, ვითა მაეშეთის წყალსა ჩაერთეის, და ტიხარის კლდე და ქედ-ქედი ეითა წაეალს, – დასაელით ეეუანთა ქედი და ჩრდილოით დიდუბის ხერთვისი და საქათმის კარი, ეითა ქედ-ქედი წაეალს, დიდი ქედი ერთკარი – ესე ზღვარნი მტკიცე არიან მიჯნაძოროელთა ზედა“-ო.

ხშირად, საზღვრების ასეთი ნიშანდობლიეი ჩამოთვლის მაგიერ, საბუთში იწერებოდა ხოლმე „მისითა სამართლიანითა ზღვრითა“-ო. მაგრამ უძრავ საკუთრებას მაინც უეჭველად თაეისი საზღვრები უნდა ჰქონოდა შემოელებული. გიორგი ჩორჩანელმა რომ სერაპიონსა დამ ის თანამგმაერებს ზარწმის მონასტრის ასაგებად რომ მიწები დაუთმო, მაშინ თაეის ხელქეეშეთს უთხრა: „ჳმაპაყე წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე შემოწერით შემოელონ, მომიცემიეს მათდა, ეინათგან ადგილსა ამას წადიერ არიან. თეით სერაპიონის თანამგმაერსაც აღნიშნული ქეს: „ჩუენ გუენება, რამეთუ გარეშეწერით შემოელოთ სიმერგულე მათ ადგილთა“-ო.

ტერიტორიის სიერცის გარკეეული რაოდენობის შემომფარგელელ ხაზს, რომელსაც ეხლა და უკვე კარგა ხანია „საზღუარი“ ეწოდება, ძეელად „ზღუარი“ ერქეა. „საზღვარი“ იმთაეითეე „ზღვარი“-ს თანაეეობით არსებობდა, მაგრამ მაშინ თითოეულ მათგანს თაეისი მნიშენელობა ჰქონდა. დაბადებითგან ჩანს, რომ უკვე ებრაელთა სამართლის კანონების თანახმად სამკუდრებელს, ვითარცა კერძო საკუთრებას, უნდა თაეისი საზღვარი ჰქონოდა, რომელნიც „დამტკიცებული“, ე.ი. ჩაყრილი უნდა ყოფილიყო. მათი გადაღგმა, „გარდაცვალება“ არუ შეიძლებოდა. ეს უკვე მეორე ჽჯულთა 19ჯ-შია აკრძალული: „ნუ გარდასცვალებ საზღვართა მოყუასისა შენისასა, რომელ დაამტკიცეს მამათა სამკუდრებელსა შენსა ქუყანასა ზედა, რომელსა დაგმკუდროს შენ ღმერთმან შენმან“-ო.

ქართული საზღვარი-კი თაეისი თაედაპირეელი ძირითადი მნიშენელობით მხოლოდ იმ ნიშნის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც „ზღვრის“ ხაზის საჩეენებელად და დასამტკიცებლად იყო ხოლმე განკუთენილი (სა – ზღვარი). ამგვარად „საზღვარი“ თაედაპირეელად სამიჯნო ნიშნის სახელი უნდა ყოფილიყო.

5. საბუთის მოუდეერობისათვის, როგორც „მონაგებ“-ზე საუბრის დროსაც აღნიშნული იყო და სიგელებითგან მოყვანილი მაგალითებითაც მტკიცდება, თვით ნაქმნარსაც და საბუთსაც მოწმენი

უნდა პყოლოდა. თუ მონაგებს დიდი ღირებულება არ ჰქონდა და ნაქმნარი წერილობით მ დგენილ საბუთში არ იყო აღბეჭდილი, მოწმენი მაინც უნდა დაესწროთ და პყოლოდათ.

რომაულსა და ბიზანტიურ სამართალშიაც დაკანონებული იყო, რომ ვალდებულებითი ხასიათისა საბუთებს უეჭველად მეიდი, ან ხუთი მოწმის ხელრთევა და დამოწმება ქონოდათ.

6. დასასრულ, როგორც მეფეთა სიგელებში საბუთის დამწერი მწიგნობრის ვინაობა ყოველთვის დასახელებული უნდა ყოფილიყო, ისევე კერძო ირთა სანიეთო, თუ ვალდებულებითი თვისების საბუთებშიაც მწიგნობრის ვინაობა, საფიქრებელია, უნდა აღნიშნულიყო. ბოგჯერ საბუთის მეტი სიმტკიცისათვის მეფის მწიგნობრისათეისაც-კი დაუწერინებიათ. მაგ. ძაგან აბულეთის ძეს თავის შეწირულების წიგნში ნათქვამი აქვს: შეწირულების „სიმტკიცისათუის სეფისა მწიგნობრისა ი-ნეს (ივანე) მაჩხოიგისძის კელითა მომიკსენებია“-ო და შემდეგ თავის ხელრთვამიც აღნიშნული აქვს: „ქ: ესე, ვითა ზემოთ მწიგნობრისა კელითა დამიწერია, თავის კელითა ვამტკიცებ მე ძაგანი აბულეთის ძეჲ“-ო.

მაგრამ ეს მოთხოვნილება ყოველთვის და ყველასაგან დაცული არ ყოფილა. ზოგი საბუთი ნაქმნარის განმგებელს საკუთარი ხელით აქვს დაწერილი და ეს გარემოება საგანგებოდ აღუნიშნავს კიდეც. მაგ. არსენიც კათალიკოზის XIII ს. შესამე ათეულში დაწერილი სიმტკიცის წიგნის ბოლოში ნათქვამია: „მე არსენ ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა კელითა დავწერე ყოველი ესე სიმტკიცე და სახენი მტკიცე-მყოფელნი“-ო. ქართლის ერისთავს გრიგოლსაც თავის ანდერძსა და შეწირულობის წიგნში სულ ბოლოს ნათქვამი აქვს: „ამას ეწერ კელითა ჩემითა აქა სრულმყოფელი“-ო. მაგრამ ზოგს საბუთებში არც დამწერელის ვინაობა ჩანს, არც აღნიშნულია, რომ ნაქმნარის გამგებელს საკუთარი ხელით დაუწერია. შემდეგ-დროინდელ საბუთებში დამწერის აღნიშნულობა ვეფიქრებინებს, რომ IX-XII სს-შიაც, ალბათ, ისეთივე წესი იქმნებოდა და რომ ამ ხანის საბუთების სიმცირისა და დამიანებულობის გამო უნდა რჩებოდეს ეს საკითხი გამოურკვეველი. ბიზანტიურ სამართლის თანახმად ვალდებულებითი თეისების საბუთები ნოტარების ხელით უნდა ყოფილიყო დაწერილი.

§ 3. საკუთრებისა და ნაქონების უფლების დაკარგვა-მოსპობის არსებითი და ფორმალური მიზეზები

საკუთრებისა და ნაქონების უფლების დაკარგვა-მოსპობა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ან არსებითი, ანდა ფორმალური საფუძვლის ძალით შეიძლებოდა მომხდარიყო. ნაქმნარის აღმბეჭდელი საბუთის დაკანონებული ფორმალური სახის გამორკვევის შემდგომ, თუით დაკარგვა-მოსპობის საფუძვლების აღნიშვნაც შეიძლება.

პირველად რომ ამ საკითხის არსებითი საფუძვლები განვიხილოთ, უნდა აღინიშნოს, რომ:

1. კერძო საკუთრებისა, თუ ქონების უფლება თავისდა-თავად ისპობოდა, რასაკვირველია, როცა მესაკუთრე, ან მქონებელი ისე გარდაიცვლებოდა, რომ, მთამომაველობის მოსპობის გამო, არა ეინ მემკვიდრედ არა პყოლოდა: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მაგ. ნათქვამი აქვს: ლიპარიტის ძე რაგი რომ „მოკუდა... და ესრე დასრულდა სახლი... და აღარაეინ დარჩა საყოფელთა მათთა მკუდრი..., მამული მათი აღიღო შემდგომად მეფემან“-ო.

2. თუ რომ მესაკუთრეს, ანდა მფლობელს თავისი უფლების დამამტკიცებელი საბუთები არ ჰქონდა და საკუთრებისა და ქონების სასამართლოში საბუთების წარდგენით დაცვა არ შეეძლო, ასეთი საბუთების დაკარგვის გამო, ასეთ შემთხვევებში უფლების დაკარგვის საკითხი მამინ წამოიჭრებოდა ხოლმე, თუ რომ ამ უფლების შემცილებელი გამოჩნდებოდა.

3. უფლება მესაკუთრესა და მფლობელს ეკარგებოდა აგრეთვე „სიგრძოთაგან ჟამთაისა“, როდესაც ირკვეოდა, რომ პაგრონი კანონით განსაზღვრული 30 წლის განმავლობაში თავისი უფლებით არ სარგებლობდა და პირიქით მის მაგიერ ამავე დროის განმავლობაში იმ ნაქონებით მიუმძლავრებლად სხეა სარგებლობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საბუთებში თითქმის ყოველთვის წყველა-კრულეა მოიპოვება ისეთ პირთათვის, რომელნიც ნაქმნარის, ან საბუთის „მლასა“ და „ქცევას“ მოისურვებდენ და იკადრებდენ, თუნდაც რომ ამ თავიანთი მოქმედების გამამართლებელ მიზეზად მოეყვანათ ან „ჟამთა ცვალება“, ან „ჟამნი მლილობისანი“, ან და „სიგრძოი ჟამთაი“. ადამიანს ამის გამო შესაძლებელია ისე ეჩვენოს კიდეც, თითქოს როგორც „ჟამთა ცვლილების“, ანუ პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლისა და „მლილობის ჟამთა“, ანუ შინაური არეულობისა და უწესოების მომიზეზება სხვის საკუთრებისა, თუ ქონების დაპატრონებისათვის უკანონო საქციელი იყო, ისეევ „სიგრძოთგან ჟამთაისა“ მიღებული ნაქონებიც მაშინ უკანონოდვე ყოფილიყოს მიჩნეული, მაგრამ ასეთი დასკვნა, უეჭველია, მცთარი იქმნებოდა. უკანოსოდ მხოლოდ დასაკუთრება მიმძლავრებითა და 30 წლის უცილობელი მფარველობის უწინარეს ითვლებოდა, თორემ 30 წლის განმავლობაში სხვის საკუთრების მიუმძლავრებელი მფლობელობა, როგორც დაერწმუნდით, სჯულის-კანონისაგანაც-კი საკუთრების კანონიერ საფუძვლად იყო მიჩნეული.

4. მეფეთა და კერძო პირთა წყალობის მეწირულებისა და სხვა წიგნებით მიღებული ქონების უფლება შეიძლება სათუოდ ქცეულიყო და მქონებელს სრულებითაც დაეკარგა, თუ რომ ამ

საბუთს მერმინდელ მეფეთა და კერძო პირთა კანონიერ მემკვიდრეთა დამტკიცების ხელრთვა არ ჰქონდა და სათანადო წესით ეს საბუთი განახლებული არ იყო. ამის შესახებ უკვე საუბარი გვქონდა სახელმწიფო სამართლის მეოთხე თავის § 12-ში და ამაზე აქ მეტი არაფერია სათქმელი.

5. რაკი „ქონების“ ფლობისათვის პატრონი აუცილებელ პირობად, ან საერთოდ ერთგულებას, ან ერთგულ სამსახურს უდებდა ხოლმე, ამიტომ „მქონებელისაგან“ ამ „ქონების“ ჩამორთმევის უფლებრივ მიზეზად ამ პირობის დარღვევაც იხსენიება, ან და გამოყენებული ყოფილა. საერთოდ განსაზღერული პირობით მიღებული ქონების უფლება ისპობოდა, თუ რომ დადებული პირობა მისი მქონებელისა, თუ მისი მერმინდელი მემკვიდრეობისაგან დარღვეული იქმნებოდა. ასეთ შემთხვევებში ქონება მის წინანდელ პატრონს, ან მის კანონიერ მემკვიდრეს უბრუნდებოდა უკან.

ლექცია XI

ძველი ქართული
ვალდებულებითი სამართალი

ივანე ჯავახიშვილი

ა) ვალდებულებითი თვისების გარიგებისა და ნაქმნარის შესახებ

ვალდებულებითი თვისების შეთანხმებისა და პირობის დადებისათვის საქართველოში მტკიცედ ჩამოყალიბებული წესები ყოფილა. ამ წესების ყველა მოთხოვნილებათა აღდგენა ამჟამად ძნელია, მაგრამ ზოგიერთი მათგანის, კანონიერების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანის, გამორკვევა მაინც შეიძლება. ამის საშუალებას ნიკორწმინდის XI ს. სიგელი და ორიოდე გადარჩენილი საბუთი გვაძლევს.ნიკორწმინდის სიგელში ნათქვამია: I. ნასყიდობაზე: მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი :ა: (1) და მისთჳს მიეცი ძულო ახალი ერთი და შედეგი ძულო: ა: (1), ტაბასაი სომხური :ბ: (2), ჯაჭუ. :ა: (1) და მოწამე არიან კაცნი, — მისსიე დებორიანის ძისაგან ვიყიდე პარტახტი :ა: და მიეცი ცხენი :ა: და ჩაბალახი გუდამაყრული :ა: და მოწამე არიან კაცნი, — ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ეენაკისაჲ, ჩუენ თანა ედგა, და გაეისაკუთრე და მიეცი მროხაჲ :ა: და ორმოცისა დრამისა ქმელადი და მოწამე არიან კაცნი“ და სხვა.

ზემომოყვანილ ცნობებს გარდა ნიკორწმინდის XI ს. სიგელში კიდევ 31 ნასყიდობის შესახებ მოიპოვება ცნობები და აქეთგან 26 ნასყიდობის შესახებ ნათქვამია: „მოწამე არიან კაცნი“-ო. მხოლოდ 5 ნასყიდობის ცნობას ეს წინადადება არ ახლავს, ამათგან ორ შემთხვევაში ნათქვამია: „მიეცი ფასი სრული“ და „მიეცეი ფასად“-ო. რა მიზეზია, რომ ამ 5 ნასყიდობის ასეთი ცნობა მოწმეთა დასწრების შესახებ დართული არა აქვს, შემთხვევით არის გამოტოვებული, თუ ამ გარეობას თავისი პატიესადები საფუძველი ჰქონდა, ძნელი სათქმელია.

მაინც მარტო ის ფაქტიც, რომ ნასყიდობის 34 შემთხვევითგან 29 ნასყიდობის შესახებ ცნობას მოწმეთა დასწრების განცხადებაც ახლავს, ცხადყოფს, რომ წინადადებას „მოწამე არიან კაცნი“ თვით ნასყიდობის იურიდიული უცილობლობისათვის უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა, რომ მოწმეთა თანდასწრება კანონიერად მოწყობილი ნასყიდობისათვის აუცილებელი იურიდიული პირობა უნდა ყოფილიყო.

ამასთანავე ზემომოყვანილი და ნიკორწმიდის XI ს. სიგილს სხვა ამგვარიე ცნობებითგან ჩანს, რომ მოწმეთა თანდასწრება ნასყიდობის დროს, როგორც ყმათა შეძენის, ისეე უძრაე ქონების, მაგ. სახნაე, თუ გაპარტახებული მიწების, ან ეენახების, სყიდეისათეის ყოფილა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ 34 ნასყიდობათა შესახებ ცნობათაგან არც ერთში ნათქვამი არ არის, რომ ამ ნასყიდობის წერილობითი საბუთი იყო დაწერილი. მხოლოდ ბობოთში აჩეჩლისაგან ნაყიდი გლეხის ფასის შემდგომ ნათქვამია: „და კელის საწერელად მიეეც ჩული ლიგრაჲ :თ:“, ცხრაო. თუმცა ამ წინადადების აზრის გამორკვეეა, ძნელია, რათგან არ ჩანს თუ ეისშეა აქ საუბარი, გამყიდველსა თუ მოწმეებზე, მაგრამ რათგან „კელის საწერელი“ ხელის მოწერას ჰნიშნავს, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ამ ერთი შენაძენის შესახები ნასყიდობის წიგნი მაინც დაწერილი უნდა ყოფილიყო. ორიოდე ნასყიდობის სხვა წიგნი დაცულიც არის ისე, რომ ძეელადაც ნასყიდობის წერილობითი საბუთით უზრუნველყოფის წესის არსებობა უცილობელი ფაქტია.

დანარჩენ 33 შემთხვეევაში წერილობითი საბუთის შედგენილობის სრულიაღი მოუხსენებლობა უფლებას გვაძლევს დაეასკენათ, რომ ნასყიდობა ხშირად ზეპირადაც ჭარმოებდა ისე, რომ სყიდვა-გაყიდეის შესახებ არაეითარი საბუთი არ იწერებოდა. ასეთი ნასყიდობის მოუდევრობისათეის მხოლოდ მოწმეთა თანდასწრება ყოფილა საჭიროე მიჩნეული.

ამგვარად ვალდებულებითი ხელშეკრულების მოგვარება ორნაირად ყოფილა მიღებული: ზეპირად და წერილობით. ზეპირი წესის დროს მოწმეთა თანდასწრება საჭიროდ ყოფილა მიჩნეული. წერილობითი წესითა და საბუთის შედგენის დროსაც მოწმეთა ხელრთეა, ეგყობა, აუცილებელი პირობა იყო. რასაკეირველია, ზეპირი, თუ წერილობითი წესის არჩეეა ერთის მხრით მხარეთა სურეილზე, მეორეს მხრით თეით ვალდებულების მნიშვნელობაზე იყო დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ ამდროინდელ ქართულ ვალდებულებითს სამართალს იმ სიმბოლური ფორმალობის არავითარი კვალი არ ემჩნეეა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო რომაული ვალდებულებითი სამართლისათვის უძველეს ხანაში, არამედ მარტო ზეპირი და წერილობითი წესი ჩანს, რომელიც რომაული სამართლის შემდეგდროინდელი ხანის და წესს ეღრის, მოწმეთა თანდასწრებითა, ხელრთეით და საბუთის შედგენილობის კანონიერი სახის დაცეით.

სყიდვა-გაყიდვა
§ 1. ნასყიდობის ცნებისა და მონაწილეთა შესახებ

აღებმიცემობის პროცესის აღსანიშნავად ძველ ქართულში რამოდენიმე ტერმინი არსებობდა. ჩვეულებრივ მიღებული იყო „სყიდვაჲ“, როდესაც ნიეთი უნდა საფასურით განთვისებულიყო და სხვის საკუთრებად ქცეულიყო.

სყიდვა სხვის საკუთრების ნებაყოფლობითი ურთიერთი შეთანხმებითა და ფასის მიცემით მიღებასა და „განსაკუთრება“-ს ჰნიშნაედა. დაბადების ქართულ თარგმანში ერთ ალაგს სყიდვის მაგიერ სწორედ ასეთი გამონათქვამი, მოღებაჲ ფასითა“ არის ნახმარი.

„იყუნენ ვინმე, რომელ იგყოღეს: „ძენი ჩუენნი და ასულნი ჩუენნი მრავალ არიან ჩუენდა და რაჲთა მოვიღოთ ფასითა იფქლი და ვჭამოთ“ (ნეემიასი 5ა).

მაგრამ სყიდვის ცნებას მარტო ეს გამონათქვამი სრულად ვერ გამოჰხატავს, რათგან, ფასად მოღების გარდა, სყიდვა ამ „მოღებულის“, ანუ ნასყიდის ფასის მიცემასთან ერთად, განთვისებასაც, „განსაკუთრება“-საც აუცილებლად ჰგულისხმობდა. ეს გარემოება ნიკორწმინდის XI ს. სიგელშიც არის აღნიშნული, სადაც სხვათა მორის ნათქვამია: „ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ეენაკისაჲ, ჩუენ თანა ედვა, და გაეისაკუთრე“-ო.

სყიდვა-გაყიდვის საგანს შემძენელის თვალსაზრისით „ნასყიდი“, ან „მონასყიდი“, ანდა „მოსყიდული“ ეწოდებოდა. მაგ.:

„ნასყიდი“: „რუეთი ნასყიდი და შემოწირული... ჩიქუნურნი რუსისა ნასყიდნი, მისგან აშენებულნი და შემოწირულნი... თრიალეთს ბჭითი აღრნესეგან ნასყიდი და შემოწირული“.

„მონასყიდი“: „ცხირეთს ცხეური და გაეაბელნი წმიდისა შიოის ოქროითა და ვერცხლითა მონასყიდი ფაენელთა და გბელთაგან.

„მოსყიდული“: გოროვანი წმიდისა ეეაგრესგან მოსყიდული, აგარაი, ჯოჯიკისგან მთავრისა მოსყიდული... მიოის-უბანი ყოველი მოსყიდული თეით მონაზონთა მეუდაბნოეთაგან“.

სყიდვა-გაყიდვის მონაწილეთა აღსანიშნავად იხმარებოდა „განმსყიდველი“ იმ პირისათვის, რომელიც ჰყიდდა, და „მსყიდველი“ შემძენისათვის.

§ 2. ნასყიდობის კანონიერების წესები

როგორც აღვნიშნეთ, სამიოღე ნასყიდობის წიგნმა ჩვენამდის მოაღწია და მათი შინაარსი და აგებულება საშუალებას გვაძლევს ნასყიდობის კანონიერი ფორმა და წესები გავითვალისწინოთ. ამიტომ ჯერ ამ ნასყიდობის წიგნების ტექსტის მთლიანად აქ მოყვანაა საჭირო.

„ქ: სახელითა მამისათა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა მე გიორგი დავასხ ვენაკი... სანახევროჲ. მე გიორგი ხუცის ძემან შეეწირე ნახევარი. ნახევარისა ფასი ავიღე დასაჯერებელი დრამაჲ.:. ი.:. ათასი. არცა ჩემსა ნათესავსა, არცა ჩემსა შვილსა“ ამასთან ხელი არა აქვსო. ხოლო ეს „მე დაეწერე მტეფან დოლისყანელმან“.

„ქ. სახელითა ღ'თისაითა და მოამდგომლობითა წ'სა ღ'თსი მმობელისაითა მე ივანე მათეშვილმან დაგიწერე მიქაელ ხუცესსა კორიეეს ძესა მას ჟამსა, ოღეს ფარსმან გამგებლად იყო, მოღელეთი, იეან წმიდასათანა რომელ მიწა იყო, მისი ნახეეარი ნიეობითა ვიყიდე, — გიბედნიეროს ღმერთმან. ამას დაწერილსა მოწამენი არიან“ ეს და ეს პირნი „და სროლად კორიდეთნი. დაიწერა ნაღირის ძისა კელითა. და ვინცა ესე დაწერილი შალოს, ათი ბოგინაგი ბღოს და ესე გაგებოლი ჰასრეეე იყოს“-ო.

„ქ: სახელითა ღ'თსაჲთა ესე დაწერილი მეთიხჩე დაგიწერე შენ ი'ნე (იოანე) და გიორგის: ირემეთისა ჩემისა კერძისა ნახეეარი (მოგყიდე), — ღ'ნ გიბედნიერენ თქუენ და თქუენთა მომაეალთა. დაიწერა გამგებლობასა ი'ნე ფ'ჩუმთისსა, ტანოგრობასა კორიდელისა დორჩელი ი' ე[სსა?] (მოწმენი არიან) „ტ'ხრი თავგოგისძე... და სროლად კორიდეთი. და ვინცა ესე დაწერილი შალოს, ღბ (32) დრაჰკანი ბღოს და ესე არცა ეგრე იმალოს“-ო.

ნასყიდობის შემომოყვანილ წიგნებითგან ცხადი ხდება, რომ ნასყიდობა ქართული სიგელთმცოდნეობის იმ ჩვეულებრივი წესების დაცვის გარდა, რომელთა შესახებ ცნობები ჩემს მონოგრაფიაში „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ მოიპოვება, უნდა:

1. დაახლოებით მაინც დათარიღებული ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ ამ საბუთებში ნათქვამია: ერთში „მას ჟამსა, ოღეს ფარსმან გამგებელად იყო“, — მეორეში „დაიწერა გამგებლობასა ი-ნე ჭ'ჩუმთისსა, ტანუგრობასა კორიდელისა დორჩელი იოანესსა“. როგორც ეტყობა, დათარიღება ზეობის მიხედვითაც-კი საკმარისად ითელებოდა.

2. ორ შემთხვევაში აღნიშნულია ფასის შესახებ, რომ მიცემული იყო მყიდველისაგან და აღებულ იქმნა გამყიდველისაგან „ფასი სრული“, ან და „ასი დასაჯერებელი“ მაგ. ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ნათქვამია: „აქ შემოისძისაგან ვიყიდე მუნეე მნაკუას ჯუარისას ჩამომართებით ყანაჲ :ა: (1) და მისთჳს მიეეც ფასი სრული.

ამაეე საბუთში თითქმის ყოველი ნასყიდობის შესახებ ნათქვამია, რა ფასადაც იყო იგი შეძენილი, ხოლო თუ ფული იყო მიცემული, მისი რაოდენობაა აღნიშნული, თუ განძად —

ჩამოთვლილია სათითაოდ თვითეული ნივთი. ამგვარადვე ბემომოყვანილ საბუთმიაც ნათქვამია: „ფასი აეიღე დასაჯერებელი, დრამაჲ ათი ათასი“-ო.

ფორმულა „ფასი დასაჯერებელი“ სრული გამონათქვამის შემოკლებას წარმოადგენს. ეს სრული გამონათქვამი ნასყიდობის შემდეგდროინდელ წიგნებშია დაცული და ამ სახით იხმარებოდა: აეიღეთ, ან მიეცით „ფასი სრული, რითაც ჩუენი (ან მისი) გული შესჯერდებოდა“-ო. ხშირად ასეთ გამონათქვამს მიცემული ფასის რაოდენობის შესახები ცნობაც მისდევს, მაგრამ ბოგჯერ ფასი აღნიშნული არ არის. როგორც ეტყობა, უკვე ის გარემოება რომ ნასყიდობაში ფასი სრულად იყო გადახდილი და აღებული და ეს გარემოება წერილობით დადასტურებული იყო, კანონის თვალსაზრისით სრულებით საკმარისად ითვლებოდა, რათგან ამით უკვე მხარეთა კმაყოფილება მტკიცდებოდა და როგორც გამყიდველისა, ისევე მსყიდველისაგან საფასურის გამო ყოველგვარი ჩივილი შეუძლებელი იქმნებოდა და, რომ ატეხილიყო კიდეც, რასაკვირველია, უსაფუძვლოდ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ბემომოყვანილ ნასყიდობის წიგნში არც ფასის რაოდენობაა აღნიშნული, არც ფასის დასაჯერებლობის ფორმულაა ნახმარი. სამაგიეროდ იქ ნათქვამია: „გიბედნიეროს ღმერთმან“, „ღმერთმან გიბედნიეროს თქუენ და თქუენთა მომავალთა“-ო. მერმინდელ საბუთებში ეს ფორმულა უფრო ერცელია და ასე იწერებოდა: „გჳონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან“-ო. რაკი გამყიდველს მყიდველისათვის განაყიდის ბედნიერი დასაკუთრება და ულობა მხოლოდ სრული დაკმაყოფილების შემდეგ შეეძლო, ამიგომ საფიქრებელია, რომ ეს ფორმულაც ფასის დასაჯერებლობისა და სრულად მიღებულობის შესატყვისად და დამამტკიცებლად იყო მიჩნეული. ამის გამო ეს ფორმულაც ნასყიდობის მოუღევრობისათვის სრულებით საკმარის პირობად ყოფილა ცნობილი.

3. დასასრულ, როგორც აღენიშნეთ, მოწმეთა თანდასწრება და ვინაობა უნდა ყოფილიყო აღნიშნული და საბუთის შემდგენელსაც თაეისი თაჳი უნდა დაესახელებინა.

„ნიჭი“ შეწირულება და აღაპი

§ 1. ნიჭი და წყალობა

ძველ ქართულში ჩუქებას „ნიჭი“ ეწოდებოდა. ამ ცნების გამოსახატავად ჩვეულებრივ ეს ტერმინი იხმარებოდა. მაგრამ მჩუქებელის მდგომარეობისდა მიხედეით საჩუქარსაც და ჩუქებასაც თაეისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა. მაგ. სოციალურსა და სახელმწიფოებრივ ცხოერებაში მაღლა მდგომისაგან მასზე უფრო დაბლა მდგომისათვის ჩუქებას „წყალობა“ და „შეწყალება“, ან „ბოძება“ ეწოდებოდა. ხოლო ასეთ საჩუქარს „ნაწყალობეი“, ან „ნაბოძები“ ერქვა. წყალობასა და შეწყალებაზე ამ ნაშრომის მეორე წიგნის პირველ ნახეკარში საკმაოდ გექონდა საუბარი, რომ აქ ამაზე სიტყეის გაგრძელება საჭირო იყოს. „ბოძება“-საც ძეგლებში არა ერთხელ ვხედებით. „ნაბოძეარი“ გიორგი III-ის 1170 წ. მიომღეიმისათეის მიცემულ ერთიან სიგელში იხსენიება: „ხორეაი მამისა ჩემისა ნაბოძეარი სამღუიმოდ“-ო.

ნაწყალობეევი და ნაბოძეარი შეწყალებულს გარკეეულ ეალდებულებას აკისრებდა. უმთაერესად, რასაკვირეელია, ერთგულ სამსახურს. სამაგიეროდ მას ბოძებული ქონების ხმარებისა და სარგებლობის უფლება ჰქონდა.

ამ უფლების თეისებები და სარგებლობის რაოდენობა შეთანხმებაზე და უმთაერესად მბოძებლის სურვილზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, უეჭეელია, აქაც რამოდენიმე სამაგალითოდ მიჩნეული წესი უნდა ყოფილიყო. ამ გარემოებას თამარ მეფის პირველის ისტორიკოსის ორი ცნობა გეაფიქრებინებს. მისი სიტყეით თამარმა იეანე მხარგრძელი „შეიწყალნეს... გელაქუნითა და სხუათა მრაეალთა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“-ო. მაქარია ეარდანისძეც თამარმა „შეიწყალა და უბოძა გაგი ქურდეაჭრითა განძამდის მრაელითა საკუთარითა და მრაელითა სანახეეროთა ქალაქებითა“-ო.

ამ ცნობითგან ჩანს, რომ ნაბოძები შეიძლება მხოლოდ ხარაჯის აკრეფის უფლებით განსაზღერული ყოფილიყო. ასეთ ნაწყალობეეს ციხე-ქალაქებს „სახარჯო ქალაქი“ ან „ციხე“ სწოდებია. ხარაჯის სარგებლობის უფლება ორნაირი ყოფილა: ზოგი საკუთარი“, ზოგიც კიდეე „სანახეერო“ სრგებლობის უფლებით. „საკუთარი“, ალბათ, ნაბოძების მთელი ხარაჯის საკუთრად გამოყენების უფლების აღმნიშნელი უნდა ყოფილიყო, „სანახეერო“-კი ხარაჯის მხოლოდ ნახეერით სარგებლობის უფლებას წარმოადგენდა.

სანახეერო ნაწყალობეე ციხე-ქალაქებს გარდა მიწებიც არსებობდა: „მიწაჲ სანახეეროჲ“ მეწირულების აღმნუსხეელ საბუთებშიაც გეხედება და ამის შესახებ ქვემოთ გეექნება საუბარი.

§ 2. შეწირულება

ეკლესია-მონასტრებისათვის მიძღვნილი „შეწირულება“ ჩვეულებრივ ქონებრივი თვისების ხელშეკრულებას წარმოადგენდა და შეწირულების მიმღები დაწესებულება სამაგიეროდ ვალდებული იყო, რომ შემწირველისათვის, ან სახსენებელი, ან და აღაპი გაეჩინა. ამგვარად შეწირულება არსებითად უსასყიდლო საჩუქარს არ წარმოადგენდა.

მაგ. შეწირულებაზე ნათქვამია: „შემოსწირა კუბასტი ბერძული... და კუართად შეეკერეთ და გლეხი... და აღაპი გარდაიქცების სულისა მოფენასა, — წორბელმან შემოსწირა მნაკუას გლეხი :ბ: (2) და მიწანი მისთჳს აღაპი გარდაიქცების ჯ'ისა გამოჩინებასა, — ვარაზ-ვიჩე შემოსწირა ძისა მისისათჳს ფუთს (ე.ი. ფოთში) გლეხი :ბ: (2) და აღაპი გარდაექცების დღესა ახალ კურიაკესა, — წირქუალელისა ძემან შემოსწირა გლეხი : ზ: (7) და მას თანა შემოაგანეს ჯორი: ა: (1) ძოლო: ა: (1), კრმალი: ა: (1) და ამისთჳს გარდაექცების აღაპი ღღე ფერისცვალებაჲ და საფლავთა მისთა ზედა დაგუდგენია ჭამისმწირველი: ა:“ (1) და სხვაც ამის მსგავსადევე.

„საკსენებელი“ ვისიმე სახელის წირვის დროს შეევედრება-მოხსენებას ჰნიშნავდა, „აღაპი“ კიდევ ეწოდებოდა იმ სერობას, რომელსაც ჰმართავდენ ხოლმე ამა-თუ-იმ პირის ხსენების ღღეს, შესანდობარის დასალეველად. „საკსენებელი“ შეიძლება ან ერთდროული ყოფილიყო, ან ყოველწლიური, ამასთანავე სხვადასხვანაირი სისრულისაც, როგორც სახსენებლისა, ისევე მეტადრე აღაპისათვის ხარჯები იყო გასაწევი და შეწირულება სწორე ღიმ სათაენოს წარმოადგენდა, რომელიც ამ ხარჯების დასაფარავად საჭირო იყო. ამიტომ, თუ მონასტერს, ან ეკლესია ნაკისრ სახსენებელს, თუ აღაპს არ გადაიხდიდა, შემწირველს, ან მის კანონიერ მემკვიდრეს, უფლება ჰქონდა ქონება ჩამოერთმია. ამგვარადვე დაწესებულებაც სახსენებელ-აღაპს მოსპობდა, თუ რომ შემწირველის მემკვიდრე თავის წინაპრის შეწირულების საბუთს არ დაამტკიცებდა და შეწირულებას დაწესებულებას ჩამოართმევდა.

შეწირულების ხელშ კრულება იწერებოდა „შემწირველ“-სა და დაწესებულებას შორის ყველა იმ წესების დაცვით, რომელიც ნაქმნართა კანონიერებისათვის აუცილებლად საჭირო იყო ხოლმე. შეწირულ ქონებას „შემოწირული“-ც ეწოდებოდა ხოლმე: „რუეთი ნასყიდი და შემოწირული... ჩიქურანი რუსისა ნასყიდნიუ, მისგან აშენებულნი და შემოწირულნი... გოგრაჭისაგან შემოწირული, დაოთი კვირიკე კახთა მეფისგან მ მოწირული, ალაჭინი, ხახულაგისაგან შემოწირული, თრიალეთს ბჭითი აღრნესესგან ნასყიდი და შემოწირული“.

შეწირულება განსაზღვრული პირობით გადაცემულ ქონებას წარმოადგენდა. ამ პირობათა შეუცვლის უფლება შემწირველის, ან მისი კანონიერი მემკვიდრის დაუკითხავად და ნებადაურთველად არ ჰქონდათ. ეს გარემოება გ. მერჩულის . შ მღვდი ცნობით მტკიცდება. გრიგოლ ხანძთელს ბაგრატ კურაპალატისათვის, ამოტ კურაპალატის ძისათვის უთქვამს: „ამას ვითხოე შენგან: „არს ამოტ კურაპალატისა შეწირული აგარაკი ხანძთას და იქმნების კეთილად მონასტრად. უკეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვამშნო სადიდებლად ღმრთისა და საცხოერებლად სულისა შენისა. და ვიდე ეგოს ცაჲ და ქუეყანაჲ, ეგოს მას შინა ლოცვაჲ შენთჳს“-ო.

გრიგოლ ხანძთელის სიგყვებითგან ჩანს, რომ რაკი ამოტ კურაპალატმა მიწა აგარაკად მესწირა ხანძთას, ამიტომ მისი შვილის, ბაგრატ კურაპალატის, ნებადაურთველად იქ მონასტრის აგების უფლებაც-კი არ ჰქონდა. შეწირულების პირობის შეცვლაზე თანხმობის სამაგიეროდ გრიგოლ ხანძთელი საუკუნო სახსენებლისა და აღაპის დაწესებას შეჰპირებია. ამავე დებულების დამამტკიცებელი ცნობები აგრეთვე 1202 წ. სიგელსა და რკონის 1259 წ. სიგელშია.

მიწის აღება-გაცემა საშენებლად, საღალოდ, საბეგროდ და საკაბალოდ

ძველ საქართველოში არსებობდა ვალდებულებათა მთელი რიგი, რომელიც სხვისი საკუთრების ხმარებით იყვნენ წარმოშობილნი. ხმარება ორმხრივი შეთანხმების შედეგს წარმოადგენდა და შესაკუთრეს მიზნად სხვის შრომით თავისი საკუთრების, ან დამუშაევება, ან მეურნეობის ახალი დარგის შექმნა ჰქონდა, ხოლო სხვის საკუთრების ამდებს ამ საკუთრების ხმარება-გამოყენება და ზოგჯერ ნაწილობრივი შეძენაც. ასეთი თვისების ხელშეკრულება, ან ერთდროული იყო ხოლმე, ან ხანგრძლივი. ამგვარ ვალდებულებათაგან უფრო აღსანიშნავი და მნიშვნელოვანი იყო, ამის გამო ძეგლებშიც უფრო ხშირადაც იხსენიება: 1. „მიწის აღებაჲ საშენებლად“, 2. მიწის აღება-გაცემა საღალოდ, 3. მიწის აღება-გაცემა საბეგროდ და სხვა სახმარის აღება-გაცემა საკაბალოდ.

§ 1. მიწის აღება გასამენებლად

„მიწის აღებაჲ სამენებლად“ ჩვეულებრივ ვენახის ახლად გაშენების მიზნით დადებულ ხელშეკრულებას ჰნიშნავდა. არა-მესაკუთრე გაშენებელს გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა. მას ამ თავისი კუთვნილი ნახევრის მაგიერ მიწის პატრონისაგან მისი ღირებულების საფასური შეეძლო აერო. სამაგიეროდ არა-მესაკუთრე გამშენებელი ვალდებული იყო ვენახის გაშენებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები თითონ გაეწია და პატრონისათვის გაშენებული ვენახი ჩაებარებინა.

შიომღვიმის მონასტრის კრებულს ზოსიმე ბერისათვის მიცემულ საბუთში ნათქვამი აქვს: „შენთა გაძრწელისა იოანეს მამას უმბერს კურიკაული მიწაჲ აერო სამენებლად ხელ-ვიორგისა ძისა ვენაკისა გუერდით დღისა ერთისაჲ და, რაჲ აღემენა, ორად გაეყო, ნახევარი იოანეს მამასა დაემჭირა, უმბერს, — ნახევარი მიწის პატრონს“.

გიორგი ხუცესსაც კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში აღნიშნული აქვს: „მე გიორგი დავსხ ვენაკი... უნდა სანაქეროჲ... ნახევრისა ფასი აეიღე დასაჯრებელი დრამაჲ ∴ ი ∴ (10) ათს“-ი. ამ ცნობითგან ჩანს, რომ ამ პირობით გასამენებლად აღებულს მიწას „სანაქეროჲ“ ერქმეოდა.

მაგრამ ამ ტერმინს ყოველთვის ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნიკორწმინდის XI ს. საბუთში მაგ. სწერია: „მნაკუსა თაესა კუდილიანმან შემოსწირა მიწაჲ სანახეროჲ, მოწამე არიან კაცნი, — კლარჯეთს შემოსწირეს... ჩუენ თანა საბიაროჲ ყანაჲ და მოწამე არიან კაცნი“-ო. რაკი აქ შ მოწირულებაშია საუბარი და ამასთანავე ყანაზე. ე.ი. ვენახზე-კი არა, არამედ სახნავ მიწაზე, ამიტომ ცხადია, რომ აქ სანახეურო იმას უნდა ჰნიშნავდეს, რომ სარჯაღნობა მხოლოდ მიწის მოსაელის მხოლოდ ნახევრით შეიძლებოდა, რომ მოსაელის მარტო ნახევრის გამოყენებისა და გასაკუთრების უფლებით იყო შეწირული. საყიქრებელია, რომ ტერმინებს „ყანაჲ სანაქეროჲ“-სა და „საბიაროჲ ყანაჲ“-ს შორის ის განსხვავება იყოს, რომ „საბიაროჲ ყანაჲ“ საერთო მფლობელობასაცა და დამუშავებასაც ჰგულისხმობს და, რასაკვირველია, მოსაელის თანასწორად გაყოფასაც, ე.ი. ორთავე მონაწილეს აქაც მოსაელის ნახევარ-ნახევარი ერგებოდა. ტერმინი „ყანაჲ სანახეროჲ“-კი თითქოს მარტო მოსაელის ნახევრის უფლებიანობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

შესაძლებელია, ან ეგების, ყანაჲ სანაქეროჲ“ ბიზანტიური სამართლის „პემისეჲასტე“-ს ანუ იმ-დროინდელი ბერძნული გამოთქმით „პიმისიასტის“, „მენახევრეს“ უდრიდეს. ბიზანტიაში ასე ისეთ მიწისმოქმედს უწოდებდენ, რომელსაც სხეისი მიწა მესაკუთრის ქონებრივი სხსრით ჰქონდა დასამუშაებლად აღებული და თაეის მხრით ამ ნაჭერს უფლება და ამუშაებდა, მოსაელს კი ორად ჰყოფდა და ნახევარს მესაკუთრეს აძლეედა, ნახევარს თაეისთეის იტოვებდა.

§ 2. მიწის საღალოდ გაცემა-აღება

მიწის საღალოდ გაცემა ძველ საქართველოში ჩვეულებრივეი მოელენა იყო. ამისდა მიუხედაეად მისი მნიშვნელობისა და ბუნების განმარტება ძეელებში ჯერ არსად ჩანს. თეით ს. ორბელიანის განმარტებით „ღალა — ყანის ბეეარა“ იყო, ხოლო „ბეეარი ჭლეხთ გამოსაღები“.

ეს განმარტება ბუნდოვანიც არის და ამასთანაეე არც სრულია: ღალა მამ მხოლოდ ჭლეხთა ყანის გამოსაღებელი იყო. განა არ შეიძლება რომ საღალოდ არა ჭლეხსაც აერო? ამ განმარტებას ბუნდოვნად ის გარემოება ჰხდის, რომ ს. ორბელიანს დასახელებული არა აქეს, თუ ვისთეის უნდა გადაეხადა ჭლეხს ყანის ღალა. ამიტომ გამოურკეეელი რჩება, ღალა სახელმწიფო სამართლის ტერმინი იყო, სახელმწიფო გადასახადის აღმნიშნელი იყო, თუ პირიქით სამოქალაქო სამართლის სფეროს ეკუთვნოდა და კერძო-უფლებრივი დამოკიდებულების გამომხატველად უნდა იქმნეს მიჩნეული?

ტოხაის ძისათეის მიცემულ ორ ფუძე ჭლეხს „ეღეას ღალაჲ ნაოთხალი“-ო, ნათქვამია შიომღვიმის ძმობისაგან მიცემულ საბუთში. მაშასადამე, ღალა მიწას ეღეა და ამ შემთხეეეაში მიწის მოსაელის მეოთხედს, ანუ 25% შეადგენდა.

ქართლის ერისთაეის ბეგა სურამელისაგან დაწერილ საბუთში ნათქეამია: „დაგიწერე... მე ბეგამან სურამელმან თქუენ ტოტიბაისა ჭ'ის შეილთა და მომაეალთა თქუენთა: დაგსხნენ... ჩემსა ნასყიდსა ზედა და მოჭეც... ესე ინაესძისა მი[წ]აი, რაიცა არს ყუელაი კარსა მეღა, ენაკი... რაიცა საღა არს სარწყაეი და ურწყაეი, ღალაი და რაიცა საღა არს ყუელა... ინაესძისა მიწისაი მკუიდრად, სამამულოდ, [მოუმ]ლელად და მოუღეერად... ათხუთმეტსა კოკასა ტკბილსსა სთუქელთა ზედა მარანს მიიღებდით... და ხილსა ნახევარსა მომცემდით, — სხუად არაეის საქმე“ აქეს. აქ, მამასადამე, ხეხილის მოსაელის ნახევარი, ანუ 50%-ია გადაკეთილი. გამოსაღებლის სიდიდე, ალბათ, იმ გარემოებით უნდა აიხსნებოდეს, რომ მეღალე მიწის პატრონის ნასყიდზე დასახლებულიც იყო და მთელი მისთეის მიცემული ქონებითაც სარგებლობდა.

„ღალა“ არაბულითგან შეთეისებული სიტყეაა. „ღალაჲ“ არაბულად სახნაისა, მწეანილეულობისა და ხეხილის მოსაელს ჰნიშნაეს. ამ ტერმინის არაბულითგან მ თეისებულობა ცხად-ჰყოფს, რომ ქართული სოციალ-ეკონომიური ცხოერების ასპარეზზე ის VII ს-ის შეორე

ნახევარზე, ანდა VIII ს. აღრეც არ შეიძლება გაჩენილიყო. ხოლო, რაკი სოციალ-ეკონომიური დამოკიდებულების თვით ეს მოვლენა, საფიქრებელია, წინათაც უნდა არსებულიყო, ამიტომ მისი სწორე დეს წინანდელი სახელია გამოსარკვევი. V-XIII სს-ის ძეგლების მეტისმეტი სიმცირისა და შინაარსის მხრით ერთგვაროვნობის გამო, ჯერჯერობით ასეთი ტერმინი არა ჩანს.

როგორც თვით ტერმინი „ღალის" მნიშვნელობითგანაც მოსალოდნელი იყო, „ღალა" დასამუშაებლად აღებული მიწის ქირას წარმოადგენდა, ამასთანავე სულადად, თვით მოსაელის, გარკვეული რაოდენობით (პროცენტით) გადახდილს.

§ 3. მიწის საბეგროდ გაცემა-აღება

„ბეგარა" როგორც სახელმწიფო გადასახადთა სისტემის კუთვნილებას წარმოადგენდა, ისევე კერძო-უფლებრივი დამოკიდებულების სფეროშიაც არსებობდა. მის შესახებ ძეგლებში ცნობებიც შედარებით უფრო მეტია გვაქვს გადარჩენილი.

ნიკორწმინდის XI ს. საბუთში მაგ. ნათქვამია: „კიეშს გუნაფაჲსძისაგან ვიყიდე ვენაკი... და მოწამე არიან კაცნი და გლეხთა მიეც"-ო, რისთვის და რა მიზნით, აქ აღნიშნული არ არის, მაგრამ ამავე ძეგლის შემდეგი უფრო სრული ცნობითგან ირკვევა. უშუალოდ მომდევნო ცნობაში ნათქვამია: „მუნეე კიეშს ბოსქლელისაგან ვიყიდე ენაკი... მოწამე არიან კაცნი და მიეც გლეხსა საბეგროდ", – „სწირეს, ნადირბაზევსა ძუ[ე]ლსა უკანაჲთ მოვიგე მიწაჲ და მიეც გლეხსა საბეგროდ და მოწამე არიან კაცნი"-ო.

ამ ორი ცნობითგან ირკვევა, რომ საბეგროდ გაცემა როგორც სახნაი მიწისა შეიძლებოდა, ისევე ვენახისაც. საბეგროდ მიმცემი მიწის მესაკუთრე იყო ხოლმე. აღსანიშნავია, რომ სამსავე შემომოყვანილ შემთხვევაში მიწის საბეგროდ ამღებნი გლეხები ყოფილან. მაგრამ ეს საყოველთაო მოვლენა იყო, თუ არა, მარტო ამ სამი ცნობის მიხედვით ამის გადაწყვეტა შეუძლებელია.

„ბეგარის" შინაარსისა და მნიმნელობის გამორკვეევისათვის ძეგლებში საკმაო ცნობები მოიპოვება, მაგრამ ეს საკითხი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" სფეროს ეკუთვნის და ამიტომ იქ არის განსაკუთრებით განხილული. „ბეგარა" სხვის უძრავი საკუთრების პატრონთან შეთანხმებულს სარგებლობა-გამოყენებას წარმოადგენდა. საბეგროდ აღებული მიწის სამაგიეროდ მებეგრეს პირადი და ქონებრიეი ვალდებულება აწვა, რომელიც გარკვეული სამსახურითა და მოსაცემლით გამოიხატებოდა.

§ 4. საკაბალოდ გაცემა-აღება

საკაბალოდ გაცემა-აღების შესახებ ცნობა ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ძეგლში, სახელდობრ, ნოკორწმინდის XI ს. სიგელში მოგეპოვება. აქაც მხოლოდ ორგან იხსენიება: „ცხილათს მოეიგე მიწა და მიეც მათვე საკაბელოდ და მოწამე არიან კაცნი"-ო. „სააღესებოდ ლეითის ძ[ ]რაჲ საჩხეორს სასკესა დესხა და დაკოდა და მისთუის საზღაჲად აეიღე საკიდ სახლი ჯაჭთა გაეთი (?) და ზედა [კა]ბალაჲ დაესდეეით"-ო.

„კაბალა" ტერმინი ს. ორბელიანს ასე აქვს განმარტებული: „ჯართა გააბარებენ სასარგებლოდ იფქლთა მოსაცემელად პირობითა რითმე სხვადასხვითა"-ო, ამავე შეცნიერს შეგანილი აქვს მწნის ფორმა „მიიკაბალს" რომელიც, ცხადია, რომელიღაც იურიდიული ძეგლითგან უნდა იყოს ამოღებული. ამ სიტყვაზე საბას ნათქვამი აქვს: „კაბალად შეიქმნას" ჰნიშნავსო.

ორიეე განმარტებითგან ჩანს, რომ ს. ორბელიანს ნიკორწმინდის სიგილს ცნობა ხელთ არ უნდა ჰქონოდა, არამედ სამაგიეროდ რაღაც სხვა წყაროები მოეპოვებოდა. პირეელი მისი განმარტება შესაძლებელია მის-დროინდელი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობისა და ცხოერების ანარეკლსაც წარმოადგენდეს და ან ზეპირ წყაროზე იყოს კიდეც დამყარებული, ან პირადი დაკვირვებისა, თუ ცოდნის ნაყოფი იყოს, მეორე-კი უფრო წერილობითი წყაროთგან ამოღებული ამონაწერის მთაბეჭდილებას ახდენს.

საკმარისია აღამიანი ნიკორწმინდის XI ს. საბუთის ცნობას ჩაუკვირდეს, რომ ცხადი შეიქმნეს, თუ რამდენად არ უდგება ს. ორბელიანის განმარტება ამ ძეგლში დაცულ გამონათქვამს: საკაბალოდ გაცემულად იქ ხარი-კი არ არის დასახელებული, არამედ მიწა. ამასთანავე ტერმინი „საკაბალოდ მიცემაჲ" და კაბალის დადებაჲ" ამტკიცებს, რომ „კაბალა" მაშინ უძრავ ქონებას ეხებოდა და რაღაც გამოსაღებელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

„კაბალა" არაბული სიტყვაა. არაბულად ხელშეკრულებას, სიმტკიცეს, დასასრულ იჯარასა და საიჯარო ფულსაც ჰნიშნავდა. „კაბალა" მოსკოვის სამეფოს XVI ს. სოციალური ცხოერების ტერმინოლოგიაშიც იყო მიღებული და თათრების წყალობით არის რუსეთში მესული. თათრულ საბუთებში კაბალა ეალის ხელწერილის მნიშვნელობით იხმარებოდა. ეალის ხელშეკრულებისაგან (კაბალა) წარმომდგარია კაბალური ყმობა. საკაბალო წიგნები რუსეთში XIII ს. დამლეგზე

აღრინდელი არ შეიძლება იყოსო. ხოლო, რაკი ვალის ძველ წიგნებში სარგებელი, ან ფულად, ან სულადად იყო ხოლმე გადაკეთილი და სულადად გადაწყვეტილი სარგებლის გადახდა მსესხებელთან პირადი სამსახურის სახითაც იცოდენ ხოლმე, ამიგომ ასეთ კაბალას მსახურებითი კაბალა ეწოდებოდა.

ქართული ძეგლების ცნობები საკაბალოდ მიცემის შესახებ რუსულ წყაროებთან შედარებით რამდენიმე საუკუნით უფრო აღრინდელია და მათ შორის ქრონოლოგიურის გარდა არსებითი განსხვავებაცაა: თუ რუსეთში კაბალა ვალსა ანიშნავდა და აღებულ ვალში გადასახდელ სარგებელს, საქართველოში უძრავ ქონებას ეხება: ნიკორწმინდელს ცხილათს „მიწა“ შეუძენია (მოუგე[1]) და იმათთვისვე, ვისგანაც შ უძენია, მიუცია „საკაბალოდ“. ის გარემოება, რომ საბუთში ნათქვამია, ამის „მოწმე არიან კაცნი“-ო, ცხად-ჰყოფს, რომ მიწის საკაბალოდ მიცემა ვალდებულებით ხელშეკრულებას წარმოადგენდა.

რაკი ნიკორწმინდელს ეს შეძენილი მიწა წინანდელი პატრონებისათვის მიუცია საკაბალოდ, უეჭველია, რომ ამ წინანდელ პატრონებს ეს მათგან შენაძენი დასამუშაებლად და სახმარებლად უნდა ჰქონოდათ მიცემული, რასაკვირველია, განსაზღვრული პირობითა და ქონებრივი სამღაურით. ამითვე აიხსნება გამონათქვამი სახლსა „ზედა კაბალაჲ დაესდვეით“-ო. „კაბალაჲ“ აქ იმ ქონებრივი სახსრის, სახელდობრ თითქოს სახლის ქირის, აღმნიშნელი უნდა იყოს, რომელიც საკაბალოდ მიღებული ქონების მფლობელს პატრონისათვის უნდა გადაეხადა. მაგრამ საკაბალოდ მიცემა-აღების იურიდიულ ბუნებას და პირობებს ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირდება, რათგან ორი შემთხვევითი ცნობა ამის გასამუქებლად, რასაკვირველია, საკმარისი არ არის.

სამოსამშლელო

კორიდეთის სახარების მინაწერთა მორის დაცული ორი ნასყიდობის წიგნის ბოლოში, როგორც ნასყიდობის შესახებ §-ში უკვე მოყვანილი გვქონდა, შემდეგია ნათქვამი: „ეინცა ესე დაწერილი შალოს, ათი ბოტინატი ზღოს და ესე გაგებული პასრევე იყოს“-ო, ან კიდევ — „ეინცა ესე დაწერილი შალოს, ლბ (32) დრაჯანი ზღოს და ესე არცა ეერე იშალოს“-ო.

ამ ორსავე ნასყიდობის წიგნში მამასადამე, საბუთისა და პირობის მშლელისა და მქცეველისათვის, სხვა საბუთებში ჩვეულებრივ დართული წყევლა-კრულის მაგიერ, პირობის დარღვევისათვის ფულადი სამღაურია დანიშნული და ამისდა მიუხედავად და სამღაურის გადახდინების შემდეგომაც თვით ნაქმნარის კეთილდღეობაა დადასტურებული.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის დაწესებულს სამღაურს „სამოსამშლელო“ ეწოდება.

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ „სამოსამშლელოს“ შესახებ IX-XIII ს.ს-ის ძეგლებში ცნობების, ჯერჯერობით მაინც, სიმცირისდა მიუხედავად, ასეთი სამღაურის ხელშეკრულებაში შეტანა მამინ იშვიათი შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო.

სესხი და ვალი
§ 1. ამის შესახებ წყაროებზე

სესხი და ვალი სოციალური ცხოერების ისეთ სფეროს ეხება, რომლის შესახებაც ცნობები სისტორიო ძეგლებში, რასაკვირველია, არ შეიძლება რომ იყოს. ამ პრობლემის შესასწავლად საკანონმდებლო და მოქმედი სამართლის ძეგლებია საჭირო, უმთავრესად ვალის წიგნები. ერთის გარდა ამ ხანის ვალის წიგნი გადარჩენილი არ არის: ჯერჯერობით მაინც გამოქვეყნებული არ ყოფილა. ასეთ პირობებში მკვლევარს სესხსა და ვალზე ბევრი არაფრის თქმა არ შეუძლიან, რათგან ხელთ მას შეიძლება მხოლოდ ამის შესახები ტერმინოლოგია და თითო-ოროლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, შემთხვევით გადარჩენილი ცნობა ჰქონდეს როგორც ქვემომოთხრობილითგან ცხადი გახდება, მოგიერთი საკითხის გამორკვევა ასეთი წყაროების სამუალებითაც შეიძლება. რაკი ებრაელთა საღმრთო წერილში სესხისა და ვალის შესახებ საკმაო ცნობები და დებულებები მოიპოვება, ამის წყალობით ქართული სამართლის ისტორიკოს სესხისა და ვალის შესახები ქართული ტერმინოლოგიის მესწაულა შეუძლიან უკვე იმ ხანითგან მოყოლებული, როდესაც საღმრთო წერილი ქართულად ითარგმნა. შემდეგ ამას ძეგლებში გაფანტული მცირეოდენი ცნობებიც ემატება. ნათარგმნი თხზულებების ცნობებიი უცხო ქვეყნის სოციალური ცხოერებისათვის არის დამახასიათებელი, ამიგომ თავდაპირველად სჯობია ქართული ცხოერების ამ თვალსაზრისით დამსურათებელი ნობები განვიხილოთ, ხოლო შემდეგ ნათარგმნი ძეგლების ძველი ტერმინოლოგიის ანალიზიც მოეიმეველიოთ.

§ 2. ქართული ბეგლების ცნობები

კონსტანტინე-კახაძს მარტეილობის ავტორს მოთხრობილი აქვს, რომ კახასთან „მრავალნი მოიქცნენ ღმრთის ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თუსთაგან. ხოლო ნეგარებითა დიდითა გარდახდის თანანაღებნი იგი მათნი"-ო.

ეპანის მონასტრის წესდებაში განსაზღვრულია, რომ „არავის ძმათაგანსა კელ-ეწიფების მონასტერსა ამას შინა... ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ საკმართა მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა"-ო.

„მევახშობა" სავანეში იმდენად მიუღებელ დანაშაულებად იყო მიჩნეული, რომ ამის მიმდევარი უნდა დაწესებულებითგან განედევნათ.

ათონის მონასტრის აღაპებში აღნიშნულია, რომ, როცა პაპლე მამასახლისად აურჩევიათ, იყო ქართველთა „მონასტერყ ეზომ გლახაჲ და ვალთა უფალი, რომელი ხუთასი დრაკანი იპოა გარდაუკლელი და სოფელნი დაჭირულნი... დიდისა აღმწერლისაგან სამეფოჲთა ბრძანებითა"-ო.

ამ სამ ამონაწერში ქართული IX-XII სს. სესხისა და ვალის შესახები ეითარების სურათი და ჩეულებრივი ტერმინოლოგია გვაქვს დაცული. ერთის მხრით დასახელებულია „ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ საკმართა– დაჭირებულთა ზედა". მოვლენა აქ დახასიათებულია გამსესხებელის მოქმედების დასურათებით.

მეორეს მხრით აღნიშნულია „თანანაღები" და „ვალი", ვალის მნიშვნელობით იმგვარადვე, როგორც „ვალთა უფალი" მოვალის აღსანიშნავად.

დასასრულ, მოვალის ორგვარი შესაძლებელი ბედია წარმოდგენილი: ან ვალთა, თუ თანანაღების „გარდაკდაჲ", ე.ი. სესხის დაბრუნება, ანდა ვალი „გარდაუკლელი" და ამ ვალგადაუხდელობისათვის შეუძლებელი მოვალის უძრაეი ქონების „დაჭირვა" („სოფელნი დაჭირულნი"), ე.ი. დაყადაღება, ანდა „თანანაღებთა თუსთაგან ლტოლვა" შორეულ ქვეყანაში და იქ გადახვეწა.

„საქმართა გაცემა"-ს ორნაირი მიზანი პქონია: „დაჭირებული", ე.ი. გაჭირებული სესხის ამღები, ან „აღნადგინები"-ს გადამხდელი უნდა ყოფილიყო, ან არა და „ვახში" უნდა მიეცა მსესხებლისათვის.

§ 3. სარგებლის კანონიერი სიდიდე

ქრისტიანე ერთა სამართალი და სახელმწიფოები ძველად და სამუალო საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ეალში სარგებლის აღების წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ ცხოერება მაინც თაეისას არ იმლიდა და ამიგომ საკანონმდებლო ძალების საშუალებით სარგებლის ნებადართული რაოდენობა განსაზღვრო იქმნა. გიორგი ბრწყინეალესაც აღნიშნული აქეს: „სარგებელი არც ქართველ სჯულთა სძესთ წესად რომე აიღონ და არცა სხუათა სჯულთა უწერია და სარგებელი არის უწესო"-ო. გიორგი ბრწყინეალეს სარგებელის კანონიერ საზღერად 20% აქეს დაწესებული. ასეეა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნშიაც. როგორ იყო ეს საკითხი იმ ხანაში მოგვარებული, რომელიც ჩეენი აწინდელი კელეგა-ძიების საგანს შეადგენს, ჯერ არა ჩანს. მაგრამ სარგებელი რომ ქართველებსაც უღიათ, ისეე როგორც სხვა „სჯულის" ხალხიც იღებდა, ამას კოსტანტინე-კახაძს მარტულობის შემომოყვანილი ცნობაც ცხად-ჰყოფს.

გასესხების მძიმე პირობებისა და სარგებლის სიდიდის მომასწაეებელია აგრეთვე ეპანის მონასტრის წესდების მჭევრმეტყეელი დებულება, რომ სავანის წევრებს, ბერებს ეკრძალებოდათ „ეპქმად და აღნადგინებად გაცემაჲ საკმართა მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლითა გლახაკთაჲთა განძმდღრებაჲ". ამიგომ ცხადია, რომ ძეელადაც საქართეეოში სარგებლის კანონით ნებადართული უმაღლესი საზღვარი უნდა დაწესებული ყოფილიყო. მაგრამ როგორც ხშირად ხდებოდა და ხდება, ცხოერება კანონზე გაცილებით უფრო ულმობელი იყო და კანონის გეერდის აქცეეაც ალბათ ადეილად ხერხდებოდა.

§ 4. ვალის შესახები ხელშეკრულების კანონიერი ფორმა

ჩვენამდის ერთმა XIII ს. შუა წლების ვალის წიგნმა მოაღწია და ეს გარემოება საშუალებას გეაძლეეს წარმოვიდგინოთ სესხისა და ვალის წესები ძეელ საქართველოში. აი ეს ვალის წიგნიც სიტყვა-სიტყვით: „ქ: სახელითა ღ-თისაითა და თაედებობითა სუეტისა ცხოველისაითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ ბურჯულთა კაეთულამა და თეედორამა და ჩუენთა შვილთა ბასილამა და მშუიდმა: დაგეეჭირუა პაეისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და აეიღეთ თქუენ მოძღურისაგან დემეტრესაგან ტუსაისძისაგან სამოცი თეთრი დეკენბერსა ათსა და ჟამიჩინეთ უცი (ე.ი. 20) კოკაი ტკბილი წელიწადსა მიგა მშაი, რამე უსიტყუელადა, კელთა მოგაკსენებდეთ. ამისნი მოწამენი არიან კარაისძე ებაი და წამალაისძე იაი".

როგორც ამ ვალის წიგნითგან ჩანს, ასეთ საბუთში, მოვალისა და მსესხებლის ვინაობის აღნიშნულობის გარდა, უნდა მოხსენებული ყოფილიყო:

1. მოვალისაგან ვალის აღების მაიძულებელი გარემოება („დაგეუჭირეა ჰაეისა ეამისაგან და ხარაჯობისაგან"). ასეთ ცნობას ორი თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა: ერთის მხრით ამით მტკიცდებოდა, რომ ვალი მოვალეს მსესხებლისაგან მოურაგებით არ ჰქონდა თავზე მოხვეული და ვალი თეით მოვალეს თავისი სურვილითა და ნებით აუღია. მეორეს მხრით ამით გამომჟღავნებული იყო ხოლმე ის მძიმე ობიექტური პირობები, რომელნიც მოვალეს ვალის აღებას აიძულებდნენ. ეს ადამიანის თავმოყვარეობისათვის მაშინ ცოტა არ იყოს შემლახავ გარემოებად მიჩნეული ვალის დადების ერთგვარ მობოდიშებას წარმოადგენდა.

2. აღებული ვალის თვისება და რაოდენობა („სამოცი თეთრი").

3. ვალის აღების თარიღი. აღსანიშნავია, რომ შემომოყვანილ ერთად-ერთ გადარჩენილ ვალის წიგნში თარიღი მხოლოდ თაეის სახელსა და რიცხეს შეიცავს („დეკემბერსა ათსა"), ქრონიკონი, წელიწადი-კი აღნიმნული არ არის. ალბათ ეს გარემოება ამ აღებული სესხის უვადობით აიხსნება, რათგან მოვალეს, რასაკვირველია, მსესხებლ;ის თანხმობით ვალის გადახდის ვადის განსაზღერა არ მოუსურვებია: ის მარგო პირობას სდებდა, რომ მსესხებელს სარგებელს ჩააბარებდა ხოლმე, სანამ აღებულ სესხს პატრონს არ დაუბრუნებდა („ვირემდისცაღა ამა შენსა თეთრსა კელთა მოგაკსენებდეთ"-ო). საფიქრებელია, რომ მაშინაც, ისევე როგორც შემდეგში იცოდენ, ვადიანი ვალის წიგნებიც იქმნებოდა და ასეთ საბუთებში, რა თქმა უნდა, თარიღი ზედმიწევნით უნდა ყოფილიყო აღნიმნული, როგორც ზედიწევნით აღნიმნულია ხოლმე თარიღი მერმინდელი ხანის ვალის წიგნებში.

4. აღებული სესხისათვის გადასახდელი ყოველწლიური, თუ ყოველთვიური სარგებლის თვისება და ოდენობა. დამახასიათებელია, რომ მოვალე ამ სარგებელზე ამბობს „გამიჩინეთ"-ო. უეჭველია, ამით უნდა სარგებლის ოდენობის თეით მეეალისაგან თავისუფალი, ნებაყოფლობითი განსაზღერულობა გამომეღავნებულიყო, რომ შემდეგში გამსესხებელს სარგებლის გადიდების უფლება არ ჰქონოდა.

5. რომ მოვალე ვალდებული იყო გამსესხებლისათVის სარგებელი მმამმარეულად და ყოველგვარი მიზეზის გარეშე ჩებარებინა („გამიჩინეთ.., მმაი, რომ უსიტყუელად კელთა მოგაკსენებდეთ"-ო).

6. დასასრულ, როგორც ვალდებულებითი თვისების ყველა სხვა საბუთშიაც, აქაც ვალის წიგნს მოწმეთა დამადასტურებელი ხელრთვა უნდა ჰქონოდა.

თუმცა ერთი ვალის წიგნის მინაარსი საკმარისი არ არის, რომ მისი აგებულებისა და ფორმულების მიხედვით სესხისა და ვალისათVის არსებული წესების დადგენა და აღდგენა ამისდა მიხედვით შესაძლებელი იყოს, მაგრამ ის გარემოება, რომ მერმინდელი ვალის წიგნები ასეთიეე აგებულებისაა და იქაც ასეთიეე ფორმულებია ნახმარი, ცხად-ყოფს, მრომ XIII ს. ზემომოყვანილი ვალის წიგნი გამონაკლისსა და არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა, არამედ უკვე ძეელად ამის შესახებ არსებულ წესებს მისდეედა. ეს გარემოება მკელევარს უფლებას აძლევს ამ ერთად ერთ ძეგლსაც დაემყაროს და მისი მინაარსის მიხედვით სესხისა და ვალის საქართველოში არსებული წესები გამოარკეიოს.

წინდი, ნახუთეეი და თავსმდებობა

§ 1. წინდი

„წინდი"-ს შესახებ იმ ხანაში, რომელიც ამ ეამად ჩვენი კელეების საგანს შეადგენს, ცნობები ჯერ არსად მოგვეპოეება, მისი ამ ხანამდიც და უწინარესაც არსებობას ერთის მხრივ ტერმინი „დაწინდვის წესი" ამტკიცებს, რომელიც ქორწინების წინასწარ საფუძურს წარმოადგენდა, მეორეს მხრივ ამაეე ტერმინის ნათარგმნ ძეგლებში, უკეე საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში, ხმარება. მაგ. ნეემიას 5₁-ში ნათქეამია: „იყუნენ ვინამენი, რომელნი იგყოღეს, „აგარაკანი ჩუენნი და ვენაკენი ჩუენნი და სახლნი ჩუენნი რაჲთა მიეს(ცეთ წინდად და მოეიღოთ იფქლი"-ო. იობის 22₆-ში სწერია: „წინდად აქუნდა მმათაგან შენთა ამაოსა შინა, ხოლო საბოსელნი მიშუელთა გამოაკუენ"-ო. ამაეე ძეგლის 24 ე-ში აღნიშნულია: „კარაულნი ობოლთა წარიყუანეს და კარი ქურიეისა წინდსა შინა აღიღეს"-ო.

ამ ამონაწერითგან ჩანს, რომ „წინდი" ეალის ამღებისაგან გამსესხებლისათვის მიცემული სესხის გადახდის უზრუნველმყოფელი ქონებრივი სახსარი იყო. ამგვარად „წინდი" მერმინდელი, სპარსულისაგან შეთვისებული, ტერმინის „გირაო"-ს მესატყვისობას წარმოადგენს. ს. ორბელიანსაც წინდის მნიშვნელობა სისწორით აქეს განმარტებული: „წინდი ვალისათვის მძეველი" არისო.

მაგრამ ძეელ ქართულში „წინდი" მარგო ვალისთვის წარდგენილსა და მიცემულ „მძეველ"-ს-კი არ ჰნიშნაედა, არამედ საერთოდ ყოველგვარი ვალდებულებითი მეთანხმებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფისათვის მოცემულ ნივთს. ეს რუის-ურბნისის 1103 წ. კრების

ძეგლისწერითგანაც ჩანს, სადაც მომავალ საცოლ-ქმროთა „დაწინდვა" არის ნებადართული, ე.ი. მათი დაქორწინების პირობის უმრუნველყოფელი ნიშნების მიცემა. ეს გარემოება დაბადების ქართული თარგმანითაც მტკიცდება, რომლითაც „წინდი" უკვე ბეს აღმნიშნელია. შესაქმეთა 37₂-ში მაგ. ნათქვამია: „უკუეთუ მომეც წინდი წარმოცემადმდე (საფასისა) შენდა"-ო.

პროფ. მაქსიმე კოჟალევსკი-ს ქართული წინდი სომხურისაგან მეთვისებულად მიაჩნდა. მაგრამ თვით სომხებს ამ ცნებისათვის საკუთარი ტერმინი არ ჰქონდათ და სპარსულითგან ნასესხებ ტერმინს „პრაე"-ს, გირაოს ხმარობდენ. ქართული „წინდი"-კი არ ჩანს რომ ნასესხები იყოს. ამ „წინდი" ტერმინთან უნდა იყოს დაკავშირებული სასოფლო მეურნეობაში, სახელდობრ, მევენახეობაში მიღებული ტერმინი „წინდა", რომელიც ს. ორბელიანს ეზეკიელის 17₂-ის დამოწმებით განმარტებული აქვს, როგორც „ვენაკის გარდაფლვა". დასახელებულ ადგილს ნათქვამია: „იქმნა ვენახად და ყვნა წიდნენი და განავრცნა ბაბილონი მისნი"-ო. „წინდი" უდრის ბერძნულს, ლათინურს ს, სომხურს, რომელნიც ე.წ. სამამულო რქას, ანუ გადასანერგ რგოს ჰხიმნავენ. ქართველ მთარგმნელს, როგორც ეტყობა, ამ მუხლის მინაარსის გაღმოსაცემად ქართულ მევენახეობაში არსებული ტერმინი გამოუყენებია.

„წინდი" და „წიდნი" რომ მონათესაეე სიტყვები უნდა იყვნენ, ეს აღვილი დასაჯერებელია, მაგრამ ძნელი გადასაწყვეტია, წარმომდგარია, თუ არა „წინდი" მეევნახეობაში მიღებული სამუალების აღმნიშნელი ტერმინისა და ცნების მიმსგავსებით, როდესაც ვაზის რქას მიწაში დამარხავდენ, გადაჰწვენდენ, რომ ის კვლავ ახალ ვაზად აღმოცენებულიყო, — თუ პირიქით „წიდნი" მშნა ნასახლარი მშნაა და თვით ტერმინიც გაცემული სახმრისა, თუ განძეულის, ან ფულის, უკან დაბრუნების უზრუნველმყოფელ სამუალებად სწორედ სესხის და ვალის წესად მიღებული „წინდი"-საგან არის ნაწარმოები. რეალური თვალსაზრისითა და პირველყოფილ პირობებში კონკრეტულისაგან განყენებულზე გადასვლის უფრო ბუნებრიეობის გამო, „წინდი"-ს „წიდნა" მშნისაგან დამოკიდებულებას ამრი უფრო დამაჯერებელი გვეჩვენება. მაგრამ მაინც მაინც გაუგებარი და განუმარტაეი რჩება თვით „წიდნა" და „წიდნი"-ს ძირითადი მნიშვნელობა.

ამასთანავე, თუ გაეიხსენებთ, რომ ვალს ძველ ქართულში „თანანადები" ერქვა, ანუ ის, რაც „თან ედვა" ვალის ამღებელს, რომ მოეალეს „თანამდები" ეწოდებოდა, იბადება საკითხი „წინდი" ამავე ცნებასა და მშნასთან დაკავშირებული ტერმინი ხო მარ არის და, ვითარცა სესხის მისაღებად გამსესხებელისათვის წინდაწინეე ვალის გადახდილობის უზრუნველსაყოფად ღადებული ქონების აღმნიშნელი ტერმინი, „წინდებული"-ს მეკეეცილ ფორმას ხომ არ წარმოადგენს?

§ 2. ნახუთევი

წინდთან დაკავშირებული იყო აგრეთვე „ნაკუთევი", რომელიც საღმრთო წერილის ქართულ თარგმანშია ნახმარი. იეზეკიელის 18₂-ში ნათქვამია: „გლახაკსა და დაერდომილსა ჰმძლავრა და ნაგაცები იტაცა და ნაკუთეეი არა უკუნსცა". ს. ორბელიანს ეს ტერმინი სწორედ ამაეე §-ის დამოწმებით განმარტებული აქვს, როგორც „ნათხოები, გინა საწინდარი".

„ნაკუთევი" „კუთვა" მშნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა. თვით ეს მშნაც გეხვდება ქართულ ნათარგმნ ძეგლებში: „უკუეთუ იკუთო სამოსელი მოყუასისა შენისა, ვიდრე დასვედმდე მზისსა მისცე მას სამოსელი მისი, რამეთუ იგი მხოლოჲ არს საფარველი მისა".

მეორე სჯულის 24₄-შიც ნახმარია ეს მშნა: „ნუ საღა იკუთაე შენ ფქვლსა შედა კერძოსა, ნუცა ქუეშე კერძოსა, რაჲმეთუ სულთამხუთავსა მსგავს არს იგი"-ო. „კუთვა" აქაც იმასეე უდრის ბერძნულად და ლათინურად.

„კუთვა" შემდეგშიაც, საკანონმდებლო ძეგლებშიაც „დახუთვის" სახით გეხვდება და თანამედროვე ქართულშიაც იხმარება. ბექა-აღბუღას კანონებში მაგ. ნათქვამია: „თუ კაცმან კაცსა რაჲგინდარაჲ ამანათი შეეედროს და დაჭირების ჟამსა საქონელი სთხოოს, განაღამცა მისცეს, — მერმე უკანის სამდურავისათჳს დახუთვას არას ემართლების"-ო. ასეა უძველეს ხელნაწერში, ვახტანგის კოდიკოში-კი ძველი „დახუთვას" მაგიერ ამ აღგილას „დაჭირვა" სწერია, ე.ი. ძველი და უკვე ასეთი მნიშვნელობით იშვიათ სიტყვად ქცეულის მაგიერ მისი ყველასათვის გასაგები სიტყვა „დაჭირვა" არის ჩართული. ამით მტკიცდება, რომ „დახუთვა" მიბარებული ნივთის დაჭერას ნიშნავდა.

თუმცა საღმრთო წერილის ქართული თარგმანითგან მოყვანილი მაგალითების მიხედვით „ნაკუთეეი" პიგნუს-ის, ანუ წინდის შესაგყვისად არის საგულისხმეეი, მაგრამ თეით ამ ტერმინის აგებულება გვაფიქრებინებს, რომ, თავდაპირველად მაინც, მას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, წინდისაგან განსხვავებული ცნების, ან უკეთ რომ ითქვას, დაწინდეის წესისა და სამართლის ერთი სახეობის, სახელდობრ, მისი შედეგის აღმნიშნელი უნდა ყოფილიყო. „ნა-კუთ-ევი" ისეთი წინდის აღსანიშნავად განკუთვნილ ტერმინად უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც მოვალისაგან ვალის გადაუხდელობისა და ვალის პირობების შეუსრულებლობის გამო გამსესხებელის მიერ დაჭერილი და გასაკუთრებული, თუ დაყადაღებული იყო. დაბადების ზემომოყვანილ მაგალითებშიაც ასეთ დაკავებულ საწინდარზეა საუბარი და

ქართველ მთარგმნელს აქ წინდის მაგიერ შეგნებულად სხვა მესაფერისი ქართული ტერმინი „ნაკუთვილი“ უხმარია. აღსანიშნავია, რომ ბექააღბუღას ზემომოყვანილ კანონშიაც დაჭერილი ამანათისათვის „დახუთვა“ არის გამოყენებული. ერთი სიტყვით „ნაკუთვილი“-ს ცნების ძირითად თვისებას იმდენად დაწინდულობა არ შეადგენდა, რამდენადაც მისი დაკავება, დაჭერა, დასაკუთრება.

§ 3. თავსმდებობა

ზოგჯერ გამსესხებელისათვის გასაცემი სესხის უკან დაბრუნების რწმენისათვის იმდენად წინდს არ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც იმ გარემოებას, რომ მისთვის სანდო პირს ვალის გადახდის პასუხისმგებლობა მოვალეს მაგიერ ეკისრა. მაშინ გამსესხებელს უწინდოდაც შეეძლო ესესხებინა. ასეთ პირს, რომელიც ვალის ამღების მაგიერ ვალის გადახდის პასუხისმგებლობას კისრულობდა, „თავსმდები“ ეწოდებოდა და თვით ამ ცნებასაც „თავსმდებ-ქმნა“ და „თავსმდებობა“ ერქვა.

ეს ტერმინი საღმრთო წერილის ქართულ თარგმანშია ნახმარი. „უკუეთუ თავს-მდებ ექმნა მეგობრისა წილ შენისა, მიეც კელი შენი მგერსა, რ'საფრკე ძლიერი არს კაცისა თუისისა ბაგენიო: და დატყეეველების ბაგეთგან თუისისა პირისათა... რ'შეხვიდე კელთა შინა ბოროტისათა მეგობრისა შენისათჳს... განამზადე მეგობარიცა შენი რომელისა თავსმდებ ხარ“.

ამ ცნების გამომხატველი ქართული ტერმინის „თავსმდები“-ს აგებულება და პირველადი შინაარსი ამეღავნებს, რომ თავდაპირველად თაედებობა ალბათ პოლიტიკურ ნიადაგზე და სისხლის სამართლის ასპარეზზე უნდა გაჩენილიყო და მხოლოდ შემდეგში უნდა გადანერკვილი იყოს სამოქალაქო სამართლის ვალდებულებითი ხასიათის ხელშეკრულებამეც. მაინც-და-მაინც ცხადი ხდება, რომ ასეთი პირი მარტო ქონებრივად-კი არა, არამედ თავის თავითაც, ე.ი. პირადადაც პასუხისმგებელი იყო სეკრული პირობის აუსრულებლობისათვის.

ნამარხევი და შენაველრი

§ 1. ნამარხევი

გ. მერჩულის თხზულებაში ნახმარია ტერმინი „ნამარხევი“. პროფ. მარრს იმ წინადადების შესახებ, სადაც ეს სიტყვა მოიპოვება, ნათქვამი აქვს: ამ ადგილის გადათარგმნა ორნაირად შეიძლება, ან „რაიმე შესანახად დატოვებული ჰქონდა“, ან „მიცვალებული ჰყავდა“-ო.

გ. მერჩულის თხზულებაში მოთხრობილია: ცქირი ეპისკოპოში, რა ჟამს „წარაელინა ერი იგი ხანძთას, მაშინ თჳთ წარეიდა ქორთას, რამეთუ მუნ ნამარხევი მისი იყო, რაჲთაცა წარიღო“-ო.

ამ ტერმინის მნიშვნელობის გამორკვევა მეორე ქვემომოყვანილი ადგილის მიხედვით უფრო ადვილია. დაბადების ქართულ თარგმანში გეხვდება „მიცემაჲ დამარხვად“. „უკუეთუ ვინმე მისცეს მოყუასსა თუსსა ეშეხლი, ანუ ჭურჭელი დამარხვად, და მო-ვინმე-იპაროს ესხლისაგან მის კაცისა, უკუეთუ იპოოს მპარავი, მოჰკადოს ორი წილი“-ო. ამგვარად ქართულ „მიცემაჲ დამარხვად“ commendatio-ს ეთანასწორება და შესანახად მიბარებას ნიშნავდა. უდრიდა, თუ არა ქართული „ნამარხევი“ რომაული სამართლის commodatum-ს, ე.ი. ჰქონდა, თუ არა ნამარხევის შემნახველს ამ ნამარხევის სარგებლობის უფლება ისეე, როგორც ეს რომაული სამართლის თანახმად შეიძლებოდა და ამის გამო ძველად „kommodatum“-ს utendum datum-საც-კი (ე.ი. სარგებლობისათვის მინაცემსაც-კი) უწოდებდენ, ცნობების უქონლობის გამო ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება.

§ 2. შენაველრი

„ნამარხევი“-ს გარდა ძველ ქართულში იხმარებოდა კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც ამ ცნებას უფრო მარჯვედ გამოსახატავს. ასეთ ტერმინად „ველრი“, ან, როგორც მისი სრული ფორმაა საფიქრებელი „შენაველრი“ ყოფილა. ქართულ საისტორიო და იურიდიულ ძეგლებში ჯერ არა ჩანს, მაგრამ „ველრი“ საღმრთო წერილის ქართულ თარგმანშია ნახმარი სწორედ იქ, სადაც ნამარხევზეა საუბარი: „უკუეთუ ვინმე მისცეს მოყუასსა თუსსა ვეცხლი, ანუ ჭურჭელი დამარხვად და მო-ვინმე-იპაროს... უკუეთუ არა იპოოს მპარავი“, იგი (იგულისხმება შემნახველი) მოეიდეს ტაძარში და დაიფიცოს, რომ „არა ბოროტი ქმნაჲ ყოელისათჳს ეველრისა მის მოყუასისა თუსისა“-ო.

ლეეიტელთა ნ$_{24}$-შიც გვხვდება ეს ტერმინი და მისგანვე ნაწარმოები „ველრად ქონებაჲ“: თუ „უტყუოს მოყუასსა ეველრისათჳს, გინა ბიარებისათჳს, გინა ტაცებისათჳს... და იყოს რაჲ ჟამსა

ცოლეა და ბრალი ქმნაჲ, მისცა მონაგაცები იგი, რომელი მოსტაცა, გინა ენებისა მისთჳს, რომელი ავნო, გინა ეედრისა მისთჳს, რომელ ეედრად აქუნდა მას".

აღსანიშნავია, რომ თუმცა IX-XIII სს. ძეგლებში „ეედრი" და „შენაეედრი" ჯერ არა ჩანს, მაგრამ ბექა-არბულას სამართალში, რომელშიაც საკუთრად აღბულას დროს შედგენილ კანონებში ამ ცნების გამოსახატავად უკვე არაბული ტერმინი „ამანათი" იხმარება, მაინც თვით მოქმედების აღსანიშნავად ძველებურად „შეეედრება" მშნაა დატოვებული. იქ სახელდობრ ნათქვამია: „თუ კაცმან კაცის ამანათი სეიეედროს რაჲგინდარაჲ", „თუ კაცმან კაცსა რაჲგინდარაჲ ამანათი შეჰეედროს"-ო.

ამგვარად ირკვევა რომ „შენაეედრი", ანუ „ეედრი" ძველი ტერმინია, რომელიც უკვე იმ დროსვე განმტკიცებულ-მეკვეცილი ყოფილა, როდესაც საღმრთო წერილი ქართულად უთარგმნიათ. XIII ს-მდე ეს ტერმინი იხმარებოდა, როდესაც მის მაგიერ ნასესხები ტერმინი „ამანათი" შემოსულა. მაშასადამე „ამანათი" ტერმინის შეთვისება ამაეე დროს თვით ცნების შეთვისებასაც არ ჰნიშნავდა, რომლისთვისაც ქართულს, როგორც დაერწმუნდით, საუკუნეთა განმავლობაში საკუთარი ტერმინი მოეპოვებოდა.

ლექცია XII

საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი ძველი ქართული სამართლის მიხედვით

ივანე ჯავახიშვილი

I) ცოლქმრობისა და ქორწინების წესები საქართველოში

ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს ძეგლებში ჯერ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება; მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობები არსებობს. ამასთანავე ცნობები სხვადასხვა დროისაა და ქორწინების წესების განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურებს ეხება. ამის გამო მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია.

ზოგმა მათგანმა შეიძლება თავისი ეელურობით შეიძლება სიძველისა და პირველყოფილობის შთაბეჭდილებაც მოახდინოს, მაგრამ ნამდვილად ზოგჯერ პირველყოფილი იქ არაფერია. მაგ., XV ს. დამდეგს აღმოსაელეთში და საქართველოშიაც ნამყოფი გერმანელი ტყეედ ჩაეარდნილი მეომარის ჰანს შილტბერგერ-ის მოგზაურობის აღწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ქართველებსა, ოსებს იმგვარადვე როგორც სომხეთში ასეთი ქორწინების წესები აქეთ: როდესაც მმობლებს თავის შვილისათეის საცოლედ ქალწულის მოყვანა სურდათ, მაშინ საცოლოს დედას პირობას აღებინებდნენ, რომ მისი ასული მართლაც ქალწული იყო. ქორწილის დროს ქალიშვილებს საცოლო სიმღერით საქორწილო ოთახში მიჰყავეთ. ამის შემდგომ საქმრო ყმაწვილი კაცებითურთ მოდის ამოწყებილი ხმლით, იქვე მაყრიონითურთ ჯდება და დიდი ლხინითა, ცეკვითა და სიმღერით ჭამა-სმას შეუდგებიან. ასე რომ დროს გაატარებენ, მერმე საქმრო საცოლოსთან შეჰყავეთ და ყველანი დანარჩენნი გადიან. შემდეგ მისი ძმა, ან ერთი მახლობელ მეგობართაგანი ოთახის კარებს ხმალამოწყებილი დარაჯობს, სანამ საქმრო ადგება. თუ საცოლო ქალწული არ გამოდგა, მაშინ დედას აცნობებს. საქმროს დედა რომ თავის მეგობრეეითურთ სარეცელთან მოვა, ზეწარს გაშინჯაეენ და თუ იქ არაეითარ ისეთ ნიშანს არ შეამჩნეევენ, რომელიც ქალწულს უნდა ჰქონდეს, მაშინ ყველანი დაღონდებიან. მეორე დღეს რომ საცოლოს დედმამა ქორწილში მოელენ, საქმროს დედა ერთ ძირგახერეგილ სასმისს დაამშაღებს და როცა ღვინის დალეეის ჯერი დადგება, ამ სასმისში ღვინოს ჩაასხამს ისე კი, რომ ნახერეგი ქვეითგან თითით აქეს დაკობილი, და საცოლოს დედას გამოსაცლელად მიაეედის. ამ დროს, რაკი სასმისის გახერეგილ ძირს თითი მოშორდება და ღვინო დაიღერება, საქმროს დედა საცოლოს დედას მიაძახებს: შენი ასულიც ასე მთელი აღმოჩნდაო. ეს რასაკეირეელია საცოლოს ყველა მახლობელისათვის მეტად სასირცხეილო იყო და საცოლოც ასეთ შემთხეეევში თავის მშობლებს უბრუნდებოდა ხოლმე.

მთელი ამ ჩეეულების ეელურობისდა მიუხედავად იგი ძველი არ უნდა იყოს. პირეელყოფილ მდგომარეობაში ქალწულების ასეთი შემოწმება წარმოუდგენელი რამეა. აღსანიშნაეია, რომ კორ. ბოროზდინს ამნაირი ჩეეულება სამეგრელოს ებრაელთა შორის XIX ს-ში აღწერილი აქეს და იმასეე მოთხრობილი აქეს, რანაირი გაუგებრობა შეიძლება მომხდარიყო ასეთი უცნაური შემოწმების დროს და როგორ შეიძლებოდა სრულებით უმანკო ქალწული ტყუილ-უბრალოდ და სრულებით დაუმსახურებლიე გაწბილებულ-შერცხეენილი ყოფილიყო. საცოლოს ქალწულობის შემოწმების ჩეეულება და წესი ებრაელთა შორის მიღებული ყოფილა და მეორე მჯულთა 22/13-21-შია აღწერილი, მაგრამ იქ ნათქვამია, რომ როდესაც საქმროს მხრით ბრალდება იყო ხოლმე წამოყენებული, თეით საცოლოს ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება მოხუცებულთა და მოსამართლეების წინაშე უნდა მომხდარიყო. რადგან მემომოყვანილი ცნობის გარდა სხეაგან არსად ამის შესახებ არაეითარი ცნობები არ მოგეეპოეება და პირეანდელიც იგი შეუძლებელია ყოფილიყო, გამოსარკეევია საითგან, სახელდობრ ებრაელთაგან, თუ არა, და როდის უნდა ყოფილიყო შეთეისებული ეს უცნაური ჩეეულება. ჰანს შილტბერგერის აღწერილობა უფლებას გეაძლეეს დავასკენათ , რომ ის, რაც ბოროზდინს XIX ს. შუაწლებში სამეგრელოს ებრაელთა შორის უნახაეს, უკვე XIV-XV ს. ყოფილა საქართველოში, ოსეთსა და სომხეთსაც.

ყველა ცნობა ქორწინების წესების შესახებ ჩეენ მხოლოდ იმ დროიდან მოგეეპოეება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. ქრისტიანობამ კი ბეერი წარმართობის წესები ამოფხრა და თავისი შემოიღო. სხეათა შორის ცოლქმრობისათეის ქრისტიანობამ საეკლესიო ლოცვა-კურთხეეა, გეირგეინთა კურთხეეაც აუცილებელ პირობად გაახადა. ამ გარემოებამ ქორწინების ბოეი ძველი წესი შესცეალა და ამით მათ პირეანდელი თვისებები დაეკარგა. მაგრამ ხალხი დიდ ხანს საეკლესიო გეირგეინთა კურთხეევას ცოლქმრობისათვის თავისთეის საეალდებულოდ არ სთელიდა.

საეკლესიო ქორწინება და ჯერისწერა რომ ქართეელ ხალხს ქრისტიანობის ხანაშიაც აუცილებელ წესად არ მიაჩნდა, ეს სამთაენელის სარგოს გარიგების 1459 წ. და წილკნელის სარგოს გრიგების 1669 წ. წიგნებითგანაც ცხადად ჩანს. სამთაენელის სარგოს გარიგების წიგნში, მაგ., ნათქვამია: „უკ'თუ ჯ'რ დაუწერელად კაცმა ცოლი დაიორსულოს, გ: (3) ძროხა მიართვას" სამთაენელს ამ დანაშაულობის საზღაურადო, ხოლო „უკთუ მღდელმან ორსულს ჯ'ი დასწეროს, გ:

(3) ძროხა მიართვას, თუ იცოდეს, — თუ არ იცოდეს; ა: (1) და მექორწინემ: გ: (3) ძროხა მიართვას"-ო.

წილკნელის სარკოს გარიგების 1669 წ. განახლებულ წიგნშიაც წერია: თუ ვინმე „ჯვარდაუწერელი ცოლთან დაწვეს, საკანონო ცხვარი ორი და ხარი ორი აძეს"-ო. ქვემოთ ახალუბნის შესახებ დებულებაში ეს ცნობა ამნაირად არის გამოთქმული: „თუ ჯვარდაუწერელს დაუწვეს, საკანონო ძროხა ერთი"-ო.

მაგრამ ქრისტიანობის გავლენით შეცვლილ ზნეჩვეულებებსა და წესებში ბევრი რამეა შენახული, რაც მორეული წარსულის ნამთს წარმოადგენს და ცოლქმრობის დამყარების ძველისძველი წესების ისტორიის ერთ-ერთი საფეხურის დამახასიათებელია. ამიგომ მკვლევარი ეალდებულება ყველა მცირეოდენი ცნობაც კი გამოიყენოს, რომელიც ამ საკითხის გაშუქებას ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობს. ისტორიულად ცნობილ ხანაში ქალის წაგვრით, ანუ მოგაცებით ცოლად შერთვა უწესოებადა და უკანონობად ითვლებოდა და ქართული სამართალი ასეთ მოვლენას ებრძოდა ხოლმე თვით ისეთ ხანაშიაც კი, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებას ქეუნისა და ხალხის კულტურული დაქვეითება მოჰყვა. სამთაენელის სარკოს გარიგების წიგნის უძველესს, 1459 წ. დაწერილ ნაწილში ნათქვამია: „შეეიყარენით ჩუენ ცხრაზმის ხეეისა სამისაევე ხევის კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვახსენეთ სამთაენელესა და ჯ-ა ომფორსა: ღღეს ამას უკანით რამანცა ხუცესმან ანუ სვინდიკონოზმანთა ანუ მეყვისთა ანუ უწესოდ მიგაცებულთა ანუ გეირგეინნი აკურთხნეს, ანუ ჯ-ი დასწერნეს, ანუ სარჯულო დაუმალოს, რაც ეპრიანებოდეს დაეურვებინოს, და შუა ვერცა პატრონი შემოუეიდეს, ვერცა ქეუანა"-ო. ამაევ ბეულში ამ საგანზე ქვეეითაც არის ორჯერ საუბარი და აქ ასე წერია: „უკ'თუ უქმრო (სიც!) მოიგაცოს ცოლად, ბ (2) ძროხა მიართოს" სამთაენელს დანამაულობის საბღაურადო, ხოლო „უკ'თუ მღელმან ამგეარად მოქმედს (სიც!) კაცთა ჯ-ი დასწეროს, განიკეეთოს"-ო. მაგრამ ამ ცნობებითგანაც ჩანს, რომ წაგვრის წესი ოღესღაც ქართეელ ერსაც უნდა სცოდნოდა, როგორც სრულებით ბუნებრივი ჩეეულება.

V ს. ქართეელ ისტორიკოსს იაკობ ხუცეს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა მოეპოვება, რომელიც ქორწინების მაშინდელი ქართული ზოგი წესის აღდგენის სამუალებას გვაძლევს. მას სახელდობრ აღნიშნული აქეს, რომ, როდესაც ვარწქენსა და მისი მეუღლის შუშანიკის შორის სარწმუნოების ნიადაგზე მომხდარი განხეთქილების გამო საცოლქმრო მყუდრო ცხოერება შეირყა, შუშანიკმა ქმრისაგან განშორებისათეის ვაზრქენის სახლი მიატოეა და სხეაგან გადაეიდა. ქმარმა, რაკი დარწმუნდა, რომ მათი ცოლქმრობა უკეე შეუძლებელი იყო, შუშანიკის მოძღვარს იაკობ ხუცესს მოუწოდა და თურმე შემდეგი უთხრა: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვედ ჰონთა შედა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს: იპოოს ეინმე რომელმან განკაფოს იგი. მიეედ და მომართუ იგი ყოველიეე რაიცა რაი არს"-ო. ვაზრქენის ამ სიტყეებიდგანა ჩანს, რომ მას თავის დროს ცოლისათეის სამკაული და სხეაც ბეერი რამე („ყოეელიეე რაიცა რაი არს") მიურთმეეია, რომელიც მის ცოლს შეიძლება ჰქონოდა, სანამ მის ცოლობას სწეედა, ხოლო როდესაც საცოლქმრო კავშირი დაირღეეოდა, ქმარს შეეძლო იგი ჩამოერთეა. აქ რომ უბრალო სამკაულზე არ იყო საუბარი, არამედ საქმროს საცოლისათეის მისართმეე ნივთებს ეხებოდა, ვაზრქენის დართული სიტყეებითგანაცა ჩანს: მას უთქვამს, რომ სხეა ეინმე აღმოჩნდება, რომელიც ამ ნიეტებს მოიხმარებსო. ცხადია, აქ მეორე საცოლო იგულისხმება, რომლის მერთვისაც ვაზრქენი აპირებდა და რომლისათეისაც მას წესისაებრ საჩუქარი უნდა მიერთმია. ამ გარემოებას იაკობ ხუცესის მიმდეენო მოთხრობაც ადასტურებს. როდესაც მოძღვარს შუშანიკისათეის ყეელა ეს ნიეთები გამოურთმეეია და ვაზრქენისათეის მიეტანია, „მან მიიღო ჩემგან, აღიხილა და იპოვა ყოეელი გებულად და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ეინმე, რომელმან ესე შეიმკოს"-ო. აქეთგან ცხადი ხდება, რომ ეს ის ნიეთებია, რომელიც საცოლოსა და ცოლს უნდა მიჰრთმეოდა.

იაკობ ხუცესის ზემომოყვანილი ცნობის მთელი შინაგანი მნიშვნელობის გასაგებად ქართული ძეელი ქორწინების წესების ცოდნაა საჭირო, რომელთა დალაგებული აღწერილობა ერეკლე მეფის ძეს ეახტანგ ბაგონიშეილსა აქეს. მისი სიტყეით ოდეს დაამტკიცებდენ ეინმე ეისასმე სასძლოდ თეისად მოყეანად, წარუგზაენიდიან ქალსა მას შეძლებისაებრ ნიშნად სამკაულთა ძეირფასთა... და მიგანისა ჟამსა დასდებდიან ოქროსა ანუ ეერცხლსა სინსა შედა სამკაულსა სასძლოსა და ეერეტ მიართეიან ქალსა მას".

თეით ქორწილის დროსაც, როცა ჯვარის წერითგან სახლში დაბრუნებული მეფე-დედოფალი და მექორწილენი დალოცეასა და საღეგრძელოებს მორჩებოდნენ, „აღგებს ეჯიბი მეფისა ორისა მიშლეისა ხლმითა და მდივანმან ანუ მწიგნობარმან ეინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქმრისა თეისისაგან მიცემულთა სოფელთა ნუსხა პირბაღის ასახდელად. მემდგომად მიეიდის ეჯიბი, დაუზოქის ხრმლებითა და აპხადის პირბაღე სძალსა მას. მემდგომად წარმოდგების სამუალო მდივანი ანუ მწიგნობარი ეინმე და წარიკითხის, რასაცა ქალს მას გააგანდიან მითად".

ქორწინების წესის ამ აღწერილობაში ის გარემოებაა საყურადღებო, რომ საცოლოსთეის პირეელად სწორედ საქმროს უნდა მიერთმია სამკაული-საჩუქარი, ისეე ქონება და მხოლოდ ამის მემდგომ საცოლოს მზითეესაც ჩამოსთვლიდენ ხოლმე. ამგეარად პირეელად საქმროს მიჰქონდა საცოლოს ოჯახში ქონებრიეი საჩუქარი ქალისათეის. „ქართეელი ერის ისტორიის" IV წიგნის პირეელ ნაწილში ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის მოციქულის ცნობა მაქეს მოყეანილი,

რომელშიაც ჩვენი საკითხისათვის საქართველოს მეფის გიორგის ერთი საყურადღებო განცხადებაა აღბეჭდილი. მისი ასულის ბიზანგიის მეფისათვის საცოლოდ მთხოვნელ დესპანისათვის გიორგი მეფეს განუცხადებია: ჩვენი ქვეყნის მნე-ჩვეულების თანახად საქმროს მოაქვს საცოლოსთვის ქონება და არა საცოლოს საქმროსთვის, ამიტომ მე ჩემს ასულს მზითევს ვერ გამოვატან. მაგრამ სხეაფრივ ქონებრივად უმრუნველეყოფო. აქაც, მამასადამე, გარკვეით არის ნათქვამი, რომ ქართული ქორწინების წესი პირველად სწორედ საქმროს ავალებდა საცოლოსათვის ქონების მიგანას. მზითევი საქართველოში IX ს-მიც უკვე იხსენიება და თეით ტერმინი უკვე დაბადების ქართულ თარგმანში გეხვდება, მაგრამ მაინც ჯერ საქმრო იყო მოვალე, რომ ქალისათვის საჩუქარი მიეგანა და ალბათ სწორედ ამასვე გულისხმობდა გიორგი მეფე, როდესაც ქართულ მნე-ჩვეულებაზე ლაპარაკობდა.

ეს გარემოება არქანჯელო ლამბერტსაც აქვს XVII ს. სამეგრელოს აღწერილობაში აღნიშნული. მისი სიტყვით სამეგრელოში, ეეროპაში მიღებული წესის მსგავსად, ცოლის შერთვის დროს მზითევს არ დაეძებენ: „კოლხიდაში ასე როდია, იქ ქალს არავითარი მზითევი ქმრისათვის არ მოაქვს... სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუგანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქრები და მდიდრული ძღვენი... ეს ვალდებულებაა სასიძოსი, რომ მშობლებს უნდა მიუგანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სასძლო მონა არისო და მის ფასს იხდის. ჩეეულებრივ საჩუქრად მოყავთ ხოლმე ძროხები და ხარები, ან ცხენები, ან ყმები ან და სხეა ამისთანები“-ო.

ქორწილის ყოველიეე ხარჯი სამეგრელოში სასიძოს უნდა გაეწია. მხოლოდ ახალ ჯვარდაწერილთა ქმრისა და სიძეს სახლში გასტუმრებისას ქალის მშობლები თაეიანთ ასულს თან მოძრავ ქონებასაც აგანდნენ, უეჭველია მზითეეის მსგავსად.

არქანჯელო ლამბერტის თაეის მოთხრობაში წამოსცდენია ის ამრი, რომელიც ადამიანს ამ ჩეეულების განხილეის დროს შეიძლება დაებადოს: საქმრო ამით „თითქოს ფასს იხდის“ საცოლოსთვის. დიახ, ის სწორედ ურვადა იყო, ქალის წამოყვანისათვის მირთმეული ქონებრივი საბღაური და იაკობ ხუცესის ცნობამიაც ამავე ურვადის კეალი და ნაწილი უნდა ეიგულისხმოთ.

ამას გარდა ქართული ქორწინების წესს დაცული ჰქონდა და ნაწილობრივ ეხლაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი ფრიად საგულისხმო ჩეეულება, რომელიც უძეელესი დროის პრობების ანარეკლად უნდა მიეიჩნიოთ. ბატონიშეილ ეახტანგის სიტყვით ჯვარის წერისათვის საცოლოს სახლში მიმაეალ სასიძოს „მიუძღოდიან მოხელენი და მგალობელნი მაყრულისა თქმითა და კარგად შეკაზმილნი. და თეითეც და თანამყოლნიეც ისხდებოდიან ცხენთა ზედა ეით შორს მიმაეალნი, ეგრეტ ახლოს“. ეკლესიაში მიმაეალ მეფე-დედოფალს „წარუძღეიან ყოველნი ქეეითად და ეგრეთეე მგალობელნი თქმითა მაყრულისაო. ქალსა მას გაყეის მდაღი ქალნი მრაეალნი და მაყარნი და ნათესავნი“. მეფე-დედოფალი რომ ჯვარის წეერს შემდგომ „გამოეღენ ეკლესიით, მაშინ ეჯიბის სიძისა და მაყარი სძლისა ორნიე ამოიღებდენ ხმალთა და მიაბჯენდენ კარსა ეკლესიისასა დამ ის ქვეშ განეღიდენ სიძე და სძალი“.

აღსანიშნავია, რომ საქმროს საჩუქრისა და პირბადის ასახღელად ძღვენის ნუსხის წასაკითხად „აღგების ეჯიბი მეფისა ორისა მიშელისა ხმლითა“ და ნუსხის მინაარსის გამოცხადების შემდგომ „მიეიდის ეჯიბი, დაუჩოქის ხრმლებითა და აპხაღის პირბადე სძალსა მას“.

უეჭეელია ამ საქორწინო მნე-ჩვეულებაში დაცულია ცოლის წაგერისა და მოგაცების ძეელი წესები. აქ უკეე მხოლოდ სიმბოლური გამოხატულება იყოიმ ხანის სურათის, როდესაც საქმრო თავის საცოლოს მოგაცებით ირთავდა, როცა ის მართლაც იძულებული იყო ცხენოსანი და შეიარაღებული მებრძოლებითურთ მორს გზას[ს] გასდგომოდა, რომ ცოლი მოეყეანა, როდესაც ამოწედილი ხმლები მშეიდობიანი ქორწილის მარგო მხატერული ფერადოენების სამკაული კი არ იყო, არამედ მართლაც აპრიალებული ხმლების პრიალი სწარმოებდა. პანს მილგბერგერის მემომოყეანილი აღწერილობითაგანა ჩანს, რომ ხმალამოწედილი მაყრიონის თანხლების წესი უკეე XIV ს-ში და რასაკეირეელია ამაზე მრაეალი საუკუნით უწინარესაც მშეიდობიანი ქორწინების მხოლოდ უბრალო ჩეეულება-ღა იყო. ამგეარად, თუმცა ქართეელმა ერმა მაღალი კულტურული წარმატების წყალობით წაგერის წესის განეითარების საფეხური დიდი ხანია განელო, მაგრამ იმ დროინდელი წესების ნაშთი და კეალი ქორწინების მერმინდელ მნე-ჩვეულებებში მაინც შერჩა.

პეტრე ქართველის ასურულ ცხოერებაში ქართველ მეფეთა შესახებ მოყვანილ ცნობებითგანა ჩანს რომ სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არა ყოფილა და ეს „ენდოგამია“ ალბათ საარსული მაზდეანობის გაელენის შედეგი უნდა იყოს: იქ როგორც ვიცით, და-ძმათა შეუღლებაც კი ნებადართული და ასე განსიჯეთ ღეთისნიერ საქციელადაც კი იყო აღიარებული. რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი მოგვითხრობს, რომ ფარსმანს (ფარსმანეს) იბერთა მეფეს ძმა ჰყაედა მიპრდატი (მითრიდატე), რომელმაც რომაელთა დახმარებით სომეხთა სამეფო ტახტი დაიპყრა, და ამ მიპრდატს ცოლად თავისი ძმისწული, ფარსმანის ასული ესეაო და ამ ცნობითაც მტკიცდება, რომ იბერიამიც შესაძლებელი ყოფილა და ნებადართული ასეთ მახლობელ ნათესავთა შეუღლება, როგორიც არიან ბიძა-ძმისწული. კონსტანტინე პორფიროსანის (912-959) მოწმობითაც ქორწინება სახლისკაცთა შორის საქართველოში დიდებულთა საგვარეულოებში იმის დროსაც კი ჩეეულებაღა ჰქონიათ.

იოანე საბანისძესაც ერთი საგულისხმო ცნობა მოეპოვება. მისი სიტყვით ნერსე ერისთაეის ქართლითგან გაქცევის შემდგომ „წარმოაელინა მაადი ამირა-მუმნშან ბრშანებითა ღმრთისაითა სტეფანოზ, ძეი გურგენისი დისწული ნერსეისი, ნაცვლად დედის ძმისა თეისისა ნერსეისა ერისმთავრად ქუეყანასა მას ქართლად. მამინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებაი იგი სახლისა მისისაგან არა განამორა ღმრთმან“-ო. და ეს ცნობაც იმავე შემოალნიშნული დებულების დამადასტურებელი უნდა იყოს.

მაგრამ ენდოგმია მხოლოდ წარჩინებულ საგვარეულოებში იყო ხოლმე, საერთო მოელენად იგი არ ყოფილა.

„მოქცეეაი ქართლისაი“-ს აღმწერელს ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება, რომელიც სწორედ ამ საკრთო და უძველესი მოვლენის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. მისი სიტყვით როდესაც ამომ არან ქართლისა მეფის ძემ ეითომც ალექსანდრე მაკედონელისაგან მცხეთა და მთელი ქართლი მიიღო, „ესე ამოი წარვიდა არან ქართულად მამისა თეისისა და წარმოიყვანა რეაი სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ბუელ მცხეთას“. ჯუანშერს კიდეე ნათქვამი აქეს, რომ ვახტანგ გორგასლის მამამ „მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ წესი იყო, რომელ შეილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლსა აღზარდიან“-ო. ამაეე თხზულებაში აეტორს აღნიშნული აქეს, რომ „მოკუდა საურმაგ სპასპეტი მამა-მძუძე ეახტანგისი“.

რაჟდენის წამებაშიც მოთხრობილია: „წესი იყო მამინ სპარსთა შორის, ეითარცა ჩუენ ქართველთა შორის, რომელსა მამა-მძუძედ უხმობდეს.. მეფემან ვახტანგ.. მოითხოვა ცოლად ასული იგი (სპარსთა მეფისა), რომლისადა მამა-მძუძე ქმნილიყო სანაგრელი იგი“ რაჟდენ.

როგორ უნდა გაეიგოთ მემომყვანილი ცნობები და რას უნდა ჰნიშნაედეს „მამა-მძუძე“? ტერმინი „მამ-მძუძე“ საბა ორბელიანსაც მოეპოვება ლექსიკონში და განმარტებული აქეს როგორც „კაცი გამზრდელი“ და ამის დამამტკიცებელ საბუთად 4 მეფეთა X, § 1-სა ასახელებს. მაგრამ შესატყეის ადგილს ბაგ. ბაქარის გამოცემაში „მამა-მძუძე“ არ არის, არამედ „მზრდელნი“-ა. საბას როგორც ეტყობა დაბადების თარგმანის ისეთი რედაქცია ჰქონია, რომელშიაც ამ ადგილას ტერმინი „მამა-მძუძე“ ყოფილა ნახმარი.

მამა-მძუძეობის არსებობას საქართველოში V ს. ისტორიკოსის იაკობ ხუცესის სიტყვებიც ადასტურებენ. მისი სიტყვით შუშანიკმა სიკედილის წინ „მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფუსს და მადღსა მისცემდა მის მიმართ მოწლებისა მისისათეის ეითარცა მამას და მამამძუძესა“. ამავე აეტორს ნახმარი აქეს მეორე ტერმინიც, რომელიც ამავე აღზრდილობის წესთან არის დაკაეშირებული. იაკობ ხუცესი ამბობს, რომ „პიტიახშმან გამოარჩია ბუძუისმტე მისი (ე.ი. შუშანიკისა) საკუთარი, რაითა მოიყუანოს იგი ცაძრად“.

.

ივანე ჯავახიშვილი

საოჯახო-სამემკვიდრეო სამართალი

§1. ცოლქმრობის სამართალი

„ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნში ღნიშნული გექონდა ის საფეხურები, რომელიც ცოლქმრობის დამყარების წესებს დროთა განმავლობაში უნდა გაეელო. იქ ისიც აღნიშნული იყო, ქართული ქორწილის ხალხურ ჩეეულებებში წაგერია და მოგაცების ანარეკლი მკაფიოდ მოჩანს. მაგრამ ამ ჩეეულების გარდა თეით „წაგერისა“ და მოგაცების წესი დიდიხანია საქართველოში მოსპობილი და გადავარდნილი იყო. არამცთუ XVIII ს-ში, არამედ უფრო წინათაც ცოლის მოგაცებით შერთვა არ იყოდენ. არც ბექას, არც ათაბაგ აღბუღას სამართლის წიგნებში, არც გიორგი ბრწყინეალის „ძეგლისწება“-ში საცოლის მოგაცება უკვე მოხსენებული არ არის. სცდებოდა ურბნელი, როცა ამგკაცებდა, ვითომც ბექა და აღბუღას სამართლის წიგნებში საცოლოს „წაგერის“ წინააღმდეგ რაიმე სასჯელი დანიშნული იყოს. იქ გაუთხოეარი ქალწულისა და საცოლოს მოგაცებაზე-კი არ არის საუბარი, არამედ მხოლოდ ცოლის წაგერაზე. მაგ. § 46-მი ნათქვამია: „თუ კაცმან კაცს წაგაროს ასე, რომე დიაცი მისი ნებით და წადილითა გაპყევეს“-ო. ხოლო § 47 ძალად მოგაცებული ცოლის შესახებ ლაპარაკობს: „თუ ძალად ცოლი წაგვაროს დიაცისა უმეცრად და უნდომად.. დაუურვოს ცოლის წავერისა საპაგიო“-ო.

დანართი კანონთა § 165-იც მხოლოდ ცოლის მოგაცებას შეეხება და არა საცოლოსას, იქ ნათქვამია: „რომელმან კაცმან ვინგინდას მისი გეირგეინნაკურთხი ცოლი წაუღოს და მოსგაცოს“-ო. ამაეე საგანს შეეხება § 135-იც („თუ კაცმან კაცსა ცოლი წაუღოს“-ო).

ერთად ერთი § 24 მუხლია, რომელშიაც შესაძლებელია ქალწულის მოგაცების შესახებ იყოს ლაპარაკი. მაგრამ აქ საქმე განსაკუთრებულ გარემოებას ეხება. 24-ე მუხლში სახელდობრ ნათქვამია: „თუ კაცმან კაცს სეფექალი წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუურეოს“-ო. განსასეენებელ ნ. ურბნელს ეგონა, რომ სეფე-ქალი, როგორც სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონშია ახსნილი, მხოლოდ „დიდებულის გასათხოვარ ქალსა“ ჰნიშნაედა. მაგრამ აეტორი

რო თვით კანონის მუხლს დაპკიერეებოდა და მისი შინაარსი გაეთვალისწინებინა, შეცთომას თვითონ აღეილად აიცდენდა. „სეფე-ქალის (დიდებულის გასათხოვარი ქალია) წაგერა უფრ მსუბუქი დანამაულობაა, ვიდრე დიდებულის ცოლის წაგერა. აღბუღა დასწერს, პირველ წამგვრელმა ორის მსახურის სისხლი დაიურვოს, მეორემ – ორკეცი, დიდებულის გვარსა შეღაო. მსახური ხომ ძლიერ დაბლა იდგა დიდებულზედ. მამასადამე, სეფე-ქალის წაგერაც უფრო სააღვილო იყო. რისთვის? – მისთვის, რომ პირველად ჩვეულება კაცსა მხოლოდ გასათხოვარ ქალის წაგერის ნებას აძლევდა, რადგანაც ასეთის წაგერით მყარდებოდა ცოლქმრობა და სხვა სამუალება არ იყო. ქმრიან ქალის წაგერა და ეგრეთწოდებული გაწბილება– შემდეგ გაჩენილა და, როგორც სჯულმდებლობის ისტორია მოწმობს, ყველგან მიღებული ყოფილა დიდ დანაშაულებად– ძველად საქართველოსა და საათაბაგოშიაც ჩვეულებრივ მარტო გასათხოვარი ქალის წაგერა ჰქონიათ და აქ არის საბუთი, რომ ძველი სამართალიც მოწყალება ასეთი წაგერისა“-ო, ბრძანებდა ბ. ურბნელი.

ერთ დროს რომ ქალწულის საცოლოდ მოგაცებას გათხოვების მნიშველობა ჰქონდა, ამის უარყოფა არავის შეუძლიან, მაგრამ ავგორის დანარჩენი მსჯელობა ბექა-აღბუღის შემომოყვანილი კანონის შესახებ სწორე არ არის იმიგომ, რომ იქაც ორკეცი სისხლია დანიშნული დანამაულებისათვის და განსაკუთრებით იმიგომ, რომ იქ დიდებულის გასათხოვარ ქალწე-კი არ არის ლაპარაკი, არამედ დიდებულის მოახლეზე, მსახურ ქალზე. ეს რომ სწორედ ასეა, იმ საბღვრითაგანაც ჩანს, რომელიც სეფე-ქალის მოგაცებისათVის დანიშნულია. იქ ნათქვამია: წამგვრელმა „ორის მსახურის სისხლი დაუურვოს“-ო. რაკი ამ მუხლში სეფე-ქალის მოგაცებისათვის „ორი მსახურის სისხლია“ დანიშნული, ცხადია, რომ სეფე-ქალი ამ შემთ ხვევაში მსახურ ქალსა, მოახლესა ჰნიშნავდა იმიგომ, რომ ძველ საქართველოში დანამაულების ერთერთ მთავარ საზომად მიმძაერებულის, ანუ მომჩივანის გვარიშეილობა ითელებოდა და საზღვრიც, „სისხლი“ ყოველთვის „გვარსა შედა დიოდა“. ეს შეურყეველი კანონი იყო. ბექას სამართლის წიგნში, მაგალითად, ნათქვამია: „სისხლისა ზღუა ასრეევა – კაცი ეითაცა გვარად იყოს, აგრე ბემო-ქვემობით უზღოს, ეითარცა უწერია სისხლი – დიდებულსა ორმოცი ათასი, შემდეგსა ოცი ათასი, უქედესთა თორმეტი ათასი, ეითარცა „ღირსიიყენენ“-ო (§28). თუ მოკლული, ან მიმძლაერებული მსახური იყო, მსახურის სისხლის კვალობაზე ერთკეცად, ან ორკეცად. ერთი სიტყვით, დიდებულისათვის რომ მსახურის სისხლის კვალობაზე დაეურვათ, ეს ყოველად შეუძლებელი იყო. თუ § 24-ში სეფე-ქალის მოგაცებისათვის ორი მსახურის სისხლია დანიშნული, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სეფე-ქალი მსახური იყო, დიდებულის ოჯახის მოახლე. „სეფე-ქალი“ ბექა-აღბუღის სამართლის წიგნში რომ მებაგონს მოახლესა ჰნიშნავდა, ეს 72-ე მუხლითგანაც ჩანს: „თუ ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს და მან სეფე-ქალსა ზედან სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლეხსა, ანუ გლეხის ასულსა, – წასულას არას ემართლების“-ო. ამ კანონში ყმობაზეა ლაპარაკი: როცა ვინმე გლეხი, ან მსახური რომელსამე მებაგონესთან მიეიდოდა და თავის თავს ყმად დაუწერდა, მებაგონეც მიიღებდა, თუ შემდეგ ახალმოსული ამ მებაგონეს მის „სეფე-ქალს“, ან მისი ნაყმევი გლეხის ასულს საცოლოდ სთხოვდა და მებაგონე ამ თხოვნას შეიწყნარებდა, მას წასვლა აღარ შეეძლო. ცხადია, რომ აქ სეფე-ქალი მოახლესა ჰნიშნავს და არა დიდებულის ქალს, თორემ მაშინ რომელი დიდებული იკადრებდა სიძედ თავის ყმა გლეხ-კაცს? უძველეს ხელთნაწერში § 24-ში „მუახლე“ სწერია – „სეფე-ქალი“-ს მაგიერ.

მაშასადამე აღბუღას სამართლის წიგნი მხოლოდ მოახლის მოგაცებაზეა ლაპარაკი და ნ. ურბნელის აზრი, ვითომც ამ შემთხევევაში კანონმდებელი უფრო მსუბუქ საბღვარს უნიშნაედა, ვიდრე ცოლის წაგერისათვის, ვითომც იმიგომ, რა-კი კანონმდებელმა იცოდა, რომ „ასეთის წაგერით მყარდებოდა ცოლ-ქმრობა და სხვა სამუალება არ იყო“, სრულებით მცთარია. როგორც ცოლის წაგერისათVის § 46-ში ნათქვამია, მომგაცებელმა „რასაცა გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორ-ნაწილი დაუურვოს ქმარსა“-ო. ასევე სეფე-ქალის წაგერისათვის დამნაშაეეს „ორის მსახურის სისხლი“ უნდა დაეურვებინა. ორსაეე შემთხევევაში ორკეცი სისხლია გადაკეეთილი. ხოლო, თუ სეფე ქალისათვის საზომად მსახურის სისხლია დანიშნული, რასაკეირეელია, იმიგომ, რომ სეფე-ქალი მსახურთა „გვარისა იყო“.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, მაშასადამე, მოახლის წაგვარასაც იმგვარადეე სასგიკად სჯიდა, როგორც სხვის ცოლის მოგაცებას. საზოგადოდ მათმა კანონებმა მოგაცებით ცოლის შერთვისა არა იცის რა. ერთად ერთი შემთხეევა, როდესაც თურმე იგაცებდენ ხოლმე, მებაგონის მოახლის წაგერა ყოფილა. მაგრამ ეს ძველებური ქორწინების ჩეეულების ნამთი-კი არ არის, არამედ ბაგონყმობის შედეგი. მებაგონე, რა-კი სეფე-ქალი მის ყმად ითელებოდა და მისი სახლობისათეის საჭირო იყო, როგორც ჩანს, გათხოვებას ეწინააღმდეგებოდა და ცდილობდა თავისიეე ყმისათვის მიეთხოეებინა, რომ მოახლე ისეე მის სამსახურში დარეენილიყო. სეფე-ქალის მოგრფიალეს, რომელსაც მებაგონე „სეფე-ქალსა ზედან სიძობით შეწყნარება“-ზე უარს ეუბნებოდა, მოგაცების გარდა სხეა გზა არ დარჩენოდა. მაგრამ ამ შემთხეევაში მოგაცებას სულ სხეა მიზეზი და აზრი ქონდა და იგი ბაგონყმობის შედეგი იყო და არა პირეანდელი ზნე-ჩეეულების ნაშთი.

არც გიორგი ბრწყინეალის სამართლის წიგნმა „ძეგლის დადება“-მ იცის „წაგერით“ ცოლის შერთეა. იქაც მხოლოდ სხეის ცოლის წაგერაზეა ლაპარაკი: §§ კა, კბ, კგ, კე, კვ მხოლოდ სხეის ცოლის მოგაცებას ეხება. ხოლო, რაკი არაგეის ხეობაში აბნაურები თითო-ოროლა იყო, ამიგომ

„ძეკლის დაღება“-ში სეფე-ქალის მოგაცებაც-კი არ არის მოხსენებული. მაგრამ, თუ არ არაგეის ხეობაში, სხვაგან საც უნდა ყოფილიყო საქართველოში საცოლოს მოგაცება: ქართველი მთიელები მაშინაც ბარის მცხოვრებებზე გაცილებით უფრო ჩამორჩენილნი იყენენ. თუ იქ ქალწულის „წაგერა“ ჩვეულებრივ მოვლენას არ შეადგენდა, მით უმეტეს შეუძლებელია, ეს წესი სხვაგან საღმე საქართველოში გაბატონებული ყოფილიყო.

არამცთუ XIV ს-ში, XII ს-ის დამდეგსაც საცოლოს მოგაცება ქართველებს უკვე ჩვეულებად არა ჰქონიათ: რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების „ძეგლის-წერა“-ში სხვადასხვა ქორწინების წნე-ჩვეულება არის ჩამოთვლილი და აკრძალული, ქალის მოგაცების შესახებ-კი არაფერია ნათქვამი, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ამ დროს წესი უკვე დიდხანია გადავარდნილი ყოფილა. სრულებით დაუჯერებელია, რომ იმ დროს ქალის ძალად წაგერა საქართველოში ჩვეულებად ყოფილიყო და საეკლესიო კრებას მისთვის ყური არ ეთხოვა და ეითარცა ძალმომრეობა და შურისა და მოსისხლეობის ჩამომგდები არ აეკრძალა.

პირიქით „ძეგლის-წერა“-ში ერთი ისეთი ჩვეულება არის აღნიშნული, რომელიც ამგკიცებს, რომ საცოლოს მოძებნა-შერთვეინებაში და ქალის გათხოვებაში უფრო ხშირად ქალ-ვაჟის მშობლები ირჯებოდენ, საქმრო-საცოლო ზოგჯერ მცირეწლოვანი იყო ხოლმე და არაფერ შუაში იყენენ (იხ. მუხლი 8). ერთი სიტყვით იმ დროს ცოლის შერთვა და ქორწინება უკვე მშობლების მშვიდობიან მოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული.

ცოლებს, რომ ქალის ასეთი მშვიდობიანი თხოვნით და არა მოგაცებით ირთავდენ ხოლმე არამცთუ XII საუკუნეში, არამედ X-XI საუკუნეებშიაც და, უეჭველია, უფრო წინათაც, ეს გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებითაც მტკიცდება. გიორგი ხუცეს-მონაზონს სხვათა შორის მოთხრობილი აქვს, თუ როგორ მეირთო ცოლი გიორგი მთაწმიდელის მამამ, იაკობმა. ქართველი მეფის მინდობილობით სპარსეთში მიმავალი იაკობი გზაზე ერთ დაბაში ჩამომხტარა და მისულა „სახლა, რომელსა იყოფოდეს მშობელნი ამის წმიდისა (ე.ი. გიორგი მთაწმიდელის) დედისანი“. იაკობმა რომ „იხილა წესიერი იგი და სათნო ცხორებაჲ მათი... და ეტრფიალა კეთილსა ცხოვრებასა მათსა, ხოლო შეილად მხოლოდ-შობილად ესუა მათ მარიამ..., იხილა რაჲ შუენიერება ხატისა მისისა და ნარნარი იგი და დაწყნარებული ქცევა მისი და განკრძალული სახე, პრქუა მშობელთა მისთა: „დამიმარხეთ შეილი ეგე თქუენი კეთილად, მო-თუ-ვიქცე მშჳდობით, მე ვიქორწინო ეგე და სრულიად თქუენთანა დავემკჳდრო“-ო.

ეს აღწერილობა X საუკ. ცოლის შერთვის წესს საუცხოვოდ გვისურათებს. ყმაწვილ კაცს, რომელსაც რომელიმე ქალწული მოსწონდა, ჰხიბლავდა „შუენიერება ხატისა მისისა და ნარნარი იგი და დაწყნარებული ქცევა მისი და განკრძალული სახე“, ან სხვა რომელიმე ღირსება, ქალის მშობლებისათVის უნდა მიემართა და თავისი სურვილი გამოემეღავნებინა. თუ მშობლები თანხმობას გამოაცხადებდნენ, საქმე გათავებული იყო და ქალ-ვაჟს შეეძლოთ „შჯულიერითა და წმიდითა ქორწინებითა“ შეუღლებულიყვნენ. არც მოგაცება, არც ქალის ნებაყოფლობით წაგერა ცოლის შერთვისათვის ამ დროს საჭირო აღარ ყოფილა.

ქალის საცოლოდ თხოვნისა და გათხოვების შემომყვანილი სურათი რომ განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდა და ამ დროს ჩვეულებრივ ცოლის შერთვა მშვიდობიან მოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული და არა საქმროს ძალმომრეობასა და სიყოჩაღეზე, გიორგი მთაწმიდელის იმავე ცხოვრების სხვა საგულისხმო ცნობითაც ჩინებულადა მტკიცდება . ცხორების ავტორს სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ ის ქალწული იაკობზე წინათაც „მრავალთა მიერ ძიებული იყო სძლად მიყვანებად სახიდ თუსად“, მაგრამ მშობლებს „სიყვარულისათჳს მისისა არა ვისდა მიეთხოვა“-ო. მაშასადამე, მაშინაც-კი, როცა ქალის მშობლები თავიანთი ასულის მითხოვებაზე უარს ეუბნებოდენ, ასეთ შემთხვევაშიაც მოგაცება წესად არა ჰქონიათ. ყურადღების ღირსია აგრეთვე ავტორის შემომოყვანილი სიტყვები: ქალი „მრავალთა მიერ ძიებული იყო სძლად მიყვანებად სახიდ თუსად“-ო. რაკი აქ საცოლო სძლად არის ნოდებული, მაშასადამე, ქალს თავიანთი შვილისათვის საქმროს მშობლები თხოულობდენ და ქალ-ვაჟი, როგორც ეტყობა, მოლაპარაკებაში არც კი ერეოდენ.

ჩვეულებრივ და უმეტეს შემთხვევაში („მრავალთა მიერ“) ქალის თხოვნისა და გათხოვების წესი, როგორც ჩანს, ამნაირად წარმოებდა. XII საუკ. დამდეგამდე, როგორც „ძეგლის წერით“-გან ჩანს, ზოგჯერ ქალ-ვაჟის მშობლები თავიანთ შვილებს პატარაობითვანვე ცოლ-ქმრობის გვირგვინს უკრთხებდენ. ჩვილი ქალ-ვაჟის „დაწინდვა“, დანიშვნა ხომ შემდეგ დროსაც ჩვეულებრივად სცოდნიათ საქართველოში. ზოგჯერ კიდევ საქმრო მარტო თითონ, უღელმამოდ ელაპარაკებოდა ხოლმე ქალის მშობლებს და შვილს ცოლადა სთხოვდა. ერთი სიტყვით, ისტორიული, ან იურიდიული ცნობები იმის შესახებ, თუ როდის იყო გაბატონებული საქართველოში „წაგერის წესი“, ან როდის მოისპო ეს ჩვეულება, სრულებით არ მოიპოვება. ვიცით მხოლოდ, , რომ „წაგერა“ უკვე X საუკუნეში აღარ სცოდნიათ და რაკი ამ დროს ეს ახალ განსაკუთრებულ მოვლენად არ ითელებოდა, ამიგომ, უეჭველია, „მოგაცება“ X საუკ. დიდი ხნით უწინარეს გადავარდნილა და მოსპობილი ყოფილა. რასაკვირველია, აქა-იქ, ბოგიერთს შეეძლო ქალი მოეგაცა, იმვეარადვე, როგორც ეს ჩვენ დროსაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მაშინაც ამგვარი საქციელი ქალისათვის სამარცხვინოდ, ხოლო ყმაწვილის მხრივ უწესობად ითვლებოდა.

ვიდრე საქმე ქორწინებამდე მიაღწევდა ქალ-ვაჟის მშობლები თავდაპირველად ერთი ერთმანეთს უნდა მოლაპარაკებოდენ: ყმაწვილის დედ-მამას უნდა ქალის „სძლად მოყვანება“

მოენდომნათ და სარძლოს მშობლებისათვის სეეყოობინებინათ, ხოლო ქალის დად-მამას საქმროს „სიძობა“ მოესურვებინა და შეთანხმებით დაედოთ „პირი მზახრობისა“ (იქვე), ქალის დედ-მამასკი „გათხოვების“ დასტური უნდა მიეცათ.

თავდაპირველად როგორც ეტყობა „გათხოვება“-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ეგონებ, პექსოგამიის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამგვარი აზრის ელფერი აღევს ამ სიტყვას „კიდე გათხოვება“-ში, როგორც ნათქვამია, „ვეფხისტყაოსან“-ში.

„გაგზავნეს კაცი ხუარზმშას წინა შვილისა მთხოველი.
შესთვალეს: გაკლა უმკუიდროდ სამეფო ჩვენი ყოველი.
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე გასათხოველი
და, თუ მოგუცემ შვილსა სასიძოდ, სხუასა ნუღარას მოელი“.

მაშასადამე, ქალი „კიდე-გასათხოველ“-ად ითელებოდა, თუ რომ იგი ქორწინების შემდგომ ქმრის სახლში უნდა შესულიყო და ქალს „საძეო“-ს უძახოდენ, – თუ რომ იგი ქორწინების შემდგომაც მშობლების სახლშიეე რჩებოდა და ოჯახის ერთად-ერთი მემკვიდრე იყო. ამ შემთხვევაში ქალი მამრობითი მემკვიდრეობის აღმდგენელად უნდა გამხდარიყო, რომ გვარი არ მოსპობილიყო, ხოლო საქმრო „სასიძოდ“ შემოსულიყო ცოლის მშობლების ოჯახში, შედსიძედ გამხდარიყო.

როგორც ეტყობა, „სძლად მოყვანებისა“ და „სიძობაზე“ მოლაპარაკებისათვის გარკვეული წესი და ჩვეულება ჰქონიათ, რომელსაც ყველანი მისდევდენ და ასრულებდენ ხოლმე: ამ ჩვეულების ერთი, მეტად მოკლე, აღწერილობა „ქართლის მატიანე“-შია დაცული, მაგრამ სურათი მეფეთა ცხოერებითგან არის ამოღებული და არაჩვეულებრიეი პირობებითა და გარემოებით არის მოცული. კახეთის მეფე კეირიკემ და აფხაზთა მეფემ ლეონმა ერთმანეერთთან ომიანობის შემდეგ ბაეის ჩამოგდებაზე მოლაპარაკება დაიწყეს და „შეკრბეს ბაზალეთს ტბისა პირსა თუთო ცხენოსნითა და იუბნეს დღე ერთი“ (იქვე). ბაეის გარდა კეირიკეს, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფისათვის ქალი უთხოეია სარძლოდ და იმაზედ ულაპარაკიათ. ბოლოს ლეონმა თანხმობა გამოაცხადა და „უქადა ძესა მისსა (ე.ი. კეირიკეს) სიძობა“ (იქვე). მატიანე მოგეითხრობს შემდეგ, რომ „ვითარცა ესმა ესე კეირიკეს, გარდაკა ცხენისაგან და თაყუანისცემით მოიკითხა და მისცა მადლი“-ო.

ასეთ შეპირებასა და ქალ-ვაჟის დანიშნას „დაწინდეა“ ეწოდებოდა. უძეელეს დროს, მცირეწლოვანი ქალ-ვაჟის დაწინდეა სცოდნიათ და XIII საუკუნის დამდეგითგან ამის ნება თეით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც დართო, მაგრამ წინათ თურმე არმცთუ მცირეწლოვანი საქმრო-საცოლის დანიშნა წესად ყოფილა, არამედ მცირეწლოვანების დაქორწინებაც-კი შეიძლებოდა თურმე. ეს ჩვეულება რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ უკანონოდ სცნო, აკძალა და განსაზღვრა, „რათა ამიერითგან არღარა ეკურთხოდინ გურგენი ჩჩულთა ქალ-ყრმათა, არამედ, უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათ დიად დაუწინდენ იგი უერთიერთას. და რაჟამს პასაკად ათორმეტისა წლისასა უმცროჲსი ნომცა შეყოფილ არს ქორწინებით მეულისადა“-ო.

მაშინდელი წარმოდგენით ადამიანის სიცოცხლე ორ მთავარ ნაწილად იყო გაყოფილი: პირეელი იწყებოდა ბავშვის დაბადებით და გასტანდა იმ დრომდე, სანამ იგი „პასაკად არ მოეიდოდა“, ამ პირეელი ხნის ქალ-ვაჟს „ჩჩული“ ეწოდებოდა, მეორე ხანას „პასაკი“ ერქვა და ადამიანის სიკვდილამდის გასტანდა ხოლმე. პასაკი სამ უმთავრეს წლოვანებას შეიცავდა, რომელთაც ეძახდენ ხოლმე „ჭაბუკი“, „მუა-კაცი“ და „ბერი“ (ძეელის წერა, 68). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მემომყვანილი განჩინებითგანა ჩანს, რომ „ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროჲსი“ პასაკად მოსულად არ იწოდებოდა და „ჩჩულად“ ითელებოდა.

ასე იყო მიღებული ქალის შესახებ. თორმეტი წლის ქალი უკე „პასაკად მოსულა“-დ ითელებოდა და ამიერითგან მისი გათხოვება კანონიერად შეიძლებოდა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში „პასაკად მოსლეა“ სქესობრიე სიმწიფის ხანას უდრის. ხოლო რაკი ჩვეულებრიე, ბუნებრიეი კანონის ძალით, ქალი სქესობრიად ვაჟზე ადრე მწიფდება, ამიტომ თუმცა „ძეგლის წერა“-ში ამის სესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეგონებ, რომ ვაეი „პასაკად მოსულა“-დ მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე წლითგან ითელებოდა. ასე იყო განსაზღერული საეკლესიო „ჯულისკანონ“-შიაც, სადაც ეს მუხლი შეგანილია ლეონ ისაერიელისა და კონსტანტინე სყორის მოსახელის (კოპრონიმის) ეკლოგადიაც. განსხვაეება მხოლოდ ქალის წლოვანებას შეეხებოდა: ბიზანტიაში ქალი „პასაკად მოსულად“ მხოლოდ 13 წლისა ითელებოდა, ესე იგი „მჯულის კანონ“-შიაც.

ამგვარად ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ითელებოდა:

1. უპასაკობა.

2. მცირე-წლოვანების გარდა ქორწინების დამაბრკოლებელ მიზეზად საეოლქმროთა ნათესაობაც ითელებოდა, როგორც ხორციელი, ისე სჯულიერი. მართლმადიდებელი ეკლესია ამ საგანში ბასილი კესარიელის კანონებს მისდეეს. VI მსოფლიო კრება მის მოძღერებას მთლად მიემხრო და თავის მხრივ განსაზღვრა, რომ „უსჯულო ქორწინება“-დ უნდა ჩაითვალოს, თუ ვინმემ „მამის დის-წულსა, ანუ დედის ძმის-წულსა, ანუ დედის დის-წულსა, ანუ მამის დის-წულსა ქორწინებისა მიარებად შეერთოს, ანუ მამამან და ძემან დედა და ასული იქორწინონ, ანუ ორნი დანი მამამან და ძემან შეირთონ, ანუ ორთა ძმათა დედა და ასული შეირთონ, ანუ ორთა ძმათა

ორნი დანი იქორწინნენ.. ხოლო მამის დისთვის, ანუ დედისა დისა, ანუ პაპისა, გინა პაპის პაპისა, ანუ ასულისა წულისა, გინა ასულის წულის წულისა, რაჲ სახმარ არს ცნებაჲ, რამეთუ არცა თუ ბუნება მორწმუნეთა კაცთ თავს იღებს ამას ესეცითარსა, არცა ეგების ყოფად ქრისტიანეთა შორის, არამედ წარმართთაცა შორის საკრძალავ არს. არცა ცოლისა დისა, ანუ ცოლის დისწულისა ვერ ვის კელეწიფების ქორწინებად“-ო.

სჯულიერი ნთესაობის შესახებ, რომელიც ნათელ-მირონობით მყარდებოდა, ამაზე მსოფლიო კრების დადგინების § მმ ნათქვამია: „ვინათგან საცნაურ არს, ეითარმედ სულიერი თვისება უდიდეს არს ჯორციელისა თვისებისა, გეეუწყა ჩუენ, ვითარმედ რომელთა სოფელთა მიქუმენ ვიმე ყრმათა ჴმიდისა ნათლის-ღებისაგან და შემდგომად ამისა იქმნეს დედათა მათ ყრმათასა დაქორიებაჲ და იქორწინებენ ამქუეყნით იგი თჳსთა მათ სვინდიკონობთა, ამისთჳს განვაწესებთ და განვაკრძალებთ, რათა საქმე ესე ამიერითგან არა იქმნას... არცა ასული თუ იყოს სვინდიკონობისა მის, ანუ ასულის წული ვერ კელეწიფების ქორწინება სვინდიკონსა მას, რამეთუ ესე უჯერო არს“-ო. ამიტომ ქორწინების ყველა ზემომოყვანილი დამაბრკოლებელი მიზეზები საქართველოშიაც დაკანონებული იქმნებოდა, ხოლო, იყო თუ არა ამაზე მეტი და მკაცრი რამ კანონები საქართველოში, ამის შესახებ ძველი ხანითგან არაეითარი ცნობა არ მოიპოვება.

3. ამას გარდა, მსოფლიო კრებებისგანაც და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერაც განწესებული იყო, რომ „არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა, გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ“-ო. მაშასადამე, თუ საცოლქმრო ერთი რჯულისა არ იყვნენ, მათ კანონიერად შეუღლება არ შეეძლოთ: ეს ქორწინების კიდევ ერთი დამაბრკოლებელი პირობათაგანი ყოფილა. მაგრამ, რაკი რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას 1103 წ. ამ საგანზე განსაკუთრებული მსჯელობა ჰქონია და იძულებული ყოფილა ქორწინება ქრისტიანეთა და მწვალებელ-წარმართთა შორის ხელმეორედ აეკრძალა, ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საქართველოში წინათ, ტრულლის მსოფლიო კრების დადგენილებისდა მიუხედავად, სამღვდელოებას მართლმადიდებელთა და ეგრეთწოდებულ „მწვალებელთა“ შეუღლება გეორგეინთა კურთხეით დაულოცნია. რუის-ურბნისის კრებას საჭიროდ დაუნახავს ამგვარი ქორწინება ამის შემდგომ ხელმეორედ აეკრძალა, მაგრამ არა ერთი საბუთი გეაქვს ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგომაც ასეთი ქორწინება მთლად არ შეწყვეტილა.

4. ბიზანტიაში იუსტინიანე კეისრის სამართლის წიგნი საცოლქმროთა წოდებრივ სხვადასხვაობასაც ქორწინების დამაბრკოლებელ მიზეზადა სთვლიდა: თავისუფალი წოდების გვარიშვილს არ შეეძლო მხევალი, ან მონას წარჩინებული ქალი შეერთო ცოლად. კეისარმა ლეონ ბრძენმა და ალექსი I კომნენოსმა ეს დამაბრკოლებელი მიზეზი ამოკკეეთეს. ქრისტიანობა და ეკლესია ამ მხრივ, რასაკვირველია, წოდებრივ განსხვავებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ასე უნდა ყოფილიყო საქართველოშიაც, მაგრამ პატრონყმობა და წოდებრივი განსხვავება და გვარიშვილობა იმდენად გამტკიცებული იყო მაშინ, რომ ამის შესახებ არც საჭირო იყო რაიმე განსაკუთრებული კანონმდებლობითი აკრძალვა: უამისოდაც იმდროინდელი საზოგადოებრივი და წოდებრივი პირობები და ვითარება დაუძლეველ დაბრკოლებას წარმოადგენდა და ქორწინება დაბალ და მაღალ წოდებათა გვარისშვილებს შორის ალბათ შეუძლებელი, ან ძალიან იშვიათი იქნებოდა.

მეფე-დედოფალი რომ „სჯულიერად-მეუღლე“-დ „სჯულიერად ცოლქმრ“-ად შერაცხილი ყოფილიყვნენ, დაწინდვის შემდგომ საჭირო იყო „გურგუნთა კურთხევაჲ“. წინათ, 1103 წლამდე „გურგუნთა კურთხევაჲ“ სახლშიც შეიძლებოდა მომხდარიყო. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ეს წესი აკრძალა და დაადგინა, „ვითარმედ თჳნიერ ეკლესიისა და საკურთხეველისა არცა ნათლისცემაჲ შესაძლებელ არს, არცა გურგუნთა კურთხევაჲ“-ო. წინათ აგრეთვე დაქორწინება საერო მღვდელსაც შეეძლო, ხუცეს-მონაზონსაც, რუის-ურბნისის კრებამ-კი განსაზღვრა, რომ „არცა მონაზონსა ხუცესსა გურგუნთა კურთხეაჲ კელეწიფების“-ო.

ამას გარდა, საქართველოში არსებობდა „კიდისკიდე გურგუნთა კურთხევა“, ერთგვარი, მეგად საყურადღებო, წარმომადგენლობითი ქორწინება, რომელიც მეფე-დედოფალს საშუალებას აძლევდა მოეხდინათ ცალ-ცალკე, „კიდის-კიდე და არა ერთგან კურთხევაჲ გურგუნთაჲ“. როცა საქმრო და საცოლო ერთიერთმანეთზე დაშორებული იყვნენ, ხოლო რაიმე მიზეზით (მარხვისა, თუ მგრის შემოსვევის გამო) დროზე ერთ ალაგას შეყრა არ შეეძლოთ, საქართველოში ჩვეულებაჲ ყოფილა, რომ საცოლოს შეეძლო თავის სამშობლოში მიეღო გეორგეინთა კურთხევა, საქმროსაც თავის მხრივ თავის ბინადრობის ადგილას აესრულებინა ეს საეკლესიო წესი. მაგრამ ეს უნდა ამგვარად მომხდარიყო: „ჰყოფენ... დედაკაცისასა უკუე სხუა ვისმე, უცხოჲსა მამაკაცისაჲ სხუა თანა“, ხოლო ისე-კი, რომ „სხუაჲ იკსენების სახელი და სხუაჲ წარმოდგომილ არს მუნ“. მაშასადამე ორიეს, – საცოლოსაცა და საქმროსაც, თავ-თავიანთი „წარმოდგომილი“, წარმომადგენელი ჰყავდათ: სადაც საცოლოს უკურთხებდენ გეირგეინს, იქ საქმროს მაგიერ გეირგეინ ქვეშ სხვა ვინმე მამაკაცი იდგა ხოლმე, მაგრამ ჯვარისწერის დროს, მისი სახელი-კი არ იხსენებოდა, არამედ იმისი, , ვისიც წარმომადგენელად იგი ითვლებოდა, ესე იგი საქმროსი. სადაც საქმროს უკურთხებდენ გეირგეინს, იქ საცოლოს მაგიერ გეირგეინ ქვეშ საცოლოს წარმომადგენლად ქალი-კი არ იდგა ხოლმე, არამედ მამაკაცივე იმიტომ, ალბათ, რომ ქალები ამგვარ წარმომადგენლობას არ კისრულობდენ. ამ შემთხვევაშიაც ჯვრის წერის დროს წარმომადგენელის სახელს-კი არ იხსენებდენ, არამედ იმ საცოლოს სახელს, რომლის მაგიერაც

იგი იყო. ეს იყო თურმე ქართული „კაცობრიჲი ქცევა და ჩეჳლება“, უფრო „წარჩინებულთა და არა-ლიტონთა კაცთაგან“ ქმნილა თურმე და ძალიანაც გაერცელებული ყოფილა: „ბრაჳალთა მიერ აღსრულებულად გუესმა“-ო.

საითგან და როგორ წარმოდგა ეს წარმომადგენლობითი ქორწინების წესი, ჯერ-ჯერობით ვერ გამოვარკვიე, მაგრამ უეჭველია იგი ძველი, წარმართობის დროინდელ რომელიღაც ჩეჳლების ნაშთი უნდა იყოს. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ იგი სასაცილოდ აიგდო და სასტიკად აკრძალა: ყველას შესახებ, ვინც ამის შემდგომ ამ წესით ჯვარს დაიწერდა, კრებამ ბრძანა, „იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან“-ო.

გეორგეთა კურთხეჳის შემდგომ იწყებოდა „ქორწინება“, რომელიც გარკვეულ საერო ჩეჳლებებზე იყო დამყარებული და წეჳლებითა და ეახშამ-ლხინით თავდებოდა: ბოლოს „სამხრობა“ იყო ხოლმე. ამ სამხრობას თურმე მღედელიც ესწრებოდა, მაგრამ VI მსოფლიო კრებამ დაადგინა, რომ „ქორწილსა, თუ მოწესეთაგანი ვინმე იწოდოს და მიჳიდეს პური-ჭამად, ეინათგან მგოსანნი და მსახიობელნი და მომღერალნი შემოიყვანენ, უკმს მოწესესა მას აღდგომამდ და სახედ თჳსად წარსულამდ“.

ეკლესიაც ქრისტიანეს ცოლის შერთვის მხოლოდ სამჯერ აძლეედა უფლებას, მეოთხედ ჯერისწერა არ შეიძლებოდა, თუმცა-კი არც მეორე და მესამე ქორწინებას უცქერიდა მოწყალეს თჳალით, არამედ გადაკეეთილ სასჯელს აღებდა ხოლმე ორთავე მეუღლეს. რუის-ურბნისის კრება მხოლოდ „მეორე ცოლ-ქმართა“ და „მეორეთა გურგუნთა კურთხეჳა“-ს იხსენიებს, მესამედ და მეოთხედ ჯეარის წერაზე ერთი სიტყეაც არ არის ნათქვამი. ალბათ ქართული ეკლესია ამგვარ ქორწინებას „სჯულიერად“ არა სცნობდა და თავის კურთხეჳას არ უწყალობებდა, რუის-ურბნისის კრება მეორედ ცოლის შემრთველსაც-კი მკაცრად ეპყრობოდა. ამ კრების „ძეგლის წერა“-ში ნაბრძანებია: „ნუმცა მეორეთა ცოლ-ქმართა პირველნი გურგუნი ეკურთხეიან“-ო, ამის ღირსი არ ყოფილან. ამას გარდა კრებამ განსაზღერა: „მეორეთა გურგუნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მიეალს მათთან“-ო. დაკანონებულ დებულებათა დამარღეველი ყოველგვარ შეუღებას „უწესოდ ქორწინებად“, „უწესონი ქორწინებანი“, ან „უწესონი ქორწილ მეყოფანი“ პრქმეეია.

ცოლს ეწოდებოდა აგრეთვე „ცხედრეული“, ხოლო მეფის მეუღლეს „თანამეცხედრე“. ეს ტერმინები ნაწარმოებია „ცხედარი“-საგან, რომელის საწოლსა ჰნიშნაედა.

„სჯულიერი“ ცოლის გარდა ზოგიერთებს „უკანონო“ ცოლებიც ჰყოლიათ, მაგ. ამოტ კურაპალატსა და იმის შეილს აღარნასეს. თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყეებითგან ჩანს, რომ უკანონო ცოლი „ხარჭა“ ეიორგი III-საც ჰყოლია. სამღედელოება, სანამ ძალა და გაელენა ჰქონდა, სასტიკად სდევნიდა „უკანონო“ ცოლებსა და მათ ქმრებს. ამეკარ კაეშირს იგი „ბრუმებაზ“-ს ეძახდა, ხოლო უკანონო ცოლებს „მეძაეებადა“ სთელიდენ. საზოგადოებრიეი შეხედულებითაც „უკანონო“ შეილები ღირსებითა და უფლებითაც „კანონიერ“ შეილებზე დაბლა იდგენ. ბიზანტიამიც სამღედელოება „სჯულიერ“ ცოლ-ქმრობის გარდა სხეას ყველაფერს მრუმებადა სთელიდა, მაგრამ სამოქალაქო სამართალმ ამხოლოდ VIII საუკუნეში შეითესა მართლმადიდებელი ეკლესიის შეხედულება, იუსტინიანე კეისრის სამართლის წიგნში კი „სჯულიერი“ ქორწინების გარეშეც ცოლ-ქმრობა ნებადართულად არის აღიარებული.

§ 2. სახლეულნი

სახლობა მრაეალ-რიცხოეანეიცა და პატარაც ყოფილა. სახლობის წეერნი „სახლეულ“-ად იწოდებოდენ. „ოჯახი“ თურქული სიტყეაა და კერას, სახლს, სახლეულებს აღნიშნაეს, ძეელ ქართულში არ გეხვდება. პატარა ოჯახი „ქმარი“-სა და ცოლ-შეილისაგან შედგებოდა. ცოლ-შეილს „დედაწული“ ერქეა. ზოგჯერ, როცა მშობლებს ერთი ქალი-შეილის მეტი არ ებადათ, თაეიანთ „მხოლოდ შობილი შეილი“-ს ქმარს თაეიანთ ოჯახში შეღსიძედ შემოიყვანდენ ხოლმე. რა უფლებრიეი დამოკიდებულება სუფეედა მამა-შეილებსა და სიძე-სიმამაძარს შორის, მასალებითგან არა ჩანს. მამით დაობლებულს მცირეწლოეან ბაეშეებს დედის ნათესაობა უწეედა მმრუნეელობას, ჩეულებრიე ეგონებ ბიძები, ცოლისძმები. ცოლის ნათესაეებს „ცოლეულნი“ პრქმეეიათ.

უშეილო ოჯახის პატრონს თაეის სურეილისამებრ ვინმე ეშეილნა, „გაეშარდა შეილდ“. ეს „შეილი გაზრდილი“ მისი მამობილის გარდაცეალების შემდგომ მის მემკეიდრედ ხდებოდა. მიოშლეიძის მონასტრის 1250-1260 წლის საბუთითგანა ჩანს, რომ მთელი სახლის შეილებაც შეიძლებოდა. ამგვარ სახლს „ნამეილები სახლი“ ერქეა.

§ 3. საცოლქმრო საკუთრების მფლობელობის სამართალი

საცოლქმრო ქონება სამგვარი თეისებისა იყო და სამი სხვადასხვა წყაროსაგან მომდინარეობდა: ერთი იყო „მამული“, მეორე იყო „დედული“, მესამე კიდეე „მონაგები“-საგან შედგებოდა. რასაკეირეელია, საცოლქმრო საკუთრება უძეელეს ხანაში, როცა საგარეულო წეს-წყობილება სუფეედა, არ არსებობდა, იმიტომ რომ საკუთრების მფლობელად კერძო პირი, ანუ

ცალკე სახლი-კი არ ითვლებოდა, არამედ მარტო მთელი საგვარეულო ერთობლივ. „დედულისა“ ხომ მაშინ ხსენებაც-კი არ ყოფილა. მხოლოდ როცა დაირღვა საგვარეულო წეს-წყობილება და სახლობამ დამოუკიდებელი არსებობა მოიპოვა, კერძო საცოლქმრო საკუთრებაც გაჩნდა, დაუფნდა მონაგები“ და „მამული“. შემდეგ „დედული“-ც შემოიღეს. როგორც ქართული სამართის ისტორიის I წიგნში აღნიშნულია, აღმოსავლეთ საქართველოში პირველი საუკუნის დამდეგს ქრ. შ. მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა: მთელი უძრავი ქონების საგვარეულოსა ერთობლივსა და დაუნაწილებელს საკუთრებას შეადგენდა. ამ ქონების გამგედ გვარის უფროსი წევრი, მამასახლისი, იყო. მაშინ, მამასადამე, აღმოსავლეთ საქართველოში არც „დედული“ იქმნებოდა, არც „მამული“. როდის გაჩნდა ჩვენში მიწის კერძო საკუთრება, ამის განსაზღვრა დანამდვილებით ჯერ არ შეიძლება, მაგრამ როგორც აღნიშნული გვქონდა, V ს. ძმებს ცალ-ცალკეც უცხოვრიათ. ამაკე დროს საგვარეულო მიწათმფლობელობა შერყეული და დარღვეული უნდა ყოფილიყო. მაინც-და მაინც VIII-IX საუკუნეებში კერძო საკუთრება უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და მოძრავ-უძრავ ქონებას შეიცავდა: მაშინ არსებობდა „მამული“-ც, „დედული“-ც და „მონაგები“-ც. გრაფოლ ხანძთელის ცხოვრებითგან ეს გარემოება ცხადად ჩანს. იქ შემდეგია მოთხრობილი: „ბენონ შეილი იყო საჩინოჲსა ვისი-მე კაცისაჲ სამცხეს... და ეითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ბენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ბენონ გულს ეგო̈ყო, რაჲთამცა მამული და დედული, მონაგები დასა თჳსსა დაუტევა ნებისმიერ მამისა“ (გე. იბ-იმ). მამასადამე, ამ დროს გარდაცვლილი მშობლების ქონების მემკვიდრეებად შეილები ყოფილან და საგვარეულოს სხვა წევრებს დარჩენილ საკუთრებასთან ხელი არა ჰქონდათ.

შვილების მიერ მიღებული საკუთრება სამგვარი თვისებისა ყოფილა: ერთი იყო „მამული“, ის რაც მამასა სჭერია, მთელი მამეული ქონება. ეს მამის ქონება უმეტეს ნაწილად საგვარეულო, მამა-პაპეული საკუთრების ხვედრი წილისაგან შედგებოდა, მცირეოდენი დედის მხრივაც თან მოგანილი და საცოლქმრო საერთო „მონაგები“-თგანაც მომაგებული ექმნებოდა. „მამულს“ გარდა „დედულიც“ მიუღიათ შეილებს: ეს დედის მოძრავ-უძრავი ქონება უნდა ყოფილიყო, რომელიც მისთვის გათხოვების დროს მამის სახლითგან გამოუტანებიათ დედის სიკვდილის შემდგომ ეს „დედული“ მის საგვარეულოს, ან მამის სახლს-კი არ დაპბრუნებია, არამედ მის შეილებს პკუთნებიათ. შემდეგში ეს დამკვიდრებული დედულიც „მამულს“ მიემატებოდა და „მამულის“ შემადგენელ ნაწილად გადაიქცეოდა.

„დედული“, როგორც აღენიშნეთ, იმ ქონებას ერქვა, რომელიც შვილებს დედისაგან დარჩებოდათ ხოლმე. ამ ქონებას დედას მამის სახლითგან ატანდენ და „ბითვი“ ეწოდებოდა. ასე არა ყოფილა, რასაკვირველია, ყოველთვის: იმ დროს, როცა ცოლებს წაჰყრით, ან მოგაცებით ირთავდენ, მაშინ მამის საგვარეულო არც რამეს აძლევდა გაგაცებულ ქალსა და მის გამგაცებელს. მზითევი გაჩნდა მაშინ, როცა ქალის გათხოვება მშვიდობიან მოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული. პირველ ხანებში „ბითვი“ მოძრაი ქონებისაგან შედგებოდა. VIII-XIII ს. მაინც-და-მაინც მზითად მოძრაი ქონების მიცემა ჩვეულებრივი საქმე იყო და ჩვეულებრივ წესად იყო გახდარი. როცა თამარ მეფემ თავისი ნახევარ-და, ხარჭის შეილი, სელჯუკელ ბატონიშვილს მიათხოვა, „ბრავლითა ბითვითა წარგზავნეს იგი თჳსად სამყოფად“-ო. თანდათან მზითად მოძრაე ქონებასთან ერთად უძრაეი ქონებისა და მამულების მიცემაც ჩვეულებად შემოვიდა. რა დროს დაწესდა საქართველოში „ბითვი“, ან როდის შემოიღეს უძრაეი საკუთრების მზითვად გატანება, განსაზღვრა ზედმიწევნით ჯერ არ შეიძლება, მაგრამ, „ბითვი“ ტერმინად დაბადების თარგმანში გეხვდება, ხოლო უძრაედ უკვე VIII-IX ს. არსებობდა დამ ას ამ დროს „დედული“ რქმევია, ე.ი. იმგვარიე სახელი, რომლითაც მამის საგვარეულო უძრაე ქონებას აღნიშნავდენ („მამული“), ამიგომ შეიძლება გვეფიქრა, რომ უკვე VIII-IX ს-ითგან მოყოლებული ბითვად უძრაეი ქონებაც უნდა ეძლიათ.

რასაკვირველია, „დედული“ მარტო „ბითევის“-აგან არ შედგებოდა: მამის სახლითგან მფყოლილ ქონებას გარდა, დედულს შეიძლებოდა ქმრისთვის დროს შეძენილი „მონაგები“-ც მიჰმატებოდა. მაინც-და-მაინც, რომ „დედული“ ბითევის უმთავრესი ნაწილი იყო და რომ ბითვად უძრავ ქონებასაც აძლევდენ ხოლმე, ეს მიომღვიძის მონასტრის 1250-1260 წ. სიგელითაც მტკიცდება. ამ საბუთში სხვათა შორის ნათქვამია: „შენ ბოსიმეს დედულსა, ბითვად მოცემულსა ბედა სტეფანეთ მამულისაგან, რომელსა სამსახური არა რაჲ შედაც, მისსა ნაცვლად სტეფანეს ძე გარდაიქცის_ პაგრე მოცემული არს ესე მიწაჲ ბითევად. ამას მიწასა დედისა შენის ბითევსა ბედა შენ ბოსიმე და შენმან გამზრდელმან სახლკარი ააშენეთ და მოკიდებით ვენაკი კარგი“-ო.

უკანასკნელი სიტყვები „პაგრე მოცემული არს ბითევად“ გვიჩვენებს, რომ როცა მშობლები თავიანთ ქალებს ბითევს აძლევდენ, ზოგჯერ თან განსაზღვრულ პირობას ულებდენ ხოლმე.

დედის სიკვდილის შემდგომ „დედული“ დედის სახლს, ან საგვარეულოს-კი არ უბრუნდებოდა, არამედ მის შვილებსა რჩებოდათ, ასე ყოფილა უკვე VIII-IX ს., ასე ყოფილა შემდეგ საუკუნეებშიც. ეს შვილების მიერ დამკვიდრებული „დედული“, როგორც აღენიშნეთ, „მამულს“ ემატებოდა და მომავალი თაობისათვის „მამულის“ შემადგენელ ნაწილადა ხდებოდა. რა წესი და სამართალი სუფევდა, როდესაც „ბითვიანი“ ცოლი უმეილოდ დალეულა სულს, „ბითევი“ — „დედული“ ისევ ქალის სახლსა და გვარეულობას უბრუნდებოდა უკან, როგორც შედეგ საუკუნეებში იყო დაკანონებული, თუ სხვა რაიმე წესი იყო მიღებული, ძეელებითგან არა ჩანს.

§ 1. მემკვიდრეობა კანონებიეი

მემკვიდრეობის სამართალი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა, ესე იგი მას შემდეგ, რაც საგვარეულო სახლი პატარ-პატარა სახლობებად დაიყო. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ უკვე V საუკუნეში ღვიძლ ძმებს ერთსახლად აღარ უცხოვრიათ, მამასადამე, თუ უმრავი გაყოფილი არა ჰქონდათ, თვითოეულს მაინც თავისი საკუთარი მეურნეობა და საკუთარი მონაგები უნდა ჰქონოდა. უეჭველია ამაზე ადრეც, მაგრამ მაინცდამაინც VIII-IX საუკ. საკუთრების გაყოფაცა და მემკვიდრეობის სამართალიც უკვე არსებობდა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გ. მერჩულს ნაამბობი აქვს, რომ „ვითარცა აღესრულეს მშობელნი მისნი (ზენონისა), მონაგები მათი დაუტევეს შენონსა და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მისთანა“ (გვ. ი'შ). საკუთრების შეძენა შეიძლებოდა ან მემკვიდრეობით, ან ანდერძის ძალით, ან არადა სყიდვით.

როგორც ეტყობა, VIII-XI საუკ. მემკვიდრეობა და გაყრა ახალი მოელენა არ ყოფილა, არამედ მერვე საუკუნეზე კარგა ხნით უწინარეს უნდა იყოს წესად აქართველთში მემოღებული. სახლის მამრობითი სქესის ჩამომავალსა და მემკვიდრეს „მკუდრი“ ერქვა. VIII-IX საუკუნეში საკუთრების დამკვიდრება ჩვეულებრივ შეიძლებოდა მშობლების სიკვდილის შემდგომ, თუ „აღესრულნეს მშობელნი“: ამგვარიეე ცნობა მოიპოვება კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში de administrando imperio დიდ სუმბატ ბაგრატიონისა და მისი შეილების შესახებ. მაგრამ, თუ მშობლები მოისურვებდნენ, თავის სიცოცხლის დროსაც, საკუთარი ხელით „ქორციელად-მშობელთა მონაგები შეილთა განუყვიან“ ხოლმე. კონს. პორფიროგენეტსაც მოთხრობილი აქვს, რომ ბაგრატმა გაუყო თავისი მამული თავის სამ შეილს – ადარნასეს, გურგენსა და აშოტკისკას.

ამ დროდ უკვე მტკიცე გაყრა-გაყოფეის წესი ყოფილა საქართველოში და ეს წესი იმდენად გამჯდარი ჰქონია ყველა სძალ-რბილში, რომ ყოველიეე ამასოფლურის უარისმყოფელ მონაზონებასაც-კი მისი დაეიწყება ვერ შესძლებიათ.

ეკლესიაც და საეკლესიო კანონი შეილებს სქესის განურჩეველად მემკვიდრეობის თანასწორ უფლებას აძლევდა: ბასილი დიდი ჰქადაგებდა, რომ მშობლები, რომლებიც თეითოეულ თავის შვილს თანასწორად სიცოცხლეს აძლევენ, ამგვარადეე მრავალნი არიან საცხოვრებელი და სარჩოე თანასწორად გაუყონონ. ბერძნული დიდი სჯულის კანონი უმიარებლობისა და კრულეის სასჯელს აწესებს იმ დედ-მამისათეის, რომელიც თავის შეილებს ქონებას თანასწორად არ გაუყოფდა. საქართველოში როგორც ეტყობა, ამ მოძღერებას გაელენა არა ჰქონია.

ერთი აღწერილობა მოგვეპოეება, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ჰყოფდენ ხოლმე საკუთრებას. მართალია, ეს შემთხვევა სამონასტრო ცხოერებითგან არის აღებული და მონაზონების გაყოფას ეხება, მაგრამ აეტორი გეამცნებს, რომ გაყოფა ისე მოხდა, როგორც მშობლები უყოფდენ ხოლმე საკუთრებას შვილებს. სწორედ ამ აღწერილობითგან ჩანს, რომ შეილებს თანასწორი წილი არ ეძლეოდათ, არამედ უფროსს მეღმეტი ეკუთვნოდა. ამ მეღმეტ ნაწილს „საუხუცესო“-ს ეძახდენ. საუხუცესოს რომ გამოეიღოდენ, საერთო ქონებას ძმების შორის თანასწორად გაჰყოფდენ ხოლმე. ქონების თეითოეულ „ნაწილ“-ს „ხუედრი“-ც ეწოდებოდა. დაყოფა შეფარდებით იცოდენ ისე, რომ თეითოეულ წილში „სწორი“, ე.ი. თანასწორი კერძი ყოფილიყო. გასაყოფი ქონების ნაწილების ასეთ შეფარდებას „ურთიერთას შესწორება“ პრქმევია. ამგვარად შეფარდებულ ქონებას მონაწილეთა შორის წილის ყრითა ჰყოფდენ ხოლმე.

სწორედ ამ წესით მოხდა დედა-მონასტრის მონაზონების გაყოფა სამ მონასტერს შორის: გრიგოლ ხანძთელმა „უბრძანა შემოკრებაჲ ძმათა ყოველთაჲ და თეოდორწეს და ქრისტეფორწეს განმზრახეითა გამოირჩინა მათ შორის ძმანი ათსამეტნი ხანძთისათჳს საუხუცესოდ, და სხუანი ყოველნი სწორად განყენა სამად გუნდად, რამეთუ მაგბერდისა ხუედრი წარეგმანეს პირველეე მაგბერდსა და უბრძანა აღთქუმისაებრ წილით განყოფაჲ... არამედ მცირედ მესინარებაჲ იყო მათ შორის, რამეთუ ეფრემ და არსენიც გრიგოლის ნაწილსა იყენეს. ხოლო ეფრემ მიანიჭა თეოდორეს და არსენიც თუთ იჩინა და სწორი მისი სხუაჲ მისცა ქრისტეფორეს, და დაჯერებულ იქმნეს იგინი სიხარულითა“-ო. კონს. პორფიროგენეტის სიტყუებითგანაეა ჩანს, რომ სამემკვიდრეო საკუთრებას მონაწილეთა შორის წილისყრითა ჰყოფდენ.

ქართ. მემკვიდრეობის სამართალი ქალებსაც აძლეედა მშობლების საკუთრების დამკვიდრების უფლებას: გრ. ხანძთელის ცხოერებაში აღნიშნულია, რომ განსვენებულმა დედ-მამამ „მონაგები მათი დაუტეეს ბენონს (ვაჟს) და დასა მისსა“ (გვ. იშ), მაგრამ ამასთანაეე უმატებს, „რომელიცა იყო სახლსა შინა მისთანა“-ო. ეს უკანასკნელი დანამატი, ეტონებ ამტკიცებს, რომ მშობლების მონაგების დამკვიდრების უფლება ამ დას სწორედ იმიგომა ჰქონდა, რაკი იგი „იყო სახლსა შინა“ და გათხოვილი არა ყოფილა. გათხოვილ ქალსა დაღ ას, ეითარცა მითეიანს, მშობლების მემკვიდრეობაში, როგორც ეტყობა, წილი არა სღებია. ამგვარი მემკვიდრეობის წესი სუფეედა სჯულისკანონისდა მიუხედავად ბიზანტიურ სამოქალაქო სამართალშიაც.

თუმცა გათხოვილ დას, როგორც აღნიშნული იყო, საქართველოშიც მამულის მემკვიდრეობაში წილს არ უღებდენ, მაგრამ უკვე IX საუკუნითგან ეტყობა, ამის თაობაზე ბრძოლა იყო ხოლმე. როგორც ჩანს, თავდაპირველად დაჲ და დისწულები ძმასა და ბიძებს დედულის დამკვიდრების უფლებას მესცილებიან და დედულში თავიანთთვის წილს ითხოვდენ. ეს ბასილი მარჩმელის თხზულებასაც ნათლად ემჩნევა. იგი ამბობს, რომ უძეო გიორგი ჩორჩანელმა თავისი ქონება „დასა მისსა მეჰკედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა“. ერთს მათგანს ლაკლაკი პრქმევია სახელად. ლაკლაკსა და მის ორ ძმას გათხოვილი დაცა ჰყოლიათ და ლაკლაკის დისწული თურმე თავის ბიძას ეჩხუბებოდა: „ნაწილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა (რომელიც მისი დედა იყო), ვინაითგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს“-ო. მაშასადამე, ლაკლაკის დისწული ამტკიცებდა, რომ დედულში გათხოვილ ქალებსაც წილი უნდა პრგებოდათ, მაგრამ ბიძა უარზე იყო. ამის გამოჩხუბი აგყდა და საშინელი ცოდვა დატრიალდა: „იქმნა ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისი ძე თჳსი“. ასეთი გამწვაებული ბრძოლა ყოფილა ქალის მემკვიდრეობის უფლების გამო!

რა წილი ერგებოდათ გაუთხოვარ ქალებს, ძმების თანასწორი, თუ უფრო ნაკლები, მასალებითგან არა ჩანს. იმ შემთხვევაში, როცა მამრობითი სქესის წევრები არ მოიპოვებოდენ და „მამული უმკუდროდ დამთომილი“ იყო ხოლმე, მაშინ ქონება და მამულ-დედული“ მდედრობით სქესსა და მის ჩამომავლობაზე გადადიოდა.

ხოლო როდესაც საგვარეულოთგან არც ერთი წევრი აღარ იყო შერჩენილი, რომელსაც დარჩენილი ქონების დამკვიდრების უფლება ჰქონდა, და თუ „აღარა-ვინ დარჩა საყოფელთა მათთა მკუდრი“, მაშინ ამ ამოვარდნილი გვარეულობის მამულს მეფე, სახელმწიფო იღებდა, სამეფო, ანუ სახელმწიფო საკუთრებადღ ხდებოდა.

§ 2. მემკვიდრეობა ანდერძობითი

ვისაც საკუთარი მონაგები ჰქონდა და მსურდა, რომ ეს მონაგები მემკვიდრეობის ჩვეულებრივი სამართლის მიხედვით-კი არ ყოფილიყო განაწილებული, არამედ განსაკუთრებული, მის მიერ აღნიშნული რიგითა და რაოდენობით, ან თუ მას უნდოდა, რომ თავისი პირდაპირი მემკვიდრეები, ან ყველანი, ან ზოგიერთნი მისი საკუთარი მონაგების მონაწილედ არ გაეხადნა, მაშინ მას ეს თავისი ნება წინდაწინე უნდა გამოეცხადებინა. ჩვეულებრივ განსაცდელის მოლოდინში მყოფისა, ან მომაკვდავის სიტყვიერად, თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელი ნების გამოცხადებას „ანდერძი“ ეწოდებოდა. უფრო ხშირად ამნაირ ნებას ან სიკვდილის წინ, ან რაიმე განსაცდელის მოლოდინის გამო აცხადებდენ ხოლმე. მაგ. გურგენ კურაპალატის ანდერძი სიკვდილის წინ არის დადებული, დაჲით აღმაშენებლის სიტყვით, მისი ანდერძი შედგენილია „ჟამსა ჩემსა მარვანსა შეჲა განმართვისასა“-ო. გრიგოლ ქართლისა ერისთავიც ამბობს: „თქუენ მიგითუალაე ამას ანდერძსა მე გრიგოლ ქართლისა ერისთაეთ-ერისთაჲი მიმაჲალი მეოთედ წარმართთა-თათართა მიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათჳს“-ო. გრიგოლ ხანძთელის ცხოერების ავტორს გ. მერჩულსაც ნათქუამი აქვს: „გარდაცვალებისა ჟამსა ანდერძ-ეყო გურგენ კურაპალატსა, ვითარმედ „ნათლის-მამისაჲ ჩემისა ძუალთა მახლობელად დამდევით ფერკთა თანა მისთა და სხუათა მათ მამათა ძუალნი ჩემნეც დაუსვენენით“, რომელ ყვესცა ეგრმთ“-ო.

როდესაც ნების გამოცხადება დიდმნიშვნელოვან საქმეს შეეხებოდა, ანდერძი დაწერილი უნდა ყოფილიყო და უეჭველად წესიერი და კანონიერი სახით უნდა ყოფილიყო შედგენილი. ჩვენამდის მთლად მხოლოდ ორმა ანდერძმა მოაღწია: ერთი, რომელიც დაწერილია 1123 წელს, ეკუთვნის დაჲით აღმაშენებელს, — მეორე, რომელიც შედგენილია 1227-30 წ., — გრიგოლ ქართლისა ერისთავთ-ერისთავს (ქრონიკები II, 97-102). პირველი არა-ჩვეულებრივი ხასიათის საბუთია, ანდერძის დამდებიც უბრალო მამაკვდავი არა ყოფილა, ამიგომ შეუძლებელია მას ანდერძის ჩვეულებრივი სახე ჰქონდეს. მეორე დიდებული აბზაურისა და მოხელის მიერ არის დატოებული და ამის გამო მისი ანდერძი ჩვეულებრივ, სამაგალითო საბუთად უნდა ჩაითვალოს.

ამ სამაგალითო ანდერძში ნათქუამია: „ესე ყოველი ჩემითა ნებითა დამიწერია, სრულითა ცნობითა, სიმრთელესა შინა ჴანისა ჩემისასა, მე გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავსა, ქელითა ჩემითა, ძესა სულკურთხეულისა სულა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისასა, დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა შედა მარჯუენით დგომასა ძმისა ჩემისა ბეგასა“-ო. მემომოყეანიგან ცხადი ხდება, რომ, თუ მოანდერძეს ჰსურდა მის ანდერძს ძალა ჰქონოდა, მჴკიეც და „მოუდეგარი“ ყოფილიყო, ანდერძში უეჭველად საგანგებოდ უნდა აღნიშნული ყოფილიყო: 1) მოანდერძის ეინაობა სრულად, ამას გარდა უნდა საგანგებოდ გამოცხადებული ყოფილიყო, რომ 2) ანდერძი „მისითა ნებითა“, ე.ი. მოანდერძისაგან თავისუფლად და ძალდაუტანებლივ არის შედგენილი, რომ 3) ანდერძის დაწერის დროს იგი „სრულითა ცნობითა“ ყოფილა აღწერილი. აღსანიშნავია, რომ სინას მთის №5 ხელთაწერშიც სწერია: „ესე ანდერძი მე გიორგი მორკნეელმან დაეწერე სისრულესა შედა ცნობისა ჩემისასა და 4) „სიმრთელესა შინა ჴანისა“ იყო, ესე იგი ისეთი არაფერი სჭირდა, რომ გრძნობა და ცნობა-მიხდილი ყოფილიყო და არ

გაჰგებოდა, თუ რას აკეთებდა, ან აკეთებინებდენ. დასასრულ 5) თუ მას წერა შეეძლო, უეჭველად უნდა აღნიშნული ყოფილიყო, რომ ანდერძი მისი საკუთარი ხელით არის დაწერილი, ან მთლიანად, ან ნაწილობრივ (თავში, ან ბოლოში) მაინც. ამ უკანასკნელ გარემოებას საბუთის სიმტკიცისათვის საშოგადოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ანდერძის მოწმენი თაეიანთს მოწმობაში განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საბუთი „თუით მათითა ქელითა“, „დაუწერია თავისა ქელითა“, „თავის ქელითა დაუწერია“ (ორჯერ არის, იქეე, 102). ამ გარემოებითვე აიხსნება, რომ თაეის ანდერძისათეის მოუდეერობის ძალის მოსანიჭებლად-ეე დაეით აღმაშენებელს თავის 1123 წ. მიომღეიმის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძის თავში ნათქეამი აქეს: „[ნე]ბითა ღ'თისაითა მე ღ'თის (დაეითს) მიწყიეს“-ო. რაკი ანდერძის აიდიდსა და სისწრაფის გამო დაეით აღმაშენებელს ანდერძის მთლად თაეის საკუთარი ხელით დაწერა არ შეეძლო, მას ეს ანდერძი საკუთარი ხელით მაინც დაუწყია და ეს გარემოება საგანგებოდ აღუნიშნეს და ბოლოშიც თაეისი საკუთარი ხელრთეა მოუთაეებია: „სიმტკიცეო ყოეელთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე“-ო.

იუსტინიანე კეისრის სამართლის წიგნის თანახმადაც ანდერძი მოანდერძის საკუთარი ხელით უნდა ყოფილიყო მოწერილი, ხოლო თუ თითონ წერა არ იცოდა, სხეისთეის უნდა დაეეალებინა, რომ მის მაგიერ მოეწერა. ამნაირიეე წესი იყო შემდეგდროინდელ ბიმანგიაშიც.

დასასრულ, როგორც გრიგოლ ერისთაეთ-ერისთაეის საბუთითაც ჩანს, ანდერძს მოწმეები უნდა ჰყოლოდა, რომელთაც უნდა ხელი მოეწერათ და საბუთი შეემოწმებინათ: „ჩუენ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი არსენიც მოწამე და დამამტკიცებელი ეიქნებით“-ო, „მოწამენი ვართ ჩუენ სამნივე უდაბნონი გარესჯისანი“-ო. რომაული და ბიმანგიური სამართალიც აუცილებლად საჭიროდა სცნობდენ, რომ ანდერძისათეის. ანდერძს, როგორც ბეერს სხეიეერ საბუთსაც, საქართველოში უმაღლეს სამღედელოებას აძლეედენ, რომ მათ „კანონითა უჯუარობითა, წყეეითა და მეჩუენებითა“ ანდერძის დამრღეეეულთაგან განემტკიცებინათ და დაეცეათ.

ანდერძის დამტოებელი თაეისი ანდერძის აღმასრულებლად ჩეეულებრიე განსაკუთრებულ პირს ასახელებდა ხოლმე: დაეით აღმაშენებელი მაგ. სწერს: „თქუენ, შემდგომად [მომაეალნო] შეფენო, ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით მეგეედრებ-ო. გრიგოლ ერისთაეთ-ერისთაეიც ამბობდა: „შენ, ჩემო ძმაო იეანე და ძეო ჩემო ბეკაო, თქუენ მიგითუალაე ამას ანდერძსა“-ო . ამას „ანდერძობით შეეედრება“ ჰრქმეეია. ამგეარი წესი იყო ბიმანგიაშიც.

ჩეეულებრიე დაწერილი ანდერძი მოანდერძისაგან სანდო პირს, ხშირად სულიერ მოძღეარს, ჰქონდა ხოლმე მიბარებული, რომელსაც მოანდერძეს გარდაცვალების შემდგომ ანდერძი უნდა მოეტანა და მემკეიდრეთათეის წაეკითხა. ბასილი ზარზმელი მაგ. მოგეითხრობს, რომ გიორგი ჩორჩანელმა უშეილოდ მიცელილმა თაეისი ქონება „დასა მისსა შეპეედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთეისა“ . ამის შესახებ დაწერილი ანდერძიც დაუტოებია. გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდგომ სერაპიონ მარშმელმა „მოიღო ანდერძი დიდისა მთაერისა გიორგისი და წარიკითხა აღსავსემან ცრემლითა“-ო. ამ სიტყეებითვეე ჩანს, რომ გიორგი ჩორჩანელს ანდერძი სერაპიონისათეის მიუბარებია, ეითარცა სულიერი მამისათეის, და განსეენებულის ნება და ანდერძი ჭირისუფალთათეის პირეელად სწორედ მას უნდა გამოეძეხებინა და წაეკითხა.

თანდათანობით სიტყეიერი ანდერძის მაგიერ წერილობითის დატოება ისეთი ჩეეულებრიე მოელენა გამხდარა, რომ მონასტრებშიაე-კი შემოუღიათ ბერებს ანდერძის წერა. ტერმინი „უანდერძოდ“-ც კი გაჩენილა ისეთ პირთა აღსანიშნაეად, რომელთაც სიეედილის წინ თაეიანთი უკანასკნელი ნება ანდერძით არ აღუბეჭდიათ. ეაჰანის მონასტრის წესდების შემადგენელი ბერთაგან ანდერძის წერასა და დატოებას ბუნებრიე მოქმედებად ჰგულისხმობდა. ასეთი უკანასკნელი ნების გამოცხადების ასრულება მონასტრისათეის კანონიერ ფარგლებში მას სავალდებულოდ მიუჩნეეია. კანონმდებელს ნათქეამი აქეს: „ძმაჲ რაჲ მიიცეალოს, თუ ანდერძი დაეწეროს, მისისა ანდერძისა მსგავსად განეგოს ყოეელი საქმე მისისა სულისაჲ. ხოლო, უკეეთუ უანდერძოჲ არესრულოს, რაცღა იპოოს მისი, შუა გაიყოს და ნახეარი მამინეე აქმარონ სულსა მისსა, ეითარცა მოძღუარმან ბრძანოს და განაწესოს, და ნახეარი საეკლესიოდ დაიდეას საჭურჭლესა შინა მისისაეე სულისათჳს“-ო.

კანონმდებელს მაინც საჭიროდ დაუნახაეს მონაზონთა უფლება და მეანდერძეობის უნარიანობა შეეზღუდა და ეიწროდ შემოეფარგლა. ბერს, ეითარცა ამქეყნიური, ხორციელი ნათესაობის უარისმყოფელს, კანონმდებელის აზრით თაეისი ნაქონების სამონასტრო ძმობის გარეშე ანდერძობით არაეისთეის გადაცემის უფლება არ ჰქონდა. დებულებაში ნათქეამია: „არაეის ძმათაგანსა კელეწიფების მონასტრით განღებად ნაქონებისა თუსისა ჯამსა ამიერ მიცვალებისა თუსისასა, რომელიმცა თუსთა, გინა ნათესავთა უანდერძა იგი, რომელთაგან ერთგზის ჯმნილარს ჯამსა მონაზონად კურთხევისასა“-ო. მამასაღამე, ბერს თაეისი ნაქონები შეეძლო მხოლოდ ამაეე საეანის ბერისთეისეე, ან თეით მონასტრისათეის ეანდერძა, თუ არა და ანდერძი გაცუღებული იქმნებოდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები პირველ კონსტიტუციაში

ბექა ქანთარია

§ 1. პრობლემის არსი

მმართველობის საერთაშორისო პრაქტიკაში, საპარლამენტო მოდელი, რომელიც პირველად ინგლისში წარმოიშვა,[24] ერთერთი გავრცელებული ფორმაა.[25] მსოფლიო იურიდიულ მეცნიერებაში მმართველობის ფორმებს აქტიურად იკვლევენ. ამ მიმართულებით გამოცემულია სამეცნიერო შრომები. სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესახებ არსებული მეცნიერება ისეთივე ძველია, როგორც ბოგადდ სმართლის მეცნიერება. საქართველოში საპარლამენტო მმართველობა გარკვეული თავისებურებებით არსებობდა პირველ რესპუბლიკამდე[26]. საერთაშორისო იურიდიულ ლიტერატურაში საპარლამენტო მოდელს ბოგჯერ "პარლამენტარიზმს" უწოდებენ. ხოლო ქართველ სწავლულთა ნაწილი მას პარლამენტის არსებობასთან აიგივებს.[27] ბოგიერთი ეროპელი იურისტი აღიარებს, რომ პარლამენტარიზმის (საპარლამენტო მართვის) ქვაკუთხედი არის მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. ამაში კიდევ უფრო დაერწმუნდებით, როდესაც გაეცნობით ფრანგი იურისტის ფილიპ ლოეოს ნაშრომს *„პარლამენტარიზმი"*[28]. პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპს პარლამენტარიზმის[29] ამოსავალ დებულებად მიიჩნევდნენ საქართველოს კონსტიტუციის ავტორები. პირველი სამართლებრივი აქტი, რომელმაც განსაზღვრა დროებითი მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წინაშე,[30] იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია.[31] ასევე, ამ აქტის საფუძველზე მთავრობის წევრები ანგარიშვალდებულნი და პოლიტიკურად პასუხისმგებელნი იყვნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე.[32] უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის კონსტიტუციურ მოდელში განისაზღვრა მხოლოდ პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მონისტური პარლამენტარიზმის დოქტრინის წარმომადგენელი კარე დე მალბერგი აღნიშნავს: *"როცა საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციას სურდა განემტკიცებინა საპარლამენტო რეჟიმი, ის შემოიფარგლა პასუხისმგებლობის პრინციპის დამყარებით, სხვა დანარჩენი აქედან გამომდინარეობს".*[33] ეს იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო

---

[24] ფილიპ ლოეო, პარლამენტარიზმი (Philippe Lauvaux, Le Parlementarisme), 2005 წელი, თბ. გვ. 3-4;

[25] იხ. დუგლას ვ. ვერნი, საპარლამენტო მმართველობა და საპრეზიდენტო მმართველობა, I საპარლამენტო მმართველობა (რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო (მსოფლიო პარლამენტარიზმის კელეითი ცენტრი), გამომცემლობა "უფლება," შემდგენელი პროფ. ოთარ მელქაძე); თბ. 1996 წელი, გვ. 114; ფილიპ ლოეო, პარლამენტარიზმი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), 2005 წელი, თბ. გვ. 4;

[26] 1918-1921 წლები;

[27] იხ. მელქაძე ო. მახარაძე ო. პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემების ქვეყნებში (ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით); პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XIV, 2001 წელი, თბილისი; გვ. 24; სურგულაძე პაატა, ქართული პარლამენტის სათაეეებთან, თბილისი, 1991 წელი, გვ. 3; მჭედლიშვილი გიორგი, ქართული პარლამენტარიზმის სათაეეებთან, თბილისი, 2005 წელი;

[28] 2005 წელი, თბ;

[29] პარლამენტარიზმში ისინი საპარლამენტო მმართველობას გულისხმობდნენ.

[30] 1918-1919 წლები;

[31] უნდა ითქვას, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი იურიდიული ბაზა იყო საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია. მმართველობის პირველი ქართული საპარლამენტო მოდელი სწორედ ამ დეკლარაციის მე-7 პუნქტით იქნა განმტკიცებული. (საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, თბილისი, 1920 წელი, გვ. 4-6);

[32] 1919-1921 წლები;

[33] იხ. ფილიპ ლოეო, პარლამენტარიზმი (Philippe Lauvaux, Le Parlementarisme), 2005 წელი, თბ. გვ. 36

მმართველობისათვის მთავარია მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მთავრობა უნდა გადადგეს, თუ ის დაკარგავს საკანონმდებლო ორგანოს ნდობას.

საქართველო ამ პერიოდში იყო საპარლამენტო რესპუბლიკა. რასაკვირველია, მმართველობის ეს ფორმა მოკლებული იყო წმინდა პარლამენტარიზმისთვის დამახასიათებელ პრინციპებს, რაც გულისხმობდა ნეიტრალური პოლიტიკური ფიგურის – პრეზიდენტის და მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის უარყოფას, პარლამენტის დათხოვნას. თუმცა მთავრობის წევრის ინდივიდუალური პოლიტიკური პასუხისმგებლობის არსებობის გამო იგი გარკვეულწილად უახლოვდებოდა საპარლამენტო მართვის კონსტრუქციას. საქართველოს ახალ და უახლოეს ისტორიაში[34] იყო მცდელობა, რომ პირველი რესპუბლიკის მმართველობის ინსტიტუციონალური პრინციპები გადმოეტანათ თანამედროვე რეალობაში. საკონსტიტუციო კომისიას დაევალა[35] შეემუშავა პირველი კონსტიტუციის ახალი რედაქცია, მაგრამ პარლამენტის გადაწყვეტილებით, კომისიამ შექმნა საქართველოს ახალი კონსტიტუცია[36] დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც ასახულია კიდეკვე მის პრეამბულაში. შესაძლებელია საქართველო მომავალში გახდეს საპარლამენტო მმართველობის ქვეყანა, ამ საქმეში პირველ კონსტიტუციაში ასახული მმართველობის საპარლამენტო ფორმა შეიძლება ნიმუშიც გახდეს საკონსტიტუციო ცვლილებების დროს.

პირველი კონსტიტუციის მართველობის მოდელი საჭიროებს მეცნიერულ შესწავლას და გამუქებას. ამისთვის კი საკმაო დოკუმენტური მასალა არსებობს საქართველოს ეროვნულ არქივში. ამ პრობლემის შესახებ ჩვენს მიერ მეცნიერულ ღირებულებებზე დაფუძნებული მეხედულებები და დასკვნები ძირითადად განპირობებულია მმართველობის საერთაშორისო მოდელების შედარებითი ანალიზით. ამგვარი მოდელები, როგორც წესი, ასახვას პოულობენ კონსტიტუციებში. საკითხისადმი აღნიშნული მეთოდოლოგიურ-მეცნიერული მიდგომა იძლევა მმართველობის ქართული მოდელის თავისებურებისა და სპეციფიკის გარკვევას. პირველი რესპუბლიკის მმართველობის საპარლამენტო ფორმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომქმედი კონსტიტუციების[37] მმართველობის საკვანძო პრინციპების შერწყმის შედეგი იყო. ქართულ კონსტიტუციაში პირწმინდად არცერთი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის ფორმა არ იყო მიღებული, ეს ძირითადად შერეული ტიპის მოდელს უფრო წარმოადგენდა, რომელიც ითვალისწინებდა ქართულ პოლიტიკურ, ტრადიციულ, იდეოლოგიურ თუ სხვა ფაქტორებს, გარდა ამისა, კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო კონსტიტუციამდელი ხანის[38] მმართველობის პრინციპები. ეს იყო პარლამენტის მიერ მთავრობის თავმჯდომარის არჩევა, თავმჯდომარის მიერ მინისტრების მოწვევა, მთავრობის თავმჯდომარის საერთაშორისო წარმომადგენლობა და სხვა, რაც იმ პერიოდის მმართველობის დასაყრდენ მოდელებში არ გვხვდება.

პირველ კონსტიტუციაში ასახული პარლამენტისა და მთავრობის არჩევის წესი, მათი ურთიერთმომართება, სტრუქტურა და საქმიანობა განსაზღვრავენ მმართველობის ფორმის ძირითად არსს. ჩვენ თავი მოუყარეთ საკმაოდ პრობლემის ირგვლივ არსებულ მდიდარ დოკუმენტურ მასალას და შევეცადეთ მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე გვეჩვენებინა სახელმწიფო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები. ჩვენი ერთერთი მიზანია გავაქარწყლოთ დღემდე არსებული მოსაზრება, რომლის თანახმად, პირველი რესპუბლიკის მმართველობის საპარლამენტო სისტემა[39] და პირველ კონსტიტუციაში ასახული მმართველობის საპარლამენტო მოდელი მცდარიული იყო, რაც არ არის სწორი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნულ პერიოდში შვეიცარია არ ყოფილა საპარლამენტო რესპუბლიკა ანუ იქ არ იდგა პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, მთავრობა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა პარლამენტისაგან. პირველი კონსტიტუციის სახელმწიფო მმართველობის მოდელი ევროპის ქვეყნებში (გერმანული, ფრანგული, ბელგიური,

[34] 1992-2008 წლები;
[35] 1993 წელს;
[36] რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს
[37] იგულისხმება XX საუკუნის I მეოთხედი.
[38] 1918-1921 წლები;
[39] 1918-1921 წლები;

შეიცარიული) დამკვიდრებულ სისტემებთან იყო მიახლოებული, რაც დასტურდება ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტური წყაროებით. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მმართველობის გზა სწორედ დასავლური ტიპის მმართველობის კონსტიტუციურ მოდელებზე გადის.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კონსტიტუციის ტექსტი იყო ერთერთი პროგრესული კონსტიტუცია ევროპის კონტინენტზე,[40] სადაც საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი მმართველობის ფორმის საკითხი. გარდა ამისა, იგი იმ დროს აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრიები სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა. ამ აზრს გამოსთქვამდა პირველ კონსტიტუციაზე გერმანელი იურისტის ეოლფგანგ გაულის გერმანულენოვანი ნაშრომის[41] წინასიტყვაობაში გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი პანს-დიტრიხ გენშერი.[42] საქართველოს კონსტიტუციის პროექტს გასცნობია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი რამზეი მაკდონალდი, რომელსაც თავისი დადებითი აზრი გამოუქვეყნებია ჟურნალ *„ნეიშენი“-ში*.[43] მაკდონალდი მიუთითებდა, რომ ქართველმა ხალხმა ამ კონსტიტუციის პროექტის შემუშავებით მთელ კაცობრიობას დაუმტკიცა მაღალი სამართლებრიეი კულტურა და პოლიტიკური შეგნება. პეტერბურგის უნიეერსიტეტის პროფესორმა და რუსეთის დროებითი მთავრობის საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ბ. შაცკიმ გაბეთ *„Слово“[44]-ში* საქართველოს კონსტიტუციის პროექტს სტატიათა მთელი სერია მიუძღვნა. იგი მიუთითებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი უაღრესად დემოკრატიული და პროგრესული დოკუმენტია. კონსტიტუციის პროექტს გაეცნო და იგი დადებითად შეაფასა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთმა ლიდერმა კარლ კაუცკიმ.[45] საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირეელი კონსტიტუციის დედანი აღმოჩენილ იქნა შეიცარიაში, კერძოდ, ქ. ციურიხში, ერთერთი შეეიცარიელი ქართველოლოგის პირად არქივში. ამ კონსტიტუციით საქართველო ეზიარა ჭეშმარიტ ეეროპულ ღირებულებებს, დასავლურ პოლიტიკურ და იურიდიულ კულტურას, რომელსაც მანამდე მოკლებული იყო ჩვენი ქეყანა. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციაში აისახა სახელმწიფოებრივი მმართველობის ეეროპული მონაპოეარი. კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემა უახლოვდებოდა იმ კონსტიტუციურ მოდელებს, სადაც დამყარებული იყო საპარლამენტო მმართველობა.[46]

---

[40] *იმ დროისათვის სანიმუშო კონსტიტუციებს წარმოადგენდნენ: საფრანგეთის (1875); შეეიცარიის (1874); ბელგიის (1831); გერმანიის (1919); ჩეხოსლოეაკიის (1920)იაპონიის (1889), იტალიის (1848), პოლანდიის (1888), პორტუგალიის (1911), ესპანეთის (1876), ნორეგიის (1814), შეეციის (1809), დანიის (1866), საბერძნეთის (1864), ბულგარეთის (1879), რუმინეთის (1866), სერბიის (1889), ავსტრიის (1876), არგენტინის (1860), ბრაზილიის (1891), მექსიკის (1857), კანადის (1867), ავსტრალიის (1901), ჰენსილეანიის-ა შშ-ს შტატი (1873), ჟენეეის-შეეიცარიის კანტონი (1847), ბერნის-შეეიცარიის კანტონი (1893), აპენცელის-შეეიცარიის კანტონი (1876), გლარისის-შეეიცარიის კანტონი (1887), ეენესუელას-ა შშ (1909) და სხეა ქეყნების კონსტიტუციები*

[41] კონსტიტუციის შემუშაეება და მიღება საქართველოში (1993-1995), თბ; 2002 წელი;

[42] ეოლფგანგ გაული, კონსტიტუციის შემუშაეება და მიღება საქართველოში (1993-1995); (Wolfgang Gaul, Verfassungsgebung in Georgien); თბ; 2002 წელი, გვ. ix

[43] 1920 წლის 20 ოქტომბრის ნომერი;

[44] 1920 წელი, № 4, 10, 15, 24 დეკემბერი; 1921 წელი, № 14, 19, 27 იანეარი; № 2 თებერეალი

[45] საქართველოს ეროვნული არქიეი, ფონდი 1825, საქმე. 129, ფურცელი. 140-141

[46] მსოფლიოს სხვადასხეა ქეყნების მმართველობის ფორმებზე იხილეთ გაზეთ "ერთობის" შემდეგი ნომრები: ინგლისი (1920 წლის 7 იელისი); ამერიკა (1920 წლის 8 იელისი); იტალია (1920 წლის 15 იელისი); შეეიცარია (1920 წლის 16 იელისი); ბელგია (1920 წლის 21 იელისი); ჰოლანდია (1920 წლის 21 იელისი); პორტუგალია (1920 წლის 22 იელისი); ესპანეთი (1920 წლის 22 იელისი); ნორეგია (1920 წლის 23 იელისი); შეეცია (1920 წლის 8 აგეისტო); დანია (1920 წლის 15 აგეისტო); საბერძნეთი (1920 წლის 18 აგეისტო); გერმანია (1920 წლის 22 აგეისტო); ბრაზილია (1920 წლის 24 აგეისტო); ბულგარეთი (1920 წლის 8 სექტემბერი); პრუსია (1920 წლის 13 ოქტომბერი); ავსტრია (1920 წლის 13 ოქტომბერი); ჰამბურგი (1920 წლის 13 ოქტომბერი); მექსიკა (1920 წლის 15 ოქტომბერი); კანადა (1920 წლის 22 ოქტომბერი); ავსტრალია (1920 წლის 22 ოქტომბერი); ახალი ზელანდია (1920 წლის 29 ოქტომბერი); პენსილეანია (1920 წლის 29 ოქტომბერი); ეენესუელა, სან-მარინო, მონაკო, ანგორა (1920 წლის 12 ნოემბერი).

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ გამოსცა კონსტიტუციის პროექტი,[47] რომელიც ითარგმნა ფრანგულ ენაზე.[48] კონსტიტუცია დამფუძნებელი კრების საგანგებო პლენარულ სხდომებზე განიხილებოდა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში.[49] 21 თებერვალს კრებამ კონსტიტუციის პროექტი ნაჩქარევად დაამტკიცა.

პირველი კონსტიტუციის მე-4 (პარლამენტი) და მე-5 (აღმასრულებელი ხელისუფლება) თავების მუხლების (ორივე თავი მთლიანად მოიცავს 30 მუხლს) შესწავლა ნათელს ხდის თუ რომელი ქვეყნის კონსტიტუციების ნორმათა ანალოგს წარმოადგენდა ისინი. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის ორივე თავი ძირითადად შეიცავს შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისისა[50] და ბელგიის 1831 წლის 7 თებერვლის[51] კონსტიტუციების პრინციპებს, ხოლო 30 მუხლიდან ორი მუხლი ამშ-ს 1787 წლის 17 სექტემბრისა[52] და გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუციების[53] შესაბამისი მუხლების პირდაპირი ანალოგია. ***სწორედ, გერმანიის კონსტიტუციის ეს მუხლი განსაზღვრავს მმართველობის კონსტიტუციურ საფუძველს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამდე ანუ მთავრობისა და მინისტრების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.***

კონსტიტუციის პროექტის ავტორთა ძირითადი მიზანი იყო, სხვა კონსტიტუციების მსგავსად, განესაზღვრათ შემდეგი ინსტიტუტები:

- სახელმწიფო მმართველობის კონსტიტუციური ფორმა;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია;
- სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის ფუნქციების გამიჯვნა;
- სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობების მოწესრიგება.

§ 2. დასავლური კონსტიტუციები, როგორც ძირითადი წყაროები

საქართველოს მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლების მესწავლა წარმოუდგენელია მმართველობის ევროპულ სისტემებთან მისი შედარებითი ანალიზის გარეშე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ავტორებს არ გაუმოუწერიათ სხვა ქვეყნის კონსტიტუციებიდან და ის არ წარმოადგენს რომელიმე დასავლური კონსტიტუციის დუბლიკატს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კონსტიტუციის ერთერთი ავტორის რაჟდენ არსენიძის სიტყვებს: *"კონსტიტუციის შექმნის დროს კი არ უნდა გადაეწეროთ სხვისი კონსტიტუციებიდან, არამედ შეუფარდოთ ჩვენს ცხოვრებას."*[54] კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დაწყებისთანავე საკონსტიტუციო კომისია შეუდგა ევროპული ქვეყნების კონსტიტუციების ქართულად თარგმნას და

---

[47] იხილეთ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, ტფილისი, 1920 წელი, მაისი,

[48] Le project de Constitution de la Republique Georgienne; Elabor e et publie por la Commission Constitutionnelle de l' Assemblee Constituante de Georgie; Tlflis, 1920; (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1833, საქმე 864, ფურცელი 78-81)

[49] 1920 წლის 24 ნოემბრიდან 1921 წლის 21 თებერვლამდე;

[50] Конституции буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. Ст. 458; იხ. ასევე შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია, ე. რცხილაძის წინასიტყვაობით, შვეიცარიის ძირითადი კანონები, თბ; 1906 წ;

[51] *Конституция белгии от 7 февраля 1831 года, Конституции буржуазных Стран, Т. 2, М., 1936 г.*

[52] The Constitution of the United States and The Declaration of Independence.

[53] Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919; გვ. 18

[54] საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 181, ფ. 232;

გამოცემას. ითარგმანა და გამოიცა გერმანიის[55] და ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციები.[56] კომისიის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ეგებულობთ, რომ საჭიროდ მიუჩნეიათ გერმანიის კონსტიტუციის გამოცემა, რომელსაც კომისიის მუშაობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.[57] უფრო ადრე, ქართულ ენაზე გამოქვეყნდა შვეიცარიის კონსტიტუცია.[58] კომისიის ერთერთი სხდომიდან ჩანს, რომ სიმონ კლდიაშვილს უთარგმნია საფრანგეთის კონსტიტუცია,[59] რომელიც, სამწუხაროდ, არ გამოცემულა, ყოველ შემთხვევაში, იგი საარქივო მასალებში არ გეხვდება. პირველი კონსტიტუციის ერთერთ მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ბელგიის კონსტიტუცია,[60] რომელიც არ ყოფილა თარგმნილი და გამოცემული. მიუხედავად ამისა, მისი გავლენა ქართულ კონსტიტუციაზე დიდია. ბელგიის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვა ქვეყნების კონსტიტუციების ჩამოყალიბების საქმეში. აი რას წერს ფრანგი პროფესორი ფილიპ ლოეო: *"ის თავად წარმოადგენს იმ მოდელს რომელიც გავლენას იქონიებს ბევრ კონსტიტუციაზე XIX საუკუნიდან მოყოლებული."*[61] ზემოთ აღნიშნულ კონსტიტუციებში მმართველობის ფორმები თავისებურად იყო წარმოდგენილი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოში ითარგმნა და გამოიცა მხოლოდ ის კონსტიტუციები, გარდა შვეიცარიისა, რომლებიც მმართველობის ფორმად საპარლამენტო სისტემას აღიარებდა. უნდა ითქვას, რომ მმართველობის ამ ფორმებზე ინგლისურმა მოდელმა დიდი გავლენა მოახდინა.[62]

§ 2. მმართველობის საერთაშორისო მოდელები

პირველ რესპუბლიკაში ერთმანეთს გაემიჯნა მმართველობის სამი ძირითადი ტიპი: ა) შვეიცარიის პირდაპირი დემოკრატია, სადაც ხალხი უშუალოდ, პირდაპირ მონაწილეობდა ხელისუფლების განხორციელების პროცესში;[63] ბ) ამერიკული ტიპის დუალისტური "უფლება-

---

[55] გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუცია (გერმანიის კონსტიტუცია, 1920 წელი, თბ; შესდგება ორი ნაწილის, ხუთი თავისა და 181 მუხლისაგან (*Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919);*

[56] ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია (ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, ჯ. საყვარელიძის წინასიტყვაობით, 1920 წ; თბ; (მიღებულია ჩეხოსლოვაკიის დამფუძნებელი კრების მიერ, მოიცავს ექვს თავსა და 134 მუხლს) *La Constitution de la Republique Tchecoslovaque, Prague, 1920).*

[57] საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1833, ს. 180, ფ. 228 (საკონსტიტუციო კომისიის 1921 წლის 21 აპრილის სტენოგრაფიული ჩანაწერი); აქ იგულისხმება გერმანიის 1919 წლის კონსტიტუცია;

[58] შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია (ე. რცხილაძე, შვეიცარიის ძირითადი კანონები, თბ. 1906 წელი); შედგება სამი თავის და 121 მუხლისაგან. ეს კონსტიტუცია შესულია კრებულში: Конституции буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. იხ. Швейцарская федеральная Конституция, М; 1917 г.

[59] იგულისხმება 1920 წლის ნოემბრის სხდომა; საფრანგეთის 1875 წლის 25 თებერვლის კონსტიტუცია *(Louis Blanc, Histoire la Constitution du 25 Fevrier 1875, Paris, 1888.); უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის (მესამე რესპუბლიკის) კონსტიტუცია არ იყო ერთიანი აქტი, იგი სამი დამოუკიდებელი კანონისაგან შედგებოდა, რომლებიც ძირითადად ხელისუფლების ორგანიზაციას ეხებოდა. ამ კონსტიტუციით, აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა პრეზიდენტს და მინისტრთა-საბჭოს, მინისტრებს ნიშნავდა პრეზიდენტი და იგი თავმჯდომარეობდა კაბინეტს. კონსტიტუციით არ იყო გათვალისწინებული პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.*

[60] ბელგიის 1831 წლის 7 თებერვლის კონსტიტუცია (*Конституции буржуазных Стран, Т. 2, М., 1936 г.)* ; კონსტიტუცია შედგება რვა თავისა და 139 მუხლისაგან

[61] ფილიპ ლოეო, პარლამენტარიზმი (Philippe Lauvaux, Le Parlementarisme), 2005 წელი, თბ. გვ. 30

[62] ანდრაშ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი (Andas Sajo, Limiting Government (An Introduction to Constutionalism); თბ; 2003 წ; გვ. 189

[63] Конституции буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. Ст. 458; იხ. ასევე შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია, ე. რცხილაძის წინასიტყვაობით, შვეიცარიის ძირითადი კანონები, თბ; 1906 წ; იქვე იხ. 1874 წლის 17 თიბათვის ფედერალური კანონი "შესახებ იმისა თუ როგორ ამტკიცებს ხალხი საფედერაციო კანონებს და დადგენილებებს." გვ. 81-84

განაწევრებული დემოკრატია," სადაც ხელისუფლების სათავეში დგას პრეზიდენტი ანუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა, და გ) ფრანგული ტიპის პარლამენტარული დემოკრატია,[64] რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, რაც იწვევდა მის გადაღგომას.[65] ამ სამი სისტემიდან კონსტიტუციაში მიღებული უნდა ყოფილიყო ერთერთი. საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ნაწილი მმართველობის შერეულ ფორმას უჭერდა მხარს. მაგალითად, მმართველობის შვეიცარიულ-ფრანგული პრინციპების გაერთიანების იდეით გამოდიოდა სოციალ-დემოკრატი პაელე საყვარელიძე.[66] კომისიამ მმართველობის ამერიკული მოდელი (საპრეზიდენტო სისტემა) იმთავითვე უარყო.

საპარლამენტო (კონსტიტუციური) მონარქია ბევრ სახელმწიფოში იყო მიღებული. კონსტიტუციური მონარქიის უმრავლეს ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლება პოლიტიკურად პასუხისმგებელი იყო საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. საპარლამენტო მმართველობის სახელმწიფოები იყო ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია, ესპანეთი, ნორვეგია, შვეცია, დანია, საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია. ამერიკის რესპუბლიკებიდან აღსანიშნავია ვენესუელა, კონსტიტუციით[67] დამკვიდრებული იყო საპარლამენტო მმართველობა, ვინაიდან მთავრობა პოლიტიკურად პასუხისმგებელი იყო კონგრესის წინაშე. იგი წარმოადგენდა ერთადერთ ქვეყანას ამერიკის კონტინენტზე, რომელიც ამერიკული საპრეზიდენტო მმართველობისაგან განსხვავდებოდა.

ჩამოთვლილ სახელმწიფოებში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის სახელწოდება იყო "მეფე," გამონაკლისს წარმოადგენდა იაპონია, სადაც კონსტიტუციურად არსებობდა "იმპერატორის" თანამდებობა. "პრეზიდენტის" ინსტიტუტი, გარდა ამერიკისა, შემოღებული იყო საფრანგეთში, შვეიცარიაში, პორტუგალიაში, გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში.

§ 3. საპარლამენტო მართვა და პრეზიდენტი

მმართველობის კონსტიტუციური ფორმის შერჩევის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე.[68] დეპუტაციაში გამოითქვა აზრი: *"უფრო ტიპიური ჩვენ კონსტიტუციაში არის სოციალური შინაარსი და მმართველობის სისტემა, ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება."*[69] ნიშანდობლიცია, რომ სწორედ კონსტიტუციის განხილვა ამ საკითხზე მსჯელობით დაიწყეს. უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ფორმის საკითხებში დამფუძნებელი კრების წევრებს განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ. დეპუტაცია

---

[64] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 24 იანვარი

[65] *Louis Blanc, Histoire la Constitution du 25 Fevrier 1875, Paris, 1882. (მუხლი 6) იხ. ასევე* პ. საყვარელიძე, წერილები სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ წესწყობილებაზე (რესპუბლიკები: საფრანგეთი, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია), თბ. საქართველოს მთავრობის სტამბა, 1918 წელი; იხ. ნ. საქარელი, სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილება, საქართველოს დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიის გამოცემა, თბ; 1920 წელი; გვ. 9-12

[66] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 191, ფურცელი 139; საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 22 (დღის წესრიგი: *როგორი ტიპის კონსტიტუცია უნდა შეეიმუშაოთ)* იენისის სხდომა;

[67] იგულისხმება 1909 წლის კონსტიტუცია;

[68] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1836, საქმე. 46 (საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები); ს. 47 (კომისიის სხდომის ოქმები); ფონდი 1833, ს. 180 (კომისიის სხდომის ოქმები); ს. 181 (კომისიის სხდომის ოქმები); ს. 182 (კომისიის სხდომის ოქმები); ს. 183 (კომისიის სხდომის ოქმები); ს. 184 (კომისიის სხდომის ოქმები); ს. 190 (კონსტიტუციის პროექტი); ს. 191 (ფრაქციათა მიერ წარმოდგენილი შესწორებები); ს. 192 (კონსტიტუციის გადასინჯვის მასალები); ს. 369 (კონსტიტუციის თეზისები); ს. 858 (კონსტიტუციის პროექტის განხილვა); ს. 859 (კომისიის სხდომის ოქმები); ს. 860 (პროექტის შესახებ ცელილებები); ს. 861 (წინადადებები კონსტიტუციის პროექტის შესაცელელად); ს. 862 (კონსტიტუციის გადასინჯვის მასალები); ს. 863 (კონსტიტუციის პროექტი და დამფუძნებელი კრების სხდომის მასალები); ს. 1385 (წინადადებები კონსტიტუციის პროექტის შესაცელელად).

[69] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 180, ფურცელი. 64-65

ორ ჯგუფად გაიყო: პირველი ჯგუფი ანუ სოციალისტური პროფილის პარტიათა წარმომადგენლები (სოციალ-დემოკრატები, სოციალ-რევოლუციონერები[70] და სოციალ-ფედერალისტები) მხარს უჭერდნენ საპარლამენტო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, ხოლო მეორე ჯგუფი, ეროვნულ-დემოკრატები საკონსტიტუციო დებატების დროს იცავდნენ საპარლამენტო მმართველობას მხოლოდ პრეზიდენტის ინსტიტუტთან ერთად, მაგრამ თავად სოციალ-დემოკრატებშიც იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პრეზიდენტის თანამდებობას მხარს უჭერდნენ. მაგალითად, ასეთი პიროვნება იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელმაც დაწერა "პოლიტიკური ანდერძი," სადაც იგი პრეზიდენტის თანამდებობასაც შეეხო და დადებითად აფასებს პრეზიდენტის როლს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და საქართველოსათვის საუკეთესოდ თვლიდა ისეთი პრეზიდენტის არსებობას, რომლის ფუნქციები ამერიკა-გერმანიის პრეზიდენტის ფუნქციების მსგავსი იქნებოდა.[71]

პრეზიდენტის თანამდებობისადმი თავისებური მიდგომა გააჩნდათ დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებს, რომლებიც, ფაქტობრივად უმცირესობაში იმყოფებოდნენ. პრეზიდენტის პოსტის შემოღებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა, რომელიც მთლიანად გამოხატავდა საკუთარი პარტიის პოზიციას ამ საკითხზე. იგი სვამდა კითხვას: *"არის თუ არა საჭიროდ საჭირო პრეზიდენტი რესპუბლიკისა? აქვს თუ არა იმას მართლა რაიმე აუცილებელი სახელმწიფოებრივი ფუნქცია, თუ ეს უბრალო ნამთია ისტორიული გარდაქმნისა და მეიძლება მისი სრული მოსპობაც?"*[72] გვაზავა ამ კითხვას დადებითად პასუხობს. იგი გამოდის ხელისუფლების დანაწილების პოზიციიდან და პრეზიდენტსა და მინისტრთა-კაბინეტს ერთ მთლიან ორგანიზმად განიხილავს, რომლებიც დღანან აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში და დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ პარლამენტისაგან. მისი აზრით, ერთის მხრივ, პრეზიდენტის არსებობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების გამოყოფას ხელისუფლების დანარჩენი სისტემისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ, მინისტრთა-კაბინეტი სოლიდარობას პარლამენტთან. გვაზავას აზრით, პრეზიდენტს უჭირავს უმაღლესი ადგილი სახელმწიფოში, იგი თავია სახელმწიფოსი და მისი წარმომდგენი საერთაშორისო ურთიერთობაში.[73] ცნობილი დემოკრატი ვასილ წერეთელი წერდა: *"ვფიქრობ, სჯობს, საქართველოს პრეზიდენტი ხალხის მიერ იქნეს არჩეული. დაე, ხალხს ყაყიდეს წარმომადგენლად ის, ვისაც ენდობა."*[74]

§ 4. კონსტიტუციური შესწორების პროექტი პრეზიდენტის შესახებ

დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარდგენილი კონსტიტუციის პროექტში შესაგანი ცვლილებები ითვალისწინებდა 75-ე მუხლის შესწორებას. ამ მუხლის მიხედვით, მთავრობას ყავდა თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს იყო რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.[75] ცვლილებების პროექტით, აღნიშნული მუხლის რედაქცია უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: *"რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს ხალხი ხუთი წლის ვადით. ის უნდა იყოს*

---

[70] სოციალ-რევოლუციონერებმა 1920 წელს თავიანთი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგინეს, რომელიც შესდგებოდა 18 თავისა და 132 მუხლისაგან. პროექტი საპარლამენტო რესპუბლიკას ითვალისწინებდა, რომელიც სტრუქტურითა და შინაარსით არ განსხვავდებოდა კომისიის მიერ შედგენილი პროექტისაგან (საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 191, ფურცელი. 210-217)

[71] ჟურნალ. "საისტორიო ეერტიკალები," 1991 წელი, № 1, გვ. 68, ანდერძი მას შედგენილი ქონდა 1925 წელს'

[72] გიორგი გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა (პრეზიდენტი რესპუბლიკისა); 1920 წელი; გვ. 53

[73] გიორგი გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა (პრეზიდენტი რესპუბლიკისა); 1920 წელი; გვ. 55

[74] გაზეთი "საქართველო," 1920 წელი, 30 იანვარი

[75] საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, ტფილისი, 1920 წ. მაისი (თავი მეხუთე, აღმასრულებელი ხელისუფლება), გვ. 22

საქართველოს მკვიდრი მოქალაქე და მესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 40 წლისა."[76] კონსტიტუციის პროექტის 74-ე მუხლი შემდეგ რედაქციას ითვალისწინებდა: *"აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას. რესპუბლიკის მთავრობას შეადგენენ: ა) პრეზიდენტი რესპუბლიკისა და ბ) პასუხისმგებელი მინისტრები."*[77] ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ამ მესწორებით, პრეზიდენტი არ იყო ცალკე მდგომი თანამდებობის პირი, იგი მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა, მმართველობის ამგვარი მოდელი შეეცარიის აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობის მსგავსი იყო, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა ფედერალურ საბჭოს (მთავრობას), რომელსაც ირჩეოდა ფედერალური კრება მვიდი წევრისაგან სამი წლის ვადით. მთავრობის შემადგენლობიდან ფედერალური კრება ერთი წლის ვადით ირჩეოდა კონფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც იმავდროულად იყო ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი.[78] განსხვავება ის იყო, რომ შეეიცარიული მოდელი არ ცნობდა მინისტრების პასუხისმგებლობის პრინციპს. თუმცა გაურკვეველია "პასუხისმგებლობაში" რას გულისხმობდნენ დემოკრატები: პასუხისმგებლობას პრეზიდენტის თუ პარლამენტის წინაშე? შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატების პროექტით, საქართველო უნდა ყოფილიყო საპარლამენტო რესპუბლიკა პრეზიდენტის თანამდებობასთან ერთად.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი მესწორება, ასევე, ითვალისწინებდა პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებას პარლამენტის წინაშე. ეს მესწორება ეროვნულ-დემოკრატებს გერმანიის კონსტიტუციიდან ჰქონდათ აღებული. გერმანიის კონსტიტუცია პირდაპირ აღიარებს, რომ *"თანამდებობის მიღებისას რესპუბლიკის პრეზიდენტი სდებს რაიხსტაგის წინაშე ფიცს."*[79] ცვლილება უნდა შეხებოდა, ასევე, კონსტიტუციის პროექტის 77-ე მუხლს,[80] რომელიც გულისხმობდა მინისტრების მოწვევას მთავრობის თავმჯდომარის მიერ იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.[81] მესწორება შემდეგნაირი უნდა ყოფილიყო: *"მინისტრ-თავმჯდომარეს და მისი წინადადებით – დანარჩენ მინისტრებს იწვევს და ითხოვს პრეზიდენტი რესპუბლიკისა..."*[82] ეს მესწორებაც დემოკრატებმა გერმანიის კონსტიტუციის 53-ე მუხლიდან გადმოიღეს: *"კანცლერს და – მისი წინადადებით – მინისტრებს ნიშნავს და ითხოვს პრეზიდენტი."*[83] მსგავსი უფლებები ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტსაც კონსტიტუციით. 70-ე მუხლში წერია: *"მთავრობის თავმჯდომარეს და მის წევრებს ნიშნავს და ითხოვს რესპუბლიკის პრეზიდენტი."*[84]

პრეზიდენტი, მესწორების პროექტის მიხედვით, მოიწვევდა და დაითხოვდა პრემიერ-მინისტრს და მთავრობის დანარჩენ წევრებს.[85] ეროვნულ-დემოკრატების აზრით, საქართველოში უნდა დამკვიდრებულიყო საპარლამენტო მმართველობა, ანუ მთავრობას შეადგენდნენ პრეზიდენტი და, რაც მთავარია, "პასუხისმგებელი მინისტრები." გარდა ამისა, მინისტრებს დაითხოვდა, ასევე პრეზიდენტიც, რაც გულისხმობდა დუალისტურ მოდელს, დუალისტური პარლამენტარიზმი მიღებული იყო, მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციით. ეროვნულ-დემოკრატი

---

[76] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 191, ფურცელი. 36

[77] იქვე, ფურცელი 36

[78] საყვარელიძე პაველ, გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 3 თებერვალი

[79] *Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919, გვ. 15*

[80] საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, ტფილისი, 1920 წ. მაისი (თავი მეხუთე, აღმასრულებელი ხელისუფლება), გვ. 22

[81] იქვე

[82] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 191, ფურცელი. 36

[83] გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუცია, (თავი მესამე, პრეზიდენტი და მთავრობა რესპუბლიკისა), 1920 წელი, თბ; გვ. 21, *Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919, გვ. 18*

[84] ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია (მთავრობა), ა. საყვარელიძის წინასიტყვაობით, 1920 წ; თბ; გვ. 36, *La Constitution de la Republique Tchecoslovaque, Prague, 1920, გვ. 36*

[85] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 191, ფურცელი. 36

ვასილ წერეთელი მხარს უჭერდა მინისტრების პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე.[86] იგი ამბობდა, რომ *"ჩრდ. ამერიკაში მინისტრები პრეზიდენტის წინაშე არიან პასუხისმგებელნი და არა პარლამენტის წინაშე. ეს წესი კი საკმაოდ დემოკრატიული არ არის."*[87]

§ 4. "პრეზიდენტი ერთგვარი აჩრდილია მონარქისა"

სოციალ-დემოკრატები პრინციპულად გამოდიოდნენ ამერიკული საპრეზიდენტო მმართველობისა და ზოგადად პრეზიდენტის ინსტიტუტის წინააღმდეგ. პრეზიდენტის პიროვნებაში ისინი მონარქის აჩრდილს ხედავდნენ. საქართველო, ალბათ, იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც საკონსტიტუციო რეფორმების დროს, არ გამოუყენებია ამერიკის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები ხელისუფლების მოწყობის პროცესში. ფედერალისტი სამსონ დადიანი მიუთითებდა: *"იმ მუხლებს კონსტიტუციისა, რომელშიაც აღნიშნულია უპრეზიდენტობა, ეს ჩვენ დაღებით მხარედ მიგვაჩნია და სასურველი იქნება თუ ამ მხრივ შევაღგენთ კონსტიტუციას. ჩვენის აზრით, პრეზიდენტობის შემოღება იქ, სადაც სუვერენობა ეკუთვნის ხალხს ყოელად მიუღებელია."*[88] პროექტის ერთერთი ავტორი რაჟდენ არსენიძე[89] კატეგორიულად უარყოფდა პრეზიდენტის პოსტის შემოღებას. იგი აღნიშნავდა: *"ბოლოს და ბოლოს განსხვავება პრეზიდენტსა და მეფეს შორის მხოლოდ ისაა, რომ მეფის უფლება მუდმივია, მემკვიდრეობითია, პრეზიდენტის კი ეადიანი, დროებითი, მეფე ღვთისგან რჩეულია, პრეზიდენტი ხალხისგან."*[90] კონსტანტინე ჯაფარიძის[91] აზრით, პრეზიდენტი საშიში იყო დემოკრატიისთვის. იგი ამბობდა: *"პრეზიდენტს ჯარს ვერ ჩავაბარებთ. ჯარის ერთი პირის ხელში გადაცემა საშიშია რესპუბლიკისათვის. ჯარი უნდა იქნეს პარლამენტის განმეგებლობაში. დემოკრატიზმი მოითხოვს კოლეგიალურ მართვა-გამგეობას. ეს სისტემა ჩვენმა სამი წლის პრაქტიკამ გაამართლა და იგი უნდა დარჩეს."*[92] პრეზიდენტის ინსტიტუტის წინააღმდეგ არგუმენტად მოყავდათ საფრანგეთის მაგალითი,[93] როდესაც არჩეულმა პრეზიდენტმა, ძალაუფლების ხელში აღებისთანავე, დახია კონსტიტუცია და დაითხოვა (გარეკა) პარლამენტი. აკაკი ჩხენკელი საკუთარი უმრაელესობის პოზიციებიდან გამომდინარე ამბობდა: *"პრეზიდენტი ერთგვარი აჩრდილია მონარქისა. დემოკრატიას მართლა არ სურს არც მონარქი და არც მისი აჩრდილი."* სოციალ-დემოკრატებმა საბოლოოდ უარყვეს პრეზიდენტის ინსტიტუტი და მისი შემოღება არადემოკრატიულად იქნა მიჩნეული. დაადგინეს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა დაეკისრებოდა პარლამენტის თავმჯდომარეს.[94] ეს პრინციპიც იმდროინდელი ევროპული მოდელებისათვის უცხო იყო. არცერთი პარლამენტის თავმჯდომარეს მსგავსი ფუნქცია არ ქონია. პირველ კონსტიტუციაში საბოლოოდ განისაზღვრა რესპუბლიკური მმართველობის მუდმივობა. კონსტიტუციის 148 მუხლი პირდაპირ იმეორებს საფრანგეთის კონსტიტუციის მე-8 მუხლის დებულებას: "მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ შეიძლება გახდეს გადასინჯვის

---

[86] ვასილ წერეთელი, (მოსაზრებები კონსტიტუციის პროექტზე), გაზეთი "საქართველო," 1920 წელი, 24 იანვარი, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომა;

[87] იქვე

[88] გაზეთი "ერთობა," 1920 წელი, 8 დეკემბერი; იხ. გაზეთი „სახალხო საქმე," 1920 წლის 16 ოქტომბერი

[89] იმ პერიოდში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

[90] რაჟდენ არსენიძე, დემოკრატიული რესპუბლიკა (რესპუბლიკა უპრეზიდენტოდ), თბ; 1917 წელი, გვ. 23

[91] სოციალ-დემოკრატი;

[92] გაზეთი "ერთობა," 1920 წელი, 18 დეკემბერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 დეკემბრის სხდომა;

[93] 1851 წლის მაგალითი;

[94] გაზეთი "ერთობა," 1920 წელი, 8 მაისი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1920 წლის 7 მაისის სხდომა;

საგანი."[95] პირველ კონსტიტუციაში ნათქვამია: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის საგნად."[96]

§ 5. ჟორდანია და პრეზიდენტის თანამდებობა

დროებითი მთავრობის თავმჯდომარის ჟორდანიას ნებისმიერი აზრი მმართველობის მოდელზე იყო საინტერესო და გასათვალისწინებელი საკონსტიტუციო კომისიის მიერ. იგი იცნობდა რესპუბლიკის ორ ფორმას: ა) პარლამენტარულ და ბ) დემოკრატიულ რესპუბლიკას.[97] პარლამენტარული რესპუბლიკის დამახასიათებელ თვისებად მიაჩნდა ხელისუფლებათა სამიეე შტოს ერთი ორგანოს-პარლამენტის სისტემაში თავმოყრა. პარლამენტარული რესპუბლიკის მაგალითებად თელიდა საფრანგეთსა და ინგლისს. დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, მისი აზრით, ხელისუფლება დანაწილებულია და ხალხი აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში. მისთვის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიმუში იყო შეიცარია. ნოე ჟორდანია სოციალ-დემოკრატებისგან განსხვავებით, პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი რადიკალურად არ იყო განწყობილი, რაც უკეთრდათ კიდეეაც კრების უმრავლესობაში. იგი მხარს უჭერდა საპარლამენტო მართვის შემოღებას, რომელიც დადასტურებული იყო კონსტიტუციის პროექტის გამოცემულ ვარიანტში,[98] თუმცა ალეგიკურად მიაჩნდა პრეზიდენტის თანამდებობის გაუთვალისწინებობა, ეინადან, მისი აზრით, პრეზიდენტი პარლამენტარიზმის ღეიძლი შეილი იყო.[99] ჟორდანია პრეზიდენტის ინსტიტუტს დადებითად აფასებდა. იგი მიუთითებდა: *"პრეზიდენტი არის ისეთი პირი, რომელიც განსაკუთრებულ დროს არის სახელმწიფოს მეთაური. მთავრობა იცვლება, შეიძლება მთავრობებში მოხდეს კრიზისი, ეს ერთი-ორი კეირა გაგრძელდეს, ხოლო სახელმწიფოს საშღვრებზე კი მტერი გამოჩნდეს, პასუხისმგებელი მთავრობა აღარ არის, მაგრამ აგერ არის კაცი, ის არის პასუხისმგებელი, უმაღლესი დარაჯი და მას მოეთხოვება მიიღოს ყოველსაირი ზომები, რომ სახელმწიფო იქნეს ხსნილი ამ სამიშროებისგან."*[100] იგი აღიარებდა, რომ შეეიცარიის სისტემა ჩეენში არ გამოდგებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შეეიცარიაში იყო არა პოლიტიკური, არამედ საქმიანი მთავრობა, რომელიც არავის წინაშე არ იყო პასუხისმგებელი. შეეიცარია არ აწარმოებდა საგარეო პოლიტიკას ნეიტრალიტეტის გამო, ხოლო საქართველო იმ დროს იმყოფებოდა რთულ საერთაშორისო ეითარებაში და ქეეყანა საჭიროებდა პოლიტიკურად პასუხისმგებელ მინისტრთა-კაბინეტს. ჟორდანიას არ უნდოდა საკუთარი პარტიის წარმომადგენელთა პოზიცია უგულეებელყო, რის გამოც მას მოერიდა კიდეეაც ბოლომდე დაეცეა პრეზიდენტის ინსტიტუტი. მდგომარეობიდან გამოსაეალს ხედავდა იმაში, რომ პრეზიდენტის უფლებები (ნაწილობრივ მაინც) გადასცემოდა მთავრობის თავმჯდომარეს. იგი ამბობდა: *"ჩეენში არ იქნება პრეზიდენტი, ცალკე პიროვნება, მაგრამ ჩეენში იქნება ისეთი პირი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას."*[101] მმართველობის ფორმის შერჩეევისას ჟორდანია წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი მოითხოვდა პარლამენტის თავმჯდომარისთვის პრეზიდენტის უფლებების მინიჭებას, რაც გათვალისწინებული იყო აესტრიის კონსტიტუციით.

---

[95] Тексты Конституціи, VI, Французская Конституція, переводъ и предисловіе С. Г. Лозинскаго, Изданіе газеты "Кіевскіе Отклики." Кіевъ, Первая Кіевская Артелъ Печатного Дела, 1905 г. Конституціонныи законъ объ организаціи государственнои власти 25 февраля 1875 г. Ст. 31;

[96] საქართველოს 1921 წლის 21 თებერეალის კონსტიტუცია, მუხლი 148 მუხლი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ. 1990 წელი, გვ. 484;

[97] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 5 დეკემბერი

[98] იხ. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, ტფილისი, 1920 წელი, მაისი, გვ. 24; (მუხლი 83)

[99] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 5 დეკემბერი

[100] იქეე (დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომა);

[101] იქეე

გამოითქვა აზრი, რომ *"პარლამენტის თავმჯდომარე, კიდეც რომ მეთავსება დასაშვები იყოს, ვერ გასწვდება ორივე საქმეს."*[102]

§ 5. მონარქისა და პრეზიდენტის ზოგიერთ უფლებამოსილებათა დელეგირება და მთავრობის თავმჯდომარის საერთაშორისო წარმომადგენლობა

პირველმა კონსტიტუციამ მონარქის და პრეზიდენტის უფლებები გადასცა მთავრობის თავმჯდომარეს, რომლის სამართლებრივ მდგომარეობას ეხება კონსტიტუციის მეხუთე თავი. მთავრობის თავმჯდომარის არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა შეეცარიული იყო, ხოლო თავმჯდომარის ზოგიერთი კონსტიტუციური უფლებამოსილება ბელგიის მონარქის ფუნქციებიდან გადმოიღეს. კონსტიტუციის 67-ე მუხლის მიხედვით, მთავრობას ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე, რომელსაც ერთი წლის ვადით ირჩეოდა პარლამენტი. ერთი და იგივე პირი აირჩეოდა მხოლოდ ორჯერ. კონსტიტუციის ეს დებულებები ეფუძნება შვეიცარიის კონსტიტუციის 96-ე და 98-ე მუხლებს,[103] სადაც ნათქვამია: *"კავშირის სათათბიროში თავმჯდომარეობს კონფედერაციის თავმჯდომარე... კონფედერაციის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ამხანაგს კავშირის კრებული ნიშნავს ერთი წლის ვადით თავის წევრებიდან. თავმჯდომარე შემდეგი მეორე წლისთვის აღარც თავმჯდომარედ აირჩევა და არც მის ამხანაგად.*[104]" განსხვავებით, საქართველოს პირველი კონსტიტუციისგან, შეიცარიის კონსტიტუცია კრძალავდა მთავრობის თავმჯდომრის ზედიზედ არჩევას.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს რამზეი მაკდონალდს ჟურნალ "თაჲმ ჰაგიონ"-ში გამოუქვეყნებია წერილი "სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში." მაკდონალდი წერილში ეხება საქართველოს კონსტიტუციის პროექტს და მიუთითებს მხოლოდ მის ერთ მუხლზე, რომელიც მას არალოგიკურად მიაჩნდა. ეს ის მუხლია, რომლითაც აკრძალულია მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა. *"ეს შეზღუდვა, მინისტრის აზრით, სწორია პრეზიდენტის მიმართ, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი პრემიერ-მინისტრის მიმართ."* იგი ამ წერილში ნოე ჟორდანიას "საქართველოს პრეზიდენტს" უწოდებს.[105] მაკდონალდის ეს წინადადება გათვალისწინებულ იქნა და საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლი ასე ჩამოყალიბდა: "მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ."[106]

მონარქისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების დელეგირება კარგად ჩანს კონსტიტუციის 70-ე მუხლში: ა) მთავრობის თავმჯდომარე იყო რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. იგი ნიშნავდა ელჩებს. გერმანიის კონსტიტუციის 45-ე მუხლი მიუთითებს: *"პრეზიდენტი არის რესპუბლიკის წარმომადგენელი საერთაშორისო უფლების საქმეში... ის იღებს ელჩებს და ამოწმებს მათ რწმუნებას."* პირველი კონსტიტუციის 70-ე მუხლის დებულება საერთაშორისო წარმომადგენლობის შესახებ ბელგიის კონსტიტუციის 66-ე მუხლის შინაარს

---

[102] პაველ საყვარელიძე, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1825, საქმე 129, ფურცელი 41;

[103] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავი "აღმასრულებელი ხელისუფლება," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი); საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1836, აღწ. 1, ს. 420, ფ. 48; შეადარ. Конституции вуржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. იხ. Швейцарская федеральная Конституция, М; 1917 г. Ст. 24; ასევე შეეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია, ვ. რცხილაძის წინასიტყვაობით, შეეიცარიის ძირითადი კანონები, თბ; 1906 წ; გე. 71

[104] შეეიცარიის ძირითადი კანონები, ე. რცხილაძე, თბ. 1906 წ; მიღებულია 1874 წლის 29 მაისს; იხილეთ იხ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავი "აღმასრულებელი ხელისუფლება," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი, პუნქტი 3-4); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 48-49;

[105] გაზეთი "სახალხო საქმე," 1920 წელი, 11 ნოემბერი (ჟურნალში ეს სტატია გამოქვეყნებულა 1920 წლის 16 ოქტომბერს);

[106] საქართველოს 1921 წლის 21 თებერელის კონსტიტუცია, მუხლი 67 მუხლი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ. 1990 წელი, გე. 468;

იმეორებს.[107] მთავრობის თავმჯდომარეს საერთაშორისო წარმოადგენლობა არცერთ სახელმწიფოში არ ჰქონდა. ესეც სახელმწიფო მმართველობის ფორმის თავისებურებაზე მიუთითებს საქართველოში. ბ) მთავრობის თავმჯდომარეს პირველი კონსტიტუციის 70-ე მუხლის მიხედვით, უფლება ჰქონდა გამოეწვია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა პარლამენტის თანხმობით[108]. საფრანგეთის კონსტიტუციის მე-9 მუხლი აღიარებს: *"რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია ომის გამოცხადება ორიეე პალატასთან წინასწარი მოლაპარაკებისა და თანხმობის გარეშე."*[109] გ) 70-ე მუხლის "გ"-ე ქვეპუნქტი თავმჯდომარეს ანიჭებდა უფლებას გამოეცა ბრძანება და განკარგულება კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არ ქონდა კანონის მოქმედება შეეჩერებინა ან მისი შესრულება დაებრკოლებინა. საკონსტიტუციო კომისიამ ამ დებულების ჩამოყალიბების დროს ბელგიის კონსტიტუციით იხელმძღვანელა.[110] 67-ე მუხლი ამბობს: *"იგი (იგულისხმება ბელგიის მონარქი – ბ. ქ.) გამოსცემს რეგლამენტებსა და ბრძანებებს, აუცილებელს კანონის შესასრულებლად, მაგრამ არ ძალუძს რომელიმე კანონის შეჩერება ან მათი შესრულებისაგან განთავისუფლება."*[111] დ) მთავრობის თავმჯდომარეს 70-ე მუხლის მიხედვით, უფლება ჰქონდა დაენიშნა მმართველობის ამა თუ იმ დარგის, ადგილის ან მოელენის რევიზია.[112] მსგავს დებულებას ჩვენ ვერ ეხვდებით დასაელურ კონსტიტუციებში. თავმჯდომარის ამგვარი უფლებამსილება ძირითადად საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის გამოცდილებას ემყარება. 1919 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დროებითი დებულება "მთავრობის მიერ დანიშნული საგანგებო რევიზიისა."[113] პირველი კონსტიტუციის 70-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტი მთლიანად ასახავს აღნიშნული დებულების პირველი მუხლის შინაარსს.[114] ე) კონსტიტუციის 70-ე მუხლის მიხედვით, თავმჯდომარეს სხვა განსაკუთრებული უფლებები არ ჰქონდა, იმის გარდა რაც, კონსტიტუციით მასზე იყო მიკუთვნებული.[115] ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება ეუფუძნებოდა ისეე ბელგიის კონსტიტუციის 78-ე მუხლს.[116] იქ ნათქვამია: *"მეფეს არ გააჩნია სხვა უფლებამოსილებანი, გარდა იმათისა, რასაც ფორმალურად მეიცავს*

---

[107] 1830 წლის 10 ნოემბერს გაიხსნა ბელგიის ეროვნული კონგრესი, რომელმაც გამოაცხადა ბელგიის დამოუკიდებლობა და შეიმუშავა 1831 წლის კონსტიტუცია. იხ. Конституции Буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. Ст. 484 (Конституция Белгии от 7 февраля 1831 года); იხილეთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავი "აღმასრულებელი ხელისუფლება," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი, პუნქტი 6); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 48;

[108] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბილისი, 1990 წელი, გვ. 469;

[109] Тексты Конституціи, VI, Французкая Конституція, переводъ и предисловіе С. Г. Лозинскаго, Изданіе газеты "Кіевскіе Отклики." Кіевъ, Первая Кіевская Артель Печатного Дела, 1905 г. Конституціонныя законъ объ организаціи государственнои власти 25 февраля 1875 г. Ст. 31; საფრანგეთის 1875 წლის 25 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 9: Les ministres sont solidairement responsobles devant les chambers de la politique generale du Gouvernement et individuallement de leurs actes personnnels. Le President de la Republique n'est responsible que dans le cas da haute trahison *(Louis Blanc, Histoire la Constitution du 25 Fevrier 1875, Paris, 1888. გვ. 250;*

[110] იხ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თაეი "აღმასრულებელი ხელისუფლება," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი, პუნქტი 6); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 48-49;

[111] იხილეთ და შეადარეთ Конституции Буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. Ст. 484 (Конституция Белгии от 7 февраля 1831 года);

[112] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბილისი, 1990 წელი, გვ. 469;

[113] იქვე, გვ. 229;

[114] იქვე;

[115] იქვე, გვ. 469;

[116] იხილეთ და შეადარეთ Конституции Буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. Ст. 484-485 (Конституция Белгии от 7 февраля 1831 года); იხილეთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თაეი "აღმასრულებელი ხელისუფლება," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი, პუნქტი 7); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 48;

კონსტიტუცია და იმავე კონსტიტუციით გამოცემული ცალკეული კანონები."[117] პირველი კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის.[118] ეს მუხლიც გერმანიის კონსტიტუციის მიხედვით იქნა შემუშავებული. 56—ე მუხლის ძალით კანცლერი პოლიტიკურად პასუხისმგებელი იყო რაიხსტაგის წინაშე.[119]

პირველი კონსტიტუციით, მთავრობის თავმჯდომარის უფლებები დიდი იყო და იგი მონარქის ან პრეზიდენტის უფლებებს უტოლდებოდა.

კონსტრიტუციამ უარყო ა) პრეზიდენტი, რომელიც არ განსხვავდებოდა მონარქის ხელისუფლებისაგან; ბ) მან ერთპიროვნულ მმართველობასთან შედარებით უპირატესობა კოლეგიალურ მმართველობას მიანიჭა, რომლის დროსაც პარლამენტი, როგორც კოლეგიალური ორგანო, იღებს გუნდურად გადაწყვეტილებებს; გ) პრეზიდენტის ინსტიტუტის უარყოფით უარი ეთქვა მოსალოდნელ საფრთხეს, რომელიც მეიძლებოდა მოყოლოდა პრეზიდენტის ხელისუფლებას და ეს იყო ხელისუფლების უმურაყია. პრეზიდენტის უარყოფამ გამოიწვია პარლამენტის როლის ზრდა და ხელისუფლებათა მკეეთრი დანაწილების ნაცელად, მისი ცენტრალიზაცია.

§ 5. პოლიტიკური მთავრობა თუ შეეიცარიული დირექტორიის რეჟიმი?

სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხის გადაწყვეტისას კონსტიტუციის პროექტის აეტორები მიზნად ისახავდნენ უზრუნველყოთ უპრეზიდენტობა, მთავრობის დამორჩილება პარლამენტისადმი და კრიზისების თავიდან აცილება.[120] კომისიის მიერ გამოცემული კონსტიტუციის პროექტით[121] მმართველობის ფორმა იყო საპარლამენტო მოდელი. პროექტის 83-ე მუხლში ვკითხულობთ: *"როგორც მთავრობა მთლიანად, ისე თვითეული მინისტრი აღჭურვილი უნდა იყოს პარლამენტის ნდობით. როგორც მთავრობა, ისე თვითეული მინისტრი უნდა გადადგეს, თუ დაკარგავს პარლამენტის ნდობას მისი გადაჭრილი დადგენილებით."*[122] ეს იყო საფრანგეთის კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირდაპირი ანალოგი:[123] *"მინისტრები სოლიდარული პასუხისმგებლობის მატარებელნი არიან პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკის საერთო მიმართულებისათვის და ინდივიდუალურისა, .მათი პირადი მოქმედებისათვის. რესპუბლიკის პრეზიდენტი პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში."*[124] პრაქტიკა ცნობს პოლიტიკური პასუხისმგებლობის ორ ფორმას: სოლიდარულსა და ინდივიდუალურს. სოლიდარული პასუხისმგებლობის პირობებში უზრუნველყოფილია მთავრობის მთლიანი პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. ამ პრინციპის გამოყენებით პარლამენტი აიძულებს

---

[117] იხილეთ Конституции Буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. Ст. 485 (Конституция Белгии от 7 февраля 1831 года);

[118] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბილისი, 1990 წელი, გვ. 470

[119] Ferfassung des Deutschen Reich s for 11 August 1919, Leipzig, 1919, გვ. 21;

[120] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 5 დეკემბერი

[121] კონსტიტუციის პროექტი ითარგმნა ფრანგულ ენაზე 1920 წელს (Le projet de Constitution de la Republique Georgienne, elabor et publie por la Commission Constitutionnelle de l' Assemblee Constituante de Georgie, Tiflis, 1920). სეა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 864, ფ. 78-81; 1922 წელს ქ. პარიზში გამოიცა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია (Constitution de la Republique de Georgie (Edition de la Presidence de L'Assemblee Constituante de la Republique Georgienne, Paris, 1922,)

[122] იხილეთ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, ტფილისი, 1920 წელი, მაისი, გვ. 24; (მუხლი 83); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 369, ფურცელი. 6.

[123] საფრანგეთის 1875 წლის 25 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 6: Les ministres sont solidairement responsobles devant les chambers de la politique generale du Gouvernement et individuallement de leurs actes personnnels. Le President de la Republique n'est responsible que dans le cas da haute trahison *(Louis Blanc, Histoire la Constitution du 25 Fevrier 1875, Paris, 1888. გვ. 249);* საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავი "აღმასრულებელი ხელისუფლება," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ, პუნქტი 11 (სანიმუშო პროექტი); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 48-49

[124] გაზეთი "სახალხო საქმე," 1920 წელი, 12 დეკემბერი;

მთავრობას, მის მიერ გატარებული პოლიტიკის დაწუნების შემთხვევაში, გადადგეს.[125] ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გულისხმობს თითოეული მინისტრის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე საკუთარი მოქმედებისათვის. ასეთ დროს ერთი მინისტრის გადადგომა არ გამოიწვევს მთლიანად კაბინეტის გადადგომას. მსოფლიოში ცნობილია კონსტიტუციები, რომლებიც ითვალისწინებს ორიენ პრინციპს ერთად ანუ როგორც სოლიდარულ, ისე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე. პასუხისმგებლობის ორიენ ფორმას ითვალისწინებდა საფრანგეთის კონსტიტუცია,[126] მოგვიანებით კი გერმანიის კონსტიტუციაც.[127]

პროექტის გამოცემის შემდეგ საკონსტიტუციო დებატები დაიწყო დამფუძნებელ კრებაში. ასევე პოლიტიკური ხასიათის წერილებიც გამოიცა პრესაში.[128]

კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული მმართველობის პრინციპი გარკვეულ ლოგიკას იყო მოკლებული და ამაზე ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი პირდაპირ მიუთითებდა, თავად ჟორდანიაც. პროექტში დადგენილი იყო მთავრობის გუნდური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. ერთის მხრივ ეს კარგი იყო, კონსტიტუციის პროექტით მთავრობა უნდა გადამდგარიყო სოლიდარულად, მაგრამ, მეორეს მხრივ ცუდი, ვინაიდან მთავრობასთან ერთად თანამდებობას დატოვებდა თავმჯდომარეც და სახელმწიფო ფაქტობრივად რჩებოდა მთავრობის გარეშე, მითუმეტეს პროექტით არ იყო გათვალისწინებული გადამდგარი მინისტრთა-კაბინეტის მიერ, ახალი მთავრობის არჩევამდე, მოვალეობის დროებით შესრულების შესაძლებლობა. ეს საკითხი ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, სანიმუშოდ იყო გადაწყვეტილი. ჩეხოსლოვაკიის სეიმის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, პრეზიდენტი სწყვეტდა თუ ვის უნდა გადასცემოდა დროებით აღმასრულებელი ხელისუფლება ახალი მთავრობის შედგენამდე. აღნიშნული მუხლით, პრეზიდენტის არყოფნისა და პოლიტიკური კრიზისების დროს აღმასრულებელი ხელისუფლების გადაცემის საკითხის გადაწყვეტა მინდობილი ჰქონდა სპეციალურ კომიტეტს, რომელსაც ირჩევდა ჩეხოსლოვაკიის პარლამენტი.[129] თუ კონსტიტუციის პროექტი დატოვებდა მთავრობის სოლიდარულ პასუხისმგებლობას თავდაპირველი სახით, მაშინ გარდაუვალი იყო ცალკე თანამდებობის შემოღება, რომელიც ახალი მთავრობის არჩევამდე შეასრულებდა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს, იკისრებდა, საშინაო და საგარეო სფეროში, გარკვეულ პასუხისმგებლობას და თანამდებობის ასეთი პირი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი, რომელსაც კატეგორიულად უარყოფდნენ სოციალ-დემოკრატები. მეორე გამოსავალი იყო მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის დატოვება, რომლის თანახმად,

---

[125] სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი ინგლისში აღმოცენდა 1782 წელს, როდესაც პრემიერ-მინისტრი ლორდ ნორტი კაბინეტთან ერთად გადადგა.

[126] ჯ. საყვარელიძე, წერილები სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ წესწყობილებაზე (რესპუბლიკები: საფრანგეთი, ჩრ. ამერიკის შ. შტატები, შვეიცარია), თბ. საქართველოს მთავრობის სტამბა, 1918 წ; გვ. 10

[127] Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919; გვ. 18

[128] გ. გეაზავა, კონსტიტუციის ირგვლივ, პრეზიდენტი რესპუბლიკისა, გაზეთი „საქართველო," 1920 წელი, 29 ქრისტეშობისთვე; ს. დადიანი, ჩვენი კონსტიტუცია, განხილული ხალხისური სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით, გაზეთი „სახალხო საქმე," 1920 წელი, 10, 12, 15, 16, 21, 23, 28, 30 ოქტომბერი, 5, 6, 14 ნოემბერი; ალ. მდივანი, საკონსტიტუციო საკითხები, გაზეთი „სახალხო საქმე," 1920 წელი, 24 ნოემბერი; ალ. მდივანი, მთავრობა და მისი პასუხისმგებლობა, გაზეთი „სახალხო საქმე," 1920 წელი, 24 ოქტომბერი; ჯ. საყვარელიძე, საქართველოს კონსტიტუციისათვის, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 24, 28, 29 იანვარი, 1, 3, 4, 8, 11, 13, 15, 17, 21, 26 თებერვალი, 5, 16 მარტი, 3 აპრილი; ს. ფირცხალაება, კონსტიტუცია, გაზეთი „საქართველო," 1920 წელი, 21 ნოემბერი; ე. წერეთელი, საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, გაზეთი „საქართველო," 1920 წელი, 30 იანვარი; Шацкий Б. Е. Конституцыия Грузии, Слово, 1920 г. 4, 10, 15, 24 Декабря, 1921 г. 14, 19, 27 Января, 2 Февраля.

[129] ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია (ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, ჯ. საყვარელიძის წინასიტყვაობით, 1920 წ; თბ; გვ. 37 (*La Constitution de la Republique Tchecoslovaque, Prague, 1920, გვ. 37)*

უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, მხოლოდ მინისტრი გადადგებოდა, რაც არ გამოიწვევდა მთავრობის მთლიან პოლიტიკურ კრიზისებს.

მმართველობის ფრანგული მოდელის წინააღმდეგ გამოეიდა კონსტიტუციის ერთერთი ავტორი პაელე საყვარელიძე, რომელმაც კატეგორიულად უარყო პროექტის 83-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით მთავრობა სოლიდარულად პასუხს აგებდა პარლამენტის წინაშე. იგი მიუთითებდა: *"პასუხისმგებელი მთავრობა ხო უნდა გადადგეს, როცა მას უნდობლობას გამოუცხადებენ და ამ მთავრობასთან ერთად მისი თავმჯდომარეც გადადგება. მაშინ ხომ დარჩება რესპუბლიკა უმთავრობოდ? თავისთავად იბადება კითხვა პრეზიდენტის არსებობის შესახებ. დღევანდელ პირობებში, როცა ირგვლივ ეელური მგრები გვახვევია, არ შეიძლება უპრეზიდენტოდ ჩვენმა რესპუბლიკამ ხეირიანად იარსებოს. აუცილებლად შემოღებულ უნდა იქნეს პრეზიდენტი. არც ამერიკის სისტემა, არც შვეიცარიის და არც საფრანგეთის ჩვენთვის არ არის მისაღები. ჩვენ გვინდა პასუხისმგებელი პრეზიდენტი, მას უნდა მიენიჭოს უფლება შეზღუდული."*[130] მმართველობის მზგავსი მოდელი დამკვიდრებული იყო ჩეხოსლოვაკიაში კონსტიტუციით. პრეზიდენტს ირჩევდა სახალხო კრება (პარლამენტი), ხოლო მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი იყვნენ პარლამენტის წინაშე. კონსტიტუციის 75-ე მუხლით, დამკვიდრდა მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობა.[131] მთავრობის წევრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შემოღებას ემხრობოდა ჟორდანია. მისი აზრი იყო ლოგიკური, ვინაიდან თუ მოწონებული იყო მთავრობის საერთო პოლიტიკა, მაშინ ცალკეული მინისტრის საქმიანობას არ უნდა გამოიწვია მთავრობის კრიზისი ანუ მთელი მინისტრთა-კაბინეტის გადადგომა. იგი ამბობდა: *"ჩვენ უნდა გავარჩიოთ სამი მხარე: 1) საერთო პოლიტიკური ხაზი; 2) კერძო პრაქტიკული კითხვები და 3) მთავრობის კრიზისი და აი ამაში, უნდა იყოს განსხვავება და როცა საერთო პოლიტიკური ხაზი მოწონებული არის, კერძო პრაქტიკულმა კითხვებმა ვერ უნდა გამოიწვიოს კრიზისები."*[132] იგი კატეგორიულად გამოვიდა შვეიცარიული მმართველობის წინააღმდეგ. შვეიცარიის კონსტიტუციის 96-ე მუხლის მიხედვით,[133] მთავრობის (კავშირის სათათბიროს) წევრებს ირჩევდა პარლამენტი (კავშირის კრებული), რომლებიც პასუხისმგებელნი არ იყვნენ საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. კონსტიტუციის 102-ე მუხლის 16-ე ქვეპუნქტი მთავრობის მხოლოდ ანგარიშვალდებულებას განსაზღვრებდა.[134] საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამგვარი ფორმა მმართველობისა, მიუღებელი იყო და ეს კარგად ესმოდათ პოლიტიკურ წრეებში. *"ჩვენში, ამბობდა ჟორდანია, საქართველოში, რომელსაც ირგვლივ ისეთი მეზობლები ჰყავს, რომ საგარეო საკითხი და საგარეო პოლიტიკა მთავარ საკითხად არის გადაქცეული, უნდა იყოს პოლიტიკური მთავრობა და არ შეეგიძლიან ისეთი აწყობა მთავრობისა, როგორც შვეიცარიაში არის."*[135] შვეიცარია იმ დროს იყო ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც საგარეო პოლიტიკას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. სწორედ ამ საფუძვლის გამო უარყოფილ იქნა შვეიცარიული მმართველობის მოდელი, ე. წ. დირექტორიის რეჟიმი. მართალია საქართველოს კონსტიტუციაში პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციები შვეიცარიის კონსტიტუციიდან იქნა გადმოღებული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ფუნქციები, მათი შინაარსი ვერ განსაზღვრავს მმართველობის ძირითად არსს, ვინაიდან პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილება კონსტიტუციებში თითქმის ერთნაირია. ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ჟორდანია მართებულად მიიჩნევდა პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს მთავრობის თავმჯდომარე დამოუკიდებელი ყოფილიყო, რომ მთავრობის რომელიმე წევრის უკანონო ქმედებას არ უნდა გამოეწვია დანარჩენი მთავრობის და, მითუმეტეს

---

[130] გაზეთი "ერთობა," 1920 წელი, 22 ივნისი

[131] ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია (ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, პ. საყვარელიძის წინასიტყვაობით, 1920 წ; თბ; გვ. 37 (*La Constitution de la Republique Tchecoslovaque, Prague, 1920, გვ 36)*

[132] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 5 დეკემბერი (დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომა);

[133] შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია (ვ. რცხილაძე, შვეიცარიის ძირითადი კანონები, თბ. 1906 წელი); გვ. 71; Конституции буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. Швейцарская федеральная Конституция, Москва; 1917 г. Ст. 24

[134] იქვე

[135] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა," 1920 წელი, 5 დეკემბერი

პრემიერ-მინისტრის გადაყენება. პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ საკუთარი ქმედებისა და საერთო პოლიტიკური ვითარებისათვის და პარლამენტის უნდობლობის შემთხვევაში იგი ვალდებული იყო გამოეცალა მინისტრი. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადებითი მხარე გახლდათ ისიც, რომ მთავრობის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში, რესპუბლიკას უხელმძღვანელებდა მთავრობა, რომლის თავმჯდომარის მოვალეობას, ახალი თავმჯდომარის არჩევამდე, მეასრულებდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რომლის არსებობა გათვალისწინებულია პირველი კონსტიტუციის 71-ე მუხლით და რომელიც შეიცარიის კონსტიტუციის 98-ე მუხლს ეფუძნებოდა.[136]

შვეიცარიაში დირექტორიის რეჟიმის გარდა არსებობდა "პირდაპირი მმართველობა," ანუ ხალხის უშუალო მონაწილეობა სახელმწიფოებრივ პროცესებში. წმინდა პირდაპირი დემოკრატია უარყო პირველი კონსტიტუციის ავტორებმა, რაც, რასაკვირველია, იყო ლოგიკური პოლიტიკური ნაბიჯი. მმართველობის პირდაპირი მოდელი ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას. პირველ კონსტიტუციაში პირდაპირი მმართველობის ფორმები, რეფერენდუმი და ინიციატივა (მუხლი 63), შეიცარიის კონსტიტუციიდან იყო გადმოღებული, რაც გულისხმობდა პირდაპირი მმართველობის შემღუდულ ინსტიტუტებს. კომისიამ უარი უთხრა დირექტორიის რეჟიმსაც. სახელმწიფოში მხოლოდ პოლიტიკურ მთავრობას უნდა ეწარმოებინა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა. სახელმწიფოებრივად მოწყობილი საზოგადოების სახელმწიფო მართვის მექანიზმი უფრო ეფექტურია, ვიდრე იმ საზოგადოებისა, რომელიც საკუთარ თავს თვითონ მართავს.

§ 6. ხელისუფლების მოწყობის გერმანული მოდელი

საკონსტიტუციო კომისიამი გამოითქვა აზრი, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის ფორმად მიღებული ყოფილიყო გერმანული მოდელი, რომელიც ახლოს იდგა ფრანგულთან და ორივე ითვალისწინებდა მთავრობის როგორც სოლიდარულ, ისე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიხედვით, კანცლერს და მინისტრებს ნიშნავდა და ითხოვდა გერმანიის პრეზიდენტი. მინისტრთა-კაბინეტი აღჭურვილი უნდა ყოფილიყო პარლამენტის (რაიხსტაგის) ნდობით და ყოველი მათგანი გადადგებოდა, თუ დაკარგავდა რაიხსტაგის ნდობას.[137] ეს იყო კაბინეტის სოლიდარული პასუხისმგებლობა, რაც იმთავითვე უარყვეს ქართული კონსტიტუციის ავტორებმა. გერმანიის კონსტიტუციის 56-ე მუხლი განამტკიცებს, ასევე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, ამ მუხლში წერია: *"კანცლერი განსაზღვრავს ხაზს და მიმართულებას პოლიტიკისას და კისრულობს მისთვის პასუხისმგებლობას რეიხსტაგის წინაშე. ამ ხაზის და მიმართულების ფარგლებში თვითეული მინისტრი დამოუკიდებლად და რეიხსტაგის წინაშე თავის საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მასზე მინდობილ დარგს."*[138] პირველი კონსტიტუციის 73-ე მუხლი, რომელიც მთავრობის წევრების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ეხება, ზემოთ აღნიშნული გერმანული მოდელის ანალოგია: *"თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას... მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და ასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას*

---

[136] შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია (ვ. რცხილაძე, შვეიცარიის ძირითადი კანონები, თბ. 1906 წელი); გვ. 71; Конституции Буржуазных Стран, Т. 2, М. 1936 г. იხ. Швейцарская федеральная Конституция, М; 1917 г.

[137] გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუცია (გერმანიის კონსტიტუცია, 1920 წელი, თბ; გვ. 21; *Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919; gv. 18*

[138] გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუცია (გერმანიის კონსტიტუცია, 1920 წელი, თბ; გვ. 21 *Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919; გვ 18;*

მთელი კაბინეტი."[139] განსხვავება ქართულ და გერმანულ მოდელებს შორის ის იყო, რომ გერმანული კონსტიტუციით, კანცლერს უფლება არ ჰქონდა გადაეყენებინა მინისტრი ან მთლიანად გარდაექმნა კაბინეტი. ეს მხოლოდ გერმანიის პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შედიოდა. ამის გამო გერმანია იყო ღუალისტური საპარლამენტო სახელმწიფო. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის პრეზიდენტისა და საქართველოს კონსტიტუციით მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილება, ამ სფეროში, ანალოგიური იყო.

§ 7. ქართული კონსტიტუციური მოდელის თავისებურება

ჩვენი აზრით, პირველი კონსტიტუციის საპარლამენტო მართვის მოდელი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა, კლასიკურ საპარლამენტო რეჟიმად, სწორედ ეს პრინციპი გამოარჩევს მას მართვის დანარჩენი ევროპული მოდელებიდან:

* კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ნეიტრალურ პოლიტიკურ ფიგურას, პრეზიდენტს, რომელსაც ევროპულ საპარლამენტო მოდელებში ხელისუფლებათა ბალანსირების ფუნქცია აკისრია, მაგალითად, გერმანია და საფრანგეთი.

* კონსტიტუციამ უარი უთხრა წმინდა საპარლამენტო მართვის ისეთ ფუძემდებლურ პრინციპს, როგორიცაა "მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობა" და შემოიფარგლა მხოლოდ "ინდივიდუალური პასუხისმგებლობით," რაც თანამედროვე საპარლამენტო რეჟიმებისათვის ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა არის სახელმწიფოები, რომლებიც ცნობენ ამ პრინციპს (მაგ. შვედეთი).[140]

* კონსტიტუციამი არ არის გათვალისწინებული "პარლამენტის დათხოვნის" პრინციპი, რაც აუცილებელი მოელენაა საპარლამენტო მართვისათვის და ფრანგული კლასიკური დოქტრინის მიხედვით, მიჩნეულია პარლამენტარიზმის შემადგენელ ძირითად ელემენტად.[141] დათხოვნის პრინციპი უზრუნველყოფს ხელისუფლების წონასწორობას. ერთის მხრივ პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება, ხოლო, მეორეს მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარლამენტის დათხოვნა განსაზღვრავენ ხელისუფლებათა მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებასა და წონასწორობას. კონსტიტუციამი ამ პრინციპის განსაზღვრის დროს ავტორები პარლამენტის უშენაესობიდან გამოდიოდნენ. საკონსტიტუციო კომისიის თეზისებში ვკითხულობთ: *"არ არის ისეთი დრო, როდესაც პარლამენტი არ არსებობდეს. ამრიგად იცვლება პარლამენტის შემადგენლობა ახალი არჩევნების საშუალებით, მაგრამ მისი მოქმედება შეძლიეა, იგი როგორც უმენაესი, ბატონი ქვეყნისა, განუწყვეტელია. ცხადია, ამიტომ იგი არც თვითონ ითხოვს თავის თავს და არც სხვა რომელიმე ძალას აქვს უფლება მისი დათხოვნის. მართალია, პარლამენტის ცხოვრებაში შესაძლებელია საშოგადოდ ისეთი შემენტი, როცა იგი აღარ გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს და ასეთ შემთხვევაში სამართლიანი იქნებოდა პარლამენტის შემადგენლობის განახლება.. და თუ მაინცდამაინც მოხდა დაშორება ხალხისა და პარლამენტის, ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, არის მხოლოდ ერთი გამოსავალი–ესაა რეფერენდუმით პარლამენტის დათხოვნა."*[142] პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილება გათვალისწინებული იყო ევროპული კონსტიტუციებით. გერმანიის კონსტიტუციის 25-ე მუხლში ნათქვამია: *"რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია რეიხსტაგი დაითხოვოს, მაგრამ ერთი და იმაეე მიზეზით მხოლოდ ერთხელ."*[143] ანალოგიური უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი

---

[139] *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 470*

[140] ფილიპ ლოვო, პარლამენტარიზმი (Philippe Lauvaux, Le Parlementarisme), 2005 წელი, თბ. გვ. 96

[141] იქვე, 105

[142] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 182, ფურცელი. 57;

[143] გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუცია (გერმანიის კონსტიტუცია, 1920 წელი, თბ.); გვ. 143 *Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919); გვ. 11;*

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი კონსტიტუციის 31-ე მუხლით (პუნქტი პირველი).[144] მიუხედავად, არსებული თავისებურებებისა, კონსტიტუცია ითვალისწინებდა იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც საპარლამენტო რეჟიმისთვისაა დამახასიათებელი და, სწორედ, ამის გამო, საქართველო კონსტიტუციურად იყო საპარლამენტო რესპუბლიკა.

§ 8. საპარლამენტო მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მიხედვით, ქვეყნის უზენაესი ორგანო იყო პარლამენტი. *"ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას."*[145] ეს იმას ნიშნავდა, რომ პარლამენტს გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა პოლიტიკურ სისტემაში. ამ პრინციპის ჩამოყალიბების დროს საქართველოს კონსტიტუციის აეტორები შეეცადნენ საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის საფუძველზე ხელმძღვანელობდნენ, რომლის მიხედვით, *"კონფედერაციაში მთავარი უფლება, იმ უფლებების გარდა, რომელნიც ხალხსა და თემებს აქვთ მინიჭებული, ეკუთვნის კავშირის კრებულს (პარლამენტს)."*[146]

73-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრები და მთავრობის თავმჯდომარე, თუმცა ინდივიდუალურად, მაგრამ პოლიტიკურად მაინც პასუხისმგებელი იყვნენ პარლამენტის წინაშე; როგორც აღინიშნა, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს პოლიტიკური საფუძველი ქქონდა და მიზნად ისახავდა პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფას, გარდა ამისა, საკონსტიტუციო კომისიის წევრთა აზრით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უზრუნველყოფდა მთავრობის პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეული მინისტრის ან უწყების უკანონო მოქმედებას არ უნდა გამოეწვია საერთო კრიზისი. ეს იყო საპარლამენტო მართვის რაციონალიზაციის ცდა. პრეზიდენტის უარყოფისა და მთავრობის გუნდური გადადგომის თავიდან აცილების უზრუნველყოფის იდეა იყო ჩადებული კონსტიტუციის ამ მუხლში, რასაც გეიდასკურებს საკონსტიტუციო კომისიის თეზისები: *"ასეთი დაყოფა აუცილებელ კორექტივად მიგვაჩნია, რომ კრიზისებმა ისეთი მასიური ხასიათი არ მიიღოს, როგორც საფრანგეთში აქვს· ადვილი, სადაც ხშირად წვრილმან საკითხებზე იცვლება კაბინეტი და ახალი შემადგენლობა ისევ ძველი პოლიტიკით და პროგრამით გამოდის. ჩვენ გვინდოდა საერთო კრიზისი მთავრობისა გადაგვეტანა საერთო პოლიტიკის კრიზისად და არა მხოლოდ პიროვნებათა კრიზისად."*[147] მაგალითად, 1879 წელს საფრანგეთში სამხედრო მინისტრის წინააღმდეგ პალატის გამოსვლამ გამოიწვია მთელი კაბინეტის გადადგომა.[148]

---

[144] ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია (ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, პ. საყვარელიძის წინასიტყვაობით, 1920 წ; თბ; გვ. 23; *La Constitution de la Republique Tchecoslovaque, Prague, 1920; გვ. 28*

[145] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეოთხე თავი "პარლამენტი," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 112-115; შეადარეთ Конституции буржуазных Стран, Т. 2, Москва. 1936 г. იხილეთ Швейцарская федеральная Конституция, Москва; 1917 г. Ст. 24; ასევე შეეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია, ე. რცხილაძის წინასიტყვაობით, შეეიცარიის ძირითადი კანონები, თბ; 1906 წ; გვ. 64

[146] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეოთხე თავი "პარლამენტი." შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (ს პროექტი); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 112-115; შეადარეთ Конституции буржуазных Стран, Т. 2, Москва. 1936 г. Ст. 455 იხილეთ Швейцарская федеральная Конституция, Москва; 1917 г. Ст. 20; ასევე შეეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია, ე. რცხილაძის წინასიტყვაობით, შეეიცარიის ძირითადი კანონები, თბ; 1906 წ; გვ. 64;

[147] იხილეთ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის თეზისები, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1833, საქმე. 182, ფურცელი 18

[148] გაზეთი "სახალხო საქმე," 1920 წელი, 12 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტი 54-ე მუხლის შესაბამისად, საერთო კონტროლს უწევდა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, რაც საპარლამენტო რეჟიმების ერთერთი ფუნდამენტური ელემენტია. საპარლამენტო კონტროლის ფორმას ითვალისწინებდა თითქმის ყველა კონსტიტუცია. შვეიცარიის უზენაესი აქტის 85-ე მუხლის 11-ე ქვეპუნქტის მიხედვით, ფედერაციის უმაღლეს მართვა-გამგეობაზე ზედამხედველობას ახორციელებდა პარლამენტი.[149] უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის ფორმები გათვალისწინებულია, ასევე, გერმანიის კონსტიტუციის 33-ე[150] და ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის მე-40 (პუნქტი 1)[151] და 52-ე (პუნქტი 1)[152] მუხლებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლი განამტკიცებს "ავტონომიის პრინციპს," რომლის მიხედვით, პარლამენტი თვითონ იღებს რეგლამენტს და განსაზღვრავს მისი მოქმედების წესებს. კონსტიტუციის ეს მუხლი აღებული იყო ბელგიის კონსტიტუციის 46-ე მუხლიდან.[153]

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე და 74-ე მუხლებით, მთავრობა ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე, რაც ითვალისწინებდა შეკითხვების დასმასა და ინტერპელაციას. ეს მუხლებიც ბელგიის კონსტიტუციიდან ჰქონდათ გადმოღებული;[154]

საქართველოს პარლამენტი კონსტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად, ირჩეოდა მთავრობის თამჯდომარეს, ეს უკანასკნელი კი იწვეოდა მინისტრებს, რომელთაც ნდობას უცხადებდა პარლამენტი. ეს იყო პირველი რესპუბლიკის საპარლამენტო რეჟიმის მონაპოვარი; რასაკვირველია, კონსტიტუციის ზემოთაღნიშნულ მუხლში ნდობის გამოცხადებაზე მინიშნებაც არ არის, თუმცა საპარლამენტო ნდობის პრინციპი დადასტურებული იყო 73-ე მუხლში, სადაც აღიარებულია: *"თვითეული მათგანი (იგულისხმება მინისტრები–ბ.ქ.) დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადაწყვეტს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაკარგავს მის ნდობას."* სიტყვაში *"მისთვის მინდობილი"* კარგად ჩანს, რომ საქართველოს პარლამენტის ნდობა იყო საჭირო საპარლამენტო მთავრობისათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის ასაღებად. ნდობის პრინციპი გამომდინარეობს, ასევე 68-ე მუხლიდანაც. კონსტიტუციის თეზისებში ვკითხულობთ: *"პარლამენტარული უმრავლესობის ნდობა, ეს ის რეალური საფუძველია, რომელზედაც ემყარება კაბინეტი. ეს კავშირი პარლამენტარულ სახელმწიფოში იმდენად მტკიცეა და ძლიერი, რომ*

---

[149] Конституции буржуазных Стран, Т. 2, Москва. 1936 г. Ст. 458; იხილეთ Швейцарская федеральная Конституция, Москва; 1917 г. Ст. 23; ასევე შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია, ჟ. რცხილაძის წინასიტყვაობით, შვეიცარიის ძირითადი კანონები, თბ; 1906 წ; გვ. 68;

[150] გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუცია (გერმანიის კონსტიტუცია, 1920 წელი, თბ;); გვ. 14; *Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 1919); გვ. 12;*

[151] ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია (ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, პ. საყვარელიძის წინასიტყვაობით, 1920 წ; თბ; გვ. 24; *La Constitution de la Republique Tchecoslovaque, Prague, 1920); გვ. 29;*

[152] ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის 29 თებერვლის კონსტიტუცია (ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, პ. საყვარელიძის წინასიტყვაობით, 1920 წ; თბ; გვ. 28; *La Constitution de la Republique Tchecoslovaque, Prague, 1920); გვ. 31;*

[153] ბელგიის 1831 წლის 7 თებერვლის კონსტიტუცია (*Конституции буржуазных Стран, Т. 2, М., 1936 г.)* ; გვ. 479; შეადარეთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეოთხე თავი "პარლამენტი," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 112-115;

[154] იხილეთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეოთხე თავი "პარლამენტი," შედგენილი იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ (სანიმუშო პროექტი); საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი. 1836, საქმე. 420, ფურცელი. 112-115; ასევე მის მიერ შედგენილი "აღმასრულებელი ხელისუფლება," იქვე. ფურცელი. 48-49

უმრავლესობის მიმართ გამოცხადებულ უნდობლობას მექანიკურად უნდა მოჰყვეს კაბინეტის გადადგომა და ახალი მთავრობის შედგენა."[155]

კონსტიტუციის 69-ე მუხლი მთავრობის წევრს უფლებას აძლევდა ყოფილიყო პარლამენტის წევრი ან ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი. პრინციპი მთავრობის წევრის პარლამენტის წევრად ყოფნისა, საპარლამენტო მმართველობის ერთერთი ელემენტია. მაგალითად, შვეიცარიაში ეს პრინციპი მიღებული არ იყო. კონსტიტუციის 97-ე მუხლის ძალით, მთავრობის წევრებს ეკრძალებოდათ სხვა თანამდებობაზე ყოფნა.[156]

პირველი კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის და ეალდებული დამორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებას.[157] კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნული მუხლის ეს დებულება გერმანიის კონსტიტუციის 56-ე მუხლიდან იყო გადმოღებული, სადაც მითითებულია: *"კანცლერი განსაზღვრავს ხაზს და მიმართულებას პოლიტიკისას და კისრულობს მისთვის პასუხისმგებლობას რეიხსტაგის წინაშე."*[158]

პირველი კონსტიტუციის 92-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს საფინანსო კონტროლის უმაღლესი თანამდებობის პირს-სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევდა პარლამენტი, რომელიც არ შედიოდა მინისტრთა-კაბინეტის[159] შემადგენლობაში, მაგრამ თავისი სამართლებრივი სტატუსით უთანაბრდებოდა მინისტრს. სახელმწიფო კონტროლიორი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პარლამენტის წინაშე.[160]

მმართველობის წარმოდგენილი მოდელებიდან (ამერიკული, შვეიცარიული, ფრანგული) არცერთი არ იქნა ბრმად მიღებული. პირველი კონსტიტუცია წარმოდგენილი მოდელებიდან ითვალისწინებდა ფრანგული, შვეიცარიული, ბელგიური და გერმანული მოდელების ზოგიერთ პრინციპს. გათვალისწინებულ იქნა კონსტიტუციამდელი ხანის პირველი რესპუბლიკის მმართველობის გამოცდილებაც, სწორედ ამის გამო კონსტიტუციაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოწყობის სისტემა არ იყო წმინდა ევროპული. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუციის სახელმწიფო მმართველობის ფორმის მოდელი თავისებური მოვლენა იყო დასავლურ კონსტიტუციონალიზმში

---

[155] იხილეთ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის თეზისები, საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი. 1833, საქმე. 182, ფურცელი. 18

[156] Конституции буржуазных Стран, Т. 2, Москва. 1936 г. Ст. 459; იხილეთ Швейцарская федеральная Конституция, Москва; 1917 г. Ст. 24; ასევე შვეიცარიის 1874 წლის 29 მაისის კონსტიტუცია, ვ. რცხილაძის წინასიტყვაობით, შვეიცარიის ძირითადი კანონები, თბ; 1906 წ; გვ. 71;

[157] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921); თბილისი, 1990 წელი, გვ. 470

[158] გერმანიის 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუცია, 1920 წელი, თბ; გვ. 21; Ferfassung des Deutschen Reichs vor 11 August 1919, Leipzig, 191); გვ. 18;

[159] 1921 წლის კონსტიტუციაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: „აღმასრულებული ხელისუფლება," „მთავრობა," „მინისტრთა-კაბინეტი."

[160] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921); თბილისი, 1990 წელი, გვ. 474;

ამონარიდები

მსოფლიო სამართლებრივი ძეგლებიდან

შუმერული კანონების ფრაგმენტი: „1. უკეთუ ვაჟიშვილი თავის მამას ეტყვის „შენ არ ხარ ჩემი მამაო“. ის უნდა გაპარსონ, დაასვან მონობის ნიშანი, აგრეთვე მისცენ ვერცხლში“

ბილალამის კანონებიდან: „17. უკეთუ კაცის ვაჟიშვილი სიმამრის ოჯახში გამოსასყიდს მიიტანს, თუ ორთაგან ერთი (სასიძო ან საპატარძლო), მოკვდება, ვერცხლი უბრუნდება მხოლოდ მის პატრონს“.

ხამურაბის კანონებიდან: „129.უკეთუ კაცის ცოლსწაასწრებენ სხვა კაცთან მწოლარეს, ისინი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ. თუ ცოლის პატრონი შეუნარჩუნებს თავის ცოლს სიცოცხლეს, მეფემაც უნდა შეუნარჩუნოს სიცოცხლე თავის მონას.“

ხეთების კანონებიდან: „29.უკეთუ ქალიშვილს გაურიგებენ კაცს, და მან გაიღო მისი საქორწინო გამოსასყიდი, ხოლო შემდეგ მამა და დედა გააუქმებენ ხელშეკრულებას და ქალს არ მიათხოვებენ იმ კაცს, მათ უნდა აანაზღაურონ გამოსასყიდი ორმაგად“

ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებიდან: „27. უკეთუ კაცი ცოლად შეირთავს კაცის ასულს, მისი მამისა და მისი დედის დაუკითხავად, აგრეთვე არ დადებს მის მამასთან და მის დედასთან შეთანხმებას და წერილობით ხელშეკრულებას, თუნდაც მან მის სახლში ერთი წლის განმავლობაში იცხოვროს, იგი ცოლი არაა“.

ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებიდან: „28. როდესაც მას (ე.ი. ცოლს) წაასწრებენ მამაკაცთან, ის უნდა მოკვდეს, არ უნდა დარჩეს ცოცხალი“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „8. უკეთუ კაცი მოიპარავს ან ხარს, ან ცხვარს, ან ვირს, ან ღორს, ან ნავს, თუ ეს ღვთისაა ან თუ ეს სასახლისაა, მას შეუძლია გადაიხადოს ეს 30-ჯერადი ოდენობით, ხოლო თუ ეს ეკუთვნის მუშქენუმს,-მას შეუძლია აანაზღაუროს 10-ჯერადი ოდენობით; უკეთუ ქურდს არაფერი აქვს მისაცემი, იგი უნდა მოკლან“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „9. უკეთუ კაცი, ვისაც რამე დაეკარგა, ნახავს დაკარგულ ნივთს, სხვა კაცის ხელში, და იგი, ვის ხელშიც აღმოჩნდება დაკარგული ნივთი, იტყვის: „მე მომყიდა გამყიდველმა, მე ვიყიდე მოწმეთა დასწრებითო“ ხოლო დაკარგული ნივთის პატრონი იტყვის „მე წარმოვადგენ მოწმეებს, რომლებიც იცნობენ ჩემს დაკარგულ ნივთსო“, მაშინ მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი, რომელმაც მიყიდა მას ეს ნივთი, და მოწმეები, რომელთა დასწრებით მან იყიდა; აგრეთვე დაკარგული ნივთის პატრონმაც უნდა მოიყვანოს მოწმეები, რომლებიც იცნობენ მის დაკარგულ ნივთს“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „23. უკეთუ მძარცველი არ იქნება შეპყრობილი , გაძარცულმა კაცმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს ყველაფერი,რაც მან დაჰკარგა, ხოლო თემმა და რაბიანუმმა, რომელთა მიწაზე და საზღვრებშიც ჩადენილია ძარცვა, უნდა აუნაზღაურონ მას, რაც მან დაჰკარგა“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „117. უკეთუ კაცს ვალი მართებს და ვერცხლში მისცემს ან სავალო კაბალაში გადასცემს თავის ცოლს, თავის ვაჟიშვილს ან თავის ქალიშვილს, მათ უნდა იმსახურონ მყიდველის ან გამსესხებლის სახლში 3 წელიწადი; მეოთხე წელიწადს ისინი უნდა განთავისუფლდნენ“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „122. უკეთუ კაცი მიაბარებს კაცს შესანახად ვერცხლს, ოქროს, ან სხვა რამეს, მან უნდა წარუდგინოს მოწმეებს ყველაფერი, რასაც კი აბარებს, დადოს ხელშეკრულება და შეუძლია მისცეს შესანახად“.

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „128. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „134. უკეთუ კაცი ტყვედ იქნება წაყვანილი და მის სახლში არ აღმოჩნდება სარჩო, მის ცოლს შეუძლია შევიდეს სხვის სახლში: ეს ქალი არ არის დამნაშავე“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „138. უკეთუ კაცი ტოვებს თავის პირველ მეუღლეს , რომელსაც მისგან არ ეყოლა შვილები, მან უნდა მისცეს ქალს ვერცხლი მისი გამოსასყიდი თანხის ოდენობით, აგრეთვე შეუვსოს მას მზითევი, რაც ქალმა მოიტანა თავის მამის სახლიდან, და შეუძლია დასტოვოს ქალი“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „168. უკეთუ კაცი განიზრახავს გაამევოს თავისი ვაჟიშვილი და ეტყვის მოსამართლეებს: „მე ვაძევებ ჩემს შვილსო“, მოსამართლეებმა უნდა გამოიძიონ ეს საქმე, და უკეთუ შვილს არ ჩაუდენია მძიმე შეცოდება, რაც საკმარისი იქნებოდა მისთვის მემკვიდრეობის ჩამოსართმევად, მამას არ შეუძლია ჩამოართვას მას მემკვიდრეობა“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „195. უკეთუ შვილი გაარტყამს თავის მამას, მას თითები უნდა მოსჭრან“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „უკეთუ კაცი კბილს ჩაუმტვრევს თავის ტოლ კაცს, მასაც კბილი უნდა ჩაუმტვრიონ“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები: „218. უკეთუ ექიმი ბრინჯაოს დანით კაცს გაუკეთებს მძიმე ჭრილს და ამას მოჰყვება მისი სიკვდილი, ან კაცს ბრინჯაოს დანით მოაცლის ლიბრს და კაცს დაუზიანებს თვალს, მას თითები უნდა მოაჭრან“

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებიდან: „236. უკეთუ კაცი მიაქირავებს მეხომალდეს თავის გემს, ხოლო მეხომალდე დაუდევარი იქნება და ჩაბირავს ან დაღუპავს გემს, მეხომალდემგემი უნდა აუნაზღაუროს გემის პატრონს“

ახალ ბაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებულიდან: „10. ა. კაცი, რომელიც დაპირდა, თავის ქალიშვილს მზითევი ან დაუწერა მას ამის შესახებ საბუთი, შემდეგ კი მისი ქონება შემცირდა

ბ. მან უნდა მისცეს თავის ქალიშვილს მზითევი შესაბამისად თავისი ქონებისა, რომელიც დარჩა. სიმამრმა და სიძემ არ უნდა დაარღვიონ ერთმანეთთან დადებული თავიანთი შეთანხმება“

ხეთების კანონებიდან: „28. მეფის შვილებიდან მეფედ დე გახდეს მხოლოდ მეფის პირველი ვაჟიშვილი. უკეთუ მეფის პირველი ვაჟიშვილი აღარ არის , მეფედ დე გახდეს მომდევნო ვაჟიშვილი. თუ მეფეს მემკვიდრე ვაჟიშვილი არ ჰყავს, მაშინ ის, რომელიც პირველი ქალიშვილია, გაათხოვონ, და დე მისი ქმარი იყოს მეფედ“

ხეთების კანონის პირველი ტაბულიდან: „30. უკეთუ კაცი არ წაიყვანს ქალს ცოლად და უარს იტყვის მასზე, იგი ჰკარგავს გამოსასყიდს, რომელიც მან მიიტანა“.

ხეთების კანონთა მეორე ტაბულიდან: „200. უკეთუ კაცი შესცოდებს ცხენთან ან ჯორთან, ეს არ არის დანაშაული, მაგრამ მას არ შეუძლია მიუახლოვდეს მეფეს და არ შეუძლია გახდეს ქურუმი“.

იუსტინიანეს დიგესტებიდან, 18. ულპიანე, „ედიქტის შესახებ“, მე-6 წიგნი: ნიშნობის განხორციელებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, შესრულდა თუ არა იგი (უშუალოდ) მხარეთა მიერ ან მათი თანდასწრებით, შუამავლის ან წერილის მეშვეობით თუ რაიმე სხვა საშუალებით. დათითქმის ყოველთვის ნიშნობა შუამავლი პირების (მაცნეების) მეშვეობით ხორციელდება.

იუსტინიანეს დიგესტებიდან, მოდესტინუსი, „რეგულები“, 1-ლ წიგნში: „ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“.

იუსტინიანეს დიგესტებიდან, პავლუსი, „ედიქტის შესახებ“, 35-ე წიგნში: „არ შეიძლება დაქორწინება, თუ არ არის თანხმობა ყველა (მხარისა), ე.ი. იმ პირებისა, რომლებიც ქორწინდებიან და ასევე იმ პირებისა, რომელთა ხელისუფლების ქვეშ ისინი იმყოფებიან“.

იუსტინიანეს დიგესტებიდან, პონპონიუსი, „საბინუსისათვის“ მე-3-ე წიგნში: „თორმეტ წლამდე ასაკის ქალიშვილი (საცოლე) მაშინ ხდება კანონიერი ცოლი, როდესაც მას ქმართან ყოფნისას თორმეტი წელი შეუსრულდება“.

იუსტინიანეს დიგესტებიდან, მოდესტინუსი, „პასუხების“, მე 5- წიგნში: „მოდესტინუსი პასუხობს, რომ მრუშობაში ბრალდებული ქალის ცოლად მოყვანა ქმრის სიცოცხლეში არ შეიძლება, ვიდრე მას სასჯელს არ მიუსჯიან“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „უკეთუ ენებოს ვისმე მსაჯულად ყოფნა, მას ნებავს, რათა ღმერთი შემწედ იყოლიოს სოფელსა ამას და მერმესა მას საუკუნოსა. მსაჯულმან მან ეს უნდა იცოდეს, ვითარმედ სხვად არასფერად შეიქმნა იგი მოსამართლედ, არამედ რათა სიმართლით სამართალსა ყოფდეს და კაცთა სიავკაცესა შორს განაგებდეს, და რომელსა ქონდეს დანაშაული, ვითარცა ძალ-ედვას ესრეთ განსჯიდეს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „17. ბრძანება არს, რომელმანცა მოიპაროს ეკლესიათა საქონელი ანუ იარაღი ანუ სხვა რამე, მოსამართლემ

დაიჭიროს ის ქურდი და დააბას. თუ შეაჩნდეს და ქონდეს გამოართვას, თუ არა და ხუთს წელიწადს უკან გაუშვან“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „20. ისმინე მსაჯულო, რამეთუ დანაშაული დამნაშავეს ერთს კაცზედ დგას, რომელიც დამნაშავე იყოს ის ტანჯე, სხვას მას სახლის კაცთაგან ხელი არა გაჭუს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „22. უკეთუ ვალი მისცეს ვინმე კაცსა თეთრი ანუ სხვა რამე, თუ ოდჲაათს წლამდინ ის არა სთხოვა, ის ვალი დაეკარგება და აღარ ეთხოვება“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „39. უკეთუ დაკარგოს ვინმე რამე და სხვამან კაემან იპოოს, კარგად შენახოს სანამდი პატრონი გამოუჩნდებოდეს. და რა პატრონი გამოუჩნდეს თავისი ისევ მისცეს, ხოლო თუ შეიტყოს ვინმე, თუ ამ კაცმა დაკარგა ეს საქონელი და არ მისცეს, მტერი ღ' თისა და ანგელოზთა და ყოველთა წმინდათა მისთა იქმნების. ძველი რჯული ამას ბრძანებს, უკეთუ შენმა ძმამ ანუ შენმა მტერმან დაკარგოს რამე უნაღულელობითა თვისითა ულაშქროთა და შენ იპოვნო, იმას ნუ დამალავ, მაშინვე მიეც“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „51. მამათმავალი, რომელიცა სხვასთან დაეცემიან და სხვანი მასთანა, სიკუდილითა მოკუდინ, რომელსაცა ამისთანა საქმე მოუხდა, თუ იყოს თოთხმეტს წელიწადს დაბლა, არა მოიკულის, არამედ გვემონ სატანჯველითა სიცოცხლითა სირცხვლისათა. 52. რომელნიცა იქმან ბოროტსა საქმესა და აღერივნიან ყოველთა პირუტყჳთა და კაცთა თანა, და არას ნაღულობს სიბილწისა თავისასა, და არ შეშინდებიან ღ' თისა და კაცისაგან, იგი ხმლითა იტანჯოს და მოკუდეს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „56. უკეთუ აგინოს ვინმე მსაჯულსა, ოდეს იყოს სამართალშია, ანუ მას უკან აგინოს იგი, ვირზედ შესვან და გააგდონ. უკეთუ მივიდეს ვინმე მოსამართლესთანა და მისი სამართალი არ დაიკუროს და სხვას მოსამართლესთან მივიდეს საჩივლელად, იგი, ვითარცა ზემოთ სწერია, მაგინებელთაებრ დაისაჯოს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „59. რომელმან აგინოს მეფესა ანუ მთავარსა უსამართლოდ, უკეთუ მღვდელი იყოს, დაეყენოს და ერისკაცი იყოს, შეიჩვენოს. რამეთუ მოსესმიერი სჯული იტყუის: მთავარსა ერისასა შენისასა არა რქუა ბოროტიო. და პეტრე მოციქული იტყუის: მეფესა პატივ სცემდითო. და დიდი პავლე ბრძანებს: მეფეთათჳს ილოცევდითო, მორწმუნე იყოს თუ ურწმუნო. ამისთჳს თქუა: უკეთუ ვინმე მეფესა აგინოს უსამართლოდ და გამოჩნდეს, ვითარმედ უსამართლოდ მეფესა აგინოს“

„61. რომელმანცა მეფეთათჳს ანუ მთავართათჳს აჲი რამ გამოარჩიოს და განდგომილ ექმნას, იმავ წამს ხმლით მოეჭრას თავი“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: “68. უკეთუ კაცმან კაცს თვალი გამოსთხაროს , სამართალი ესრეთ ბრძანებს, მის მაგიერად ერთი თვალი მას

მოეთხაროს. უკეთუ ორი თვალი მოსთხაროს, იმასაც ორი თვალი მოეთხაროს, ამისთვის რომე კარგი ნიშანია და ნუღარავინ მოსთხრის თვალს".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „75. ნურცა ურიათა მისცემენ ქრისტიანენი ქალსა და ნურცა ურიათა ქალსა მოიყუანენ ქრისტიანენი ცოლად." (ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან, 1964 წელი).

„ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: 79. უკეთუ ვინმე ქალწული ქალი დაუნიშნავი ვისგანმე გახრწნას, ცოტას ხანს შეიჩვენოს კაცი იგი და ცოტას ხანს უკან ბძანონ და შეუღლნენ ადთრე და იქორწინონ".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „85. დედაკაცნი მსაჯულად არა დაიყენებიან და არც უფროსად დაიყენებიან, არცა ვეზირობაში დაისმის და არცა რა სხვა საქმე ეკითხვის სახლის მოვლის მეტი".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „104. უკეთუ ვალი ვისმე ემართოს და არ აძლევდეს, ოცდაათს წელიწადს უნდა ითხოვდეს თავის თეთრსა, თუ გირაოდ ქონდეს, ორმოც წლამდი ემართოს და გამოიღოს".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „107. ვერვის ძალუძს სამეფოსა საქონლის გავალება და არცა ეკლესიისა საქონლისა ცხადად ანუ მალვით, დაწერილი ანუ დაუწერელი, არც თავდებებითა".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „108. ანდერძი არს სიმართლისა განზრახვა. რომელიცა ანდერძსა იქს სიკუდილის დროსა.

...ანდერძის წიგნში მოწამეთა სახელი უნდა ეწეროს და მათი ბეჭდებიც უნდა ისხდეს, რომე მერმე სიტყუა არავინ რა თქუას."

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „109. უკეთუ მოწამეთა თქუან, რომე ამ კაცის ანდერძის წიგნი ჩვენს წინ დაიწერაო, (78 v), მოწამეთა თუ ასრე უმოწმონ, ბეჭედი რომ არ უჯდეს, ეს დაიჯერება".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „115. უკეთუ მკუდარმა კაცმა წიგნი იცოდეს და თავისი შვილებისთვის ანდერძი (79r) ქნას, პირველად უნდა დასწეროს წელიწადი და დრო ან ქრონიკონი იყოს ან რა ინდიკტიონია, და მერმე თავისის შვილების სახელი დასწეროს თავისის ხელითა და თვითოს შვილს რა მისცა, სახელდობით დასწეროს ყუელა ერთს ქაღალდზედა. სახელდობით დაწერა ამისთვის სჯობს, რომე ძმებში ჩხუბი აღარ ჩამოუარდებათ".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „127. ესრეთ ვბრძანებთ სამღუდელოთა კაცთათვის, რამეთუ სამღუდელონი იგი კაცნი ერისკაცთა საქმეებში ნუ გაერევიან, ნუ იქმნებიან გამდელნი თავადების შვილთანი, ნურცა გამგენი თავადთა სახლთანი. ნუცა სხვათა ესე ვითართა, რასაც ფერთა საეროს საქმეთა გაერევიან სამღუდელონი კაცნი".

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „127. და უკეთუ იყოს მღდელი ანუ მონაზონი ბერი და საეკლესიო საქმე იყოს რამე, ებიზკოპოსის ბძანებით დადგნენ და მართალი სამართალი ქნან, ამას არ დაუშლით, არამედ ვაქებთცა“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „127. რამეთუ ხელმწიფება მიცემულ არს მეფეთათვის, რამეთუ უბძანოს, ვისმე სამღვდელოთა კაცთა საერო სამსახური აკნევინოს, რომელიც მან უბძანოს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „128. სიმართლე არს მარადის ყუავილოვანი კეთილთა განზრახვითა, რომელიცა ყოველსა კაცსა მარადის მისცემს სიმართლესა. მისი სიმართლე ესე არს, რათა მარადის იყოფებოდეს პატიოსნად ცხოვრებითა, სიმართლითა, თავდაბლობითა და სხვას არავის არ ანყენდეს, და რაოდენიცა სხვას კაცს მისთან სიმართლით ქონდეს რამე, მისცემდეს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „130. ხელმწიფემ რაც სამართალი ქნას, იმას ვერავინ მოშლის, თვითანვე თუ მოშლის ესრეთ. რამეთუ უსამართლო რამე რომ ქნას კაცზედა, ის კაცი ყოველთვის ჩიოდეს და ტიროდეს უსამართლოებასა. თვით მეფემანვე უნდა შეიწყალოს და მოშალოს თავისი სამართალი, თორემ სხვას ვერავის ძალუძს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „131. რასაც რომ სამართალსა მოსამართლე იქმს, მისი მოშლა კიდევ სხვას მოსამართლესაც შეუძლია, მაგრამე მეფემ რომ სამართალი ქნას, მას ვეღარავინ მოშლის, ვერც პატრიაქისა, თვინიერ მათ მეტივე“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „135. უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ქონდეს მოსამართლესთანა და არც ხელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტისა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომა და იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ და იმასთან მივიდნენ, მოახსენონ, რომე ერთი საჩივარი გვაქუსო და რომელსაც თქუენ სამართალს გუიზამ, იმას ვჯერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდების ბჭე“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „186. რომელიც კაცი ოცდახუთის წლის ნაკლები იყოს, იგი მოსამართლედ არ დაიყენების“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „211. რომელსაც სიმართლე ქონდეს და მივიდეს სასამართლოდ მოსამართლესთან, რომელიცა მართალი სამართალი იყოს, მოსამართლემ ის სამართალი უყოს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: “250. მემკუიდრეს კაცს, რომ ყმაწვილი შვილი დარჩეს, რომ მამულის მოვლა არ შეეძლოს, ვექილი უნდა დაუყენოს.”

„251. ობოლსა მას ყმაწვილსა, ბატონმა მისმა ასეთი კაცი უნდა მოუყენოს ვექილად, რომე მდიდარი კაცი და შვილიანი იყოს. როგორც თავის შვილს, ისე უნდა მოუაროს, რამეთუ იმ ობლის მამის ალაგს იჭნება განგებული იგი“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „256. უკეთუ კაცმან საქონელი იპოოს, ანუ მისმა შვილმა ანუ მისმა ყმამა ხნულში ან ბოსტანში ან ვენახში ან

სხვის სახლში, ნახევარი ალაგის პატრონისა არის და ნახევარი მპოვნელისა. უკეთუ თავის ალაგში იპოოს ვინმე, მისია, ხელი არავისა აქუს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „259. ეკლესიის მკრეხველნი , რომელნიცა წავლენ ღამითა, წმიდასა ტრაპეზსა შევლენ და მის სამკაულს მოიპარვენ, დაბრმდეს.უკეთუ სიღარიბითა თვისითა დღისით მოიპარა ვინმე, ის გამოერთვას, ასი ჯოხი კრან და გააგდონ“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „265. ვინცავინ თავის ალაგში თავის სახლს აღამაღლებს, ვერავინ დაუშლის, მაგრამე ასრე ნუ აამაღლებს, რომე მეზობელს დაუშალოს, ანუ ასრე აღამაღლოს, დაიქცეს და მეზობლის სახლს დაეცეს და წაუხდინოს რამე, თუ ესრეთ იქმნას, იმ კაცს მოსამართლესთან იმ საქმეზედ საჩივარი ექნება და გაუგონოს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „281. უკეთუ მამამან მათ სიკუდილის დროს ანდერძი ქნა და ესრეთ ეწერა, რომ ქალები თავის ზითევს დასჯერდენ და სხვას ჩემს საქონელთან ხელი არა აქუთო, იმას ნუ დასჯერდენ და თუ ზითევი არა აქუს და არ მისცემია, საქონელი უნდა გაუყონ“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „284. უანდერძოდ თუ მოკუდეს ვინმე, ქმარი ან ცოლი, და შვილი არ დარჩეს, არც მამა და დედა, არც ძმა და სხვა ნათესავი, არც კაცისა და არც ქალისა, არამედ მარტო ცოლქმარნი იყუნენ, თუ ქმარი მოკუდა მის საქონელს მისი ცოლი დაიმკუიდრებს, თუ ცოლი მოკუდა მის საქონელს მისი ქმარია დაიმკუიდრებს. ქორწილს უკან რომ ორის თვის არ დასცალდესთ ერთად, მაშინც ასრე უნდა ქნან“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „290. მათთვის ვბძანებთ, რომელიცა უშვილოდ დაქურივდებიან, კაცი თუ დედაკაცი. რამეთუ მათის საქონლის წასაღებლად ვერავის ხელეწიფების, ვერცა მეფესა, არცა მის კარისკაცთა, არცა მისთა მწყემსთა. არამედ მისის საქონლისაგან მესამედი იმ მკუდრის ნათესავს მისცენ, ერთი წილი მისის სულის მოსახსენებლად გასცენ და ერთი წილი მისი ბატონისა არის. მისმა ბატონმა იმ ერთის წილისაგან ნახევარი თვითან დაიჭიროს და ნახევარი მონასტერსა, გლახასა და უღონოს მისცეს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „306. მისაბარებელი იგი არს, რომელმანცა ერთი რამ საქონელი ვისმე მიაბაროს შესანახავად“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „312. ქურდმა კაცმა რომ მოიპაროს რამე, მისი დანაშაული შვილებს არა ეკითხება-რა. თუ ის ქურდი მოკუდეს, მოსამართლემ მისი კერბი საქონელი გაასყიდვინოს და ისე გარდუწყუიტოს თავისი თავნი, თვარა შვილებთან ხელი არა აქუს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „322. ვინცავინ მოპარული იყიდოს რამე და თავისმა პატრონმა შეაჩნიოს, მოსამართლემ გამოართვას და პატრონსავ მისცეს და რაც იმ კაცს იმაში გაეღოს, ქურდს სთხოოს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „325. (108რ) ქურდი ის არის, რომელიცა უიარაღოდ მალვით მოიპარავს რასმე. იმას არც ასო მოეკრება და არც მოიკვლის: და რომელიცა იარაღით იარება და იპარავს, ქურდობით კაცს ძალას უზამს, ის კაცი სადაც რომ ნახონ, იმავ ალაგს მოკლან“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „342. მონამე მოსამართლემ უნდა გასინჯოს, თუ რის კეთილის საქმის ღირსი არის. სახე და საქმე მისი, კეთილად გასინჯოს, ანუ რის სიტყვის კაცია, ანუ რის სარწმუნოებისა, ისე ირწმუნოს. თუ მოწამეთა ესრეთ თქუან, რომე ასე გავიგონეთ, ასე შევიტყევითო, ნუ ირწმუნებ, არამედ რომელმან თქუას, მე იქ დამხდური ვარო და ვნახეო, ის ირწმუნონ“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „381. წესი ამას ბძანებს, რომე ყოველი კაცი ცალკე საპყრობილეს თავისთვის ნუ გააკეთებენ , რომე მეორე და ანუ სხვა კაცი მას შიგან დაატყუონ“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „382. ვინცავინ სამეფოს საპყრობილის უფროსი იყოს და ვინცავინ მას შიგან პყრობილნი ყუანდეს და მისგან ქრთამი აიღოს და ის კაცნი არ დააბან ჯაჭვითა, ანუ ხუნდითა და გაუშვან, ანუ რომელმან ბორკილი გააღონ, ან ჯაჭვი გატეხონ, იმ საპყრობილეთ უფროსსა თავი მოეკრას, ანუ ექსორია ექმნას“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „383. ვინცავინ საპყრობილით გაიპაროს, ჯაჭვი და ხუნდი გატეხოს და ან საპყრობილე გახურიტოს, ან უფროსი მოატყუოს და გაიპაროს, თუ დაიჭირონ ის კაცი, თავი მოსჭრან“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „389. ვინცავინ მღვდლის ცემა მოინდომოს ანუ ებიზკოპოსისა, ან სცეს ან საცემრად მივიდეს და არავინ მიუშვას, თორემ სცემდა ის კაცი, მეფისა მიერ ექსორია იქმნას და მისი საქონელი განუყონ მათთან“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „390. კაცის სიკუდილი მოსამართლემ კარგად უნდა გასინჯოს, ასე რომე, რომელმაც კაცი მოკლა, მისი სიკუდილი უნდოდა თუ არა, ანუ უკუდავად შემოკრა უნდოდა.

ხოლო უკეთუ უნებურად მოუხდა ფათერაკად და სიკუდილი არ უნდოდახუთს წელიწადს ექსორია უყონ, ხუთს წელიწადს უკან ისევ მოიყუანონ და თავის მამულზე დააყენონ“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „391. რომელმანც თავისი ნათესავი მოკლას, მეფისა მიერ მკულელი იგი ცეცხლსა მიეცეს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „392. დანიშუნა ესე არს, რომე ორი კაცი შეიყრებიან და ერთმანეთს პირობას მისცემენ და ქალს ითხოვენ და ნიშანს მისცემენ...“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „397. დანიშნული იგი, ორისაგან ერთერთი სხვის სარწმუნოებისა იყოს, დანიშუნა მოიშალოს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „405. ფიცის ძალი ბძანება არს მოსამართლისა. ვინცავინ მოჩივარი იქნება, თუ ფიცს დასჯერდნენ, სხვა სამართალი აღარ ექნებათ რა, უნდა დაიფიცონ და დასჯერდენ“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „407. ყრმათა ფიცი არ ეგების და არცა ჯერა არს“.

ბერძნული სამართალი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულიდან: „408. უკეთუ ვინმე დაიფიცოს ტყუილად და მასუკან შიაჩნდეს, რომ ტყუილად დაეფიცნოს, ენა მოსჭრან. და რომელმან ტყუილად უმოწმა, მასცა ენა მოსჭრან.

სხვა სჯულის კანონი ბძანებს, ხელის მოჭრასა ამისთვის, რომ ტყუილად სახარებას ხელი რატომ მოკიდა“.

ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ

[1103] (ნაწყვეტი)

(238) ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აჲხაზთა და ქართველთა რანთა და კახთა მეფისასა, პირთათჳს რომელნი ქუემო მოხსენებულ არიან*

[მესაეალი]

ყოელისაე ხილულისა და უხილაეისა სოფლისა და ყოეელთაე საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა არაარსისაგან არსებად მომყუანებელმან ღმერთმან უხილაეთა მათ და ზესთა სოფლისათა ძალთა ბუნებაი უკუდაეებითა და უხრწნელებითა შეამკო; ხოლო ქუენაისა ამის სოფლისაგანნი ყოელენი ქმნისა და ხრწნილებისა შორის განაწესნა.

ამისსა შემდგომად მოიჯონა ახალი რაიმე და უცხო დაბადებული, რომელსა თჳთ მის თაეადისაცა დამბადებელისა, და სიტყჳერისა და პირუტყჳსა და ყოელისაე აგებულისა ბუნებისა ზიარებაი თაესა შორის თჳისსა მოაქუნდეს. და მის მიერ, ეითარცა საშოგადოისა საკრეელისა მიერ, შეერთებად ღმრთისა შემოკრბებოდნ ყოელნი დაბადებულნი; და იანად ხუთნიე სახენი ყოელთა არსთა განყოფილებისანი დაიხსნებოდე; რომელი ეითარცა მეორე რაიმე სოფელი მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა, დააღგინა ქუეყანასა ზედა, ღმრთივ შუენიერი იჯი და დიდებული სამოთხე დაასხა აღმოსავალსა ედემისასა.

გარნა ეინაითგან მან ნივთად თჳითმფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინაუკუმოდ საღმრთოისა ნებისა იხუმია, და შურითა ემმაკისაითა და განცდელობითა დედაკაცისაითა ცთომილი ძელისა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმრთისა ბოროტისათჳს ექსორია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი, ბერეულთა ენებათა და ძეირთა მიერ უფლებულ იქმნა.

რამეთუ პირეელად სისხლთა მიერ ძმისათა მეწამულ მყოფელმან ხელთამან კაინ კუალად მეორისა ღმრთისა მიერისა წყეევისა თანაბდებ ყო ქუეყანაი.

მერმე სიბოროტემან გმირთამან მენანებაი არწმუნა დამბა(V)დებელსა უცხოისა მის ცხოეელისა კაცისა ესოდენ საკეირეელებით დაბადებისაი; და წყლითა რღუნისაითა აღხოცაი ყოელისა აღმდგომისაი პირისაგან მიწისა.

ამისსა შემდგომად, სილაღმითმან ხელყოფამან გოდლის მამენებლთამან, შერეენითა ენათაითა და მიმოდაყოფითა ნათესაეთაითა, მეოთხეს დასაჯა ნათესაეი კაცთაი.

ხოლო გამოჩინებამან კერპთა სიბორგილისამან და ნაეცალად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან სრულიად განაშორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღმრთისაგან.

მერმე ღაღადებამან სოდომელთა სიბილწით სლვისამან წუნწუბასა თანა აღრეულითა ცეცხლითა მოწუეად აიძულა სოფლები ხუთქალაქისაი.

კუალად გულფიცხელობასა ფარაოისასა და უსახურებასა მეგჳიპტელთასა უცხოთა მძლაერებათათჳის უცხოი მიეგო მისაგებელი, და გუამთა მათთ – უცხოდ დამმარხეელი საფლაეები.

ამისსა შემდგომად დიდი მოსე, მჯული, მღედელობაი, მსხეერპლნი, სალხინებელნი თითო სახენი, მსაჯულნი, მეფობაი, წინაიწარმეტყუელებაი, ყოფადთა წინაისწარი ცნობაი, სახის მეცეალებითნი ღმრთის გამოცხადებანი.

მერმეცა კუალად კერპთმსახურებაი, თეით მის მოსეს მიერ ეგჳიპტით გამოყეანებულისა და სჯულდებულისა, და ესოდენთა პატივთა ღირს-ქმნულისა, და პირმშოდ ძედ აღსარებულისა ერისაი.

ამისსა შემდგომად კუალად მძლაერებაი, კუალად ტყუეობაი მრაეალგზის მრაეალთა ნათესავთა, და უკანაისკნელ ბაბილოენელთა მიერ, რომელთა მეფისა ღმრთის წინა-აღმდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა მათ ჭაბუკთა ისრაიტელთა, რაეამს საკრეელთა რკინასათა განმწეელთან სახუმილმან შეუხებელად დაიცენა მათნი აღეილად განსაეელნი თმანი და შესამოსელნი, მერმეცა კუალად ქალაქი და ტაძარი, კუალად სჯული და მღედელობაი.

და რაოდენნი რაი იყუნეს სჯულისანი, და საკეირეელისა მის სჯულიერისა მსახურებისანი, გარნა ეერცა ერთი რაი პირეელ თქუმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა, გინა [239] თუ მტანჯველობითა და სამინელებათა, ანუ ქეელის- მოქმედებითთა სიტკბოებათაგანი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყუნეს, ბუნებითსა ეიტყუ და დაწერილსა, და უძლიერესი სახმარ იყო წამალი სალმობათათჳს უბოროტესთა.

ამისთვის, თვით გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი და თანა-არსი ღმრთისა მამისა სიგყვაი, რომელი დასაბამად იყო, და ღმრთისა თანა იყო, და მარადის იყო, მოეიდა ხატისა და თვისისა და უხრწნელთა მათგან და ყოელად უბიწოთა სისხლთა ჭეშმარიტებით, და საკუთრად ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულისათა ხორცნი შეიმოსნა ხორცთათვის, და სულისა გონიერსა და სიგყვიერსა შეეზაეა, სულისათვის ჩემისა მსგავსითა მსგავსსა განწმედად, რამეთუ მიუღებელი უკურნებელსა არს. და თვისისა ქმნულისა წილ თვით მიითუალა ბრძოლაი.

და ესრეთ, ყოველივე ხორცთა მიერ განგებულებაი, ჯუარისა თანა ენებათა, საფლავსა და ღმრთივ-შუენიერსა აღმდგომასა, სრულყო რაი, ქუეყანასა ზედა დიდებით აღმაეალმან ზეცად, წარაელინნა ათორმეტნი მოწაფენი თვისნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა, რათა ღმრთის მეცნიერებისა ნათლითა, ყოველით კერძო სოფლისაით განხადონ ბნელი უღმრთოებისაი, და, სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლის-ცემითა, ასწაონ თაყუანისცემაი თანა-არსისა ერთ-ღმრთეებისაი, და დამარხეითა საცხოერებელთა მცნებათაითა, კუალად აგნენ კაცნი პირეელსაე ნეტარებითსა დიდებასა.

ესენი, ვითარცა შარავანდედნი მზისა მის სიმართლისანი, განეფინნეს რაი კიდეთა ქუეყანისათა, ყოველი ნიეთი ერეპბორვნეულისა უღმრთოებისაი მახვილითა სულისაითა მოჭრეს და ცეცხლითა სარწმუნოებისაითა მოწუეს; და ერქუნით ჯუარისაითა მოიორნაგნეს გულნი მემწყსარებელთა კაცთანი.

და დათესეს მათ მორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაი და მხოლოისა და ჭეშმარიტისა ღმრთისა მსახურებითი თაყუანისცემაი; მრაეალთა და სიცრუეით მოპოვებულთა ღმერთთაწილ ღმრთივ-შუენიერებით ასწავეს; და საკერპოთა მათ წილ ტაძართა და ბომონთა, სიმრავლენი ეკლესი[V]ათა და საკურთხეეულთანი აღუმართნეს ღმერთსა, ყოელით კერძო ქუეყანისაით.

და სიძუელით სოფლისაი და მტერობაი ხორცთაი რწმუნებით ასწაეეს მათ, რომელთა-იგი ღმრთად მეერაცხა სოფელი და ხორციელთა გემოთა მძლაერებისაღა მონად მიეცნეს თავნი; და განსოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩქურისა ვიეთისაიმე, სიმარგიეითა ღმრთივ-სწაულულისა მათდა სიბრძნისაითა, რომლისათვის იგი პაელეს პბასრობდეს ათინელნი, ყოველად სიბრძნით მხილებულ-ყუენ, და არცა ერთისა სიგყვისა ღირსად გამოაჩინნეს მათნი იგი ბღაპართ-მწერლობითნი ხელოვნებანი.

და დიდისა კლიმინტოსის მიერ დასხნეს კანონნი საეკლესიონი, რიცხვით ოთხმეოცდახუთნი.

რომელთაგანი ერთი, პირეელ-წოდებული ანდრია, ძმაი თავისა მოციქულთაისა პეტრესი, ეიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხოერებელი ქადაგებაი სახარებისაი ყოველსა ქუეყანასა საქართეელოისასა; და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობელ ეშმაკეულებისა; და ერთისა ღმრთისა და ქრისტეს მისისა თანაარსით მათით სულიერთ რწმუნებით თაყუანისცემაი ასწავა; დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაიეწყა ქადაგებაი იგი მოციქულისაი. და საცთურისავე მიმართ კერპთაისა მიაქცია.

ამათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს ყოელით კერძო ყოელისა სოფლისაით სიმრავლენი ღუაწლისა დამდებელისა ქრისტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა წმიდათა მოწამეთანი; ვინაითგან სამასნი, მცირეთა სხუათა ტანა, ეიდრე მეფედ ქადაგებადმდე დიდისა კოსტანტინესსა შორის გარდახდეს წელიწადნი, რომელი-იგი პირეელად ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის და თვით მოციქულ და ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა, და ნათელსა თავისუფლებისასა მიმფენელ ქრისტეანეთა ღმრთივ-შუენიერისა მოქალაქობისა.

ამისთავე უკუე ჟამთა სრულად მომხედნა ჩუენცა აღმოსავალმან მაღლით და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუექმნულისა, რომელსა-იგი ნუნნად კაპპადოკიელად აქა საღმე პოვნილ[240]ნიცა ქადაგებენ წიგნნი საეკლესიოთა მოთხრობათანი; სარწმუნოებისა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი საესებაი ყოელისა ქართველთა ნათესავისაი, საკეირველთ-მოქმედებითა ნისებშემოსილთა სასწაულთაითა; რაჟამსა იგი ქართველთა მეფემან მირიან, მეფეთა შორის დიდისა კონსტანტინესსა მიელინებითა და მისგან გამოთხოითა მეფობისა თვისისა, ქალაქად მცხეთად მთამოიყვანა ეესტათი დიდი – საყდრის მპყრობელი ანტიოქიელთა ეკლესიისაი.

და წმიდათა მიერ ხელთა მისთა ნათელ-იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან, და თვით პატრიარქთა შორის სახელგანთქმულმან ეესტათი ხელითა თვისითა შთადგა საფუძეელი მაშინ საღმე მცხეთა აღშენებულისა ეკლესიისაი, რომელიც ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაი მათ განწმედაი იგი, და ხელთდასხმულ ყო მას შინა მათთვის ეპისკოპოსი-კათალიკოსი.

ამან საუკუნოდ ხსენებულმან მეფემან კონსტანტინე მეერიბა პირეელი და მსოფლიო წმიდაი კრებაი ნიკეას სამას ათერამეტა წმიდათა მამათაი, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვით ოცნი; რომლისა პირეელად ქმნილ იყვნეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი; პირეელი ანკერიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდაოთხნი; მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტთა.

ხოლო მემდგომად დიდისა მის და მსოფლიოისა კრებისა სხუანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი, ეიგარ-იგი ღანგრისაი, რომლისა კანონნი არიან ოც; და კუალად ანტიოქიისაი,

დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა; ამათთანა ლაოდიკიისაი, ფრიგვისაი, და კანონნი მისნი – ოცდერთნი.

ამათსა შემდგომად მეორე წმიდაი და მსოფლიო კრებაი – კონსტანტინოპოლის, ასერგასისთა წმიდათა მამათაი, რომელთა კანონნი არიან რიცხვით შვიდ.

მერმე მესამე – ეფესოისა წმიდაი და მსოფლიო კრებაი, მცირისა თეოდოსის მეფისა მიერ შეკრებული, რომელმან დასხნა კანონნი რვანი.

მეოთხე – ხალკიდონს, ექუსას ოცდაათ წმიდათა მამათა მსოფლიო კრებაი, კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმაწესებელი კანონთა რიცხვით[V]ოცდრვათაი.

მერმე – აღგილობითი კრებაი კართაგენისაი, და კანონნი მისნი ას ოცდაათრვამეტნი.

ხოლო მეხუთემან წმინდამან და მსოფლიომან კონსტანტინოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იშრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათვის.

არამედ მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანესზე, კეთილად მსახურისა მეფისა, გუმბადსა მინა სამეუფოისა პალატისასა შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი, რამეთუ დასხნა კანონნი რიცხვითი ას და ორნი.

კუალად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრვამეტნი.

ამისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი მასვე სამეუფოსა ქალაქსა ეკლესიისა შინა წმიდათა და ყოველად ქებულთა მოციქულთასა შეკრებული კრებანი, რომელთა განუჩენიან კანონნი, რიცხვით ათშვიდმეტნი.

ხოლო წმიდისა და მეშვიდესა წმიდათა ხაგთათვის შეკრებულსა მსოფლიო კრებასა განუწესებიან კანონნი, რიცხვით სამნი ოღონ.

ამათა წმიდათა კრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მიერ განწესებულნი და თანა აღრაცხულნი კანონნი;

დეონესიოს ალექსანდრიელ მგავარ-ეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი;

პეტრე ალექსანდრიელთა მღდელთ-მგავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთმეტნი;

გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკერეველთ-მოქმედისა ეპისტოლე კანონიანი;

დიდისა ბასილისა კანონნი ოთხმეოცდახუთნი;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, დიოდორეს მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, გრიგოლი მიმართ ხუცისა;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, ხორეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე, ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდისათვის მიწერილთა მათ თავთაგან;

გრიგოლ ნოსელისა კანონნი რვანი;

ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტნი;

ფილოთეოს ალექსანდრიელისა კანონნი, ღმრთის გამოცხადებისათვის თქუმულისაგან;

მისნივე სხუანი კანონნი ათნი;

მისივე ეპისტოლე, აფიგიონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე, მინაის მიმართ ეპისკოპოსისაი;

[241] კვირილე ალექსანდრიელთა მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი შვიდნი, გუნდი წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა და მისთანა წმიდისა კრებისა ეპისტოლე, მიგროპოლიტთა მიმართ გარემოთა სამთავროთათაისა.

ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი, თვინიერ ყოელისა შემატებისა და მოკლებისა, და ამით მეცნიერება და შედგომად და მტკიცედ პყრობაი უხმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა: მღდელთ-მთავართა, და მღდელთა, და დიაკონთა, და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა, და ერთბამად ყოველსა საესებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა.

ხოლო ჩუენ ესე ამისთვის მოეიხსენებით, რათა პირველითგან პირი სიტყვისა ჩუენისაი განვპმარტოთ.

ვინაითგან დაპბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თვსსა კაცი, ეითარცა პირველ ვიტყოდეთ, რათა მის მიერ, ეითარცა საწოგადოისა საკრველისა მიერ, ხილულთა და უხილავთაისა, თავსა თვისსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და ჯრძნობადნი დაბადებულნი სათნოებით რაი, საკუთარ ექმნას იგი მემოქმედსა თვისსა.

ხოლო ეგევითარისა მის მადლთა სიმდიდრისაგან განშიშულდა ცთომისა მიერ და განდგომილთა და რისხვეულთა მონათა მონებაი მოაგყუა თავსა, არამედ არა სახიერმანცა დამბადებელმან მისმან, რამეთუ ეითარმცა თავს-იდვა უგულებელსყოფაი ესოდენისა ხელთა მისთა საქმისაი, რომელ არს კაცი.

არამედ უხრწნესა შინა სამოსა ყოელად წმიდისა ღმრთის მშობელისა და მარადის ქალწულისასა არღარა პირველისაებრ იქცეს მადლით, არამედ გუამოენებით შეაერთა იგი თავსა თვისსა და ზესთა ბუნებისა განაღმრთო მის მიერ მირებული იგი და მისთანა ერთგუამქმნილი კაცი.

და რომელი-იგი იყო პირმშოი ყოელისა აგებულისაი, თავს იდვა პირმშო მრავალტა ძმათა შორის ყოუაი, რათა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა

აღსაარებულნი, რომელი-იგი ყრმათაცა ეშიარა ხორცითა და სისხლითა და გუამად ერთისა მის ყოველთა[V]თაცისა გამოჩინებულნი, შუნ აღმიყვანნეს კუალად განხორციელებითა თეისითა, სადა იყი თჳით არს თაჳი სასოებისა ჩუენისაი; და თანა-მოქალაქე მყენეს წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, და სამკვიდრებელად მისსა გამომაჩინეს სულითა, რაცამს თაჳისა მიმართ შემოკრბეს თითოეულებაი ასოთა განყოფილებისაი და თბისა მიმართ გარდაინიეთოს ეითარებაი ყოველისა აღსუარულისაი.

ვინაიცა ამისთჳს მოგუეცნეს პირეელად ბუნებით და მერმე დაწერილი სჯული; ამისთჳს იქმნა განკაცებაი ღმრთისაი; ამისთჳს ქალწულისაგან შობაი, ბაგაი, წარგრაგნაი, ანგელოზნი მაღიდებელნი, ვარსკულაჳისა სრბაი, მოგუთა ძრუნის-მომრთუმელობაი, წინადაცუეთაი, ნათლის-ღებაი, ზეცით წამებაი, განცდაი, ქოლეაი ჩუენთჳს და ენებანი უენებელისანი, განცემაი, შემსჭვალეაი, დაფლეაი, აღდგომაი, აღსლეაი ზეცად; ამისთჳს – ქადაგებანი მოციქულთანი, სისხლნი მოწამეთანი, სწაელანი მოძღუართანი, ოფლი ღირსთა მამათანი, გულს-მოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეუეთანი, ჴადიერებანი ღმრთის-მოყუარეთა მთაჳართანი, კაღნიერებანი ღმრთის-სახისა მრდელეთ-მთაერობისა რწმუნებულთანი, წინამბრძოლისა თჳისისა თანა სიმხნით თანა-მბრძოლებანი მღდელთა და სამღდელოთანი, ცოდეისა მიმართ სიმხნით წინაგანწყობანი, ნივთთაგან განშიშულებულისა მონაზონთა დასისანი და მათთანა ერთხმობანი ქრისტეს მოყუარისა ერისანი.

ამისთჳს იქმნნეს ქრისტეს-მოყუარეთა და ღმრთივ-დაცეულთა მეუეთა მიერ ეამად-ეამადნი კრებანი, ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღმრთისა სათნო-ყოფილთა მამათანი, რაითა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა შეაერთნეს ღმერთსა ქრისტეანენი.

რომელთასა კეთილად ებაძვა შურსა ჩუენიცა ესე გეირგჳნოსანი, მრჩობელ-მარჯუენე და შეყუარებული, გეირგჳნი თაჳისაი და სასურეელი ძე დავით; რომელი-ესე ერთბამად მხნეცა არს და ბრძენ, მართალ და წმიდა, იგივე მყუდროცა და მშედ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძეირუსენებელ და მისგაესებულ სახიერებასა[242]ღმრთისასა, რომელი აღმოუბრწყინეებს მზესა კეთილთა და ბოროტთა, და ბრდის ყოელთა წეიმითა და სწორებით.

ესე ეინაითგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინადაუდგრომელობით უბრძოელ და გარეშისა სახისა ქმნულებითა სხუათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო, რამეთუ კეთილ დიდ არს ეითარცა გმირი, შუენიერ არს ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ ვითარცა აღმოსაეალი, ყუავილოვან წარმატებათა მიერ ეითარცა სამოთხე ღმრთისაი, არა თაჳს-იდეა, რაითა არა უმეტეს მოღუწე იქმნეს განბრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა; ეინაითგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულებელობასა თანა ღმრთისასა-თანა დაუსრულებელ არიან.

ამისთჳს შემოკრიბა კრება ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პაგიოსანთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთაი, ქრისტეს-მოყუარეთა მონაზონთა. დაყუდებულთა და მეუდაბნოეთაი. სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა*; გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაიმე შეახებოდა, ნუ იყოფენ ესე, არა გეცრუენეთ შენ, სიწმიდით შმობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგჳეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნულ ვართ, მოწამე არს ჭეშმარიტებაი; არამედ სხუათა საეკლესიოთა და სამღდელოთა, და საქრისტგანოთა ძიებათათჳს, რომელთა თაე. და წინამძღუარ, და პირწმიდისა მის კრებისა იყო. ღმრთისა მიმართ საკუთრების-თანა სიმმ ვიდითაცა სულისაითა მიმსგავსებულ მოსესი, და მსგავსად დიდისა სამოელისა წინა მლოცეელი ერისაი და მცხებელი მადლით სრულყოფადთაი იოვანე – ყოელად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათოლიკოსი** და ყოელისა საქართველოისა დიდი მამათ-მთავარი, და მის თანა სიმრავლე პირეელ ხსენებულთა მათ საესებისაი.

[კანონთა ტექსტი]
[უღირს ეპისკოპოსთა განკუეთა მღდელობისაგან]

[V] 1*** და პირეელად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ-ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღდელთ-მათჳრობისასა და უღირსნი ქრისტეს, პირეელისა მის მწყემსთ-მთჳარისანი, განეკუეთენით და უცხო-ვყევნით მღდელობისაგან, ვინაითგან არაწმიდისა მსებაი სიწმიდეთაი არა-უცთომელობა არის და მახლობელი ღმრთისაი მახლობელ ცეცხლისა არს, და უხმს, რაითა ყოელითურთ ოქრო იყოს;

ხოლო არა კრულ ვყევნით და არცა შევაჩუენენით, ნუ იყოფენ, არამედ ლიტონთა ერისკაცთა-თანა ზიარებად ფლობილ ვყევნით, უკუეთუ ოდენ ამიერითგან მმარხეელ იყვნენ სიწმიდისა.

და ნაცვალად მათდა სხუანი დაეადგინენით, რომლისა პასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამებაი და კეთილად განეწუართნეს ხორცნი დამორჩილებად სულისა.

[განწესება სამღდელოთა ხელთდასხმისა]

2. ამას-თანა სულ-მოკლებაიცა ხელთ-დასხმათაი, ეითარცა უწესოი და უკანონი, დაეპხსენით*.
და განეაწესეთ, რაითა ამიერითგან არღარა-ეინ იკადროს ქმნად, თეინიერ ეითარ-იგი განაწესებე კანონი რამეთუ სპისკოპოსი ოცდაათხუთმეტისა წლისაი, მღდელი ოცდაათი წლისაი, დიაკონი ოცდახუთისა წლისაი და წიგნის მკითხველი რეისა წლისაი ხელთდასხმულ იქნებოდინ.
ამას თანა სხუაიცა უწესოი წესი ხელთ დასხმათაი დახსნად განეაჩინეთ: ეითარმცა მასვე და ერთსა დღესა ხელნი დაესხნეს ეისმე წიგნის-მკითხველად, კერძო-დიაკონად, დიაკონად და მღდელად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა. რომელი-ესე უკუეთუ იქმნას-ღა სადა ამიერითგან. ხელთ-დამსხმელი და ხელთ-დასხმული ერთბამად განიკუეთნენენ მღდელობისაგან, არმეთუ პირველად წიგნის-მკითხველად და კერძო-დიაკონად ოღენ ჯერ-არს ხელთ-დასხმაი, და ორისაეე ამისა ერთსა დღესა მესაძლებელ არს ქმნაი და მერე დიაკონად; და ეითარცა დაყენეს დღენი დიაკონობასა შინა და ჰმსახუროს მღდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმეღა მოიყვანონ მღდელობად.
ხოლო უკუეთუ ეპისკოპოსობად მომაეალ იყოს, შემდგომად შეიდთა დღეთა [243] ჟამის-წირეისა მოიყვანონ ხელთ-დასხმად ეპისკოპოსობისა. და ამას ეიტყეით მათთეის, რომელთა საჭიროი რაიმე მიზეი ასწრაფებდეს, ხოლო რომელთა არცა ერთი-რაი აქუნდეს სათანადოი მიზეი მასწრაფებელად, მათ წელიწადი და წელიწადნი დაყუნენ თეითოეულსა ხარისხსა შინა და უფროის-ღა მიიღებს შუენიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთეს ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა, რაითა უფროის-ღა დიაკონთა განმრაელებისათეის მოღუაწე იყუნენ ეკლესიათა შინა მათთა.
ხოლო მონაზონთა, რომელნი მღდელობად და ეპისკოპოსობად მომაეალ იყუნენ, პირველად სრულიად მონაზუნად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა, და ეგრეთცა მღდელობად მოსლეასა.
3. ხოლო წესი ხელთ-დასხმადთა სრულებისაი ეგრეთ აღესრულებოდეს, ეითარცა ახალთა შინა კუთხეეათა ნეტარებით მოხსენებულისა მამის გიორგი მთაწმინდელისათა დაწერილ არს. ეგრეთვე - კურთხეეაი ეკლესიისაი, და დამყარებაი საკურთხეესაი, და წმიდა-ყოფაი ღმერთ-მყოფელისა მიპრონისაი, ეგრეთ სრულ იქმნებოდეს, ეითარცა მუნ შინა მოხსენებულ არს.
4. ხოლო ქრთამისათეს* და საფასისა, რომელსა მიიღებენ ხელთა დამსხმელნი, ხელთდასხმადთაგან, მემოთგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებს, განჩინებად ვიკადრებთ ჩუენცა, რათა მოისპოს ეგეეითარი-იგი ეკლესიისაგან და აღიხოცოს მღდელობისაგან, მაკურთხეველისა თეისისა თანა, რომლისა ქმნაი ამიერითგან ნუღარამცა-ეის უკადრებიეს, რათა არა-იგიცა შევსძინოთ, ეითარმედ შეიჩუენოს ეითარცა სეიმონ მოგე პეტრე მოციქულისაგან და ნუმცა მიიღებენ რაითურთით ნუ-რა-რას, ნუ ოდეს: ნუცა პირველ ხელთ-დასხმის, ნუცა თეით მას ხელთ-დასხმასა შინა, ნუცა შემდგომად ხელთ-დასხმისა, ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღუენსა, ნუცა ეელოგიასა, ნუცა კათალიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთა და ხორებისკოპოსთა, ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღდელთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცა[V]რათა სხუათა სამღდელოისა დასისაგანთა ანუ რომელთაეე საეკლესიოთა მნეთაგან.

[განჩინებაი სოღომური ცოდეისათეის]

15. მერმეცა ღმრთის-მოძაგებულისა მის და ღმრთის-განმამწარებელისა, ცოდეათა-უბილწესისა საძაგელებისა სოღომელთაისა, რომლისაი არა უწყით, ეითარ შეეთეისა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა და სრულად განაშორა და უცხო-ყენა ღმრთისაგან, ეიეთთანაცა პოა თაეისა მისადრეკელი.
ამას განვასაბღერებთ სიგყეთა ღმრთისაითა და სამოციქულოითა ხმითა და მამობრიეითა განჩინებითა: დაღათუ მრაეალგზის ქმნილ არიან მრავალჟა ნათესაეთა მიერ მრაეალსა და რიცხვსა მძლენი ცოდეანი, ეითარ იგი: მტერობანი, მურნი, სიძულილნი, კაცისკლეანი, მრუმებანი, ცრუ-ფიცებანი და უკუანაისნელი და თავი ყოველთა ბოროტთაი – კერპთ-მსახურებაი, და თაყუანისცემისა შეცვალებაი დამბადებელისაგან დაბადებულთ მიმართ. გარნა ერც-ერთისა მათგანისათეის აღძრულ არს აღუძერელი იგი, ეითარცა თეით იგყოდა აბრაჰამის მიმართ, ეითარმედ ღაღადებაი სოღომისა და გომორისაი, მოიწია ჩემდა და გარდამოვხედე ხილეად*. უკუეთუ ღაღადებისაებრ მათისა არიან საქმენი [246] მათნი; რომლისა მემდგომად იხილეთ თუ რაი იქმნების, და თუ ეითარ ნივთნი ესე სამსახუროდ კაცთათეის დაბადებულნი ღმრთისაგან, წინაუკუმო ბუნებისა თეისისა, შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თეისსა და უცხოისა ცოდეისა აღსახოცელად უცხოსა მოიპოებენ მოქმედებასა.

რამეთუ მარადის აღმართ მოძრაჲი და სუბუქი ბუნებაი ეთერისა ცეცხლისაი, ეითარცა ბრქელი რაიმე და მძიმე, დაღმართ ჰაოფს დამოღინებასა და, სახედ მძაფრისა წჳიმისა, სამინელებით მჩქეფროის აღრეული წუნწუბასა თანა, მრისხანელ განსალევნელად უკეთურთა მათ სიბილწეთა მრავალთა კაცთა.

ხოლო წულილი და თხელი უფერული ბუნებაი პაერისაი, მიბეზი ცხოველთა აღმოფშენჲისა და სიცოცხლისაი, სიმრქედ ალმურისა ხმირისა, და ფერად ხელით საძიებელისა ბნელისად, და შემამთობელად კუამლად, სასწაულად რისხვისად, შესცვალებს თავსა თჳისსა მათ მეღა.

ამათ თანა ქუეყანაი, მყარი და მტკიცე და მტკჳრთველი სიმძიმეს მას მეღა მღებარეთა გუამთასა, ვერღარა იტჳრთაეს სიმედგრესა ბილწებათა მათთასა, არამედ პირეელად შესძრაეს საფუძველთა თჳისთა და სიღრმით იატაკთა თჳისითაით აღმომდუღარე, ჰაერად აღმოიხუამს სიღრმეთა საფუძველისა მათისა სიმტკიცეთასა; და მიწად გარდამოიხუამს სიმაღლეთა გოდოლ-ტაძრებისა მათისა სიმაგრეთასა.

მერმე განაღებს ვიდრე მუნ-ჟამადმდე განურებელსა პირსა და თანად-ქალაქებითურთ და სახლებით მთანთქამს არღარა კაცებსა, არამედ დამწურებსა რასმე ძუალებსა, და ოდესმე ყოფილთა კაცთა საწყალობელსა ნემტებსა.

ხოლო წყალი იგიცა უცხოდ იხილვების შეცვალებულად მათთჳს და არღარა საშუებელად და სახმრად, არამედ, სხუათა ნივთთაგან დამთომილისა ნემტისა მათისა აღსახოცელად პირსა მეღა მათეულისა ქუეყანისა უფროისღა საფლაე მათდა ქმნილისა ჯოჯოხეთისა, იხილვების მოღინებულად, [V]ეგოღენ შეცვალებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა, რაოდენ იგინი სხუათა კაცთა ჰმაგდეს ბილწებისა გარაღრეულებითა.

ამან უსჯულოებამან ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუეყანისათა დამჰყრობელი მეფობაი ტყუედ წარუქცია სპარსთა და მიდთა და სრულიად აღმოუხურა ქუეყნით სახსენებელი, არა ხოლო მეუე და მძლავრი, ნარამედ კაც-ყოფისაცა მათისაი.

ამან ცოდუამან დიდი იგი და ყოელით-კერძო ყოელისა ქუეყანისაით ხმა-განსმენილი ნათესავი სომეხთაი, მეფობითურთ და მთავრობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა და დაამხუა, არამედ სრულიად აღიღო კაცთაგან სახელი მათი, რომელთაი ვერვინ პოოს ღღეს ერთიცა მეუე ანუ მთავარი, მქონებელი დამონებელისა თაჳისუფლებისაი, დაღათუ ყოველიცა ეინ პირი მიწისაი მოიხილოს.

ამან ბილწებამან სპარსთა იგი მაღალი, და მარადის პრომთა მეფობისა მხდომა-ფლობაი, მხეცის ბუნებათა ეიეთმე კაცთა აეაშაკურითა მეღა-მოსლეითა, მიწამდე დამდაბლებულიყო, და ვიდრე მოაქამდე მძლავრებისა მათის მორჩილ ყო.

ესე არა უწყით, თუ ვინაი უკეთურებით შემოეხრწნა მოქალაქობასა ქრისტეს მოსახელისაცა ეისასა. რამეთუ რაი მიარებაი იყო ბელიარისი ქრისტეს-თანა და ხელსა უცხო თესლთასა მიცემით დასასრულ მახეილისა, მათისა ქმნითა, ნემტნი ოღენღა დამიტეენა ისრაელისანი, რომელნი უკუეთუ ვეგნეთ-ღა მასეე უკეთურებასა მეღა. ოი ჩემდა, დაეიდუმო ძნელ-სიგუაი, რომელი ყოელთაღა ცხად არს, დაღაცათუ ჩუენ ვჰრიდოთ.

ამისათჳის ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღდელთა და უმღდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა, და შუა-კაცთა ყოველსა პაგიჳსა და ყოველსა წესსა და ყოველსა პასაკსა განყენებად ამის ენების უფროის-ღა საძაგელისა ბილწებისა.

და ესრეთ დაუმტკიცებთ, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა: ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმა[247]დიდებელმან, ამათ სიგუაუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ბეგლისა წარკითხჳისა, არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდჳისაგან და, არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლაღობით ფერებისა და სიტყჳით თქმისა, რათა სამისოთა და მისთა დამსახველთა სიტყუათა და საქმეთაგან, უეჭველად მოიწიოს მის მეღა ამას უკუე საწუთოსა სამინელი რაიმე და ცოცხლიე ჯოჯოხეთად მთამხღელი რისხეაი, მსგავსად წუნწუბასა-თანა აღრეულისაი მის სოღომელთა ცეცხლისაი.

ხოლო მუნ-იგი მიმთუალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წინაშე პირსა უფლისასა და შესწუავს გარემოისა მისსა მტერთა მისთა, ვინაითგან სიყუარული ხორცთა მტერობაი არს ღმრთისაი. და რომელმან განხრწნას გაბარი ღმრთისაი, განხრწნეს იგიცა ღმრთმან, და ამას თანა და ჩუენგან, უღირსთა მონათა სალმრთოისა მონებისა ღირს-ქმნულთაისა, ჰოი ჩუენდა, არღარა კურთხეეაი, არამედ კღემაი და მხილებაი დაიმკეიდროს საუკუნოი.

16. ხოლო ვინაითგან მიზეზად ურთიერთას პაგიჳთ თაყუანისცემისა ჩუენ შორის მყოფი ხატებაი ღმრთისაი აღსაარებულ და ქადაგებულ არს დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუენთაგან, ცხად არს, ეითარმედ თაყუანის-მცემელი ხატისა ღმრთისაი ღმერთსა თაყუანის-სცემს მის მიერ, მაგინებელიცა საძმე ხატისა ღმრთისაი ღმერთსა აგინებს უეჭუელად, ვითარცა წმიდათა შორის დიდი ბასილი ესრეთ დასწერს ამას.

ამისთჳის განვასაზღერებთ, რაითა ესეცა ღმრთის-შემაწუხებელი და ღმრთისა შეურაცხისმყოფელი ცოდვაი სრულიად მოისპოს ყოველისაგან ენის და ნათესავისა ჩუენისა.

და რომელმან ამიერითგან შეაგინოს-და სული, გონებაი და პირი თჳისი უსახურითა გინებითა, ზემოწერილისა ამის თანამდებ იყოს იგიცა განკანონებისა.*

განრიგება ხელმწიფის კარისა

1

მსახურთ-უხუცეს[ს]ა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოართომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების. მას წელიწადის თავ[ი]ს დღეს მეფე არაეის(გან) შეიმოსების ამისგან კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყუთლით ყაბარჩით შემოსს საკელმოკლით, ტყავიანითა მოყვენთუსლითა , არა დია პრტყელად, თავსა და საყელოსა კარგის ყუნდიზისა და მაღლად აშვერილსა. მჭლოდ შეკერულსა ქუდსა დაარქვამს. საღვინეთ წინ ქვე დასმენ მაღლა სკამითა, ტაბლეს წინ დაუდგმენ და ეელურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ. ამას წინათ, საღვინეთაკე, იმის კერძს მორის, ადრე მერეალთ-უხუცესი და ტყისმცველ[ნ]ი დასხდებიან. და მეხელადეთ-უხუცეს[ნ]ი დგანან. აღთვალვენ მათცა, და დასხდებიან მასვე აღგილსა, საცა დგებიან, და მონადირეთაცა.

2

აქითგან; წლის თავით, თეედორობამდის მონადირეთ-უხუცესი მწეადს მიიხვამს. უკანისღა მიდგების, იკითხვის: „ხვალ სით ჰკლეევენ“. უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების, ჭიქას უბოძებს და მწვადს, შესჭამს და მესვამს ღვინოსა, დამ უნ[ვ]ე წაეა და დაჯდების თავის აღგილსა.

3

აწ განცხადება ვსთქვათ დიდი ღღესასწაული. და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველიე წაეა. დიდი დროშა აბან და მენობათენი წინათ, და დროშა განაღამცა წინა ამართული, და მერმე ჯვარის-მტკიცეთველი მემოსილი და ძელი ცხოერებისა კელთა. ეგრეეე წამოვიდნენ ეკლესიას, მივა მეფე და მენობათენი აღარა სცემენ ნობათსა და დროშა ეკლესიის კარსა დგას. და რა წყალი აკურთხონ, მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დროშით წაეა და მუნვე კარის შესაე[ა]ლს ქ[ვ]ეშე დადგების. დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს, დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ეითარცა წესი იყოს, იქნას:

4

ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა, სადა ძელი ცხერებისა ასვენია, მართ ერთითა ტერფითა უკანარე დგას. რა მისისა დაჯდომისა ეამი მოვიდეს, კმალი კარგს მეაბჯრეს მისცეს, და იგი მკარს ჩამოიკიდებს. და ერთსა სეფესა ჯაჭვი აცეია უთეთრესი, ზურგით დგანან:.

1კ˙მწიფის.–6 ტყე˙იანითა.–7 ამვერილისა.–8 წინათ ყოფილა „მეკერულისა“.–11 ტყეის მცველი.–14 თე˙ით.–17 მესჭამს]მესწვავს

5

გიორგი მფეს, თამარის მამას, თვით ეერცხლისა მეუქმნია სალამასურის სახესა ზედა დამ ას ჩაიცმიდენ. ამილახორი თაეის აღგილს დაჯდების. და რა ჯვარის-მტკრთეელმან ძელი ცხოერებისა წაასეენოს, იგიე დგას და მაშინღა მისცემს – რათა გაბაკი დაღგან სეფე:.

6

აღვსებისა საკითხავი – ჯვარის-მტკრთველისა და ხუცესთ-უხუცესისსა[ა], მწიგნობართა – ვინცა კარგი მკითხველი იყოს სხეანი. ჭყონდიდელი – მეფესა და საწოლის მწიგნობარი ბარდახნის მწიგნობარსა:.

7

აღვსებასა ამირ სპასალარი [საკითხავია] ამილახორისა; ამილახორი მეაბჯრეთ უხუცესისა; მეაბჯრეთ-უხუცესი – მესაწოლეთ უხუცესისა; მანდატურთ-უხუცესი –

ამირეჯიბთ[ა]; ამირეჯიბი – მესტუმრისა და მერიგისა; მეჭურჭლეთ-უხუცესი – საჭურჭლეთ-ნაცვალ[ი]სა; საჭურჭლის ნაცვალი – მუქიფის[ა]; მსახურთ-უხუცესი – მესაწოლეთ-უხუცესისა; მესაწოლეთ-უხუცესი – მოლარეთ-უხუცესისა; მოლარეთ-უხუცესი – სალაროთ მოლარეებ[ი]სა. პირის მეღვინე, მეღვინეთ-უხუცესი – საღვინის მუქაფის[ა]; განმგეთა-უხუცესი – საგანმგეოსა მუქაფის[ა]; საგანმგეოს-უხუცესი – მეჯამეთ-უხუცესისა; მეჯამეთ-უხუცესი – სარემოს ნაცელისა:.

8

ჭყონდიდელი ორმაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების. ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი [საბჭოდ ჯდომის ჟამსა?] საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის. და ბარდახნის მწიგნობარს გაგზაენის და მისის პირით მოახსენებს, ადგების და, რა ქამსცა ქამი იყოს, თუთ მიეა და მაშინ იურვის, რაც ეის უსამართლო სჭირს. არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს:.

7 ვ̃აღა.–14 ეს სიტყვა ტექსტის ხელით განმეორებულია აშიაზედ: ს̃ლმასური.– 15-16 ცხრ̃ბისი.–16 რათა]რა.–17 დადგ-ნ.–18 აღს̃ბსა.–20 ჭყონდიდელი] სხვა ყველა შემთხვევაში ეს სიტყვები, ვინაიდან საწოლის მწიგნობარი მაღლა იდგა ბარდახნის მწიგნობარზედ და ამიგომ მისი მკითხველი ვერ იქნებოდა.–20-21 აშიაზედ ტექსტის ხელით: ბარდახნის.

9

გელათისაგან კიდე საყდარ[ნ]ი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი არიან ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საკელოისა[ა]. ჭყონდიდელსა ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს და ეჯიბი, სხეა დარბაზით მართებს. საჭურჭლესაც შევა და, ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების. საწოლის მწიგობარსა ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს. ხუთი ფურცელი ქაღალდი ყოველთა დღეთა ჭყონდიდელსა, სამი ფურცელი საწოლი[ს] მწიგნობარსა, ორი ფურცელი ბარდახანის მწიგნობარსა და თუთო ფურცელი სხვათ[ა] მწიგნობართა. რაჲ ეს დაწერონ და მეჭურჭლეს ჩახუთ ყელსა... (აქ აკლია ხუთი ფურცელი).

10

... ანგარიშს აიღებს. და ზოგი გაპარსვადაც დაუწერია შეუცოდებელისაცა, არცა რა შეეც[ოდ]ბინოს. ერთ ხაბაზს მაშინაც გაპარსვა[დ] გამართავს. მაგრამე თუ არ შეუცოდებია. ცემა რაღ არ ეყოფის? თუ არ, ნაპარეევი გამოაჩნდეს, განაღამც გაპარსავს:.

11

ზვარნი ამად არიან: და მანდატურთ-უხუცესისა კელისანი. სამუშაოსა ზედამდგომელად მანდატურს მისცემს, ბრძანებასა და გამოსაჩვენიერსა დააწერინებს. უჩვენებს მუშათ, ვითა ესე ქვეყანა მოასხითო. მანდატური და ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავალენ, მუშაობენ, და ღვინის მკრეფელნიცა. ერთი მანდატური იქმნების:.

12

ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა, სადა გინდ იყოს მეფე, სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან მიეა და ყოველგან იურვის, ამისგან კიდე რომე უკაზმავი არ იყო[ს] მეფე. მსახურთ–უხუცესი და მისის [კე]ლისანი უფრო იურვიან, მაგრამ ამირეჯიბის დათხოვნა არც მაგათგან ეგების. და რა შეკაზმოს და გამოვიდეს, საურავი და ძღვნის შეწირვა ყოველი მათია საღამოს რეკამდის.

3ყოველთა] ყ̃თა. რ̃ჲ.–8-9 შეეც[ოდ]ბინოს, გაპარსვა[დ]. დედანში აქ ქაღალდი მოჭრილია და ფრჩხილებში ასოებს აბრის მიხედვით ვუმატებთ.–17 აშიაზედ: ამირეჯიბი. 19იურ̃ვს.

ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურიე მართებს. ცოცხალი მუქიფის კელთ მიაბარონ და რაჲ თავი მოკკეთოს საკლავსა რაზომიცა მრავალი დაიკლას, ერთი მკარი, და თუ ერთი დაიკლას, ერთი მხარი ზროხისა მესტუმრისა კურას ღღესა და ერთი კაბიწი ფქვილი და ერთი საკლაკი. და რაზომიც ქეითი მეძღენე მოეა და მწიგნობარი, იგი აჭმევს.

13

სიგელი ეისცა უბოძონ, ეისთუსცა, რა ჭყონდიღლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს, რომელსაც დაეწეროს მასუკან მან მისი აიღოს, მაშინღა მესტუმრეს მისცეს. ქრთამი სიგლისა მანდატურთ-უხუცესისა და ამირ-სპასალარსა სწორი მართებს, მესტუმრეს უმცროსი და შორიგეს. რაც მას დაუვარდეს, მანდატურს მართებს და მიხედების, მისგან მართებს.

მანდატური სამ[ას]ი სახლი არის ამიერ-იმიერ. ხოლო სამნი აზნაურნი არიან: იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე. და სხეაჲ ყველა გლეხია. მეჯამეთ-უხუცესისა კელისა არის: ნიგოზი, ზეთი, საწებელი, შუშაფარი. წველა, მეკირე, კმელი თევში, ტყემალი, მუხუღო, ყოველი მეკამბეჩე დიასახლისი. კარაეი სამმარეულოსა და უეერცხლო ჭურჭელი: სპილენძისა და შემისა:.

14

აწ ვთქვათ მსახურთ-უხუცესი. ეეზირია და მისის კელისა. არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარეშთ-უხუცესი, ციცხეთ-უხუცესი, მეხილეთ-უხუცესი. საწოლისა დასალაროს, მეფის მეკაზმამდის, ამათი[ა] საურავი და ზღვენი მსახურთ-უხუხესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა, მოლარეთ-უხუცესისა. რა ითაყვანოს, ბეჭედი მართებს, რომ უბოძოს მეფემან თვალეღი, და ზედამდგომელი მესაწოლეთ-უხუცესსაც მართებს, ბეჭედი ესრეთ სხენ: დიდი ბეჭედი სასიგლე, საგასახსნითე რომ ბეჭედი არის, მით დაბეჭდულა, და მისი თასი ოქროსა გვერდსა უთქს, და ტუირითა დაბეჭდული მოლარეთ-უხუცესსა კელთ აცვია (მოლარეთ-უხუცესი გახსნის) მეგოდრეს V სალაროს მოლარე აისხვამს, და მოლარეთ-უხუცესი გახსნის, თასსა შიგან წყალსა შთაასხამს. ჯორის ნაილ უკვრეტელი ორნი აქ, უნდა რომ ქვე დასხნეს, V3 და რა დაბეჭვდენ სალაროს მოლარს დუკატი ორი, მეგოდრეს დუკატი ერთი, ეს მისცეს, ეისიც სიგელი იყოს. და დაბეჭდავს მწიგნობარი, თან გამოიტანს და წამოვა. და მიცემა სიგლისა ზემოთ დამიწერია. [განმგეთ-უხუცესისაგან მიღება ზემო დამიწერია.

2 მთ-ია.—4 ც-ცხლი.—16 სამი ს-ხელი.—18 სხ-ჲ ყ-ი.—24 ვეზირთა

15

ცხოვარნი ყოველნი და მატყლნი მსახურთ-უხუცესისა კელთაეე არს სიკისრტოსანი ჯორი ესრე მოკაზმული: კეხი კეკლუცად მოკაზმული, მოჭედილი და ჯორის ყელსსაბამი და ბანზალაკი ოქროთა შეღებილი და სახურაეი ხავეღისა ნაკერი, ლაგამი ერთობ მოთეალული, დიდი მაფრამი, რომელსა მიგან იდვას ერთი მომცრო უკეთესი ორხოეა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი სასთაული, ეს ერთს თხელს ლარისა ბუღესა მიგან იდვას, და ერთი ტყაეიცა და ეგეთი ზედ გარდააფარონ.

მით სახურავითა ნაკერითა დახურონ და წითლის ბანბის ქარმიკით დააკრან. და შუდსი სახლი მესაწოლე არის და გლეხი რვა სახლია და სხეა ყოველივე აზნაური. და შუიდასიეე შუბოსანი ამა სიკისტრონსა ჯორისასა მისღეეენ, რა მეფე აიყაროს. და სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათარი სხეაჲ ჯორი სასარგებლე ტურფადეე მოკაზმული, მაგრამ იგიცა სალაროს წინათ იარების. სიკისტრონს უკანით, ბარგეს-უხუცესი წინ მიუძღვების, და [მე] სიკისტრონი და მესაწოლენი წინ იარებიან.

16

საღამოს მელეინე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინეარიანითა ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჰყრის და კელთა მანდილი აქეს ბაღდადისა, და თუ მეფესა

ღამით მოეწყურო[ს], ბ[რ]ძანოს, რომელიცა უნდა. რაც დარჩეს, წინა-მწოლნი და კარის დარაჯა და საწოლის მეკრე წაიღებენ. დილას, რაჲ მეფე საწოლით გავიდეს, ფარეშთ-უხუცესსა კელის ნოხნი, სანთელი, ფანარი, შამხალა V და რაჲ ტაბაკი აიღონ, სარმუშა აცვია, ანუ ჩაფლა მოგვსა მედა, მას კედლის ძირსა ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში გახსნის და შეუნახავს, და იგი ტახტსა ზედა გაეა (ანუ) თუ აქეს ცოტა (ძღვენი) გარეჯით ნაძღნობი, ანუ, თუ იგი არა იყოს, მანდილი გრძელი, V4 და მეფეს გარდამოუკაზმაეს წინა, და სხეათა ნოხთა ფარეშნი გარდაპკაზმენ. ცხერის ტყავი ცოცხი აქეს ტარიანი (და აგრეთვე). და აგრეთვე ხილობას ტახტი ოღესაც მოეკაზმოს, მას შიგან იგი ახლავს, ვითარცა ასწაელიან, დაფენა, კარავი, ხარგაი, ჩადრი, ესე და ამისი კაზმა მას მართებს:.

17

თუ პურობას ღამე შემოესწრას, სანთელი სასანთლითა და მისითა ნატითა თავთავის საფარეშოთა არის, და ფარეშთ-უხუცესი მიიღებს, წამოაყენებს და

---

4 ზ-ადამდგმეი.–11 დედანში სწერია: დოკატი, აშიაზედ განმეორებულია დუკ-ატი.–15 აშიაზედ განმეორებულია: სკისტროს-ნი.–17 ხვ-ედისა.–22. გარდაფორონ. თავთავის აღგილს ჩასდებს ეაზირთა წინა, და სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები ალყა ქონითა ანუ სელითა იქნების. მეტყავენი და მეჭურჭლენი მიიღებენ ქონსა სასაპონეთაცა იგინი მისცემენ და სამაშხლედაცა. და ქონი თუ არ იყოს, სელის ზეთ[ს] ქალაქით იღებდნენ და მით იქმონენ სამაშხალესა ალყასა, და მაშხალა ექესი თუ ათამდისცა უნდა ტარგ[რ]ძელი , თჯითოს ჩასდებს, ვითარცა დაიწვას, და რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჭყონდიღელს წაუძღვებოს და თჯითო სამთა ვეზირთა, და სხეათა არაეის. და იგინი ფარეშთ მეჭამადთა და ღვინოს მოსცემენ.

სახილესა [ტაბაკსა] - სათხლე უნდა იღეას, გაზნიეითა შექმნილნი თავნი განმგულებით, რომე პირსა მარწუხიეით ერთსა მეყრიდეს, ამოგუბეილი, და გარე თავთა ზედა თჯითო თეალი იჯდეს, და განაღამსა ოქროსა. და უკან კერძი არის ტარი მრგვალი და სახილესა ტაბაკსა ზედა დადეას მეხილეთ-უხუცესმა ხისასა, არა თუ ვერცხლისასა, და რა მსახურთ-უხუცესმან მანდილი საყელე, მერმე იგი დადეას და მეხილე ანუ მოლარე თხილსა მით ლეწდნენ, ტაბაკსა დაპყრის, რომელსა ზედა იგი სათხილე იდვას.

ციცხეთა ზედა კელი: აბანოსა თბობა, სახლის გეა, მეშის კოდა, ცეცხლის ნთება, წყლის ბიდვა სალაროს, სავაბ[ი]როსა [აბანოს?], რა მეფე აბანოს იყოს, ციცხეთა არის. დიდი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდი მეოთხე ვეზირი [იყო, და მისისა კელისა] არის. ძელნი, ახლავს, ვითარცა ასწაელიან, დაფენა, კარავი, ხარგაი, ჩადრი ესე და ამისი კაზმა მას მართებს:. ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო რაც მეფისა[ა], სადაც წავა ანუ მოეა, და სახლისა საჭურჭლე, რაც სალაროს ოქროს ჭურჭელი, ანუ ვერცხლისა საკმარებლად სანაღაგოდ არ უნდა და შეკრული სალაროსა ძეს, სხეაჲ ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსაღვინო, ყოველი აჭურჭლესა ძეს დად გას, საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თუთ დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მისისა კელისა არიან. ბეღამდგომელი მართებს მეჭურჭლე და ქრთამი და სასაურეო, უქალაქოთ, სხვაც მისია, და მსახურთ-უხუცესისა სწორია, ვით ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა. მუშრიბი, რაც ქალაქთა საჭურჭლე შეეა და ნავაჭრი რაც შეეა, და სანელებელი, მასტიკი და სამარხო წამალი, საკმარი თუთუბო, ესეცა მუშრიბმან იცის და უხუცესთა მიათელის.

9 ბაღდადუითა.–14 ჩაფლთ] მაფლთ.–19 ეს ორი სიტყვა („და აგრეეე“) აქ შეცდომით იყოს განმეორებული.–20 ხარგაი] ეს სიტყვა განმეორებულია აშიაზედ.–23 პურობ'ს.–27 სელითა] წერითა.

18

ლაშქრობაჲ და ლაშქრობის ვეზირობა ამირ-სპასალარის კელთ არის. მას წინათ რვინ იტყუს, რაჲ ვეზირობა იყოს, და ამილახორი ვეზირი არის ამირ-სპასალარისაა და

ამის კელისაა მეაბჯრეთ-უხუცესიცა. მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრენი და მესარგყლენი და საჯინიბოს შემაეალნი ყოველნივე ამილახორის კელისანი არიან.

რაჲ მეფე ცხენსა ზედა ზის, ეისცა უდარბაზებს ეინგინდა იყოს, ათაყვანებს. თუ ეისი ძღვენი იყოს, შესძღვნის. თუ ოდესცა არა იყოს, ესე ოდენვე, ეგრეეე უდარბაზებენ და ძღვენსაც შესძღვნიან. საკედარი ცხენი მართებს საურავად. რასაც ამირ-სპასალარი იურეოდეს, მასეე გეერდით სალამქროს საქმეს და იჯიცა და მეაბჯრეთ-უხუცესი და მათნი მუახლენი, ჩუხჩი და ამირ-ჩქარი და მერემეთ-უხუცესნი წინათ დგანან შორს და ამილახორი, მეაბჯრეთ-უხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახან[ს] მეელენ, სიარულადაც წინათ იარებიან. დჯდომა და სხვა წესი ზემოთ დაგუწერია. და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიმს იქმენ, და საანგარიშოს გოდორსა შიგან ჩასდებს.

ერთის ტანსაცმლის აბჯრის მეტი, სხეაჲ ყეელა აბჯარი, რაზომიცა თანა აქუს: ჯაჭეი, მუზარადი, ქმალი, ქაფა, საბარკული, მშულდ-კაპარჭი, ლახტი, მუბი, სრულიად ყოველიეე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკმაზულობა, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯაეშანი, მანჯუეები აბრეშუმისა, ცხენის ყელს-საბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთანა ყეელა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თაეგადაჭედილ[ნ]ი, ერთი თეთრი და ერთი მაეი, შუბი სეუე ალმითა, ეს[ე] ყოეელნი მნათობნი, მოჭედილნი ეეცხლითა და სპილენძიანი, [ზარდახანსა შიგან ძეს დად გას და ზარდახანის მწიგნობარმან ესე] ყოეელი რაჲ ასწეროს წლის თაესა, ერთი უნაგირი ზარდახნის მწიგნობრისა, ერთი აკაზმულობა აღუესებად.

ცხენი რაჲ ითხოეოს მეფემან, ზარდახნის მოლარე აღვირთ მოსცემს, მისრ[ა]ტული პირსა აუსხამს, ერთს ყურს გაუყოფს და მეორეს აღარა. მერმე ზარდახნის მეჯინიბე აუსხამს, საყბეურს შეუსხამს ზარდახნის მოლარე უნაგირს გარდასდგამს, საძუეთ აღარ ჩაუყრის, იგივე ზარდახნის მეჯინიბე შეკაზმავს და წაიყეანს, მისრატულთ უხუცესს მიუყეენებს. მეჯდების, და მათრაკი ზარდახნის- უხუცესმა მისცეს, და ორნიეე უკანით იარებიან. ზარდახნის-უხუცესი ეღა ამერითჩუხჩი წინათ იარების, ჯუარის მტეირთეელსა და მეფეს შუა. და საღაც მეფე.

2იქმონ$^{\text{ნ}}$.–5 ბოძ̈ლი.–6 რა] არა.–9-10 ეს ორი სიტყეა („შექმნილნი თაენი“) განმეორებულია დედანში.–10 პირესა.–14 საყელე] აქ ეჭვს გარეშეა შესმენილი აკლია. მეიძლება იეულისხმებოდეს „გაიკეთოს“ ან სხვა რაიმე ამის მსგავსი.–18 სავაზიროსა] საგაზროსა.–19 რა] არა.–22 მ̈ფსა.მეია, ცხენისაგან ჩამოეა, აჩუხჩიც მანამდი ცხენით მიეა და მერმე მობრუნდების და თაეის ალაგს გარდაკდების. ჯუარი წინათ, მარქაფანი იმერით ეზომსა... (აქ აკლია ერთი რეეული, ანუ ექვსი ფურცელი).

19

...და ბოლოს სათიკარი რკინისა არის, დაასობენ საღვინესა შიგან, საღვინის მოლარე მას ზედა დაკიდებს, და ფანჯისა მისაღებელი კელმანდილიცა მასეე ზედა კიდაეს, მანდილი უღარო, სამუქლე და საფუკე, და რა დამტეერიანდეს, გარეცხა უნდა, საფარეშოს მიიღებს მელვინე და ერთს მაშრაპას ღვინოს მიართომს, გარეცხენ და [სა]ღვინესეე მიიღებენ:

20

სამყინეარი ეერცხლისა უნად ტაბაკი, ცულ-წერაქეი, პატარა კეერისაგან უმძიმესი, ტარის ბოლო მოჭედილი, ტარ-მოკლე, მოჭედილი მას ტაბაკსა ზედა ძეს, მყინეარს დასდებენ, ერთი ეერცხლის კოვში პირ-დიდი მასეე ტაბაკსა ზედა ძეს, წინ დასდგმენ, წეერით გასტეხს, კოვშით აიღებს, ჭიქასა შიგან ჩასდებს, იგიცა საღვინის მოლარეს ეედრია. სხვაჲ საღვინე ჭურჭელი, სანიადაგო, უმეჯლიშო საღვინეში დგას, და მეჯლიშისანი კიდეგან დგანან.

და ბეჭედი მეჭურჭლეთ-უხუცესისა,
ანგარიში საანგარიშოთა გოდორთა ზედა ძეს.

პირის მწმდესა საღამოს ერთი მაშრაპი ღვინო ოქროს მაშრაპითა, მეფე რომ სვამს, მისთან[ით]ა, და ერთი მუქიფსა.

ზვართა, ზემოთაც დაგუწერია, მანდატურიცა აღგს ზედა, და სხვათ[ა] მეღვინეთ-უხუცესი და მუქიფი იურვიან სამუშაოს.

თუითო ჭურო ღვინო ზვართაგან მეღვინეთ-უხუცესისა და თუითო უმცროსი მუქიფისა.

[მემარნე] და საღვინი მოლარე [და მეღვინენი] მეზერეთაგან აიღებენ ღვინოსა, ვითარი ზავრი იყოს, ანუ მეზვრე. მეღვინენი საკრეფელისა და სოფლისაგან იშოებენ, და საღა მეფე დგას, და V ღვინის ულუფა დაწერონ.

მონადირეთ-უხუცესისა ზედა დაგუწერია. მონადირენი კახეთს და იმერეთს ყოველგან არიან. ორას სამოცი სახლი არის. ტყის მცველ[ნ]ი კიდე არიან.

2 მისისანი.—4 უქ-ლქოთ.—12 უხუცესისა. 19-20 მერემეთ] მერემე.

ესენი გიორგობას კარზედ მოვლენ და თევდორობამდის არზე არიან. რაზომიც დაიკელის, ერთისაგან კიდე, ყველასა შიგან[ი] მონადირეთ არის ძაღლთა სახარშოსა, თყავი მათი. გაშეებისა ჟამსა სამ-სამი თეთრი ართებს, კორციელისა კვიარიაკესა ექვსი ტყ[ა]ვი, თევდორობის მეორეს დღეს ძაღლთ დასწერენ. და რომელიც მწიგნობარი დასწერს, ოთხსა ანუ სამს ძაღლსა მეფისად გარდააყენებს. მერმე მწიგნობარი გამოირჩევს ერთს ძაღლსა, ბერძნული უნდა თუ მწევარი. და თორმეტ-თორმეტი ძაღლი სამ-სამი წაყა საკვებავად, და მონადირეთ გაუშვებენ. ორშაბათს მეორეს ლამპარას მონადირენი შეიქმენ, მეფეს წინაშე მიიღებენ, და ცოლსა მეფისსა და შულთა ვებირთა, [მოურავთა?] და მოლარეთა ყველას მიართმ[ევ]ენ. მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურ-ბერწსა. აგრეთვე ღედოფალიცა უბოძებს. ვებირნი და მოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა. საგანმგებოს მუქიფსა და საღვინის მუქიფსა გამცემარსა იაფებენ ყოველსა. და თუ მისცემენ პურსა, ღვინოსა და საკლავსა, აღარას აწყენენ, მაგრამ იგინიცა კარგად დაიხიზვნიან და ლამპარს ანთებ[უ]ლსა მკარსა შეიდებენ, ეგრე მგრგვალსა დააბმენ. ვისცა ავად მიუცემია, ანუ პურად ავადია, აგინებენ და არცა უარესია.

საწოლის მეკარე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების, ითვალვენ და საწოლსა წაყა [და მასაცა] და წინმწოლსაცა მიუა სათვალაეი და მუნ სჭამენ.

და ზოგთა ვი[ე]თმე ასრე უწერია, ვითა ტრაპიზონელ[ნ]ი და შარვან-შანშე, [ოვსთა მეფე] და სომეხთა მეფე რა მოვიდნენ, საჯდომი ერთი [არ] არის ოთხთავე. მამა არსენ იყალთოელი, ეგეთი კაცი, მტყუანი როგორ ეგების? ამა შაირსა არა იგი იტყჳს: „ევენ (სიე) ოსთა მეფენი და კახთა მეფე და ალვანთა მეფე, წ[ა]ნართა მეფე, სამნი ტაოელთა მეფენი და სომეხთ მეფე და ტრაპიზონელნი და შარვან-შაჰენნი, ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგევს და თორმეტი დასხდეს, და ოთხნი რად ვერ დაეტეოდეს?

21

ამ ოთხთაგან ერთი საჯდომი მარჯვენით დაუწერია მოძღვართ-მოძღვრისა და აუხაზეთის კათალიკოზისა ქვეშეთ და ჭყონდიდელისა შემოთ, ეს თჳით მართალია მუნ მათი, მაგრამ მე ვიცი პატრონისა ბრძანებად, რომე ოთხნივე დაისხმიან

9 ამიაზე: მისრატული.—12 ამიაზე: აჩუხჩი.— დედანში. „მიშრააპას", მაგრამ სხვა შემთხვევაში გუხვდება: მაშრაპს.—21 ღვინესვე.

დიღროანითა სკამითა, მას ზედა ოქსინოებითა და სასთაულითა, წინა ტაბლებითა და ზედა ტაბაკითა. და რა ზედა სამი ჯამი მეფესა წინა დაუდგან, ექვსი ჯამი მათ წინა დადგან. აქათ დარბაზსაც სდგმიდენ მწდე განაღამცა თუთო ადგა.

22

მწდე ჩვენთაცა დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვებირთა: ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა:

23

მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა, და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვარისათუს და ორნი მისთა მოწაფეთათუს. მოძღვართ-მოძღვარისა, კათალიკოზთა და ჭყონდიდელისა, რაჲ დარბაზს მოეიდნენ, წევეა სამთა ბატონთა დარბაისელთა საწოლის მწიგნობრის წევეა დაუწერია, და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან! და ალის ჭალას, ოდეს მათი შეილი მოეიდა, შეიყარნეს, კათალიკოზ[ი] თანა ჰყეა და ალს ეკლესიის კარს დეა. და რაჲ წეევის ჟამი მოეიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონ[ი]ს წინამე დგა, და პატრონმან ბ[რ]ძანა: „ვინ უწყის კათალიკოზიო“. და მიბ[რ]ძანეს მე: „ეაწეეო“. ამის

ეეზირთა წეევაო“. მაშინ ამირეჯიბი ქვაბლიძე უგემურად იყო, და არა იყო მანდა: სიტყუსათუს სოფრომისძე იტყუს: და მეორეს

წელს ეგრე ბ[რ]ძანა:

24

აწ ვინათგან დაუწერია, აწეოს საწოლის მწიგნობარმან. მოძღვართ-მოაძღვარი შემოვიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეცა ეთაყვანოს. გინა დამრუდებით. მეფე ნოხთა პირსა მოეგებვის და მოესალმოს: „მოახსენე ბრძანოსო“.წაეიდეს და მარჯვენით გარდადგეს ახლო. კათალიკოზიცა და ჭყონდიელიცა მანვე აწვიენეს. ეგრეთვე კათალიკოზი, რომელიც მოეიდეს, ეგრეთვე ეთაყვანოს და მეფემანცა ეგრევე კელნი დაასხნეს დამრუდებითაცა, გინა ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს და მითვე წესითა ჭყონდიელსა და მათ სამთა ეეზირთა აწეიოს. ეჯიბმან, რომელიც იყოს მეეიდეს, ეთაყვანოს მეფესა, და მეფე ეთაყვანოს, და ნებინი ნახევრამდის დასხნეს დამრუდებით. იგი მეორედ კელავ ეთაყვანოს, სამი ბიჯი წამოი[ა]როს მეფემან. აკოცოს, და უკუდგეს, და მარჯვენით ახლოს იყოს:

6 მეჭურჭლეთ] წინათ წერებულა „მელვინეთ“, შემდეგ ეს სიტყვა წაუშლიათ და ქვემოთ მიუწერიათ „მეჭორჭლეთ“.–24 კვირიაკესა]·კ·სა.–25 დასწერეს.–26 მფ·დ.

25

მეჭურჭლეთ-უხუცესი საჭურჭლის ნაცვალმან აწეიოს, მსახურთ-უხუცესი – მესაწოლეთ-უხუცესმან. რა ეთაყვანოს, მეფემან თითნი ნოხსა ზედა დასხნეს და იგი მეორედ კელავ ეთაყვანოს. მეფემან მეორედ თაყვანებისთუს სამთა ეეზირთა უფრო, და ამ ეეზირთა ორთა უმდაბლე კელნი აღუპყრას, და ესე ორნი ეეზირნი სწორად, ეითა ის ზემონი სამნი სწორად, და ამილახორიცა ამ ორთა სწორად ნახოს მეფემან:

26

რა სწორად ეპისკოპოზნი მოეიდნენ იმიერით; იმხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მგბეევარი და გოლგოთელი, მათ ტაჲ ეთაყვანენ, კელნი მეფემა ნოხთა ზედა დასხნეს, იმხნელისათუს უფრო მდაბლად და ორი თუ სამი ბიჯი წამოიაროს და მოესალმოს, და ამ სხვათათუს სწორად ნუ დაიძერის:

27

ამიერი ბედიელი მოსაფლაევა და ქუთათელი [მაკურთხეველიცა და] მოსაფლაეეც არის. დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია, მისსა საყდარსა შიგან არის. მეფენი დალოცვიან, და ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კოსტანტინე, დაისარჩლეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმან ასე თქუა: „თუ აწ ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცეილან და არ მემართლები, გურგუნი ამუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არა დასდეა“. და მერმე ეეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქეეს თუ „ქუთათელი უმართლეა“. და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს, და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა, და ქუთაისის ღმრთის მშობლის წინ სამსჭვალი მოჭედეს, და მით ერთობ საბატიო არის და იმხნელის სწორი პატიეი მართებს:

სხუათა ეპისკოპოთა, კაცი ჩანს, ვითარი მონაზონი იყოს, ანუ ვითარი კაცი, და ზოგთა უფრო და ზოგთა უმცრო. მგბეუარსა ზედა დარბაზსმისსა საჯდომსა უკანით მისსა მოლარეთ-უხუცესსა ფარი და ქმალი აქუს უკანით, ამად რომე ერისთავიც არის შაქმეთისა.

ძღუენი საწელისწდითაო ერისთავთა, ქართლის ერისთვისა, სამცხის სპასალარისა V ჩანს, დადიანისა სამი ცხენი, ორი უკეთესი და ერთი სატალახე. ამირ-სპასალარის – ბურთი, ჩოგანი, ცხენი უკეთესი მოიღოს საგანმგებოსა, და საღვინის კელისუფალნი ვერსა მიიღებენ, ვერცა მანდატური არგანს დაიჭირაეს. გელათური ძღუენი: საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი ფიცხლაე მოაგებონ საქრისტესმობოთ მომაეალსა:

10 ითჳლვენ.–14 არსჱნ უყჱლელი.–18 ტოელთა.–19 შარეან-შალელნნი.–20 თორმეტნი] თუ ტრაპიზონიდან და შარვანიდან ორ-ორი მეფე ვიანგარიშეთ, მაშინ ცამეტი გამოვა, ამიგომ ან „შარვან-შაჰენნი“ ან „ტრაპიზონელნი“ მხოლობით რიცხვში უნდა იყოს. 23 ვიცი] კ̇ცი.

29

გარეჯული ძღუენი: კაპარი, კალამი და ცოტა ძღუენი, ცოცხი კარგად დაწყობილი. ამ ცოცხთ ფარეშთ-უხუცესი აიღებს, სანახავი ძღუენი: ლელვი კეოტსა ზედა დაცმული, ჩურჩხელი, ორთა კაცთა ქონდეს, ნუში, ნაქვი თუთუბო, პურობას უკანით ნოხსა გარდამოგჳს მეფის წინაშე, ოდეს წესია. და უდაბნოთა საწელიწდისთაო არ მართებს.

ალარდენი და ბროწეული, თორმეტი თაფლის ქვეერი, სიღალორი.

ორთა ძმათა კმა-კეთილთა და კარგთა მკითხველთა წინამძღვარი გამოარჩევს, დარბაზს მიელენ ორშაბათსა პირმარხჳსასა და სამხრის ლოცვასა ზედა ფსალმუნს აიღებენ. ორსავე სამკროსა თჳთო იქნების. და რაჲ სამხრისასა გამოლოცვენ, არცავინ უღარბაზებს. თუთ იგინი მეფეს კითხვენ, მეფე იჯრასა და საღგომსა გაუჩენს, ამოღ და საბატიოდ ამყოფებს. აღვსებისა ორშაბათსა რაჲ გამოილოცონ, არცა დაეთხოებიან, არცა რას იტყჳან, შესხდებიან და წაელენ. როცა [წაელენ?] ასსა თეთრისა ჩაფლასა გაუგზავნის მეფე. დასრულღა დარბაზის წეს:

30

ერისთავნი და კელისმქონებელნი დიდისა თამარ მეფისა: რომელიცა განაჩინა [თანაღგომითა] და ერთნებ[ობ]ითა[1] შჳდსავე სამეფოსა დიდებულთა[2] ბ[რ\ძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად, მწიჳნობართ-უხუცესად და ვეზირად გაბრდილიეე მამისა მათისა შეუედ მეფის ანტონე გლონისთავასძე, კაცი ბრძენი და გონიერი, პატრომთათჳს სჯანი, ერთგული და შემცნებელი საურავთა. და განაჩინა ამირ-სპასალარად სარგის მკარგრძელი, კაცი გვარიანი და აღზრდილი სამქრობასა შინა. და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა. და გააჩინა და უბოძა ჭიაბერს მანდატურთ-უხუცესობა და უბოძა არგანი ოქროსა კელთა მისთა და შთააცვეს საფრამანგი ტანსა მათსა და დასვეს სელებითა ოქრომჭედლითა რომელიმე მარჯუენით მისა და რომელიმე მარცხენით. და ჯუალად უბიძა მეჭურჭლეთ-უხუცესობა დიდსა და გვარიანსა კაცსა კახაბერსა ვარდანისძესა, და მსახურთ-უხუცესობა ვარდან დადიანსა, და ჩუხჩარეხობაჲ მარუშიანსა, ძესა ჩახჩურეხისასა. და უბოძა ამილახორობა გამრეკელსა თორელს... (აქ აკლია ერთი რეეული, ანუ ექვსი ფურცელი).

2 ტაბლებითა] გაბლებითა.–6 მოძღვართ-მოძღვარსა] მოძღვართ-მოძღვართა.–15 კ̇ გ.–18 კო̇ზო.–22 და რაჲ იყო.

31

...აქეს, კელთა ზედა იბრუნებს, ქვე ვერ დააბიჯებს. პირის მწ[ლ]ედ საჭურჭლის ნაცვალი, მეღვინეთ-უხუცესი. ზარდახნის მწიგნობარი საწოლის მწიგნობრის გვერდით დგას ეგრეთ საწერელი აქვს ღლიასა საგა[ნ]მგებოსა მუქიფსა და საღვინის მუქიფსაცა, ესე ყოველნი პუირის-პირ დგანან. სხვანი მწიგნობარნი ოცდა ოთხნი საწერლებით ჭყონდიდელის მკარს.მერიგე და მანდატურნი ამირეჯიბსა და მესტუმრეს უკანით დგანან. დიდი დროშა კარის შემოსავალსა დგას. მერემეთ-უხუცესი მკარსა უთქს და მკარსა საგდებელი აცვია და მერემენი უკან უდგანან. ზარდახნის უხუცესი და მსახურთ-უხუცესი მკარსა დგანან:

32

აწ ესე მოძღვართ-მოძღვარი, კათალიკოზნი და ჭუონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი ქვე დგანან თაეის აღგილას. ეგრეთვე მეჯურჭლეთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი, ამილოხორი, ეგრეთვე მეაბჯრეთ-უხუცესი, ამირ-ჩქარი. ამას ზედა ეპიკოპოზნი ქართლისა კათალიკოზისაევ, გელათელნი, ძმანი გარესჯელნი და თორმეტთა უდაბნოთანი, ეითარცა მართებს, ქვემო სწერია, ესენი მარცხენის მკარს სურფ[ის]ასა:.

33

აწ მეუე უბრძანებს მანდატურთ-უხუცესსა, იგი არგანსა დააგდებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს. მანდატურთ-უხუცესი ტახტ[ი]ს წინ მოდგების: „პური მოიღეო". მანდატურთ-უხუცესი მობრუნდების, არგან[ს] გამოუღებს და პურ[ი]ს წინაობას იურევებს. და რაჲ ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი გაეიდნენ, კათალიკოზნი, მოძღვართ-მოძღვარნი, ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირ-სპასალარი და, ეინც ქვე სხედან ყოველნი ზე აღგებიან.

პატარა ხანი გამოვიდეს, მეუე იწვევს კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდიდელსა, ათაბაგსა და, ვისცა არ უბრძანებს, ვერაეინ დაჯდების, ეირეშდი სეფეს ტაბაკს არ დასდგმენ. უნდა ოქროს ტაბაკი შუაზედ ურთუმელი იყოს. ზედ მექმნილი თავი თვალმარგალიტიანი, შიგ მარილი იყოს...

14. აღუპყრან.–21 სხჷ-თათს.–24 გიორგი] გ-I.–24 რომელმან] რ-ნ.–24-25 ბერძენთა] ბერებთა.

ზედ ერთი კოეზი ბროლისა, ტარი მოჭედილი, ხალასის თეალი ზედა იყოს და ერთი ატლასის ჩილანი ზედ ისხდნენ. ტაბაკს მანდატურთ-უხუცესი და ამირეჯიბი დასდგმენ. შეჯამადსა მანმგეთ-უხუცესი მიიღებს კოზმანჩქითა. მოლარეთ-უხუცესი აღგების, მოიღებს მსახურთ-უხუცესი, და იგი მოიღებს'. აწ მანდატურთ-უხუცესი მიეა და თ[ა]ეის აღგილს ქვე დაჯდების. ამირეჯიბი [და განმგეთ-უხუცესი] კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდიდელსა, ამათ წინ ტაბლას დასდგმენ, და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს. ეს ოთხნივე აღგებიან და თავმოდრეკით კელთა ტაბ[ა]კზე დასხმენ, ამირეჯიბს ეთაყვანებიან, ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს. აღგებიან,განმგეთ-უხიცესი მონაზონთ ოთხთაევ სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ეეზირთა ითვალავს, და მერმე ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი დასხდებიან, და მუქიფი ითვალავს სხეათა ეეზირთა ოროლითა ჯამითა, პირის მწ[ლ]ეს, რაჲ მეორე ჭიქას გამოუღებს მეფე, ანუ მესამესა. სათვალავსა მიაგანინებს, [მიეა] და დაჯდების ამორეჯიბსა და განმგეთ-უხუცეს[ს]თანა, და სამნიეე ერთად დასხდებიან. საწოლის მწიგნობარი მსახურთ-უხუცეს[ს] გვერდით ზის, და რაჲ სუფრა დაუფინონ, კელისუფალნი ესე, რომე ზემოთ დამიწერია, ეინაც ზის მეაბჯრეთ-უხუცესსა პირდაპირ, ზარდახნის მწიგნობარი და მას ქვემოთ მწიგნობარნი. დასხდებიან პირისპირ და იქით სხეანი ხელისუფალნი და ხელოსანნი, [სა]სახლის დიდებულნი ჩასხდებიან, სუფრის ბოლოს მერმეთ უხუცეი და ფარეშთ-უხუცესი სხედან. და მათ ქვემოთ მეჯინიბენი. მგარამ სუფრაზედ ჭაშნაგირი ზე დ[გ]ას ოქსინოსა და ზედა ცალკესა იგი და წინამდგომი ტახტსა ზედა დგანან. ჭაშნაგირს კელის მანდილით ცოტა ჩაშჩა აქეს. რაჲ საჭამადი წამოაყენონ, ჩამჩით ამოიღებს და კელსა ზედა დაისხამს და შეხერეგს და აგრეთვე ღეინოს... (აქ ორი ფურცელი აკლია) ჭაშნაგირი ზე დ[გ]ას ოქსინოსა ზედა ცალკესა, იგი და წინამდგომი

ტახტსა ზედა დგანან. ჭაშნაგირს კელის მანდილით ცოტა ჩამჩა აქვს. რაჲ საჭამადი წამოყუნონ, ჩამჩით ამოიღებს.

34

...პირმშოებაჲ მან მიიღო. და ოღეს აკურთხეს, არ მაგად აკურთხინეს, არ მოელის კათალიკოზსა, რომე არავი[ქი] ქვეშეთ შექმოდესო. ვარქვე, და აცილნეს ორნივე კათალიკოზნი: „არა მე მმართებსო, არა მეო“:.

2 ფსლმუსა.–15 დბლთა.–18 ერთგლი.–30 აქს.

35

აწე ეიწყოთ შეკაზმვა მეფისა და ვთქვათ ვეზირობისა: რაჲ მეფე შეეკაზმოდეს, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი მესაწოლეთ-უხუცესმა, წყალი მოლარეთ უხუცესმან დაუსხას, ტანისამოსი მსახურთ-უხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთ-უხუცესმან შეუკრას. მუკლთ დაყრით ქუიდ მოლარეთ-უხუცესმან მიიღოს.

36

და თუ ვეზირობა იყოს, მათ მოახსენონ ჭყონდიელსა და ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა, [მანდატურთ-უხუცესსა] მეჯურჭლეთ-უხუცეს[ს]ა, მსახურთ-უხუცეს[ს]ა და ამილახორსა. დაფინოს ორთხოვა ფარეშთ-უხუცესმა მომცრო და ზედ სასთაული დადვას. დაჯდეს მეფე მას ზედა. მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაფინონ პირისპირ. თავსა სუფრის ნოხისასა სელნი დაღვან. მსახურ[თ]-უხუცესმან „ბ[რ]ძანეთ“ თქვას. ჯალაბი გაიყაროს, ჭყონდიელი ნოხთავე პირს მიბრუნდეს, ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა მოახსენონ, მობრუნდნენ, ეგრეთვე მეჯურჭლეთ-უხუცესი. ჭყონდიელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახ[ა]ლია. ჭყონდიელისა მწიგნობრობა შემოსრულა, არ[ს] მწიგნობართ-უხუცესობა ჭყონდიელისა, გასულა ათაბაგი დიდი და საბატიო და ძჯრად ოღესმე იქმნების. ჭყონდიელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირ-სპასალარი დასხდენ. ამირ სპასალარი საბატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების, და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის. და ესეც იქნების, რომე ორივე ერთსა ქონდეს. და უფრო მანშეთ სახლისა არის. ესევე ორივე კელი ერთსა აქვს, და თუ ორთა. მეჯურჭლეთ-უხუცესი ძველი ვეზირი არის საბატიო და ვინ ამ[ა]ს იტყუს: მსახურთ-უხ[უ]ცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა და ვაცნაძე შეუყვანია:.

37

აწე მსახურთ-უხუცესი მეჯურჭლეთ-უხუცესისა გვერდით ზის ვეზირობასა ზედან. ამილახორსა მათ უკნით ვითა წესკამი უოქს ა ვეზირობა ესმის, და იგი არას იტყუს, რასაც არა ჰკითხვენ. და რაჲ[ჰ]კითხონ, მაშინღა პასუხს იტყვის:.

38

საწოლის მწიგნობარი ჭყონდიდლისაკენ დგას კელის ძირსა, საწერელი აქვს თავისი, ამირეჯიბი შუაზედ, ამილახორი ცალკე დგას და კელთა არგანი აქვს. მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ, მეფის ზურგით მოლარეთ-უხუცესი სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა. და მერმე ვინც უნდა[თ] მეაბჯრეთ-უხუცეს[ს]ა, განმგეთ-უხუცესსა, საჭურჭლის ნაცვალსა, მესტუმრესა, ზარდახნის მწიგნობარსა, და ვინცა კელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან. ეგრეთვე მწიგნობარს ჭყონდიელი გარდასცემს და ასწერენ და იურვიან,

14 ვა– 21 ამირსპასალარი

რაც სასაურეო იყოს. საწოლის მეკრე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით, ან მოუშავს, კელთა არგ[ა]ნი აქვს, ქვე ზის, და ვისცა უბრძანებენ, შემოიყვანს. მერიგე

შორსა დგას, და მანდატურნი გარემემო შორს დგანან. და ვისცა არ უბრძანებენ, არეის მიიყვანენ სიახლოვეს:.

39

აწ პირველ ხოლო ღმერთის კამს პატივი: ვინათგან „უკვე არა თუ მან აღაშენოს სახლი, ცუღად შერებიან მაშენებელნი მისნი". საწოლისა ღმრთისშობელი თუთ საწოლსა სეენებია და მის წინაშე მისთა მეედრებელთაგან ენთების სანიაღაგო სანთელი და კანდელი. მცველი მისი მესაწოლე არის , იგივე, რომელი წინამწოლი არის მეფისა. ძელი ცხოერებისა ეელსა კარეით დგას, და კარავი განაღამცა სეფე იყო. ეკლესია კარეისა და სხვანი ხაგნი პა... (შემდეგ აკლია).

6 განმგეთ] გ-ნმეთ.—6 მოლარეთ-უხუცესი.—13 აქ, ალბათ, გამოგოეებულია ფრაზა: „[კელთა ტაბაკზე დასხმენ] და ეჯიბს ეთაყვანებიან". ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებს უმატებს იე. ჯავახიშვილი.—16. მწედ (თაყაიშვილი „მწეს").

---

4 და არ] დარ.— 8 მით.— 10 სხჲთა.— 26 დაცმ̃ლი.

[წესი და განგებაი მეფეთ კურთხევისა]

[XIIIს.]

[35რ]წესი და განგებაი მეფეთ კურთხეესა ესრეთ არს:

წინა ღღით მწუხრსა, რომელსა ღღესა ეგულებოდის კურთხეეა, მეიმოსოს, მთავარებისკოპოსი. და უკეთი მთავარებისკოპოსი კათალიკოზსა, წარუძღუენ მგალობელნი, მღდელნი და დიაკონნი შემოსილნი, საკუმეეელითა და კეროენითა. ხოლო მგალობელნი მგბაერ იგყოდიან ჯუარი დგაინთაი.

და ვითა მიიწინენ პალაგსა მინა და დადგან ფემხუმსა ზედა გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი, ბისონი, დაპბურონ წმიდათა და ეპისკოპოსმან ხელთა მიერ ტვირთეი მეიღოს ეკლესიად და დადგას ტრაპემსა ზედა.

და აღიხადოს მესამოსელი და იწყოს მწუხრისასა. და ღამე იგი უძილად განათიონ ლოცეითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ, თვით მეფედ განმზადებულმან და ყოველთა პალაგთა მინა ყოველმან საესებამან ეკლესიი[V]ამან.

და ვითარ განთენდეს და ლოცვა აღასრულონ, წარვიდენ ყოველნი სახიდ თეისად და განისუენონ.

და ვითარ მოიწიოს ჟამი წირეისაი, სამჟამ პრეკონ ძელსა და შეერბენ ეკლესიად.

და შეიმოსნენ კათალიკოზი და ეპისკოპოსნი, მღდელნი და დიაკონნი.

ჯუარის-მტვირთველმან ასაუენოს ძელი ცხოერებისა და წარიძღუანნეს წინა მთავარდიაკონნი სანთლებითა და საკუმეელითა.

და ვითარ მიიწინენ პალაგად, თავმოდრეკილმან პქრუას მეფესა: „გუაკურთხენ, წმიდაო და თვითმპყრობელო მეფეო, მრაეალმცა არიან წელნი მეფობისა თქუენისანი. და შერმე სრულიად ღამქართა თქუან.

კუალად თაეის მომდრეკელმან პრქუას ღამქართა: „და თქუენცა გიხაროღეს ძალნო უძლეველნო და დამამხობელნო მტერთა სამეფოთანო, ჟამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად".

და წარმოემართნენ ესრეთ სახედ: წინათ ზარი მეფუ[36რ]თა და შემდგომად დროშა და შუბი, და შემდგომად მთავარდიაკონი და ჯუარის-მტვირთველი, მეფე და ღამქარნი.

ამირსპასალარი, ხრმალ-შემორტყმული, მარჯუენით კერძო ჰყეებოდეს და სამეფო ხრმალი ორთავე ხელთა შედა ეტვირთოს.

ეგრეთვე ამილახორი და მეაბჯრეთ-უხუცესი, ხრმალ-შემორტყმულიეე, ამირსპასალარის კერძო ეიდოდნენ.

ხოლო ჭყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით მეფისა ეიდოდენ და სხეანი მთავარნი.

ხოლო მანდატურთუხუცესი, სამანდატუროსა არგნისა ხელითა მქონებელი, შემდგომად ჯუარის-მტვირთველისა, წინა უვიდოდეს მეფესა.

ეზოთ-უხუცესსა, ჩუხჩარეხსა, მეაბჯრეთ-უხუცესსა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში; უკანა უდგეს მეფესა.

ამით წესითა ეითარცა მიიწიენენ კართა ეკლესიისათა, კათალიკოზი და ეპისკოპოსნი წინა მოეგებნენ; კათალიკოზმან თავმოღრეკილმან პრქუას მეფესა მაღლად: „კურთხეულ[V] არს მოსვლა თქუენი და დამტკიცება მეფეთ-მეფედ სამეფოსა ამას თქუენსა ზედა, და განმტკიცნეს ღმერთმან შიშსა და სარწმუნოებასა მისსა ზედა, და დაგამორჩილნეს ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი სამეფოსა ამის თქუენისანი, ქუეშე ფერხთა თქუენთა". და თქუას ყოველმან ერმან: „ამინ".

და თაყუანი-[ს]ცეს მეფემან მდაბლად კათალიკოზსა, დაუპყრას ხელი მარჯუენე კათალიკოზმან; ხოლო უკეთუ აფხაზეთისა კაგალიკოზი არა იყოს, - იმხნელმან ანუ მთავარებისკოპოსმან; და წარიყუანონ და სამეფოსა ადგილსა დააყენონ, და იწყონ აღმოკუეთად სეფესა.

ხოლო აფხაზეთის კათალიკოზმან დაპბუროს, ანუ მთავარებისკოპოსმან. და ეითარ დაპბუროს, უწინარეს დაწყებისა, გამოულოს ჯვარის-მტვირთველმან ამირსპასალარს სამეფო ხრმალი და საკურთხეველსა შინა ძელს ცხოერებისასა მიყრდნობილი დადგას.

და დრომა და შუბი საკურთხეველისა კარს ემჭირნენ იმიერ და ამიერ.

[37რ] უწინარეს კათალიკოზთა თქმისა და მთავარდიაკონისა გამომსლვისა, რომელსა მღვდელთ-მოძღუარსა დაებუროს, წინაშე წმიდისა საკურთხეველისა მდგ[ო]მარეობდეს, აღიღოს საკურთხეველისაგან ბისონი, გამოეიდეს და მეფეს თაეი მოუდრიკოს, და ორთაეე მუხლთა ზედა დაფენით დაუდგას, და წარმოიყუანოს და კათალიკოზი მდგომარე იყოს. თაეი მოუდრიკოს მეფემან კათალიკოზსა და პრქუას: „მაკურთხეო მე[უ]ფეო".

კათალიკოზმან ჯუარი დასწეროს და თქუას: „კურთხეულმცა არს მეფობა თქუენი დასასრულამდე ჟამთა, და განმტკიცენ სარწმუნოებასა მისსა ზედა მიუდრეკელად". გამოულოს ბისონი და მთააცეას თაეის ხელითა და ჯუარი დასწეროს.

და წარუძღუეს იგივე მღვდელთ-მოძღუარი, რომელსა მიეყვანოს, და და[ა]დგინოს ადგილსაეე თვისსა, და ეგრეთ შეეიდეს საკურთხეველად.

და გამოეიდეს მთავარდიაკონი და იწყოს კუერექსი თქუმად და ეითარ სახარება წარიკითხონ, გამოეიდეს აფხაზეთის კათალიკოზი [V] და მთაეარებისკოპოსი. და თუ აფხაზეთის კათალიკოზი არ იყოს, - იმხნელი. და იმხნელი და მთაეარებისკოპოსი მოეკიდნენ ხელსა: ერთი მარჯუენით და ერთ[ი] მარცხენით, წესისაებრ მღვდელთ-მოძღუართასა, და წარადგინონ შუა ეკლესიასა საწ[ა]რდგომესა ადგილსა, და სამგზის ათაყუანონ წმიდასა საკურთხეველსა და წარადგინონ საკურთხეველისა კართა. და კუალად მოიყარონ მუხლნი და თაყუანი-სცეს.

და ეითარ შეიყუანონ ერთგზის წმიდასა ტრაპეზსა, თაყუანისცეს და დაუყარნეს მუხლნი კათალიკოზსა და მოაკრუენ გარემოს ყოველნი ებისკოპოსნი და ყოველთაეე ომფორი თაესა ზედა დასდეან.

ჯუარი დასწეროს კათალიკოზმან, და იწყოს თქმად მაღლად სასმენელად ყოველთა: „საღმრთო მადლი, რომელი ყოელადეე უძლურებათა ჩუენთა პკურნებს და ნაკლულებასა ჩუენს[ა] აღაესებს და განაჩინებს ღმრთის მომიმსა სახელით ერსა და სამეფოსა ამას ზედა მეფეთ-მეფედ და გა[3ზრ]ე შეარგყამს საღმრთოსა ძალსა მისსა, ვილოცოთ ყოველთა, რათა დაიმკეიდროს მის თანა მადლსა ყოელად წმიდისა სულისაგან".

და ეითარ დაესრულოს, ხმა-ყოს [ს]ვსებამან ეკლესიისამან თანა ერით-ურთ მაღლითა ხმითა: „კირიელეისონ"! „კირიელეისონ"! „კირიელეისონ"!

იწყოს კათალიკოზმან იგივე: „საღმრთო მადლი, რომელი ყოელად..." და ერმან ყოველმან „კირიელეისონი" 3 [გზის]; კუალად იგივე „საღმრთო მადლი" და „კირიელეისონი" 3 [გზის].

და ეითარ დასრულდეს, კათალიკოზმან ჯუარი დასწეროს 3 [გზის] დ[ა] ყოველთა მღვდელმოძღუართა.

და იწყოს კათალიკოზმან ლოცეა წარკითხვად სასმენელად ყოველთა და ეითარ სრულ იქმნას ლოცეად წარკითხვად, დასწერონ ჯუარი და აღადგინონ.

და აღიღოს კათალიკოზმან საკურთხეველით გეირგეინი და დაარქუას თაესა მეფეს და იტყოდეს ავჯითა ხმითა: „დააღგ თაესა მისსა გეირგეინი ქეისა მისგან პაგიოსნისა, ცხორება გთხოვა შენ, და მიეც მას განგრძობა დღეთა უკუნისი უკუნისამდე".

მერმე აღიღოს პორფირი, ჯუარი დასწეროს დ[V]ა მთააცვას.

ამის შემდგომად აღიღოს სკიპ[გ]რა, ჯუარი დასწეროს და მისცეს მარჯუენესა ხელსა მისსა. და ტრაპეზსა მარჯუენით კერძო ორხაო დაუფინონ და ზედა დაადგინონ. მგალობელთა იწყონ: „მრავალ-ჟამეულ ჰყვენ ღმერთო მეფეთ-მეფე ჩუენი სახელით, მრავალ-ჟამეულ ჰყვენ". ხოლო მეფე დგეს წინაშე წირვისა აღსრულებამდე.

და ვითარ ეზიარნენ მღვდელთ-მოძღუარნი, თეით მეფეცა აზიარონ უწინარეს მღვდელთა.

და ვითარ ჩამოვიდენ საკურთხეველით კარით, ამირსპასალარმან ხრმალი შეარგყას და წამოემართნეს მითეე სახით, რომელი პირეელ მოვიხსენე:

მარჯუენე ხელი კათალიკოზსა ეჭიროს, ხოლო მარცხენე ხელი აფხაზეთისა კათალიკოზსა, ანუ ჭყონდიდელსა*, ანუ იმხნელსა, და ეგრეთ შეჰყეენ პალატსა შინა.

და ეითარ ტახტსა მი[ე]ახლნენ, კათალიკოზი და ჭყონდიდელ[ი] თანა შეპყვენ, ტახტსა ზედა დასვან მეფე, და იქ[39რ]ინი მთამოვიდენ.

ჯუარის-მტერთველი შემოსილი ძელი ცხოერებისა ეტვირთოს, მარჯუენით მეფის[ა] დგეს ტახტსა წინათ**, ეიღრე ლამქართა თაყუანისცემადმდე და ძღუნისა შეწირეამდე***.

პირველად დედოფალმან თაყუანი-სცეს, მერმე-ღა კათალიკოზმან, ჭყო[ნ]დიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთ-უხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჯურჭლეთუხუცესმან, მსახურთ-უხუცესმან და შემდგომად ხელოსანთა და უხელოთა დარბაზისერთა სრულიადთა.

და ეითარ სრულქმნან ძღნობა, მთამოვიდეს ჯუარის-მტერთველი და მესამოსელი აღიხადოს.

ხოლო ყოველთა ღეთა სამ ღღემდის მეფე ტახტსა ზედა ჯდეს გეირგეინითა და პორფირითა.

ხოლო ესე საცნაურ იყაენ, რომელ თეინიერ კათალიკოზისა არა ეისგან ჯერ-არს კურთხევა.

ძეგლის დადება
მეფეთ-მეფის გიორგის მიერ

[245]ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავდეევით ძეგლი განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შეევედით მთიულთა მიგან მოსაველელად ღმრთის მოწყალებითა ყოველგნით უცილებლად ქონებისა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა.

წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ქინჯასა და მუნით მივედით ხადა-ცხაოტს და მოეასხენით ყოველნი მუნებურნი ხეეისბერნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა.

და მივედით დარიელამდის და ესცანით ესე, რომელ ღმრთიე გეირგეინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომაეალთა მეფეთაგან ამად არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უწესოთა მიმძლაერებულთა საქმეთა რომელთამე საქმისა რომლისათეისმე ჰპრიანებოდათ აღრეეით ყოუა ერთმანეთსა მიგან და რომელთამე სხეის ეამისა შემოსრულობისათეის უკუე გაჩენა ვერ სწრებოდა-ღა სრულად მთიულთა საქმის მოკლებასა და გაჩენასა.

და ეამ-გუეცს, მოწყალებითა ღმრთისათა დარიელით მობრუნეებულთა ვილოცეთ ლომისის მთაეარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხეეი და მოეიკულიევთ მუნებური სასაქმო.

[V] მოევედით მუხრანს, საზამთროსა ჩუენსა დაედგეით, და შემოევედით ქალაქსა და შემოვიგანეთ თემისა და თემის ერისთავენი და ხევისთაენი და ხევისბერნი და ჰეროვანნი.

დავსხედით და დავსეით წმინდა მეუფე და ქაროლისა კათალიკოზი ეეფთეიმე, დავსხით ვეშირნი და ებისკოპოზნი და მოურავნი და გაეიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათეის ადეილ** უჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცეეა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა, და ყოლ სამართალი აღარ იყო-ღა.

და დღეისით წინათ-ღა ერთმანეთის საყოფთა საქმეთა ამად აღარ შემოეღეთ: ერთმანეთის ამოსულა არ იქნებოდა, განაჩენ-დაუდებლობა ექმნათ.

და აჴ ყუელა გავაჩინეთ, რა რიგად ეის რა ეყოს ერთმანეთის ავი, სისხლი დგეს ანუ სხუა სასაქმო რა გინდა რა იყოს, - გარდახხდეს.

ჯუართა ყელს აქეთ ხადა-ცხაოტს, ბანდუკის ხეეს, კიბეთ ქუემეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდეეით.

სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისაც გინდა სასაქმოსა, - კაცის მკულელთა, ეკლესიის მკრეხელთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა ანუ წამგურელთა სხუათაგან, - სხუა რაც სასჯულო საკითხაეი იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ, განაჩენთა მათ ზედა ებისკოპოზთა, მათ პკითხონ; ჩუენ მსოფლიოსა ამისი სისხლი, პაგიეი და სასაქმო გაგეიჩენია.

ღღეისითგან წაღმა ესრეთ იქმნას.

[ერისთეისა ასრე გავაჩინეთ:]

[246] I. ერისთეის სიკუდილი ვით აროდეს კაღრებულა აგრე ნუმცა ეისგან იკაღრებას.

და თუ ეის ღმერთი შერისხდეს და მეცოდება აზომ დიდი დაეშართოს და მოკლას ერისთაეი, ეითა უმსგაესო არის და უსაზომო მეცოდება, აგრეთვე დამეტებული დიდი პაგიეი და გარდახდეენება დარბაზით ეკითხოს; გარდახუეწა, მამულის წაღება და სისხლი მის გუარსა ზედა დაიურვოს და გარდაიხუეწოს.

და მამულისა, რაზომ წლამდის დაიჭირვის, ამად არ გავაჩინეთ, რომე უსაზომო იყო და არაოდეს ქმნილიყო და არცა ჩუენ წესადეე ვდებიდით.

და თუ რაღმე იქმნას, მის ქამისა მეუმან იკითხოს, რაჟამცა უფრო ძნელად იკითხებოდეს.

[განმგებლისა ასრე გავაჩინეთ]

2. განმგებელი თუ ქუეყანამან მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან ხევმან, მსახური იყოს განმგებლად, ექუსი ათასი თეთრი დაიურეოს სისხლთა ფასად და თვითო კაცი დაიპიროს სოფლისა და სოფლის თავადი, და რაზდონიცა კაცი იყოს თავადი, თვითო გაიპარსოს.

და რაზომიც სოფელი იყოს, ერთი, ორი... და რაზომიცა გინდეს იყოს, განმგებელისა რთოდეს, ვითა ძველითგან გაჩენილი არის, თვითო ცხენი ბეგრად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყვანელად სასეფეოდ და საუკუნოდ.

3. და თუ ერთს კაცს ეფათერაკოს განმგებელი, კაცი გაიპატიჟოს და მამულისაგან გაიძოს და შეუნდობლად მამული სასეფეოდ დაღვას.

და სისხლის დაურეება არ შეეძლოს, ანუ მამული ებოძოს მის კაცისა სისხლის [V] მქნელისა დარბაზით, ანუ განმგებლის სახლს მეფისგან სისხლი ებოძოს და მამული სასეფეოდ დაიდვას.

4. და თუ აზნაური იყოს განმგებლად და მოკლან, მის გუარსა ზედა დაიურეონ სისხლი.

5. და თუ ხევისბერმან მოკლას განმგებელი, სამს წლამდის მამულისაგან გაიძოს და ციხე და მამული სასეფოდ დაიდვას. ერისთავმან თავადნი სახლნი დაუწინდნეს.

მესამეს წელიწადს მოვიდეს და ერისთავს შემოეხუეწოს, ერისთავმან ვეზირთ მოახსენოს და ვეზირთ დარბაზთ ჰკადრონ და დარბაზით მამული ებოძოს ხევისბერსა. და ამას ზემოთ გაჩენილი სისხლი [მუხ. 2] დაეურეოს განმგებლის სახლს და ხევისბერობაც წაეღოს.

და თუ მის ხევისბერის გუარის კაცი იყოს, ასეთი რომ განმგებლის სიკუდილს არ დახუედრიყოს და არას ერიოს არა ცხადად და არა იდუმალ, თვით მას ებოძოს ხევისბერობა დარბაზით.

და თუ არავინ იყოს მისი სახლის კაცი, ვინც ერისთავმან და ახალმან განმგებელმან გამოარჩიონ ერთი კაცი, - მეფის ერთგული იყოს და ქუეყანასაც უჯობდეს, - იგი დაყენონ დარბაზით ხევისბერად.

ხევისბერთა ასრე გავაჩინეთ:

6. ხევისბერი თუ მოკლას ხევისბერმა, სამს წელიწადს მამულისგან გაიძოს, ერისთვისა და განმგებლისაგან თაყვადი სახლი დაეწინდნენ, მამული სამს წლამდის სასეფოდ დაეჭიროს.

მესამეს წელიწადს ერისთავსა და განმგებელს შემოეხუეწნენ და მათ ვეზირთ მოახსენონ, ვეზირთ დარბაზთ [247] იურვონ და მამული ხელთ უბოძონ და სისხლთა ფასად ექუსი ათასი თეთრი დაუურეოს.

7. თუ ვინ ხევისბერის კაცის გაუყოფარი, მისსა სახლსა შიგან მოახლე, ერთ სახლის კაცთ მოკლან: მამა, ბიძა, ძმა, ბიძასძე, ძმისწული, რა გინდა რა მისის გუარისა მისი მოახლე, - სისხლად ესეეე ექუსი ათასი თეთრი იყოს; მამულისაგან გაძება ორს წელიწადს ოდენ მიხუდეს და თავადნი სახლნი დაეწინდნენ ერისთვისა და განმგებლისაგან.

და იმავე ზემოთ განაჩენით [მუხ. 6] ერისთვისა და განმგებლისაგან დარბაზთ ეურეოს ვეზირთა და მოურავთა პირითა, მამული ებოძოს.

8. და თუ ქუეყანამან მოკლას ხევისბერი, განმგებლის სიკუდილის სწორი პატიჟი, ბეგარი და სისხლი დაეურეოს და დაედვას ბეგარი საუკუნოდ.

9. და თუ ხევისბერის განაყოფი და მისი გუარის კაცი მოკლას ვინმე, - თუ ძმაც იყოს ანუ სხუა რა გინდა რა მეყვისი იყოს, ხევისბერის მოახლე იყოს განაყოფი, - განაყოფისა კაცისათვის სამი ათასი თეთრი სისხლის ფასად მისცეს და ორს წელიწადს განეძოს და მამული სასეფეოდ დაედვას.

ორს წელიწადს უკან იურვოს ერისთვისა და განმგებლის პირით, იმავე ვეზირთა საურავითა და წესითა დარბაზისათა, მამინდა მამული ებოძოს.

10. ხევისბერის მეყვისისა და მისის მოახლის სისხლისა და მისის განაყოფისა სისხლი, ასეთისა რომე არა ეახლოს, ამად არა სწორად დაედევდით, რომე ხევისბერს დარბაზით ლამქართ თავადობა ჰბოძებია და იგინი მისნი მოახლენი [V] იქმნებიან და საბაგიონი, და მისნი მოახლენიცა, ამად რომე დარბაზით დაყენებულს ხევისბერს ახლავან, თუარა განაყოფი არიან. მის განაყოფს ხევისბერის მოახლისა სისხლის სწორი არ მართებს, ამად მისი სისხლი გაუნახევრეთ.

პეროვანთა ასრე გავაჩინეთ:

11. ვინც პეროვანი კაცი მოკლას პეროვანმანვე კაცმან, სამს წლამდის გარდაიხუწოს და სისხლი ორასი დრაკანი დაეურეოს ათას ორასი თეთრი* – და მამული სასეფოდ დაეღვას.

და თუ დარბაზისა ცნობასა ღირს იყოს იგი პეროვანი, თეით იმავე ზემოთ განაჩენით [მუხ. 6] დარბაზს იკითხონ ერისთავმან და განმგებელმან და აგრევე უბოძონ მამული.

და თუ დარბაზს არა ღირს იყოს ცნობასა, თეით ერისთავმან და განმგებელმან შეუშვან და მისცენ მამული.

12. თუ ხევისბერმან მოკლას პეროვანი მამულის ნდომისათვის, ერთს წელიწადს მამულისაგან განიძოს.

და თუ ეუათერაკოს, დაიურეოს ისრე ვით ზემოთ გაგვიჩენია [მუხ. 11].

[ციხისთავთა ასრე გავაჩინეთ:]

13. ციხისთავნი ხადას ორნი იყვნენ. წესი ასრე არის, რომე ხადელთ თუ ვინმე მოკლას ციხისთავი, ხევისბერმან ანუ სხუამან ვინმე, ესრეთ რომ ციხისთავად იღგეს ბრძანებით და არა გარდადგომილ იყოს, სამს წელიწადს მამულისაგან განიძოს და მამული სასეფოდ დაეჭიროს, და სამი ათას ხუთასი თეთრი სისხლად დაეურეოს. სამს წელიწადს უკანით შემოიშვას და მამული ებოძოს იმ ზემოთ წესითა და განაჩენითა [მუხ. 6].

[248] 14. თუ უციხისთაო ხადელი კაცი მოკლას ვინმე, თუ ციხისთავადაც დგომილიყოს, დაეგდოს და აღარ იყოს ციხისთავად, პეროვანის სისხლი დაეურეოს და მამულისაგან განეძოს ეზომსა ხანსა, ვითა ზემოთ პეროენისათვის გაგვიჩენია, იმავე წესით შემოუშვას [მუხ. 11].

და თუ ციხისთავის ძმა ანუ შვილი ვინმე მოკლას, პეროენის სისხლით დაიურეოს.

[დედ-მამათა და ძმათა სიკუდილისა ასრე გავაჩინეთ:]

15. დედ-მამათა სიკუდილი შვილისაგან უწესო არის, და ღმერთმან ნუ იყოფინოს ამის კადრება.

და თუ ვის ღმერთი შერისხღეს და დაემართოს, რაც უარესია ყველას დამართება და ყოფა: პირიანი გაპატიჟება, გაძება მეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოფხურა და აღმოწყუეტა.

სისხლი გაჩენით ამად არა მეეკუეთეთ, რომე უსახო და უმსგავსო იყო და უწესო, და სხუათაგან სასახოდ დაიღებოდა.

და არცა ეს წესია, რომე დედ-მამათა სიკუდილისათვის არ გინდ რა საათ დაუამოს შვილთა კაცმან; და რაზომიცა კაცი შვილთა თანა აღგეს მამა-დედათა სიკუდილს, იგიცა ამავე პატიჟითა იკითხოს.

და სისხლი ამად არ გავაჩინეთ: ამავე ჩუენთა ქამთა მიგან არა ქნილა და ღმერთმან ნუცა იყოფინოს!

16. თუ მამა დაუბერდეს და შვილი მოსწიფოდეს და მამას სამსახური არ შეეძლოს, უპრიანია ერთგან ყოფნა.

და თუ რადმე ვერ იქნებოდენ და ნასყიდი ეყოფოდეს, მამამ ნასყიდი დაიჭიროს და შვილმან მამულით გუმსახუროს.

და თუ მამას ნასყიდი არ ეყოფოდეს, მამულისაგანც დაიზიაროს; და შვილთან [V] ნების მყოფელი იყოს, ნასყიდიც შვილს დაუგდოს.

და თუ არ ნების მყოფელი იყოს, ნასყიდში არა ხელი აქუს შვილსა. თუ უნდა, მამა გაყიდის, და თუ უნდა, მონასყიდე მეიგანს, - რასაც უშამს, მამამ იცის, შვილი ნასყიდს ვერ ეცილოს.

17. ვისაც ღმერთი შერისხღეს და ძმამ ძმა მოკლას, იგი მკულელი ათს წელიწადს მამულიდამ გაიძოს და მამული სასეფოდ დაიღვას.

და მეათეს წელიწადს ერისთავსა და განმგებელს შემოეხუეწოს, მათ ევეზირთ მოახსენონ, ევეზირთ დარბაზს კაცდრონ და ესეთი შემოუშვან. რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წესით სისხლი დაეურეოს და მამული ებოძოს.

და თუ მის მოკლულის კაცის შვილი არ დარჩეს, არც მისი მოახლე გაუყოფელი, მან ძმამ ძმის სისხლისათვის ნახევარი მამული მისის სულისათვის წააგოს და ნახევარი სასეფოდ დაიღვას, და იგი ნახევარი სისხლი, მისის სულისათვის გაჩენილი, მას მიეცეს, ვინც მისი მეყვისი დარჩეს სულისათვის სასაურვოდ.

და თუ არავინ დარჩეს, ერისთავმან და განმგებელმან წაუგონ მის ქუეყნის ხუცესთა და კაცთა ხელითა.

18. და თუ ოთხნი-ხუთნი ძმანი იყვნენ და რაზომცა გაყოფით იყვნენ, მოახლემ აღიღოს და მოახმაროს მისსა სულსა.

და თუ ამ მოკლულის კაცის ცოლი დარჩეს და არ გათხოვდებოდეს, მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაპყრო მიეცეს ძალისა მსგავსად.

და თუ დარბაზის ცნობას ღირს იყვნენ, დარბაზს იკითხონ და დარბაზით გაეჩინოს.

და თუ არ ღირს იყვნენ, ერისთავმან და განმგებელმან გაუჩინონ და სისხლისაგანაც მიეცეს და ათისაგანაც ერთი

[249] სალაშქროს საქმე ასრე გავაჩინეთ:

19. რომელიც ქუეყანა და თემი აწვიენეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ, - ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან და რაზომცაღა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ მეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფოდ. და თვითო ხარი წაეგუაროს სასეფოდ, და მეორეს წელიწადს მამული ისევე ებოძოს ერისთვისა და განმგებლისაგან საურავითა.

ესე პეროენისა და სოფლიონისა იყოს.

და თუ ხევისბერმან დააკლოს და არ გაყეენს, ხევისბერობა წაელოს და მამული დაეჭიროს, და ერთს წელიწადს უკან მამული ისევ ებოძოს, და ხევისბერობაც ისევ ებოძოს, თუ ნამსახური იყოს და სხუა არა შეეცოდოს რა.

20. ხევისბერი თუ უგემურად* იყოს ლაშქრობის ჟამს, მისი ძმა და მოახლე კაცი წაეიდეს, და ხევისბერს შეენდოს ლაშქარს წაუსელელობა.

[ცოლის დაგდებისა და წაგურისა საქმე ასრე გავაჩინეთ:]

21. კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს ესეთსა, ნახევარი სისხლი დაუურეოს მის დიაცის გუარსა ზედა.

22. კაცმან კაცსა თუ ცოლი წაართუას, იგი ცოლ-წაგურილი კაცი რასაც ეის ემტეროს ერთს წლამდის – დაწეასა, მოგაცებასა, დარბეუასა, - არა მიეფასოს, რა რიგად წაუღოს სისხლის ქნისაგან მეტი.

და ერთს წელიწადს უკან რა ემტერების, იგიც მიეფერების, ნახევარი სისხლის დაურეება მართებს მათს გუარს ზედა ცოლის წაგურისათვის, და სისხლსა მიეფასების. რასაც მოკლავს მტერობასა შიგან ერთსა წლამდის, ისე რომე ქუემო გაგეიჩენია [მუხ. 25 და 29].

[V] 23. კაცმან თუ გეირგეინ-ნაკურთხი ცოლი წაგუაროს, თუ არ შეყროდეს, ნახევარის სისხლით დაიურეოს მათსა გუარსა ზედა.

24. კაცმან თუ ჯუარ-გაცულილი ცოლი წაგუაროს, სისხლის მეექუსედი დაიურეოს მათსა გუარსა ზედა*.

25. კაცმან თუ კაცს ცოლი წაგუაროს, იგი ცოლ-წაგურილი კაცი რასაც ემტეროს, ზემოთ გაჩენილია [მუხ. 22].

და თუ დაესხას, ასეთი რომე არც შეზავებულ იყვნენ, არც დანდობილ იყვნენ, არც სისხლი აღებულ იყოს, დამსხმელი არ იქნების, არც მოიკულევის სისხლი.

ორთაეე მკეხველად მიეიდეს და შემოებას, და ესეთი მოკლან... და წირეისა კათალიკოზმან და ებისკოპოზთ გაუჩინონ**.

და თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაცისა სისხლი.

და თუ უბრალო მოკლან, ორი სისხლი დაიურეონ დიაცისათეის. და გერში ყუელასი სწორე არის: მონაზონთა, ხუცესთა – დიაცისა მწირეელისა.

და თუ არ-მწირეელია, არ შემოეა ორ სისხლად და სისხლიც სწორეა.

მონაზონთა, მწირეელთა ხუცესთა და დეღათა ორკეცი სისხლი არის.

უბრალოდ დაემართოს და მოკუდეს ანუ დაიკოდნენ, მისის გუარის წესით დაიურეოს.

შუად მონაზონი ანუ მწირეელი ხუცესი, ანუ დიაცი მიეიდეს, ეს [250]რეთ რომე აბჯარი არა ჰქონდეს, და ასეთი მოკლან, ეინც მოკლას, ორკეცი სისხლი დაიურეოს მისსა გუარსა ზედა.

[ციხის დაქცევისა საქმე ასრე გავაჩინეთ:]

26. დარბაზით უბრძანებლად ვისცა ციხე დაუქციონ, - ანუ ხევისბერმან კაცმან, ანუ ქუეყანამან ქუეყანასა, ანუ სწორმან სწორსა, და ვის გინდა დაექციოს, - და ამათის მტერობისათვის დაქცეოდეს და ამათ შუა სხუა რაც სასაქმო იყოს, ვითა გაგეიჩენია, აგრე გარდასწყდეს და ციხის დაქცევისათვის დაიურვონ ნახევარი სისხლი, რასაც გუარისა არის და რასაც გუარის ციხის პატრონი იყოს, მისსა გუარსა ზედა და ციხე აგრევე ააგოს დამქცეველმან.

და თუ ბრძანება ჰქონდეს და ბრძანებით დაექციოს, და თავით გარდახდეს, არას ემართლებიან.

[ბეითალმანისა საქმე ასრე გავაჩინეთ:]

27. ბეითალმანად რაც პარგახტი და მამული დარჩეს, რომე მემამულე აღარ მიაჩნდეს, თუ მისის გუარის კაცნი გამოჩნდნენ ერთგუარნი, და რომელნიმე უფროსნი მეყვისნი და მოსამართლენი იყვნენ, ჭირსა და ლხინსა უფრო თანამდგომნი ყოფილ იყვნენ, მათ ებოძოს, ასრე რომე საჯარო და სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანასა.

და თუ მათის გუარისა აღარა დარჩეს რა კაცი, ამაევე საჯარო ბეგარი სალაშქროდ ეინცღა მეიწყნაროს, და ღირს იყვნენ ბოძებასა, დარბაზით ებოძოს.

და თუ დარბაზით მისისა ბოძებისა ულირსი იყოს, ერისთავმან და განმგებელმან მისცენ, და აგრევე მებეგრედ და მოსამსახურედ იყვნენ.

დამსხმელისა ასრე გავაჩინეთ:

28. კაცსა ვისმე სხუას კაცთანა საქმე ედგას და მიეიდეს იგი მოსაქმე კაცი და მას კაცს სამართალი სთხოოს და არ გამოჰყვეს, [V] და მერმე მოვიდეს იგი კაცი და განმგებელს ეუბნას: ამ კაცთან სამართალი მიც, ესთხოვე და არ გამომყვა.

ესე საქმე ერისთავსა მოახსენონ განმგებელმან და მან კაცმან. ორჯერ-სამჯერ გამოიწვიოს სამართალსა, თუ არ გამოჰყვებოდეს არც ერისთვის სიტყვითა და არც განმგებლისათა, და მოწმობდენ მართლად, უთნეველ და უქრთამოდ.

თუ სამჯერ სამართალი ითხოვა და არ გამოყოლოდეს, ისეთი კაცი თუ კაცს დაესხას, რაც რომლისა მოკუდეს ან დაიკიდოს, სისხლი და გერში ორთავე სწორია – ზედა-დამსხმელისა და შინა-მყოფისა, ამისთვის რომე სამართალს სამჯერ აწვია და არ გამოჰყვა. ერისთავი და განმგებელი მოწმობენ, მათი კაცი მოსრულა და არ გამოჰყოლია სასამართლოდ, ამისთვის დამსხმელისა და შინა-მყოფისა სისხლი გასწორდების თავის გუარსა ზედა, რასაც გუარის კაცნი იყვნენ.

ესეთი კაცი კაცს დაესხას, რომე საქმესა დარბაზისასა იმიზეზებდეს უკანის და პირველ ერისთვისა და განმგებლის სიტყვით და მოწმობით სამჯერ სამართალს ეწვიოს, და ესეთს უბრალოსა ზედა დაესხას, დამსხმელისა სისხლი არ არის, რამომიცა მოკუდეს, ყუელა გაეუღდების.

და მას კაცსა და ქუეყანას, რომელსაც ზედა დაესხმის, ყუელას სისხლი მართალია, რაზომიც უბრალო დამსხმელმან კაცმან მოკლას, ყუელა დაიურვოს თავის გუარსა ზედა.

29. თუ კაცსა ცოლი წაგუაროს და ანუ მოკლას რა უბრალო ასეთი და იგი კაცი დაესხას ზედა, მის მომკულელისა და ცოლის წამგურელისა კაცისა დასხმისათვის და[251]მსხმელი არა ჰქვიან.

[უარშანგობისა საქმე ამ წესით გაგეიჩენია:]

30. მამულისა ანუ სხვისა რისამე ესე არის: ვისიც თორმეტი ათასი თეთრია სისხლის ფასი, მას ერთის უარშანგობა – სამასი თეთრი არის.

აბნაურთა, ხევისბერთა – ასორმოცდაათი თეთრი არის ერთი უარშანგობა; პეროვანთა–ოცდაათი თეთრი.

და ამ წესით გაგეიჩენია: ვისიც სისხლი უფროსი იყოს ანუ უმცრო, უარშანგობაც ამ გაჩენით იყოს.

გერმის საქმე ასრე იქმნას:

31. ვისცა პირსა ზედა გერმი აჩნდეს საღაღედ და ანუ ცხეირნი მოეკუეთნეს, სისხლის მეხუთედი დაეურეოს, რასაც გუარის კაცი იყოს.

თუ გერმი საღ საჩინოდ იყოს, ასრე რომე არ დაშავდებოდეს და დააჩნდეს, სამი უარზანგობა დაეურეოს და დასტაქართა წამლის ფასი.

ასოთ საქმე ასრე გავაჩინეთ:

32. მარჯუენა ხელი ვისაც მოეკუეთოს ანუ დაუშავდეს დაკოდილობითა, სისხლის მესამედით დაიურეოს.

33. კაცსა, თუ ლაყოჩა იყოს და მარცხენას ხელს მარჯუენად იხმარებდეს, მარჯუენის ხელის სისხლი დაეურეოს.

34. კაცსა თუ თუალი წამოეარდეს ანუ ფერხი დაუშავდეს, ანუ მოეკუეთოს, სისხლის მეოთხედი დაეურეოს.

35. ერთს ომში ერთს კაცსა ორივ ხელი დაუშავდეს ანუ ფერხნი, გინა თუალნი წაუხდეს, ექუსთა ასოთაგან ორი ასო ერთგან დაუშავდეს, სისხლის ნახევარი დაეურეოს მისსა გუარსა ზედა და დასტაქართა წამლის ფასი რაც გასელოდეს.

და [V] თუ თვითოს ომსა მიგან თვითო დაუშავდეს და არ ერთგან ორი, ისრეეე ქნას, ვითა ზემოთ გაგვიჩენია [მუხ. 32].

36. კაცმან თუ კაცს ცერი მოჰკუეთოს, ანუ დაუშავდეს ხელის განაჩენით – ნახევრის სისხლით დაიურეოს, - ხელის მარჯუენა იყოს თუ მარცხენა – მისის განაჩენით. და სხუა რომელიც თითი მოეკუეთოს და ანუ დაუშავდეს, ხელის მესამედი სისხლი დაუურეოს.

37. საღაც კაცი დაიკოდოს, ასრე რომე არა ჩანდეს ტანისამოსისაგან, არცა რა დაუშავდეს, თვითოს დაკოდილობისათვის თვითო უარზანგობით დაიურეოს თავის გუარსა ზედა და, დასტაქართა წამლის ფასი რაც გასელოდეს ისიც მისცეს.

38. კაცმან თუ კაცს კბილი ჩააგდებინოს, ოთხთა ზემოთ წინათ, ოთხთა ქუემოთ საჩინოთა კბილთა ჩაყრევინებისათვის თვითოს კბილისათვის ოროლი უარზანგობა დაიურეოს თავის წესსა და გუარსა ზედა.

39. ამ ოთხთა კბილთა იქით სხუათა უჩინართა ჩაყრევინებისათვის თვითოს კბილისათვის თვითო უარზანგობა დაიურეოს.

[ასაბიათა საქმე ასრე იქმნას:]

40. ვისცა ასაბია ეახლოს და მოკუდეს ანუ დაიკოდოს, მის მომკველის კაცისაგან არც სისხლი დაეურეოს და არც გერმი მიეცეს.

და ვისიც ასაბია ყოფილა, მათი საქმე ასრე იქმნას: თუ მათ შუა ამისი პირი იდვა, რომე ერთმანეთის ასაბიანი იყუნენ და დაიხოცებოდნენ, უღირდეს სიკუდილი და გაუყრ[252]ელობა, თვით მათ იციან, შესწორებული საქმე არის.

და თუ რადმე გაიყრებოდენ და მოყუარენი აღარ იყუნენ, მის მომკუდრის კაცის სისხლისათვის, - თუ მის ასაბიეთ წამყვანელის კაცის სახლის კაცი პირველ არ მომკუდარიყოს და ესრეთ ესაბიოს, - სისხლის დაურვება მის გუარსა ზედა.

და მას რბევასა შიგან ოდეს იგი მოასაბიე მომკუდარიყოს, მისის სახლის კაცთა და მისთა ყმათა სანიეთო რა ეშოვნოს, ასეთი რომე კარგი იყოს რა, სისხლთა შიგან მიეფასოს. ამისათვის მას სისხლსა დაუურვებს, და ვინც მორბეულა, მას უზღაეს.

და თუ სანიეთო არ იყოს, ნურა მიეფასების რა.

41. ლომისისა ვინც გლეხი მოკლას თუ მეფეთაგან მეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურეოს.

თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა, ამიერი ხადა-ცხაოგის მიმდგომი არის, და აგრევე გაჩენით იყოს.

42. ამიერნი ხევისბერნი და პეროვანნი იმიერთ ნუოდეს მიუდგებიან, ნუცა სალაშქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა თავის-თავისასა საერისთოსაგან კიდე.

და რომელიც მიუდგეს, - თუ უნდა იმიერი ამიერსა ანუ ამიერი იმიერსა, - დარბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოს.

43. ვინც რა ვინ მოიპაროს – ცხენი, ცხუარი, ბროხა ანუ სასაქონლო რამე, ანუ სახლი გატეხონ და წაიღონ რამე, - და უკან [V] წაუდგნენ და მიეწიენენ, და მეკობრენი შემოებნენ, და მეკობრე რაზომიცა მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყუელასი.

და ნაპარევისათვის ერთი თეით იგი თაეადი დაუურეონ და ორი სხუა, - თაეითურთ სამი შეიქმნას.

და საქონლის პატრონი თუ მოკლან ანუ მისი მოახლე უკან მდევარი, რაზომიცა მოკუდენ, სისხლი სრული დაუურეონ.

და ნაპარეეი ყუელა ამ განაჩენით იმღეეოდეს: ერთი – თეით რაც წარპხდომოდეს და ორი სხუა.

44. კაცსა რომ მოეპაროს ვისგან რამე და მას ჯამსა ვერა შეიგნონ რა და უკანის შეამცნიონ ნაპარეეი და გამოჩნდეს მართლად, მიეიდნენ და სთხოონ, ქუეყანა იყოს მეკობრე თუ ერთი კაცი.

და როდისაც მიეიდეს საქონლის პატრონი და სთხოოს, იგი უმართლე არის, და მისცენ იმ ზემოთის განაჩენითა [მუხ. 43], კარგად გარდაუხადოს.

და თუ არ მისცენ, განმგებელსა და მის ქუეყნის ხეეისბერს აცნობონ, მათ უთხრან და დაუურეებინონ ამაეე განაჩენითა [მუხ. 43].

და თუ არც ამათის სიტყეით გამოერთეას და ეთხოოს ორჯერ, სამჯერ, საღაც ახლოს ერისთაეი იყოს, მასცა აცნობონ. და თუ არც მან დაუურეებინოს და ეს საქონლის პატრონი შედ დაესხას მას მეკობრესა, დამსხმელი არა პქეიან.

და რაც პირად მეკობრეთ ანუ მისთა ასაბიათა და შემომბმელთა მეკობრესთან მოკუდეს, სისხლი ნუ ეგღეეეის მათი.

და რაზომიც საქონლის პაგრონისა მოკუდეს, ყუელასი სისხლი დაიურეონ, ამისთეის რომე მეკობრეთდა უთხოენია, - განმგებელი და ხეეისბერნი მოწ[253]მობენ, არ მოცემიაო, - ორჯერ, სამჯერ. მისთეის მათი სისხლი გაცუდდების.

ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ:

45. ·სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად, ·რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია, და სარგებელი არის უწესო.

და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე აეი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს ათსა თეთრსა ზედა ორი თეთრი მიეცეს, რაზომი დიდი ხანი დაყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად. და თუ დია რათმე აეი კაცი არ არის არც ამის აღება მართებს.

სამართალი ესრეთ ყონ ყოველ

სამართალი
ბაგონიშეილის ეახტანგისა

(ნაწყეეტი)

შესაეალი

ქ. მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა დამაარსისა მქები, არათუ ღირსად და მეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ ვიქმენ.

ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრეველნი ხელთა მარგალიტთა მიხა, და პპოებენ მძიეთა რათამე, და უხილველობისათვის აღიღებენ და მთასდებენ საუნჯედ, პაგიოსანთა შემკობით უპაგიოსნედ მარგალიტთა პყოფენ, ეგრეთეე უფალმან ჩეენმან, მბადმან ყოველთამან და სიბრძნით გამგებელმან, მპოვა მარგალიტთა მინა მრაეალთა და აღმიღო მსგაესად ხმისა ამის მეცა ეგრეთვე, - უმცირეს ეიყაე მე ძმათა ჩემთა შორის და უმრწემეს სახლისა ჩემისა, და ემწყსიდი თაესა ჩემსა უგუნურად და თაეხედად, ხელნი ჩემნი იყუნენ მოქმედ არარის კეთილისა, და თითნი ჩემნი ეერა რომელსა იშრომებდენ ნებასა უფლისასა, არამედ იყუნენ უქმ. ვინმე მიუთხრა ესოდენი ბოროტნი ჩემნი უფალსა ჩემსა.

ხოლო თავადმან უფალმან გამოაელინა პირითა უტყუელითა ბძანება, ცოდეილთა მოწყალება, და აღმიღო მე უნარჩეესობასა სახლისა ჩემისაგან და მყო მე მსაჯულად და განმგედ წილხდომილთა ქუეყანათა უბიწოდ მმობელისა დედისა თეისისა არათუ ქმნილებათა

რათამე კეთილთა ჩემთათვის, არამედ უნარჩევესობასა ჩემისათვის, ამისთვისმცა, რათა ჰსც[278რ]ნან ყოველთა, რათა უსწავლელთა და აუმეცართაგან სთნაეს და ნებაეს სრულმყოფელსა ღმერთსა მარადის გონებაკეთილისა.

იყო ქუეყანა ესე ქართლისა ყოველითურთ კეთილითა შემკულ და მეზაველ, ხოლო ცვალებითა დღეთა და ეიტარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ეიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ეიეთნიმე მორიდებით, ეიეთნიმე ღმრთის ურიდეელობით და ეიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, - ეითარცა ენებათ, სჯიდენ.

ხოლო ჩუენ, ნებითა ღუთისათა და წყალობითა დიდის ხელმწიფისათა, პირეელითგანეე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთნილისა და აწ სასუფეელ ცათა შინა სულბრწყინულად მანათობელისა, პირეელ ეახტანგ წოდებულისა, ხოლო შემდგომად სპარსთა ენითა მაჰნაუაზ ხმობილისა,

ძისა მისისა, სრულიად ქება-შემსგავსებით ძნიად მისათხრობელისა ქართველთა მეფისა და ერანელთა სფადარ-სპასალარისა, ამილბარ-სპასპეტისა, უთვალაეისა და უამრავის სპისა და ღამჭრის მეწინააეღ ჩენილისა, უენებლად და მგერმე ძლეეით მაარებელისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეელარბეგისა, გირიმქისა და პაილათის მჭირავისა, ძლიერისა და უძლეეელისა, პირეელ გიორგი წოდებულისა და აწ მაღლის ხელმწიფისაგან წყალობით მეორე მაჰნა[279რ]ეაზობით ხმობილისა.

მაგიერად მყოფმან, ძემან ერანის მდიანბეგის ლევან ხმობილისა, აწ მაჰ-ყულიხან წოდებულისამან, საქართველოს ჯანიშინმან და განმგებელმან ბატონიმეილმან პატრონმან ეახტანგ, წინათქმულთა ამისთვის ეიწადეთ სასამართლოსა წიგნისა აღწერა.

პირეელ „დაბადებისა", მოსეს მიერ ქმნილი სამართალნი, და კეალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განწინებული სამართლები შეეკრიბეთ და ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამცნოსთ.

ხოლო ესეცა სცანთ, იგულეთ და იგულისმოდგინეთ, და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ*, მით სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ.

აწ ვიწყოთ განაჩენისა ამის, ჩენ მიერ აღწერილისათვის.

რომელნი იხილავთ და ისმენთ, ნურაეინ ჰგონებთ, თეით მხოლოდ თავით თვისით რასამე უყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმეობითა მღედელთ-მთავრისა და დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კეართსა ზედან საუფლისა სეეგისა, ღეთიე აღმართებულისა და მირონ-აღმოცენებულის, საჭედ-მპყრობელისა და ხარისხსა ზედან მტკიცედ მდგომელისა, ძმისა ჩენისა, ბატონიმეილის კათალიკოზის ღმენტგისითა,

ეგრეთვე თანადგომითა არაგეის ერისთეისშეილის მთაეარებისკოპო[279V]ზის გრიგოლითი და სხეათა მიტრაპოლიტ-ებისკოპოზ-წინამძღვართა და სამღრთოგანთათა,

და მოწმეობითა და თანაბრახეითა მუხრანის ბაგონის ერეკლეთი, არაგეის ერისთაეის გიორგითა, ქსნის ერისთეის დაეითისითა, ორბელიძე სარდრის ლუარსაბითა, ამილახორის აეთანდილითა, მდივანბეგის ერასტითა და სხეათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩენთათა,

და კითხეითა ჭკუათა მყოფეთა და მოხუცებულთა კაცთათა გაეაჩინეთ და დაეწერეთ, რომელსა მიეწედით და ანუ გონებანი ჩენენი სამართალთა მიხუდნენ.

ამით უფრო ეიქმენით მიზეზ წიგნისა ამის, რამეთუ აღარაეინ განდრიკოს სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყუსობით ანუ სხეეერიე რითმე მიდგომითა, არამედ პირეელ განაჩენნი იხილონ, და ახალი ესეცა, და რომელიც ენებოს მოსამართლესა, მით იქმოდეს სამართალსა.

მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია და არცა ეიჩემებ, რომე არა აკლდეს რა. ბევრი ასეთი საჩიერები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოეიგონებ და არც მისწუდების კაცის გონება.

ეინც მიხუდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქს.

[კარი სამართლის ქმნისა]

1. ჯერ ეს გკადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს

სამართალში მჯდომს კაცსა, ეს იცოდეთ, დამარხეთ გუნებაში გქონდესთ, [280რ] რომე ღმერთი, ყოელის დამბადებელი, თქეენგან სამართლის უფროს არას ითხოეს და რისხეაცა უსამართლობით მოიელინების, თორემ ეისაც გეპრიანებოდესთ, წერილნი ნახეთ და მაშინ სცნობთ.

უსამართლობა ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოპფხურის და გარდაეალინებს, დღეთისგრძეობასა მოუკლებს, ქეეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქეეყანა – ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხენენ და იმ სოფელს წასწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკეიდრებს.

ესენი ყველანეა უსამართლობისაგან გამოელენ, და სამართლის ქნა მეფესა და მსაჯულს ამ ყოველ ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განსდეენის.

2. საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ნებისაებრ თვისისად ბძანებულან, და ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ

სახელი მეფე რქმევია, თორემ მართებული არა უქნეინებიათ რა, როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ. ამისი მომსწრები თვითონ მეცა ვარ, და სხვანი მრავალნი ხნით ჩემსა უფროსნი არიან და ისინიც ამგვარს ბეერს შეესწრებოდენ.

აწ ამისთვის ვიწყოთ. თუ მეფეს მეფობა შეეძლოს – ქნას; თუ არა, - სახელი და საუკუნო უნდოდეს, შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ხელის აღება,

თუ ერანის ხელმწიფის ყე[280V]ნით იყოს ერთი რამ საქმე, რომე უმისოდ ვერ იქმოდეს, და თუ ქნას, ის იწყენდეს, იმისი საქმე სხვა არის. კანონი ხომ აქვს, რომე კაცმან სწორე სამართალი ვერა ქნას, მაგრამე იმას არა გაეწყობის რა.

და მეფეს სხვა დროს ასეთი შეხვედეს, რომე ყმათაგან ვერ იქმოდეს, - ან ხელი აიღოს და არა, თუ სოფლის ნიეთით შემსჭვალეით ხელი ვერ აიღოს, თვითან სამართალში ნუ დაუჯდების, ოთხი იყოს თუ მეტ-ნაკლები, დიდებული გამოარჩიოს და იმათ სამართლონ ქუეყანა. და მეფე ღმერთს, - ეხვეწოს, უბრალო იქნების. მათ იციან დამათმან სულმან და მან საუკუნომან.

3. პირველ ესე, რომე მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხედარი, გამომეძიებელი, გონება-აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩიერის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, მოჩიერის მოადის მომცდელი და სხეისაც მკითხველი, თუ ამისი სამართალი თქუენგან როგორ ისინჯვის, მოწმის მაძებარი უნდა იყოს, უქრთამო, ღეთის მოშიში.

თუ მოსამართლე სამართალში სხვას რასმე საქმობს და მოჩიერის საჩივარს ყურს არ უგდებს ან საჩივარში ჯაერობს და მოჩივარს უწყრების, იმასაც საჩიევრს დააკარგვინებს და ეერცა რას თვითონ მიხვდების, და უსამართლო მოუა.

იქნების მის ალაგს ჯაერიც უნდოდეს ან ქურდსა, ან ავაზაკსა, [281რ] ან ტყუილის მთხრობელს, ან ტყუილს მოწამეს, - ბაეთი აჩუენოს, რომე მით გასტეხოს, ან ტყუილი არ ათქმეეინოს.

მარტო მოჩიევრს სამართალი არ უნდა უყოს, მეორეც დაიბაროს და ორნიე ერთად ალაპარაკოს. მოწმით, კითხეით და გამოძიებით მათის საჩიერის მართლად შეტყობას ეცადოს. არც ფიცსლავ სამართალი ქნას – უნდა ორჯელ, სამჯერ, ხან ერთად და ხან ცალ-ცალკე, ალაპარაკოს.

თუ გრძელი და დიდი რამ საჩიევარი იყოს, ორისავე სიტყეა მდიევანმა დაწეროს, რომე არ დააეიწყდესთ; და მერმე ცალკე გასინჯონ.

ეცადნენ მართლის მეტყობასა და უფიცრად მათს გარიგებასა.

და თუ არ იქნას და უჯეროდ არ მოხდეს, მერმე ეს, რომელიც აჯაები და სამართლები დაგეიწერია, ვის საჩივარს რომელი აჯა შეეფერებოდეს, ის დასდეან და იმით გააგანინონ.

მაგრამე მოსამართლე თუ ან ქრთამითა, ან მოყუსობით, ან მუსაიბობით, გინა შიშით ანუ თუ სიყუარულით და ანუ მგერობით ერთს მეორეე მიუდგა, არ იქნების და არც სამართალი მოხდების.

არც მტყუანსა და არც მართალზე ქრთამი არ არის, და არც უნდა მოსამართლემ ინდომოს და აიღოს, თორემ ძნელი ტეირთი დაუე აღსაკიდებელად ბეჭთა თეისთათვის.

4. უფროსიერთს სამართალს გაგზავნილი მოსაქმე გაამრუდებინებს მოსამართლეს, ამიტომ რომე, ერთს მეორეში მიხდომა ან სამი[281V]ლერის ცილება რომ გარდეკიდებათ, თავი მოსამართლე, მდიევანბეგი, ხომ ვერ წაეა, იასაულს გაგზავნიან, გასინჯე, მოკითხული ქნო და მართალი ამბავი მოგეიტანეო. თუ იმ იასაულმა ღმერთი გმო და ქრთამით მოსამართლეს მრუდი ამბავი მოუტანა, მოსამართლემ რ ქნას!

მაგრამე ასრე უნდა: მდიევანბეგს, გინა სხვას მოსამართლეს, ამგვარის საქმისათვის სხვაგვარი ჭკუის მყოფელი, უქრთამო, მართლის მთქმელი, სამართალზე ცნობილი იასაული ჰყუანდეს და ის გაგზავნოს; და დამბარებელი და გაწყრომაზე დასაჭერელად გასაგზავნი იასაული სხეა უნდა ყუანდეს და იმას გაგზავნიდეს.

5. სამართალში თუ უფროსმა მოსამართლემ და მსაჯულმან არა კითხოს, რაგინდ უფროსი და ჭკუის მყოფელი კაცი იყოს და იქ იჯდეს, სამართალი არ უნდა თქუას, არც უნდა რომელსამე მოეხმაროს; და როდესაც მსაჯულმან კითხოს, ღეთის წინაშე რასაც მიხუდეს, სწორე და მართალი უნდა თქუას და არ დაბოგოს.

[რიგი და სამართალი თაეის მართლებისა]

6. საქართველოს რიგი და სამართალი ექუსი არის, რომე ამითი თაეი ემართლების: პირეელი – ფიცი, მეორე – მანთი, მესამე – მდუღარე, მეოთხე – ხმალი, მეხუთე –მოწამე, მეექვსე – ცოლეის მოკიდება.

ამათ თვითოსა და თვითოს სხვადასხვა საზღუარი აქუს, თუ რომელი რომე[282რ]ლს საქმეედ უნდა დაედვას. და ქნით როგორ უნდა ქნას, თვითეულადაც გამცნებს

[ხმალში გატანება ამ წესით უნდა]

7. ხმალში გატანება მეფეთ ორგულობასა, ღალატზედ, მეფის სალაროს გატეხაზედ, ხატისა და საყდრის გატეხაზედ და მსგავს ამათებრზე ამ წესით უნდა, რომე ან ორმოცსა და ან ნაკლებს ღღემდინ ალოცონ და თვითო წიგნი დაუწერონ ასე, რომე, სასწორო და სამართალო ღმერთო, მე ესე და ეს კაცი გეკიცები და გეხვეწები, სხვას ჩემს დანაშაულს ღღეს ამაში ნუ მკითხავ, რასაც ეს კაცი მიღებს და მეწამების, თუ იმაში უმართლე ვიყო და არას ვერიო, იმისი თავი მე დამინარჩუნე, თორემ ჩემი თავი იმას დაანარჩუნეო. ამრიგი წიგნები ორთავე უნდა დაუწერონ და ან ყელზე და ან შუბის ბუღესთან შეაბან.

და ის შესაბმელნი კაცნი, როგორც შეეძლოსთ, ისრე შეეკაზმონ. ერთი თავს მოედნისას და ერთი ბოლოს დაღგნენ.

თვითო მემათრახე ჩაატანონ, უიარაღონი, რომე თვითოს ფარისა და მათრახის მეტი იმათ არა იქონიონ რა; რა რომ დაპირდაპირდნენ, გაუშვან და შეუტიონ. მემათრახენი არ უნდა მიეშველნენ, სანამდინ ერთი არ გარდეარდეს.

და რა რომ ერთი და ერთი გარდეარდეს, მაშინ მემათრახენი მიეშველნენ და არ მოაკულევინონ, და მეფეს მოართვან.

და მერმე მეფემ, ვით სამდეს, ეგრეთ ქნას.

მეფე [282V] და ჯარი ამათ გატანებას შორიდამ უნდა უყურებდენ, რომე მოყვრობით ან სხვარიგად არავინ მიეშველოს.

რომელიც გარდეარდების და ან გაიქცევის, ის გამტყუნებული იქნების. იარაღი გარდეარდნილისა გარდამდებისა არის, და ცხენი – მემათრახისა.

ვინ იცის, ორნივ გარდავარდენ, უნდა დაიცალონ, ქვეითათ ერთმანერთზე მიუშვან, და რომელიც წაიქცევს, სამართალი იმას დარჩება.*

[მდუღარე ასრე უნდა]

8. შანთი და მდუღარე ორიე ერთი არის. ამისი ასრე უნდა.

ალოცოს იგი კაცი, რომელსაც შანთი და მდუღარე გაუჩინონ.

მოედანს, გინა სხვას გამოსაჩენს ალაგს საღმე, წყალი ააღუღონ, ბედ ჩხირი გაღეან ქვაბზედა და ძაფით ან რკინისა და ან სპილენძის უნაწილო ჯვარი, რომე სახე არ იყოს გამოყვანილი, გინა ვერცხლისა იყოს, ჩაჰკიდონ.

და რა ადუღდეს წყალი და გადმობრუნდეს, გარდმოიღონ; და მან კაცმან ჩაყოს ხელი სახელსა ზედან ღვთისასა და ის ჯვარი ამოიღოს; მას უკან ფიცხლავე პარკში ხელი ჩაუდევან და დაუბეჭდონ; მესამეს ღღემდინ ისრე იყოს და მერმე გაუხსნან.

თუ არ დასწვია, მართალი არის; და თუ დასწვია, მტყუანი იქნების, და რასაც სწამობენ, გარდაახდევინონ.

შანთი ასრე არის

9. რკინა რამ გაახურონ. რომ გაწითლდეს, იმ მქმნელს კაცს ხელზე ქაღალდი უნდა დააღვან, მერმე შეღ – ის გაწითლებული [283რ] რკინა; და რა რომ დააღვან, მაშინვე სამს წინ უნდა გარდახტეს; და მერმე, გარდამხტალმან, უნდა გარდააგდოს.

თუ არ დასწვა, მართალი არის; და თუ დასწვა, ტყუილად გამოეა, და გარდასახადი გარდაახდევინონ.

ეს შანთი მაშინ აეღებინების, რომე ან ბაგონის ღალატი და ორგულობა, ან საყდრისა და ხატის გატეხა, ან ბოზობა ან მსგავსი რამ ამისი შეეთქვას.

ფიცი ასრე არის

10. ერთის ხარის შეწამებაზე, უმთხრობლოდ რომ შესწამოს, ერთი შეუგდებელი მოწამე არის. და თუ მთხრობლით სწამობს, შეგდებული მოფიცარი უნდა.

აგრევე, რამდენის ხარის საქმე იყოს, იმდენი მოფიცარი შევარდების, თავისი ყადარი, უმტერ-უმოყვრო, მისი გარეშემო, მისის ხეობისა.

თავის ბაგონისა და იმ მფიცებელის ბაგონის ყმას გარდაისად უნდა სხვის ყმა შეაგდოს. იმ შეგდებულში ნახევარი იშოვნოს და ერთი იმდენი შეუგდებელი თან მიიყოლოს.

ხატი, ვინც აფიცებს, იმან იშოვნოს. იმ მოფიცარმან მღდელს ხატი ხელში ჩამოართოს და ასრე უნდა თქვას: „ამისმა მადლმა და ამისმა გამაცხოებელმან ღეთითნ შენ, ამომავალო კაცო,

რასაც მწამობ – სახელდობრივ ჩაიტანოს, - მე იმისი არც მქნელი ვარ და არც არა ვიცი. რა ეს სიტყვა გაათოს, [283V] მოწმე[ე]ბმან უნდა თქვან, მართლა ფიცა, მაგისმა მაღლმანო.

თუ ასრე იფიცა, გამართლებული იქნების იგი კაცი; და თუ ვერ იფიცა, რასაც სწამობს, პასუხი უნდა გასცეს.

მაგრამე ჩვენ ამასავე ვიტყვით, ყოველი მოსამართლე ფიცის მოხდენას ეკრძალოს და სხვარიგად მოჩიერის გარიგებას ეცადოს.

11. აწ ეს უნდა მოსამართლემ იცოდეს, თუ ფიცი რომლისა არის. ვინც შესწამებს ვისმე რასმე, იმ შეწამებულმან კაცმან უნდა დაიფიცოს. ან დღეს ვისაც მამული უჭირაეს და შეეცილების ვინმე, ფიცი, ვისასაც ხელთ მამული არის, მისია. ის ასრე დაიფიცავს: „ეს ადგილი ამ სამძღერამდინ, ამ ალაგამდინ, - სადამდინაც შეუძლია, ჩაიელის, ხაგი ხელთ ეჭირვის, იტყვის, - აქამდის ჩემის ალაგისა ჩემიე იყოს და ტყუილადაც მეცილებოდე".

12. ერთი ესეც, მამულის ცილებაში გარეშე მოფიცარი არ შეევარღების. თუ დიდი რამ მამული არის, თვითან ის საბაგიოს კაცმეილი უნდა აფიცონ; თუ უდაბლე რამ არის, აზნაურშვილი უფიცონ; კიდევ მის უდაბლეზე – მსახური; და მას ქვეითზე – გლეხი.

იქნების, ერთპირ [284r] სოფელიცა აფიცონ. და იქნების, ის აბაგიოს კაცმეილი თაეის მსახურ-აზნაურშვილით და ყმითაც ფიცონ.

მაგრამე მოსამართლისაგან კარგად გასინჯვა უნდა, თუ როგორს ადგილს შესცილებია, რამდენი დღიური არის, ან რამდენი საკომლო არის, - ისრე ასწონოს.

იქნების, დღიურზე ერთი მოფიცარი შეევარღეს, იქნების, ორი დღისაზე ერთი შეევარღეს, იქნების, ოთხის დღისაზე ერთი აფიცონ, - კარგ-აეობაზე ჰკიდია.

ვენახი არის თუ ფუძე ან საწისქვილო, ან საბარე, გამონახვა უნდა, ჯერ ფასი უნდა დააღვან და მერმე ისრე მოფიცარი შეაგდონ.

მოწმით სამართლის ქნა ასრე არის, რომე:

13. მოწამე დიაღ სწამთ და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა, და წმინდა სახარებაც ბძანებს, მაგრამე აქ, ქართლში, უფრო არ განუწესებიათ.

ასრე იციან. კაცმან თუ რასაც საქმეზე ასეთი მოწამე მოიყვანა, რომე იმ მოწამეთ ღეთისა ეშინოდეს, სული იცოდეს, ჭკუა ქონდეს, ან საღმთო კაცი იყოს, ან სიმართლის ხმა ქონდეს დაეარღნილი და კაცისგან სანდო იყოს, უნდა დაუჯერონ. თუ არა, - ერთისა და ორის ამრიგის კაცის დაჯერება არ დაუწესებიათ. და ეს რომ მოეციხსენებია, ამისთანას კაცს დაეჯერების.

და სხვარიგი კაცი თუ არის [284V], ათსა და ოცსა, ან ერთპირ სოფელსა, მოწმობას დაუჯერებენ, თორემ ნაკლებს ძეირად დაუჯერებენ.

ძეძო რომ მოწმ[ე]ების ქება დაგეწერია, იმგვარი კაცი ორიც რომ მოიყვანოს, მოსამართლემ უნდა დაუჯეროს და აღარ აფიცონ.

მაგრამე მოსამართლემ თუ ტყუილი მოწმობა და მთხრობლობა შეაჩნია ვისმე, დიდი ნასაღი უნდა იყოს, რომე სხვამ აღარაეინ მოინდომოს.

ცოლვის მოკიდებისა ასრე არის

14. დიდი საქმე ცოლვით არ გარდასწყდების, ერთის მარჩიელისა ან ცოტა უფროსი, გინდა უმცროსი საქმე უნდა იყოს.

მაგრამ იქნების ასეთი კაცი, რომ იმისგან ცოლვის მოკიდება და სულზე შეევარდნა ბროხაბედაც დაეჯერებოდეს.

და ცოლვის მოკიდება ასრე არის, რომე, ვისაც ამგვარი რამ შეეწამოს, იმ კაცმან ის შემწამებელი კაცი ზურგთ აიკიდოს და ასრე უნდა თქვას: „შენიმც ცოლვა მეორედ მოსელას მემცა მაქვს და შენდა ნაცელადამც მე განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას".

თუ ამრიგად ეს შეიძლო, აღარაეინ რას ემართლების; და თუ ვერ მოიყიდა, რასაც სწამობს, უნდა პასუხი გასცეს.

[ცოლ-ქმართა საქმისა ასრე იქნას]

[296V] 62. თუ კაცმან ცოლი მოკლას უბრალო და გამოჩნდეს, სისხლი, როგორც დაგეწერია, ისრე მისცეს და საკანონოსი კათალიკომმა იცის.

თუ გამოჩენით ქრმისგან სიკუდილი არ იცოდენ და ქალის ძმები ან წამლით, ან მორჩობით, ან იარაღით ქმარს სწამობდენ, ფიცით, მღუღრით ან მანთით თავი გამოიმართლოს.

63. თუ ცოლი დაჭრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს, სისხლი აიღოს და გამოართვას. თუ არ ბოშობისთვის ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ეერ გაეყრებიან.

64. მაგრამ კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიოდ ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეუმე ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მიეპყრას. და კათალიკოზმაც ასრე უყოს.

სხვა ამას გარდა თუ რამ ცოლ-ქმრობაში ურიგო რამ მოხდეს, ის კათალიკოზმან იცის.

65. თუ ცოლმან ქმარი მოკლას ანუ წამლით ანუ, სხვა რითმე, გასინჯეთ, რისთეის მოუკლავს. თუ ასეთი რამ ექნას. რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით; და თუ უბრალო მოკლა, ეგეც თქვენ იცით. ღმერთმა ნუ ქნას, და თუ ჩვენს ჟამში მოხდა, ჩვენ ვიცით.

[297რ] [65.1]. თუ ცოლმან ქმარს ან სცეს, ან დაჭრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან.

66. ცოლი და ქმარი რაგინდ სძულდენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათალიკოზმა წურთნით უნდა მეარიგოს.

67. თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა, გაუშვებს, რომე არცარა ამ სოფელს ეკითხვის და არცარა იმ სოფელსა; და თუ უნდა, არ გაუშვებს, ორიე კაცის ხელთ არის. მაგრამე, თუ გაუშვა, რაც მზითევი მოჰყოლია, ისიცა და ბოზობით შექმნილი შეილიცა თან უნდა გააგანოს.

მაგრამ, თუ ამ მართალს ქმართან შეილი ჰყავს, მზითევი მთლად არ მიეცემის, ამიგომ რომ შეილსაც წილი აქუს, ნახევარი ანუ უმეროსი; ან არა, რამდენიც შეილი ყუანდეს, შეილებსა და დედას თვითო-თვითო წილად მისცენ ყველას სწორედ.

რომელიც მზითევი აჳის ქნამდის თვითან დაუხარჯავს თაჳისის ნებით, იმას ეეღარ ითხოვს.

68. ერთი ესე, რომ ბოზობით შეილი ეყოლების, თუ ის უცხო კაცი იმ გაშვებულს ქალს შეირთავს, ხომ ის შექნილი შეილიც იმისი არის [297V- და არც ქალის პატრონსღა სისხლს მისცემს. და ქმარს კი სისხლი უნდა მისცეს.

და თუ არ შეირთოს, შეილი იმ კაცისა არის, სისხლი მის ქმარს მთელი მისცეს და დედაკაცსაც, ეით დაგვიწერია.

ბოზობით რომ დააგდოს, შეილიც რომ არა ყუანდეს, რაც დაუხარჯავი მზითევი ქონდეს, ის მაშინაც უნდა დაუჭიროს.

69. თუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყუასსა თუ თავის სახლში უმაჭაკლოს და გამოჩნდეს, რასაც გვარისა იყოს ის მაჭაკალი, თაჳისის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს.

თუ ამისი მიცემა არ შეეძლოს მაჭაკალს, მამ ასრე უნდა უყონ: მაჭაკალს ყელზე საბელი უნდა მოაბან და ტიტველი, ყელსაბლიანი, ნიფხვით ოდენ, სოფელი შემოატარონ, - დიდი აუგია.

70. თუ ქალს კაცი გაუამიყდეს და ქალი არ აპყვეს, თუ გინდა გუნებაში შეუვიდეს, და ეს საქმე ქმარმან თუ მამამ და დედამ მის ქალისამ შეუტყონ, ქალს არა გარდახდება რა, და მაჭაკალს ბოზობის მაჭაკლობის ოღენდ გარდახდების კაცისაგან.

[298რ] 71. თუ ერთმან მეორის ცოლს უამიყოს და გამოჩნდეს, რომ მასთან ყოფილიყოს, და დააგდოს მისმან ქმარმან, სრული სისხლი მისცეს.

და [თუ] წაგუაროს, მაშინც მთელი სისხლი მისცეს.

და თუ იმ ქალთან არ ყოფილიყოს და ფიცით თაჳი იმართლოს, და თუ აშიყობა ვერ ფიცოს და თან კი არ ყოფილიყოს, მისთჳის მართლის ბოზობის ნახევარი სისხლი მისცეს.

72. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, მთელი სისხლი მისცეს, და თაჳისი ზითევი უკლებლივ მისცეს.

73. თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს, რასაც გვარისა ის კაცი იყოს, იმგოლი მთელი სისხლი მისცეს, მეტი არ ეთხოვების.

74. დედაკაცი ქრმის დაგდებას არა ღირსა და ნურც პკადრებს. და თუ ღმერთი შერისხღეს და მისის უსირცხვილობით ქნას, რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს.

თუ ქალისათჳის ან სამშობლოს უქნეჳინებია, სისხლი სამშობლომ მისცეს. თუ უბრალო იყოს სამშობლო, და აღარც ქალი შეინახონ, და სამშობლოს სახლს არ ეთხოვების.*

[უფროსი კაცის მოკვლისა ასრე იქნას]

75. თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთნახეკარი სისხლი მისცეს.

თუ მისის პატრონისაგან არ სცო[298V]დნოდეს, ისრე ექნას, მესისხლე კაცი თაჳის ნასყიდის მამულითა, რაც ერგებოდეს, და თაჳის კერძის საქონლით, ცოლშვილით ხელში მისცეს, რაც უნდა, უყოს.

თუ ძმანი და სახლისკაცნი ამ კაცის სიკუდილში და ჩხუბში ერთი რჩევა და ერთი საქმე არა ქონია, იმ მკულელის კაცის მეგს სხვას ძმას არა ნდომია და არ რეჳიან, არცერთი მიუდგება, როგორც დაგვიწერია, ისრე უნდა იქნას. და თუ სხვა ძმანი და სახლის კაცნიც რეულან და ერთად უქნიათ, ისრეე ერთგან პასუხი მისცენ.

[ცოლის წაგერა და დაგდებისა ასრე იქნას]

84. თუ კაცმან ცოლი წაგეაროს კაცსა, ასე რომე დედაკაცი მისის ნებით გაყუეს, იმ დედაკაცის ქმარი რასაც გუარისა იყოს, მისი სისხლის ორი წილი გარდაიხადოს, და რაც პირველის ქმრისა გაეგანოს, ისიც უკლებლივ მისცეს.

თუ რამ თაეისი ზითეეი გაეგანოს, ქმარყოფილი იმას ნუღარ სთხოეს. თუ რამ ზითეეი პირველს ქმართან დარჩომოდეს, ის დედაკაცი ნუღარ ითხოეს, რაგინდ შეილიც არ დარჩომოდეს.

აგრეეე, თუ რამ სამამულე ზითეეი დარჩომოდეს, მისი არის, რომ [300V] პირველს ქმართან შეილი დარჩეს; და თუ არა, სანამდინ სისხლს მისცემდენ, პირველს ქმარს ეჭიროს. რახან სისხლი მისცეს, ის მამული იმ ქალის სამშობლოსი არის, თაეის დას უნდა მისცენ.

85. თუ დედაკაცი ძილად მოიგაეოს და წაიყუანოს, ეს გამოჩენილი შეიქნება, ულამქროდ ეერ წაიყუანს, ეერც დიდი და ეერც ცოგა. მამ, ლამქრით თაეს დასხმა იქნების. იმისი ასრე იქნას.

იმ ქმარყოფილს წამყეანმან ორი [წილი] სისხლი მისცეს, მიხდომისა და ძალად წართმეეისათეის ერთი მთელი სისხლი მისცეს, რომ შეიქნების ყეელათა ერთი მთელი სისხლი, კიდეე მთელის სისხლის ორი წილი.

წანაღებისა ასრე იქნას. წამღებმა, რაც დაიფიცოს, ამის მეგი არ წამიღიაო, ისრეე შემოაქციოს. მზითეეი რაც თან გაპყოლოდეს ან იქ დარჩომოდეს, როგორც დაგეიწერია, ისრე ქნან [იხ. Uხლ.84].

86. თუ კაცმან კაცის ცოლთან ბოზობა შეიმთხეიოს და გამოჩნდეს და მისმან ქმარმან ცოლი დააგდოს, მქნელმან მის პატრონს მთელი სისხლი მისცეს; და თუ არ დააგდოს და ისრეე იცოლოს, ნახეარი სისხლი მისცეს. და თუ მოსგაცოს და წაიყუანოს, მთელი სისხლი მისცეს. მზითეისა, როგორც ზეით სწერია, ისრე უნდა იქნას [იხ. Uხლ. 84].

თუ იმ ქალთან საეოდ არა ყოფილიყოს და ამა თქუას, როგორც დაგეიწერია, ფიცით თაეი იმართლოს.

[301r] 87. დედაკაცმან სხეას დედაკაცს თაეის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი მენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყეისათეის თაეისი ცოლი გაუშეას მამინე, ბოზობისოღენი სისხლი წამძახებლის ქმარმა მისცეს.

და თუ მაინ არ გაუშეას, ცუღის დედაკაცის ნათქუამს სიტყუას არას გამოეკიდოს და თაეის ქმარმან შეუნდოს; და მერმე მას უკან კარგა ხანი გამოეიდეს და მაინდელი წაძახილი ქმარმან ცოლს დააყეედროს და აღარ ინდომოს, უდროოს დროს გამეება იქნება, კაცი ტყუის და ეელარ გაუშეებს.

[მოკელისა საქმე ასრე იქნას]

88. თუ კაცმან მამულის ცილებაში პატრონი მოკლას, გასინჯოს მოსამართლემ, და თუ კაცი ტყუილად მესცილებია და ისრე მოუკლაეს, ერთნახეარი სისხლი მისცეს.

თუ მემცილებელი მოკუდეს, სისხლის ორი წილი მისცეს, ამიგომ რომ სხეის მამულისათეის რატომ შეაკუდა?

თუ მართლა მესცილებია და ისრე მოუკლაეს, სისხლიც მთელი უნდა მისცეს, და რამეღაც მეცილებულან, ის მამულიც იმ მკუდარისა მეიქნების.

აგრეეე სხეას საქონელზე რომ მესცილდენ, მისიც ისრე იქნას. მაგრამე ცოგას საქონელზე და მამულზე კაცმან კაცი არ უნდა მოკლას, და თუ მოკლას, მოსამართლემ უნდა გაუძნელოს.

[301V] 89. თუ ყაზახმან კაცი მოკლას მზირობით და გამოჩნდეს, თუ მეფემ არა უკითხა რა, სამ წილად სისხლი მისცენ. და თუ მზირი მოკლან, მისი სისხლი არ არის.

90. თუ კაცს კაცი დაუჭირაეს და უპატიურად მიპყრობია და ისრე გაუმე[ი]ა ან საუკადრისო რამ უკადრებია და გაუშეია, მერმე იმ ავადმოპყრობილს მომპყრობელი მოუკლაეს, გასინჯეთ, თუ მართალი იყოს, სისხლი შეუფარდეთ და მიაეცმინეთ.

91. თუ კაცს კაცი გაგინებოდეს და მერმე ის გაგინებული კაცი მამკუდარიყოს, მისის სისხლი უფრო სუბუქი იქნების. თუ არადა გინებითაც ეს უწინ გაგინებია და სიკუდილითა თუ დაჭრითაც ამასეე უქნია, მაშინ სისხლი უფრო გაძნელდების.

[91.1] ამ სიკუდილებს რომ ვსწერთ, ღმერთმა ნუ ქნას, ამდენი სიკუდილები მოხდეს, მაგრამე ან დაიჭრას, ან ეცეს, ან უპატიურად მოეპყრან ერთიმეორეს, ყეელა ამაე რიგად უნდა გა[ა]სამართლონ, დიდი – დიდობით, ცოგა – ცოგაობით.

92. თუ ფათერაკად კაცს კაცი შემოაკუდეს ან შემოეჭრას, ან დაშაედეს, რისაც ფათერაკით, რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ იარაღით, [302r] ასე რომ ან ცხენმან თაეი წაართვას და შეეძგეროს, ან გაეარღნამი შეიძგერნენ, ან ნაღირს თუ თოფი ან ისარი შესტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან თამამობაში აწყინოს რამე, ბეევრი ფათერაკი სხეა არის, ამისი ასრე არის.

ცხენისგან მოხდების სიკუდილი თუ იარაღისგან, ის ცხენი, ის მკულელი იარაღი მიეცემის. და იქნების, მკუდარს სამარხი და დაჭრილს სააქიმო გაუჩნდეს.

თუ ნადირს შესტყორცოს და კაცს მოხუდენ ან ფრინველს შესტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან ყაბახს ესროლოს და ისარი კაცს დაეცეს, ამგვარს ყველას ფათერაკი ქვიან.

ყაბახის მსროლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი ამიგომ მიეცემის.

ამაებს მთლად არა, საფათერაკო სისხლი უნდა მისცეს.

93. ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემინების, ამისთვის რომ ის, [რ]ომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რაგომ დალევს იმდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევინებს?

94. თუ კაცს კაცის ვალი ემართოს, მიეიდეს და სთხოვოს, და შუღლი გამოერიოს, და ერთმან მეორე ან მოკლას, ან დაჭრას, ასრე იქნას.

[302V] თუ მოვალემ საქონლის პატრონი მოკლას, ერთი სისხლი და ნახევარი უნდა მისცეს და თავისი ვალიც უკლებლად.

და თუ ის მოვალე საქონლის პატრონს შემოაკუდეს, იმას მთელი სისხლი გამოურთვან და ვალიც სისხლში გაუნგარიშონ.

95. თუ კაცმა თავისი ყმა ან მოკლას, ან გაახეიბროს, თუ დანამაულზედ უქნია, მით ბატონისგან და კათალიკოზისაგან საწყენი არის, ამიგომ რომე უხელმწიფოს კაცს თავისის ყმის სიკუდილი და გახეიბრება არავის ხელეწიფების. რომელიც მაგვარი სასიკუდილო და ან გასახეიბრებელი დანამაული ქონდეს, ხელმწიფეს მოახსენოს და მისის დასტურით უყოს.

და თუ მოუხდეს და ქნას, ყმა ეერას შეუა.

და თუ უბრალოდ მოკლა, გინა ფათერაკად მოსელოდეს, საფათერაკო უნდა მისცეს და წყალობა რამე უყოს.

თუ მართალს დანამაულზედ მოუკლავს და იმ კაცმა კიდეე მისი ყმობა ინდომა, მამულს ეერ მოუშლის და სისხლიც უნდა მისცეს.

და თუ იმისი ყმობა აღარ ინდომა, სისხლი არ უნდა გამოართვას, თავისის ცოლ-შვილით, ვისთანაც უნდა, მივა. უწინდელი პატრონი ვეღარას მოედავების, ამიგომ რომე თავის სისხლით დაუხსნია თავისი თავი [შდრ. მუხლ. 258].

თუ უბრალოდ გახეიბრდა კაცი, თავის ცოლ-შვილით, ვისთანაც უნდა, მივა, პატრონს ხელი არ ექნების, ამი[303რ]გომ რომე თავი სისხლით დაუხსნია.

ძმასა და სახლის კაცს, თუ არ სიკუდილისათვის, გახეიბრებისათვის ეერავინ გამოართმევს.

[95.1]. კაცის შუღლი და სიკუდილი თუ რასაც ფერის მიზეზი ბეერი არის, თუ სულ დაგეწერა, ეეღარას თავს გაუიღოდით და არც იქნებოდა. რომელიც მიზეზი რამ მოჰხდეს, იმაე რიგად გაუსინჯეთ, და დიდს დიდობით და მცირეს მცირობით ისრე სისხლი გაურკვიონ.*

[სხვისი ცოლის ან შვილის გაყიდვისათვის]

96. თუ ცოლი გამოართვან და გაუყიდოს ვინმე, სამი სისხლი არის: ერთი ქალის პატრონს უნდა მისცენ და ორი ქმარსა.

მაგრამე ეს საქმე კათალიკოზმა და მეუემ დიდად უნდა მოიკითხონ, ამიგომ [რომე] – ჯერ ტყვის გასყიდეა, მერმე ცოლ-ქრმის გაყრა. ამაზე სამი სისხლი გავაჩინეთ, თუ უნდა რჯულიანზე მიჰყიდოს, თუ უნდა უსჯულოზე.

97. თუ კაცმან კაცს შვილი გაუყიდოს, გინა ქალი, და გამოჩნდეს, მართლა გაეყიდოს, სისხლი ხომ ზეით დაგვიწერია და ასრე იქნას [იხ. შუხლ. 96].

თუ სწამოებდეს და მართლობით არა ჩნდეს, ან ფიცით, ან მდუღრით გაიმართლოს თავი.

და თუ ეერ გაიმართლოს თავი, ეს შეიტყევით, სჯულიანზე მიუყიდნია, თუ უსჯულოზე.

თუ ქრისტიანზე მიუყიდნია, მთელი სისხლი უნდა მისცენ, და თუ დასახსნელად ხელი მიუწედებოდეს, დაახსნევინონ.

და თუ უსჯულოსთვის მიუყიდნია, ორი სისხლი უნდა მისცეს, ერთი ხორცისა და ერთი სულისა. კათალიკოზისაგან გარდახდევინება მან იცის. აგრეე ძმის გასყიდვაზე იქნას.

მაგრამე მეფისაგან ტყვის გასყიდვაზე დიდი გამოკიდება და ნასაღი უნდა.

116. ვალისა ეს მოგახსენოთ, რომე ქართლში კითხეა აგრერიგად არ ყოფილა. ამ ახლო ხანებშიაც თუმანი თეემი ხუთ აბაშათაც მისცემია, ოთხ აბაშათაც, სამ აბაშათაც, ათ მაურათაც, ორ აბაშადაც, ხუთ მაურათაც, აბაშადაც, სამ მაურადაც, ორ მაურადაც. ამაში, დიაღ, ბევრ გუარიც ქნილა. ასე რიგად მიცემაზე სარგებლის სარგებელიც აღებულა. – რამდენი წელიწადი დაგეიანებია, იმდენი სარგებელიც გამორთმევიათ.

117. პური ერთიორათაც გაცემულა, ერთისამათაც, ათი თხუთმეგათაც. და ამაების სარგებლის სარგებელიც არებულა.

მაგრამ ძალი და უსამართლო არის, და ღვთის საწყენი კიდეე უფრო არის.

[309რ] 118. ღვინო ერთისამათაც აღებულა, ერთიოთხადაც და ერთნახევრადაც, ათი თხუთმეგათაც. ამისი სარგებლის სარგებელიც ბევრს აუღიათ. მაგრა ესეც ბევრი არის და ღვთის წინამე და სახარების გარდასულა.

119. ერთი რიგი ეალი ეს არის, რომე სამს აბაზს თეთრს მისცემენ, და სანამდინ ის თეთრი აქუს, ახალზე თეითო კოკა ტკბილი უნდა აძლიონ სარგებელი. თუ ჯერმე მერიგებულან, მარჩილისათვინ ოთხი კოდი ჯერი სარგებელი უნდა აძლიონ. მაგრამე დიაღ ძალი არის.

არის კიდევ მარჩილი ასრე გაცემული, რომე მარჩილის სარგებლად ოთხი მუშა უნდა ამუშაოს ან მარჩილის თავს წელიწადში ერთი აბაზი სარგებელი მოსცენ.

აქ ვიყოთ კარი ქურდობისა და სამართალი მისი

150. ქურდობა ვისაც და ჟინებით შეემთხვიოს და მეაჩნდეს, რაც ეფერების და შვენის, ვისაც სამართალში მოეიდეს, როგორც მართებდეს, მისი იმან [315რ] იცის, და მღეევნებისა ასრე უნდა იქნას.

ქურდობა, დიაღ, ბევრი რიგი არის და მრავალფერი არის, და თეითეულად ყეელას ცალ.კე დაწერა არ იქნებოდა, გრძელად მოვიდოდა. ქურდობა ყეელა სწორე არ არის, მაგრამე ამ სამს ოთხს გარდაისად სწორედ ეთქუათ.

151. ერთი ძნელი ესე, რომ თუ ცოლსა და ქმარს, ერთს სახლში ერთად მწოლს, შეეპარა ქურდი და ისრე ან კაცის იარაღი და ან ტანისამოსი, გინა სხვა რამ მოიპარა, ანუ ქალის სამკაული და ტანისამოსი მოიპარა, ის ნაქურდალიც შეიდეულად უწღოს, და რასაც გუარისა არიან, ნახეეარ-ნახეევარი სისხლი სხეა გარდაუხადოს.

თუ ვერ აუეიდეს, ქურდი თავისის ცოლ-შვილით, საქონლით და ნასყიდით მიეცეს. თუ რომ ეს ქურდობა მართლის სამართლით არა ჩნდეს, ფიცით გამართლდეს, როგორც შემოთ ფიცის საბღვარი დაეიწერია. [იხ. Ъუხლ. 10].

152. მეორე ეს. ლამჭრობაში თუ ან ცხენი და ან იარაღი, ან ტანსაცმელი, ჯაჭვი, აბჯარი მოპაროს, თაეად დიდი სირცხვილია: ერთი ეს, რომე [315V] უმგროდ და შეუბეელად, დაუნარჩომებლად, მუხთლად იარაღი აპყრია, აუგი დასდებია; და მეორე ესე, თუ ომი მოხდა, იმ ლამჭრობაში უიარაღობით მკუდარი შეიქნების. ამისთვინაც ამისმა ქურდმან მონაპარაეიც შეიდეულად მისცეს და სისხლის ნახეევარიცა.

153. მესამე ძნელი [ესე]. დედაკაცს რომ ბედ შებმული ან კიდებული იარაღი ან თმა, ან თმის საგანი რაც რამ ფერი სამკაული ბედ მეხსნას ან შეაჭრას, მონაპარეეიც შეიდეულად მისცეს და სისხლის ნახევარიცა.

154. ამ ზემოთ წერებულს ქურდობაებს გარდაის სხვა ქურდობაები დიდისა თუ მდაბლისა, ბევრისა თუ ცოტასი, შინა თუ გარეთ, - ვისაც რისაც ფერის ქურდობა მეემთხვიოს, მისის საბღაური შეიდეული არის.

და ამ საბღაურისა ასრე არის და ასრე უნდა იქნას.

თუ ის საქონელი ან პირუტყეი საბაგიოს კაცის შვილისია ან აზნაურიშვილისა მოპარულა, იმას ის საბღაური შეიდეე მთლიე მიეცემის.

თუ ეს მონაპარავი ვლეხისა არის, ერთიორად გლეხს მიეცემის და სხვა სახელმწიფო არის. სამთხრობლო, რაც საქონლის დამკარგავეს გაუა, ისიც ქურდმან უნდა მისცეს.

[316რ] 155. საყდრის გატეხისა, ჯვარისა და ხატის დამტერევისა, ხელმწიფის სალაროს გატეხისა ჩვენ არ გეითქუამს რა, როგორც ხელმწიფესა და კათალიკოზს ეპრიანებოდესთ, ისრე გარდაახდევინონ.

156. საქართველოს სამართალი ერთი ეს არის, რომ კაცმა დაპკარგოს რამე და ან მოპპარონ, სადაც თავის საქონელს იცნობს, დიდისა თუ მცირისა ხელში, თუ უნდა ეყიდოს ვისგანმე, გინდა ემოვნოს, სთხოვს, წაეჭიდების. იმ კაცმან ისიც უნდა მოსცეს, და ვისგანც მოსცემია ან მოუყიდნია, ის კაციც უნდა უთხრას. თუ იმ კაცს არ ეტყეის, საბღაურიც თეითან უნდა მისცეს.

ესეც იქნების, რომე იმ კაცმან მომსყიდელი თუ მომცემი ეელარ იპიენოს, ეელარც იცნობდეს, იმაზე გული აჯეროს, როგორც წესი იყოს, იმრიგად, ასრე რომე „ამ შენის საქონლისა

არც მე ეიყო ქურდი და ვეღარც იმას ვიცნობდე, ვისგანც მამცემია, აღარც ხელი მიწედებოდეს." თუ ასრე შეფიცოს, თავისი თაენი გამოართვას, სხვას ნუღარას მიერჩის.

[316V] 157. არის კიდევ, კაცმან პირუტყუი და რაგინდა რა საქონელი თავის საქონელს ამზგავსოს, მისი კი არ იყოს, მაგრამე არ ეშეებოდეს, ჩემი არისო, ის კაციც ფიცევდეს ჩემიაო.

ამაში მოსამართლისაგან გამონახვა უნდა. ჯერ ორთავესაგან მოწამე ითხოოს და მოწმით გაარჩიოს, ეცადოს.

თუ არ იქნას, ვისაც ხელში საქონელი იცნას, ფიცი იმისი არის. ასრე იფიცოს, რომე „ჩემიც იყოს და ტყუილადაც მეცილებოდე", თუ არადა, ვერ იფიცოს, თუ დაკარგული არის, ისივ მოსცეს და თუ მოპარვით წაყუანილი არის, შეიდეულად მოსცეს.

158. ერთი ეს ეთქუათ. დასტურ დადებული არის, კაცი თავის საქონელს იცნობს, შუას წყალში ჩაეჭიდებისო.

მაგრამე ამ ერთს ალაგს ეს არ იქნების. მაშინ რომე, ხელმწიფე ერთს მეპირისპირეს მტერზე ან ქუეყნის მოსარბეველად ერთის კვირის სალაშქროდ რომ მიბძანდებოდეს, მაშინ რომ კაცმან კაცის ხელში იცნას რამ. ნუ წაეჭიდების, ამიტომ რომე, ცხენი არის თუ იარაღი, ყუელა თავის ფიქრით იქნების; და ახლა ამ კაცის ჩამოქუეითება და იარაღის აყრა ერთის მეომრის მოშლა არის და მერმე შუღლი მოსდევს, და მაშინ ჯარისათვის არ ვარგა.

ასრე იქნას: მოწამე დაიჭიროს, ამ ცხენსა, ამ იარაღს [317r] ვირჩითქო, და იმ ერთს კვირას უკან მოსამართლესთან შეიყარნენ და ისრე გარიგდენ.

159. კაცმან რომ კაცს ქურდობა თუ სხვა რა გინდა რა შესწამოს, სტანჯოს, ბევრი რამ უპატიური შეკადროს, დააფიცოს, მერმე ის საქმე სხვაგან გამოჩდეს და დამფიცებელმან თუ რამ იქიდამ გამოიგანოს, ნახევარი იმისია, ვინც იფიცავს, და გარჯის საუპატიოც უნდა მოსცეს დაფიცებულსა.

იქიდამ კიდეც ვერა გამოიგანოს რა, გარჯის საუპატიო მაშინც უნდა მოსცეს, ბჭეთაგან გასინჯვით, როგორც ხამდეს [იხ. მუხლ. 349.]

კარი ნასყიდობისა

160. თუ კაცმან ნასყიდობა ქნას, მამული, სოფელი, საქონელი თუ პირუტყუი, დიაღ, ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის. და თუ ბატონი გაუწყრების, სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწედება.

მაგრამე ბატონსაც ეს მართებს: სხვა რიგად რომ ბატონმა ყმას გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს.

[317V] 161. სყიდვა ასრე უნდა. კარგა გამოძიებით, მართლის შეტყობით უნდა იყიდოს, რომე ან სხვის მამული არ შემოტყუოს, ან მზღვარი ტყუილად არ დაუწეროს; კაის მოწმით, წიგნით და ბეჭდით უნდა იყიდოს.

იქნების, დაჭირებული იყოს და იაფად მოჰყიდოს, იქნების მსყიდველს უნდოდეს და ძერად მოსცეს, მაგრამე რა წიგნი დაიწერების და ხელი ჩაირთვის, რა გინდ ფასი მოუმატონ და ან მსყიდველს აღარ უნდოდეს, ვეღარ მოშლიან.

162. თუ კაცმან სოფელი ან გლეხი თაეადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს, ხელმწიფესაც უნდა დაკითხვა.

მაგრამე უკითხავადაც სყიდულა და არც ხელმწიფე გამოჰკიდებია, ამიტომ რომე, ვინც უნდა იყიდოს, ხელმწიფის კოდის პური, ბეგარა, საბაღახე, რაც რამ ფერი სახელმწიფო, ლამქარ-ნადირობა, - არცერთი დააკლდება, ყველა უნდა ქნას, თუ ხელმწიფემ არ გაათარხნა.

163. ხელმწიფის სახასოს აზნაურშვილისა და სახასოს გლეხისაგან ხელმწიფის უდასტუროდ თაეადი, ნურც თაეადის ყმა, ნურას იყიდის.

[318r] აგრეეე სხვას თაეადისა და ვინ გინდას ყმა თაეის ბატონის უბეჭდოთ ნურავინ რას გაჰყიდის, თორემ მისი შებატონე არ იყაბულებს, მამულს თეითან დაიჭერს და ფასს მიმსყიდველს სთხოვს.

იქნების, ამყრელმან და ან აყრილმან კაცმან სხვას თემიდამ მამული გაყიდოს, არ გაიყიდების.

ვისაც ეყიდოს, ფასი მომსყიდველს სთხოოს.

164. აწე თუ სხვას თემს ეაჭარი სავაჭროდ წაეიდეს და იქ თაეის ქუეყნის კაცს ამ ქუეყნის მამული, ნასყიდი თუ უსყიდი, მიჰყიდოს და იქ ლოთობასა და ავკაცობაზე გარდააგოს ან სხვას თემს გარდიკარგოს, ის გასყიდვა ყაბული არ არის.

ვისაც თეთრის სესხება უნდოდეს, ისრე, უმამულოდ, ასესხოს, - მერმე, როგორიც ეაჭარი არის და ან როგორც მოუგია, ის გამოჩნდების. თუ აქუს რა თაენისი, ეალს იქიდამ მიეცემის.

თუ არა, ან ზღეით, ან ხმელით, ან ქურდით ჩახდენია, ის გამოჩნდების – აქ მისმა ძმამ და სახლისკაცმან, უნდა მამულიდამ უნდა სხვა რიგად, გარდაუხადოს.

ამას ბევრი რიგი გამონახვა და ეაჭართან კითხვა უნდა.

[318V] 165. იქნების, კაცმან ახალს ნასყიდს მამულს და აგარაკში ქონება რამ იპოვნოს, თუ იმ მამულის მამსყიდველთან ფასი გარდაწყუეტილი არის, ვეღარას შეუა, ის ქონება მსყიდველისა არის. და თუ ფასი რამ დარჩომილა, იმ დანარჩომის ანგარიშით წილი უღა მომსყიდველსაც დაუდვას [იხ. მუხლ. 186].

166. თუ პირუტყუი, აქლემი, ცხენი, ჯორი, ულაყი და რაც რჩომა პირობით მიყიდა და ეს პირობა დაუდვა: „ამ ჩემს მოსყიდულს საქონელს, არც დამაეებულობით და არც სნეულობით არა სჭირს რა, და თუ გამოაჩნდეს, სენი ფასი წაიღე და ჩემი პირუტყუი მამეყარე", როდესაც იმ კაცმან შეაჩნიოს რამე და მოგეაროს, უნდა მიმსყიდველმან პირობა გაუთაოს.

და თუ არაღა, პირობა არა ყოფილა რა, ერთმანეთის მოწონებით უეაჭრიათ თუ გაუცვლიათ, მოკუდების თუ ავი რამ გამოჩნდების, რა საბელზე გარდააბიჯებენ, აღარ შეიშლის.

[ქეყნისა და რჯულის ღალატისათვის]

220. ქ. თუ ხელმწიფეს ღამქრიდამ კაცი წაუიდეს და მტერს მოეიდეს, და იმაე ხელმწიფეს დარჩეს, თავად ხელმწიფის მოწყალებაზე კიდია. თუ არაღა, უეხის მოკუეთა ჯერ არს.

გაღარიბება და გახეიბრება ორივე არ არის.

221. ქ. ციხიდამ და სიმაგრიდამ კაცი ან ბაგონს, ან ამხანაგს წაუვიდეს და გასცეს, ღამქარი დაასხას, იმისი სისხლი არ გაიჩინება, ამისათვის რომე ბეურის სულის მესისხლე არის. რაც გარდახდება, სამართლით იქნება.

22. ქ. ვინც კაცმა ქეეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოს, კიდეც ხელეედეს, იმით რჯული წახდებოდეს, იმას მიყუეს, - ღეთისა და ბაგონისა, ორისაე მესისხლე იქნების და ყოეელი აეი იმაზე მართებული არის.

ქ. ზითვისათვის

224. ვისაც სახლში უშვილოდ ქალი მოკუდეს და ქმარი დარჩეს, და მის სულს კარგად მოუაროს, თუ დიდის ხნის ცოლ-ქმარი არიან, არა ეთხოეოს რა.

თუ ახალი შეყრილი არიან და შვილი არა ყაეს, ზითეეი სამად გაიყოს: ერთი წილი სულისათვის, ერთი წილი ამისთვის, რომ საქორწილო მიუგანია, და მესამედი ქალის პატრონს მიეცეს.

თუ ქალს ქმარი მოუკუდეს, ქურივი უშვილო მოკუდეს, თუ რამ საკაცო აქუს, სახლისა არის, სხვა მონაგები სულისა არის, და ზითეეი რაც იქნება, თუ რამ სულისათვის დაიხარჯება, ის არის, სხეა ქალის სამშობლოს უნდა მიეცეს.

ქ. უასამრთლოდ გინებისათვის

226. იქნების, რომ ასეთ ფერად შეაგინოს, რომ სისხლი და კაცთან დიდი მტერობა გაიმალოს.

ამის მთქმელს, ამათში რაც სისხლი მოხდება, ნახეარი დაედების, რომ რაგომ ასეთი შეაგინა, რომე სხეას გარდაკიდა?

და სხეებრ უსამართლოს გინებისათვინ მოსამართლისაგან გარდეხდეეინოს ცემითა თუ დატუსვითა.

ქ. წაძრახვისათვის

227. ვინც ვისაც წასძრახოს, იმით სისხლი და რაც რამ ჩხუბი მოხდეს, ნახეარი წამძრახაემან გარდიხადოს და ნახეარი მქნელმან.

და თუ იმ წაძრახვით ჩხუბი არა მოხდეს რა და გულის მოწყეეტისათვინ უთხრას, გულის მოწყეეტა და თაეის გატეხა ერთგან ჩაგეიგდია, - რასაც ღეარისა იყოს, იმ წესით თაეის გატეხასთან ჩაიგდება და იმთონი გარდაუხადოს.

[მუქარის დათხოვნისათვის]

228. ქ. კაცმან კაცს მუქარა დასთხოვოს, ამისი ქართლში არა გაჩნდება რა, ამისთვის რომე ამაყი კაცნი არიან.

და მოსამართლემ დატუქსოს და კარი გაარონინოს.

[ქირაენობისათვის]

229. ქ. ვინც ვინმე გაგზავნოს სადმე და იქ მოკუდეს, მოჯამაგირე იყოს თუ სხვა, თუ იქ იავადმყოფებს და დღით მოკუდების, მის სულზე უნდა გაისარჯოს, სხვას ეერას შეუელენ გამგზავნელს.

ეს გაგზავნილი კაცი ან სენს შეესწრა და ან იმ ალაგს პაეამ, ან სიხაშმემ თუ ყაზახმან მოკლას, ნახეარი სისხლი გაუჩნდება, რისაც გვარისა არის, ამისთვის რომ არც გამგზავნელს უნდა სიკუდილი.

ამ რიგითა, რომ თუ ან ყმა არის და ან კაცი გასამრჯელოს სთხოეს და გამოართმევს, ამისთანას არა ეთხოვება რა.

და ან თავის სხვის-შვილი და მოჯამაგირე არის, ამისი მეოთხედი სისხლი მიეცემის, ამისთვის რომ მოჯამაგირეთ დაუჭირავს, მაგრამ ამისთვის არ დასდგომია, რომ სასიკუდილოს აღგილს გაგზავნოს.

230. ქ. ვინც ვისი პირუტყუი ან საძოვარზე, ან თუ წყალზე წაიყვანოს და დაუშაოს, და თუ მოკლას, თუ იხმარა და ისრე დაემართა, მთლიე უზღოს.

თუ ფათერაკის საქმით მოუხდა, ნახევარი დაიკლოს პატრონმან.